ნიკო ნიკოლაძე

თხზულებანი

ტომი მეცხრე

(1887-1889 წწ.)

წინასიტყვა, ბიბლიოგრაფიული შენიშვნები,
კომენტარები და პირთა საძიებელი დაურთეს
ა. გიორგაძემ და ე. თავბერიძემ

საგამომცემლო ცენტრი
ქუთაისი
2006

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ნიკო ნიკოლაძე

თხზულებათა სრული კრებული

პროფ. დავით გამეზარდაშვილის რედაქციით

ISBN 9940-888-1-5

НИКО НИКОЛАДЗЕ

СОЧИНЕНИЯ

IX

Издатель: ГЕОРГАДЗЕ
АМИРАН ГЕОРГИЕВИЧ

Редактор: ТАВБЕРИБЗЕ
ЕЛГУДЖА ВАЖАЕВИЧ

ИЗДАТЕЛЬСКИЙ ЦЕНТР
КУТАИСИ
2006

გამომცემელი ამირან გიორგაძე

რედაქტორი ელგუჯა თავბერიძე

ამირან გიორგაძე

ნ. ნიკოლაძის თხზულებათა IX ტომის გამომცემელი

Георгадзе Амиран Георгиевич

Издатель IX тома сочинений Н. Г. Николадзе

ნიკო ნიკოლაძის „თხზულებანის“ მერვე ტომის ანოტაციაში ვწერდით, რომ მომდევნონიც პროფესორ დავით გამეზარდაშვილის მიერ მოპოვებული მასალების საფუძველზე გამოიცემოდა. წინამდებარე ტომი ბოლო აღმოჩნდა ნ. ნიკოლაძის იმ პუბლიცისტური მემკვიდრეობიდან, რომელიც განსვენებულ პროფესორს ჰქონდა შეკრებილი. ამიტომ მომავალში გამოცემაც და შედგენაც ჩვენ უნდა ვიკისროთ, რათა ქართველ მკითხველს სრულყოფილი წარმოდგენა შეექმნას ამ დიდი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ნააზრევის შესახებ (რომელიც, ალბათ, თხუთმეტი ტომი მაინც იქნება).

„თხზულებანის“ მეცხრე ტომში კი ძირითადად „ნოვოე ობოზრენიეში“ დაბეჭდილი პუბლიცისტური წერილები შევიდა, რომლებიც ნათელ წარმოდგენას უქმნის მკითხველს, თუ რაოდენ დაუღალავად იღწვოდა ნ. ნიკოლაძე ქვეყნისათვის, რაოდენ ღრმად წვდებოდა მოვლენებსა და ფაქტებს.

წინასიტყვაობა მეცხრე ტომისათვის

ნიკო ნიკოლაძის თხზულებათა სრული აკადემიური გამოცემის მეცხრე ტომში 1887-1889 წლებში შექმნილი პუბლიცისტური წერილები შევიდა. ეს ის პერიოდია, როცა გაზეთ „ნოეოე ობოზრენიეს" ერთ-ერთი გამომცემელი და ფაქტიური რედაქტორი თვითონ იყო. ამიტომ ამ ბეჭდვით ორგანოსაც (ისე როგორც „ობზორს" წინა წლებში) ეტყობოდა ნიკო ნიკოლაძის მსოფლმხედველობის ღრმა კვალი, გაზეთი, უფრო სწორად მასში დასტამბული სტატიები, მისი რედაქტორ-გამომცემლის წყალობით, გამოირჩეოდა მოვლენათა ღრმა და ყოველმხრივი ანალიზით, მიუწვდენელის მიწვდენის იმ საოცარი სრულყოფილებით, რაც ამ მოღვაწის ნააზრევისათვისაა დამახასიათებელი.

ნიკო ნიკოლაძე საზოგადოებრივი ცხოვრების თითქმის ყველა სფეროს მიმოიხილავდა და თითოეული მათგანის ანალიზის დროს ამჟღავნებდა საოცარ ცოდნას, ერუდიციას, მიზეზებში ღრმად წვდომის უნარს. ხანდახან იმასაც გაიფიქრებ, იმდენი საწვრილმანო და მწერლისათვის ძნელად საცოდნელი რამ იცოდა, რაც ჩვეულებრივ არ უნდა ცოდნოდა, რასაც ღვთით მომადლებული ნიჭის მქონენი ხშირად ყურადღებასაც არ აქცევდნენ. ნიკო ნიკოლაძე კი პირიქით; სწორედ უმცირესიდან იწყებდა, ძირისძირამდე წვდებოდა და აშუქებდა ამა თუ იმ საკითხს.

ნ. ნიკოლაძის მეცხრე ტომში გაერთიანებული პუბლიცისტური წერილები, როგორც მსოფლმხედველობით ასევე საზოგადოებრივი მნიშვნელობის თვალსაზრისით, აგრძელებს იმ გზას, რაც მან ჯერ კიდევ „ობზორში" დაისახა მიზნად. ესაა აქტიური ხელშეწყობა ქვეყნის ეკონომიური განვითარებისათვის, იმ სიახლეების დადებით-უარყოფით მხარეთა მკითხველამდე დაყვანა, რომელიც ბატონყმობის გაუქმებამ და იმპერიაში ამის გამო შექმნილმა ახალმა საზოგადოებრივმა ურთიერთობებმა გამოიწვია. მას სურდა მშობლიური ქვეყნის მკვიდრთ ფეხი აეწყოთ სიახლისათვის, კარგად გაეაზრებინათ იგი და მთელი არსებით ჩაბმულიყვნენ სასიკეთო საქმეთა განხორციელებისათვის ბრძოლაში.

ეს პუბლიცისტური წერილები გაზეთის ყოველდღიური მასალა იყო, იწერებოდა თითოეული ნომრისათვის ამა თუ იმ საჭირბოროტო საკითხზე და, ბუნებრივია, იქნებ ყავლიც გასულიყო, შეცვლილ დროსა და ვითარებასთან ერთად მოძველებულიყო, მაგრამ საოცარი სწორედ ისაა, რომ პირიქით მოხდა, თითქოს ისინი დღეს იქმნებოდეს, ხშირად კამათის საგანს თუ შეცვლი, მასში აღმოაჩენ იმ დამოკიდებულებას, რაც ყველა დროისა და ვითარებისათვისაა მისაღები, ამიტომაც ხანიერია და უკვდავი. ყოველივე კი ისევ და ისევ ნ. ნიკოლაძის ღრმა ანალიზის უნარით, ფართო მსოფლმხედველობით, იშვიათი გემოვნებით იყო განპირობებული.

მეცხრე ტომში შესული პუბლიცისტური წერილების უმეტესი ნაწილი ბაქოს

ნავთობმრეწველობის, ამიერკავკასიის რკინიგზის, ტყიბულის ქვანახშირის, ქალაქის თვითმმართველობის და სხვა პრობლემებისადმია მიძღვნილი. მათი გაცნობის შემდეგ აშკარად დარწმუნდება მკითხველი, თუ როგორ ღრმად ესმოდა ეს საკითხები ნ. ნიკოლაძეს, როგორი დაუნდობელი მსჯავრი გამოპქონდა იმათ მიმართ, ვინც სხვანაირად, საქმის რუტინულად წარმართვას ფიქრობდა. როგორც ჩანს, ეს პრობლემები იმდენად ძირფესვიანად ჰქონდა შესწავლილი, რომ მისი უმცირესი ნიუანსიც კარგად ესმოდა, დეტალების წვდომის შემდეგ კი ზოგად ჭრილშიც განიხილავდა, აკეთებდა დასკვნებს, რომელთა სიმართლე და შეუვალობა დრომ დაადასტურა. ამასთანავე ეს სტატიები ერთგვარი ისტორიული წყაროცაა, ბაქოს ნავთობისა თუ ტყიბულის ქვანახშირის, ასევე სხვათა და სხვათა შესწავლით დაინტერესებული მკვლევარი გვერდს ვერ აუვლის ნ. ნიკოლაძის შეხედულებებს, პირიქით, ისინი ერთგვარ მეგზურად, სასინჯ ქვად უნდა იგულვოს სხვათა ნაფიქრალ-ნააზრევის გასარკვევად და ამოსაცნობად.

ზედმეტად მიგვაჩნია იმის თქმა, რომ ნ. ნიკოლაძის შეხედულებანი საოცრად პროგრესული და თანამედროვეთაგან საგრძნობლად განსხვავებული იყო. იგი აქაურ ვითარებასა და მდგომარეობას ყოველთვის ადარებდა სხვა მოწინავე ქვეყნებში არსებულ ყოფიერებას და ამის საფუძველზე გამოპქონდა მკაცრი განაჩენი არსებული სინამდვილისა.

„...ჭკვიანი ადამიანები, წერს იგი ერთგან, – რომლებიც სიდიადითა და შემოქმედებითი ძალით დიდად არ ჩამორჩებიან ამ პირველი ხარისხის გენიოსებს (საუბარია ნიუტონის, შექსპრის და მისდარ ადამიანებზე, გამომც.) ყოველი ფეხის ნაბიჯზე ებმებიან საერთო საქმეში და ნაკლებად ძლიერი გონების ადამიანებთან ერთად ეწევიან საერთო უღელს. და არ ცდებიან ისინი, არ მცირდებიან, არ კარგავენ საკუთარ სახეს. და როცა მათ შეეკითხებით' ასეთი მოქმედებების მიზეზს, გიპასუხებენ, რომ სახელსა და დიდებაში ეულად კიაფობის უსუსურ სურვილზე უფრო მაღლა არსებობს ადამიანის ცხოვრებისა და პატივმოყვარეობის შეუდარებლად უფრო ღრმა და უძვირფასესი დაკმაყოფილება: ესაა აამაღლო ხალხი, შენი თანამოძმენი შენს დონემდე და რაც ხელთა გაქვს, თუნდაც თიხისგან, შექმნა ამა თუ იმ დარგის რამდენადაც შეიძლება უკეთესი მოღვაწე".

ნ. ნიკოლაძე ამ პრინციპის ერთგულებით ცხოვრობდა, აზროვნებდა, წერდა, აქვეყნებდა, მკითხველს აცნობდა მის აზრებსა და შეხედულებებს იმისათვის, რომ მათშიც გაეღვიძებინა სიახლის აღქმის წყურვილი, ჩაენერგა ის ძალა და ენერგია, რომელიც მომავალში მოვლენათა სიღრმეში წვდომის სურვილს დაბადებდა. ამას აკეთებდა იგი უცხოურ ანალოგიებზე დაყრდნობით, საერთოდ, მის პუბლიცისტურ ნააზრევში დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა მაგალითის ძალას, იქ და აქ შედარების მერე აცნობდა მკითხველს თავის გულისნადებს. რაც მოწონდა, აშკარად ამბობდა, დასაწუნსაც ასეთივე პირდაპირობით განაცხადებდა.

ერთი სიტყვით, თქვენს წინაშეა ნ. ნიკოლაძის პუბლიცისტური ნაღვაწის სამწლიანი მოსავალი, რომელიც არა მარტო საგულისხმო და საინტერესოა, არამედ საოცრად საადღეისო და თანადროული.

ამირან გიორგაძე
ელგუჯა თავბერიძე

1. საუძმო საკითხავი

აჰ, რა ბევრმა წყალმა ჩაიარა მტკვარსა და რიონში მას შემდეგ, რაც ერთმანეთს დავშორდით ჩემო საყვარელო და ჭეშმარიტად ძვირფასო მკითხველო; ისე ბევრმა, რომ თითქმის პირველი შეხვედრის ათრთოლებული გრძნობით ვაახლებ ახლა ჩემს დიდი ხნის წინათ შეწყვეტილ და სრულიად დავიწყებულ საუბარს. ასეთი დებიუტი შეუდარებლად მძიმეა ნამდვილზე, როცა ახალგაზრდა უშიშრად და უსაყვედუროდ გამოდიხარ უცნობი და უხილავი საზოგადოების წინაშე, მდგომარეობის სიახლით ბურანში მყოფი და დამთვრალი, რის შესახებაც ჯერ კიდევ ტრეტიაკოვსკი წერდა:

„ბედისწერის საზღვართან
ფრინავს ჩიტი თავისთვის
არც იცის და არც ფიქრობს
რა მოელის ხვალისთვის.[2]“ (რედ.)[1]

მაშინ უფრო მეტად გვჯერა დაზეპირებული როლის ჯადოსნური ძალისა და ფიქრობ, რომ მთელი არსი მდგომარეობს მონოლოგის მკაფიო და ხმამაღლა წარმოთქმაში, არა გაქვს შეგნებული არც წარმატება, არც მარცხი და სწორედ ისე, როგორც იმ დროს ხდება ხოლმე, როცა სიკვდილის პირზე დგეხარ და განსაცდელისგან გამოსავალს დაუწყებ ძებნას, თუ რაზე მიდიოდი და რას იმეტებდი. მაგრამ, როცა საკმაოდ გამოცდი „უბედურებათა ბილიკს“ და, რაც მთავარია, როცა შეიგნებ როლის წარმატების სრულ დამოკიდებულებას საზოგადოების განწყობილებასა და გემოვნებაზე, სცენის პირობებზე და ა.შ. მაშინ, ახალი დებიუტისას, იმ საბედისწერო ძალასთან ერთად, რომელიც დაუცხრომლად გიბიძგებს კვლავ ამ მერყევი სცენისაკენ, იწყებ სხვა ძალის გავლენის შეგრძნებასაც—შენი პასუხისმგებლობის მთელი სიმძიმის შეგნებას.

თქვენ, ცხადია, გესმით, რომ მე მწერლის იმ პასუხისმგებლობაზე არ ვლაპარაკობ, რომელიც მას იზიდავს დამნაშავის სკამისაკენ, ან არა იმდენად და ამდენად დაშორებული ადგილებისაკენ. ღმერთო, ჩვენ ყველა ამ მხრივ შენი განგების ქვეშა ვართ... მე ვლაპარაკობ ბევრად უფრო მძიმე პასუხისმგებლობაზე, პასუხისმგებლობაზე საკუთარი სინდისის წინაშე, ლიტერატურის ისტორიის წინაშე. ამ მიუ-

კერძოებელი მოსამართლეების წინაშე კი პასუხი უნდა აგო არა იმისათვის, თუ რას წერ, არამედ იმისათვის თუ რად წერ, რა მიზანს ისახავ და რას აღწევ. რასაკვირველია, იოლია ამოცანა იმ მწერლისა, რომელიც უმიზნოდ ალაგებს პწკარებს იმ პირობით, რომ „არ ვიცი რას იმღერებენ, მაგრამ სიმღერა მომდის“ და რომელიც ზრუნავს მხოლოდ რაოდენობისა და ფრაზების სილამაზეზე. მაგრამ, უბედურება იმაშია, რომ ამ ხალხს თანამედროვეთა და მომავლის თვალში, მიუხედავად მთელი მათი ღონისძიებებისა, არ შეუძლიათ შეიძინონ მწერლის მნიშვნელობა, რადგან პირველი და აუცილებელი პირობა ჩვენი სამსახურის ნაყოფიერებისა მდგომარეობს წმინდა წესებისადმი მუდმივ ერთგულებაში: „არა სწერო უმიზნოდ“, „არ იქონიო რამ მიზანი შენს სიმღერებში, გარდა საერთო კეთილდღეობის“.

აბა, როგორია ჩვენში ახლა იმ კაცისათვის კალმის ხელის მოკიდება, რომელსაც შეგნებული აქვს ამ წესების შეუზღუდველი ძალა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც მისი ადრინდელი ცდა, რომ დაეცვა ეს წესები, სრული მარცხით დამთავრდა? მანიაკი ხომ არ არის იგი, მართლა და მართლა, რომ გაიმეოროს ძველი შეცდომები, რისკიც მოსაწყენია ბოლოს და ბოლოს, რიღასკენ მიისწრაფვის იგი, რის იმედი აქვს? მისი ეს იმედები ფუჭი ხომ არაა? შეიძლება მეც მწარედა ვცდები, მაგრამ თავს ვიიმედებ, რომ ეს საკითხები აუცილებლად აღიმართებიან ჩემი მკითხველის წინაშე—სხვაგვარად მე იგი მთელი ჩემი არსებით არც მეყვარებოდა—როგორც არაერთხელ აღმართულან ჩემს წინაშეც. მაშ, მომეცით ნება წმინდა გულით პასუხი მათ დასაწყისშივე გავცე.

ფუჭად კი არა, შრომაში, სწავლაში, ფიქრში გავატარე წლები, —და მძიმე წლებიც,—რომელთაც განვლეს ჩვენი განშორების შემდეგ, მკითხველო. ამ ხნის განმავლობაში ბევრი რამ ვისწავლე და ბევრი რამ შევიგნე,—შევიგნე, სხვათა შორის, ჩემი შეცდომებიც, ჩემი ძველი შეხედულებების ნაკლოვანებაც. მე სრულიად არა მრცხვენია ეს ვაღიარო, იმისათვის, რომ წმინდა იყო როგორც იმ შეცდომათა წყარო, აგრეთვე იმ შეხედულებებიდან შემობრუნების მიზეზებიც. ბევრი რამ ვისწავლე-მეთქი და არც შეიძლებოდა ბევრი რამ არ მესწავლა, რადგან ვნებიანი ბუნების აღგზნებული წყურვილით ვშრომობდი, შეპყრობილი მხოლოდ იმ შეგნებით, რომ ახალ უბანზე, რომელიც ჩემს დაკვირვებებს გადაეშალათ წინ, ჩემო მკითხველო, შენთვის სასარგებლო უხვი მოსავალი მოიპოვება. ამ შეგნებას მე პირადი სარ-

გებლობის მიზნით როდი ვეწაფებოდი. უნდა მეტად მცირე ბუნებისა იყო, რომ ასეთმა წარმატებამ გაგიტაცოს და ერთ ფლურად მაინც არ შეაფასო იგი: ისინი ყველასათვის ხელმისაწვდომია, საკმარისია მხოლოდ ხელი გაიწვდინო მათკენ. მაგრამ არის ქვეყანაზე წარმატება, ყველა სხვაზე უმაღლესი, რომელსაც მხოლოდ რამდენიმე რჩეული შესწვდება და, მით უფრო დიდი გამბედაობით უნდა ვაღიარო, რომ მე მხოლოდ და მხოლოდ მას მივდევ და,—მას შემდეგ, რაც თავი მახსოვს, მე ვერ მომიხერხებია მისთვის კუდში ხელის წავლება და ვინ იცის, როდის მიეეწევი მას. ეს წარმატებაა—გასწავლო და გაიძულო მკითხველო, იყო უფრო საქმიანი, ძლიერი, კეთილი და ბედნიერი, ვიდრე ახლა ხარ. ამ წარმატების,—როგორც ხედავ არა პირადი წარმატების,—დეევნაში მე ვცდილობდი ყველაფერი გამეკეთებინა, ყველა კარზე დამეკაკუნებინა, ყველაფერი მეცადა, შემეცვალა საშუალებებიც, გზებიც და, ვიდრე ცოცხალია ჩემში რწმენა მიზნის სიწმინდისა, რა მესაქმება ათასი რჯულის ფილისტერების ბუზღუნსა და დაცინვებთან, რომელნიც ერთსა და იმავე წყალს ერთსა და იმავე როდინში ნაყავენ იმის შეუგნებლად,—ნეტავ რა ყრია ამაში და თანაც უაზროდ,—ღირს კი ამ საქმიანობის გაგრძელება.

ბევრი ვიფიქრე-მეთქი, ვამბობ, სხვადასხვა დროს, თუ როგორ მიმეღნია უკეთესად და ნამდვილად ამ მიზნისათვის,—რადგან დრონი ეჰ, ჩვენზე, მომაკვდავებზე არანაკლებ იცვლებიან. გამოიცვალა დროც: ახლანდელი მდგომარეობა ის აღარაა, ძველად რომ იყო. ამას გარდა, ჩვენ ახლა ნათლად გვესმის, რომ ცოტა შეცდომას არ ვუშვებდით თვით ძველი მდგომარეობის შეფასებასა და შეგნებაში. ამაში ნაწილობრივ დამნაშავეა რუტინის მოუგერიებელი ძალა: ჩვენი ეპოქის წინა დროის ლიტერატურაზე აღზრდილებს, რასაკვირველია, არ შეგვეძლო მის მაგალითს არ მივყოლოდით. ადვილი და ბუნებრივი იქნებოდა დავიწყება, რომ ის ლიტერატურა, რომელიც უპასუხებდა თავისი დროის მოთხოვნილებებსა და პირობებს, ჩვენს დროში, სხვა ამოცანებს აყენებს. სრულიად გასაგებია, რომ ლიტერატურა, რომელიც ბატონყმობის დროს საზოგადოებას მიმართავდა, მის არსებობისას და უშუალოდ მისი გადავარდნის შემდეგ უნდა შეგუებოდა თავისი მკითხველი საზოგადოების ჩამჟავებულ დიდკაცურ, თუმცა კი საუცხოოდ ლიბერალურ მოთხოვნილებებსა და ინტერესებს.

ბუნებრივია, გაბატონებული მნიშვნელობა მაშინ უნდა ჰქონოდათ ესთეტიკურ, მეტაფიზიკურ საკითხებს, იმ პლატონური ოცნებებითა და კამათით შენელებულებს, რომელთა შესახებ განსვენებული ი.ს. აქსაკოვი ამბობდა.

„მსუყე სადილის მერე
ყაია მესაიფი
ზიზარ თბილ ოთახში
ბედდამწვარ მოძმესთან
და ფიქრობთ
როგორ ცხოვრობს არიფი?". (რედ.)

მაგრამ ბატონყმობამ მოსჭამა თავისი დრო, მასთან ერთად მდიდრულად მორთულმა სასახლეებმაც, რომელშიც უსაქმობის გამო გულნრფელად, მაგრამ პლატონურად მიმდინარეობდა მსჯელობა ღარიბ ძმათა შესახებ. ახლანდელ მდიდრულად მორთულ სასახლეებში სხვა რამეზე მსჯელობენ. დაკანონებული და მემკვიდრეობითი ღალის უქონლობის გამო, „ამ ბრწყინვალე სასახლეების მფლობელებმა", ძალაუნებურად უნდა იმსჯელონ იმ ნამონყენებებზე, რომელთაც შეუძლიათ მათი მორთულობა შეაგროვონ აქციებზე, კუპონებზე, ტარიფებზე და ა.შ. ეს ცოტაა. არა მხოლოდ ასეთ სასახლეთა სავანენი შეადგენენ ახლა მკითხველი საზოგადოების მასას, როგორც ორმოციან, ორმოცდაათიან და ნაწილობრივ სამოციან წლებშიც კი იყო, ახლა გაჩნდნენ მეტად უბრალო ბინებში და ოთახებში მცხოვრები მკითხველები, რომელნიც თავისი და ოჯახის სარჩენს შოულობენ არა ღალითა და ბეგარით, არამედ ცოტათ თუ ბევრად თავსატეხი და, ყოველ შემთხვევაში, არა იოლი შრომით. ესეც ცოტაა: ქოხმახებში, სადაც კითხვისა კი არა, ფიქრის საშუალებაც არ იყო, დრომ ცოტა სულის მობრუნება, შუქი და კითხვის ცოდნა შეიტანა. ყველა ეს მკითხველი სულაც არ ჰგვანან წინანდელებს. მრავალი საუკუნენი განვლნენ, ვიდრე რუსეთის ეკონომიური პროგრესი ამ მკითხველებს მისცემდეს იმდენ დოვლათსა და ბედნიერებას, რომ მათაც შეიძლონ გულიანად შეუდგნენ ესთეტიკას, მეტაფიზიკით იოცნებონ რამდენიც უნდოდეთ, გაუშალონ ფრთები თავის წარმოსახვასა და ალტრუიზმს. მაგრამ ახლა ასე არაა. ახლა ეს მკითხველები, საერთოდ შენუხებულნი არიან სხვა საზრუნავითა და ინტერესებით და, მანამდე, ვიდრე ლიტერატურა არ შეატანს ყველა ამ ინტერესში, ვიდრე იგი არ გაიგებს და არ შესძლებს სინთეზი გაუკეთოს მათ, იგი უცხო იქნება ახლან-

დელი მკითხველისათვის და მკითხველებიც უცხონი დარჩებიან მისთვის და იგი მანამდე ვერც მბრძანებელი იქნება და ვერც გამომხატველი მათი ფიქრისა და მისწრაფებისა.

მეორე მხრივ, ისიც სათქმელია, განა ძირეულად შეიცვალა თვით ჩვენი ცხოვრების ფაქტორები? განა ჩვენს ხსოვნაში არ იყო, რომ რუსეთში სულ რაღაც ორი-სამი ასეთი ფაქტორი არსებობდა: ხალხი და მთავრობა (რადგან თავად-აზნაურობა, არსებითად ამ უკანასკნელში შედიოდა). გასაგებია, რომ ლიტერატურას შეეძლო შესაძლებლობის ფარგლებში—საზრიანად თუ უაზროდ,— ეწერა ხან ხალხზე, ხან მთავრობაზე, ახლაც ამას ვხედავთ? ჩვენი ნიადაგიდან, თუ სხვა ნიადაგიდან ჩვენსაზე, ამოიზარდნენ ცხოვრების ახალი, საგანგებოდ მძლავრი ფაქტორები, რომელნიც ჩვენი სამშობლოს ბედის წარმართვაში უდიდესი როლის შესრულებას იწყებენ. გაჩნდა მრეწველობა, როგორიც არ უნდა იყოს იგი, გაიზარდა კრედიტი, თუმცა ფიქტიური, აღორძინდა ნაოსნობა, რკინიგზები, ვაჭრობა. ბრმა უნდა იყოს ადამიანი, ვერ შეამჩნიოს, რომ ყველაფერმა ამან ძირფესვიანად გადააატრიალა ცხოვრების უწინდელი პირობები და რომ მას შემდგომ ბედზე ყველა ეს წამოწყება უფრო მეტ გავლენას იქონიებს, ჩვენი ცხოვრების ეკონომიურ წყობას თვით მთავრობის როლზე უფრო აღმატებული როლი ექნება. ამასობაში კი, ჩვენი ლიტერატურა, რომელიც სულ უფრო მეტად ცოდვილობს ძველის გადაღეჭვასა და უწინდელ კამათსა და საუბრებს იმეორებს, ჩვენი ცხოვრების ახალი ფაქტორები თავისთვის იზრდებიან და ფესვებს აქეთ-იქით უშვებენ, მეტწილად, მახინჯად, რამეთუ ჩვენ მკითხველ ინტელიგენციას, რომელიც დიდი ხანია ლიტერატურას უნდა მოემზადებინა ამ ფაქტორების უკეთ გაგებისა და წარმართვისათვის, მათ შესახებ არა გაუგია რა, გარდა საერთო ფრაზებისა და უცხო იგავებისა, და არაფერი არ ესმით მათ შესახებ, გარდა იმისა, რომ ეს არის რაღაცა ახალი, უცნობი და, ალბათ, საშინელი ძალა. ასე აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ვალებში ნახევრად ველური მაჰმადიანები გაბრუებულები, ხელებგაპარჭყულები და თვალდაჭყეტილები დგანან და გამოურკვეველი შიშის ჩლუნგი გამომეტყველებით უცქერიან, თუ როგორ მიმოქრის საიდანღაც და სადღაც რკინიგზის მატარებელი. და არ იციან ამ უბედურებმა, რომ შორს, ძლიერ შორს მიდის და მიექანება მათი მიწის წიაღის საუკეთესო სიმდიდრე და უკან ტოვებს მხოლოდ მიმქროლავი ორთქმავლის მილიდან ამომავალ ჭვარტლსა და სიმ-

ყრალეს. და ასე, როცა ინტელიგენციის მთელი მასა, თანამედროვე ლიტერატურის მსგავსად, დაჰქრის წმინდა ბიზანტიური კამათის სფეროში, ჩვენი ცხოვრების თითქმის ყველა უპირველესი ფაქტორი ხელში უვარდებათ შემთხვევით, მოუმზადებელ და სუსტხელებიან ადამიანებს, რომელთაც არა ესაქმებათ რა და არ ეზრუნებათ, გარდა ვიწრო, ნვრილმანი პირადი სარგებლობისა და ამ ხალხსა და მთავრობას შორის, რომელსაც სურს შეასრულოს თავისი ბუნებრივი როლი—დაიცვას სახალხო ეკონომიის უფლება, მიმდინარეობს ჯერჯერობით რაღაც ბუნდოვანი ბრძოლა, რაც ჯერ კიდევ არაა საკმაო რაოდენობის შუქითა და შეგნებით განათებული. სამწუხაროდ, რასაკვირველია, ცხოვრების ამ ახალ მხარეთა შეგნებისათვის, საერთო მოუმზადებლობის გამო, იმის წყალობით, რომ „ჩვენც გვისწავლია ცოტა რაღაცა, მაინც და მაინც ბევრი არავის“, თანაც არა სპარსული შრომა, მთავრობასაც არ შეუძლია ყოველ ნაბიჯზე ყველა და ყველაფერი შეუცდომლად გადაწყვიტოს. ჰკითხეთ, ვისაც გნებავთ სახელმწიფო მოღვაწეს, ჩაიხედეთ, რომელიც გინდათ სერიოზულ ოფიციალურ ანგარიშში, არავინ ფარავს ასეთი საკითხების სწორი გადაწყვეტის მთელ სიძნელეს. ესეც ცოტაა: მთავრობის ეს როლი ყოველ საათს რთულდება, იმდენად, რომ ერთის ძალ-ღონეს აღემატება. ეს კი ერთგვარად მავნებელია როგორც მთავრობისათვის, ისე თვით მრეწველობისათვისაც და სახალხო ეკონომიისათვისაც, რადგან ახლა, ხშირად კეთილი სურვილის მიზნით, რომ შეიზღუდოს პატიოსანი მძარცველობა, ეროვნულ მრეწველობას თავზე ატეხენ ძნელად ასატან დარტყმებს, ან პირიქით: მისი წახალისების სურვილით იქმნება მავნე მონოპოლიები. ჩვენი ლიტერატურა და, მაშასადამე, მკითხველი საზოგადოებაც, რაც უფრო ღრმად შეითვისებს ამ საკითხებს, ეზიარება მათ გამოკვლევასა და გადაწყვეტას, მით უფრო გაიოლდება მთავრობის საქმიანობა, მიზანშეწონილი და სწორი იქნება მის მიერ გამომუშავებული და მიღებული ზომები.

მკითხველებმა, რომელნიც თვალყურს ადევნებენ ჩვენს ლიტერატურულ მოღვაწეობას, იციან, რომ მე ყოველთვის აქეთ მივისწრაფვოდი, ვცდილობდი საზოგადოებისათვის გამეცნო ცხოვრების ახალი პირობები და შემეიარაღებინა იგი მათი გაგებისათვის საჭირო ახალი საშუალებებით. ამ ამოცანას ყოველთვის უპირატესობას ვაძლევდი, ჩვეულებრივ მამხილებელ და თვით წმინდა პოლიტიკურ ტენდენციებთან შედარებითაც კი. ამას ვაკეთებდი იმიტომ კი არა,

რომ მე პირადად ვერ ვხედავდი პოლიტიკისა და მთავრობის როლის უდიდეს გავლენას სახალხო მეურნეობის ბედზე,— ო, არა, მე მახსოვდა, რომ „კმა არს დღისაი მის სიბოროტეი თვისი", რომ ჯერ კიდევ ადრე იყო ჩვენთვის ხელი მოგვეკიდა იმ ამოცანებისათვის, რომელთა ჯერი, ღმერთმა იცის, როდის დადგება. რასაკვირველია, მე ვიწეწებოდი, გატაცებული ვიყავი, წუთსა და ნერვებს თავისი მიჰქონდა, მაგრამ ახლა, უფრო მეტად ვიდრე ოდესმე, დარწმუნებული ვარ, რომ მწერალს წინ უდევს აუარებელი ცოცხალი და სასარგებლო საქმე ადმინისტრაციისა და მთავრობის წინაშე ლიბერალობანას გარეშეც. გულწრფელად გაფრთხილებ, ჩემო ძვირფასო მკითხველო: ამ უკანასკნელს ჩემგან თუ მოელოდით და მოელით, მაშინ თავი დაანებეთ ჩემი ნაწერების კითხვას. მტკიცედ მაქვს გადაწყვეტილი, სულაც არ შევეხო ამ მხარეს: ღმერთი იყოს მასთან. უიმისოდაც ცოტაა ცხოვრებაში ინტერესი, შრომა და აზრი. თუ წინანდებურად გჯერათ ჩემი ერთგული თავდადება თქვენი საერთო ინტერესების მიმართ, მოდით, ჩვენი შესაძლებლობის ფარგლებში ერთად ვაკეთოთ ის, რასაც ახლა ჩვენ შეგვიძლია ერთად მოვკიდოთ ხელი, როგორც ჩვენი, ისე ქვეყნისა და ლიტერატურის სარგებლობისათვის. ვცადოთ, რამდენადაც გვეყოფა ღონე და მოხერხება, ცოტა შუქი მოვფინოთ ჩვენი ცხოვრების ყოფით, ეკონომიურ, ზნეობრივ მხარეებს.

ამ მორიდებულ როლში, მკითხველო, მე ვაპირებ ვიშრომო ღონისა და შესაძლებლობის ფარგლებში, შენ კი მე და ჩემს ნაწერებს ისე მოგვექეცი, როგორც სინდისი გიკარნახებდეს. ერთი შემიძლია მხოლოდ შეგპირდე, რომ თითოეული ჩემი სტრიქონის მახელმძღვანელებელი იქნება განსაკუთრებით ერთი სურვილი: ღირსეულად შევასრულო მწერლის დანიშნულება, პატიოსნად ვემსახურო შენს სიკეთეს. ასეთი ერთგული სამსახურით, დარწმუნებული ვარ, ადრე თუ გვიან ვეღირსები მკითხველი საზოგადოებისაგან სრულ პატივისცემას და უკვე ამით მცირე სარგებლობის მომტანი არ ვიქნები შენთვის: რადგან ამა თუ იმ საზოგადოების განვითარების დონე სხვა არაფრით იზომება, თუ არა იმ მნიშვნელობითა და იმ მდგომარეობით, როგორიც მასში მის მწერლებს უჭირავთ.

2. საუძმო საკითხავი

11 ივლისი, 1887 წელი

ოთხშაბათ დღეს „ნოვოე ობოზრენიეს“ დამაარსებლის ახლად გათხრილ სამარეს ბევრი ალალი ცრემლი დააღვარა იმ ხალხმა, ვინც ასე იოლად არ ამჟღავნებს ხოლმე თავის გრძნობებს. კუბოსთან არ წარმოუთქვამთ სიტყვები, მოჭარბებულმა გრძნობამ დაამუნჯა ყველა, ისინიც კი, ვინც ბევრ ლაპარაკსაა ჩვეული; მაგრამ საზოგადოება მხურვალე სიტყვების გარეშეც გრძნობდა, რა უდროოდ ასაფლავებდა პატიოსან და გონიერ ძალას...

ჩვენში დაბეჭდილ ა.ვ. სტეპანოვის მგრძნობიარე და ღრმა სტატიებს[4] მე მინდა რამდენიმე სიტყვა დავუმატო, რათა დანაკარგის მთელი სიმწვავე გაგრძნობინოთ.

საკმარისი იყო ერთხელ მაინც მოგესმინათ ა.ვ. სტეპანოვის გამოსვლა ან ერთი სტატია მაინც წაგეკითხათ, ნათელი და მშვიდი აზროვნებით გამოწვეული ღრმა შთაბეჭდილების გარდა, გაგაოცებდათ მისი თხრობისა და წერის საოცარი, თითქმის პირველყოფილი უბრალოება. არ იყო საჭირო განსაკუთრებული ცოდნა იმის გასაგებად, რომ ასეთ, ჭეშმარიტად გრაციოზულ უბრალოებამდე ამაღლება მხოლოდ იშვიათ, განსაკუთრებულ ძალას შეუძლია. და მართლაც, ალექსანდრე ვასილის ძე წარმოადგენდა იშვიათ და გამორჩეულ ძალას, რომელმაც ჩვენ დროში, სამწუხაროდ, სათანადო ადგილი ვერ მოიპოვა.

ცნობილია, რომ დღევანდელ არეულ დროში, მორალური მრწამსის საოცარი დაცემის დროს, ა.ვ. სტეპანოვმა შეინარჩუნა პატიოსანი მოსამართლის, ნდობით აღჭურვილი მწერლის სახე. და ამ სხვადასხვა ასპარეზზე მან მწინდად და მტკიცედ მოიხადა თავისი საზოგადოებრივი ვალი და თანამდგომთათვის მშვენებას და სიამაყეს წარმოადგენდა. ა.ვ. სტეპანოვის ცხოვრებისა და საქმიანობის ეს ნიშანი დიდი ხანია აღნიშნეს და ღირსეულად დააფასეს ჩვენი ქვეყნის განათლებულმა ადამიანებმა. მაგრამ, სამწუხაროდ, ყველამ არ იცის, რომ ალექსანდრე ვასილის ძე დაიბადა არა მარტო მოსამართლედ, ადვოკატად და ჟურნალისტად. სხვა პირობებში, მრავალმხრივი მეცნიერული ცოდნით განმტკიცებული მისი მტკიცე, ღრმა აზროვნების წყალობით მას მნიშვნელოვანი ადგილი უნდა დაეჭირა საუკეთესო სახელმწიფო მოღვაწეთა შორის, ვინაიდან იგი იმ მცირერიცხოვან პიროვნებათა რიცხვს მიეკუთვნებოდა, რომელთაგანაც სახელმწი-

ფო მოღვაწეები გამოდიან. მაგრამ შემთხვევითობამ, რაც ასეთ საბედისწერო როლს თამაშობს ხოლმე საერთოდ ადამიანთა და განსაკუთრებით ჩვენს ცხოვრებაში, მას სხვა ხვედრი არგუნა.

ოცდახუთი წლის ასაკში ის უკვე ჩვენი სასამართლო პალატის წევრი იყო. როცა ვუსმენდით მის სხარტ და გასაგებ გამოსვლებს, შევყურებდით ჭკვიანურ თვალებში, ჩვენ მას მომავალში ხალხის ცხოვრების წარმმართველ შესაშურ ხვედრს ვუწინასწარმეტყველებდით... როგორც ხედავთ, შევცდით. ყველგან და ყოველთვის არ სრულდება ბრძნული ბრიტანული დევიზი: „ყველას თავისი ადგილი". და თვით ა.ვ. სტეპანოვიც არ იყო „მაძიებელი". მაგრამ მის ბუნებას, მისგან დამოუკიდებლად, ანდა მისი თანდაყოლილი თავდაჭერილობის მიუხედავად, არ შეეძლო არ ეგრძნო მიუღწეველი მონოდების დაუოკებელი ძალა. ჩემი აზრით, ესაა სათავე იმ წმინდა დაუკმაყოფილებლობის, პოეტის სიტყვებით რომ ვთქვათ, „იმ შემოქმედებითი სულიერი წამებისა", რომელსაც თან ატარებდა ა.ვ. სტეპანოვი, რამაც იგი ავადმყოფობამდე მიიყვანა და დააობლა ჩვენი ისედაც მცირერიცხოვანი ოჯახი...

ვიმეორებ, ა.ვ. სტეპანოვი ბუნებით გამორჩეული იყო; მაგრამ დრომ არ აცალა მაღალი მოწოდებისთვის მიეღწია და მისი დაულეველი ძალა წვრილმანებზე ცვდებოდა და იფლანგებოდა, სამშობლოსთვის კი იმის მეასედი სარგებლობა, ბედნიერება და დიდება არ მოჰქონდა, რაც შეეძლო. მისი კვდომა დიდი ხნის წინ დაიწყო, ბევრად ადრე, ვიდრე ამ თორმეტი წლის წინ პირველად გამომჟღავნდა იმ მოურჩენელი ავადმყოფობის ნიშნები, რომლებმაც ახლა ხელიდან გამოგვაცალა. და ქრებოდა ის თანდათან, უსიტყვოდ, იმ ნაღვლიანი შეგრძნებით, რომ სამშობლოს ჯერჯერობით სრულიად არ სჭირდება ის ძალა, რომლითაც ჯერ კიდევ სავსე იყო და რომელიც მხოლოდ სამშობლოს სამსახურისთვის უნდოდა. თავდაჭერილად და კეთილსინდისიერად —და სწორედ ამიტომ აუღელვებლად—ასრულებდა იგი თავის საქმეს ყველგან, სადაც ხელი მიუნვდებოდა, მაგრამ პირადი წარმატებისა და დიდებისკენ ლტოლვის გარეშე, რასაც თან ახლდა მწუხარებისა და სევდის წარუშლელი კვალი. თუმცა, გასაგები იყო ის წუხილიც: ვისზე არ იმოქმედებდა იმის შეგნება, რომ ამ ცხოვრებიდან უფრო ადრე წახვალ, ვიდრე გააკეთებ იმას, რისი გაკეთებაც შეგეძლო, სრულად ვერ გამოავლენ ვერც შენს შესაძლებლობებს, ვერც შენს არსებით მისწრაფებებს. ამ უიმედო სევდით იყო მოწამლული ა.ვ. სტეპანოვის მოღვაწეობის ბოლო წლები.

მაგრამ, ჩემო მკითხველო, ა.ვ. სტეპანოვის პირადი „დაუკმაყოფილებლობა“ საკუთარი შემოქმედებით, ჩვენ იოტისოდენა უფლებასაც არ გვაძლევს მისი ცხოვრება და მოღვაწეობა ისეთივე სიმკაცრით და მომთხოვნელობით განვიხილოთ, როგორითაც ის თავის თავს უდგებოდა და რისი უფლებაც მხოლოდ მას ჰქონდა და საფუძვლიანადაც. რასაც მან მიაღწია ჩვენთვის ისიც სრულიად საკმარისია, რათა გულწრფელი მადლობით ვცეთ პატივი მის ახლად გათხრილ სამარეს და ჩვენ საქმიანობაში სამაგალითოდ და ჭკუის სასნავლებლად გვყავდეს. სხვაგვარად არც შეიძლება, ვინაიდან ა.ვ. სტეპანოვს გამორჩეული ძალის ჭკუა და გრძნობები ჰქონდა, და ნებისმიერი ძალის გარდაუვალი თვისება მდგომარეობს დაუოკებელ სურვილში, რომ იმუშაო და დაიცალო ბოლომდე. გარდაცვლილის ეს თვისება შესანიშნავად გადმოგვცა თავის სტრიქონებში ო.ა. ბიკოვმა და მეც ვერ ვიოკებ სურვილს გაგაცნოთ:

„...ის ყოველთვის ამბობდა, რომ ამ გამოცემით დაკავებულია იმიტომ, რომ არ შეუძლია სიცოცხლე მუდმივ ცოცხალი, ყოველთვის ამაღელვებელი საქმის გარეშე; რომ იგი ვერ ხარჯავს მთელ თავის დროსა და ძალას ადვოკატურ საქმიანობაში; რომ მას, პროფესიული მოვალეობის შესრულების შემდეგ, რჩება უამრავი დრო და ძალა...“

და იგი მუშაობდა გამოფიტვამდე და თავისი შრომით პატიოსნად ემსახურა ჩვენს ქვეყანასაც და რუსეთსაც.

„ა.ვ. სტეპანოვი რუსეთის იმ ღირსეულ შვილებს ეკუთვნის, რომელთაც არა აქვთ სხვა ფიქრი, იდეალები, გარდა სამშობლოს განდიდებისა. მეტსაც გეტყვით: იგი ეკუთვნოდა იმ შვილთა რიცხვს, რომელნიც კისრულობენ მოციქულის მისიას—აამაღლონ და გაავრცელონ რუსეთის სახელისადმი სიყვარული და პატივისცემა არა მხოლოდ თანამემამულეთა შორის, რომელთა გულებში ეს გრძნობა თანდაყოლილი და ბუნებრივია და რომელთა მოქცევა ღია კარების მტვრევას დაემსგავსებოდა, არამედ სხვა ხალხებს შორის, რომლებიც ჩვენი სახელმწიფოს შემადგენლობაში შემოვიდნენ და, გაავრცელონ არა მხოლოდ სიტყვით, არამედ საქმითაც.“

„რუსულ ხასიათში,—წერდა იგი („ნოვოე ობოზრენიე“, №699), ერთი თვისებაა, რომლითაც რუსი ხალხი გამოირჩევა ზოგადსაკაცობრიო ოჯახში, —თვისება, რომელმაც, ჩვენი შეხედულებით, სწორად და უმთავრესად უნდა განსაზღვროს ამ უდიდესი ფაქტორის როლი და მნიშვნელობა მსოფლიო ისტორიაში. ეს თვისება, რომელიც ერთნაირად დამახასიათებელია როგორც მთელი ხალხისათვის, ისე ცალკეული ჭეშმარიტი რუსი კაცისათვის, იმაში მდგომარეობს, რომ

ჩვენ, სხვებისგან განსხვავებით, ადამიანურ ღირსებებსა და ნაკლოვანებებს და ამა თუ იმ საზოგადოებრივი მოვლენების მნიშვნელობას არ განვიხილავთ ვიწრო ეროვნული საზომით...

ჩვენი აზრით, ყველა ერს ბუნებრივი უფლება აქვთ განავითარონ მათთვის დამახასიათებელი გენიის ყველა თავისებურებანი. რაც უფრო ფართოდ და თავისუფლად განვითარდებიან, მით უფრო დიდი იქნება ამ ერთა წვლილი ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო სულიერი სიმდიდრის საგანძურში. გასაკითხია ის ადამიანი, ვინც გაერიყება თავის ხალხს, მაგრამ არც ის ვარგა, ვინც გამუდმებით გონებითა და გულით არ არის მასთან.

ამ აზრებში, რომლითაც მტკიცედ ხელმძღვანელობდა ა.ვ. სტეპანოვი, მკითხველი ადვილად დაინახავს მსგავსებას ჩვენი მხარის საუკეთესო და ცნობილი რუსი მოღვაწეების აზრებსა და მსოფლმხედველობას შორის, რომელთა სიბრძნისა და ჰუმანურობის წყალობით რუსეთმა ღრმა სიმპათიები მოიპოვა მთელ აღმოსავლეთში. ისე როგორც ქვეყნის დაპყრობისა თუ განთავისუფლებისათვის საჭიროა მებრძოლის გმირული გული და ძლიერი მკლავი, ასევე ამა თუ იმ ქვეყნის შენარჩუნებისათვის, მასში ერთიანი სახელმწიფოებრივი მორალის შენარჩუნებისათვის, საჭიროა ისეთი მშვიდი გონება და ისეთი პატიოსანი გრძნობები, რომლითაც ა.ვ. სტეპანოვი გამოირჩეოდა.

გულით ვისურვოთ, რომ რუსეთს ჩვენი ქვეყნის განაპირა მხარეებში არ მოაკლდეს, არამედ უმრავლოს მსგავსი ნათელი ადამიანები, რომელთაც რუსული განმანათლებელი წმინდა დროშის მიმართ ახალ წრეებში ნდობა, პატივისცემა და სიყვარული შეაქვთ.

3. საუქმო საკითხავი

სანამ ღრმად მოაზროვნე პოლიტიკანები და მათთან ერთად უსაქმო ხალხი დაკავებულია იმით, დაჯდება თუ არა პრინცი ფერდინანდი გაერთიანებული ბულგარეთის ტახტზე და იგი გააკეთებს თუ არა ამას მშობლების რჩევით, ანდა ამის გარეშე, მინდა მოგიყვეთ ერთი ჩვეულებრივი ისტორია იმის შესახებ, თუ ვინ იქნება ახლო მომავალში მთავარი არა მთებსა და ზღვებს გადაღმა, ვთქვათ ბულგარეთში

(ფერფლადაც ქცეულა იგი), არამედ აქ სახლში, „მშვენიერ საქართველოში“. ალბათ საკამათოა, თუ რამდენად ანგარიშგასაწევი და გასათვალისწინებელია ის გზები და საშუალებები, რომელთა მიხედვითაც კანონიერად თუ უკანონოდ იკავებენ ბულგარეთის ტახტს. მაგრამ რა ვქნა, რომ ჩემთვის, გაცილებით საინტერესოა ის კითხვები, თუ როგორ შეიძლება და რა საშუალებებით კარგავს ჩემი საყვარელი სამშობლო აყვავებულ ველებს და რა როლი აქვს ამაში სახელგანთქმულ „კანონიერებას“.

დიახ, მინდა გიამბოთ ერთი მემკვიდრეობის ბედზე. ცხოვრობდა თბილისში თავადი, ნამდვილი თავადი, ამასთან გმირიც, არა ისეთი წუთიერი გმირი, როგორიც პრინცი ფერდინანდია, რომლის შესახებ ექვსი წლის შემდეგაც არავის არაფერი გაახსენდება, არამედ ნამდვილი გმირი, რომლის საგმირო საქმეები ქუხდა არამარტო საქართველოში, არამედ მთელს რუსეთში და რომლის დამსახურებაც ღირსეულად დააფასა მეფემ, ეს დამსახურებები დღემდე ახსოვს ჩვენი მხარის მოსახლეობას. ამ გმირს ჰყავდა ვაჟიშვილი, რომელიც, სამწუხაროდ, ნაადრევად დაიღუპა ბრძოლაში, ისიც გმირი, თანაც ისეთი, რომ მისი გმირობის პატივისცემის ნიშნად გაკეთებული ბიუსტი, მრავალი წლის მანძილზე ალამაზებდა გარდაცვლილი ხელმწიფის სამუშაო კაბინეტს.

ამ გმირ თავადებს ჰქონდათ უზარმაზარი ქონება, წინაპართა მემკვიდრეობა გაზრდილი მათი პატივისმცემელი მეფეების წყალობით და მფლობელთა მოწესრიგებული და ჭკვიანური მართვით. ეს მემკვიდრეობა არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ ათი ათასობით დესეტინა სავარგულებით, რომლებიც ჩვენი ერთ-ერთი ოლქის თითქმის ნახევარს მოიცავდა, არამედ იგი აერთიანებდა საუცხოოდ მოვლილ თუთის პლანტაციებს, ვენახებს, წისქვილებს, ცხენსაშენს და ინვენტარს, რომლის სადარი არ ჰქონდა ამიერკავკასიის თითქმის არცერთ მემამულეს. თქვენ თვითონ განსაჯეთ: ერთი წისქვილი 60 მომხმარებელს ემსახურებოდა, ვაზი მოიცავდა 14 დესეტინას, თუთის პლანტაციები 120 დესეტინას, ცხენი ჰყავდა 300 სული, ყველაფერი დანარჩენი ამის შესაფერისად. ახალგაზრდა გმირის სიკვდილის შემდეგ დარჩნენ ობლები ახალგაზრდა ქვრივის მზრუნველობის ქვეშ. რომელიც ყველა ჩვენი ქალბატონის მსგავსად, აღზრდილი იყო არა დიასახლისობისა ან მამულში შრომისათვის, არამედ სალონებსა და

ზეიმებზე „საბრწყინავად“, და რაკი ძალზე ახალგაზრდა დაქვრივდა, ამ მოწოდებაზე უარი არ უთქვამს... ობლები აღსაზრდელად მიაბარა, ხოლო მამული არენდით გასცა.

აი, სწორედ აქ იწყება ჩემი „ისტორია“, ძალიან უბრალო და ჩვეულებრივი, მაგრამ ღმერთის წინაშე შეუდარებლად უფრო საინტერესო ჩვენთვის, ვიდრე ბულგარელი ფერდინანდი.

მოიძებნა არენდატორები, ისინი იყვნენ არა ვინმე კარაპეტები და პეტრუზები, არამედ თანამედროვე „მოღვაწენი“, მეცნიერების ბოლო სიტყვით განათლებული ხალხი, რომლებსაც იურიდიული თუ აგრონომიული ცოდნა მიღებული ჰქონდათ რუსეთსა და ევროპაში.

ნათელი და იმედიანი იყო განწყობა გულუბრყვილო მეოცნებეთა —დედისა და ობლებისა—საიჯარო ხელშეკრულების გაფორმების დროს. არა, თქვენ თვითონ განსაჯეთ, მამულებს გაუძღვებოდა არა უბრალო, არამედ უცხოურ ეკონომიურ თეორიებში გათვითცნობიერებული ხალხი, რძის მდინარეებს უნდა დაეწყო დენა მამულში, ოქროს წვიმას უნდა დაეფარა იგი. და არა მარტო მეოცნებენი, თვით სერიოზული ხალხი, რომელთაც ვერანაირი დიპლომით ვერ გააცურებ, ისინიც კი ფიქრობდნენ, რომ აქედან შედეგი იქნებოდა. მხოლოდ ერთი რამ აფიქრებდათ, სერიოზულ ხალხს და არა მეიჯარეებს, ამ უკანასკნელთ ასეთი დიდი მამულის ექსპლუატაციისათვის საჭირო ფულადი სახსრები არ გააჩნდათ. ამდენი კი არა, იმის ფულიც არ ჰქონდათ საიჯარო ხელშეკრულება გაეფორმებინათ, ერთს აქტის ქაღალდის ყიდვა არ შეეძლო, მეორეს ცხენის დაქირავების საშუალება არ გააჩნდა, რათა იჯარით ასაღებ მამულში წასულიყო. მაგრამ მოიჯარენი არ დაიბნენ. სკეპტიკოსთა თავის აქეთ-იქით ქნევას, ისინი ხმამაღალი ფრაზებით პასუხობდნენ—კრედიტი, და არა მხოლოდ ფულადი კრედიტი, არამედ „მორალურიც“.

შეუდგნენ საქმეს. ეს იყო ასე ათიოდე წლის წინათ. მამულის ექსპლუატაციისათვის სახსრები არ მოიძებნა, „მორალური“ კრედიტით კი მანქანებს ვერ იყიდი და ვერ დადგამ, ასეთი „უსულგულო“ მატერიალისტები არიან ეს მანქანათმშენებლები, მექანიკოსები! მაგრამ ექსპლუატაციისათვის მფლობელებმა იშოვეს საშუალებები და მერე როგორი!

და მანამ, სანამ ქვრივი ქმარზე და ობლებზე ნაღვლობდა, სანამ ობლები სამხედრო სამსახურში შევიდოდნენ, იმის იმედით, რომ ბაბუისა და მამის გმირობას გაჯიბრებოდნენ, არენდატორები „მეცნიერების ყველა წესის“ მიხედვით მოღვაწეობდნენ მამულში. მხოლოდ

არა ევროპული, არამედ შინაური წესებით საქმიანობდნენ. რა საჭირო იყო პიტერში და მედოკში წასვლა, საკმარისი გახლდათ თვალი შეევლო ჩვენი „მრეწველ-კრედიტორების წესებისთვის", რის შედეგადაც კახეთის ვენახები ისე დაცარიელდა, რომ ამას ფილოქსერაც ვერ მოახერხებდა.

დაიწყეს იმით, რომ ჯერ უყურადღებოდ დატოვეს, შემდეგ კი საერთოდ გაანადგურეს თუთის, ყურძნისა თუ ხილის პლანტაციები. ყველაფერი უსულგულოდ გაჩეხეს, მხოლოდ ღმერთმა იცის, რატომ და რა საჭიროებისათვის. შემდეგ დაიწყეს საქონლის გაყიდვა: ცხენები, ძროხები, კამეჩები და ცხვრები ყველაფერი გაიყიდა. ამაში იყო რაღაც აზრი ჩადებული, კერძოდ: მფლობელებისათვის დროულად უნდა გადაეხადათ საარენდო თანხა. ცუდი არ იქნებოდა ასევე თუ ექნებოდათ ფული თადარიგში არენდით გათვალისწინებული ძირითადი მიზნის განხორციელებისათვის. მიზნისათვის, რომელიც მამულში გამოსვლის პირველივე დღეებში გაიზიარეს მოიჯარეებმა. სტყორცნეს რა არწივისებური მზერა აყვავებულ ველებსა და მთაზე შეფენილ საქონელს, გაეცვნენ თუ არა მამულის მეურნეობასა და დიასახლისის ხასიათს, ისინი მიხვდნენ, რომ დიასახლისს ძველებური ცხოვრებისათვის არენდით შემოსული თანხა არ ეყოფოდა. იგი, რა თქმა უნდა, არ იქნებოდა წინააღმდეგი წინასწარ აეღო ხოლმე ფული. უკაცრავად, ვერ მოგართვი! მაგრამ საუცხოო პროცენტით პირგასამტეხლოსთან ერთად, რამდენიც გნებავთ! აი, აქ მოიაზრებოდა საგირავნო ფურცელი და დროებითი მფლობელობა, როგორც პერსპექტივა საბოლოო და სამემკვიდრეო მფლობელობისა. თავბრუდამხვევია, ეშმაკმა დალახვროს! თავბრუდამხვევია, მაგრამ ამასთან გასართობიცაა. როგორი ქიმია და აგრონომიაც არ უნდა გამოიყენო ხუთი-ექვსი ტონის მეტს მამულიდან ვერ ამოიღებ; და მთელი საუკუნე კი უნდა იწვალო. გირაოთი კი ერთბაშად ჩაბღუჯავ მთელი მამულის ფულს, მიიღებ სოლიდურ კაპიტალს, და ჰაიდა პარიზისაკენ.

ითქვა და გაკეთდა—პირუტყვი გაიყიდა, ინვენტარი სადღაც გაქრა, სამაგიეროდ გაჩნდა ნამდვილი და კანონიერი საგირავნო ფურცელი, რომელიც იუწყებოდა, რომ ხალხს, რომელსაც სამი წლის წინ დიურანისათვის შარვლის დასაკვეთად გადასახდელი ფული არ ჰქონდათ, ასესხეს წლიური 15%-ით საიჯარო მამულის მფლობელს არც მეტი არც ნაკლები 65000 მანეთი, 12 მამულის გირაოთი, საგირავნო ფურცლებში ისინი თანმიმდევრულად იყო ჩამოთვლილი.

ეს კიდევ რაა. თორმეტ ჩამოთვლილ მამულს, მიუხედავად მათი წინასწარ მოფიქრებული გაუფასურებისა, შეეძლო გადაეხადა ასეთი თანხა და გადახდილიც იქნა სინამდვილეში. მაგრამ აი, როგორ გადაწყვიტა, ეთხოვა „კრედიტორების" ბრჭყალებიდან დათხოვნის მიზეზით გაეყიდა ერთი თავისი მამული. ნდობით აღიარებულ პირად 85 000-ად, მაგრამ ეს თანხა მამულის მფლობელისათვის კი არ მიაქვს, არამედ თავისი საქმისათვის. თქვენ ფიქრობთ ეს 85000 მანეთი საკმარისი აღმოჩნდა 65000 მანეთი ვალის გასასტუმრებლად? ცუდად იცნობთ ასეთი სპეციალისტების არითმეტიკას? მფლობელს წარუდგინეს ანგარიში, რომლის შინაარსზეც შეიძლება ვიმსჯელოთ ორი უმნიშვნელო საკითხით, ნდობით აღჭურვილი პირი აღნიშნავს ამ ანგარიშში, რომ რადგან არ ჰქონია გამგზავრების თანხა, იმ წლიური 15%-იდან ისესხა ფული 2000 მანეთი. აქედან 2000 მანეთი პროცენტებით. უკან დაბრუნებისას არენდატორმა თითქოს დაკარგა ჩემოდანი, რომელშიც 560 მანეთის ღირებულების თეთრეული და ტანსაცმელი იყო და ასე შემდეგ, შემდეგ ამას ემატებოდა „კომისია" გასაყიდად. შემდეგ 85000 მანეთიდან გირაოს გადასახდელად ჩაირიცხა მხოლოდ 30 000 მანეთი, ერთი მამული, რომელიც გირაოში არ ირიცხებოდა, თითქოს აორთქლდა. ვალი კი ვალად დარჩა: 12 დაგირავებული მამული ჩაქუჩის დარტყმით გაიყიდება თუ არა, გადაიხდება 35 000 მანეთი, ისევე როგორც 65 000 მანეთის გადაუხდელობის შემთხვევაში გაიყიდებოდა.

მე უკვე მომბეზრდა ამაზე ლაპარაკი. საბოლოო შედეგი ასეთი იყო: 12 მამული დროებით სარგებლობისათვის გადაეცათ მოიჯარეებს ვალის დარჩენილი ნაწილის გადაუხდელობის გამო, რომელმაც პროცენტებთან ერთად 49 000 მანეთი შეადგინა, ქვრივი უსახსრო მევალედ გამოცხადდა, ობლები კი, სადღაც პოლკებში მსახურობენ „ დიდებისა და სიკეთის იმედით".

აი ჩემო, მკითხველო, ჩემი ისტორია. ის „ათას ერთი ღამიდან" არაა, სამაგიეროდ შიშველი სინამდვილიდანაა... არც აზრის გამოთქმა, არც დასკვნა, არც ფილოსოფოსობა... მე დავიღალე და არაფერი არ მომდის აზრად შეძახილის გარდა:

„და აი ბედისწერა შენი შვილებისა
ო რომო, განთქმულო სამეფოვ!"

4. საუძმო საკითხავი

გიფიქრიათ ოდესმე მწარე ბედზე საზოგადოებაში... ვინ გგონიათ თქვენ?... თუმცა, რისთვის გაწვალოთ, მაინც ვერ მიხვდებით... ჩვენი მდიდრების მწარე ხვედრზე?

ახლაც ვხედავ თქვენს გაოცებულ სახეებს.

—ღმერთო ჩემო,—წამოიძახებთ თქვენ,—იმათ უჭირთ ცხოვრება? მეტი რაღა უნდათ? და თუ მათ უფლება აქვთ თავის მწარე ხვედრზე იწუწუნონ, მაშ რაღა ქნან სხვებმა? თქვენ ალბათ პარადოქსებით „ვარჯიშობთ!"

არ ვიცი, რა ქნან სხვებმა, მაგრამ ჩემი შეკითხვა სრულიად არაა პარადოქსული. ქვემოთ ამაში თვითონ დარწმუნდებით, რომ სულაც არ არის ფუჭი კითხვა.*

შეხედეთ მდიდრების ბედსა და მდგომარეობას სხვა ქვეყნებში: ისინი ყველგან პატივითა და გავლენით სარგებლობენ, მათ სიტყვას ყველგან რაღაც ძალა აქვს, ისინი ყველგან ხშირად შესაშურ, ყოველ შემთხვევაში, თვალსაჩინო საზოგადოებრივ როლს თამაშობენ. მათ მოღვაწეობასა და ბედს ყველგან ატყვია აქსიომის კვალი, რომ სიმდიდრე არის ძალა და არა მარტო ეკონომიკური, არამედ საზოგადოებრივიც. ჩვენში კი, სხვათა შორის, მდიდრების მთელი დანიშნულება ალბათ იმაში მდგომარეობს, რომ ერთი ან ორი წელი ცხენებით გაიჭენებენ გოლოვინის პროსპექტზე, ან ზაფხულსა და შემოდგომაზე იცხოვრებენ ბორჯომში, მერე კი მათ კვალს ვერ მიაგნებ. თითქოს არც ყოფილან ჩვენს შორის, თითქოს მათი ცხოვრება მოჩვენება იყო. მათ შორის მხოლოდ „იღბლიანები" ტოვებენ ჩვენში კვალს, მაგრამ როგორს? მხოლოდ სისხლის სამართლის საქმეებში და პროკურატურის ანგარიშებში...

ის, რომ ჩვენ ვარსებობთ, რომ ვხარჯავთ ყველაფერს, გონების, გრძნობისა და ნებისყოფის მთელ ძალებს, რათა მოვიპოვოთ პური ჩვენი არსობისა, ეს უეჭველად სავალალოა, რასაც ტირილი და და-

---

* გ. ა. თამამშევმა ინება ჩემი მეორე ფელეტონი, რომელიც სავსებით ზოგადი ხასიათისა იყო და ერთგვაროვან მოვლენებს ეხებოდა, მიეღო მის და მისი ამხანაგის კონკრეტულ მხილებად. თავისი პროტესტის საფუძვლად საკუთარი საქმის ციფრებსა და წვრილმანებზე კამათი მოიშველია. ამ კერძო საფუძველს ჩვენ ჯერჯერობით არ განვიხილავთ. იმედი მაქვს, ამ საკითხში მას არ დაეთანხმებიან ისინი, ვინც დაინტერესებულია ამ კერძო საქმით. მე დავუბრუნდები ჩემს მიერ წამოჭრილ ზოგად საკითხს და თამამშევის პროტესტის არსს მხოლოდ მას შემდეგ, როცა ამ საქმის ფაქტობრივი მონაცემების ნიადაგი გაიწმინდება...

ფიქრება სჭირდება. მაგრამ მე და თქვენ არ შეგვიძლია ბედის შეცვლა. არა თვითნებურად, არა ჩვენი მიზეზით ან მოუფიქრებლობით ვზიდავთ ჩვენ ამ უღელს. ამას ზოგადი ახსნა აქვს, რაც საერთო განვითარებასთანაა დაკავშირებული... და ჩვენი ბობოლების ბედი მით უფრო სავალალო და სამწუხაროა, რომ გვაქვს მზა ძალა, რომელიც ვერ გარკვეულა თავის თავში და ტყუილად იხარჯება უბრალოდ, სარგებლობა კი არ მოაქვს სხვებისთვის და თავისთვის, არამედ ზიანი. კაცობრიობის ხელში სიმდიდრე განათლებას, ამაღლებას, დიდებას ემსახურება; ჩვენში კი ან იხრწნება უმიზნოდ, ან მხოლოდ გარეგნული ბრწყინვალების იარაღად იქცევა, უფრო ხშირად კი გარყვნილებისა და ბოროტმოქმედების წყარო ხდება. განა ეს სამწუხარო არაა?

ერთმა ჩემმა კარგმა ნაცნობმა, უბრალო და გონიერმა ადამიანმა, ჩემს საყვედურზე, უქმად დროს რატომ აცდენდა, მიპასუხა:

—ჩემო კარგო, თქვენთვის ადვილია ლაპარაკი! დამიჯერებთ, რომ მე ბისმარკზე მეტს ვშრომობ? და არა მარტო ფიზიკურად, არამედ გონებრივადაც და მასზე ნაკლებად არა ვარ დაძაბული. ღმერთმანი, ყოველდღიურად ისეთ კომბინაციებს ვიგონებ, ისეთ პოლიტიკას ვანხორციელებ, ყოველ წამს ისეთ ღრმა ანგარიშებს ვაწარმოებ, რომ თვით ბისმარკიც ვერ მოიფიქრებდა. უბედურება ისაა, რომ ჩვენი ამოცანები სხვადასხვა ხასიათისაა. თვითონ მოგეხსენებათ, ის რაზე მუშაობს, ყველა ხედავს და ყველას მოსწონს მისი საქმიანობა. მე კი დილიდან დაღამებამდე მაწუხებს საკითხი: სად და როგორ ვიშოვო ორი-სამი მანეთი, რომ ოჯახი ვასადილო. მაგრამ, რასაკვირველია, არავის აწუხებს, წარმატებით გადავჭრი მე ამ საკითხს, შიმშილობენ თუ არა ჩემი ბავშვები...

იგი არ ხუმრობდა: ჩემს თანამოსაუბრეს ცრემლნარევი ხმა ჰქონდა. მაგრამ მთავარია არა თვითონ, არამედ საკითხი: მიუხედავად იმისა, რომ მისი მდგომარეობა ტრაგიკულია, განა მილიონჯერ უფრო ტრაგიკული არ იქნებოდა თავად ბისმარკის ბედი, თუკი იგი, თავისი მდგომარეობის პატრონი, დილიდან საღამომდე იფიქრებდა: რა კერძები შეეკვეთა თავის შვილებისა და შვილიშვილებისათვის?

თქვენთვის დასმული ჩემი კითხვა სწორედ ამაში მდგომარეობს. ჩვენი ბობოლები რატომ სხვაზე არაფერზე ფიქრობენ, გარდა იმისა, სად იშოვონ ორი-სამი მანეთი: „ვის წავგლიჯოთ, სად დავხარჯოთ?“

მე ისევ და ისევ უდიდეს განსხვავებას ვხედავ ჩვენსა და იმათ მდიდრებს შორის. და ამას ვაკეთებ ბიბლიური კანონის ძალით: „ვისაც

მეტი შეუძლია, მისგან მეტს მოითხოვ". აი, მე და თქვენ ვერავინ გვი-საყვედურებს, რომ ჩვენი ტალანტი მიწაში დავმარხეთ, რამეთუ არა-ნაირი ტალანტით არ ვიყავით დაჯილდოებული.

თუ დავუფიქრდებით, სხვა ქვეყნებში მდიდარი ხალხის მდგომა-რეობას, თუ დავუკვირდებით მათ ცხოვრებასა და საქმიანობას, და-ვინახავთ, რომ იქ ისინი იბრძვიან სიმდიდრის მოსახვეჭად და ამას აკეთებენ არა გამდიდრების მიზნით. მათთვის სიმდიდრე საშუალებაა და არა მიზანი. იმის მიხედვით, თუ ეს სიმდიდრე როგორ გადადის მათ ხელში და იციან რა, რომ ეს მხოლოდ საშუალებაა და სხვა არა-ფერი, ისინი მაშინვე საქმეში აბანდებენ მას. რასაკვირველია, სხვა-დასხვაა მიზნის სახეობა, რომელშიც ისინი ამ საშუალებას იყენებენ. ჩვენში ყველაზე განათლებული მდიდრები, ან სიმდიდრის მაძიებელ-ნი, და ისიც არა ყველანი, მხოლოდ გუშინ მიხვდნენ, რომ სიმდიდრე პირადი დამოუკიდებლობის საშუალებაა. „ვუფრთხილდებოდი პირად დამოუკიდებლობას,—მპასუხობს გ. თამამშევი,—და ვზოგავდი ფულ-საც" და სხვა. დამოუკიდებლობა, რასაკვირველია, წმინდა საქმეა. მაგრამ, ვიმეორებ, ჩვენში ცოტას აქვს შეგნებული, რომ ის შეიძლება მიზანი იყოს, სიმდიდრე გახლავთ მხოლოდ და მხოლოდ საშუალება ამ მიზნის მისაღწევად, სხვა ქვეყნებში კი უფრო განვითარებული ხალხი უფრო შორს წავიდა. პირადი დამოუკიდებლობის გარდა, რო-მელსაც ისინი, რასაკვირველია, ძალიანაც უფრთხილდებიან, და მე-რე როგორ, მათში გამომუშავდა იმის შეგნება, რომ საუკუნოვან ხეს მიკრული ლოკოკინა სრულიად დამოუკიდებელია, სტიქიური ქა-რიშხალისგანაც კი დაცულია, მაგრამ მისი ცხოვრება მაინც არაა ცხო-ვრება და, მითუმეტეს ადამიანი უნდა ელტვოდეს უკეთეს ცხოვრებას. ამ მხრივ განათლებული ადამიანები მიხვდნენ, რომ სიმდიდრე, უპირ-ველეს ყოვლისა, საშუალებას მოგვცემს ცხოვრებასა და მის სირთუ-ლეებში უკეთესად გავერკვეთ, მეგობრებსა და ახლობლებს შორის არსებული ურთიერთობები ავხსნათ. აქედან კი მხოლოდ ერთი ნაბი-ჯია ამ ურთიერთობათა გამოსწორების შესაძლებლობამდე...

—„უდაოა, მე კარგად ვგრძნობ თავს, როცა კარგად ვცხოვრობ," —ესაა პირველი ფიქრი, რომელიც თანდაყოლილია ყოველ ადამიან-ში... „მე კარგად ვიქნები, როცა ვიქნები დამოუკიდებელი," —აი, მი-სი მეორე ფიქრი. მესამე ფიქრი, რომელიც ადამიანშია გამჯდარი, არის არა უნებლიე, არამედ ვითარებით გამოწვეული და ნაკლებ ეგო-

ისტურ ხასიათს ატარებს. ასე თუ ისე მიაღწია ადამიანმა დამოუკიდებლობას და ფიქრობს, რომ უკვე „კარგადაა.“ და მართლაც, ის კარგად გრძნობს თავს ერთი, ორი, სამი წელი. და უეცრად ხდება უბედურება, მის მეზობლად გაჩნდა დიფთერია და ამ ვითომ „დამოუკიდებელი“ მოქალაქის შვილი კი სულეთში წავიდა, გარდაიცვალა, მიუხედავად იმისა, რომ იგი „კარგად“ გრძნობდა თავს მამამისის სუფთა, ხალვათ და ჰიგიენურად მოწყობილ ბინაში. ამის შემდეგ თავისთავად გლრლნის ფიქრი.—რა ჯანდაბაა,—ფიქრობს იგი:—თითქოს დამოუკიდებელი ვიყავი და აი, რა ძვირად დამიჯდა, საშინელებაა, დაისაჯო იმიტომ, რომ მეზობლებს არ ესმით ჰიგიენის წესები ანდა არა აქვთ საშუალება ჰიგიენურად მოიწყონ ცხოვრება. ნუთუ მათ განუვითარებლობაში და სიღატაკეში მე ვარ დამნაშავე?

—რასაკვირველია, არა,—განაგრძობს ის ფიქრს: აი, მე ვიშრომე და მოვიპოვე დამოუკიდებლობა. იმუშაოს მეზობელმაც და ისიც კარგად იქნება. არა, რასაკვირველია, მის ჩამორჩენილობასა და სიღატაკეში მე სრულიად არ მიმიძღვის ბრალი. სისულელეა ეს ყველაფერი.

მაგრამ რაც მეტს ფიქრობს, მით უფრო ნათლად გრძნობს, რომ თითქოს რაღაცაში მაინც დამნაშავეა: თუნდაც იმაში, რომ არ ეუბნებოდა მეზობელს: მისმინე, ძმაო, იმუშავე, იშრომე ასე და ასე შენც და, ჩემსავით კარგად გახდები, შენც გექნება სუფთა ბინა და ჩემს გვერდით არ გაგიჩნდება არც დიფთერია და, დასწყევლოს ღმერთმა, არც ქოლერა.

ბოლოს და ბოლოს, თუ იგი ჭკვიანი და საზრიანია, ასეთ დასკვნას აკეთებს:

—რატომ ვიმტვრევ თავს სულელური საკითხით—მიმიძღვის ბრალი თუ არა? დამნაშავე ვარ თუ არა—სულერთია. უცილობელია ის, რომ ვიდრე ჩემს გვერდით სიბნელე და სიღატაკე იქნება, ჩემთვის არ იარსებებს არც ნამდვილი დამოუკიდებლობა, არც ჭეშმარიტი ბედნიერება. ჩემი პირადი ინტერესებისათვის, ჩემი და ჩემი შვილების კეთილდღეობისათვის, ჩემს გარშემო შეძლებისდაგვარად უნდა აღმოვფხვრა უწიგნურობა და სიღატაკე...

აი, ამ მარტივ ჭეშმარიტებამდე მივიდნენ მდიდრები სხვა ქვეყანაში, მაგრამ ჩვენში ჯერ არა. ამაშია საოცრად დიდი სხვაობა ჩვენსა და იმათ მდიდრებს შორის.

იქ, ბრბოსა და მოსახლეობის ცხოვრებაში, მდიდარი უმეტეს გამორჩეულადაა მიჩნეული, მაგალითის მიმცემია, დამხმარე. იქ ფულის ფლანგვა თითქმის ისეთივე სირცხვილად ითვლება, როგორც ქურდობა. „ფული ძალაა," და საჭიროა ეს ძალა საზრიანად იყოს წარმართული და გამოყენებული. იქ მდიდრები სკოლებსაც აარსებენ, საავადმყოფოებსაც პატრონობენ, გზები გაჰყავთ და საერთოდ ხალხისთვის ყველა აუცილებელი და კეთილი საქმის ხელმძღვანელები არიან. ამის გამო ისინი ნდობით, თანაგრძნობითა და თანამოქალაქეთა და მთელი მოსახლეობის ნდობით და თანადგომით სარგებლობენ. იქნებ ფიქრობთ, ინგლისელი ლორდები ან ფრანგი ბურჟუები, ან გერმანელი ფეოდალები მხოლოდ იმიტომ დგანან ხალხის სათავეში, რომ მდიდარი მამულები და უდიდესი შემოსავალი და კაპიტალი აქვთ? ცდებით. მათი ძალა იმაშია, რომ ისინი სასარგებლონი არიან, პრაქტიკულად გამოსაყენი თავიანთი თანამემამულეებისათვის. ამიტომ უგდებენ მათ ყურს, უჯერებენ, ენდობიან და ირჩევენ. მიმოიხედეთ რა ხდება ჩვენში: საკმარისია გამდიდრდეთ, თქვენ ქალაქის სათათბიროშიც არ აგირჩევენ: კუდით ქვას გასროლინებენ ისე, რომ თავი დაგავიწყდებათ და სამართლიანადაც გაგაშავებენ: სავსებით დაიმსახურეთ თანამემამულეებისაგან ასეთი დამოკიდებულება. რა გააკეთეთ თქვენ, რომ სხვაგვარი დამოკიდებულების უფლება გქონოდათ.

ჩვენი მდიდრები ან პლიუშკინებივით[5] ასხედან თავიანთ სიმდიდრეს, ანდა ისე ხმარობენ, რომ ხალხში შურისა და მონობის მდაბალ გრძნობებს აღვივებენ. ცხენები, ქეიფი, ბანქო, თვალის მოჭრა, გარშემო მყოფთა ახირებული დამცირება, მათში ადამიანური გრძნობის წარამარა გათელვა,—აი, ჩვენში რაში იყენებენ სიმდიდრეს, და, სხვათა შორის, მათ შორის საუკეთესონი. უარესები კი იყენებენ იმ ადამიანების წამგლეჯებად, ვისაც გამოაშტერებენ ან დათრგუნავენ და გაამათხოვრებენ.

5. ოცნების სამყაროში

„ჩვენს უბედურ ყოფაზე
როდემდე ცრემლები ვღვაროთ,
ნუთით მოვნყდეთ ყველაფერს
და ფიქრებში გავინავარდოთ.“[6]

ნ. მ. კარამზინი

ღამით ვერ დავიძინე. საწყალი ჩემი ნერვები, რომლებიც მთელი ცხოვრების მანძილზე თრთოდნენ ბედისწერისა და არსთა გამრიგეს წინაშე, ვერაფრით დავამშვიდე, ბულგარეთის მთელ სამეფოს სიამოვნებით მივცემდი, არა ცხენში, რომელიც არაფერში მჭირდებოდა, და ისედაც სად უნდა გავექროლებინე?—არამედ იმაში, რომ არაფერზე მეფიქრა, არაფერზე მენერვიულა და ყველაფრის მიმართ გულგრილი ვყოფილიყავი. აკვიატებული ფიქრების განსადევნად და რულის მოსარევად რიტმულად ვითვლიდი—„ერთი, ორი, სამი, ოთხი და ასე ათასამდე, მაგრამ იმ დროს, როცა ენა თვლაში ვარჯიშობდა, ფიქრი ფუთფუთს არ წყვეტდა, ძილი არ მეკიდებოდა, ირგვლივ სიჩუმე იყო. ქარი მაინც ამოვარდნილიყო, მეხს დაექუხა, ხმაურში ისე კარგად და მშვიდად ვიძინებ... ძილი აუცილებელია—დილით სასწრაფო საქმეები მელოდება, ისეთი, ახალ ენერგიას და აზროვნების სიცხადეს რომ მოითხოვს, მოდი რაიმეს წავიკითხავ, წიგნი ხომ აქვეა. სანთელს ვანთებ და XI საუკუნის ირანელი პოეტის ხაიამის რობაიების კრებულში 294-ე რობაის ვკითხულობ:

„თენდება უკვე, ღვინოს ვითხოვ, ბროლებს და ლალებს.
სულელი არის, ვინც სახელზე სნუხს და ვალალებს,
ამ ქვეყნად, ძმებო, ძალიან ბევრს ნუ მოვისურვებთ,
მოდი, დავჯერდეთ ღვინოს, ჩანგს და ქალის დალალებს*.

„ნუთიერად“—ეს არც თუ ურიგოა, მაგრამ შემდეგ? აჰ, ჩემო საბრალო ხაიამ! თუ მართალია, რომ პოეტებისთვის საკმარისია წითელი ღვინით სავსე ფიალა, მზეთუნახავთა საუცხოო თმები და ტკბილხმოვანი ჩანგის სიმღერა, მაშინ რატომღაა, რომ შენს 460 რობაიში სულ მწუხარება, სასონარკვეთა და წყევლაა დასადგურებული. არა, ახლა არ არის იმის დრო, რომ ამ საგნებზე პირქუშად განწყობილი პოეტის ლექსები ვიკითხო. შორს ხაიამი! ვიღებ მეორე წიგნს ისიც ირანელი პოეტების ანთოლოგიაა, ის ფურცელი გადავშალე, რომელზედაც ახმედ-ბენ-ედ-დახაკელ ფელეკი ბევანას ხეობას აღწერს:

* რობაის ქართული თარგმანი ეკუთვნის მაგალი თოდუას. ნ. ნიკოლაძის პროზაულ ტექსტში კი ფრაზა—ნუთიერი გატაცებაა ნახსენები, რომელზედაც იგი შემდგომ მსჯელობას ანვითარებს.

„ვწერ ამ სტრიქონებს ბევანას ხეობაზე და იმ მომხიბვლელ ქვეყანაზე, რომელიც განდევნის და აქარვებს ნაღველს იმაზე უკეთ, ვიდრე ჟამთა სვლა. ჩემი მზერა აღტაცებით მიჰყვება ნარნარად მომდინარე ნაკადულებს, მწუხარებითა და და განშორების ნაღველით შეპყრობილ შეყვარებულთა ცივი ბაგეებიდან კამკამ მომდინარე ცრემლებს რომ მოგაგონებს; მათ სწორ და ნელ მდინარებას შორ მანძილზე შეიძლება გაადევნო თვალი. ხეობა ყვავილებსა და ბაღებს შორის მოიკლაკნება. აღტაცებული მზერა ოქროსავით მოელვარე სილაში თითქოს მხოლოდ ვერცხლისფერ ზოლს ხედავს. მწვანე მარგალიტებით, ზურმუხტებითა და მარჯნით მოქარგული ხალიჩები... ნორჩი რტოები გრაციოზულად ირხევიან, ისე რომ მათი მიმორხევანი თვით ტანნერნეტა ქალწულებსაც შეშურდებოდათ. ნიავი მათ რტოებს თავის ნებას უმორჩილებს, მის ყოველ დაქროლვაზე ისინი თავს ხრიან. ეს ტოტები, რომლებიც შემოსილა მოშრიალე მწვანე ფოთლებით, დახუნძლულია მწიფე ნაყოფით, რომელთა არომატი ყვავილთა კეთილსურნელებას ერწყმის.“

მიუხედავად იმისა,რომ ეს სტრიქონები ექვსი საუკუნის წინათ დაიბადნენ, განა ისინი არ გვევლინებიან დამამშვიდებელ, მომხიბლავ, ნამდვილ, გაზაფხულივით ცოცხალ მჩქეფარე პოეზიად. განა, მან ვერ უნდა გასიამოვნოს, ვერ უნდა დაგამშვიდოს? მაგრამ არა, ფიქრები ძველებურად ფუთფუთებდნენ. —რა საუცხოო და მხატვრული აღწერაა ბუნებისა—ვფიქრობ წიგნის დახურვის შემდეგ. და ეს დაიწერა VII საუკუნეში! როგორ ნათლადაა მოხატული ფერები: აი, რას ნიშნავს ნატურიდან ხატვა! ჩვენს ლიტერატურაში კი გაბატონებულია აზრი, თითქოს ძველად ადამიანებს არ შეეძლოთ დაჰკვირვებოდნენ და აღეწერათ ბუნება. და რომ ეს თემა ლიტერატურაში მხოლოდ ჟან ჟაკ რუსომ შემოიტანა, გასული საუკუნის მეორე ნახევარში!... როგორი შეცდომაა!

კაცმა რომ თქვას, ეს შეცდომა რა ჩემი საქმეა?! განა სულ ერთი არაა, რას ფიქრობს ხალხი ამ საკითხზე? მე დაძინება მინდა, დავიღალე... ეშმაკმა უწყის ახლა რაზე ვფიქრობ!...

სანთელს ვაქრობ, მოვისროლე ირანელი პოეტები, დიდებული შემოქმედნი კი იყვნენ მათ შორის—და თავიდან დავიწყე დათვლა: „ერთი, ორი, სამი“.

მაგრამ რული არა და არ მეკარება. იქნება მალე გათენდეს, მაგრამ არა, საათი მხოლოდ სამის ნახევარს უჩვენებს. რა გულისგამაწვრილებელია ეს ყველაფერი!

დახმარებისთვის ისევ ბუნებას უნდა მივმართო. მხოლოდ ის კურნავს და აფხიზლებს ადამიანებს. გულუხვად გვავსებს დაუშრეტელი ენერგიით, სულის სიმშვიდით. ავწიე ფარდა, გამოვაღე ფანჯარა. ირგვლივ სიწყნარეა, ძაღლის ყეფაც კი არსაიდან ისმის. მთვარის შუქშია გახვეული სამყარო.

შავად მოჩანან მხოლოდ გოლიათი ნიგვზები და მათ უკან სივრცეში შეამჩნევ პატარა კავკასიის უსასრულო ქედს.

დატკბი ამ ჯადოსნური ღამით, ბუნების ამ შეუდარებელი მშვენიერებით, მეტი რა გინდა! შეხედე რამდენი სინათლე და სითბოა ირგვლივ. ახლა ხომ ოქტომბრის ბოლოა და განთიადიც მოახლოებულია. ყველას ხომ არ ღირსებია ასეთი ხიბლი და საჩუქარი ბუნებისა! ცოცხალივით დგას მთვარესავით გაჭაღარავებული, გარდაცვლილი კ. ი. ორლოვსკის ფიგურა ჩემს წინ მოკლედ შეკრეჭილი ჭაღარა თმითა და ბაკენბარდებით, გამჭოლი და ეშმაკური თვალებით. არადა, რატომ გავიხსენე იგი? მისი ხმაც მესმის. მახსენდება, კაბინეტის ფანჯარასთან მიმიყვანა მომღიმარმა და მითხრა:—დატკბით, ნახეთ როგორი ნათელი და ლაჟვარდოვანი ცაა, დამათრობელი ჰაერი, როგორ თბილა, მიუხედავად იმისა, რომ ზამთარია.—ვტკბები მეც, ვეთანხმები. ის კი აგრძელებს—ისეთი ქვეყნებიც ხომ არსებობს, სადაც ცა ტყვიასავით გაწვება მკერდზე და სადაც ბრრრ, ისეთი სიცივეა... ისევ ვეთანხმები ძრწოლითა და შეცბუნებით—ესეც ასე, გახსოვდეთ ეს—დაასრულა გარდაცვლილმა გუბერნატორმა.

მას შემდეგ 17 წელი გავიდა. სასიამოვნოა გაიხსენო ასეთი მეგობარი! მომიწია მე შემდეგ მათ ქვეყნებში ცხოვრებამ. გარდაცვლილი ა. ნ. ოსტროვსკის სიტყვებით რომ ვთქვათ: „განა იქ ხალხი არ ცხოვრობს?"

მთავარია, რომ ღამით, უძილობისას არავითარი საშუალება არ არის თვალი გაადევნო შენს ფიქრთა სრბოლას. ამიტომ არ ძალუძთ მათ ერთი საგნიდან მეორეზე გადარბენა. მაგრამ ფიქრთა მიმოქცევა, რატომ იყო ასეთი და არა სხვაგვარი, არ შეიძლება არ მიხვდე, არ გაიზიარო.

ის რომ გარდაცვლილი ორლოვსკი შემოდგომის თბილმა ღამეებმა გამახსენა, გასაგებია. მაგრამ აქედან პატარა კავკასიის მთებზე გადასვლა ძალიან გაუგებარია.

და ვიწყებ ფიქრს იმაზე, რა დიდი როლის შესრულება შეუძლია ჩვენს მთიან კავკასიას არც თუ შორეულ მომავალში, როგორც კი მოხდება რევოლუცია... ღვთის გულისათვის, ნუ შეშინდებით, მხო-

ლოდ მშვიდობიან და გარდაუვალ ეკონომიკურ ურთიერთობათა რევოლუციაზე მოგახსენებთ, ფინანსურ, ჩვენს თვალწინ ჩასახულ სანარმოო ურთიერთობათა რევოლუციაზე. იგი არ გამოიწვევს აფეთქებას, სისხლის ნიაღვრებს, ტახტისა და ხელისუფლების დამხობას, და მიუხედავად ამისა, მისი შედეგები იქნება უფრო უდიდესი, ვიდრე შედეგები 1789 წლის „დიადი" ფრანგული რევოლუციისა.

კ. ი. ორლოვსკის თეთრი ფიგურა „დენის გადაცემის გამომგონებელმა და გამომყენებელმა" მარსელ დეპრესის გატანჯულმა, შეშინებულმა სახემ შეცვალა. ნანახი მაქვს მისი სასინჯი ცდები გასულ წელს, საფრანგეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრებთან ერთად. კრეილის ჩანჩქერს, რომელიც 50 ვერსით არის დაშორებული პარიზიდან, ამ ჩამორჩენილ უკანასკნელ ქალაქში მოქმედებაში მოჰყავს სრულიად უბრალო ტელეგრაფის მავთულივით უზარმაზარი ძალისა, ენერგიისა და მოცულობის დანადგარები. ეს ფაქტი უკვე მეცნიერების მიღწევად იქცა. ახლა ელექტროენერგიის გადაცემის შესახებ ფიზიკის სახელმძღვანელოებშიც კი წერია. მაგრამ ესმოდა მარსელ დეპრესს თავისი მიღწევის, თავისი პირმშოს გამოგონების მნიშვნელობა და ის შედეგები, რომელიც მას მოჰყვებოდა?! ესმით ეს იმ მილიონრებს, რომლებიც ამ გამოგონების განხორციელებას შეუდგნენ? თუნდაც აკადემიკოსებს? აი, კითხვა, „რომელსაც თქვენ ვერ ამოხსნით".

რა საოცარია შექმნა სინათლე! თვალდაუხუჭავად ვაგრძელებ ფიქრს, რამდენ ხანს მეფობდა მსოფლიოში კაპიტალი! რამდენი საუკუნე ებრძოდნენ ერთმანეთს ხალხები ამ „საძაგელი ლითონისათვის", რომელსაც ყველა ემსახურება და ეთაყვანება. რამდენი რამ დაიწერა 40 საუკუნის მანძილზე ფულის საწინააღმდეგოდ, რამდენი ძალა დაიკარგა ფუჭად კაპიტალსა და კაპიტალიზმთან ბრძოლაში და თანაც როგორი ძალა! და ყველაფერი უშედეგოდ, უკვალოდ. „ის" ისევ აგრძელებს მეფობას და ადამიანებისა და მსოფლიოს მართვას. და უეცრად ღარიბი, შიმშილისაგან სიკვდილის პირამდე მისული, მთელი სიცოცხლის მანძილზე სიღარიბე მისჯილი მიდის ისეთ აღმოჩენამდე, რომ ათავისუფლებს ამ კაპიტალს, ამ მართლაცდა ოქროს სხეულს...

განა საოცარი არაა?

ყველაფერი ჩემია,—თქვა ოქრომ

ყველაფერი ჩემია,—თქვა ჯავარდენმა

ყველაფერს ვიყიდი,—თქვა ოქრომ

ყველაფერს წავიღებ,—თქვა ჯავარდენმა.

წინათ ნამდვილად ასე იყო. სამყარომ მხოლოდ ორი ძალა იცოდა „ოქრო“ და „ჯავარდენი“. მთელი ისტორია კაცობრიობისა დღემდე ამ ორი ძალის ურთიერთობაში გამოიხატებოდა...

და უეცრად გამოჩნდა მესამე ძალა—არც ოქრო და არც ჯავარდენი—ძალა აზროვნებისა, მეცნიერებისა, გამაუქმებელი ოქროსი. განა საოცარი არაა? ვიღაც-ვიღაცეები ცნობის წადილით შესცქერიან იმას, რომელი ჩვენგანი მიაღწევს ამ მშვიდობიან გადატრიალებამდე.

რაში მდგომარეობს ახალი ძალა და უპირატესობა კაპიტალისა? რაში იმალებოდა შეურყეველი სიმტკიცე და გამძლეობა ამ ძალისა? როგორ მოხდა, რომ ჩვენს საუკუნეში კაპიტალმა, რომელსაც ყოველთვის დიდი ძალა ჰქონდა მსოფლიოში, თითქმის დაიმორჩილა ყველა დანარჩენი ძალა კაცობრიობისა?

მას მეფე დაეხმარა. ვისაც ჩვენს საუკუნეში უკვე გვერდს ვერავინ აუვლის. მთელი წარმოება, საქონელბრუნვა, როგორც ცნობილია, მეფეს გადაეცა, მეფეს მიემართა. ორთქლის მანქანის ძალას, როგორც ფაბრიკებისა და ქარხნების, ორთქლმავალებისა და მატარებლების ძრავების მამოძრავებელს, ველარ დაუპირისპირდა უიარაღო ადამიანი—წვრილი მეწარმე, მეეტლე, შინამრეწველი. ყველა იძულებული გახდა კაპიტულაცია გამოეცხადებინა და ძვირ, ძალიან ძვირადღირებულ ორთქლის მანქანის მფლობელ ძალას დამორჩილებოდა. მას კი მხოლოდ მსხვილი კაპიტალისტი ფლობდა. ამას გარდა, ბრძოლაში, რომელიც მსხვილ კაპიტალისტებსა და ორთქლის მანქანებს შორის წარმოიშობოდა ხოლმე, წარმატების შანსი მხოლოდ მსხვილებს ჰქონდათ. მანქანა მე, მის მფლობელს, ასმაგად მისრულებდა სამუშაოს, რომელიც დავუშვათ 1 მანეთი ღირდა. მაგრამ მეზობელმა მანქანით 200-მდე ასეთივე სახის სამუშაო შეასრულე და მას ერთი კაცის შრომა, როგორც მე 1 მანეთი კი არ დაუჯდა, არამედ 75 კაპიკი. კონკურენცია ჩვენს შორის უკვე შეუძლებელია, რადგან მაუდი 1 მეტრი მე მიჯდებოდა 2 მანეთი და 50 კაპიკი, მეზობელს კი 2 მანეთი. მე, რა თქმა უნდა, ვიღუპებოდი, იგივე ბედი ეწეოდა ჩემზე გამარჯვებულს, როცა მის გვერდით უფრო მსხვილი კაპიტალისტი ააწყობდა 300 ან უფრო მეტ ძალიან მანქანას და ასე დაუსრულებლად. ორთქლის მანქანის დაბალი დანახარჯებით მაღალი შრომის ნაყოფიერება მიიღწეოდა, რაც მსხვილი კაპიტალის დაგროვების საფუძველს ჰქმნიდა და ისინი, ვინც ამ დანადგარებს ფლობდნენ, იყვნენ ძლიერნი, და-

უმარცხებელნი. მეცნიერების ყოველი ახალი აღმოჩენა, ყოველგვარი სრულყოფა ორთქლის დანადგარებისა და მექანიკური იარაღებისა დღითი-დღე უფრო და უფრო აკანონებდა უპირატესობასა და ერთმმართველობას მსხვილი კაპიტალისას. მათი ძალა და მნიშვნელობა გეომეტრიული პროგრესიით იზრდებოდა...

და უეცრად... კრახი! უეცრად—სრული და შეუქცევადი ლიკვიდაცია ყველა ფაბრიკისა! უცებ—დაბრუნება კუსტარული წარმოებისკენ. ორთქლი და ორთქლის მანქანა აღარ არის საჭირო. ყველას შეუძლია იყიდოს საკერავი ან დამქარგავი მოწყობილობის მცირე ზომის მანქანა, თავის ოთახში ტელეფონის მავთულთან შეერთებაა საკმარისი, რომ იგი სრულუფლებიანი და თანასწორი მოწინააღმდეგე, კონკურენტი ხდება სხვა ნებისმიერი მეწარმისა. ელექტროენერგია, შეყვანილი ყველა ოჯახში, როგორც მამოძრავებელი ძალა, ყველას ერთნაირად ძვირად ან იაფად დაუჯდებათ, როგორც ყველას ერთნაირად უღირთ საცხოვრებელ სახლებში გაყვანილი გაზი და წყალი. თვითღირებულება თითოეული წინდის ან ყოველი არშინი მაუდის წარმოებისა იქნება ერთნაირი, ერთ საქსოვ დაზგაზე იმუშავებს ადამიანი თუ ას ამგვარივე დაზგაზე. ამ ძირითად განსხვავებაზე ერთი ერთეული ძალის ღირებულებისა, ელენერგიისა და ორთქლს შორის იმალება ნაყოფი მსოფლიოს უდიდესი გადატრიალებისა, რომელსაც კი დღემდე უხილავს ნათელი. ეს განსხვავება ათავისუფლებს ერთბაშად მილიონობით მუშას, გადაქცეულს ცოცხალ მანქანად, მკვდარი მანქანების მსახურებს. ახლა ისინი თავიანთი ნებითა და უნარის მიხედვით ქმნიან პროდუქციას, რომელიც თანამოქალაქეა, ე.ი. სახელმწიფოს მსყიდველობით უნარზეა გათვლილი და არა სხვა ძალაზე, უსულო მანქანებსა და მათ უსულგულო მფლობელზე—კაპიტალზე.

ახლა ეს უკვე არაა ქიმერა, არც სიზმარი და არც ბოდვა ცნობიერებადარღვეული ადამიანისა, არამედ ფაქტი, შემოწმებული და დამტკიცებული მეცნიერებისაგან. უკვე 55% ჩანჩქერის ენერგიისა შეიძლება მავთულის საშუალებით გადაყვანილ იქნას ნებისმიერ მანძილზე. შემდგომმა ცდებმა და გამოკვლევებმა, შესაძლებელია, ეს 45%-იანი დანაკარგიც შეამციროს. მეორე საგანი გამოკვლევისა მდგომარეობს იმაში, რამდენად რაციონალურად განაწილდება ელენერგია მის მცირე მომხმარებელზე, ფაქტია, რომ ენერგიის ნებისმიერი რა-

ოდენობა შეიძლება მავთულით გადაიტანო ნებისმიერ ადგილზე. მაგრამ როგორი კომუტატორით უნდა მოხდეს მისი დანანილება—ვის მთელი ძალით, ვის ნახევრად, ვის მოთხოვნის მიხედვით. ეს საკითხი მთლიანად არაა გადაჭრილი, ასობით გამომგონებელი სრულყოფს აპარატურას, რომელიც მეტად თუ ნაკლებად თავს ართმევს ამ დანიშნულებას. შორს არაა ის დღე, როცა ეს ნაბიჯიც გადაიდგმება.

აი, მაშინ კი მოვა დღესასნაული ჩვენს მთებში, რამდენი მთის მდინარე გვაქვს, რამდენი ჩანჩქერი, რამდენი მამოძრავებელი ძალა? და ეს ყველაფერი იქნება გამოყენებული, ყოველივე მოძრაობაში მოიყვანს მილიონობით დაზგას, მცირე და დიდ დანადგარებს მილიონობით ოჯახში, რომლებიც ახალ საოჯახო ცხოვრებასა და წარმოებას წამოიწყებენ...

ისტორია მეორდება, ოღონდ ამჟამად პირუკუ. ხალხი სულ ტოვებდა მთებს, მამა-პაპათა საცხოვრისს და ვაკე ადგილებს იკავებდა, სადაც შედარებით ადვილი იყო შრომა, ახლა კი ისინი მამოძრავებელი ძალის კვალდაკვალ უკან, მთებს დაუბრუნდებიან...

და რამდენი სხვადასხვა ზომის ტურბინა იქნება ჩამოსხმული! რამდენი საქმე ექნებათ ქალაქ კონრადისის მცხოვრებთ, ახლა იმიერკავკასიის ქალაქებში წყალგაყვანილობის საკითხების სრულყოფილად დაუფლებისათვის გამგზავრებულთ. ქუდი მოიხადეთ, ბატონებო, მათ წინაშე: ეს მომავლის ძალაა! თვით ეს „ძალა“ არ არის კონდრადიული, რა თქმა უნდა, იგი ცვალებადია, როგორც ქალი; დღემდე იგი ზღვებში, საზღვაო და სამდინარო გზებზე იმალებოდა, ახლა მას შეუძლია ჰაინეს სიტყვებით მიმართოს ზღვებს:

„მთებში მივდივარ, უბრალო ხალხთან
სადაც გრილი სიო ქრის
რიტმულად ძგერს გული
და არ ოხრავს სული“. (რედ.)

...თენდება... მუშაობის დროა! მაგრამ სად ვპოვო მისი ძალა? ხომ არ სჯობს, სამუშაოს ნაცვლად, დავჯდე და ის ვითარება აღვნუსხო, რომელმაც დღევანდელი სამუშაოს შესასრულებელი ძალა გამომაცალა? ასეც მოვიქეცი.

6. საუქმო საკითხავი

ხვალ ბაქოში იხსნება, ან, ყოველ შემთხვევაში, უნდა გაიხსნას ნავთობის მრეწველობის მეოთხე ყრილობა. თქვენთვის ცნობილია, რომ ამ ბატონების პირველი ყრილობა მუშაობდა ამავე ქალაქში 1884წ. ოქტომბერში, მეორე—1885წ. აპრილში, მესამე—1886წ. მარტში. თუ გავითვალისწინებთ, რომ ყოველი ყრილობა რაღაც განსაკუთრებულ საკითხებს წყვეტდა, და რომ ეს გადაწყვეტილებანი, სანქციისა და შესრულების გარეშე, დღესაც არქივებში განისვენებენ, მაშინ ჩათვალეთ, რომ მკითხველმაც და საზოგადოებამაც ამ ყრილობების შესახებ ყველაფერი იცის.

მაგრამ საქმე იმაშია, რომ ამ ყრილობათა საქმიანობა და ბედი მკითხველი საზოგადოების მეტ ყურადღებას უნდა იმსახურებდეს. საქმე ეხება მრეწველობის პირველ და ერთადერთ დარგს, რომელიც ვითარდება ბუნებრივად, ყოველგვარი სახელმწიფოებრივი მსხვერპლისა და სუბსიდიების გარეშე და, რომელიც ჩვენს სავაჭრო ბალანსზე საკმაოდ მნიშვნელოვან გავლენას ახდენს. ავიღოთ თუნდაც შაქრის ან სპირტის ან სხვა, რომელიც გნებავთ, პროდუქტის წარმოება. რა შეღავათებს არ უკეთებდა მათ სახელმწიფო ხაზინა, რათა ფეხზე დაეყენებინა, როგორ პრემიებს არ უნიშნავდა და აძლევდა მავანსა და მავანს, ოღონდ მათი პროდუქტების საგარეო ბაზრებზე გატანისათვის მიეღწია. მაგრამ, მიუხედავად ასეთი „ჩარევისა“ და „მფარველობისა,“ ამ პროდუქტების გატანა საზღვარგარეთ მიკროსკოპული დოზებით მიმდინარეობდა, და ისიც უფრო ქაღალდზე, ვიდრე რეალურად. როგორც გახსოვთ, ახლახან მიმდინარე სისხლის სამართლის პროცესებმა დაგვანახა, რომ კასრებით, სპირტის ნაცვლად, ზღვის წყალი გაჰქონდათ. ექსპორტიორი საზღვარგარეთ სპირტის გატანისათვის მიიღებდა სახელმწიფო პრემიას, გადაიტანდა კასრებს საზღვარზე, გადაღვრიდა წყალს ზღვაში ან მიწაზე და უკან წამოიღებდა ცარიელ კასრებს, რათა ხელახლა დაეწყო ასეთივე იოლი და მომგებიანი ოპერაცია. და თუკი ამის გაკეთება შესაძლებელია ისეთ პროდუქტზე, რომლის დამახასიათებელი სუნი დიდ მანძილზე ვრცელდება, მაშინ თვითონ განსაჯეთ, რა შეიძლება გავუკეთოთ შაქარს, რომელსაც ყნოსვით ვერ გაარჩევთ ზღვის ქვიშასა ან თუნდაც უბრალო ქვისაგან...

მაშინ როცა ვითომ რუსეთის მრეწველობისა და ვაჭრობის ინტერესების მიზნით შექმნილი ყველა ეს ურთიერთსათანამშრომლო, მოშუამავლე მეცნიერული დაწესებულებანი, სადაც ტექნიკოსების, სწავლულების და ჭკუის მასწავლებელთა საფარქვეშ ამოფარებულები, სინამდვილეში კი ამა თუ იმ ფირმის შეღავათებით დაინტერესებული მოხელეები თათბირობდნენ (ისე როგორც რუსეთის ტექნიკური საზოგადოების კავკასიის განყოფილების ახლახან ჩატარებულ თათბირზე ორატორობდნენ და იღვწოდნენ მხოლოდ თბილისის წყალგაყვანილობასთან დაკავშირებული პირები), ყაყანებდნენ და შუამდგომლობდნენ ახალი შეღავათებისა და ბაჟისათვის, ირწმუნებოდნენ, რომ მათ გარეშე რუსეთის მრეწველობა ვერასოდეს ვერ განვითარდება. ამ დროს ჩვენში, ბაქოში, კეთილისმყოფელთაგან დაფარულად, წარმოიქმნა და აყვავებას მიაღწია ნავთობის მრეწველობამ, რომელმაც ყოველგვარი პრემიებისა და დახმარების გარეშე გაიკვალა გზა საზღვარგარეთ. და თავის პროდუქტს ის ზღვაში კი არ ყრიდა, არამედ ზღვის გადაღმა, ინგლისში, საფრანგეთში, ავსტრიასა, ეგვიპტესა და ინდოეთშიც კი გაჰქონდა.

ყველაფერი კარგად მიდიოდა... კიდევ ორი, სამი წელი და ჩვენი ნავთობის მრეწველები საბოლოოდ დაიპყრობდნენ მიუღწეველ „საზღვარგარეთულ ბაზრებს," იქედან განდევნიდნენ ისეთ ენერგიულ და შეიარაღებულ მოღვაწეებს, როგორებიცაა ამერიკული იანკები.[8] მაგრამ, სამწუხაროდ, მოხდა ისე, რომ ნავთობის მრეწველობის თვითნებური წარმატება დედაქალაქის კეთილისმყოფელთა ყურამდე მაინც მივიდა. და, რასაკვირველია, აფეთქდნენ.

—როგორ,—ამბობდნენ ისინი,—როგორც ჩანს, „საზღვარგარეთის ბაზრები" არ ყოფილა ესპანური ციხე-სიმაგრეები, რომლითაც საქმის მწარმოებლებს თვალებს ვუბრმავებდით; ისინი ნამდვილად არსებობს, და მათი მიღწევა შესაძლებელია, ანდა იქნებ დაპყრობაც? ხედავთ, რეები ხდება!

მაგრამ ასე მხოლოდ კეთილგანწყობილი მზრუნველნი ფიქრობდნენ. აღმოჩნდნენ სხვებიც, უფრო მომხვეჭელებიც, ისინი გაცოფდნენ.

—ჩვენს გარეშე როგორ მიაღწიეთ წარმატებას? ვინ მოგცათ უფლება? როგორ გაბედეთ?

ამაზე ბჭობდნენ კეთილისმყოფელნი 1882 წელს ტექნიკურ ყრილობაზე მოსკოვში, 1883 წელს ტექნიკურ საზოგადოებაში პეტერბურგში და, ვინაიდან ყველას ერთად და თითოეულს ცალ-ცალკე, საერთოდ არავითარი პროგრამა, ცოდნა და დადგენილება არ ჰქონდათ, გარდა იმისა, რომ საჩივრები ეწერათ და მთავრობისათვის გადასახადები და წყალობები ეთხოვათ, ამიტომ ახლაც დაადგინეს მთავრობის ყურადღება გაემახვილებინათ რაღაცეების აკრძალვის აუცილებლობაზე, რაღაცეების გაკეთებაზე და ა. შ.

ჩვენმა ნავთობის მრეწველებმა გაიგეს ეს, გაიგეს და სიკვდილის ფერი დაედოთ.

—ღმერთო მაღალო,—წამოიკვნესეს მათ,—ახლა კი დავიღუპეთ! ჩვენ ვაჭრობის ხალხი ვართ, მრეწველობაში ვმუშაობთ არა სიტყვით, არამედ საქმით; მოგეხსენებათ, ჭეშმარიტი მრეწველობა დაიღუპება, რაკი მას ზედმეტად მიაქციეს ყურადღება. ჩვენ ბიუროკრატები ხომ არა ვართ, რომლებიც ძილშიც და სიფხიზლეშიც ოცნებობენ, ა. ნ. ოსტროვსკის სიტყვებით რომ ვთქვათ: „ჩვენთვის მთავარია ყურადღება!" თვითონ დარწმუნდებით, რომ ჩვენთვის ყურადღება და სიკვდილი ერთი და იგივეა.

ეს შიში საფუძვლიანი და გამჭრიახი იყო. ჩვენი ნავთობის მრეწველები ვერ აღმოჩნდნენ კარგი დიპლომატები. საშიშროება იგრძნეს, მაგრამ, სამწუხაროდ, მისი თავიდან აცილება ვერ შეძლეს.

ტალეირანები რომ ყოფილიყვნენ, მიხვდებოდნენ, რომ საჭირო იყო თავის მომკვდარუნება, პირში წყლის დაგუბება და გაჩუმება, თითქოს არაფერი გაეგოთ ტექნიკური ყრილობებისა და საზოგადოების სხდომებზე მომხსენებელ ორატორთა გამოსვლის შესახებ. ილაპარაკებდნენ იქ კეთილისმყოფელნი, დაწერდნენ გაზეთებში, იშუამდგომლებდნენ კანცელარიებში და საქმესაც ბოლო მოეღებოდა. და ამ გზით გამართლდებოდა ქართული ანდაზა: „ქარის მოტანილს ისევ ქარი წაიღებსო."

მაგრამ ისიც სათქმელია, რას ავიკვიატე: „ტალეირანები რომ ყოფილიყვნენ!" ვითომ ტალეირანი ბაქოს ნავთობში ხელებს დაისვრიდა?

ასე იყო თუ ისე, ვერ მოითმინეს ჩვენმა ნავთობის მრეწველებმა. თვითნება კეთილისმსურველთა შუამდგომლობის პასუხად, ყველგან, კანცელარიებში, გარწმუნებთ, სინოდიც არ გამოუტოვებიათ, გაგზავნეს უარყოფითი პასუხი, ცრემლნარევი ხვეწნა; „ნუ მოგვაქცევთ ნურავითარ ყურადღებას!"

—იცით, თქვენ, მალორუსული ანეგდოტი?

ერთი სოფლელი გოგო შეხვდა ჯარისკაცს, რომელსაც აღვირით მოჰყავდა ცხენი.

—ეი, ბიჭო, ბიჭოო!

—რა გინდა?

—შენი მეშინია!..

—რისი გეშინია, სულელო?

—შენ შეგიძლია ჩემი უბინოების შებღალვა?

—როგორ შემიძლია, როცა ცხენი აღვირით მომყავს?

—ცხენი რომ მიაბა...

და ჯარისკაცმა, გასაგებია, ცხენი მიაბა და გოგოს პატიოსნება შებღალა.

ჩვენმა ნავთობის მრეწველებმა უნებლიედ იმ სოფლელი გოგოს როლი ითამაშეს: რაც უფრო მეტ დეპეშებს, თხოვნას, პროტესტებს და დეპუტაციებს გზავნიდნენ, მით უფრო მეტი ყურადღება მიაქციეს მათ კეთილისმყოფელებმა, რომლებმაც, ღმერთმა უწყის რატომ, თავისი თავი ნავთობმრეწველებად მიიჩნიეს.

უნდა იცოდეთ, რა სასაცილო ამბავი დატრიალდა პეტერბურგის კანცელარიებში.

ზის თავისთვის რომელიღაც დეპარტამენტის აკრძალვების ბიუროს ვიღაც უფროსი და გამჭოლი მზერით ჩაშტერებია ქაღალდს, რომელსაც აწერია: „არხანგელსკის გუბერნიის მევენახეობის საზოგადოების შუამდგომლობა ტამბოვის გუბერნიაში გოგირდოვანი ასანთის შეზიდვის შეტანის აკრძალვის შესახებ, ვინაიდან ამ უკანასკნელ გუბერნიაში მაღალი ტემპერატურის გამო იქმნება ასანთის აალების საშიშროება“. ზის და ფიქრობს: რა ეპიტნავებათ არხანგელსკის უსაქმურებს ტამბოვის გუბერნიის ჰავასა და ასანთთთან? ამის ქვეშ რაღაც სხვა ხომ არ იმალება?

ცხადდება კურიერი, ჩვენებურად—დარაჯი.

„თქვენო უმაღლესობავ, დეპუტაციაა ე. წ. ნავთობსარეწებიდან, შორიდან, ბაქოდან მოვედითო, ამბობენ.

—სთხოვე!

განყოფილების გამგე გაემართა, „სახე დაიყენა,“ წარბები შეჭმუხნა. მიუკერძოებელი გამომეტყველება აღებეჭდა სახეზე.

შემოდიან ნავთობის მრეწველები.

—მაშ ასე, ამბობენ, თქვენო უ-ლესობავ, ე. ი. გაეცანით და ა.შ. ჩვენ ნავთობის ნამდვილი მრეწველები ვართ, და ე. ი. გთხოვთ დაგვტო-

ვოთ უყურადღებოდ... ჩვენ მშვიდი და წყნარი ხალხი ვართ. თანაც მიყრუებულ ადგილას ვცხოვრობთ, ლენტიანი ქალაქის თავი გვყავს. მან ყველაფერი იცის. ჰკითხეთ, ის დაგიდასტურებთ...

—კარგი, კარგი, ეს შეიძლება...

მიდიან ნავთობის მრეწველები. განყოფილების უფროსი უბრუნდება არხანგელსკის ახირებულთა შუამდგომლობას: „რას უნდა ნიშნავდეს ეს?"

ისევ კურიერი.

—თქვენო უ-ლესობავ, დეპუტაციაა და ა. შ. ზუსტად ისე, როგორც ზემოთ გვიწერია.

—სთხოვე!

შემოდიან ახალი სახეები, სხვა გარეგნობის, უფრო აღმოსავლური იერსახის ადამიანები.

—ასე და ასე, თქვენო უ-ლესობავ, ე. ი. გაეცანით და სხვა. მაგრამ ისინი, ვინც ახლახან იყვნენ თქვენთან, ნავთობის ნამდვილი მრეწველები არ არიან; ვიღაც დაგვაჯული ხალხია, ალბათ, სპარსელები, იქნებ პასპორტიც არა აქვთ. ჩვენ სულ სხვანი ვართ. ჩვენ „ნამდვილი," როგორც იტყვიან, პირველი ხარისხისა ვართ. ყველანი ქიმიკოსები, პროფესორები, კაპიტალისტები,—სოლიდური და პატივცემული ხალხი. ბაქოს უყურადღებოდ დატოვება არ შეიძლება. მისი უდიდესი სიმდიდრე დამყაყებულია, საჭიროა წახალისება, დახმარება. უყურადღებობა, დაუხმარებლობა არაფრით არ შეიძლება. ჩვენ გვაქვს სამეცნიერო საზოგადოება—„ტექნიკური" და მეორე „დამხმარე". მათ ყველაფერი იციან. ჰკითხეთ, ისინი დაგიდასტურებენ.

—კარგი, კარგი, შეიძლება...

და რას ფიქრობთ, რა უნდა ქნას ამ საცოდავმა განყოფილების გამგემ თუ უფროსმა?! თავის სიცოცხლეში არ გაუგონია არც ნავთობი და არც ბაქო,—ეს მას სრულიად არ ეხებოდა, და არც მის განმგებლობაში შედიოდა, ახლა კი სთხოვენ „კითხეთო." რატომაც არ უნდა შეეკითხოს ქალაქის თავს ანდა „დახმარების" საზოგადოებას?

კიდეც შეეკითხა. ოლონდ ისეთი პასუხები მიიღო, მკითხავებიც ვერ გაერკვეოდნენ. რასაც ამტკიცებს ერთი, იმას უარყოფს მეორე. რიცხობრივი მონაცემებიც სრულიად სხვადასხვაა. შეხედავ ერთს—ბრწყინვალე და საუკეთესოა. შეხედავ მეორეს—მხოლოდ ზარალია...

—რა ჯანდაბაა, სად არის სიმართლე?

კითხვა უფრო რთული აღმოჩნდა, ვიდრე არხანგელსკის შუამდგომლობაში ჩაწვდომა.

დეპუტაცია კი სულ მოდის და მოდის, სულ ახლები და ახლები, ყოველი მათგანი ამტკიცებს, რომ მხოლოდ ის არის „ნამდვილი," სხვანი კი თვითმარქვიები, ერთი სიტყვით, სულაც არ იყვნენ ნამდვილები და არც ნავთობის მრეწველები.

მოგისმენიათ, როგორ უკრავდნენ ჩვენში ოფენბახის ოპერას „ყაჩაღები?" გამოჩნდება ესპანეთის დეპუტაცია და მღერის: „არიან ესპანელები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ესპანელები არიან, მაგრამ ისინი სრულიადაც არ არიან ესპანელები: აი, ჩვენ კი ნამდვილი ესპანელები ვართ!" და ა.შ. მერე მოდის სხვა დეპუტაცია, თავზე ფალსაკაპებით და მღერის: არიან ესპანელები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ესპანელები არიან, მაგრამ ისინი სრულიადაც არ არიან ესპანელები და ა. შ.

ზუსტად ასეთივე დეპუტაციების შემოსევა იყო პიტერის ყველა კანცელარიებში, დეპარტამენტებსა და სამინისტროებში: მათგან ტევა არ იყო არცერთ ოფიციალურ მისაღებში...

კანცელარიებს—და კურიერებსაც კი—ბოლოს და ბოლოს ყველაფერი მობეზრდათ. ვერაფრით ვერ მიმხვდარიყვნენ ვინ იყო „ნამდვილი" და ვინ არა: ბ-ნები ილიმოვი, ნობელი, ლაზარევი თუ სხვა (მათი რიცხვი ლეგიონია).

ამასობაში ნავთობის საქმე ფინანსთა უწყებებიდან სახელმწიფო ქონების სამინისტროს უწყებაში გადავიდა.

ახალმა მინისტრმა, შუამდგომლობებისა და დეპუტაციების ურთიერთ წინააღმდეგობების გამო, გადაწყვიტა თვით შეეხედა ბაქოსთვის. თუ გახსოვთ, ეს მოხდა 1883 წ. შემოდგომაზე.

ხომ წარმოგიდგენიათ, რა რაოდენობის დეპუტაციების მიღება და მოსმენა მოუხდა მას! მინისტრი შეპირდა ყრილობის მოწვევას, სადაც ისინი შეძლებდნენ შეთანხმებას და მხოლოდ შემდეგ იშუამდგომლობებდნენ.

გაიხარეს საწყალმა ნავთობის მრეწველებმა.

—მადლობა ღმერთს, ამბობდნენ ისინი; მადლობა ალაჰს, ამტკიცებდნენ მეორენი, ახლა გვეშველება—ჩვენი საქმეების, ჩვენი ჭირისა და ბედის განმგებლები ჩვენვე ვიქნებით და არა ვიღაც თვითმარქვია მოლაყბეები, რომელთაც თვალითაც არ უნახავთ არც ნავთობი, არც მრეწველობა. გადავრჩით ჩვენ ყველა იმ არამკითხე კეთილის-

მყოფელთაგან და ყველა ვითომ „ტექნიკური," „დახმარების" და სხვა საზოგადოებებისაგან. ჯანდაბამდე გზა ჰქონიათ! და დაიწყო ზეიმი და მრავალსიტყვაობა. ბრბოში ხარობდა და მრავალსიტყვაობდა ცოდვილი კაციც.

აი, როგორ და რატომ შეიკრიბა „ნავთობის მრეწველთა ყრილობა."

მაგრამ ვერ მოასწრო ყრილობამ მუშაობის დასრულება, ვერც თავისი „შრომების" გამოცემა, რომ ერთი წლის შემდეგ პეტერბურგში ტექნიკურ საზოგადოებაში შეიკრიბა კეთილისმყოფელთა მთელი ჯარი და დაიწყეს ყრილობის გარჩევა.

მე გავშრი გულუბრყვილობით, რადგან ჩვეულებრივ ყველაფერს გაუგებრობასა და დაუფიქრებლობას მივაწერ ხოლმე და არა ბოროტ განზრახვას, მე ავედი ტრიბუნაზე და გავახსენე „ტექნიკურ" საზოგადოებას, რომ მათ მიერ დაყენებული საკითხი ყრილობამ უკვე განიხილა და რომ ამ ინსტანციის ამ საკითხში მხოლოდ ისაა კომპეტენტური. რა უფლების ძალით და რა მიზნით გსურთ მისი გადაწყვეტილების გადასინჯვა?

—ყრილობა,—მიპასუხეს მე,—შედგებოდა მრეწველთაგან, რომელთაც არ შეიძლება იცოდნენ და არც იცოდნენ მომხმარებლის ინტერესები და ჩვენ, როგორც მომხმარებლები და ა. შ.

რასაკვირველია, ეს იყო საბუთი. სასაცილო გახლდათ იმის ყურება, გუშინდელი თვითმარქვიები, რომლებიც ჯერ კიდევ გუშინ პეტერბურგის ყველა გზაჯვარედინზე გაჰყვიროდნენ, „მწარმოებლები" ვართო, დღეს მომხმარებლად გამოგვეცხადნენ. მე სარკასტულად მივუთითე ამ ფაქტზე, მაგრამ რა აზრი ჰქონდა.

—ღვთის რისხვის რატომ არ გეშინიათ,—ვაგრძელებდი მე,—როცა ჩვენ ვცდილობთ დავამტკიცოთ, რომ მხოლოდ და მხოლოდ ინტერესების წარმოჩენა ცალმხრივობამდე მიგვიყვანს, თქვენ ამტკიცებთ, რომ ჩვენ ყრილობაში ღატაკების შეყვანა გვსურს, რომ საჭიროა მხოლოდ „დაინტერესებულთა" მოსმენა. მაშინ კი, როცა თქვენი წყალობით უგულვებელყოფილია ჩვენი შეხედულებანი და ბატონობს თქვენი საკუთარი, მაშინ თქვენ პირველები გააპროტესტებთ თქვენივე ნამოქმედარს და ახსენებთ ხალხს, მომხმარებლებს. რასაკვირველია, სიმართლე თქვენს მხარეზეა, მაგრამ ამ შემთხვევაში თქვენივე „ინტერესების" დოქტრინა მაინც უარჰყავით.

მე ბანს მაძლევდა ბ-ნი ნობელი, მაგრამ იგი მოქმედებდა არა ლოგიკით, არამედ ციფრებითა და ფაქტებით. აგრეთვე სასაცილო იყო

გულამაჩუყებელი შეთანხმების ხილვა ისეთ ადამიანებს შორის, რომლებიც იმავე დარბაზში, ზუსტად ერთი წლის წინ, სამკვდრო-სასიცოცხლოდ იბრძოდნენ. მაგრამ ეს წვრილმანია.

ჩემი და ნობელის გამოსვლები აღმოჩნდა ხმად ღაღადებად უდაბნოსა შინა. რაში ჭირდებოდა მათ ზოგადი საკითხების დაყენება და გადაჭრა, როცა მხოლოდ განსაზღვრული და ვიწრო მიზნები ამოძრავებდათ?

იცინეს ჩემზე და დასჯის მიზნით, მეც და ბ-ნი ნობელიც კომისიის წევრებად აგვირჩიეს, რომელსაც დაევალა მოხსენების დაწერა, სადაც აისახებოდა მომხმარებელთა ინტერესები და გამოინახებოდა ნავთობის საქმის გამოსწორების საშუალებანი ხალხისა და სახელმწიფოს სასარგებლოდ.

ნათლად ჩანდა, რომ ყრილობის მთავარი მიზანი—ასახულიყო ჩვენი ნავთობის მრეწველობის გასაჭირი, ინტერესები და მოთხოვნები, აორთქლდა და მოხვდა ისევ და ისევ იმ კეთილისმყოფელთა ხელში, რომელთა შესაჩერებლადაც იყო ყრილობა მოგონილი. მაგრამ ჩვენი მრეწველობის სწორად განვითარების მოსურნე მეგობრები, ფარხმალს არ ჰყრიდნენ.

—რა ვქნათ,—ფიქრობდნენ და ამბობდნენ ისინი,—ალბათ არაა ბედი. ღმერთმა განსაჯოს ის კეთილისმყოფელნი, ილაპარაკონ, იშუამდგომლონ, რა უნდა გააკეთონ. მსმენელთა და მკითხველთა ნარმოდგენას დაამახინჯებენ, მაგრამ ცოცხალ საქმეს, რომელსაც ზრდის ბუნებრივი საფუძველი აქვს, ვერ ჩაჰკლავენ. რა ვუყოთ, რომ ყრილობამ ვერ მოახერხა ნავთობის მრეწველობის დაცვა მცდარი და უკულმართი კამათისაგან. კეთილისმყოფელთა კაბინეტებში მოგონილი ყველა საშუალება, ალბათ ძირშივე განწირული იქნება. სამაგიეროდ, ყრილობას სხვა ამოცანა აქვს, მართალია, მეორეხარისხოვანი, მაგრამ მნიშვნელოვანი. როგორც თვითმმართველობის ორგანო, მას აქვს აღმზრდელობითი, გამაერთიანებელი მნიშვნელობა. ჩვენი ნავთობის მრეწველობის დაქსაქსული, ცალკეული მოუმზადებელი ძალებისაგან ყრილობას შეუძლია შექმნას ერთი თანამედროვე მსხვილი, გააზრებული და სწორად მიმართული ძალა, რომელსაც შეეძლება ჩვენი ნავთობის წარმოების მნიშვნელობა გააათკეცოს, დაიცვას იგი მასში მონოპოლიების წარმოქმნისაგან...

იმის შესახებ, თუ რამდენად განხორციელდა ან რატომ ვერ განხორციელდა იმ ადამიანთა ეს უკანასკნელი იმედები, რომელთაც უნარი ჰქონდათ, იმედი ჰქონდათ უიმედო მდგომარეობაშიც კი, მე თქვენ შემდეგ მოგიყვებით. მაშინ დაინახავთ, რომ თუ ყრილობის პირველი ამოცანის კრახის დროს ყველაფერი თვითმარქვიების ბრალი იყო, ახლა მეორე ამოცანის დაუძლეველობაში დამნაშავე და პასუხისმგებლები არიან თვით ნავთობის მრეწველები.

7. საუძმო საკითხავი

ნავთობის მრეწველთა მეოთხე ყრილობა, როგორც ცნობილია, დანიშნულ დღეს (2 აგვისტოს) ვერ გაიხსნებოდა, ვინაიდან არ იყო გადახდილი ნავთობის მრეწველთა გადასახადი, რომელიც თვითვე დააწესეს თავის სასარგებლოდ. იმის გამო, რომ ნავთობის მრეწველთა ყრილობა თავისებურ თვითმმართველობას წარმოადგენს, და მან ამ მხრივ გაიზიარა ჩვენი წარმომადგენლობის მწარე ხვედრი, ჩვენ ამიტომაც ვართ ვალდებულნი თვალი ვადევნოთ მის ბოლო დროის ისტორიას, რათა ავხსნათ იმ დაწესებულებების სწრაფი და სავალალო დაცემა, რომელთაც სულ სამიოდე წლის წინ ჩვენი საზოგადოებრივი განვითარების მოსურნეებში ასეთი ნათელი იმედები აღძრა. ვნახოთ ერთი, როგორ შეგვიძლია თვითგამორკვევა, როგორ შეგვიძლია მოცემული უფლებებით სარგებლობა.

უპირველეს ყოვლისა, გავიხსენოთ, რას წარმოადგენდა ეს ეგრეთ წოდებული „ნებაყოფლობითი გადასახადი", რომელიც ნავთობის მრეწველებმა დააწესეს და უარყვეს.

გადასახადი, რაზეც ვისაუბრეთ, დააწესა პირველმა ყრილობამ 1884 წ. 8 ნოემბრის სხდომაზე. იმ მიზნით, რომ მკითხველს განვუმარტო იმ გადასახადის დანიშნულება და მნიშვნელობა, ჩემ თავს უფლებას მივცემ მოვიშველიო ამონაწერი სტენოგრაფიული ანგარიშიდან, სადაც დასაბუთებულია ამ გადასახადის დაწესების აუცილებლობა:

„საქმე იქამდე მიდის,—ამბობდა ყრილობის ერთ—ერთი წევრი,—რომ ნავთობის მრეწველობა საერთო გასაჭირს განიცდის, რომლის აღმოსაფხვრელად აუცილებელია სახსრები, საიდან ავიღოთ ეს სახსრები?" ნავთობის მრეწველობა საერთო გასაჭირს განიცდისო* და მომხსენებელმა ვ. ბ. აბრამოვიჩმა დაგვისახელა მრავალი მათგა-

*იხ. ბაქოს ნავთობმრეწველთა I ყრილობის შრომები, (რუსულ ენაზე) ბაქო, 1885 წ.

ნი, მაგალითად, ცნობებისა და მონაცემების უკმარისობა, რომელთა აუცილებლობა სრულიად ნათელია და ურომლისოდაც ჩვენში საქმის შემდგომი გაგრძელება სრული უაზრობაა. დღეისათვის საქმე იმგვარია, რომ ნავთობმრეწველობა, როგორც მომპოვებლური და გადამამუშავებელი და, აგრეთვე, ამ მრეწველობის ფრიად მნიშვნელოვანი დარგი, როგორიცაა ვაჭრობა, რომელიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს ნავთობის პროდუქტების გავრცელებასა და გასაღებაში, სიბნელეში აფათურებენ ხელებს. მხოლოდ ორი ფირმა არსებობს, რომლებიც ასე თუ ისე სწავლობს და იცის საქმე; ეს ფირმებია: ბარონ ნობელის ამხანაგობა და ბათუმის ნავთობმრეწველობის საზოგადოება (ამხ. პალაშკოვსკი). ამ ფირმებს სურდათ თავიანთი საწარმოები და საქმეები თანამედროვე ვაჭრობისა და მრეწველობის მოთხოვნილების შესაბამისად რაც შეიძლება უკეთ დაეყენებინათ. უამრავი ხარჯი გასწიეს არა მარტო საკუთარი ქარხნების მოსაწყობად, არამედ საქმეების შესასწავლად ამერიკაში, ასევე ევროპული ბაზრების საკვლევად, რათა მეტნაკლები სიზუსტით ცოდნოდათ სად, როგორ და რა შანსით გაეგზავნათ თავიანთი საქონელი. ამის წყალობით, ამ ფირმებმა სხვა, როგორც მსხვილ ისე წვრილ ნავთობის მრეწველებთან შედარებით, არსებითი უპირატესობა მოიპოვეს: მათ იციან სად მიდიან, თქვენ კი არ იცით და ხშირად გვიან მოიფიქრებთ ხოლმე, და უფრო ბაძავთ ამ ორ ფირმას, რომლებიც ფაქტიურად და მონოპოლიურად ფლობენ სერიოზულ მონაცემებს ნავთობის მრეწველობის განვითარების პირობების შესახებ.

„შეხედეთ, რას აკეთებენ ამერიკელები: მე ვიცი და შემიძლია ყრილობას დარწმუნებით მოვახსენო, რომ ერთ-ერთი განთქმული და მნიშვნელოვანი ამერიკული ფირმა ბაქოში ყაველწლიურად გზავნის თავის წარმომადგენელს, რომ გაიგოს რა კეთდება და როგორ კეთდება. იმ მიზნით, რომ იცოდეს რამდენად საშიში იქნება კონკურენცია ევროპულ ბაზრებზე და რა ზომების მიღება გახდება საჭირო მათ დასაძლევად. მე ვიცი და ზოგი დამსწრეც დამიდასტურებს, რომ ერთ-ერთი ქარხანა აქ გზავნიდა ბ-ნ ზინგერს და დღესდღეობითაც ბაქოში სხედან სხვადასხვა ევროპული მეწარმეებისგან გამოგზავნილი ინჟინრები, რომელთა მიზანია ჩვენი საქმის ნამდვილი ვითარების შესწავლა. თქვენს ყურადღებას იმიტომ ვამახვილებ აღნიშნულ გარემოებებზე, ამ კონკრეტულ ფაქტებზე, რათა დაგარწმუნოთ იმ ჭეშმარიტებაში, რომ დღევანდელ დღეს, ვაჭრობის (არსებული მრეწვე-

ლობის, საერთაშორისო კომერციული ურთიერთობების პირობებში, შეუძლებელია რაიმე სერიოზული, განსაკუთრებით კი საფუძვლიანი ნაბიჯის გადადგმა როგორც საკუთარი, ისე კონკურენტების საქმიანობის საფუძვლიანი შესწავლის გარეშე. ვინაიდან ჩვენი მოწინააღმდეგენი თავის წარმომადგენლებს გზავნიან ჩვენი მდგომარეობის მტკიცე და სუსტი მხარეების შესასწავლად, აქედან ბუნებრივი დასკვნა უნდა გამოვიტანოთ, რომ თქვენ ამერიკული მრეწველობისა და ევროპული ბაზრების მიმართ იგივე უნდა მოიმოქმედოთ. ვინაიდან უარჰყავით ბ-ნ აბრამოვიჩის შემოთავაზებული წინადადება, ირონიულად მიუდექით მას და გამოთქვით მოსაზრება, რომ არავითარი გადასახადი არაა საჭირო, თქვენ ჩაიდინეთ ძალიან დიდი და თქვენთვის მომაკვდინებელი შეცდომები: ჯერ ერთი, ისუსტებთ საკუთარ თავს და აქედან გამომდინარე, ასუსტებთ რუსული ნავთობის მრეწველობას, უპირატესობას უთმობთ ამერიკულს, და მეორე, ვარდებით დამოკიდებულ, არათანაბარ მდგომარეობაში ამ ორი მსხვილი ფირმისაგან, რომელიც თქვენს გვერდით მოქმედებს.

„რუსეთის ნავთობის მრეწველობის განვითარებისათვის, თქვენივე საკუთარი კეთილდღეობისათვის და იმისათვის, რომ ყველა ნავთობის მრეწველმა, სულერთია მსხვილი, საშუალო თუ წვრილი იქნება ის, სწორად უნდა წარმართონ თავიანთი საქმე და ისარგებლონ ყველა კეთილდღეობით, რასაც გვაძლევს ბუნება. ამისათვის საჭიროა, რომ თქვენ გაბედოთ და მოიპოვოთ საშუალება საკუთარი საქმის გასაცნობად, შეისწავლოთ გასავლელი გზები, გაეცნოთ თქვენთვის ხელმისაწვდომ ბაზრებს. ასეთი ხარჯების გაწევა ცალ-ცალკე თქვენ არ შეგიძლიათ. თუ გგონიათ, რომ შეძლებთ საკუთარი წარმომადგენლების გაგზავნას საზღვარგარეთ კვლევის ჩასატარებლად და ზუსტი სტატისტიკური ცნობების შესაგროვებლად სხვადასხვა ქვეყნების შესახებ, თუ თქვენ გაქვთ ამის იმედი, გარწმუნებთ, მწარედ ცდებით. ყველაფერ ამას ჭირდება უზარმაზარი ძალა და მსხვილი სახსრები, რასაც ცალ-ცალკე ვერ შეძლებთ და ვერ შეწვდებით.

ხშირად გვესმის, რომ ნავთობის საქმეში წვრილმანი და მეორეხარისხოვანი ქარხნები კუსტარულებს ემსგავსებიან და ბედით განწირულები არიან, რომ ან უცხოელებმა, ან ჩვენივე უფრო მსხვილმა მწარმოებლებმა უნდა შთანთქან ისინი. ჩემი აზრით, ეს არაა მართებული. ნავთობის საქმეში სულაც არ შეიძლება წვრილი მწარმოებლების როლი გავუტოლოთ კუსტარულებს, სწორედ იმის გამო,

რომ ნავთობის საქმე, როგორც ეს ბაქოშია, სრულიად სხვა პირობებში იმყოფება, ვიდრე მრეწველობის ყველა სხვა დარგი. წარმოებაში მსხვილი კაპიტალის სიჭარბე ორი რამითაა განპირობებული: ესაა უზარმაზარი ხარჯების აუცილებლობა ნედლეულისათვის და ძალიან მცირე მისი დამუშავებისათვის: ნავთობის საქმეში თითქმის არავითარი ხარჯები არაა საჭირო, ანდა თითქმის უმნიშვნელოა ხარჯები მისი გადამუშავებისათვის, იმ მიზეზით, რომ ნავთობის საქმეში პროდუქციის გატანის გზები ყველასათვის ხელმისაწვდომი და ნეიტრალურია, წვრილ მექარხნეს მსხვილ მეწარმეზე არანაკლებ შეუძლია არსებობა და აყვავება. მე მგონია, წვრილი მექარხნე უფრო ჩაყლაპავს მსხვილს, როცა მას იმდენივე ეცოდინება, რამდენიც მსხვილმა მეწარმემ, და როცა იგი ბრმასავით კი არ ივლის, არამედ ნათლად გაერკვევა თავის საქმეში . ამ თვალსაზრისით, ყოველი დახარჯული კაპიკი, რომელიც მოხმარდება საქმის შესწავლას, ბაზრების კვლევას და სხვადასხვა და შედარებითი ზუსტი ფასების გარკვევას, სხვა სახელმწიფოთა ზუსტი ფრახტების და ტარიფების გაგებას, მომავალში თქვენ მანეთებს მოგცემთ. ამ მხრივ ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ამ ბაზრების შესახებ ზუსტი ცნობების გარეშე ვერ განავითარებთ საქმეს, და მე ჩემს მოვალეობად ვთვლი მხარი დავუჭირო ბ-ნ აბრამოვიჩის შემოთავაზებულ წინადადებას. სამწუხაროდ, მე ვხედავდი, როცა ბ-ნ აბრამოვიჩი კომისიის შესანახად აუცილებელ ციფრებს გიკითხავდათ, ბევრი მათგანი ღიმილით ამბობდა: „როგორ შეიძლება ამდენი ფულის გაღება!“ სხვათა შორის, მიაქციეთ ყურადღება ქვანახშირის მრეწველობას. ახლა ერთ-ერთმა მონაწილემ გადმომცა „ქვანახშირის მრეწველთა ყრილობის შრომების“ ერთი ტომი და გაგაცნობთ იმ დანახარჯებს, რომლებიც მათ განიეს, თუმცა ნავთობის მრეწველებთან შედარებით გაცილებით უარეს მდგომარეობაში იმყოფებოდნენ, ვინაიდან, სხვადასხვა მიზეზების გამო, რუსეთში ქვანახშირის საქმე ძალიან ცუდად არის დაყენებული.

სნორედ ამ ნახშირის მრეწველებმა შექმნეს თავისი ყრილობა და მუდმივი კომისია, რომლის შენახვაზე წელიწადში 26.600 მანეთს ხარჯავენ; და იმდენს ახერხებენ, რომ კომისიის მუშაობისათვის 26.600 მანეთის დანახარჯის გარდა, კიდევ რჩებათ 13.600 მან. დანაზოგი.

ბ-ნ აბრამოვიჩის მიერ წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვა ცოდავს მხოლოდ იმაში, რომ ზედმეტად შემცირებულია. არა მგონია, რომ ამ თანხით შეიძლებოდეს მიაღწიო ყველაფერს, რაც საჭიროა თქვენი

კეთილდღეობისათვის. ამიტომ მე გირჩევთ, ყოველ შემთხვევაში ნულარ შეამცირებთ ამ ხარჯთაღრიცხვას, არამედ დაამტკიცეთ ბ-ნ აბრამოვიჩის რიცხვი და ამიერკავკასიაში მოპოვებული ყოველი ერთი ფუთი ნავთობი კაპიკის 0,1 ნაწილით დაბეგრეთ...

„იმ ფულს, რომელსაც გადასახადის აკრეფით ამოიღებენ თქვენგან, კომისია თქვენ მიერვე დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვის გარეშე ვერცერთ კაპიკსაც ვერ დახარჯავს. ნაშთი თქვენივე სასარგებლოდ წავა, ნავთობის ფონდის დაწესებისთვის, რომელიც იაფი კრედიტის მოპოვებას გაგიადვილებთ, ანდა სხვა არანაკლებ მნიშვნელოვან მოთხოვნებს დაგიკმაყოფილებთ. მთელი ეს ფული თქვენს გამგებლობაში დარჩება, ეს ფულის ერთი ჯიბიდან მეორეში გადადებას ნიშნავს. აი, ამიტომ არ უნდა გეშინოდეთ ამ ბეგარის ასეთი დასაბუთებისა და პროგრამის გამო, ყრილობამ მიიღო გადაწყვეტილება ამიერკავკასიაში მოპოვებული ყოველი ფუთი ნავთობი დაიბეგროს 1 / 10 კაპიკით. ეს გადაწყვეტილება შეიძლება არ მოწონებოდათ მხოლოდ ნავთობის მსხვილ მრეწველებს. მაგრამ ბ-ნ პალაშკოვსკის წარმომადგენელმა, ბ-ნ სოკოლოვსკიმ მაშინვე განაცხადა თანხმობა. რაც შეეხება ბ-ნ ნობელს, მან ყრილობას გამოუგზავნა აღფრთოვანებული წერილი, რომელშიც ინონებდა გადაწყვეტილებას და იღებდა ვალდებულებას, რომ დამორჩილებოდა დადგენილ გადასახადს“.*

ამ გადასახადის დანესების დროს პირველი ყრილობა ითვალისწინებდა შესაძლებელ უთანხმოებას ნავთობის მრეწველებს შორის. იგი ითვალისწინებდა, აგრეთვე, რომ მათი განწყობა შეიძლება ცვალებადი ყოფილიყო... ამიტომ მან იშუამდგომლა, რომ დადგენილებისათვის კანონიერი ხელისუფლების სანქცია დაედო, რომ ის ყველა ნავთობის მრეწველობისთვის დაკანონებულიყო აუცილებლად სავალდებულოდ.

საუბედუროდ, სამთო დეპარტამენტმა ეს აზრი არ გაიზიარა. მან ჩათვალა, რომ ეს „თვითდაბეგვრა“ ნებაყოფილობითი შეთანხმების საქმეა, რომელიც არ მოითხოვს კანონის სანქციას. ამიტომ პირველი ყრილობის შუამდგომლობას მსვლელობა არ მიეცა. ამ შემთხვევით ისარგებლა ნავთობის მრეწველობის მესამე ყრილობამ, რომელიც მუშაობდა ბაქოში 1886 წელს და დაადგინა თვითდაბეგვრის ოდენობა

* ეს წერილი დაიბეჭდა იმავე „პირველი ყრილობის შრომებში“, გვ. 376-377.

შეემცირებინა და ფუთი ნავთობიდან 1 / 10 კაპიკის ნაცვლად ფუთიდან 1 / 30 კაპიკი დააწესა.

სწორედ აქაა „ინტრიგის კვანძი" (ტრაგიკულად რომ ვთქვათ): გადასახადის შეტანაზე უარი განაცხადეს ყველა მსხვილმა მრეწველებმა, თერთმეტმა უმთავრესმა ფირმამ... ბ-ნი ნობელი, რასაკვირველია, „სეპარატისტების"სათავეში იდგა.

ისინი, ვინც არ იცნობს ნავთობის საქმის ჭეშმარიტ მდგომარეობას და მის შავ სამუშაოს, ალბათ, მსხვილი ფირმების ასეთ მოქმედებას განიხილავს როგორც „საერთო საქმის ღალატს". გარე თვალისათვის იქმნება ფართო ასპარეზი მსხვილი მრეწველობის ეგოიზმისა და ინტრიგების მხილებისათვის. „ვამპირები", „მონოპოლისტები", „ყველა კარგი წამოწყების ჩამხშობნი" და ა. შ. ასეთი ეპითეტები ყველა მხრიდან გადმოიფრქვევა.

მაგრამ თუ საქმეს ახლოს გავეცნობით, დავინახავთ, რომ ჯერ ერთი, გადასახადზე უარი თქვეს არა მარტო მსხვილმა, არამედ საშუალო და წვრილმა ნავთობის მრეწველებმაც კი, ე. ი. ყველამ, ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე.

და მეორეც, მსხვილმა ნავთობის მრეწველებმა თავიანთი უარი ისე დაასაბუთეს, რომ უნებლიედ მის საფუძვლიანობას მაინც აღიარებ.

ნავთობის მრეწველობის მესამე ყრილობის საქმიანობის შესახებ გასული 1886 წლის[1] აპრილში ჩვენს გაზეთში დაბეჭდილი კორესპონდენციებიდან ჩანს, რომ ყრილობის წევრთა ცენზის პრინციპისა და ოდენობის შესახებ კამათის დროს მსხვილ და წვრილ ფირმებს შორის განხეთქილება მოხდა. პირველები იბრძოდნენ ყრილობაზე ხმების უმრავლესობის მისაღებად თავიანთი მწარმოებლურობის შესაბამისად და აქედან გამომდინარე მათი საწარმოო ბრუნვის ოდენობის მიხედვით, უკანასკნელნი კი არ ეთანხმებოდნენ ამ მოთხოვნას, ვინაიდან სურდათ შეენარჩუნებინათ ყრილობაზე უმრავლესობის უფლება. საერთო ინტერესებისათვის, ალბათ, შეიძლებოდა შუალედური გადაწყვეტილების გამონახვა, რომელიც ასე თუ ისე ორივე მხარეს დააკმაყოფილებდა. მაგრამ შეთანხმება ვერ მოხერხდა. გადამწყვეტი სიტყვა მაინც რიცხობრივ უმრავლესობას, ე.ი. წვრილებს ერგო. გამარჯვებულებს რომ შესძლებოდათ გამარჯვების გამოყენება, მათ საქმე აზრიანად და გონივრულად წაეყვანათ, ეჭვი არაა, თანხმობა აღდგებოდა და მსხვილი მეწარმეები იძულებული იქნებოდნენ იარა-

ღი დაეყარათ. ამისათვის საჭირო იქნებოდა განეახლებინათ სოლიდურად დასაბუთებული შუამდგომლობა გადასახადის დაკანონების შესახებ და ამასთან ერთად მსხვილი ფირმების მიმართ ზოგიერთ სამართლიან დათმობაზე უნდა წასულიყვნენ, რაც გააუქმებდა მათი პროტესტის მოჩვენებით საფუძვლიანობას.

საუბედუროდ, ნვრილმა ნავთობის მრეწველებმა ამ საქმეში არა თუ გამოიჩინეს აუცილებელი „პოლიტიკური" ელასტიურობა, არა თუ გაიელვეს, თუნდაც სპარსული პოლიტიკის ტრადიციის მსგავსად, პირიქით მიბაძეს ლეგენდარულ სოფლელ ბიჭს, რომელსაც წარმოდგენაც არ ჰქონდა, როგორ გამოეყენებინა ძალაუფლება.

—რას გააკეთებდი შენ,—ჰკითხეს ამ ბიჭს,—შენთვის რომ ძალიან, ძალიან დიდი თანამდებობა მოეცათ?

—არაფერს,—უპასუხა მან,—ვიწვებოდი ღუმელზე, ვჭამდი ღორის ქონს, მოვიპარავდი სამ მანეთს და მოვქუსლავდი!

ზუსტად ასე მოიქცნენ ჩვენი ნვრილი ნავთობის მრეწველები: არაფერი, სრულიად არაფერი არ გააკეთეს. იწვნენ, ოღონდ არა ღუმელზე, არამედ ღუმელთან, დისტილატში გადამყვან ღუმელებთან, ლოკავდნენ არა ქონს, არამედ წასასმელ ზეთს და თუ არ მოიპარეს სამი მანეთი და არ მოუსვეს, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ნავთობის გადასახადებმა არ შეადგინა სამი კაპიკიც კი. უფულოდ სად წახვალ?

თქვენ გგონიათ, მე ვხუმრობ, ვაშარჟებ. იმსჯელეთ თქვენ თვითონ.

ყრილობას აქვს საბჭოს არჩევის უფლება, რომელიც ყრილობათაშორის პერიოდში აწარმოებს ნავთობის მრეწველობის საერთო საქმეებს, ამის საფუძველზე, მესამე ყრილობამ, მსხვილი ფირმების დაძლევის შემდეგ, აირჩია საბჭო, რომელშიც მსხვილი ფირმის არც ერთი წარმომადგენელი არ მონაწილეობდა. ეს იყო ყრილობის პირველი შეცდომა. თუნდაც კონტროლისთვის იყო საჭირო საბჭოს შემადგენლობაში „ოპოზიციის" წარმომადგენლის არჩევა, 1886 წლის საბჭოს შემადგენლობაში შევიდნენ: ბ-ნები შჩასტლივცევი (თავმჯდომარე), მაჰმუდ-ბეგ ხაფლაროვი, მავსუდ-ბეგ ხანლაროვი, ვართაზაროვი, ფონ-ვეკლე და პოპოვი. ამათგან მხოლოდ ერთი პიროვნება (ბ-ნი შჩასტლივცევი) ეკუთვნოდა ნავთობის მრეწველთა რიცხვს. მაგრამ ისიც კი ნავთობის „სხვაგვარი" მრეწველია. მხოლოდ ეძიებს ნავთობს და სხვა არაფერს. სხვებს კი იოტისოდენა კავშირიც არა აქვს

ნავთობის მრეწველობასთან, არასდროს გამოუვლენიათ თავი არც ნავთობის საქმეებში, არც საერთო საქმეების წარმართვის ცოდნასა და უნარში. ადვილი შესაძლებელია, რომ ყველა ისინი შესანიშნავი და წინდახედული ხალხია, მაგრამ ბაქოში მათ არავინ იცნობს. და თუკი საქმის სათავეში დააყენებთ თუნდაც კარგ, მაგრამ ყველასათვის უცნობ ადამიანებს, ეს ნიშნავს, რომ „საბჭოს“ უკარგავ ავტორიტეტს, რაც ასე აუცილებელია როგორც ხელისუფლების, ისე ნავთობის მრეწველების თვალში. ეს იყო მეორე შეცდომა.

მესამე შეცდომა იყო საბჭოს ამ წევრების შესანახად საკმაოდ მაღალი თანხის დანიშვნა: ყრილობამ მისცა თითოეულ მათგანს 2000 მან. იმ თანხიდან, რომელიც ნავთობის გადასახადის ანგარიშში უნდა შესულიყო. მსხვილ ფირმებს საბაბი მიეცათ მასხრად აეგდოთ საბჭო და უარი ეთქვათ გადასახადის შეტანაზე: „ჩვენი ფულები ასეთი საბჭოსათვის? ეს არ მოხდება!“

და ბაქოში მთელი წელი განუწყვეტლივ მასხრობდნენ.

როგორც კი ქუჩაში გაივლიდა ან კლუბში შევიდოდა „საბჭოს წევრი“, ან რომელიმე გეტნოგენის უნივერსიტეტის „ფილოსოფიის დოქტორი“, რომელიც პირველყოფილ მდგომარეობას დაბრუნებოდა და ფრჩხილებსა და წვერს სპარსულ ყაიდაზე იღებავდა, მას შემოესეოდნენ ნავთობის მრეწველებიდან ყველაზე გესლიანები და დაუწყებდნენ გამოკითხვას აბელპენის აპარატის მოქმედების შესახებ. ის, რასაკვირველია, იბნევა ან ჩუმდება. თავისთავად ცხადია, იწყება ფხუკუნი და სიცილი...

გულიანი სიცილის შემდეგ, ნავთობის მრეწველები ახლა სხვა „ოქროსმაძიებელს“ შემოეხვევიან, რომელიც საკუთარ ქოხშიაც, ზღვის წყალშიაც ოქროს ხედავს. მას ეკითხებიან ნავთობის საქმეებზე, ის კი დაუსრულებლად პასუხობს ოქროს ქვიშის მომავალ აღმოჩენებზე... აჯიქაბულის ჭაობებში. ხუმარები სერიოზულად ურჩევენ მას გათხრები ჩაატაროს ჩილიკანეს კუნძულზე.

—მართლა?—გაშტერებული ეკითხება ის.

—ღმერთმანი, ხუმრობის გარეშე, ხომ წარმოგიდგენიათ, რამდენი ოქრო დაკარგა იქ ბ-ნმა პალაშკოვსკიმ.

ისევ სიცილი და ფხუკუნი...

ერთი სიტყვით, „საბჭოს“ სახელი გაუტყდა უფრო ადრე, ვიდრე შეიკრიბა. სრულიად არ იყო ძნელი მისი დისკრედიტირება, ვინაიდან თვითონ მოახერხა ამის გაკეთება.

უპირველეს ყოვლისა, წლინახევრის განმავლობში ის მხოლოდ ერთხელ შეიკრიბა! შეიკრიბა და დაადგინა: ფულის უქონლობის გამო, საბჭოს წევრების კუთვნილი ჯამაგირი, წელიწადში 2000 მანეთი, ჩაითვალოს ვალად შემდგომი შემონატანის ხარჯზე. გესმით: პირველივე თანხა, რომელსაც ნავთობის მრეწველები შეიტანენ ნავთობის გადასახადის ანგარიშზე, მოხმარდება არა მრეწველობის რაიმე საერთო გასაჭირს, არამედ წავა ჩვენს ჯიბეში. „სამი მანეთი და მოვქუსლავ!"

და ამის შემდეგ საბჭო არც ერთხელ, სულ არც ერთხელ, არასდროს აღარ შეკრებილა, არავითარი საკითხები არ დაუყენებია, არ უმსჯელია, არ შეუსწავლია.

—„არ არის ფული, არ არის საბჭო!" „და მსხვილი ნავთობის მრეწველებს ხომ სწორედ ეს უნდოდათ",—გაიფიქრებთ თქვენ. გაიფიქრებთ და შეცდებით

შეიძლება დასაწყისში კიდეც უნდოდათ. მაგრამ თანდათან, მდგომარეობის შეცვლასთან ერთად, შეიცვალა საქმისადმი მათი დამოკიდებულებაც. გამწვავდა ნავთობის გაყვანილობის საკითხი. ყრილობა არ არის, ნავთობის მრეწველობას კი უსათუოდ ესაჭიროება, რომ თავისი აზრი გააგებინოს მთავრობას. ნავთობის მრეწველობის აღიარებული ორგანო—„საბჭო" კი უმოქმედოდაა. მსხვილიცა და წვრილი ნავთობის მრეწველებიც ეცნენ საბჭოს. „გვიხსენი, გვიხელმძღვანელე, დაგვიფარე და დაგვლოცე!" მაგრამ საბჭოს კვალსაც ვერ მიაგნეს. სად არის? ეძებენ მის წევრებს.

ბევრი ძიების შემდეგ გამოირკვა, რომ ერთი მათგანი გაემზავრა მემკვიდრეობის მისაღებად და მოისვენა წინაპრების დანაზოგზე, მეორე ოქროს საბადოებს ეძებს არარატის მთაზე, მესამე საინტენდანტო სამსახურის უფროსის მიერ მივლინებულია კასპიის იქითა მხარეში. ერთადერთი ნავთობმრეწველი ბ-ნი შჩასტლივცევი—თავისი სურვილით გაემგზავრა პიტერში და ნავთობის მრეწველთა სახელით, როგორც მათი საბჭოს წარმომადგენელი, შუამდგომლობს, რათა სწრაფად გადაწყვიტონ ნავთობის მილების მშენებლობა!.. გესმით: ნავთობის მრეწველებს ისე უნდათ ნავთობის მილების გაყვანილობა, როგორც ეშმაკს ზიარება, და მათი საბჭოს თავმჯდომარე კი, მათი სახელით დადის პეტერბურგის ყველა ინსტანციაში და თხოულობს ბ-ნ ილიმოვს მისცენ ნავთობის მილების გაყვანილობის უფლება!

თავისთავად ცხადია, ყრილობისა და საბჭოს ამგვარი შეცდომების გამო, ნავთობის თვითმმართველობასაც და ნავთობის გადასახად-

საც სახელი გაუტყდა ყველა ნავთობმრეწველის თვალში. გასაგებია, აგრეთვე, რომ ის მომხიბლავი სურათები, რომელიც ზემოთმოყვანილ სიტყვაში გვეხატებოდა და რომელიც გადასახადის სარგებლიანობასა და აუცილებლობას ეხებოდა, ნავთობმრეწველთა უმრავლესობას შეიძლებოდა და კიდეც უნდა მოჩვენებოდა ფანტაზიად, კიდეც გაუცრუვდა იმედები და უღალატა მათ ინტერესებს. აგრეთვე გასაგებია, რომ მომავალში მათ ვერავითარ ახალ გადასახადებს ვერ გამოართმევ და „ერთობლივ საქმიანობას“ ჯოხითაც ვერ აიძულებ...

სამწუხარო კია. სამწუხაროა, რომ არ შეგვიძლია ხელიხელჩაკიდებული სიარული, არ ვიცით სხვისი უფლებებისა და ინტერესების პატივისცემა და ამიტომ სხვებსაც ვერ ვაიძულებთ პატივი სცენ ჩვენ საკუთარ უფლებებსა და ინტერესებს. ამაში, ჩვენი თავისა და ჩვენი პრესის გარდა, სხვა არავინაა დამნაშავე, რომელიც ან ვერ ხედავს ან არ სურს დაინახოს მსგავსი შეცდომების მთელი სერიოზულობა.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ეს შეცდომები არაა გამოუსწორებელი, რომ ჯერ კიდევ დრო გვაქვს გამოვასწოროთ მათი შედეგები და კვლავ მყარად დავადგეთ გზას, რომელიც ნავთობმრეწველთა პირველმა ყრილობამ დაგვისახა. ღმერთმა ინებოს!

8. ჩვენი სათავადაზნაურო სკოლები

თბილისისა და ქუთაისის მიხაილოვსკის სათავადაზნაურო სამინათმოქმედო ბანკების წესდების თანახმად, მათი სუფთა მოგების ორმოცდაათი პროცენტი ყოველწლიურად უნდა დაიხარჯოს „მინისმფლობელი და მინის მოქმედი წოდების საჭიროების დასაკმაყოფილებლად“. ეს თუ ყველაზე სასარგებლო არა, უდაოა, რომ ყველაზე სიმპათიური მხარეა ამ ორი ბანკის მოღვაწეობისა. თუმცა ისიც სიმართლეა, რომ ჩვენი სამინათმოქმედო ბანკების დამაარსებელი თავადაზნაურობის უპირველესი კეთილშობილური და სულგრძელი აზრი, ამ დაწესებულებიდან მომდინარე სიკეთეს დაუკავშირონ მინისმფლობელი წოდებაც, რომლის საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების გარეშე წარმოუდგენელია თავადაზნაურობის კეთილდღეობის გაუმჯობესება, სინამდვილეში დავიწყებული და წაშლილი იქნა. სინამდვილეა ისიც, რომ ბანკის ამა თუ იმ თანამდებობის კანდიდატები ამომრჩეველ თავადაზნაურობას თავზე ხელს უსვამდნენ

და ამის გამო მიწისმფლობელმა წოდებამ აქამდე არც ერთი ბანკიდან და არც მეორედან ჩალის საფასურიც კი ვერ მიიღო. მაგრამ მიუხედავად ამისა, ეჭვგარეშეა, რომ ორივე ბანკის სუფთა მოგების ორმოცდაათი პროცენტის საერთო საჭიროებისათვის ასიგნება, თუნდაც მხოლოდ თავადაზნაურთა წოდებისათვის, ყველა თვალსაზრისით, უაღრესად სასარგებლო საქმეა.

ჩვენი ორივე ბანკის ხელმძღვანელობა, აქ სრული სიმართლე უნდა ითქვას, ყოველთვის არ უსვამდა თავზე ხელს თავიანთ ამომრჩევლებს. თუ მათ არ შეეძლოთ ან არ სურდათ სასწორზე შეეგდოთ თავიანთი არჩევის ბედი მიწისმოქმედი წოდების ინტერესების საკითხის განხილვის დროს. სამაგიეროდ გამონახეს შესაძლებლობა გონივრულად წარემართათ თავიანთი ამომრჩევლების გადაწყვეტილებანი თანხის საერთო სასარგებლო წამოწყებათა დასაფინანსებლად. უნდა გვახსოვდეს, რომ ამომრჩეველი თავადაზნაურობა მეტისმეტად დახარბებული იყო იმას, რომ სუფთა შემოსავალი უბრალოდ „გაჭირვებულ თავადაზნაურებს" შორის გაენაწილებინათ. ამა თუ იმ აზნაურმა ვერ გაართვა საქმეებს თავი, ან სახლი ჰქონდა შესაკეთებელი, ანდა მევალეები ახრჩობდნენ და, აი, მიდის ბანკში „ბანკის შემოსავლიდან" დახმარების სათხოვნელად. საკმარისი იქნებოდა მას ბანკის კრებაზე მოეყვანა ოცდახუთიოდე ნათესავი, საქმე მის სასარგებლოდ გადაწყდებოდა. ეს კი ბანკს სერიოზულ საფრთხეს უქმნიდა. ამ გზით ბანკის მთელი შემოსავალი, საზოგადოებრივ საჭიროებაზე რომ იყო ასიგნებული, შეიძლება მთლიანად გაფლანგულიყო. ჩვენი ბანკების ხელმძღვანელობა ამგვარ ტენდენციას წინ აღუდგა. მათ დიდი გაჭირვებითა და ვაივაგლახით შესძლეს დაერწმუნებინათ ამომრჩევლები, არ დაეშვათ ასეთი მათხოვრობა. ხანგრძლივი დროის მანძილზე ყოველი ღონე იხმარეს და ბოლოს, საბედნიეროდ, მიაღწიეს იმას, რომ ამომრჩევლებს შთააგონეს საკმაოდ გონივრული და მკაცრად განსაზღვრული პრინციპი: რომ ყველაფერს არ მიედ-მოედონ, რომ უნაყოფოდ არ გაფლანგონ ბანკის შემოსავალი, რომ ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში ბანკმა დატოვოს წარუშლელი კვალი, რისთვისაც საჭიროა მისი სუფთა შემოსავლის ნახევარი გამოყენებული იქნას ერთი რომელიმე საზოგადოებრივად სასარგებლო საქმისათვის და მთელი ძალ-ღონე მიმართული იყოს მის სწორად მოწყობაზე. ჩვენ არც ისეთი მდიდრები ვართ, რომ რისკი გავწიოთ, ერთდროულად

რამდენიმე საქმეს მოვკიდოთ ხელი და ვეღარ ვეღირსოთ მათ დამთავრებას. ჯობია ერთ რომელიმე საქმეში მივაღწიოთ წარმატებას.

საქმის ასე გადაწყვეტა იმდენად მოეწონა მთელ თავადაზნაურობას და იგი მართლაც იმდენად ნაყოფიერი და გონივრული იყო, რომ ასეთი გადაწყვეტილების წინაშე ყველამ თავი დახარა და დაიოკა თავისი ეგოისტური მისწრაფებები, ბანკის შემოსავლის ნაწილით პირადად მას ესარგებლა. ამ საქმის საზოგადოებრივმა სარგებლიანობამ და აუცილებლობამ ძირშივე აღმოფხვრა ბანკის ამომრჩეველთა მიერ მისი შემოსავლის დატაცების სურვილი.

რაა ამ საქმეში სასიკეთო? ძირითადად იმ სკოლების დახმარება, რომელთაც უნდა მოამზადონ თავადაზნაურთა ბავშვები საშუალო სასწავლებლებში შესასვლელად. საჭიროა კი იმაზე ლაპარაკი, რამდენად აუცილებელი იყო ამ საქმის წამოწყება და რამდენად სასარგებლოა იგი ჩვენი თავადაზნაურობისათვის, რომლებიც სოფლებში ცხოვრობენ და რომელთაც არ ჰქონდათ არავითარი საშუალება მოემზადებინათ ბავშვები ისეთ სასწავლებლებში შესასვლელად, სადაც შეეძლებათ განათლება მიიღონ.

და, აი, თბილისისა და ქუთაისის სათავადაზნაურო სამინათმოქმედო ბანკების გვერდით წარმოიშვნენ და არსებობენ თითო-თითო „სათავადაზნაურო სკოლა". თბილისის სკოლა მოთავსებულია განსაკუთრებულ დაწესებულებაში „თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა ახალგაზრდობის განათლების ხელშემწყობ საზოგადოებაში", ქუთაისის კი „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში". თავადაზნაურთა რამდენიმე ასეული ბავშვი ღებულობს ამ სკოლებში მოსამზადებელ განათლებას. და ორივე ბანკის სუფთა შემოსავლის ნახევარი თითქმის მთლიანად ამ სკოლების შენახვასა და მათ არსებობაზე იხარჯება.

ჩვენ არ გვინდა აქ შევეხოთ საკითხს, ამ სკოლებში ფრიადზეა დაყენებული განათლების საქმე, კარგად მიდის, დამაკმაყოფილებლად თუ ცუდად. ეს კერძო საკითხია, რომლის განხილვა „ზემოთქმულისგან გამოცალკევებით შეიძლება". ჩვენ ამჟამად გვაინტერესებს: რა მდგომარეობაში აღმოჩდნენ ეს სკოლები მას შემდეგ, რაც გამოიცა სახალხო განათლების მინისტრის ამა წლის 18 ივნისის ცირკულიარი.

---

[1] დესეტინა მიწის მინიმალური ღირებულება ჩვენში 500, 600 და მეტ მანეთს შეადგენს (ავტ. შენიშვნა).

ეჭვგარეშეა, რომ ამ ცირკულიარის წინ გაცემულმა განკარგულებამ, გაუქმდეს გიმნაზიებში მოსამზადებელი კლასები, არათუ არ შეამცირა ჩვენი სათავადაზნაურო სკოლების მნიშვნელობა, არამედ გაზარდა მისი სარგებლიანობა და აუცილებლობა. თუ ეს სკოლები მაშინაც კი იყო საჭირო, როცა სახელმწიფო გიმნაზიებში მოსამზადებელი კლასები არსებობდა, მათ კიდევ უფრო დიდი სარგებლიანობა შეუძლიათ მოიტანონ გიმნაზიებში მოსამზადებელი კლასების გაუქმების შემდეგ. ისინი კიდევ უფრო აუცილებელი არიან თავადაზნაურობისათვის. მაგრამ მინისტრის 18 ივნისის ცირკულიარი ამ მდგომარეობას ცვლის.

ამ ცირკულიარის აზრი და გული ისაა, რომ გიმნაზიებში და უნივერსიტეტებში არაშეძლებული ოჯახის შვილები არ იქნენ მიღებული. მაგრამ ჩვენი თავადაზნაურობის უდიდესი ნაწილი უდაოდ „არაშეძლებულ კლასებს" განეკუთნება. ამიტომ მათმა შვილებმა, რომლებსაც სათავადაზნაურო სკოლებში შეიყვანენ, ტყუილად უნდა დაკარგონ დრო მომზადებაზე, რადგან გიმნაზიებში, რომლებისათვისაც ამზადებენ მათ სათავადაზნაურო სკოლები, მათთვის კარი დახურული იქნება. მე მგონი, ამ აზრის განვითარება საჭირო არაა.

აქედან დასკვნა მარტივი გამოსატანია. ჩვენ შორსა ვართ იმ აბსურდული აზრისაგან, მთლიანად გავაუქმოთ სათავადაზნაურო სკოლები. მხოლოდ იმას ვამტკიცებთ, რომ ისინი უნდა შეეგუონ იმ ახალ პირობებს, მინისტრის ცირკულიარი რომ ქმნის. შეგუება კი შეიძლება ორი გზით: ან ეს სათავადაზნაურო სკოლები გადავაქციოთ სრულ კერძო გიმნაზიებად, რა თქმა უნდა, თუ სახალხო განათლების მინისტრს გამოვთხოვთ იმის ნებას, რომ მათ მიენიჭოს გიმნაზიის უფლებები, ანდა გადავაქციოთ ისინი დამოუკიდებელ პროფესიულ სასწავლო დანესებულებებად სრული და დამთავრებული კურსით.

ერთი ან მეორე გადაწყვეტილების არჩევა დამოკიდებულია უამრავ გარემოებაზე და მოსაზრებაზე, რომელთაც უთუოდ უნდა გაეწიოს ანგარიში. მაგრამ როგორიც უნდა აღმოჩნდეს ეს გადაწყვეტილება, ერთი რამ უდაოა, გაჭიანურებას ვერ ითმენს: აუცილებელია ახლავე გადავხედოთ და გადავაკეთოთ ორივე ჩვენი სათავადაზნაურო სკოლის მეცადინეობის სასწავლო გეგმები. უთუოდ საჭიროა მათი „მოსამზადებელი" ხასიათი რაღაც სხვით შევცვალოთ.

9. ტყიბულის საქმე

(ნაწყვეტი გამოუქვეყნებელი რომანიდან)

...ცხადი გახდა, რომ ჩავფლავდი, რომ ყველა გათვლა ჩემს კომპანიონებზე, რომლებსაც ასე მხურვალედ გაუნიეს რეკომენდაცია პარიზიდან და პეტერბურგიდან, ფუჭი გამოდგა. ერთ-ერთი ამ ბატონთაგანი საერთოდ გაქრა ჰორიზონტიდან. მეორემ—ინგლისს—საფრანგეთის საზოგადოების ფოთი—თბილისის რკინიგზის დირექტორმა, ინჟინერმა ფილიპ კრემერმა ჩემთან დადებული ხელშეკრულების პასუხისმგებლობისა და მოსალოდნელი მძიმე შედეგების გამო იჩქარა და თავისი მამულები და სიმდიდრე ნათესავების სახელზე გადააფორმა. აი, რეზულტატი „სიფრთხილისა," ცნობების შეკრება, სურვილი იმისა, რომ არაფერი ყოფილიყო დამყარებული რისკსა და შემთხვევითობაზე, ყველაფერი განმეჭვრიტა, ყველაფერი გამეთვალა, მეფიქრა მხოლოდ ნამდვილ, უეჭველ შედეგზე, წყალში ჩაიყარა. დაიჯერე ახლა ამის შემდეგ გათვლების ამბავი. ამაზე უარეს შედეგს ნეტავ რომელი უგუნური რისკი მომიტანდა?! ზურგზე ათასობით ვალი მაწევს, წინ კი სქელი ნისლია მხოლოდ.

მივმართე ყველაზე მდიდარ კაპიტალისტებს, რომლებიც თავიანთი სიმამაცით და გულისხმიერებით იყვნენ გამორჩეულნი. ყველას კარები იმწამსვე უყოყმანოდ იღებოდა, ყველანი, შეთქმულებივით, თავაზიანად მთავაზობდნენ მათ კაბინეტში ტყავის სავარძელს და თითქმის ერთნაირი ხმით მეკითხებოდნენ:

—ვის უნდა ვუმადლოდე პატივს თქვენი გაცნობისა?

—არავის, იცით, მე საქმე მაქვს...

მოსაუბრეთა ტონი მყისვე იცვლებოდა.

—მაპატიეთ, ცნობილი პირების ან მეგობრების რეკომენდაციის გარეშე, ჩვენ არავის ვუსმენთ.

—დიახ, მაგრამ ჩემი საქმე თვითონვე იძლევა რეკომენდაციას...

—გვაპატიეთ, ეს ჩვენი „პრინციპია."

პირველ ბანკირს ვუპასუხე, რომ ეს „უცნაური პრინციპია." მეორეს ოფენბახის სიტყვებით მივახალე: „სულელური წესია." მესამეს უკვე არაფერიც აღარ ვუთხარი, მხოლოდ მწუხარებისაგან გადავაფურთხე, მივხვდი, რომ რეკომენდაცია უნდა მეძებნა, ვინმეს გავცნობოდი ან ძველი ნაცნობობა აღმედგინა.

გამახსენდა, პარიზში ბევრს ვიცნობდი, ლათინურ კვარტალში სწავლის რვა წლის მანძილზე უამრავი ნაცნობი და მეგობარი შე-

ვიძინე. მათი სახელები შემდეგში ხშირად მხვდებოდა პრესაში. მაგრამ მათი საშუალებით კაპიტალისტების ნდობის მოპოვება თავიდანვე აბსურდად მომეჩვენა, ყველა ჩემი ნაცნობი პირნავარდნილი რადიკალი იყო, 1872 წელი კი რეაქციის მძინვარების წელი გახლდათ ყველასთვის, მათ შორის კაპიტალისტებისთვისაც.

და ბოლოს, ჩემი არჩევანი ნაცნობებიდან ყველაზე უსახელო და არაკომპრომენტირებულ, უიღბლო გამომგონებელ ინჟინერ ლაფრონზე შევაჩერე. ვუამბე ჩემი გასაჭირი და დახმარება ვთხოვე. ერთი ნათესავი ჰყავდა, სახელად დენერი, ორლეანის რკინიგზის თავმჯდომარე, მართალია, მასთან იმ დროს კარგი დამოკიდებულება არ ჰქონდა, მაგრამ მაინც, მიუხედავად ამისა, ლაფრონმა დენერთან წამიყვანა.

მივედით მოხუცთან, რომელიც თავისი გარეგნობითა და საუბრის მანერით „პერგამენტის ადამიანებს" განეკუთვნებოდა, იყო კარგი შემსრულებელი, ალბათ კეთილი, მაგრამ მისგან არც სიკეთის და არც ბოროტების მოლოდინი არ უნდა გქონოდა. ლაფრონი მიიღო, როგორც უძღები შვილი მონანიებამდე, მე კი დიდი პატივითა და თავაზიანობით, რითაც საერთოდ გამოირჩევიან ფრანგი არისტოკრატები და ამით ჩვენსა და მათ შორის ყინულის კედელს აღმართავენ ხოლმე, მაშინვე მივხვდი, კედელი უნდა გამენგრია:

—მე უცხოელი ვარ და არცთუ ბევრს ვიცნობ პარიზში. მხოლოდ ჩემს თანაკლასელს, თქვენს ძმისშვილს უნდა ვუმადლოდე, რომ რჩევისათვის აქ მოვხვდი, თქვენთვის ალბათ ცნობილია, რომ ფოთი-თბილისის რკინიგზის კომპანიის ორმა დირექტორმა ჩემს მიმართ გამოუსწორებელი სისაძაგლე ჩაიდინა,—შევატყვე, რომ კომპანიაზე არცთუ კარგი წარმოდგენისა იყო.

ვლაპარაკობდი გულითადად, ცხარედ, სწრაფად, მეშინოდა, არ გამაწყვეტინოს-მეთქი, არ თქვას, რა ჩემი საქმეაო, მაგრამ იგი ყურადღებით მისმენდა, მეც აღვუწერე რა „საუცხოო" საქმეში ვიყავი გაბმული, მაგრამ ჯერ კიდევ შეიძლებოდა იმ მდგომარეობიდან პატივით გამოსვლა, რაც შეეხება მოდას, მას არასდროს გამოვდევნებივარ, საქმე სუფთა, პატიოსანი და სასარგებლოა. იგი ჯერ კიდევ 30 წლის წინათ რეკომენდირებული იქნა აკადემიკოს აბიხომის მიერ, ასევე სამთო ინჟინერ ანტიპოვისაგან გერმანულ სამეცნიერო ჟურნალში და ა. შ. ტყუილად კი არ დავიწყე ეს საქმე...

დენერი ჩაფიქრდა. მოხუცებულობის ასაკში და ალბათ ახალგაზრდობაშიც ადვილი არ იყო მისთვის ფიქრი და გადაწყვეტილების მიღება.

—ახალგაზრდავ—ამოღერღა მან ბოლოს, ჩვენი პარიზული საფინანსო სამყარო, დიდიდან პატარამდე, უნდობლობით ეკიდება უცხოელ მეცნიერებს. მათთვის ნებისმიერი ფრანგი ინჟინერი, რომელიც ფრანგული „სამთო სკოლის" დიდებულთათვის ნაცნობია, უფრო სანდოა, ვიდრე თვით ჰუმბოლტანი, უპირველესად თქვენ გჭირდებათ „რაპორტი" ადგილზეევე შედგენილი ფრანგი ინჟინერ მინერალოგის მიერ მისივე ხელმოწერით და შემდეგ ვნახოთ.

ადვილია ამის თქმა, მაგრამ შესრულება?

ქუთაისში, რა თქმა უნდა, სხვადასხვა დროს ცხოვრობდნენ ფრანგები, მაგრამ ისინი იყვნენ გუვერნანტკები, ფრანგული ენის მასწავლებლები, მეფუნთუშეები, ნუთუ ფოთი—თბილისის რკინიგზის სამსახურში შეიძლება მოიძებნოს სამთო ინჟინერი? თუ ასეთი ვინმე არსებობს, მას დავუკავშირდები და მისგან მივიღებ „რაპორტს," ვიცოდი, რომ ამ რკინიგზის ერთ-ერთი გავლენიანი და მდიდარი აქციონერი ცნობილი ჟურნალისტი ემილ დე ჟირარდენი იყო. სწორედ მასთან გავემართე, თითქოს განგებ, იგი კანტორაში არ დამხვდა. კანცელარიის ბიუროკრატმა მოხელეებმა კი არ მომცეს ცნობა იმის თაობაზე, ირიცხებოდა თუ არა მათ შტატში კავკასიაში სამთო ინჟინერი.

იძულებული გავხდი ჟირარდენს სახლში ვწვეოდი. მას ელისეს მინდვრებზე ჰქონდა სასახლე. გზაში ჩემს სავიზიტო ბარათზე სიტყვა ჟურნალისტი დავბეჭდე, ჟირარდენს სავიზიტო ბარათი ჰაიდუკის ხელით შევუგზავნე. ასეთებს თვით გერმანელ დიდ ჰერცოგებთანაც ვეღარ შეხვდებით, ჰაიდუკმა პასუხი მაცნობა:

—ხვალ ხუთ საათზე მობრძანდით.

—დილით?

—რა თქმა უნდა.

სათქმელად ადვილია, მაგრამ ჟირარდენთან რომ ხუთი საათისათვის მივსულიყავი, ჩემი ბინიდან, რომელიც საჯარო ბიბლიოთეკასთან იყო, სულ მცირე ოთხის ნახევარზე უნდა გამოვსულიყავი, უმჯობესი იქნებოდა საერთოდ თუ არ დავიძინებდი.

ზუსტად ხუთ საათზე ჟირარდენმა თავის კაბინეტში მიმიწვია. თვალებად ვიქეცი— მთელ კედელზე თაროები წიგნებით გახლდათ სავსე. თაროებს ზემოთ კი განთქმული მხატვრის შესანიშნავი ქმნილებები იყო წარმოდგენილი. ფანჯრის მახლობლად, საწერ მაგიდასთან ჟორჟ სანდის ნატურალური ზომის მარმარილოს ქანდაკება იდგა—კლეზინგერის ნამუშევარი.

—ეს მან თვითონვე მაჩუქა—მითხრა ჟირარდენმა, როცა ქანდაკებისადმი ჩემი ინტერესი შეამჩნია.

—გასაოცარი შერწყმაა სიკეთისა და გამჭრიახობისა—შევნიშნე მე.

—დიახ, მხოლოდ ქალები არიან ასეთი კეთილები, მიუხედავად მათი ჭკუისა.

—თქვენ ასე ფიქრობთ?

პასუხის მაგივრად მან გამგმირავი მზერა შემომაგება. აქ პირველად მივაქციე ყურადღება მის გარეგნობას: მოუსვენარი, მოპარპალე თვალები მხოლოდ ცნობისმოყვარეობით იმზირებოდნენ, არავითარი ირონია ან სარკაზმი, მე ის კოლექციონერი მეგონა,—აზრებისა და ძვირფასი ნივთების კოლექციონერი, რომელიც აგროვებს ყველაფერ საინტერესოს, ფუთავს, მერე ხსნის, თვალს ავლებს, სხვებსაც აძლევს მათი შეხების საშუალებას, შემდეგ კი დიდ ფასებში ჰყიდის და ისევ ახალი კოლექციის შეგროვებას იწყებს. ახლა კი მეც მათვალიერებდა, ალბათ ფიქრობდა, რომელი ხორთუმიანისათვის მივეკუთვნებინე და ღირდა თუ არა ჩემი კედელზე მიკვრა, მილურსმვა.

რა თქმა უნდა, მე უფრო სერიოზულად მაინტერესებდა იგი, ვიდრე მას მე, ამიტომ უფრო ყურადღებით ვათვალიერებდი.—საკუთარი გაზეთი არა მაქვს—დაიწყო მან უეცრად—წერილებს ჩემი ძმისშვილის გაზეთ „ლიბერტეში"[9] ვაქვეყნებ დროდადრო. მიუხედავად ამისა, რედაქციის თანამშრომლების ყურადღებით ვსარგებლობ და შემიძლია „ლიბერტეში" დავაბეჭდვინო...

როგორც ჩანს, მას ეგონა, რომ რედაქციაში სტატიის დაბეჭდვა მინდოდა და მისი პროტექცია მჭირდებოდა.

—ბოდიში—შევაწყვეტინე მე—ასეთ პატივს არ ვეძებ, მე მოვედი გავიგო, გყავთ თუ არა სამთო ინჟინერი კავკასიაში?

—აა, თქვენ კავკასიიდან ხართ? შეცდა, რომ არ დაგვიჭირა რუსეთმა გასულ წელს მხარი! იგი მალე ნახავს, რა დიდი შეცდომა ჩაიდინა, როცა პრუსიელებს მისცა საშუალება, ფრანგები გაეჭეჭყათ. ახლა გერმანია თქვენ დაგესხმებათ...

ყველაფერი ეს ერთი ამოსუნთქვით თქვა და არ მომცა საშუალება, სიტყვა მაინც ჩამეკვეხებინა, სანამ ლაპარაკი არ დაასრულა.

—მე ვფიქრობ, რომ არ არსებობს და არც იარსებებს მიზეზი, რომლის გამოც გერმანია რუსებს წაეკიდება, პირიქით, არსებობს მიზეზი ამ ორი იმპერიის ერთმანეთთან დასაკავშირებლად.

ჟირარდენი ადგილიდან წამოხტა:

—სად არის ასეთი ინტერესი?

—ავსტრიის განაწილებაში თურქეთის შემდგომ, ანდა პირიქით, თურქეთისა ავსტრიის მერე...

ჟირარდენმა ცოცხლად და დანდობით დაიწყო სიარული და როცა ოთახის მეორე ბოლოში მივიდა, მისი ნაბიჯების ხმა თითქმის აღარ მესმოდა, თვითონ ისიც სულ პაწაწინა მომეჩვენა, იმდენად გრძელი იყო კაბინეტი.

ჩვენმა საუბარმა არაჩვეულებრივი ცხოველმყოფელობა შეიძინა. კამათს აღარ შევეხები—სამი წლის შემდეგ, 1875 წელს, ჩვენი შეხედულებები გაზეთ **„La France[10]“**-ში დაბეჭდა.

მე მოხიბლული ვიყავი სამოცდაათი წლის მოხუცის ენერგიითა და ბრწყინვალებით, რომელმაც თავის საუკუნეში უამრავი მინისტრი და ხელისუფლება გამოიცვალა, მის გონებაში ელვისებურად წარმოიშობოდა აზრები და შეხედულებები და მეც ამას ვაკვირდებოდი და არა იმას, რომ კამათში ჭეშმარიტებისათვის მიმეკვლია.

მისვლიდან სამი საათის შემდეგ, შევაწყვეტინე საუბარი და მისვლის მიზანი შევახსენე, „ხომ არ მუშაობს თქვენთან, ფოთი—თბილისის რკინიგზაზე ვინმე ფრანგი სამთო ინჟინერი?

—მსახურობს, მაგრამ თქვენ რაში გჭირდებათ?

—იცით, იქ სამთო საქმე მაქვს და მინდოდა მეთხოვა ჩასვლა ქვანახშირის მაღაროს შესამოწმებლად.

—მოითმინეთ, განა ტყიბულის ქვანახშირის მაღაროს გარდა, კიდევ არის კავკასიაში ქვანახშირის მაღარო?

—სწორედ ტყიბულის მაღაროა ჩემი—კეთილმოსურნედ ვუპასუხე.

—როგორ შეიძლება თქვენი იყოს, როცა ის ჩვენს საკუთრებას წარმოადგენს —გაიოცა მან.

—ვინ გითხრათ?—შევეკითხე მე.

—ბატონმა ნოვოსელსკიმ.

—ბატონი ნოვოსელსკი უბრალოდ შეეცადა,—ვუთხარი მე—ის მართლაც აპირებდა მაღაროს ყიდვას, მოელაპარაკა კიდეც რამდენიმე

მფლობელს, მაგრამ დადგენილ დროში ვერ ჩაეტია და უფლება დაკარგა. ახლა მაღარო ჩემს მიერაა შესყიდული, თქვენი ორი დირექტორის რჩევით, რომლებმაც აღმითქვეს, რომ ამ საქმესთან დაკავშირებულ ყველა ფულად პრობლემას მოაგვარებდნენ, მაგრამ გამაცურეს... ჟირარდენი ყურებს არ უჯერებდა.

—მოითმინეთ, მოითმინეთ—ყმაწვილივით აენთო იგი.

—მე და ჩემი მეგობარი დეპუტატი, მენე-სანტ-ეტეპეს მაღაროს მფლობელი, დაინტერესებული ვართ ამ საქმით. გენერალმა ნოვოსელსკიმ ეს მაღარო ჩვენი ფულით იყიდა. როგორ მოხდა, რომ არაფერი გაგვაგებინა, თურმე ეს მამული დაკარგა?

—მართლაც არ ვიცი. მას ჩემთან სასამართლოში მოუწევს პასუხის გაცემა. ალბათ მოგების იმედი აქვს. ან სხვა ნაკვეთის ყიდვას აპირებს. ტყიბულში მიწების მეტი რა არის. იქნებ მაშინ შეგატყობინოთ.

—ჩვენ მას მივწერთ ამის თაობაზე.

—ახლა, ნუთუ არ შეიძლება ჩემს კითხვაზე მიპასუხოთ?

—ჰო, მართლა, სულ დამავიწყდა. რა თქმა უნდა, ჩვენ ტყიბულში გავგზავნეთ ფრანგი სამთო ინჟინერი მარსელო დიულიქსი. ის დაბრუნდა და ვრცელი ანგარიში წარმოადგინა, მაგრამ რედაქტირება ვერ მოასწრო. კომუნარებში გაერია და ახლა ციხეში ზის, ალბათ გადაასახლებენ. მან თვითონ შემოგვითვალა—არავითარ რაპორტს არ მოგცემთ თუ ციხიდან არ გამათავისუფლებთო. მისი გათავისუფლება კი შეუძლებელია.

გამოვეთხოვე და პირდაპირ ვერსალს მივაშურე, ამ განზრახვის შესრულების შეუძლებლობა მხოლოდ ვერსალისკენ მიმავალ მატარებელში გავიაზრე, თანაც ამას თუ გააზრება ჰქვია, აზრი საერთოდ არ მქონდა თავში, ჯერ უიმედობის, მერე ჟირარდენთან დამღლელი კამათის გამო, ათასგვარი ოცნება თუ ხილვები მიტრიალებდა გონებაში: თითქოს მე მარსელო საველე სასამართლოსგან უნდა მეხსნა და ამიტომ ცეცხლოვანი სიტყვაც წარმომეთქვა, მაგრამ გამახსენდა, რომ ჩემი ცეცხლოვანი დაცვა ერთხელ ერთ ბრალდებულს 8 წლის კატორღად დაუჯდა. წარმოვიდგინე, ვითომ ერთკაციანი ეტლით გადაჰყავდათ იგი ვერსალიდან სატორში, როგორც როსელი. ჩვენ ხუთნი, დარდიმანდები, თავს ვესხმით ეკიპაჟს, ვათავისუფლებთ ინჟინერს რაპორტთან ერთად და ჭენებით მიგვყავს იგი ქუთაისში. ასე ვფიქრობდი, სანამ მატარებლის რიტმულ დაგა-დუგში არ ჩამეძინა.

ვერსალში მხოლოდ ის გავიგე, რომ მარსელო დიულიქსის ნახვა ადამიანურ შესაძლებლობებს აღემატებოდა და რომ მის შესახებ ცნობებს მხოლოდ ნათესავებისგან თუ მივიღებდი, რომელებსაც იშვიათად, მაგრამ მაინც ჰქონდათ მიმოწერა ერთმანეთთან ციხის უფროსების ნებართვით, მათი მისამართის ჩაწერის შემდეგ, პარიზში დაბრუნდი.

ნათესავებმა ერთი კვირის შემდეგ ასეთი პასუხი მიიღეს: „რა დროს ტყიბულის საქმეა, ვისაც ჩემი რაპორტი აინტერესებს, ჯერ ჩემს გათავისუფლებას უნდა მიაღწიოს. მხოლოდ მაშინ იქნება რაპორტი და მეც მის მსახურად მიგულვეთ. ჯერჯერობით კი თავი დამანებეთ, უთქვენოდაც გული მიწუხს!“

ამასობაში გამოვიძინე, გამოვცოცხლდი, აზრები მოვიკრიბე, შექმნილი მდგომარეობიდან გამოსვლის გეგმა შევადგინე.

მეორე დილით, გეგმის შედგენის შემდეგ, გამოვცხადდი ვერსალში და შევიტყვე პრეზიდენტი სასეირნოდ იყო გასული და, მას აუცილებლად მოახსენებდნენ ჩემი პეტიციის შესახებ და პასუხს სახლში შემატყობინებდნენ. გამოვთქვი სურვილი დალოდების, რადგან დრო მქონდა, არსად მეჩქარებოდა. მისაღებში შემიყვანეს, დილის 6 საათი იყო.

რამდენიმე წუთში უდაბურ პირქუშ დარბაზში გაისმა ლეგენდარული ნამცეცა მოხუცის ფრთხილი ნაბიჯების ხმა. გაფუებული, ვარდისფერი, გასული რაკუნტის დიდი ვერცხლის სათვალეებით და კეფაზე ჭაღარა თმის ბღუჯით, თვითკმაყოფილი ღიმილით მიახლოვდებოდა იმ დროისთვის ყოვლისშემძლე მმართველი საფრანგეთისა ტიერი. მისთვის ჩემს შესახებ ჯერ კიდევ არ მოეხსენებინათ.

—თქვენ ჩემთან ხართ?—მეგობრულად მკითხა მან.

—თქვენთან, ბატონო პრეზიდენტო—ვუპასუხე მე—გთხოვთ შეხვედრას ერთი საბრალო ახალგაზრდის შუამდგომლობასთან დაკავშირებით...

—რა თქმა უნდა, კომუნის საქმეებთან დაკავშირებით?

—დიახ, ბატონო პრეზიდენტო! მე ვიცი, რომ თქვენ ეროვნულმა კრებამ ჩამოგართვათ უფლება შეწყალებისა და, მიუხედავად ამისა, გთხოვთ მომისმინოთ. ტიერმა იგივე თავდაჯერებულობით, იმავე ღიმილით, მაგრამ თვითმყოფადი პატრიარქალური უბრალოებით შემიყვანა თავის კაბინეტში.

—დიახ, თქვენ, უცხოელებს ეს ალბათ უცნაურად მოგეჩვენებათ —სახელმწიფოს მმართველს ჩამორთმეული აქვს შეწყალების უფლება, როგორც საუკეთესო, უძვირფასესი ქვაა ძალადობის გვირგვინი, და მე ის წამართვეს, კრებამ გაითვალისწინა ჩემი კეთილი ხასიათი, თანაც მათ სურთ შეუბრალებლად დასაჯონ აჯანყებულები. ამიტომ არ მომცეს უფლება, თუნდაც ერთი შეცდენილთაგანიც კი გადავარჩინო.

—მაგრამ, ბატონო პრეზიდენტო, თქვენი მხარდაჭერა, თქვენი გამოქომაგება გათვალისწინებული იქნება საპარლამენტო კომისიის მიერ, მით უფრო, რომ მისი თავმჯდომარე თქვენი მომხრე და მიმდევარი ბატონი მარტელია.

—რა თქმა უნდა, ჩემთვის არავის წაურთმევია უფლება დავარწმუნო, გადავაფიქრებინო ვინმეს რაიმე, მაგრამ ჩივიან, რომ მე ბოროტად ვიყენებ ჩემს გავლენას კრებაზე, დეპუტატებზე. უნდათ სიტყვით გამოსვლის ნებაც წამართვან... ანდა შემიზღუდონ მაინც ეს საერთო უფლება.

შემდეგ მან ილაპარაკა თავის დამსახურებაზე ქვეყნის წინაშე, რომ მან გადაარჩინა საფრანგეთი, დაამყარა მშვიდობა, მოსპო კომუნა და ახლა მონარქიის აღდგენა უნდათ, განა ჩემი რესპუბლიკა მონარქია არ არის? უგუნურები, ჩამორჩენილები—ამბობდა პრეზიდენტი. განსაკუთრებულობა მისი მონოლოგური თხრობისა იყო ის, რომ იგი არ გზღუდავდათ, თითქოს თქვენ ყოვლისშემძლე მმართველი კი არა, ვიღაც გამყიდველი გელაპარაკებოდათ, რომელიც თავისი ხატოვანი სიტყვითა და თქვენზე მოხდენილი შთაბეჭდილებით ტკბებოდა, ვისაც ნახული აქვს ანრი მონეს კარიკატურები ბატონ პრიუდონზე, მას წარმოდგენა შეექმნება ტიერის ცოცხალ სურათზე.

მეშინოდა ვინმე არ შემოსულიყო და ჩვენი საუბარი არ შეეწყვიტა მანამ, სანამ ჩემსას მივაღწევდი, ამიტომ მისი პირველივე სულის მოთქმით ვისარგებლე და ვუთხარი!

—მათი ასეთი მიდგომა რომ არა, ხომ შეიძლება მოიფიქრო და სასჯელის გარეშეც დასაჯო შეთქმულები, მაგალითად, კომუნარები. კრებას მათი ქვეყნისთვის მოშორება უნდა ხომ? მისცენ საშუალება, დატოვონ ქვეყანა და წავიდნენ უცხოეთში, საფრანგეთის საზღვრიდან შორს. მე სწორედ ასეთი თხოვნით მოვედი. არსებობს ინჟინერი მარსელო დიულიქსი, რომელიც თვალით არასოდეს მინახავს. მის შესახებ პირველად ჟირარდენისაგან გავიგე. მან ეს სამთო ინჟინერი კავკასიაში ქვანახშირის მაღაროს, ამჟამად ჩემი საკითხების დასათ-

ვალიერებლად, შესამოწმებლად გაგზავნა. მაჩუქეთ ეს ინჟინერი. აღგითქვამთ, რომ მუდმივად მეყოლება საფრანგეთისათვის კავკასიის მთებში, თუნდაც მის სიკვდილამდე, მე იგი მჭირდება, თქვენთვის ზედმეტი ტვირთი აღარ იქნება, კავკასიაში კი ერთი წლის გატარების შემდეგ დაწყნარებულ გონებაზე საზრიანად მოეკიდება თავისი ქვეყნის პოლიტიკას, იქ პატიოსანი შრომით უფრო გააღრმავებს ჩვენს სიყვარულს ფრანგი ერისადმი, ყოველ შემთხვევაში თუკი იგი იქ არ იქნება სასარგებლო თავისი ქვეყნისათვის, დაშავებითაც ვერაფერს დაუშავებს მას იქედან.

—ამის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს—წარმოთქვა ტიერიმ, რომელიც უკვე კეთილად იყო განწყობილი ინჟინრისადმი, რაში ადანაშაულებენ?! იკითხა ბოლოს—აი, ყველაფერი რისი გაგებაც შეეძელი: იგი დაბრუნდა კავკასიიდან და ვენსანში, პორტის მახლობლად დაბინავდა. ორი კვირის შემდეგ პარიზელებმა ალყა შემოარტყეს პორტს. იგი ბრბოში გაერია, როგორც სეირის მაყურებელი, მაგრამ როცა დაინახა, რომ ბრბოს საქმის არაფერი გაეგებოდა, დაუწყო მათ სწავლება, ხელმძღვანელობა, აიღეს პორტი და იგი კომენდანტად წამოაყენეს—ისიც დარჩა და იბრძოდა თქვენი ჯარისკაცების წინააღმდეგ, სწორედ იარაღით ხელში აიყვანეს.

—დახვრეტენ საბრალოს, სამწუხარო კია: მე მესმის მისი, ამ ტიპის ბევრი ადამიანი ვიცი. ერთხელ ასეთ ვითარებაში რუსი გენერალი რევოლუციაში ჩაება. გავლით იმყოფებოდა ჟენევაში—1847 წელს. სასტუმროს ფანჯრიდან ხედავს, რომ ფაზი ბრბოსთან ერთად ზარბაზნებს დგამს, მაგრამ მისი დატენა და გასროლა არავინ იცის. გენერალში ჯარისკაცის სისხლმა იყივლა, მიირბინა ბრბოსთან, დატენა ზარბაზანი და მათაც ასწავლა როგორ გაეკეთებინათ—ასე, მარშით გადაიარეს ხიდი, ნახევარ საათში გაფანტეს სახელმწიფო ჯარი და რატუშა დაიკავეს, აი, როგორ გაიმარჯვა დემოკრატიამ ჟენევაში!

—მართალს ბრძანებთ, ბატონო პრეზიდენტო!

—იცით რა, ჩემი სახელით მიდით აპერტთან და გალიერთან, მოუყევით მათ რაც მითხარით და სთხოვეთ, მომელაპარაკონ, თან ამ ინჟინრის საქმეც მაჩვენონ.

ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, როგორ მოვინახულე ეს ორი სამხედრო პირი, რომლებიც კომუნარების საველე სასამართლოს წარმართავდნენ. საკმარისია აღვნიშნოთ, რომ დიულიქსის საქმის მოსმენა დაინიშნა სამი-ოთხი კვირის შემდეგ, სამხედრო პროკურორი არ იყო განსაკუთრებით მომთხოვნი, მოსამართლეები ჩვეული სიმკაცრით

არ გამოირჩეოდნენ, და ბოლოსდაბოლოს, გამოუტანეს მას გამამართლებელი განაჩენი, რომელიც, რა თქმა უნდა, არავის გაუპროტესტებია.

იმავე საღამოს მარსელო დიულიქსმა, გათავისუფლების შემდეგ, პირდაპირ სხდომათა დარბაზში გადამკოცნა. მერე კი ბინაზე ძვირადღირებული რაპორტი—„ტყიბულის ქვანახშირის მაღაროები კავკასიაში"—მომართვა.

10. საუძმო საკითხავი

...მოდით და დღეს იცით რაზე ვისაუბროთ... თუნდაც ბ-ნ ხოსროევზე; მით უმეტეს, რომ დღეს ყველას პირზე აკერია მისი სახელი.

ბ-ნი ხოსროევი, ანუ „გამომძიებელი ხოსროევი", დააპატიმრეს და მეტეხის ციხეში მოათავსეს. მას ბრალად ედება საკუთარი ბინის დაწვა, რომელიც წინასწარ დიდ თანხაზე დააზღვია.

თავისთავად ცხადია, რომ „ხოსროევის საქმის" შესახებ სხვას ვერაფერს გეტყვით, გარდა „პოლიციური შემთხვევების ბიულეტენში" მოთავსებული ცნობისა. არც ჩვენ და არც პრესას უფლება არ გვაქვს ძიების დამთავრებადე გამოვაქვეყნოთ წინასწარი გამოძიებით მოპოვებული მასალა. ჩვენი საგამომძიებლო პროცესი, რომელიც ბრალდებულის საიდუმლოების შენახვასა და იზოლაციას ემყარება, პრესის მხრივ მის მიმართ სწორედ ასეთ დამოკიდებულებას მოითხოვს. მე ამ საინტერესო საქმის მხოლოდ ისეთ საკითხებსა და მხარეებს შევეხები, რასაც საგამომძიებლო წარმოებასა და სასამართლო საქმესთან არავითარი კავშირი არა აქვთ. იმის შესახებ, თუ როგორ ჩაიდინა ბ-მა ხოსროევმა დანაშაული, რაშიც ბრალი ედება, რატომ ჩაიდინა, ჩაიდინა თუ არა და ა.შ., მე ხმასაც არ ამოვიღებ. ეს გამოძიების საქმეა და არა პრესისა. მე გამოვდივარ მხოლოდ იმ ფაქტიდან, რომ იგი დაპატიმრებულია, და როგორც ჩანს, დაპატიმრებულია საკმაოდ საფუძვლიანი მონაცემების საფუძველზე. მე მინდა გესაუბროთ ამ ფაქტისადმი არა სასამართლო ძალაუფლების, არამედ ადგილობრივი მოსახლეობის დამოკიდებულების შესახებ. ერთი სიტყვით, მე შევეხები იმ მითქმა-მოთქმას, რაც ამ არაჩვეულებრივმა მოვლენამ გამოიწვია ჩვენში.

სენსაციამ, რაც ბ-ნ ხოსროევის დაპატიმრებამ გამოიწვია არა მარტო ქალაქში, არამედ მთელ მხარეში, მართლაც ყოველგვარი ალბათობის საზღვარი გადალახა. ყოველთვის საოცრად საინტერესო და დამაფიქრებელია იმ მიზეზების ახსნა, რომელიც ხელს უწყობს ჩვენს ქვეყანაში მცხოვრებ სხვადასხვა წარმოშობის, ეროვნებისა და აზროვნების ხალხს შორის „საერთო მიმართულების" წარმოქმნასა და გავრცელებას. საიდან მომდინარეობს, რამ გამოიწვია და რაზეა დაფუძნებული ამიერკავკასიაში მცხოვრებთა სავსებით ერთნაირი დამოკიდებულება არსებული საკითხებისადმი, ასეთი ერთსულოვნება სხვადასხვა პიროვნებათა შორის დიდიდან პატარამდე? ამ საზოგადოებისათვის ხომ არავის მიუცია ნიშანი, არავითარი შეხედულება, არავითარი მსჯელობა არ მოუხვევია თავს.

ჯერჯერობით, პრესაც არც ერთი სიტყვით არ შეხებია ამ საკითხს. მაშ, რით უნდა აიხსნას ის საერთო დაინტერესება, რითაც ყველა, დიდიდან პატარამდე, მოეკიდა „ხოსროევის ხანძრის საქმეს" ბევრად უფრო ადრე, ვიდრე ბ-ნ ხოსროევის დაპატიმრებას გაიგებდნენ?

ბ-ნი ხოსროევი—თბილისის მომრიგებელი მოსამართლის თანაშემწე, ადგილობრივი შეძლებულის შვილი, მიღებული აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება, ბრალდებულია ისეთ საძაგელ საქმეში, როგორიცაა ანგარების მიზნით სახლის დაწვა. მარტო ესეც საკმარისია, რომ აიხსნას ამ საკითხით ადგილობრივი მოსახლეობის ასეთი დაინტერესება. ვისაც მეტი აქვს, მისგან მეტსაც თხოულობენ. ბ-ნ ხოსროევს კი ჰქონდა ყველაფერი, ის, რის მოხვეჭასაც ხშირად ასე ამაოდ ცდილობს ხალხი: კარგი მემკვიდრეობა, მშვენიერი განათლება, შესაშური თანამდებობა. ამასთან, ბ-ნი ხოსროევი ჯერ ორმოცი წლისაც არ არის. მეტი რაღა გინდა, იმუშავე და იცხოვრე სიამტკბილობით, თუკი სხვა არავინ გენაღვლება. მაგრამ არა—ცეცხლი მოუკიდა, დაუოკებელი სურვილი გაუჩნდა „დაემრგვალებინა" მამის ქონება და ცოლის მემკვიდრეობა. საშინელი აუხსნელი გაუმაძღრობა! ადგილობრივი საზოგადოება როგორღა არ ჩაუფიქრდეს ამ ამოუხსნელ გამოცანას?

აი, საერთო დაინტერესების პირველი მიზეზი: ვისაც მეტი აქვს, მეტიც მოეთხოვება, და მისგან ხალხი მეტი სიმკაცრით, შეუბრალებლობითაც კი თხოულობს. ძაღლი ვინც მოკლა, იმანვე გადაათრიოსო. თუკი გსიამოვნებს ხალხის წინაშე სიმდიდრით თავის მოწო-

ნება, მაშ ნულარ წუწუნებ, როცა ის გითვალთვალებს და თითითაც კი მიგანიშნებს, თუნდაც მთელი გულით გინდოდეს თავიდან აიცილო მისი ყურადღება.

მეორე მიზეზი—უფრო სპეციფიური თვისებაა—ბ-ნმა ხოსროევმა, როგორც გამომძიებელმა, დიდი ხანია მიაღწია სასურველ მიზანს—რადაც არ უნდა დაჯდომოდა და რა გზებიც არ უნდა გამოეყენებინა, მაინც მიექცია ყურადღება, განსაკუთრებით უფროსობისა და ხალხის, მაგრამ ამას, მეტეხის ტრიუმფის მსგავსად, მიაღწია „სხვა გზებით". სურდა „განთქმული" ყოფილიყო და ამის მისაღწევად ყველაფერს კადრულობდა.

უეჭველია, რომ თავის პოსტს ინერციის ძალით, მოსამსახურეთა ხელშეუხებლობის კანონით, „სასამართლოს პირთა შეუცვლელობის არსებობით ინარჩუნებდა. თუმცა „სასამართლოს წესდებებში" არსად არაა ნათქვამი, რომ სასამართლოს თანამდებობები და სახელმწიფო მოსამართლეთა თანაშემწეების შეცვლა არ შეიძლება. ჩვენში იყო სასამართლოს წევრთა შეცვლის შემთხვევები, მაგრამ ბ-ნი ხოსროევი თავისი მოხერხებისა და განსაკუთრებული ძალის წყალობით, ინარჩუნებდა დაკავებულ ადგილს, ხალხი კი ვერ ერკვეოდა ამ მიზეზებში და საქმეს თავდაყირა ხედავდა, „თავისებურად ესმოდა, და ფიქრობდა, რომ იგი თავის პოსტზე სიმდიდრის წყალობით იჯდა... და მას სწყინდა, რომ ოქროთი კანონის მოსყიდვაც შეიძლებოდა. და უეცრად აღმოჩნდა, რომ ვერც ოქრომ, ვერც მდგომარეობამ, ვერც კავშირებმა კანონის ძალის წინაშე ვერ უშველეს ბ-ნ ხოსროევს.

„ზოგჯერ ბრძენიც შეცდებაო",—ამბობს ბრძნული რუსული ანდაზა. და „მოქნილი" ბ-ნი ხოსროევი გახდა ბოროტმოქმედი, თუმცა შესანიშნავად იცოდა კანონის გვერდის ავლა. რატომ ჩავარდა? როგორ ვერ დაფარა კვალი? ამის გარკვევა არაა ჩემი საქმე, ეს გამოძიების საქმეა. მე უფლება მაქვს შევეხო საკითხის მხოლოდ ფილოსოფიურ მხარეს. ხანგრძლივი დაუსჯელობა რყვნის არა მარტო საზოგადოებას, რომლის თვალწინაც ეს ხდება, არამედ იმ პიროვნებასაც, ვინც ამით სარგებლობს. იმის მიხედვით, თუ რამდენჯერ შეგრჩება კანონისა და სამართლის დარღვევა, გეომეტრიული პროგრესიით ჩნდება ახალი და ახალი დარღვევები. ესეც შემრჩებაო. აქედან—ის თავბრუდამხვევი მდგომარეობა, როცა გეჩვენება, ყველაფრის ჩადენის უფლება მაქვსო. და იწყებ სულ უფრო დიდი და წარმოუდგენელი სისულელეების კეთებას, რომელთაც სულ უფრო ნაკლები

ახსნა და გამართლება აქვთ. და ამ მოლიპულ გზაზე თავშეკავება ძნელია, ვიდრე საკუთარი დაუსჯელობის, აღვირახსნილობის მსხვერპლი არ გახდები, სანამ კისერს არ მოიტეხ, შენი ბოროტმოქმედების ჯაჭვის ერთ-ერთ რგოლზე, რომელიც სულ იწელება და იწელება სიმართლისა და სამართლიანობის სულ მცირე დარღვევის დროსაც.

ჩემო მკითხველო, სწორედ იმის ჩვენება მინდოდა, რომ ქვეყნად არსებობს კანონები—შეურყეველი კანონები—მარადიული სიმართლისა და სამარლიანობისა, რომ ქვეყნად არსებობს ძალა, რომელიც ყველა ცნობილ და შესწავლილ ძალებზე, „ფიზიკურ ძალაზე" და რისიც გნებავთ ძალაზე მაღლა დგას,—ესაა სიმართლის ძალა. გთხოვთ, ნუ ილიმებით სკეპტიკურად, ამას გეუბნებათ არა რომელიმე ილუმინატორი, არა მოძველებულ მეცნიერებათა მიმდევარი, არა გრაფ ლ.ნ. ტოლსტოის მიმდევარი, არამედ ადამიანი, რომელიც მეცნიერების ბოლო დროის მიღწევებსაც იცნობს და სწამს მათი. გულით მებრალებით თქვენი სკეპტიკური ღიმილის გამო, რადგან ის თქვენს ზერელე ცოდნაზე მეტყველებს. თქვენ გსმენიათ მეცნიერული კანონი, მაგრამ არ დაკვირვებიხართ მის მნიშვნელობას. გსმენიათ „არსებობისათვის ბრძოლა", მორალური მცნებების შედარებითი მნიშვნელობა, და უცბად ირწმუნეთ, რომ თქვენ—ცალკეული პიროვნება—ხართ სამყაროს ანი და ბანი, რომ სამყაროს განაგებს ადამიანის ინტერესი და დანარჩენი ყველაფერი არის ცრუ შეხედულება. ესაა თქვენი—„თავი დამანებეთ". თქვენ რომ სწორედ ის მეცნიერება იცოდეთ, რომლითაც ასე ტრაბახობთ, თქვენ რომ შეგეძლოთ მისი აღმოჩენებისა და დასკვნების სიღრმეს ჩაწვდეთ, რომ გაიმსჭვალოთ იმ აზრით, რომ არა ხართ სამყაროს სანყისი, და რომ სამყაროში არსებობს ცნობილი ძლიერი ბუნებრივი ისტორიული კანონის მოვლენების მონაცვლეობა, თქვენ არ გაიღიმებდით, როცა მიგითითეთ „სიმართლის ძალაზე".

ეს არის სწორედ ის, დღევანდლამდე ნაკლებშესწავლილი და აღიარებული ძალა, რომლის ზეგავლენითაც თქვენ თეატრში ცრემლი მოგადგებათ ხოლმე თვალებზე, როცა საცოდავ და ცუდ მელოდრამაში „აღდგება დაჩაგრული სათნოება და მანკიერება ისჯება". ეს ის ძალაა, რომლის ზეგავლენით უკაცრიელ წყვდიადში კვდებიან მდიდრები, კვდებიან თავისი თავითა და მთელი ქვეყნით უკმაყოფილონი, თუმცა მიაღწიეს ყველაფერს, რისკენაც ილტვოდნენ ცხოვრებაში და კვდებიან უსიყვარულოდ, გარემოსგან, ოჯახისა და ბავშვებისაგან

შეძულებულნი. ეს ის ძალაა, რითაც მტვრად იქცევა ნაძარცვი ქონება, უმართებული გზით შექმნილი მდგომარეობა, ინტრიგებით მოპოვებული ტრიუმფები. ამ საბედისწერო ძალისაგან თავი ჯერ არავის დაუღწევია, რაც უნდა მოქნილი და ძლიერი იყოს იგი, რაც უნდა ბედნიერ ვარსკვლავზე იყოს დაბადებული, რაც უნდა მახვილგონიერი და ოსტატური იყოს მისი მოქმედება. და თუ ყოფილა შემთხვევები, რომ ეს უწმინდურნი ნაადრევი სიკვდილის გამო უფრო ადრე ჩადიოდნენ სამარეში, ვიდრე სიმართლის მაცოცხლებელი ძალა მათ ნაძარცვი სიმაღლიდან ჩამოაგდებდა, რომ არაფერი ვთქვათ შთამომავალთა განაჩენზე, ეს უწმინდურნი ყოველთვის ისჯებოდნენ მათი შვილებისა და შთამომავლების სახით. არც შეიძლებოდა არ დასჯილიყვნენ, რადგან სამყაროს განაგებს არა ცალკეული კანონის დამრღვევი ხალხი, არამედ ერთი და იგივე კანონი, მხოლოდ და მხოლოდ ერთი კანონი, როგორც ფიზიკურ, ისე ზნეობრივ სფეროში,—„ძალთა ერთიანობის" კანონი. როგორც ფიზიკურ სფეროში დაუსჯელად ვერ იქონიებ კავშირს ვენერიული სნეულებით დაავადებულთან, როგორც არ შეიძლება უმკურნალოდ დატოვოთ ეს დაავადება, ვინაიდან ის კვალს ტოვებს არა მარტო თქვენ პირად ჯანმრთელობაზე, არამედ შვილებისა და შთამომავლობის ბედზე, ასევე ერთხელაც არ შეიძლება ჩაიდინო უსამართლობა, არ მოერიდო მის დამთრგუნავ ძალას და თავს ვეღარ დაიხსნი მისი გამანადგურებელი ძალის შემდგომი გამოვლინებებისაგან. ეს უსამართლობა თავის არსებაში ატარებს მეტად და მეტად ძლიერ—და, აქედან გამომდინარე, საშიში ძალების მთელ რიგს—სიცრუეს, კანონის დარღვევას, თავხედობას, თავნებობას, რომლის ბოლო გარდაუვალი, სამარცხვინო დაღუპვაა...

ამიტომ საოცრად საბრალონი არიან ისინი, ვინც ბავშვურად ფიქრობენ, თითქოს დაუსჯელად შეიძლება ბუნების მიერ მითითებული კანონებიდან თუნდაც ერთის დარღვევაც კი, რომელ სფეროსაც არ უნდა ეხებოდეს ის, ცხოვრების ფიზიკურ მხარეს თუ ზნეობრივს. ადამიანები, რომლებიც ფიქრობენ, რომ მოახერხებენ მართლმსაჯულების, ისტორიის, საზოგადოებრივი აზრის, მემკვიდრეობის გვერდის ავლას, ისევე დაბრმავებულები არიან, როგორც ჩემი მშობლიური სოფლის დიაკვანი, რომელმაც გადაწყვიტა მთელი ქვეყნისათვის ეჯობნა და ერთადერთი ცხენი ჭამისათვის გადაეჩვია. საბრალომ ვერ მოასწრო აზრზე მოსვლა მაშინაც კი, როცა მისმა ცხენმა შიმშილით ფეხები გაფშიკა.

საწყალი თითქმის მიეჩვია შიმშილს,—უმტკიცებდა ის მეზობლებს, რომლებიც დარდობდნენ მის დაღუპვას. მარხვის მეცამეტე დღეს რომ არ მომკვდარიყო, ღმერთმანი, სულ გადაეჩვეოდა თივასა და წყალს.

სანაძლეოს ვდებ, ბ-ნი ხოსროევი თავის მოულოდნელ უბედურებას ზუსტად ასევე ხსნის.

—შეცდომა რომ არ დამეშვა, რომ გამეთვალისწინებინა ზოგი გარემოება, მივხვედრილიყავი რაღაცეებს,—კვალი დაიკარგებოდა. და მივიღებდი ჩემს კაპიტალს! რა საწყენია!..

და მიუხედავად იმ უსასრულო დროისა, რომელიც მას ახლა, ციხის სიჩუმეში აქვს და შეუძლია ფიქრს მიეცეს განმარტოებულად, ვერავითარ შემთხვევაში ვერ მოიფიქრებს ერთ მარტივ ჭეშმარიტებას, რომ თუ ეს საქმე გამოუვიდოდა, უსათუოდ ჩავარდებოდა სხვა მსგავს შემთხვევაში; მეორეზე თუ არა, მაშ, მესამეზე ან მეოთხეზე. და თუ გიწერია ჩავარდნა, სულერთი არაა, როდის მოგივა ეს?

და აი, სად იმალება ამ ფანდის ნათელი მხარე: იმაში კი არა, რომ მიძინებული „სიმართლის ძალის“ გამოღვიძების მოწმენი გავხდით, არამედ იმაშიც, რომ მთელმა ჩვენმა საზოგადოებამ, მთელმა ხალხმა, ეროვნებისა, სოციალური მდგომარეობისა და ამ საქმისადმი თავისი დამოკიდებულების მიუხედავად, თვალნათლივ დაინახა, როგორ ცოცხლობს თითოეულ მათგანში სწორედ ამ „სიმართლის ძალის“ წყურვილი, გრძნობა და შეგნება, რომელიც თავის მხრივ მთელი კაცობრიობის ნუგეშს წარმოადგენს და საუკეთესო საწინდარია, რომ უქმად არ ჩაუვლია იმ ცალკეულ, სიმართლისა და სიკეთის მსახურ პირთა ძალას, რომელთა არსებაში არასოდეს უზეიმია ბოროტებას, არავითარი ოქროს მძვინვარება და თავნებობა არ განუცდიათ და ყოველთვის სწამდათ და სჯეროდათ კაცობრიობის ნათელი მომავლის გამარჯვება.

11. საუძმო საკითხავი

მთელი წელი სოფელში გავატარე...

რასაკვირველია, მკითხველი მაშინვე წარმოიდგენს რუსული სოფლისა და კავკასიის აულის ნაცნობ სურათებს. ზოგი მათგანი ერთი ქუჩის მთელ სიგრძეზე ერთმანეთის მიჯრით განლაგებულ ქოხებს წარმოადგენს, ზოგი კი ერთმანეთზე თავისუფლად, უწესრიგოდ მიკრულ ტერასებსა და კოშკებს ქმნის. თუკი მკითხველს ევროპაში უმოგ-

ზაურია, მაშინ მას სიტყვა „სოფელი“ გაახსენებს სწორად დაგეგმარებულ პატარა ქალაქს, სახლების წინ ბაღჩებს, წითელი ქვიშით მოკირწყლულ ქუჩებს და ა.შ. სოფლის მშვენიერ პეიზაჟს.

მაგრამ მკითხველი მწარედ ცდება. მე ვცხოვრობ მდ. რიონის ხეობაში, იმერეთის სოფელში. და ამ ბედნიერი კუთხის სოფლის ტიპი მსოფლიოში არცერთ სხვა სოფლისას არა ჰგავს, გარდა ჩრდილო-ამერიკულ დასახლებისას. და უპირველესად, თვით ქვემო იმერეთშიც ფანრითაც კი ვერ იპოვით მსგავსს. წარმოიდგინეთ ბევრზე ბევრი, ერთმანეთისაგან სრულიად დამოუკიდებელი ფერმების დაუსრულებელი კავშირი, რომელთა მფლობელებმა თავისი სახლების გარშემო მოხერხებულად განალაგეს მთელი თავიანთი ქონება: აქ მათ ხელთა აქვთ ვენახი, სახნავები, ტყე, საძოვარი, სათიბი და ყველაფერი, რაც ცხოვრებაში სჭირდებათ, საერთო ჯამში ეს შეადგენს ორ, სამ და ზოგჯერ ექვს კვადრატულ დესეტინას.გლეხებს შორის სახლებისა და სხვა რამეთა ამგვარივე განლაგების წესით ცხოვრობენ თავადები, მხოლოდ იმ სხვაობით, რომ მათი ხის სახლები მიწიდან ნახევარი ან ერთი არშინის სიმაღლეზე ქათმის ფეხების მსგავს ხის ბოძებზე დგას და გადახურულია არა ისლით, როგორც გლეხური, არამედ ყავრით და თავადებს მაინც ორჯერ მეტი აქვთ, ვიდრე გლეხებს.

ასეთი დამოუკიდებელი ფერმები ერთმანეთს ყოველი მხრიდან ეკვრის. ასეული ასეთი ფერმების ერთობას ჩვენში სოფელს ეძახიან. მაგრამ, ღმერთო ჩემო, რა სოფლებია ესენი! რვა ვერსი სიგრძეში და ამდენივე სიგანეში. და ამ სამოც კვადრატულ ვერსზე ცხოვრობს 700-800, ყველაზე მეტი 1000 ოჯახი. და თითქმის ყოველი მხრიდან ასეთი სოფელი უშუალოდ სხვა სოფლებს ეკვრის. ვინც მასში მუდმივად არ ცხოვრობს, მისთვის ძნელი გასარკვევია სად თავდება ერთი და სად იწყება მეორე სოფელი. ცალკეული სამოსახლოსა და მთელი სოფლის ტიპიც სავსებით ერთნაირია.

სოფლების ასეთი ტიპი ყოველმხრივ მოხერხებულია. მაგალითად, ღმერთმა დაიფაროს, მაგრამ როცა რუსულ სოფელში ხანძარი ჩნდება, იწვის მთელი სოფელი და ყველა მოსახლე იძულებულია ხელგაწვდილი მოედოს მთელ რუსეთს და წყალობა ითხოვოს „დამწვართა სასარგებლოდ“. ჩვენში კი ხანძარი აზარალებს მხოლოდ იმას, ვისაც გაუჩნდა. მეზობლებისგან ის ისე შორსაა, რომ ერთ ბეწო ნაპერწკალსაც კი ვერ წაიღებს იქ ჩვენი ბობოქარი „აღმოსავლური ქარი“. თითოეული ჩვენთაგანი წყალს საკუთარი ჭიდან ან წყაროდან იღებს,

რომელიც მეზობლის წყლიდან მთელი ასორმოცდაათი საჟენითაა დაცილებული. ამიტომ არავითარი ეპიდემია ისე არ ანადგურებს აქ ხალხს, როგორც ეს ხდება იმ ქვეყნებში, სადაც ხალხი ჯგუფურად, ერთმანეთის თვალწინ ცხოვრობენ. და ჩვენ, მეზობლებს შორის ჩხუბის საბაბიც ნაკლები გვაქვს. ქათმებს, ღორებს, საქონელს თავისი ადგილი აქვთ: მეზობლებთან არ გადადიან, ისინიც მათ არ იჭერენ, არ მალავენ. კამათი მოგვდის მიწაზე, ყორეზე, მაგრამ გასაგებია, ამას გვერდს ვერ აუვლი.

რასაკვირველია, არსებობს კლიმატური, ნიადაგის და ისტორიული მიზეზები, რამაც ხელი შეუწყო სოფლური დასახლების ასეთი მშვენიერი სახეობის გამომუშავებას, სადამდეც ვერ მივიდნენ სხვა ქვეყნებში. ჩვენში, სადაც არ უნდა დასახლდე, ყველგან კარგია: ანკარა და სუფთა წყალს მაშინვე იშოვი, ხეებიც ისეთი ამოგივა, როგორსაც ინატრებ და ყველაფერს რასაც დასთეს, კარგს მოიმკი. მაგალითად, ქართლში სანთლით უნდა ეძებო ასეთი ადგილი. და რადგან ასეთი ადგილები ცოტაა, ხალხიც ეტანება მას და ჯგუფურად სახლდებიან. მინდორში და ბაღში სამუშაოდ კი სახლიდან რამდენიმე ვერსზე მიდიან. მეორე მხრივ, მტრის განუწყვეტელი შემოსევები, ავაზაკებისა და ნადირის საშიშროება აიძულებს ამიერკავკასიის სხვა ადგილების მოსახლეობას, იცხოვრონ ერთად, გვერდიგვერდ, როგორც ციხე-სიმაგრეში, სადაც მცირე ხიფათის დროსაც ერთი ყველასათვის თავს გასწირავდა. ასეთი საშიშროება ხშირი იყო, თითქმის ყოველდღიურად, და არა მარტო ომიანობის დროს, არამედ გარეგნულად სრული მშვიდობიანობის ჟამსაც. წამოვა რომელიმე ლეკი, სპარსი, თურქი ან თუნდაც იგივე თავზეხელაღებული ქართველი, შეკრებს ოცდახუთკაციან რაზმს და დადის ქვეყანაზე, ძარცვავს ყველა გამვლელს და გამომვლელს და გზად აჩანაგებს სოფლებს. ჩვენში, იმერეთში მსგავსი არაფერი მომხდარა. ლეკებისა და სპარსელებისგან სურამის უღელტეხილი გვიფარავდა, რასაც სრულიად იოლად ვკეტავდით ორი-სამი სათვალთვალო კოშკით, თურქებისგან გვიცავდა თოვლიანი მცირე კავკასიონი, ხოლო ჩერქეზებისგან—სრულიად გაუვალი დიდი კავკასიონის უღელტეხილი, თავისი იალბუზით, მცირე თავდასხმებს არსაიდან ველოდით. ჩვენთვის ძლიერ საშიში იყო შავი ზღვის მხრიდან თურქეთის ჯარების შემოსევა, როცა თურქეთთან ომი მიმდინარეობდა და მაშინ, გასაგებია, ღია ბრძოლები წყვეტ-

და ომის ბედს. თუ მტრის რაზმები მცირერიცხოვანი იყო, ჩვენ მათ ვამარცხებდით და ვდევნიდით ან ზღვის გადაღმა, ან ბათუმში. მაგრამ თუ ისინი იყვნენ ურიცხვნი და გვჯობნიდნენ, მთებში ვიმალებოდით, სადაც ჩვენი ოჯახები წინასწარ გვყავდა გახიზნული. და რას დაგვაკლებდნენ თურქები? დაგვიხოცავდნენ ათასს და მეტ მეომრებს, ტყვედ წაიყვანდნენ ამდენივე გოგოსა და ბიჭს, და ავად თუ კარგად, მაინც წავიდოდნენ. დიდი-დიდი თუ ასს ან მეტს ხის სახლს გადაგვიწვავდნენ: ცალ-ცალკე მათი გადაწვა ხომ არც ისე იოლი იყო. ჩვენს შეუდარებელ სიმდიდრეს, ერთადერთ სიმდიდრეს, საუკუნოვან კაკლებსა და მიწას თან ხომ ვერ წაიღებდნენ. წავიდოდნენ თავისთვის თურქები, ჩამოვიდოდით ლეჩხუმისა და რაჭის მთებიდან უკან ჩვენს კარმიდამოში, ერთი-ორი ხე და გადამწვარის ნაცვლად ახალი ოდაც მზად იყო. ხომ ხედავთ, არავითარი საჭიროება არ იყო ჯგუფურად დავსახლებულიყავით: თამამად შეგვეძლო გვეცხოვრა გაშლილად, ლაღად და მშვიდობიანად...

და რა მშვენიერებაა ეს ჩვენი მხარის ბარი! საქმის მცოდნენი ირწმუნებიან, რომ ნაყოფიერების, ნიადაგის ბუნებრივი სიმდიდრის მხრივ მას მეორე ადგილი უკავია მსოფლიოს ოთხ უშესანიშნავეს ბარებს შორის: მდინარეების—ნილოსის, რიონის, პოსა და ალაზნის ველებს შორის. არ ვიცი, რამდენად სარწმუნოა ეს, თუმცა ამას მიმტკიცებდნენ არა იმერლები, არამედ რუსები და ინგლისელები და თანაც არა პირველი შემხვედრი რუსები და ინგლისელები, არამედ ადამიანები, რომლებმაც გეოგრაფიის შესწავლაში ასი ფუთი მარილი შესჭამეს. და რა ბრწყინვალეა—ჩვენი ხედები და პეიზაჟები! თითქოს განგებ, თითქოს მხატვრის ნებით, აქ ამ ერთ და იგივე ჰორიზონტზე შეთავსებულია ყველაფერი, რაც ჭეშმარიტად ორიგინალური და მშვენიერი აქვს სამ სხვადასხვაგვარ პეიზაჟს: მთის, ველისა და ტყის. სისრულისთვის აკლია ზღვის... მაგრამ თუ ჩვენ ვერ ვხედავთ ზღვას, არ ვტკებით მისი სიდიადით, ჩვენ მაინც სრულად ვტკებით ყველაფრით, რასაც ის დაუსრულებლად აძლევს ადამიანს: ჩვენგან ზღვა 70 ვერსზეა, და თითქმის ყოველ საღამოს, შუადღიდან 8 საათამდე, ის გვიგზავნის გამაგრილებელ სიოს.

მთელი არსებით ვტკებით ამ სიგრილით, შევყურებთ პეიზაჟის გასაოცარ სხვადასხვაობას, ერთდროულად ვტკებით ათობით ხედებით და ნათელი ხდება ჩემი თანამემამულეების—იმერლების,—ყველა დადებითი და სუსტი მხარეები...

დიახ, აქ, მხოლოდ იმერეთში, შეიძლება გაიგო იმერული ხასიათის არსი, ჩასწვდე, ე.ი. მე—გავუგო ჩემ თავს. გახსოვთ ალბათ, ასეთივე ცის ქვეშ, დაღესტანის ტყიან ხეობებს ლერმონტოვი აღწერდა თავის „ვალერიკში“:

„... სიცოცხლის არსს ჩავწვდი,
როგორც თურქი ან თათარი,
მადლობელი ვარ ბედისა,
ყველაფრისთვის მადლობელი ვარ;
ზეცას აღარ ვთხოვ ბედნიერებას,
და უჩუმოდ ვიტან ყველაფერს...“

და ამატებდა:

„იქნებ აღმოსავლეთის ზეცამ
მათი წინასწარმეტყველის მოძღვრებას
უნებურად დამაახლოვეს...“

მაგრამ ჩვენ, მართლმადიდებლები, სრულიად არ ვიცნობთ მათი „წინასწარმეტყველის“ მოძღვრებას. მაგრამ მაინც შეგვიძლია „ზეცას არ ვთხოვოთ ბედნიერება და ვაუკაცურად გადავიტანოთ სიავე“.

და სხვათა შორის, სწორედ ეს ჩვენი ხასიათი რომ არა, ხასიათი, რომელიც, უნდა ვიფიქროთ, აღმოსავლურმა ზეცამ მოგვახვია თავს, ჩვენ სრული საფუძველი გვექნებოდა ცოტა გადაკეთებულად გვეთქვა პუშკინის სიტყვები:

„და ბედნიერება, ჩვენთვის, ისე შესაძლებელია,
ისე ადვილი!..“

არა, თქვენ მხოლოდ წარმოიდგინეთ: ქვეყანაში, სადაც შეგიძლია ფლობდე მხოლოდ თორმეტ დესეტინა მიწას, და იცხოვრო სრულიად უზრუნველყოფილად, გქონდეს ცხოვრებისთვის ყველაფერი აუცილებელი, და ჩვენი საბრალო იმერელი ძმა კი გაჭირვებულია დაბადებიდან სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე. ღარიბულად, გაჭირვებულად, ხელმოკლედ ცხოვრობს იმ ქვეყანაში, რომელსაც მსოფლიოს ყველა სხვა ხალხი ჩათვლიდა არათუ, სადაც ახლა განუკითხაობაა, არამედ ნამდვილ ელდორადოდ.

რა ხდება? რითი შეიძლება აიხსნას ამ მოვლენის ასეთი უცნაურობა, რომ არათუ ნამდვილი პროლეტარები, რომელთაც ერთი ციდა მიწაც არა აქვთ, არამედ უზრუნველყოფილი მემამულეებიც, რომლებიც აქ, იმერეთში ასობით დესეტინა მიწას[1] ფლობენ, ნაცვლად

[1] დესეტინა მიწის მინიმალური ღირებულება ჩვენში 500, 600 და მეტ მანეთს შეადგენს (ავტ. შენიშვნა).

იმისა, რომ კარგად დაამუშავონ თავისი მიწა და ფუფუნებაში იცხოვრონ, მიიწევენ სამსახურისკენ, მაგიდის უფროსობისკენ და სასამართლო პრისტავობისკენ, სადგურის უფროსობისკენ და ა.შ. მათ ხომ არავითარი შანსი, სულ მცირე იმედიც არა აქვთ, რომ სამომავლოდ პერსპექტივაში მაინც წინ წაიწევიან ან კარიერას გაიკეთებენ სამსახურში. არა, ტოვებენ მშობლიურ მიწას, რომელიც უმოქმედოდ ცდება და მიდიან ჩინოვნიკებად და სხვებს ართმევენ არსობის პურს.

გადავხედოთ საზღვარგარეთ: იქ ადამიანს სირცხვილად მიაჩნია იმის აღიარება, რომ ბედმა აიძულა სამუშაოდ წასულიყო. ჩვენში კი, მდიდარი მამულის შვილს, რომელმაც უმაღლესი განათლება მიიღო, ეთაკილება ხელი მოჰკიდოს ერთადერთ საქმეს, რომელიც მას დამოუკიდებლობას შეუნარჩუნებს,—ესაა საკუთარი მიწის დამუშავება. ჩემს გვერდით, ჩვენივე სოფელში, ცხოვრობს მემამულე თავადი გ., რომელმაც უნივერსიტეტის კურსი დაასრულა. მისმა მამამ, ფრიად მსხვილმა და შეძლებულმა მიწათმფლობელმა, თავი მოიკლა, სანამ შვილი არ აიძულა მიეღო ქუთაისის საადგილმამულო ბანკის „მოლარის" თანამდებობა!—გესმით, ამ თანამდებობით ახალგაზრდა კაცი წელიწადში მხოლოდ და მხოლოდ 800 ან 1000 მანეთს მიიღებდა, და რომ ქუთაისში ეცხოვრა, მას სულ ცოტა ამდენივე უნდა დაეხარჯა.

რისთვისღა მუშაობდა იგი? ნუთუ მას სიამოვნებას მიანიჭებდა სხვისი ფულების დათვლა, ან სხვისი ორდერების შედარება? მოლარეს ხომ არ შეეძლო მცირე გავლენა მაინც მოეხდინა ბანკის საქმიანობის მიმდინარეობაზე, მის ბედზე. მამის გარდაცვალების შემდეგ, ჩვენმა ახალგაზრდამ მაშინვე მიატოვა მოლარის თანამდებობა და სოფელში გადასახლდა. და იქ, ცუდად თუ კარგად, არ ვიცი, მაგრამ ეწევა მეურნეობას, ცხოვრობს უზურნველყოფილად და არავის ართმევს ლუკმაპურს. მისი თანატოლები კი, რომლებიც აგრეთვე მამულებს ფლობენ და უნივერსიტეტის კურსიც დამთავრებული აქვთ, გაოცებულები არიან თავად გ-ის „უცნაური" ახირებულობით, მაშინ როცა ეს „უცნაურობა" მათშია და არა თავადში. გაუგებარია, მთელი წელი იწვალო მხოლოდ იმიტომ, რომ აღებული თანხა ქალაქში ცხოვრებას მოახმარო. ბედნიერებას მაინც რომ პოულობდნენ ამ მუშაობაში, კიდევ ჰო!

შეიძლება თქვან: „მეურნეობის გაძღოლას უნდა ფული, უნდა ცოდნა. ჩვენ არც ერთი არ გვაქვს!" არ დაიჯეროთ, ეს არაა მართალი. არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ კანცელარიებში მუშაობით საშუალოდ

ჩვენი ახალგაზრდობა წელიწადში იღებს 500-600, ყველაზე მეტი 1000 მანეთს, სოფელში, საკუთარ სახლში რომ იგივე თანხა იშოვო, საჭიროა მხოლოდ სიმინდის ორმაგი რაოდენობა მოიყვანო. ნებისმიერ რკინიგზის სადგურზე ფუთ სიმინდს 50 კაპიკად, ან უფრო ძვირად გაყიდი. სიმინდის დათესვას კი არავითარი ცოდნა და ფული არ უნდა: უნდა გქონდეს მხოლოდ მიწა და მუშახელიც გამოჩნდება, ცოდნაც და რაც გინდა. გლეხები იხვეწებიან სანახევროდ მიწა მოგვეცითო. და თქვენ კუთვნილ ნახევარს სახლში მოგართმევენ: გინდა მიირთვი, გინდა გაყიდე. ასეთ პირობებში საარსებოდ არც სიახლე გჭირდება, არც კაპიტალი. იმის შესახებ ხომ ლაპარაკიც ზედმეტია, ქალაქთან შედარებით რამდენად იაფია სოფელში ცხოვრება...

რასაკვირველია, ხდება ხოლმე, რომ კანცელარიებში მომუშავე ზოგიერთი ახალგაზრდა მიიწევს „მაღალი თანამდებობისკენ", მაგრამ ეს ბედნიერი გამონაკლისია. ასე ხომ ზოგი ლატარეაშიც იგებს 200. 000 მანეთს. მაგრამ შენი ცხოვრება ქ-ნ ვარლამოვას მსგავსად ააწყო იმ იმედით, რომ შინაგანი მომგებიანი სესხით 200.000 მანეთს მოიგებ, რასაკვირველია, უაზრო ოცნებას ნიშნავს, ლატარეები იმიტომაა დამღუპველი და იმიტომაა კანონით აკრძალული, რომ დამჯდარი და გააზრებული მუშაობის ნაცვლად, საკუთარი ძალებისა და სახსრების მშვიდი გაანგარიშების ნაცვლად, ის საზოგადოებაში განსაკუთრებული იღბლიანობის, ბედნიერი ვარსკვლავის, ივანუშკას ქიმერულ იმედებს ბადებს. პრაქტიკულ ცხოვრებაში კი, ერთი იღბლიანის გვერდით, იმედგაცრუებული და გასულელებული ათასობით კაცი რჩება, რომლებიც ოცნებობდნენ, ბედნიერება თავიანთი მხრივ ყოველგვარი შრომისა და მოწადინების გარეშე ჩაფრენოდათ პირში.

12. გაუგებრობა

(„თანადროული მოთხრობებიდან")

ხომ სულერთია, სად და როდის მოხდა ეს? დიდი ხნის წინ თუ მხოლოდ გუშინ, ჩვენს ქალაქში თუ ცხრა მთას იქით? დავივიწყოთ დრო და განზომილება. ისიც საკმარისია, თუ დაგისახელებთ, რომ ამ „გმირს მე ვუმღერ". იგია ჩვენი სიზმარცხადის ხატება, საკმაოდ ცნობილი, გაუგებარია ოღონდ რითი, ქართველი მწერალი და პედაგოგი უ., ძველი ქართული ხელნაწერების გამომცემელი, ქართული

სიმღერების შემგროვებელი, რომელთაც საგულდაგულოდ ინახავს ცხრაკლიტულში. თუმცა იგი შესანიშნავი, გულკეთილი და ცოტა უცნაური ადამიანია, როგორც ყველა სამარხების გამთხრელი და არქეოგრაფი, საოცრად თავმდაბალია და აქვს უამრავი დადებითი თვისება.

ამ თვისებებს შორის ზოგი ღვთის ბოძებულია, ზოგი კი თვით შეძენილი. პირველს განეკუთვნება მისი გარეგნობა, ფიზიონომია: უკიდურესად ორიგინალური. პატარა ტანი საოცრად გრძელ, მელანქოლიურად ჩამოშვებულ ცხვირთან, გაპარსულ წვერ-ულვაშთან და განგებ დინჯ სიარულთან ერთად მას დაუვიწყარ იერს აძლევს. დაუმატეთ „კეთილშეძენილი" თვისებები: სურვილი, გამოასწოროს გარეგნობით გამონვეული კეთილი და ნაწილობრივ კომიკური შთაბეჭდილება ხელოვნური სერიოზულობით და დაძაბულობით, დიდი სურვილი განივითაროს დამკვირვებლობა, თავის გარშემო უყურადღებოდ არ დატოვოს რაიმე, რაც უნდა უმნიშვნელო და ბანალური იყოს, ჩვევა, გამვლელ-გამომვლელს გამოჰკითხოს საინტერესო და უინტერესო ამბები,—და თქვენს თვალწინაა ჩემი ისტორიის გმირის სრული პორტრეტი.

ერთ მშვენიერ დღეს უ., როდესაც მტვრიან და ვირთხების გამოჭმულ ხელნაწერებისა და ქაღალდების კოლექციაში იქექებოდა, წააწყდა თავის ერთი ძველი ნაცნობის ხელწერილს, რომელიც მასზე არანაკლებ უცნაური და მივიწყებული იყო. ხელწერილი, იქნებ თამასუქიც, სულ არ იყო მნიშვნელოვანი: ას მანეთზე მეტი არ ყოფილა. და არცთუ იშვიათობა იყო: მის ავტორს თავისი ცხოვრების მანძილზე მრავლად შეუქმნია მსგავსი ერთგვაროვანი „შემოქმედება". მიუხედავად ამისა, სამარხების გამთხრელის თანდაყოლილი თვისების წყალობით, რომ ყველა ნვრილმანს, ოღონდ სიძველის სურნელი ასდიოდეს, დიდი მნიშვნელობა მიანიჭოს,უ-მ საგულდაგულოდ ჩამობერტყა თუ საუკუნოვანი არა, ათწლოვანი მტვერი მაინც და სათუთად შეინახა თავის ჩანთაში.

მეორე დღესვე ჩემი გმირი გაუფრთხილებლად—მე დამავიწყდა მისი კიდევ ერთი თვისება: იგი სასაცილოდ გულჩახვეული იყო, აქეთ-იქით იყურებოდა და ასე უჩუმრად მივიდა რკინიგზის სადგურთან, ბილეთი აიღო სწორედ იმ სადგურამდე, სადაც ადგილობრივი მომრიგებელი განყოფილების სასამართლო პრისტავის თანამდებობაზე მუშაობდა დაობებული ხელწერილის ავტორი, რომელმაც, თავის მხრივ, მრავალი წლის ფხიანი ბრძოლის, ძიების, ხეტიალის, დაცემისა და მღელვარების შემდეგ ძლივს იპოვა ეს მშვიდობიანი თავშესაფარი.

იმ ადგილზე, სადაც ეს ნაცნობი ცხოვრობდა (ჩემი მკითხველი მასში უკვე შეიცნობდა ყოფილ მეყველეს ნ.გ. ახვლედიანს, რომელიც ძველად ცნობილი იყო მოხსენებით: „სადაც ფუნაა, იქ საქონელია"), უ. ისეთივე სიფრთხილით ჩავიდა, როგორითაც თავისი ქალაქიდან გაემგზავრა, სიტყვა არ უთქვამს არავისთვის არც ჩამოსვლის მიზნის, არც თავისი ვინაობის შესახებ (იქ კი მას სრულიად არავინ იცნობდა, გარდა ბ-ნ ახვლედიანისა'', ამ უკანასკნელს კი იგი საგულდაგულოდ ემალებოდა), მან მთელი ღამე ქუჩებში ხეტიალში გაატარა, თან ადგილობრივ ლაქიებსა და მედუქნეებს ეკითხებოდა ხან რაზე და ხან რაზე, არსებითად კი არაფერზე. მაგრამ როგორც ყველას, ვინც საიდუმლო გეგმას დაისახავს და გაუხმაურებლად სურს მისი შესრულება, მასაც განსაკუთრებით საეჭვო სახე ჰქონდა. წაგავდა ან შეთქმულების მონაწილეს, რომელიც ყოვლადმხილველ თვალს ემალება, ანდა მზვერავს, რომელიც თვითონ სარგებლობს ასეთი თვალით.

დილით, როგორც კი ინათა, ჩემი გმირი გამოვიდა იმ დუქნის ტიხრიდან, რომელსაც ადგილობრივი მკვიდრნი „სასტუმროს" უწოდებდნენ. გამოვიდა მორიდებულად, ჩუმად, თითის წვერებზე, ჩვეულებისამებრ აქეთ-იქით იყურებოდა და გაემართა ქუჩისაკენ, თვითონ არ იცოდა საითკენ. გამვლელ-გამომვლელს ის „ჩუმად და ფრთხილად" ეკითხებოდა მხოლოდ, სად მდებარეობდა მომრიგებელი განყოფილება, ადრე გამოდის მომრიგებელი მოსამართლე სასამართლოს ჩასატარებლად და განაჩენის გამოსატანად, საქმის გარჩევის დროს ბევრი ხალხი ესწრება თუ არა, ესწრება თუ არა ამას სასამართლოს პრისტავი და ა.შ. რასაკვირველია, თქვენ ხვდებით, რისთვის ჭირდებოდა მას ეს: სინამდვილეში მას ხალხის წინაშე გამოჩენის ეუხერხულებოდა, მას—„მწერალს", მას—პედაგოგს, მოსარჩლეს და მომთხოვნელს არ სურდა ბანალურ როლში გამოსვლა, მას უნდოდა ემოქმედა „ინკოგნიტოდ", მაგრამ ჩივილის დროს ხომ უნდა ეთქვა სახელი. და უეცრად საზოგადოება გაიგებდა „ცნობილ ლიტერატურულ სახელს" კაპიტალისა და პროცენტების მოთხოვნის, სასამართლო დანახარჯისა და ზარალის გვერდით. დამეთანხმებით, არასასურველია, და თან შეიძლება ძველ ნაცნობსაც შეხვდეს, ესეც უხერხულია. ბევრად უკეთესია განყოფილებაში მივიდეს პირველი, ვიდრე ხალხი შეგროვდება, მოსამართლეს გადასცეს საჩივარი: ის გაარჩევს, გადაწყვეტს, მისცემს საბუთს და კვალიც დაიფარება. აი, ჩვენი მორიდებული გმირი რატომ ეკითხებოდა გამვლელებს ასეთი „სიფრთხილით".

მაგრამ თქვენ იცნობთ პროვინციულ ცხოვრებას. გამოჩნდა ახალი პირი. ვინ არი? საიდან? რისთვის? და „ახალი პირი" თან ეკითხება, გარემოს ამოწმებს, აქეთ-იქით იმზირება. აქ თავისთავად იბადება კითხვები გოგოლის „რევიზორიდან": ხომ არ არის ღალატი? „სამინისტრომ ხომ არ მოგვიგზავნა?"

ამ ამბის წინ, ადგილობრივ გაზეთებში ბევრს წერდნენ იმის შესახებ, თითქოს სამინისტრო რაიმე „რევიზიისთვის" ვიღაცას ჩუმად „გზავნის" ხოლმეო. აქედან გასაგებია, რომ ჩვენი საფლავის მთხრელმა, ადგილობრივ მკვიდრთა შორის, დიდი სენსაცია გამოიწვია.

ახლა ჩვენი მოქმედება სხვა სცენაზე გადავიტანოთ—ადგილობრივი მომრიგებელი მოსამართლე, აგრეთვე, მშვენიერი და პატრიარქალური ადამიანი, რომელსაც ხალხისაგან გაეგო, რომ სამინისტრო არათუ მიაგზავნის კაცს გასაგებად, ღალატი ხომ არ არისო, არამედ თვითონაც აპირებს რევიზიაზე ჩამოსვლასო, იჯდა თავის ბანკში, წრუპავდა ჩაის და ფიქრობდა. და მისი ფიქრები ქროდა შორს, შორს, იმ ნეტარ დროებისაკენ, როცა არ არსებობდა რკინიგზები, რომლითაც ადამიანებს მოულოდნელად შეუძლიათ ჩამოსვლა. გაიხსენა, როგორ ჩამოდიოდნენ ამ მიყრუებულ კუთხეში ბარონი როზენი, ან თავადი ვორონცოვი. ერთი თვით ადრე იცოდი ჩამოსვლის დღე და საათი. ერთი კვირით ადრე მორეკავდნენ ცხენებს. ჩამოდიოდნენ გამოუკლებლივ ყველანი, მემამულეები ცოლებით, შვილებითა და ჯალაბობით. მთელ გზაზე, ოცდაათი ვერსის მანძილზე, გამოეფინებოდა მარტო ცხენები და მხედრები, რომლებსაც ევალებოდათ, როგორც კი კორტეჟს დაინახავდნენ, ექროლათ, არ დაეზოგათ ცხენები და ადგილობრივ ხელისუფალთათვის და მოსახლეობისათვის ემცნოთ მათი მოახლოვება. ახლა? რომელი მატარებლით ჩამოვა? დილის? შუადღის? ორთქმავლის დაკივლებასაც ვერ გაიგებ. მოახლოვდება მატარებელი, გამოვა ბატონი, პიჯაკში ჩაცმული, როგორც ყველა მოკვდავი... ვერც გაარკვევ, ვინ არის?...

უეცრად თავში საშინელმა აზრმა გაუელვა: იქნებ „ის" გუშინ უკვე ჩამოვიდა. მაგრამ არა, რა სისულელეა. ყველა ღონე უკვე მიღებულია. მაშინვე შემატყობინებდნენ ან საბაზრო სამმართველოდან, ან სასტუმროდან, ანდა სასამართლოდან.

იმავე წუთს, ქოშინით, უნებართვოდ შემოვარდა „კაბინეტში"— იგივე საძილეში, მისაღებსა და სასადილოში— მომრიგებელი განყოფი-

ლების დარაჯი და მოახსენა, რომ სასამართლოში გამოცხადდა მოხელე, რომელიც ყველაფერს ათვალიერებს, ყველას ეკითხება დიდი გულისყურით, თან ისეთი საეჭვოა.

ადამიანი, თავისი ბუნებით, უფრო მიმნდობი და გულუბრყვილოა: რაიმე საკითხისადმი კრიტიკულად მიდგომა ცოტას შეუძლია და ისიც მშვიდი სულიერი განწყობის დროს. განგაშის დროს, აღგზნებულ მდგომარეობაში გჯერა ყველაფრის, რასაც გეუბნებიან, ფიქრის დრო არ არის.

აი, რატომ ირწმუნა პატრიარქალურმა მომრიგებელმა მოსამართლემ მაშინვე, რომ „ჩინოვნიკი", რომელზეც ლაპარაკია, არის მხოლოდ და მხოლოდ სამინისტროს ერთ-ერთი რევიზორი, შესაძლებელია, თვით მინისტრიც. ძლივს მოასწრო რეგალიებით შემკული მუნდირის ჩაცმა, კინაღამ დაავიწყდა ტრადიციული საბურთუნე და მოჰქუსლა განყოფილებისკენ.

დარბაზი ჯერ ცარიელი იყო. აივანზე იჯდა მხოლოდ ადგილობრივი ხუთი მოქალაქე და იდგა ორი ადგილობრივი მოდავე, რომელთაც სახეზე გაუნელებელი ციების კვალი აჩნდათ, რომელსაც მეცნიერებაში მცდარად „შენაცვლებითს" უწოდებენ. გაყვითლებული სახეები, სიგამხდრე, ღვიძლისა და ნაღვლის ბუშტის ფუნქციის მოშლის აშკარა ნიშნები... ჩვენი მოსამართლე მთელი სიცოცხლე მხოლოდ ასეთ საწყალ სახეებს ხედავდა. მაგრამ ბუნების კანონი ასეთია, რომ იმ დილით ეს სიფერმკრთალე და ეს სიყვითლე მოსამართლეს მხოლოდ იმის დამამტკიცებლად მოეჩვენა, რომ ხალხი გრძნობდა რევიზორის დასწრებას.

იგი შევიდა კანცელარიაში, კარის ჭუჭრუტანიდან გაიხედა დარბაზში და მოსამართლემ, როგორც იქნა, დაინახა ყალბი რევიზორი. უ-ს განზრახ მკაცრმა სახემ, მისმა მედიდურად ჩამოშვებულმა ცხვირმა, მისმა გამჭოლმა მზერამ, რომელიც ღუმელის კარნიზისკენ იყო მიმართული, საბოლოოდ დაარწმუნა მოსამართლე.

—ხედავ, რა წყნარად გვაჩვენებს თავს. ჰგონია, სულელები ვართ! არა, ძმაო, ჩვენც თავი გვაბია,—უთხრა მან თავის მდივანს.

იგი არ დაელოდა სხდომის დაწყების ჩვეულებრივ დროს, მთრთოლვარე ხელით გაიკეთა ყელზე ძენკვი, იღლიაში ამოიდო მთელი გროვა საჭირო და არასაჭირო „საქმეები" და შევიდა დარბაზში. დინჯად დაუკრა თავი არარსებულ საზოგადოებას და დამსწრე უ-ს. დაიწყეს შემოსვლა ფერმკრთალმა დიდებულებმა. მხოლოდ დილის 9 საათი იყო.

—ბატონო თარჯიმანო, მოუხმეთ მხარეებს, განიხილება დიდებულის, ადმირალ ხუხულიას შემხვედრი სასარჩელო საქმე დიდებულ

პარომ სანდრიგალიასთან[12] ორას ორმოცდაჩვიდმეტ მანეთზე, ვინაიდან მოპასუხემ მოსარჩელის ცხენს ასწავლა ხეხილზე ფხანის ხელოვნება, რასაც მოჰყვა მოსარჩელის მამულში თოთხმეტი კაკლისა და ამდენივე ვაშლის ხის ნაადრევი სიკვდილი,*—გარკვევით და მკაცრად წაიკითხა მოსამართლემ.

სასარჩელო ობიექტის უჩვეულობას არ შეიძლებოდა არ გაეოცებინა ისეთი „დაკვირვებული" გონება, როგორიც ჩვენს გმირს ჰქონდა, რომელმაც ცქვიტა ყურები და ყურადღებად იქცა. მოსამართლემ დაინახა, რომ უ. მას დაჟინებით უმზერდა, და უფრო დარწმუნდა, რომ მას უთვალთვალებდა არა მხოლოდ რევიზორი, არამედ სამინისტრო. და რომ ეჩვენებინა ამ მინისტერიისათვის, მიყრუებულ კუთხეში როგორი ყურადღებით, როგორც ყოველმხრივ, რა წვალებით მიმდინაროებს სასამართლო და განჩინება, რომ არ შერცხვენილიყო, რომ თუ შეიძლებოდა თავი გამოეჩინა, მოსამართლემ თავი მოიქაჩლა და დაიწყო მოწმეების დაკითხვა, მოსარჩელის ხელახალი დაკითხვა, საზეიმოდ ფიცის დადება და მთელი დაუსრულებელი ცერემონია. ბევრი ოფლი დაღვარა თარჯიმანმაც, რომელიც მოწმეების ჩვენებების იმპროვიზაციასაც აკეთებდა, მოსარჩელის დასაბუთებებსაც და მოპასუხის განმარტებებსაც გადმოსცემდა. მთელ ამ იმპროვიზაციაში, თავისთავად ცხადია, როგორც წესი, ოდნავი მსგავსებაც არ ყოფილა იმასთან, რასაც ამბობდნენ მოდავეები და მათი მოწმეები. მაგრამ მართლმსაჯულება ამისგან ოდნავადაც არ დაზარალდებოდა, იმიტომ, რომ მოსამართლემ შესანიშნავად იცოდა ადგილობრივი ენა და ჩვენებების აუცილებელ თარგმანს სრულიად არ აქცევდა ყურადღებას.

ბევრი რომ არ გავაგრძელოთ—დროა დავასრულოთ—ვიტყვი მხოლოდ, რომ მოსამართლემ გაჭიმა ამ საქმის გარჩევა დილის 9 საათიდან შუადღის ოთხ საათამდე, ყოველგვარი შესვენების გარეშე. ყველა ჩვენება გულმოდგინედ შეიტანეს ოქმში, ყველა ოქმი წაიკითხეს არა ერთხელ და ორჯერ, არამედ სამ და ოთხჯერ, „დარწმუნებისთვის" და რაც უფრო დაჟინებულად შეჰყურებდა და ყურს უგდებდა საქმეს უ., რათა გამოენახა შესაფერისი დრო და მომრიგებელი მოსამართლისთვის თავისი ქაღალდი მიეჩეჩებინა, მით უფრო თრთოლვით და გულისყურით ასრულებდა მოსამართლე საქმეს, თითქოს ვერც ამჩნევდა მის იქ ყოფნას, თითქოს ვერ ცილდებოდა თავისი მოვალეობის სიწმინდეს.

---

* გაძლევთ პატიოსან სიტყვას, იყო და ირჩეოდა ასეთი სასამართლო საქმე (ავტ.).

მაგრამ შიმშილმა თავისი გააკეთა. მოშივდა უ-საც. წამოიწია ენერგიულად და წამოდგა. მომრიგებელ მოსამართლეს ხელები და ენა გაეყინა. გარჩევა უნებურად შეწყდა. ჩამოვარდა ღრმა სიჩუმე. უ. მოსამართლის მაგიდას მიუახლოვდა. მან ინსტიქტურად, ჩვეულებისამებრ, გაუწოდა თავისი საბურთუნე, ძლივს წარმოსთქვა „მიირთვით" და გონებაში წაიჩურჩულა: „დაიფარე, უფალო, მეფე დავითი და მთელი მისი სიმშვიდე".

ბოლოს და ბოლოს, ორივე მხრივ დაუსრულებელი დამქანცავი ლოდინისა და ცნობამიხდილობის შემდეგ, უ-მ ამოიღო და მოსამართლეს რაღაც ქაღალდი გაუწოდა. მოსამართლემ აკანკალებული ხელით გახსნა ის ქაღალდი: იგი დარწმუნებული იყო, რომ ხსნიდა „ინკოგნიტო" განკარგულებას რევიზიის შესახებ. მოსამართლემ თავის თვალებს არ დაუჯერა და ორჯერ გადაიკითხა მორიდებული სტრიქონები: „ტიტულოვან მრჩეველ უ-ს თხოვნა".

—უხ, შენი... —წამოსცდა მოსამართლეს.

ამ გაუგებრობით გაჯავრებულმა, მთელი დღის ნერვიულობით და დაძაბული შრომით დაღლილმა, გვერდზე მოისროლა ჩემი გმირის სასარჩელო განცხადება და დასაჯა იმით, რომ მისი საქმის გარჩევა დანიშნა მომავალი წლის ივლისის თვეში.

საღამოს მოსამართლე მისთვის ჩვეული გულკეთილი იუმორით ყვებოდა ამ თავშესაქცევ ისტორიას და გულაჩუყებულმა დაუმატა:

—ჩამოვიდეს ხელახლა ივლისში. მე მაგ თვითმარქვიას მთელი ხუთი დღე გავაჩერებ და ის აქედან ისეთ ციებას წაიღებს, რომ მეორედ მოსვლამდე არ დაავიწყდება!

და სასამართლო პრისტავი, რომლის აღწერა ძნელია, ხარხარებს, კვდება სიცილით, თან მუდმივად იმ სტერეოტიპულ ამბავსაც იხსენებს, რომ ძველად უ., კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოებას უმტკიცებდა იმას, რომ „სადაც ნაკელია, იქ საქონელია"... იმ დროს ახალი საინტერესო საამბობიც გაჩნდა, რომ უ., სასამართლო წესის მიხედვით, თავისდა უნებლიედ, აღმოჩნდა თვითმარქვია და გახდა თუშეთის... გმირი.

13. საუძმო საკითხავი

ჩემი ფელეტონი ბ-ნ ხოსროევზე, სამწუხაროდ, არ მოეწონა პატივსაცემ სომხურ გაზეთს „მშაკს“[13]. დოქტორ არწრუნის ორგანომ საჭიროდ ჩათვალა „ნოვოე ობოზრენიესთვის“ მკაცრი ნოტაცია წაეკითხა, რომ პრესა არ უნდა იჭრებოდეს სასამართლო საქმეებში, ვიდრე არსებული ხელისუფლება საბოლოო განაჩენს არ გამოიტანს, სადაც უაპელაციოდ იქნება ნაჩვენები, სადაა სიმართლე და სად ტყუილი. პოლემიკას არ ვაპირებ არავისთან, ვინც უნდა იყოს, მითუმეტეს „მშაკთან“ კამათის იოტის ოდენა სურვილიც არ მაქვს. მაგრამ სრულიად კანონიერად მსურს ჩვენში მართებულად იყოს დაყენებული საზოგადოების დამოკიდებულება, პრესის უფლებებისა და გავრცელების საზღვრებისადმი. და ეს მაიძულებს ამ საკითხის ირგვლივ მკითხველს ზოგიერთი განმარტება მივცე. ეს აუცილებელი საუბარი მე გადავდე ა.ა. თამამშევთან ჩემს მომავალ განმარტებამდე. სხვათა შორის, ახლა კი მე ვისარგებლებ შესაფერი შემთხვევით, რათა საკითხი პრინციპულად გავარჩიო. გასაგებია, რომ მე ლაპარაკი მექნება არა რომელიმე კერძო საკითხებზე და მოვლენებზე, არა ბ-ნ ხოსროევზე, „მშაკზე“ და ბ-ნ თამამშევზე, არამედ მხოლოდ პრინციპზე: რა დამოკიდებულებაში უნდა იყოს პრესა სამართალთან.

ჩვენს მკითხველს ალბათ ახსოვს, რომ ბ-ნმა თამამშევმა ბრალი დამდო მე, ან პირებს, ვინც საშუალება მომცა მის საქმეს გავცნობოდი, ბრალი დამდო იმაში, თითქოს ჩემი ფელეტონის მიზანი „სასამართლოზე ზემოქმედება“, მისი გადაწყვეტილების მიღებაზე ზემოქმედება იყო. არსებითად ზუსტად ასეთივე საყვედური გამოთქვა გაზეთმა „მშაკმა“ ბ-ნ ხოსროევზე დაწერილი ფელეტონის გამო. არ ვიცი, ჩვენი სასამართლოს მიმართ რამდენად კარგი კომპლიმენტია ის ბრალდება, თითქოს საფელეტონო სტატიას შეუძლია მისი მართლმსაჯულების სასწორის გადახრა ერთ ან მეორე მხარეს. მაგრამ დაბეჯითებით ვიცი და დარწმუნებული ვარ, რომ ასეთი საყვედურისათვის არავითარი სერიოზული საბაბი არ მიგვიცია. ლაპარაკი რომ ყოფილიყო ნაფიც მსაჯულთა სასამართლოზე, რომლის შემადგენლობაში, კანონმდებლობის თვალსაზრისით, „საზოგადოებრივი სინდისის“ მეტ-ნაკლებად შემთხვევითი წარმომადგენლები შედიან, და რომლებმაც საქმის შესახებ მხოლოდ ის იციან, რასაც სასამართლოზე გაიგონებენ, ისინი კიდევ შეიძლება მოექცნენ პრესის მსჯელობის გავლენის ქვეშ და საყვედურიც რაღაცით მაინც იქნებოდა მოტივი-

რებული. მაგრამ ჩვენში, კავკასიაში, საქმე ეხება მხოლოდ სახელმწიფო სამსახურში მყოფ მოსამართლეებს, რომლებიც იცნობენ საქმის ყველა საქაღალდო წარმოებას, ყველა წვრილმანს, მის დაფარულ მხარეებს, იმ მოსამართლეებს, რომლებმაც მოუსმინეს ორივე მხარეს და რომელთაც უდაოდ ხელთ ჰქონდათ ყველა წვრილმანი, რაც საქმის სწორი გადაწყვეტისათვის იყო საჭირო. შესაძლებელი რომ ყოფილიყო, თუნდაც მცირე ეჭვის შეტანა, რომ ასეთ მოსამართლეებს თავიანთი ბრალდებისა და გადაწყვეტილების გამოტანის დროს შეუძლიათ საქმე ცალმხრივად გააშუქონ, მაშინ განა „სასამართლო წესდებები" დაუშვებდნენ სასამართლოში ადვოკატებსა და პროკურორებს? ჩვენშიც და ყველგან, კანონი ზედმიწევნით იღვწოდა მხოლოდ ერთისთვის: სასამართლო და მართლმსაჯულება ისე მოეწყოთ, რომ მოსამართლეთა წინაშე, რომელთაც თვით სინდისით შეუძლიათ მსჯავრის გამოტანა, საქმის ყოველმხრივ სრული, ყოველნაირად და ყოველი კუთხით გაშუქებული სურათი გადაშლილიყო. კანონმა სწორედ ამიტომ მისცა სრული და თანაბარი თავისუფლება როგორც დაცვას, ისე ბრალდებას. მან სასამართლოს კარი ფართოდ გაუღო ყველას განურჩევლად, გააფორმა „მესამე პირის ჩარევა". მოსამართლისგან კი ითხოვს მოსაზრებებისა და დასაბუთებების მყარ და საფუძვლიან შეფასებას და მათგან გამომდინარე საკითხებისა და დასკვნების დადგენას. გაიგეთ, რომ მთელი ჩვენი სასამართლო პროცესი, სწორედ იმაზეა აგებული, იმით არის მტკიცე, რომ „სასამართლო არ აგროვებს მტკიცებებს", არამედ მსჯელობს წარმოდგენილი მტკიცებების ირგვლივ. და რაც უფრო მეტი მტკიცება იქნება წარმოდგენილი, რაც უფრო მრავალმხრივ იქნება საქმე გაშუქებული, მით მეტი იმედი უნდა ჰქონდეთ „სასამართლო წესდებებს", რომ მოსამართლის სინდისი სწორ გადაწყვეტილებას გამოიტანს. ჰკითხეთ ნებისმიერ იურისტს და ის დაგიდასტურებთ, რომ ეს ელემენტარული სიმართლეა.

ისმის კითხვა, განა სასაცილო არაა ატეხო ყვირილი „მართლმსაჯულებაში პრესის ჩარევის შესახებ"? ორში ერთი: თუ პრესა მოიტანს დაუსაბუთებელ მოსაზრებებს, მაშინ სასამართლო მას ისევე მოექცევა, როგორც მტყუანი ადვოკატის ლაპარაკს, ე.ი. მას „არ გაითვალისწინებს". ანდა პრესა მოიტანს დასაბუთებულ მასალას, მიუთითებს მნიშვნელოვან ფაქტებზე და ამ შემთხვევაში სასამართლო მას გაითვალისწინებს თავისი დასკვნებისათვის, როგორც ერთ-ერთ

მართებულ ელემენტს. მაგრამ ორივე შემთხვევაში ეს მართლმსაჯულებისათვის, „საქმისათვის“ საზიანო არ იქნება. სავსებით ნათელია, რომ „პრესის ჩარევის“ წინააღმდეგ ხმას აიმაღლებენ არა მოსამართლეები, არა „სასამართლო წესდება“, არა საერთო ინტერესებისათვის მზრუნველნი, არამედ ის პირნი, რომელნიც დაინტერესებულნი არიან, რომ სასამართლომ სრული სიმართლე კი არ გაიგოს, არამედ სიმართლის ის ნაწილი, რომელიც ცალკეული პირისთვის არის მოხერხებული და სასარგებლო. ღმერთმა დამიფაროს, მე სრულიად არ მიმაჩნია, რომ „მშაკი“ ან ბ-ნი თამამშევი ასეთი აზრებით ხელმძღვანელობენ. მათში ლაპარაკობს სიძველის გადმონაშთი, მცდარი შეხედულებანი სასამართლოსა და პრესის დანიშნულებაზე, როდესაც პრესის ჩარევა დასმენას უფრო ჰგავდა, როცა ბრალდებულს სიმართლის აღდგენისა და თავისი ინტერესების დაცვისათვის თითქმის არავითარი საშუალება არ ჰქონდა...

მაგრამ ეს მხოლოდ და მხოლოდ საკითხის ერთი მხარეა. გასაგებია, რომ მე სრულიად არ ვცდილობ მართლმსაჯულების შესასრულებლად პრესის ჩარევა დავაკანონო. მე მხოლოდ ვამბობ, რომ პრესას უფლება აქვს სასამართლო საქმეებზე იმსჯელოს,— სასამართლოს და არა საგამომძიებლოს,—სრული უფლება აქვს ეს საკითხები თავისი კუთხით გააშუქოს ისე, რომ მართლმსაჯულების ინტერესებისა და ღირსეული სასამართლოსათვის ოდნავადაც არ იყოს საზიანო. მაგრამ რამდენად ხშირად უნდა მოიმოქმედოს ეს, ეს სხვა საკითხია. ის პრესა კი, რომელიც სასამართლო საქმეებში ცხვირს ყოფს რომელიმე პირის კერძო ინტერესებისათვის, რაც უნდა პატივსაცემი იყოს ეს პირი, მაშინ პრესა საერთო ინტერესებისათვის სამსახურის ნაცვლად, გადაიქცევა დაქირავებულ ადვოკატად და შუამდგომლად და პროფანაციას გაუკეთებს თავის დანიშნულებასა და თავის ძალებს. კერძო საქმეების გასარჩევად, კერძო სამართლის დარღვევების აღსადგენად არსებობს დადგენილი ხელისუფლება. სწორედ მას უნდა მიმართონ იმ პირებმა, რომელთა ინტერესები შელახული ან დარღვეულია. ამ სფეროში ჩარევა სრულიად არ არის პრესის საქმე: სხვაგვარად ის ვერც შეასრულებდა თავის ამოცანას და საზოგადოების თვალში დაკარგავდა თავის ინტერესებსა და ნდობას. პრესის ჩარევა სასამართლოს სფეროებში გამართლებულია მხოლოდ იმ განსაკუთრებულ შემთხვევებში, როდესაც კერძო ინტერესებისგან დამოუკიდებლად საქმეში, რომელსაც სასამართლოში თავისი დამცველი და გულშე-

მატკივარი ჰყავს, გამოიკვეთება ხოლმე ზოგადად საინტერესო საკითხები, რომლებიც ნათელს ჰფენენ საერთო მდგომარეობას, ან წარმოადგენენ ტიპურ მოვლენებს, ან არსებულ კანონმდებლობაში ვერ პოულობენ სათანადო გარანტიას.

მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ სასამართლოს უფლება აქვს, საქმის გარემოებათა გამოკვლევისათვის, გამოიყენოს გადამჭრელი ზომები, რომელთაც მხოლოდ იმ მომენტში აქვთ ძალა. კანონმდებელმა განზრახ რომ არ მისცეს პრესას გახმაურების უფლება მართლმსაჯულების შესასრულებლად, მაშინ არ იქნებოდა თვით ჩვენი კანონმდებლობის დახვეწისა და შევსების საკმაო გარანტია, რომლის სრულყოფა და შევსება ცხოვრების მითითებით ხდება.

პრესის ეს როლი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სახელმწიფოებრივი სასამართლოსათვის, რომელიც, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოსგან განსხვავებით, ვალდებულია თავისი გადაწყვეტილებანი და მსჯავრი დაასაბუთოს, მაგალითად, ნაფიცი მსაჯულები, ან სამხედრო მოსამართლეები, თუკი ერთხელ მივლენ რაიმე გადაწყვეტილებამდე, სრულიად არ არიან ვალდებულნი წერილობით დაასაბუთონ თავიანთი ნაფიქრი, ან ანგარიში ჩააბარონ ვისმეს, რის საფუძველზე მივიდნენ ამა თუ იმ დასკვნამდე. ისინი მხოლოდ ამბობენ: ჩვენმა სინდისმა გვიკარნახა, მოვალეობის გრძნობისა და ფიცის გამო, ჩვენ ჩავთვალეთ, რომ მავანი და მავანი დამნაშავეა ამა და ამაში. მორჩა და გათავდა. რასაკვირველია, სრულიად სხვა საქმეა დაწესებულებათა გამოცდილი მოსამართლეები, რომელთაც იციან „სასამართლო წესდებანი". ეს გამოცდილი მოსამართლენი ვალდებული არიან თავისი ყოველი დასკვნა დაასაბუთონ თავის გადაწყვეტილებებში, მოიშველიონ ჩვენებები, დასაბუთებანი, დოკუმენტები, ხოლო თუ მათი „შინაგანი რწმენა" ფაქტებით, დოკუმენტებით არ იქნება განმტკიცებული, მას არც კანონის და არც შემდგომ ინსტანციებში არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. აი, რატომ ხდება ყოველ ფეხის ნაბიჯზე, რომ „შინაგანი რწმენა" და „სინდისი" მოსამართლეს ერთ გადაწყვეტილებამდე მიიყვანს, საბუთები კი—სრულიად საწინააღმდეგომდე. მაგალითად, მოსამართლეებს შეიძლება წარუდგინოთ ყალბი თამასუქი. ისინი ღრმად არიან დარწმუნებულნი, რომ ამ თამასუქს ფასი არა აქვს. მაგრამ თუ მას შვიდი დღის განმავლობაში არ გააპროტესტებენ, მაშინ მოსამართლის გადაწყვეტილებაზე არავითარი „შინაგანი რწმენა" არ იმოქმედებს და ისინი გამოიტანენ გადაწყვეტი-

ლებას, რომ მოპასუხეს დაუყოვნებლივ გადაახდევინონ თამასუქში აღნიშნული თანხა, ანდა შეიძლება ასეთი მოსამართლის წინაშე იდგეს მკვლელი, რომელიც ცრუ მოწმეების მთელ ჯგუფს მოიყვანს, რომლებიც მის გასამართლებლად იღაღადებენ. და იციან მოსამართლეებმა, რომ კაპიკია ამ მოწმეების ფასი, რომ ისინი ყველანი ტყუიან, მაგრამ ვინაიდან სხვა მოწმეები არ არიან, ვინაიდან „ფაქტებით" არ შეიძლება მოწმეების სიცრუის დამტკიცება, მათ უნდა გაამართლონ მკვლელი. აბა, რა ქნან?

სწორედ ასეთ შემთხვევებში, სახელმწიფო სასამართლოსთვის უფრო საჭიროა, ვიდრე ნაფიც მსაჯულთათვის, რომ მართლმსაჯულებას დაეხმაროს პატიოსანი პრესა, რომელიც დაინტერესებულია არსებული საზოგადოების მორალური მდგომარეობით. პრესის ზემოქმედება ამ შემთხვევაში, რასაკვირველია, მნიშვნელოვანია, არა იმ მხრივ, თუ როგორ დამთავრდება ესა თუ ის პროცესი, არა ნებისმიერი ბრალდებულის ინტერესებისათვის,—არა. თავისი ჩარევით პრესა ამხელს იმათ, ვინც ბოროტად იყენებს დადებულ ფიცს, მკაცრი ხელშეკრულების უფლებას. ის ეხმარება არსებულ საზოგადოებაში იმ ზნეობრივი მცნებების, იმ პატიოსნებისა და საზოგადოებრივი ურთიერთობის წესიერების ჩამოყალიბებასა და განმტკიცებას, ურომლისოდაც უაზრობა იქნებოდა საზოგადოების არსებობა. იმ საზოგადოებაში, სადაც ასეთი ზნეობრივი შეგნება შერყეულია, სასამართლოსა და ადმინისტრაციის მოღვაწეობაც და კერძო ინიციატივაც უნაყოფოა. კანონით დაწესებული ფორმა და წეს-ჩვეულება, ასეთ საზოგადოებაში ეგოისტების ხელში სათამაშო იარაღს წარმოადგენენ, რომელთაც უნარი აქვთ პირადი სარგებლობა ნახონ საუკეთესო კანონებიდან და უაღრესად სამართლიანი სასამართლოებიდანაც კი. ვიმეორებ, აი, რატომაა თვით ამ კანონებისა და სასამართლოების სასარგებლოდ პრესა ვალდებული ყველა შესაფერი შემთხვევა გამოიყენოს და თავისი ძალებისა და შესაძლებლობების მიხედვით მკითხველ საზოგადოებაში გააღვივოს და განავითაროს ზნეობრივი მცნებები.

მე მრცხვენია, რომ იძულებული ვარ განვმარტო ასეთი ელემენტარული მცნებები. მაგრამ რაღა დამრჩენია? ძალიან კარგად ვიცი, რომ ყველა პატიოსანი პრესის მუშაკისათვის ეს ყველაფერი აქსიომაა, რომ ამით ყოველთვის ხელმძღვანელობდნენ საზოგადოებრივი. განვითარების მოსურნენი. მაგრამ დადექით ჩემ ადგილას. როდესაც

მე, ამ შეხედულებებიდან და რწმენიდან გამომდინარე, ვეხები საინტერესო საკითხებს, ბრალს მდებენ არა მარტო სხვები, არამედ პრესის წარმომადგენლებიც, სასამართლოს ვითომდა აკრძალულ სფეროში „უწესო ჩარევაში". ჯერ ერთი, მაშ, რაში მიბრძანებთ ჩავერიო, თუ ეს სფეროც აკრძალულია? მეორეც, განა მე მაინტერესებს რითი დამთავრდება სასამართლოში ესა თუ ის პროცესი? განა სულერთი არ არის, რომელი მხარე დარჩება გამარჯვებული? პირადად მე, ჩვენს გაზეთს, ჩვენს საზოგადოებას ამითი არც მოემატება, არც დააკლდება რაიმე. რომ არ არსებობდნენ „კერძო გულშემატკივრები", ჩვენ არასდროს დავიმდაბლებდით თავს, რომ პრესის საშუალებით გვემხილა ასეთი მდაბალი ზრახვები. მერწმუნეთ ამაში, და გახსოვდეთ სამუდამოდ. ნურასდროს ნუ მოგვაწერთ ასეთ ულირს საქციელს. ამისთვის არ ღირდა ხელების დასვრა. გჯეროდეთ, პრესის მოღვაწეებს უფრო წმინდა და უფრო დიდი მიზნები ამოძრავებთ, და მათთან შედარებით ყველაფერი ის, რაშიც ბრალს გვდებთ, მიკროსკოპულად პატარაა...

და კიდევ ერთი, ბოლო შენიშვნა. ამბობენ: „საბოლოო განაჩენამდე არ შეიძლება წერა: თქვენ ზემოქმედებას ახდენთ მოსამართლეებზე". დაფიქრდით, რა დასკვნა გამოდის ასეთი წესიდან. დავუშვათ, თქვენ ამას დაემორჩილეთ, გამოტანილია საბოლოო განაჩენი. ორში ერთი: ან გამამართლებელი, ან საბრალდებო. პირველ შემთხვევაში, წესის მიხედვით, თქვენ წერის უფლება არ გაქვთ, ვინაიდან „ეს უკვე გადაწყვეტილი საქმეა: კომპეტენტურმა სასამართლომ თავისი სათქმელი თქვა და თქვენი უფლება არაა მისი შეცვლა". მეორე შემთხვევაში თქვენ პირში ბურთს გჩრიან შემდეგი აქსიომით: „წაქცეულს არ ურტყამენ". განა ასე არაა? მაშ, პრესამ როდისღა თქვას თავისი სათქმელი? იქნებ მას მხოლოდ სასამართლოს ოქმის წერა და გამოქვეყნება ევალება? ასეთ შემთხვევაში საითღა წარვმართოთ იმ კანონმდებლის მიზანი, აზრი და ნება, რომელიც „სამართლიანი სასამართლოს" ჩატარების შესაძლებლობას მხოლოდ პრესით გახმაურებაში ხედავს?!

14. საუქმო საკითხავი

დიდი ხანია შემჩნეულია, რომ რუსებს შეთანხმება არ შეუძლიათ. ან გარდაცვლილი ი.ს. ტურგენევი არაერთხელ ნაღვლიანად აღნიშნავდა, რომ სადაც სამი რუსია, იქ ალბათ ოთხი სხვადასხვა აზრი არსებობს. სიტყვაში „რუსი" გულისხმობენ არა მარტო ველიკორუსებს, არა საერთოდ სლავებს, არამედ ჩვენ ყველას, რუსეთის მოქალაქეებს, იქნებიან ისინი ინგუშები, ყალმუხები, აბაზგები, ქართველები თუ სომხები, სულერთია.

თქვენ თუ თვალი მიგიდევნებიათ ჩვენში რომელიმე ნარმოების დიდი თუ პატარა საქმიანობისათვის და შეგიდარებიათ როგორ მიდის იგივე საქმე საზღვარგარეთ, აშკარად მიხვდებით ამ სამწუხარო შენიშვნის მნიშვნელობას. მაშინ მიხვდებით, რომ ეს შეუთანხმებლობა და შეუხმატკბილებლობა ჩვენი ჩამორჩენილობის ერთ-ერთი დიდი ფაქტორია, და უშედეგობისა და მრავალი ჩვენი წარმოების ჩავარდნის ერთ-ერთი უდაო მიზეზი.

მაგალითად, მე ჩვენს ქარხნებში და ფაბრიკებში მინახია სხვადასხვა უცხოელის მუშაობა; არაერთხელ თვითონ მიშრომია მათთვის. მაგრამ რა სხვაობაა მუშაობაში! გასაგებია, რომ ვგულისხმობ განსხვავებას არა საქმის გამოკვეთილობაში, ლაზათიანობაში, სისწრაფეში: ეს გამოცდილების, მოხერხების, დროის საქმეა. არა, მე მაინტერესებს საკითხის მეორე მხარე. ლაპარაკია მხოლოდ იმაზე, როგორი გულით, საქმისადმი როგორი სიყვარულით მუშაობს ხალხი აქ და იქ.

რამდენჯერაც მინახავს მუშაობა ჩვენ ქარხნებში, ფაბრიკებში, კანტორებში, კანცელარიებში, რედაქციებში, სამმართველოებში და ა.შ., და რამდენადაც სხვადასხვა იყო ადგილი, საგანი, ამ სამუშაოს დროს მე მაოცებდა ერთი და იგივე სავსებით ერთგვარი მოვლენა. საერთო სამუშაოში მონაწილეთა აბსოლუტურ უმრავლესობას, რომ არა ვთქვა უკლებლივ ყველას,—არ ესმოდათ, რომ ეს იყო საერთო საქმეში ერთობლივი შრომა. ნარმოდგენაც არ ჰქონდათ, რომ ამ მუშაობას რაღაცა მიზანი აქვს, რომ ამ მიზნისკენ უნდა ისწრაფვოდეს თითოეული ცალ-ცალკე და ყველა ერთად, ყოველ შემთხვევაში უმრავლესობას ეს არ ჰქონდა. თითოეულს ფანატიკურად სჯეროდა, რომ გარკვეული საათების განმავლობაში უნდა გაეკეთებინა ხრახნების, ძაფების, ანგარიშების, საყველპურო ლექსების ან პროექტების გარკვეული რა-

ოდენობა უნდა შეექმნა. და მერე რაც უნდა მომხდარიყო,—მას აღარ ენაღვლებოდა. გვერდზე უზის მეორე კაცი, რომელიც იმავე მეთოდით აკეთებს ზუსტად იმავე რაოდენობის ამ ნაწილებს, მაგრამ არც ხრახნების გამკეთებელს და არც იმას, ვინც ამ ხრახნებისათვის ქანჩებს აკეთებს, ჭკუაში არ მოსდით, ნახონ, მიუსადაგონ ისინი ერთმანეთს: მოერგება თუ არა ნაჭდევი, ხომ არ შეცდა რომელიმე ხელოსანი ყალიბის შერჩევის დროს, შემთხვევით ხომ არ აიღო ნომრით დიდი ან პატარა ყალიბი. და ასეა ყველაფერში. მეტსაც გეტყვით. რაღაცა ბედისწერის ძალით, იქნებ ცენტრიდანული ძალის გავლენით, რომელიც ყველას გვფანტავს, ამ ორ ხელოსანს მეტი სანატრელი არა აქვთ, გარდა ამისა: „ო, ნეტავი ჩემი მეზობელი შემთხვევით შეცდეს; რა სეირი იქნება, თუ მთელ მის ნამუშევარს ერთბაშად დაიწუნებენ!“.

ვიცი, არავინ დამიჯერებს, მაგრამ მაინც ვიტყვი, რომ რუსეთში ვნახე ერთი სამრეწველო საწარმოს მეპატრონე, იმ ზომამდე გაჟღენთილი ჩვენი ამ ნაკლით, რომ ღვარძლისა და ნეტარების შერეული გრძნობით უყურებდა, როგორ ზანტად და ცუდად მუშაობდნენ მისი მუშები. სამაგიეროდ შემდეგ როგორი თვითკმაყოფილებით ამბობდა, რომ ყველაფერს „მარტო“ აკეთებს, რომ ის საწყალი ყველაფერს თავისი მხრებით ზიდავს! და იცით? ზუსტად ასეთ მეპატრონეებს ტფილისშიც ათობით ჩამოგითვლით...

რას იტყოდით თქვენ იმ მხედართმთავარზე, რომელიც რომელიმე ქვეშევრდომებთან თავისი უპირატესობის გამოსახატავად, ბრძოლაში სწირავს არა მარტო ჯარის მთელ ნაწილებს, არამედ თვით შეტაკების ბედსაც? თქვენ, რასაკვირველია, მსგავსი ვარაუდის გაფიქრებაც არ შეგიძლიათ. და ალბათ მართალიც ბრძანდებით, მაგრამ, გიმეორებთ, სამრეწველო საქმიანობაში მე მქონია შემთხვევები მენახა მსგავსი მოვლენები, რომლებიც სავსებით ესადაგება ასეთ დაუჯერებელ მაგალითს.

და ეს დაწყევლილი გრძნობა, თავის გამოჩენის ეს სულელური სურვილი, რომ „მხოლოდ მე“ ვარ კარგი, დანარჩენები კი პიგმეები არიან, თავიდანვე მარცხისა და წარუმატებლობის ბეჭედს ასვამს ყველა ჩვენ საქმიანობას და წარმოებას, რა დარგსაც არ უნდა ეკუთვნოდნენ ისინი. ჩვენ არ გვესმის, რომ „ერთი ადამიანი“, ვინც უნდა იყოს, რა გენიოსიც უნდა იყოს, მასში რა განუსაზღვრელი ძალაც არ უნდა ბობოქრობდეს, სრულიად ვერაფერს, სწორედ რომ ვერაფერს გააკეთებს ამხანაგების გარეშე საერთო საქმიანობაში, სამუშაოზე, რო-

მელიც მრავალთა ძალის ერთობლიობას მოითხოვს. მე არ გამოვრიცხავ გენიოსებისა და ტალანტების როლსა და მნიშვნელობას. მაგრამ საერთო საქმეში მხოლოდ გენიოსები, მხოლოდ ტალანტები ისევე უსუსურნი არიან, როგორც ბრბო გენიოსებისა და ტალანტების გარეშე. ვინც შეპყრობილია დაუოკებელი სურვილით პიგმეებს შორის იყოს ან გამოჩნდეს გოლიათად, ვისაც სინამდვილეში აქვს ძალა, რაც გაამართლებს მის ასეთ ქედმაღალ შეშლილობას, იგი თავის მისწრაფებებს დაიოკებს ყველგან, გარდა საერთო მუშაობისა, საერთო საქმიანობაში. ასეთი ადამიანები საზღვარგარეთაც არიან. მაგრამ ისინი თავს არ ყოფენ ისეთ საქმეში, სადაც მრავალი პიროვნების შრომაა საჭირო. ისინი თავისთვის მარტოხელა საქმეს ირჩევენ: არიან ან გამომგონებლები, ან პოეტები, ან მოაზროვნეები, სადაც მარტო კაცს შეუძლია თავისი შემოქმედებითი ძალების მთელი სიდიადე გამოავლინოს. ეს ასპარეზი ყველასათვის მისაწვდომია, ვისაც გენიოსობაზე პრეტენზია აქვს, წარმატებით და საერთო საქმისთვის ზიანის მიუყენებლად, ყოველთვის თავისუფლად შეუძლია მოღვაწეობა. მაგრამ ხელი მოჰკიდო საერთო საქმეს მხოლოდ პირადი ინტერესებისათვის, ნიშნავს საკუთარი ძალები, და ყველა დანარჩენი მოღვაწეებისა და მუშაკების ძალები, წინასწარ გასწირო დასაღუპად.

როდესაც მაღალ მორალურ წრეებში ადამიანები საერთო საქმეებში ერთიანდებიან, იღებენ ადგილს ფაბრიკაში, კანტორაში და ა.შ., მათ ესმით, რომ საერთო ჯაჭვში ერთ-ერთ რგოლს წარმოადგენენ, სადაც, რასაკვირველია, ყველა რგოლი თანაბარი ზომის ვერ იქნება, მაგრამ სადაც ყოველ რგოლს თავისი როლი აკისრია და თავისი სარგებლობა მოაქვს. ადამიანთა საერთო საცხოვრებლის მსგავსად, სწორედ იმაშია შეერთებული შრომის დიდი ძალა, რომ თუ საქმე გონივრულად და წესიერად არის მოწყობილი, არა მარტო ყველაფერი სარგებლიანი, არამედ ყოველი სარგებელი ბევრად უფრო სასარგებლო ხდება, ვიდრე ცალკე, დაქსაქსულად იქნებოდა. ნოლსაც კი, თუ მას მწკრივში, სათანადო ადგილას დასვამ, იმ რიცხვის გაძლიერებისა და გამრავლებისკენ მივყევართ, რომლის შემადგენლობაშიც შედის. რასაკვირველია, ბევრს ნიშნავს მსხვილი და წვრილი ერთეულები და ნოლები ზუსტად რომელ ადგილას დგას. როგორც არითმეტიკაში, თუ ნოლები რიცხვის დასაწყისშია, ერთეულები კი ბოლოში, გამოდის ათწილადები, როცა ერთეულები წინ გადმოდის, მაშინ ეს ნო-

ლები ამ წილადებს მთელ რიცხვად აქცევს, ზოგჯერ ფრიად სოლიდურადაც. ასეა საერთო საქმეშიც. ნიჭისა და ძალების განაწილებას, მათი ჭეშმარიტი ღირებულების მიხედვით, მივყევართ საქმის კარგი შედეგიანობისაკენ. მაგრამ ეს კერძო საკითხია. არსი კი იმაში მდგომარეობს, რომ საერთო საქმეში გონიერი ადამიანების მონაწილეობა მათ გარკვეულ ვალდებულებას აკისრებს, ვინაიდან სწორედ ამ საქმეში იზრდება, როგორც მათი პირადი ძალებიც, ისე ამით მიღებული სარგებლობაც.

განვითარებულ სფეროებში ამას ყველა გრძნობს. ისე არ იფიქროთ, თითქოს საერთო საქმეში ჩაბმა ცალკეულ პიროვნებას თავის სახეს უკარგავს ან მისგან მსხვერპლად თავმოყვარეობას მოითხოვს. არა. ეს სრულიად არაა საჭირო, და საერთო საქმის ინტერესებისათვის არცაა სასურველი. მაგრამ იქ აი, რა გამოდის. იქ ხდება თავმოყვარეობის განზოგადება, გაკეთილშობილება, ის კარგავს ვიწრო ჩარჩოებსა და პირად ეგოიზმს. წარმოიქმნება კოლექტიური თავმოყვარეობა: ყოველი მუშაკი ამაყობს საერთო საქმეში თავისი მონაწილეობით და ამ საქმის წარმატებით, მის განდიდებაში თავისი პირადი წარმატების წვლილს, თავის პირად განდიდებას ხედავს. ფრანგი მუშა თავისი მეპატრონის ქარხანას სხვაგვარად არ იხსენიებს თუ არა „ჩემი ქარხანა". არასდროს დამავიწყდება, ერთ-ერთი ასეთი მუშა რა სიამაყით, რა მამობრივი მზრუნველობით ეფერებოდა კაილის ქარხნის ტყვიამფრქვევს, არც მეტი არც ნაკლები, როგორც ახალგაზრდა დედა, რომელიც ნეტარებით ფიქრობს, რომ მისი შექმნილი, მისი სისხლი და ხორცი მომავალი გენიოსია! თითქოს მან გამოიგონა ეს ტყვიამფრქვევი, თითქოს მხოლოდ მან ჩამოასხა, თითქოს ამით გაიმარჯვა კრუპზე და მოლტკეზე! და ამ შეგნებით, საქმისადმი ამ დამოკიდებულებით, საქმისათვის უდაო სარგებლობის გარდა, არის კიდევ ის მთავარი—უდიდესი სარგებლობა თვით მუშისათვის. ის თავისთავს აღარ უყურებს, როგორც უსუსურს, იგი თანდათან იმსჭვალება ადამიანებისადმი სოლიდარობის შეგრძნებითა და შეგნებით, საკუთარი ძალის რწმენით, იმ ძალის, რასაც მას საზოგადოებრიობა აძლევს.

ალბათ, თქვენ ფიქრობთ, ვინაიდან ასე იწყება წიგნებში, რომანებში, გაზეთებში, რომ ეს საერთო შრომა ქარხნებში, ფაბრიკებში და ა.შ. ადამიანებს მანქანებად აქცევს, საკუთარ სახეს უკარგავს?.. მოიშო-

რეთ თავიდან ეს ცრუ შეხედულება, რომელიც კაბინეტის ხალხმა შექმნა, ისინი ფიქრობენ ასე და ქადაგებენ: ცხოვრების რეალური გაკვეთილი საწინააღმდეგოს გვეუბნება. თვით განსაჯეთ. პროგრესი სად ისახება და სად ვითარდება: ნუთუ სოფლებში, სადაც გლეხები დაფანტულად ცხოვრობენ და მუშაობენ, თუ ფაბრიკებში—სადაც ხალხი ერთად კენესის და ერთად ღვრის ოფლს? სად უფრო მეტია ყოფის გამოსწორების სურვილი, სად მეტი ძალა იხარჯება ადამიანური წესრიგისა და უფლებების მისაღწევად? და არსებითად ვის უფრო აქვს ნამდვილი უფლება მანქანად იწოდოს: მიწათმოქმედს თუ ფაბრიკის მუშას? მაგრამ ესეც კერძო საკითხია.

შეიძლება თქვენ ზუსტად ასე წარმოიდგინოთ, რომ საერთო საქმეში, განვითარებულ წრეებში მხოლოდ უნიჭოები და ხელმოცარულები ებმებიან? დაივიწყეთ ეს შეხედულებაც. რასაკვირველია, დიდებულია მივილტვოდეთ, გვსურდეს აღმოვაჩინოთ აზროვნების, პოეზიის განვითარების ახალი სფეროები. არაჩვეულებრივია მარტოობაში გახდეთ ნიუტონი, შექსპირი, ბეკონი. მაგრამ შემიძლია დაგარწმუნოთ, რომ ჭკვიანი ადამიანები, რომლებიც სიდიადითა და შემოქმედებითი ძალით დიდად არ ჩამორჩებიან ამ პირველი ხარისხის გენიოსებს, ყოველ ფეხის ნაბიჯზე ებმებიან საერთო საქმეში და ნაკლებად ძლიერი გონების ადამიანებთან ერთად ეწევიან საერთო უღელს. და არ ცდებიან ისინი, არ მცირდებიან, არ კარგავენ საკუთარ სახეს. და როცა მათ შეეკითხებით ასეთი მოქმედების მიზეზს, გიპასუხებენ, რომ სახელსა და დიდებაში ეულად კიაფობის უსუსურ სურვილზე უფრო მაღლა არსებობს ადამიანის ცხოვრებისა და პატივმოყვარეობის შეუდარებლად უფრო ღრმა და უძვირფასესი დაკმაყოფილება: ესაა აამაღლო ხალხი, შენი თანამოძმენი შენს დონემდე და რაც ხელთა გაქვს—თუნდაც თიხისგან,—შექმნა ამა თუ იმ დარგის რამდენადაც შეიძლება უკეთესი მოღვაწე. და გულთამხილველნი ამტკიცებენ, რომ თავისი ამოცანების, ჩანაფიქრის, სიამაყის მიხედვით, ეს პატივმოყვარეობა მსოფლიოში სხვა ყველა ცნობილს აჭარბებს.

15. კრიტიკა ქართული ლიტერატურიდან

ძართული ნაკვეესები, ან მახვილსიტყვაობა ძველად და ახლა გამოსცა „ივერიის“[14] რედაქციამ. ტფილისი ე. ხელაძის სტამბა, 1887 წ. (ძართულ ენაზე).

თვით ბროშურაზე, რომლის სათაური ზემოთ მოვიტანეთ, ჩვენ ძალიან ცოტა რამის თქმა შეგვიძლია. მაგრამ მის შესახებ საუბარი აუცილებელია. ფრანგულ ბულვარულ გაზეთებს ჩვევაში აქვთ თავიანთ მკითხველებს ყოველდღიურად ერთი-ორი ანეგდოტი მიაწოდონ. ეს ბულვარული მწერლების საქმიანობის შედარებით იოლი და ფრიად გავრცელებული მხარეა. არსებობს ასეთი ანეგდოტების მრავალი კრებული, რომლებსაც ფრიად მომხიბლავი სათაურები აქვს: „მილიონი მახვილსიტყვაობა, კალამბურები, ანეგდოტები და ა.შ.“ რამდენიმე ასეთი კრებული ჯერ კიდევ ოცდაათიან წლებში ითარგმნა რუსულ ენაზე და დიდი ხანია ნიკოლსკის ქუჩის გამომცემელთა კუთვნილება გახდა. ამ კრებულების განახლებული ანეგდოტებით სარგებლობენ გაზეთები მიმართულებისა და დროის მოთხოვნის შესაბამისად. ჟურნალისტთა ჟარგონზე ამას „მაკულატურა“ ჰქვია. რუსულ პრესაში და „ნოვოე ვრემიაშიც[15]“ კი, საიდანაც ჩვენში გადმოტანილია რუბრიკებიც და მანერებიც, მიმართულებებიც და მეთოდებიც, ბულვარული ფურცლების პირველსახეები, მაინც ვერ გაბედეს გადმოეღოთ ანეგდოტების განყოფილება. ჩვენში მხოლოდ „პეტერბურგსკი ლისტოკ[16]“-მა და „პეტერბურგსკაია გაზეტა[17]“-მ სცადეს გადმოეთარგმნათ და რუსულ ყაიდაზე მოექციათ პარიზული ანეგდოტები. ქართულ პრესაშიც ეს ამოცანა გაზეთმა „ივერიამ“ იკისრა.

არსებითად ჩვენ არაფერი გვაქვს არც ანეგდოტების, არც მათი ბეჭდვისა და არც სავსებით სერიოზული გამოცემების საწინააღმდეგო. გამოცდილ ხელში—ეს შესანიშნავი იარაღია. მისი საშუალებით ადვილად შეიძლება დასცინო და დააკნინო ის, ვინც ამას იმსახურებს; შეკუმშული, ლაკონური ფორმა, რითაც ანეგდოტის აზრია გამოხატული, ხელს უწყობს მის პოპულარობას. მაგრამ ფაქიზი გემოვნების მქონე და გონიერმა ადამიანებმა იციან, რამდენად გულის ამრევია, რამდენად აუტანელია „ანეგდოტი ანეგდოტისათვის“, უხასიათო, უაზრო, ყურით მოთრეული, მოგონილი მხოლოდ იმისათვის, რომ მსმენელის ღიმილი გამოიწვიოს, სულერთია რისთვის და რა სახით. მოისმენ ასობით ასეთ „ანეგდოტს“, გაიღიმებ, გაიცინებ კიდეც, ხუთი წუთის შემდეგ კი ვერც იხსენებ, რაზე იცინოდი, რას ეხებოდა ანეგ-

დოტი. ერთი სიტყვით, ყველაფრის გამოყენება შეიძლება ბოროტად, მაგრამ რაც უნდა ბასრი იყოს იარაღი, ცუდი ხმარებით ჩლუნგდება.

ამით სრულიად არ გვინდა იმის თქმა, რომ „ივერიის" ფურცლებზე გამოჩენილი ანეგდოტები, რომლებიც ახლა ცალკე კრებულად დაისტამბა, ყოველგვარ ინტერესს მოკლებულია. არა. მათ შორის ბევრია სახასიათო, მახვილგონივრული, ნამდვილად ორიგინალური, რომლებიც მკითხველის ყურადღებას იმსახურებს. მაგრამ, სამწუხაროდ, მთლიანად კრებული არ გამოირჩევა „დამახასიათებლობითა და ტიპიურობით". მას რომ სხვა, უფრო მოკრძალებული „ანეგდოტების კრებულის" მსგავსი სათაური ჰქონოდა, ჩვენ ნავიკითხავდით ბროშურას, გავიღიმებდით, ზოგჯერ გულითაც ვიცინებდით, ზოგ რამეს დავიმახსოვრებდით, ავტორს ან გამომცემელს გულით შევწირავდით მადლობას ბროშურის კითხვის დროს მიღებული სიამოვნებისათვის და მორჩა! მაგრამ პრეტენზიული სათაურის გამო, რამაც ჩვენში სერიოზული მოლოდინი გამოიწვია, უფრო მკაცრად განვეწყვეთ.

ცნობილია, ყოველ თვითმყოფად ხალხს თავისი ხასიათი და კვალი დაუმჩნევია ყველაფერზე, რასაც კი მისი ცხოვრება და მოღვაწეობა შეხებია. ასევე, მახვილგონიერებაში ყველა ხალხი ერთნაირი არაა. ყოველი მათგანი მახვილსიტყვაობს და იცინის თავისებურად, თავისი მეზობლისაგან განსხვავებულად. წარმოიდგინეთ, რომ ახლა, ან ასი წლის შემდეგ, აღმოჩნდება გულუბრყვილო ადამიანი, რომელიც დაინტერესდება წიგნებისა და ბროშურების სათაურებით მაინც. ეს პიროვნება ხომ ხარბად დაეწაფება „ივერიის" ბროშურას იმ იმედით, რომ მასში ქართველი ხალხის თავისებურ მახვილგონიერებას, ქართულ იუმორს აღმოაჩენს. ასე არ არის განა?

სწორედ ამ იმედით წავიკითხეთ ჩვენ თავიდან ბოლომდე აღნიშნული ბროშურა. იმედი გვქონდა, რომ რამდენიმე ასეული ანეგდოტის კრებულში გამოჩნდებოდა ის „განმასხვავებელი" შტრიხები, ქართული გენიის ის თავისებურებანი, რომელიც მას სიცილში, იუმორში და სარკაზმში უნდა ჰქონოდა. მაგრამ, სამწუხაროდ, ბროშურაში ჩვენ აღმოვაჩინეთ ყველაფერი, გარდა იმისა, რასაც ვეძებდით.

ფუქსავატი ადამიანები, ან ისინი, ვინც სრულიად არ იცნობენ ქართულ ცხოვრებასა და ლიტერატურას, აქედან ორ არასასურველ და არასწორ დასკვნას გააკეთებენ. „ორში ერთი, იფიქრებენ ისინი: ან ქართველ ხალხს იუმორის მხრივ ორიგინალური არაფერი აქვთ, ანდა „ივერიის" პატივცემულ რედაქციას იოტისოდენადაც არ ჰქონია

ის მხატვრული ალღო, რომელიც მას დაეხმარებოდა დამახასიათებელი ბანალურისაგან გამოერჩია, არ ჰქონია უბრალო გემოვნებაც კი", მაგრამ ეს დილემა ძირშივე მცდარია. ჩვენ, ვინც ვიცით საქმის ვითარება, შეგვიძლია დავარწმუნოთ მკითხველი, რომ ქართველი ხალხი თვითმყოფადია, და თან ფრიად, და „ივერიის" რედაქციაც, როცა თავს ძალას დაატანს, აქვს გემოვნება. მაგრამ ქართველი ხალხის ხასიათის ერთ-ერთი ორიგინალური მხარეა ლერმონტოვის მიერ შემჩნეული შტრიხი: საქმისადმი დაუდევარი, ზანტი, მოდუნებული დამოკიდებულება. უბრალოდ მეზარებოდა არჩევანის გაკეთება, მეზარებოდა მომეძია, რომ შესაძლებელი ყოფილიყო წარმომესახა რაიმე სრული, მთლიანი, დამახასიათებელი. ამისთვის საჭირო იყო თავზე ძალის დატანება, ენერგიის გამოჩენა. ამ თვისებას კი ჩვენს ძმებ ქართველებში ნუ ეძებთ.

გათვითცნობიერებული კაცი, რომელსაც მონდომება აქვს და შრომას არ ერიდება, ბროშურიდან გამოაკლებდა ანეგდოტების ორ მესამედს ან სამ მეოთხედს. დარჩებოდა ორიგინალური ანეგდოტების იშვიათი, ბრწყინვალე კოლექცია, რომელშიც აისახებოდა ქართული მახვილგონიერების წარუშლელი კვალი. ახლა კი— ეძიე ოქრო ნაგავში!

მაგალითისათვის, გავარჩიოთ რამდენიმე ასეთი იშვიათი ნიმუში.

„გუბერნატორმა კ.ი. ორლოვსკიმ სოფ. ახმეტაში მოინახულა თავადი ბიძინა ჩოლოყაევი. ეზოში ეგდო ძველთაძველი დაჟანგული ტყვიამფქვრევი. კ.ი. ორლოვსკიმ დაინახა იგი და უთხრა მასპინძელს:

—საოცარია, რა კარგადაა შენახული სიძველის ეს ნაშთი!

—ბრძანებით არ იღებენ ასეთ ნივთებს გირაოში,—უპასუხა თავადმა ბიძინამ."

იყო დრო, ჩვენში ყველა ათასნაირ წიაღისეულსა და მილიონებს გაიძახოდა, მაგრამ ამისგან არაფერი გამოვიდა, მათ ის ცოტაც დაკარგეს, რაც ჰქონდათ.

ვიღაცამ ვიწრო წრეში ამბავი მოიტანა: „ამა და ამ თავადის მამულში რომელიღაც მინერალის მარაგი აღმოუჩენიათ.

—ო, ღმერთო ჩემო, სულ დაღუპულა კაცი, წამოიძახა იქ მყოფმა თავადმა ბიძინა ჩოლოყაშვილმა".

აი, მეორენაირი:

„ტფილისის ბულვარზე ორნი საუბრობდნენ. მათ წინ სამგლოვიარო პროცესიამ ჩაიარა: ვიღაც ქართველ თავადს ასაფლავებდნენ. ცოტა ხნის შემდეგ, ჩაიარა მეორე ამგვარმა პროცესიამ, რომელსაც სომეხი სასულიერო პირები მიუძღოდნენ.

„ალბათ, გარდაცვლილ თავადს ამ სომხისა ემართა, ამიტომაც გამოეკიდა“.

აი, კიდევ მესამე:

„როცა გრაფი პასკევიჩი თავრიზისაკენ დაიძრა თავის მოწინავეებით, მეთაურად თავადი გიორგი ერისთავი გაგზავნა, რომელსაც „დიდ თავადს“ უწოდებდნენ, შტაბის უფროსად (უფრო ზუსტად, კოლონიის მეთაურად) თავად გიორგისთან მაშინ მურავიოვი მსახურობდა. როცა ეს ავანგარდი თავრიზს მიუახლოვდა, თავადმა გიორგიმ მოისურვა არ დალოდებოდა პასკევიჩს და თავრიზი აეღო. ბრძოლის წინ სამხედრო თათბირზე მან ყველა თავისი ოფიცერი შეკრიბა. ყველამ მოიწონა თავადის განზრახვა. არ ეთანხმებოდა მხოლოდ მურავიოვი.

—ნუ იზამთ ამას, თავადო. დაველოდოთ პასკევიჩს, ჩვენ ცოტა ჯარი გვყავს, სპარსელები გამაგრებულები არიან, შეიძლება ბრძოლა წავაგოთ, დავკარგავთ ყველა მიღწეულ წარმატებას და საშინელი პასუხისმგებლობის წინაშე აღმოვჩნდებით,—ამბობდა იგი.

—ჩვენ ან დავიპყრობთ, ან დავიხოცებით, პასუხისმგებლობის კი ეშინოდეს იმას, ვინც მარცხს მოესწრება, —უპასუხა თავადმა გიორგიმ“.

ღმერთო ჩემო, ასეთი იშვიათობის გვერდით რამდენი ბანალური ამბებია, რომლებიც თვით ეზოპესგანაა ნასესხები! მაგრამ მათ შორის გვხვდება მომხიბლავი ანეგდოტებიც. მაგალითად:

„შამილის დატყვევების დროს, მისი ნაიბები და მიურიდები მორჩილების ნიშნად, ეახლნენ თავად ბარიატინსკის. ერთმა ნაიბმა დააგვიანა მისვლა. თავადი ბარიატინსკი ალოდინა მთელი ორი დღე. ბოლოს და ბოლოს მივიდა.

—ასე რატომ დაიგვიანე?—მრისხანედ ჰკითხა გამარჯვებულმა. ნაიბმა ჯერ აუჩქარებლად და ღირსეულად მისცა აღმოსავლური სალამი და შემდეგ მშვიდად უპასუხა:

—მხედართმთავარო, ვინც გვიან მოვა, ის გვიან წავა!“

უდაოდ, ეს დამახასიათებელი ანეგდოტია. მაგრამ რა არის მასში ქართული? რამდენადაც ვიცი, ყველა ქართველი შამილის წინააღმდეგ იბრძოდა.

მსგავსი ანეგდოტები შამილზე, თავად ვორონცოვზე, მოქალაქე კოცებუზე, სპარსელებზე და ა.შ. კრებულში ათობითაა მოთავსებული. ერთი სიტყვით, კრებულის შინაარსი ერთია, სათაური კი —სულ სხვა.

შინაარსსა და სათაურს შორის არსებული ეს აღმაშფოთებელი განსხვავება გამოიხატა სტილში, მთელი კრებული დაწერილია შესანიშნავი ქართულით, სრულიად შეესატყვისება თანამედროვე ქართველი ხალხის სალაპარაკო ენას. კრებულის სტილი სავსებით გრაციოზული, მსუბუქი, მოქნილი, ბევრი დელიკატური ელფერითაა შემკული, რომელთა შორის მრავალია ახალი. სათაური კი დაწერილია იმ ხელოვნური, ვითომ ძველქართული ენით, როგორითაც წერს „ივერია". სხვათა შორის, ამის გამო, ჩვენ მცირეოდენი საუბარი გვექნება.

გასულ საუკუნეში,—როდესაც ქართველი ხალხის ლიტერატურულ ცხოვრებაში ისეთივე მნიშვნელოვანი მოვლენები მოხდა, როგორიც ევროპაში „აღორძინების ეპოქამ" ითამაშა, დიდი ჭკუისა და ძლიერი ენერგიის ადამიანებმა, როგორებიც ვახტანგ VI და კათალიკოსი ანტონი იყვნენ, სხვათა შორის, მიზნად დაისახეს ქართული ლიტერატურა და ქართული ლიტერატურული ენა გაეწმინდათ იმ მინარევებისაგან, რაც სპარსელთა და საერთოდ მაჰმადიანური სამყაროს ხანგრძლივი ბატონობის შედეგად მოხდა. ეს საკმაოდ ღირსეული ამოცანა იყო. მას მხარი დაუჭირეს მრავალრიცხოვანმა მოღვაწეებმა. სამწუხაროდ, გასულ საუკუნეში მეცნიერების დონე საერთოდ, და განსაკუთრებით საქართველოში, არ იძლეოდა შესაძლებლობას სრულიად, უნაკლოდ განეხორციელებინათ თავიანთი შესანიშნავი მიზანი. როგორც საჭირო იყო, მოქმედებდნენ პრაქტიკული მოღვაწეების მსგავსად და იყენებდნენ ხელთ არსებულ საშუალებებს, ვახტანგ VI და კათალიკოსმა ანტონმა მიმართეს რუსულ სკოლას, მასში ეძიებდნენ ქართული ენის განახლების საშუალებებს. იმ დროს, ფილოლოგიური ცოდნის დონე რუსეთში, როგორც მთელ იმდროინდელ ევროპაში, ძალიან დაბალი იყო. შეისწავლეს რუსული გრამატიკა, მაგრამ ქართველი რესტავრატორები უნებლიედ მოექცნენ იმ წიგნისმიერი, მძიმე, ხელოვნური ენის სულისა და ფორმის გავლენაში, რომელიც ლომონოსოვამდე ბატონობდა რუსულ ლიტერატურაში. კათოლიკოსმა ანტონმა ქართული გრამატიკაც კი შეადგინა, რომელიც თითქმის მთლიანად რუსულიდანაა თარგმნილი. რესტავრატორებმა და მათმა მიმდევრებმა სწორედ ამ ხელოვნურად შექმნილ ქართულ ენაზე რუსულიდან თარგმნეს მრავალი ნაწარმოები, ვიმეორებთ, იმ დროისათვის ეს გასაგები, კანონიერი და საჭირო საქმე იყო: აუცილებელი გახლდათ იმის გაკეთება, რისი შესაძლებლობაც იყო.

მაგრამ რა მოხდა ამ დროს? აი, მისმინეთ:

ენათა ოჯახში, თავისი ფორმით, მისი წარმმართავი გრამატიკული კანონებით, თავის სინტაქსით, ქართული ენა სრულიად გამონაკლისს წარმოადგენს. ყველა ცნობილ ენათა შორის, მხოლოდ ინგლისურს აქვს ისეთი მარტივი კანონები, როგორიც ქართულს. მაგალითისათვის ავიღოთ წინადადება: ასი თეთრი სახლი. ცნობილია, რომ რუსულად, ფრანგულად, გერმანულად ამ წინადადებაში სიტყვა „თეთრი" და სიტყვა „სახლი" იხმარება შეცვლილი სახით: один белый дом, сто белых домов ქართულად კი, ისევე, როგორც ინგლისურად, ყოველ შემთხვევაში, დათვლის დროს არ იცვლება არა მარტო ზედსართავი, არამედ არსებითი სახელიც: ერთი თეთრი სახლი, ასი თეთრი სახლი. აგრეთვე, როგორც ინგლისურში ზედსართავები არ ეთანხმება არსებით სახელს არც სქესში, არც რიცხვში. ქართულად უნდა ითქვას: „ასი თეთრი სახლი", „ძველი და ახალი ქართველების სიტყვა".

მაგრამ გასულ საუკუნეში ხელოვნურად შექმნილ ენაზე, განზრახ გარუსებულ ქართულ ენაზე, საქართველოს სიძველის ბრმადმიმდევარნი ხანდახან წერენ: სიტყვანი ძველთა და ახალთა ქართველთა.[1]

გასაგებია, სიტყვას აღარ გავაგრძელებთ ამ საკითხზე, რომელიც მთელ ტრაქტატს მოითხოვს. მხოლოდ ერთს ვიტყვით: გრამატიკული კანონები იქმნება მხოლოდ ხალხის ცოცხალი ენის დაკვირვების საფუძველზე, და არ შეიძლება მისი დასესხება მეზობლებისაგან. ეს არ იცოდნენ გასული საუკუნის რესტავრატორებმა. ეს მათ ეპატიებათ. მაგრამ „ივერიის" რედაქციას, რომელიც „ამდიდრებს" ქართულ ლიტერატურას იმით, რომ უშედეგოდ ცდილობს რესტავრატორების მკვდარი ენა აღადგინოს, არ ეპატიება იმის დავიწყება, რომ მხოლოდ ხალხის სალაპარაკო ენაში იპოვის ქართული ენის ბრწყინვალებას, ძალას, სილამაზეს და მოქნილობას.

16. საკვირაო საუბრები

მძიმე, ცუდი და აუტანელია იმ ადამიანის ხვედრი, რომლის შეგნებას მოთხოვნილებად ექცა ჰქონდეს კანონებისა და „დასჯის ძეგლისდების" უბრალო კრებული; სულ რომ არაფერი ვთქვათ რომელიმე მაღალ იდეალებზე ან მოვალეობის, ღირსებისა და სამართლი-

[1] აღნიშნული კრებულის სათაურში წერია „ქართველთანიც" კი, მაგრამ ეს ფორმა ანტონ კათოლიკოსის თვალსაზრისითაც კი შეცდომაა (აეტ.).

ანობის გრძნობებზე. მძიმეა ამ კაცის ხვედრი, რომელიც მოისურვებს იყოს თანმიმდევრული, თუ ის იმასაც გრძნობს, რომ შეგნება ვალდებულს ხდის და ბოჭავს ადამიანს არა მხოლოდ მის პირად მოღვაწეობაში, არამედ სხვისი მოქმედების შეფასებაშიც. მაგრამ რა მძიმეც არ უნდა იყოს ეს მწარე ხვედრი, ასჯერ უფრო სავალალოა, როცა ასეთი შეგნების ადამიანს პრესაში უხდებოდა მუშაობა.

განვითარებულ ქვეყნებში სახარბიელოა ლიტერატურულ მოღვაწეთა ხვედრი. იმ საზოგადოებამ, რომელთა აზრის მფლობელიც ის ხდება, დიდი ხანია კარგად იცის ბრძნული და ღრმა კანონი: „კოკასა შინა რაცა სდგას იგივე წარმოდინდების" („სარკის რა ბრალია, თუ მახინჯი ხარ"). მაგრამ ჩვენი საზოგადოების მსგავს პირველყოფილ საზოგადოებაში, სადაც, მიუხედავად იმისა, რომ გარეგნულად დახვეწილი, ცივილიზებული იერი, დიპლომები, ქცევები და ჩაცმულობა გვაქვს, მაინც პირველყოფილია მსოფლმხედველობა, შინაგანი ცხოვრების წყობა და ადამიანები ჯერ კიდევ ამსხვრევენ სარკეებს, რომლებშიც მათი ზუსტი ანარეკლი მოჩანს. მათ ჰგონიათ, რომ სარკე მხოლოდ ამშვენებს ბინას. როდესაც კარგ, კეთილსა და მშვენიერ სარკეს ჭუჭყიან სამოსელში გამოწყობილი, ლურჯცხვირიანი და მოუვლელი, ბაკებიანი პატრონი ან სტუმარი მიუახლოვდება, მასში უნდა გამოჩნდეს გრაციოზული და მომხიბვლელი დენდი, რომელიც თითქოს ეს-ესაა პარიზის მოდების ჟურნალიდან გადმოვიდა. რა ჩვენი საფიქრალია, რომ ასეთი სასწაულმოქმედი სარკეები ჯერ არსად შექმნილა: მოგვეცით ისინი, სხვა დანარჩენს დ-ა-ვ-ა-მ-ს-ხ-ვ-რ-ე-ვ!

თუ სიმართლე გინდათ, ეს ხდება იმიტომ, რომ არსებითად ჩვენ სრულიად არ გვჭირდება არავითარი სარკე, ვინაიდან ჩვენ არ გვინდა არც სისუფთავე, არც სიფაქიზე, არც ლაზათი. საზოგადოებაში ყოფნის გამო, სისუფთავე ჩვენ ტვირთად დაგვაწვა ხალხისგან მოშორებით, აი, თუნდაც სოფელში რომ გვეცხოვრა, შეგვეძლო არც დაგვებანა, არც დაგვევარცხნა, არც საცვალი გამოგვეცვალა, არც სამოსი გვესუფთავებინა. ჩვენი ყნოსვა არც იმდენად ფაქიზია, რომ ოფლის სუნმა შეგვაწუხოს; არც იმდენად ფაქიზია ჩვენი კანი, რომ ჭუჭყისგან ქავილი აგვიტყდეს. მაგრამ ხალხში, ნურას უკაცრავად, მიღებულია სუფთად ჩაცმა, მოხდენილი სიარული. და ყოველთვის, როგორც კი მოდის აყოლით შეძენილი სარკე, როგორც ავეჯი, შეგვახსენებს, რომ საჭიროა დაბანა, გაპარსვა, გასუფთავება,—ვბრაზობთ მასზე. ჩვენს ხასიათს ხელს უშლის, გვაიძულებს თავს ძალა დავატანოთ, მათ გარეშე კი, ჩვენი აზრით, ხალხი სულაც ვერ შენიშნავდა, რომ ჩვენ ჭუჭყში ვცხოვრობთ და ვლპებით!

მილიონჯერ ითქვა, რომ ლიტერატურა სხვა არაფერია, თუ არა ცხოვრების სარკისებური ანარეკლი, რომ მწერალი—ცხოვრების სარკეა. ვერაფრით ვერ შევიგნეთ ეს. ჩვენ ვეჩვევით სარკეების ნამდვილ გადაგდებასა და მსხვრევას, მხოლოდ იმიტომ, რომ ვბრაზობთ და არ მოგვწონს საკუთარი გარეგნობა. ძვირი დაგვიჯდა ეს მსხვრევა და გადაყრა. დიდი თანხა გვიჯდებოდა დამტვრეულის აღდგენა. ნამსხვრევებისაგან ღრმა ჭრილობები დაგვრჩა ხელებზე. მაგრამ სამწუხაროდ, ჩვენ შეგნებამდე ჯერ მაინც ვერ მივიდა, ასევე უაზროა, ასევე წამგებიანია, ასევე მტკივნეულია ლიტერატურაზე თავდასხმა.

რასაკვირველია, სარკე სარკეს ვერ შეედრება. ისიც უდავოა, რომ არსებობს მრუდე სარკეები, რომლებიც ყველაფერს დამახინჯებულად აჩვენებს. მაგრამ საქმე იმაშია, რომ ასეთ სარკეებს არავინ ყიდულობს, არ უფრთხილდება, არ ხმარობს. გარდა ამისა, კაცი თუ დარწმუნებულია საკუთარი ჩაცმულობისა და სახის ლაზათიანობაში, განა გაბრაზდება სარკეში თუნდაც მოგრეხილი და გამწვანებული ჩანდეს? რა დამაკლდება ასეთი გამოსახულებით? მართლა კოპი ხომ არ ამომივა ცხვირზე? ვიმეორებ, არსებობს მრუდე სარკეები. მაგრამ, ჯერ ერთი, ისინი ვერ გაუტოლდება სწორ სარკეებს, რომლებიც ასწორებენ მათ მიერ დაშვებულ ხარვეზებს. მეორეც, არსებობს სავსებით ზუსტი ხერხები და საიმედო საშუალებანი, რომლებითაც შეიძლება ნებისმიერი სარკის გასინჯვა, გამოცდა და ხარისხის დადგენა. ადვილია იმის დადგენა, რომ სარკე ტყუის, დასვრილად და დაგრეხილად აჩვენებს სუფთა და სწორ გამოსახულებას. გამოდის, გაბრაზება და პრეტენზიები საჭირო არაა. რაც უნდა მრუდე იყოს სარკე, ეს მაინც არაა ისეთი ბოროტება, რომლის წინააღმდეგ ხალხი და მათი კანონები უძლურია.

ამის ახსნა სრულიად შეუძლებელია, როცა საქმე ლიტერატურას ეხება. მწერლისაგან ჩვენ მოველით ფარისევლობას და ჩვენი გმირობის მეხოტბეს. ძალიან კარგი. პრესა მზადაა გაქოთ და გადიდოთ, ოღონდ თქვენც შეეცადეთ გმირები გახდეთ. მისი დანიშნულებაა თქვენ ზუსტად აგსახოთ. თქვენ თუ ულვაშებიანი, არნივისებურ გამოხედვიანი და დეზებიანი გმირი ხართ, ეს ისევე გამოგსახავთ, არ დაივიწყებს არც ულვაშებს, არც გამოხედვას,- არც დეზებს, არც გმირობას. მან გამოცდილებით იცის, რომ აფასებენ, კითხულობენ, სწამთ მხოლოდ იმდენად, რამდენადაც მასში ასახულია სიმართლე, ჭეშმარიტება, სინამდვილე. ამიტომ, ის თქვენს გმირობასაც ფოტოგრა-

ფიული სიზუსტით გადმოგვცემს, მაგრამ გიმეორებთ, გახდით გმირები და იგი მერე გახდება თქვენი პინდარე და თქვენი დერჟავინი. მისმინეთ: ახლახან ჩვენ ვუმღერეთ და თან ვუმღერეთ ლირიულად, გრძნობით, თითქმის ენთუზიაზმით ბ-ნებს კრისპსა და კ. ხ. მამაცევს. მაგრამ რა არიან ისინი ჩვენთვის და რა ვართ ჩვენ მისთვის? ვმეგობრობთ? შეუძლიათ რაიმე გაგვიკეთონ? ვიცნობთ კი პირადად? უბრალო განცხადებაც კი არ დაუბეჭდიათ ჩვენთან და ალბათ არც დაბეჭდავენ. არ ვიცი, როგორ მოიქცევა კ. ხ. მამაცევი—მან ხუთ კაპიკად იქნებ იყიდოს და შეინახოს კიდეც „ნოვოე ობოზრენიეს" ნომერი, რომელშიც მასზეა სტატია,—რაც შეეხება კრისპს, ის ხუთ კაპიკსაც არ გაიმეტებს, და ვერც ვერასდროს გაიგებს—როგორც აქამდე არაფერი სმენია, არც „ნოვოე ობოზრენიეზე," არც თავის ქებაზე. გიმეორებთ, გსურთ გქონდეთ მშვენიერის, უცოდველის, გულადის სახელი—გახდით ასეთნი და დაინახავთ, რომ ეს მაშინვე აისახება პრესაში.

მაგრამ არა. საქმე იმაშია, რომ ჩვენში, ჩვენს ბუნაგებში, ადამიანებს არ სურთ ამის გაგება. ისინი ბრაზობენ, მაგრამ ეს რაა?—თან თავს იმშვიდებენ, და სხვის დასანახად თავის გასამართლებლად რაღაცა ღარიბულ ჩარჩოებიან სარკეებს გვიჩვენებენ, რომლებშიც ასახულია ან თვით პიროვნება ან მათი დამოკიდებულება ამ სარკისადმი: „რას ბრძანებთ, განა მე თვით არ ვუვლიდი, ვწმენდდი და ვუფრთხილდებოდი ამ სარკეს! უჩემოდ დიდი ხანია დაიმსხვრეოდა! ახლა კი მე მამახინჯებს! რა უმადურობაა!" ასეთია ჩვენი გონებრივი და ზნეობრივი განვითარების დონე, რომ ადამიანები ივიწყებენ საქმის არსს, იმას, თუ რამდენად ზუსტია გამოსახულება და ბჭობენ ჩარჩოზე და უმადურობაზე.

მაგალითისთვის ავიღოთ თავადი ამატუნი, თბილისის საქალაქო საკრედიტო საზოგადოების სამმართველოს თავმჯდომარე. მე გადმომცეს, რომ იგი ჩემზე ნაწყენია, ბ-ნ კუზმინისა და „ნოვოე ობოზრენიეს" გამოხმაურებით, რომელიც მისადმი რწმუნებულ საზოგადოებას ეხებოდა.

—მიკვირს და გამკვირვებია?—ამბობს თურმე თავადი ამატუნი. მე და ნიკოლაძე ყოველთვის ვმეგობრობდით: უნივერსიტეტში ერთად ვსწავლობდით, ერთი მიზანი გვამოძრავებდა, შენობით ვლაპარაკობდით, არა ერთხელ დავხმარებივარ, არა ერთხელ შევუქივარ, და უცბათ ეს გაზეთი, რომელშიც, ეშმაკმა უწყის, როგორ მახასიათებს! დამეთანხმეთ, უხერხულია!

და ეთანხმებიან კიდეც, რომ უხერხულია.

ზუსტად იგივეს ამბობს და ფიქრობს ა. ა. თამამშევი, იმ განსხვავებით, რომ დახმარებაზე ხმას არ იღებს.

იგივეს იმეორებენ რკინიგზელი „საქმიანი" ბატონები.

მაგრამ მითხარით, რა შუაშია აქ ჩემი პიროვნება? დავუშვათ, უხერხულია, სიმდაბლეა და ბოროტებაა „შეეხო" მეგობრებს; დავუშვათ, რომ მათ ვეხები ჩემი პირადი აკვიატების გამო, პირადი და ამასთანავე მდაბალი გრძნობების გამო. დავუშვათ, თავად ამატუნს მე მხოლოდ იმიტომ შევეხე, რომ მისი „საკრედიტო საზოგადოება" „ნოვოე ობოზრენიეში" განცხადებებს არ აძლევს. აქედან გამომდინარეობს, რომ უნდა დავივიწყოთ საქმის არსი, ბ-ნ კუზმინის მიერ წამოყენებული ყველა საკითხი და ვილაპარაკოთ მხოლოდ ნიკოლაძეზე, მის არადელიკატურობაზე, იმ წვეულებებზე, სადაც იგი თავად ამატუნთან ერთად შამპანურს მიირთმევდა და მსუბუქი ყოფაქცევის ქალებს ეარშიყებოდა*. ვის აინტერესებს, ვისთვის აქვს ამას მნიშვნელობა? ლაპარაკი იყო საქმეზე, რომლის შედეგითაც ათასობით ოჯახია დაინტერესებული, და ამის ნაცვლად კი გვთავაზობენ რაღაც ჭორებს ნიკოლაძეზე. რა დიდი ვინმეა ეს ნიკოლაძე, რომ მისმა პიროვნებამ არსებითი საზოგადოებრივი საკითხები დაჩრდილოს? მის ბიოგრაფიას ხომ არ წერთ? ეს ჯერჯერობით ადრეა, თუნდაც დავუშვათ, რომ ის ოდესმე გახდება ბიოგრაფიის ღირსი. მისი პიროვნება მივანდოთ მომავალ ბიოგრაფებს, მომავალ „კავკასიის სიძველენი"-ს, მომავალ ბ-ნ ერიცოვს. დამერწმუნეთ, თანამედროვე საზოგადოებისათვის არსებობს ბევრად უფრო საინტერესო, ბევრად არსებითი, გადაუდებელი საკითხები და საქმეები. სწორედ მათზე იმსჯელეთ, ისინი გაარჩიეთ, გამოარკვიეთ და თავი იმართლეთ. იმის მტკიცებით კი, რომ ნიკოლაძემ არ იცის მეგობრობა, ძმობა, სიყვარული, თქვენ საკუთარ თავს და საქმეებს ვერაფერს უშველით.

მაგრამ თუ არ ირწმუნებთ და არ მიიღებთ ჩემ რჩევას, თუ შეეცდებით მოხერხებული მოქმედებით ან „ბრძოლის" ასპარეზის შეცვლით მოატყუოთ „ნოვოე ობოზრენიე", თუ თქვენ საზოგადოებრივ საქმეებზე მსჯელობის ნაცვლად ისაუბრებთ თქვენი მონამორჩილის პირად** ზნეობრივ ღირსებებზე, მაშინ, ღვთის გულისათვის, მსჯელობა მაინც ისწავლეთ, და ზნეობრივი ურთიერთობების გასარჩევად მართებული მეთოდებით შეიარაღდით. ეს თქვენთვის საჭიროა!

---

*ეს მხოლოდ მაგალითისათვის ითქვა, თორემ არავითარი მსგავსი წვეულებები არ ყოფილა, მაგრამ ჩვენში ყველაფერზე უნდა გაამახვილო ყურადღება (ავტ.).

მაგალითისათვის. მართალია, რომ მე და თავადი ამატუნი ვმეგობრობთ, ვლაპარაკობთ შენობით,—ერთმანეთს ვეხმარებით და ა. შ. და დავუშვათ, ახლა მე თავს ვესხმი. თუ აუცილებელად საჭირო და მნიშვნელოვანია ამ შემთხვევის ზნეობრივ მხარეზე ვიმსჯელოთ, მაშინ ზნეობრივი და არა ზნედაცემული მსჯავრის გამოტანის დროს, აუცილებელია საკუთარ თავს ვკითხოთ: ორ მეგობარს, ორ მხარეს შორის რომელმა უღალატა იმ სანუკვარ ოცნებას და იდეალებს, რასაც მეგობრობა ემყარებოდა და ვინ დარჩა ურყევად მისი ერთგული? საით წავიდნენ დაშორებული მეგობრები? რას საყვედურობენ ერთმანეთს: ძველ იდეალებს ახსენებენ, თუ სთავაზობენ საწინააღმდეგო გზას? მგონი არაა საჭირო ზედმეტი ლაპარკი იმის გასარკვევად, რომ ორ მეგობარს შორის მოღალატე, უზნეო, არადელიკატური არის ის, ვინც უღალატა იმ საწყისებს, რამაც ისინი დაამეგობრა.

ეს ყველაფერი მაგალითისათვის მომყავს. უკეთესია სხვა მაგალითის მოყვანა. დავუშვათ, გულწრფელად შემიყვარდა გრძელდალალებიანი გოგონა, რომლის ცისფერ თვალებში მოჩანს სუფთა და შეუბღალავი ნათელი ცა, რომლის კბილები თეთრად ელვარებს, სახეზე კი ახალგაზრდობა და ჯანმრთელობა აწერია. და სხვების მსგავსად მთელ ქვეყანაზე, მეც სიყვარულს ვეფიცებოდი მას. დავუშვათ, რომ შემდეგ, ჩემგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, მას დასცვივდა თმები, გაუშავდა კბილები, ჩაუქრა გამოხედვა, დაუნაოჭდა ღაწვები და, ყველაფერთან ერთად, ცხვირიც ჩაუვარდა. და მიწოდეთ მე „მოღალატე," ფიცის გამტეხი, მოკვდავთაგან უსაძაგლესი, სულ ერთია, მაგრამ რა ჩემი ბრალია, თუ აღარ შემიძლია მისი სიყვარული, არ შემიძლია მისი შეხება? განა ჩემი ბრალია, თუ დავკარგე იმ ადამიანის უცოდველობის რწმენა, რომელთანაც სწორედ ეს მისი უცოდველობა მაკავშირებდა?

უდაოდ, მაგალითი უხეშია და უკიდურესობამდე მიყვანილი, მაგრამ სწორედ იმიტომ მოვიყვანე, რომ ყველასათვის გასაგებია. ლამაზმანის ჩავარდნილი ცხვირი ყველას დააფრთხობს. მაგრამ არსებითად ისეთი ნაკლიც არსებობს, რომელიც ყველაზე სხვადასხვაგვარად მოქმედებს. ჩვენ ვიცნობთ ხალხს, რომლებმაც გადაიყვარეს ქალი მხოლოდ ერთი ყალბი ღიმილისთვის. შეიძლება ეს არც შეგენიშნათ, მაგრამ ეს არაა წესი, რომ თავი უფრო ზნეობრივად ჩათვალო, ვინც მსგავს რაიმეს კიდეც ამჩნევს და არც პატიებს ხოლმე.

ბატონებო, მეგობრობა არაა მონობა. არც ერთი წესიერი კაცი, თუ მასში არ ჩამქრალა ადამიანური ღირსების შეგრძნება, ჩემთან მე-

გობრობის გამო არათუ დაიწყებს უდანაშაულოთა ძარცვა-გლეჯას, არამედ ასეთ შემთხვევაში მეც არ დამაფარებს ხელს. რა უფლება მაქვს მოღალატე ვუწოდო მას მხოლოდ იმის გამო, რომ იგი ჩვენი ადრინდელი მეგობრობისა და პურ-მარილის გამო ბრძოლას არ გამოუცხადებს იმათ, ვინც ჩემს უწესობას არ გაამართლებს? და ასეთ კაცს მოღალატე და უზნეო ვუწოდო, მაშინ უნდა დავამტკიცო, რომ ჩვენ შეკავშირებული ვიყავით ძარცვისათვის, რომ ის მონაწილეობდა ძარცვაში, რომ თვით ძარცვავდა და ახლა მე გამყიდა. მაგრამ ვიდრე არ დაგისაბუთებიათ, ხმას ნუ იღებთ ზნეობაზე, დელიკატურობაზე. ამის უფლება არ გაქვთ.

ჩემო მკითხველო, თქვენ მხოლოდ წარმოიდგინეთ რა გამოდის აქედან. „პიროვნებისათვის," „პირადი ანგარიშსწორებისათვის," ჩვენში წამოაყენებენ ყველაფერს, რაც სრულიად არაა საზოგადოებრივი საქმეებისა და ურთიერთობების ღრმა დედაარსი. თუკი თქვენ გუშინ ჩემთან ისადილეთ, ეს ნიშნავს, რომ უფლება აღარ გაქვთ აღიაროთ, რომ ეს ფელეტონი ზერელედაა დაწერილი. ათი წლის წინ ერთ პოლკში თუ გვიმსახურია—ეს ნიშნავს, რომ მთელი თქვენი სიცოცხლე უფლება არა გაქვთ ხმა ამოიღოთ, რას ვაკეთებ მე ვაჭრობაში. მეგობრობა, საერთო სამსახური მხოლოდ ერთს გვავალებს: განშორებისა და უსიამოვნების შემთხვევაშიც კი ბოროტად არ გამოვიყენო მეგობრის მიერ გულახდილად ნათქვამი, არ გავახმაურო ის საიდუმლოებანი, რომლებიც მან მეგობრობით ან სამსახურის საჭიროებისათვის მე გამანდო. არადელიკატურობა სწორედ ამ მოვალეობის დარღვევაა. მაგრამ სად და როდის გადავუხვიეთ მას? თავადმა ამატუნმა განა ოდესმე, მეგობრული საუბრის დროს გამანდო ა. ი. კუზმინის მიერ აღწერილი „ნაკლოვანებანი?" განა სამმართველოს წევრებმა ან ამიერკავკასიის რკინიგზის აქციონერებმა ოდესმე გამიზიარა გზის სამმართველოში გაბატონებული და ი. ლ. ხონელის მიერ ქებული ფორმალურობის საიდუმლოება?

და კიდევ ერთი, შებრუნებული მეთოდი, რომლითაც შეიძლება ადამიანის ზნეობრივი სახის შეფასება. მე და თავადი ამატუნი, მე და გზის გამგეობა და აქციონერები ბევრს ვსაუბრობდით ქალაქის საკრედიტო საზოგადოებაზე, რკინიგზის საქმეებზე. ამ კერძო საუბრებში ჩვენ ხომ ზუსტად იმ საკითხებს ვეხებოდით, რასაც ახლა „ნოვოე ობოზრენიე" ბეჭდავს? თუკი ჩვენ კერძო შეხვედრების დროს, მეგობრობაში, სამსახურში ვლაპარაკობდით და ვურჩევდით ერთს და

ახლა ვბეჭდავთ სხვას,—მაშინ, რასაკვირველია, ჩვენ არადელიკატურები და უზნეოები ვართ. მაგრამ ჩვენ მთელი ძალა ვიხმარეთ და მეგობრულად ვურჩევდით წესიერად და პატიოსნად ეწარმოებინათ საზოგადოებრივი საქმეები. და როცა დავრწმუნდით, რომ ეს რჩევები უნაყოფო გამოდგა, მაშინ იმავე სიტყვებითა და გამოთქმებით გამოვაქვეყნეთ პრესაში. განა ეს ღალატი, არადელიკატურობა და უზნეობაა თუ მხოლოდ საკუთარი ხაზის მკაცრი თანმიმდევრულობა?

მეგობრობა და სამსახური ჩვენ სხვაგვარად გვესმის. არა ვართ მონები, არც მეგობრობაში, არც სამსახურში. სამსახურშიც და მეგობრობაშიც ჩვენ გვაქვს ჩვენი „მე," ჩვენი ზნეობრივი სახე, ჩვენი მოთხოვნები, იმის მიხედვით, რა ძალ-ღონე, გრძნობა, მონდომება და შრომისმოყვარეობა გვაქვს. არც ვმლიქვნელობთ, არც ხელს ვაფარებთ, არც ქება-დიდებას ვასხამთ მათ, ვინც მეგობრობის ღირსად გვცნობს და ჩვენდამი კეთილგანწყობილია. ჩვენ შეხედულებას არ ვფარავთ და მოთხოვნებს არ ვჩქმალავთ, მეგობრობასა და მუშაობის საზომად მიგვაჩნია არა პურ-მარილი, არა გამორჩენა, არა ღიმილი, არამედ იმ საწყისისა და მიზნების ერთგულება ან ღალატი, რაზეც დამყარებულია და რამაც გამოიწვია ეს მეგობრობა და სამსახური. თუ სურთ, სხვებსაც შეუძლიათ გაგვიტოლდნენ, მხოლოდ ამ საზომით, ვინაიდან სხვა ყველა ყალბი და მცდარია.

ჩვენი საზოგადოება სრულიად არ წასულა შორს იმ მონური ურთიერთობებისა და ბატონყმური შეხედულებისაგან, საიდანაც წარმოიშვა და გაიზარდა! შეხედეთ, რა ხდება იმ ქვეყნებში, სადაც ზნეობა დროებითი სახმარი ნივთი კი არ არის, არამედ ადამიანთა მოქმედებისა და ურთიერთობის რეალური და ბუნებრივი საფუძველი. მხოლოდ სამი წელი გავიდა, რაც გლადსტონი და ჩემბერლენი როგორც მინისტრები ერთ კაბინეტში გახლდნენ, ერთ პარტიაში შედიოდნენ და უახლოესი მეგობრები იყვნენ. ახლა კი დანა-სისხლად არიან და თითოეული მათგანი თავის ყოფილ მეგობრებს, არც მეტი არც ნაკლები, საქვეყნოდ ბრალს დებს სამშობლოს დაღუპვაში. და იქ ეს არავის უკვირს. არცერთ შეგნებულ ადამიანს—მეეზოვესაც კი,—თავში აზრად არ მოუვა ეჭვი შეიტანოს რომელიმე მათგანის ზნეობასა და კეთილსინდისიერებაში. იქ ყველას ესმის, რომ ერთიც და მეორეც თავის რწმენას, თავის სამშობლოს ემსახურება სხვადასხვა გზით. ყველამ იცის, რომ გლადსტონი და ჩემბერლენი ასე თავგამოდებით იმიტომ იბრძვიან, ასე აგზნებით იმიტომ დებენ ერთმანეთს ბრალს, რომ ორივე ცდილობს თავისი ქვეყნის ხელისუფლების სათავეში მოექცეს

და, როგორც ჩანს, „პირადი" ინტერესები ამოძრავებთ. და მიუხედავად ამისა, ყველას მიაჩნია, რომ ეს სრულიად ბუნებრივია და, აგრეთვე, ძალიან სასარგებლოა საერთო კეთილდღეობისათვის, ქვეყნის დიდებისა და სარგებლობისათვის. არავის ავიწყდება, რომ კამათი ეხება ირლანდიელი ხალხის ჩაგვრას ან გათავისუფლებას, და არა იმას, თავაზიანი და მადლიერია თუ არა ჩემბერლენი, რომელიც რადიკალებიდან და სოციალისტებიდან თვით გლადსტონმა გახადა მინისტრად. და გამოიკვეთება ხოლმე საკითხის არსი და ყოველმხრივი შესწავლის შემდეგ საზოგადოებრივი აზრი მას სწორ შეფასებას აძლევს და, მხოლოდ ასეთი კამათის, ასეთი შეტაკებების შედეგად საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ ხელისუფლებას საშუალება ეძლევათ საქმიანად გადაწყვიტონ მიმდინარე საკითხები. ადამიანები ასე იქცევიან, მონებს ირლანდიის არსებითი საკითხი ავიწყდებათ და მხოლოდ ჩემბერლენის ვარცხნილობაზე საუბრობენ. მონებს, მოახლეებს, მზარეულებს ამ კამათიდან და შეტაკებიდან მხოლოდ ერთი შთაბეჭდილება დარჩებათ: გლადსტონი და ჩემბერლენი ალბათ ქალაქის გამო ვერ შეთანხმდნენ, ან გლადსტონმა ჩემბერლენი გაძარცვა, ან ვერ შეთანხმდნენ ფასზე, ან გლადსტომა გააგდო ჩემბერლენი და ეს უკანასკნელი ნაწყენია და ილანძღება...

მონებთან, მოახლეებთან, მზარეულებთან კი რატომ ხდება ასე? იმიტომ, რომ ამ საცოდავებს, ამ საწყალ ხალხს, გარდა თბილ ადგილისა, ხელფასისა, პირადი მოგებისა და დაინტერესებისა, გულში სხვა არაფერი უდევთ. როგორ უნდა გაიგონ, რომ ადამიანებს შეიძლება სხვადასხვა აზრი ჰქონდეთ. ისინი, რომელნიც ოცდახუთ მანეთისთვის საკუთარ მშობლებს გასწირავენ, რომელნიც, თუ შესაძლებელია, მზად არიან არათუ თავისი „მფარველი," არამედ საკუთარი ეკლესიაც გაძარცვონ, ისინი ვერაფრით ვერ მიხვდებიან, ჩემბერლენს რაღაც „იდეალებით" შეუძლია სამინისტროდან ნებაყოფლობით წასვლა, ან რაღაც „პროგრამის" გამო გლადსტონთან შეუთანხმლებლობის გამო შეუძლია უარი თქვას სამინისტროზე. საიდან და როგორ შეუძლიათ ამ საბრალოებს იმის გაგება, რომ ადამიანების მოქმედებას წარმართავს არა მარტო კაპიკიანი ანგარიში, რომ მათზე გავლენას ახდენს მაღალი რანგის ზემოქმედება და ძალა? სხვებს ყოველთვის შენი საზომით ზომავ, და სხვაგვარად არც შეიძლება. მეც, მაგალითად, წარმოდგენა არ მქონდა, რომ თავადი ამატუნი ისეთი მნიშვნელოვანი საქმის სათავეში მდგომი, როგორიც საკრედიტო სა-

ზოგადოებაა, ან ბ-ნი პრესნიაკოვი ამიერკავკასიის რკინიგზების მმართველი პოსტის დაკავების შემდეგ, მათთვის მინდობილ საქმეს წარუძღვებოდნენ უგულოდ, მცდარად. როგორ ხდება, ვფიქრობდი მე, ადამიანებს წილად ხვდებათ ბედნიერება, უხელმძღვანელონ დიდ, პასუხსაგებ, მნიშვნელოვან საქმეს და ისინი მასში არ ჩააქსოვენ მთელ გულს, მთელ ძალას, მთელ პატივმოყვარეობას? შეუძლებელია, რომ საკუთარი სახელის ღირსება, მათი შემყურე საზოგადოებრივი აზრი, მათი ძალაუფლების მოჩვენებითობასა და ცდუნებაზე გაცვალონ! ვიმეორებ, ამის წარმოდგენაც არ შემეძლო და ამიტომ ორივეს მივეცი ოდესღაც რეკომენდაცია... გეუბნებით, სხვებს შენი საზომით ზომავ; მაგრამ ამ დროს ხშირად შეიძლება შეცდე. ამიტომაა მცდარი ჩვენი მოახლეებისა და დახლიდარების შეხედულება გლადსტონსა და ჩემბერლენზე.

და რატომ არ გვესმის, რომ ღალატი, უზნეობა ჩვენი სატკივარისა და ნაკლოვანებების მხილება კი არ არის, არამედ მხოლოდ მათი თვალთმაქცური მიჩქმალვა? ჩვენი პრესის მითითებანი გამსჭვალულია არა ბოროტებით, არა მტრობით და არა „საქმის გაფუჭების“ სურვილით. გონიერ ადამიანებს შეეძლოთ თავისთვის და თავიანთი საქმისთვის სარგებელი ენახათ მის რჩევებში, მითითებებში, გაკვეთილებში და თავდასხმაშიც კი. ეროს დარტყმისაგან იმსხვრევა მხოლოდ მყიფე და არამყარი საგნები. მაგრამ რკინა, ფოლადი და საერთოდ ლითონი ამ დარტყმისაგან მხოლოდ მაგრდება, მყარდება და უკეთესი ხდება, რაც უნდა მაგარი ყოფილიყო, ვინც თიხისაგანაა ნაძერწი, ვინც დარტყმებს ვერ უძლებს და მტვრად და ტალახად იქცევა, ის არც უნდა წავიდეს საზოგადოებრივი აზრის წინაშე ანგარიშგასაწევ ადგილებზე სამუშაოდ. და თუ წახვალ, მაშინ არც უნდა გამოედევნო მიუღწეველ ოცნებას, იყო უცოდველი, სრულქმნილი. ქვეყნად უცოდველი და უნაკლო არც ადამიანია და არც საქმე. მხოლოდ ცხოვრების გაკვეთილები, მხოლოდ გამოცდილება აწესრიგებს ადამიანთა საქმიანობას. მადლობელი იყავით რჩევისთვის და ნუ ლანძღავთ ჭკუის მასწავლებელს. მაგრამ დიდი ტვინი უნდა იმის მიხვედრას, რომ ისინი კეთილ საქმეს გიკეთებენ, გულითად მეგობრობას გიმჟღავნებენ. ვინც ფარავს თქვენს ნაკლს, მხოლოდ გიბიძგებენ ჭაობისაკენ, რომლის ფსკერზე ადამიანს საბოლოო და მარადიული დაღუპვა ელის...

...განა მართალი არ ვიყავი ამ ნაწყვეტის თხრობის დასაწყისში? განა მართალი არ ვიყავი, როცა ვამბობდი—ეს ჩვენი თანამემამუ-

ლის სევდიან ბედს შეეხება-მეთქი? იქნებ ფიქრობთ, ადვილია თითო-თითოდ, თანდათან მეგობრების დაკარგვა და პირადი კავშირების გაწყვეტა იმ ქვეყანაში, სადაც კონკრეტულად არავის ესმის არც „პირადი მოვალეობის შესრულება," არც „საზოგადოებისათვის სამსახურის გაწევა?" ჩვენში პატიოსნად რომ ატარო მწერლის მძიმე ტვირთი, რაც გულისხმობს შენი ქვეყნის საზოგადოებრივი საქმისადმი და მოღვაწეებისადმი მიუკერძოებელ მიდგომას, უნდა განერიდო ხალხს. ამისთვის კი ან მილიონერი უნდა იყო, ანდა იცხოვრო უდაბნოში და მწყურვალი დაიხრჩო, ან ტრამალებში და იქაური ველური თაფლით იკვებო. თუმცა საეჭვოა, რომ ამასაც დაეფარა იგი თავდასხმისა და ბრალდებისაგან ყველა იმ ადამიანთა მხრივ, რომლებიც დამცირებულნი და შეურაცხყოფილნი არიან პრესისაგან და უფრო ავადმყოფურები არიან, ვიდრე აწგარდაცვლილი თ. მ. დოსტოევსკის გმირები. გვამშვიდებს ერთი რამ: ასეთია ყველა იმათი ხვედრი, ვინც ჩვენ მდგომარეობაში იმყოფება და მას ვერ გაექცევი. გვამშვიდებს, აგრეთვე, იმედი, რომ პირადი გრძნობების, საკუთარი ნერვების, სისხლის მოშხამვის ფასად ნიადაგს ამზადებ ჩვენი პრესის მომავალი მუშაკების წარმატებით მოღვაწეობისათვის, რომელთა ხვედრი, ალბათ, ოდნავ მაინც უკეთესი იქნება ჩვენი დროის მწერალთან შედარებით.

17. საუქმო საკითხავი

მე ვალში ვარ „ნოვოე ობოზრენიეს" მკითხველისა და ა. ა. თამამშევის წინაშე. ჩემი „საუქმო საკითხავი"-ს მეორე ნარკვევმა, რომელიც 5 ივლისს ჩვენი გაზეთის 1220-ე ნომერში დაიბეჭდა, თამამშევის მხრივ „დასაბუთებული" უარყოფა გამოიწვია (№ 1231-ში), მაგრამ მე ჯერ მისთვის პასუხი არ გამიცია. შევეცდები ახლა, სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს.

გავიმეორებ ჩემ შენიშვნას, რომელიც არაერთგზის გავაკეთე ამ საკითხის ირგვლივ. ჩემი მეორე, „ნოვოე ობოზრენიეს" № 1240-ში დაბეჭდილი ფელეტონის მინაწერი, რომელიც სავსებით ზოგადი ხასიათისა იყო და ნებისმიერ მსგავს მოვლენას მიუდგებოდა, თამამშევმა მხოლოდ და მხოლოდ მისი და მისი ამხანაგების კონკრეტულ მხილებად მიიღო. სინამდვილეში რაში მდგომარეობდა ჩემი ფელე-

ტონის მიზანი და არსი? დავიტირო ცხოვრების პირობები და გარემოებანი, რომლის დროსაც ყოველ ფეხის ნაბიჯზე ხდება ჩვენი საზოგადოების გამოჩენილი ნაწილის წარმომადგენელთა უმიწოდ დარჩენა და თან არა მიწისმფლობელთა და კაპიტალისტთა, არამედ იმ ადამიანთა სასარგებლოდ, რომლებიც ბოროტად იყენებენ სახელშეკრულებო უფლებების სიმკაცრეს. განა შეიძლება ჩვენში ამ მოვლენის ზოგადი ხასიათის უარყოფა? განა ყოველდღიურად მოწმენი არა ვართ იმ უკვე ჩვეულებრივ მოვლენად ქცეული ფაქტებისა, რომ ასობით, ათობით, ათიათასობით დესეტინა საუკეთესო მიწები იმ პირთა ხელში გადადის, რომელთაც სულ ათიოდე წლის წინათ ერთი კაპიკიც არ ედოთ ჯიბეში, რომელთაც სრულიად არაფერი მოუგიათ ლატარეაში. არავითარი მომგებიანი გარიგება არ გაუკეთებიათ და არავითარი მემკვიდრეობა არ მიუღიათ?

მე ძალიან ადვილად შემიძლია ათობით ასეთი შემთხვევის ჩამოთვლა. მაჩერებს მხოლოდ შიში, რომ არ გამოვიწვიო „ნოვოე ობოზრენიეს" მიმართ ახალ-ახალი უარყოფა ახლადგამომცხვარი მსხვილი მიწათმფლობელების მხრივ, რომელთაც ძალიან იოლად შეუძლიათ ფაქტებით დაგვიმტკიცონ, რომ შეძენილ მამულებს ფლობენ არა ძარცვა-გლეჯის შედეგად, არამედ კანონის მიერ დადგენილი ყველა წესის დაცვით. „ჩვენ გვქონდა ყოველნაირი ხელწერილები, თამასუქები და აღმასრულებელი ფურცლები, და ვაჭრობაც კანონიერად სრულდებოდა, და ყველა მონაცემები უზადოა და მფლობელობაში შესვლაც მეტად სუფთად მოხდა," გვეტყვიან და დაგვისაბუთებენ ისინი. ჩვენ ამაში არც არასდროს შეგვპარვია ეჭვი, და რომც შეგვპარვოდა, მაშინ არა ელეგიის მსგავს ფელეტონებს დავწერდით, არამედ მკაცრად მოვიკითხავდით: სად არის პროკურორი, და რატომაა ის უმოქმედოდ მაშინ, როცა „დებულება და სასჯელი" ამა და ამ სტატიით დასჯას მოითხოვს? სწორედ ამიტომ ვტირით, ამიტომ ვწერთ, რომ ამგვარი მოვლენები კანონით არ ისჯება და არც შეიძლება დაისაჯოს.

ჩვენ გადაჭრით ვაცხადებთ, რომ მიწა ჩამოერთვათ გარკვეულ ფენებს, რომელთაც თავიანთი მამულებიდან არავითარი სასარგებლო საქმე არ გააკეთეს. როცა ჩვენი წინაპრების მონაპოვარი გადადის ისეთი პირების ხელში, რომელთაც შეუძლიათ მიწიდან იმ სარგებლობის მიღება, რაც ხალხს ჭირდება, ჩვენ არათუ შევწუხდებით, არამედ გავიხარებთ. მეზობლები, რომლებიც შედარებით ნიჭიერი და საქმიანები არიან, ისწავლიან მაინც, როგორ უნდა გამოიყენო მიწა,

როგორ უნდა გაიუმჯობესო საკუთარი მატერიალური მდგომარეობა, როგორ აიმაღლონ მორალური დამოუკიდებლობა. განა მთელი ჩვენი მხარე სიხარულით არ შეხვდა იმ ფაქტს, რომ თავად დ. ა. ჭავჭავაძის მემკვიდრეობის მამული საუწყებო საკუთრებაში გადავიდა? და განა ზუსტად ასე არ გამოეხმაურა ყველა, ვისაც შერჩა ქართული საზოგადოებისათვის დამახასიათებელი კარგი და კეთილშობილი სურვილი, იმ ცნობას, რომ აფხაზეთის თავადის მამულები კარდენახში ბ-ნ შერემეტიევის ხელში გადავიდა? აქედან ჩანს, რომ არა ვიწრო ეროვნული, არამედ მხოლოდ ზოგადსაკაცობრიო, მხოლოდ სახელმწიფოებრივი მოტივებით აიხსნება ჩვენი წუხილი იმის შესახებ, რომ ჩვენი მხარის დიდი და ძვირფასი მამულები ისეთი ადამიანების ხელში გადადის, რომელთაც არა აქვთ უფლება მიწათმფლობელის ან მიწათმოქმედის სახელი ატარონ, ვინაიდან ეს სახელი ფუჭი ძახილი კი არ არის, არამედ გულისხმობს უამრავ პასუხისმგებლობას მიწის, მეზობლების და მოსახლეობის მიმართ.

კიდევ რას ვწერდით ჩვენ? ჩვენ ვამტკიცებდით, რომ ფასდაუდებელ მამულებს ხელში იგდებენ ისეთი ადამიანები, რომელთაც სულ რამდენიმე ხნის წინათაც კი არავითარი ქონება არ ჰქონდათ. ეს მართალია თუ სიცრუე? ისევ და ისევ, ჩვენ შეგვეძლო უკლებლივ ყველა პირის სია მოგვეცა, რომელთაც მიიტაცეს ო., მ., ა., ჭ. და სხვა თავადთა მამულები (მოგვიწევდა ქართული ანბანის სრულიად გადმოწერა). მაგრამ მოვერიდებით მათი მხრივ თავის მართლებას და შევეხებით მხოლოდ და მხოლოდ ბ-ნ თამამშევს, ვინც თვით ამხილა თავი. როგორც მთელმა ტფილისმა იცის, ათი წლის წინ ბ-ნ თამამშევს სრულიად არაფერი ჰქონდა, გარდა ძველთაძველი, მემკვიდრეობით მიღებული ქოხისა წმ. გიორგის მოედანზე, ქოხისა, რომელიც არათუ მოგებას აძლევდა, არამედ თვითონ საჭიროებდა სარემონტო ხარჯებს*. იგი რამდენიმე წელი მსახურობდა ჩვენს საქალაქო საზოგადოებრივ სამმართველოში გამგეობის წევრად, წელიწადში იღებდა 2 12 ათას მანეთს. ეს სამსახური მან მიატოვა 1881 თუ 1882 წელს, ზუსტად არ მახსოვს, როდის. ტფილისში, ოჯახის კაცს ასეთი ხელფასით ძალზე გაუჭირდება თავის გამოკვება და ყოველ შემთხვევაში, ასეთი ხელფასით დიდ კაპიტალს პლიუშკინიც კი ვერ დაიგროვებდა. ბ-ნ თამამშევს მემკვიდრეობა არსაიდან მიუღია, გარდა შიოსი, რომელიც ჩვენი სათათბიროს დაჟინებული მოთხოვნით მას

* ჩემ თავს ნებას მივცემ საქმის ამ მხარეს შევეხო მხოლოდ იმიტომ, რომ თვით ბ-ნი თამამშევი მიუთითებს ამას. (ავტ.).

თითქმის მთლიანად ჩამოერთვა. ამ საქმის ვითარება საქვეყნოდ ცნობილია, ამიტომ ამას აღარ შევეხები: ყოველგვარი ანგარიში გასწორდა საქვეყნოდ, პრესის საშუალებით და საქმე გაირკვა მთლიანად. მართალია, ბ-ნმა თამამშევმა მიიღო მზითევი, მაგრამ ყველასათვის ცნობილია, რომ ამ მზითვით მან ავჭალასთან ახლოს, სოფ. გლდანში მამული შეიძინა. ეს გახლავთ ბ-ნ თამამშევის საზოგადოებრივი „შემოსავლის" სრული ჩამონათვალი. ალბათ, სავსებით შესაძლებელია, რომ ეს სია არასრული და ნაკლულია. ადვილი შესაძლებელია, ალბათ ბ-ნი თამამშევი დაგვისაბუთებს, რომ ასეთი სწრაფი გამდიდრებისათვის მას სხვა კანონიერი წყაროებიც ჰქონდა. მე არ მინდა ამის საწინააღმდეგოდ რაიმე ვთქვა, სრულიადაც არ მსურს მისი მხილება. მე მხოლოდ გული გადაგიშალეთ—მე ვიცოდი ყველა ეს ფაქტი, ბ-ნი თამამშევის შეზღუდული შემოსავალი, და უეცრად ვიგებ, რომ სწორედ იმ დროს, როცა ის ჩვენთან სამმართველოში მსახურობდა, წელინადში 212 მანეთად და ითმენდა ყოველგვარ თავდასხმებს, მან თავადის ქვრივს A-ს ერთიანად ასესხა 65. 000 მან., და შემდეგ, თითქმის ყოველთვე სესხად აძლევდა ათასებს. ჩადექით ჩემს მდგომარეობაში, გულზე ხელი დაიდეთ, და მითხარით: თუნდაც ერთი წუთით დაიჯერებდით თქვენ, რომ ეს შესაძლებელია? და როცა თქვენ ასეთი დაუჯერებელი ამბის დასამტკიცებლად გიჩვენებენ საბუთს, განა გულში არ გაგიელვებთ, განა არ ირწმუნებთ, რომ ასეთი სესხი ფიქციაა?

ჩემთვის სავსებით სულერთია, საიდანაა მოტანილი ეს რიცხვი— 65. 000 მან., რა კომბინაციების, რა დარიცხვების, რა ანგარიშების, რა შეთანხმებების შედეგად წარმოიქმნა. მეტსაც ვიტყვი: ჩემთვის ისიც სულერთია, მართალია ის თუ მცდარი. ადვილი შესაძლებელია, რომ საგირავნო, რომელიც მე არ მინახია და არც მსურს ვნახო, 65. 000 მან. კი არ ღირს, არამედ 55. 000, ან 75. 000 მან. ყოველივე ეს A თავადებისთვის არის საინტერესო და არა ჩემთვის და ჩემი მკითხველებისთვის. ჩემთვის და მათთვის არსებობს უცილობელი ფაქტები: ათი, თხუთმეტი წლის წინ A თავადები მაგნატები იყვნენ და მილიონიან ქონებას ფლობდნენ. ბ-ნი თამამშევი კი იყო მოწადინებული და ენერგიული მუშაკი ყოველგვარი ქონების გარეშე. ახლა კი, დღეს A თავადები გახდნენ პროლეტარები, უქონებელნი; ბ-ნი თამამშევი კი, როგორც მისი განცხადებიდანაც ჩანს, უკვე ხუთ წელზე მეტია პა-

რიზში ცხოვრობს სრულიად უსაქმოდ. სასწაულებრივი არ არის განა ასეთი გარდასახვა, განა არ ითხოვს იგი საზოგადოებრივი აზრის მხრივ გამოაშკარავებას, დაფიქრებას, შეფასებას?

მე შევეცადე ამ ფაქტს შევხებოდი და გულით ვნანობ, რომ ცხელ გულზე უტაქტო აღმოვჩნდი. ვერ შევძელი გვერდი ამევლო საქმის ყველა დეტალებისთვის. ისევე, როგორც ეს გავაკეთე უამრავ სხვა არასაინტერესო წვრილმანების მიმართ. ჩემი ფელეტონი უნდა დამეწერა სრულიად ობიექტურად, ისე გამეაზრებინა ყველა წვრილმანი, რომ ძირითადი საკითხი რელიეფურად გამოჩენილიყო. ყოველდღიური იმპროვიზაციით გატაცებულმა კი ძნელია თავიდან აიცილო ასეთი შეცდომები. არ მეპატიება: განა ცოტა რამ ვისწავლე ადრინდელი საჟურნალო დავიდარაბისგან, თუ როგორ მარჯვედ ახერხებენ ბ-ნი უარმყოფელები კამათის არსებითი ნაწილისაგან თავის დაღწევას? შეგვხვედრია ისეთი „უარმყოფელებიც", რომლებიც არსებითად არაფერს უარყოფდნენ, მაგრამ თავს იცავდნენ ჩვენი სტატიების ბეჭდვითი შეცდომების ხარჯზე. როცა წერ ისეთი საზოგადოებისათვის, სადაც ჯერ კიდევ ცოტანი არიან, ვისაც შეუძლია განასხვავოს მნიშვნელოვანი არამნიშვნელოვანისაგან და არსებითი წვრილმანისაგან, მაშინ არ უნდა მოგივიდეს ასეთი შეცდომები. მაგრამ ვიმეორებ, განა ბ-ნმა თამამშევმა ერთი სიტყვით მაინც უპასუხა ჩემი ფელეტონის ძირითად მხარეებს? უპირველეს ყოვლისა, მას უნდა დაესაბუთებინა, რომ ასეთი დიდი მამულის მიტაცების ზნეობრივი უფლება ჰქონდა. ჩემი სტატიის ძირითადი აზრი ის იყო, რომ მას „არ ჰქონდა მამულის ექსპლოატაციის სახსრები, მაგრამ აღმოაჩნდა მხოლოდ მფლობელთა ექსპლოატაციის საშუალებანი."

მე ხომ მივუთითე, რომ მან ეს საქმე წამოიწყო არა მეურნეობის გაუმჯობესების, არამედ პარიზში საცხოვრებელი სახსრების გამონახვის მიზნით? აგრეთვე ვამბობდი, რომ საარენდო მამულში მეურნეობის მოშლით, სისტემატურად აუფასურებდა მის ღირებულებას, მაგრამ იმავდროულად ის გვევლინება მომთხოვნელად, გამსესხებლად, მამულის გამყიდველად. როლის ეს გასამება, რაც დამახასიათებელია არა ნამდვილ მოიჯარეთა და მიწათმფლობელთათვის, არამედ მხოლოდ ჩარჩებისათვის, თვით ბ-ნ თამამშევის განცხადებით დასტურდება. ჩემი მითითებებიდან რომელი მათგანი უარყო მან, რომელი იყო მცდარი, არასწორი?

ჩემთვის, ან იმ პირებისათვის, ვინც ამ საქმეზე ინფორმაციას მაწვდიდა, ბრალი რომ დაედოთ, ბ-ნმა თამამშევმა რედაქციაში მომი-

ტანა და მაჩვენა თავად A-ებთან რაღაც ანგარიშის შავი პირი. რა საქმე მაქვს ამ ანგარიშთან? თუმცა ამ ანგარიშმა რაღაც უზუსტობაში მამხილა. მე ვწერდი, რომ ბ-ნი თამამშევის ამხანაგი, ბ-ნი ტ., თავად A-ების ერთ-ერთი მამულის გაყიდვის დროს, პირადად თავისი და ბ-ნ თამამშევის დაკმაყოფილების მიზნით, თავად A-ს თავისი მგზავრობისათვის გადაახდევინა 2000 მან., ხოლო თავისი დაკარგული ჩემოდნისთვის—560 მან. წარმოდგენილი ანგარიში ნათლად გვიჩვენებს, რომ მკითხველი შეცდომაში შემყავდა. ბ-ნი თამამშევიც გამარჯვებული აცხადებს: „ბ-ნმა მოქალაქე ტ-მა მგზავრობისათვის აიღო 502 მან. 62 კაპ., და ჯილდოდ გაყიდვისათვის—2000 მან. ჩემოდნისთვის კი მას კაპიკიც არ აუღია.“ მე განადგურებული ვარ, თავით ფეხამდე დამნაშავე ვარ, ვინანიებ, თავს არ ვიმართლებ, თუმცა შემეძლო მეთქვა, რომ სულერთია რა საბაბით, მაგრამ თ-მ თავადს ნამდვილად 2500 მანეთი გადაახდევინა. მე მხოლოდ ერთს ვკითხულობ: რა წესია ასეთ წვრილმანებზე კამათი, როცა საქმე ეხება მილიონი ღირებულების მამულს, რომელიც ხელში ჩაიგდო ისეთმა ხალხმა, რომელთაც თვალით არასდროს უნახავთ მილიონი? თუ შეგიძლიათ ამაზე იკამათეთ, თავი იმართლეთ, ამისათვის ჩამქოლეთ. საქმის წვრილმანი საკითხების გარკვევის საბაბით, ნუ მოადუნებთ ხალხის ყურადღებას საქმის არსებითი ნაწილის მიმართ.

საქმის არსებით მხარეს მიეკუთვნება მორალური ფაქტორიც. მოქ. ტ. იყო თავად A-ების ნდობით აღჭურვილი პირი ყობანის მამულის გაყიდვის საქმეში. ეს მამული მან ბარონ შ-ს მიჰყიდა და უეცრად სწორედ ეს ბარონი, მყიდველი, გამყიდველების ნდობით აღჭურვილ პირს საჩუქრად აძლევს 2000 მანეთს. დიდი გაჭირვებით, მაგრამ მაინც შეიძლება დავუშვა, რომ ბ-ნ ტ-ს გამყიდველებმა თავის ვალდებულების თანახმად, როგორც ნდობით აღჭურვილ პირს, მისცეს 2000 მან. ზრუნვისათვის, მოხერხებისა და მუყაითობისათვის. მაგრამ მყიდველს რისთვის უნდა დაესაჩუქრებინა ბატონი ტ.? ალბათ, ფასში შეთანხმების დროს შემწყნარებლობისათვის, ასეა ხომ? ყველა ნდობით აღჭურვილი ნაფიც მსაჯულს მოპირდაპირე მხრიდან რაიმე მოგების მიღებისათვის ჩამოართმევდნენ ხოლმე წოდებას და მშრალზე ტოვებდნენ. მაგრამ, როგორც ჩანს, ბ-ნ ტ-ს არც კი ესმოდა მომხდარი ფაქტის მთელი მნიშვნელობა, ვინაიდან თვითონ აღიარა და გადასცა გამყიდველებს 2000 მან., რომელიც მყიდველმა აჩუქა.

მე არ მსურს ჩემს მიერვე წამოყენებული საზოგადოებრივი საკითხი წვრილმანების ირგვლივ კამათის ჭაობში ჩავძირო. ეიმეორებ, საქმის ყველა ძირითად საკითხს ბ-ნი თამამშევი არათუ უარყოფს, არამედ არც შეხებია მათ. წვრილმანებზე კი ბ-ნმა თამამშევმა ვისთანაც სურს, იმასთან იკამათოს. თავად ს. გ. წერეთელმა თავის წერილში (29 სექტემბრის „ნოვოე ობოზრენიე," №1303) უკვე გვიჩვენა, რა მნიშვნელობა ჰქონდა თამამშევის მიერ თავდაცვისათვის წამოყენებულ თავის მართლებას, და რა მდგომარეობაში ჩააყენეს თავი ყოფილმა მფლობელებმა, რომელთაც დამატებითი საარენდო ხელშეკრულების ასლიც კი არ ჰქონდათ. მე არ ვიცავ არც თავად A-ებს, არც თავად ს. გ. წერეთელს. არც ვარკვევ, რამდენად დამაჯერებელია წვრილმანი მონაცემები, რომელიც მე სრულიად გარეშე ხუთი პირისგან შევაგროვე, რომელნიც იცნობენ თავად A-ების მამულების ადრინდელ და დღევანდელ მდგომარეობას და მათი მოიჯარის მიერ ჩადენილ საქმეებს. ჩემი საქმეა იმის გარკვევა, თუ როგორ ხდება ჩემი სამშობლოს ბრწყინვალე მიწების „ყიდვა-გაყიდვა." მე დაგანახეთ, რომ მფლობელთა უსუსურობისა და უდარდელობის გამო, მტაცებელთა მოხერხებისა და მოურიდებლობის გამო, უფულო ადამიანებმა ჩვენ დროში შეიძლება „კანონიერ საფუძველზე" ხელში ჩაიგდონ მილიონიანი ქონება უშრომლად, დაუმსახურებლად, მხოლოდ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლების ბოროტად გამოყენებით. დავასაბუთე, რომ ამ მიზნის მისაღწევად ისინი ითავსებენ მოიჯარეების, გამსესხებლის, ნდობით აღჭურვილი პირების, მომთხოვნელობის, კეთილისმყოფელთა როლებს იმ დრომდე, ვიდრე მამული მათ ხელში გადავა და ყოფილი მფლობელები სრულიად ღატაკდებიან. ყოველივე ეს გიჩვენეთ არა იმიტომ, რომ ღვთის რისხვა გამომეწვია ზოგიერთის მიმართ (რა აზრი აქვს ამას), არამედ იმ იმედით, რომ ასეთი მკვეთრი ფერებით მოცემული მაგალითი, ჩემი თანამემამულეების მეათედს მაინც დაიცავს მოიჯარე-მევახშეებისაგან, რომელთა წყალობა უსათუოდ წყალობის ობიექტის სრული გაღატაკებით სრულდება. აი, რა მიზნით დავწერე ჩემი ფელეტონი, აი, რატომ არ ვახსენე ბ-ნ თამამშევის სახელი. აი, რატომ ვასრულებდი ფელეტონს ასეთი სიტყვებით:

„ვინ არიან ეს მფლობელები, ეს მოიჯარეები?—მკითხავთ თქვენ

---

* ყურადღება მიაქციეთ ამ პირების მრავალსახოვნებას: არენდატორები, სესხის გამცემნი, ნდობით აღჭურვილი პირები, მწყალობელი, დამრბევი! და ეს ყველაფერი ერთდროულად (ავტ.).

და განა ეს ამბავი მხილებისთვის მოგიყევით? ისინი თუ არა, სხვები აღმოჩნდებოდნენ. საქმე მათში კი არ არის, არამედ საფუძველში და ეს უფრო სავალალოა."

მაგრამ აღმოჩნდა, რომ ქვეყნად უფრო სამწუხარო ამბებიც არის; ამ „რაღაცას" თვით ბ-ნი თამამშევი თვითონ განსაზღვრავს: „ზოგჯერ ძალიან ადვილია ნისლში გახვიო ნათელი ამბებიც". ეს ნისლი რომ გაფანტო, წვრილმანი კამათისა და წვრილმანი ამბების ნისლი, რომელთაც საქმისთვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვთ, მე მზად ვარ ვაღიარო, რომ ჩემს ფელეტონში მოყვანილი ყველა ფაქტი, უსათუოდ მცდარია და მოგონილი, თუკი თავის მხრივ ბ-ნი თამამშევი მკითხველებს, მოუთხრობს საიდან მიიღო 65. 000 მან., რომელიც დამატებაში არის ნაჩვენები, და ეს გაუთავებელი ათასმანეთიანები, რომელსაც ის გაასესხებდა ხოლმე და მერე მოსთხოვდა ხოლმე თავად ა-ებისაგან. ძირითადად ესაა ამოსავალი წერტილი, რაზეც შეიძლება კამათი. აი, ეს „დასაბუთებულად" უნდა უარყოთ, ვინაიდან საქმეში გაერია ბ-ნ თამამშევის პიროვნება. მაგრამ, ვიმეორებ, საქმისთვის თამამშევის პიროვნებასაც არა აქვს არავითარი მნიშვნელობა. თუნდაც დამტკიცებულიყო, რომ ეს თანხა ბ-ნ თამამშევს ციდან ჩამოუვარდა, მაშინაც კი ჩემი შენიშვნები ჩემი მშვენიერი სამშობლოს უმდიდრესი მიწების ასე უწყალოდ „გაქრობაზე," სერიოზულ ყურადღებას და მუდმივ ზრუნვას მოითხოვდა ჩემი მკითხველებისაგან. ბ-ნ თამამშევის დოკუმენტური დასაბუთება ჩემთვის და მისთვის მხოლოდ პირადი ღირებულებისა იქნებოდა. მაშინ პირადად მე უსაზღვროდ ბედნიერი ვიქნებოდი; დამიჯერეთ, გული მტკივა, როცა განვიხიბლები ჩემს ნაცნობებში. უდიდესი კმაყოფილებაა მოხიბლული იყო მათი მოქმედებით.

18. ნავთობსადენის ეპოპეიდან*

არ ვეთანხმები რუსეთის საიმპერატორო ტექნიკური საზოგადოების ნავთობსადენის კომისიის წევრთა უმრავლესობის შეხედულებებს და მცდარად მიმაჩნია გაანგარიშებანი, რომლებიც სა-

* ნავთობსადენის ირგვლივ კამათის გამო ზედმეტი არ იქნება 1885 წლის „საიმპერატორო რუსული ტექნიკური საზოგადოების შრომებიდან" გადმოვბეჭდოთ ის განსაკუთრებული აზრი, რასაც დღესდღეობით მხოლოდ ისტორიული მნიშვნელობა აქვს.

ფუძვლად დაედო ხელშეკრულებას. ჩემს მოვალეობად ვთვლი, გაგაცნოთ არსებითი მოსაზრებანი, რამაც, სამწუხაროდ, მაიძულა კომისიის გადაწყვეტილებები არ გამეზიარებინა.

ჩემი აზრით, კომისიამ, რომელიც მოწვეული იყო ჩვენი ნავთობის მრეწველობის ბედზე ნავთობსადენის პრაქტიკული ზემოქმედების საკითხის განსახილველად, ამოცანად არ დაისახა ჩვენი კომისიის უმრავლესობის სწრაფვა—ეჩვენებინა დროთა განმავლობაში, როგორი იდეალური სრულყოფის მიღწევა შეუძლია ნავთობის გადამუშავებას. საქმე უნდა დაწყებულიყო, რომ არაფერი ვთქვათ, რა მანძილია თეორიული მითითებიდან და ლაბორატორიული ცდებიდან საქარხნო მოღვაწეობამდე, როდესაც ანგარიში უნდა გაეწიოს რეალურ ღირებულებას, განსაკუთრებით კი წარმოების მომგებიანობას, როდესაც ერთმანეთს უნდა დაუკავშირდეს ნავთობის გადამუშავების სრულყოფისა და ნავთობსადენის გაყვანის საკითხები, მხოლოდ ორი ქვემოთ ჩამოთვლილი საკითხის მოგვარების შემდეგ: 1) რომ ასეთი სრულყოფა აუცილებლად გამოიწვევს ნავთსადენის მოწყობას და 2) რომ ამის მიღწევა შეიძლება მხოლოდ ნავთსადენის წყალობით, მაგრამ ჯერჯერობით ეს დამტკიცებული არაა, კომისიის დასკვნა, ნავთობის პროდუქტების წარმოების პირობების გაუმჯობესების შესახებ, პლატონურ ოცნებად რჩება, რის შესრულებასაც მთელი გულით ვისურვებდი, მაგრამ, რომელსაც, სამწუხაროდ, ისეთ სერიოზულ გაანგარიშებად ვერ ჩავთვლი, რასაც შეეძლება განსაზღვროს ნავთსადენის ნამდვილი როლი ნავთობის საქმის ეკონომიაში.

ყურადღებით მოვისმინე რა ნავთსადენის დამცველთა თვალსაზრისი და მოსაზრება, ამასთანავე გულწრფელად მინდოდა მერწმუნა ყოველი საფუძვლიანი არგუმენტი და ყოველი ჭკვიანური დასკვნა გამეზიარებინა, მაგრამ მე, საუბედუროდ, დავრწმუნდი,—და ამ დასკვნამდე მივიდოდა ყოველი მოსამართლე, ვინც გულდასმით განიხილავდა ჩვენი კომისიის შრომას,—რომ ნავთსადენი მის დამცველებს ჯერ კიდევ საკმაოდ ბუნდოვნად აქვთ წარმოდგენილი, როგორც ამერიკული ცათამბრჯენების მირაჟი კასპიისპირა უდაბნოში. ნავთსადენის ქომაგები ჯერაც ვერ მიდიან ამ საწარმოს ზედაპირული მონახაზების იქით. მათ ჯერ თავისთვისაც ვერ შეადგინეს და ჩვენს კომისიას ვერ წარმოუდგინეს არა მარტო საფუძვლიანი, არამედ ამ ნაგებობის ნინასწარი პროექტიც კი, და არ შეუგროვებიათ არავითარი პრაქტიკული მონაცემები იმის შესახებ, თუ როგორ მოქმედებს

ნავთსადენი ამერიკაში და ჩვენში. სხვათა შორის, ნავთსადენის საქმეში არსებულ მდგომარეობაში, როცა ის ალბათობის სფეროდან უკვე გამოვიდა, და შეიძლებოდა და ღირდა კიდეც გაანგარიშებანი დამყარებულიყო არა მარტო ლიტონ სიტყვებზე, არამედ გამოცდილებაზეც. ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს კერძო საკითხში, როცა თეორიულსა და პრაქტიკულ მონაცემებს შორის თავს იჩენს მკვეთრი და სრულიად გაუმართლებელი წინააღმდეგობანი. ასე, მაგალითად, მილებით, ნავთობის გადატანის ღირებულების გამოანგარიშებისას, ჩვენი კომისია შემოიფარგლა ბ-ნების ტიმესა და ბეზკოვნის მონაცემების საფუძველზე მიღებული ამ ღირებულების მხოლოდ თეორიული განსაზღვრით. ამ მოსაზრების მიხედვით, რასაც ი.პ. ილიმოვიც იზიარებს, გამოდის, რომ 1 ფუთი ნავთობის გადაქაჩვა ბაქოდან ბათუმამდე, ე.ი. 842 ვერსის მანძილზე უნდა დაჯდეს არანაკლებ 8 და არა უმეტეს 12 კაპიკისა. მაგრამ საკითხი, თუ რატომაა ამერიკაში პრაქტიკულად ზუსტად ორჯერ ნაკლებ მანძილზე—420 ვერსი (280 ინგლისური მილი), და თან უფრო მსუბუქი, ე.ი. იოლად გადასაქაჩი ნავთობის გადაზიდვა 12-13 კაპიკზე უფრო იაფი, გადაუჭრელი დარჩა. თვით იმავე ი.პ. ილიმოვის მონაცემებით (იხ. მისი მოხსენება „საზოგადოების ჩანაწერები", გვ. 16), ამერიკაში 1 ფუთი ნავთობის გადატანა 10 კაპიკზე ნაკლები არ ჯდება.

ყველა თეორიულ მონაცემებს, და საერთოდ ყველაფერს, რაც ამერიკელისთვის მოხერხებულია, პრაქტიკული გამართლება არა აქვს ყოველგვარ პირობებში. ამ წესის საფუძვლიანობა თავის თავზე გამოსცადა კავკასიაში ნავთსადენის საქმით გაკოტრებულმა, ამერიკელმა ტვედლმა, რომელმაც ყუბანში დააარსა საზოგადოება, რომელმაც სადგურ ილსკიდან ნოვოროსიისკამდე გაიყვანა ნავთსადენი.

პროფ. პოტალიცინის მონაცემებით (იხ. მისი სტატია „ნავთობმრეწველობის მდგომარეობა ყუბანში", „გორნო ჟურნალი"[18], 1885წ. №1; გვ.142), ბ-ნ ტვედლის მილებით ნავთობის გადატანის გასაადვილებლად, რომელიც მეტისმეტად მძიმეა, იძულებული არიან მას შედარებით მსუბუქი ხარისხის ნავთობი შეურიონ, ამ ნარევს კი წინასწარ ორთქლით ათბობენ; მაგრამ იძულებული გახდნენ ეს პრაქტიკული მეთოდი შეეცვალათ: ახლა „მოწყობილია ორთქლით გათბობის სისტემის მსგავსი ნავთობის რეზერვუარი". ბ-ნ ტვედლის ნავთსადენს (დიამეტრი 3 დუიმი) 70 ვერსის მანძილზე შუალედში აქვს ორი სადგური, თუ არ ჩავთვლით მესამეს—სანყისს და მაინც დღე-ღამეში

არ შეუძლია 2000 ფუთზე მეტის გადაქაჩვა, მას კონკურენციას უწევენ ხარები, რომლებიც ჭაპნით ფუთს 20 კაპიკად გადაზიდავენ. იმის გამო, რომ ბაქოს ნავთობის კუთრი წონა ამერიკულზე გაცილებით მძიმეა, ბ-ნების ვარის, ტიმესა და ბეზკროვნის თეორიული მონაცემები ძირეულად უნდა გადაისინჯოს და შესწორდეს, ბაქოს ნავთსადენისა და მათი მეშვეობით სხვადასხვა ხარისხის ნავთობის გადაქაჩვის პრაქტიკული მონაცემების საფუძველზე. ნავთსადენის დამცველებმა ჩვენს კომისიას არავითარი მსგავსი მონაცემი არ წარმოუდგინეს, თვით კომისიას კი მისი შეგროვება არ შეეძლო.

კომისიის ხელში არსებული ცნობა მილებით ნავთობის გადატუმბვის სავარაუდო ღირებულების შესახებ მეტად განზოგადებული ხასიათისაა. ასე, მაგ., ამტკიცებენ, რომ გადატუმბვის ღირებულება შეიძლება შემცირდეს, თუ მილების დიამეტრს გავადიდებთ (6-დან 7 1/2-მდე და მეტ დუიმამდეც). პროფესორები ტიმე და ვიშნეგრადსკი გვთავაზობენ პირველის გაანგარიშების საფუძვლად მივიღოთ—7 1/2 დუიმიანი მილი, ხოლო მეორის—8 დუიმიანი. მაგრამ არსებობს პირდაპირი მითითება, რომ საჭიროა ამ მონაცემების სერიოზული შესწორება. ჯერ ერთი, არსად, არც ამერიკაში, არც ჩვენში არ არსებობს 6 დუიმზე უფრო მეტი დიამეტრის გრძელი მილი. ამიტომ შეუძლებელია, რომ გამოჩნდნენ მსურველები თავისი ხარჯით ჩაატარონ ძვირადღირებული ცდა და ააგონ შვიდი ან რვა დუიმიანი ნავთსადენი მთელ 840 ვერსზე. მეორეც, თვით ამერიკელებიც უარყოფენ მათთან 6 დუიმიან დიამეტრზე მეტი სქელი, არადრეკადი ნავთსადენი მილების არსებობას, რომლებიც ძვირია, ძნელი გასაკეთებელია და რაც მთავარია—ადვილად ფეთქებადია. საერთოდ, ჩვენი კომისიის მთელი მოღვაწეობა ხასიათდება გამოცდილი მკვლევარების გადაყენებით და თეორიული ვარაუდების მეტისმეტი სიჭარბით. გადატუმბვის ღირებულების განსაზღვრის საქმეში, მაგ., 1 ფუთი ნავთობის გადატუმბვის ღირებულების განსაზღვრა, როგორც 8, ისე 12 კაპიკით დამყარებულია მხოლოდ ვარაუდზე, რომ ნავთსადენი ბაქოდან ბათუმში იმავე რაოდენობის ნავთობს გადაიტანს, რაც თეორიულად განსაზღვრულია, მილების გატარების შესაძლებლობა დღე-ღამეში (24 საათის განმავლობაში) დგუშების განუწყვეტელი მოქმედების დროს და წელიწადში, 330 დღე-ღამის განმავლობაში. განა საჭიროა იმის მითითება, რომ უზარმაზარი განსხვავებაა თეორიულ გამოთვლასა და პრაქტიკულად შესრულების შესაძლებლობას შორის?

რკინიგზის საქმეში, საერთოდ, რეალურად შესრულებული გატარების შესაძლებლობა 30%-ით ნაკლებია იმაზე, რაც გზის გრაფიკითაა გათვალისწინებული. მაშასადამე, მილებით ნავთობის გადატუმბვის ღირებულება, ფუთზე 8 და 12 კაპიკით განსაზღვრული, საჭიროა გაიზარდოს, თუმცა ჩვენს კომისიას ეს მხედველობაში არ მიუღია.

ჩვენმა კომისიამ უქმად იშრომა, რათა რკინიგზით ნავთობის გადატანის თეორიულად განსაზღვრული ღირებულება შეედარებინა მილებით ნავთობის გადატანის ღირებულებასთან. როდესაც ხელთა გვაქვს ფაქტი, რომელიც დასაბუთებულია არა მარტო რუსეთის, არამედ ევროპისა და ამერიკის მუშაობის გამოცდილებითაც, რომ ნაკლებღირებული ტვირთი შეიძლება გადავზიდოთ რკინიგზით ფუთიდან 1/654 და 1/75 და აგრეთვე 1/90 ტარიფით 1 ვერსზე, ერთი სიტყვით, პირად მგზავრობაზე სულ ცოტათი ძვირია და თან ფრიად მომგებიანი რკინიგზის მეურნეობისათვის, რომელიც გარანტირებულია არა მარტო ხაზინის მხრივ, არამედ აგებულია კერძო მფლობელთა პირადი რისკითა და შიშით. და სიტყვა რომ არ გაგვიგრძელდეს, არ იყო საჭირო იმის მტკიცება, რომ ამიერკავკასიის რკინიგზას თითქოს შეეძლოს ნავთობის პროდუქტების გადაზიდვა ბაქოდან ბათუმში ფუთი 12 კაპიკად, ე.ი. 1/11 კაპ. ფუთვერსიდან. მაშინ როცა დამტკიცებულია, რომ გადაადგილების ხარჯები მთელ მანძილზე არ აჭარბებს 1 ფუთ ვერსზე 1/100 ან 8,4 კაპიკს.

მე უკვე მქონდა პატივი კომისიის ყურადღება გამემახვილებინა იმ საკითხზე, თუ რამდენად ცალმხრივი და მცდარია რკინიგზისა და ნავთსადენის ტარიფების უბრალო შედარება. ვინაიდან გადასაადგილებელი საგნები სრულიად განსხვავდება ერთმანეთისაგან. ნავთსადენი ნედლეულის გადამტუმბავი ნავთსადენის ტარიფი ყოველთვის უფრო დაბალი იქნება მზა პროდუქციის გადამტან რკინიგზის ტარიფთან შედარებით სწორედ იმდენით, რამდენი პროცენტიც დაიკარგება ნედლეულის გადამუშავებაზე და მზა პროდუქციის შექმნაზე. ვინაიდან დღესდღეობით გამოიყენება ჩვენი ნავთობის დაახლოებით 27-30%, ამიტომ ვიდრე ნავთსადენი ვერ შეძლებს თავისი ნედლეულის პრაქტიკულად მეტი პროცენტის გამოყენებას, იგი ყოველთვის იქნება იძულებული თავისი ტარიფი რკინიგზასთან შედარებით 70-73%-ით დაბალი ჰქონდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში მას ჩაახშობს რკინიგზასთან მეტოქეობა. გასაგებია, რომ ამერიკაში, სადაც ნავთობის ქიმიური შემადგენლობისა და არატექნიკის მაღალი

დონის გამო, შესაძლებელია ნედლეულის მთელი 75 პროცენტის გამოყენება, ნავთსადენები თავის ტარიფს მხოლოდ 25 პროცენტით ამცირებენ და ამით კონკურენციას უწევენ რკინიგზებს. მართალია, ჩვენთვის მიუღწეველია მთელი ნედლეულის სამი მეოთხედის გამოყენება, მაგრამ ამერიკაშიც რკინიგზები წარმატებით უწევენ კონკურენციას ნავთსადენებს: ამერიკის ნავთობის პროდუქციის მეოთხედი ოკეანემდე რკინიგზებით მიაქვთ და არა მილებით. თუ ამას გავითვალისწინებთ, მაშინ კავკასიის ნავთსადენის შესაძლებლობა სრულიად არახელსაყრელია, ვინაიდან იგი იძულებულია გადატუმბოს ნავთობი, რომლის მხოლოდ ერთი მესამედია გამოყენებული.

ჩვენ კომისიას მიაჩნია, რომ ეს მოსაზრება ანგარიშგასაწევი არაა, ვინაიდან შესაძლებელია შავ ზღვაზე ნარჩენი ნავთობი გაიყიდოს გათბობისათვის, ანდა როგორც სხვა მნიშვნელოვანი პროდუქტი—საცხები ზეთი და არომატული ნახშირწყალბადი.

რასაკვირველია, ბევრი რამის ვარაუდი შეიძლება. მაგრამ რა უსაფუძვლოც არ უნდა იყოს კამათი მათი შესრულების ალბათობაზე, მაინც არსებული სინამდვილე გვისახავს საოცნებო იმედებს, ბაქოს ნავთობის გასაღების რაოდენობა ბევრად უფრო დიდია ფართობით, მაგრამ ღარიბია სათბობით, ვიდრე ბათუმის მომავალი ქარხნების რაიონი. კასპიისპირეთი, ვოლგისპირეთი და აღმ. ამიერკავკასია, ბაქოს გარდა, არსაიდან იღებს სათბობს. თვით ბაქოში საჟენი შეშა 35 მანეთზე ნაკლები არ ღირს. მიუხედავად ამისა, ნავთობის ნარჩენები ბაქოში 4,5 ან 6 კაპიკზე ძვირად არ იყიდება. მაშ, რატომ გაქვთ იმის იმედი, რომ სათბობისათვის გამოსაყენებელი ნავთობის ნარჩენები შავ ზღვაზე გაიყიდება ფუთი 15 კაპიკად, მაშინ როცა შეშის გარდა, რომელიც იქვე ახლოს—ფოთში, სოხუმში და ბათუმში, ყოველ შემთხვევაში, სამჯერ იაფი ღირს ვიდრე ბაქოში და ჩვენ გვაქვს ქვანახშირის საბადოები (დონეცკის, ტყიბულის, ჰერაკლიის), რომელსაც ინგლისური ქვანახშირი ბელასტის სახით იღებს. ჩვენში სულ არ არის ორთქმავლის კაბოტაჟი, რომელიც ასე გავრცელებულია ვოლგაზე და კასპიისპირეთში; ჩვენში შემოსული ოკეანის გემები კი ბელასტის სახით მარაგდებიან საფრანგეთისა და ინგლისის ქვანახშირით.

უფრო სათუოა თქვენი კომისიის წინადადებანი წარმოების გაძლიერების შესახებ და განსაკუთრებით კი ნავთობის ძვირფასი პროდუქციის გასაღების თაობაზე. ამერიკელები თავისი ნავთობიდან, ცილინდრულის გარდა, სხვა ყველა ხარისხის საცხებ ზეთს ამზადებენ, თვითონ 1 1/2 პროცენტზე მეტს არ იყენებენ, დანარჩენს ჰყიდიან.

საცხები ზეთების ჩვენი საკუთარი წარმოება, რომელიც, პროდუქციის ოდენობის მხრივ, ჯერ ძალიან ჩამორჩება ამერიკულს, ვ.ი. რაგოზინის სიტყვებით რომ ვთქვათ (ნავთობის მრეწველობის I ყრილობაზე), უკვე განიცდის ჭარბ წარმოებას. ვ.ი. რაგოზინის გამოანგარიშებით დღესდღეობით სამ მილიონ ფუთზე მეტი საცხები ზეთი ვერ გასაღდება. ამის გამო ჩვენი კომისიის დასკვნები, რომლებიც ეყრდნობა საცხები ზეთების სავარაუდო მომგებიან გასაღებას, პრაქტიკულ მნიშვნელობას კარგავენ.

საერთოდ, ჩვენი კომისიის მოხსენების სიმძიმის ცენტრი სამი საკითხის ირგვლივ ტრიალებს და სამივე შესწორებას საჭიროებს: 1) რომ ნავთსადენი ყოველწლიურად შესძლებს იმავე რაოდენობის ნავთობის გადატუმბვას, როგორზეც გაანგარიშებულია; 2) მთელი ნავთობი იქნება უტილიზირებული, არანაკლებ 65 პროცენტის ოდენობით; და 3) რომ ასეთი უტილიზაციის შედეგად მიღებული პროდუქტები მთლიანად გასაღდება. მაგრამ საკმარისია „დავუშვათ", რომ ამ ვარაუდში შეიძლება სულ მცირე ცვლილებები მაინც მოხდეს, რომ მაშინვე დაირღვევა კომისიის მიერ გაკეთებული დასკვნა. სინამდვილეში თუ ნავთსადენი გადატუმბავს არა წინასწარ გამიზნულ ნავთობის რაოდენობას, არამედ მხოლოდ 70 პროცენტს, რაც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სრულიად ადვილი შესაძლებელია, მაშინ მილით გადატუმბვა დაჯდება უფრო ძვირი, ვიდრე რკინიგზით. მეორე მხრივ, ბათუმში ჩვენი ნავთობის გამოყენება მიაღწევს არა კომისიის მიერ შემოთავაზებულ 65%-ს, არამედ მხოლოდ 50%-ს, მაშინ ნავთსადენი იძულებული იქნება, რკინიგზასთან შედარებით, ტარიფი ორჯერ იაფი ჰქონდეს, ვიდრე რკინიგზას. დაბოლოს, თუ ვერ მოხერხდება ან შემცირდება გაძლიერებული მოთხოვნილების პროდუქციის მომგებიანი გასაღება, ამ უკანასკნელს გაუტოლებს დღევანდელ ბაქოს პროდუქციას, რის შედეგად ნავთსადენი იძულებული გახდება, რკინიგზასთან შედარებით, სამჯერ დაბალი ტარიფით იმუშაოს.

მე ვფიქრობ, რომ ასეთ არამყარ ნიადაგზე სოლიდური ნაგებობის შექმნა არ შეიძლება. რასაკვირველია, იმის უარყოფა არ იქნება მართალი, რომ მომავალში ჩვენი ნავთობის გამოყენებაში შეიძლება სრულყოფას მივაღწიოთ. მაგრამ იმედი მაქვს, ვერავინ გამომედავება, თუ ვიტყვი, რომ ჩვენმა საქარხნო მრეწველობამ ჯერ ვერ მიაღწია 30 პროცენტზე უფრო მაღალ გამოყენებას. მართალია, კომი-'ია აცხადებს, რომ ი.პ.ილიმოვმა მას წარუდგინა მონაცემები „სა-

ქარხნო წარმოებაზე". მაგრამ, ჯერ ერთი, ეს მონაცემები უნდა შემოწმდეს ყველა ჩვენი ქარხნების წინააღმდეგობების გათვალისწინებით. და მეორეც, შეიძლება ამა თუ იმ ქარხანამ რაღაც ცდები ჩაატაროს, მაგრამ ჯერ უნდა დავასაბუთოთ, რომ ეს ცდები პრაქტიკულად, კომერციულად წარმატებით დასრულდა. დაბოლოს, ცალკეული წარმატებები წარმოებაში, სრულიადაც არ არის მთელი წარმოების მოღვაწეობის მაჩვენებელი. მართალია, ი.პ. ილიმოვმა კომისიას წარუდგინა ცნობა ვ.ი. რაგოზინის ამხანაგობის ერთ-ერთი ქარხნის მუშაობის შესახებ, მაგრამ ამ მონაცემთა კომისიის შრომებში შეტანაზე უარი თქვა. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს საცხები ზეთების წარმოების განვითარებაში ვ.ი. რაგოზინის ამხანაგობის დამსახურება. ამ მხრივ საკმარისია აღვნიშნოთ, რა დიდი მსხვერპლი გაიღო ამ ამხანაგობამ, როცა გვიჩვენა, რომ მათი საქმიანობით ვერ ვისწავლიდით ისეთი სამრეწველო დანესებულების მოწყობას, რომლის მიზანი იქნებოდა არა დიდების, არამედ მოგების მიღწევა. ამის გამო, მე სრული უფლება მაქვს გავიმეორო, რომ როგორც ი.პ. ილიმოვის, ისე ჩვენი კომისიის ყველა გაანგარიშება ემყარება ნავთობის წარმოების მომავალი წარმატებების მხოლოდ იმედებს.

როცა ტრიალებ „ვარაუდების" სფეროში, არ შეიძლება შენც არ გაგაჩნდეს ასეთივე აზრები. ამიტომ, დავუშვათ ჩვენ, რომ ი.პ. ილიმოვისა და ჩვენი კომისიის ყველა ვარაუდი განხორციელდა, და ნავთსადენზე დამყარებული ბათუმის ნავთობის მრეწველობა სინამდვილეში გამოიყენებს ნედლეულის 65 პროცენტს, რომ ნავთსადენი ნამდვილად გადატუმბავს ფუთ ნავთობს 8 კაპიკად და გამოსაყენებელი პროდუქციის 65 პროცენტი სრულიად გაიყიდა. ყველა ამ ვარაუდების საფუძველზე, რომლის იქითაც, ალბათ, საქმე ვერ წავა—ნავთსადენის ტარიფი, რკინიგზასთან შედარებით, 35 პროცენტზე ნაკლები უნდა იყოს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თუ ნავთსადენი ბაქოდან ბათუმში ნავთობის ფუთს 8 კაპიკად გადატუმბავს, მას წარმატებით გაუწევს კონკურენციას რკინიგზა, რომელსაც მზა პროდუქციის გადატანა შეუძლია ფუთი 12,3 კაპიკად. და სხვათა შორის, არავინ დაიწყებს იმის მტკიცებას, რომ ამიერკავკასიის რკინიგზას არ ძალუძს თავისი ტარიფი ამ ზომამდე დააქვეითოს. და თუ ვივარაუდებთ, რომ ი.პ. ილიმოვი ნავთსადენის შენახვისათვის იშოვის კაპიტალს წელიწადში არა 5%-ად, (მაშინ როცა თვით სახელმწიფო თავისთვის სესხულობს თანხას 6%-ად), და არა 20-წლიანი ვადით, არამედ 10%-იანს

და 15 წლის ვადით. ამ შემთხვევაში, კომისიის გამოანგარიშებით, 1 ფუთი ნავთობის გადატუმბვა დაჯდება არა 8 კაპიკი, არამედ მთელი 12 კაპიკი. ამ ვარაუდით, რკინიგზა ნავთსადენს გაუწევს კონკურენციას და თავისი უმაღლესი ტარიფით რკინიგზა შეძლებს კონკურენცია გაუწიოს ნავთსადენს იმ შემთხვევაშიც, თუ შეინარჩუნებს ნავთობის პროდუქციის გადაზიდვისათვის უმაღლეს ტარიფს—ფუთ ვერსზე 1/45 კაპიკს, ე.ი. 18,7 კაპიკს მთელ მანძილზე. სხვათა შორის, ჩვენ საფუძველი გვაქვს სხვა დასკვნებიც გავაკეთოთ; რაც კომისიის მიერ მიღებულზე ნაკლებ სავარაუდო არ იქნება. მაგალითად, ის, რომ ი.პ. ილიმოვი არ კმაყოფილდება ნავთობგადასაზიდი ტარიფით, რაც გადაზიდვის ხარჯებს მხოლოდ ნაწილობრივ აკმაყოფილებს, არამედ ფიქრობს დანიშნოს ისეთი ტარიფი, რომელიც მას მცირეოდენ შემოსავალს მისცემს. ეს თავის მხრივ უსათუოდ 1 კაპიკით მაინც გაზრდის ნავთობსადენის ტარიფს.

არ დავიწყებ ფართო ანგარიშსა და დასაბუთებას და შემოვიფარგლები მხოლოდ იმ შენიშვნით, რამაც დამარწმუნა, რომ ჯერ უდროოა ამიერკავკასიის ნავთობსადენის გაყვანა. ჩემ თავს ნებას მივცემ და გადმოგცემთ მხოლოდ ჩემ ზოგად აზრს ნავთობსადენის საქმის ირგვლივ. ბაქოს რკინიგზის აგებამდე ჯერ კიდევ შეიძლებოდა ნავთობსადენის სარგებლიანობის დასაბუთება. ასე მოვიქეცი კიდეც 1878 წელს. მაგრამ როცა გზა გაყვანილია, ნავთობსადენის აგებას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს იმ დრომდე, ვიდრე რკინიგზა მთლიანად არ ამოწურავს ნავთობის გადაზიდვის შესაძლებლობას. ჯერ ეს დრო არ დამდგარა, ნავთობსადენს უნარი აქვს გააიაფოს ნავთობის ტვირთის გადატანის ტარიფი. რკინიგზას კი, ვის ხელშიც არ უნდა იყოს ის, თუნდაც ხაზინის ხელში, ალბათ, ყოველთვის ექნება იმის შესაძლებლობა, რომ ნავთობსადენს აჯობოს ტარიფის თუნდაც მცირეოდენი შემცირებით. ამისთვის მას არ დაჭირდება საკუთარი გადაადგილების ხარჯებამდე დაქვეითება. მილების გაყვანას მხოლოდ მაშინ ექნება აზრი, როცა რკინიგზა მთლიანად ამოწურავს ტვირთის გატარების საშუალებას. მაშინ ხელახლა დადგება საკითხი—რა უფრო მომგებიანია—მეორე რკინიგზისა თუ ნავთობსადენის აგება? რასაკვირველია, მაშინ აღმოჩნდება, რომ მილების გაყვანა უფრო სასარგებლოა, ვიდრე რკინიგზისა. ასე იყო ამერიკაშიც, იქაც ნავთობსადენები იმის მერე გაჩნდა, როცა ნავთობის პროდუქციის გადატანამ წელიწადში 120 მილიონ ფუთს მიაღწია. მაგრამ ნავთობსადენზე უფ-

რო ადრე, ამერიკაში, ოკეანის ნაპირებზე განვითარდა ნავთობის გადასამუშავებელი მრეწველობა, რომლის განვითარებისათვის ბუნებრივი პირობები შეიქმნა აქ სათბობისათვის არსებული იაფი ქვანახშირის გამო. მაგრამ, ვინაიდან ჩვენში, ბაქოსა და შავ ზღვას შორის ნავთობის ტვირთის გატარება მხოლოდ 4,5-7 მლნ. ფუთს შეადგენს, ჯერ ძალიან ადრეა ასეთი „ვარაუდების" შექმნა. მითუმეტეს ჩვენში, შავი ზღვის სანაპიროზე, ჯერ არც ერთი ნავთობგადასამუშავებელი ქარხანა არაა აგებული.

მაგრამ ამ საკითხში, ჩემი ღრმა რწმენის მიუხედავად, მე მაინც არ ვფიქრობ, რომ საჭიროა ამ წამოწყებას წინააღმდეგობა გავუწიოთ. ამ მხრივ არ ვიზიარებ ვ.ი. რაგოზინის საკმაოდ მტკიცე პროტესტს ჩვენი კომისიის გადაწყვეტილების შესახებ, რომელიც მან „ბაკინსკიე იზვესტია-ში[19]" დაბეჭდა. ვ.ი. რაგოზინი ამტკიცებს, რომ ნავთობსადენის აგება ნიშნავს რუსული ნავთობის მრეწველობის „გაძარცვას" უცხოელთა სასარგებლოდ. ეს მართალი იქნებოდა, თუ ნავთობსადენი მართლა მოახერხებდა ნავთობის პროდუქტების გადაზიდვის ხარჯების შემცირებას. მაგრამ ამაზე საუბარი ჯერ ადრეა. ასევე ადრეა ნავთობის გადაზიდვის საქმეში ნავთობსადენის მონოპოლიაზე ლაპარაკი: რკინიგზით ტვირთის გადაზიდვა ყოველთვის აღწევს იმ დონეს, რომ მას აქვს ნავთობსადენის ტარიფის რეგულირების საშუალება, როგორიც ყოველთვის იყო და იქნება ამიერკავკასიის რკინიგზის ნავთობგადამზიდი ხაზი, რომლის მნიშვნელობასა და ძალას კარგად გვიჩვენებს ბალახანის ნავთობსადენის მფლობელთა ცდა შეწყვიტონ მასზე ნავთობის გადაზიდვა. საერთოდ, ამიერკავკასიის ნავთობსადენიდან მე ნავთობის საქმისათვის არც მოგებას ველი, არც წაგებას. ამიტომ ჩემთვის აბსოლუტურად სულ ერთია, ვის მისცემენ ნავთობსადენის მშენებლობის უფლებას და ვინ აიღებს ამას თავის თავზე. ამ მხრივ, სიამოვნებით დავუჭერდი მხარს ჩვენი კომისიის დასკვნას, თუკი ის მხოლოდ დ.ი. მენდელეევთან გამოთქმულ აზრზე შეჩერდებოდა. დ.ი. მენდელეევი არ შეხებია შემოთავაზებული საქმის არც მერყევ გაანგარიშებებს, არც ეკონომიკურ, არც ფინანსიურ, არც ტექნიკურ მხარეებს. მან განაცხადა, რომ ნავთობსადენს განიხილავს მხოლოდ როგორც ნავთობის დაზვერვის, მოპოვებისა და გამოყენების გაძლიერების საშუალებას. სინამდვილეში კაპიტალისტი, რომელიც ნავთსადენს ააგებს და ვერ შეძლებს თავისი დანახარჯი აინაზღაუროს სხვისი ნავთობის გადაზიდვის ხარჯზე, იძულებული იქნება დაფაროს წაგება კომერციული ოპერაციებით—

თავისი და სხვისი პროდუქციის უფრო მეტად მომგებიანი გამოყენებით. რაც უნდა დაუჯერებელი იყოს ის, რომ კაპიტალისტს ჯერ დაეხარჯა ათობით მილიონი და მერე დაეწყო აღმოჩენების გაკეთება, რომელიც შესაძლებლობას მისცემდა დახარჯული მილიონების პროცენტების ანაზღაურებას და დაფარვას, კომისიას მაინც შეეძლო ასეთ ფორმულირებაზე შეჩერებულიყო. მაგრამ ამაზე ღრმად წასვლა ნიშნავდა დიდ რისკს, ნიშნავდა მეცნიერული ვარაუდი უტყუარ დასკვნად, რეალურ ფაქტად მიგვეჩნია. მაგრამ ისეთი პატივცემული დაწესებულების კომისია, როგორიცაა რუსეთის საიმპერატორო ტექნიკური საზოგადოება, არ შეიძლება უდიდესი სიფრთხილით არ მოექცეს ამა თუ იმ დაწესებულების მომგებიანობის საზღვრებს.

როგორი პატივსაცემი და წმინდა არ უნდა იყოს ავტორთა აზრი ჩვენი საზოგადოების აღმოჩენებისა და გამოგონებების შესახებ, ის მაინც ვერ მოგვცემს იმის გარანტიას, რომ აღნიშნული დაწესებულება მომგებიანი იქნება და ვერც რეკლამას გაუკეთებს მის განხორციელებას. აქ შესაძლებელი და თითქმის გარდუვალია შეცდომები და ნაკლოვანებანი, რომელთაც შეუძლიათ სახელი გაუტეხონ იმ სანქციას, რომელსაც მათ ტექნიკური საზოგადოება აძლევს. აი, ამიტომ ვიყავი იძულებული ჩემი საკუთარი აზრი მქონოდა იმის შესახებ, რომ ჩვენს კომისიას თავის მოხსენებაში და დასკვნებში არ უნდა შეეტანა სათუო ვარაუდი ნავთობსადენის მომგებიანობის შესახებ, არ უნდა ემტკიცებინა, რომ მისი განხორციელება უსათუოდ მოუტანდა სარგებლობას რუსული ნავთობის საქმეს.

ჩემი რწმენით, ის, რაც მეცნიერულ საზოგადეობას ნავთობსადენის შესახებ შეეძლო თავისუფლად ეთქვა, რომ მომავალში საყვედური არ გამოეწვია აუხდენელი ოცნებების გამო, იქნებოდა მხოლოდ იმის განცხადება, რომ სასურველია ხელი არ შევუშალოთ კერძო წამოწყებებს, რომლებიც შეეცდებიან საკუთარი ხარჯითა და რისკით შექმნან საწარმოები, ვინაიდან ეს საქმე ჯერჯერობით არაა იმდენად აუცილებელი, რომ გამართლებული იყოს ხაზინის მხრივ ხარჯისა და მსხვერპლის გაღება. პირადად მე არსებითად ვიზიარებ I ყრილობის მიერ მიღებულ აზრს, რომ ნავთობსადენის აგება ჩვენში სრულიად არ შეესაბამება რუსული ნავთობის მრეწველობის რეალურ მოთხოვნებს.*

---

* ამ წერილის საფუძველზე რუსეთის ტექნიკური საზოგადოების საბჭომ კატეგორიულად უარყო კომისიის გადაწყვეტილება და განაცხადა, რომ ამ კომისიის შრომები და გადაწყვეტილებები წარმოადგენს არა უმეტეს მასალათა კრებულს, რომელიც შემდგომ გადამუშავებას მოითხოვს. (ავტ.).

19. საუქმო საკითხავი

დღეს, ცოტა და კეთილგანწყობით მსურს გესაუბროთ ჩვენში მეტისმეტად ხოტბაშესხმული „უარყოფის“ ერთ-ერთ გამოვლინებაზე.

ამას წინათ „ნოვოე ობოზრენიეში“ (№1321) მე გამოვაქვეყნე მხოლოდ „ტექნიკური ეტიუდი“ ფოთის პორტის შესახებ. როგორც მოსალოდნელი იყო, ჩემი თავხედობა დაუსჯელი არ დარჩა. გაზეთ „კავკაზში“ (№278) დაიბეჭდა ჩემი ეტიუდის უარყოფა, რომელიც აშკარად სპეციალისტის დაწერილია. „აშკარადო“, ვამბობ იმიტომ, რომ უარმყოფელი, რომელიც არაფერს არ უარყოფს, მხოლოდ გაკვირვებულია, როგორ გავბედე ტექნიკის შესახებ წერა, ეს კი მხოლოდ სპეციალისტებს სჩვევიათ. მეცნიერი კაცი, ჩვეულებრივ როცა კითხულობს სტატიებს, რომელიც მის საგანს არ ეხება, მათ აფასებს შინაგანი ღირსებების, არგუმენტაციის, გამოთქმული აზრებისა და შედეგების მიხედვით. „სპეციალისტებს კი“, და არა მეცნიერებს, არავითარი საქმე არა აქვთ შეხედულებებთან, დასაბუთებებთან, არგუმენტებთან და შედეგებთან. მათთვის მთავარია—„ვინ წერს?“—„აქვს თუ არა წერის უფლება?“—„რა წოდება აქვს მას?“—„მაჩვენეთ მისი დიპლომი“. თუ სტატიას დაწერს ან ხელს მოაწერს რომელიმე ძველი დროის სპეციალისტი, ვთქვათ, არქიტექტორი, რომელიც თავის საგანს იმ მივიწყებულ დროს ეუფლებოდა, როდესაც სამშენებლო ხელოვნების ქვეშ იგულისხმებოდა მხოლოდ იმის ცოდნა, რომ ქვის ნაგებობები ხისაგან განესხვავებინათ, სპეციალისტი ასეთი სტატიის წინ დაიჩოქებს კიდეც. თუმცა ის არ შეესაბამება არც მეცნიერების დღევანდელ მდგომარეობას, არც დროის მოთხოვნას და არც აქტუალურია. და ეს მხოლოდ იმიტომ, რომ თვით ამ მსაჯულებს არ შეუძლიათ განასხვავონ საფუძვლიანი უაზროსაგან, მნიშვნელოვანი ფანტასტიურისაგან. მათ სწამთ მხოლოდ პროფესიის, მხოლოდ დიპლომის, მიუხედავად იმისა, რომ პროფესიასაც და დიპლომსაც არაერთხელ შევუყვანივართ შეცდომაში.

იგივე მოუვიდა ჩვენს „უარმყოფელსაც“. მან იცოდა, რომ ჩვენს რედაქციაში არცერთ თანამშრომელს არ ჰქონდა ინჟინრის დიპლომი, არ იყო არც ერთი კაცი, ვისაც თავი გამოეჩინა რომელიმე პორტის აგებით, ამიტომ უარმყოფელმა მთელი თავისი უარყოფა დააფუძნა ჩემი კომპეტენტურობის უარყოფაზე. მას სიტყვაც არ დაუძრავს ჩემი ეტიუდის ძირითად აზრზე, არც ჩემი პროექტის მთავარ ხაზზე, არც რაიმე მსგავსზე. „არ დაუჯეროთ მას, იგი არაკომპეტენ-

ტურია“,—აი, მისი სტატიის არსი. რას იზამ, ასეთი ხერხიც მისაღებია. მაგრამ არა ყველა უარმყოფელისათვის.

ვთქვათ, მე არა ვარ კომპეტენტური, და გეთანხმებით, არც უნდა დამიჯეროთ. მით უფრო ვეთანხმები იმას, რომ არავის ნდობისთვის არ ვიღწვი, მაგრამ ვინაიდან მე თვითონ მჯერა ჩემი საბუთიანობის ძალისა, ამიტომ დარწმუნებული ვარ, რომ ადრე თუ გვიან სხვებიც იძულებული იქნებიან დაუჯერონ მას. მაგრამ, გეკითხებით, სხვა რომ ასე გაანადგურო, საჭიროა თუ არა, რომ ასეთ საქმეში თვითონაც გარკვეული ავტორიტეტით სარგებლობდე? აქვს კი ჩემს უარმყოფელს საკშარისი ავტორიტეტი პორტმშენებლობაში? რა თქმა უნდა, არა და არც იმაზე მეტი, ვიდრე „ნოვოე ობოზრენიეს“ რომელიმე მწერალს. და აი, რატომ: ჩვენში, პორტმშენებლობის საქმეში ბ-ნ ფალკენპაგენისა და ბ-ნ ბურმეისტერის სიკვდილის შემდეგ ნამდვილ სპეციალისტებად მხოლოდ ბ-ნები შავროვი და ჟარინცევი თუ შეიძლება ჩაითვალონ. პროექტების შემდგენელ ან მათ განმახორციელებელ სხვა სპეციალისტებს, ყოველ შემთხვევაში ჩვენში, არ ვიცნობთ. მაგრამ საპორტო საქმეზე მწერალ ყოველ ჟურნალისტს, ამ ორ სპეციალისტთან შედარებით ის უეჭველი და უდიდესი უპირატესობა აქვთ, რომ ჟურნალისტის ცოდნა თუ უცოდინარობა ეჭვის ქვეშ დგას, მაშინ როცა ზემოხსენებული მშენებლების ცოდნის და არცოდნის შესახებ არავითარი ეჭვი არ შეიძლება არსებობდეს. ჯერ არავის დაუმტკიცებია და არავისთვის არ არის ნათელი, რომ ჟურნალისტის მსჯელობა პორტის შესახებ არასწორი და მცდარია. ადვილი შესაძლებელია, რომ ჟურნალისტმა, თუნდაც უნებლიედ, ამ საქმის შესახებ რაიმე სასარგებლო აზრი გამოთქვას. აღნიშნულ მშენებლებზე კი ამის თქმა არაფრით არ შეიძლება, რადგან მათ ორივემ პორტმშენებლობაში საქმით გამოავლინეს თავიანთი ცოდნის უკმარისობა, ვინაიდან ყველა მათი პროექტი, მოსაზრება, ვარაუდი და დაპირება საქმეში, ცხოვრებისეული შეფასებით არასწორი გამოდგა. ვიმეორებ, ამ პირებს, მხოლოდ მათ, იმათ შორის, ვინც პორტების მშენებლობას ხელმძღვანელობდა, არა აქვთ უფლება თავი მოიწონონ თავისი სპეციალური ცოდნით, რადგან ამ ცოდნის უკმარისობა ცხოვრებამ სახალხოდ გამოავლინა და რომლის გამომჟღავნება რუს გადამხდელებს რვა მილიონ მანეთზე მეტი დაუჯდათ. ორივე „სპეციალისტმა“ შეიგნო ეს და ფოთის პორტის შესახებ უკვე აღარაფერს წერენ. ყველა დანარჩენი მოკვდავი კი, კომპეტენტურობისა თუ არაკომპეტენტუ-

რობის მხრივ, ჩემთან თანაბარ პირობებში იმყოფება ჩემი ტექნიკური ეტიუდის, პორტის პროექტის შეფასების საქმეში. აქედან, მგონი, ნათლად ჩანს, რომ ჩემს წინაშე არავის არა აქვს თავმომწონეობის უფლება და არ შეუძლია ბრალი დამდოს უმეცრებაში, ვიდრე ჩემს უვიცობას საქმით არ დამიმტკიცებს. განა, ასე არ არის? განა, აშკარა არ არის?

აშკარაა ეს თქვენთვის, მაგრამ ჩემი უსახელო უარმყოფელისათვის, რომელმაც, არ ვიცი რის საფუძველზე, თავისი თავი პორტმშენებლობის მამამთავრად აღიარა, და მაინც ამ საქმეში თავის სიბრძნეს ყველას გულმოდგინედ უმალავს. ადვილი შესაძლებელია, რომ ჩემმა უარმყოფელმა მართლაც იცის საპორტო საქმე. მაგრამ ჩემთან და ჩემს პროექტთან დამოკიდებულებაში მან ეს ცოდნა არ გამოამჟღავნა, ისიც ადვილი შესაძლებელია, რომ იგი თუ გადაწყვეტს ცოდნის გამომჟღავნებას, მთლად გააბათილებს ჩემი პროექტის საფუძვლებს. მით უკეთესი საქმისათვის და ქვეყნისთვის; მაგრამ ჯერჯერობით მას მსგავსი არაფერი გაუკეთებია. და სანამ საზოგადოება დაინახავს მის საბუთიანობას, ციფრებს, სისტემებს, მთელი მისი პროტესტი ჩემი გამბედაობისა და უმეცრების შესახებ იქნება მხოლოდ „ღაღადება უდაბნოსა შინა“ და მეტი არაფერი.

იმ დრომდე კი, ამ პროტესტებში, მათ უწესობაში, მათ არასიმყარეში მკითხველმა უკვე შეამჩნია სხვა სიმპტომი, გარდა მომავალი გამარჯვებისა. მაგრამ მკითხველი მრავალჯერ ყოფილა ლიტერატურული პაექრობის მოწმე ძლიერ და სუსტ, მცოდნე და უმეცარ მონინააღმდეგეებს შორის. მან დაინახა და იცის, რომ ძლიერნი და მცოდნენი არასდროს არ იძლევიან ისეთ განმარტებებს, როგორიც ეს გააკეთა ჩემმა უარმყოფელმა, თუნდაც ჭიების საკითხში, რომლებმაც ფოთის პორტის პირველი საცდელი ნაგებობა დახრეს. „ვაიონ-დე ჟეტეშიც ჭიებმა შეჭამეს“. ეს მეტყველებს, რომ პორტი იქაც და ჩვენთანაც პროექტდებოდა ერთნაირი კომპეტენტურობით, და არა იმაზე, რომ ფოთის მსგავსად, ვაიონში ახლაც არ არის პორტი. სწორედ ამ უკანასკნელის უქონლობაზე გვქონდა ჩვენ საუბარი და არა სხვა რამეზე. წარუმატებელი ცდების შემდეგ ვაიონში შეძლეს გაერთვათ თავი ამოცანისათვის, ფოთში კი—ვერა...

ძლიერი და მცოდნე ოპონენტი არ დაიწყებს, აგრეთვე, ცილისწამებას, რომ ჩემი სტატია რუსი ინჟინრებისადმი პირადი სიძულვილით და ევროპისადმი სიმპათიითაა ნაკარნახევი. „ევროპისადმი სიმპათიაში“ მე ცუდს ვერაფერს ვხედავ, მაგრამ რა შუაშია აქ „რუსი“

ინჟინრები? რატომ გავუტოლოთ თავი პუტილოვს და იგი ჩვენი შეცდომების თანამონაწილე გავხადოთ? საქმე რუს ინჟინრებში კი არაა, არამედ იმ პირებში, ვინც დააპროექტა ფოთის პორტი, რომელიც სინამდვილეში ცუდად, მოუხერხებლად დაპროექტებული აღმოჩნდა. ამ შეცდომებში რუსეთი და რუსები უდანაშაულონი არიან. ორივე ისინი ამ შეცდომათა მიზეზი კი არა, მსხვერპლია. ამ შეცდომების გამო, ალბათ, ჩვენზე მეტად თვით რუსი ინჟინრები არიან შეწუხებულნი და აღშფოთებულნი, რომლებიც არც შეეცდებიან თავიანთი პასუხისმგებლობა დაფარონ, ვინაიდან ამას აქ არც ჰქონია ადგილი. იმ ადამიანთა შეცოდებანი, რომელთაც არც გაიხსენეს ისინი მაშინ, როცა საჭირო იყო და როცა ჯერ კიდევ დაგვიანებული არ იყო მიემართათ მათი ცოდნისა და შრომისათვის. როგორც ხედავთ, ეს ცუდი მოქმედებაა.

დიახ, მკითხველებმა იციან, რომ ძლიერი და მცოდნე ოპონენტები, ასე არ იბნევიან, რომ შეიძლება ფოთი, ლიბავა და პეტერბურგი ერთ დონეზე დააყენო. რაც არ უნდა იყოს, პეტერბურგის პორტი მაინც გახსნილია და მოქმედებაშია, მართალია, არა ისე, როგორც მისმა ნიჭიერმა და ბედშავმა ავტორმა ჩაიფიქრა, მაგრამ მაინც მოქმედებს. რაც შეეხება ლიბავას, განა შეიძლებოდა ფოთის პორტისათვის იმაზე მკაცრი გაკიცხვა მოგვეგონებინა, ვიდრე ლიბავასთან შედარებაა? რა შუაშია პროექტების სისტემა ლიბავაში? ვინ და როდის ილაშქრებს მის წინააღმდეგ? ვინ ითხოვდა მის შეცვლას? ითქვა და ამბობენ მხოლოდ ერთს: რომ ამ ნაგებობისთვის გამოყოფილი ფული არა სამშენებლო სამუშაოებს, არამედ მშენებლების გართობასა და ახირებას ხმარდება. რა თქმა უნდა, ეს შეიძლება მოხდეს ყველგან და ყოველნაირი სისტემის დროს. ამას, შესაძლებელია, ადგილი ჰქონდეს როგორც „შიდა“ პორტების, ისე გაშლილ ზღვაზე პორტების მშენებლობისას. ეს მეთვალყურეობის, კონტროლის და კეთილსინდისიერების საქმე და არსებული სისტემის შედეგია. მაგრამ ოპონენტს განა ეს აინტერესებდა, განა ამითი სურდა ფოთის პორტის წარუმატებლობის ახსნა? არა მგონია. ალბათ, მხოლოდ დაბნეულობით აიხსნება ის ფაქტი, რომ ოპონენტი ცუდად იცნობს მის მიერ უარყოფილ სტატიას, იმდენად ცუდად, რომ, მაგალითად, ტუნისის პორტები, რომელთა სისტემასა და ღირებულებას ვიშველიებდი, მის უარყოფაში „ალჟირის პორტად“ გადაიქცა. ალჟირის პორტი დიდი ხნის აშენებულია; ის არ არის ჩვენთვის ნიმუში, ის მაგალითად არ გამოგვადგება. მე კი შიდა პორტებზე ვწერდი და სამაგალითოდ მომყავდა ტუნისის პორტები

და მიმაჩნია, რომ ჩემს მიერ რეკომენდირებული შიდა პორტების აგების სისტემის უარყოფისათვის, საკმარისი არ არის ჩემი უარმყოფელის ხერხები.

ყველაზე სასაცილო კი ის არის, რომ ჩემი უარმყოფელი, რომელმაც დაიწყო ჩემი კომპეტენტურობის უარყოფით და შემდეგ ჩემს უცოდინარობაზე გადავიდა, ისე ცუდად გაეცნო არა მარტო ჩემს სტატიას, არამედ თავის საკუთარსაც კი, რომ ბოლოს ის თვითონ ითხოვს დახმარებას... სწორედ ჩემი კომპეტენტურობისაგან:

„თუ განსახილველი სტატიის (ე.ი. ჩემი) ავტორს,—წერს უარმყოფელი,—ევროპისადმი თავისი სიმპათიებისა და რუსი ინჟინრებისადმი პირადი (?) ანტიპათიის გარდა, აქვს მიზანი ამიერკავკასიის საერთო ინტერესებს ემსახუროს, უმჯობესი იქნება თავი შეიწუხოს და გვირჩიოს, როგორ აღმოვფხვრათ მშენებარე პორტის ნაკლოვანებანი, ისარგებლოს უკვე აშენებული ნაგებობებით და ხარჯებით[1] ...იმ შეცდომების გამოსწორება, რაც გამოცდილებამ გვიჩვენა, უფრო ადვილი და სასარგებლოა, ვიდრე პორტის აგებისათვის მთელი რიგი ახალი პროექტების შემოთავაზება“.

მაგრამ ეს სხვა საკითხია. ამის საფუძველზე, რა თქმა უნდა, კამათი შეიძლება; მაგრამ კამათი შეიძლება ციფრებით, საბუთიანობით და არა ცილისწამებით. მხოლოდ იბადება კითხვა, განა სასაცილო არაა, ადამიანს უწოდო უმეცარი და საპორტო საქმეში გაურკვეველი და იგივე ადამიანი მოიხმო სხვისი შეცდომების, და ამასთან ძირეული შეცდომების, გასწორებისათვის. ორიდან ერთი: ან მე არაფერი მესმის საპორტო საქმეში და ამ შემთხვევაში, არ შეიძლება ჩემთან ლაპარაკი არც ახალ პროექტზე, არც ძველის გამოსწორებაზე. ან მე რაღაცა მესმის და ამ შემთხვევაში, თუკი შეიძლება ლაპარაკი ძველი ცოდვების გამოსწორებაზე, რატომ არ შეიძლება ვისაუბროთ ახალ პროექტზეც? საღი აზრით ეს, მგონი, ასე გამოდის, ხომ ასეა, მკითხველო?

მითხარით, გეთაყვა, ნუთუ ჩემდამი ეს მოულოდნელი მომართვა, მოწოდება, რათა ჩემი ძალები მოვახმარო ადრინდელი შეცდომების გამოსწორებას, არ ამტკიცებს, რომ გულის სიღრმეში უარმყოფელი მაინც ფიქრობს, რომ მე საპორტო საქმეში არც ისეთი უცოდინარი ვარ, როგორადაც ის მსახავდა მკითხველის წინაშე?

---

[1] მე ვერ გამიგია, როგორ შეიძლება „უკვე განეული ხარჯებით სარგებლობა“, როდესაც ისინი დიდი ხანია დახარჯულია (ავტ.).

აი, ჩვენც ვისაუბრეთ ცოტა, და კეთილი განწყობით, როგორც გპირდებოდით. ლაპარაკი კი სხვაგვარადაც შეიძლებოდა, მაგალითად, არა კეთილგანწყობით, იუმორის გარეშე, დაცინვით. ლაპარაკი შეიძლება სერიოზულადაც, შეტევითაც. რა თქმა უნდა, ყველაფერი კამათის მიმდინარეობაზეა დამოკიდებული. მე მეჩვენება, რომ ისეთ საზოგადო საქმეში, ისეთი მნიშვნელოვანი საკითხის გარკვევის დროს, როგორიც ფოთის პორტია, შეიძლება შეუფერებელ იარაღსაც მიმართო და ისე დაიცვა შენი შეხედულებები და აზრები. მე სწორედ იმიტომ ვიყავი კეთილგანწყობილი, რომ არ მინდოდა ჩვენი ქვეყნისთვის ფრიად საინტერესო საკითხი და კამათი გამერთულებინა „ზეაღმატებული" ელემენტებით, რომელთაც არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდათ არც ჩემთვის, არც მკითხველისათვის და არც ქვეყნისათვის და, არც შეიძლება მხოლოდ მოკამათეთა თავმოყვარეობისთვის ყოფილიყო საინტერესო და რაც სრულიად არ აინტერესებს არც მკითხველ საზოგადოებას და, მითუმეტეს, არ უნდა აინტერესებდეს მწერალს!

20. საუძმო საკითხავი

მას შემდეგ, რაც უბედურება დამემართა და დავწერე ბუკოლიკური ფელეტონი, რომელშიც ვამბობდი—მთელი ნელინადია სოფელში ვცხოვრობ-მეთქი, მოსვენება აღარა მაქვს შეკითხვებით, თუ როგორ შეიძლება მივარდნილ ადგილას არსებობა საზოგადოებრივი ყოფის ინტერესებიდან, სახლში ცხოვრებიდან, ხელოვნების ქმნილებათა მზერისაგან და საქმეთა ორომტრიალისაგან შორს. დაწვრილებით პასუხის გაცემა რომ გადამეწყვიტა, ვერ დავაბოლოვებდი თუ სახელდობრ რამ მიმიყვანა ამ დასკვნამდე. მკითხველებს, ვაი თუ ვერც გაეგოთ ჩემი განმარტებების აზრი. სხვისი გრძნობები რომ გაიგო, რომ გაიზიარო, საჭიროა ისინი შენ თვითონ როდისმე ნაწილობრივ მაინც გამოსცადო სინამდვილეში. საჭიროა, ყოველ შემთხვევაში, რაღაც მისი მსგავსი ან შესაფერისი რამ იგრძნო. ამიტომ შთაბეჭდილებათა და შეგრძნებათა სიმრავლიდან, რომელთაც თანდათანობით და ნელ-ნელა მიმიყვანეს ასეთ გადაწყვეტილებამდე, მე ამოვარჩევ ერთს, უფრო მეტად გასაგებს, ისეთს, რომელიც ჩემს მკითხველებს შეუძლიათ

თავისთავზე გამოსცადონ და თანაც ახლავე შეამოწმონ. ავიღოთ, მაგალითისათვის, თუნდაც გულგრილობა „ხელოვნების ნაწარმოებთა ჭვრეტისადმი“.

იყო დრო, როცა თეატრში სიარული გაგიჟებით მიყვარდა. მე სერიოზულად მაღელვებდა „ცხოვრების გაკვეთილის“ ის სწრაფი განვითარება, როცა ხელოვნების ფოკუსში სცენაზე ჩნდება ადამიანურ ვნებათა და ურთიერთობათა მთელი მორევი. ერთბაშად ხედავ უმეტესად მახვილგონიერი მდგომარეობისა და ხასიათების ჩასახვასაც, განვითარებასაც, ურთიერთმოქმედებასაც და შედეგებსაც. იგივე რომ შეამჩნიო ნამდვილ ცხოვრებაში, საჭიროა, ყოველ შემთხვევაში, წლები, ზოგჯერ ათეული წლებიც კი მიუძღვნა ადამიანთა ურთიერთობის შესწავლასა და გამოძიებას. ამას გარდა, ხომ ყოველთვის სასიამოვნოა იგრძნო შიში მოახლოებული დანაშაულის შეხედვისას, ხოლო უფრო მეტად—აღმატება იმის გამო, რომ სათნოებამ შეუმდრკალად გაიარა მის წინაშე ლაბირინთად დაგებულ ხაფანგებში და უმნიკვლოდ მივიდა სრულ გამარჯვებამდე. ახლა კი, გინდა მომკლათ, არ შემიძლია სიბრალულისა და გულგრილობის გარეშე ვუცქირო დრამას, კომედიას და ოპერეტასაც კი.

როგორ მოხდა ყველაფერი ეს? რასაკვირველია, მე ვარ ამაში მთლიანად დამნაშავე, ჩემი საკუთარი ხელით დავშრიტე უწმინდეს ტკბობათა წყარო. ჩემი გაუმაძღარი ცნობისმოყვარეობის წყალობით მივიღე მე ეს საშინელი სასჯელი. კეთილგონიერი, ზომიერი რომ ვყოფილიყავი,—უნდა დავკმაყოფილებულიყავი იმითაც, რასაც ცხოვრება მაძლევდა: „უცქირე, იგრძენ, დატკბი!“ მაგრამ მე, არც ავიღე, არც დავიღე და ბავშვივით მოვიქეცი, ხელში მშვენიერი თოჯინა რომ მისცეს, რომელსაც ხელის აწევაც შეეძლო, პირის გაღებაც და „მამას“ წარმოთქმაც. ასეთი მშვენიერების ცქერით დაუკმაყოფილებელი ბავშვი მაინც ცდილობს გაიგოს, როგორ და რატომ ხდება ყველაფერი ეს: იგი გააშიშვლებს თოჯინას, მოურყევს ხელებს, ჩახედავს პირში და ყოველივე ამის შემდეგ აღმოჩნდება, რომ თოჯინას აუცილებლად ჩააგდებენ საკუჭნაოში უხელოს, უენოს და უიმმანქანოს, რომელიც „მამას“ წარმოათქმევინებდა.

ჩემთვის წყნარად რომ ვმჯდარიყავ პარტერში, ალბათ, დღევანდლამდე შევეტრფიალებოდი თეატრსა და სათეატრო სანახაობებს ისევე მიამიტად, ისევე უნაკლულოდ, როგორც ვტკბებოდი მით, ვიდრე ცნობისმოყვარეობის გამო არ ვიფიქრებდი შემეხედა სცენის კულისებში. საუბედუროდ, ჩემი თავის საუბედუროდ, მე ეს სისულელე ჩა-

ვიდინე, შევაღწიე ამ კულისებში, ყურადღებით დავაკვირდი თეატრის კულისების იქითა ცხოვრებას და მას შემდეგ დაიმსხვრა თოჯინა, რომელსაც ოდესღაც ჭეშმარიტ და წრფელ აღტაცებაში მოვყავდი.

როგორ მოხდა ეს? თქვენთვის განა სულ ერთი არ არის როდის, როგორ და რატომ შევიხედე სათეატრო კულისებში? რასაკვირველია, აღტაცების გარეშე არ მივისწრაფვოდი მათკენ. არა ერთი და ორი საღამო, არამედ ბევრი, ძლიერ ბევრი დღე და ღამე—ამასთან აღმტაცი დღე და ღამე გავატარე მე ამ კულისებში. მართალია არა გამოსაჩინებელი, მაგრამ მე იქ მომიხდა შემესრულებინა სერიოზული როლი თითქმის სრულუფლებიანი გამწესრიგებელისა უსაქმობისა და ხელოვნების წმინდა სიყვარულის გამო, განსაკუთრებით კი მის მსახურ ქალთადმი ვნებიანი სიყვარულისათვის. მაგრამ, ამაში არაა საქმე. საქმე იმაშია, რომ სწორედ ამან დამიღუპა სიყვარული თეატრისა და სათეატრო წარმოდგენებისა.

როცა სცენას პარტერიდან თუ ლოჟიდან ბინოკლით ვუცქერდი, მე ვტკებოდი გმირი ქალის სამკაულების ბრჭყვიალებითაც, მისი საკუთარი სახითაც, მისი გულის ამაჩუყებელი გამოხატვითაც, მის ბაგეთაგან წარმოთქმული სიტყვის მშვენიერებითაც. ილუზია არსებობდა. მეჩვენებოდა, რომ ყველაფერი ეს ნამდვილად ხდებოდა და ითქმოდა. მაგრამ, მას შემდეგ, რაც მომიხდა ტანზე ჩამეცმია და მესწავლებინა ჩემი გმირი ქალისათვის, მიუხედავად ყველა ჩემი ღონისძიებისა, კუდშიაც კი ვეღარ ვწვდები ადრინდელ ილუზიას, იმას, რომლითაცაა დამშვენებული ჩვენი ცხოვრება და სინამდვილე. ახლა, როცა ჩემს წინაშე თეატრის სცენაზე გამოდის უცოდველი მარგარიტა, ვიცი, რომ თავის უმანკო გამოხედვას მთელი ერთი კვირის განმავლობაში იგი სარკის წინ ამუშავებდა ცინიკოსების თანდასწრებით, რომელნიც თითოეულ მის მიმოხვრას, თითოეულ მის პოზას წარმოუდგენლად უხეში ან უხამსი ოხუნჯობით ჰკაზმავენ. მარგალიტი, მის ქათქათა მკერდზე აკიაფებული, ერთ შაურად არის ნაყიდი მახლობელ საწვრიმალოში. თვით მკერდის ეს სიქათქათე—დაგლესილია, ყალბია. მე თვით მინახავს რა ძალად ულირდა მსახიობ ქალს გამოემუშავებინა თავისი ხმის კილოც კი, ის საყვარელი კილო, ნაზი ქალწულებრივი ხმა, რომელიც ადრე პირდაპირ სულში მიჯდებოდა, ის დამაბრმავებელი ბრწყინვალება, რომლითაც იგი გაცისკროვნებული იყო აპოთეოზში, ვიცი, რომ მიშუქებულია ჭუჭყიანი ფარნით მთვრალი დარაჯის მიერ. ხალხი, ახლა რომ გამოვა სცენაზე, რომ თავის ყალბ გმირ ქალს ირგვლივ შემოერტყას და მის წინაშე გამოხატოს თავისი

გაოცება, პატივისცემა, მონონება ანუ თანაგრძნობა, სულ რაღაც მეოთხედი საათის წინ კულისების იქით პირში და პირს უკან აგინებდა მას. ვიცი, რომ მათი სახის ეს გრძნობის ამშლელი გამომეტყველება, მათი ცრემლებიც, მათი მონონებაც,—ყველა ყალბია და ცრუა. ყველა ეს აღტაცება, ქება, გრძნობები, მოქმედებანი ჩემთვის გასაგები ხდება ერთი იმით, რომ ხალხი ზოგი ორას მანეთად თვეში, ზოგი ორმოცდაათ მანეთად ერთ ხელობაზე, დაქირავებულები არიან, რომ მათთვის მიცემულ და განკუთვნილ როლებში გამოვიდნენ, წარმოსთქვან მათ ბაგეებში ჩადებული სიტყვები, რომელთა არც აზრი ესმით და არც მათი ნამდვილი განხორციელება აქვთ მოწადინებული.

სცადეთ, დაუახლოვდეთ მსახიობ ვაჟებსა და ქალებს, ესაუბრეთ მათ „გულახდილად პიესებზე, რომლებშიც თამაშობენ, როლებზე, რომელთაც ანსახიერებენ. ალბათ, მთელი ილუზია დაგეკარგებათ. არ არიან ქვეყანაზე უფრო საშინელი, უფრო ულმობელი კრიტიკოსები სათეატრო ნაწარმოებებისა და სანახაობათა, ვიდრე ეს მსახიობი ვაჟები და ქალები. არც ერთხელ ცხოვრებაში არ შემხვედრია, რომ რომელიმე მათგანს ნამდვილად ესმოდეს არსი და გავლენა თუნდაც ერთი ნაწარმოებისა, რომელშიაც იგი წარმატებითაც კი გამოდის. სცადეთ დაელაპარაკოთ მსახიობს, რომელმაც სახელი გაითქვა ჰამლეტის როლით, მაგალითად, ამ ტიპის მნიშვნელობაზე, მის გავლენაზე მაყურებლის გონებასა და გრძნობებზე! თქვენ მოისმენთ საგრძნობლად საინტერესო, მნიშვნელოვან შენიშვნებს დრამის ამა თუ იმ მომენტის, ამა თუ იმ შეძახილის, ამა თუ იმ სცენის ეფექტურობისა თუ სისუსტის შესახებ,—ერთი სიტყვით, ყველაფერს, რაც გნებავთ, მაგრამ არა შექსპირის აზრის, იდეის, ჩანაფიქრის გამოხატულებას, მიუხვედრელობას ამ ტრაგედიის უკვდავი და გარდაუვალი მნიშვნელობისა კაცობრიობის შეგრძნებისთვის. საიდან მოდის ყოველივე ეს? რატომაა, რომ ადამიანები, რომელთაც თავისი თავი მთელი სიცოცხლის მანძილზე თეატრისა და სცენის სამსახურისათვის მიუძღვნიათ, ასე სწრაფად ჰკარგავენ იმ დიდი იარაღის ყველაზე არსებითი მხარის შესახებ შეგნებას, რომელსაც ხელს ჰკიდებენ იმ შეუდარებელი მადლით, რის ერთ შემადგენელ ნაწილად თვითვე იქცევიან? რითი უნდა აიხსნას ეს?

ამბობენ, ამ საერთო მოვლენის წყარო უნდა მოიძებნოს, უმთავრესად, იმ ფენათა მოუმზადებლობაში, საიდანაც უმთავრესად და თითქმის გამოუკლებლად კრებენ ჩვენ მსახიობ ვაჟებსა და ქალებს. ამბობენ, სცენაზე დრამატურგების საუკეთესო თხზულებებში რო-

ლის შემსრულებლად გამოდის ხალხი, უმეტესად უქონელი საჭირო ზოგადი და ლიტერატურული განათლებისა და, ყოველ შემთხვევაში, ისეთები, რომელთაც საკმარისად არ გასჯდომიათ იმ საქმის სინმინდის იდეა, რასაც ემსახურებიან. კიდევ ამბობენ, რომ „პურის საკითხი", საკითხი ჯამაგირისა, „ერთხელ" გამოსვლის ანაზღაურებისა, ბენეფისებისა, პენსიებისა და, განსაკუთრებით, ამ საკითხებით შექმნილი ქიშპისა, ინტრიგებისა და ა.შ., ხელს უწყობს წმინდა სამსახურის სწრაფად დავიწყებას. ეს უცნაურობა თვით მსახიობებმა საკმაოდ მარტივად ამოხსნეს.

—„მოგვიტევეთ,—მეუბნებოდნენ ისინი,—ადიხარ სცენაზე მოვალეობის სიწმინდის სრული შეგნებით. იციან, ფიქრობ, რომ მთელ სიცოცხლეს ვერ გაატარებ ქანდარაზე მჯდომთა უნაყოფო გამრთობად. ცდილობ კიდევაც, წელებზე ფეხს იდგამ, კანიდანაც ძვრები, რომ არც სახელი გაიფუჭო და ხალხსაც სარგებლობა მოუტანო. მაგრამ, როგორი მაყურებელიცა გვყავს, თქვენც კარგად მოგეხსენებათ. განა მას ყველაფერი ესმის, ან აფასებს, ან პატივსა გცემს? ზოგიერთი ნიჭიერადაც, კეთილსინდისიერადაც მუშაობს, ხოლო ქანდარა ან პარტერი კი ცამდე ამაღლებს აშკარა უნიჭობას მხოლოდ იმიტომ, რომ მას მარილიანი სახე აქვს. გაქვს შენი ნიჭის შესაფერი როლი, გართმევენ და სხვას აძლევენ მარტო იმისათვის, რომ ეს სხვა მისცინის მსახიობ ქალს, რომელთანაც რეჟისორი კარგ განწყობილებაშია. ჰოდა, როცა საკუთარ თავზე გამოსცდი ამ მშვენიერებათა მთელ წყებას, ხელსაც ჩაიქნევ შენს ილუზიებზე, ქედსაც მდაბლად მოიხრი ქანდარისა თუ რეჟისორის წინაშე. იყავით სცენაზე, სცადეთ ითამაშოთ რამდენიმე წელიწადს,—თქვენ თვით დარწმუნდებით, რომ ლუკმაპურისათვის ყველას მოუხდება დაივიწყოს ხელოვნება და ყოველი ოინი ირწმუნოს. სცადეთ საზოგადოების გათვითცნობიერება, რომ მან დაფნითა და გვირგვინებით დააჯილდოვოს მხოლოდ ჭეშმარიტად ღირსეული, მხოლოდ ნამდვილად ნიჭიერი, სცადეთ, რომ თუ დამპალი ვაშლით არა, სტვენით მაინც, თუნდაც დუმილით შეხვდეთ და გააცილოთ უნიჭონი, რომელნიც იქ მხოლოდ ინტრიგებითა და პროტექციით ბოგინობენ და გეყოლებათ ხელოვნებისა და ლიტერატურის გულწრფელი და ერთგული მსახურნი".

ასე ამიხსნეს საქმე მსახიობებმა, არა საშუალოებმა, არამედ ნამდვილად ნიჭიერებმა, ნამდვილად კეთილსინდისიერებმა და, მე არ შემეძლო დავთანხმებულიყავ, რომ ისინი ბევრ რამეში, თითქმის ყველაფერში, მართალნი არიან.

აი, მკითხველო, როგორ მოხდა, რომ მე მილიონჯერ მაღლა ვაყენებ უზადო ბუნების ჭვრეტას, ვიდრე მის სცენაზე იმ გარდანასახს, რაც თქვენ ისე გხიბლავთ, როგორც მე მხიბლავდა ოდესღაც...

21. თანამედროვენი

ჟიულ ფერი

ამას წინათ, როცა სადი კარნოზე ვლაპარაკობდით, გაკვრით ვახსენეთ ჟიულ ფერის „გენიალობა". ჩვენმა ამ შენიშვნამ გამოიწვია მთელი რიგი გაუგებრობანი „ნოვოე ობოზრენიეს" მკითხველებს შორის. ყოველი მხრიდან მომაყარეს კითხვები, მოთხოვნები, თხოვნები ამეხსნა ჩვენი „პარადოქსი"-ს აზრი. მით უფრო მეტი ხალისით ვაკეთებთ ამას, რომ ამ ცოტა ხნის წინათ ობერტენის თავდასხმამ, აღარაფერს ვამბობ იმ ყაყანზე, რაც პარიზში ფერის კანდიდატურის წამოყენებამ გამოიწვია, მკითხველის ყურადღება ამ უკანასკნელზე გაამახვილა.

ჩვენ პარადოქსის სიყვარულმა, „დინების წინააღმდეგ ცურვის" წადილმა, ფრაზის ფრთიანად თქმის სურვილმა კი არ აგვალაპარაკა ჟიულ ფერის „გენიალობაზე". შემიძლია ისიც დავსძინო, რომ ჩვენი მსჯელობა არც იმით იყო გამოწვეული, თითქოს ჩემი და მისი შეხედულებები ერთმანეთს ემთხვეოდეს: „ჩვენ არ ვეკუთვნით ფერის ბანაკს და სულ სხვა იდეალებით ვართ გატაცებული. ჩვენ ვმსჯელობდით სრულიად ობიექტურად, როგორც თანამედროვე ეპოქის ისტორიკოსი და ამიტომ ამოცანებსაც, ძალასაც, საქმესაც, იმ მოღვაწის მნიშვნელობასაც ვღებულობდით მხედველობაში, ვისზედაც სიტყვა ჩამოვაგდეთ, ვადარებდით მის შრომას და მის მსგავსთა როლსა და მოქმედებას ერთმანეთს და ვმსჯელობდით იმ დადებით შედეგებზე, რასაც მან მიაღწია". საერთოდ, ყოველი მოღვაწის ღირსება, რომელ ასპარეზზეც არ უნდა შრომობდეს იგი—ვთქვით ჩვენ ოდესღაც—„ის კი არაა, რომ ამაღლებული და მაღალფარდოვანი იდეალები შეიქმნას, არამედ ეს ღირსება მათ განხორციელებაშია". ის მოღვაწენიც კი, აბსტრაქტული აზროვნების სფეროში რომ მოღვაწეობენ—პოეტები, მოაზროვნენი, მორალისტები— მხოლოდ იმ შემთხვევაში ტოვებენ თავიანთ სახელს ისტორიაში, თუ შესძლეს და თავიანთი იდეები

თანამედროვეთა ან მომავალი თაობის გონებაში დანერგეს და მათ მხოლოდ იმდენად აფასებენ, რამდენადაც მათი შთაგონებები კაცობრიობამ აღიქვა და განახორციელა. პოლიტიკოსები და ისტორიული მოღვაწენი მით უფრო ემორჩილებიან ამ მკაცრ წესს.

ნაპოლეონ პირველის შემდეგ საფრანგეთის ვერც ერთმა პოლიტიკურმა მოღვაწემ ვერ შეძლო დაესახა და განეხორციელებინა სამშობლოსათვის უფრო გრანდიოზული და კეთილისმყოფელი წამოწყებანი, ვიდრე ისინია, რომლებიც ჩაიფიქრა, აღიარა და ბრძოლით განახორციელა ჟიულ ფერიმ. ამ მხრივ მას ვერ შეედრება ვერც გიზო და ვერც ტიერი, რომლებიც საყოველთაოდაა აღიარებული ჩვენი დროის საფრანგეთის უდიდეს პოლიტიკურ მოღვაწეებად. მხოლოდ მან ერთმა და თანაც მთლიანად, მოახდინა საფრანგეთის სახალხო განათლების ძირეული რეორგანიზაცია. როცა სახალხო განათლების მინისტრი იყო, მან შეიმუშავა ეგრეთ წოდებული „ფერის კანონები" (1879 წ.), რომელთაც სრული გადატრიალება მოახდინეს სკოლის სფეროში, ისეთი გადატრიალება, მთლიანად რომ შეესაბამებოდა იმ ქვეყნის მოთხოვნილებას. როგორც ცნობილია, ფერის ღრმად მოფიქრებული პროგრამა შეეხო არა მარტო სახალხო სკოლებს, ყველა საერთო საგანმანათლებლო სასწავლო დაწესებულებებსაც. მან მოიცვა მთელი საფრანგეთი გამოუკლებლივ უკანასკნელ სოფლამდე, ყველა იმ სასწავლებლების უზარმაზარი ქსელი, რომელთა პროგრამა, მოწყობილობა, მიმართულება და სწავლება შეესაბამება თანამედროვე პედაგოგიკის მოთხოვნილებებს. შექმნა რა „სასკოლო სალაროები", რომლებიც ამარაგებდნენ ცალკეულ დეპარტამენტებს, ქალაქებს, სოფლებს გრძელვადიანი სახელმწიფო სესხით სასკოლო შენობების ასაშენებლად და მოსაწყობად. ამით მან უზარმაზარი ბიძგი მისცა თავის სამშობლოში განათლების განვითარებას. როგორც ეს ყოველთვის და ჩვეულებრივად ხდება, რომ ჩაიფიქრებენ და განახორციელებენ დიდსა და ღრმა რეფორმას, ფერის პროექტებსაც წინ აღუდგნენ ძველის დამცველი ადამიანები, განსაკუთრებით კლერიკალები და მონარქისტები და დაიწყო სასტიკი ბრძოლა, რომელსაც დღემდე არ დაუკარგავს ძალა. ამ ბრძოლაში კლერიკალებს ბევრი რესპუბლიკელიც მიემხრო, სათავეში მათ ჟიულ სიმონი ჩაუდგა, რომელიც 1870 წელს სახალხო თავდაცვის მთავრობაში ფერისთან ერთად შედიოდა. კლერიკალთა მხრიდან ბრძოლამ „იარაღით წინააღმდეგობის გაწევის" ხასიათიც კი მიიღო, რადგან ისინი აღშფოთებული იყვნენ სასულიერო პირთათვის არა მარტო პირველობის ჩამორთმე-

ვით, არამედ საერთოდ, სახალხო განათლების წარმართვის საქმეში ყოველგვარი როლის დაკარგვით. ამ ბრძოლაში გამარჯვება მაინც ფერის და მის სისტემას დარჩა. მხოლოდ „სახალხო განათლების რეფორმები", რაც ჩაიფიქრა და განახორციელა ფერიმ დიდი ენერგიით, სიმტკიცითა და პრინციპულობით, სრულიად საკმარისია იმისათვის, რომ სახელმწიფო მოღვაწე სამუდამოდ უკვდავყოს. გიზოს (არა მწერლურ) დიდებას საფუძვლად ხომ მის მიერ 1836 წელს ნაწილობრივ ჩატარებული სასკოლო რეფორმა უდევს.

ჟიულ ფერის შემდგომი მოღვაწეობა კიდევ უფრო მნიშვნელოვანია. იყო რა თავის ქვეყნის თავდადებული პატრიოტი (როგორც ვოგეზის მკვიდრი) და ამავე დროს პატრიოტი საქმით და არა სიტყვით, იგი ხედავდა, რომ საფრანგეთი ძლიერებასა და სიდიადეს ევროპის კონტინენტზე ვერ მიაღწევდა და ამიტომ გონივრულად გაიანგარიშა, რომ საფრანგეთის ყოველგვარი წარმატება ამ მიმართულებით, მისი მიზნების განხორციელებაც რომ შესაძლებელი ყოფილიყო, ნაყიდი იქნებოდა ძალზე ძვირად, ასი ათასობით ფრანგის სისხლის და მრავალი მილიარდი ფრანკის ფასად. ამიტომ გადაწყვიტა საფრანგეთის პრესტიჟი, ძალები და ძლიერება სხვა მიმართულებით წარემართა. მან ტყვიის გაუსროლელად, დიდი ხარჯის გარეშე, შესძინა საფრანგეთს ტუნისი, რომლის ფართობი 120. 000 კვადრატული ვერსია, მოსახლეობა 2,5 მილიონი და მისი მართვა ახლა საფრანგეთის ხაზინას ერთი გროშიც არ უჯდება. ამ მონაპოვარის წინააღმდეგ ინგლისისა და განსაკუთრებით იტალიის ბრძოლა ყველას ახსოვს. ჟიულ ფერი ამით არ დაკმაყოფილდა და სრულიად უმნიშვნელო სამხედრო ძალით და მცირე მსხვერპლის გაღებით თავის სამშობლოს დაუმორჩილა ტონკინი და პროტექტორატი დააწესა ანავის სამეფოზე. ამით მან საფრანგეთს მიართვა მისი ტერიტორიის ტოლი ტერიტორია საფრანგეთივით მჭიდროდ დასახლებული მოსახლეობით (450.000 კვადრატულ კილომეტრზე 22 მილიონი მოსახლე). თავის გეოგრაფიული და სტრატეგიული მნიშვნელობით ორივე ამ ტერიტორიას საფრანგეთისათვის უზარმაზარი მნიშვნელობა აქვს. ამავე დროს ამ ტერიტორიების შესაძენად ფერის იმის მეასედი სახსრები და ძალები არ დაუხარჯავს, რაც დაიხარჯა ოცდაათიან წლებში ალჟირის დასაპყრობად, თუმცა საფრანგეთის ამ უკანასკნელი ტერიტორიის დიდი ეკონომიური და პოლიტიკური მნიშვნელობა განათლებული ფრანგების დიდი ნაწილისათვის მხოლოდ წელს, ანუ 57 წლის შემდეგ გახდა გასაგები.

შეიძლება ყოველგვარი გაზვიადების გარეშე ითქვას, რომ ჟიულ ფერის პოლიტიკამ მისი სამშობლოს ძალები და სიძლიერე გააორმაგა იმასთან შედარებით, რაც ფერის პირველ მინისტრობამდე იყო. გასაგებია, რომ შინა და გარეშე მტრების წინააღმდეგობის, სასტიკი და დაუნდობელი ბრძოლის გარეშე ამგვარი გრანდიოზული ამოცანების განხორციელება შეუძლებელი იყო. ბუნების კანონია, რომ არავითარი შემოქმედება, არავითარი პროგრესი არ ხორციელდება განხეთქილებების, კავშირების გაწყვეტის, წინააღმდეგობებისა და ბრძოლის გარეშე. ჟიულ ფერი ამ კანონს, რა თქმა უნდა, ვერ გაექცეოდა.

22. საუძმო საკითხავი

თავად ლ.ი. მელიქოვის იუბილემ მთელი დღით ჩემი ახალგაზრდობის ზღაპრულ ოცნებებში გადამიყვანა. მეჩვენებოდა, რომ მე ჩვიდმეტი წლისა ვარ, არასდროს დამიკარგია წმინდა რწმენა, რომ რეალურად არსებობს პატიოსნება და სიკეთე, რომ გაიმარჯვებს სიმართლე და სიკეთე, მაგრამ ახლა ყოველივე ამან თავისი ძლიერი, სასწაულმოქმედი, მაცოცხლებელი ფრთები შემასხა. უნდა გამოგიტყდეთ უცნაურ შეგრძნებაში: ვერავის ვაპატიებ თუნდაც სულ მცირედაც შემირყიოს ეს რწმენა. სამაგიეროდ გულითად მეგობრად ვთვლი მათ, ვინც თავისი მაგალითით განმიმტკიცებს მას... და ყოველთვის, როცა ვხედავ შრომის, ტალანტის, გულმოდგინების თუ გულადობის დამსახურებულ ზეიმს, სულ ერთია, მე აღმოვჩნდები ხოლმე ჩემი ახალგაზრდობის იმედებითა და ოცნებებით სავსე სამყაროში, თუ სხვა, ვივსები იმ სიამაყის შეგნებით, რომ მცდარი და უაზრო არ ყოფილა „ახალგაზრდული წლების ფიცი". ხშირად და ყოველდღე არ განვიცდით „ცხოვრების სიხარულს". და თანაც ყოველთვის სრული არ არის, მაგრამ როცა მას განიცდი, ღმერთს მადლობა უნდა შესწირო.

და როგორ არ უნდა იყო მადლიერი, როცა ასეთი იშვიათი წუთების გვერდით ყოველ წამს ხედავ მოვლენებს, რომლებიც სუსტ ადამიანებს განუზომელი სასოწარკვეთილებით ავსებს? ამას წინათ მე ასეულობით მშრომელთა წუწუნის მოწმე გავხდი, რომლებიც ერთ სააქციო საზოგადოებაში მუშაობდნენ. ჩვენს კანცელარიებში, მეფის სამსახურში მოსამსახურეებს, რასაკვირველია, ფიანდაზებს არ უფენენ. მაგრამ მათი მდგომარეობა გაცილებით უფრო უზრუნველყოფილი

და ღირსეულია, ვიდრე კერძო წარმოების უუფლებო მოსამსახურეთა ბედი ...„როცა ყველაფერი მჯეროდა და ახალგაზრდა ვიყავი,— და ყველა ჩემი მკითხველი, ალბათ, ჩემსავით ცდებოდა,—მეჩვენებოდა, რომ მრავალნაირი ხარისხის სამსახურებს შორის, კერძო ყველაზე დამოუკიდებელი და ღირსეული იყო. მხოლოდ იშრომე, იყავი პატიოსანი, სასარგებლო, გულმოდგინე და თვით ეშმაკიც ვერას დაგაკლებს. აქ არაა საჭირო პროტექცია, არც სამსახურებრივი მდგომარეობის ტაბელს უყურებს ვინმე. „ყველას თავისი ნიჭის მიხედვით, ყველა ნიჭიერს შრომის მიხედვით". აქედან გამომდინარე, საქმის ინტერესებისთვის, მისი წარმატებისთვის, მისი მომავლისთვის, ჩვენმა „ინდუსტრიამ უნდა უზრუნველყოს მშრომელებისა და მოსამსახურეების სწორი განაწილება, მათი მონაცვლეობა და დაწინაურება უნდა წარმართოს მხოლოდ და მხოლოდ დამსახურებისა და ნიჭის მიხედვით, და არა სხვაგვარად. ასე, ხომ?"

ასეა, ასე თეორიულად, საღი განსჯით, მაგრამ პრაქტიკულად, საქმეში, სერიოზულ, ძველთაძველ დაწესებულებაში, სადაც რამდენიმე ათასი კაცი მსახურობს, არსებული მდგომარეობა სრულიად არ შეესატყვისება ამ თეორიას. აქ ხალხის ამაღლება და დაცემა ხდება არა დამსახურების, ნიჭისა და შრომის მიხედვით, არამედ ისე, ტყუილუბრალოდ, დაუმსახურებლად, შემთხვევით, უაზროდ, ან უფრო უარესადაც.

ამ რთული დაწესებულების „პირადი შემადგენლობის" განხილვის დროს, ერთ საინტერესო ამბავს წავაწყდი. მთავარი გამანაწილებელი სრულიად შემთხვევით მოხვდა თავის პოსტზე. წლების განმავლობაში ამაოდ ცდილობდა ის გამვლელ—გამოვლელთა გულის მოგებას და ზოგჯერ დუმდა, რომ მიეღო სრულიად უმნიშვნელო თანამდებობა. ვიღაცამ დაიმედა, რომ მიიღებდა ამ თანამდებობას და წელიწადში 1800 მანეთს. საბრალოს უხაროდა და სიხარულისაც ეშინოდა: „იქნებ ისევ არ გამოვიდეს?" ამ მდგომარეობაში მყოფს შესთავაზეს ჩვენს სააქციო დაწესებულებაში მთავარი გამანაწილებლის თანამდებობა. ხელფასი წელიწადში ოცი ათასზე ცოტა მეტი: „უყოყმანოდ" მიიღო თანამდებობა და როცა დარწმუნდა, რომ ეს სინამდვილეა და არა სიზმარი, რომ ადამიანები, რომელთაც სულ ერთი თვის წინ ემუდარებოდა უმნიშვნელო ადგილს, ახლა მისი ქვეშევრდომები გახდნენ, მან სიხარულით დაიწყო მღერა ჰიმნისა:„ღმერთები კი არ ძერწავენ ქოთნებს!"

და აი, იგი ხელმძღვანელობს რთულ დაწესებულებას, რაზეც წარმოდგენაც კი არა აქვს. უძღვება ხალხის დახმარებით, რომელთა შორის საუკეთესონი ხმამაღლა „ტრაბახობენ", რომ მთელი სიცოცხლის განმავლობაში დიპლომის მისაღებად დაზეპირებული სახელმძღვანელოების გარდა, მათ მხოლოდ ერთი ნაბეჭდი წიგნი წაუკითხავთ —„რუსების ბრძოლა ყაბარდოელებთან".

ღვთის გულისათვის, არ იფიქროთ, რომ ეს ხუმრობაა, კარიკატურაა, ეს ცხოვრებისეული სინამდვილეა, ფოტოგრაფიული სიზუსტით სრულად გადმოღებული.

ასეთი გუნდით გარშემო კარგი რა უნდა შექმნილიყო? დაწესებულებას, სხვა ყველაფერზე უფრო მეტად, უამრავი დახლართული მხარე აქვს, სადაც თავისუფლად შეუძლია გააღვივოს ეგოისტობისა და ანგარების უმდაბლესი გრძნობები. რასაკვირველია, ყველა მისი მუშაკი ასეთი არაა. უმწიკვლო და წესიერი კაცი, როცა უსამართლობასა და სიცრუეს წააწყდება, რასაკვირველია, აღშფოთდება და დამნაშავეთა მოშორებას მოითხოვს. „ისინი ყველას გვარცხვენენ, მთელ დაწესებულებას სახელს გვიტეხენ!" ამის გამო ღელავენ გამგებლის თანაშემწეები და თვითონაც.—„გავ-რიც-ხოთ!" ბოლოს და ბოლოს წარმოთქვამს იგი. გულუბრყვილო ადამიანები ზეიმობენ: „ახლა სხვა დრო დადგება!" ...გამოცხადდება „განთავისუფლებული".

—როგორც გენებოთ, ამბობს, მე წავალ, მაგრამ კეთილი ინებეთ, და, უპირველესად, გაითვალისწინეთ, რომ რაღაც-რაღაც „საბუთებს" უფროსებს წარვუდგენ.

„განცხადება" თავდება იმით, რომ გაგდებულს ტოვებენ სამსახურში და ან ხელფასს უმატებენ, ან აჯილდოვებენ. და „საბუთებიც" მასთან რჩება. თანამშრომლები კი, რომლებიც ასე გულუბრყვილოდ მოითხოვდნენ უწესოს გაგდებას, ძალაუნებურად ჩუმდებიან.

მოსამსახურეთა უმრავლესობა, რომლებიც კერძო სამსახურში მივიდნენ არა კანონის დასარღვევად, არამედ მხოლოდ პატიოსანი გზით ლუკმა პურის საშოვნელად, დაემორჩილა ბედს ან მოიდრიკა. მოხდა რაღაც სავსებით გაუგებარი. ეს უწესობის შემყურე უმრავლესობა იძულებულია არა მარტო დუმდეს, არამედ თავიც მოაჩვენოს, რომ ვერაფერს ხედავს ანდა ვითომ ყველაფერი რიგზეა! დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია. რადგან ჩამოყალიბდა „წრე", რადგან გამოიკვეთა მისი ხასიათი, იგი უკვე ვეღარ ეგუება არც თავისთან, არც ირგვლივ ვერაფერს, რაც მისგან განსხვავებულია.

საიდან გაჩნდა ასეთი წყლული? ეს რომ აგიხსნათ, მე უნდა მოგიყვეთ ერთი კურიოზი სხვა, ესევე კერძო, ასეთივე სააქციო საწარმოდან, რომელიც, აგრეთვე, მილიონ მუშაკს განაგებს. ისევ გიმეორებთ, მიუხედავად იმისა, რომ ძნელი წარმოსადგენია, ჩემს მიერ მოყოლილი ამბავი, მერწმუნეთ, ის სრულიად გაუზვიადებლადაა აღებული ჩვენი დროის შიშველი სინამდვილიდან.

ერთმა ბატონმა, რომელიც მილიონიან კრედიტს ფლობდა, მოისურვა ჰქონოდა ჩვენში უდიდესი ნავთობის მრეწველობის დაწესებულება სწორედ იმ დროს, როცა აქ მთავრდებოდა ამიერკავკასიის რკინიგზის ბაქოს მონაკვეთი. თავისი ვარაუდი შემდეგ ჰიპოთეზაზე ააგო: „შევუთანხმდები ბაქოს მონაკვეთის მშენებლებს, მივიღებ გაუხსნელი გზით ნავთის გადაზიდვის უფლებას „დროებითი მოძრაობის" დროის განმავლობაში, და ვიდრე ის ოფიციალურად გაიხსნება, ვიდრე ყველასთვის ხელმისაწვდომი გახდება, მილიონს მოვიხვეჭ". „მთავარ ხელმძღვანელად", რასაკვირველია, ირჩევენ პირველ შემხვედრს, წესიერი კაცია, არც ქურდია, დიპლომიც აქვს, ყველაფერი რიგზეა. მას უცხადებენ განუსაზღვრელ ნდობას, იხსნება შეუზღუდავი კრედიტი და ჰაიდა, ფოთში! გამგებელი მიდის. ადგილზე, ფოთში, ის მოისაზრებს, რომ საჭიროა ვაგონების ცისტერნებით ჩამოტანილი ნავთის ჩასხმა კასრებში: სხვაგვარად არ მიიღებენ. რუსეთიდან იწვევს კასრის ასიოდე ოსტატს. ისინი ჩამოდიან. აღმოჩნდა, რომ საჭიროა ხელსაწყო-იარაღი. აგზავნიან დეპეშებს: „დაამზადეთ ამდენი და ასეთნაირი ხელსაწყოები". ჩამოუვიდათ იარაღი, რომლის გარეშე ოსტატებმა ფოთში უსაქმოდ იცხოვრეს მთელი თვე, იარაღით ვერ ისარგებლეს, ვინაიდან საჭირო ყოფილა ქვერდის ფიცარი, რომლისგანაც კასრებს ამზადებენ. ფიცრები მოითხოვეს ლენქორანიდან. ერთი თვის მერე ისიც მიიღეს. მაგრამ ამ ხნის განმავლობაში ხელმძღვანელი, ოსტატები, ხელსაწყო-იარაღი ფოთში უქმად იყო. ბოლოს და ბოლოს გააკეთეს კასრები. მხოლოდ მაშინ მოიფიქრეს ნავთის გამონწერა, რომლის გადმოტანას ბაქოდან ფოთამდე ახლაც 1 კვირა ჭირდება, მაშინ კი მან ჩინოვნიკურად ზუსტად 28 დღე იმოგზაურა. როცა ბოლოს და ბოლოს ნავთი ჩაასხეს კასრებში, აღმოჩნდა, რომ მზად არ იყო საცობები. ამის შესახებ გამგებელმა, რომელმაც მხოლოდ დეპეშების გზავნა იცოდა, აცნობა მეპატრონეს.

—დააცეთ კასრი საკუთარი თავით,—უპასუხა მას მახვილგონიერმა მეპატრონემ.

ეს ანეგდოტი არ გახლავთ, ნამდვილი ფაქტია, რომელმაც მეპატრონეს 1. 050. 000 მანეთის ზარალი მოუტანა. ვიდრე ეს გაუგებრობა

გრძელდებოდა, დადგა „დროებითი მოძრაობის“ დრო და ფოთში საცობების მიღების დროისათვის, სხვა ნავთობმრეწველებს მიეცათ უფლება და საშუალება თავისი პროდუქცია გადაეგზავნათ ოფიციალურად გახსნილი ბაქოს გზით.

რისთვის მოგიყევით ეს ამბავი? იმისთვის, რომ განმემარტა თქვენთვის, რომ ასე უაზროდ დანყებული ნავთობის მრეწველობა, თავისი არსებობის მანძილზე გამოუსწორებელ კვალს ტოვებდა. პირველმა მშრომელებმა, რომლებიც მივიდნენ კერძო წარმოებებში, რათა ემუშავათ პატიოსნად, ძალების დაუზოგავად, მაგრამ დაინახეს მთავარი გამგებელის (თუ გინდ უფროსი დავარქვათ) უსუსურობა და მოუმზადებლობა, მისი უთავბოლობა, თვითონაც დაკარგეს ხალისი, ჩაიფუშნენ, გაფუჭდნენ. მათ იგრძნეს, რომ არც გამგებელი, არც მეპატრონე არ ეკიდება საქმეს ჭკუით და სერიოზულად, ღრმად არავინ სწავლობს საწარმოს საქმიანობას, არავის სჯიან შეცდომებისა და გულგრილობისთვის, არავინ აფასებს გულმოდგინეობას და შრომას. სწორედ ასეთმა დამოკიდებულებამ გამოიწვია თავდაპირველად გულგრილობა მისი ბედისადმი, შემდეგ კი წარმოიშვა აღვირახსნილობა, რაც გამოიხატა წვრილმან ქურდობაში, დაფარვაში, მოტყუებაში და ა.შ. გულმოდგინება და შრომა აღარ იყო საზომი თანამშრომელთა ამაღლებისა და მათი მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის. ხელმძღვანელები, რომელთაც შემთხვევით ეკავათ ადგილი, აფასებდნენ მხოლოდ თანამშრომელთა „სამსახურის გაწევის უნარს“, „ერთგულებას“, „დუმილს“, მდაბლად თავის დაკვრას, „უფროსების კვალის დაფარვას“...

მე არ ვამტკიცებ, რომ პირველ სააქციო საზოგადოებაში, რომლის შესახებაც დავიწყე დღევანდელი ჩემი საუბარი, აღვირახსნილობა და მიმტაცებლობა ასეთი ან მხოლოდ ასეთი გზით დაინერგა. ჩემთვის ეს არ არის მთავარი. მთავარი მხოლოდ ისაა, რომ სერიოზულ საქმეში მეპატრონე ან მეთაური, მხოლოდ იმიტომ უნდა მოექცეს მკაცრად თავისი ხელმძღვანელების შერჩევას, რომ ამ მხრივ მცირე შეცდომასაც კი ზარალი მოაქვთ მათი საქმისა და ინტერესებისათვის. საზოგადოებრივი აზრის მხრივ კი, რომელიც კერძო ინტერესებს ანგარიშს არ უწევს, ასეთი უაზრო დანიშვნები რყვნიან თანამედროვე საზოგადოებას, მასში კლავენ პატიოსანი შრომისა და ადამიანური სამართლიანობის გრძნობას და ფრთებს ასხამენ ნაძირალების მდაბალ და მტაცებლურ ინსტინქტებს, რომლებიც დაუმსახურებლად, თითქმის დროებით საზოგადოებრივ ძალას წარმოადგენენ. აი, ამი-

ტომ, დრო და დრო, საჭიროა გავიხსენოთ, საიდან მოდიან ეს ნაძირალები და რით არის გამოწვეული მათი დროებითი თავბრუდამხვევი დღესასწაული, რასაც, რასაკვირველია, უსათუოდ მოჰყვება გამანადგურებელი დაცემა.

ხალხური ანდაზა გვასწავლის, რომ „თევზი თავიდან ყროლდებაო". საჭიროა ჩვენმა სამრეწველო და სააქციო დაწესებულებებმა შეიგნონ, რომ ეს ბრძნული ანდაზა მხოლოდ თევზის მრეწველებს არ ეხებათ. ჩვენი სახელმწიფო დაწესებულება, „პირადი შემადგენლობის" ამორჩევასა და მონაცვლეობის საკითხში, უკვე ისეთ უაზრო თვითნებობაში გადაიზარდა, როგორშიაც ჯერ კიდევ იმყოფებიან ჩვენი კერძო, უმთავრესად სააქციო საწარმოები. სახელმწიფო დაწესებულებებში გამომუშავდა თანამშრომელთა ცენზი და მათი დაწინაურების წესი, და მოპოვებული უფლებების ხელშეუხებლობა, უფროსობის თვითნებობის შეზღუდვა და მკაცრი დამოკიდებულება სამსახურებრივი მოვალეობის, სამსახურის პატიოსნების, მუნდირის ღირსებისა და სხვ. მცნებებისადმი. რასაკვირველია, ეს ყველაფერი იდეალური არაა, ყოველ შემთხვევაში ჩანს საზოგადოებრივი ცხოვრების მნიშვნელოვანი მხარეების მოწესრიგების სურვილი. ჯერჯერობით მსგავსი არაფერი ჩანს კერძო დაწესებულებებში, თუმცა ისინი უკვე მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ჩვენი დროის ბედ-ილბალში. ჩვენი კერძო საწარმოების უმეტესწილად დროებით მეპატრონეებს სრულიად არ ენაღვლებათ მათივე საკუთარი წარმოების არც დღევანდელი და არც სამომავლო ბედი. ისინი შემთხვევით ამოტივტივდნენ და სრულიად არ არიან მზად მიხვდნენ თავისი როლის მნიშვნელობას, რომ არსებული მდგომაროება მათ მოვალეობას აკისრებს საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე. მათ შემთხვევით მიიღეს ან მისცეს უფლება თავის სასარგებლოდ ექსპლოატაცია გაუწიონ ამ საზოგადოებასაც და ამ სახელმწიფოსაც. დაე, მიიღონ მათ მატერიალური მოგება მათი სრულიად შემთხვევითი მდგომარეობიდან, დაე, დააჯარიმონ თავისი თანამედროვენი მოუფიქრებლობისთვის, მოუმზადებლობისთვის და არაპრაქტიკულობისთვის. მაგრამ რაღა საჭიროა, მატერიალური ზარალის გარდა, ქვეყანას კიდევ ზნეობრივი ზიანიც მიაყენონ? უღირსი ადამიანების ეს სისტემატური დაწინაურება, მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი მზად არიან თავი დაბლა დაგიკრან და უსიტყვოდ შეასრულონ პატრონის ნება, რაც უნდა უაზრო, კანონსაწინააღმდეგო და მავნე იყოს იგი,—კეთილსინდისიერი მუშაკების ეს სისტემატური დამცირება სხვა არაფერია, გარდა ნაკლის დაჯილდოვებისა და წესიერების დასჯისა!

23. საუქმო საკითხავი

19 დეკემბერი, 1887 წელი

დღესასწაულს ვხვდებით სწორედ სადღესასწაულო განწყობით, იმ აუცილებელი რწმენით, რომ ვიზეიმებთ ჩვენი მორიდებული შრომის წარმატებით დაგვირგვინებას. სიამაყით კი არა—რა საჭიროა ეს? არამედ კმაყოფილებით, და შემდეგისთვის საკუთარი თავის წასახალისებლად, გავყურებთ განვლილ გზას. ნუ გეშინიათ: აქ ჩვენი მუშაობის საბუღალტრო ანგარიშს არ წარმოგიდგენთ. მე მსურს გავაშუქო თანამედროვე საზოგადოებრივი ცხოვრების ერთი სასიამოვნო ნიშანი.

საქმე ეხება იმ „ბრძოლას", რომელშიც, როგორც გახსოვთ, საკუთარი ნებისა და სურვილის საწინააღმდეგოდ ჩაება ჩვენი გაზეთი, არა მარტო გარემოების ძალით, არამედ ჩვენი რკინიგზის შემთხვევითი მფლობელების უტაქტობით. რასაკვირველია, ყველა მკითხველს არ ემახსოვრება, მაგრამ ამ საქმეში გათვითცნობიერებული ხალხი, ალბათ, აშკარად დარწმუნდა, როგორი თავდაჭერილობით, როგორი ნებისყოფით და ზომიერებით ვაწარმოებდით ამ ბრძოლას. მიუხედავად ყოველგვარი გამოწვევებისა და ცდუნებისა, მიუხედავად პირველხარისხოვანი მასალის სიუხვისა, არ გადაგვიხვევია და არც გვსურს გადავუხვიოთ მიღებულ წესს: რკინიგზის პრაქტიკიდან გამოვყოთ მხოლოდ ის მოვლენები და ფაქტები, რომლებიც თანაბრად მავნებელია ყველასათვის. არსებითად ეს ბრძოლა სხვა არაფერია, გარდა მაგალითებით გამდიდრებული რკინიგზის მეურნეობის მიმდინარე ცხოვრების ამბავი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა გაუწიო ექსპლოატაცია რკინიგზებს. ამ აზრის სარგებლობიანობას მხოლოდ მაშინ გავიგებთ, თუ ვიტყვით, რომ იმ ერთადერთ სასწავლო დაწესებულებაში, გზათა საუწყებო ინსტიტუტში, საიდანაც რკინიგზის მოღვაწეები გამოდიან, მხოლოდ ორი წლის წინ დაიწყეს ამ მნიშვნელოვანი საგნის სწავლება, რომელიც რუსეთში რამდენიმე თვითნასწავლი ადამიანის საიდუმლოებას წარმოადგენდა. დარწმუნებული ვართ, რომ ახლო მომავალში „ნოვოე ობოზრენიეს" ნებისმიერ მკითხველს, რომლებიც გაეცნობიან ჩვენს ილუსტრირებულ მაგალითებს, რკინიგზის მეურნეობა, უკეთ თუ არა, ყოველ შემთხვევაში, ჩვენში ამ დარგის არაარსებულ „სპეციალისტებზე" უარესად არ ეცოდინებათ. მაგრამ ამას გაკვრით მოგახსენებთ, რათა პირდაპირ გადავიდე ჩემი დღევანდელი საუბრის სიუჟეტზე, რომლის მიზანია გავარკვიო მკითხველი საზოგადოების დამოკიდებულება ჩვენი კამათისადმი.

მოულოდნელად დაწყებულმა და სწრაფად გამწვავებულმა „ბრძოლამ“ თავდაპირველად მკითხველ საზოგადოებაში გაუგებრობა გამოიწვია. საკითხი ეჩვენებოდათ ნაკლებ საინტერესო, „არასაზოგადოებრივი“, სრულიად სპეციალური, თითქმის პირადი ხასიათის მატარებელი. მაგრამ შემდეგ საზოგადოებრივ განწყობილებაში მნიშვნელოვანი ცვლილება მოხდა. მკითხველები საკითხით დაინტერესდნენ, ყურადღება მიაქციეს დასაბუთებებს, დაიწყეს ფაქტების შემოწმება, ერთი სიტყვით, საკითხს ჩაუკვირდნენ. როგორც ასეთ შემთხვევებში ხდება ხოლმე, თავდაპირველად საყოველთაო ყურადღება მიმართული იყო საქმის მხოლოდ გარეგანი მხარისადმი: ბრძოლის მეთოდებზე, მოკამათეთა ურთიერთმოქმედებაზე... მხოლოდ შემდეგ, თანდათან, საზოგადოებამ იწყო საკამათო საგნის არსებით მხარეში, სიღრმეში წვდომა. და რადგან ამ შედეგს მივაღწიეთ, რადგან საზოგადოება დაინტერესდა თვით საკითხით, შემდეგ, რასაკვირველია, საქმე კარგად უნდა წასულიყო, რამეთუ მერე მისი მთელი მიმართულება დამოკიდებული იყო არა კამათზე და მის წარმოებაზე, არამედ მხოლოდ და მხოლოდ თვით იმ საქმის ხასიათსა და ღირსებაზე, რაზეც იყო ლაპარაკი. მოკამათეები უკანა პლანზე გადავიდნენ. წინ წამოიწია მხოლოდ საზოგადოებრივმა ინტერესებმა. შემდეგ თითქოს პოლემიკა კი არ იყო, არამედ მხოლოდ საქმის შესწავლა და მოკამათეების მივიწყება, მათი არქივისთვის გადაცემა, რაც თავისთავად თითქოს საწყენი უნდა ყოფილიყო მოკამათეებისათვის, პირიქით კი მოხდა, ყოველივე მათთვის გარკვეულ ჯილდოდ იქცა.

წავიდეთ შემდეგ. თავისთავად ცხადია, რომ პოლემიკის ასეთი წარმატება მამხილებელთა ცოდნისა და ტალანტის დამსახურება არ არის. უნდა გვახსოვდეს, რომ, ვინაიდან მოხერხდა კამათის არსებითი საკითხისადმი საზოგადოებრივი ყურადღების მიქცევა, მოკამათეთა ხელოვნება თავის მნიშვნელობას კარგავს. მამხილებელი თუნდაც გენიოსი იყოს, თუ საქმის არსი წმინდა და საყოველთაოდ გასაგებია, იგი ტყუილუბრალოდ დახარჯავს თავის ძალებს და დარტყმებს: საქმე თვითონ დაიცავს თავს, თვით განიწმინდება საყვედურებისა და ცილისწამებისაგან. წინააღმდეგ შემთხვევაში კი, თუ თვით საქმის არსი ცუდი და მავნეა, იგი ყოველდღიურად თვით გასცემს თავის თავს. ამ შემთხვევაში, თუ თვით მამხილებლები შეწყვეტენ თავდასხმას, მათ ადგილს მთელი საზოგადოება დაიკავებს. ეს უკანასკნელი თვით გაამათრახებს კანონის დამრღვევს და უსამართლოს, წინ აღუდგება უწესრიგობას და ბოლოს და ბოლოს ჩამოიშორებს მას.

და არ არის ქვეყნად ძალა, რომელსაც ძალუძს წინააღმდეგობა გაუწიოს საზოგადოებრივ შეგნებას, საზოგადოებრივ აზრს.

და ეს ყველაფერი რომ გამონაგონი არ არის, რომ ეს ბავშვობის ილუზია კი არა, არამედ ცხოვრების საღი გამოცდილებით მიღებული შედეგია, რომ მეცნიერული კანონია, რომელსაც გამონაკლისები არ ახასიათებს, სხვათა შორის, მტკიცდება რკინიგზის ირგვლივ არსებული ბრძოლის ფაქტებითაც, თუნდაც მისი განვითარების დასაწყის სტადიაშიც. გავაგრძელოთ ჩვენი დიაგნოზი თუ ანალიზი:

თქვენ გახსოვთ, რომ „ნოვოე ობოზრენიეს" პირველი ცდა, საზოგადოებრივი შეგნებისათვის ნათელი გაეხადა რკინიგზის საქმეები და ინტერესები, დიდხანს უყურადღებოდ რჩებოდა. თითქმის მთელი ადგილობრივი პრესა თავის ნაჭუჭში ჩაიკეტა და დადუმდა, ჩვენი გაზეთი კი ბედის ანაბარა მიატოვა. ყველა გაზეთმა („ტიფლისკიი ლისტოკ"-ის გარდა) პირში წყალი დაიგუბა. ყურადღება მიაქციეთ, რომ, როცა რკინიგზის სამმართველომ ჩვენი პირველი და სრულიად უვნებელი შენიშვნების პასუხად ახირებული ბრძანება გასცა, რათა ჩვენს გაზეთში შეეწყვიტათ განცხადებების ბეჭდვა, ამით ჩვენი გაზეთის ღირსებას დიდი შეურაცხყოფა მიაყენა. ყველა განვითარებულ ქვეყანაში, და ყველგან, სადაც პრესა ღირსეული ადამიანების ხელშია, ასეთი თავნებობის გამო ყველა გაზეთი, განურჩევლად მიმართულებისა, უარს იტყოდა ნებისმიერი რკინიგზის განცხადების დაბეჭდვაზე, იმ დრომდე, ვიდრე ეს თავნება საჯაროდ არ მოიხდიდა ბოდიშს პრესის წინაშე. ყურადღება მიაქციეთ იმასაც, რომ ამ ბრძანებამ ორჯერ მეტი შეურაცხყოფა მიაყენა იმ გაზეთებს, ვისაც რკინიგზის განცხადებების გამოქვეყნების „უფლება" (!) ეძლეოდა. მაგრამ საქმე ამაში არაა. საზოგადოებრივი თვალსაზრისით მნიშვნელოვანი და საინტერესოა მხოლოდ ის, რომ ყველა ადგილობრივი გაზეთი დადუმდა, ყველამ ჩაყლაპა და მოინელა წყენა. დუმდნენ დიდხანს. ჩვენ განგებ არ ვახსენებდით არც მათ მოვალეობას, არც ამ წყენის მნიშვნელობას, არც ბეჭდვითი სიტყვის სოლიდარობას. მხოლოდ ჩვენს საქმეს ვაკეთებდით. დრო და დრო ზოგი გაზეთი, ისინი, ვინც განცხადებებს იღებდა, თავშეკავებულად იცავდა რკინიგზის სამმართველოს. მაინც ვდუმდით, თითქოს ვერ ვამჩნევდით ამ სამარცხვინო ცდას. მშვენივრად გვესმოდა, რითი დასრულდებოდა ეს ყოველივე და ვინ გაუსწორდებოდა ჩვენს თანამოძმე-მოღალატეებს. და რა მოხდა? ორი თვეც კი არ გასულა ბრძოლის დაწყებიდან და მდგომარეობა სრულიად შეიცვალა.

მკითხველი საზოგადოების საოცარი და ერთსულოვანი ზეგავლენის ქვეშ, საქმით საყოველთაო და საზოგადოებრივი დაინტერესების გამო, ბრძოლას ჩამოშორებულმა გაზეთებმა იგრძნეს საშიშროება, რომ თვით შეიძლება განადგურებულიყვნენ ნიადაგშერყეული რკინიგზის სამმართველოს ნამსხვრევების ქვეშ. საკუთარი ტყავის გადარჩენის მიზნით, ამ გაზეთებმა ზედიზედ დაიწყეს მკითხველთა დარწმუნება, რომ ისინი სრულიად არ უჭერენ მხარს სამმართველოს, სრულიად არ თანაუგრძნობენ, არამედ კიდეც ეწინააღმდეგებიან მათ. თავდაპირველად „ქუთაისის საგუბერნიო ცნობარმა[20]", შემდეგ „კავკაზმა" და ბოლოს „კასპიამ[21]" საზეიმოდ გადაწყვიტეს დამოუკიდებლობის გამოვლენა. პირველი მათგანი არ უშვებს გაზეთის არცერთ ნომერს, რომ არ გააშუქოს გზის სამმართველოს მისთვის ცნობილი შეცდომები. დრო და დრო ორი დანარჩენი გაზეთიც გულმოდგინედ, თუმცა წარუმატებლად ცდილობს იგივე მოიმოქმედოს. მართალია, შენიშვნები უმეტესწილად დარაჯებს ეხება: თითქოს ცუდად გვიან ვაგონებს. მაგრამ ყველა აკეთებს, რაც შეუძლია. აქ მთავარია არა ის, თუ რას აკეთებენ, არამედ სურვილი, განზრახვაც კი. საზოგადოების განწყობილებაში გამოვლინდა სიმპათიების და ანტიპათიების ისეთი დაუოკებელი მიმდინარეობანი, რომ არავის ძალუძს ხელი შეუშალოს მას. მეგობრებიც კი, მოკავშირეებიც, იძულებული არიან თანაგრძნობით, საკუთარი ინტერესებით, არა მარტო მოერიდონ, არამედ თავი რკინიგზის სამმართველოს მტრადაც კი გამოაცხადონ. გაზეთებისთვის, განსაკუთრებით ხელმოწერის წინ, ეს ერთადერთი გზა გახდა წესიერების, ლიტერატურული პატიოსნების დასამტკიცებლად. განა ეს ბევრის მთქმელი არ არის? ეს ზნეობრივი ჭიდილი არ არის?

მაგრამ, წინ ნუ „გავუსწრებთ" მოვლენებს, თუმცა ყოველივე წინასწარ განსაზღვრული იყო ღვთისაგანაც და კანონისაგანაც. დავუბრუნდეთ ისევ წარსულს.

როცა ჩვენში რკინიგზის ომი დაიწყო, ბევრი მკითხველი წერილობით თუ პირადად თავის გაოცებას გამოთქვამდა ჩვენს მიმართ. მათ აოცებდათ, რომ ასეთ, თითქოს განსაკუთრებულ ყურადღებას ვუთმობდით რკინიგზისა და ნავთობის საკითხებს. ჩვენ ვდუმდით, არავითარ განცხადებებს არ ვაკეთებდით ამ საკითხების ირგვლივ. ახლა, როცა მკითხველმა საზოგადოებამ შეიგნო, ნაწილობრივ კი საკუთარ ტყავზე გამოსცადა, რომელ საზოგადოებრივ საკუთრებას ვეხებოდით, ჩვენ უფლება გვაქვს ვიკითხოთ: ხომ მართალი ვიყავით,

როცა ვიცავდით ჩვენს პრინციპებს? განა მიზნად დაისახო საქმის მოწესრიგება, რომელიც არა მარტო ჩვენი ქვეყნის ინტერესებს, არამედ ცალ-ცალკე თითოეულ ჩვენთაგანსაც ეხება, უფრო საპატიო და სასარგებლო არაა, ვიდრე უქმი ლაპარაკი კალნოკისა და სალისბიურის ოინებზე? ჩვენი თანამემამულეების ინტერესებისა და ადამიანური ღირსებების დაცვა, იმ ადამიანთა, რომელთაც არ შეუძლიათ საკუთარი თავისა და უფლებების დაცვა ექსპლოატატორული კომპანიების შემთხვევითი და მოუმზადებელი ადამიანებისაგან, განა საერთო თანაგრძნობისა და მხარდაჭერის ღირსი არ არის?

და რადგან ამის შესახებ დავიწყეთ საუბარი, იგი გვინდა დავასრულოთ კიდევ ერთი, ბოლო შენიშვნით.

დიდად სავალალოა, რომ ჩვენი თანამედროვე საზოგადოება გამოირჩევა იმ კანონებისა და აუცილებელი დადგენილების სრული უცოდინარობით, რომლის ძალაუფლების ქვეშ იგი ცხოვრობს და მოქმედებს. შორს არ არის დრო, როცა მოქმედი კანონმდებლობის გაცნობა ახალგაზრდობის, და მათ შორის სოფლელი ყმაწვილების განათლების პროგრამაში შევა. მაგრამ ჯერჯერობით ჩვენში ამ საგანს არავინ იცნობს, სპეციალისტების გარდა, არავინ, ვამბობ, სამწუხაროა. ჩვენ საზოგადოებას ეს აუცილებლად საჭირო ცოდნა რომ ჰქონდეს, მას ეცოდინებოდა, რომ ჩვენი დროის მწერალს უფლება არა აქვს ისეთ საკითხებს, როგორიც რკინიგზისა და ნავთობის საქმეა, თავი მოარიდოს და გვერდზე დადგეს. თუ ჩვენ არ შევეხებით იმას, რაც აინტერესებს მკითხველ საზოგადოებას, რაც მათ ცხოვრებისეულ ინტერესებს შეეხება, აბა, მაშ რის შესახებ გვიბრძანებთ წერას, თუ გვსურს, რომ მკითხველმა საზოგადოებამ გაგვიგოს? ყველასთვის ცნობილ და ყველას მიერ გადაღეჭილ დიდი ხნის წინათ აღიარებული მორალის ხელახლა ქადაგებას ხომ არ დავიწყებთ? არსებული კანონებისა და დადგენილებების ძალით, თანამედროვე მწერლის მოქმედების არე შემოფარგლულია გარკვეული ჩარჩოებით, რომლის გადალახვის არც სურვილია და არც საშუალება. ეს ჩარჩოები გვავალდებულებს თვალი არ დავხუჭოთ ყველა იმ საინტერესო მოვლენაზე, რაც თანამედროვე ცხოვრების ჩვენთვის ხელმისაწვდომ ყველა სფეროში ხდება. ვფიქრობ, მგონი რელიეფური მაგალითებით დავამტკიცეთ, რომ რკინიგზისა და ნავთობის საქმის მშრალ და ალბათ, „უინტერესო“, ე.წ. „სპეციალურ“ სფეროში არსებობს საზოგადოებრივი და სავსებით არასპეციალური მხარეები, რომლებიც წარმოად-

გენს უხვ წყაროს სასარგებლო დაკვირვებისა და ფიქრისათვის. აგრეთვე დავამტკიცეთ, რომ ამ სფეროებში, მათგან გამოუსვლელადაც კი, შეიძლება მივიღოთ ცოდნა, რომელიც მოგვეხმარება არა მარტო ჩვენი საზოგადოებრივი საქმეების გაუმჯობესებაში, არამედ მკითხველი საზოგადოების განვითარების ამაღლებაში. ვისურვოთ, რომ მიღწეული წარმატებები მომავლის განხორციელების გარანტიას მოგვცემს. მხოლოდ ვიქონიოთ მოთმინება და, მერწმუნეთ, მოსახდენი მოხდება.

24. საუძმო საკითხავი

ქართული თქმულებიდან

(ეროთხროება)

I

მეფეთ-მეფე გიორგი—არ გეტყვით რომელი—მთის წვერზე გულდამშვიდებით, საუკუნოვანი ცაცხვის ჩრდილქვეშ, გაუთლელი ქვის ტახტთან წამოწოლილიყო. აქ, მაჰმადიანურ სამყაროსთან ბრძოლისაგან მოცლილ ჟამს, ათასნაირი ურდოები ყოველი მხრიდან რომ ესეოდნენ მის მრავალტანჯულ სამშობლოს, მას ჩვევად ჰქონდა განეკითხა ან დაესაჯა თავისი ქვეშევრდომები. ზოგჯერ კი მათთან ქვეყნის ბედ-ილბალზე თათბირობდა. ამჯერად ის არც ერთს აკეთებდა, არც მეორეს. თითქმის მარტო იყო. კმაყოფილებით სავსე თვალებით, დაფიქრებით გაჰყურებდა სივრცეს, მის ფერხთით გადაშლილ ველებს. ვინ იცის, რით ტკბებოდა გამარჯვების გვირგვინით შემკული გმირი, ქვეყნით თუ მისი სიმშვიდით? ვინ იცის? მაგრამ არ შეიძლებოდა არ გახსენებოდა, რომ არც ისე დიდი ხნის წინ ამ ველზე ომი მძვინვარებდა. მტერი განდევნილია, განადგურებულია. მადლობა ყოვლისმძლე უფალს, მრავალი მშვიდობიანი წლები ჯერ წინაა!

მეფემ კარგა ხანია ჩაიფიქრა ღირსეულად უკვდავეყო ღვთის ეს ახალი და ნათელი კეთილგანწყობა მისი ქვეყნისადმი. თავისი სახელოვანი წინაპრების მაგალითისამებრ, მან გადაწყვიტა გამორჩეულ და მიუვალ მწვერვალზე, მივარდნილ ადგილას, სადაც არც გზა გადიოდა, არც ბილიკი იყო და სადაც არც ერთ ცოდვილ კაცს ფეხი არ დაუდგამს, აეგო დიდებული სასახლე მისი სამეფოს მფარველის სახელზე, რომლის მფარველობის წყალობით დაცული და გადარჩე-

ნილი იყო. აქ სიმშვიდეს მოიპოვებენ მისი გმირი, ხალხის რწმენისა და ადათების დამცველი წმინდა მამები. ის აქ შექმნის ასე ხშირად აოხრებული ქვეყნის წმინდა სალოცავებისა და განძების საცავს ხატების, წმინდა წიგნებისა და ხელნაწერებისათვის. აქვე დააარსებს წმინდა მღვდელმსახურთა და მდივანთა სწავლების სკოლას. დაე, მტრის შემოსევებისა, იარაღის ჟღარუნისაგან მოშორებით თავშეფარებული მეცნიერება მომწიფდეს და განვითარდეს, ჩვენ კი საკადრისად დავუხვდებით მტერს. ასე ფიქრობდა ბედნიერი მეფეთ-მეფე.

II

ყოველივე ეს დიდი ხნის წინ ბედნიერი მომავლისთვის იყო ჩაფიქრებული და მოფიქრებული ბრწყინვალე მეფის მიერ და ამ მიზნით მან დიდი ხანია განსაკუთრებული ელჩობა გაგზავნა ბიზანტიაში, თავის სიმამრთან, ბრწყინვალე პალეოლოგოსთან, ახლაც არ დაგისახელებთ, კერძოდ რომელთან,—მისი შუქმფენი მეუღლის, შეუდარებელი ელენეს ნაზი და ზღაპრული ხელით დაწერილი წერილით. წერილიც და ელჩობაც სთხოვდა ბიზანტიის იმპერატორს საქართველოში გამოეგზავნა მზის ქვეშეთში საუკეთესო მხატვრები, რომელთაც შეუძლიათ ღირსეულად და საშვილიშვილოდ შეასრულონ მეფის ჩანაფიქრი.

ჩვენს უძველეს სამეფოში მრავალი ბრწყინვალე ტაძარი და სალოცავია,—ქმრის კარნახით წერდა ქალი მამას. მაგრამ გიორგის სურს შექმნას რაღაც არნახული, გასაოცარი. სურს, რომ ტაძარი იმდენად უკეთესი და დიდებული გამოვიდეს ადრე არსებულთან შედარებით, რამდენადაც ჩემი ქმრის მიერ მოგერიებული მტერი დაუნდობელი და საზარელი იყო ყველა ადრინდელთან შედარებით!

და მოელვარე ბიზანტიის მპყრობელმა ყურად იღო თავისი ძლიერი სიძე-მოკავშირის თხოვნა. მისი მეგობრები, მდიდარი და ყველგან მყოფი გენუელები, რომლებმაც მისი დახმარებით ახლახან სძლიეს ვენეცია და მოიპოვეს შავ ზღვაზე ნაოსნობის განსაკუთრებული უფლება, დაეხმარნენ გამოენახათ და საქართველოში გაეგზავნათ ეპოქის სამი საუკეთესო მხატვარი. მათთან ერთად პალეოლოგოსმა მეფეს გამოუგზავნა ფასდაუდებელი ძღვენი და სამკაული: მოზაიკა, მინანქარი, ოქროქსოვილი, მარგალიტიც, ტაძრის მოსართავი და მოსაკაზმავი ძვირფასი ქვებიც, სადაც მომავალში ჯვარს დაიწერენ და განისვენებენ პალეოლოგოსის შვილიშვილები და შვილთაშვილები...

III

მომავალი ტაძრის დიდებულებისა და კეთილად აგების მშვენიერი ოცნებები მოსვენებას აკარგვინებდა ბედნიერ მეფეს. ეს ფიქრები განუყოფლად ერწყმოდა ბრძოლაში და შრომაში მოპოვებული პირადი დიდებით მიღებულ კმაყოფილებას. მტერი განადგურებულია ბრძოლებში, რომლის დიდება, ახლა უკვე დამშვიდებული სამეფოს საზღვრებს გასცილდა. ხალხი მშვიდობიან შრომას დაუბრუნდა და დაიწყო მშვიდი ცხოვრება. მოსავალი უხვია. შავი ჭირისა და რაიმე ინფექციის შესახებ არსად არაფერი ისმის. სწრაფად შუშდება ბრძოლით მიღებული ჭრილობები. ირგვლივ—სიმშვიდე და კმაყოფილებაა. კარგა ხანია არ ყოფილა ასეთი ბარაქა. შინ კი ნებივრობს გამარჯვების გვირგვინის საუკეთესო ფერია—მზეთუნახავი დედოფალი, რომელიც ბიზანტიის იმპერატორმა ჯილდოდ უბოძა წმინდა ჯვრის ოდინდელი მტრების წინააღმდეგ ერთად ბრძოლისა და ბრწყინვალე გამარჯვების გამო. უწყინარი, მოსიყვარულე, მორჩილი ცოლი, მზეთუნახავი, ღია ცისფერი, არამიწიერი გამომეტყველების მქონე თვალებით, რომლებიც საოცარ ოქროსფერ სხივებს აფრქვევენ, მარჯნისფერ მშვენიერ ბაგეებზე მუდამ მომღიმარი კეთილი ღიმილით, უზადო ნაკვთებიანი ანტიკურ-ბერძნული ტიპის სახით, ცხვირის ფუძის გარეშე, შეერთებული წარბებით, აბრეშუმივით რბილი, ღია წაბლისფერი, არაჩვეულებრივად ნაზი თმებით და თეთრი, თითქმის მარმარილოსებური სახის ფერით, იგი ხალხისთვის ანგელოზივით მიუღწეველი სილამაზის ხატებას წარმოადგენდა. ვერც ერთი ცოდვილი ადამიანის ოცნება, ვერავის მიწიერი მზერა ვერ გაბედავდა შეხებოდა ამ ხელშეუხებელ სილამაზეს, რომელიც არავისში არ აღვიძებდა ხორციელ გრძნობებს, ან რაიმე მის მსგავსს. მხოლოდ ნეტარმა მეუღლემ, და ისიც გულის კუნჭულში, იცოდა ამ მეფური და არამიწიერი საფარველის ქვეშ რამდენი ნაზი სიყვარული და აგზნებული ვნებიანი გრძნობები იმალებოდა. მხოლოდ მან იცოდა ხანდახან, როცა მას შეჰყურებდა, როგორ ეცვლებოდა დედოფალს მომხიბლავი და გრძელი წამწამების ქვეშ დაფარული თვალების გამომეტყველება. ოქროსფერი ელვარება გუგების გარშემო უფრო და უფრო ფართოვდებოდა და თვალების ცის ფერს ფარავდა, და რაღაც ცეცხლოვანი ხდებოდა, ზუსტად ისეთი, როგორიც კატის თვალებია სიბნელეში. მორჩილების, ერთგულებისა და თხოვნის—ალერსის თხოვნის აღუწერელი გამომეტყველება ცვლიდა კეთილ ღიმილს. მსუბუქი, შეუმჩნეველი თრთ-

ოლვა ეუფლებოდა მის არსებას,—ხმით, სუნთქვით და რაც უნდა შორს ყოფილიყო ქვეყანაზე და სამეფო ზრუნვით დამძიმებული მისი გონება, რაც უნდა ძალაგამოცლილი ყოფილიყო შრომითა და ბრძოლით, ნახევრად ცხოვრებით ძალამიხდილი დაქანცული მეფე, იგი ყველაფერს ივიწყებდა ამ მომაჯადოებელი ვნების გავლენით, რომლითაც ღამეებისა და დღეების, კვირეებისა და თვეების განმავლობაში სავსე იყო ისეთი დამათრობელი განცხრომით, რაც სრულ ნეტარებას უტოლდებოდა. დიახ, მხოლოდ მეფემ იცოდა ეს საიდუმლოება, მხოლოდ მისთვის იყო დედოფალი ყოველთვის ასეთი. სხვებისათვის, ახლო მეგობრებისათვის, სამეფო კარისთვის, ხალხისთვის—განურჩევლად ყველასათვის—ის იყო ცივი, ქანდაკების დარი, მიუკარებელი მზეთუნახავი, ზოგს უსიცოცხლოდაც კი ეჩვენებოდა იმის შეგნება, რომ მზეთუნახავი ცხოვრობს, მხოლოდ მისთვის, მეფე-მეუღლეს ბედნიერებას უასკეცებდა.

IV

ღმერთმა დალოცა წმინდა ეკლესიის შეურიგებელი მტრებით ერთნაირად გარშემორტყმული, ორი ძლევამოსილი სამეფოს წარმომადგენელთა ეს ბედნიერი კავშირი: დედოფალს ვაჟი შეეძინა, რომელსაც უკვე აკვანში ჰქონდა საზრიანი და გაბედული გამოხედვა. ნიკოლოზი, „ხალხთა დამმორჩილებელი," უწოდეს მას ნათლობისას. და მეფეს, რომელმაც საკუთარ მაგალითზე შეიგრძნო ხალხთა დამორჩილების სიტკბოება, ცხოვრებაში სხვა დარდი აღარ რჩებოდა, გარდა თავის სამეფოს ამგვარ მომავალზე ზრუნვა და სამშობლოს სადიდებლად ჩაფიქრებული ტაძრის აღმართვა.

V

სწორედ ამიტომ, ნებივრობდა ხოლმე მეფეთ-მეფე გიორგი ამ ადგილას, ტირიფის ქვეშ, ტახტთან. ხშირად ფიქრობდა მშენებლობის გეგმაზე, ეთათბირებოდა მხატვრებს. და ყოველი თათბირის შემდეგ უფრო მეტად რწმუნდებოდა, რომ ის არ ცდებოდა თავის სურვილებში. მხატვრები ცხადად, მაშინვე იგებდნენ და გამოხატავდნენ მის აზრებსა და სურვილებს. მათ იცოდნენ მისი განხორციელება სრული ბრწყინვალებით, გეგმაში და მოდელში, რასაც მეფე აღტაცებაში მოჰ ყავდა. საუბედუროდ, მეფის აზრს ყველაზე ადრე იგებდა, ყველაზე

ლამაზად და კარგად ასრულებდა სამთაგან ის მხატვარი, რომელსაც ტაძარი ფრესკებით უნდა შეემკო და კანკელი მოეხატა...

VI

მისი სახელი იყო გრიმალდი. რომლის გამოსახულება შემორჩა მის მიერვე მოხატული ტაძრის კედლებს. ღია ფერის წარბებისა და თმების ქვეშ მომზირალი ნაცრისფერი გუგების მახვილი გამოხედვა, მსხვილი ხელის ნატიფი თითები, ნორჩი და ღაჟღაჟა, ჯანმრთელი, მსხვილნაკვთებიანი სახე, ფესვმაგარი სხეული იმის მაუწყებელი იყო, რომ თვით ბუნებამ ისურვა მისი მხატვრად ყოფნა და მოღვაწეობის სხვა ყველა სარბიელზე გზა გადაუღობა. მეომარი, კარისკაცი თუ სასულიერო პირი ის, ალბათ, ვერ გახდებოდა, ყოველ შემთხვევაში, წარმატებისა და ბრწყინვალების იმედი არ ექნებოდა.

ერთი შეხედვით, თითქოს უშნო, ნაჯახით გამოთლილი, არაპროპორციული, მოუხეშავი სხეულის საერთო შთაბეჭდილება მას უკანა რიგებში აყენებდა, განსაკუთრებით ქალთა თვალში. და ის თითქოს გრძნობდა ამას. მისი საკმაოდ გაბოროტებული და ამასთანავე ამაყი მზერა თითქოს ამბობდა: „ჩემში დაფარულია დიდი ძალა, რატომ არ გესმით ეს?“ ჭკვიან კუზიანებს ხშირად აქვთ ასეთი გამოხედვა.

VII

მშენებლობა გაჩაღდა. მთელი სამეფო, ყველა მონაწილეობას ღებულობდა. მუშახელი მოდიოდა ყოველი მხრიდან, მხარეებისა და ხეობების მიხედვით. რიგ-რიგობით, წინ ერისთავები და სამღვდელოების პირები მიუძღოდნენ. დროშების საწინამძღვრო ჯვრებს რომ შეხედავდი, მუშების ეს ჯგრო ჯვაროსნებს მოგაგონებდათ. მთაზე აჰქონდათ კირქვისა და გრანიტის უზარმაზარი ლოდები, რათა კედლები მონოლითს დამსგავსებოდა. თითქმის სამწლიანი გაცხოველებული და შეუსვენებელი შრომის შედეგად აიგო კედლები, სვეტები და კამარები გუმბათის ქვეშ, რომელიც რვაკუთხოვანი და წვეტიანი კი არ იყო, როგორც ყველა ჩვენს ტაძარში, არამედ მრგვალი და მომშვილდული, მეფეს უყვარდა მშენებლობაზე მისვლა და წარმატებით ტკბობა. მთელი კვირით ჩამოდიოდა ხოლმე იგი ამ უდაბნოში, ხშირად ოჯახით, სამეფო კარის დიდებულების თანხლებით, რათა ყველას ენახა და ცოდნოდა, რათა ეთქვათ ხალხისთვის, რომ ღმერთი

ლოცავდა ჩვენს წადილს და უქმად არ იკარგებოდა ქვეყნის ძალები და საშუალებანი... იწყებოდა შიდა სამუშაოები აგებული ტაძრის მოსართავად: კედლების შელესვა, მოზაიკის გაკეთება, ფრესკების მოხატვა...

VIII

და უეცრად—დარბევა. აღმოსავლეთის მხრიდან ერისთავმა თავისი უფროსი ვაჟის პირით ამცნო მეფეს, რომ მონღოლთა უთვალავმა, კალიასავით ურიცხვმა ურდოებმა დაიპყრეს მეზობელი სპარსეთი და ალბათ, თავს დაესხმიან საქართველოსაც. წამის დაკარგვაც არ შეიძლება, უნდა შეგროვდეს ჯარი, რომ გამანადგურებელ მტერს ჯეროვნად დავხვდეთ, ელვის სისწრაფით გაფრინდნენ მეფის მაცნეები ყოველი კუთხისკენ, ერისთავებთან და ხევისბერებთან, თან მოჰქონდათ ზუსტი და დაწვრილებითი ბრძანებები, ვინ სად უნდა წასულიყო, ჯარის რა რაოდენობით, რომელ დღეს და რა მიზნით. თვით მეფემ, სწრაფად გაგზავნა ოჯახი და განძი, სამეფოც და საეკლესიოც, ჯერ დაუსრულებელ სავანეში შეკრიბა ყველა, ვისაც მის გარშემო იარაღის ტარება შეეძლო და დაიძრა მტრის წინააღმდეგ.

IX

ომმა ვერ შეაჩერა მუშაობა ტაძარში: ამისთვის უკვე მცირე, უმთავრესად, მხატვართა ძალები იყო საჭირო, რომლებიც გულხელდაკრეფილი უნდა მსხდარიყვნენ. და გალავანი, სადაც სულ ახლახან ცხოველი მუშაობა დუღდა, სადაც ათასობით ხელოსანი და მუშა ირეოდა, წყნარ და მშვიდ სავანედ იქცა. ყველა ბერი, ვისაც სიარული და ლაპარაკი შეეძლო, გაემართნენ გაემხნევებინათ, დაელოცათ და ბრძოლაში წაეყვანათ ხალხი, რომლებსაც მტერი დაესხათ თავს. ადგილზე დარჩნენ მხოლოდ რამდენიმე ათეული სამეფო კარის მცველები დედოფლისა და მეფისწულის დასაცავად და ამდენივე ხეიბარი. მხატვრები და მათი დამხმარე ბერები მშვიდად განაგრძნობდნენ თავიანთ საკირკიტო საქმეს.

X

წუხდა ახალგაზრდა დედოფალი მით უფრო ძლიერ, რამეთუ იშვიათად მოდიოდა ცნობა მისი მეფე-მეუღლის ბედის შესახებ. მთელი კვირეები გადიოდა არა მარტო მეფისგან წერილისა და მაცნეს გა-

რეშე, არამედ რაიმე ყურმოკრული ამბავიც კი არ მოდიოდა, რა ხდებოდა ქვეყნად. მკაცრი ზამთარი იდგა. გარშემო მთები ღრმა თოვლში ჩაფლულიყო. ყველა გზა გაუვლელი გახდა. სევდას აღრმავებდა გარემომცველთა ავისმთქმელი გამომეტყველება: ყველას სახეზე აღბეჭდოდა წინათგრძნობა თუ რწმენა, რომ ქვეყნის დაღუპვა გარდუვალია. მცირეწლოვანი უფლისწულიც კი თითქმის გრძნობდა ავის მოახლოებას. აღარაფერი მოსწონდა, ყველაფერი აღიზიანებდა, წონასწორობას კარგავდა დედის გულის მოსაკლავად, რომელიც ნამდვილ წამებულს დამსგავსებოდა.

XI

სავანეში მხოლოდ მხატვრებმა შეინარჩუნეს ადამიანური სახე, მხოლოდ ისინი არ ელოდნენ ხიფათს და სულით არ დაცემულან, სულიერ სიმტკიცეს თავიანთი სამუშაოს გამო ინარჩუნებდნენ. ერთმანეთში აღტკინებული კამათობდნენ მომავალ საქმეებზე და აუჩქარებლად ხატავდნენ ფრესკებს დამთავრებული ტაძრის კამარებსა და კედლებზე, უსაქმურობისგან და სევდის განსაქარვებლად, სამუშაოს სანახავად და მათი კამათის მოსასმენად დადიოდა ხოლმე დედოფალი ელენე, ხან ვაჟთან ერთად, ხან ამალის თანხლებით. და როგორი მძიმეც არ უნდა ყოფილიყო მისი სულიერი განწყობა, ტაძრიდან იგი არაერთხელ, მხატვრების მხნე სახეებისა და მათი ვირტუოზული მუშაობის ხილვით, დამშვიდებული, განტვირთული, დაიმედებული გამოსულა.

XII

ერთხელ, კვირა დღეს, როცა დედოფალი მარტო შევიდა ტაძარში, გაოცდა, კედელზე, შესასვლელთან, იგი წააწყდა თავის საკუთარ გამოსახულებას, რომელსაც ჯერ კიდევ შერჩენოდა წერის სიცხოველე და ფერის სიახლე. იგი იჯდა ცოცხალივით და ზუსტად ისეთი, როგორიც ჩამოჰყავდათ საქართველოში მეფის საცოლედ. ისეთივე ქალწულის გამოხედვა, მოკრძალებულიც და ცნობისმოყვარეც. მის წინ, ზეთისხილის ტოტით ხელში იჯდა ჭაბუკი, რომელიც თვალებში შეჰყურებდა განუსაზღვრელი ერთგულებითა და საოცარი მოწიწებით. „რა უცნაური გამოხედვაა, სასიამოვნო, მოკრძალებული, ვედრებითა და გაუბედაობით აღსავსე,—გაიფიქრა დედოფალმა. მე მახსოვს ეს გამოხედვა, თითქოს ხშირად მინახავს. მაგრამ სად? როდის? ვისი?...

ჩაფიქრდა დედოფალი, მაგრამ ვერ გაიხსენა, სხვათა შორის, შესაძლოა, იგი ყველაფერზე ფიქრობდა. და როგორ არ გადაევლო თვალი არც ისე შორეული წარსულისათვის, როგორ არ გაეხსენებინა თავისი ქალიშვილობისდროინდელი ოცნებები და იმედები, როგორ არ შეედარებინა მათთვის დღევანდელი მდგომარეობის სიმწარე?...

XIII

ტაძრიდან გამოსვლისას დედოფალს სამივე მხატვარი შეხვდა. „რომელ მათგანს შეეძლო ასე კარგად დავეხატე,—თავისთვის გაიფიქრა მან. მას სურდა ეკითხა მათთვის ამის შესახებ. მაგრამ არ ჰკითხა. გრიმალდი შეჰყურებდა სწორედ ნახატზე გამოსახული ჭაბუკის გამოხედვით. დედოფალს ჩაეცინა, და ისიც მხოლოდ გუნებაში.

—განა შეიძლება მაღალი წრის ადამიანთა სახეების გამოყენება ასეთი გამოსახულებისათვის?—მშვიდად ჰკითხა მან მხატვრებს ისე, რომ პირდაპირ არც ერთისთვის არ მიუმართავს.

—თქვენო უდიდებულესობავ, შთაგონება მოდის ღვთისაგან. ულირს საქმეს ის არ ჩაგვადენინებს,—უპასუხა გრიმალდმა და თავი დახარა დედოფლის წინაშე.

XIV

ბერძნის ქალი ნასიამოვნები იყო: ქება, განსაკუთრებით ისეთი შენიღბული, ყოველთვის სასიამოვნო მოსასმენია, თუნდაც მახინჯი ბაგეებიდან, განსაკუთრებით, როცა მას ახლავს უტყვი მონის მოკრძალებული გამოხედვა.

დედოფალი თავის განსასვენებელში შევიდა. მაგრამ ეს გამოხედვა არ ასვენებდა. ასე მისთვის არავის არასდროს შეუხედავს. მადლობა ღმერთს, ბავშვი აღარაა, და არც ჩაკეტილ ცხოვრებას ეწეოდა. ხალხის თვალში ის სხვადასხვა გრძნობებს იწვევდა: წყენის, პატივისცემის, შიშის, სიყვარულის, იმედისა და უიმედობის. მაგრამ ამ გრძნობების შერწყმა, თითქოს ერთ ძაღლურ გამოხედვაში შეერთება, მას აქამდე არ შეუმჩნევია, და მთელი გულით შეებრალა საწყალი მხატვარი, მისი ასეთი ერთგული და ასეთი მოყვარული.

XV

მისი მეხსიერებიდან ჯერ არ წაშლილიყო სიბრალულისა და თანაგრძნობის ეს შეგრძნება, რომ დედოფალმა კვლავ დაინახა თავისი გამოსახულება უკვე სხვა ნახატში. თავისი თავი ასეთი მას აქამდე

არ ენახა: თმაგაწეწილი, მუხლებამდე უწესრიგოდ ჩამოშლილი თმით, დამათრობელი ვნებიანი გამოხედვით, რომელთაც უაზროდ გატარებული ღამეების კვალი ატყვია, ფეხშიშველი, შემოძარცვული, თითქმის შიშველი. თხელი პერანგის ქვეშ, თითქოს ბადის იქით მოჩანდა ნაზი, თეთრი, მოხდენილი სხეული, მხატვარმა სხეულის ნარნარი გონებისწამრთმევი ხაზით რომ გადმოსცა. დედოფალი ტკბებოდა თავისი სახის ცოდვილის როლში ხილვით, რომელიც თუმცა ინანიებდა, მაგრამ ბოლომდე ვერ იცილებდა შეძენილ თვისებებს. ის აენთო, თავი უხერხულად იგრძნო: ვის შეეძლო მისი ნახვა ამ სახით, ამ მდგომარეობაში, ასეთი ურცხვი, გამომწვევი, დაუოკებელი მზერით? მაგრამ, ღმერთო, მაინც რა ლამაზია, რა საოცრად კარგია ეს მშვენიერი არსება?

დედოფალი არ მოერიდა თანმხლებთ და მრისხანედ უთხრა გრიმალდს თავისი გულისწყრომა ასეთი შეუწყნარებელი თავხედობის გამო. ბრძანა, დაუყოვნებლივ წაეშალა დედოფალი ტაძრიდან—ეს თქვა და ისე ჩქარა გავიდა, რომ არ მოუსმენია მხატვრის ახსნისათვის, არც შეუხედია მისთვის.

—შეუნდეთ უბედურს მისი უგონო ბოდვა,—დარცხვენით მიადევნა ხმა მხატვარმა მიმავალ დედოფალს, მაგრამ ის აღარ უსმენდა მას.

25. საუძმო საკითხავი

ქარიშული თქმულებიდან

(მოთხრობა)

XVI

ერთი კვირის შემდეგ, ამავე სურათთან, მხატვარსა და დედოფალს შორის ასეთი საუბარი მიმდინარეობდა:

—...მეფე ვერც გრძნობს, რა განძი უბოძა მას ღმერთმა. იგი დაკავებულია სამეფოსა და დიდების მაღალ ინტერესებზე ზრუნვით. მას დრო არა აქვს თვალი ადევნოს ბავშვის აღზრდას, ცოლის გრძნობებს. უბრალო ქალი დედოფალზე ბედნიერია ყოველთვის, ქმარი ცოლისთვის არის და მთლიანად მას ეკუთვნის; მას სხვა უფრო ძლიერი საზრუნავი არა აქვს, ვიდრე ოჯახური ბედნიერებისა და ოჯახური ღირ-

სების დაცვაა. ის ანებივრებს, უფრთხილდება, ანვითარებს და ამაღლებს ცოლს. მეფეს კი არ სცალია და არც შეუძლია ამის გაკეთება. მეუღლესთან ის იზიარებს თავისი ცხოვრებისა და სულის მხოლოდ ნაწილს, მხოლოდ ჟამსა მოცლისასა... საერთოდ კი, მისი ფიქრები ყოველთვის შორსაა ქალის ფიქრებისაგან. ამიტომ დედოფლები ავადდებიან მარტოობაში, როცა თავის თავთან ან მოახლეებთან რჩებიან, რომელთაც არ ძალუძთ სულიერი ცვლილებებისა და მოთხოვნების გაგება. არაფერია, როცა ასეთ მდგომარეობაში ჩვეულებრივი ბუნების ქალი ჩავარდება: მას აკმაყოფილებს გარემოს სიდიადე. მაგრამ პოეტური ქმნილებისათვის, ვისაც გულში ღვთიური ნაპერწკალი უნთია, ასეთი მდგომარეობა არ კმარა. მასაც უნდა ცხოვრება, მასაც სურს პირადი ბედნიერება, თავისუფლად უნდა ფრთების გაშლა...

—მაგრამ მეფეს ისე ვუყვარვარ, ისე მაფასებს...

—თქვენი ახირებისთვის, ერთი თქვენი ღიმილისთვის, ის სხვათა შორის მსხვერპლად არ შესწირავს იმას, რაც აბადია და აფასებს: თუნდაც თავის სამეფოს. და ცუდი მეფე იქნებოდა ამის გაკეთება რომ შეეძლოს. სიყვარული კი ნიშნავს საყვარელ არსებას მსხვერპლად შესწირო არა მხოლოდ საკუთარი ქონება, არამედ სიცოცხლეც, პატივიც, დიდებაც!

XVII

აღარ გიამბობთ, როგორ და რა გარემოებაში ჩავარდა დედოფალი. საკმარისია ითქვას, რომ მან შესცოდა იმ ღრმა რწმენით, რომ არავინ მიხვდებოდა მის სიყვარულს საწყალი მხატვრისადმი.

გრიმალდის ნეტარებას, ცხადია, საზღვარი არ ჰქონდა. ის ფეხქვეშ მიწას არ გრძნობდა. რასაკვირველია, ხანდახან ჰქონდა მას სრული დღესასწაულის წუთები. მხოლოდ მალვით, არაჩვეულებრივი სიფრთხილითა და მოხერხებით ახერხებდა ის პირისპირ შეხვედროდა თავისი გულის დედოფალს. აგრეთვე, ეს ნამიერი შეხვედრები არ შეესატყვისებოდა მის წარმოდგენას იდეალურ ბედნიერებაზე. პაემანზე ის მოდიოდა უკვე სამი მეოთხედით გაწამებული, სიყვარულის ნეტარებით დაძაბული მოლოდინითა და შეხვედრების სახიფათო და რთული მდგომარეობის გამო შეშფოთებული. თავისთავად ბედნიერებასთან ეს ქურდულად მიპარვა შეურაცხყოფდა მისი გრძნობების სიწმინდეს. აღარ რჩებოდა არც ძალა, არც სურვილი, არც დრო შეყვარებულისთვის იმის მეასედი მაინც მიეცა, რითაც სავსე იყო მისი

გული, რაზეც ფიქრობდა და ოცნებობდა წინა შეხვედრის დროიდან, რომელიც ასეთივე მღელვარე და წუთიერი იყო. მართალია, დედოფალი მას არა მხოლოდ ალერსიანი სახით, არამედ გაბრწყინებული, ვნებიანი თვალებით ხვდებოდა. მას, ალბათ, მოსწონდა მისი ხილვა თავის ფერხთით, მოსწონდა საკუთარი დაცემაც. მაგრამ მას არ შეეძლო ამის გაკეთება გრაციოზულად და სიყვარულის პოეზიით აღტაცებულს. ის იყო მომხიბლავი, ვიდრე დუმდა, ვიდრე ემორჩილებოდა საკუთარსა და მის ვნებას. მაგრამ თითქმის ყოველთვის თავში მოსდიოდა ფანტაზია—ხან სურდა დარწმუნებულიყო შეყვარებულზე განუსაზღვრელ გავლენაში,ხან გაეოცებინა იგი თავისი მსჯელობის სიღრმით. და ყოველთვის უდროოდ. და, რაც მთავარია, სრულიად არა დედოფლურად თრთოდა მთელი სხეულით ხეების მცირეოდენ შრიალზეც კი, ხის სახლის მცირე ჭრიალზეც, ხეობაში ქარის ზუზუნზე. ხიფათის შემთხვევითი გაფიქრებაც კი მას უმწეოს და მომაკვდავს ამსგავსებდა. მაგრამ თავისთავად ცხადია, ყველა ეს წყენა ავიწყდებოდა განცხრომის წუთებში. როდესაც ნეტარი ღიმილით, გრძნობამორეული და ალერსმოწყურებული თვალებით უსიტყვოდ შეჰყურებდა მხატვარს და მთელი არსებით მისკენ ილტვოდა, მხატვარი, რასაკვირველია, ივიწყებდა არა მარტო შეცბუნებას, არამედ მთელ ცხოვრებას, სააქაოსაც და საიქიოსაც.

XVIII

მაგრამ გრიმალდის ნეტარების მწვერვალი იყო არა ეს იდუმალი შეხვედრები და თავისი ვნების ობიექტთან აშკარა ყოფნა, არამედ საკუთარ ბედნიერებასა და სიყვარულზე ფიქრი. იგი ცხოვრობდა იმ შეგნებით, რომელიც ერთი წუთითაც არ ტოვებდა მას, რომ ქვეყნად მასზე ბედნიერი კაცი არ დადიოდა. ყოველ წამს ადარებდა თავის მდგომარეობას მეფისას და ყოველთვის იმისთვის, რომ უპირატესობა თავისთვის დაენარჩუნებინა.

—რა აზრი აქვს,—ფიქრობდა ის ამას აკეთებდა—რომ მეფე ჩემზე ადრე, ყველაზე ადრე ფლობდა ასეთი უზადო სილამაზის არსებას? იგი წილად ხვდა და ერგო არა მას, არამედ მის წოდებას. არა პირადი ღირსებებით, არა საკუთარი ძალების დაძაბვით გახდა ის ასეთი ბედნიერების მფლობელი და შეუდარებელი განძის განმგებელი, რაც სიცოცხლის უდიდესი ნეტარების წყაროს წარმოადგენს, არამედ იგი იყო მეფე და ქალი მას ერგო, როგორც დედოფალი. ტოლის ტოლთან ამ ჩვეულებრივ კავშირში არაფერია ზებუნებრივი, არც დიდებული. ეს ჩვეულებრივი ამბავია. სრულიად სხვა საქმეა დედოფლის გრძნობა

ჩემდამი. შემეძლო მე, პორტო-ფინოს სოფლის ეკლესიის უბრალო მნათეს შვილს, მეოცნება ბიზანტიის იმპერატორის ქალიშვილისა და ქართველი მეფის მეუღლის სიყვარულზე? და თუ მზეთუნახავს, რომლის მსგავსი არ უშვია არა მარტო დედამიწას, არამედ ხელოვნებასაც კი, იმდენად შევუყვარდი, რომ ჩემი გახდა, მსხვერპლად შემწირა დედობის გრძნობა და მეუღლის მოვალეობა, დედოფლის გვირგვინი, ეს ნიშნავს, რომ მხოლოდ ფუნჯს, მხოლოდ ტალანტს—ესე იგი საკუთარ თავს და სხვას არავის—უნდა ვუმადლოდე ამ მიუღწეველ ზეიმს, რომელიც მხოლოდ გენიოსების ხვედრია! მე მჭირდებოდა ჩემი ნატურის ძალის ასეთი დადასტურება, რათა დავრწმუნებულიყავი, რომ შემიძლია ხელოვნების გადაბრუნება, შემიძლია მივაგნო ახალ და უცნობ გზებს, და ამდენად გავხდე ხაზების, ფორმებისა და ფერების მეფე. და ეს სამეფო რამდენად ძლიერი და მყარია, ვიდრე დავიწყებული და დაჩაგრული ხალხის ერთი თაობის ფლობა!

XIX

—ეს არაა თავგადასავლების მოყვარულის ფუჭი გამარჯვება, ავხორცობის მოყვარულის შემთხვევითი წარმატება,—ო, არა, განაგრძობდა ფიქრს გრიმალდი. მე სასწორზე ვდებდი სიცოცხლეს, როცა ამისკენ მივილტვოდი. ძალიან კარგად ვიცოდი, რომ გულთბილი, კეთილი და მიმნდობი მეფე გიორგი ისეთ ადამიანებს ეკუთვნის, რომლებიც ასეთ ამბებზე არ ხუმრობენ. მე სიკვდილზე მივდიოდი, და დედოფლის სიყვარული, თუნდაც წამიერი, სიცოცხლედ ღირდა. მე უფრო შორს წავედი. როგორც უკანასკნელმა კაცთაგანმა, როგორც ნაძირალამ, მე ვუღალატე მეფის ჩემდამი მეგობრობას, მე გავთელე მისი ნდობა, გავუმწარე მას სიცოცხლე, რომელიც მთელი ქვეყნისათვის, მილიონი ადამიანისთვის უძვირფასესია. მაინც არ ვინანიე.

ჩემი ბრალი არაა, რომ სხვაგვარად ვერ მივაღწევდი საკუთარ ნეტარებას. ესაა—ბრძოლა ბედნიერებისათვის, სახელისთვის, დიდებისათვის, ბრძოლა, რომელმაც მთელი დედამიწის ზურგზე არ იცის დანდობა. მე მასში ჩავაქსოვე ჩემი ძალა, ვიხმარე ყველა საშუალება და გამარჯვებამ დააგვირგვინა და გაამართლა ჩემი მოქმედება. ამაშია ჩემი გამართლება.

XX

—დიახ, ამაშია ჩემი სიმართლე! ამაში, სწორედ ამ გამარჯვებაში: იგი ჩემი არ გახდებოდა, მე რომ მდაბალი და ნაძირალა ვყოფილიყავი, ჩემი მიზანი ულირსი რომ ყოფილიყო, საშუალებანი კი—ღვთივ

შთაგონებული. გამარჯვება—ეს ისაა, დედოფალი. მისი ანგელოზური უცოდველობით დამშვენებულ ანტიკურ სილამაზეს არასოდეს შეხებია ცოდვილის უხეში მზერა და არც მრუშის გაუბედავი შემოხედვა. მისი ერთგული, ყველაფრის მომცველი სიყვარული მეფისადმი, მას მდაბალი გრძნობებისა და ხელყოფისაგან იცავდა. მხოლოდ ჩემმა ზღვარგადასულმა ვნებამ, ჩემმა გენიამ, მხოლოდ მაღალი იდეალების დაუძლეველმა ძალამ შეძლო დედოფალში დაეძლია და ჩაექრო მოვალეობის ის გრძნობა მეუღლისადმი, ვაჟისადმი და ტახტისადმი, რომ გაეწირა ოჯახური ბედნიერება, თავისი მდგომარეობა, თავისი სულიერი სიმშვიდე, რომ არ შეშინებოდა ტახტიდან პირდაპირ ჯოჯოხეთში, ბელზებელის ცეცხლში მოხვედრის, მას უნდა ეგრძნო, რომ თავისკენ იზადავდა არამიწიერი ძალა, რომელიც ღირსეულად და გადაჭარბებით გაანონასწორებდა ყველაფერს, რასაც ის სწირავდა. და ჩემი გახდა, ვინაიდან თავის მდგომარეობაზე მაღლა მე დამაყენა. ჩემი გახდა და ამით ყველაფერი დასრულდა: გამარჯვება უმსხვერპლოდ არ მოდის, მითუმეტეს ასეთი!

XXI

ვიმეორებ, ასეთი ფიქრები ბედნიერი მხატვრისათვის უმაღლესი ნეტარება იყო. ასე ილეოდა მისი დღეები და ღამეები. ამით გატაცებული და ამით გამსჭვალული, იგი რაღაც თავბრუდამხვევ მდგომარეობაში იმყოფებოდა, რაც ტაძარში მუშაობას ხელს უშლიდა. მთელი დღეები იჯდა ხარაჩოებზე, ნახაზების წინ, მაგრამ ფუნჯი პალიტრაზე იდო, თვით კი ფრესკას კი არ შეჰყურებდა, სივრცეს გაჰყურებდა. უდავოა, ამ ხნის განმავლობაში თვით გრიმალდში მიმდინარეობდა ძალებისა და აზრების ისეთი დუღილი, რომელიც მიმდინარე საქმიანობას ხელს უშლის, მაგრამ წინ უსწრებს მომავალ შემოქმედებას.

XXII

დედოფალს აოცებდა გრიმალდის მუშაობაში ეს შეფერხება, ოდნავ ტუქსავდა, როცა ტაძარში იმყოფებოდა, მაგრამ ტაძრიდან ყოველთვის კმაყოფილი და ბედნიერი გამოდიოდა: მხატვრის ვედრებითა და მადლიერებით აღსავსე მზერა აშკარად მეტყველებდა, რომ მისი ფიქრები სხვას არაფერს ეხებოდა, გარდა მოგონებებს მასზე, მისი ფუნჯისა და ტალანტის ერთადერთ მფლობელზე.

ზოგჯერ დედოფალი მას უჩუმრად გაეცლებოდა: უფრო ხშირად შეხედვითა და პირობითი ნიშნებით ამცნობდა, რომ შეხვედრა

შეუძლებელი იყო, ან უნიშნავდა დროსა და ადგილს. წმინდა სავანეში. ასე მისდევდა დღე დღეს და თვეები კვირეებს...

XXIII

მეფეზე, ქარზე, ომზე და ბრძოლების მიმდინარეობაზე არავითარი ამბავი არ მოდიოდა. ყველა, თითქოს შეთქმულებივით, ერიდებოდა ერთმანეთისთვის იმის გახსენებას, რომ შორეულ ომზე და მასში ჩათრეულ ახლობელ ადამიანებზე არაფერი ისმოდა.

XXIV

ერთხელ, მხატვრების ნამუშევრების ჩვეულებრივი დათვალიერების შემდეგ, დედოფალმა უჩვეულოდ მიბნედილმა და სევდიანმა უჩურჩულა გრიმალდს, რომ იგი ალბათ, საწოლში ჩაწვება, და თუ ხვალ ტაძარში არ მოვა, ეს იმის მაუწყებელი იქნება, რომ ავად გახდა.

უმიზეზო სევდამ მოიცვა მხატვრის მთელი არსება, უმიზეზომ იმიტომ, რომ სერიოზულ ავადმყოფობაზე ლაპარაკიც ზედმეტი იყო. გრიმალდს პირველად გაუელვა აზრმა გონებაში, რომ მისი განუსაზღვრელი ნეტარება შეიძლება დაინგრეს დედოფლის სიკვდილით. ამ ფიქრმა ჯერ მხოლოდ გაუელვა, მაგრამ მალე თანდათან მოიცვა მისი გონება.

—რა სისულელეა, —ამშვიდებდა ის თავის თავს,—ავადმყოფები არ დადიან, ასე არ საუბრობენ! იავადმყოფებს და განიკურნება. დარდით რისთვის გავიწვალო, დავიტანჯო თავი?

—მაგრამ საიდან მოვიდა ეს ფიქრი, ეს შიში, ეს რაღაც ავის წინათგრძნობა, ეს სულიერი სიცივე?

გრიმალდმა დაკარგა ჭამის მადა და გაუკრთა ძილი. მას სულ ეჩვენებოდა, რომ სიკვდილმა უკვე მოუსვა ყველაფერ იმას ცელი, რითაც ცხოვრობდა და სუნთქავდა. ღამის განმავლობაში რამდენიმეჯერ გიჟივით წამოვარდა საწოლიდან. ბოლოს აღარაფერი ახსოვდა. ჩვეული სიფრთხილის გარეშე გამოვიდა ის თავისი ოთახიდან და გადაიარა მთელი ეზო, მინაშენებისა და გასასვლელების მთელი ლაბირინთი და გაემართა მძინარე დედოფალის განსასვენებლისაკენ.

XXV

საწოლ ოთახში სიჩუმე იყო და ბნელოდა. არ ისმოდა დედოფლის სუნთქვა, თუნდაც მის სასთუმალთან დახრილიყავი. „მოკვდა,“—გაიფიქრა გრიმალდმა, და მარტო იმის გაფიქრებამაც კი შეზარა. რომ დარწმუნებულიყო, ყური მიადო ფარჩის საბანს. შეიტყო, გული სცემ-

და, და საკმაოდ გარკვევითაც და უფრო ადრე, ვიდრე გრიმალდი ავადმყოფის გასაღვიძებლად რაიმე მოძრაობას გააკეთებდა, საბნიდან ამოზიდული ორი უხეში და აშკარად არა ქალური ხელი, ყელში წვდა მას.

ინსტიქტურად, თავის გადასარჩენად, გრიმალდიც ეცა თავდამსხმელს. ხელის ერთი მოქნევით გაინთავისუფლა თავი, მეორე ხელი კი ჩააჭირა მოწინააღმდეგის უძლურ ყელს. საწყალმა წამოყვირებამ განაიარაღა მხატვარი.

—გამიშვით, ბატონო, მეტს აღარ ვიზამ,—იმეორებდა მეფის ერთ-ერთი მზარეულის ნაცნობი ხმა, იმის მერეც კი, რაც გრიმალდმა ხელი უშვა, რათა უკან მოუხედავად გავარდნილიყო დედოფლის საწოლი ოთახიდან.

XXVI

ექვსი კვირის შემდეგ, როცა დედოფალი გამოჯანმრთელდა, მძიმე ავადმყოფობისგან განიკურნა, რომლის დროსაც ის ბოდავდა და უგონოდ იყო, მის გარშემო სამარისებური სიჩუმე სუფევდა. ირგვლივ ყველაფერი შეიცვალა: ადამიანებიც, სახეების გამომეტყველებაც, გარემოც და თვით ბუნებაც. მის კითხვებზე და გაოცებაზე დიდხანს არავინ პასუხობდა. მაგრამ ბოლოს, ნელ-ნელა, ერთგული მოახლე გამოუტყდა მას, რომ მეფე დაბრუნდა დამარცხებული, დაჭრილი, თავის თავს არ ჰგავდა, ჯარის გარეშე, სულიერად განადგურებული. დაბრუნდა ფერდაკარგული, ჩუმი. ცოტა ხანს იდგა ცოლის საწოლთან, შემდეგ გავიდა, ბრძანა მოლოზნად აღეკვეცათ და შორეულ სავანეში წაეყვანათ... და ქარბუქიან და ბნელ ღამეში წავიდა მარტო, არავინ იცის საით. ტაძარი მიტოვებულია. მხატვრები სამშობლოში გაუშვეს, გრიმალდის გარდა, რომელიც გუმბათის ხარაჩოებიდან ჩამოხტა და თავი მოიკლა. მთელი კვირა მოანდომეს, რომ ტაძრის ფილებიდან მისი სისხლისა და ტვინის კვალი ჩამოერეცხათ[1].

---

[1] ეს ამბავი ბავშვობაში გაეიგე... მინისტრის მცველისაგან, მამა ლაზარესაგან, რომელიც ჩვენში განთქმულ „ავგაროზების" გრაგნილებს ხატავდა. ამ სენტიმენტალური დრამის საბრალო მსხვერპლთა სახეები აღწერილი მაქვს იმ დროის შემორჩენილი ფრესკების მიხედვით. აღსანიშნავია, რომ გრიმალდის წერილებში, რომლებიც საქართველოში მისი ჩამოსვლის დღიურს წარმოადგენს, არაფერია ლაპარაკი საქართველოს ბუნებაზე. ძუნწად არის მოცემული არა მხოლოდ მხატვრის გარშემო მყოფთა სახელები, არამედ მის მიერ ნანახი ადგილების სახელებიც. ტაძრის მშენებლობისა, მორთულობის დაწვრილებით აღწერებისა და მზარდი ვნების გარდა ამ საინტერესო წერილებში ვერაფერი ვნახე. პირველით კარგად ისარგებლა ლანციმ. უკანასკნელით კი შეეცადე შემევსო ის, რაც არ იცოდა მეკლიტურმა ლაზარემ.

26. საერობო მეურნეობა

ჩვენი მხარის სოფლის ხელისუფლება ამჟამად დაკავებულია იმ უძრავ მამულებზე უწყისების სასწრაფოდ შედგენით, ადგილობრივ მიწათმფლობელებს რომ ეკუთვნით. უწყისებში შეაქვთ როგორც ვარგისი, ასევე უვარგისი მიწები და მათთან ერთად ცნობები იმის შესახებ, ამ მიწებით თვით მფლობელი სარგებლობს, იჯარით აქვს გაცემული, თუ გარეშე პირები ამუშავებენ. უწყისებს ადგენენ იმისათვის, რომ მიწათმფლობელებზე გაანაწილონ უძრავ ქონებაზე დაწესებული ახალი გადასახადი. ამ ღონისძიებების მნიშვნელოვანი მხარე მისი სიახლეა, ეს სიახლე მდგომარეობს იმაში, რომ იგი პირველად აწესებს გადასახადს საერობოს ან სახელმწიფოს სასარგებლოდ მოსახლეობის პრივილეგირებულ კლასებზე. როგორც ცნობილია, რუსეთის შიდა გუბერნიებში ამ კლასების უძრავი მამულები კარგა ხანია დაბეგრილია გადასახადით, უკიდურეს შემთხვევაში, საერობოს სასარგებლოდ მაინც.

დაპროექტებული გადასახადი ჩვენში უმაღლესი ხელისუფლების მიერ განაწილებული იქნება გუბერნიებზე ან ოლქებზე და მაზრებზე. მაზრების მიწათმფლობელობის გადასახადის შეწერა მიანდვეს სოფლის ადგილობრივ ხელისუფლებას და დამოკიდებული იქნება მათ შეთანხმებაზე უძრავი ქონების მფლობელებთან. ამ უკანასკნელმა ვითარებამ არა მგონია ხელი შეუწყოს ჩვენს მხარეში ახალი გადასახადის სამართლიან და თანაბარ განაწილებას. ჩვენი სამაზრო ხელისუფლება არც ძლიერი და თავისუფალია და არც იმდენად კომპეტენტური, რომ შეძლოს ეს ახალი საქმე ჩარჩოებში მოაქციოს, რაც მას მრავალგვარი ბოროტად გამოყენებისაგან დაიცავს. ეს ადმინისტრაცია, აღარაფერს ვამბობ ყველაფერ დანარჩენზე, უაღრესად გადატვირთულია მიმდინარე სამუშაოებით და არა მგონია დრო და ძალა გამონახოს ამ ახალი საქმის შესასრულებლად.

მაგრამ, მოვლენათა ბედნიერი დამთხვევის წყალობით, მან რომ გაართვას კიდეც ამ საქმეს თავი და შეძლოს ახალი ხარკის სამართლიანად განაწილება, მაინც არ შეიძლება დავივიწყოთ სამართლის საფუძვლები და საერთოდ ყოველგვარი საზოგადოებრიობის პრინციპები. ჩვენი ცხოვრების უკანასკნელ წლებში შეინიშნება ქვეყანაში არსებული ფენებისა და ერთეულისათვის მოვალეობისა და ბეგარის თანდათანობითი და უწყვეტი ზრდა. ამაში, რა თქმა უნდა, ცუდი არა-

ფერია: ცხოვრების ზრდასთან ერთად მოთხოვნილებებიც უნდა იზრდებოდეს და ამის შედეგად საზოგადოების მოვალეობანიც. იურიდიულ ურთიერთობათა ბუნების ელემენტარული კანონიდან გამომდინარეობს, რომ საზოგადოების უფლებები ცხოვრების ზრდის პროპორციულად იზრდება. მაგრამ როცა დადებითი დადგენილებისათვის, რომელიც განსაზღვრავს მოვალეობის ზრდას, არ ტოვებენ ადგილს ამ უფლებების ზრდის შესაზღუდავად, მაშინ საზოგადოებრივ ცხოვრებაში წარმოიშობა ანომალიები, რაც აირეკლება დილემის ან ერთ ან მეორე მხარეზე. ვღებულობთ ორში ერთს: ან უფლებები იზრდება თავისთავად (როგორც იურისტები ამბობენ ლატენტურად) და ფაქტიურად მხოლოდ მოგვიანებით ფორმდებიან კანონიერი სანქციით, ანდა მოვალეობანი ქრებიან და თანდათანობით ფიქციად და მკვდარ ასოდ გადაიქცევიან. ასე მიმდინარეობდა ისტორია ყველგან დედამინის ზურგზე და არავითარი საფუძველი არა გვაქვს ვიფიქროთ, რომ ჩვენში იგი სხვა გზით წავა.

არავითარი დიდი ცოდნა არ უნდა, რომ იწინასწარმეტყველო ამ ორი საწყისიდან ერთის გამართლება, როცა ჩვენმა ფინანსურმა სამმართველომ, რომელიც დაუღალავად იგონებს გადასახადებისა და ხაზინის გამდიდრების ახალ-ახალ მუხლებს, ენერგიული მოღვაწეობა გააჩაღა. ამ ღონისძიებებს ჩვენ სულითა და გულით ვუსურვებთ წარმატებებს, რომელთა მიზანი, რა თქმა უნდა, მთელი სახელმწიფოს კეთილდღეობაა. მაგრამ ამ ღონისძიებათა წარმატებისა და მიზანდასახულად განხორციელებისათვის ხშირად არ გვყოფნის მეცნიერებისა და ისტორიის მიერ გამომუშავებული საპირწონე...

თუ მათ მივუყენებთ ჩვენს მხარეს და კერძო საკითხს, ხაზინა და საერობო, უდაოდ, უფრო მეტ სარგებლობას ნახავს, ხოლო ადგილობრივი მინათმფლობელები ნაკლებ უსამართლობას იწვნევენ თუ ყველა ასეთი გადასახადისა და მოვალეობის განაწილების დროს, მათ მიმართ გამოიყენებენ ისეთივე საშუალებებს, როგორსაც რუსეთის იმ შიდა გუბერნიებში იყენებენ, სადაც მოქმედებს დებულება საერობო დაწესებულებათა შესახებ.

ქალაქის მეურნეობის საქმეში ჩვენი ადგილობრივი ადმინისტრაცია დარწმუნდა, რომ პოლიციის მეურნეობის მოწყობის ერთადერთი სამუალება „საქალაქო დებულების" შემოღებაა. ამ ჭეშმარიტების საუკეთესო ილუსტრაციაა ქალაქ ბათუმის მეურნეობის მაგალითი. მთელი ჩვენი მხარის საერობო მეურნეობა, რომელიც წელიწადში ხუთ მილიონ მანეთზე მეტს ხარჯავს, ჯერჯერობით ყველგან პოლიციელ-

თა ხელშია. ჩვენ ამას წინათ წერილში „პოლიციის უძლურობის მიზეზი“ (იხ. „ნოვოე ობოზრენიე,“ №1266) ვწერდით, რა ცუდად მოქმედებს ეს მოძველებული წესი თვით პოლიციის საქმიანობაზე და „უშიშროების პოლიციის“ დამცველი როლის წარმატებაზე. ასევე არადამაკმაყოფილებელია ეს წესი ხაზინისა და საერობოს თანხისა და შემოსავალის თანდათანობით ზრდის თვალსაზრისითაც. ეს ორი უხერხულობა სრულიად საკმარისია არსებული წესის შესაცვლელად. ჩვენ აღარაფერს ვამბობთ იმაზე, თუ რა კეთილისმყოფელ გავლენას მოახდენს ამგვარი ცვლილება გზათა მიმოსვლის განვითარებაზე და ჩვენი მაზრების გამოჯანმრთელებაზე.

ამ აუცილებელი რეფორმის გატარებას, რაც არანაკლებ სასარგებლო იქნება უმაღლესი ხელისუფლებისათვის, ვიდრე ადგილობრივი მოსახლეობისათვის, უმთავრესად ხელს უშლის რუსეთში საერობო დაწესებულებათა არასიმტკიცე. როგორც ცნობილია, ამჟამად ადგილობრივი მმართველობის კანონების გადახედვა ბოლომდე არაა მიყვანილი. ამიტომ წინადადებას ვიძლევი, ჩვენს საერობო დაწესებულებებს ძველი დებულება კი არ მიუყენონ, არამედ ადგილობრივი მმართველობის ის რეფორმა, რომელსაც შინაგან საქმეთა სამინისტრო აპროექტებს. როგორიც არ უნდა იყოს ეს რეფორმა, იგი საეჭვო მაინც არ იქნება, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი მხარის არსებობის ორმოცი წლის მანძილზე ცხოვრების ყველა სხვა სფერო განახლდა.

27. საუძმო საკითხავი

დაარქვით ამას ცრურწმენა, სამხრეთელის ახირება ყველაფერი, რაც გნებავთ, მაგრამ მაინც ვიტყვი, რომ ყოველთვის, როცა ჩემთან ვინმე თავის „პატრიოტიზმზე“ იწყებს ლაპარაკს, მარტო ამის გამო, გინდ უნიჭო იყოს იგი, გინდ ნიჭიერი, საეჭვო პირად ვთვლი. და ეს სულ ერთია, რომელ ერის წარმომადგენელიც არ უნდა იყოს, რუსი, ქართველი, ფრანგი თუ ინგუში. მე უკვე აღარ მახსოვს, რატომ გამიჩნდა ასეთი განწყობა—იმდენი ხანი გავიდა მას შემდეგ, მაგრამ ერთი რამ ნათლად ვიცი: რამდენჯერაც გამოვცადე ცხოვრებაში, ხალხის მოქმედებაში ეს ჩემი წესი, არასდროს შევმცდარვარ. ბევრი მიფიქრია

იმაზე, რომ გამერკვია ამ საერთო მოვლენის გამომწვევი მიზეზი. მე ვფიქრობ, რომ ზოგი ფაქტი და აზრი, რომელიც ამას ეხება, ღირსია იმისა, რომ მკითხველმა საზოგადოებამ მას ყურადღება მიაქციოს. მე დარწმუნებულიც კი ვარ, რომ დედამიწაზე არ დადის ადამიანი, რაც უნდა დაცემული და გაფუჭებული იყოს, რაც უნდა მდაბალი ბუნებისა იყოს, რომ არ უყვარდეს თავისი სამშობლო, თავისი მამული. ეს ბუნებრივი გრძნობა ჩვენთან ერთად იბადება, და მხოლოდ ჩვენი სიკვდილით ქრება. მისი არც ჩათესვა, არც აღმოფხვრა არ შეიძლება.

ქვეყანა, სადაც პირველად
შევიგრძნეთ არსებობის სიტკბოება,
მშობლიური მთები და ველები,
მშობლიური ცის ფერი,
ნაცნობი ნაკადულები,
ბავშვობის წლების უდარდელი ცელქობა
და პირველი გაკვეთილები,—
რა შეცვლის თქვენს მშვენიერებას?

პატრიოტიზმის ბუნებრივ გრძნობას აქვს კიდევ სხვა, უფრო სოლიდური საფუძველი, რომლის გაანალიზება შეუძლებელია, ისევე როგორც დედის სიყვარულის, თვითდაცვის და ა. შ. ეს ყველაფერი—მარტივია და არავითარ ახსნას არ საჭიროებს.

მართალია, ყველა არა, და არც ყოველთვის, განიცდის ამ გრძნობის არსებობასა და ძალას თავის თავში, ისევე როგორც არც ერთმა ჩვენთაგანმა არ იცის და არ ახსოვს, რომ მას აქვს გული და კუჭი, რომ მასში განუწყვეტლივ მიმდინარეობს სისხლის მიმოქცევა და ნივთიერებათა ცვლა. მაგრამ გადაიყვანეთ ადამიანი სხვა ქვეყანაში, სულერთია კულტურული და უზრდელი, კარგი თუ ცუდი, ან დაელოდეთ, რომ მას უბედურება შეემთხვეს, და თქვენ დაინახავთ, რომ ის იგრძნობს პატრიოტიზმის ამ უხილავი ძალის არსებობას, ისევე, როგორც მე და თქვენ კუჭი აგვტკივდება, ვგრძნობთ მის არსებობას და მნიშვნელობას. ყოველივე ეს, აგრეთვე, არ საჭიროებს ახსნას.

ყველაფერი ასეა. მაგრამ განა არ გაგაოცებთ ადამიანი, რომელიც დილიდან გვიან ღამემდე ბევრს ლაპარაკობს მხოლოდ იმაზე, თუ როგორ უყვარს ბავშვები და როგორი ერთგულია თავისი ოჯახის?

თქვენ იცით, რომ ნებისმიერ ქუჩის ძაღლს, ყარაბახულ სახედარსაც კი, თავდავიწყებამდე უყვართ თავიანთი შვილები. აქედან გამომდინარე, არაფერია გასაოცარი და არც საქებარი იმაში, რომ ცოცხალ

არსებას აქვს ეს თვისება, რომელიც ცხოველთა სამყაროსთვის არის დამახასიათებელი. როგორ გგონიათ, ამ ორიგინალურ არსებას რატომ მოუვიდა თავში ილაპარაკოს ასეთ ჩვეულებრივ გრძნობებზე და თავი მოიწონოს ასეთი ყველასათვის მისაღწევი როლით?

მხოლოდ ეს აზრი თქვენში იწვევს მრავალ შეკითხვას და ეჭვს. ცნობილია, რომ ქვეყნად არ არსებობს იმაზე მოკრძალებული და თავმდაბალი, ვიდრე ნამდვილი ჭეშმარიტი გრძნობა. იგი ყოველთვის ცდილობს მოეფაროს სხვისა და თუნდაც ახლობლების თვალს. ჭარბი გრძნობებისგან ადამიანი მუნჯდება, და ეს ფუჭი სიტყვები კი არ არის, არამედ სინამდვილეა. მოჩვენებითი გრძნობები საერთოდ ყოველთვის ხელოვნურია და საეჭვო. ვისაც ბევრი უსაუბრია ხალხში, მან შესანიშნავად იცის, რა ძნელია, თითქმის შეუძლებელია, სიტყვებით გადმოსცე ის გრძნობები, რომელიც გახრჩობს, მაშინაც კი, როცა შენი პიროვნება თხოულობს, რომ იგი გადმოღვაროს. მაგალითად, მან იცის, რომ სრულიად შეუძლებელია ეს გრძნობები გამოხატო არათუ მთელი სისრულით, არამედ ნაწილობრივაც კი. საჭიროა საკუთარ თავზე იხმარო უზომო ძალა იმისთვის, რომ შეძლო გამოთქვა ან გამოავლინო შენი განცდების უმნიშვნელო ნაწილი მაინც. ალბათ, ბუნებას ეს ასე უნდა მოეწყო, ვინაიდან წრფელ გრძნობას აქვს უდიდესი ძალა აღაგზნოს და დაღალოს არა მხოლოდ ის, ვინც მას გრძნობს და ცდილობს გადმოგვცეს, არამედ ყველა, ვინც ხედავს ან ესმის მისი გამოვლინება. ყველაფერი, სავსებით ყველაფერი, რასაც ვამბობთ ან ვწერთ გრძნობით, რასაკვირველია, გულწრფელი გრძნობით, აფორიაქებს და აღელვებს ყველას, განურჩევლად მსმენელისა და მკითხველის. სწორედ აქ იფარება საერთოდ ყველა დარგის გულწრფელი მოღვაწეობის ორგანული წარმატების საიდუმლოება, და ასეთივე წარუმატებლობა არაგულწრფელობისა. ვიმეორებ, გრძნობა არ არის ძალა, დიადი ძალა. ბუნებას კი უყვარს თავისი ძალების გაფლანგვა. თვალი შეავლეთ ორგანიზმებს, რომლებიც ბუნებამ გამორჩეული ძალით, თუნდაც ფიზიკური ძალით დააჯილდოვა. მაგალითად, რა შეიძლება იყოს ლომზე მშვიდი და უშფოთველი? მისი შემყურე ვინ ვერ მიხვდება, თუნდაც არ იცნობდეს, რა ძალა იმალება მასში? თუმცა მას ტყუილად არ უყვარს მისი ჩვენება. ზუსტად ასევე ბუნებასაც არ უყვარს მოჩვენებითი გრძნობების ჩვენება...

მეორე მხრივ, ბუნებაში ყოველი ნამდვილი და ბუნებრივი გრძნობების გამოვლინება ხდება ცნობილი დაურღვეველი პირობების შესაბამისად. ამ პირობათა შორის ყველაზე მნიშვნელოვანი—რაც ყვე-

ლაზე ზუსტად მნიშვნელოვანია—იმაში მდგომარეობს, რომ გულწრფელ გრძნობას უნარი აქვს მოძრაობაში მოიყვანოს მთელი ორგანიზმი, მთელი თავისი ძალებით, თვისებებითა და გამოვლინებებით. ადამიანს, რომელიც გულწრფელი რისხვითაა გამსჭვალული, არ შეუძლია გულიანად იხარხაროს სახის ნახევარი ნაწილით და განრისხდეს—მეორეთი. არა მხოლოდ მისი სულის ყოველი კუნჭული, არამედ მისი სახის ყოველი კუნთი, ყველა მყესი და სხეულის ყოველი ორგანო წამსვე ახდენს რეაგირებას ადამიანის განწყობაზე.

მცოდნე კაცმა უკუნ სიბნელეშიც რომ გაიგონოს ხმის ერთი ბგერაც კი, საკმარისია, მიხვდეს, ვინ დგას მის წინაშე—განრისხებული, მშვიდი თუ მხიარული ადამიანი. სინათლეში, ხმის ამოუღებლად, ერთი შეხედვით, შეიძლება მიხვდე, რა ხდება ადამიანის გულში. შეიძლება მას გვერდიდან ან ზურგიდან შეხედოთ და დამახასიათებელი ნაკვთების ფორმისა და ხაზების მიხედვით მიხვდეთ მის სულიერ განწყობას. იმის მიხედვით, თუ რა გრძნობა ეუფლება ადამიანს, იცვლება „ერთიანი განწყობა," ხმა, გამოხედვა, სახის გამომეტყველება, დგომა და მოქმედება. სწორედ ეს ქმნის ჭეშმარიტი გრძნობის იმ თავისებურებას, რომელსაც ამაოდ ელტვიან მსოფლიოს უდიდესი და გენიალური მსახიობები. ამ გრძნობის მეტ-ნაკლებად სარწმუნო გამოსახვისათვის ეს მსახიობები, მიუხედავად იმისა, რომ იციან ამ ამოცანის გადაუჭრელობა, თავს ძალას ატანენ, გონების დაძაბვით ცდილობენ საკუთარ თავში გამოიწვიონ სწორედ ის გრძნობა, რასაც მათგან როლი მოითხოვს. ცხოვრებაში კი გრძნობებით მსახიობობა იმიტომაც არ შეუძლიათ ან ვერ ახერხებენ, რომ ყოველ გულწრფელ გრძნობას თან მოჰყვება „ერთიანი განწყობა," და რაც მთავარია, ადამიანის ყოველი მოქმედების, მთელი ცხოვრების შეთანხმება მასთან. ეშმაკობა—ეს საბედნიეროდ თუ სამწუხაროდ, საკმაოდ რთული და სრულიად მიუღწეველი ამოცანაა.

თქვენ, რასაკვირველია, შეგიძლიათ ამტკიცოთ, რომ საშინლად გიყვართ ან გძულთ ვინმე. მაგრამ სიყვარულსა და სიძულვილს, განსაკუთრებით კი სიყვარულს, არავინ დაგიჯერებთ, ვიდრე თქვენი გრძნობის, თუნდაც წარმავალის გულწრფელობაში არ დარწმუნდება. ის ყველამ იცის, რომ ეს გულწრფელობა იზომება საყვარელ არსებაზე თქვენი ზრუნვით, მის მიმართ ყურადღებით, საკუთარი ინტერესების შეწირვის უნარით, თქვენი მისწრაფებით აამაღლოთ ის და ა. შ. ნებისმიერი მოახლე ან მკერავი ამ „კრიტერიუმით" ცდილობს დარწმუნდეს მისადმი გამოხატული სიყვარულის გულწრფელობაში. ასეთივე

კრიტერიუმი არსებობს პატრიოტული გრძნობების მიმართაც. არა მხოლოდ სიტყვებით, და სწორედ სიტყვებით, არ გამოიხატება ეს კეთილშობილი და ყველაფერთან შედარებით უმაღლესი გრძნობა. რაკი მოვლენათა მიმდინარეობამ ადამიანის შეგნებაში ეს გრძნობა აღძრა, ის თვითონ იგრძნობს, რომ უკეთესი, უფრო ადამიანური, წესიერი და კეთილი ხდება, ვიდრე აქამდე. „პირადი მოთხოვნები," რომელიც ასე ნაცნობი იყო მისთვის, უკვე აღარ იქნება მისი სურვილებისა და მოქმედების ერთადერთი მამოძრავებელი ძალა. ეგოიზმის გვერდით მასში გაიღვიძებს და თანდათან წამოიწევს ალტრუიზმი და ეს „განწყობის ერთიანობა", გრძნობისა და მოქმედების ეს თანხვედრა ადამიანს იქამდე მიიყვანს, რომ პატრიოტიზმით გულწრფელად გამსჭვალულს შეუძლებლად მოეჩვენება გაძარცვოს თავისი სამშობლოს ხაზინა, შეგნებულად შეიყვანოს შეცდომაში, შეარცხვინოს მისი ღირსება და ა. შ. აქედან ლოგიკურად გამომდინარეობს, რომ ხაზინის მძარცველები, მევახშეები, მექრთამეები, რომლებიც იოლად, მიზეზით თუ უმიზეზოდ ქადაგებენ სამშობლოს ამაღლებულ გრძნობას, არც მეტი, არც ნაკლები მლიქვნელები არიან და ლაპარაკობენ იმ გრძნობებზე, რომლებსაც სრულიად არ ფლობენ. სინამდვილეში რომ ჰქონდეთ ის გრძნობა, რითაც თავს გვაწონებენ, ეს უფლებას არ მისცემდათ ევნოთ სამშობლოსათვის და თავისი უწესო საქციელით შეერცხვინათ მისი კეთილი სახელი...

„გრძნობა—ძალაა,"—ითქვა ზემოთ. ამ ძალის ერთი საინტერესო თვისებაა განაახლოს, უკეთესი გახადოს ადამიანის ორგანიზმი. ყველამ იცის, რომ გრძნობის მოძრაობა—როგორიც არ უნდა იყოს—აფორიაქებს ადამიანს, გამოაცოცხლებს მას, იწვევს ნერვული და ტვინის სისტემის, მთელი სისხლის მიმოქცევისა და კვების დაძაბულ მოქმედებას, ე. ი. ფიზიოლოგიური სიტყვებით რომ ვთქვათ, აჩქარებს და აძლიერებს „ორგანიზმში ნივთიერებათა ცვლას." რასაკვირველია, ამის შედეგად იზრდება ადამიანის ბუნებრივი ნიჭი, მისი თვალსაწიერი, მისი ცოდნა. როგორც გონებრივად, ისე ფიზიკურად ყველაზე ადრე იფიტებიან, ჩაჩანაკდებიან და ღატაკდებიან დაჩლუნგებული გრძნობების ან სრულიად უგრძნობი ადამიანები. ამის საფუძველზე, ნამდვილი პატრიოტული გძნობების არსებობა და გამოხატვა ააქტიურებს ადამიანის ორგანიზმს. ეს იძლევა უხვ წყაროს და ახალ ძალებს გონებისა და გულისათვის. მოაზროვნე ადამიანი, რომელიც უმაღლეს მიზანს დაისახავს, მის შესასრულებლად ბევრს ფიქრობს, ანარმოებს

დაკვირვებას, იკვლევს ყოველივეს. ამიტომ ასეთ ადამიანს მუდამ უხვად აქვს საშუალება არა მხოლოდ ლაყბობით, არამედ საქმით გამოხატოს თავისი გრძნობები. ამ მდგომარეობაში ადამიანი ძლიერია თავის გრძნობების სიღრმით, თავისი ძალის შეგრძნებით, თავისი შეიარაღებით, თუ გნებავთ, საკუთარი დამსახურებით და მას არ სიამოვნებს მისი შინაგანი მდიდარი ბუნების ჩვენება ფუჭი, ბანალური, გაცვეთილი სიტყვებით... და თუ ვინმე ასეთი სიტყვებით ცდილობს ფონს გასვლას, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ორში ერთია: ან ახალბედა გულუბრყვილო გიმნაზიელია, რომელიც გულწრფელად იმეორებს დაზეპირებულ გაკვეთილს, ანდა მდაბალი მასხარა, რომელმაც გრძნობების გამოთქმა და გამოხატვა პროფესიად და სავაჭროდ გაიხადა. ამაზე დაბლა დაცემა შეუძლებელია...

რატომ მჭირდება ამაზე საუბარი?

მოგახსენებთ. იყო დრო, რომ ჩვენი ქვეყანა „მოქმედი პატრიოტიზმის" ასპარეზს, სამშობლოს გულწრფელი სიყვარულის სცენას წარმოადგენდა, სიყვარულისა, რომელიც ყოველდღიურად ვლინდებოდა უმაღლესი ფორმით—სიცოცხლის გაწირვით. ჩვენი და რუსეთის ქვეყნის ათასობით საუკეთესო შვილები ყოველწლიურად, უსიტყვოდ სნირავდნენ თავს სამშობლოს ინტერესებსა და ღირსებას. და ამ გმირებიდან არც ერთს არ მოსდიოდა თავში თავის პატრიოტიზმზე ეყვირა ტრიბუნიდან, პრესაში, მოხსენებებში, და მითუმეტეს, ეჭვი შეეტანა სხვაში. გადაშალეთ „კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის აქტების"[22] ცხრა მოზრდილი ტომი და დარწმუნდებით, რომ ამ ერთადერთ ბუნებრივ წესს, ერთი გამონაკლისიც კი არა აქვს. რასაკვირველია, მე არ ვამბობ, რომ ჩვენში ამოწყდა ასეთი ხალხი. საბედნიეროდ, ისინი არც ისე ცოტანი არიან ყველა ფენაში, ყველა სფეროში და ყველა ხალხში. მაგრამ ცხოვრების მიმდინარეობამ ახალი ტიპებიც წარმოქმნა, რომლებიც ურიგო არ იქნება ლიტერატურაში გამოვავლინოთ. გულწრფელი პატრიოტიზმი ადამიანებს ამაღლებდა არა მარტო ზნეობრივად, არამედ საზოგადოებრივი მდგომარეობითაც. სამშობლო აფასებდა, უყვარდა, აჯილდოვებდა გულწრფელად ერთგულ მოღვაწეებს, რომლებსაც მისთვის სარგებლობა მოჰქონდათ. წესიერი, პატიოსანი, გულისხმიერი ადამიანებისათვის ეს წახალისება და მაგალითი იყო. ამასთანავე, წარსულთა მაგალითზე ადამიანები ცდილობენ სამშობლოსათვის სასარგებლო და ნამდვილად ერთგულნი იყვნენ. მაგრამ მრავლად აღმოჩნდნენ სხვაგვარი ადამიანებიც, რომლებმაც წარ-

მოიდგინეს, რომ საზოგადოებრივ ღირსებებს და სამშობლოს აღიარებას, სამსახურში დაწინაურებას და ა. შ. არსებით და არაარსებით კეთილდღეობას ისინი მიაღწევენ „პატრიოტული კომედიით," უხვსიტყვაობით, ფიცით, დასმენით და ა. შ. და აი, მწყობრში გვერდი-გვერდ დგებიან ისინი, როგორც ნამდვილი მლიქვნელები და ყველა საზოგადოებრივ ადგილებში, ყოველ კუთხეში ქადაგებენ თავის „თავგანწირულ სიყვარულს" სამშობლოსადმი... გულწრფელიც რომ იყოს მათი სიტყვები, დამსახურებაში მაინც არ ჩაეთვლებათ, ვინაიდან სამშობლო ყველას უყვარს და ვალდებულია უყვარდეს. მაგრამ მათი სიტყვები არა მხოლოდ სიცრუეა, არამედ მავნეცაა: ისინი ფარისევლური და მკრეხელურია, და შეუძლებელია ცხოვრებაში ერთხელ მაინც გვეგრძნო, რომ ასეთი სიტყვები ფაქიზ და გაურყვნელ პიროვნებებში ზუსტად ისეთ შთაბეჭდილებას ახდენენ, როგორსაც წესიერ ადამიანებზე „საყვარელი კომედიის" სანახაობის ხილვა, რომლის ყიდვა შესაძლებელია.

28. მხოლოდ ნიჭისთვის?

გაზეთ „ნოვოსტში[23]" (№№342 და 349) მიმდინარეობს საინტერესო პაექრობა, საიდანაც ჩანს, რომ ჩვენში პრესას, თუნდაც სერიოზულს, არ შეუძლია რეალური ცხოვრების პრაქტიკულ საკითხებზე მსჯელობა. ბ-ნი მიხნევიჩი („კოლომენსკელი კანდიდი") ედავება ვიღაც „ინჟინერ in-spe"-ს იმის შესახებ, თუ რამდენად სამართლიანია, რომ ინჟინრები მაღალ ხელფასს იღებენ. ბ-ნი მიხნევიჩი ამტკიცებს, რომ ეს უსამართლობაა. მისი მონინააღმდეგე კი ცდილობს უარყოს ეს ბრალდება და ამტკიცებს, რომ ინჟინრები, რომელთაც დიდებისკენ გზა დახშული აქვთ, ბუნებრივია, მხოლოდ ანგარებისკენ ილტვიან. ეს გახლავთ ამ პაექრობის მთელი არსი, რამაც თითქმის მთელი გაზეთი დაიკავა.

ასე კამათი და მსგავსი მოსაზრებების გამოთქმა მხოლოდ იმ ადამიანებს შეუძლიათ, რომელთაც ოდნავადაც არა აქვთ წარმოდგენა იმ საგანზე, რაზეც კამათობენ. „ინჟინერ in-spe"-ს ეს უცოდინარობა ეპატიება: ის ჯერ მხოლოდ ოცნებობს ინჟინრობაზე, და, ალბათ, ასეთ კარიერაზე ფიქრობს იმ სულელური არაკების გამო, რომელიც პრესაში გავრცელდა ისეთი კომპეტენტური მოსამართლის წყალობით,

როგორიც ბ-ნი მიხნევიჩია. მაგრამ თუ თავისი კარიერა ამოირჩია იმ იმედით, რომ დიდი შემოსავალი ექნება პატიოსანი გზის, ცოდნის, ტალანტების წყალობით, მაშინ საბრალოს ცხოვრებაში მრავალი იმედგაცრუება და სინანული ელის...

ამ ბატონების პაექრობა არსებითად მცდარია, უფრო მეტი, მოკამათე მხარეები თავის მოსაზრებაში მართლები არ არიან, და აქედან გამომდინარე, არც დასკვნები აქვთ მართებული. ისინი რომ მეტად განათლებულნი იყვნენ, რომ არა მარტო იცნობდნენ საკამათო სფეროს, არამედ იცოდნენ პოლიტიკურ-ეკონომიკური ელემენტარული კანონებიც, მაშინ პოლემიკა არ წარმოიშობოდა, უფრო ზუსტად, იგი არა მარტო „საგზაო ფილოსოფიის" ინჟინრებს შეეხებოდა, არამედ იმათაც, ვისაც ეკუთვნოდათ.

დავინყოთ ფაქტების უბრალო ჩამოთვლით,რომლის შემოწმება ყველას შეუძლია. საერთოდ, როგორც სახელმწიფო, ისე კერძო გზების საუწყებო სამსახურში მყოფი ინჟინრები, იღებენ ხელფასს, რომელიც სრულიად არ აღემატება სხვა უწყების მოხელეთა ან სხვა პროფესიის წარმომადგენელთა ჯამაგირს. ხომ სრულიად არ ღირს ლაპარაკი დაბალ თანამდებობებზე, რომლებსაც გროშებს უხდიან. ასე, მაგალითად, თუნდაც რკინიგზის „გზის უფროსის" თანამდებობაზე, რომელიც მაინც სახარბიელო და ძნელად მისაღწევია. და საკმაოდ ძნელი, მუდმივი საქმიანობისა და საოცრად პასუხსაგები სამსახურისათვის ადამიანს, რომელმაც მიიღო უმაღლესი სპეციალური განათლება და საქმით დაამტკიცა თავისი არაჩვეულებრივი უნარი, უხდიან 3000 მანეთს. და ეს იმ დროს, როცა გარკვეული რანგის მქონე ადმინისტრაციული, სასამართლო, საბაჟო და ა. შ. სამსახურში მყოფი პირები, რომელთაც ხშირად მხოლოდ „ოჯახური განათლება" აქვთ მიღებული და რომლებიც ინჟინრებზე ორჯერ ნაკლებს მუშაობენ, იღებენ იმდენივე ან უფრო მეტ ხელფასს. მართალია, ხელფასის გარდა ინჟინრებს „უცოდველი შემოსავალი" აქვთ: მათ შეუძლიათ მოიპარონ სამუშაოზე, სამსახურში. მაგრამ ეს ანგარიშში მისაღები არაა. ქურდობა, ქრთამის აღება საერთოდ ყველა თანამდებობაზე შეიძლება, ბევრზე და უფრო უმტკივნეულოდ, ვიდრე საინჟინრო სამსახურში. რაც შეეხება „კერძო შემოსავალს," ინჟინერთა მდგომარეობა, სხვა მოკვდავებთან

შედარებით, უკეთესი არაა. „ნოვოსტში“ გამართული პოლემიკა კი სწორედ ჰონორარებს ეხება და არა ქრთამებსა და ქურდობას.

გავაგრძელოთ საუბარი. საინჟინრო უწყებაში ცოდნა, ტალანტი, გულმოდგინეობა იმაზე მეტად არ ფასობს, ვიდრე სხვა პროფესიებში. საკითხავია, რაში უნდა გამოვლინდეს ინჟინრის გონებრივი შემოქმედებითი ნიჭი, მდიდარი ცოდნა, მისი სასარგებლო გულმოდგინეობა? გზების მიმართულების მოხერხებულად შერჩევაში, ხიდების, ნაგებობების გონივრულად დაპროექტებაში, ხომ მართალია? მაშინ როცა ყველაზე მთავარ საქმეში, საინჟინრო გამოსაცდელ საქმეში, რკინიგზების საძიებო საქმეში, ხიდების დაპროექტებაში და ა. შ., გზათა სფეროში უკვე გამომუშავდა შეუცვლელი ნიხრი, რომლის მიხედვითაც ყოველ გამოკვლეულ ვერსში იხდიან 25 მანეთს. აი, რა ღირს საგზაო საქმეში საინჟინრო გენიის, შრომისა და ცოდნის უმაღლესი გამოვლინება, რომელსაც ჩვენი პრესა კალიფორნიის კარიერად მიიჩნევს. მართლაც შესაშურია, ხომ?

და განა შეიძლებოდა სხვაგვარად? ინჟინრები, ხომ იგივე დაქირავებული პირები არიან, რომლებიც მეწარმეებისათვის, პატრონისათვის მუშაობენ. თანამედროვე პოლიტიკურ-ეკონომიკური მეცნიერების მიერ განმარტებული ელემენტარული კანონი კი გვამცნობს, რომ დაქირავებული პირი პატრონისაგან იღებს ზუსტად იმდენს, რამდენიც მისი წრის პირობებისა და შეხედულებების მიხედვით მას ჭირდება ცხოვრებისათვის და ოჯახის რჩენისათვის, არც მეტს, არც ნაკლებს. გეკითხებით, რა ძალის დახმარებით შეეძლოთ ინჟინრებს თავი დაეღწიათ ამ შეურყეველი კანონისათვის, და საიდან მოიტანეს ეს ბ-ნებმა მიხნევიჩმა და „ინჟინერმა in-spe-მ ?“

თუმცა, მათი შეცდომა გასაგებია. ეს გამომდინარეობს იქედან, რომ აზროვნებისა და ფაქტების განზოგადების უნარი არა აქვთ. მათ ნახეს, რომ ესა თუ ის ინჟინერი წელიწადში იღებს 25 ან 30 ათას მანეთს და სასწრაფოდ გააკეთეს დასკვნა: ყველა ინჟინერს მაღალი ხელფასი აქვს! გასაგებია, რომ ასეთი დასკვნა არაფრით ჩამოუვარდება იმ. ახირებული ინგლისელი ტურისტის ჩანაწერს, რომელიც პარიზში პირველი ჩასვლისას პირველივე სასტუმროში წაანყდა წითურ მოახლეს და დაასკვნა, რომ ყველა ფრანგი ქალი წითურია. ბ-ნებს მიხნევიჩს და „ინჟინერ in-spe“-ს თანამედროვე ცხოვრების სწორი გაანალიზება რომ შეეძლოთ, ისინი მალე დარწმუნდებოდნენ, რომ იმ მოვლენებში, რამაც ასე გააოცა ისინი, ინჟინრობა არაფერ შუაშია.

მართლაც რომ საქმე ისე იყოს, როგორც „ინჟინერი in-spe“ ამბობს და ინჟინრებს დიდი ხელფასი, თუნდაც წელიწადში ასი ათასი მანეთი ეძლეოდეთ ნიჭის, აღმოჩენების, შრომის საზღაურად, ეს უნდა გაგვხარებოდა და ტაში შემოგვეკრა. მთელმა ქვეყანამ იცის, რომ ფერდინანდ ლესეფსი თავის საინჟინრო საქმიანობაში წელიწადში ასი ათასობით ფუნტს იღებს იმ სახელთან ერთად, რომელიც ამ შრომით აქვს მოპოვებული. მაგრამ თავში არავის მოსვლია ასეთ მიღებულ გასამრჯელოზე სიბილნე ეთქვა. ის კანონიერია და წმინდა. მაგრამ იმ წრეში, სადაც დიდ ხელფასიანი ადამიანები არიან, ვერავინ დააასახელებს თუნდაც ერთ ინჟინერს, რომელიც წამოინია თავისი საინჟინრო დამსახურებებისა და შრომის წყალობით. იმ პირთა შორის, რომლებიც ყოველწლიურად 12. 000 მანეთზე მეტს იღებენ, თუნდაც მესამედი, თუნდაც მეათედი რუსეთის საუკეთესო ინტელიგენციის კუთვნილება რომ იყოს, მაშინ ულაპარაკოდ „ინჟინერ in-spe“-ს დასკვნები სავსებით მართებული იქნებოდა. მაშინ ბ-ნ მიხნევიჩს ისღა ექნებოდა სათქმელად, რომ სამწუხაროდ, სხვა დარგებშიც, ჯერ არ დამკვიდრებულა შრომისა და ნიჭის ასეთი სამართლიანი ანაზღაურება. მაგრამ ფაქტები ჯიუტად უარყოფენ ამ ილუზიას.

რუსეთის ინჟინრებს შორის მრავლად გვხვდება შესანიშნავად მომზადებული, საკმაოდ პატიოსანი და დიდი ნიჭის მქონე ხალხი. მაგრამ ჩვენი რკინიგზების კონცესურ პრაქტიკაში ჯერ არავინ ნამოწეულა წინა პლანზე და ვერც ვერასდროს წამოიწევს. ეს ბედის კანონია, რომელიც ცალკეული ადამიანების ძალაზე და ნებისყოფაზე მაღლა დგას. რას ემყარება ეს კანონი? უბრალოდ, მთელი ჩვენი საკონცესიო სისტემის ყალბ წყობას. ეს ფრიად საინტერესო საკითხია, რომელიც ფართო გაგებით დაფიქრებას საჭიროებს.

საზღვარგარეთ, სადაც კონცესიები ეძლეოდათ ნამდვილ კაპიტალისტებს, რომლებიც რკინიგზის მშენებლობაში მთელ თავის კაპიტალს აბანდებდნენ, კონცესიონერები საჭიროებდნენ საინჟინრო ნიჭის გამოყენებას თავისი გზების განვითარებისათვის, მონესრიგებისათვის, სრულყოფისათვის. რაც უფრო უკეთ, ეკონომიურად, ჭკვიანურად ხდებოდა გზის ექსპლოატაცია, მით უფრო მეტ დივიდენდს იღებდა კაპიტალისტი—კომისიონერი. ამიტომ ის დაინტერესებული იყო წამოენია, ნაეხალისებინა ინჟინრების მხოლოდ ტალანტი, ცოდნა და გულმოდგინება. საზღვარგარეთ სწორედ ამის გამო წარმოიქმნა პირველი კლასის ინჟინრების უდიდესი კონტიგენტი, რომლებიც იქაური „ინჟინრებისათვის“ მისაბაძ და წამახალისებელ

მაგალითს წარმოადგენენ. ჩვენში კი—არ იყო არც ერთი კონცენსიონერი, რომელიც წარმოების დაწყებისას ნამდვილ, საკუთარ კაპიტალს ფლობდა, არც ერთი, შტიგლიცის გარდა. კონცესიას აძლევდნენ სრულიად არაფრის მქონე პირებს, რომლებიც დაუბრუნებლად იღებდნენ ვალს კონცესიის მიღებისათვის განეული ხარჯებისათვის. როგორც კი მიზანს მიაღწევდნენ, ახალგამომცხვარ კონცესიონერებს მთელი თავისი ენერგია უნდა მიემართათ იქითკენ, რომ გამდიდრებულიყვნენ გზის მშენებლობის ხარჯზე, მშენებლობისა, რომელიც სახელმწიფოს თანხებით, ანდა ხაზინიდან აღებული სესხით მიმდინარეობდა. ამ მშენებლობის დროს ვინც მოახერხა გადაემალა თანხა, რითაც გადაიხადა აღებული ვალები და უფრო მეტიც, ხელი არ ეხლო და არ დაეგირავებინა გზის აქციები, ანუ ვისაც მშენებლობის დამთავრების შემდეგ თავისთვის რამდენიმე მილიონი „მოგება“ დარჩა, ის, რასაკვირველია, თავის შემდგომ საქმიანობას რკინიგზის ექსპლოატაციაში მეტ-ნაკლებად პატიოსნად წარმართავს. იგი დაემსგავსება საზღვარგარეთელ კონცესიონერს, ვინაიდან მისი მოგება მდგომარეობს მუქთად მიღებული აქციების დივიდენდებში. მაგრამ ეს ბედი მხოლოდ ერთ-ორ ბედნიერ პირს ხვდა წილად, ფონ-ფერვიზებს, პოლიაკოვებს და მეტს არავის. დანარჩენები კი განგების ძალით იძულებული იყვნენ გამოდევნებოდნენ ახალ და ახალ მშენებლობას, თუნდაც გზისათვის სრულიად უაზროს. და თუ სამუშაოს არ აძლევდნენ, მაშინ საჭირო ხდებოდა გაეძარცვათ საექსპლოატაციო გზა: სამმაგ ფასად გაეკეთებინათ შპალები, რელსები, სამაგრები და ა. შ., რომლებიც სრულიად არ იყო საჭირო, მოიჯარესთან გაეყოთ საწვავი, ქაღალდი, ორთქმავლები, ტანსაცმელი და ა. შ. და ა. შ.

ცრუკონცესიონერების ასეთი მოღვაწეობა ენინააღმდეგებოდა რუსეთის რკინიგზების წესდების სულსა და წესს. ის შეიძლებოდა ყოფილიყო მხოლოდ საფარველქვეშ, გზათა უწყებისა და ფინანსთა სამინისტროების თვალთახედვიდან ფარულად. ამ გზაზე ყოველი ნაბიჯი არა მარტო კანონის გადახვევაა, არამედ პირდაპირი ბოროტმოქმედებაც, რომელსაც თან მოჰყვება სისხლის სამართლის პასუხისგება, და მომავალში შეიძლება ციმბირიც. ჩვენ კონცესიონერებს, იმის გამო, რომ მთელი მათი მოღვაწეობა ასეთ გზას დაადგა, ესაჭიროებოდათ არა ინჟინრები, არა ცოდნა, არა ტალანტები, არამედ სახელმწიფო ხაზინის მოხერხებულად და ლეგალურად ძარცვაში დამფარველები და ხელის შემწყობნი.

ამიტომაა, რომ რუსეთის სამ-ოთხ რკინიგზაზე თუ ექნებათ საინჟინრო და სხვა ყველა მთავარი თანამდებობა დაკავებული ისეთ პი-

რებს, რომლებიც თავისი დამსახურებითა და ტალანტის წყალობით დაწინაურდნენ. ყველა სხვა შემთხვევაში, გამონაკლისის გარეშე, ყველა მსგავს პასუხსაგებ თანამდებობაზე გვხვდებიან მხოლოდ შემთხვევითი, „ერთგული" ადამიანები. ამასთან, პიროვნების ნესიერება, პატიოსნება, მომზადება და ტალანტი ასეთი ადგილების მისაღებად მისთვის გადაულახავ დაბრკოლებად იქცევა ხოლმე. ეს გასაგებიცაა. რომელ ნიჭს, რომელ კეთილსინდისიერებას მოუნდება სიყალბისა და ძარცვისათვის გაციმბირება? და განა შეიძლება ასეთ თანამდებობაზე გყავდეს ხალხი, რომლებიც ყოველ წამს ეწინააღმდეგებიან პატრონის ნებას, ჭირვეულობასა და იდიოტობას.

აი, რისთვის იყო საჭირო ეს „უზარმაზარი ხელფასი", წელიწადში 25, 30 და უფრო მეტი ათასი მანეთიც. ის აუცილებელი იყო საწყალი, უსახური და უსახელო ლოთების მოსატყუებლად, რომლებიც დათრგუნული იყვნენ სიღატაკითა და მრავალრიცხოვანი ოჯახის უღლით. კონცესიონერები სანთლით ეძებდნენ და ეძებენ ასეთ დიპლომიან მსხვერპლს, რომელთაც საზოგადოების წინაშე ზნეობრივი, მოსალოდნელი პროკურორის წინაშე კი სისხლის სამართლის ყოველგვარი პასუხისმგებლობა არაფრად მიაჩნიათ, ვინაიდან მათ დასაკარგავი არაფერი ჰქონდათ, არც არაფერი ჰქონდათ გასაფრთხილებელი. კონცენსიონერები გვერდს უვლიდნენ ცნობილ, გონიერ და პატიოსან ინჟინრებს და გზების მმართველებად, გამგეობის წევრებად და ა. შ. იღებდნენ და იღებენ უცნობ და სრულიად უსახელო, უშემოსავლოდ მოხეტიალე ინჟინრებს და მომავალში მათ უზარმაზარ ხელფასს პირდებიან. გასაგებია, ინჟინრებს ნერწყვი მოსდით. მაშინ უდებენ პირობას და იღებენ გარანტიას, რომ მნიშვნელოვან და უფლებამოსილ თანამდებობაზე მყოფი ინჟინერი უსიტყვოდ დაემორჩილება კონცესიონერის ნებას: ხელს მოაწერს ყალბ ქვითრებს, ჩაიბარებს დაუმთავრებელ ნაგებობებსა და უკონტრაქტო მომარაგებას, ჩააბარებს ნაღდ სამუშაოს კონცესიონერის მითითებით, შეადგენს ყალბ ხარჯთაღრიცხვას და საკმაოდ ხშირად მისცემს კონცესიონერს ფულს საექსპლოატაციო სალაროდან, არ დაინდობს „სახელმწიფო შემოსავალსაც." და უდიდესი ხელფასები ეძლევათ ამ დანაშაულისათვის და არა ტალანტისათვის. იმ გზებზე, რომლებიც არ საჭიროებს მსგავს მოქმედებებს, არც არის დიდი ხელფასი.

ესაა საქმის არსებითი მხარე, რომლისთვისაც „ნოვოსტში" ერთმანეთს ექიშპებიან ბ-ნები მიხნევიჩი და „ინჟინერი in-spe-ს"—ახლა საკითხავია, რა შუაშია აქ ინჟინრობა და „საინჟინრო ჰონორარი?" რა

კავშირია ჰონორარსა—შრომისა და ცოდნის ამ საბაზრო ფასსა და დანაშაულებრივ მოქმედებაში თანამონაწილეებისა ან სხვისი დანაშაულის საკუთარ თავზე აღებისათვის მიღებულ საზღაურს შორის. განა ცოტა შემთხვევებია, როცა გადამწერები სახელმწიფო უწყისებში ყალბი ამოფხეკისა და ჩანაწერების გაზვიადებისათვის უზარმაზარ ფულს შოულობდნენ? უდავოა, გადამწერთა შორის გვხვდებიან ისეთი პირები, რომლებიც ყოველგვარ სისაძაგლეს იკადრებენ. მაგრამ ეს განა ნიშნავს, რომ ყველა გადამწერი არამზადაა, რომ არსებობს რაღაც „გადამწერთა ფილოსოფია?" მაშ რატომ წერს ბ-ნი მიხნევიჩი „საგზაო ფილოსოფიაზე," ხოლო „ინჟინერი in-spe-ს" მთელი ძალით ცდილობს გაამართლოს ეს არარსებული ფილოსოფია?

ახლა საკითხავია, სერიოზული პრესის მხრიდან, რამდენად სამართლიანი იქნება საქმის არსებული ვითარების დამახინჯება და მისი მართებულად გაშუქების ნაცვლად მკითხველ საზოგადოებაში მცდარი და უაზრო შეხედულების გავრცელება, რომელიც მთელ რიგ უდანაშაულო ადამიანს შეცდომაში შეიყვანს? განა შეიძლება დავუშვათ, რომ ჩვენს ინჟინრებში, რომელთა რიცხვი ათასებს აღწევს, სამუდამოდ ჩაქრა პატიოსნებაც, სინდისიც და კეთილსინდისიერებაც? საბედნიეროდ, არა. ამ სფეროში ისეთი პირობებია, რომ სუსტი პიროვნებანი სავსებით იხრწნებიან. ეს სიმართლეა. მაგრამ კაცობრიობა მხოლოდ სუსტი პიროვნებებისაგან ხომ არ შედგება; აგრეთვე უქმად არ იკარგება მეცნიერების გონებრივი განვითარების ნაყოფი და ზნეობის გაკვეთილები. თანამედროვე ცხოვრებაში საინჟინრო წრე ერთი ყველაზე სავალალოა. უმეტეს შემთხვევაში მას უკონტროლოდ განაგებენ კონცესიონერები, რომლებიც სისტემატურად, ბოროტი, წინასწარ მოფიქრებული განზრახვით თავის „დაქირავებულებში" ახშობენ სულისა და გონების ყოველგვარ პატიოსან და კეთილშობილ გამოვლინებას და აღვივებენ ამ ინტელიგენტი ფენის მხოლოდ ნაძირალების მდაბალ, ანგარებიან და ყოველგვარ ცუდ ინსტინქტებს. აი, ერთი შეხედვით რატომ გვეჩვენება, რომ როლს ასრულებენ და ტონს იძლევიან მხოლოდ ეს ნაძირალები. მაგრამ ძირითადი მასა ამ „გამოჩენილ" და ყალბ ადამიანებზე გაცილებით მაღლა დგას.

ფილოსოფიურად მოაზროვნეა ადამიანები, რომელთაც ესმით „საზოგადოებრივ ცხოვრებაში კანონიერება," კარგად იციან, რომ მსგავსი მოვლენები ყოველთვის გარდაუვალია, როცა საქმეს სათავეში უდგას სიყალბე და ისეთი ადამიანები, რომელთაც უფლება აქვთ საწარმოს ბედი განაგონ. ამისთვის მოგვყავს ისტორიული მაგალითი:

1851 წელს, როცა საფრანგეთში ნაპოლეონ მესამემ, მოტყუებისა და დანაშაულის გზით, ხელში ჩაიგდო ხელისუფლება, რომლის უფლება მას არც კანონის ძალით, არც გონებისა და ხასიათის სიძლიერით, არც ქვეყნის წინაშე დამსახურებით, არც საკუთარი და საზოგადოებრივი მისწრაფებების ერთიანობით არ ჰქონდა, მას ადგილის შენარჩუნება მხოლოდ მთელი რიგი მოტყუებებითა და დანაშაულებებით შეეძლო. გასაგებია, რომ თავის თანამშრომლებად მას შეეძლო აეყვანა თავისი ქვეყნის არა საუკეთესო შვილები, არამედ ნაძირალები: მორნისა და სანტ-არნოს მსგავსი მფლანგველები, ლოთები და შულერები, უსახელო და უსინდისო თავგადასავლის მოყვარულები, დიუკროს, ბაზენისა და მისთანათა მსგავსი ადამიანები, რომლებიც ყველაფერს იკადრებდნენ. განგების ძალით, მისი ძირითადი, ასე ვთქვათ, პირველყოფილი ცოდვის სახელით, დაეწყოთ ქვეყანაში ყოველგვარი პატიოსნებისა და კეთილშობილის ჩახშობა მნიშვნელოვან სახელმწიფო და სამხედრო თანამდებობებზე ფრანგული საზოგადოების ნაძირალების დანიშვნით... სხვაგვარად არც შეიძლებოდა. იმ იშვიათ შემთხვევაშიც კი, როცა ცხოვრების მსვლელობით ნაპოლეონ III-ს საშუალება ეძლეოდა სიმპათიისა და მხარდაჭერის ღირსის როლი და ამოცანა შეესრულებინა და ამის გამო მასთან ერთად და მისი პროგრამით საფრანგეთის პატიოსანი დამოუკიდებელი მოღვაწეები მოქმედებდნენ (პრუდონი, ლესეპსი და რესპუბლიკელები თავისუფალი ვაჭრობისა და იტალიის დამოუკიდებლობის საკითხებში), მაშინაც კი ბედისწერა თვითმარქვიას ისევ გარყვნილების, სიყალბისა და განხეთქილებისაკენ გადაისროდა. და ბოლოს და ბოლოს პირველშობილმა ცოდვამ თავი იჩინა, როცა დადგა გამოცდის ჟამი, რაც გამოიწვია მხოლოდ და მხოლოდ ნაპოლეონის მიერ ბედისწერის ძალით თავზე მოხვეული უღირსი მმართველობის უტვინობამ. მისი მმართველობიდან და გენერლებიდან ვერც ერთმა ვერაფერი გააკეთა, ვერ გაიაზრა, ვერ მოიშორა და ბონაპარტის რეჟიმი დაეცა თავისით, საერთო სიძულვილის ძალით. იგი ვერ იხსნეს მის მიერ უხვად დაჯილდოებულმა ნაძირალებმა, რომლებიც 300. 000 და 500. 000 ფრანკს იღებდნენ (ბაზენისა და პერსინის მსგავსად). ცნობილია, რომ ეს ნაძირალები... პირველები განუდგნენ.

და უღალატეს თავის მახვილს!

სიტყვა-სიტყვით იგივე ხდება ჩვენს საინჟინრო სამყაროში, რაც გამოწვეულია ცრუკონცესიონერების პირველშობილი ცოდვით, რომელთაც ერთ ბნელ „დეკემბრის“ ღამეს მოეჩვენათ, რომ უკაპიკოდ,

ძალისა და მონდომების გარეშე, მხოლოდ მოსყიდვითა და ადამიანთა ანგარებიან ინსტინქტებზე ზემოქმედებით შეძლებენ, ხელში აიღონ მთელი რუსეთის სამიმოსვლო გზები.

ეჭვგარეშეა, ეს კონცესიონერები დამარცხდებიან. ადრე თუ გვიან, რკინიგზები გამოსყიდული და მონესრიგებული იქნება. და საზოგადოების ზედამხედველობის ქვეშ, ჩვენი ინჟინრები დაგვიმტკიცებენ, რომ მათში იყვნენ და არიან ადამიანები, რომელთაც შეუძლიათ სახელმწიფოს არა მარტო ძარცვა, არამედ განდიდება და სახელის განთქმა. გჯეროდეთ, ეს დრო არც ისე შორსაა.

29. მოვმწიფდით კი?

მალე ასი წელი შესრულდება, რაც ჩვენი მხარე რუსეთს შეუერთდა, მაგრამ რუსეთის წიგნიერი მასისათვის, აღარაფერს ვამბობ უნიგნურზე, კავკასია აქამდე რჩება იმავე „დამლუპველ“ მხარედ, როგორადაც ერთი საუკუნის წინათ ითვლებოდა. ყოველი მოუმწიფებელი კაცი, ჩვენთან რომ ჩამოდის, ყოველი კანტონისტი[24], როცა ჩვენს მხარეზე მსჯელობს, ზუსტად ისე უყურებს მას, როგორც ჩვენ ვმსჯელობთ ჰოტენტოტებზე[25] და წითელკანიანებზე. ასე დიდია რუტინისა და ცრურწმენის ძალა.

ადამიანები რომ მართლაც აზროვნებდნენ და არ სწამდეთ ერთხელ შეთვისებული ცრუ რწმენანი, მათ რომ უნარი შესწევდეთ დამოუკიდებლად ადევნონ თვალყური სინამდვილის რეალურ გამოვლინებას, შეამოწმონ ცხოვრების ფაქტები, შეადარონ ერთმანეთს, განაზოგადონ და ჩახვდნენ მათ, მაშინ იქნებოდა კი შესაძლებელი ამგვარი უაზრო ცრუ რწმენის სიცოცხლისუნარიანობა?! დავანებოთ თავი ასეთი ანალიტიკური ცხოვრების „გამოცდილებას,“ განა ცოტათი სოლიდურ მეცნიერულ მომზადებას, რომელიც ისტორიულ—ფილოლოგიურ შეხედულებებს იძლევა, დიდი ხნის წინათ არ უნდა მოერყია და მოესპო ასეთი ცრუ რწმენა ერთი წმინდა დედუქციური მოსაზრებით? უკვე ოცი საუკუნეა, რაც ჩვენი მხარე ისტორიული ცხოვრებით ცხოვრობს, რაშიც უნდოდათ თუ არა, მაინც უნდა მიეღოთ მონაწილეობა ადგილობრივი მოსახლეობის ყველა ფენას და ელემენტს. საკითხავი ის კი არ არის, როგორი იყო ეს ცხოვრება, ბედნიერად აეწყო თუ უბედურად. ეს საქმეს არ ეხება. არსებითი ისაა, რომ ეს ცხოვრება

სავსე იყო განუწყვეტელი ღელვით, ზრუნვით, დიდიან—პატარიანად ჩვენი მხარის მცხოვრებლების ძალებისა და აზრების დაძაბვით. შეიძლება კი, რომ გონებისა და ძალების ამ ოცსაუკუნოვან განვითარებას არ განევითარებინა მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც გადარჩა და გადაიტანა მღელვარებანი. განა შეიძლება ჩვენში დარღვეულიყო განვითარების კანონები—ენერგიის დაგროვება, შეგნების, გონების განვითარება არ მომხდარიყო?! ხომ შეიძლება მთელი ქვეყნისათვის ფიქრის მემკვიდრეობითი გადმოცემა. უდაოა, რომ არსებობისათვის ოცსაუკუნოვან ბრძოლას შეეძლო რიცხობრივად შეემცირებინა ესა თუ ის ხალხი, შეეძლო მოეშალა მისი წყობა, ორგანიზაცია, პოლიტიკური თვითმყოფადობა. მაგრამ ხარისხობრივად ამ ბრძოლას შეეძლო განევითარებინა ყოველივე ამის გადამტანი ხალხის ინდივიდუალური ორგანიზმები. ყოველ შემთხვევაში, ასე ამტკიცებენ ფიზიოლოგები, ისტორიის ფილოსოფოსები და ამას ამტკიცებს უბრალო საღი აზრიც. ამიტომ, მხოლოდ ამ აპრიორულ საფუძველზე, განათლებულ ადამიანებს შეეძლოთ თავი შეეკავებინათ წინდაუხედავი შეხედულებებისაგან, რასაც მათ ქარაფშუტობა და უმეცრება შთააგონებს.

მაგრამ დავუშვათ, რომ არ შეიძლება დავეყრდნოთ არავითარ დედუქციას, რომ არაფრის აგება არ შეიძლება მეცნიერების დასკვნების საფუძველზე. უარვყოთ წინასწარ აკვიატებული შეხედულებები, რათა ვიმსჯელოთ მხოლოდ და მხოლოდ ცხოვრების შიშველი ფაქტებით.

აქ, უპირველეს ყოვლისა, უნდა შემოვიტანოთ ერთი შესწორება, რაც აგვიხსნის იმ უაზრო ცრუ რწმენის წარმოშობისა და სიცოცხლისუნარიანობის საიდუმლოებას, რომელზედაც ვლაპარაკობთ. ჩამოვიდოდა ჩვენს მხარეში რომელიმე ადამისდროინდელი მაგიდის უფროსი, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე გაატარა დეპარტამენტებში, ეგზეკუტორებსა და არხივარიუსებს შორის, რომელთა განათლებას მხოლოდ გარეგნული პენი ჰქონდა. მისთვის ახლობელი ცხოვრებისეული საკითხების პირველივე აბზაციდან იგი აწყდებოდა მეთულუხჩეს ან მზარეულს, რომელთაც, ცხადია, ხეირიანად ვერც კი აუხსნიდა ვერაფერს. თავისებური ცხოვრების ახალი პირობები, იმგვარი კომფორტის უქონლობა, რაც დედაქალაქებში სტეკულისტებისთვისაც კი ხელმისაწვდომია, ჰქმნიდა „ჩამორჩენილობის," „ველურობის" და „უმეცრების" შთაბეჭდილებას. არსებობდა ყოველივე ამის მზამზარეული ახსნა და ზედმეტად რომ არ შეეწუხებინა თავი რეალურ ჭეშმარიტებათა ძიებით, მისი გონება ამ ახსნით კმაყო-

ფილდებოდა. საერთოდ, ადამიანები ასე აზროვნებენ: მათ მხოლოდ ჰიპოთეზა სჭირდებათ და არა ჭეშმარიტება. ჩვენი მაგიდის უფროსს, რომ ჭეშმარიტების ძიება დაეწყო ან ძიების უნარი ჰქონოდა, მიხვდებოდა, რომ, ჯერ ერთი, ნაჩქარევი დასკვნის გამოტანა საერთოდ არაა საჭირო, მეორეც, მეთულუხჩე უნდა შეადარო ნყლის მზიდავს და არა ეგზეკუტორს, მესამე, ჩვენი მხარის მოსახლეობა მარტო მეთულუხჩეებისა და მზარეულებისაგან არ შედგება. ამ მოსახლეობას შეიძლება მათგან განსხვავებული შეხედულებები, ჩვევები და ინტერესები ჰქონდეთ...

თუ ვეცდებით თავიდან ავიცილოთ ჩვენი მაგიდის უფროსის შეცდომები და „მსგავსს მხოლოდ მსგავსს" შევადარებთ, მაშინ დავინახავთ შემდეგ უცილობელ და უდაო ფაქტს.

შედარებისათვის ავიღოთ მხოლოდ ის მაგალითები, სადაც ყოველგვარი „გარედან ჩარევის" გარეშე, დამოუკიდებლად მჟღავნდება საზოგადოებისა და მისი ნევრების მოღვაწეობა. შევადაროთ ერთმანეთს, მაგალითად, აქაური თვითმმართველობის ბედი ჩვენი სამშობლოს სხვა ქალაქთა თვითმმართველობის ბედს. ავიღოთ ჩვენი ქალაქის სათათბირო და გამგეობა და შევადაროთ ისინი დედაქალაქების, უკლებლივ სხვა ქალაქთა სათათბიროებს. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი თვითმმართველობა ახალფეხადგმულია, მაშინ როცა შიდა გუბერნიებში ისინი ბევრად ადრეა შემოღებული, ვიდრე ჩვენში, შედარებიდან გამომდინარე დასკვნები მაინც ჩვენს სასარგებლოდ მეტყველებენ. ჩვენში არათუ არ უცხოვრია, ყველაზე მივარდნილ ქალაქშიც კი არ შეიძლებოდა ეცხოვრა რიკოვის მსგავს მოღვაწეს და რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, არ შეიძლებოდა ყოფილიყო მთელი სათათბიროს, მთელი ქალაქის მოსახლეობის ჯოგივით დამორჩილების შემთხვევა. აქ ისეთი მოვლენებიც კი წარმოუდგენელია, როგორიცაა „შავრაზმელობა" პეტერბურგის სათათბიროში და სამიკიტნოს პარტია მოსკოვის სათათბიროში. და ყოველივე ეს იმიტომ კი არ არის წარმოუდგენელი, რომ ჩვენში არ არიან იმის მსურველნი, თავიანთი თანამედროვეების უმეცრებას ექსპლოატაცია გაუწიონ, ასეთები ყველგან მოიძებნება, არამედ იმიტომ, რომ ჩვენს საზოგადოებაში არ გვხვდება იმგვარი გულგრილობა საზოგადოებრივი კეთილდღეობისადმი, რაც დამახასიათებელია იმ ქვეყნებისათვის, რომლებიც დიდხანს ცხოვრობდნენ მშვიდობიანად ძლიერი ხელისუფლების მფარველობის ქვეშ, ისეთი ხელისუფლებისა, რომელმაც

მთლიანად თავის ხელში აიღო საერთო ინტერესებისათვის მზრუნველობა და მოქალაქეებს მხოლოდ თავის პირად ბედნიერებაზე, თავის „პერანგზე“ ზრუნვა დაუტოვა...

ავიღოთ მეორე მაგალითი: ჩვენი ბანკები. შეადარეთ მათი ბედი, როლი და მდგომარეობა შიდა გუბერნიებისა და დედაქალაქის ბანკებს და დარწმუნდებით, რომ მდგომარეობა აქაც ჩვენთვის უფრო ხელსაყრელია. რა ქარიშხლები ატყდება ჩვენს პრესაში ბანკების კრებებზე საბანკო ნესდებისაგან ოდნავ გადახრისა და მმართველთა დაპირებების შეუსრულებლობის გამო. ამის მეათასედი რამ თუ მომხდარა ოდესმე რუსეთის ბანკების კრებებზე, იმ ბანკებისა, რომელთაც წინასწარ ძარცვავდნენ მათი მმართველები და მილიონებს იპარავდნენ. ჩვენი მსხვილი თუ მცირე ბანკის რომელი მოღვაწე, რომელი დირექტორი და მოლარე იყო ერთხელ მაინც მხილებული ფულის გადამალვაში ან დატაცებაში? თუმცა ისიც მართალია, რომ ამ მხრივ მხოლოდ თბილისის საქალაქო საკრედიტო დაწესებულება ცელქობს. მაგრამ ჯერ ერთი, ამის გამო მის მმართველობას მაგრად ხვდება კრებებზეც და პრესაშიც, მეორეც, ყოველი ადამიანისათვის, ვინც ამ საქმეს იცნობს, ცნობილია, რომ ჩვენი საკრედიტო საზოგადოების მმართველობა დიდი ხნის წინათ იქნებოდა დამხობილი და გაუქმებული, რომ არ ეყრდნობოდეს წვრილი კაპიტალისტების შეუმუსრავ ჯარს, რომელმაც შეისყიდა „მამა—მეთაურის“ თავად ამატუნის მიწები, კრედიტები და ჰყავს თავისი „შავრაზმელები.“

შეიძლებოდა შედარებისათვის კიდევ ბევრი მაგალითი მოგვეტანა, მაგრამ საკმარისია ისიც, რაც მოვიტანეთ.

გართობისა და მხარის მიმართ პარტიკულარული გრძნობის გამო არ გამოგვაქვს დღის სინათლეზე ეს სწორედ დანახული პარალელები. შორსა ვართ ამგვარ წვრილმან მისწრაფებათაგან. ვისახავთ უფრო ღირსეულ მიზნებს, გავარკვიოთ ჭეშმარიტი მდგომარეობა და არა პლატონური, არამედ წმინდა პრაქტიკული თვალსაზრისით. ჩვენი მხარის მოსახლეობის განსხვავება მთელი რუსეთის მოსახლეობისაგან ის არის, რომ აქაურ ადგილობრივ საზოგადოებაში ჭარბობს ინდივიდუალიზმი, ყველა მისი კარგი და ცუდი თვისებებით, შიდა გუბერნიების მოსახლეობაში კი, ისტორიული მიზეზების გამო, ჭარბობს ურთიერთსანინააღმდეგო საწყისები, რაც, აგრეთვე, შეიცავს ბევრ კარგ და ბევრ ცუდ თვისებას. ესენია: რწმენა ჯგუფური ძალისა, ძალა ნდობისა და თავიანთ ინიციატორთა და ხელისუფლების მპყრობელ-

თა კვალდაკვალ განუხრელად სიარული. საზოგადოებრივ თვითმმართველობაში ჯერჯერობით ისეთი „მოღვაწეების“ ძლიერება გამოჩნდა, როგორებიც არიან რიკოვი, იუხანცევი და ა. შ. მართალია, იშვიათად, მაგრამ რუსეთის საერობოსა, ქალაქებსა და პრესაშიც გვხვდებიან საწინააღმდეგო თვისებების მქონე მოღვაწენი, გაცილებით უკეთ მოწყობილნი, ვიდრე ჩვენი მხარის სიმპათიური მოღვაწენი არიან: ისინი ხალხში მეტი ნდობით, მეტი მხარდაჭერით სარგებლობენ, ვიდრე ჩვენები...

ამ შეხედულებებიდან დასკვნა თავისთავად გამომდინარეობს, როცა მათ ერთმანეთს ვუპირისპირებთ. მთელი ჩვენი ადგილობრივი საზოგადოება დიდი ხანია მომწიფდა და უფრო მეტადაც, ვიდრე შიდა გუბერნიების მოსახლეობა თვითმმართველობისათვის, და იგი ჩვენს საერობო საქმეებს თავლაფს კი არ დაასხამს, არამედ წესრიგში მოიყვანს. მეთაურების არჩევაში დაშვებული შეცდომა გაცილებით უფრო საშიშია რუსეთის შიდა გუბერნიებისათვის, სადაც მეთაური ყველაფერია, სადაც მას არ უპირისპირდება მასების ინდივიდუალური მისწრაფებები, ვიდრე ჩვენში, სადაც უკონტროლო ხელისუფლებითაც რომ იყო აღჭურვილი, პირველივე კინტო, რომელიც შეგხვდება, შეეცდება თქვენი მოქმედება განსაჯოს და თქვენი აზრები გააკრიტიკოს.

30. საუძმო საკითხავი

ჩვენი ლიტერატურის ერთ-ერთმა დაუღალავმა და სიმპათიურმა მოღვაწემ, ნ. მ. იადრინცევმა, რომელიც ოც წელზე მეტია წარმატებით გამოდის პრესაში თავისი სამშობლოს—ციმბირის, —განვითარების გაძლიერების სასარგებლოდ, ახლახან თავისი გამოცემა „ვოსტოჩნოგო ობოზრენია[26]“ („შეხვედრათა და განშორებათა დარდი“) გადაიტანა პეტერბურგიდან ირკუტსკში, სადაც ჩვეულებრივ, ხალხი თავისი ნებით არ მიდის. „რუსული ერობები ციხესა და გადასახლებაში“ და „ციმბირი, როგორც კოლონია“-ს ნიჭიერმა ავტორმა „რუსსკიე ვედომოსტში“ (1887 წ., № 357) გამოაქვეყნა გრძნობით სავსე გამოსათხოვარი სტატია სათაურით По пути в провинцию .“ ამ სტატიას არ შეიძლება ყურადღება არ მიაქციოს ყველამ, ვისაც აინტერესებს თანამედროვე საზოგადოების ინტელექტუალური ცხოვრება და ვინც

თვალს ადევნებს ჩვენი საზოგადოებრივი განვითარების ყველა სიმპტომს და გამოვლინებებს. ნ. მ. იადრინცევს მოჰყავს დედაქალაქიდან მიყრუებულ მხარეში გადასვლის მიზეზები და კვლავ მიგვითითებს თანამედროვეობის ძირითად საკითხზე, დედაქალაქისა და პროვინციის ურთიერთდამოკიდებულებაზე და საერთოდ „მოღვაწეობის სფეროს“ დანიშნულებაზე. იგი იწყებს იმ წარმატებების ჩამოთვლით, რაც ბოლო ათ წელიწადში გაკეთდა რუსულ ლიტერატურაში ოლქებსა და პროვინციებთან დაკავშირებით:

„...პროვინციის მიმართ არც დედაქალაქის ინტელიგენცია აღმოჩნდა განზე და გულგრილად; სქელტანიან ჟურნალებში გამოყვეს სპეციალური საოლქო განყოფილებები, რუსეთის ისტორიული ცხოვრების ავტორიტეტულმა მცოდნე პირებმა დაიწყეს ბელორუსიის, რუსეთის სამხრეთისა და სხვა რაიონების ეთნოგრაფიული ძეგლების კვლევა, ჟურნალისტიკაში კიდევ დგას საკითხები იმის შესახებ, თუ როგორ უნდა დაეხმაროს ინტელიგენცია ხალხს,—პროვინციაში მუშაობის შესახებ, სოფლის ინტერესების ირგვლივ და ა. შ. ხალხისა და სოფლის ცხოვრების საკითხები წითელი ზოლივით გასდევს ლიტერატურას და ისეთ ცხოვრებისეულ მოტივად იქცა, რომ ერთ-ერთ ძირითად საკითხადაა აღიარებული, რომელსაც ინტელიგენცია განიცდის. ერთის მხრივ, მასში არსებული გრძნობის დუალიზმი, ლტოლვა ცენტრისაკენ, ცივილიზაციისაკენ, მაღალი საზოგადოებისაკენ, და მის გვერდით—ლტოლვა ხალხისაკენ, იქითკენ—რუსული ცხოვრების წიაღისაკენ, სადაც ყველაფერი სიბნელითა და იდუმალებითაა მოცული. ცხოვრების განახლების ძიებისას, მიმდინარე საკითხების ახსნისათვის ანდა „რწმენის ძიების“ მტანჯველი დროის გავლენით, როდესაც ვცდილობთ შევიტყოთ მომავალი იმის მიხედვით, თუ რა განწყობაზე ვართ, ვჩერდებით ხან ერთ, ხან მეორე მხარეზე.“

„დღესდღეობით ეს საკითხი ჩემს წინაშე უფრო რეალურად და ნათლად იდგა, ვიდრე ოდესმე; ის დაკავშირებული იყო ჩემი პირადი ცხოვრების ცვლილებებთან, ის უკვე თეორიული, აბსტრაქტული საკითხი კი აღარ იყო, არამედ პირიქით—ტრაგიკულ საკითხს წარმოადგენდა, სადაც ჩემი პირადი დრამა ბობოქრობდა. მომავალ გარეუბნელს შეუძლებელი იყო არ მცოდნოდა, რომ დედაქალაქში ყოფნით მე ვცხოვრობდი რუსეთის გულში, სადაც ყოველ წამს ისმის საზოგადოებრივი მაჯისცემა, სადაც უკეთ ჩანს სულიერი მისწრაფებანი, სადაც გააზრებულად გესმის საქმის არსი, სადაც რუსეთის ცხოვრების საკითხები წყდება, სადაც ხშირად განიცდიან მტანჯველად და მტკივ-

ნეულად, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მოქალაქეობრივი აზრებისა და მისწრაფებების გავლენით ფიქრობენ მომავალზე. იქ, პროვინციაში, მე ბევრს დავინახავ, ხალხს, მის ტკივილს, მაგრამ შორს ვიქნები გულისაგან, რომლის პულსაციით აგებენ ორგანიზმის საერთო მდგომარეობას. სულელი კი არ ვიყავი, რომ არ მცოდნოდა, რომ ვკარგავ, ვშორდები ცივილიზაციის ცენტრს! სული აფორიაქებული მქონდა, განშორების სევდიანი ჰანგები მთლად არ დადუმებულა, პირიქით, უფრო მკაფიოდ ჟღერდა, როცა მოსკოვისკენ მიმაქროლებდა მატარებელი, შემდეგ კი—პროვინცია."

შემდეგ ნ. მ. იადრინცევს მოჰყავს მკაფიო მაგალითები პროვინციის თანამედროვე და წარსული ცხოვრებიდან, რომლებიც ადასტურებენ, რომ წესიერი კაცი მიყრუებულ ადგილასაც იპოვის თავის ადგილს. ნ. მ. იადრინცევი აღწერს „გზად გავლის" დროს ნანახ მამულს, სადაც სკოლისა და საავადმყოფოს ირგვლივ საქმიანი ცხოვრება ჩქეფდა. იგი შენიშნავს:

„ერთი სიტყვით, მეურნეობის საერთო დაცემისა, გაჩანაგებისა და უსაქმურობის გვერდით ეს იყო კუთხე, თუ მთლად იდეალური არა, გულის გასახარებელი მაინც. აქ მცირერიცხოვანმა ხალხმა იპოვა კარგი, წესიერი და ნაყოფიერი საქმე: ეს იყო, ასე ვთქვათ, „სოფლის ინტელიგენციის ტიპი."

„ამ ინტელიგენციაში არ იყო უსაქმო კითხვები, არ ისმოდა ოხვრა, ბედზე წუწუნი და გულგატეხილობა. ეს კი ჩვენ დროში დიდი საქმეა! ეფიქრობდი: ხომ ნახა ამ ხალხმა „საქმე;" „საქმე" არ უძებნია არც ორგანიზაციების დამაარსებელთან, არ უკითხია, სად იყო საქმე, არ უხეტიალია ქვეყნად, არამედ იპოვა, ვინაიდან ეს საქმე იქვე იყო. პროვინციაში კი უამრავი საქმეა და ძნელია ყველაფერს მოერიო, ყველა დააკმაყოფილო—მე დაერწმუნდი ადგილობრივ გასაჭირზე საუბრის დროს, რომელიც ყოველდღიურად, ყოველ წამს ჭირდებოდა გლეხურ ცხოვრებას, მის დუხჭირ გარემოს; საქმე ყველასთვის იყო: ექიმისთვისაც, მასწავლებლისთვისაც, აგრონომისთვისაც."

მკითხველი ამ ამონაწერებიდანაც ხედავს, რას მოიცავს ენერგიული „საოლქო მიმოხილველის" სტატიის დანარჩენი ნაწილი. მის მიერ მოყვანილი მაგალითები საჭიროა დედაქალაქში მცხოვრებთათვის, რომელთაც ჰგონიათ, რომ სიცოცხლე, ცხოვრებისეული სითბო მხოლოდ მათთვის და მათ გარშემო მყოფთათვისაა განკუთვნილი, ჩვენ კი, მიყრუებულ ადგილებში მცხოვრებმა ხალხმა ძალიან კარგად ვიცით, რომ არ გვაკლია კერძო, ნაყოფიერი და ამაღლებული მუშაობა,

მაგრამ უკეთესია, ვისაუბროთ ნ. მ იადრინცევის სტატიის შესახებ და უმჯობესია იმაზე, რაზეც თვითონ არაფერს ამბობს.

უდაოა, რომ პროვინციაში ცხოვრება და მუშაობა ისევე აუცილებელი და საპატიოა, როგორც ცენტრში სახელმწიფო მოღვაწეობა, რომ ხალხი საჭიროა აქაც და იქაც, რომ საზოგადოების თანაბარი, მიზანშეწონილი განვითარებისათვის სასურველია იქაც და აქაც საქმეს უძღოდნენ და შრომობდნენ შესაფერი მოღვაწეები. ცალმხრივი გადაწყვეტა აქ შეუძლებელია. ყველა წესიერი და ნიჭიერი ხალხი დედაქალაქიდან მიყრუებულ პროვინციაში რომ გადაბარგდეს, მაშინ ასეთი უაზრობის წყალობით მოხდებოდა ძალების ანარქიული გაფლანგვა, რომელიც თავიდანვე დანაიდების უსისტემო შრომასავით განწირული იქნებოდა... მაგრამ ასეთი რამ არცერთ უკიდურეს გარეუბნელს არ შემოუთავაზებია. აქ ლაპარაკია მხოლოდ მის ასახსნელად, თუ რითაა განპირობებული თანამედროვე ცხოვრებაში ძალების პერიოდული დენადობა პროვინციიდან დედაქალაქში და პირიქით— რომელი რაციონალური, ცხოვრებისეული მიზეზები იწვევენ ამ დენადობას. ნ. მ. იადრინცევის მაგალითზე, რაც ჩვენ ტიპიურ „დროების ნიშნად“ გვეჩვენება, ყველაზე უკეთ შეიძლება თვალი გავადევნოთ ამ მოვლენების კანონიერ მიზეზობრიობას.

ნ. მ. იადრინცევს იცნობს ყველა, მას აღიარებენ ციმბირის საქმისა და აქაური ცხოვრების ყველაზე ღრმა მცოდნედ და პიროვნებად, რომელმაც მთელი სიცოცხლე მიუძღვნა თავისი სამშობლოს პროგრესისათვის თავდადებულ სამსახურს. ერთი მისი ბიოგრაფი შემდეგი სიტყვებით ზუსტად ახასიათებს მას: „მართლმორწმუნე ციმბირელი, ციმბირისათვის გამოშვებულ ყოველ რეფორმას პირად პატივად მიიჩნევს, ყოველ სიმრუდეს დასტირის მხურვალე მოქალაქეობრივი ცრემლებით.“ სავსებით ნათელია, რომ ასეთი ადამიანისათვის ყველგან მოიძებნება სამუშაო, დედაქალაქში თუ პროვინციაში. აქაც და იქაც მისი მოღვაწეობა საზოგადოებრივად სასარგებლო და ნაყოფიერი იქნება და მიუხედავად ამისა, საკითხი, თუ სად უფრო მეტ სარგებლობას მოიტანდა ის, მეტად მნიშვნელოვანია. ერთი შეხედვით ჩანს, თითქოს მისი ადგილი დედაქალაქშია, დედაქალაქის პრესაში, სადაც პროვინციების მეტად მნიშვნელოვანი საკითხები წყდება. იმ ადამიანებისათვის, რომლებიც აყენებენ და წყვეტენ ამ „მნიშვნელოვან საკითხებს,“ ალბათ, ძალიან სასარგებლო იქნებოდა თუნდაც საკითხავად გვერდით ჰყოლოდათ ისეთი კომპეტენტური, გულწრფელი და მიუკერძოებელი, მისთვის ასე საყვარელი მხარის კარგი მცოდნე. ვინაიდან ამ

„მნიშვნელოვანი საკითხების მომგვარებელთაგან“ არც ერთი არ იცნობს ამ მხარეს. თავისი სამშობლოს მიმდინარე საკითხებზე ასეთი ცნობებისა და მართებული მითითებების მიცემით, მას თითქოს შეუდარებლად უფრო მეტი სარგებლობის მოტანა შეეძლო, ვიდრე ნებისმიერ ექიმსა და მასწავლებელს შეუძლია სოფლისა და ქალაქის სკოლასა თუ საავადმყოფოში. ხომ ასეა?

ეს ასეა, მაგრამ არა ყოველთვის და არა ყველა შემთხვევაში.

ეჭვგარეშეა, ამ საკითხში უდიდესი მნიშვნელობა აქვს, უპირველეს ყოვლისა, თვით მოღვაწის ტვინის წყობასა და ხასიათს. ნ. მ. იადრინცევის მსგავს ადამიანს, რომელიც „პირად პატივად მიიჩნევს ციმბირისათვის გამოშვებულ ყველა რეფორმას,“ გასაგებია, მთელი გულით სურს ახლო იდგეს ყოველგვარი რეფორმების წყაროსთან. თვით ამ რეფორმების წყურვილი, მათი დაძაბული ლოდინი არ აძლევს მას საშუალებას საქმე აწარმოოს სწორად და სიზუსტით ნებისმიერ კერძო დაწესებულებაში, იქნება ეს სკოლა, საავადმყოფო, თეატრი თუ რამე ამის მსგავსი. თქვენ მხოლოდ წარმოიდგინეთ, ბავშვობიდან გერმანიის ფატერლანდის განდიდებაზე მეოცნებე ბისმარკი სოფლის სესხის შემნახველი სალაროს ამხანაგობის განმგებლად, რომელიც თავისთავად უდაოდ სასარგებლო და კეთილისმყოფელი დაწესებულებაა. შესძლებდა კი ის მართებულად, მშვიდად, სწორად, აუღელვებლად ეწარმოებინა ეს უდავოდ საჭირო საქმე? რასაკვირველია, არა: ის ორი კვირის მერე, თუ უფრო ადრე არა, მის მიმართ ინტერესს დაკარგავდა. ბისმარკის ცხოვრების დასაწყისი წლების ბიოგრაფია სავსეა მსგავსი მაგალითებით. რას არ კიდებდა ხელს? სცადა ჩინოვნიკობა, სოფლის მებატონეობა, სტუდენტიც იყო, სამხედრო სამსახურშიც შევიდა, სამრეწველო დაწესებულებასაც მოჰკიდა ხელი, მუშაობდა სოფლის ადვოკატურაში, მაგრამ ყველგან „ხელი მოეცარა,“ ყველგან ჩხუბით წამოვიდა და სახელი გაითქვა როგორც „თავქარიანმა ადამიანმა,“ რომელსაც შეეძლო მხოლოდ დუელში ჩხუბი და ტრაქტირებში მუდმივი სტუმრობისას ლუდის კათხით თავის გატეხვა. მაგრამ როდესაც პრინცმა—რეგენტმა, რომელიც ადამიანთა შერჩევის დიდი ნიჭით იყო დაჯილდოებული და ამით გერმანიის იმპერატორი გახდა, იგი თავის ელჩად და საგარეო საქმეთა მინისტრად გახადა, ქვეყანა გაოცდა, როცა დაინახა, რა კომბინატორული ძალა ყოფილა დაბუდებული ამ „თავქარიან ჩხუბისთავში.“ მაგრამ ასეთი პიროვნებები ქვეყნად ცოტაა. მე გიჩვენეთ მხოლოდ მკვეთრი, გამორჩეული მაგალითი.

ჩვეულებრივ მეტად ძლიერი გონებისა და ხასიათის ადამიანებიც კი ეგუებიან იმ ყოფას, სადაც ბედი გადაისვრით. მაგალითად, ა. ნ. ენგელპარდტი, უდაოდ დიდი პიროვნება, თავისი ნების საწინააღმდეგოდ სმოლენსკის ერთ მიყრუებულ სოფელში მოხვდა და დაამტკიცა, რომ დიდი და ნაყოფიერი საქმეები შეიძლება აკეთო ნებისმიერ გარემოებაში და ნებისმიერ პირობებში. ოღონდ გქონდეს ძალა, გქონდეს სურვილი, საქმის სიყვარული და ცხოვრება ყოველთვის გამოიყენებს ამ ძალას და მისცემს საკმაო ასპარეზს ამ სურვილსა და სიყვარულს. ბედის უკმაყოფილონი არიან, გარემო არ მოსწონთ და წუწუნში პოულობენ შვებას მხოლოდ სუსტი და უნიჭო ადამიანები.

მეორე გარემოება, რომელსაც ამ საკითხში გაცილებით მეტი მნიშვნელობა აქვს, არის დროის მოთხოვნილებაში, ასე ვთქვათ, „ისტორიულ მომენტში." ყოველთვის არ წამოიჭრება და არ წყდება „მნიშვნელოვანი საკითხები." არის ხოლმე სახელმწიფოებრივი ძალების დაძაბული შემოქმედებითი საქმიანობის ეპოქები, გარდატეხის, გარდაქმნების, შექმნის პერიოდები. ჩვენს ცხოვრებაში ასეთი ეპოქა იყო პეტრე I, ეკატერინე II, ალექსანდრე I მეფობის დასაწყისში და აწ გარდაცვლილი ხელმწიფის დროს. რომ არ ვილაპარაკოთ იმაზე, რომ ამ რეფორმისტული პერიოდების მიზანშეწონილობა ყოველთვის გამოწვეულია იმით, რომ წინასწარ მჟღავნდება ძველი სამყაროს დრომოჭმულობა. ხომ სრულიად წარმოუდგენელია, რომ სახელმწიფო მთელ ცხოვრებას ატარებდეს განუწყვეტელ კანის ცვლაში, გარემოების შეცვლაში. რეფორმა—იგივე სამუშაოა. როგორც ყველა საქმე, ისიც საჭიროებს ძალების გარკვეული რაოდენობის დახარჯვას, რომელიც შემდგომ უსათუოდ მოითხოვს დასვენებას. ყველგან, რეფორმების პერიოდს მოჰყვება ხოლმე მეტ-ნაკლები ხანგრძლივობის დასვენების, მიყუჩების პერიოდი. ვიდრე ამ მოდუნების ჟამს თვლემს მოცემული ქვეყნის გადაღლილი ძალები, ყველა რეფორმისაგან შელახული და განაწყენებული ელემენტი, რომლებიც საქმეში პასიური იყვნენ და ამიტომ რეფორმის აქტიურ მოღვაწეებთან შედარებით ნაკლებად არიან დაღლილი, ბუნებრივია, ცდილობენ აღიდგინონ დაკარგული. ყველგან და ყოველთვის ეს ასეა ხოლმე. აქედანაა აღებული ფრანგული კლასიკური ანდაზა, რომელიც თან ახლავს ყველა რეფორმას დედამიწაზე: „თავი წამოყო რეაქციამ!". საჭიროა დრო, რომ ხალხის ცხოვრებამ და სახელმწიფო ორგანიზმმა შეითვისონ ახალი რეფორ-

მები, გადახარშონ ისინი და რეალურ ცხოვრებაში გამოიყენონ. დრო საჭიროა, აგრეთვე, რომ, როგორც გულწრფელმა, ისე ფარისეველმა ძველმა მომხრეებმა საქმეში და ცხოვრებაში დაინახონ, რომ მდინარის აღმა ვერ ივლის. განსაკუთრებით იმისათვის არის დრო საჭირო, რომ ყველა დარწმუნდეს პოეტის სიტყვების სიმართლეში:

„...ის, რასაც ერთხელ მიიღებ ცხოვრებაში,
ბედისწერაც ვერ ნაგართმევს მას!"

აი, უკვე ოც წელზე მეტია, რაც ჩვენ სწორედ ასეთ დროში ვცხოვრობთ. დაარქვით ამ დროს დასვენება, რეაქცია, რა სახელიც გნებავთ, დაარქვით. საქმის არსი ამით არ შეიცვლება. არსი იმაში მდგომარეობს, რომ ეს დრო ისევე კანონიერია, გარდუვალია, ნაყოფიერია, როგორც სხვა ნებისმიერი რეფორმატორული ეპოქა. ჩვენ თაობას, რომელმაც თავისი სახელი ვერ დაუკავშირა 1857-1865 წლების რეფორმების ეპოქას, უფლება არა აქვს ბედის უკმაყოფილო იყოს. ჩვენ წილად გვხვდა საპატიო ამოცანა საერთო სარგებლობისათვის გვესარგებლა წინამორბედი რეფორმებით, და გავაცნოთ ის ხალხის მასებს, ვისთვისაც მიღებული იყო ეს რეფორმები...

ამ მდგომარეობაში, ვიდრე ეს „ისტორიული მომენტი" გრძელდება, უკვე ძნელია საკითხის გადაჭრა: სად უფრო გვჭირდება კარგი და ნათელი მოღვაწეები, დედაქალაქში თუ პროვინციაში. საკითხი უბრალოდ წყდება—რამდენად მნიშვნელოვანია მიმდინარე საქმეები აქ და იქ. უდავოა, სახელმწიფო მოღვაწეობა მთლად ვერასდროს შეჩერდება. ყოველთვის აღმოჩნდება საკითხები, რომელთა სწორად გაშუქება და გადაჭრა საჭირო იქნება დედაქალაქის პრესაში. მაგრამ ახლა, აქ განხილულ საკითხებთან შედარებით, აქვთ მეტ-ნაკლები კერძო მნიშვნელობა: ისინი ყოველთვის ეხებიან არა არსს, არამედ, საზოგადოებრივი ცხოვრების დეტალებს. ქვეყნის არსებული ცხოვრების ინტერესი, ზოგიერთთა მხურვალე შრომითი საქმიანობა გადავიდა ცენტრიდან პერიფერიაში, პროვინციაში, სწორედ იქ, სადაც რეფორმების დროს ყველაფერი იყო უსიცოცხლო და მოშვებული, რასაც გვიდასტურებს ნ. ა. ნეკრასოვი, რომელიც 1858 წელს, მხურვალე რეფორმატორული საქმიანობის დროს წერდა:

„დედაქალაქებში ხმაურია,
გაჩაღებულია სიტყვიერი ომი,
იქ კი, რუსეთის სიღრმეში—
საუკუნო სიჩუმეა..."

31. საუძმო საკითხავი

მე ჯერ კიდევ იმ სასიამოვნო შთაბეჭდილების ქვეშ ვარ, რომელიც სრულიად მოულოდნელად განვიცადე ტფილისის საქალაქო სახელოსნო სასწავლებლის წლიური ანგარიშის მოსმენის დროს. გამოგიტყდებით, რომ უხალისოდ და მხოლოდ სამსახურებრივი მოვალეობის გამო წავედი ამ ანგარიშის მოსასმენად: სრულიად ვერ ვეგუები მსგავსი ცერემონიალის „ხელოვნურობას"... მაგრამ ყველაფერმა, რაც მე ვნახე და მოვისმინე ამ შეხვედრაზე, მალე გააქარწყლა ჩემი ადრინდელი შეხედულება. მოსწავლეთა მიერ ხეზე ნაკეთებით, საზეინკლო, მხაზველობითი და საჩამომსხმელო ნამუშევრების გამოფენა სასახელო იქნებოდა ცნობილი და გამოცდილი ოსტატებისთვისაც, არათუ ბავშვებისთვის. ექსპერტების მიერ დაწუნებული ნამუშევრებიც კი გაოცებას იწვევდა, გაოცებული ვიყავით შემფასებელთა სიმკაცრით. ჩვენში, ნეტავ, რომელ სახელოსნოში, თუნდაც საუკეთესოში, ასე გულმოდგინედ და კეთილსინდისიერად შეასრულებენ სამუშაოს, როგორიც ეს დაწუნებული ნამუშევრებია? რაც შეეხება იმათ, რომლებიც მოინონეს და გამოფენის ღირსად ცნეს, ისინი სრულიად უზადოა და ყოველგვარ ქებას იმსახურებენ. ლაპარაკიც ზედმეტია, ქვეყნის მრეწველობის როგორ აღმავლობას გვპირდებიან ეს ახალგაზრდა ძალები, რომელთაც ყოველწლიურად უშვებენ სახელოსნო სასწავლებლები!

მეორე დარბაზმა, სადაც თვით ეს შეკრება უნდა ყოფილიყო, ჩემზე უფრო მეტი შთაბეჭდილება მოახდინა. აქ შეგროვილიყვნენ მოსწავლეები. როცა შეკრებაზე მივდიოდი, ასეთი სურათი მესახებოდა: საწყალი, დროზე ადრე დაბრძენებული, თვალებგამოღამებული და მხრებში მოხრილი ბავშვები, მოუსვენარი და შეშინებული სახის გამომეტყველებით. მე სათვალეებიც კი წარმოვიდგინე ამ ჩოფურა სახეებზე... და ჩემს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა შევედი საქტო დარბაზში და დავინახე ჯანმრთელი, სიცოცხლით სავსე, მხიარული ახალგაზრდობა, რომლებიც „თავისუფალ კაზაკებს" წააგავდნენ! ეს განითლებული, მზით გარუჯული, სიცოცხლით სავსე სახეები, ეს ჯიქური, დაჯერებული გამოხედვა ამკარად მოგხვდებოდა თვალში. მაშინვე იგრძნობდით, რომ თქვენს წინ არიან ადამიანები, რომელთაც არ იციან, რა არის „ეჭვი", „საგონებელში ჩავარდნა", „წუწუნი". მაშინვე გამახსენდა ჩვენი საუკუნის უდიდესი ნოვატორის სიტყვები, რომელიც ჯერ კიდევ 1808 წელს გვესაუბრებოდა ფიზიკური

შრომის აუცილებელ და სასიკეთო გავლენაზე, როგორც ახალგაზრდობის აღზრდის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორზე. ასეთი მხნეობა, „საკუთარ ძალებში" ასეთი რწმენა აქვთ მხოლოდ ხვალინდელ დღეში, დამოუკიდებლობაში და თავისუფლებაში დარწმუნებულ ადამიანებს, რაც ასე იშვიათია ჩვენს სინამდვილეში, და რაც ადამიანს მხოლოდ „შრომამ" შეიძლება მისცეს და თქვენ მაშინვე გრძნობთ, რომ სასწავლებელმა, რომელშიც იმყოფებით, სამუდამოდ ქველმოქმედი გახადა ეს ახალგაზრდობა, მთელი სიცოცხლის მანძილზე უზურნველყო პატიოსანი შრომით მოპოვებინათ არსობის პური... ალბათ, აქედან გამომდინარეობს ჩვენში გაჩენილი სურვილიც, მადლიერებით შევხედოთ იმ მოღვაწეებს, ვინც ასეთ კეთილ შედეგს მიაღწია. იხედებით დარბაზის იმ მხარისაკენ, მაგრამ იქ—არავინაა. სასწავლებლისა და ტფილისის გუბერნიის სახალხო სკოლების სახელმწიფო დირექტორის გარდა.

არც ქალაქის თავები, არც სასწავლებლის კომიტეტის წარმომადგენლები არ იყვნენ შეკრებაზე. ამ კომიტეტის წევრებიც კი, და ისიც ყველანი არა, მოვიდნენ თითქმის დამთავრების დროს. მათი მხრივ ასეთი უპატივცემულო დამოკიდებულება ერთგვარად გასაგებია. სახელოსნო სასწავლებელი „მოდაში" არაა. აქედან გამოდიან ვიღაც ზეინკლები, დურგლები, ჩამომსხმელები, უხეში, გაშავებული ხელებით, ვიღაც მეშჩანების, ან ღარიბი აზნაურების შვილებს მოსწონთ ისინი? განა ეს შეკრება „საზოგადოების", ამომრჩევლების ყურადღების ცენტრში დგას? დარბაზობაზე არ იქნებიან არც გენერლები, არც კაპიტალისტები, არც ჭოვრიტიანი ლამაზმანები, არც „მაყურებელი საზოგადოება". მაშ, რატომ შევიწუხოთ თავი, რატომ გავწიროთ თავისუფალი დრო „ჩვენივე" ქვეშევრდომებისათვის?

ძალიან სამწუხაროა, რომ ჩვენი ინტელიგენცია ვერ განთავისუფლებულა მიმბაძველობისა და მოდური გატაცებისაგან, არ შეუძლია ყურადღება მიაქციოს ახალი ცხოვრების რეალურ მოთხოვნებს, ერთი სიტყვით, ჯერ კიდევ ჩამორჩენილი აზრებით ცხოვრობს. იგი ღეჭავს და ღეჭავს იდეებს, რომლებიც დაახლოებით ოცი წლის წინ იქნებოდა საჭირო და დროული, თანაგრძნობით რომ მოეკიდოს თანამედროვეობის საკითხებსა და ამოცანებს, რომ იცხოვროს ახლანდელით მომავლისათვის და არა მხოლოდ წარსულით, მაშინ ჩვენი ქალაქის მესვეურები, რომლებიც ფრიად საჭიროებენ ამ ინტელიგენ-

ციის მხარდაჭერას, უსათუოდ მოისურვებდნენ ამ შეკრებაზე გამოჩენას. მაგრამ ჩვენი ახალგაზრდობისათვის მხოლოდ მოდური გატაცებებია მნიშვნელოვანი. აი, მაგალითად, რომელიმე მეგრული მკვდარი ანბანისათვის მას მთელი წელი შეუძლია კამათი და ღელვა... მე არ ვამბობ, რომ ეს საკითხი არაა საინტერესო—რასაკვირველია, საინტერესოა. მაგრამ მაინც უნდა გვახსოვდეს მასშტაბი, არ უნდა დავივიწყოთ, რომ ქვეყნისთვის მხოლოდ და მხოლოდ ანბანი არა კმარა. ვიდრე ჩვენ ამ ანბანის ირგვლივ ვკამათობთ, ვჭორაობთ და ვღელავთ, ცხოვრება თავისი გზით მიდის, თავისი საზრუნავით, რომელსაც ჩვენ მთლიანად უარვყოფთ, მიდის როგორღაც, ჩვენ კი ჩამოვრჩებით მას, მარტონი ვრჩებით, ვსუსტდებით, ნიადაგს ვკარგავთ, რომელზეც იზრდებიან და მტკიცდებიან სხვები...

და დარბაზობაზე მე გამახსენდა ჩვენი ინტელიგენციის ამოჩემებული ზრუნვა „სახალხო განათლებაზე". ღმერთო ჩემო, ბოლო ოცი წლის მანძილზე რამდენი მგზნებარე, მხურვალე ენერგია და თანხა გაიღო ინტელიგენციამ ამ თავის გამორჩეულ „სასკოლო" საქმეზე! რა სკოლები არ დავაარსეთ, „საკვირაო" და „სახალხოდან" დაწყებული „მოსამზადებელი" და „სათავადაზნაუროთი" დამთავრებული! იყო დრო, როცა თითქმის სამშობლოს მოღალატედ ითვლებოდა ადამიანი, ვისაც ცხოვრებაში, სასკოლოს გარდა, სხვა ინტერესებიც ამოძრავებდა. მოდა მოითხოვდა რაიმე სკოლის დაარსებას. ოღონდ სკოლა დაგეარსებინათ და ქვეყნის მშობლად და მხსნელადაც კი მიგიჩნევდნენ. ყველას პედაგოგობა სურდა, ყველა მასწავლებლად მიდიოდა, არ დაგიდევდნენ არც საკუთარ ტემპერამენტს და არც ცოდნას. ვიცი, ყველა ამ მოღვაწეს კარგი სურვილები ამოძრავებდა; რასაკვირველია, მათი მოქმედების საწყისი წმინდა იყო. მაგრამ რა გამოვიდა ყოველივე ამიდან? გავფლანგეთ უამრავი წლები, ძალები, სახსრები, რათა ათასობით მარცხი განგვეცადა. ვერ ვისწავლეთ სასარგებლო საქმის კეთება, აღმოვჩნდით სერიოზული საქმისთვის მოუმზადებელი, უმიზნო და უცოდინარი მომავლის წინაშე. ძალებითა და საშუალებებით კი იმდენად მდიდარი ხომ არ ვიყავით, რომ უქმად გვეფლანგა ისინი. ჩვენ რის ვაი-ვაგლახით ვასწავლეთ შვილებს ანბანი და მცირე ცოდნით გავუშვით ოთხივე მხარეს: გააკეთონ, რაც უნდათ. მადა გავუღვიძეთ, იმის საშუალება კი არ გვქონდა, რაღაც მითითება, რაღაც ზოგადი მიმართულება მიგვეცა მის დასაკმაყოფილებლად. სავალალოა ყოველივე ეს...

ჩვენს ცხოვრებაში შემოჭრილმა გრანდიოზულმა სიახლეებმა, ტელეგრაფის, რკინიგზების, ორთქმავლების და ა.შ. გაჩენამ ხალხის თვალში სრულიად დააქვეითა ცხოვრებასა და ადამიანთა ურთიერთობაზე მამაპაპური შეხედულებები. ძალაში დარჩა მხოლოდ ცხოვრების ახალი ფაქტორის—ცოდნის რწმენა. მოსახლეობის ყველა ფენამ შეიგნო, რომ ძველებურად ცხოვრება არ შეიძლება, რომ ვისაც უნდა ცხოვრება, მან უნდა „ისწავლოს". და ყველამ დაიწყო შვილების „სწავლება". მაგრამ ამ ბნელი მასიდან არავინ იცოდა, რა იყო საჭირო და როგორ უნდა მიეცათ შვილებისათვის ცოდნა. ყველას სწამდა, რომ უნდა მიებარებინათ სკოლაში და იქ, რაც საჭიროა, ასწავლიან. და ყველა უშვებდა სასწავლებლად სიხარულით, ხელაღებით, გატაცებით, არ იშურებდნენ მამაპაპური მიწის უკანასკნელ დესეტინას და უკანასკნელ კაპიკს.

და რა გამოვიდა?! მიბრძანდით ჩვენს სოფლებში და ყოველი ფეხის ნაბიჯზე დაინახავთ ჩვენი ხალხის ამ უკანასკნელი რწმენის შერყევის ნიშნებს. ყოველი მხრიდან გაიგონებთ ასეთ ჩივილს:

—არც საბანკო შემოსავალს, არც პირად სახსრებს, საკუთარ მიწასაც არ ვიშურებდით შვილების განათლებისათვის. უკანასკნელი შემოსავალიც სკოლებში, მასწავლებლებთან მიგვქონდა, ჩვენი ოჯახისთვის კი თითქმის არაფერი გვრჩებოდა. და რა გამოვიდა? შვილები დაგვიბრუნდნენ ატესტატებით, მოწმობებით, დიპლომებით, მაგრამ სრულიად უუნარონი არიან თავი შეინახონ და ჩვენც სიბერეში ლუკმა გვაჭამონ! წინანდებურად უზრუნველყოფილნი რომ ვიყოთ, კიდევ ჰ ო! მათი განათლება სიამოვნებას მოგვანიჭებდა და გაგვართობდა, როგორც ჩვენ, ისე მათ. მაგრამ არ ვიცით რა ვჭამოთ, გაიგეთ, ჩვენ პური გვინდა და არა გამოუსადეგარი ცოდნით ფუფუნება!

ხალხში ჩასახულ ცოდნისადმი რწმენის ამ დიდ და წმინდა ძალას ძირშივე გავუტეხეთ სახელი ჩვენივე არაპრაქტიკულობით, იმით, რომ იმ სფეროში, სადაც თითქმის სრულუფლებიანი ვიყავით, სათავადაზნაურო და საქალაქო სკოლების ხელმძღვანელობის საქმეში, ვერ შევძელით ხალხისთვის გვეჩვენებინა ცოდნისა და მეცნიერების პრაქტიკული სარგებლობა. ასობით ახალგაზრდისთვის განათლებაზე ზრუნვით, რაც ალბათ, საკუთარი ძალებით ვერ შევძელით, ჯობდა ყოველწლიურად ათობით სავსებით მომზადებული ოსტატი, მებაღე, მევენახე გამოგვეშვა, რომელსაც საკმაო პრაქტიკული ცოდნა ექნებოდა და რაც უზრუნველყოფდა მას და მის ოჯახს პატიოსანი ლუკმა-პურით, მაშინ სრულიად სხვა შედეგს მოახდენდა ეს განათლება იმ ადა-

მიანთა ბედზე, ვისი შველაც გვინდა და ხალხში ჩვენი პირადი გავლენაც სხვა იქნებოდა... ცუდი არ იქნებოდა ამაზე ეფიქრათ იმათ, ვის ხელთაც არის ჩვენი საზოგადოებრივი და წოდებრივი, სათავადაზნაურო და საქალაქო სკოლების ბედი. კარგი იქნებოდა მათ ყურადღება მიექციათ ტფილისის საქალაქო სახელოსნო სასწავლებლისათვის და დაეწყოთ მოკრძალებული, მაგრამ კეთილი ამოცანის შესრულება და ხალხში გაევრცელებინათ თუნდაც თანდათან და ცოტ-ცოტა, თუნდაც სულ მცირედი, ოლონდ სასარგებლო, აუცილებელი და საწარმოო ცოდნა. „სასიამოვნო" და „საუცხოო" ცოდნა კი დროა იმათ დავუთმოთ, ვინც არ იცის გაჭირვება, ვისაც შრომა არ ჭირდება—მდიდრებს. ისინი ჩვენს ქველმოქმედებას არ საჭიროებენ, თავიანთი შთამომავლობის უზრუნველყოფისათვის კი თვით იზრუნებენ.

32. საუქმო საკითხავი

„კავკაზი" ვერ დაშოშმინდა. მიუხედავად საზეიმო განცხადებისა, გასული წლის შემოდგომაზე რომ გამოაქვეყნა, აღარ დაინყებდა კამათს ჩვენს გაზეთთან, ხანდახან მაინც გვიშენს მეხს, რითაც აქამდე მხოლოდ ბისმარკსა და სალისბიუერს სპობდა. „კავკაზს" მეტისმეტად შეუყვარდა მეხმტყორცნელობა. ბისმარკმა და სალისბიუერმა არ ისურვეს თავიდან აეცილებინათ ამგვარი დარტყმები, ჩვენ კი უფლება არა გვაქვს ზოგჯერ მაინც არ დავიცვათ თავი, რადგან ეს „კავკაზს"ხელს აძლევს.

ჩვენი წერილის „მოვმწიფდით კი?" გამო, სადაც ვამტკიცებთ, რომ დროა ჩვენშიც იქნეს გამოყენებული იმ რეფორმების სიკეთე, რუსეთის შიდა გუბერნიებს რომ უბოძეს, დღეს „კავკაზი" დაუსრულებლად გვაბეზღებს და უარყოფს ჩვენი მხარის მომწიფებულობას და ამტკიცებს აქაურთა და აქაურობათა არაკეთილსაიმედოობას. ჩვენს მიერ მოტანილი რამდენიმე დადებითი ფაქტის წინააღმდეგ, რითაც ვამტკიცებთ ადგილობრივი მოსახლეობის შეგნებულ და გონივრულ დამოკიდებულებას თვითმმართველობისადმი, „კავკაზს", რა თქმა უნდა, ფაქტიურად არავითარი გამაბათილებელი საბუთი არ მოაქვს. მოუმწიფებლობას იგი მხოლოდ იმით ამტკიცებს, ბევრია ძარცვის შემთხვევები და ფოთში ქალაქის მიწები და ტყეები დაიტაცესო. ძარცვა ხში-

რია არა მარტო ჩვენში, არამედ რუსეთის შიდა გუბერნიებშიც. თუ აქ ძარცვავენ რკინიგზის მატარებელს, სამხრეთ-დასავლეთ რკინიგზაზე, კიევის მახლობლად, ამას წინათ გაძარცვეს მთელი ვაგონი, რომელშიც თვით მეარტელე იყო. ძარცვა არა მარტო რუსეთში, პარიზსა და ლონდონშიც ყოველდღე ხდება. დანაშაული ხდება ყველგან და ყველგანვე ხშირია. მაგრამ ამ შემთხვევაში საქმე პათოლოგიურ მოვლენას კი არ ეხება, არამედ მოვლენათა საერთო რიგს. ჩვენს წერილში კი ლაპარაკი იყო რიკოვზე, დღისით, მზისით გაძარცვაზე, რაც ჩაიდინეს საზოგადოების მიერ არჩეულმა თავკაცებმა და ამას გულგრილად შეხვდა არჩეულებიც, ამომრჩევლებიც, საზოგადოებაც და პრესაც, ლაპარაკია გაძარცვაზე, რაც ცნობილი გახდა მხოლოდ გაკოტრების შემდეგ, რისთვისაც საზღაური მიეზღოთ. ჩვენს მხარეში ხომ ასეთი დატაცება არ მომხდარა, ამიტომ „კავკაზი" არც ამბობს და ვერც იტყვის... ჯერ ერთი ფოთში საქალაქო თვითმმართველობა მთელი თავისი მოცულობით შემოღებული იყო გასული 1887 წლის იანვარში. მანამდე ქალაქის თავს ნიშნავდა ადმინისტრაცია. მეორეც, ფოთში არაფერი დაუტაციათ, მხოლოდ შეეცადნენ იჯარით ჩალის ფასად აეღოთ ქალაქის ტყეთა განაკაფები, რაც დროულად ამხილა „ნოვოე ობოზრენიეს" კორესპონდენტმა და ამ ამბავს ბოლო მოუღეს ქალაქის თვითმმართველობაში არჩეულმა წარმომადგენლებმა. ერთადერთი დატაცება, რაც ქალაქ ფოთში მოხდა და აქამდე ეს საქმე გაუხსნელი და დაუსჯელი დარჩა—ეს არის ქალაქის იმ საუკეთესო ნაკვეთების მითვისება, ფოთის მშენებარე ნავსადგურს რომ არტყია ირგვლივ. ნაკვეთები დაიტაცა ზემოთ დასახელებული ნავსადგურის ერთ-ერთმა ყოფილმა მშენებელმა, რომელმაც ბოროტად გამოიყენა თავის სამსახურებრივი მდგომაროება. ეს დანაშაული იმიტომ დაკანონდა და იმიტომ დარჩა დაუსჯელი, რომ იმ დროს ფოთში არავითარი თვითმმართველობა არ არსებობდა. ვიმეორებ, ფოთის საქმეებთან დაკავშირებით „კავკაზი" შეცდომაში შეიყვანა მისმა ფოთელმა კორესპონდენტმა, რომელიც ადრე ქ. ფოთიდან სამასი ვერსის დაშორებით ცხოვრობდა და ადგილობრივ თვითმმართველობაზე კბილებს ილესავდა, რადგან ღირსეულად ვერ შეაფასა მისი მომსახურების დიდი სარგებლიანობა.

რაც შეეხება „კავკაზის" დაბეზღებებს, თითქოსდა ჩვენი მოღვაწეობა უაღრესად თავხედურია, თითქოს სეპარატისტები ვიყოთ და ა.შ., დროა ამ სისულელეებს ბოლო მოეღოს.

„კავკაზი" მაგალითად წერს: „გასკონადის[27] (ე.ი. ჩვენი წერილის „მოვმნიფდით კი?") განხილვის ყველაზე დიდი სიძნელე ის არის, რომ ცნობილი არაა, ვინაა მისი ავტორი, ამიტომ შეუძლებელია უშუალოდ გავარკვიოთ იმის მიზეზი, რამაც აიძულა იგი მიეწოდებინა საზოგადოებისათვის მჭევრმეტყველების ამგვარი თაიგული. ამ ცოტა ხნის წინათ, როცა ჩვენ უარვყავით „ნოვოე ობოზრენიეს" არასწორი შეხედულებანი სასამართლო წარმოებაში ადგილობრივი ენის შემოღებისა და რუსული ენის გავრცელების შეზღუდვის შესახებ, მოგვეცა შემთხვევა დაგვემტკიცებინა, რომ „ნოვოე ობოზრენიეს" მოწინავე წერილების ავტორს არავითარი უფლება არა აქვს ილაპარაკოს მთელი ამიერკავკასიის სახელით, ანდა იმ ადგილობრივი ფენების, ადგილობრივი მოსახლეობის, თუნდაც რომელიმე ხალხის ან ტომის სახელით, რომლებიც ჩვენს განაპირა მხარეში ცხოვრობენ, რადგან მისთვის ამის რწმუნება არავის მიუცია. ამიტომ იგი, როგორც რუსული გაზეთის ხელმძღვანელი—ვამტკიცებთ ახლა ჩვენ—რომელიმე ტომის სეპარატისტულ ინტერესებს კი არ უნდა იცავდეს, არამედ უნდა ემსახურებოდეს მთელი ჩვენი სამშობლოს საერთო სახელმწიფოებრივ ინტერესებს".

საოცარია პრეტენზია იმისა, ჩახედო მოწინააღმდეგეს სახეში და სულში ისე, რომ საკუთარი ნიღაბი არ მოიხსნა! როდიდან დაიწყო ის, რომ მწერლებმა მიიღონ ნოტარიალურად დამტკიცებული რწმუნებანი თავისი ქვეყნის მოსახლეობისაგან, რათა უფლება ჰქონდეთ გამოთქვან პირადი შეხედულებანი თანამოქალაქეებისათვის სასარგებლო და საჭირო საკითხებზე? ჩვენ ვკმაყოფილდებით პირადი აზრის გამოთქმით და სხვისი ფიქრებისა და წინასწარდასახული აზრის მქადაგებლობას საკუთარ თავზე არ ვღებულობთ. ამიტომ არც „კავკაზისაგან" ვთხოულობთ საკრედიტო სიგელებს, არ ვცნობთ მის არავითარ უფლებას, დააყენოს საკითხები ისეთ ოფენბახურ ნიადაგზე[28], საიდანაც გზა მხოლოდ საავადმოფოსაკენაა გახსნილი...

„სეპარატიზმი" ის ბოროტებაა, რომლის წინააღმდეგ ბრძოლაშიც გაიარა და გაივლის ჩვენი პუბლიცისტური მოღვაწეობა. ჩვენი წერილის „მოვმნიფდით კი?" მთელი აზრი და მნიშვნელობა სწორედ სეპარატიზმის წინააღმდეგ ბრძოლა და იმის აუცილებლობის დაცვაა,

რომ ჩვენშიც გაავრცელონ შიდა გუბერნიების წესები და წყობილება, მასაც მიანიჭონ სიკეთე, რომლის გულწრფელად და კანონიერად გამოყენება მხოლოდ გაამტკიცებს ჩვენი ქვეყნის სახელმწიფო კავშირს დანარჩენ რუსეთთან. სეპარატისტები ჩვენ კი არა, ის ჩამორჩენილი ადამიანები არიან, რომელთა შეუსმენლობისა თუ ანგარების გამო—შედეგი ერთი და იგივეა—ვარჯიშობენ ჩვენი მხარისა და დანარჩენ სახელმწიფოს შორის კედლების აღმართვაში. ეს ადამიანები ზიანს აყენებენ რუსეთის ჭეშმარიტად სახელწმიფო გონების მქონე ადამიანებს, ამახინჯებენ მათ სისტემებს, ტრადიციას, მათ სწორ მითითებებს. ჩვენ კი სწორედ ამ ტრადიციებს ვაგონებთ მათ, რადგან მის ერთგულებაში ვხედავთ რუსეთის აღმოსავლეთში გავლენის ერთადერთ გარანტიას. სწორედ ამ გავლენის სახელით, რუსეთის ინტერესების სახელით, რაც ჩვენი საკუთარისაგან განუყოფელია, (ჩვენ ისეთივე სრულუფლებიანი რუსი მოქალაქენი ვართ, როგორც „კავკაზის" მწერლები) სოლიდარობას ვუცხადებთ რუსეთის პოლიტიკის ყველაზე ნათელ წარმომადგენლებს, რუსეთის ლიტერატურასა და რუსეთის აზრს. ჩვენ ხელს ვუშლით იმას, რომ არ გააღიზიანონ ადგილობრივი მოსახლეობა, არ მიაყენონ მას უმიზეზო შეურაცხყოფა, ხელს ვუშლით ჩაახშონ ადგილობრივი მოსახლეობის ოდინდელი სიმპათიები ყოველივე იმისადმი, რაც რუსეთის სახელს ატარებს და შეიცვალოს ეს სიმპათიები უკმაყოფილებისა და სიძულვილის გრძნობით. ჩვენ არავის მივცემთ უფლებას ჩვენი გულწრფელი მისწრაფებები, რომლებითაც ვხელმძღვანელობდით ცხოვრებაშიც და პრესაშიც, გამოაცხადონ სეპარატისტულად. მართალია, ეს მისწრაფებები არავითარი პრივილეგიებით არ ნაზღაურდება, მაგრამ ჩვენ ვკმაყოფილდებით იმის რწმენითაც, რომ ხელისუფლების, ჩვენი მხარისა და სახელმწიფოსათვის მეტი სარგებლობა მოგვაქვს, ვიდრე იმ ადამიანებს, რომელთაც კალთებზე ვექაჩებით მათი უგუნური გულმოდგინეობისათვის. ჩვენ მხოლოდ ის გვაკვირვებს, ამ ბრძოლაში გაზეთი „კავკაზი" რატომაა ჩვენს წინააღმდეგ და არა ჩვენს მხარეზე. თითქოს მისი ადგილი ჩვენს გვერდით უნდა იყოს.

33. ლიტერატურული დაუდევრობა

საკვირაო ფელეტონისტმა ბ-ნმა მიხნევიჩმა,—„კოლომენსკელი კანდიდი",—გაზეთ „ნოვოსტში" (№17) ბრწყინვალედ დაგვიდასტურა, რომ ტყუილად არ ამოირჩია მან ვოლტერისეული ტიპის გულუბრყვილო, მიუხვედრელი დოყლაპიას სახელი. სტატიაში „ლიტერატურული ორთაბრძოლა" ბ-ნი მიხნევიჩი ილაშქრებს ჩემი ნარკვევის „მხოლოდ ნიჭისთვის?" („ნოვოე ობოზრენიე", №1397) წინააღმდეგ, მაბრალებს „უხეშობას", ეხება ჩემს პიროვნებას, წარსულს, შეზღუდულობას და ა.შ., და ეს მხოლოდ იმისთვის, რომ დაამტკიცოს, რამდენად მცდარი ვიყავი, როცა მის აზრებს ვედავებოდი.

როგორც მოსალოდნელი იყო, აქ მოცემულია ყველაფერი, რასაც საგაზეთო ჭაობისგან უნდა ელოდო: არის „ფოთი-თბილისის როშფორიც", „სახელმწიფო სოციალიზმიც", „ნავთობის საქმოსანიც" და „ყაბარდოელი ჯიგიტიც", ერთი სიტყვით, ყველაფერი, გარდა ერთი უმნიშვნელო რამისა—საქმის ცოდნისა. მოხერხებულად არის, აგრეთვე, შემჩნეული სტილისტური შეცდომებიც; ნათქვამი არაა, რომ ეს კორექტურაა და დასასრულს—უარმყოფელის სრული ზეიმი. ერთი სიტყვით, არაფერი განსაკუთრებული.

ბ-ნ მიხნევიჩის მიხვედრილობაზე მაღალი წარმოდგენის არ ვიყავი, მაგრამ მაინც ვერ წარმომედგინა, რომ იგი ჩემი სტატიის შინაარსს ვერ გაიგებდა. მხოლოდ ადამიანის ავადმყოფური თავმოყვარეობა, რომელსაც თვალები უჭრელდება, როგორც კი პოლემიკურ სტატიაში თავის გვარს დაინახავს, თუ აფიქრებინებდა ბ-ნ მიხნევიჩს, რომ სტატია „მხოლოდ ნიჭისთვის?" მის წინააღმდეგ იყო მიმართული. მე უბრალოდ ვისარგებლე მისი პაექრობით „ინჟინერ in-spe"-სთან, რომ გამომეხატა სრულიად მიუკერძოებელი აზრი საინჟინრო სამყაროს მდგომარეობისა და ნაკლის შესახებ: ბ-ნი მიხნევიჩიც კი მიხვდა, რომ ჩემი სტატია იყო საკონცესიო სისტემის პირდაპირი ბრალდება. მათში იმდენივე სიმართლე იყო ბ-ნ მიხნევიჩის მიერ დაბრალებული, „ჩემი ინტიმური სურვილისა ვიღაცისთვის ხელი დამეფარა, ვიღაცისთვის მეამებინა", რამდენი სიმართლეც იფარება ჩემი გულუბრყვილო უარმყოფელის მტკიცებაში, თითქოს მე „ახლა მჭიდროდ დავუკავშირდი ნავთობის მომგებიან საქმეს, როგორც გამოცდილი „ნავთობის საქმოსანი", ანდა მის განცხადებაში, ვითომ სახელმწიფო სოციალიზმის თეორიას ვავრცელებდე ჩემი მფარველი პლუტოკრატების ნანატრი

სურვილების მიმართ. ბ-ნ მიხნევიჩს რომ ესმოდეს, რაზე წერს, და იცოდეს, რომ ყოველი კეთილსინდისიერი მწერალი ვალდებულია თქვას მხოლოდ, რაც კარგად იცის, მაშინ ის არ დამწამებდა ცილს, არ ჩაუძვრებოდა ადამიანს სულში, არ დაიწყებდა ჭეშმარიტების დამახინჯებას და მხოლოდ კონკრეტულ შემთხვევას არ მიიჩნევდა ადამიანის მთელი ცხოვრების დოქტრინად...

იმისათვის, რომ აგიხსნათ, როგორ წამოეგო ანკესზე ბ-ნი მიხნევიჩი, საკმარისია ერთი მაგალითი. მე ვამტკიცებდი, რომ ინჟინერთა უმრავლესობა მძიმე მდგომარეობაში იმყოფება, რომ ძალიან მაღალ ხელფასს მხოლოდ ერთეულები, დიდი-დიდი ათამდე კაცი, რომლებიც ნაძირალათა კატეგორიას ეკუთვნიან, იღებს. ბ-ნი მიხნევიჩი მამხელს ჩემს სტატიაში არსებულ წინააღმდეგობაში, სადაც მე ვამბობ, რომ ჩვენს გზებზე მნიშვნელოვანი თანამდებობები უმთავრესად ნაძირალებს უკავიათ. აქედან ბ-ნი მიხნევიჩი აკეთებს დასკვნას, თითქოს ვამბობდე, რომ ინჟინერთა უმრავლესობა ნაძირალები არიან. საინტერესოა, როგორი ლოგიკით იწყებს იგი ლიტერატურულ პაექრობას, თუ ისიც კი არ იცის, რომ მთელ რკინიგზაზე მნიშვნელოვანი თანამდებობანი რამდენიმეა, მაშინ როცა ინჟინრები ათეულობითაა!

ბ-ნ მიხნევიჩს ცივი გონებით რომ გაეაზრებინა ჩემი სტატიის ყველა დეტალი, ადვილად მიხვდებოდა, რომ ის კი არ უარყოფდა, არამედ მხარს უჭერდა მისი საკუთარი სტატიების აზრსა და მნიშვნელობას, ავსებდა მას, და რომ პოლემიკური ტონი და მისი გაკილვა გამოწვეული იყო ჩემი, როგორც პროვინციელი ჟურნალისტის მდგომარეობით. მან კი ვერაფერი გაიგო. მაგრამ ჩემი სტატიის მთავარი აზრი და არსი მან სრულიად გადაბეჭდა და ამისთვის ბევრი რამ ეპატიება! მე მინდოდა მესარგებლა მისი პაექრობით „ინჟინერ in-spe"-სთან იმისთვის, რომ მეჩვენებინა ჩემი ცხოვრებისეული დაკვირვებები რუსეთის რკინიგზის საქმის არსის შესახებ. და ბ-ნმა მიხნევიჩმა ჩემი სტატიის „მხოლოდ ნიჭისთვის?" სხვა მნიშვნელოვან ადგილებთან ერთად, გადაბეჭდა შემდეგი ძირითადი ნაწილი:

„უმეტეს შემთხვევაში მას უკონტროლოდ განაგებენ კონცესიონერები, რომლებიც სისტემატურად ბოროტი, წინასწარ მოფიქრებული განზრახვით თავის „დაქირავებულებში" ახშობენ სულისა და გონების ყოველგვარ პატიოსან და კეთილშობილ გამოვლენებს და აღვივებენ ამ ინტელიგენტი ფენის მხოლოდ ნაძირალების მდაბალ, ანგარებიან და ყოველგვარ ბინძურ ინსტინქტებს. აი, ერთი შეხედვით, რატომ გვეჩვენება, რომ როლს ასრულებენ და ტონს იძლევიან მხოლოდ ეს ნაძირალები".

ჩემი მიზანი მიღწეულია. ისღა დამრჩენია, ამისთვის ულრმესი მადლობა მოვახსენო ბ-ნ მიხნევიჩს.

ბ-ნმა მიხნევიჩმა მხოლოდ ამ ფაქტით შეიძლება გამოიტანოს დასკვნა, რომ „ლიტერატურული პაექრობა" სასარგებლო და აუცილებელია. პროვინციელი ჟურნალისტები ყოველ წამიერად გამოვთქვამთ აზრებს, რომლებიც თანამედროვე ცხოვრების ახლო და უშუალო დაკვირვების შედეგია. დედაქალაქის კაბინეტის ჟურნალისტები, რომელთაც სწამთ, რომ ლიტერატურის ინტერესები თავმოყრილია მხოლოდ მორსკოიზე მდებარე რესტორან კიუბასა და ვლადიმირსკაიაზე მდებარე ეროტიულ კაფეს შორის და ამ შეხედულებას ავრცელებენ კრიტიკულ-ლიტერატურულ სტატიებშიც, თუ ადამიანებს რომელ წლამდე შეეფერებათ დონჟუანობა, არასდროს დაინტერესებულან რუსეთის „ცხოვრებისეული საკითხებით". მაგრამ საკმარისია დაიწყოს „ლიტერატურული პაექრობა", საკმარისია შევეხოთ ამ კაბინეტური „მოღვაწეებიდან" თუნდაც ერთს, ისინი მაშინვე მიაქცევენ ყურადღებას თქვენთვის საინტერესო საკითხის არსს. როგორ მოვიქცეთ: სადაც ბატონობს ლიტერატურული დაუდევრობა, პაექრობა აუცილებელია. მხოლოდ ამ გზით შეიძლება ქამანდი მოვდოთ იქაურ მოღვაწეებს, რომლებიც ჩაეფლნენ მშობლიური პრესის ჭაობში, რათა გავიყოლიოთ იქით, სადაც საჭიროა.

34. პოლიტიკური მიმოხილვა

დღეს ყველა საკითხი და ინტერესი ფერს კარგავს იმასთან შედარებით, რაც გუშინ გვაცნობა ცნობათა ტელეგრაფმა, გერმანიასა და ავსტრო-უნგრეთის მთავრობების საიდუმლო სამეკავშირეო ხელშეკრულების პირობების ოფიციალურ გამოცემებში გამოქვეყნებას ვგულისხმობ. ფარდა ჩამოიხსნა: ჩვენს წინაშე მთელი თავისი სიშიშვლით წარმოსდგა სამოსშემოძარცვული და მკაცრი სინამდვილე: ესაა მხოლოდ რუსეთის წინააღმდეგ მიმართული ორი მეზობელი სამხედრო სახელმწიფოს კავშირი...

როგორ მოხდა, რომ ეს სამოკავშირეო ხელშეკრულება რვა წელზე მეტ ხანს საიდუმლოდ დარჩა ჩვენი დიპლომატიისათვის, როგორ მოხდა, რომ მის არსებობასთან ერთად გრძელდებოდა მოლაპარაკება და ურთიერთობა, რამაც მიგვიყვანა სამი იმპერატორის სკერნოვიცის

თავყრილობამდე—ყველაფერი ეს საიდუმლოებითაა მოცული... მაგრამ ახლა საქმე ამაში არაა. მადლობა ღმერთს, რომ თუმცა გვიან, მაგრამ მაინც აეხადა ფარდა ჩვენთვის დაგებულ ხაფანგს. ახლა, უკიდურეს შემთხვევაში, ცხადად გამოჩნდება, რაზე მივდივართ და რა გველის. ყოველ შემთხვევაში ილუზიებით თავს ვერ მოვიტყუებთ.

სრულიად ზედმეტია ცრემლი ვღვაროთ ხალხის „უმადურობის" გამო, მივეცეთ სენტიმენტებს, ვხარჯოთ სინანულის გამომხატველი სიტყვები და წამოვაყენოთ იდეოლოგიური მოთხოვნილებები. ჩვენს გარდაც გამოჩნდება ბევრი მოწუწუნე პუბლიცისტი, რომლებიც ინსტიტუტის მოსწავლე ქალიშვილივით აღშფოთდებიან ზურგს უკან ქვის დამალვის ასეთი არაკეთილშობილური საქციელით, თანაც ისეთი სახელმწიფოებისაგან, რომელთაგან ერთი თავის გადარჩენას ჩვენ უნდა გვიმადლოდეს, ხოლო მეორე გაერთიანებას. დიახ, 1849 წელს ჩვენ ვიხსენით ავსტრია დანგრევისაგან. დიახ, 1866 და 1877 წლებში ჩვენ დავეხმარეთ გერმანიას გაერთიანებაში. მაგრამ მომწიფებული სახელმწიფოების პოლიტიკას სენტიმენტები კი არ წარმართავს, არამედ ანგარიში, ინტერესი, ამ ქვეყნების სარგებლიანობა. დროა შევიგნოთ ეს ისტორიული მოვლენების, ძალებისა და მიმდინარეობის მაგალითზე...

1879 წლის 7 ოქტომბრის სამოკავშირეო ხელშეკრულებას უზარმაზარი მნიშვნელობა აქვს არა მარტო თავისი შინაარსით, არამედ იმითაც, რომ ამ ნაბიჯის გადადგმა ერთგვარად „ლოიალურია", მაგრამ ამ ლოიალობის სრული გამოვლენა ბევრად უფრო სასარგებლო იქნებოდა, სამოკავშირეო ხელშეკრულების განზოგადება დროზე რომ ეცნობებინათ დაინტერესებული მხარისათვის, როგორც ეს დიპლომატიურ სამყაროშია მიღებული, სრულიად კონფედენციალურად და არა ტკაცა-ტკუცით და ხმაურით. პოლიტიკური მდგომარეობის ამჟამინდელ პირობებში ეს „ლოიალური" გამოქვეყნება ადვილად შეიძლება იქნეს მიღებული გამოწვევად ან მუქარად, რასაც შეუძლია მბჟუტავი ცეცხლის ხელახლა გაღვივება...

დოკუმენტების გამოქვეყნებისა და მისი წინასწარ მოფიქრებული და ერთად შემუშავებული პუბლიკაციიდან ყველაზე მეტად გვაკვირვებს რამდენიმე წლით ადრე ყოველი მისი ნაბიჯის, ყოველი მუხლის მეთოდურად გაანგარიშება... თუმცა სამოკავშირეო ხელშეკრულების

გარეშეც ცხადია, რომ ამჯერად მათ მიერ გამომჟღავნებული ხერხიანობა დაგვეხმარება დავუბრუნდეთ ჩვენს თავს, მოვამზადოთ ძალები, რომლებიც აუცილებელია ასე მომწიფებულად მოფიქრებული გეგმებისა და ჩანაფიქრების ჩასაფუშად და გასაცამტვერებლად...

35. საუძმო საკითხავი

ჩვენი დროება ზუსტად და უკეთ შემდეგნაირად შეიძლება დავახასიათოთ: „ძალების თავქარიანი ფლანგვის ეპოქა". ღატაკებს, რომლებიც მხოლოდ დღევანდელი ცხოვრებით ცხოვრობენ, ბუნებრივია, არავითარი წარმოდგენა არა აქვთ ანგარიშიანობასა და ეკონომიკაზე. ისინი არ ფიქრობენ ხვალინდელ „შავ" დღეზე და უანგარიშოდ ხარჯავენ ყველაფერს, რასაც იშოვიან, გამოიმუშავებენ ან დღეისთვის ისესხებენ. როცა ყელში წაგიჭერს სიდუხჭირე და გაყიდი უკანასკნელ პერანგსაც, შრომის იარაღსაც, ურომლისოდაც ხვალ ვერ იმუშავებ, და ე.ი. ლუკმა-პურის შოვნასაც ვერ შესძლებ, სადღაა აქ ზამთრისთვის იაფად სარჩოს მომარაგებაზე ფიქრისა და ზრუნვის დრო, ახლა, როცა ის იაფია, ანდა ცხოვრების შემსუბუქებაზე, გასავლის შემცირებაზე, საკუთარი ძალებიდან და უნარიდან უმაღლესი სარგებლობის მიღებაზე ზრუნვის დრო? განა გონებას, რომელიც ყოველდღიური საზრუნავითა და გაჭირვებით არის დაკავებული, ასეთი ანგარიშიანობა თავში მოუვა? აი, რატომაა, რომ პოლიტიკური ეკონომია დიდი ხანია იმ კანონიერ დასკვნამდე მივიდა, რომ ეკონომია, დაზოგვა, ცხოვრების საზრიანად მოწყობა მხოლოდ მდიდრებს, უზრუნველყოფილებს და იმათ შეუძლიათ, ვინც დაცულია „ყოველწამიერი გასაჭირისაგან"...

ამავე კანონის ძალით და სავსებით იგივენაირად, საზოგადოება, რომელიც როგორღაც განთავისუფლდა წმინდა მატერიალური გასაჭირისაგან და იწამა „საშუალებათა ეკონომიის" სარგებლიანობა, ჯერ კიდევ შორსაა იმის შეგნებისაგან, რომ აუცილებელი და მომგებიანია „ძალების ეკონომია". შეიძლება მიხვდე მანეთის ფასს, მიხვიდე უფრო ამაღლებულ შეგნებამდე, რომ ბევრი მანეთის შეთავსებითა და შეერთებით, თუნდაც ისინი ასობით და ათასობით სხვადასხვა პირს ეკუთვნოდეს—იქმნება უზარმაზარი კოლექტიური ძალა, რომელიც სა-

ზოგადოებისა და პიროვნებათა ცხოვრების პირობებს აუმჯობესებს, და ახორციელებს ისეთ ამოცანებს, რომელიც არ ძალუძთ ადამიანებს, რაც უნდა შეძლებული და ფიზიკურად შემძლე იყვნენ ისინი. მაგრამ აქედან კიდევ უფრო შორსაა „ძალების ეკონომიის" გაგება. იმ ქვეყნებში, სადაც ყოველ ფეხის ნაბიჯზე გვხვდება და წარმატებით მოქმედებს სხვადასხვა სახის საზოგადოებანი და ამხანაგობები, „ურთიერთ კრედიტი" და ა.შ., რომლებიც „საშუალებათა ეკონომიის" რეალური სარგებლობაა, თვალნათლივ გვიჩვენებენ,—ჩვენ მაინც მთელი ათწლეულების მანძილზე ყოველდღიურად ვეჯახებით ადამიანის ტალანტის, ძალისა და უნარის ღირებულების საყოველთაო და აუცილებელ ელემენტარულ უვიცობას... აქედან მომდინარეობს ნიჭის ის თავქარიანი ფლანგვა, რომელიც ზუსტად შეესატყვისება საშუალებათა ფლანგვას პირველყოფილ გლახაკურ საზოგადოებებში...

აქამდე ცოცხლად მახსოვს ერთი ეპიზოდი ჩემი ბავშვობიდან. სკოლიდან სახლში ვბრუნდებოდი და გზაში დამაინტერესა ადგილობრივი მეწაღისა, რომელიც ქუჩაში, თავის სამფეხაზე მუშაობდა და ვაჭრობდა, და ვიღაც გლეხის დიდმა შელაპარაკებამ, რომელსაც ერთი წყვილი ფეხსაცმლის ყიდვა სურდა. საშინელი ყაყანი იდგა. მოკამათეების ირგვლივ, რომლებიც ერთმანეთს ლანძღავდნენ, უამისოდ ხომ ჩვენში, სამხრეთში, ვერაფერს იყიდი და გაყიდი,—მოსეირეთა უზარმაზარი ბრბო წარმოიშვა, რომელთა ცხოველი და უშუალო მონაწილეობა კიდევ უფრო აქეზებდა მოჩხუბრებს. გლეხი იფიცებოდა, რომ მეწაღე ტყუოდა, რომ ზუსტად ასეთივე ფეხსაცმელი მას ამას წინათ ათ შაურად შესთავაზეს, ეს კი სამ აბაზს თხოულობს (ჩვენში მაშინ ასეთი ფასები იყო). და ამის დასამტკიცებლად, მან გადაირბინა ქუჩა და დიდი ამბით მოარბენინა კონკურენტის ერთი წყვილი ფეხსაცმელი და ცხვირში მიაჩეჩა გაცოფებულ მეწაღეს.

მე საშინლად შემეცოდა ეს უკანასკნელი: მეც ასევე მამხელდნენ ხოლმე სიცრუეში და ქურდობაში. მაგრამ მას თვალიც არ დაუხამხამებია. ასწია თავის ფეხსაცმლები, მიადო ახლადმოტანილებს და თავის მოწინააღმდეგეს უკიდურესად დამცინავად შეხედა.

—იცი რა,—თქვა მან—თავისი წყვილი ფეხსაცმელი სამფეხას ქვეშ ამოსდო, რომელიც იმავე დროს სამუშაო მაგიდაც იყო,—და დაუმატა,—შენც ადამიანი ხარ და ვორონცოვიც ადამიანია. მაგრამ თქვენი ფასი სხვადასხვაა... ასეა!

გლეხს ხმა აღარ ამოუღია, ხელი უბეში ჩაიყო, ამოაძვრინა იქიდან ქონიანი ნაჭერი, ჩუმად გახსნა, ამოიღო სამი აბაზი და წავიდა ფრიად კმაყოფილი თავისი ნაყიდით...

იგი დაკმაყოფილდა მეწაღის სარკაზმით, მე კი იმ დღიდან ეს დაცინვა მოსვენებას არ მაძლევდა. თავიდან მშვენივრად მესმოდა, რომ არსებითად მეწაღე მართალია, ერთი ამბავია გლეხი, მეორე—ვორონცოვი. არც შეიძლებოდა არ მცოდნოდა ეს. ნათლად მახსოვდა, როგორ ჩამოვიდა ჩვენთან ქალაქში ვორონცოვი, მაღალი, თხელი, მთლად ჭაღარა და მშვიდი, მომღიმარი, რომელისაც, არ ვიცი რატომ, ყველას ეშინოდა. ის ჩვენთან სკოლაშიც იყო. ჩვენი უფროსობა კანკალებდა მის წინაშე, ჩვენი მოსამზადებელი კლასის მრისხანე მასწავლებელმა, რომელმაც არა ერთი სახაზავი გადამამტვრია თავზე, კითხვების დასმა ვერ შეძლო მისი თანდასწრებით. თვით ვორონცოვი იძულებული გახდა გამოეკითხა ჩვენთვის და გვეკითხებოდა, ე.ი. ისე კარგად და ალერსიანად გვთხოვდა გვეთქვა, რაც ვიცოდით, რაიმე ლოცვა ან არაკი. მახსოვს, მე მას წავუკითხე: „როცა სმოლენსკის თავადმა, უტიფრობის ხელოვნებით შეიარაღებულმა, ახალ ბარბაროსებს მახე დაუგო და დასაღუპად მათ მოსკოვი დაუტოვა". მახსოვს, აგრეთვე, შემეკითხა, რას ნიშნავდა მოსკოვი და რა იყო—ბორკილები. მას ისეთი სანდომიანი და მოსიყვარულე თვალები ჰქონდა და ისე მხიარულად შემომყურებდა, რომ მეც მხიარულად გავიქნიე თავი იმის პასუხად, რომ ამისი არაფერი არ მესმოდა. ის არც გაბრაზდა, არც სახაზავით მცემა, არამედ პირიქით—თავზე მოფერება დამიწყო, თან მეუბნებოდა: „ისწავლე, ჩემო კარგო". და შემდეგ, როცა გავყურებდი ფანჯრიდან როგორ ჯდებოდა იგი გენერლებით გარშემორტყმული, მომღიმარი მოუსვენარ ცხენზე, რომლის ასაკზე ისეთივე დიდი „ნ" ეწერა, როგორიც იმდროინდელ სამკაპიკიანებზე. მე გავიფიქრე, სულ სხვა რამეა ვორონცოვი და სხვა რამეა ჩვენი მრისხანე მასწავლებელი. აი, რატომ იყო, რომ თავდაპირველად მე ვეთანხმებოდი მეწაღის გამოთქმას. შემდეგ კი, დროთა განმავლობაში, ჩემ ზრდასთან და „განვითარებასთან" ერთად, მე მეჩვენებოდა, რომ მეწაღე არ იყო მართალი, რომ ის ჩემსავით ცდებოდა, რომ იგი შეცდომაში შეჰყავდა გარეგნობას. მივყვებოდი ვორონცოვის მცნებას—„ისწავლე". ვსწავლობდი თავდადებით, მაგრამ ყველაფერს, რასაც ვსწავლობდი, მივყავდი იმ დასკვნამდე, რომ მეწაღე არ იყო მართალი. „ბუნება ყველას რომ ერთნაირი აქვს, ვფიქრობდი მე, რატომ უნდა იყოს ვორონცოვისა და გლეხის ფასი სხვადასხვა?" აქ მომისწრო „თანასწორუფლებიანობაზე", „თანასწორობაზე", ადამიანურმა, ქრისტიანულმა, ამაღლებულმა აზრებმა და მე სრულიად დავიბენი. საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ

არსებითად ყველა ადამიანი თანასწორი და ერთნაირია, რომ მხოლოდ შემთხვევა, მხოლოდ ბედისწერის ან წყობის უსამართლობა ქმნის მათ შორის ხელოვნურ სხვაობას. ამის საფუძველზე მე მთელი გულით შემჯავრდა არისტოტელე, ვინაიდან სადღაც ამოვიკითხე, რომ მისი აზრით, ადამიანთა ერთი ნაწილი იბადება, რომ იბატონოს, მეორე ნაწილი—რომ დამორჩილდეს.

მაშინ ეს უმაღლეს სისულელედ მომეჩვენა. თუკი ეს ასეა, თუ ერთნი ნამდვილად იბადებიან ბელადებად, მეორენი—მორჩილებად, მაშ, ბუნებამ რატომ დაბადებიდანვე არ მისცა პირველთ დეზები და სამეფო სამოსი, უკანასკნელთ—უნაგირი და აღვირი? და ვინაიდან მთელი ჩემი ბავშვობა, მთელი ახალგაზრდობა და ჩემი ცხოვრების დიდი ნაწილი გავიდა არსებული ცხოვრების სრულ უარყოფაში, ხალხთან ცოცხალ, საქმიან ურთიერთობაში, წიგნების ქექვაში, ოცნებათა, ფანტაზიათა და იდეალთა ხელოვნურ სამყაროში, ამიტომ ძალიან გვიან მომიწია ცხოვრებისეული მოვლენებით შემემოწმებინა ჩემი ფიქრები, რომლებიც ადამიანთა კეთილდღეობის გულითადი სურვილით იყო შთაგონებული...

შედარებით გვიან მივედი იმ უბრალო და წმინდა ჭეშმარიტებამდე, რომ ერთი საქმეა—თანასწორუფლებიანობა და მეორე—თანასწორობა. ჩემს გარშემო ძალიან ახლო და ცოცხალი იყო კასტური წყობის ის მოძველებული და უაზრო შეხედულებები, რომ მე მარტო შემძლებოდა დამენგრია და შემექმნა საკუთარი მსოფლმხედველობა და უცებ ავმაღლებულიყავი ობიექტურ-მეცნიერული ჭეშმარიტების მწვერვალებამდე საზოგადოებაში, ერთ ნაწილს, სადაც დაბადებითვე ეკუთვნოდა, მეორეს კი ეკრძალებოდა მხედართმთავრად, მღვდელმთავრად, სწავლულად, ვაჭრად ყოფნა, მე, რასაკვირველია, ჩემი დროის ყველა ადამიანის მსგავსად, არ შეიძლებოდა არ დამენახა, რომ ყოველივე ეს სისულელეა, რომ ყველა თანასწორია, ყველა თანასწორუფლებიანია. მაგრამ იმ დროისთვის ჩემთვის სრულიად მიუწვდომელი იყო იმ შეგნებამდე მისვლა, რომ, მართალია, ყველას აქვს თანასწორუფლებიანობის უფლება, მაგრამ ეს სრულიად არ ნიშნავს, რომ ისინი თანასწორნი არიან. აქედან გამომდინარე, ჩვენ ყველანი ერთმანეთს ვუყურებდით არა მხოლოდ როგორც თანასწორუფლებიანებს, არამედ როგორც აბსოლუტურად თანასწორებს. ჩვენ დარწმუნებული ვიყავით, რომ ვინც არ უნდა გაგვეგზავნა უნივერსიტეტში, საკმარისი იყო მისთვის მხოლოდ „საშუალება მიგვეცა“ და მისგან სწავლული გამოვიდოდა. ვინც არ უნდა დაგვესვა ბანკში, საკმარისი იყო მხოლოდ მისი „დანიშვნა“ და ის ფინანსისტი იქნებოდა. მმართველობაში, ასე-

ვე, საკმარისია „ავირჩიოთ“, და ჩვენ საზოგადოებრივი მოღვაწე გვეყოლება. მახსოვს, რომ იმედი გვქონდა ამ გზით თანაშშრომლების, ჟურნალისტების გამოშვებისაც კი. ჟან-ჟაკ რუსოსა და რობერტ ოუენის მსგავსად, მტკიცედ გვწამდა, რომ ადამიანი ცვილია, რომლისგანაც რასაც გინდა გამოძერწავ: მისგან გინდა გმირს შექმნი, გინდა განდეგილს, გინდა ავაზაკს! თითქოს ყველაფერი მომზადებაზე, აღზრდაზე და გარემოზეა დამოკიდებული. და განა დღესაც ასე არ ჰგონია ჩვენი დროის თითქმის ყველა პედაგოგს?

მხოლოდ ცხოვრების მწარე გამოცდილება, მხოლოდ მთელი რიგი მძიმე გამოცდა და ხელის მოცარვა აგიხელთ თვალებს. ნელ-ნელა გამოაშკარავდა—და ღმერთო ჩემო, რა ფასად,—რომ რამდენიც არ უნდა „ვამზადოთ“, „ვზარდოთ“ და ველოლიავოთ მხდალი ბუნების კაცს, მასში ვერ გავაღვივებთ სითამამეს და გამბედაობას, რომელიც სამი თვის ლომის ლეკვს დედის ძუძუდან დაჰყვება. საჭიროა საუკუნოვანი თანმიმდევრული მოწადინება, რომ მგლის ლეკვიდან ბალახის მჭამელი არსება მივიღოთ... არ ვიცოდით ჩვენ არც თანდაყოლილი ინსტინქტების მნიშვნელობა, არც მიდრეკილებების და ჩვევების მემკვიდრეობითობა... ამიტომ არ გვესმოდა ჩვენი საუკუნის წმინდა დოგმა: ყველას აქვს უფლება იყოს ფელდმარშალი, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ყველას აქვს უნარი გახდეს ის, რომ ამ უფლების განხორციელებისათვის საჭიროა ძალა და ნიჭი, რასაც ბუნება, სამწუხაროდ, ყველას არ აძლევს და რაც, აგრეთვე, სამწუხაროდ, ახლა ძალიან იშვიათად აქვს ვისმეს...

არ გვესმის ეს და ამიტომაა, რომ ჩვენ ახლა „ვფლანგავთ“ ბუნების მიერ ბოძებულ იმ იშვიათ ნიჭს, რასაც იგი მართლაც რომ იშვიათად და თან ძალიან ძუნწად გვაძლევს. არ შეგვიძლია ამ ბოძებული საჩუქრის და მისი დაკარგვის მთელი არსებით გასიგრძეგანება. არ გვესმის, რომ ქვეყნები და ერები მეტოქეებთან შედარებით მაღლდებიან თავიანთი საუკეთესო ადამიანების ნიჭით, მოღვაწეობით, შრომითა და ჭკუით. მხოლოდ ამ „საუკეთესო ადამიანებსა და აზრებს“ შეუძლიათ ამაღლდნენ და გაიგონ საერთო გასაჭირი და ამოცანები, მიაგნონ მათი გადაჭრის საუკეთესო საშუალებებს, შეუძლიათ მისცენ სწორი მიმართულება საზოგადო ძალ-ღონესა და შრომას... მართალია, თუთიყუშებივით, მხოლოდ ვლაპარაკობთ და ყოველდღიურად ვიმეორებთ პოეტის აზრს: „მიეცით გზა ნიჭს, ის მხოლოდ ალამაზებს და განადიდებს ადამიანთა ცხოვრებას“. მაგრამ საქმით, ცხოვრებაში მთელი არსებით არ მივყვებით ამ უდიდეს წესს. ჩვენთვის მისი სიკეთე

სრულიად გაუგებარია. არ შეგვიძლია ის გამოვარჩიოთ პირველი შემხვედრი რეგვენისაგან, რომელიც უქმად ცხოვრობს დედამიწაზე. გვგონია, რა ნიჭიერება, რა უნიჭობა, სულერთია: ერთსაც და მეორეს-საც ორ-ორი თვალი აქვს და თითო ცხვირი და პირი...

შეხედეთ, როგორ ცხოვრობს ხალხი იმ ქვეყნებში, სადაც საზოგადოება ამაღლდა იმ შეგნებამდე, რომ შეუძლია სწორად შეაფასოს ყოველგვარი ძალა. იქ ესმით, აწინაურებენ და იყენებენ ნიჭიერებას, იქ იციან, რომ რადგან ადამიანი ღვთის მიერ გამორჩეულია, იგი წინა რიგებში უნდა იყოს საქმეში, ხელმძღვანელობაში, „ცხოვრების საქმეში". იქ არ ეთაკილებათ აღიარონ ხელმძღვანელის, ბელადის ნიჭიერება. ჩვენში კი ამისგან შორს არიან. ჩვენში გაუგებარია, რატომ და რისი იმედით, ომი გამოვუცხადეთ საკუთარ „ინტელიგენციას", ამით ვფლანგავთ საკუთარ ახალგაზრდა ძალებსა და, გვახარებს მათი მარცხი, მათი მარტოობა, მათი უძლურება, არ გვესმის, რომ ამით ჩვენ საკუთარ უღონობას ვამზადებთ... რას წარმოადგენს საზოგადოება ნიჭიერების გარეშე, თუ არა ცხვრის ფარას, რომელსაც მხოლოდ თავისი საკუთარი და მწარე ხვედრი აქვს?

36. საუძმო საკითხავი

მთელი წიგნიერი რუსეთისათვის ცნობილია გოეთეს სტრიქონები:

„იცნობ იმ მხარეს, სადაც ფორთოხალი მწიფდება,
სადაც ხშირ სიმწვანეში ბრწყინავს ოქროს ლიმონი,
იქეთკენ, იქეთკენ" და ასე შემდეგ.

მაგრამ ყველა წიგნიერი რუსი კაცისათვის როდია ცნობილი, რომ ყველგან არ ბრწყინავს ოქროს ლიმონი და ყველა მხარეში არ მწიფდება ფორთოხალი. განსაკუთრებით უცნობია ეს დედაქალაქის გაზეთების რეპორტიორებისა და რედაქტორებისათვის, იმ ადამიანებისათვის, რომელთა „უმეტესობა" მგონი წიგნიერია. განსაჯეთ თქვენ თვითონ:

ამ დღეებში მათ თავიანთ მკითხველებს აცნობეს, რომ ვარაუდობენ პეტერბურგში სპეციალური უმაღლესი სასწავლო დაწესებულების დაარსებას მებაღეებისა და მეღვინეების მოსამზადებლად. არ გჯერათ? მაშინ ინებეთ და წაიკითხეთ, თუ რა დაბეჭდა თითქმის ყველა სატახტო ქალაქის გაზეთმა, რაც პროვინციის გაზეთების საკმაოდ

დიდმა ნაწილმაც გადაბეჭდა. „მალე სპეციალურ უმაღლეს სასწავლებელთა რიცხვი კიდევ ერთით გაიზრდება იმ სპეციალისტთა მოსამზადებლად, რომელთაც სკოლებში მებაღეობა უნდა ასწავლონ. პეტერბურგის ბოტანიკურ ბაღთან ნავარაუდევია უმაღლესი სასწავლო დაწესებულების დაარსება, სადაც სპეციალურად შეისწავლიან მებაღეობას და მეღვინეობას. გარდა თავისუფალი მსმენელი სტუდენტებისა, დაწესებულებაში გაიხსნება 40 ადგილი სტიპენდიანტებისათვის, რომელთაც წელიწადში 300 მანეთი მიეცემათ. ვინც ამ უმაღლესი სასწავლებლის კურსს დაამთავრებს, დაინიშნებიან დირექტორებად, მებაღეობის სასწავლებლების მასწავლებლებად და, აგრეთვე, იმპერატორისა და საზოგადოებრივი ბაღების გამგეებად. დაწესებულებაში მიღებული იქნებიან გიმნაზიების ან რეალური სასწავლებლების კურსდამთავრებულნი. სწავლა გაგრძელდება ოთხ წელიწადს: პირველი სამი წელი მიეძღვნება საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მებაღეობის თეორიულ და პრაქტიკულ შესწავლას, მეოთხე წელი კი მხოლოდ პრაქტიკას დაეთმობა".

აი, როგორი „ხმებითა" და „ახალი ამბებით" გვიმასპინძლდებიან დედაქალაქელი ჩვენი თანამოკალმენი!

დედაქალაქისა და პროვინციული გაზეთების რეპორტიორები რომ ღმერთს არ უქნია, ეს კიდევ არაფერი. ჩვენ ჯერ შორსა ვართ ამერიკელი, ინგლისელი ან ფრანგი რეპორტიორის ტიპისაგან. ისინი ხმებსა და ახალ ამბებს მათი წარმომშობი წყაროს სათავეშივე ამოწმებენ, თხოვენ ახსნას ან განმარტებას მინისტრებს და ელჩებს და სახელმწიფო მოღვაწენიც მათ პატივისცემით ექცევიან. ჩვენ ჯერ სადა ვართ! ჩვენში მხოლოდ ახალი დროის კაცმა, ბატონმა მალჩანოვმა— სწორედ იმან, თბილისში რომ ვექილობდა, „კრუჟოკში[29]" სოციალიზმს ამხელდა, ფურიეს და პრუდონს ერთმანეთში ურევდა, ბოლოს უსტვინეს, გაიქცა და პირში ჩალაგამოვლებული დასტოვა თავისი კლიენტებიც, ბატონი პროკურორიც და საოლქო სასამართლოც—სცადა გამოექვეყნებინა თავისი საუბრები გენერლებთან და მინისტრებთან... მაგრამ თქვენ გახსოვთ, რა გამოვიდა აქედან: მის მიერ დასახელებული ყველა მოღვაწე ერთმანეთს ასწრებდა განეცხადებინათ პრესაში, რომ არავითარი საუბარი არ ჰქონიათ მასთან. ეტყობა ამან სხვა ჟურნალისტებიც შეაფიქრიანა: არ სურდათ მკითხველის თვალში აღმოჩენილიყვნენ ივანე ალექსანდრეს ძე ხლესტაკოვის როლში[30], რომელიც ინგლისის ელჩს ვისტს ეთამაშებოდა. ალბათ, ამიტომაცაა, რომ

ჩვენი რეპორტიორები კურიერებთან და შვეიცრებთან მოსაუბრის თავმდაბალ როლში გვევლინებიან. დადგებიან რომელიმე კანცელარიის მოსაცდელში იმ საათებში, როცა მოხელეები თავს იყრიან ან შინ მიდიან, იმის იმედით, იქნებ „საინტერესო საუბარს" მოვკრათ ყურიო, ან შერბიან სამიკიტნოში, სადაც დეპარტამენტის მწერლები თბებიან და ყურდაცქვეტილი უსმენენ მათ საუბარს.

დიახ, მხრებზე თავი აბია ჩვენს პავლე ივანეს ძეს: ნამდვილი არწივია. საიდან მოსდის ამდენი აზრი: დღე ერთია და პროექტი მზადაა! მაგალითისათვის, აი, თუნდაც უკანასკნელი პროექტი. უმაღლესი სასწავლო დაწესებულება მებაღეობისა და მეღვინეობისათვის, დაიმახსოვრეთ ჩემი სიტყვა, რომ შორს წავა. დიდი ხანი არაა, რაც მსახურობს, ჯერ კიდევ ახალგაზრდაა და უკვე ათზე მეტი პროექტი წარმოადგინა...

რა თქმა უნდა,—ეთანხმება მეორე მწერალი,—სადღესასწაულოდ აუცილებლად დააწინაურებენ, რადგან მონდომებულიცაა და თავაზიანიც, იცით, კალამიც ისეთი აქვს, პირდაპირ გმირავს. სხვა ირგვლივ უვლის საკითხს, თითქოს მერყეობს, ჭოჭმანობს. ეს კი, გაგიგონია, ისე უშიშრად და გაბედულად გაახურებს, თითქოს მანიფესტს წერდესო. ამავე დროს, მხოლოდ მისი პროექტის მოცულობა რად ღირს: ყველა წვრილმანი გათვალისწინებულია, სულ მცირედიც კი არ არის უყურადღებოდ დატოვებული. სტიპენდიაც კი დაუნიშნა ორმოც კაცს, არც მეტს, არც ნაკლებს და ეს ერთხელ და სამუდამოდ. მეოთხე წელი პრაქტიკულ მეცადინეობებს დაუთმო. მართლაც რომ თავი აბია მხრებზე!

რეპორტიორს მეტი რა უნდა. ქუდი ხელში და სირბილით რედაქციაში ოცსტრიქონიანი „შენიშვნის" დასაწერად. მანეთნახევარს იშოვის. რა საქმე აქვს მწერლების შემდგომ საუბართან? „ახალი ამბავი" უკვე შეიტყო, მაგრამ ნახევარი საათიც რომ მჯდარიყო და საუბრის გაგრძელება მოესმინა, მაშინ, ალბათ, მის მიერ მოპოვებულ „ცნობას" კალათში გადაუძახებდნენ.

ცუდი ისაა, რომ მის პროექტს მხოლოდ ჩვენი მაგიდის უჯრაში აქვს წარმატება. უფროსები კი მათ გზას არ აძლევენ, ანდა ისე შეამოკლებენ და გადააკეთებენ, რომ ბოლოს მას თვით პავლე ივანეს ძეც ვერ ცნობს: მხოლოდ ხელებს შლის, ბრაზიანად ქშინავს, ოფლად იღვრება.

აი, რა ვერ მოისმინა ბოლომდე რეპორტიორმა, აი, რა არ იცის საბრალომ...

გასაგებია, რომ ასეთი შეცდომა უნდა ეპატიოს შეზღუდული განათლებისა და ასეთივე შემოსავლის მქონე კაცს. მაგრამ სად იყო რედაქცია? ნუთუ დაივიწყეს ბრძნული ხალხური წესი: „ჭორს ნუ აჰყვები!" ნუთუ არ იციან, რომ აუცილებელია შემოწმება, კრიტიკა, მათ ყურამდე მისული ხმების შესაბამისად გაშუქება? საკმარისი იყო ერთი წუთით ჩაფიქრებოდა რეპორტიორის მიერ მოტანილი ცნობის აზრსა და მნიშვნელობას და მაშინვე დარწმუნდებოდა „შენიშვნაში" გამოთქმული აზრის უდავო სისულელეში, უკიდურეს შემთხვევაში, მისი იმ ნაწილის მცდარობაში, სადაც ლაპარაკია სასწავლებლის დაარსების ადგილმდებარეობაზე. მე არ ვარ დამნაშავე იმაში, რომ—რაკი გაზეთების უმეტესობამ უსიტყვოდ გადაბეჭდა ეს ცნობა—მიხდება დაწვრილებით ვამტკიცო ცხადი, მაგრამ ანბანური ჭეშმარიტება.

როგორც ცნობილია, პეტერბურგში, სადაც არსებობს ბოტანიკური ბაღი, რომელთანაც თითქოს უნდა გაიხსნას უმაღლესი სასწავლო დაწესებულება მებაღეებისა და მეღვინეების მოსამზადებლად, ყოველ წელს მარწყვიც კი არ მწიფდება. ბოტანიკურ ბაღში, ე.ი. მის სათბურებსა და ორანჟერიებში, ცხადია, არათუ ხეხილი, შეიძლება ტროპიკული მცენარეებიც კი იზრდებოდეს. მაგრამ რამხელა უნდა იყოს სათბური, იმდენი ვაზი რომ დაიტიოს, რაც თუნდაც ათ კასრზე ცოტა მეტი ღვინის დაყენებას რომ ჭირდება? რა თანხა დაჯდება ამ სათბურების გათბობა მთელი წლის განმავლობაში? ეჭვგარეშეა, სათბურში მართლაც შეიძლება ვაზის გაშენება, შეიძლება მან მტევნებიც კი გამოისხას, მაგრამ შეიძლება იმ მტევნებიდან, რომელთაც არ მიულიათ საჭირო რაოდენობის მზის სხივები, დავაყენოთ ვარგისი ღვინო?—ესეც საკითხავია. მართალია ისიც, დედაქალაქის დიდებულთა კიბეებზე და ვესტიბიულებში ქოთნებსა და კასრებში ხარობს შორეული სამხრეთის მცენარეთა მრავალი უცნაური ჯიში, მაგრამ ღმერთმა იცის, რამდენი რამ სჭირდება მათ მოვლას. შეედრება კი მათი მოვლა რუსეთის ისეთ ზონებში ხეხილის მოვლას, სადაც შესაძლებელია მებაღეობა და აანაზღაურებს კი ხარჯებს ეს უკანასკნელი, ალუბალსა და ვაშლს რომ ისე მოუარონ, როგორ მოვლასაც ჩრდილოეთში მაგნოლია და არაბული პალმა თხოულობს. ეს არ არის უქმი კითხვა. თუ იმ ფაქტსაც მივიღებთ მხედველობაში, რომ პეტერბურგის მიწაზე, ჩრდილოეთის ცის ქვეშ, სადაც ნაყოფის მომცემი მცენარეები წელიწადში მხოლოდ სამ, უკიდურეს შემთხვევაში ოთხ თვეს ინარჩუნებენ ფოთ-

ლებს, სადაც არ მწიფდება არც ხილი და არც ყურძენი, ყოვლად შეუძლებელია „პრაქტიკული" მეცადინეობის ჩატარება როგორც მებაღეობაში, ასევე მეღვინეობაში, ცხადია, იმ სახით, როგორც წარმოებს მებაღეობა და მეღვინეობა რუსეთის ისეთ ოლქებში, სადაც შესაძლებელია სოფლის მეურნეობის ამ დარგების აზრიანად წარმოება... მხოლოდ ამ ერთი გარემოების გამო რედაქციას რეპორტიორის შენიშვნიდან უნდა ამოეშალა ყველაფერი ის, რაც მასში „პრაქტიკულ შესწავლას" ეხება და, აგრეთვე, „მეოთხე წელი" მხოლოდ პრაქტიკას რომ ეთმობა.

რაც შეეხება თეორიულ ცოდნას, მათი სწავლება სახელმძღვანელოების მიხედვით ყველგან შეიძლება „აქედან აქამდე", ხოლო თუ გნებავთ, მე თბილისშიც შემიძლია ვასწავლო გინდ ვეშაპების ჭერა, გინდ ხამანწკების მოშენება და გინდ ხინის წარმოება. მაგრამ განა ყველა ახალგაზრდას შეუძლია წარმატებით შეითვისოს თეორიული ცოდნა, ყველას ტვინს შესწევს უნარი უცილობელი აბსტრაქციის აღქმისა? გარდა ამისა, რამდენად უფრო ძნელი და ზედაპირულია ამგვარი თეორიული ცოდნა თვალსაჩინო სწავლებაზე, რომელიც დაფუძნებულია ცოცხალ, კონკრეტულ ფაქტებზე და მაგალითებზე? შეიძლება კი ასწავლო კვირტის დამყნობა, ყლორტის დამყნობა და გადარგვა სტუდენტს, რომელსაც არც ამ ოპერაციების ჩატარების შესაძლებლობა აქვს და არც მათზე დაკვირვებისა.

ჩვენი სოფლის მეურნეობის უბედურება უდაოდ ის არის, რომ მეცნიერებას არ ენდობიან ის ფენები, სოფლის მეურნეობას რომ ეწევიან. არა მარტო ბრბო, გლეხობა, არამედ სერიოზული, განათლებული ადამიანებიც, რომლებიც გაჭირვების ან პირადი სურვილის გამო მიწაზე მუშაობენ, ღრმა უნდობლობით უყურებენ ჩვენს სწავლულ აგრონომებს, მებაღეებს და მეღვინეებს, ზუსტად ისე, როგორც ჩვენი პრაქტიკოსი მექარხნეები მხრების აწურვით ხვდებიან სწავლული პროფესორების შეგონებებსა და ქადაგებებს. ეს პრაქტიკოსების უმეცრებით კი არ არის გამოწვეული, არამედ ცოცხალი საქმისა და ცხოვრებისაგან სწავლულების სრული მოწყვეტით. ჩვენს სწავლულებს მძიმე ტვირთად აწევთ მეტისმეტი, თითქმის უკიდურესობამდე მისული კაბინეტურობა. მათ ჯერ კიდევ ვერ შეიგნეს, რომ ყველაფერი ის, რასაც აღწევენ ლაბორატორიებში და სათბურებში გამოუსადეგარია ქარხანაში ან პრაქტიკულ წარმოებაში. ლაბორატორიებში და სათბურებში მხოლოდ ერთი რამ არის მნიშვნელოვანი:

მიიღონ საჭირო შედეგი, რა სახსრები და თანხაც არ უნდა დაუჯდეთ იგი. ქვეყნის ეკონომიური ცხოვრება კი სხვა რამეს თხოულობს: მის მიერ მიღებული შედეგები შეუდარებლად მეტი უნდა ღირდეს, ვიდრე მათ მიღებაზე დაიხარჯა. ჩვენი სწავლულები და მეცნიერება მხოლოდ მაშინ მოიპოვებენ სახალხო ცხოვრებაში სერიოზულ მნიშვნელობას, როცა თავს დაანებებენ ფანტაზიის სფეროში ნავარდს: უდავოა, რომ სარგებლობა ამ სფეროსაც მოაქვს, მაგრამ იგი მხოლოდ მეცნიერებას ნევს წინ, ხოლო სახალხო მეურნეობაზე სწრაფ და უშუალო გავლენას ვერ ახდენს. ხალხამდე, მის შრომამდე, მის მეურნეობამდე მეცნიერება ცდების ჩასატარებლად, არამყარი და შეუმოწმებელი ჰიპოთეზებით კი არ უნდა მივიდეს, არამედ განსახორციელებელი და უდაოდ ნაყოფიერი წინადადებებით, რომლებიც გამოცდილია ცხოვრებაში და არა მხოლოდ ლაბორატორიაში. მხოლოდ სწავლადაუმთავრებელმა ადამიანებმა არ იციან, რომ მეცნიერება ყოვლისშემძლე არაა, რომ მას არ ძალუძს დაანგრიოს ჭეშმარიტი ცხოვრების საფუძვლები, რომ იგი ვერ გადააკეთებს ბუნებას, რომ მისი დანიშნულება და ძალა ისაა, შეისწავლოს და გაიგოს ბუნების კანონები და რაც შეიძლება უკეთესად გამოიყენოს ისინი. შეიძლება გაზარდო მებაღეობისა და მეღვინეობის ასობით მაგისტრი, დოქტორი, პროფესორი, შეიძლება მათ ყველაფრის უფლება მისცე, მაგრამ მეღვინეობას ისინი ტვერის გუბერნიაში მაინც ვერ შექმნიან და ვერც მებაღეობას დანერგავენ ნოვგოროდის გუბერნიაში. მთელი მათი მოღვაწეობა, საქმიანობა, წასვლა-წამოსვლა, მთელი მათი ცხოვრება მხოლოდ იქამდე მიგვიყვანს, რომ კიდევ უფრო გაფართოვდება სხვაობა მეცნიერებასა და შრომის წარმომადგენლებს შორის. ამავე დროს, ჩვენი სოფლის მეურნეობა, ჩვენი მრეწველობა, მთელი ჩვენი ცხოვრება პროგრესს განხეთქილების გზით კი ვერ მიაღწევს, არამედ თანამედროვე მსოფლიოს ამ ორი უდიდესი ძალის წარმომადგენლების ერთიანობით. რა საშუალებებით გინდათ მეცნიერებას და მის წარმომადგენლებს მოუპოვოთ ხალხის ნდობა, როცა „მეცნიერება“ ჩვენ გამოგვიგზავნის მებაღეობის ან მეღვინეობის დოქტორის დიპლომიან მეცნიერს ან უფრო მეტიც „პროფესორს“, რომელსაც თვალით არ უნახავს არც ატამი, არც ლეღვის ხე და არც ვაზი და რომელსაც არ შეუძლია გაარჩიოს ეს უკანასკნელი სვიასაგან? დამეთანხმეთ, ყველაფერი ეს დაუჯერებელი და სრულიად არასერიოზულია.

37. ცხოვრების პატივისცემის შესახებ

17თებერვალი, 1888 წელი

ამ დღეებში ადგილობრივ გაზეთებში შემდეგი მნიშვნელოვანი ამბავი გამოქვეყნდა:

„1887 წ. 21 დეკემბერს უმაღლეს დონეზე დამტკიცებულმა წესებმა, რომლებიც ნავთობის გამანათებელი ზეთების აქციზებს ეხებოდა, პრაქტიკული გამოყენების დროს სიძნელეები წარმოქმნა. ამის გამო ფინანსთა მინისტრმა ამიერკავკასიისა და კასპიისპირეთის მხარის სააქციზო შემოსავლის გამგებელს, საიდუმლო მრჩეველს ბ-ნ მარკოვს უფლება მისცა გვერდი აექცია ამ წესებისათვის, თუ ის საჭირო და სასარგებლო იქნებოდა საქმისთვის. და აგრეთვე, ამავე მიზნით შემოეღო ახალი წესები?“

ამ ცნობამ ჩემში მთელი რიგი სხვადასხვა ხასიათის ფიქრები აღძრა: ერთდროულად სამწუხაროც და სასიხარულოც.

„ერთი მხრივ“, რასაკვირველია, არ შეიძლება არ მივესალმოთ მრეწველობის მოთხოვნებისადმი ცოცხალ და საქმიან დამოკიდებულებას. ჩვენი ბიუროკრატიული ჩვევების გამო, აქამდე არა ვართ მიჩვეული რეგლამენტირებული საქმეების ბედისადმი მსგავს თანაგრძნობით დამოკიდებულებას. ნათლად რომ ვთქვათ: არსებული ცხოვრების უფლებებისა და ძალებისადმი ასეთ პატივისცემას. ჩვეულებრივ ფიქრობენ, რომ თუ ამ ცხოვრებას ბედმა არ გაუღიმა და ვერ შეეწყო ამა თუ იმ სხვა წესებს, თუნდაც „დროებითს“, თუნდაც „გამოცდილების“ მიღებისთვის გამოცემულს, მით უარესი მისთვის, ის უნდა დავამსხვრიოთ, ნაცვლად იმისა, რომ შევასწოროთ მისთვის შეუფერებელი წესები. ვიმეორებთ, ახლახან ამონერილი ცნობა დამამშვიდებელ და სასიხარულო შთაბეჭდილებებს ტოვებს სწორედ საქმისადმი ასეთი ახლებური საქმიანი და გააზრებული დამოკიდებულების გამო, სწორედ იმიტომ, რომ ეს პირველი ნაბიჯია იმ იდეალური წყობისკენ მიმავალ გზაზე, რომელშიც წესები არსებობენ ცხოვრებისთვის და არა პირიქით...

მაგრამ „მეორეს მხრივ“... არ არის ვარდი უეკლოდ... დროებით, რამდენიმე თვით, „საქმის სასარგებლოდ“, რასაკვირველია, შეიძლება დიდი მხარის ერთი ნაწილის უფროსის მიერ უფლებამოსილ ადმინისტრაციულ პირს, როგორიც გნებავთ, უფლება მივანიჭოთ. მაგრამ საქმის მმართველობაში არსებობს პრინციპები, რომლის დავიწყება არ შეიძლება, როგორც ხელისუფლების, ისე მოსახლეობის არსებითი ინტერესების მიზნის გაუთვალისწინებლად. ამ შემთხვევაში,

როგორც მარკოვის მაღალი სამსახურეობრივი მდგომარეობა, ისე მისი პიროვნება, უტყუარ გარანტიას იძლევა, რომ ფინანსთა მინისტრის მიერ მიკუთვნებული განსაკუთრებული უფლებები მიმართული იქნება საქმის სასარგებლოდ და არა საზიანოდ. „ნოვოე ობოზრენიემ" ერთი თვის წინ უკვე აღნიშნა ბ-ნ მარკოვის საზრიან-საქმიანი, ადამიანური დამოკიდებულება მისთვის მინდობილ საქმესთან დაკავშირებით. რასაკვირველია, საკითხი არ ეხება არც მის პიროვნებასა და არც კერძო შემთხვევას, არამედ საერთო პრინციპს, რომლის უგულვებელყოფა ქმნის ასეთ მდგომარეობას, როცა საჭიროა ასეთ გადაუდებელ საშუალებებს მივმართოთ. ბ-ნ მარკოვისათვის ასეთი განსაკუთრებული უფლებების მინიჭება გვიჩვენებს, რამდენად აუცილებელია 1887 წ. 21 დეკემბრის წესებში არსებული ხარვეზის გადაუდებელი შესწორება. ვინაიდან როგორი უზადო და სამართლიანი არ უნდა იყოს ადმინისტრატორის პიროვნება, თუნდაც მისი კრედიტისა და რეპუტაციისათვის აუცილებელია, რომ მისი გადაწყვეტილებები გამომდინარეობდეს კანონიერი დადგენილებებიდან და არა მხოლოდ პირადი შეხედულებებიდან. წინააღმდეგ შემთხვევაში, გასაგებია, მას არ მოასვენებენ მთხოვნელები და გამომძალველები, რომლებიც თავისთვის ათასგვარ შეღავათს და გამონაკლისს მოისურვებენ. მხოლოდ ტაქტით აქ ფონს ვერ გახვალ.

იმის გამო, რომ ცხოვრებამ გამოავლინა 1887 წ. 21 დეკემბრის წესების შეცვლის აუცილებლობა, სასურველია, რომ დამატებითი დადგენილებების რედაქტირების დროს, სერიოზული ყურადღება მიექცეს სარეგლამენტაციო საქმის პირობებსა და დეტალებს. დეპარტამენტის კანცელარიები ასეთი ტიპის წესებს ჩვეულებრივ შეიმუშავებენ ხოლმე პროვინციაში და მას თან ახლავს მთელი ფუთი ბიუროკრატიული საქმიანი ქაღალდები. მაგრამ ისინი თანდათან უნდა დარწმუნდნენ, რომ სარეგლამენტაციო „საქმის შესასწავლად" სრულიად არ კმარა ჩინოვნიკის ორ-სამკვირიანი მივლინებები. როგორი მახვილი თვალიც არ უნდა ჰქონდეთ უფროსებს, რამდენიმე კვირაში ისინი მაინც ვერ ჩაწვდებიან საქმის ყველა წვრილმანსა და პირობებს, რომელიც ხშირად ასობით ადამიანის სიცოცხლეს მოიცავს... ამიტომ სასურველი და აუცილებელია, რომ ყველა მსგავსი წესებისა და დამატებების პროექტის შედგენის დროს, კანონმდებელმა მოუსმინოს კომპეტენტურ პირებსაც, რომლებმაც მთელი თავისი მოღვაწეობა და მთელი თავისი უნარი სარეგლამენტაციო საქმის წარმატებას

მიუძღვნეს. რასაკვირველია, ჩვენ ვგულისხმობთ არა კანცელარიის შერჩევით მოწვეულ „მცოდნე პირებს". ეს სასარგებლოა მხოლოდ ორისამი იყოს, ან უფრო ზუსტად, მოხერხებულ პირებს, რომლებიც უმთავრესად დაინტერესებული არიან კანონმდებელ ხელისუფლებას უჩვენონ არა მარტო ცალმხრივად, არამედ მცდარად გაშუქებული საქმის ვითარება. ჩვენი მოკრძალებული შეხედულებით, საჭიროა მივაღწიოთ არა ამა თუ იმ ფირმის, არამედ მრეწველობის ყველა დარგების წარმომადგენლების თავმოყრას, რომლებიც აზრს გამოთქვამენ თავიანთი საქმის საერთო მდგომარეობისა და საჭიროების შესახებ. ამ კონკრეტულ შემთხვევაში კი, როდესაც კანონმდებელი ხელისუფლების მიერ დაწესებულია „ნავთობის მრეწველთა ყრილობის" მოწვევა, ფრიად სასარგებლო იქნებოდა წინასწარ შეკრებილიყო ეს ყრილობა. ამით მათ საშუალება ექნებოდათ გარკვეულიყვნენ როგორც ფისკალურ, ისე ნავთობის მრეწველობის ინტერესებსა, საჭიროებებსა და მოთხოვნებში. აგრეთვე მათთვის უნდა მიგვეცა უფლება თვითონ აერჩიათ რწმუნებულები, რომელთაც საშუალება ექნებოდათ კანონმდებელი ხელისუფლებისათვის წარედგინათ ყველა აუცილებელი ცნობა არსებული საქმის რეალური მდგომარეობისა და საჭიროების შესახებ. როგორც ნავთობის მრეწველობის, ისე ბ-ნ მარკოვის დამატებითი წესების შემუშავებაში, ასეთი უფლებამოსილი პირების მონაწილეობის შედეგად, საკანონმდებლო აქტს „პრაქტიკული წინააღმდეგობა" უკვე აღარ შეხვდება.

ჩვენ ძალიან კარგად ვიცით, რომ „ნავთობის მრეწველობის ყრილობა", რომელმაც მრავალი აუსრულებელი იმედი აღძრა, ახლა ავტორიტეტით აღარ სარგებლობს. სამწუხაროდ, მოხდა განხეთქილება ბ-ნ ილიმოვისა და ნავთობსადენის მუშაკების იდეების მნიშვნელობის გამო, რომლებიც ნავთობის საქმის დღევანდელ და მომავალ ბედს ეხებოდა. მაგრამ კანონმდებელმა ხელისუფლებამ ყრილობა მოიწვია არა იმ მიზნით, რომ დედაქალაქის პატივისცემა გამოეწვია, არამედ მთელი ნავთობის მრეწველობის საჭიროებისა და მოთხოვნების შესახებ ზუსტი და მართებული ცნობების მისაღებად. და დედაქალაქელი ბატონები, როგორც არ უნდა იყვნენ ბაქოს ყრილობაზე ნაწყენი, როგორც არ უნდა გაუკეთონ იგნორირება, მაინც რეალური ცხოვრება დროთა განმავლობაში დაგვიმტკიცებს, რომ ყრილობის გარეშე და ყრილობის გვერდის ავლით მიღებული ყოველი მოქმედება განწირულია და უდღეური.

38. პოლიტიკური მიმოხილვა

რუსეთის პრესამ საჭირო ყურადღების გარეშე „დატოვა“ ჩვენი მნიშვნელოვანი განაპირა მხარის ერთი ფრიად გამორჩეული მოვლენა, რომელიც ყველა თვალსაზრისით სამართლიან შეფასებას იმსახურებდა. ჩვენ გადმოგცემთ მხოლოდ ფაქტებს, მკითხველებს კი ვუტოვებთ უფლებას, ამ ფაქტებიდან თვითონ გამოიტანონ ზნეობრივი დასკვნა.

სისტემატური წაქეზების გამო, ამ ბოლო წლებში ყოველი მხრიდან რომ ესმით რუსეთის ქვეშევრდომ პოლონელებს, რომელთაც უცხოეთის პრესა და რუსეთის მიმართ მტრულად განწყობილი სახელმწიფოების პოლიტიკური მოღვაწეები ჩვენი სახელმწიფოს წინააღმდეგ ამხედრებენ და ომის შემთხვევაში პირდაპირი წინააღმდეგობის გაწევისაკენაც კი მოუწოდებენ, უცხოეთში მოღვაწე მოწინავე პოლონური პრესის გამოჩენილმა წარმომადგენლებმა საჭიროდ მიიჩნიეს შეიკრიბონ და ერთობლივად განიხილონ, როგორ უნდა იმოქმედონ პოლონელებმა კონტინენტალური სახელმწიფოების მოსალოდნელი შეტაკების შემთხვევაში. პოლონეთის პრესის იმ ხელმძღვანელთა კონფერენცია, ამ მიზნით რომ შეიკრიბნენ, გაიმართა ლვოვში (გალიცია) გასული წლის იანვრის შუა რიცხვებში. მიუხედავად იმ პერიოდული გამოცემების შეხედულებებისა და მიმართულებების ძირეული სხვაობისა, რომელთა წარმომადგენლებიც კონფერენციაზე შეიკრიბნენ—წითლებიც, თეთრებიც და ზომიერი პატრიოტებიც ერთ დასკვნამდე მივიდნენ—პოლონელ ხალხს და ახალგაზრდობას მიმართონ რჩევით, თავი შეიკავონ მომავალ განხეთქილებაში ყოველგვარი ჩარევისაგან. კონფერენციის მიერ გამომუშავებული მანიფესტი დაიბეჭდა ყველა საზღვარგარეთულ პოლონურ გაზეთში, მას ხელს აწერს გალიციის გაზეთების ხელმძღვანელობა და ა.შ.

ამ შესანიშნავი კონფერენციის მონაწილეთა რწმენით, რომელთაც, რა თქმა უნდა, ვერავინ დასწამებს, რომ სურვილი აქვთ ხელი შეუწყონ რუსეთის პოლიტიკის გატარებას, უცხოელ წამქეზებლებს, პოლონეთში ანტირუსული განწყობილების გაღვივებას რომ ცდილობენ, მხოლოდ ის მიზანი აქვთ, განახორციელონ რუსეთის წინააღმდეგ მეტად თუ ნაკლებად ვერაგული მანევრი. ყოველგვარ არეულობას, რუსეთის ფარგლებში რომ წარმოიშობა, ექსპლოატაციას უწევენ ამგვარი წამქეზებლები ან მათი გამომგზავნი სახელმწიფო მოღვაწეები და

არა პოლონეთის სასარგებლოდ, არამედ ინგლისური ან გერმანული პოლიტიკის ანგარებიანი ზრახვების გამო. როცა ასეთ ვიწრო ეგოისტურ მიზნებს მიაღწევენ, ამბოხებულ პოლონეთს ბედის ანაბარა მიატოვებენ: დანაპირებს დაივიწყებენ და პოლონეთი დახმარებას ვერსაიდან ვერ მიიღებს.

ეს არც პირველი შემთხვევაა და არც მეორე, როცა პოლონელები სხვების გამო ვარდებიან ცეცხლში და არა მარტო არავითარი სარგებლობა არ მოუტანიათ, არამედ დიდი ზიანი მიუყენებიათ ქვეყნისა და მისი მომავლისათვის. ამჟამად კი კიდევ უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე მომრავლდნენ აგენტები, რომლებიც პოლონეთის მგზნებარე და გამოუცდელ ახალგაზრდობას აცდუნებენ. ეს აგენტები მათ ჩასჩურჩულებენ, აუცილებელია ისარგებლოთ საერთაშორისო არეულობით, რუსეთის სიძნელეებით პატრიოტული მიზნების მისაღწევად. ისინი ამტკიცებენ, რომ სახელმწიფოები, რომლებიც შევიდნენ ყბადაღებულ „მსოფლიო ლიგაში“ და მათთან ერთად რუსეთის ყველა არაკეთილმოსურნე ქვეყანა არ დაივიწყებენ მხარი დაუჭირონ პოლონეთის პატრიოტულ მოძრაობას. ამავე დროს იმოწმებენ ზოგიერთი ორატორის პარლამენტში წარმოთქმულ სიტყვას, სადაც გამოთქმულია პოლონელი ხალხისადმი პლატონური თანაგრძნობა და უცხოეთის ოფიციოზური გაზეთების წერილებს, სადაც დაუფარავად იხილავენ პოლონეთში დამოუკიდებლობის აღდგენის სარგებლიანობის საკითხს, თითქოსდა რუსეთსა და ევროპას შორის ნეიტრალური ზონის შესაქმნელად...

ნუ დაუჯერებთ ამგვარ აგენტ-წამქეზებლებს, ამბობს კონფერენცია, სამშობლოს ინტერესების გამო პოლონეთის ახალგაზრდობამ სიმშვიდე არ უნდა დაკარგოს, არ უნდა წამოეგოს რევოლუციისაკენ მოწოდებისა და ნაქეზების არავითარ ანკესს, ვისგანაც არ უნდა მომდინარეობდეს ყოველივე ეს. ყველაფერს, რაც ცოტათი მაინც ემსგავსება მღელვარებისაკენ მოწოდებას და აგიტაციას, მონდომებით უნდა აუაროს გვერდი პოლონეთის ახალგაზრდობამ.

რა თქმა უნდა, ძნელი სათქმელია პოლონეთის დამოუკიდებელი პრესის ეს ჭეშმარიტად პატრიოტული მოწოდება როგორ გავლენას მოახდენს მომავალში, ომის შემთხვევაში მოვლენების განვითარებაზე პოლონეთში. გამოიჩენს კი პოლონეთის საზოგადოების ყველა ელემენტი საკმარის პოლიტიკურ მომწიფებულობას, რომ მიიღოს ეს დინჯად და გონივრულად მოფიქრებული რჩევა, თუ უწინდებურად,

როგორც ყოველთვის, გამოცდილი პოლიტიკოსების ბრძნული რჩევა უკუგდებული იქნება ცალმხრივად განწყობილი ფიცხი გონების ადამიანთა მიერ, რომლებიც მხოლოდ ვნებასა და წუთიერ გრძნობას ემორჩილებიან? ეს, რა თქმა უნდა, საკითხავია.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ერთი რამ: „პოლონეთის საზოგადოებაში და პოლონეთის პრესაში პირველად გაისმა ასეთი ფრთხილი და მნიშვნელოვანი რჩევა, რომელიც გამომდინარეობს პოლონელებისათვის დიდად ავტორიტეტული წყაროდან".

39. დაე, ისმოდეს გამარჯვების ძახილი! დაე, ძუხდეს გამარჯვების ძახილი!

განა შემიძლია ჩემ თავს,—და განსაკუთრებით „ნოვოე ობოზრენიეს" მკითხველებს არ მივანიჭო სიამოვნება და არ წავუკითხო ბ-ნ მიხნევიჩის მიერ „ნოვოსტში" (№37) გამოქვეყნებული გამარჯვების, რომელიც გვამცნობს ჩემს საბოლოო დამარცხებას რუსებისა და ყაბარდოელების ბრძოლაში სტატიისათვის „მხოლოდ ნიჭისათვის?" სრულად მომყავს ეს:

„ორი სიტყვით ბ-ნ ნიკოლაძეზე.

მაინც როგორი მარდი, მოხერხებული კაცია ეს ბ-ნი ნიკოლაძე! უყურეთ, როგორ ყოჩაღად გამოძვრა და როგორ „კეთილშობილურად გვიპასუხა" მას შემდეგ, რაც მას საკადრისი პასუხი მივეცი!

იგი აგრძელებს ჩემთან საუბარს „საგზაო ფილოსოფიის" შესახებ, მაგრამ მხოლოდ იმ მიზნით, რათა გულწრფელად აღიაროს, რომ ჩვენთან საკამათო (როგორც ეს მე დავასაბუთე) არაფერი ჰქონდა და რომ ჩემს წინააღმდეგ მისი პოლემიკა სინამდვილეში სხვა არაფერი იყო, თუ არა „ლიტერატურული ორთაბრძოლა" (რაც აგრეთვე ჩემს მიერ იყო დამტკიცებული).

შესანიშნავია! თითქოს ამით დამთავრდა საუბარი. მაგრამ არა, ბ-ნ ნიკოლაძეს მოუნდა კიდევ—ამ ორთაბრძოლაში გამარჯვებული გამოსულიყო! ახლა ის მე ბრალს მდებს „შეცდომაში"—როგორ თუ მე „ვერ მივხვდი", რომ ბ-ნი ნიკოლაძე სულაც არ აპირებდა ჩემი მოსაზრების უარყოფას, არამედ მხოლოდ პოლემიკურ მანევრირებას აკეთებდა?

„ბ-ნ მიხნევიჩს,—წერს იგი,—ციკი გონებით რომ განეხილა ჩემი სტატია, ის იოლად გაიგებდა, რომ ის კი არ უარყოფდა, არამედ აძლიე-

რებდა მისი საკუთარი სტატიის აზრსა და მნიშვნელობას,* რომ მისი სტატიისადმი მიმართული ტონი და საყვედური ჩემთვის საჭირო და აუცილებელი იყო ჩემი, როგორც პროვინციელი ჟურნალისტის მდგომარეობით, მან ეს ვერ გაიგო".

„გმადლობთ, არ მოველოდი",—შემიძლია მხოლოდ ვთქვა. ვაღიარებ, მაინც ვერ ვხვდები, ისეთმა რა საბედისწერო „გარემოებამ" უნდა გამოიწვიოს და რა გამართლება აქვს თანამზრახველს ასე უცნაურად განუცხადო თანხმობა და მისი სიტყვების „აზრი და მნიშვნელობა განამტკიცო" „მისი გაკილვით", „პოლემიკური ტონით და ლანძღვით"... ბ-ნი ნიკოლაძე დიდი ნოვატორია და აღიარებულ ლიტერატურულ ნორმებს „ჭაობად" მიიჩნევს; მისთვის ლოგიკაც „ჭაობია", გრამატიკაც „ჭაობია"... ალბათ, აქედან გამომდინარეობს, ახალი ორიგინალური მანერა ლანძღვით და კილვით „განამტკიცო", „მხარი დაუჭირო" სხვის აზრს. მაგრამ მაინც თავს ვიხრი „პროვინციელი ჟურნალისტის მკაცრი გარემოების წინაშე" და მეცოდება, რომ ბ-ნი ნიკოლაძე ძალდატანების ქვეშ წერს იმას, რასაც არ ფიქრობს".

მოზეიმე როსმა გამარჯვების ერთი აუცილებელი პირობა დაივიწყა—მიეთითებინა ბრძოლის ადგილი და დრო, ე.ი. დაესახელებინა გაზეთი და ნომერი, სადაც ამ ბედკრულმა მტერმა მასთან შერკინება გაბედა... მაგრამ „გამარჯვებულს არ ასამართლებენ".

40. საუძმო საკითხავი

დიდი ხანია უკვე ყველა სახის რუსული პრესა ყველანაირად და ყველა ხმაზე ამხელს მის მიერ ჩვენ საზოგადოებაში გამოვლენილ სატკივარს, რომელსაც უწოდა. რაშიც არის საქმე, თქვენ იცით. მოეწონა კაცს მეზობლის კარ-მიდამო, ან „მისი გულის სწორს" სხვა კაცი შეუყვარდა, ან უბრალოდ, უეცრად უმიზეზოდ შეძულდა ვილაც, იგი მაშინვე ჯდება და „იწყებს შეთხზულ საჩივარს და საბრალო მოწინააღმდეგეს ქვეყნის ცოდვას აბრალებს. უდანაშაულოდ ცილისწამებულის მიერ აღძრული მთელი რიგი დამღლელი სასამართლო პროცესები თვალნათლივ ავლენს ასეთი საზიზღარი ამბების გმირების მუხანათობას და მდაბალ სურვილებს. ცილისმწამებლები დამსახურებულად

*აქ ბ-ნმა მიხნევიჩმა მხოლოდ ერთი სტრიქონი გამოტოვა: „რომ მისი მიზანი მხოლოდ შესწორება იყო".

დაისაჯნენ: მათ შეუბრალებლად ეკიდება ხალხის „საზოგადოებრივი სინდისის სასამართლო“, რომლის ზნეობრივი პრინციპია: „დამსმენს პირველი მათრახი!“ მაგრამ ხალხის თვალწინ მომხდარი ამგვარი პროცესების ყოველი წვრილმანებიდან ნათლად ჩანს, რომ მხოლოდ შემთხვევით თუ გაიგებს ბრალდებული, საიდან მოდის დარტყმა და რა დიდი ძალის დახარჯვის ფასად ახერხებს საკუთარი უდანაშაულობისა და ცილისმწამებელთა სიცრუის დამტკიცებას. ასეთი სასამართლო პროცესების შემდეგ, მკითხველებს ყოველთვის თმები ყალყზე უდგებათ იმის წარმოდგენით, თუ რამდენად დაუცველები არიან თავმდაბალი და წესიერი მოქალაქეები, რომლებიც უსინდისო დამსმენების მსხვერპლი ხდებიან.

ბოლო დრომდე თვალს ვადევნებდით ამ პროცესებს და რუსული პრესის აღშფოთებულ წერილებსაც, ზუსტად ისეთივე თანაგრძნობით, როგორითაც სამხრეთელი კაცი ეცნობა „ჯანეტის“ ბედკრული მგზავრების ბედს, რომლებიც პოლარული სიცივის მსხვერპლი გახდნენ. სხვისი ტანჯვის, შორეული დრამის წარმოდგენა უდაოდ მეტისმეტი იყო. მაგრამ ყოველივე ამასთან ერთად, გულის გამყინავ ყველა საშინელებასთან ერთად, მაინც რჩებოდა რაღაც გრძნობა, რომ ეს მოხდა შორს და დიდი ხნის წინ, და მხოლოდ ერთხელ; რომ ჩვენ პირადად არ გვეხება და არც შეიძლება შეგვეხოს. ერთი სიტყვით, თანაგრძნობა იყო გონებისმიერი და არა საკუთარ ტყავზე გამოცდილი. მეტისმეტად გულჩვილ ადამიანში, რაც უნდა ღრმა ყოფილიყო საშინელების განცდა და თანაგრძნობა, რომელიც ფოთის პორტიდან უყურებდა მისგან ათ საჟენში როგორ იღუპებიან ქარიშხლით დალეწილი გემის მეზღვაურები, მაინც დამეთანხმეთ, რომ მისი შეგრძნება ისეთი არ იყო, როგორიც გემთან ერთად დაღუპულ მსხვერპლთა სიკვდილისწინა განცდა. ჩვენ ვიცოდით, ვგრძნობდით, რომ განზე ვიდექით, რომ ჩვენ არა გვაქვს არც, და არც რაიმე მისთვის...

მაგრამ ასე იყო ბოლო დრომდე. სამწუხაროდ, ახლა ჩვენს სინამდვილეშიც გვხვდება ისეთი მოვლენები, რომლებიც ნათლად გვიჩვენებენ, რომ საზოგადოებრივ ცხოვრებაში, მისი გარდუვალი კანონების ძალით, არ არსებობს რაიმე მოვლენა და ფაქტი, რომლებიც რაღაცნაირად არ გვეხებოდეს, არ ჩაგვითრევდეს ჩვენც, რომ ასეთი სენისაგან თავდასაცავად არ გვაქვს საკმაოდ ძლიერი ჯავშანი... თანდათან, ჩვენს კავკასიურ ცხოვრებაშიც დაიწყეს ცრუ დასმენები...

საუკუნის ამ დაავადების თითქმის პირველი აშკარა გამოვლინება იყო ყუბანის მე-7 საფეხოსნო პოლკის პორუჩიკის კისელიოვის დასმენა, რომელსაც მისი ორი თანაპოლკელი ბრალს სდებდნენ ყოველგვარ „სახელმწიფო" დანაშაულში. ზემდგომთა ბრძანებით მაბეზღარები კავკასიის სამხედრო-საოლქო სასამართლოს გადასცეს, რომელსაც პირადი სარჩელი ჰქონდა—ეჭვიანობა ქალის გამო. შარშან ჩვენ დავბეჭდეთ ანგარიში (იხ. „ნოვოე ობოზრენიე", №1227, 1887 წ. 13 ივლისი) ამ შესანიშნავი საქმის შესახებ. ერთ მაბეზღარას მიუსაჯეს თავისუფლების აღკვეთა რვა თვით, მეორეს ჩამოერთვა ზოგიერთი უფლება და უპირატესობა და თავისუფლება აღეკვეთა ერთი წლით. ამას გარდა, ორივე გარიცხეს სამხედრო სამსახურიდან. თუ მახსოვრობა არ მღალატობს, ეს გახლდათ ამ სახის ერთადერთი პროცესი ჩვენთან, კავკასიაში.

ეს არ ნიშნავს, რომ რუსეთის სხვა მხარეებთან შედარებით, ჩვენში არ გამოჩნდებოდნენ ადამიანები, რომლებიც ანგარების მიზნით არ შეეცდებოდნენ გამოეყენებინათ სისხლის სამართლის სიმკაცრე და თანამედროვე არეულობა. არა! ამღვრეულ წყალში თევზის დაჭერის მსურველნი, ჩვენდა სამარცხვინოდ, ყველგან მრავლად არიან. მაგრამ ჩვენში ადრე ისეთი ვითარება იყო, რომ მსგავს ნაძირალებს არ შეეძლოთ თავისი ინსტინქტების გამომჟღავნება. ხელისუფლება, რომლის შეყვანა სურდათ შეცდომაში, თავისი ჭუჭყიანი ზრახვების შესასრულებლად, ძალიან ახლოს იდგა ჩვენს ცხოვრებასთან და შესანიშნავად იცოდა ჩვენი ყოფის ასავალ-დასავალი, ამიტომ ნაძირალების ხაფანგში ვერ გაებმებოდა. „კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის აქტები" შეიცავს მთელ რიგ ფაქტებს, საიდანაც ჩანს, ჩვენი ყოფილი მეფისნაცვლები როგორ ეკიდებოდნენ დაბეზღებას, როგორ იძიებდნენ, რას ემყარებოდნენ და როგორ უსწორდებოდნენ ცილისმწამებლებს, რომელთაც ცრუ დაბეზღება ხელობად გაეხადათ. იმ მიზეზით, რომ მათ მოქმედებას საზოგადოებრივ ცხოვრებაში მავნე შედეგები მოჰყვებოდა ხოლმე, ვინაიდან მოსახლეობასა და მოსამსახურეთა აზროვნებასა და საქმიანობაში განხეთქილება და არეულობა შეჰქონდათ, ჩვეულებრივ ცრუ დამსმენებს ისეთივე ბედი ელოდათ, როგორსაც ისინი თავის უდანაშაულო მსხვერპლს უმზადებდნენ. მათ შეუბრალებლად ასახლებდნენ იმ ადგილებიდან და უკრძალავდნენ უკან დაბრუნებას.

ახლა ორი მიზეზის გამო ვითარება შეიცვალა. ჩვენ დროში დაბეზღებები, ცრუც და საეჭვოც, იგზავნება არა ადგილობრივ ხელისუფლებასთან, ვინაიდან, მისი კომპეტენციის შეზღუდვის მიზნით, ჩვენ-

ში გაუქმდა მეფისნაცვლობა, არამედ იგზავნება პირდაპირ პიტერში, შესატყვის დეპარტამენტში, რომელთაც, ბუნერივია, არ შეიძლება იცოდნენ, რა ხდება დედაქალაქიდან ასე დაშორებულ მხარეში. ჯერ ერთი—ეს. მეორეს მხრივ კი, ჩვენს „განათლებულ" დროში დაბეზღების ისეთ დახვეწილ მეთოდებს იყენებენ, რაც ჩვენი წინაპრებისთვის უცნობი იყო. ვთქვათ, წინათ უფროსობა ხელმოუწერელ დაბეზღებას იღებდა ერევნიდან. მისთვის არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენდა დაუყოვნებლივ გაერკვია ვინ, როდის და რისთვის შეადგინა იგი: ერევანში ძალზე ცოტამ იცოდა წერა-კითხვა; ყოველი მათგანის ხელწერას იცნობდნენ; ყველაფერი—ქაღალდი, მელანი და ლუქი გასცემდა ხოლმე მაბეზღარა წერილის ავტორს. აბა, ახლა ეცადეთ ასეთი მეთოდებით გაერკვეთ ჩვენი დროის ანონიმურ წერილებში! ახლა კალიგრაფები უამრავია; ახლა ანონიმური დაბეზღებები იწერება ბეჭდურის მსგავსი ასოებით. მთელ წელს მოანდომებთ და ვერ იპოვით, ვინ შეთხზა ისინი, თუ ადგილობრივი მოღვაწე არა ხართ, რომელმაც იცის არა მარტო საქმის ყოველი წვრილმანი, არამედ ყველა აქ მყოფთა სურვილები და მადა.

მე ძალიან კარგად ვიცი, რომ პიტერის უწყებები, რომლებიც სულ უფრო ხშირად იღებენ მსგავს წერილებს, არ შეცდებიან, თუნდაც იმის გამო, რომ მათ დიდი ხანია წესად აქვთ დასკვნისათვის მიმართონ ან თავის ადგილობრივ აგენტებს, ან ადგილობრივ, უმაღლეს ან სამაზრო ადმინისტრაციას. რასაკვირველია, რომ არ არსებობდეს ასეთი ხსნა, სიცოცხლეს გაგვიმწარებდნენ ნაძირალები, რომლებიც თავისი უბადრუკი მიზნების მისაღწევად ყველაფერს იკადრებენ. მაგრამ, სამწუხაროდ, ყველა უწყება არ ცდილობს საქმეში ამ გზით გარკვევას. არიან ისეთებიც, რომლებიც საჭიროდ რომ არ ცნობენ საქმის არსის გარკვევას, შესანიშნავად ხედავენ, რომ დამბეზღებელი არაა მართალი, უაზროა, უსაფუძვლოა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც საჭიროდ მიიჩნევენ გარკვეული ყურაღდების მიქცევას. ეს მცირეოდენი უწყებები ხელმძღვანელობენ იმ წმინდა და საპატიო პრინციპით: „ცეზარის ცოლი უნდა იყოს არა მხოლოდ სუფთა, არამედ ყოველგვარ ეჭვზე მაღლა უნდა იდგეს". მეტისმეტი წესიერების მომხრე, თავისი ქვეშევრდომების უხინჯო ზნეობის დამცველი ზოგი უწყება (განსაკუთრებით სასამართლო) აუცილებლობად მიიჩნევს უყურადღებოდ არ დატოვოს აშკარად მცდარი დაბეზღებებიც...

იმ მცირერიცხოვანი ფაქტებიდან, რომელთაც ასეთ დასკვნამდე მივყავართ, მოგახსენებთ ერთს, საკმაოდ საინტერესოს. ცრუ დაბეზ-

ღებების ერთი გამოჩენილი ოსტატი, რომელსაც სასამართლო უწყებაში გარკვეული თანამდებობა ეკავა, თავის ქალაქში თითქმის ხმამაღლა ტრაბახობდა შეთხზული ხრიკების გამო. ეს ხდებოდა ადგილობრივ კლუბში. ამბავი ელვის სისწრაფით გავრცელდა მთელ მაზრაში. არ შეიძლებოდა არ გაოცებულიყავით. მოსამართლეს, საპატიო მოხუცს, წმინდა სისხლის რუსს, რომელიც არცერთ ადგილობრივ ენაზე სიტყვასაც არ ამბობდა და მართლმსაჯულებაში თავისი თოთხმეტნლიანი პატიოსანი, წესიერი სამსახურის გამო მოსახლეობაში საერთო პატივისცემით სარგებლობდა, ბრალი ედებოდა როგორც სახელმწიფოს მოღალატეს, მაბეზღარას, რომ ის მიეყიდა სომხურ პარტიას და ემსახურება სეპარატისტულ მიზნებს. ამ უაზრობის დაგვირგვინება ის იყო, რომ მთელ ოლქში არ იყო არათუ „სომხური პარტია", არამედ არც ერთი სომეხი ვაჭარიც კი. ვიმეორებ, დაბეზღება აშკარად შეთხზული და უაზრო იყო. მაგრამ ნაკლებ სარწმუნოა, რომ თუ სასამართლოს უფროსობა ერთი წუთით მაინც დაუჯერებდა დამბეზღებელს, მაშინ ეჭვმიტანილი მოსამართლე მაშინვე გადაყენებული იქნებოდა თანამდებობიდან (მას ეკავა თანამდებობა, რომელიც ხელშეუხებლობის უფლებით არ სარგებლობდა). მაგრამ უფროსობა, რომელმაც შესანიშნავად იცოდა დაბეზღების სიცრუეც და ბრალდებულის სიძულვილიც, მაინც საჭიროდ ჩათვალა ამ უკანასკნელის გადაყვანა სხვა მხარეში, სულ სხვა ეროვნების ხალხთან იგივე თანამდებობაზე. და მხოლოდ იმიტომ, რომ არ ყოფილიყო არავითარი, თუნდაც უსაფუძვლო ეჭვი მუშაკზე...

რასაკვირველია, ძნელია რაიმე საწინააღმდეგო თქვა ამგვარ განკარგულებაზე: უდაოდ, მართებულია მოტივი, რამაც შთააგონათ ასე მოქცეულიყვნენ, და მითუმეტეს, უფროსობას უდაოდ აქვს უფლება ასეთი ქვეშევრდომები „საქმის სარგებლობისათვის" გადაიყვანონ ერთი ადგილიდან მეორეზე. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ დიდ პატივს ვცემ სასამართლო უწყების მეტისმეტ კეთილსინდისიერებას, მიუხედავად იმისა, რომ აუცილებელია მკაცრად იყოს დაცული საკუთარი თანამშრომლების ზნეობრივი პრესტიჟი და ავტორიტეტი, მაინც არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ საჭიროა ანგარიში გავუწიოთ მსგავსი მოვლენების ცალკეულ შედეგებს... თუმცა არაპირდაპირ, მაგრამ მაინც, გამარჯვებული გამოდის ცრუ დამბეზღებელი და ენატანიას, თუნდაც დროებით, მაგრამ მაინც შეუძლია თავი მოიწონოს თავისი მოჩვენებითი გამარჯვებით. ის ფაქტი, რომ ჩვენს სასამართლო სფეროებში ადგილი აქვს მსგავს დაბეზღებებს, გვიჩვე-

ნებს რამდენად აუცილებელია მკაცრად მოვექცეთ თვით დამბეზღებლებს, რომელთა ყოფნას არსებულ წრეში უდაოდ ზიანი მოაქვს მისი კარგი სახელისა და შინაგანი კეთილდღეობისათვის.

კეთილსინდისიერ სასამართლო მოღვაწეთა ამგვარი არამყარი და არაუზრუნველყოფილი მდგომარეობა, რომლებიც ასეთი უსინდისო დაბეზღებებისა და ცილისწამების მსხვერპლი ხდებიან, ბოლოს და ბოლოს გამოიწვევს ძირითადი სამსახურიდან ცოცხალი ძალების დენადობას, და ისინი შეეცდებიან თავისი ცხოვრება უზრუნველყონ ნაფიცი მსაჯულის ან კერძო რწმუნებულის სამსახურით. ეს სრულიად არ არის კარგი ჩვენში სასამართლოს საქმის განვითარებისათვის: იძულებული იქნება დაკმაყოფილდეს ისეთი მოღვაწეებით, რომელთაც წასასვლელი არსად ექნებათ... აღარაფერს ვამბობ, ეს რა გავლენას მოახდენს მოსახლეობაზე. ასეთი მეთოდების გამოყენება და მისი მოჩვენებითი დაუსჯელობა დააქვეითებს და დაამახინჯებს მასების კეთილ და პატიოსან ინსტინქტებს და აღვირს უხნის ყოველგვარ ცუდს. მასამ ყოველთვის უნდა იცოდეს და სჯეროდეს, რომ სამართლის მოღვაწეებისათვის არსებობს მხოლოდ ერთი ჭეშმარიტება, რომ მართლმსაჯულების წინაშე სიცრუე ყოველთვის უსუსურია.

41. საუძმო საკითხავი

ჩემ წინ დევს „კავკასიის წიგნის ვაჭრობის“ მიერ გამოცემული წიგნი, რომლის სათაურია „რუსული სიტყვა, ან რუსული ენის საკლასო სახელმძღვანელო ქართული სკოლებისათვის“. ეს წიგნი შეადგინა იაკობ გოგებაშვილმა, რომელიც ავტორია მრავალი სახელმძღვანელოებისა, რომლებსაც ეყრდნობა ქართული დაწყებითი სკოლა და რომლებიც მოწონებული ან რეკომენდირებულია სახალხო განათლების სამინისტროს სწავლული კომიტეტის მიერ. ბ-ნ გოგებაშვილის ახალი „სახელმძღვანელო“ წარმოადგენს ქართველებისთვის რუსული ენის სწავლებაში მარგოს მეთოდის გამოყენებას, რომელშიც ბ-ნ უშინსკისა და სხვათა თვალსაჩინო სწავლების მეთოდებია გათვალისწინებული და ამდენად მნიშვნელოვნადაა გაუმჯობესებული. ახლა, საკვირაო ფელეტონის ნაცვლად, ბიბლიოგრაფიულ შენიშვნას რომ ვწერდე, მაშინ დავუმატებდი, რომ საზოგადოებრივი სახელმძღვანელოებისაგან განსხვავებით, ბ-ნ გოგებაშვილის წიგნი დაბეჭდილია საკ-

მაოდ გამძლე ქაღალდზე; მისი დასურათება საკმაოდ აჭრელებულია; კორექტურული შეცდომებიც ბლომად მოიძებნება; მას თან ახლავს კარგი ლექსიკონი და 230 გვერდიანი ნიგნი ღირს მხოლოდ 50 კაპ. ამას გარდა, ფელეტონის ან ბიბლიოგრაფიული ცნობის ნაცვლად მე, ახალი სახელმძღვანელოს კრიტიკას რომ ვნერდე, მაშინ უეჭველად აღვნიშნავდი, რომ ბ-ნ გოგებაშვილის ბოლო შრომა ახალი სიტყვაა პედაგოგიურ ლიტერატურაში და რომ მას აქვს ყველა მისი შრომისათვის დამახასიათებელი ნაკლი—მეტისმეტი პატივისცემა, ანდა უკეთ რომ ვთქვათ, უცხო სახელმძღვანელოების მიმბაძველობა... მაგრამ მე ვნერ არა კრიტიკას, არა ბიბლიოგრაფიულ შენიშვნას, არამედ ფელეტონს და ამიტომ „სპეციალისტებს" ვუტოვებ მათ ხელშეუხებელ უფლებას გააკეთონ ნებისმიერი შენიშვნები ბ-ნ გოგებაშვილის ახალი ნაშრომის სპეციალურ საკითხებზე და მე პირადად შევეხები მხოლოდ იმ ზოგად საკითხებს, რომლებიც მისი ნიგნის გადათვალიერების დროს გამიჩნდა.

ქართულ პედაგოგიურ ლიტერატურაში დიდი ხანია მოღვაწეობს „რუსკოე სლოვოს" ავტორი. მისი პირველი ნაშრომი გამოვიდა ზუსტად ოცი წლის წინ. მაშინ ბ-ნი გოგებაშვილი ახალი ჩამოსული იყო სამშობლოში. დაბრუნდა როგორც კიევის სასულიერო აკადემიის სტუდენტი, რომლის დასრულება, შერყეული ჯანმრთელობის გამო, ვერ შეძლო. ამ გარემოებას აღვნიშნავ, რათა გიჩვენოთ, რომ ბ-ნმა გოგებაშვილმა ვერ მიიღო სპეციალური პედაგოგიური განათლება სკოლაში, მითუმეტეს უმაღლესში. მისი სახელმძღვანელოების ყურადღებით შესწავლით ყველა დარწმუნდება, რომ ქართული სახელმძღვანელოების პატივცემულ შემდეგენელს არ ჰქონია არც გამორჩეული შემოქმედებითი ძალა, რომ შეექმნა ახალი სისტემები, არც განსაკუთრებული მხატვრული ნიჭი, რომ სხვისი სისტემების პოპულარობა გაეკეთებინა. ერთი სიტყვით, ამით იმის თქმა მინდა, რომ არც განსაკუთრებული „ღვთიური ნიჭი", არც პირველდაწყებითი მომზადება ბ-ნ გოგებაშვილს სხვა ქართველებზე წინ არ აყენებდა: ყველა თავის თანამემამულეებთან ერთად, ის სრულიად თანაბარ პირობებში იმყოფებოდა...

შემდეგ: ვარდებით არ ყოფილა მოფენილი გზა, რომელსაც ის დაადგა. აღარაფერს ვამბობ განსაკუთრებულ და მოუთმენელ გარემოზე, რომელშიც ის თავდაპირველად ტრიალებდა და რომელიც ნაცადი გზიდან არავითარ გადახვევას არ აპატიებდა. საყოველთაო ეჭ-

ვებით, რომელზეც ქვემოთ მექნება საუბარი, იყო გარშემორტყმული მისი ყოველი წინგადადგმული ნაბიჯი. და რაც მთავარია, საკმაოდ უხვი დარტყმები იყო, როგორც სპეციალური კრიტიკის, ისე ადგილობრივი პრესის მოწინავე ნაწილის მხრივ, რომ არაფერი ვთქვათ სხვა გარჩევებსა და თავდასხმებზე, ისიც კი, ვინც ახლა ამ სტრიქონებს წერს, არაერთხელ მგზნებარედ და მძაფრად ამათრახებდა ბ-ნ გოგებაშვილს როგორც ქართულ, ისე ადგილობრივ რუსულ პრესაში ისეთი ძალით, რომ თვით კამეჩიც ვერ გაუძლებდა.

ახლა უყურეთ: აიღეთ ქართული ინტელიგენციის უდიდესი ნაწილი, რომელიც სავსეა ნიჭით უხვად დაჯილდოებული ადამიანებით, უმაღლესი განათლებით, რომლებიც ხელის გულზე ატარებენ თავისი წრის წევრებს, აბა დამისახელეთ ვინ შეძლო ბ-ნ გოგებაშვილზე მეტის შექმნა, ვინ მოიპოვა მშობლიური ცის ქვეშ მისებრ ნანატრი მდგომარეობა, მის მსგავსად ვინ შეძლო თავისი კვალი დაეტოვებინა ცხოვრებაში, თავისი თანამემამულეების მეხსიერებაში მათთვის მოტანილი რეალური სარგებლობით? ერთი, ორი, ყველაზე დიდი სამი, ესეც მეტი მომივიდა.

რატომ მოხდა ასე, და ნუთუ ამას არ უნდა ჩაუფიქრდეს ჩვენი ახალგაზრდობა? როგორ მოხდა, რომ თითქმის ჩვეულებრივმა ადამიანმა შეძლო გამოყოფოდა წრეს და სავსებით დამსახურებულად, სავსებით კანონიერად, თავისი თანამემამულეების სასარგებლოდ უდიდეს სიმაღლეზე ასულიყო, მაშინ, როცა ადამიანები, უდაოდ მასზე ბევრად კეთილმოწყობილნი და უფრო ნიჭიერნი, უახლოვდებიან სამარის კარს ისე, რომ „არაფერი გაუკეთებიათ თავის უკვდავსაყოფად?" მოკვდებიან ისე, რომ ორი-სამი წელი ემახსოვრებათ მხოლოდ იმათ, ვინც მათთან სწავლობდა, ან ვინც გვერდი-გვერდ ცხოვრობდა; და დავიწყებას მიეცემა მათი ხსოვნა:

„ქვიშა წაშლის
მათ ნაკვალევს სანაპიროზე"...

საკითხავია, რით აიხსნება ასეთი სხვაობა ბედში? ძალიან უბრალოდ: ბ-ნ გოგებაშვილს ჰქონდა „მიზანი ცხოვრებაში" და იცოდა „შრომა". მან ცხოვრება დაიწყო ყოველგვარი ყოყოჩობის გარეშე, მხოლოდ ერთი სურვილით, „ეშრომა" და თან ხელდაკაპიწებულს; დაიწყო შრომა ცოტ-ცოტა და როგორღაც. ის არ იყო და მიზნად არ ჰქონდა „გაეკვირვებინა" ვინმე, მხოლოდ იცავდა ერთ უდიდეს კანონს: „სწავლებით ვსწავლობ". და ის სწავლობდა. სხვების მსგავსად ბედმა არ არგუნა ბავშვობიდან და ყრმობიდან შეეთვისებინა უცხო ენები და ზოგადი

განათლების სიბრძნე და „კატეხიზმოს“ დაზეპირებაში განვლო სკოლის წლებმა. მაგრამ მან მაინც შეძლო „თვითგანათლებით“ და ხელში მოხვედრილი წიგნების კითხვით შეევსო ის ხარვეზი, რაც სკოლის წლებში დააკლდა. ეჭვგარეშეა, სისტემატური სწავლის გზით მიღებულმა განათლებამ მას გაცილებით მეტი მისცა, ვიდრე არის ის, რითაც თავს იწონებს თანამედროვე ქართული ინტელიგენცია. მეორე მხრივ, მას ახსოვდა, რომ ის შედარებით მცირე, რასაც ის აღწევს, ხალხისათვის ძვირადღირებულ განძს წარმოადგენს და იმით, რომ მას შეგროვილ ნამცეცებს უნილადებს, უდიდესი სარგებლობა მოაქვს მისთვის. აი, რატომ მოხდა, რომ მისი მოღვაწეობა უფრო სასარგებლო და სასახელო აღმოჩნდა, ვიდრე იმ ადამიანებისა, რომელთაც ცხოვრებაში ამოცანად დაისახეს დაეწერათ ბოკლის მსგავსად „ცივილიზაციის ისტორია საქართველოში“, ანდა ი. ი. შუვალოვის მსგავსად დაეარსებინათ „ქართული უნივერსიტეტი“. არც არაფერი გამოვიდა საპნის ბუშტივით გაბუქული ამ სურვილებიდან, გარდა ისეთივე სასაცილო შთაბეჭდილებისა, როგორიც ბაყაყმა გამოიწვია, რომელიც იბერებოდა და ცდილობდა ხარს დამსგავსებოდა...

ამგვარად, ჩვენ თვალწინ გვაქვს თვალსაჩინო და უდაო მაგალითი, რომელიც გვიჩვენებს, რომ გამძლეობა, გულმოდგინება, შრომა რეალურ ცხოვრებაში თითქმის უფრო მეტს ნიშნავს, ვიდრე ბუნებრივი ნიჭი და „გარემოებათა ბედნიერი დამთხვევა“. აქედან გამომდინარე, შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორი იქნებოდა შედეგი, ყველა ამ ძალების შერწყმით, უხვად დაჯილდოვებული და ნაწრთობი ნიჭის გამძლეობითა და შრომით მიღებული იმ საკითხების გადასაჭრელად, რომელიც ხალხის ცხოვრებისეულ მოთხოვნებს უპასუხებდა...

მეორე საკითხი, რომელიც აღძრა ბ-ნ გოგებაშვილის ახალმა სახელმძღვანელომ, ეხება იმ მოღვაწეებს, რომელთაც სპეციალური პედაგოგიური განათლება მიიღეს. აი, უკვე მეოთხედი საუკუნეა, რაც ჩვენში დაარსებულია სპეციალური სასწავლებლები, რომელთაც ევალებათ სპეციალურად მომზადებული „პედაგოგების“ გამოშვება. როგორც ცნობილია, ჩვენში ცოტა როდია სამასწავლებლო სემინარიები და ინსტიტუტები, სადაც არის სპეციალური „პედაგოგიკის უმაღლესი კურსები“. ყოველწლიურად ისინი ათობით „სპეციალისტებს“ უშვებენ. საკითხავია, რატომ ხდება, რომ აქამდე ამ პირებიდან არც ერთმა, და ალბათ საკმაოდ მომზადებულმაც, თავი არ შეიწუხა თუნდაც ერთი სახელმძღვანელოს შედგენით, რომლებშიც გათვალისწინებული იქნებოდა ადგილობრივი დაწყებითი სასწავლებლების საჭიროებანი და თავისებურებანი, ვინაიდან ისინი წვალობენ შესაფერი სახელმძღვანე-

ლოების უქონელად, შეუძლებელია, რომ ამ სპეციალური სასწავ-ლებლების აღზრდილები და ყველა მათი გამოშვება, ერთმანეთის მი-ყოლებით უნიჭო და არამწარმოებლურები იყვნენ. ამას გარდა, შეუძლებელია, რომ როდესაც თავისი მოღვაწეობის ხასიათის გამო უშუალოდ ეხებიან სახალხო თუ სხვა რომელიმე სამსახურს, ეს აღ-ზრდილები არ ამჩნევდნენ რამდენად საჭიროა მეტნაკლებად კარგი სახელმძღვანელოები, და რომ ასეთი სახელმძღვანელოების შექმნა არა მარტო სასარგებლო, არამედ კეთილშობილური საქმეც არის. რა-ტომ არც ერთი მათგანი აქამდე არ კიდებს ხელს ამ აუცილებელი ამო-ცანის შესრულებას? ნუთუ ყველა ფიქრობს, რომ მათი აღმზრდე-ლობითი როლი სკოლაში თავდება მოძველებულ სახელმძღვანე-ლოებში მხოლოდ მითითებით „აქედან აქამდე"? იქნებ ისინი თავის სპეციალობაში ისე მოუმზადებლები არიან, რომ ვერ ამჩნევენ არ-სებული სახელმძღვანელოების ნაკლს? ეს კითხვებია, რომელზეც, გულწრფელად რომ გითხრათ, გარკვეული პასუხის გაცემა არ შე-მიძლია.

და ბოლოს, საქმის მესამე და უკანასკნელი მხარე.

ბ-ნი გოგებაშვილი ცნობილია, როგორც დაუღალავი და რწმენით აღსავსე მქადაგებელი და იმ პედაგოგიური ჭეშმარიტების გამავრცე-ლებელი, რომ მშობლიური ენა (ქართველებისთვის—ქართული) არის აუცილებელი და სასარგებლო საფუძველი ყველა სხვა ენისა და მეც-ნიერების შესწავლისათვის. ქართველი საზოგადოების თვალში ის ცოც-ხალი მაგალითია სკოლაში „მშობლიური ენის" სწავლების იდეისა... აქედან მოდის ის სულელური და უაზრო ეჭვი და ჭორი, რომლითაც დავიწყე საუბარი ჩემს ფელეტონში. აქედანვეა ის ცილისწამება, რო-მელიც პედაგოგთა წრიდან ადგილობრივი გაზეთების გვერდებზეც კი მოხვდა: თითქოს პირები, რომლებიც ქადაგებენ ადგილობრივი ენების, როგორც სწავლების იარაღის, ურთიერთობის აუცილებლობას, ადგილობრივ სკოლებში, გზას უღობავენ აქ რუსული ენის განვითა-რებას, ბ-ნ გოგებაშვილის უკანასკნელი სახელმძღვანელო ნათელი და აშკარა მაგალითია, რამდენად მცდარია ეს ცილისწამება. უყურეთ, ქარ-თულ სკოლებში ქართული ენის აუცილებელი სწავლების იდეის გა-მოჩენილი წარმომადგენელი, არათუ ფიქრობს რუსული ენის განდევ-ნაზე, არამედ თვითონ, პირადად მუშაობს ადგილობრივი მოსახლეო-ბისათვის ჩვენი სახელმწიფოებრივი ენის სწავლების გაუმჯობესებასა და გაიოლებაზე, ეს ხომ მრავალმნიშვნელოვანია, ხომ საკმარისია, რა-თა დავარწმუნოთ წრეები მსგავსი ცილისწამების სიცრუეში, რომლის

წინააღმდეგ ჩვენ თვითონ ვილაშქრებდით? ადამიანებმა, რომლებიც ცილს გვწამებენ საზოგადოებასა და პრესაში, ხელში აიღონ ბ-ნ გოგებაშვილის ახალი სახელმძღვანელო: დარწმუნებული ვართ, მათ თვით შერცხვებათ და მიხვდებიან თავის შეცდომას. ამ მხრივ, ბ-ნმა გოგებაშვილმა თავისი სახელძღვანელოს შედგენითა და გამოცემით ჩვენი სკოლებისადმი ფხიზელი და ობიექტური დამოკიდებულებისათვის ფასდაუდებელი საქმე გააკეთა. მაგრამ ის პირები, რომლებიც ცილს გვწამებენ ადგილობრივ წრეებში, რა მნიშვნელობა აქვს „მშობლიურ ენას", თავს ვერ იმართლებენ ბ-ნ გოგებაშვილის როლის არცოდნითა და სიახლით. დარწმუნებული ვართ, რომ იტყვიან: „დიახ, ახლა ჩვენ თვითონ ვხედავთ, რომ ბ-ნ გოგებაშვილს და მის თანამდგომთ არ ამოძრავებთ განსაკუთრებული მიზანი, რომ ისინი ილტვიან ადგილობრივ წრეებში გაავრცელონ რუსული ენა. მაგრამ აქამდე შეგვეძლო ასე არ გვეფიქრა. ეს შეცდომაა. ზუსტად თვრამეტი წლის წინ, იგივე გოგებაშვილმა გამოსცა და წინასიტყვაობა დაურთო ან გარდაცვლილი გერასიმე კალანდარიშვილის სახელმძღვანელოს ქართველებისთვის „რუსული ენის სწავლების სახელმძღვანელო" (ზუსტი სათაური ზეპირად არ მახსოვს), და ამ სახელმძღვანელომ მრავალ გამოცემას გაუძლო. აქედან ჩანს, რომ ბ-ნი გოგებაშვილი და „ქართველთა შორის წერაკითხვის გამავრცელებელი საზოგადოება"[27], რომელსაც ჩვენი პრესის გარკვეული ნაწილი, აგრეთვე, ცილს სწამებდა, დიდი ხანია დაინტერესებულია ქართველ ხალხში რუსული ენის ცოდნით, რაც საფუძველს შექმნის ქართველი ხალხის გონებრივი და მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის.

42. საუქმო საკითხავი

ადგილობრივ პრესაში თბილისის ქალაქის თვითმმართველობაზე ბევრი რამ იწერებოდა, და სხვათა შორის, იმაზე მეტი, ვიდრე რომელიმე სხვა საგანზე და თან თავისუფლად, გულღიად, ყოველგვარი მიჩქმალვის გარეშე და გაკილვისა და მხილების მხრივ გადაჭარბებულადაც. და მაინც, მის შესახებ არსებითი, ძირითადი, მთავარი თითქმის არაფერი თქმულა, ჩვენი და სათათბიროს მიმართ ადგილობრივი პრესის დამოკიდებულება, მცირე გამონაკლისის გარდა, უმთავ-

რესად ერთი და იგივეს გადამღერების ფარგლებს არ სცილდებოდა: ჩვენი თვითმმართველობის მოღვაწეთა მიმართ, მცირე ვარიაციებით იყენებდნენ დედაქალაქის პრესის თავდასხმებს „მოთათბირეებზე“ და შიდა გუბერნიების „მმართველებზე“. მამხილებელთაგან არც ერთი არ დაინტერესებულა რუსული და ჩვენი ქალაქის თვითმმართველობის საქმის არსებითი მხარით, არ შეჩერებულა განსხვავებაზე, არ აღუნიშნავს დამახასიათებელი თავისებურებანი, არამედ უდგებოდა მას რუსულ პრესაში გაბატონებული შაბლონის მიხედვით. ის, რასაც დედაქალაქის ნაკლებ მნიშვნელოვანი პრესის ფელეტონისტები ამათრახებენ რიკოვების და „შავების“ მოღვაწეობაში, სრულად, გარჩევისა და მიდებ-მოდების გარეშე გადმოდიოდა და გადმოიწერებოდა ხოლმე ჩვენს ფელეტონებში, ცნობებში და ადგილობრივი გაზეთების მონინავე სტატიებშიც კი, და გამოიყენებოდა ჩვენი ადგილობრივი სათათბიროსა და მმართველობის მისამართით. გასაგებია, რომ ეს იოლია, ხელმისაწვდომია და არაა თავსატეხი. დაზეპირებული „სხვისი სიტყვებისა“ და საყვედურების თუთიყუშივით გამეორების ნაცვლად კი, თვითონ სამართლიანად რომ გამოთქვა საკუთარი მოსაზრებანი ჩვენი საზოგადოების შესახებ, ამისთვის ბევრი რამაა საჭირო, და სრულიად არ კმარა ის „ზოგადი განათლება“, რომლითაც თავს იწონებს თითქმის მთელი თანამედროვე ინტელიგენცია, მათ შორის მწერლებიც და პუბლიცისტებიც. სინამდვილეში კი ცნობილია, რომ „ზოგადი განათლების“ თითქმის მთელი მარაგი, რომელსაც თანამედროვე საზოგადოება იღებს, გროვდება მხოლოდ ყოველდღიური გაზეთების კითხვის შედეგად. კოკასა შიგან რაცა დგას, იგივე წარმოსდინდება: ანდაზის მიხედვით ცარიელი ჭურჭლიდან ვერაფერს გადმოასხამ.

ჩვენი თვითმმართველობის საქმიანობაზე დამოუკიდებელი და მეტნაკლებად მართებული განსჯისათვის, ვიმეორებ, ბევრი რამაა საჭირო. პირველ რიგში საჭიროა იმ საზოგადოების მოთხოვნილების ცოდნა, რომელიც ჩვენმა თვითმმართველობამ უნდა დააკმაყოფილოს. მეორეც, თავისი დანიშნულების შესასრულებლად მას წარმოდგენა უნდა ჰქონდეს იმ საშუალებებზე, რომელიც მას ჰქონდა და ხელთა აქვს, მესამეც, დიდი მნიშვნელობა აქვს იცნობდე როგორც თვითმმართველობას, ისევე მისი მთავარი მოღვაწეობის წარსულს. მეოთხე, კარგი იქნება სათანადო წარმოდგენა ვიქონიოთ სხვა, უფრო განვითარებული ქალაქებისა და ქვეყნების თვითმმართველობის მიმდინარეობაზე, ბედზე, მისწრაფებებზე და სიძნელეებზე, ერთი სიტყვით, განა ცოტაა ამის-

თვის აუცილებელი, რაც სრულიად არა აქვს და არც ფიქრობენ ჰქონდეთ იმ „მწერლებს“, რომლებიც აცხობენ სტატიებს ჩვენი თვითმმართველობის ნაკლოვანებებსა და მიტაცებებზე...

თანამედროვე პრესის ასეთი მოუმზადებლობა, შედარებით იოლი ამოცანის შესასრულებლად, ძალიან იოლი ამოცანის—ერთ-ერთი ყველაზე იოლისა იმათ რიცხვში, რომელიც ყოველი მოქალაქის სინდისზეა, ვინც კი თავისი თანამემამულეების გათვითცნობიერების მიზნით ხელში იღებს კალამს,—არსებითად უდიდეს ზარალს აყენებს არა მარტო პრესის ღირსებას, არამედ თვით ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობას. ის ხელს უშლის მკითხველი საზოგადოების მიერ ცხოვრების უახლოესი მოვლენების სწორ აღქმას. ეს არც ისე მნიშვნელოვანია, ვინაიდან თვითმმართველობის წესიერი შემადგენლობის შემთხვევაში, ის თვითონ შესძლებდა საზოგადოების თვალში ჭეშმარიტების აღდგენას. მთავარი უბედურება ის არის, რომ მახინჯდება საზოგადოებრივი განვითარების ფაქტორების ბუნებრივი ურთიერთზემოქმედება: თვითმმართველობის მოღვაწეების მიმართ მაკონტროლებელ, ინიციატორულ როლში, პრესა იმ მდგომარეობაში ვარდება, როცა ამ თვითმმართველობის ორგანოები იძულებული ხდებიან შეამოწმონ პრესის გამოძახილი და მსჯელობა. მეორე მხრივ, იმის გამო, რომ თვითმმართველობის მოღვაწეები არ გრძნობენ თავისუფალი პრესის გამომაფხიზლებელ და გონიერ კონტროლს, ბუნებრივია, ნელ-ნელა თავიანთ მთავარ საქმიანობას გულგრილად ეკიდებიან: ისინი თვითონ ფუჭდებიან და საზოგადოებრივ საქმესაც აფუჭებენ. არსებითად, იმ მდგომარეობაში, რომელზეც ჩვენ ვსაუბრობთ, ძალიან დიდი მოღვაწე და პიროვნება უდა იყო, რომ პრესის უაზრო და შაბლონური კრიტიკის გამო, უნებლიედ შემდეგ გამანადგურებელ დასკვნამდე არ მიხვიდე:

—კარგად, გულდასმით, პატიოსნად შევასრულებთ ჩვენს მოვალეობას თუ არა, სულერთია, მაინც მტაცებლებად და დაუდევრებად გვხატავენ მკითხველთა თვალში. მაშ, რატომღა ვეცადოთ? შრომით თავს მოიკლავ—გამათრახებენ, საქმეს ვერ შეასრულებ—მაინც გლანძღავენ. უმჯობესია, ვისხდეთ გულ-ხელდაკრეფილი და დავკმაყოფილდეთ ყოველი თვის 20 რიცხვში ხელფასის მიღებით.

და რადგან ადამიანის აზროვნება ასეთ მოლიპულ გზას დაადგა, ყველაფერი გათავებულია: კარი ღიაა ჯერ სრული დაუდევრობისაკენ, და შემდეგ კი ყოველგვარ სინდისგადასულ საქმოსნობისკენ, თვით ქურდობისკენაც კი.

რასაკვირველია, მე ჯერ არ ვფიქრობ, რომ ამ ზომამდე მივედით. მაგრამ საკმარისია თუნდაც თეორიულად წარმოვიდგინოთ მსგავსი მოვლენის შესაძლებლობა, რომ გამოჩნდეს მისი საშიში მხარეები.

კიდევ უფრო მნიშვნელოვანია საქმის ასეთი არანორმალური მდგომარეობით გამოწვეული მესამე შედეგი. მკითხველ საზოგადოებაში, ე.ი. მკვიდრთა, ამომრჩეველთა და თვითმმართველობის მოღვაწეთა შორის შაბლონური თავდასხმები იწვევს არა მარტო უსაქმურ კამათსა და ლაპარაკს, რომელიც სათვალავში არაა მისაღები, არამედ საქმის ნამდვილი სარგებლობისთვის უდაოდ მავნე საუბარსაც. მოგონილ და მოჩმახულ ლაყბობას, მითქმა-მოთქმას, კამათს, ცხოველ შეტაკებას ბოლო არ უჩანს. მაშინ, როცა ის საკითხები, რომლებიც საზოგადოების ყურადღებას მოითხოვს, სრულიად უყურადღებოდ რჩება. მოკამათეთა მთელი სიცხოველე ნელდება მოგონილ წვრილმანებზე კამათის დროს და ოდნავი სითბოც არ რჩება არავის თვითმმართველობის ძირეული საკითხების დაყენებისა და მსჯელობისათვის. იმ საკითხებისა, რომელთა გაგება, დასმა და გადაჭრა სინამდვილეში საშუალებას მოგვცემდა შეგვეფასებინა თვითმმართველობის მოღვაწეები და საქმიანობა, კამათი კნინდება... მასთან ერთად წვრილმანდებიან მოკამათეებიც, ვინაიდან ის, რაშიც მუდმივად ვარჯიშობს ადამიანი, როგორიც არ უნდა იყოს იგი, წარუხოცელ კვალს ტოვებს მის ხასიათსა და მსოფლმხედველობაზე...

კიდევ ერთხელ ვიტყვი, რომ ეს ყველაფერი არ იქნებოდა მნიშვნელოვანი, თვითმმართველობის შემადგენლობა ყველა განზომილებით უნაკლოდ დამაკმაყოფილებელი რომ იყოს. საუბედუროდ, ასე არაა. ჩვენი თვითმმართველობა შედარებითაა დამაკმაყოფილებელი. ჩვენი სათათბირო, უდაოდ, ერთ-ერთი საუკეთესოა რუსეთში. მაგრამ ეჭვგარეშეა, რომ იგი ჯერ ძალიან შორსაა იმისგან, რაც უნდა და აუცილებელია რომ იყოს. უდაოა, მისი უმრავლესობა პატიოსნად ეკიდება თავის საქმეს. ისინი არ მონაწილეობენ ნარდად და თვითმმართველობის მუშაობაში, მისი საკითხების გადაწვეტისა და წარმართვის დროს არ ეძიებენ პირად მოგებას, არ ძარცვავენ, არ ქურდობენ, არ ჩქმალავენ ჭუჭყიან საქმეებს: ეს ყველაფერი უდაოა. მაგრამ ბოლოს და ბოლოს საჭიროა შევიგნოთ, რომ ყოველივე ეს უარყოფითი ღირსებებია: ეს არ კმარა საზოგადოებრივ სარბიელზე გასული ადამიანებისთვის. არსებითად ისეთივე ღირსებებით, როგორიც აქვს ქალაქის თვითმმართველობას, დაჯილდოვებულია უკლებლივ ყველა, ვინც არავითარ მონაწილეობას არ იღებს ჩვენი საქალაქო საქმეების წარმოებაში.

ჩვენი უფლებამოსილნი „ცდილობენ თვალყური ადევნონ“, რომ გამგეობამ ქალაქის საშუალებანი არ ძარცვოს და მართებულად დახარჯოს, უდაოა, მათი ეს როლი პატივისცემის ღირსი იქნებოდა, დამსახურებადაც ჩაითვლებოდა, თუ პირველ რიგში, ჩვენ გამგეობას ექნებოდა ანგარებიანი განზრახვა, და მეორეც, ის სათათბიროსგან დამოუკიდებელი რომ ყოფილიყო. მაგრამ, ჯერ ერთი, საყოველთაოდ ცნობილია, რომ უდაოდ წესიერი გამგეობა გვყავს, ე.ი. ისეთი, რომელიც არც ქურდობს და არც ქურდობის სურვილი აქვს. მეორეც, იგი, ეს გამგეობა წმინდა წყლის რომ არ იყოს საზოგადოებრივი თანხის განაწილებაში, მაშინ ამ სათათბიროს სხვა საქმე და დამსახურება არც ექნებოდა, გარდა ერთისა: ასეთი გამგეობის, დაუყოვნებლივ ჩამოცილება ქალაქის მეურნეობის ყოველგვარი საქმიანობისაგან და ასევე დაუყოვნებლივ მისი გადაცემა სასამართლოზე, დამეთანხმეთ, რომ ამიტომ გამგეობისათვის „თვალყურის დევნება“ არ ნიშნავს საქმის კეთებას არც ერთ, არც მეორე შემთხვევაში. ეს ნიშნავს უქმად იცხოვრო, მეტი არაფერი.

ჩვენი სათათბიროს, რომელიც დამაკმაყოფილებლად მომზადებული პირებისაგან შედგება, მთავარი უბედურება, პირველ რიგში, მდგომარეობს საქალაქო მეურნეობისადმი გულგრილ დამოკიდებულებაში. უდიდესი უმრავლესობა ამ საქმეს განიხილავს, როგორც სხვის ინტერესებს და არა როგორც სისხლხორცეულს. „კარგად იქნება საქმე,—მშვენიერია, მით უკეთესი, მე ძალიან მოხარული ვიქნები. ცუდად ნავა და—რა ვქნა, სანყენია, მაგრამ მე მაინც არ შემეხება, მე ამით არაფერს წავაგებ“. ეს არის მოკლედ ჩვენი უფლებამოსილთა უმრავლესობის ძირითადი განწყობა. მეორეც, ასეთი ძირეული უბედურების დროს, აშკარად არ იციან ერთად მუშაობა. ცალკე აღებულს, თითქმის ყოველ გადამწყვეტი ხმის მქონეს, მეტისმეტად დამაკმაყოფილებლად შეუძლია თავისი საკუთარი საქმის წარმოება. მაგრამ საერთო საქმეში ამხანაგთან შეხმატკბილება, მასთან ერთად საერთო საქმის განაწილება, ისეთი ურთიერთობის დამყარება, რომლის დროს ყველაფერი თანაბრად, შეფერხებების, უსიამოვნების, აფორიაქებისა და შეტაკებების გარეშე მიდის, მათგან თითქმის არცერთს არ შეუძლია. მათ საქმისადმი არსებითი, სერიოზული დამოკიდებულება რომ ჰქონდეთ, ისინი ბოლოს და ბოლოს უთუოდ შესძლებდნენ რაღაც სისტემის ჩამოყალიბებას, რომლის დროსაც რაღაც წესრიგი მაინც იქნებოდა. შეუძლიათ თუ არა შეთანხმება, როცა რაიმე კომერციულ საქმეს იწყებენ? ხომ შესძლეს მათ შეექმნათ ასე-

თი, მაგალითად, კომერციული ბანკი? მაგრამ საქალაქო მეურნეობაში, რომელიც არ ეხება პირადად მათ და მათ ჯიბეს, მათ საარსებო მოგებებს, ისინი ვერ ხედავენ მასში რაიმე ინტერესს. სათათბიროში, როგორც საქველმოქმედო მეჯლისზე, ისე მიდიან: ღირსებისათვის, საპატიო „საზოგადოებრივი სამსახურისათვის"... მაგრამ თავისი საკუთარი „კოლექტიური" საქმეების წარმოების დროსაც კი, სადაც მათი პირადი ინტერესებია ჩარეული, ამ ბატონებმა ყოველთვის მაინც არ იციან შეთანხმება, ყოველ შემთხვევაში, დროული. მაგალითისთვის გავიხსენოთ თუნდაც გახმაურებული „მირზოევის საქმე", რომელსაც დაჭირდა რამდენიმე წელი, ძალების არაადამიანური დაძაბვა, რათა გარდაცვლილი ი. მ. მირზოევის მემკვიდრეობის ქონებრივი საქმეებით დაინტერესებული ორი-სამი ათეული ადამიანი ერთმანეთში შეთანხმებულიყო. ამ დროის განმავლობაში, ვიდრე გრძელდებოდა კაპიკიანი განხეთქილება, ვიდრე ადამიანები დაობდნენ არაფრის გამო, რიგდებოდნენ და ისევ იყრებოდნენ, იბერებოდნენ, „აფუჭებდნენ თავისა და სხვების საქმეს", დაიკარგა მრავალი ხელსაყრელი, სარგებლობის მომტანი მომენტი, ნავთობის საქმიანობასთან რომ იყო დაკავშირებული... რაღა ვქნათ: შეთანხმების უნარი, სერიოზული საწარმოების ერთობლივი ხელმძღვანელობის ცოდნა—არის ნიჭი, რომელიც დაბადებიდან არავის არ დაჰყვება ხოლმე; ის შენში უნდა გამოიმუშავო ჩვეებითა და ცხოვრების პრაქტიკით.

სათათბიროში, ჩვენმა გადამწყვეტი ხმის მქონეებმა ვერ მოასწრეს კოლექტიური მუშაობის სწავლა, იმიტომ, რომ ამას ესაჭიროება გარკვეული სახის დისციპლინა, ორგანიზაცია, წესრიგი. ჩვენი ინტელიგენტი საზოგადოება კი, როგორც ყველა საზოგადოება, რომელიც მხოლოდ ერთი კვირაა რაც ინტელიგენტური ცხოვრებით ცხოვრობს, ჯერ ვერ შეგუებია იმ აზრს, რამდენად სასარგებლო და აუცილებელია დისციპლინა, ორგანიზებულობა და წესრიგი. მათ ჰგონიათ, რომ უდიდესი სიკეთე დედამიწაზე —„თავისუფლება", ნიშნავს ყოველგვარი დისციპლინის, ყოველგვარი ორგანიზებულობისა და ყოველგვარი წესრიგის უარყოფას. მათ არ იციან, რომ თავისუფლება წარმოუდგენელია, განუხორციელებელია, არამყარია მკაცრი დისციპლინის, მტკიცე ორგანიზებულობის და ასეთივე წესრიგის გარეშე; რომ ამ აუცილებელი მთავარი ელემენტების გარეშე ქვეყნად შეიძლება ერთნი თვითნებობდნენ და მეორენი იჩაგრებოდნენ, საყოველთაო თავისუფლება კი არ განხორციელდება... აი, რატომაა, რომ ჩვენს სათათბირო-

შიც ყოველი კაცი, ვინც ხმას ამოიღებს, არსებითად მარტოა, და „თავისუფლების მოთხოვნის“ ძალით მარტო ესხმის თავს, ღმერთმა უწყის, ვის და მარტოდვე იცავს, ეშმაკმა უწყის, რას, იმის მიხედვით, რასაც იმ წუთას ღმერთი შთააგონებს. სწორედ ამიტომ იქმნება წარმოუდგენელი არეულობა, ცალკეული ადამიანების განცალკავებული მოთხოვნები, რომელთაც არავითარი ორგანიზებული კავშირი არა აქვთ არც თვითმმართველობის წარსულთან, არც მის მუდმივ მოთხოვნებთან, არც იმასთან, რასაც წარსულში ამბობდა ან რასაც მომავალში შემოგვთავაზებს თითოეული მოცემული ერთეული. იქმნება საერთო შთაბეჭდილება, რომ საქმე გვაქვს არა გონიერ ხალხთან, რომლებიც დიდი ხნით შეეჭიდნენ ერთ საერთო საქმეს, არამედ სხვადასხვაგვარ და სხვადასხვაენოვან შემთხვევით ბრბოსთან, რომელთაც არათუ ამჟამად, არამედ მომავალშიც არ შეიძლება ჰქონდეთ საერთო ინტერესები, მიზნები და კავშირი. ყოველი ადამიანი თათბირზე ცხადდება მოუმზადებლად, საქმის გაუცნობლად, რომლის გარჩევა და გადაწყვეტა აქვს დაკისრებული. მისი წარმოდგენა და მსჯელობა ყალიბდება მოხსენებების კითხვისა და უწესრიგო და უსისტემო კამათის დროს, რომლებიც იწყება ქებით და მთავრდება დასამარებით ან პირიქით. ხმის უფლების მქონეთა ტენდენციების, რწმენისა და ინტერესების მიხედვით დაჯგუფების არავითარი კვალი არ არის. არ არსებობს, აგრეთვე, მუდმივი კომისია იმ პირებისაგან შემდგარი, რომლებიც თავიანთი ცალკეული ჯგუფის ნდობით სარგებლობენ, არც აღიარებული ხელმძღვანელები არიან, რომლებიც იცნობენ მიმდინარე საკითხების არსსა და ყოველ წვრილმანს და რომლებიც კამათს მიმართულებას ან სანქციას აძლევენ... აქ ყველაფერი შემთხვევითია, უწესრიგოდაა, ურთიერთსაწინააღმდეგოდაა და ამიტომ უმეტეს შემთხვევაში უაზროდ. რას უნდა ელოდე ასეთი საკრებულოსგან, როგორი გულწრფელი და პატიოსანი ელემენტებისგანაც არ უნდა შედგებოდეს იგი?

ახლა ისღა დაგვრჩენია ვილაპარაკოთ სათათბიროს „ოპოზიციაზე“ მაგრამ ამ ფრიად ფართო სიუჟეტების შესახებ, რომ ჩავეტიო ერთი ფელეტონის ფარგლებში, მე საფუძვლიანად გესაუბრებით როგორმე მომავალში.

43. ადგილობრივი ლიტერატორები

უნდა გულახდილად გამოვტყდეთ, რომ რუსულ ბეჭდვით სიტყვას ამიერკავკასიაში,—მისგან ჩვენ თავსაც არ გამოვრიცხავთ,—აქამდე ჯერ კიდევ ცოტა და თითქმის არაფერი გაუკეთებია თავისი ამოცანის ერთი მნიშვნელოვანი მხარის შესასრულებლად. ჩვენ ვლაპარაკობთ იმ ამოცანაზე, რომელიც მდგომარეობს რუსი მკითხველი საზოგადოებისათვის ადგილობრივ მცხოვრებთა გონებრივი განვითარების გაცნობაში, იმ ხალხებისა, რომელნიც ამ ქვეყანაში ცხოვრობენ, ყოველ შემთხვევაში მთავარი მათი ლიტერატურის გაცნობაა მაინც. რომ არაფერი ვთქვათ მიმდინარე ლიტერატურის სისტემატურ მიმოხილვაზე, ან ამ ლიტერატურათა წარსულის რეტროსპექტულ განხილვაზე, თვით მათი უმეტესად გამოჩენილი ნაწარმოებიც კი უცნობი რჩებიან რუსი საზოგადოებისთვის, თუნდაც დასახელებით მაინც. განა შეიძლება დაშვებული იყოს გონებრივი ცხოვრების ასეთი იგნორირება იმ ეროვნებისა, რომელნიც რუსეთის ხალხთა ოჯახში არიან შესულნი? განა შეიძლება ზეგავლენის მოხდენა ამ ეროვნებათა მსოფლმხედველობაზე, ზნეობაზე, განწყობილებასა ან ცხოვრებაზე, მათი ყოფის, შეხედულებების, მისწრაფებების და სხვათა და სხვათა წინასწარი და საფუძვლიანი გაცნობის გარეშე? სად და რაში უნდა მოიძებნოს მასალა ასეთი გაცნობისთვის, თუ არა ლიტერატურაში, რომელნიც ამ ეროვნებათა ცხოვრებას ასახავენ?

ასეთი ამაღლებული მიზნის დასახვის გარეშეც, უბრალოდ, ცნობისმოყვარეობისათვის, იმ სურვილისათვის, რაც თითოეულ ცოცხალ გონებას, თითოეულ მიმადლებულ სულს ახასიათებს იცოდეს—რით და როგორ ცხოვრობენ ადამიანები, რა სიხარული და დარდი, საზრუნავი და ნუგეში აქვთ,—ღირდა და საჭიროც იქნებოდა გაცნობა ადგილობრივ ლიტერატურათა. ფრანგებს, გერმანელებს, ინგლისელებს ხშირად არც გააჩნიათ რაიმე საქმიანი ურთიერთობა და, განსაკუთრებით, რაიმე პოლიტიკური სურვილი მრავალი დავიწყებული და დამცირებული ხალხისადმი, რომელთაც არასოდეს არ უთამაშნიათ და ვერც ითამაშებენ მსოფლიოში ვერავითარ ისტორიულ როლს, თუნდაც, მაგალითად, რომელიღაც სიუასები ან კაისავები, მაგრამ ეს სრულიადაც არ უშლით მათ შეისწავლონ ისტორიის ამ გერების ძეგლები და გონებრივი ცხოვრების გამოვლინებანი და თვალყური ადევნონ მათ პროგრესს. საზღვარგარეთ მთელი ლიტერატურა და აურაცხელი პერიოდული გამოცემა არსებობს, რომელნიც განსაკუთრებით მიძღვნილია გარეშე და სხვა ხალხის ლიტერატურის გაცნობისადმი.

ასობით და ათასობით შეიძლება იქ ჩამოითვალოს თხზულებანი, რომელნიც მიკროსკოპული ხალხის—ღმერთო, შენ იცი მათი სახელი!—სიტყვებსა და ნაწარმოებებზე ბჭობენ. თანაც, ჩვენს ქვეყანაში მოსახლე ხალხი არც თავისი რაოდენობით, არც თავისი ისტორიული როლით, არც გეოგრაფიული მდებარეობით და, ბოლოს, არც ნიჭითა და მისწრაფებით არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ჩაყენებული იყოს „არაფრად ჩასაგდებ სიდიდეთა" მწკრივში. ჩვენ იმაზე აღარას ვამბობთ, რომ ისინი გვერდით ცხოვრობენ და, რომ მათი ბედი ჩვენსაზე ორგანულად არის დაკავშირებული, რომ ჩვენსა და მათ შორის დამყარდა ურთიერთმოქმედება, რომ არა მარტო ჩვენ ვმოქმედებთ მათს ცხოვრებასა და ბედზე, არამედ ისინიც ჩვენ საკუთარზე. როგორ არ უნდა გვაინტერესებდეს ისინი?

პირდაპირ გასაოცარია და სრულიად დაუჯერებელი, რომ ჩვენი ქვეყნის გაცნობაში, მის შესწავლაში, აღწერაში, გაგებაში ჩვენ ყოველთვის მკრთალ და მესამეხარისხოვან როლს ვასრულებდით. ამაში ინიციატივა ყოველთვის უცხოელებს ეკუთვნოდათ. მნიშვნელოვანი მხარეები ადგილობრივი ცხოვრებისა, ადგილობრივი თავისებურებისა და განწყობილებებისა, ადგილობრივ ლიტერატურათა და ძეგლებისა აღმოჩენილი და გაშუქებულია უცხოელების—ბროსეს, ბუდენშტედტის, ჰაკსტჰაუზენის, ლანგლუას მიერ... სია მეტად გრძელი იქნებოდა და მასში რუსების გვარები ალბათ, სულ ბოლოს მოექცეოდა, უკანასკნელი წლების მოღვაწეთა შორის მხოლოდ ოთხმოციანი წლების დასასრულიდან... იცის კი ვინმემ რუსეთში რაიმე სომხური ბელეტრისტიკის, ქართული პოეზიის არსებობის შესახებ? ჩვენს წინ კი უკვე ალაგია მშვენიერი ტომები, გერმანიაში გამოცემული და განა ეს უცნაურობა არაა?

ამას წინათ „ნოვოე ვრემია" ჩვენს მიერ გადმობეჭდილ გამოხმაურებაში უფ. მივრიეს ჟურნალის შესახებ მწარედ ჩიოდა უცხოელთა ღონისძიებებზე, რომ გადაიბირეს ქვეყანა რუსეთის მიერ ამდენი მსხვერპლის გაღებით დაპყრობილი. ნაწილობრივ მართალია, მაგრამ მართალია მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენ თვით არ ვატანთ თავს ძალას დავამთავროთ და დავასრულოთ მთავრობის მიერ დაწყებული დაპყრობანი. არ გვახსოვს აზიის ხელოვნების, მრეწველობის, სიმპათიების დარგში დაპყრობის აუცილებლობა.

ყველა ეს თითქოს უცნაურიცაა და უხერხულიც, ამტკიცო, იმდენად უეჭვოდ მიგვაჩნდა აუცილებლობა ადგილობრივ ლიტერატურათა შესწავლისა.

ხელის შენყობის სახით წამოვიწყეთ თარგმნა და ახლო მომავალში დავიწყებთ ქართული და სომხური ლიტერატურის თვალსაჩინო ბელეტრისტული თხზულებების ბეჭდვას. მიმდინარე წლის განმავლობაში პერიოდულად გამოვაქვეყნებთ, პირველად ილია ჭავჭავაძის უკანასკნელ მოთხრობას—„ოთარაანთ ქვრივს“ და მისსავე ცნობილ რომანს „კაცია ადამიანს“. აგრეთვე გიორგი წერეთლის რამდენიმე ნარკვევს. როგორც ხალხურ, აგრეთვე ისეთი პოეტების, როგორიც ბარათაშვილი, გრ. ორბელიანი, ილია ჭავჭავაძე, აკ. წერეთელი და სხვ. ლექსების თარგმანზე, რომელნიც ეკუთვნის ი. ფ. ტსორჟევსკისა და ფ. ვ. ჩერნიგოვეცებს. მეტს აღარას ვამბოთ.

რაც შეეხება სომხურ ბელეტრისტიკას, ჩვენ უნდა მიგვემართა უფ. აბგარ იოანესიანის (გამოცემის თარგმანების შერჩევის გამგე) თავაზიანი შემწეობისათვის. რადგან ამ ლიტერატურაში ჩვენ კომპეტენტურნი არა ვართ, უფ. იოანესიანს დავაკისრეთ მთელი პასუხისმგებლობა, როგორც ნაწარმოებების შერჩევის, ისე მათი თარგმანების სიზუსტის საქმეში. ეჭვი არა გვაქვს, ჩვენი გაზეთი საზოგადოებას თანდათან მიაწვდის მდიდარ შენარჩევს შესაძლებლად კარგ თარგმანებს ადგილობრივ ხალხთა თანამედროვე ბელეტრისტიკის საუკეთესო თხზულებებისას. მაგრამ, საჭიროა მკითხველი წინდაწინვე გავაფრთხილოთ, რომ ადგილობრივი ენებიდან რუსულ ენაზე თარგმნა დაკავშირებულია ტექნიკურ სიძნელეებთან, რაც გამომდინარეობს ამ ენების ბუნების ორგანული განსხვავებიდან ჩვენს ენასთან შედარებით. ყველას, ვისაც ასეთი თარგმანი შეუსრულებია, კარგად მოეხსენება, რომ ეს სრულიადაც არ ნიშნავს გადმოთარგმნო რუსულ ენაზე ფრანგულიდან, ან გერმანულიდან, ან თვით ინგლისურიდანაც კი. მაინც და მიუხედავად ამოცანის სირთულისა, ვეცდებით, რამდენადაც შესაძლებელი იქნება, თარგმნის შნოიანობა დედნის ფორმის დონეზე შევინარჩუნოთ.

მაგრამ, თუ პირველადვე ჩვენი ამ დარგში საქმიანობა სრული წარმატებით არ დაგვირგვინდება, ვიმედოვნებთ, რომ „მკაცრი შემფასებელნი და მოსამართლენი“ თარგმანის ნაკლოვანებებს ლმობიერად მოეპყრობიან, იმისათვის მაინც, რომ ეს თითქმის პირველი ცდა იქნება რუსულ ლიტერატურაში, ხოლო ყოველი ახალი ნაბიჯი დაკავშირებულია სიძნელეებთან და ყოველგვარ მარცხთან.

44. საუძმო საკითხავი

ჩვენს საქალაქო სათათბიროში „ოპოზიცია“ ყოველთვის ასრულებდა და აქამდე განაგრძობს, თუმცა ხმაურიან, მაგრამ სრულიად უსახურ და უფრო მეტად უსუსურ როლს. ჩვენი თვითმმართველობისთვის ეს არის უდიდესი უბედურება, იმიტომ რომ არათუ წარმატებისთვის, არამედ საქმის რამდენადმე სწორი წარმართვისათვის, საზრიანი და საქმიანი ოპოზიცია, რასაკვირველია, არსებით საჭიროებას წარმოადგენს.

ჩვეულებრივ ეს ყველას არ ესმის. საყოველთაოდ გავრცელებული აზრით, რომელსაც განათლებული ფენებიც იზიარებენ, თვითმმართველობისა და საზოგადოებრიობის იდეალი მდგომარეობს აზრისა და ნების ერთიანობაში. მცირე წინააღმდეგობა, მცირე დისონანსი მიაჩნიათ არა მარტო უსარგებლოდ, არამედ რაღაც სკანდალის მსგავს მავნე მკრეხელობად, „დასასრულის საწყისად“ და ყველა უბედურების წყაროდ. სხვათა შორის, საზოგადოებრივ საქმეში, საზოგადოებრივი აზრისა და ცხოვრების განვითარების სარგებლიანობის თვალსაზრისით, არაფერი არ არის იმაზე გახრწნილი, ვიდრე ეს აუცილებელი ერთიანობაა, რომელიც საზოგადოების გონებრივი მოქმედების დამუხრუჭებისა და კვდომის საწყისს წარმოადგენს. აზრთა სხვაობის, უთანხმოების, კრიტიკის, ოპოზიციის შიში, ერთის მხრივ, წარსულის გადმონაშთია, მეორეს მხრივ კი—სრული გაუგებრობა. ეჭვგარეშეა, მართლა საშინელია, როცა საზოგადოებაში არ არის აზრთა თანხმობა, როცა მისი ძალები გაბნეულია, როცა მისი აზრი და სწრაფვა არაა თავმოყრილი ერთ საერთო რწმენაში, დოქტრინაში, სისტემაში ან პროგრამაში. ამის გარეშე წარმოუდგენელია თვით საზოგადოებრიობა, შეუძლებელია ამ საზოგადოების ოდნავი წინსვლაც კი. მაგრამ სინთეზი, საერთო აზრი მხოლოდ იმ შემთხვევაში მოიტანს სარგებლობას და არა ზიანს, როცა ის არსებული საზოგადოების უდიდეს ნაწილს მოიცავს და არა უკლებლივ ყველა მის წევრს. უსათუოდ აუცილებელია, რომ საზოგადოებაში არსებობდეს გარკვეული უმრავლესობა, რომელსაც ექნება აზრთა, მისწრაფებათა და პროგრამათა გარკვეული და ნათელი წყობა.

ამ ერთი კვირის წინ სწორედ ამას შემოგჩიოდით, რომ ჩვენს სათათბიროში არ არსებობს მსგავსი რამ. სხვაზე რომ არაფერი ვთქვათ, თვით ამ საზოგადოების უმრავლესობის განათლების, შეკავშირებისა და საქმიანობისათვის აუცილებელია, რომ მათ გვერდიგვერდ იყვნენ

განდგომილნი, ისინი, ვინც არ ეთანხმებიან. სხვაგვარად მოაზროვნენი, სხვაგვარად მოქმედნი, ამათ, ამ ელემენტებს, რასაკვირველია, ხელმძღვანელობა, პირველობა კი არ უნდა მივცეთ, არამედ თავიანთი აზრის, უარის, კრიტიკის თავისუფალი გამოთქმის უფლება.

ამის მაგალითს მოგიყვანთ იმ სფეროდან, სადაც შესანიშნავად გამომუშავდა ძალთა შეთანხმებისა და მათი გამოყენების ხერხები და საშუალებანი. განა შესაძლებელი იქნებოდა სამხედრო ოპერაციების წარმოება, და განა რაიმე წარმატებას მიაღწევდნენ, თუ გაწვრთნილ, დისციპლინირებულ, ერთი ნებით წარმართულ არმიას არ ეყოლებოდა განუსაზღვრელად მამაცი ადამიანების მთელი მასა, რომლებიც გადიან ძალიან წინ და მისგან ყოველი მიმართულებით, რათა შეისწავლონ ძნელად დასაზვერი გზები, ადგილები, მტრის ძალები და შესაძლებლობანი? რასაკვირველია, იმაზე უფრო ხელიდან წასული და ძალას მოკლებული არაფერია, ვიდრე არმია, რომელიც შედგება მხოლოდ და მხოლოდ ან უმეტესად არარეგულარული, უდისციპლინო ჯარისკაცებისაგან: თავისთავად ცხადია, ასეთი არმია განწირულია დამარცხებისათვის, ორჯერ უფრო სუსტი და რიცხობრივად მცირე რეგულარული არმიის წინაშე. და მიუხედავად ამისა, ყოველი კარგად დისციპლინირებული არმია ვერ იარსებებს არარეგულირებული ძალების, პარტიზანების, სწრაფმოქმედი რაზმების გარეშე, რომლებიც თავიდანვე განწირული არიან არა მარტო მრავალი, ხშირი და არამწარმოებლური ძიებებისათვის, არამედ ზოგჯერ დასაღუპავადაც.

დღევანდელ საზოგადოებაში ეს თითქმის არავის ესმის. ჩვენში საკმარისია გქონდეს გამორჩეული ჭკუა, საკმარისია გამოთქვა ახალი მოსაზრება, ან შეეკამათო აღიარებულს, რომ თითქმის ყველა დაგესხმის თავს, როგორც ბოროტ ძალას ან მოღალატეს. და რაც უფრო ორიგინალურია მისი აზრი, რაც უფრო ნათლად და ნიჭიერად არის გამოთქმული, რაც უფრო დასაბუთებული და მართებულია, მით უფრო მკაცრად და დაუნდობლად მოეკიდებიან მას უმრავლესობის წარმომადგენლები და მიმდევრები.

თავხედის მოსათოკად იყენებდნენ შავბნელი წარსულის ყველა ხერხს იმ იმედით, რომ მის ბაგეებზე მორჩილებისა და სიჩუმის ბეჭედი დაესვათ... თუმცა არსებითად აქ არავითარ ბრძოლასთან არა გვაქვს საქმე, ვინაიდან ბრძოლა გულისხმობს დაპირისპირებას, აზრთა შეჯახებას, დასაბუთებას, ეს კი ჩვენში მიღებული არ არის. ჩვენში მიღებულია ცოდვილი „მოღალატის" ლანძღვა უმრავლესობის მიერ,

იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც არ ესმით საკუთარი შეხედულებების საფუძვლები და ძალები, სხვაგვარად, ის შესძლებდა დაეცვა თავისი შეხედულებები და რწმენა დასაბუთებით და არა ჭორით...

ეს არის ყოველი აღმოცენებული ოპოზიციის გარდუვალი ბედი: ყველგან და ყოველთვის მის პირველ და, ბუნებრივია, არა მყარ და არა სავსებით სწორ ნაბიჯებს თან ახლავს და ამახინჯებს მსგავსი დამოკიდებულება იმ საზოგადოების მხრივ, რომელშიც ის ჩაისახა. ამიტომაა, რომ ჩვენში, საუკუნეების მანძილზე არსებული უკუნი სიბნელის გამო, არ შეიძლებოდა სერიოზული ოპოზიციის „თვითჩასახვა" მომხდარიყო. მინერვები[28] სრულ მზადყოფნაში იბადებიან მხოლოდ მითოლოგიაში და არა სინამდვილეში.

რასაკვირველია, ჩვენი ქალაქის სათათბიროს პირველი ნაბიჯებიც ვერ ასცდა ასეთ ხვედრს, არც ჩვეულებრივი „გარემოს წინააღმდეგობის" მხრივ, არც თვით ოპოზიციონერების შეცდომების თვალსაზრისით. ამ ოპოზიციის საქმიანობა ზოგჯერ აზრთა ბრწყინვალებითა და სიღრმით ვლინდებოდა. მაგრამ უფრო ხშირად მასში მოჩანდა საქმის პრაქტიკული მხარის უცოდინარობა, თავდასხმებით გატაცება, არსებულ საშუალებებში გაურკვევლობა, და ხშირად არსებულ მოვლენათა ხასიათის პირდაპირი, წინასწარგანზრახული, სისტემატური, უსამართლო დამახინჯება. მაგრამ სათათბიროს ოპოზიციის მთავარი ნაკლი ამ მოვლენებში კი არაა ფესვგადგმული, არამედ ზუსტად იმ მხარეებში, რითაც თვით სათათბიროც ხასიათდება: საქმისადმი და მოქმედი ნებისმიერი სისტემისადმი ცხოველი ინტერესის უქონლობა.

სათათბიროს შემადგენლობის ყოველი ახალი არჩევნების წინ ჩვენ გვესმის და ვხედავთ არა ერთ პიროვნებას, რომლებიც ნაცარ-ტუტას ადენენ თვითმმართველობის წარმომადგენლებს. არა მხოლოდ კერძო საუბრებში, არამედ ზოგჯერ პრესაშიც, ეს პირები გამოდიან „სათათბიროს წესრიგის", „გამგეობის საქმეების" შეურიგებელი მამხილებლის როლში და მოითხოვენ განახლების აუცილებლობას. ჩვეულებრივ ისინი აღწევენ საწადელს. სათათბიროში მათი პირველი ნაბიჯები შეესაბამება პირველ დაპირებებს. ისინი ხმაურობენ, ამხელენ, გამოხატავენ აღშფოთებას. მათ ხელახლა ირჩევენ, მაგრამ უკვე სხვადასხვა კომისიების წევრებად—ფინანსური, სარევიზიო, სამშენებლო. აქ კი მათი როლი მაშინვე იცვლება. გამგეობისა და ადრინდელი წესრიგის აშკარა მოწინააღმდეგეებიდან ისინი თანდათან

და ძალაუნებურად, მაგრამ თითქმის ყოველთვის, გამგეობის ყველა წინადადებების მორჩილ მომხრეებად იქცევიან ხოლმე. არავითარი ახალი „სისტემა“ და არავითარი ახალი წყობა არ შეაქვთ მათ არც კომისიის შრომებში, არც სათათბიროს საქმიანობაში. ზოგჯერ სათათბიროს წევრთა უმრავლესობას, რომლებსაც სწამთ გამგეობის სიბრძნე და შეუცდომლობა, ეპატიებათ სათანადო შემოწმებისა და მომზადების გარეშე მოექცნენ თავიანთ ამოცანას. მაგრამ ოპოზიციას არაფრით არ ეპატიება თავისი ფუნქციისადმი გულგრილი და ქარაფშუტული დამოკიდებულება. ის აუცილებლად უნდა ჩანვდეს მორიგი საკითხების არსის ყოველ წვრილმანს და სათათბიროს სხდომაზე უნდა გამოცხადდეს არა მხოლოდ ბუნდოვანი სურვილით, რაღაც კვიმატური უთხრას, არამედ მათ ხელთ უნდა ჰქონდეთ დასაბუთებანი და გადაწყვეტილებანი, რომელთა მეშვეობით შეეძლებათ არა მარტო ზეგავლენა მოახდინოს უმრავლესობის ნებაზე, არამედ უკიდურეს შემთხვევაში მოახერხებენ მოსახელეთა ყურადღება წარმართონ საზოგადოებრივი საკითხების მართებულად გადასაჭრელად. ყველგან და ყოველთვის ოპოზიციის შექმნის მიზანია არა მხოლოდ უმრავლესობის წარმომადგენელთა კონტროლი და მოთოკვა. მისი უმთავრესი ამოცანაა წამოაყენოს თამამი წინადადებანი და დაგვისაბუთოს მათი ნაყოფიერება და სარგებლიანობა, მართებულობა და ამით მოამზადოს ნიადაგი საზოგადოებრივი საქმეების საფუძვლიანი წარმოებისათვის, ჩააგდოს მასში მომავალი აღმავლობის მარცვალი. ერთი სიტყვით, მან ხელი უნდა შეუწყოს საზოგადოებრიობის მომავალ პროგრესს. და როცა ოპოზიცია, თავისი დანიშნულების ამ თანაბრად საჭირო მხარეების შესრულების ნაცვლად, იწყებს გამგეობასთან მხოლოდ გესლიან ლაპარაკს ან დაუსრულებელ დროულად და უდროოდ წამოჭრილ კამათს თემაზე „გაკრეჭილი კი არა, გაპარსულია“, ეს ნიშნავს, რომ მას არ შესწევს ძალა კვალი დატოვოს არც მის ზედამხედველობის ქვეშ მყოფ ორგანოში, არც იმ მოსახლეობის აზროვნებაში, რომლის შემადგენლობაში თვით შედის.

არსებითად ყველა ოპოზიციის ბედი, დასაწყისში ეკლიანი გზის მიუხედავად, მაინც თითქმის ყოველთვის საოცრად მადლიერია. მსოფლიოში, კაცობრიობაში ძალიან ცოტაა ხალხი, რომლებიც შეუცვლელად გამსჭვალული იქნება მოქმედებებისა ან ღონისძიებათა მხოლოდ და მხოლოდ ერთი სისტემით. ცხადია, ეს ადამიანები თავისი გზიდან არ გადაუხვევენ, მიდიან თავის გზით, ასრულებენ თავის ან სხვის წინასწარდასახულ საქმეს და არავითარ ყურადღებას არ მიაქცევენ არც ძაგებას, არც ქებას.

ასეთი ადამიანები ყველგან ცოტანი არიან. მთელ ქვეყანაზე კი, მოღვაწეთა უმრავლესობა არ არის დარწმუნებული იმაში, რომ მათი შეხედულება უთუოდ მართებულია. მარტივად რომ ვთქვათ, არა აქვთ ასეთი ფანატიზმი და არც ასეთი შეურყეველი გახლავან. ათასი მოღვაწიდან, ალბათ, ოთხმოცდაცხრამეტი ანგარიშს უწევს საზოგადოებრივ აზრს და არამარტო მის განაჩენს, ცვალებადობასაც. შემდეგ—ადამიანის ტვინისა და შეგრძნებების ბუნებრივი მონაცემების გამო, თანდაყოლილი თავის მოტყუების გამო, რატომღაც ყოველი ადამიანი დარწმუნებულია თავის ღირსებებში და თავის ნაკლს ვერ ხედავს. აქედან გამომდინარეობს, რომ ქებას ის იღებს არა როგორც შურისგებას, არამედ როგორც წყალობას. მისთვის გაწეულ მხარდაჭერას ის იღებს ჩვეულებრივად: ის ისევე ვერ ამჩნევს და ვერ აფასებს მას, როგორც ჩვენ არ გვახსოვს კუჭის არსებობა, ვიდრე არ აგვტკივდება. ამიტომ ყოველი ოპოზიცია, ყოველი კრიტიკა მას თვალში ეცემა და მოსვენებას უკარგავს. კრიტიკოსები, რომლებიც სხვის ნაწარმოებს არჩევენ, გამიგებენ, რასაც ვამბობ: სცადეთ შეაქოთ და ცამდე აიყვანოთ ვისიმე რომანი და მხოლოდ ერთი არასასურველი შენიშვნა მისცეთ. ნაქები ავტორი ყურადღებას არ მიაქცევს თქვენ ქებას, მაგრამ დიდხანს არ გაპატიებთ მცირე შენიშვნას... ჩვეულებრივ, ასევე იქცევა გამგეობა. ყოველთვის უდიდეს ყურადღებას აქცევს ოპოზიციის შეხედულებებს, მის წინაშე ყოველთვის მნიშვნელოვან დათმობებზე მიდის, უთანხმდება მის ნებასა და მოთხოვნებს, ყოველ შემთხვევაში, უფრო მეტად, ვიდრე ამას უმრავლესობის მიმართ აკეთებს. მცირეოდენი ტაქტისა და გარკვეული „მიზნის“ მოშველიებით, ოპოზიციას, თუ ყოველთვის არა, უმეტეს შემთხვევაში მაინც შეუძლია დადებითი გავლენა იქონიოს არა მარტო გამგეობის, არამედ უმრავლესობის საქმეების მიმდინარეობასა და გადაწყვეტილებებზე, რომელნიც თითქმის ყოველთვის მიდიან დათმობებზე, ოღონდ თავი აარიდონ „კამათსა და საყვედურებს“...

ვიმეორებ, საუბედუროდ, ჩვენი სათათბიროს ოპოზიციას არა აქვს მიზანი, და ამიტომ მათი მოქმედება და შეხედულება უსისტემოა. ამიტომ უმეტეს შემთხვევაში გამგეობის ხელში ის წარმოადგენს თუ დამჯერ არა, ყოველ შემთხვევაში, საოცრად სასარგებლო იარაღს სათათბიროში წინადადებების გასატარებლად. სახარბიელო მოქნილობითა და სიმარდით სარგებლობს ჩვენი გამგეობა სათათბიროს ოპოზიციის წევრთა მოუმზადებლობით, მათი შეუთანხმებლობით, ძალების განაწილების უუნარობით, მათი უსისტემო ლაყბობით, სა-

თათბიროსადმი მათი მუდმივი მტრობით. მას თავის ნებაზე მიჰყავს არა მარტო უმრავლესობა, არამედ თვით ოპოზიციაში მყოფნიც, მხოლოდ ერთის გარდა, რომლის აკვიატებული, განუწყვეტელი თავდასხმების გამო მსმენელ საზოგადოებას მისი სიმართლის აღარ სჯერა... სამწუხაროა, რომ ასეთია ვითარება,—სამწუხაროა იმის გამო, რომ სათათბიროში ჩვენ სერიოზული ოპოზიცია გვჭირდება, რომ მან მოგვცეს ისეთი თაობა, რომელიც შესძლებს თვითმმართველობის იმ ამოცანების განხორციელებას, რომლებიც გაუგებარი ან მიუღწეველია მისი დღევანდელი წარმომადგენლებისათვის.

45. საუქმო საკითხავი

მე არ მსურდა შევხებოდი ბ-ნ კეზელის პროცესს, მაგრამ რაზე მიბრძანებთ წერას იმ დროს, როცა ჩემი მკითხველების ფიქრები და ადგილობრივი საზოგადოების მთელი საზრუნავი მიმართულია სწორედ ამ პროცესისადმი? ძნელია, თითქმის შეუძლებელია საზოგადოებრივი აზრის საწინააღმდეგოდ იმოქმედო. მისი ყურადღება სხვა რამეზე გადაიტანო, ამისათვის საჭიროა მსოფლიო მნიშვნელობის ამბავი მოხდეს; ომის გამოცხადება, ანდა, ყოველ შემთხვევაში, თავად ბისმარკის გადადგომა. ამის გაკეთება მით უფრო ძნელია, რომ არსებითად ეს საზოგადოება სავსებით მართალია, როცა ასეთი მგზნებარე ინტერესით ეკიდება საქმეს, რომელმაც უდავოდ საზოგადოებრივი მნიშვნელობა შეიძინა. ადგილობრივი საზოგადოებრივი საქმიანობის თვალსაზრისით, ყველასათვის, ვისთვისაც ძვირფასია ქვეყნისა და სიმართლის ინტერესები, მისი მნიშნველობა ძალიან დიდია. ბ-ნ კეზელის საქმემ ფარდა ახადა და შუქი მოჰფინა იმ მოვლენებს, რომლებიც აქამდე ჩრდილში იყო. როგორიც არ უნდა იყოს მომრიგებელი მოსამართლის თანაშემწის არა მარტო წინასწარი მსჯავრი, არამედ სასამართლოს უმაღლესი ინსტანციის საბოლოო განაჩენიც, საქმე საინტერესოა არა მხოლოდ ამის გამო და არც იმის გამო, თუ რა ხვედრი ელის ბ-ნ კეზელს. საქმე არც იმით არის საინტერესო, რასაც ხედავენ მასში მისი ბრალმდებელი და დამცველი: უფრო ისაა მთავარი, მისცა თუ არა ბ-ნმა დანილოვმა ანგარიშსწორებისა და თვითგასამართლების საბაბი. თვით კითხვაც კი: არსებულ შემთხვევაში მართლმსაჯულება რამდენად აღმოჩნდა მოწოდების სი-

მაღლეზე და შეესაბამება თუ არა მისი განაჩენი სიმართლეს, აქ უკანა პლანზე გადადის. მორალის მარადიული კანონების ძალისა, დაცვისა და ბრალდების დავიდარაბამ კალეიდოსკოპის შესახებ, რაც მათ მართლმსაჯულებასა და საზოგადოებას წარუდგინეს—და უფრო საზოგადოებას, ვიდრე მართლმსაჯულებას, —წარმოშვა ახალი მოულოდნელი სურათები, რომლებშიც ფერები და მასალა ისე შეეხამებოდა ერთმანეთს, როგორც არსებულ მდგომარეობაში ბუნებრივად უნდა განლაგებულიყვნენ.

პროცესის, განაჩენის, საქმის იურიდიული მხარის ირგვლივ მე, რასაკვირველია, სრულიად არაფერს არ ვიტყვი. ამით სულაც არ მინდა პრესის უფლება დავამცირო, რომელსაც ძალუძს წარმოთქვას „განაჩენი განაჩენზე". ვამბობ მხოლოდ, რომ საქმის ამ მხარეებზე ლაპარაკი და განსჯა მიმინდვია სასამართლო ინსტანციებისა და საზოგადოებრივი აზრისათვის, შევეხები მხოლოდ რამდენიმე ზნეობრივ გაკვეთილს, რომელიც ამ პროცესთანაა დაკავშირებული. ვიტყვი, აგრეთვე, იმ წვრილმანებზე, რომლებიც სამუდამოდ ჩაიწერება არა მხოლოდ ჩვენი მხარის სასამართლოს მატიანეში.

საოცარი ამბავია: არსებითად პროცესი პრესისათვის წარმოადგენს ბრწყინვალე ზეიმს. მაგრამ, სამწუხაროდ, მან სულიერი სიამოვნება არ მომანიჭა. მართალია, პროვინციელი პუბლიცისტის ცხოვრება სავსეა დაუსრულებელი სიმწარით, შხამით და ამდენად მსგავსი ნუგეში და ზეიმი ჩვეულებრივ ხშირი არ არის. აგრეთვე უსაზღვროდ სასიამოვნოა იმის შეგრძნება, რომ საზოგადოებრივი აზრისათვის ნათელი ხდება პრესის ჭეშმარიტი მნიშვნელობა და როლი. სასიამოვნოა, რომ მიუხედავად ეშმაკურად მოჭორილი სიცრუისა და ცილისწამებისა, საზოგადოება დარწმუნდება, რომ პრესა პატიოსნად ეწევა თავის მძიმე უღელს, რომ მისი დანიშნულება და გამორჩეულობა არის ცხოვრების მოვლენების ასახვა და გაგება შეუნიღბავად და ნათლად, სამართლიანად, ვიდრე მას შეამჩნევენ და ასახავენ საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა ორგანოები და რომ პრესას ყოველივე ეს საოცრად ძვირი უჯდება. ასეთი გამარჯვების ერთი წამისათვის პრესის მუშაკი დაივიწყებს და შეუნდობს ათეული წლის წამებასა და გულისტკივილს. ეს მართლა ასეა. მაგრამ მიუხედავად ამისა, ასეთ სიამოვნებასთან ერთად, ბ-ნ კეზელის პროცესიდან, არასასიამოვნო განაჩენის გამოტანამდე ბევრად უფრო ადრე, მე გამომყვა უმძიმესი შთაბეჭდილება, როგორიც ცოტა მახსოვს მთელ ჩემს ცხოვრებაში.

რა მძიმეც არ უნდა იყოს ამის აღიარება, მაინც გულწრფელად გეტყვით, რომ ყველაზე მეტად მატკინა ამ პროცესის ბევრ საკითხში დაწვრილმანებამ და სიმდაბლემ გული. ღმერთო ჩემო, რამდენია მასში სულელური, უაზრო და მყრალი სიბინძურე! გეფიცებით, ვერ წარმომედგინა, რომ დღეს კიდევ არსებობდნენ ასეთი წამონაზარდები, რომ ჩვენს დროში, ჩვენს ქვეყანაში ასეთი პატარა ადამიანები ცხოვრობდნენ. პირადად ჩემთვის ეს ჭეშმარიტი აღმოჩენაა, და მე გაფიქრებისაც მრცხვენია, რომ ვინმემ, ვინც არ იცნობს აქაურ ცხოვრებას, ჩვენ ხასიათს და ადგილობრივ ნამდვილ მოღვაწეებს, შეიძლება შეცდომით იფიქროს, რომ ყოველივე ეს ახასიათებს საზოგადოების მთელ რიგ ფენებს. ბატონებო, ეს ასე არ არის! ეს არავისთვის არ არის დამახასიათებელი, არავის ჭეშმარიტ სახეს არ გვიჩვენებს, იმათსაც კი არა, ვინც, სამწუხაროდ, ასე ცუდად წარსდგა საზოგადოების წინაშე. ამ საქმეში სწორედ იმიტომ ვარ გულის სიღრმემდე აღშფოთებული, რომ ამ შემთხვევაში გამოვლინდა კონცესიონერების ყველა ძირითადი ნიშანი და ზოგადი ხერხები, რაც ასე ღრღნის ჩვენ საუკუნეს: ადამიანური ნაკლოვანებების, ვნებების, მდაბალი გრძნობებისა და დაავადებების გაანგარიშებული ექსპლოატაცია. ქვეყნად ძალიან ცოტანი არიან, ან იქნებ სულაც არ არიან ისეთი ადამიანები, რომელთაც ჭეშმარიტ ღირსებებსა და უდავო დამსახურებებთან ერთად, აქილევსის ქუსლი არ ჰქონდეთ: რაიმე სისუსტე, ავადმყოფური ლტოლვა, მართალია, დასაძრახია, მაგრამ რა ძალიან იოლია სუსტი სიმის შეხება, დროულად ზამბარაზე ხელის დაჭერა და ადამიანს აიძულებ უნებლიე, გაუცნობიერებელი, არაბუნებრივი მოძრაობა გააკეთოს და ყალბი მდგომარეობა მიიღოს. შეეკითხეთ პროფ. შარკოს და გაიგებთ, რა საოცრებები შეიძლება მოხდეს ამ მეთოდით, როგორი თავბრუდამხვევი ნახტომები, როგორი გიჟური როკვა შეიძლება გააკეთებინო ადამიანს. იგივე შარკო აგიხსნით, რომ ქალი, რომელიც ცენტრალურ ნერვულ სისტემაში ნემსის გაკეთების შემდეგ დაუშვებელ ნიმფომანიურ მოძრაობებს აკეთებს, ცხოვრებაში არსებითად შეიძლება უბინო იყოს. ახლა წარმოიდგინეთ, რომ ადამიანზე, მეგობარზე ასეთი ცდა ჩაატარეს და ამ ნემსის გავლენით ისინი ცოფავენ და ხტიან, როგორც ორგიის დროს. ახლა უკვე გაიგებთ ჩემს შეგრძნებებსა და ღრმა წუხილს. მომეხმარეთ მალე დავივიწყო ყოველივე.

რისთვის იყო საჭირო, რას მოგვცემდა და რა შეეძლო მოეცა?

ღმერთო ჩემო! სად არის მწერალი, მოაზროვნე, პოეტი, რომლის უდიდესი ძალა შეძლებს ადამიანთა შეგნებაში განამტკიცოს უბრალო და მარადიული ჭეშმარიტება, რომ სიმართლე უძლეველია, რომ სიცრუე მასთან უსუსურია, რომელიც შეძლებს სიცრუე სიმართლედ გამოაცხადოს. პირველი საუკუნეებიდანვე ვინც კი იყვნენ დედამიწაზე ჭეშმარიტად ნათელი, ჭეშმარიტად ღრმა, ჭეშმარიტად დიდი გონებრისა და გულის ადამიანები, დაუღალავად ქადაგებდნენ ამ უბრალო ჭეშმარიტებას, ამ ბუნების კანონს. თვით მაცხოვარმაც ჩამოაყალიბა ისე, რომ ის იარსებებს, ვიდრე დედამიწა ბრუნავს: „არ არსებობს დაფარული, რომელიც არ გამჟღავნდება", და მაინც, მოიძებნებიან ადამიანები, რომელთაც სწამთ, რომ თავიანთი მიკროსკოპული ტვინებით, რომელთაც მხოლოდ ორმოცდაათი-სამოცი წელი თუ უწერიათ აზროვნება, მათ მიაგნეს საიდუმლოს, თუ როგორ აუარონ გვერდი მთელი კაცობრიობისაგან ათასწლეულების მანძილზე მიღებულ დასკვნებს, კანონებს, გამოცდილებას. მითხარით, განა ეს უმაღლესი დონის უგუნურება არ არის? ვიმეორებ, ნეტა როდის დაიბადება მოაზროვნე ან პოეტი, რომელიც შესძლებს თავისი სიტყვისა და აზრის ძალით ამ საცოდავ თავებში შეიყვანოს უბრალო და წმინდა ჭეშმარიტება, რომელზეც მე ვსაუბრობ?

განუზომლად დიდი იქნება ჩვენთვის ასე საჭირო მოაზროვნისა თუ პოეტის როლი, უსაზღვრო იქნება მისი სახელი დედამიწაზე, იმის გამო, რომ არავის უდიდესი აღმოჩენები არ მოუტანს კაცობრიობას იმდენ სარგებლობას, მშვიდობასა და სიკეთეს, რასაც ასეთ ადამიანთა აზრები. მხოლოდ ამის შემდეგ დაისადგურებს „ადამიანებში მშვიდობა", რაზეც ასე მხურვალედ და ამაოდ ლოცულობენ მთელი კაცობრიობის საუკეთესო გულები.

სინამდვილეში რაში მდგომარეობდა აზრი, რა მიზანი ჰქონდა ყველა ამ ეშმაკურ მონაჭორებს, ძალადობას, ხრიკებს, ანგარიშიანობას? სახელი გაეტეხათ ბ-ნ კეზელისათვის? შემდეგ რაღა? დავუშვათ, შეესრულებინათ ჩანაფიქრი. განა ეს საეჭვო სიწმინდის საქმეს უშველიდა? იმ პირმა, რომელსაც ჭეშმარიტი წარმოდგენა ჰქონდა თავის საქმეებზე, რატომ დაისახა მიზნად ქვეყანასა და საზოგადოებას უცოდველის სამოსში მოჩვენებოდა? რისთვის იყო საჭირო და ვისთვის გაეკეთა ეს? განა ცნობილი არ არის, რომ ორ კურდღელს ვერ დაიჭერ, რომ ერთი ხელით ორ საზამთროს ვერ დაიჭერ, რომ არ შეიძლება „გამდიდრდე კიდეც და უცოდველიც დარჩე"? განა, არ ვიცით, რომ ჩვენი ცნობილი პოეტის ი. პ. პოლინსკის სიტყვებით რომ ვთქვათ, ამ კაპიტალს გარდაუვალი თვისება აქვს:

„ის ფრთებს გვაძლევს და თან
გვანვება; მტვერს აყრის იმის ოფლს,
ვინც მის უკან მიხოხავს,
და ტალახს ასხამს,
ვინც მონყალებას თხოვს". (მთარგმ.)

უფრო ჭკვიანები და ტალანტები იყვნენ ის უგუნურნი, რომლებიც პატიოსან მომხვეჭელობაზე ოცნებობდნენ. მაგრამ ისინი ყველანი დარწმუნდნენ, რომ ვერავითარი აკრობატული ხელოვნება ვერ უშველიდა ამ ორ სიმზე გავლას; უნდა დაადგნენ მომხვეჭელობის გზას და დაივიწყონ უბიწობა, ანდა იყვნენ უმანკოები და დაემშვიდობონ კაპიტალს. უნაყოფოა ორი ღვთაების თაყვანისცემის ყოველი ცდა... რატომ ვითვალთმაქცოთ? თუკი ღატაკი გაივლის ხელმოკლეობის, მწუხარების, დამცირების და შეურაცხყოფის მძიმე გზას, რომლითაც მისი შრომითი ცხოვრებაა აღსავსე და შემდეგ ვერ გაუძლებს მოგებისა და სიამის ცდუნებას, განა მას დიდი არჩევანი აქვს? რას მიიღებს ის? რომ არაფერი ვთქვათ წვრილმან სიტკბოებაზე, განა ცოტას ნიშნავს საკუთარი მადის დაკმაყოფილება? იმის შეგნება, რომ შავი დღეები უზრუნველყოფილი ექნება, რომ ოჯახი და ბავშვები დაცული ეყოლება ცხოვრების გასაჭირისა და უსამართლობისაგან? მეტი რაღაა საჭირო? დაანებეთ თავი ღატაკებს, რომლებიც, შეიძლება, თქვენზე ნაკლებ ნიჭიერები არც არიან, არ მოინდომეს თავისი სინდისის ფასად ბედნიერების ყიდვა. არ გამოიქცნენ თქვენსკენ. ამიტომ დაანებეთ მათ თავი და დაუტოვეთ ამ საწყლებს მათი ერთადერთი და პლატონურად სუფთა, მყიფე განძი—მათი სულის წმინდათა წმინდა. განა შურთ მათ თქვენი ბრწყინვალება, თქვენი ფუფუნება, თქვენი დიდება? რატომ-ღა გშურთ მათი სულიერი სიმშვიდე, რომელიც განუწყვეტელი ჯაფის მიუხედავად გაწონასწორებული და იდილიურია ერთი ლუკმა პურისათვის.

აღარ მახსოვს ჩვენი პოეტებიდან რომელმა თქვა, მაგრამ კარგად კი თქვა, რომ ქვეყნად არსებობს მშვიდობისა და სიცოცხლის სიამე:

„რომელიც ქვეყნის ბედნიერმა და ძლიერებმა
ვერ წაართვეს მშიერ ღატაკებს".

მაგრამ საინტერესოა ეს „ქვეყნის ბედნიერნი და ძლიერნი" რატომ ველარ დარწმუნდნენ ამაში? რატომ იმეორებენ მცდარად:

„ყველაფერს ავიღებ, თქვა ოქრომ"?

დროა ირწმუნო, რომ არსებობს კიდევ ისეთი რამ, რომლის წართმევა არც ოქროს და არც მახვილს არ ძალუძს.

46. საუძმო საკითხავი

ტფილისში არაფერი გეთქმით დედა რუსეთზე, სადაც ზამთარი ჯერ კიდევ ძალაშია. ირგვლივ ყველაფერი ნაცრისფერია. ობლად მდგარი ხეები თითქოს გადახმენ. მინა, კლდეები ზამთრის ყაიდაზე, ყავისფერში გამოწყობილან. ყოველ შემთხვევაში, ასეთი სურათი იყო ერთი კვირის წინ, როცა მე თქვენი ქვეყანა დავტოვე. ჩვენში კი, რიონის ხეობაში, უკვე ერთი თვეა გაზაფხულის მომაჯადოებელი პოეზიით ვტკბებით. ყველიერზე ბლინებს ღია ცის ქვეშ გეახლებით. ვფიქრობ, იმ უხსოვარი დროიდან, რაც სკვითებმა თუ სარმატებმა ეს მსუყე საჭმელი შექმნეს, არავის გაუგონია, რომ ის შეიძლება ღია ცის ქვეშ მიირთვათ. ჩვენში კი ასე ხდება. ახლა აქ ჩვენში ნამდვილი გაზაფხულია. ხეები ყვავიან,—შემკულ ველებზე ლაპარაკიც ზედმეტია: ისინი ზამთარ-ზაფხულ მწვანედ ბიბინებდნენ. ერთიან ზურმუხტისფერ ფონზე აქ-იქ მოჩანს ნაირფერი მწვანე: დაწყებული ღია, რძისფერი ფიჭვით, ტირიფით, ზეთისხილით დაწყებული და მუქი, მოშავო წყავისა და დაფნის ხეებით დამთავრებული. მათ შორის მხიარულად ელვარებენ მრავალფერი ყვავილები. ქლიავი და ალუბალი თეთრ სამოსშია გამოწყობილი, ვაშლები—ღია ვარდისფერში, ატმები ვარდისფრად ელვარებენ, ბროწეულები—ალისფრად, შინდი—ოქროსფრად. სულ მაღლა კი, ფირუზისფერი ცის ქვეშ, მთელ ამ სანახაობას აგვირგვინებს კავკასიონის თოვლიანი მწვერვალები, რომელიც გაზაფხულის მზის სხივებითაა გაცისკროვნებული. როგორი სანახაობაა ტფილისისათვის, რომელთა ხედვის არე ყოველმხრივ შემოზღუდულია მამადავითის, სოლოლაკის და არსენალის შიშველი და ტალახიანი მთებით?

სრულიად არ მესმის, ქალაქელებს როგორ შეუძლიათ გაზაფხულის სადიდებლად პროზითა თუ ლექსებით ჰიმნების წერა? მათ ამის ნება არა აქვთ, ვინაიდან მემილიონედი ნაწილითაც ვერ იგრძნობენ იმ ნეტარებას, რომლითაც გაზაფხული ადამიანს აჯილდოვებს. ალბათ, მათი აღტაცება სხვათა სიმღერების გადამღერებაა, სხვათა განცდების მიბაძვაა. ყოველ შემთხვევაში, მე ასე ვფიქრობ, ვინაიდან ვიდრე გაუსვლელად ქალაქებში ვცხორობდი, ჩემთვის გაუგებარი და უცხო იყო პოეტების აღფრთოვანება გაზაფხულით. მართალია, მე ის მომწონდა, მაგრამ მხოლოდ როგორც ყოველი სიახლე და ცვლილება. ზუსტად ასე მაღელვებდა პირველი თოვლი შემოდგომის მერე, ან მოწითალო-ყავისფერი ტონები ფოთლებში ზაფხულის ბოლოს. გაზაფხულის დამათრობელი პოეზია შევიგრძენი მხოლოდ მას მერე, რაც

ორი წლის წინ „ნვრილმანი აზრების, ნვრილმანი ვნებების, ჭუჭყიანი ლაფის“ საშინელებამ ძალა მომცა და უკანმოუხედავად გავიქეცი ქალაქებიდან. მსურდა ამესრულებინა ჩემი ცხოვრების მუდმივი და, სამწუხაროდ, ჯერ აუსრულებელი ოცნება—სამუდამოდ ჩავფლულიყავი სოფლის მშვიდ ცხოვრებაში.

ხუთი თუ ექვსი წლის წინ, მყუდრო და შვიდი ადგილის ძიებისათვის მოგზაურობის დროს, ვიწექი ერთ მყუდრო სოფელში ცაცხვის ძირში და გარემომცველი განუსაზღვრელი მყუდროებით ვტკბებოდი

—რაზე ოცნებობ, შვილო,—შემეკითხა ასი წლის გამზრდელი, რომელიც ბავშვობაში ისე ცოცხლად მიყვებოდა თავისი ცხოვრების პირველ შთაბეჭდილებაზე, 1812 წლის შავ ჭირზე, იმერეთის მეფე სოლომონ დიდზე, „რუსების შემოსვლაზე,“—რა გაკლია?

—ჩემო გამზრდელო, მე მინდა სულ აქ ვიცხოვრო, არსად, სულ არსად არ მიხდებოდეს წასვლა, არავისთან ლაპარაკი. მინდა მხოლოდ ვუყურო, როგორ იზრდება ეს ჭარხალი, როგორ ცხოვრობენ ეს წიწილები...

გამზრდელმა ხელები გაშალა მხოლოდ, გაოცებულმა დააღო თავისი უკბილო პირი.

—ღვთის გულისათვის, რას ამბობ, შვილო, ბებერ დედაკაცს დამცინი თუ რა?

—ღმერთმანი, არა. აი, შენ თვითონ ნახავ, რომ ადრე თუ გვიან ამას მივაღწევ.

—შეუძლებელია, არ მჯერა და ვერც ვერასდროს დავიჯერებ, თუნდაც საკუთარი თვალებით ვნახო. რა საკადრისი საქმეა ეს? რისთვის გზარდე, რისთვის გაიარე ამდენი სკოლა, ამდენი წიგნი წაიკითხე, ამდენ ჭკუის მასწავლებელს მოუსმინე, ამდენი იმოგზაურე, ამდენი ფული ხარჯე? ღმერთი გიშველის! ამისთვის საკმარისი იყო ჩემთან გესწავლა, სხვა არავითარი მეცნიერება არ გვჭირდებოდა. როგორ იჩეკებიან წიწილები, როგორ უნდა გაზარდო ისინი, როგორ უნდა თესო ბოსტნეული—ამას ყველაფერს ყველა პროფესორზე უკეთ სახლში გასწავლიდი. არა, შენთვის ასეთ ხვედრზე არ ოცნებობდა ცხონებული მამაშენი, არა, ასეთი მომავლის იმედით ღვრიდა ცრემლს მთელი წლებით შენთან განშორებული და შენგან წერილებისა და ამბების მომლოდინე დედაშენი. არც მე გამიშვიხარ რუსეთში ამისათვის. ჩვენი ოცნება იყო—ჩამოსულიყავი ნასწავლი, ჩინოვნიკი, მიგეღო დიდი ად-

გილი და გეცხოვრა უზრუნველად ჩვენდა და შენდა გასახარად. შენ კი რაზე ფიქრობ—მებაღე ოსიკიას ბედი შეგშურდა, მეფრინველე გოგიტას მიბაძვა მოგინდა! ღმერთო ჩემო, ეს ხომ სიგიჟეა...

—არა, ჩემო გამზრდელო, ეს არ არის სიგიჟე. შენ რომ ოსიკიას მსგავსად გაგეზარდე, მე მაინც მთელი ცხოვრება სხვაგან გამიწევდა გული, ჩემი მდგომარეობა მაინც დამთრგუნავდა. მე მაშინ, ისევე როგორც ახლა, შენ და ჩვენ ყველას, მომეჩვენებოდა, რომ სადღაც შორს, „სადაც ჩვენ არა ვართ," არსებობს ისეთი ცხოვრება, რომლისთვის ღირს სწრაფვა და მონდომება, რომ ღირს იმუშაო, ქანცი გაიწყვიტო, საკუთარი თავი მსხვერპლად მიიტანო, რათა ხალხისათვის სასარგებლო და სასურველი გახდე. მრავალი ამის მსგავსი მომეჩვენებოდა მაშინ. მაგრამ ეს ყველაფერი სისულელეა, ჩემო გამზრდელო. სისულელეა იმიტომ, რომ ადამიანი უუნაროა და დედამიწაზე მისი როლი მეტად უმნიშვნელოა. იგი ვერ შეცვლის ცხოვრების დინებას. განა ჩვენ, მე და შენ, თუნდაც დიდიან-პატარიანად, თუნდაც ქვეყნის ყველაზე დიდ მოხელეებს, შეგვიძლია თუნდაც ერთი დღით დავაჩქაროთ გაზაფხულის ან ზამთრის მოსვლა? როგორც არ უნდა მოვისურვოთ, განა შეგვიძლია დღევანდელი მშვიდი ამინდის ნაცვლად აღმოსავლური ქარი ან მაცოცხლებელი წვიმა გამოვიწვიოთ? მეფრინველეობაში მთელი შენი ცოდნა მაინც არ კმარა იმისთვის, რომ წიწილა 21 დღეზე ადრე გამოიჩეკოს. მაინც არაფერი გამოვა და სრულიად ამაოა ლაპარაკი იმის შესახებ, თუ ვინ დაუდებს კრუხს კვერცხს ან ვინ მიუტანს საკვებს. სხვებმა მიითვისონ სხვისი გაკეთებული საქმეები, ეს არ მაწუხებს. დავიღალე და ხალხის რწმენა დავკარგე. ძალიან ახლოს ვნახე ბრწყინვალებისა და დიდების ამაოება და მოჩვენებითობა, ვიგრძენი მათი შემთხვევითობა, ამიტომ მიმაჩნია, რომ სისულელეა ამის მისაღწევად თავი მოიკლა შრომით და მამაცობით, მაშინ, როცა ეს ყოველივე სხვებს პირდაპირ ხახაში უვარდებათ შემთხვევით ან უფრო სავალალო მიზეზით... აქ, კი, ყოველ შემთხვევაში, სიმშვიდეა, სიწყნარეა, ტირიფის ქვეშ, მდელოზე ჩიტებსა და ცხოველებს შორის სისუფთავეა...

რასაკვირველია, ჩემი გამზრდელი ვერაფერს მიხვდა. გაიქნია ისედაც მოცახცახე თავი და იფიქრა, რომ მე „ნეტარი" ვარ და როგორც გიჟს, მხოლოდ ჩემდამი ძველი სიყვარულის გამო არ შემაქცია ზურგი. მისთვის ხომ შვილზე უფრო ძვირფასი ვიყავი. იგი გარდაიცვალა ისე, რომ ვერ მოესწრო ჩემი ოცნების ნანილობრივ განხორციელებას.

იგი გონებით ვერ ირწმუნებდა, მაგრამ გულით მაინც იგრძნობდა, რა დიდი ბედნიერება და კმაყოფილებაა სოფლის ცხოვრებაში, განსაკუთრებით გაზაფხულზე.

გათენებისას, ასე, ხუთ საათზე, წამოდგები ლოგინიდან და არაფრად გენაღვლება ადამიანთა სისულელეები და სიავე. მხოლოდ ერთს ფიქრობ: ღმერთი გამოგიგზავნის წვიმას, თუ ხელახლა საჭირო იქნება დარგული ხეებისა და ბოსტნეულის მორწყვა. შიშნარევი სიყვარულით შეჰყურებ პანაწინა ღრუბელს დასავლეთის ჰორიზონტზე და ფიქრობ: იქნებ ღმერთი გაზრდის მას, ნიავი კი ჩვენსკენ გამოდევნის და მოგვირწყავს მინდვრებს....

—წმინდა ელიამ ნეტავი დღეს მოისურვოს თავისი ეტლით ცის კაბადონზე გასეირნება. რა ხანია უქმად უდგას—რწმენით ჩურჩულებს იმერელი მებაღე, რომელმაც მორწყვისა და ირიგაციის სხვა არავითარი ხერხი არ იცის და არც სწამს სხვაგვარი მორწყვა, გარდა წვიმისა, რომელსაც ელია წინასწარმეტყველი უგზავნის.

შემდეგ მამობრივი მზრუნველობით ათვალიერებ სიახლეებს: აი, მიწიდან თავი ამოჰყო პრასამ, აი, სამწლიანებმა ულვაშები გამოუშვეს, აქვე გაიშალა სათესლედ დატოვებული მდოგვის კვირტი... სიყვარულით, სიხარულით შეჰყურებ მერცხლებს, შენს საუკეთესო მოკავშირეებსა და დამხმარეებს, რომლებიც თავიანთი სწრაფი ფრენის დროს უამრავ ჭიაღუებს ანადგურებენ. ხენდროს ნაყოფი შესამჩნევი ხდება, ფოთლებიდან იმზირება თეთრი ბუსუსით დაფარული კიტრი: ხელის შეხებისაც გეშინია. ჯერჯერობით ამის მსგავსი არაფერი გაქვთ ტფილისში. შეიძლება სათბურებში ან ორანჟერიაში ნახოთ რაიმე. ჩვენთან კი ეს არის ღია ცის ქვეშ, ყოველგვარი გადახურვისა და დავიდარაბის გარეშე. ოღონდ წვიმა წამოვიდეს, რომელიც თქვენ ასე არ გიყვართ, ვინაიდან ის პალტოს დაგისველებთ, ან ქუდს პენს დაუკარგავს, ანდა ფეხსაცმელებს გაგიტალახებთ! აქ კი, როცა ღმერთი წვიმას გამოგვიგზავნის, ვდგავართ ერთ პერანგში, თან გვიხარია, რომ ვსველდებით მთლიანად, ე. ი. მხოლოდ ჩვენ კი არა, არამედ ჩვენი მარჩენალი მიწაც! თქვენ ამას ვერ გაიგებთ. თქვენთან დილით ხალხი იღვიძებს იმაზე ფიქრით, თუ ვის მიესალმოს მხოლოდ თავის დაკვრით, ვის ოდნავ მოუხადოს ქუდი და ვის ისე ხელგაშლით, რომ ქუდი მიწას ეხებოდეს. ან თქვენ გაწუხებთ, რა თქვა ან გენერალმა, ან რა თქვეს თქვენზე კომერციული ბანკის საბჭოში, ანგარიში გაუწიეს თამასუქს თუ „გადადეს.“ არიან ისეთი ადამიანები, რომელთაც ძილი

და მოსვენება არა აქვთ იმაზე ფიქრით, თუ რა აზრის არის მათზე პროფესორი? ღმერთო ჩემო, რა საცოდავები არიან ეს ადამიანები, რისთვის წვალობენ, რა აღელვებთ, „შრომობენ," დარდობენ!

სხვათა შორის, იმ დროიდან, რაც ადამიანს თავისი თავი ახსოვს, თითქმის ბაბილონის გოდოლის აგების დროიდან, არსებობს ლეგენდა ანთეოსის შესახებ. თქვენ, რასაკვირველია, გახსოვთ იგი: ადამიანი, რომელსაც ძალა ელეოდა მოწინააღმდეგე ძალებთან ბრძოლის დროს, საკმარისი იყო მიწაზე გართხმულიყო, საკმარისი იყო ფეხით შეხებოდა მიწას, რომ ის ისევ ძლიერი, უძლეველი იყო. მაგრამ ეს მითი ხალხის წარმოდგენაში ზღაპარს წააგავს, მიუხედავად იმისა, რომ ყოველდღიურად შეუძლიათ დარწმუნდნენ მის ცხოვრებისეულ სიმართლეში. ქვეყნად არაფერი აძლევს ადამიანს ისეთ დამოუკიდებლობას და თავისუფლებას, როგორც ბუნებასა და მიწასთან ურთიერთობა. ამაზე მეტიც: ეს ურთიერთობა სასწაულებრივად კურნავს სულს, ამშვიდებს გონებას და ამტკიცებს ნებისყოფას. მაგრამ ყველაზე დიდი ზეციური სიკეთე, რასაც ის გვაძლევს, არის ის, რაც ჩვეულებრივ ასე აკლიათ ადამიანებს: მოთმინება, ლოდინის უნარი, ყოვლისმომცველი ძალისა და ბუნების კანონების რწმენა და იმედი...

47. საუქმო საკითხავი

დედაქალაქის ერთ-ერთ გაზეთში ახლახან წავიკითხე „საოცრად ჭკვიანური მსჯელობა", რამაც ჩემზე ღრმა, ოღონდ...„საპირისპირო" შთაბეჭდილება მოახდინა. არ დაგისახელებთ არც ავტორს, არც მსჯელობის საგანს: არც ერთს და არც მეორეს არსებითი მნიშვნელობა არა აქვს. მნიშვნელოვანია მხოლოდ საერთო შთაბეჭდილება: აზრისა და გონების აბსოლუტური უქონლობა, ნასწავლობა კი—უზომო. და საბოლოო ჯამში—სრული უაზრობა: მეცნიერების უკანასკნელ მიღწევებად, მის კანონებად ასაღებს არა მარტო აშკარად არამეცნიერულსა და მცდარს, არამედ ჩვეულებრივი საღი აზროვნების საშუალო ადამიანებისათვის მიუღებელ აზრებს. ვიმეორებ, მთავარია საერთო შთაბეჭდილება: იმ დროის განმავლობაში, როცა ამ ვითომ მეცნიერულ ნაშრომს ვკითხულობდი, არ მასვენებდა ფიქრი, რომელიც მინდა გაგიზიაროთ:—„ღმერთო, მავნებლობაა სულელი ადამიანებისათ-

ვის უმაღლესი განათლების მიცემა!" მეცნიერულმა მსჯელობამ, რომლის შესახებაც დღეს გესაუბრეთ, ჩემს მეხსიერებაში მრავალი საინტერესო დაკვირვება და დასკვნა აღძრა, რომლებიც გაშუქების ღირსია.

ხშირად ყურადღებით ვადევნებდი თვალყურს ახალგაზრდა თაობის გონებრივ განვითარებას, რომელნიც ჩემ თვალწინ სწავლობდნენ. მრავალჯერ ვყოფილვარ იმის მოწმე, რომ ახალგაზრდები, რომლებიც გიმნაზიის მეოთხე კლასში, საკმაოდ ნიჭიერები იყვნენ და რაღაც იმედებს იძლეოდნენ წლიდან წლამდე და ყოველ მომდევნო კლასში სულ უფრო და უფრო, „გეომეტრიული პროგრესიით" უჩლუნგდებოდათ გონება. პარიზის სამედიცინო აკადემიის სამეცნიერო კომისია სწავლობს „გონებრივი გადაღლის" კანონებს და ეძიებს ამ ბოროტების საწინააღმდეგო საშუალებებს. მან თუნდაც ეს სასნავლო პროგრამების გადატვირთვით ახსნას. არ უარვყოფ ამ ფაქტორის გამოვლენას. თქვენი ნებაა. მაგრამ იმის მტკიცება, თითქოს მთელი ბოროტება პროგრამებშია, ნიშნავს თვითნებურად დავხუჭოთ თვალები ცხოვრებისეულ მოვლენებზე. ახსნა უფრო ღრმა შრეებში იმალება: არის ტვინი, რომლისთვის ყოველგვარი პროგრამა, რაც უნდა ზომიერი იყოს, გადაღლასა და ზიანს გამოიწვევს. მეტსაც ვიტყვი: ნებისმიერი პროგრამის მიზანია გონებრივი ძალების დანიშნულების გამოვლენა და არა ამ ძალების შექმნა; იქ კი, სადაც ბუნებრივად არ არსებობდა არავითარი ძალა, ვერავითარი პროგრამები და სახელმძღვანელოები მას ვერ შექმნის.

ჩემი აზრით, პედაგოგიკის ძირითადი შეცდომა იმაში მდგომარეობს, რომ ის აზვიადებს თავის ძალებსა და მნიშვნელობას, თავის თავს მიაწერს შემოქმედებით შესაძლებლობებს, რომელიც მისთვის სულაც არ მიუცია ღმერთს. უდაოა, რომ მისი მნიშვნელობა ძალიან დიდია; ის მოზარდი თაობის ბუნებრივ ნიჭს ავითარებს, სრულყოფს, აათკეცებს და აიარაღებს, სხვათა შორის, ქვეყნად არავითარ ვარჯიშს არ ძალუძს ათლეტად აქციოს ჭლექიანი ბიჭი. არც რაქიტიანი, არც ინგლისური ავადმყოფობით დაავადებული... ამ საწყლებს შეიძლება და კიდეც უნდა ვუმკურნალოთ: რასაკვირველია, კარგი მკურნალობა შეუმსუბუქებს მათ ხვედრს და გააუმჯობესებს მათ მდგომარეობას. ეს უდაოა. მაგრამ ვიქონიოთ იმედი, რომ მათგან ოდესმე გლდანელი ფალავანი გამოვა, ეს ნიშნავს, აუსრულებელ ოცნებას გამოედევნო, საკუთარი ძალები და საშუალებები გაფლანგო.

თანამედროვე პედაგოგიკა—არა მარტო ჩვენში, არამედ საერთოდ ყველგან,—ნაკლებ ყურადღებას უთმობს იმ „მასალის“ შერჩევას, რომელზეც თავისი მოღვაწეობა უნდა გაშალოს. მან არ იცის და არც სურს იცოდეს ბუნების კანონები და ბრმად თვითდაჯერებულს მიაჩნია, რომ მოწოდებულია შეცვალოს ბუნება და მისი შემოქმედებითი ძალები. მოსწავლეთა ბუნებრივ ნიჭს, სწორედ იმ მონაცემებს, რაც სწავლებისათვის საფუძველს, ძირითად მასალას და უმთავრეს განმანათლებელ ძალას წარმოადგენს, ის არავითარ ყურადღებას არ აქცევს. მან არ იცის, რომ საქმის მთელი არსი სწორედ იმაში მდგომარეობს, თუ როგორ შეუძლია მოსწავლის გონებას ათვისებული მასალის გადამუშავება და არა თვით მოსწავლეში; რომ პედაგოგის დანიშნულება და ღირსება უმთავრესად არის ბავშვს ან ახალგაზრდას მიაწოდოს არა მზა და გადაღეჭილი ცოდნა, არამედ თვითგანვითარებისათვის შეურჩიოს სათანადო მასალა და საშუალებანი. რაც უნდა კარგი საკვები მისცეთ ორგანიზმს, რომელსაც არ ძალუძს მისი ათვისება და გადამუშავება, აქედან, გარდა უნაყოფო ჩატენისა, არაფერი გამოვა: მხოლოდ დაავადდება კუჭი, ან გამოიწვევს ღებინებას და აშლილობას.

ჩვეულებრივ, თანამედროვე პედაგოგები, მთელ დედამიწაზე, საზღვარგარეთაც და ჩვენშიც, როგორც კერძო სასწავლებლებში, ისევე სახელმწიფოებრივში, მოსწავლის გონებას უყურებენ, როგორც კოლოფებს, რომელშიც საჭიროა ყოველდღიურად და სისტემატურად ცნობილი, გარკვეული თანაბარი რაოდენობის „მეცნიერული ფაქტები“ ჩავაწყოთ. და ისინიც დებენ ამ ფაქტებს მეტნაკლები სიფაქიზით, ზრუნვით, სიფრთხილით. თანამედროვე პედაგოგის ნიჭი განისაზღვრება იმით, თუ როგორი გულისხმიერებით და მონდომებით არის შერჩეული და ჩაწყობილი ეს ფაქტები აღსაზრდელების არამყარი ცოდნის კართოტეკაში. საქმის შემდგომი მხარეა იმის პერიოდული შემოწმება, თუ რამდენად კარგად არის დაცული კოლოფში ასე საგულდაგულოდ ჩადებული ფაქტები. დრო და დრო კოლოფები ნიავდება, გადაირჩევა და ხელახლა მოყავთ სისტემატურ წესრიგში. ყოველივე ეს კეთდება, ვიდრე ყველა კოლოფი გაივსება არა თითოეულის შესაძლებლობის მიხედვით, არამედ განსაზღვრულ და ყველასათვის ერთნაირ სიმაღლემდე. საშინელება იქნება, თუ კოლოფები ერთნაირი ზომისა და შემცველობის არ აღმოჩნდება: ზოგ მათგანს დაანიავებენ სხვადასხვა მხარეს, ზოგს წააცლიან თავს ან ძირს გაუხვრეტენ და ზოგისაგან დარჩება სიცარიელე...

მაგრამ ეს კანონზომიერება არ არის მთავარი. რასაკვირველია, დროთა განმავლობაში ყველაფერი შეიძლება მოგვარდეს და ადამიანთა ნიჭის საშუალო დონეს მიესადაგოს. მთავარი უბედურება არის,— არ ესმით ის ძირითადი კანონი, რომ ადამიანის გონებრივი მოღვაწეობისათვის საჭიროა არა შიშველი ფაქტები, არამედ ამ ფაქტების მოძებნის და ცხოვრების მოთხოვნილების მიხედვით მათი გამოყენების უნარი. მე ვიცნობ ბევრ უცხოელ ინჟინერს, ქიმიკოსს, ტექნიკოსს, რომელთაც განათლება მიღებული აქვთ მსოფლიოს „საუკეთესო" უმაღლეს სასწავლებლებში და მიღებული აქვთ არა მარტო დიპლომები, არამედ მედლებიც. მათი გონება გადატვირთულია ფორმულებითა და უზადო მეცნიერული სიწმინდის ცოდნით. და მაინც, თავიანთ სპეციალობებშიაც კი ისინი პასიურები არიან და ერთ ადგილს ტკეპნიან. ძალიან კარგები და ვარგისები არიან, მხოლოდ იმ ნორმალურ პირობებში და საქმის იმ ვითარების დროს, რომელიც გათვალისწინებული და აღწერილია მათ სახელმძღვანელოებში. მაგრამ გარემოებათა სულ მცირეოდენი ცვლილებაც კი, ამოცანის ფაქტორების სულ უმნიშვნელო გადაადგილებაც კი აბნევს მათ.

შესანიშნავად მახსოვს, როგორ მასწავლიდნენ გიმნაზიაში ტრიგონომეტრიას და გამოცდაზე როგორი რიხით ვპასუხობდი „სინუს A"...მაგრამ როცა დირექტორმა, რომელმაც კარგად არ იცოდა მათემატიკა, დაფაზე ჩემ ნახაზზე ასო A-ს ნაცვლად დაწერა C, მე ხახა გამიშრა, ენა ჩამივარდა და ჩვეულებრივი ხუთიანის ნაცვლად უგრძესი ერთიანი დამიწერეს. რასაკვირველია, ეს უკიდურესობაა. მაგრამ რაღაც ამის მსგავსი ემართებათ მეცნიერებს, რომელთაც განათლება მიღებული აქვთ „მზა ფაქტებით". მათ უსაზღვროდ დიდი რაოდენობის ფაქტები იციან და ძალიან კარგადაც იციან, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში მათთვის სრულიად გაუგებარია ამათი ძირითადი აზრი და ეკონომიკა. ასეთი ადამიანები უსარგებლოა და რა თანამდებობაც არ უნდა ჰქონდეთ, ისინი ყოველ საქმეში მაინც შავ მუშებად რჩებიან და ამიტომ მათთვის ყოველთვის მიუწვდომელია დაზუთხული „ფაქტების" ძირითადი არსი.

მე განგებ მოვიყვანე უცხოელი სპეციალისტების მაგალითი. მინდოდა მეჩვენებინა, რომ არავითარ ვიწრო, ადგილობრივ მიზანს არ ვედავები, არამედ მხოლოდ მსურს ზოგადი საკითხის ახსნა,—საკითხისა, რომელიც თანამედროვე პედაგოგიკის საფუძვლებს ეხება და არა მხოლოდ ამა თუ იმ სასწავლო დაწესებულებას ან უწყებას.

ინჟინრებისა და ტექნიკოსების გვერდით, რომელთა შესახებ ზემოთ მქონდა საუბარი, მე სხვაგვარი ტექნიკოსებიც შემხვედრია. მათ თითქმის არავითარი ფორმულა არ იციან და არც ეთაკილებათ უცოდინარობა.

—გეთაყვათ, რაში მჭირდება ყოველივე ამით თავის გამოტენა, ამბობენ ისინი. ქვეყნად უამრავი ცნობარი და ლექსიკონია, სადაც საჭიროების შემთხვევაში ყოველთვის შემიძლია ჩავიხედო და გავიგო, რა დატვირთვას გაუძლებს გარკვეული სისქის მილი ანდა როგორი კვეთის ძელი დამჭირდება, გარკვეულ სიგრძეზე ამა თუ იმ დატვირთვის დროს. ჩემთვის მთავარია მექანიკისა და საერთო მეცნიერების საწყისებსა და კანონებს დავეუფლო, მნიშვნელოვანია მეცნიერების ფილოსოფიას ჩავწვდე. ვინაიდან მე ეს შევძელი, ვინაიდან ვისწავლე სად და როგორ ვეძიო ფაქტები, ციფრები, როგორ გავანაწილო ისინი, როგორ გამოვიყენო,—რაღა ჯანდაბად მინდა მათი ზეპირად ცოდნა? დავუშვათ, თქვენ სტატისტიკა გესაჭიროებათ. მითხარით, თქვენი მხრივ განა უგონობა არ არის გონება და მეხსიერება გადატვირთოთ იმის დაზეპირებით, თუ რამდენი კაცი ჩნდება დღეს, რამდენი ქორწინდება და რამდენი კვდება ცალკეულ ქვეყანაში? თქვენ მხოლოდ ერთი რამ გჭირდებათ—უნდა იცოდეთ საჭიროების დროს სად შეგიძლიათ ნახოთ ეს რიცხვები, როგორ წაიკითხოთ, როგორ განალაგოთ ყველაფერი იმისათვის, რათა ნათლად და საფუძვლიანად დაეუფლოთ მათგან გამომდინარე კანონს, გაიგოთ ის შედეგი, რომლის გამოსახვას ეს რიცხვები ემსახურებიან. ამისთვის არსებობს სტატისტიკური ტაბულების ცნობარი და გამოცემები, რომლებიც წლიდან წლამდე ივსება ახალ-ახალი ცვლილებებით. და თუ მე დავეუფლე ამ ტაბულების ძიებისა და გამოყენების ხელოვნებას, მე სტატისტიკასთან აღარაფერი მესაქმება. როცა დამჭირდება, მასში ყველაფერს ვნახავ, რისი გაგებაც მომინდება. კოლბას დაზეპირება, რაც მილიონ რიცხვს და ფაქტს შეიცავს, ნიშნავს თუთიყუშად იქცე. ავიღოთ თუნდაც ქიმია. რაში მჭირდება ზეპირად ვიცოდე და მახსოვდეს მისი ყველა ფორმულა? დამიჯერეთ, ადამიანი, რომელსაც ასეთი ფორმულებით აქვს თავი გამოტენილი, ამ მეცნიერებაში ვერასოდეს გააკეთებს მნიშვნელოვან აღმოჩენას. ფაქტები საჭიროა მხოლოდ დახასიათებისათვის, კანონთა ილუსტრაციისათვის.

როგორ მოხდა, რომ ერთი რიგი ტექნიკოსები დაწვრიმალდნენ, „წიგნის ჭიებად“ იქცნენ, მეორენი კი მხოლოდ სულიერ მხარეს მისდევენ, მხოლოდ ცოცხლად ქმნიან? უდაოა, აქ ბევრს ნიშნავს სწავ-

ლება, რომელიც წარმართავს ახალგაზრდობის განათლებას. მაგრამ ასევე უდაოა, რომ არ შეიძლება ყველაფერი სწავლებას დავაბრალოთ. მათ ხელში მოხვედრილი ბუნებრივად ნიჭიერი ადამიანები არ შემოიფარგლნენ—და არც შეეძლოთ შემოფარგლულიყვნენ „ფაქტების“ მექანიკური ათვისებით. მოაზროვნე გონება ითვისებდა, გადაამუშავებდა, განაზოგადებდა და ადარებდა ამ ფაქტებს . ისინი ჩაწვდნენ მათ შინაგან კავშირს, მათ ურთიერთდამოკიდებულებას და მეტ-ნაკლებად დაინახეს მათგან გამომდინარე კანონები. და მოსწავლე, რაც მეტად იყო დაჯილდოებული ბუნებრივი ნიჭით, მით უფრო ღრმად ერკვეოდა ამ კანონებში, მით უფრო მეტად უვითარდებოდა განზოგადების, ურთიერთშედარების, დასკვნების გამოტანის, „შედარებისა და დასკვნების გაკეთების“ უნარი, ეს გონების თანდაყოლილი ბუნებრივი ნიჭი შეუძლებელია ახალგაზრდას რომელიმე მასწავლებელმა მისცეს. ბავშვს ან ახალგაზრდას, რომელიც არ არის ასეთი ნიჭით დაჯილდოებული, რასაკვირველია, შეუძლია მექანიკურად აღიქვას გაუაზრებელი ფაქტორები. მაგრამ თავისთავად ცხადია, ასეთ აღქმას არავითარი სარგებლობა არა აქვს და არც შეიძლება ჰქონდეს. მათ შეუძლიათ თუთიყუშებივით დაიზეპირონ და უადგილო ადგილას გაიმეორონ მრავალი ასეთი „მეცნიერული ფაქტი“. მაგრამ ყოველთვის, როცა ამას გააკეთებენ, უსათუოდ რაიმე სისულელეს ჩაიდენენ, უსათუოდ დაარღვევენ მეცნიერებისა და საღი აზროვნების ძირითად წესს. ამიტომ მათ ხელში სავსებით მეცნიერული ფაქტიც ანტიმეცნიერულ, კომპრომეტირებული მეცნიერების სახეს იღებს. მაგალითად, ზოგი უნიჭო ექიმი თუთიყუშივით დაიზეპირებს მეცნიერულად დასაბუთებულ ფაქტს, რომ ანტიპირინი, როგორც სამკურნალო საშუალება, მეტად სასარგებლოა. შემდეგ ყველას განურჩევლად დაავადების, ხარისხისა, გამოუწერს ამ წამალს და რაც უფრო მაღალი იქნება სიცხე, მით უფრო დიდი რაოდენობით. და რასაკვირველია, შედეგად ამნეზიას მიიღებს. თუკი მის ავადმყოფს დათრგუნული ნერვული სისტემა ექნება, ან სახიფათო ღებინება—თუ ავადმყოფს სუსტი კუჭ-ნაწლავი აქვს, უკიდურეს შემთხვევაში კი შეიძლება ყველაფერი სიკვდილით დასრულდება... რასაკვირველია, ეს არც ანტიპირინის, არც მეცნიერების ბრალი არაა. აქ საქმე გვაქვს ადამიანის უგუნურობასთან, რომლისაგანაც არც არავითარ მეცნიერებას, არც არავითარ სწავლებას არასოდეს არ შეუძლია გონიერების მიღება...

ბევრი რომ არაფერი ვთქვა და უსასრულოდ რომ არ ვილაპარაკო, ჩემს დღევანდელ საუბარს ერთი შენიშვნით დავასრულებ: რა უსაზ-

ღვროდ დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია კაცობრიობისათვის თანამედროვე პედაგოგიკას, რომლის როლი და საშუალებანი ყოველდღიურად იზრდება, თუკი ბუნებით უნიჭო ახალგაზრდასთან უსარგებლო და დამღლელი შრომის ნაცვლად, ის მთელ თავის ყურადღებას მხოლოდ ნიჭიერ და გონიერ ადამიანებს დაუთმობდა. არ ვიცი, როდის მივლენ მშობლები და პედაგოგები იმ ჭეშმარიტების შეგნებამდე, რომ ყველა ბავშვს არ ძალუძს უმაღლესი განათლების მიღება. ის ადამიანები, ვისაც ბუნებამ ასეთი განათლებისათვის კარი დაუხშო, უმჯობესია გახდნენ სოფლის კარგი მეურნეები, ხელოსნები, მრეწველები, ვიდრე ცუდი მეცნიერები. იმ დღეს, როდესაც ეს ჭეშმარიტება გაიმარჯვებს და საყოველთაოდ აღიარებული იქნება, კაცობრიობა უდიდეს ნაბიჯს გადადგამს თავისი განვითარების გზაზე. მხოლოდ მაშინ, ძველი მითივით ჩაბარდება არქივს ყველა ხალხში გავრცელებული და მეცნიერებისა და განათლებისათვის საკმაოდ შეურაცხმყოფელი „მეცნიერის" სახე, რომელიც ყველგან და ყოველთვის სახედრის ან ბუს სახითაა წარმოდგენილი. რას ვიზამთ: ხალხის საღ აზროვნებასა და ბუნებრივ ნიჭს არ შეეძლო სატირულად არ აღექვა პედაგოგიკის არაბუნებრივი მოქმედება, უგუნურება სიჭკვიანედ რომ არ გადაექციათ.

48. საუძმო საკითხავი

ჩვენში ახლა ბევრს მსჯელობენ ერთი საოცრად სამწუხარო ამბის გამო, რომელმაც სრულიად უაზროდ, აყვავებამდე მოცელა ახალგაზრდა სიცოცხლე. მსჯელობენ უძველეს და მუდამ ახალგაზრდა საგანზე—ქალის გულზე, სიყვარულზე და საერთოდ, „ქალთა საკითხზე". მომხდარ ამბავზე ლაპარაკიც არ მინდა: ის იმ სახის საქმეა, რომელზეც შორიდან მსჯელობა არათუ ძნელია, არამედ შეუძლებელიცაა. ქვეყნად არის ისეთი საკითხები, რომელთა გადაჭრა ადამიანთა დღევანდელი ცოდნის პირობებში სრულიად შეუძლებელია, მათზე ფიქრიც არ შეიძლება, ვინაიდან სულერთია, რამდენიც არ უნდა იფიქრო, მათში ჩაწვდომა შეუძლებელია. სხვათა შორის, ასეთებია „უსასრულობა", „მატერიის დანაგვიანება", ინტიმური დრამები. შეიძლება ჭკუიდან შეიშალო, თუ ვაჟკაცობა არ გეყოფა იმის სათქმელად, რომ არ გაგაჩნია არავითარი საშუალება და იარაღი ამ საიდუმლოებათა

ასახსნელად. შესაძლოა, მომავალში ადამიანს ექნეს შესაძლებლობა როგორმე ახსნას ეს სიბრძნე. თუნდაც ოცდაათი წლის წინ, ვერც ერთი მეცნიერი ვერ იფიქრებდა, რომ შესაძლებელი გახდებოდა იმ ნივთიერების ზუსტი ქიმიური ანალიზის გაკეთება, რისგანაც მზე შედგება. მაგრამ 1859 წელს კირხჰოფისა და ბენზენის უდიდესმა აღმოჩენამ კაცობრიობას შესაძლებლობა მისცა სპექტრული ანალიზის მეშვეობით, განესაზღვრა პლანეტების შედგენილობა, თითქოს მათი ნაწილები ჩვენს მეცნიერებს თავიანთ ლაბორატორიაში მაგიდაზე ეწყოთ. უფრო მეტიც, ვერავითარი ზუსტი სააფთიაქო და ქიმიური სასწორი ვერ აღნუსხავს რაიმე ნივთიერების ერთი მესამემილიონედი გრამის ნაერთს. სპექტროსკოპიული ანალიზი კი ამასაც განსაზღვრავს. ოდესმე, ალბათ, რაიმე მსგავსი აღმოჩენის წყალობით, ადამიანები გამონახავენ რაღაც საშუალებას ადამიანურ ურთიერთობათა არსის გასარკვევად, რომელიც გამომდინარეობს დღეს ჩვენთვის გაურკვეველ, ადამიანური გრძნობებისათვის დამახასიათებელი თვისებიდან. დღესდღეობით კი, ჩვენ არ გვყავს ამ სფეროს კირხჰოფი, არც მისი შორეული წინარმორბედიც, რომელთა დაკვირვებებმა ის სპექტრულ ანალიზამდე მიიყვანა. ჩვენ ჯერ ტალბეც არ გვღირსებია...

ადამიანურ გრძნობებზე დაკვირვების დროს ჩვენ აქამდე მხოლოდ სისულელეებს ვიმეორებთ და გადმონაშთებით ვკმაყოფილდებით, ამ გზაზე პირველი ემპირული ნაბიჯიც არ გადაგვიდგამს. მე მინდა დაგიმტკიცოთ,—მაგრამ არ ვიცი, როგორ მოვახერხებ ამას, რომ აღნიშნულ სფეროში კაცობრიობამ ჯერ ვერ მიაღწია იმ მდგომარეობას, როგორშიაც იყო სოკრატეს დროინდელი ფიზიკური და ფილოსოფიური ცოდნა. ის ვერ მომწიფდა ამ აზრამდე: „მე ვიცი, რომ არაფერი არ ვიცი". მეტსაც გეტყვით: ამის დასაბუთებაც არ შეგვიძლია. აი, რა მწირია ადამიანების ცოდნა ამ საკითხში. და ამის შემდეგ ილაპარაკეთ კაცობრიობის აზროვნების „გიგანტურ წარმატებებზე", „მეცხრამეტე საუკუნის დასასრულზე" და მსგავს სისულელეებზე. თუმცა წმინდა ფილოსოფიურ სფეროში ჩვენი საუკუნის უდიდესმა მოაზროვნემ დიდი ხანია ბრძნულად შენიშნა, რომ „ადამიანის გონება ყველაზე გვიან მიდის ხოლმე უმარტივეს ჭეშმარიტებამდე": ამის მისაღწევად მან უნდა გააკეთოს მთელი რიგი ურთულესი სისულელეები. კაცობრიობის გრძნობებზე დაკვირვებების შედეგად ხალხში გავრცელდა სულელური აფორიზმები, რომლებიც ოდესღაც მწერლებსა და პოეტებს უთქვამთ და რომლებიც, ღმერთმა უწყის, რატომ

გავრცელდა. მოვიყვან ერთ მაგალითს. მთელი ქვეყანა უეჭველ აქსიომასავით იმეორებს ქ-ნ სევინიეს ცნობილ გამოთქმას: "in plus belle fille du monde ne peut donner que ce qu'ellea"—„ქვეყნის მზეთუნახავს მხოლოდ იმის გაცემა შეუძლია, რასაც ფლობს". ეს ხომ მართლაც ასეა? არავის არასდროს აზრად არ მოსვლია ეჭვი შეეტანა ამ აფორიზმის ჭეშმარიტებაში, სიმართლესა და უცოდველობაში, რაც ორ საუკუნეზე მეტია გაბატონებულია ადამიანთა შეგნებაში. მე კი ახლა გიჩვენებთ და თქვენ თვითონ დარწმუნდებით, რომ ის ვერავითარ კრიტიკას ვერ გაუძლებს და რომ თავიდან ბოლომდე ყალბია. მზეთუნახავი იმით კი არ არის მნიშვნელოვანი და ლამაზი, რომ იმას გვაძლევს, რასაც ფლობს. ის ხალხისთვის იმიტომ არის ძვირფასი, რომ გვანიჭებს იმას, რაც თვით არა აქვს: ის გვაძლევს ილუზიებს, რომელთა არც გაგება, არც გაცემა, არც შენახვა არ ძალუძს. დაუკვირდით საკუთარ თავს, გაიხსენეთ წარსული და თუ თქვენ თქვენი განცდების საღად განსჯის უნარი გაქვთ, მაშინ დაინახავთ, რომ ამ შენიშვნაში იმალება ყოველგვარი ადამიანური გაუგებრობის კვანძი, რომელიც ეხება არა მარტო „ქალების საკითხს", არამედ საერთოდ სიყვარულს, ადამიანთა სიმპათიებსა და ანტიპათიებს ზოგადად.

ვინაიდან ამგვარ საკითხებზე დავიწყეთ საუბარი, ნება მომეცით გავაკეთო რამდენიმე შენიშვნა, რომლებსაც მოაზროვნეებმა ჯერ კიდევ არ მიაქციეს სათანადო ყურადღება, მაგრამ, ჩემი ღრმა რწმენით, ეს საკითხები მათ ყურადღებიან შეფასებას მოითხოვს.

ლამაზმანები, ან უბრალოდ რომ ვთქვათ, ქალები ჩვენთვის უამთავრესად იმიტომ არიან ძვირფასნი, რომ გვაჯილდოვებენ ილუზიებით, რომელთაც თვით ვერ ჩაწვდებიან. უეჭვოა, რომ ჩვენი მხრივ ჩვენც ნებით თუ უნებლიედ, მათში აღვძრავთ ოცნებათა, იმედებისა და ილუზიების მთელ სამყაროს, რომელთა შესახებ წარმოდგენაც არა გვაქვს. ამგვარი დამოკიდებულება იმიტომაც არ ემორჩილება განსჯას, რომ ორივე მხრივ წარმოიქმნება უჩვეულო სულიერი განწყობა. თუ მკაცრი ანალიზის წესების მიხედვით ამ ნაერთისაგან, რომელსაც სიყვარული ეწოდება, გამოვყოფთ ამხანაგობისა და მეგობრობის ელემენტებს, რომლებიც თავის მხრივ ხან შედიან და ხან არა ამ შემადგენლობაში, გამოდის, რომ ვიწრო გაგებით სიყვარული არის ექსტაზის ან თრობის მდგომარეობა. რაც უფრო ძლიერია ამა თუ იმ ლამაზმანით გამოწვეული ექსტაზი, მით უფრო ძვირფასია ის ჩვენთვის. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, რაც უფრო მეტად გვათრობს, მით უფ-

რო მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ჩვენს განცდებში. ექსტაზისა და თრობის დროს ის მიუწვდომელი და აუხსნელია არა იმიტომ, რომ რომელიღაც სფინქსს წარმოადგენს, არამედ იმის გამო, რომ ჩვენ თვითონ ვიმყოფებით ისეთ მდგომარეობაში, რომელიც თავისთავად გამორიცხავს ცხოვრების გაგებასა და ახსნას. მეორე მხრივ, ბუნების კანონების, ენერგიის განვითარებისა და შენარჩუნების კანონების ძალით, ექსტაზს ყოველთვის მოყვება ხოლმე დათრგუნვისა და სიცარიელის პერიოდი. და რაც უფრო ძლიერი იყო თრობა, მით უფრო ძნელია ამ მდგომარეობიდან გამოსვლა. ყურადღება მიაქციეთ იმ გარემოებას, რომ ქალის სრულიად თავისუფალ, გააზრებულ, ასე ვთქვათ, დადგენილ როლს არცერთ შემთხვევაში საქმეში არავითარი მნიშვნელობა არა აქვს.

ქალი იმიტომ არ გვართობს და არც გვაფხიზლებს, რომ მას ეს სურს. უნდა გავიხსენოთ, რომ იგი ისეთივე არსებაა, როგორიც კაცი, აქვს ისეთივე ნერვები, ისეთივე ორგანიზმი და თითქმის იმგვარივე შეგრძნებები, როგორიც ჩვენ. ამიტომ ყოველგვარი რისკის გარეშე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მასშიც ანალოგიური მოვლენები მიმდინარეობს...

ახლა იბადება კითხვა, განა სისულელე არ არის ყველა არანორმალური შეგრძნებები იმავე საზომით გავაანალიზოთ, რითაც იზომება ნორმალური? ყველა წინანდელი ადამიანის გულის მკურნალების ძირითადი შეცდომა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ფხიზელი ადამიანი ფხიზელ მდგომარეობაში ყოფნისას ცდილობს მთვრალი კაცის ლოგიკას ჩაწვდეს. საღად მოაზროვნე ექიმი კი ცდილობს შეიგნოს შეშლილის ზნეობრივი სამყარო. ეს წმინდა წყლის აბსურდია. მსოფლიოში ვერცერთმა ფსიქიატრმა, მათ შორის კი გენიალურებიც იყვნენ, ვერ შეძლო შეშლილი ადამიანის ფიქრთა მსვლელობის ანბანი მაინც გაეგოთ. „გარედან დაკვირვების“ მიუხედავად, დედამიწის ყველა საგიჟეთში საუკუნეების განმავლობაში ჩატარებულმა ბრძნულმა „ცდებმა“, ვერ მისცა მეცნიერებას იმ ფასდაუდებელი მასალის მეათასედი ნაწილიც, რომელიც თვით სულიერი ავადმყოფების დღიურებშია აღბეჭდილი. ეს თვით ფსიქიატრებმაც აღიარეს აწგარდაცვლილი ვსევოლოდ გარშინის „წითელი ყვავილის“ შესახებ გამოხმაურებაში, რომელიც ექიმმა სიკორსკიმ გააკეთა პროფ. მორეევსკის „კლინიკური და სასამართლო ფსიქიატრიისა და ნევროპათოლოგიის ცნობარში“. ამავე ხასიათისაა პროფესორ ლორდის თვითდაკვირვება,

რამაც მას „მსოფლიო აღიარება“ მოუტანა. მეცნიერებას ბედმა გაუღიმა და სულით ავადმყოფთა შესახებ შემთხვევით მოაპოვებინა მასალა. რაც შეეხება უფრო მნიშვნელოვან, ადამიანის გულის განცდებსა და დაავადებებს, ჯერჯერობით მსგავსს ვერაფერს ჩავწვდით. მილიონობით რომანი და ფილოსოფიური ნაწარმოები შექმნილა ამ საკითხზე, მაგრამ მათ შორის ორი-სამი თუ გამოირჩევა მეცნიერული ღირებულებით. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, მხოლოდ აბატ პრევოს, მის უკვდავ ქმნილებას "Manon Lescault"-ს ეკუთვნის გრძნობათა ცვლილებების გამორჩეულად გულწრფელი და მართებული ანალიზი.

რა ხდება? მილიონობით კაცი და ასი ათასობით ქალი წერდნენ სიყვარულზე, გრძნობებზე, და როგორ მოხდა, რომ გარდა ტყუილებისა და სისულელეებისა, ამ საგანზე არაფერი დაწერილა? ეს მხოლოდ იმიტომ ხდება, რომ ადამიანებმა აქამდე ვერ შეიგნეს, რომ მათი ორგანიზმის თავისუფალი, გონიერი ნაწილი, ის ნაწილი, რომელიც შეგნებით, ჭკუით, ნებისყოფით ხელმძღვანელობს, ძალიან ცოტა ხანს ცხოვრობს. რომ კაცობრიობა შეგნებულ ცხოვრებას ეწევა სულ რაღაც ათი ათასი წელი. მაშინ, როცა მისი ცხოვრების შეუგნებელი, ე. წ. ცხოველური ნაწილი მილიონობით წლებსა და ათასწლეულებს მოითვლის. ინსტიქტების მემკვიდრეობა და შეგნების, აზროვნების მემკვიდრეობა, ორი სხვადასხვა რამეა. ინსტიქტი არა მარტო უფრო ძველი წარმოშობისაა, არამედ ბევრად ადვილი გადასაღებია, ვიდრე შეგნება. ეს ერთი. მეორე მხრივ, ჩვენ შეგნებულად ვფიქრობთ და ტვინი მუშაობს დღეში მხოლოდ რამდენიმე საათს. ისიც ახალგაზრდობის ასაკიდან ჭარმაგობის დასასრულამდე. ჩვენი გული კი სისხლის მიმოქცევისათვის განუწყვეტლივ, შეუნელებლად ძგერს ჩასახვიდან უკანასკნელ ამოსუნთქვამდე. როგორც ხედავთ, სხვადასხვა პირობებია და სხვადასხვა ძალები აქ და იქ. ეს არ გვესმის და ჩვენი გულის ძგერას ვუყურებთ პატარა ბავშვებივით, ყურადღებასაც ვაქცევთ საკუთარი ნებით და სრულიად არ გვესმის, რომ ჩვენს ნება-სურვილს არ შეუძლია გულის ძგერის არც აჩქარება და არც შენელება. აქედან სრულიად არ გამომდინარეობს, რომ მე ვნებების თავისუფლებას ვქადაგებ, ღმერთმა დამიფაროს ამისგან: მაშინ რა განსხვავება იქნებოდა ადამიანსა და ცხოველს, კაცობრიობასა და ჯოგს შორის? მე მხოლოდ ვამბობ, ჩვენი ცხოვრების ამ მხარეების გასაგებად და აქედან გამომდინარე მისი ჭკვიანური ნორმირებისათვის ამ სფეროს საკითხებსა

და ამოცანებს კაცობრიობა ჯერ კიდევ ვერ განიხილავს სათანადოდ. იგი მცდარ გზას ადგას და ჭეშმარიტებას ისეთი არასწორი მეთოდებით ეძიებს, რომელთაც საუკუნეების მანძილზე შეცდომებისა და დაბნეულობის გარდა, ვერაფერი მისცეს და არც შეეძლოთ მიეცათ. ჩვენ საქმის ამ კონკრეტული მხარის შესახებ ვიცით ის, რომ არაფერი არ ვიცით. მე სხვა ვერაფერი დაგიმტკიცეთ და ვაღიარებ, რომ თუ ადამიანებს სურთ ამ საკითხის ირგვლივ რაიმე გაიგონ და შეიტყონ, მაშინ ისინი ახალ გზას უნდა დაადგნენ, ახალი მეთოდები უნდა გამოიყენონ. მეთოდები, რომლებმაც მეცნიერების სხვა დარგებს სიმდიდრე და ფუფუნება მოუტანა.

49. „დანილიადას“ ახალი სტროფები[1]

მონა თავის თავს იცავს,
როცა არასწორად მკის.
ანდაზა

ბატონი დანილოვი არ ჩუმდება. დღეს მივიღეთ „გრაჟდანინის“ 1505-ე ნომერი, სადაც დაბეჭდილია ახალი „წერილი რედაქციას“, რომელსაც ხელს აწერს „ნაფიცი ვექილი“ ე.მ. დანილოვი. წერილი რატომღაც უმთავრესად ჩემს წინააღმდეგაა მომართული. ტყუილად აწერს ხელს ბატონი დანილოვი და ბეჭდავს ამგვარ წერილებს და საერთოდ ყოველგვარს. ტყუილად არ უსმენს იმ პირთა რჩევას, რომელთაც მისთვის ცუდი არ უნდათ, დაანებოს თავი ოცნებას, რომ მას შეუძლია საზოგადოებრივი აზრის მოტყუება. მას კიდევ ერთხელ მოუნევს დარწმუნდეს ამ რჩევის საფუძვლიანობაში.

ბატონი დანილოვის წერილი შედგება ორი ნაწილისაგან. ერთში, დარწმუნებულია რა, რომ ცემას არ დავუწყებ, იგი ჩემს წინააღმდეგ ახვავებს ინსინუაციებს და ცილისწამებებს, რომელთა მიზანია შთააგონოს მკითხველს, რომ მე პირადი მოსაზრებების გამო სახალხოდ დავწამე ცილი. თავის წერილის მეორე ნაწილში კი ბატონი დანილოვი ცდილობს მიმღები კომისიის ოქმებიდან და მოსამართლის მიერ

[1] სათაურით „დანილიადა“ 1880 წელს გაზეთ „ობზორში“ „შექებული“ იყო ბატონ დანილოვის პირველი საგმირო საქმეები, რაც მან ჩაიდინა ამიერკავკასიის რკინიგზის ბაქოს მონაკვეთის მიწების გასხვისების დროს.

ბატონ კეზელისათვის გამოტანილი განაჩენიდან მოტანილი ამონაწერებით დაამტკიცოს, რომ მტრედივით სუფთაა. აჯერებს რა ამ ორ არგუმენტაციას, ბატონი დანილოვი კითხულობს, რაში დებენ უდანაშაულო ადამიანს ბრალს ბატონი მამხილებლები?

მე ხეირიანად არ მესმის, რა შუაში ვარ და რისთვის დაჭირდა ბატონ დანილოვს ჩემს პირად ცხოვრებას შეხებოდა. რა მოსაზრებითაც არ უნდა დამედო სახალხოდ ბრალი ბატონი დანილოვისათვის, არა მარტო ნაფიცი ვექილი, რომელსაც იურიდიული განათლება აქვს მიღებული, არამედ ყოველი საღად მოაზროვნე კაციც კი გაიგებდა, რომ საქმე ჩემში და ჩემს მოსაზრებაში კი არ არის, თუნდაც პირადში, არამედ იმ ფაქტების განხილვასა და უარყოფაში, რომელთაც თვით მხილება ეფუძნება. მაგრამ, ეტყობა, ბატონ დანილოვს თავის საკუთარი ლოგიკა აქვს, ამიტომაც არ ესმის ჩემი, საყოველთაოდ აღიარებული ლოგიკა მან ერთხელ უკვე გამოიყენა თავისი ორიგინალური ახსნით, როცა სცადა „ნოვოე ობოზრენიეს“ კორესპონდენტის მიხაილოვიდან გამოგზავნილი წერილის უარყოფა, სადაც ლაპარაკი იყო ხიდერბეგოვის ნისქვილისათვის წყლის წართმევაზე და სადაც ბატონ კეზელს სულში უძვრებოდნენ. ახლა ბატონი დანილოვი ცდილობს უარყოს ბატონების ბაქრაძის, მღვდლიევის და წერეთლის მხილება და მე მიძვრება სულში. სულ ეს არის და ეს. მას ჰგონია, ამგვარი რამ იაფი დაუჯდება—დიახ, საკუთარი თავის გასართობად თავხედობს... როგორც ხედავთ, გამოუსწორებელია. დაე, ამ მაგალითმა ასწავლოს ჭკუა თავად მიშერსკის და მის „გრაჟდანინს“: იგი თვალსაჩინოდ ცხადყოფს, რომ ფიზიკურ დასჯას არავითარი გამომსწორებელი მნიშვნელობა არა აქვს.

ჩემი მდგომარეობა კი მთელ ამ საქმეში მართლაც ტრაგიკულია. ჩემთვის საკმარისი იყო ერთი გვერდის დაწერა, რომ მთელი ამ საქმისათვის ნათელი მომეფინა, მაგრამ ამის გაკეთება ისე, რომ დელიკატურობა არ დავკარგო, არ შემიძლია, ეს ხომ ბატონ დანილოვის ხერხების გამოყენება იქნებოდა. საქმის არსი ის არის, რომ ეს ვაუბატონი არსებითად არ ეხება არცერთ მის წინააღმდეგ წამოწყებულ საქმეს და ცდილობს, ყველა დაარწმუნოს, თითქოს ბატონები კეზელი, წერეთელი და მღვდლიევი და მათ შორის მეც, მხოლოდ იმიტომ ვამხელთ მას, რომ ყველანი გამოყრილები ვართ ამიერკავკასიის რკინიგზის სამსახურიდან. არ ვიცი, რას იტყვიან ბატონები კეზელი, წე-

რეთელი და მღვდლიევი, მაგრამ ჩემთვის მართლაც უხერხულია უკუ-ვაგდო ბატონ დანილოვის ეს მტკიცება, თუმცა სულ ადვილად შემიძლია ამ სიცრუის დოკუმენტურად უარყოფა. პირადად ჩემზე არაფერს ვიტყვი, ასევე არაფერს მოგახსენებთ ჩვენს თანამშრომელზე, ბატონ კეზელზე, მაგრამ ბატონებზე წერეთელზე და მღვდლიევზე, რომელთაც ცილს წამებს ბატონი დანილოვი, შემიძლია დაბეჯითებით ვთქვა, რომ არც ერთს და არც მეორეს არ მოელოდა რკინიგზის სამსახურიდან „გაგდება", ბატონ დანილოვს რომ ღირსეულად მოქცეოდნენ. ბატონი მღვდლიევი უჩიოდა თავის უფროსებს და ადმინისტრაციას ბატონი კეზელის საქმის წარმოშობამდე დიდი ხნით ადრე, ხოლო სამსახურიდან დათხოვნამდე რამდენიმე წლით ადრე ბატონმა წერეთელმა ოფიციალურ ქაღალდზე აღწერა ბატონ დანილოვის ოინები, როცა იძიებდნენ გურიის მიწების გასხვისების საქმეს. ამიტომ იმის მტკიცება, თითქოს ახლა ეს გაბოროტებული ადამიანები ცილს წამებენ ბატონ დანილოვს იმის გამო, რომ მან ისინი სამსახურიდან გაყარა, უკიდურეს შემთხვევაში, უბადრუკობაა, ვიმეორებ, არ მსურს ფართოდ მოგითხროთ იმის შესახებ, თუ რამ გამოიწვია ჩემი რკინიგზის სამსახურიდან „დათხოვნა". არ მსურს ამ ჭუჭყში ქექვა. განა მე გაბოროტებული ვიყავი ბატონ დანილოვზე სამსახურიდან გამოგდებისათვის, როცა ამ რვა წლის წინათ „ობზორში" დავბეჭდე „დანილიადა" და ვმსახურობდი რა რკინიგზაზე, მთელი ჩემი ენერგიით გავილაშქრე გასხვისების არასწორი საშუალებების წინააღმდეგ?

ბატონი დანილოვი ამბობს, რომ მას ჩემი ლოგიკა არ ესმის. ამას ხალისით ვიჯერებ, რადგან ლოგიკა ყველასათვის ხელმისაწვდომი საგანი როდია. მაგრამ იმ ფაქტების შეჯერება, რომლებიც, მისი სიტყვით, ურთიერთსაწინააღმდეგოა, არა მარტო ნაფიც ვექილს, არამედ პატარა ბავშვსაც დაარწმუნებს, რომ ვამხილეთ რა გასხვისების არასწორი სისტემა 1880 წელს, უფრო მოგვიანებით და წელსაც, პირადი ინტერესებით კი არ ვხელმძღვანელობდით, არამედ საზოგადოებრივით. ბატონი დანილოვი მხოლოდ საკუთარი თავისათვის და საკუთარ თვალშია მნიშვნელოვანი პიროვნება, ჩემთვის კი, მას, რაც არ უნდა აკეთოს და რაც არ უნდა წეროს, საკმაოდ მიკროსკოპული, წარმავალი მნიშვნელობა ჰქონდა ყოველთვის. ჩემთვის, მართლაც, სულერთია, იგი თუ სხვა ვინმე იქნება ამიერკავკასიის რკინიგზის გასხვისების მთავარი აგენტი. ჩემი აზრით, გასხვისების სწორი სისტემის

შემთხვევაში ბატონი დანილოვი ამ თანამდებობაზე არც ისე ურიგო მოხელე იქნებოდა, მაგრამ ცუდი სისტემის დროს თვით არისტიდიც კი ილრძობს ჭკუას. გამოვდიოდი რა ამ აზრიდან თუ რწმენიდან, მე ყოველთვის გასხვისების ამგვარი წესებისა და სისტემის წინააღმდეგ ვილაშქრებდი, მაშინაც კი, როცა ვშველოდი ბატონ დანილოვს, რომ რკინიგზაზე სამსახურიდან არ გაენთავისუფლებინათ იგი. განა ეს არ ამტკიცებს, რომ მე პიროვნებას კი არ ვემსახურებოდი, არამედ საქმეს და პრინციპებს? ახლაც კი, განა გასხვისების საქმის მთელი ისტორიის მანძილზე, ტყავიდან არ ვძვრებოდი იმისათვის, რომ ხელი შემეშალა საზოგადოებრივი აზრის საერთო მიმდინარეობისათვის, რომელსაც სურდა ბატონი დანილოვი განტევების ვაცად გამოეყენებინა და ეფიქრა, რომ მთელი ბოროტება სწორედ მისგან მომდინარეობს. განა მე არ ვამტკიცებ, რომ ბოროტება სისტემაშია და არა ბატონი დანილოვის პიროვნებაში? მაგრამ მას, საბრალოს, ეს არ ესმის, რადგან მისთვის საქმე ვიწრო პირადულ ინტერესს, საკუთარი ტყავის საკითხს ეხება, შეინარჩუნებს თავის თანამდებობას თუ ვერა. მაგრამ ჩემთვის საკითხი სრულებით არ დგას ასე. რომ დარჩეს კიდეც თანამდებობაზე, მე არც შემცივდება და არც დამცხავს. მთავარია არქივს ჩაბარდეს გასხვისების ის ხერხები, რომლებიც მისგან არ იწყება და ალბათ არც მისით დამთავრდება. ესმის კი ახლა ჩემი ლოგიკა ბატონ დანილოვს?

ცხადია, მარტო იგი არაა დამნაშავე იმ სისაძაგლეებში, რაც ჩვენთან გასხვისების საქმეში ხდება: ეს არის ცუდი სისტემის შედეგი. მაგრამ არც იმაში გვეპარებოდა ეჭვი, რომ თავის მხრიდან „ნაფიცმა ვექილმა“, ბატონმა დანილოვმა არათუ არაფერი არ გააკეთა ცუდი სისტემის მავნე გავლენის შესასუსტებლად, არამედ ყველა საშუალებით ცდილობდა გაეჭიანურებინა ეს სავალალო მდგომარეობა. როცა მთელი სისტემის წინააღმდეგ გავილაშქრე, განა შემეძლო დამეცვა მისი მთავარი აღმსრულებელი? ესმის კი ახლა ბატონ დანილოვს, რომ ლოგიკას არ ეწინააღმდეგება ერთდროულად სისტემისა და მისი აღმასრულებლის წინააღმდეგ გალაშქრება? ესმის ახლა მას, რომ მის მიერ სააშკარაოზე გამოტანილი ფაქტი არა მარტო მასზე, ბატონ დანილოვზე (ყველაზე ნაკლებად სწორედ მას ვესხმოდი თავს), თავდასხმა იყო, არამედ რკინიგზის მმართველობაზე და საერთოდ გასხვისების სრულიად რუსეთის სისტემაზე, რაც ყველაზე უკეთ ამტკიცებს, რომ მე

მამოძრავებდა არა პირადი გაბოროტება ბატონი დანილოვის მიმართ (დიდი პატივია მისთვის), არამედ იმის სურვილი, რომ ეს მნიშვნელოვანი საქმე სწორად იყოს დაყენებული.

იმის სურვილს, რომ ამხილოს ჩემი ლოგიკის არათანამიმდევრულობა, ბატონი დანილოვი მიჰყავს წარმოუდგენელ ხრიკებამდე, მაგალითად, იგი მეკითხება, ვისი ინტერესისათვის ვწერ, ხაზინისა და მოსახლეობისა? ეს კითხვა, რომ ჩემთვის ვიღაც მწერალს დაესვა, მხოლოდ მხრებს ავიჩეჩავდი, მაგრამ ამ ნაფიც ვექილს უნდა რცხვენოდეს ასეთი კითხვის დასმისა. ნუთუ არ იცის, რომ ხაზინა და ხალხი ერთი და იგივეა? ნუთუ მას ხაზინა გუბერნიის ხაზინის სკივრი ჰგონია? ამიტომ გაიგოს, რომ ჩვენს თვალში, როგორც ყველა საღად მოაზროვნე კაცის თვალში, ხაზინის, სახელმწიფოს ინტერესები იგივეა, რაც ხალხის ინტერესები, ისევე როგორც, მოსახლეობის ინტერესები იგივეა, რაც ხაზინისა და სახელმწიფოსი. ასეთი კითხვებით შეგიძლია ამხილო არა სხვისი ულოგიკობა, არამედ საკუთარი უმეცრება.

ბატონი დანილოვის წერილის ის ნაწილი რომ მოვათავოთ, სადაც საქმე ჩემს პიროვნებას და ლოგიკურ თანამიმდევრობას ეხება, ერთ რამეს კიდევ ვიტყვით. 1881 წელს მართლაც ვთხოვე ბატონ დანილოვს მიეცა სამუშაო თავად გურამოვისათვის. ვინანიებ ცოდვას ამ უკანასკნელის წინაშე. მაგრამ იმ დროს მე არც პრესასთან მქონდა საქმე, არც რკინიგზაზე ვმსახურობდი და ამიტომ ჩემი რეკომენდაცია სრულიად არ ნიშნავდა, რომ ამ ან მე ან თავად გურამოვს ჩვენს შეხედულებებზე აგვეღო ხელი. რაც შეეხება ბატონ გ. წერეთელს, მე არასოდეს მითხოვნია ბატონ დანილოვისათვის მიეცა მისთვის ადგილი. გ. წერეთელი სამსახურში მიიღო თვით გზის მმართველმა, ბატონმა ბუნგემ და არა ბატონმა დანილოვმა. როცა ბატონმა წერეთელმა ბატონ დანილოვისგან დამოუკიდებლად შეძლო უფასოდ გაესხვისებინა მთელი ხონის მონაკვეთი და წინასწარ მოეწერინებინა ხელი მიწისმფლობელთათვის ჭიათურის მონაკვეთის უფასო გასხვისებაზე, მაშინ თვით ბატონმა დანილოვმა დაიწყო იმის მოთხოვნა, რომ ბატონი წერეთელი გადაეყვანათ მასთან გასხვისების აგენტად. მე კარგად მესმოდა, რომ ბატონ დანილოვს აშინებდა ბატონ წერეთლის წარმატება. მას სურდა გადაეყვანა თავისთან იგი, გამოეყენებინა, შემდეგ სახელი გაეტეხა და მოეშორებინა რკინიგზისათვის და მასთან ერთად უფასო გასხვისების სისტემაც აღმოეფხვრა. ეს მე ვუწინასწარმეტყველე კიდეც ბატონ წერეთელს, ვურჩიე შორს დაეჭირა თავი დანილოვისაგან.

ჩემი რჩევა დარჩა ღაღადისად უდაბნოსა შინა. იგი, მისთვის დამახასიათებელი გულუბრყვილობით, ხაფანგში აღმოჩნდა და დაკარგა რა ტყიბულის შტოს გასხვისების დროს თავის რეპუტაციის დიდი ნაწილი, ამ სამუშაოს დასრულების შემდეგ, ისე დაითხოვეს რკინიგზიდან, როგორც გამოწურული ლიმონი. მაგრამ ვიმეორებ, მე არავითარი როლი არ მითამაშია არც მის დანიშვნაში და არც მოხსნაში. რომ მომკლათ, არ მესმის, რისთვის დასჭირდა ბატონ დანილოვს ამაზე ლაპარაკი. ყოველ შემთხვევაში, მკითხველთა ყურადღებას მივაქცევ იმ გარემოებას, რომ ჩვენს დროში ნაფიცი ვექილი ვერ მივიდა იმ შეგნებამდე, რამდენად დაუშვებელია, რა სისაძაგლეა ხალხში ასეთი ჭორები გაავრცელო და აიძულო ადამიანები ისეთ ამბებზე წერონ და ბეჭდონ, რაც საზოგადოებრივ კამათს სრულიად არ ეხება. მართლაც, დავუშვათ, რომ მე გავუწიე ბატონ წერეთელს რეკომენდაცია ბატონ დანილოვთან, მერედა ეს გაამართლებდა ბატონი დანილოვის იმ მოქმედებას, რაშიც ბრალს დებენ? ეს იმას ამტკიცებს, განვითარების რა დაბალ საფეხურზე შეიძლება იდგნენ ნაფიცი მსაჯულები ჩვენში და მეტს არაფერს.

და, აი, ეს ნაფიცი ვექილი ბედავს შეთხზას წმინდა წყლის პირადი ინსინუაციები და მხოლოდ მათი მეშვეობით გაიმართლოს თავი, თანაც იმის გამბედაობაც ყოფნის, რომ პრესის გზით დაარწმუნოს მკითხველები, თითქოს ჩვენი გაზეთი თავს ესხმის მას „ინსინუაციებით". ეტყობა, მან არ იცის ამ სიტყვის მნიშვნელობა. ამიტომ ავუხსნი. უცხო სიტყვათა ყოველ ლექსიკონში იგი იპოვის იმ სიტყვებს, რუსული ენის შემადგენლობაში რომ შემოვიდა. მათში კი სწერია, რომ ინსინუაცია ნიშნავს შთააგონო მკითხველს ან მსმენელს ვინმეზე ცუდი აზრი გაურკვეველი მითითებით მისთვის სამარცხვინო ან ულამაზო ფაქტზე. დაე, ახლა მიგვითითოს ბატონმა დანილოვმა, რა ეჭვი გამოთქვა „ნოვოე ობოზრენიემ" მასზე. მან, როგორც მკითხველს ახსოვს, ბატონი დანილოვის წინააღმდეგ წამოაყენა ცხადი, გარკვეული ფაქტები. გაზეთი მას არც სულში ჩაძრომია და არც მინიშნებებით უცელქია. ყოველთვის ხელმძღვანელობდა სახალხო ბრალდების გზით და ეს იმიტომ, რომ სხვაგვარად მოქცევა არ შეეძლო, არ შეეძლო პირში ბურთი ჩაეჩარა ბატონების ბაქრაძის, მღვდლიევის, წერეთლისა და ხიდერბეგოვისათვის. თავის მხრივ კი, „ნოვოე ობოზრენიემ" და ამ წერილის ავტორმა გამომჟღავნებულ ფაქტებზე შეიმუშავეს სწორი თვალსაზრისი და მგონი ამით ბატონი დანილოვის მდგომარეობა არ დაუმძიმებიათ.

დავამთავრეთ რა საქმის ამ მხარეზე საუბარი, ახლა გვინდა შევეხოთ იმ მხარეს, სადაც ლაპარაკია ბატონ დანილოვის მტრედივით სიწმინდეზე, რასაც ადასტურებს ამონაწერები მიმღები კომისიის ოქმებიდან და მომრიგებელი მოსამართლის მოადგილის განაჩენიდან ბატონი კეზელის საქმეზე. მე მესმის, რომ ბატონ დანილოვს ამ ხერხით სურს ხალხს გონება დაუბნელოს. მაგრამ როგორ ბედავს იგი ოცნებას, რომ ამ ხერხით იგი მე და „ნოვოე ობოზრენიეს" ცილისმწამებლად გამოგვაცხადებს. აი, ამის გაგება კი არ ძალმიძს. ჩვენ ხომ შესანიშნავად ვიცით ვინ და როგორ წერს ამ ოქმებს და რა ძალა აქვთ მათ. გასაგებია, რომ ბატონმა დანილოვმა ეს არ იცის. მაგრამ გამოიჩინოს ცნობისმოყვარეობა და წაიკითხოს მისი უდიდებულესობის მიერ შექმნილი იმ კომისიის მოხსენება, რომელმაც მისი უდიდებულესობის ბრძანებით ორენბურგის რკინიგზის საგანგებო რევიზია ჩაატარა. მაშინ იგი გაიგებს მიმღები კომისიების ძალასა და ფასს. შეიძლება მან არ იცის, მე კი დანამდვილებით ვიცი, როგორია ასეთი მოწმობის მნიშვნელობა და სისწორე, შემიძლია მიგითითოთ ფაქტებზე და მოვიტანო მოწმობა, სადაც გზის სამმართველოც და მისი ინსპექციაც ამტკიცებენ, რომ მშენებელმა ააშენა ესა და ეს ხიდი ამა და ამ ვერსზე ტექნიკის ყველა პირობის შესაბამისად და ხაზინიდან უნდა მიეცეს ამდენი და ამდენი ათასი მანეთი. სინამდვილეში კი არათუ არავითარი ხიდი არ აუშენებიათ, არამედ მისი აშენება საჭირო არც იყო. მისი უდიდებულესობის მიერ ორენბურგის რკინიგზის შესამოწმებლად შექმნილმა კომისიამ ბევრი ასეთი ცრუმოწმობები და ცრუოქმები აღმოაჩინა. „მაგრამ ეს ხდებოდა ორენბურგისა და არა ამიერკავკასიის რკინიგზაზე"—გვიპასუხებს ბატონი დანილოვი. მაგრამ ვინაა იმის თავმდები, რომ ხიდი, რომლის შესახებაც მოგიყევით, სწორედ ორენბურგის რკინიგზაზე აშენდა? კიდევ უფრო დაუჯერებელია ბატონი დანილოვის მეორე მტკიცება. მან თავისი და თავის რწმუნებულის პირით განაცხადა სახალხოდაც და პრესაშიც, რომ ნაწყვეტები ბატონი კეზელის წერილიდან ორ კაცს წააკითხა და აპირებდა მესამესთვისაც მიეცა. ახლა კი, ერთ თვეზე ცოტა მეტი ხნის შემდეგ, იგი ირწმუნება—მოსამართლის მოადგილის მიერ გამოტანილი განაჩენის საფუძველზე, ეს ნაწყვეტები არასოდეს არ მიმიცია არავისთვის წასაკითხადო. იგი ოცნებობს ამაში დაარწმუნოს ხალხი მხოლოდ იმით, რომ ეს წერია მოსამართლის მოადგილის მიერ გამოტანილ განაჩენში. ცხადია, ბატონი დანილოვისათვის ცხოვრება, მისი მოვლენები, მათ მიერ გამოწვე-

ული შთაბეჭდილებები არ არსებობს: ყველაფერი დაყვანილია ოქმების, განაჩენების, წერილების ნაკუწამდე, რის იქითაც იგი ვერაფერს ხედავს და ვარაუდობს, რომ საზოგადოებრივ აზრსაც არაფრის დანახვა არ შეუძლია. როგორც ხედავთ, ეს სირაქლემას მსოფლმხედველობაა.

ამის შემდეგ კი ვიცით, რა განვიხილოთ და შესანიშნავია ბატონმა დანილოვმა გაზეთის სამ სვეტში რომ ჩამოანიკწიკა ჭორები ფორმალისტური თავის მართლებანი და ამავე დროს მხედველობიდან გამორჩა საქმის მთავარი მხარეები—საკითხავი ის კი არ არის, რატომ არ გადაუხადა ბატონმა დანილოვმა 34 კვ. საჟენ მიწაში ბატონ ბაქრაძეს 125.000 მანეთი, ამის გამო მას ბრალს არავინ დებს. მას რომ დაეყოლიებინა ბატონი ბაქრაძე დაეთმო ეს მიწა მისთვის უფასოდ, საყვედურებს მას არც მაშინ ეტყოდნენ. და ეს მიუხედავად იმისა, როგორც ბატონი დანილოვისათვის ცნობილია, ი. მირზოევის მემკვიდრეებმა მიწის თითქმის იმხელავე ნაჭერი, რომელიც ზუსტად ასევე იყო მდიდარი სამკურნალო გოგირდის წყლებით, უკიდურესი გაჭირვების გამო, გაყიდეს არა 125.000 მანეთად, არამედ 300.000 მანეთზე მეტად. საკითხავი მხოლოდ ის არის, რა გზით, პატიოსანი თუ უპატიოსნო გზით ჩაატარა ბატონმა დანილოვმა გასხვისება. თუ იგი თავისი მოვალეობის შესრულების დროს მართლაც მიმართავდა არამართებულ დანოლას, მოტყუებას, მოსყიდვას, სიცრუეს, როგორც ამას ბატონები ბაქრაძე და მღვდლიევი ამტკიცებენ, რამდენი ფულიც არ უნდა გადაეხადა მას ბატონი ბაქრაძისათვის, ამ ხერხების ნებადაურთველობა ამით სრულიად არ იცვლება. მარტო ბატონ ბაქრაძის წინააღმდეგ იყენებდა ბატონი დანილოვი ამ ხერხებს, თუ ასობით სხვა კაცის მიმართაც, მისი უსაქციელობა არც ამით იცვლება. მეორეს მხრივ, საკითხავი ის კი არ არის, ბატონი წერეთელი ბოროტმოქმედია თუ უბოროტო კაცი, არამედ ის: მართალია, ბატონი დანილოვი, რომელიც რკინიგზის მმართველობის თუ სამმართველოს რწმუნებული იყო, იმავე დროს ღებულობდა თუ არა მონაწილეობას ისეთ ოპერაციებში იმავე რკინიგზის მოიჯარადრეებისათვის მომგებიანი ან წამგებიანი რომ იყო, თუ თვითონ იყო ამ უკანასკნელის „თვითმაკონტროლებელი მოიჯარადე? საკითხავი ის კი არ არის, ძვირი დაჯდა თუ იაფი სინამდვილეში ტყიბულის რკინიგზის ტოტის გასხვისება—მოიჯარადე არ უნდა ჩიოდეს დანაკლისზე—თუმცა ჩვენ შეგვიძლია შევედავოთ ბატონ დანილოვს მის მიერ მოტანილი ციფრების სისწორეში, თუ ისინი ისევე სწორია, როგორც მისი „მოწმობა", რომელსაც ხელს აწერს თბილი-

სის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარე და შეგვიძლია შევედავოთ იმაშიც, თითქოს მის წინააღმდეგ არ ყოფილა აღძრული დისციპლინარული საქმე? საკითხავი ისაა, იყო თუ არა გასხვისების მოიჯარადრე ბატონი დანილოვი და მისი წოდება და თანამდებობა აძლევდა კი მას უფლებას მოგვვლინებოდა ასეთ როლში? საზოგადოებრივი თვალსაზრისით მნიშვნელოვანი მხოლოდ ესაა. ბატონ დანილოვს არავინ არ უკრძალავს ცალკე წერილში გააკრიტიკოს „ნოვოე ობოზრენიეცა" და ჩემი ლიტერატურული მოღვაწეობაც, არც იმას, დაამტკიცოს ჩვენი ჭკუა-მოკლეობა, მიკერძოებულობა, ერთი სიტყვით, დაამტკიცოს ყველაფერი, რაც უნდა. ესაა მისი უფლება, როგორც კრიტიკოსისა, რაც ყველას შეუძლია. დაე, ასეთ კრიტიკულ წერილში მან დაარღვიოს, იმდენად რამდენადაც უნდა, ზრდილობის კანონები, თუ უნდა ამხილოს ჩვენი გემოვნება, ჩვეულებები, ხასიათი, შეხედულებები, მსჯელობა: გავცემთ თუ არა პასუხს, ეს დამოკიდებული იქნება იმაზე, რა ინტერესები ექნება მის წერილს, მაგრამ ამ შემთხვევაში ლაპარაკია არა ჩვენს ლიტერატურულ მოღვაწეობაზე, არამედ მის თანამდებობრივ დანაშაულზე. და როგორც არ უნდა ცდილობდეს თავის დაძვრენას, კამათის რამდენი სიუჟეტიც არ უნდა მოიგონოს, ჩვენ მას უფლებას არ მივცემთ თავი აარიდოს კითხვას: ბოლოს და ბოლოს დაამტკიცებს თუ არა, რომ მკითხველისათვის საქმე ნათელია? ვახდენთ რა ცნობილი გამოთქმის პერიფრაზას, ჩვენ ვამბობთ: „ასეთი კეთილსისულელეების მქონე ცრუპარაზიტს ვისი იმედი აქვს?"

50. საუქმო საკითხავი

დადგა თავადაზნაურთა ყრილობების, მათი წინამძღოლებისა და ბანკის მმართველობის არჩევის სეზონი, მასთან ერთად კი მითქმამოთქმების, ინტრიგების ჟამიც სადილებითა და უსადილოდ. ამ პერიოდულ ყრილობებს და ერთმანეთში გადახლართულ აგიტაციას მე უაღრესად დიდ აღმზრდელობით მნიშვნელობას ვანიჭებ ჩვენი მხარის მოწინავე ფენებისათვის და ეს, მიუხედავად იმისა, რომ თითქოსდა პირველ ყრილობათა შედეგები მოჩვენებითია და მათი გადადგმული ნაბიჯების მცდარობა გარდაუვალი. ადამიანებმა, რომლებიც მთელი წელინადი დაცალკევებული ცხოვრობდნენ, წარმოდგენა არ ჰქონდათ,

რა ხდებოდა ქვეყანაზე, რით ცხოვრობდა ხალხი, რა აღელვებდა, რით იტანჯებოდნენ დანარჩენი მოკვდავნი, ერთხელ ხომ უნდა მოიყარონ თავი, შეხვდნენ თავიანთ თანამოქალაქეებს, გაუზიარონ მათ თავიანთი შთაბეჭდილებები, გაუგებრობანი, გაჭირვება, მისწრაფებები... და მართლაც, ჩვენი თავადაზნაურობის დიდი ნაწილის განსხვავებული თვისება სწორედ ისაა, რომ თვით არჩევნები ამ ყრილობებზე თითქმის მეორეხარისხოვან როლს თამაშობს. უპირატესად კი ამომრჩეველთა უმრავლესობის ყურადღება მიმართულია მეტად თუ ნაკლებად საერთო მნიშვნელობის საკითხებისაკენ, რომლებიც შესამჩნევ როლს თამაშობს ადგილობრივი თავადაზნაურებისა და აქაური მოსახლეობის ცხოვრებაში. მართალია, ხშირად ეს საკითხები უხეიროდ, ცალმხრივად, მცდარად ისმება და იჭრება ყრილობებზე, მაგრამ ამაში მე არავითარ უბედურებას არ ვხედავ, რადგან ჯერ ერთი, უშეცდომოდ საქმე არსად არ იწყება და არც შეიძლება დაიწყოს, მეორეც სულ ასე ხომ არ იქნება, როდესმე ხომ ისწავლიან ადამიანები საკუთარი დიდი და პატარა საქმეების სწორად გადაჭრას და წარმართვას...

მომავალ არჩევნებზე და იმ კერძო საკითხებზე, წლევანდელმა ყრილობებმა რომ უნდა განიხილონ, მე აქ კრინტსაც არ დავძრავდი, მაგრამ მინდა რამდენიმე სიტყვა ვთქვა საქმის საერთო მდგომარეობაზე, სწორედ იმაზე, რომელიც სინამდვილეში ყველა კერძო საკითხზე მაღლა დგას, მაგრამ რასაც, სამწუხაროდ, ამ უკანასკნელთა სიმრავლის გამო, თავადაზნაურობა ჯეროვან ყურადღებას არ აქცევს.

მე მგონია, რომ ამ უკანასკნელი ოცი წლის მანძილზე ჩვენი თავადაზნაურობის ძალ-ღონის ხარჯვასა და გარჯას იმიტომ არ მოაქვს შედეგი, რომ მას საკმარისად არა აქვს შეგნებული მისი თანამედროვე მდგომარეობის ძირითადი მხარე, რაც მთავარია, ის ძირეული ცვლილება, რაც ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში მოხდა. ჩვენი თავადაზნაურობის უბედურება უმთავრესად ის არის, რომ მას არ სურს, ან არ შეუძლია, ანდა არ უნდა უარი თქვას რეფორმამდელ შეხედულებებზე და არც იმას ცდილობს, რომ ყურადღებით ჩაუკვირდეს ცხოვრების თანამედროვე ვითარებას. მას ეგონა სასიკეთოდ მის ბედს ბატონყმობის გაუქმება შეცვლიდა—ეს იყო დიდი შეცდომა. ჩვენი თავადაზნაურობის დაკნინება და გაღატაკება ჯერ კიდევ დიდ გამანთავისუფლებელ რეფორმამდე დაიწყო. ამაში რომ დავრწმუნდეთ, საკმარისია გავეცნოთ ჩვენი მხარის „ვორონცოვის დროინდელ" ისტორიას, ეკონომიურ მდგომარეობას იმდროინდელი მემამულეებისა,

რომელთა მეეახშეების უღლისაგან გასანთავისუფლებლად თავადმა ვორონცოვმა დააარსა ყბადაღებული „პრიკაზი", რამაც ვერაფრით ვერ გააუმჯობესა თავადაზნაურთა ეკონომიური მდგომარეობა. მათი ბედის შეცვლა გამოიწვია უფრო ღრმა და უფრო საფუძვლიანმა მიზეზებმა. მისი როგორც ერთადერთი ეროვნული არმიის, როგორც სამხედრო წოდების ისტორიული როლის გაუქმებამ, რადგან ქვეყნისათვის ბუნებრივი, საჭირო და აუცილებელია ადგილობრივი თავადაზნაურობის მიერ სამშობლოს დაცვა გარეშე მტრებისაგან, აი, სწორედ ეს დაკარგა მთლიანად თავადაზნაურობამ და ეს როლი რუსეთის ჯარმა მიისაკუთრა. ამით ჩვენმა თავადაზნაურობამ დაკარგა პრივილეგირებული ეკონომიური მდგომარეობა. ქვეყანას არ ჰქონდა გონივრული საფუძველი შეენახა თავადაზნაურობა თავის ხარჯზე. თავადაზნაურობა კი დროზე ვერ მიხვდა, რა კოლოსალური მნიშვნელობა ჰქონდა ამ ცვლილებას. მან ვერ შეძლო შეგუებოდა შეცვლილ მდგომარეობას, არ იცოდა, რომ ბუნების გარდუვალი კანონების ძალით, მიწაზე არსებობის უფლება განუხრელადაა დაკავშირებული შესაბამისი სარგებლობის მოტანის მოვალეობასთან. ძველი წარმოდგენების მიხედვით, თავადაზნაურობას ეგონა, რომ ქვეყანა, სახელმწიფო ადრინდელივით შეინახავდა მას, როგორც ინახავდა მაშინ, როცა მართლაც ემსახურებოდა საქართველოს სამეფოს არსებობასა და დამოუკიდებლობას. ეს შეცდომა მით უფრო უცოდველია, უფრო სწორად, მით უფრო გასაგებია, რომ საუკუნის პირველი ნახევრის განმავლობაში რუსეთის მთავრობას შესაძლებლობა ჰქონდა გამოეყენებინა ქართველი თავადაზნაურობის ის მდიდარი სამხედრო გამოცდილება, რაც მან მემკვიდრეობით მიიღო. აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ რუსეთის არმიის რიგები ღია იყო ჩვენი თავადაზნაურობისათვის, რომელმაც მას ბრწყინვალე ოფიცრებისა და მხედართმთავრების მთელი კორპუსი მისცა. დაუმორჩილებელი მთიელების წინააღმდეგ თითქმის ნახევარსაუკუნოვანმა პარტიზანულმა ომმა თავადაზნაურთა მილიციას და მოხალისეებს მოქმედების ფართო ასპარეზი შეუქმნა. აი, რატომ მოხდა, რომ ნებით თუ უნებლიედ გაწონასწორდა იმ ძირეული ძვრების მნიშვნელობა ჩვენი თავადაზნაურობის ცხოვრებაში. მაგრამ 1864 წელს სამუდამოდ შეწყდა კავკასიის ომი. მას უშუალოდ მოჰყვა და ისიც შემთხვევით, ბატონყმობის გაუქმება. მაგრამ საკუთარი ბედის ამარა დარჩენილმა თავადაზნაურობამ აქამდე ვერ შეძლო შეგუებოდა თავისი ყოფის ახალ პირობებს. მე ვიცი, რომ იგი სრულიად არ ოც-

ნებობს დაუბრუნებელი ძველი ცხოვრების დაბრუნებაზე, არ დასდევს ბატონყმობის აღდგენის მიუწვდომელ ქიმერას. მაგრამ მას არ შეუძლია მტკიცედ და უკანმოუხედავად დაადგეს ახალ გზას და ამაშია მთელი მისი დროებითი უბედურება.

დროა თავადაზნაურობამ შეიგნოს, რომ ქვეყნის ბედ-იღბალი მკვეთრად, ძირეულად შეიცვალა და რომ ძველი გზებით, ძველი საშუალებებით მას აღარასოდეს მოუხდება ცხოვრება, უნდა მოიხსნას კისრიდან ძველი უღელი, ჩამოიფერთხოს ადრინდელი ჩვევები, ტრადიციები, ზნე-ჩვეულებანი, თუნდაც ყველაფერი ეს ისეთივე პატივსაცემი, გმირული და წმინდაც რომ იყოს, როგორც გარდასულ წინაპართა მოგონებაა, მაგრამ, რომლებიც მიუღებელია თანამედროვე ცხოვრების პირობებში და დამღუპველია ჩვენი დროის ადამიანებისათვის. მაგალითისათვის მოვიტან ერთ კერძო შემთხვევას, რომელიც, ჩემი აზრით, ამის შესანიშნავი ილუსტრაციაა.

წარსულ საუკუნეებში იყო დრო, როცა ჩვენი ქვეყნის სწორად გაგებული ინტერესი ყველა მის ერთგულ შვილს მოვალედ ხდიდა დაენგრია, ძნელად სავალი ან გაუვალი გაეხადა ჩვენი სამეფოს ყველა სამიმოსვლო გზა. ამ ხერხით უზრუნველყოფდნენ მის თავდაცვას. სხვათა შორის ახლა, ჩვენს დროში, რომ ადგილობრივმა მკვიდრმა რელიგიურად გამოიყენოს ცხოვრებაში ეს ხერხი, სხვა არავინ იქნებოდა, თუ არა ჩვენი ცხოვრებისეული და სისხლისმიერი ინტერესების მოღალატე. ამჟამად ჩვენი ძალების სრული გაფურჩქვნისათვის, ჩვენი ეკონომიური და სხვა სიკეთის გაუმჯობესებისათვის, აუცილებელია ძველთან შედარებით, სრულიად საწინააღმდეგო მოქმედება, გვქონდეს რაც შეიძლება მეტი გაუმჯობესებული მიმოსვლის საშუალება, რათა შეუიარაღებელი კი არ დავრჩეთ, არამედ შევიარაღდეთ არსებობისათვის თანამედროვე ბრძოლაში, ამჯერად ეკონომიურ ომში, რითაც განირჩევა ჩვენი საუკუნე წინა საუკუნეებისაგან. ამგვარად, ძველ დროში, ჩვენი ქვეყნის ამაოხრებელთა წინააღმდეგ გამუდმებულ ომში, როცა მტრებთან ბრძოლა უდიდეს გმირობად ითვლებოდა, ყოველი მოქალაქე, რომელსაც სამშობლო თავდავიწყებით უყვარდა, ბუნებრივია, ინრთობოდა საომარ თამაშებში და სამხედრო საქმეში. ამიტომ მას ეუხერხულებოდა, რცხვენოდა და არც ჭირდებოდა მიწაზე მუშაობა, რაიმეს წარმოება, თავის ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის ზრუნვა. იმ დროს ეს ალბათ სამარცხვინოდაც კი ითვლებოდა ისევე, როგორც დღეს იქნებოდა სა-

მარცხვინო ჩვენთვის, ჩვენი სამშობლო რომ ომის ცეცხლში იყოს გახვეული, ჩვენი დახმარება ჭირდებოდეს და ჩვენ დავივიწყოთ საერთო საჭიროებანი და საერთო საქმე. მაგრამ ამჟამად ჩვენმა თავადაზნაურობამ, რომელიც ქვეყანას აღარ სჭირდება მტრებისაგან თავის დასაცავად, თავიდან უნდა ამოიგდოს შრომისადმი ზიზღი და პირიქით, შრომისადმი პატივისცემით უნდა განიმსჭვალოს.

ვიმეორებ, სამუდამოდ წავიდა ის დრო, როცა ქვეყანას და მთავრობას სჭირდებოდა თავადაზნაურობა, როცა ყველა ცნობდა მის უფლებას, ჰქონოდა ეკონომიური უპირატესობა, ეცხოვრა დანარჩენი მოსახლეობის ხარჯზე, როცა მას პატივისცემით ეპყრობოდნენ, როგორც ერის იმედს, დამცველს, ღირსებას. ეს დრო წავიდა, მაგრამ მასთან ერთად არ წასულა სამუდამოდ თავადაზნაურობის გმირული როლი. მას კვლავაც შეუძლია დაიკავოს ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში ისეთივე საპატიო და მოწინავე მდგომარეობა, როგორიც ყოველთვის ეჭირა ჩვენი ქვეყნის ისტორიაში. მაგრამ ამისათვის საჭიროა განიმსჭვალოს შეგნებით, რომ ამ მიზნის მისაღწევად უნდა გამოინახოს ახალი გზები და ახალი საშუალებები. შორეულ საუკუნეებში ჩვენი თავადაზნაურობა ის კადრი იყო, რომელიც დისციპლინას ამტკიცებდა მოსახლეობაში, რათა იგი დაერაზმა გარეშე მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად. ეს სიმღერა უკვე დამთავრდა. მაგრამ თავადაზნაურობას ჩვენს დროშიც შეუძლია, ცხადია, რომ მოინდომოს და შეძლოს, გახდეს ინტელიგენციის კადრი და ასწავლოს ჩვენს მოსახლეობას შეერთებული შრომა ეკონომიურ და სამრეწველო ასპარეზზე მოღვაწეობისათვის. თანამედროვე ეკონომიურ ომში მას შეუძლია თვითონაც შეიძინოს და ხალხსაც შესძინოს მისთვის ასე აუცილებელი ცოდნა, რის გარეშეც და რის გამოუყენებლადაც ჩვენი მოსახლეობა ახლო მომავალში კაპიტალისტური წყობის ილოტებად გადაიქცევა...

რა დიდიც არ უნდა იყოს ჩვენი თავადაზნაურობის დაკნინება იმ როლთან შედარებით, წარსულში რომ თამაშობდა, ამჟამადაც მის ხელში დარჩა ბევრი უფლება. ძალა-ძლიერების მთავარი, ძირითადი საფუძველი მიწაა, მართალია, დაგირავებული, მაგრამ მაინც „მიწა". დაე, გამოეთხოვონ თავიანთ ფანტაზიებს, დაანებონ თავი დახმარების გარეთ ძებნას, ამოიგდონ მეხსიერებიდან თავიანთი უსაფუძვლო იმედები, რომ მას ვინმე იხსნის, წამოაყენებს, აამაღლებს. თავის თავში, მხოლოდ და მხოლოდ თავის თავში შეუძლია მას იპოვოს ის საშუალება, რომელიც გაუმჯობესებს მის კეთილდღეობას, მისი ხსნა მხო-

ლოდ ცოდნასა და შრომაშია. იგი უნდა დაუბრუნდეს თავის მიწას, უნდა ისწავლოს მისი დამუშავება, უნდა განიმსჭვალოს შეგნებით, რომ მიწაზე მუშაობა საპატიო საქმეა, რომ დამოუკიდებლობას და ძალას მხოლოდ იგი იძლევა, სხვა ყველაფერი კი თავისთავად მოვა თავადაზნაურობასთან იმ აღქმის თანახმად, რომ „შეძლებულს მიეცემა“.

51. ფონის გარეშე

გაზეთ „კავკაზის“ წერილი (№117), რომელიც წინ აღუდგა ჩვენს წერილს „საჭიროა თუ არა დავეხმაროთ ბაქოს ვაჭრობას?“, შესანიშნავ მასალას გვაძლევს ავუხსნათ მკითხველს, თუ რა ზიანს აყენებს „პუბლიცისტების“ მოუმზადებლობა ჩვენი ქვეყნის პრაქტიკული და ეკონომიური საკითხების განხილვას.

როგორც ცნობილია, თავისთავად საკითხი, რომელიც ჩვენ ბაქოს მრეწველთა თხოვნით დავაყენეთ, ერთი ბენო კამათის ან საყვედურების საბაბს არ იძლევა. ბაქოელები არ ითხოვენ არავითარ პრივილეგიებს, უპირატესობას ან გამონაკლისის დაშვებას. ისინი მხოლოდ იმას ითხოვენ, რომ მათი ტვირთის გადასახადი თბილისში კი არ აკრიბონ, არამედ ბაქოში, ე. ი. ისინი ითხოვენ, ბაქოში არსებობდეს საწყობებიანი საბაჟო. ამავე დროს ამგვარი საბაჟოს ნაგებობების ასაშენებლად თანხის ნაწილს თვითონვე გაიღებენ. ყველა დამეთანხმება, რომ მათ აქვთ ამის მოთხოვნის უფლება. ასეთი თხოვნის წინააღმდეგ დავა შეიძლება მხოლოდ მაშინ, როცა კაცს უმიზეზო წინააღმდეგობის დაუოკებელი ქავილი მოუვლის. ყოველ შემთხვევაში, არც სახელმწიფო, არც ფისკალური და არც პროტექციონური თვალსაზრისით არავითარი გონივრული საფუძველი არ არსებობს იმისათვის, რომ არამართებულად ჩავთვალოთ ბაქოელთა მოთხოვნა გადაიხადონ, საერთოდ, დადგენილი გადასახადი იქ, სადაც ეს ხელსაყრელია საქონლის ჩამომტანთა დიდი უმრავლესობისათვის.

მაგრამ ახლა ჩვენ საქმის ეს მხარე არ გვაინტერესებს. ყველა გონიერი ადამიანისათვის, რომელთაც იგი განიხილეს და არა ქიმერების მადევართათვის, ეს საკითხი ამოწურულია და „კავკაზს“ არ წამოუყენებია არც ჩვენი აზრისა და არც ბაქოელთა არგუმენტების წინააღმდეგ არც ერთი მოსაზრება, სერიოზული განხილვის ღირსი რომ

იყოს. ჩვენ შევჩერდებით მხოლოდ იმაზე, რომ თანამოკალმის მთელი წერილი ცდილობს დაარწმუნოს მკითხველი, თითქოს საბაჟოს დაარსებას ბაქოელები კი არა, არამედ როტშილდი ითხოვს.

ამ სტრიქონების ავტორი ძალიან ახლოს იცნობს ბარონ როტშილდის კავკასიის საქმეებსა და ამიტომ მას შეუძლია აგიხსნათ საკითხის ის მხარე, რომელიც დიდ სარგებლობას მოუტანს ჩვენს პრესასაც და ხალხსაც.

აი, უკვე ორი წელია, რაც „კასპია—შავი ზღვის ნავთობმრეწველობისა და ვაჭრობის საზოგადოება“ ბარონ როტშილდის ფირმის ხელში კი არ გადავიდა, არამედ კაპიტალისტების ჯგუფის ხელში, რომელთა შორის პირველ როლს ძმები როტშტილდები თამაშობენ. ამ საზოგადოების აქციონერთა შორის არიან რუსებიც (ბატონი ეფრუსი, ბარონი ფეიგელი), გერმანელებიც და ინგლისელებიც. მაგრამ მთავარი ეს არაა. ეჭვგარეშეა, რომ ამ საზოგადოებაში მთავარ როლს როტშილდები თამაშობენ. საქმე ის არის, ახალი მფლობელების ორი წლის საქმიანობის მანძილზე მათ არც ერთხელ არ მიუმართავთ რაიმე თხოვნით ან შუამდგომლობით მთავრობისათვის და რამდენადაც ჩვენ ვიცნობთ მათ პროგრამასა და განზრახვას (ჩვენ კი მათ კარგად ვიცნობთ, რადგან ჩვენს მიერაა ნაკარნახევი), ალბათ არც არასდროს მიმართავენ. იმ ბაქოელთა შორის, რომლებიც ითხოვენ ბაქოში საწყობიანი საბაჟოს დაარსებას, თხოვნას ხელს აწერს ბატონი ფეიგელიც, რომელიც „კასპია—შავი ზღვის საზოგადოების“ მმართველია. ეს ხელმოწერა ეთანხმება იმ პრინციპს, რაზედაც ჯერჯერობით საზოგადოებას უარი არ უთქვამს: „წინ ნუ გახტები, მაგრამ ნურც ჩამორჩები.“ ეს ხელმოწერა დიდ ღირსებას მატებს ამ საზოგადოებას, რადგან მისი ეგოისტური, გამოცალკავებული ინტერესები ასეთ მისწრაფებამდე არ დაშვებულა, თორემ საერთო თხოვნის საწინააღმდეგო იქნებოდა: როტშილდებისათვის სრულიად არაა ხელსაყრელი, ბაქოში საწყობიანი საბაჟო რომ იყოს.

როგორც ბათუმის პორტო—ფრანკო გააუქმეს[29], როგორც აქციზი შემოიღეს ნავთზე, ალბათ იგივე ბედი ეწევა საწყობებიანი საბაჟოს დაარსების საკითხსაც. ვაჭრობისა და მრეწველობის ყოველგვარი შეკვინროება, ყველგან და ყოველთვის, მხოლოდ წვრილ ვაჭრებს და მრეწველებს უჯდებათ ძვირად, თორემ მსხვილებისათვის, განსაკუთრებით მილიონერებისათვის ასეთი შეზღუდვები არაფერს ნიშნავს. პირიქით, მსხვილ ვაჭრებსა და მრეწველებს ამგვარი შეზღუდვები წვრი-

ლი ვაჭრებისა და მრეწველების მეტოქეობისაგან ათავისუფლებს. ბათუმის პორტო-ფრანკოს გაუქმებამ არათუ არავითარი ზიანი არ მიაყენა როტშილდებს, არამედ პირიქით, გზა გაუნთავისუფლა. ადრე ყველას შეეძლო ბათუმში ხელმისაწვდომ ფასად თუნუქის ჭურჭელი დაექირავებინა ნავთის გასატანად, ახლა კი სოლიდური კაპიტალი უნდა გქონდეს, ამ საქმეს რომ ხელი მოჰკიდო და ამავე დროს საბაჟოში გირაოდ უნდა გედოს ოქროს ვალუტა ან გქონდეს საწყობები, სადაც საქონელი გექნება მომარაგებული. ადრე ბაქოში ნავთის მოპოვება ყველას შეეძლო, ახლა კი, აქციზის შემოღების შემდეგ, ამისათვის უნდა გქონდეს ან მსხვილი კაპიტალი ან დიდი კრედიტი, რაც დაგირავებას და აქციზთან ჯახირს ჭირდება. როტშილდისათვის სრულიად შეუმჩნეველია ზარალი, რასაც მას აყენებს საწყობებიანი საბაჟოების არსებობა არა ბაქოში, არამედ თბილისსა და ბათუმში. თავის საქონლის გადამუშავება მას თავისუფლად შეუძლია ბათუმში, სადაც უამრავი აგენტი ჰყავს და საწყობებიც აქვს. მაგრამ ბაქოს ნვრილ და საშუალო მრეწველთათვის საწყობებიანი საბაჟოს უქონლობა დამლუპველია. ამის გამო ისინი როტშილდზე არიან დამოკიდებულნი, ყოველ შემთხვევაში, არათანაბარი მდგომარეობა ექმნებათ. აი, ეს არის საქმის მთელი არსი. როტშილდები რომ გაცვეთილი გზით მიდიოდნენ, მონოპოლიას რომ ესწრაფვოდნენ, მათთვის საკმარისია არ გააკეთონ მხოლოდ ის, რასაც აკეთებს და ამბობს გაზეთი „კავკაზი:“ იბრძოლონ ბათუმის პორტო-ფრანკოს გაუქმებისათვის, აქციზის შემოღებისათვის და ბაქოში საწყობებიანი საბაჟოს დაარსების წინააღმდეგ.

ჩვენ შესანიშნავად გვესმის, რომ გაზეთ „კავკაზის“ შინაგანი განზრახვა სრულიად სუფთაა და ღირსეული იმ თვალსაზრისით, რომ ეშინია მონოპოლიისა. მაგრამ, როგორც ცნობილია, თვით ჯოჯოხეთიც მშვენიერი განზრახვებითაა მოკირწყლული. საერთო სარგებლიანობისათვის ამგვარი განზრახვები არ კმარა. საჭიროა, აგრეთვე, საქმე იცოდე, ჩაწვდე შემოთავაზებულ ან სადაო ღონისძიებათა ხასიათს და შედეგს, სხვაგვარად კი მხოლოდ იმას მიაღწევ, რის წინააღმდეგაც ილაშქრებდი და ამით ადამიანებსაც გააცინებ და ქვეყანასაც. ჩვენ ყველამ, ამიერკავკასიის მცხოვრებლებმა, უნდა ვიზრუნოთ იმისათვის, რომ როტშილდის სიძლიერის კოლოსალურმა ძალამ სარგებლობა მოუტანოს ჩვენს ქვეყანას, ჩვენს მრეწველობას და არა ზიანი. თუ იგი მოინდომებს ჩვენი მწარმოებლების, ვაჭრებისა და მრეწველების დაჩაგვრას და დამორჩილებას და თუ მას ამისათვის გზას

გავუადვილებთ, მაშინ, ცხადია, ეს ჩვენი ქვეყნისათვის უბედურება იქნება. ამიტომ ეს საშიშროება რომ ავიცილოთ თავიდან, ყველა ღონისძიება უნდა ვიხმაროთ წვრილი ვაჭრებისა და მრეწველების მოქმედებისა და მდგომარეობის შესამსუბუქებლად. სახელმწიფოს ეკონომიურ ცხოვრებაში გონიერი პრესისა და მზრუნველი მთავრობის როლი სწორედ ის არის, რომ თუ ეს შესაძლებელია, ხელი შეუწყოს კაპიტალის გავრცელებას, ამის მიღწევა კი მხოლოდ შრომის პირობების გაუმჯობესებით შეიძლება. გაზეთი „კავკაზი" კი, ყველა თავის ეკონომიურ წერილში, ყოველთვის ითხოვს განსაკუთრებულ პრივილეგიებს კაპიტალისათვის იმ მცდარი იმედით, თითქოსდა ეს სარგებლობას მოუტანს მოსკოვის კაპიტალისტებს. მაგრამ, ნურას უკაცრავად, მოსკოვის კაპიტალი სოკოლინკზე უფრო შორს მოსკოვიდან ფეხს არ დგამს, ხოლო ყველა შეღავათმა, რასაც ითხოვდნენ მის სასარგებლოდ „პუბლიცისტები," ჯერჯერობით ის შედეგი გამოიღო, რომ ვარშავის რაიონში წარმოიშვა გერმანული ფაბრიკებისა და ქარხნების მთელი ჯაჭვი, რამაც რუსეთის მომხმარებელს, ე. ი. მთელ რუსეთს დაადო უფრო მძიმე მუდმივი კონტრიბუცია, ვიდრე საფრანგეთს წაგლიჯა 1871 წელს. რა თქმა უნდა, ჩვენს მოკრძალებულ სფეროში არ გვინდა აქამდე მიგვიყვანოს იმ ადგილობრივი „პუბლიცისტების" უგნურმა გულმოდგინეობამ, რომელთაც თავიანთი გულუბრყვილობის გამო ჰგონიათ, რომ როტშილდის წინააღმდეგ იმაღლებენ ხმას, ამავე დროს კი მათ მიერ შემოთავაზებული ღონისძიებები კაპიტალს უქმნიან სრულიად განსაკუთრებულ პრივილეგირებულ მდგომარეობას...

მაშინ რაშია როტშილდის მიზანი და სარგებლიანობა?—გვეკითხებიან „პუბლიცისტები," რომლებიც ყველაფერს და ყველას თავის მოსკვარეჩიეს არშინით ზომავენ.

ინებეთ, ამასაც გეტყვით. ნავთობმრეწველობაში მსოფლიოს ყველა ბაზარზე ახლა ამერიკელები ბატონობენ. და ეს მიუხედავად იმისა, რომ პენსილვანიის ჭაბურღილების მეშვეობით მიღებული გადაუმუშავებელი ნავთობი მათ ფუთი 25 კაპ. უჯდებათ. ჩვენი ბაქოელები კი, რომელთაც ერთი ფუთი გადაუმუშავებელი ნავთობი 1-3 კაპიკზე ნაკლები უჯდებათ, ვერაფრით ვერ ახერხებენ გაუმკლავდნენ საგარეო ბაზრებზე ამერიკელთა კონკურენციას და ეს იმიტომ, რომ მათ არა აქვთ ნავთობის პროდუქტების მისაღებად საჭირო კაპიტალი. ბაქოელებმა შესანიშნავად გაართვეს თავი წარმოების ყველა ამოცანას, ეს

საქმე აქ ამერიკელებზე ნაკლებად არაა დაყენებული. თავის მხრიდან მთავრობამაც მნიშვნელოვნად (თუმცა არა მთლიანად) შეასრულა თავის ამოცანა—გაიყვანა რკინიგზა ბაქოდან შავ ზღვამდე. ამ გზამ იმით, რომ ამიერკავკასიის რკინიგზა უზრუნველყოფილია თავის ცისტერნებით და რეზერვუარებით, სამუდამოდ გადაულობა გზა მონოპოლიის წარმოშობას. მაგრამ მესამე ამოცანა—საგარეო ბაზრების დაპყრობა და ჩვენი მრეწველობისათვის ხელის შეწყობა ამერიკელებთან სავაჭრო ომში—აქამდე ხელუხლებელი დარჩა. ბატონებს პალაშკოვსკისა და ნობელს, რომლებიც დიდად და ღირსეულად გაისარჯნენ ჩვენი ნავთის გატანისათვის რკინიგზის გასაყვანად, არც რუსმა კაპიტალისტებმა დაუჭირეს მხარი და არც რუსეთის კრედიტმა, რადგან ჩვენში საერთოდ არ არსებობს სამრეწველო კრედიტი. მათ დაიწყეს უთანასწორო ბრძოლა „სტანდარტ ოილთან," რომელიც რვაას მილიონ დოლარს ფლობს. ბრძოლა, ცხადია, უთანასწორო იყო. ახლა იმავე ბრძოლას იმავე „სტანდარტთან" აწარმოებს ჩუმად, ფრთხილად, ნაბიჯ-ნაბიჯ, ყოველგვარი რისკისა და გატაცების გარეშე „კასპია-შავი ზღვის ნავთობმრეწველი საზოგადოება" როტშილდის კაპიტალითა და კრედიტით. ის, ვინც ფიქრობს, რომ საზოგადოებას, რომელიც ამერიკელებთან ბრძოლაში ჩაება, ბაქოელებთან ან პეტერბურგის კანცელიარისტებთან ბრძოლის თავი აქვს, ამჟღავნებს სავაჭრო და ნავთობმრეწველობის საქმის სრულ უცოდინარობას. აი, რატომ არა აქვს როტშილდს, საკუთარი ინტერესების სწორად გაანგარიშებასთან ერთად, არავითარი სარგებლიანობა იმით, რომ ვინმე გასრისოს, სულერთია, ვინც არ უნდა იყოს იგი. პირიქით, მისთვის ხელსაყრელი ის იქნება, კავშირი დაამყაროს ჩვენი ქვეყნის უკლებლივ ყველა მწარმოებლურ ძალასთან. სანამ იგი მძიმე ბრძოლაში ამერიკელებს გაუმკლავდება, სანამ იმ საგარეო ბაზრების მესამედს ან ნახევარს დაიპყრობს, სადაც ნავთობის პროდუქტები იყიდება, ჩვენი ადგილობრივი მწარმოებლური ძალები მომაგრდებიან, გაძლიერდებიან და ისეთ მდგომარეობაში აღმოჩნდებიან, რომ ვერავისი და ვერავითარი მონოპოლია ვერ შეაშინებთ ვერასოდეს. რა თქმა უნდა, იმ პირობით, თუ ჩვენი პრესა და ჩვენი მთავრობა შეიგნებენ საქმის არსს და განგებ არ დაამუხრუჭებენ წვრილი წარმოების განვითარებას. მთავრობას არა აქვს არავითარი საფუძველი ასე მოიქცეს, მაგრამ შეიძლება იგი შეაცდინონ „პუბლიცისტებმა," რომელთაც იმის მანია სჭირთ, წერონ ამბებზე, რომლებზედაც მიახლოებითი წარმოდგენაც კი არა აქვთ.

52. საუქმო საკითხავი

ქართველ პოეტს, ილია ჭავჭავაძეს, განსაკუთრებით დღეს, ვერაფრით ვერ მიუყენებ იმ სიტყვებს, რომლებიც მის რუს თანამოკალმეზე, აპოლონ მაიკოვზე გამოთქვეს, რომ მან:

„თავის ნშიდა თავისუფლება,
ბრბოს ვნებებს არ დაუმორჩილა."

ბევრს გაიღებდა ახლა ილია ჭავჭავაძე, რომ არ იყოს დამოკიდებული ბრბოს ვნებებზე (აი, მართლაც უტყუარი ვნებები), თბილისის სათავადაზნაურო ბანკის კეთილშობილ დამაარსებელზე, რომელთა საერთო კრება დღეს იხსნება. ბედის რა დაცინვაა: მაისში პოეტს ლირა უნდა ეჭიროს ხელში, აქ კი წარუდგინე ანგარიში კრებას! არის ჩვენში ადამიანების მთელი კატეგორია, რომელთაც მთელი დანარჩენი კაცობრიობის საწინააღმდეგოდ, გრაფ. ა. ტოლსტოის სტრიქონები მიესადაგება:

„რატომ მჭმუნვარებთ თქვენ,
როცა მე მემხიარულება."

ადამიანების ეს ორიგინალური კატეგორია შესდგება ყველა ჩვენი საკრედიტო დაწესებულების კენჭისყრის შედეგად არჩეული მოსამსახურეებისაგან. აბა, როგორ არ უნდა იყვნენ მჭმუნვარენი? წელიწადში თერთმეტი თვის მანძილზე მათ წინაშე ქედს იხრიან და მუხლს იყრიან ყველა ისინი, ვისაც სურს მამულის დაგირავებით ან თამასუქის დისკონტით ფულის შოვნა. მაგრამ ვის არ სურს ჩვენში, თუნდაც პერსპექტივაში, ამის გაკეთება? სამაგიეროდ, როცა დადგება გაზაფხული, აყვავდება მთელი ბუნება, ყველა ეს ბედნიერი კაცი, მიჩვეული იმის შეგნებას, რომ მთელი მსოფლიო მათ აწევთ მხრებზე და ამიტომაცაა მათ ხელში თავმოყრილი ჩეკები და ორდერები, უეცრად თითქმის საბრალდებო სკამზე ჩამომჯდარნი აღმოჩნდებიან. და აქ ჩვენს წინაშე, თითქოსდა ამა ქვეყნის დიდების ამაოებათა ამაოებას გვახსენებს, ერთმანეთის ჯიბრზე ცოფებს ყრიან გუშინდელნი და ხვალინდელნი „მთხოვნელები," იძლევიან კითხვებს, ადანაშაულებენ ერთმანეთს, არ ერიდებიან არავითარ ინსინუაციებს და შეურაცხყოფას. მაშინ მძიმეა ბანკირის ქუდი. დამიჯერეთ, ამ დროს პოეტს არც მაისი აინტერესებს, არც ლირა და არც „ნშიდა თავისუფლება," რადგან იცის, რომ ათასგვარი დაკითხვისა და ბრალდების შემდეგ ხელახლა არჩევისათვის კენჭი უნდა იყაროს.

აქამდე თავადი ი. ჭავჭავაძე ამ მძიმე და ქრონიკულ ბოროტებას შედარებით იოლად ართმევდა თავს, ვიდრე ბანკის სხვა მოღვაწენი. თავიდან კარგადაც კი უმკლავდებოდა: პირველად ასეთი შემთხვევაც კი მოხდა. 1876 წელს მისმა მოწინააღმდეგეებმა გორის მაზრიდან თბილისში ჩამოიყვანეს ასამდე ამომრჩეველი, რომელთაც თავადი ჭავჭავაძე უნდა „გაეშავებინათ" და მის ადგილას მმართველობის სხვა თავმჯდომარე აერჩიათ. ეკონომია რომ გაეწიათ და ერთგვარი შეღავათიც მიეღოთ, გორელები თბილისში თავად ჭავჭავაძის მოწინააღმდეგეთა ხარჯზე ცხოვრობდნენ. მაგრამ არ ვიცი, ცუდად კვებავდნენ მათ თუ იმ წესის თანახმად, „მეგობრობა მეგობრობაა, სამსახური კი სამსახური," არჩევნების დღეს ყველა ამ წარმოდგენილმა მოწინააღმდეგემ ერთსულოვნად ჩაყარა საარჩევნო ყუთში ქათქათა ბურთები და ილია ჭავჭავაძის სახელი ამ ყუთიდან გაუგონარი ზეიმით ამოვიდა, რამაც ერთხელ და სამუდამოდ დაუკარგა კონკურენტებს მასთან მეტოქეობაზე ფიქრის ყოველგვარი უნარი. დროთა განმავლობაში ბრძოლა უმეტოქეოდაც კი სულ უფრო მძიმე და მძიმე ხდებოდა. წელს კი, პოეტის ბანკში სამსახურის მეცამეტე წლისთავზე, მას ბრძოლა უხდება მოვლენათა თანხვედრის უკიდურესად არახელსაყრელ პირობებში. აი, რატომ აქვს მას ჭმუნვის მიზეზი, „როცა მე მემხიარულება."

ილია ჭავჭავაძის თავზე წმინდა სამხრეთული ქარიშხლის შავი ღრუბელი იყრის თავს და ეს ხდება თითქოსდა განგებ, სწორედ იმ მიზეზის გამო, რისთვისაც უმღერიან და ადიდებენ რუს პოეტს, რომ ჭავჭავაძემ, როგორც სამინათმოქმედო ბანკის მმართველობის თავმჯდომარემ, თავის „წმიდა თავისუფლებას" ბევრის უფლება მისცა. ბედი უსამართლოა: იგი ყოველგვარი აზრის გარეშე ზოგიერთს ანებივრებს და ასევე უაზროდ ზოგიერთს სიცოცხლეს უმწარებს. ეს კიდევ არაფერი: ყველას შეუძლია თავი ინუგეშოს იმით, რომ თავის ხვედრს ვერავინ გაექცევა. მაგრამ კიდევ უფრო ცუდი ის არის, რომ ბედი ერთსა და იმავე კაცს ზოგჯერ დიდხანს ანებივრებს თავის მეტისმეტი უაზრო მფარველობით, აჩვევს ბედნიერად ცხოვრებას, განცხრომას, ზერელე შეხედულებებს ყველაზე და ყველაფერზე, შემდეგ კი უეცრად, არაფრის გამო, ათასგვარ წარუმატებლობას და უბედურებას მოუტანს. ადამიანს ეიოლება ბედნიერების შეთვისება, როცა ნაბიჯ-ნაბიჯ გაიარა ცხოვრების მძიმე სკოლა. მაგრამ როგორია, განაზებული,

ბედის ნებიერა ადამიანი, რომლის ცხოვრება ზეიმითა და წარმატებით მისრიალებდა გაკრიალებულ პარკეტზე, ცხოვრებაში „მედლის მეორე მხარეს“ დაეჯახოს? ჩემი აზრით, უკეთესია განუწყვეტელი უბედურების მომტანი ბედი, განა ასე არ არის?

თუმცა საიდან მოდის ამგვარი ტონი? ეს სრულიად არ ეხება ილია ჭავჭავაძეს, რადგან იმედი მაქვს, რომ იგი ახლაც დაუზიანებლად დაალწევს თავს ამ გამოცდას. და მაინც სამწუხაროა, რომ უცნაური ბედის გამო, რაც ჩვენს სამიწათმოქმედო ბანკს ამძიმებს, ილია ჭავჭავაძის პირადი არჩევა შემთხვევით დაემთხვა ბანკის თეატრის გადაკეთების ანგარიშზე მსჯელობას. ეს ამბავი ბევრი თვალსაზრისითაა სამწუხარო. უპირველეს ყოვლისა, იმიტომ, რომ გაუგებრობამ, რაც ამ ანგარიშმა და თეატრის გადაკეთების ვითარებამ გამოიწვია, არ შეიძლება არ მოახდინოს გავლენა თუ არჩევნების შედეგებზე არა, მის პროცედურაზე მაინც. მეორეც, იმიტომაა სამწუხარო, რომ ილია ჭავჭავაძე სრულიად უსამართლოდ ხდება განტევების ვაცი თუ სხვების ცოდვების მოსანანიებლად არა, მთელი ორი კოლეგიის შეცდომებისათვის მაინც: სამიწათმოქმედო ბანკის მმართველობისა და სამეთვალყურეო კომიტეტისა. მაგრამ განსაკუთრებით და უმთავრესად სამწუხაროა იმიტომ, რომ ბანკის ამომრჩევლებმა, ამ შემთხვევითი თანადამთხვევის გამო, ხელი უნდა აიღონ თავიანთი თავისუფალი სინდისის ნაწილზე: ან უნდა გაამართლონ ცალკეული შეცდომები, ანდა გააშავონ პატივსაცემი მოღვაწე...

აგიხსნით უკეთ. გასულ წელს, თბილისის სამიწათმოქმედო ბანკის მმართველობამ გამოსთხოვა საერთო კრებას 23 ათასი მანეთის სესხი ბანკის თეატრის გადასაკეთებლად და გასაუმჯობესებლად. მმართველობამ უხალისოდ გასცა ეს სესხი. პირობად ის დაუდო, რომ სამეთვალყურეო კომიტეტი ძალზე ფრთხილად გაუწევს ამ საქმეს ზედამხედველობას. სამწუხაროდ, მმართველობის მშვენიერი აზრი და ინიციატივა—აეწია შეკეთებისა და გადაკეთების გზით ბანკის მფლობელობაში გადასული არწრუნის იმ ქარვასლის შემოსავალი, ბანკის მოკლევადიანი სესხის გამო რომ ვერ გამოისყიდეს—ხორციელდებოდა არასაკმაო სისტემატურობით და საჭირო ფორმების დაუცველად. სინამდვილეში მმართველობა ჩაითრიეს ამ საქმეში. დაისახა რა მშვენიერი მიზანი და უნდოდა რა ეს საქმე განეხორციელებინა, საზოგადო ფულის რაც შეიძლება ნაკლები დაეხარჯათ, მმართველობამ მომჭირნეობა გამოიჩინა წინასწარ გასაღებ ხარჯებზე, ძირითადად გეგმის, პროექ-

ტის და ხარჯთაღრიცხვის შედგენას რომ ჭირდებოდა. როგორც ეს ყოველთვის ხდება, ამ მთავარ შეცდომას არ შეიძლებოდა არ გამოეწვია სამწუხარო შედეგები. ძუნწი ყოველთვის მკაცრად ისჯება. ბანკის მმართველობას და სამეთვალყურეო კომიტეტს 5-6 ათასი მანეთი საუკეთესო პროექტის წარმოსადგენი კონკურსის მოწყობაზე და მის საფუძვლიან შემოწმებაზე რომ დაეხარჯა, თეატრი ალბათ თხუთმეტი ათასი მანეთით უფრო იაფი დაჯდებოდა, ვიდრე ახლა ღირს და მისი სიმტკიცე და მოხერხებულობაც სხვაგვარი იქნებოდა. მაგრამ წარსულს ვერ დააბრუნებ. მმართველობასა და სამეთვალყურეო კომიტეტს რომ ცოდნოდა, ბანკის თეატრის გადაკეთება დაჯდებოდა არა 133. 000 მანეთი, რაც სინამდვილეში დაჯდა, არამედ თუნდაც 50. 000 მანეთი, შემიძლია თავი მოსაჭრელად დავდო, რომ არც მმართველობა და არც სამეთვალყურეო კომიტეტი თეატრის გადაკეთებაზე კრინტსაც არ დაძრავდნენ. მაგრამ საქმეც სწორედ ის არის, ეს არავინ იცოდა: ჩვენი ბანკი ისეთ საქმეში აღმოჩნდა ჩათრეული, როგორიც არაიშვიათად ემართებათ იმ ადამიანებს, რომელთა კალთას მთელი ძალით მომუშავე მანქანა კბილოვან ბორბალში ჩაითრევს: კალთას მთელი ტანსაცმელი მიჰყვება და ბედნიერება ის იქნება, თუ ტანსაცმელთან ერთად მანქანა მთელ ორგანიზმს არ ჩაითრევს...

ეს უბრალოდ უბედურებაა, რაც ძირითადად შეცდომიდან გამომდინარეობს. მაგრამ ყოველი ძირითადი შეცდომა ინვევს მთელ რიგ სხვა, შემთხვევით შეცდომებს. ერთ-ერთი უკანასკნელი ის იყო, რომ ბანკის მოღვაწეებმა ვერ შეძლეს დროზე გაეფორმებინათ იმ თანხის იძულებითი გადახარჯვა, თეატრის გადაკეთების დასამთავრებლად რომ იყო აუცილებელი. სწრაფად უნდა მოეწვიათ საერთო კრება და გამოეთხოვათ მისთვის დამატებითი სესხი დაახლოებით ასი ათასი მანეთის რაოდენობით. ეს კი თავის დროზე არ გაკეთდა. და, აი, ახლა, ყველა დანაკლისისა და შეცდომისათვის თავადმა ი. გ. ჭავჭავაძემ პასუხი უნდა აგოს საერთო კრების წინაშე, რომელმაც სასწრაფოდ უნდა აირჩიოს მმართველობის თავმჯდომარე: წესდების მიხედვით წელს მთავრდება თავად ჭავჭავაძის სამსახურის ვადა.

ყველა ამ ვითარების ერთობლიობა ქმნის ისეთ ვითარებას, რაც უკიდურესად არახელსაყრელია ქართველი პოეტისათვის:ახლა იგი თავისი ლირით მაისის ვარდებს უნდა უმღეროდეს, ახლა გაიოლებულია იმ კაცის როლი, რომელიც მოინდომებს თავს დაესხას მას მხილებებისა და ბრალდებების მთელი სერიით და ამგვარი კაცი იპოვიდა პირდა-

პირ გზას ამომრჩევლებისა და საზოგადოების გონებასა და გრძნობებისაკენ. მაგრამ თვით ამ როლის გაიოლება პირს მაბრუნებინებს საქმისადმი ასეთი დამოკიდებულებისაგან. მე ქედი არ მომიხრია თავად ჭავჭავაძის წინაშე, როცა ყველა ქედს იხრიდა და როცა ამას მოქალაქეობრივი ვაუკაცობა მოითხოვდა, მე ვამბობდი კიდეც რაში არ ვეთანხმებოდი მის აზრებსა და შეხედულებებს. მაგრამ ახლა, როცა მგონი მის თავზე ქარიშხლის მომასწავებელი ღრუბლები იყრის თავს, რაც მხოლოდ ნაწილობრივ გამოწვეულია მისი შეცდომებით, უმთავრესად კი ამ შეცდომების წარმოშობის მიზეზი გამოწვეულია იმ ადამიანებისა და მთელი ჩვენი საზოგადოებისაგან. საქმისადმი მეტისმეტად გულგრილი დამოკიდებულებით, მას რომ ირგვლივ ახვევიან, სირცხვილი იქნებოდა საერთო ხმის აყოლა და ველური ცეკვის ცეკვა:

„ბრბო, თავის ბრმა მისწრაფებით,

მე ვერ გამიტაცებს!"

ახლა ისინი, რომლებიც ოცი წლის მანძილზე თითქმის სამშობლოს ღალატად თვლიდნენ ჩემს მისწრაფებას გამომეწვია საზოგადოების კრიტიკული და დამოუკიდებელი დამოკიდებულება ჩვენი საზოგადოებრივი საქმეების მიმდინარეობის მიმართ, თავხედურად გვარწმუნებენ, რომ მე პირადი სიძულვილი მამოძრავებს, როცა თავს ვესხმი იმ მოღვაწეებს, რომლებიც ახლა ლაღად ვარჯიშობენ იმ რთული ამოცანის გადაჭრაში, რათა ამხილონ სამინათმოქმედო ბანკის მმართველობის შეცდომები. დაე, ახლა გამოისყიდონ თავიანთი უწინდელი ქედმოხრილობა იმ მოღვაწეთა ჩაწიხვლით, რომლებიც უდაოა, შეცდნენ, როგორც ცდება ყველა, ვინც ამ ქვეყანაზე რაღაც ახალსა და სასარგებლოს აკეთებს. მაგრამ ახლა, როცა ეს შეცდომები ცხადად გამოჩნდა და ყველასათვის შესამჩნევია, სირცხვილია დავივიწყოთ, რომ ეს მოღვაწე პირველი შემხვედრი კაცი კი არ არის და დასწყევლოს ეშმაკმა, ეს ისეთი კაცი არ არის, ყოველ გზაჯვარედინზე რომ შეგხვდება. სირცხვილია და კიდევ უფრო მეტად გაუთვალისწინებლობა, ვიდრე სირცხვილი, დავიწყება იმისა, რომ ჩვენი ქვეყანა არც ისე მდიდარია ტალანტებით და მოღვაწეებით, რომ მოვისროლოთ ადამიანები, რომელთაც მთელი რიგი დამსახურება აქვთ ჩვენი საზოგადოების წინაშე. ცხადია, თეატრის გადაკეთების საქმეში თავად ჭავჭავაძის მიზანს, მის ინიციატივას, სუფთა და ყველასათვის სასარგებლო საფუძველი რომ არ ჰქონოდა, მის მოქმედებაში რომ ერთი ბენო ანგარება ყოფილიყო, მაშინ სხვა საქმე იქნებოდა: შეგეძლოთ არაფრისთვის არ გა-

გეწიათ ანგარიში და იგი ჯვარზე გაგეკრათ: მაგრამ ასეთი რამ ხომ არ მომხდარა. ამიტომ ახლა არც სულმოკლედ ჩაწიხვლაა საჭირო, როგორც ადრე ქედის მოხრა არ იყო საჭირო. უნდა ვისწავლოთ საზოგადო საქმეებში სამართლიანი დამოკიდებულება როგორც საკუთარ, ასევე სხვისი მოვალეობისადმი. საჭირო იყო დროზე მიგვეღო ორგანიზაციული და ორგანული ზომები ცალკეულ პირთა შეცდომებისა და გატაცებების უვარგისი და მავნე შედეგების წინააღმდეგ, რამაც საზოგადოება დააზარალა. თეატრის გადაკეთების საქმეში ინიციატივისა და შემოქმედებითი როლის გამოჩენისათვის თავად ჭავჭავაძეს მხოლოდ მადლობა ეთქმის. და თუ ეს ინიციატივა კარგად არ განხორციელდა ყველაფერში, თუ იგი მეტი დაჯდა, ვიდრე უნდა დამჯდარიყო და თანაც მისი განხორციელება წარმოებდა დადგენილი ფორმების დაუცველად, ამაში თავადი კი არ უნდა დავადანაშაულოთ, არამედ საკუთარი თავი, საზოგადოება, რომელმაც ვერ შეძლო შეექმნა გონივრული საპირწონე, რაც აუცილებელია ყველგან და ყველაფერში. თუ მართალია ის ამბავი, რომ თავადი ჭავჭავაძე ამ საქმემ გაიტაცა, რას უყურებდნენ მმართველობის დანარჩენი წევრები და თუ მასთან ერთად ისინიც გაიტაცა ამ საქმემ, რას აკეთებდა სამეთვალყურეო კომიტეტი? აი, რას უნდა მივაქციოთ საყოველთაო ყურადღება, აი, სადაა ბოროტება დაბუდებული, რასაც უნდა გაუმკლავდეს ჩვენი საზოგადოება. ჩემი აზრით, იმ მდგომარეობიდან, თეატრის გადაკეთებამ რომ შექმნა, არ არის სხვა გაკვეთილი და სხვა გამოსავალი: მმართველობამ უნდა გამოიტანოს დადგენილება, რომ ამიერიდან სხვები არ შეეჩვიონ თავიანთი ხელისუფლების ზედმეტად გამოყენებას. ეს დადგენილება დაცული უნდა იქნას შენიშვნით, რომ იგი ადგენს ამას „სხვების სამაგალითოდ“ კი არა, არამედ დასატუქსავად, შავი ცხენებით რომ გაასეირნონ ბატონი სამეთვალყურეო კომიტეტის წევრები. უკიდურეს შემთხვევაში, მე ასე მოვიქცეოდი, ამომრჩეველი რომ ვიყო.

53. გაზეთი „კავკაზი“ როგორ იცავს რუსეთს

გაზეთ „კავკაზის“ „პუბლიცისტმა,“ რომელიც „დაავადებულია ისეთ საგნებზე წერით, რომელზეც წარმოდგენაც არა აქვს,“ კვლავ გამოიჩინა თავი. და მერე როგორ! მას არ ეყო ვაუკაცობა ეღიარებინა თავისი შეცდომა. დაიწყო თავის მართლება, რომლის დროს სულ ახალ-ახალ უცოდინარობას ავლენს. მაგალითად, მე გამოვააშკარავე, რომ როტშილდის მიერ ბათუმის პორტო-ფრანკოს გაუქმების შემდეგ, როტშილდს მიენიჭა განსაკუთრებული უფლებები. ამის შედეგად ბათუმში რკინის ჭურჭლის დამზადების უფლება თითქმის მხოლოდ მას დარჩა. „კავკაზი“ კი ბედავს და აი, რას წერს:

„თუნუქის სარეწაოს ბათუმში გაბატონებული მდგომარეობა ეკავა, ვიდრე ჩასასხმელ გემებს არ შემოიღებდნენ. ბათუმიდან საზღვარგარეთ გასაგზავნად აღარ იყო საჭირო ნავთობის ბიდონებში ჩასხმა. უფრო მომგებიანია ჩამოსხმა მოხდეს მას შემდეგ, რაც ჩამოსასხმელ ნავთობს იაფად და უფრო მოხერხებულად მიზიდავენ ადგილზე. ამ მოგების შეფასება ყველაზე კარგად როტშილდის ფირმამ შეძლო და საექსპორტო ნავთობის საკუთარ ხელში ჩაგდებით ფართოდ შეუძლია მისი გამოყენება. ბათუმისა და ბაქოს წვრილი მწარმოებლები მას კონკურენციას ვერ გაუწევენ, ვინაიდან საშუალება არა აქვთ ჩამოსასხმელი გემები იქონიონ. გამოდის, ბათუმში პორტო—ფრანკოს დახურვას როტშილდის ფირმისათვის მნიშვნელობა ჰქონდა.“

ასეთი ტონით, შეუმოწმებლად, სრულიად უშიშრად, შეიძლება მხოლოდ სალისბიუერისა და ბისმარკის ხრიკებზე წერა. მაგრამ დაუშვებელია ასეთი ლაპარაკი იმ მხარეში, სადაც თითქმის ყველა მუშამ და დახლიდარმაც კი იცის, რომ ბათუმის „კასპია—შავი ზღვის ნავთობის მრეწველობის საზოგადოებას,“ მართალია, არა აქვს არც ერთი ჩასასხმელი გემი, მაგრამ აქვს უზარმაზარი თუნუქის კასრების ქარხანა, რომელიც ყოველთვიურად აფართოებს თავის წარმოებას და წელიწადში ექვს მილიონამდე კასრს ამზადებს. დიდი გამბედაობაა პრესით გადაჭრა ნავთობის მრეწველობის საკითხები მაშინ, როცა წარმოდგენა არა გაქვს იმის შესახებ, რომ არც მცირე აზიაში, არც ეგვიპტეში, არც ტუნისში, არც იტალიაში და ესპანეთში, არც ინდოეთში, ჩინეთსა და იაპონიაში—სადაც ძირითადად ხდება ჩვენი ნავთობის გაზიდვა—შეუძლებელია ჩამოსასხმელი ნავთის გაგზავნა და აუცილებელია მისი გატანა კასრებით. ეს ნიშნავს, რომ მოწინააღმდეგე კი

არა, საკუთარი თავი ჩააყენო უსუსურ და გამოუვალ მდგომარეობაში. გეკითხებით, რა ნდობა და გავლენა უნდა მოიპოვოს ხალხის თვალში ასეთი უხეში შეცდომების ჩამდენმა?

დავუშვათ, შეცდომებისაგან არავინ არის დაზღვეული. ყველაფრის ცოდნა შეუძლებელია. მაგრამ ელემენტარული კეთილგონიერება გვავალდებულებს, ჯერ ერთი, არ ვილაპარაკოთ და მითუმეტეს გადაჭრით, ისეთ საკითხებზე, რომლებსაც არ ვიცნობთ. და მეორეც, არ ვიკამათოთ ისეთ ხალხთან, რომელთაც ასი ფუთი მარილი შეჭამეს. არა მარტო კეთილგონიერება, არამედ არსებითი წესიერება გვავალებს, როცა შევცდებით, ვაღიაროთ ჩვენი შეცდომა, ან უკიდურეს შემთხვევაში, გავჩუმდეთ და მორცხვად დავხაროთ თავი. მაგრამ გაზეთ „კავკაზის“ „პუბლიცისტი“ შორს არის ასეთი ზნეობრივი მოთხოვნებისაგან. მე მას დანაშაულზე წავასწარი, როცა იგი მკითხველ საზოგადოებას გონებას ურევდა. თუ გახსოვთ, იგი წერდა, რომ ბაქოში საბაჟო საწყობის დაარსება მომგებიანია არა ბაქოელებისათვის, არამედ მხოლოდ როტშილდისათვის. მაგრამ უგნურებს მივუთითე, რომ როტშილდს ბათუმში აქვს უზარმაზარი საწყობი და ჰყავს მომსახურე პერსონალი და ძალიან იოლია საზღვარგარეთიდან ჩამოტანილი საქონელი ბათუმში დატოვოს და არა ბაქოში. აქედან ნათლად ჩანს, რომ საბაჟო საწყობი აუცილებელია სწორედ ბაქოელებისათვის და არა როტშილდისათვის, და მის მოწყობაზე უარის თქმა საზარალოა ყველა ბაქოელი მწარმოებლისათვის და მხოლოდ როტშილდისათვის არის მომგებიანი. მართალია, გამოაშკარავდა „კავკაზის“ „პუბლიცისტის“ ასეთი უგუნურობა, მაგრამ ის მაინც, არც აღიარებს თავის შეცდომას და არც უხერხულობას გრძნობს. პირიქით, მთელ ქვეყანას თავისი საზომით ზომავს, ყველა ბრმა, ყრუ და უჭკუო ჰგონია და თავხედურად წერს: „თქვენ, ბ-ნო ნიკოლაძე, იცავთ როტშილდს, ჩვენ—რუსეთს.“ რა სიბეცეა!

თქვენ მიგაჩნიათ, რომ თქვენთვის და მთელი საზოგადოებისათვის თვალის ახელა და იმის ახსნა, თუ რა გზებითა და ხერხებით შეიძლება ავიცილოთ მონოპოლიების გავრცელება და როტშილდის უპირატესობა, მის დაცვას ნიშნავს. როგორც გენებოთ, რამდენიც გნებავთ ბრალი დამდეთ ასეთ დანაშაულში. ამით თქვენთვის მოგაქვთ ზიანი და არა ჩემთვის. როტშილდს იმდენად არ ესაჭიროება ჩემი თანადგომა, რამდენიც რუსეთს—თქვენი. მე არა ვარ ბ-ნი შავროვი, რომ თავი დავდო იმათ დაცვაზე, ვინც ამას სრულიად არ საჭიროებს. მე უფრო თავმდაბალი გახლავართ: სუსტ და უსუსურ მსხვერპლთ ვიცავ სამამულო მრეწველობის ყალბ მფარველთაგან, რომელნიც თავგამოდებით ეჭიდებიან უცნობ საკითხებს და ამით აფუჭებენ საქმეს...

გაზეთ „კავკაზს“ როგორც იქნა შევაგნებინე, რომ „მოსკოვი რუსეთის ცენტრია და არა მთელი რუსეთი.“ ეს გარკვეული გამარჯვებაა. იმედი მაქვს, რომ ამ გაზეთს იმასაც გავაგებინებ, რომ ბაქოელები ისეთივე რუსები არიან, როგორებიც ბ-ნები ტაბენკოვი და შავროვი, რომ ბ-ნებს ადამოვებს, ბადუაგოვებს, შიბაევებს, ტაგიევებს, მუსანაგიევებს და ა. შ. ისეთივე შეუვალი უფლება აქვთ იცხოვრონ ბაქოში და ისევე მომგებიანად იხადონ საბაჟო გადასახადი, როგორ პირობებშიც ბათუმში არის როტშილდი! აგრეთვე, ეს გაზეთი აღარ იდავებს ბაქოში საბაჟო საწყობის შექმნაზე და საქმეც ამაშია.

ახლა, როცა საქმის ზოგად მხარეზე საუბარი დავასრულე, შევეხები მის ერთ კონკრეტულ მხარეს. უვიცობაში მხილებული გაზეთ „კავკაზის“ პუბლიცისტი ცდილობს ეჭვი შეიტანოს ჩემი ლიტერატურული მოღვაწეობის მამოძრავებელ მოტივებში. მკითხველი იმის ახსნას არ საჭიროებს, რამდენად უწესოა მისი ეს მოქმედება, რამდენად ეწინააღმდეგება იგი ლიტერატურული პოლემიკის ელემენტარულ კანონებს: რამდენად სათუთია ეს ნიადაგი, რომლის მორალური ანალიზისათვის და მართებულად წარმართვისათვის არც მოკამათეებს, არც საზოგადოებას ჯერჯერობით არა აქვთ არც სათანადო ფაქტები, არც ზუსტი გაზომვისა და სწორად გაშუქების საშუალება. მაგრამ ამის გაგებისაგან საკმაოდ შორს დგას გაზეთი „კავკაზი.“ მას მხოლოდ ცილისწამება შეუძლია! ილაპარაკოს რამდენიც უნდა. ამ სფეროში ისეთივე ხვედრი ელის, როგორიც მას მეცნიერულ და ეკონომიკურ საკითხებზე კამათის დროს ხვდა. ისევე როგორც ჩვენს წინააღმდეგ გალაშქრების დროს მან არ იცოდა არც კასრების, არც ჩამოსხმით გადაზიდვისა და არც საბაჟო საწყობის მნიშვნელობა, ასევე არც ახლა, მწერლის სულში ჩაძვრენით ის ჩემ არაკეთილსინდისიერებას კი არ ამჟღავნებს... მე მხოლოდ მსურდა მკითხველი გამერკვია, რომ ეს არის იმ მოკამათეების ჩვეულებრივი ხერხი, რომლებიც კედელთან არიან მიმწყვდეული და საბუთიანობით და ფაქტებით არიან განადგურებული. ყოველგვარი საჭიროების გარეშე, რატომ უნდა ჩააყენოთ თავი ასეთ სავალალო მდგომარეობაში? რატომ უნდა დაიცვა უგუნურობა? რატომ უნდა იკამათო საბაჟო საწყობის წინააღმდეგ და ეს საკითხი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკითხად წარმოაჩინო და თავი მთელი რუსეთის დამცველად გამოაცხადო? ეს აღარაა სასაცილო, უფრო სავალალოა.

54. საუძმო საკითხავი

სათავადაზნაურო არჩევნებმაც კი ვერ შეანელა ის დაინტერესება, რაც გამოიწვია ტფილისის გუბერნიის ხაზინადარის თანაშემწის, კარის მრჩევლის თევდორე ივანოვის მიერ ჩადენილმა „სახაზინო ძარცვამ“. ტფილისელები ახლა მხოლოდ იმას ფიქრობენ, როდის ჩამოიყვანენ მძარცველს, რომ ერთხელ მაინც შეავლონ თვალი მას. „ჩამოიყვანეს?“—„როდის ჩამოიყვანენ?“—ნეტავი როდის?“—ეს გახლავთ ჩვენი ცხოვრების მტკივნეული კითხვები.

თავდაპირველად, როცა ხმა დაირხა „სამასიათასიან ძარცვაზე“, გაქცეული ხაზინადარის საქციელს თითქმის შურით უყურებდნენ.

—„აი, როგორ მოხერხებულად გააკეთა საქმე და გაიპარა: ეძებე ახლა, ან დაეწიე!“ ზოგნი ხარბად, დუჟმორეულნი უყვებოდნენ ერთმანეთს ლეგენდარული ქურდობისა და გაქცევის ყოველ წვრილმანს, ლაპარაკობდნენ გაქცევაზე, დაჭერის შეუძლებლობასა და დასჯის ამაოებაზე.

—„არა, თქვენ მხოლოდ წარმოიდგინეთ: სა-მა-სი ა-თა-სი, სა-მა-სი ა-თა-სი! ეს ხუმრობა ხომ არ არის! მთელი სიცოცხლე უზრუნველყოფილია! რა ეშმაკურად მოიქცა, ნდობა მოიპოვა და შემდეგ თვით მივიდა ბანკის კანტორებში და მთელი ათი ათასობით ბილეთები წარუდგინა გადასახურდავებლად. სრულიად არ შიშობდა, რომ ეჭვს აღძრავდა ქალაქში, სადაც ფულიან ხალხს სახეზე იცნობენ. როგორი გამბედაობაა! რაც გინდათ თქვით და საოცრად ძლიერი ხასიათია! შემდეგ დალაქთან და მთელი ხალხის თვალწინ შეიღება და გარდაიქმნა: არ მოისურვა საიდუმლოდ შეეცვალა გარეგნობა! ახლა, რასაკვირველია, დროს ატარებს ან კონსტანტინოპოლში, ან ვენაში, ანდა პარიზშიც კი, და ჭირსაც ვერ მოსჭამთ!...“

„ბედნიერი“ კაცისკენ იყო მიმართული მთელი ეს ლაპარაკი, რომელიც ივანოვის პიროვნებას თითქმის გმირობას მიაწერდა და რომლის შესრულება ჩვეულებრივ მოკვდავს, რასაკვირველია, არ შეეძლო. იგი თანდათან ლეგენდარულ პიროვნებად იქცა და მისი სახელი ყველას პირზე ეკერა.

და უეცრად—ელვის სისწრაფით მოხდა დეკორაციის ჯადოსნური შეცვლა, რასაც თვით ფორკატიც ვერ გააკეთებდა თავის სიცოცხლეში. ქალაქში უმალ დაირხა ხმა, რომ ივანოვი რიგაში დააკავეს და ფულიც უპოვეს. ცოტაც და გაქცევის, ძებნის და დაჭერის ყოველი წვრილმანი ყველამ კარგად იცოდა.

„გმირი“, რომელიც ჯერ კიდევ გუშინ აოცებდა ბრბოს თავისი „მოხერხებით“, უეცრად ტალახში ჩავარდა. მის მიმართ ყველა ზიზ-

ღით განეწყო. ისინიც კი, ვინც სულ ახლახან აღტაცებული იყო მისი „რისკიანი და მტკიცე ხასიათით".

—რა სულელი ყოფილა,—ამბობდნენ—ვერ შეძლო საქმე კეთილად დაეგვირგვინებინა! რა ეშმაკმა აიძულა ასი ათასი ჩვენი საოლქო შტაბისთვის გამოეგზავნა! ? რაში ჭირდებოდა სამშობლოში, რიგაში განავარდება, სადაც მას ყველა სახეზე იცნობდა? განა ძნელი იყო, პასპორტის ბლანკებით, რომლებიც ხაზინაში უხვად მოიძებნება, საზღვარგარეთ წასულიყო და ბედნიერად ეცხოვრა? სულელი, სულელი! ალბათ ან სუფთა იდიოტია, ანდა ფსიქოპატი და გიჟი!

ახლა ჩვენში გაუთავებელი დავა მიდის: ივანოვი დაბადებიდან სულელი იყო და ამიტომ ჩავარდა, თუ ჯერ ჭკვიანი იყო და მერე უეცრად გაგიჟდა. ამ თემაზე კამათს და მსჯელობას ბოლო არ უჩანს...

ყურადღება მიაქციეთ, რომ სისულელედ და სიგიჟედ ითვლება არა ქურდობა, არამედ კვალის დაფარვის უუნარობა. ის კი არ არის საშინელი, რომ ივანოვმა ხაზინა გაძარცვა და მთელი თავისი ოჯახი გამოუვალ უბედურებაში ჩააგდო. არა, სიბრიყვედ ითვლება ის, რომ ის მოუხერხებელი აღმოჩნდა, დამალულიყო თვითონ და დაეფარა ნაქურდალიც. ის რომ არ ჩავარდნილიყო, არ წასულიყო რიგაში, შეენარჩუნებინა ნაქურდალი, მაშინ იგი ზოგიერთების თვალში ისევ ისეთი „ყოჩაღი" იქნებოდა, როგორიც მაშინ, როცა მისი ქურდობის ამბავი გახმაურდა! ღმერთმა დაგვიფაროს, რომ პოლიციისა და პროკურატურის ძიება დიდხანს გაგრძელებულიყო უშედეგოდ: მაშინ ყველა ხაზინადარისა და მოლარისაგან ნამდვილ გმირობად ჩაითვლებოდა მიბარებული ფულებიანად მიმალვა! სახადივით გავრცელდებოდა ნდობის ბოროტად გამოყენება...

გაპარული ხაზინადარის სწრაფად დაჭერამ ცივი წყალი გადაასხა მომხვეჭელობის ინსტინქტს და გამოაფხიზლა ბრბო. შეახსენა, რომ მორალის კანონები შეურყეველია...

იოლია საკუთარ კაბინეტში ყოფნისას ან ბულვარზე, ტირიფის ან აკაციის ჩრდილქვეშ საუბრისას, მშვიდად იფიქრო, რისი გაკეთება შეიძლება, როცა ჯიბეში სამასი ათასი მანეთი გიდევს. უბედურება და შეცდომა ის არის, რომ ამ საკითხის ირგვლივ მოლაპარაკე ადამიანებს არ ესმით, რომ ასეთი თანხის ფლობა ადამიანის ტვინში იწვევს ძვრებს. მათ განსაკუთრებით არ ესმით ის, რომ „ბედნიერი" ადამიანის ტვინის მუშაობაში გადამწყვეტ როლს ასრულებს ამ ფულის წარმომავლობა. თუ ასი ათასები მას ციდან ჩამოუვარდა—მოულოდნელი მემკვიდრეობით ან ლატარიით, მაშინ მისი მდგომარეობისა და ბედის

მოულოდნელი, ძირეული გარდატეხა იწვევს ბედნიერი კაცის თავბრუდახვევას, რომელსაც შეიძლება მხოლოდ ძლიერმა და მტკიცე გონებამ გაუძლოს. გაიხსენეთ, ყველასთვის სანუკვარმა 200.000 მანეთიანმა მოგებამ ვის მოუტანა ნამდვილი ბედნიერება, ერთი-ორი წელი თავბრუდახვევა, რაღაც გაურკვეველი სიზმარი, შემდეგ კი მწარე და დაუძლეველი სილატაკე, როდესაც აღარა გაქვს შრომისა და ამ შრომითა და საკუთარი თავის ხელში აყვანით ფეხზე დადგომის უნარი... იფიქრეთ, თუ ასეთია იმ ადამიანთა ხვედრი, რომელთაც სიმდიდრე მემკვიდრეობის ან მოგების „კანონიერი გზით" მიიღეს, რაღა დაემართება იმ უბედურთა გულსა და გონებას, რომელთაც ასი ათასი მანეთი ქურდობის ან ბოროტმოქმედების გზით მოიპოვეს? ამ შემთხვევაში ბედის ყოველგვარი მოულოდნელი და მკვეთრი ცვლილებებით გამოწვეული თავბრუდახვევა მწვავდება იმის შიშითა და საშინელი განცდებით, რომ ამ ნაქურდალი ბედნიერებიდან მხოლოდ ერთი ნაბიჯია სატუსაღოსა და შერცხვენის შავბნელ უბედურებამდე... თქვენ კი გინდათ, რომ ამ მდგომარეობაში, ასეთ ციებ-ცხელებაში, ასეთ ყოველწამიერ ცვალებად განწყობილებაში მყოფმა ადამიანმა უცოდველი კაცის ცივი გონების მსგავსად განსაზღვროს თავისი მოქმედება?

ხალხის შეცდომა იმაში მდგომარეობს, რომ ის დამნაშავის მოქმედებას განიხილავს თავისი საკუთარი სულიერი სიმშვიდის პრიზმიდან. ხალხი სრულიად მშვიდად, სარკაზმითაც კი უყურებს, გოროდოვოის და პროკურორებს. და სულ არ ესმით, რა არეულობას იწვევს ბოროტმოქმედთა გონებაში ამ „შურისგების წარმომადგენელთა" არა მარტო ხილვა, არამედ იმაზე ფიქრიც კი, რომ ასეთები არსებობენ. მე და თქვენ კარგად ვიცით, რომ „შურისძიების წარმომადგენლებს" ზოგჯერ ძინავთ, ამთქნარებენ, რომ უფრო მეტს ფიქრობენ როგორ დაუკრან თავი მომავალ უფროსობას, ვიდრე გაქცეული ხაზინადარის დაჭერაზე. ჩვენ ვიცით, აგრეთვე, რომ პროკურორები და გამომძიებლები, სხვა ადამიანების მსგავსად, ბანქოსაც თამაშობენ, ქალებსაც ეთაყვანებიან, კიდეც სძინავთ, კიდეც ამთქნარებენ, თავსაც უკრავენ სხვებს და დღე-ღამეში 24 საათი სულაც არ ზრუნავენ ბოროტმოქმედთა დაჭერაზე. მაგრამ ეს მხოლოდ ჩვენ ვიცით. ბოროტმოქმედი კი, თუნდაც ჯერ თავისუფლად მოსიარულე, რომლის დანაშაული ჯერ არავის შეუტყვია, დარწმუნებულია, რომ ყველა გოროდოვოი, პროკურორი, გამომძიებელი და ყველა უფლებამოსილი პირი დილიდან საღამომდე მხოლოდ იმას ფიქრობს, როგორ დაიჭიროს, ამხილოს და

დასაჯოს იგი, სწორედ იგი და სხვა არავინ. ივანოვი მშვიდობიანადაც რომ გაქცეულიყო საზღვარგარეთ, იქაც კი, კონსტანტინოპოლი იქნებოდა ეს, ვენა, პარიზი თუ რომელიმე პატარა სოფელი, თუნდაც ზულულანდა, მაინც ვერ მოიპოვებდა სულიერ სიმშვიდეს. მთელი მისი აზრი და გონება ჩვენთან იქნებოდა. საქმის არსი პირადად მასშია. ჩვენთან, „დამნაშავის მიუგნებლობის" გამო, საქმეს არქივს ჩააბარებდნენ და ღვთის ნებას მიანდობდნენ. თვით ივანოვს კი ფოთლების შრიალსა და ნაბიჯების ხმაზე ყოველთვის მოელანდებოდა პოლიციელების თანხლებით მომავალი პროკურორი. სწორედ ესაა მიზეზი ასეთ ბოროტმოქმედთა „მცდარი", გაუაზრებელი მოქმედებისა, უმთავრესად სწორედ ამის გამო იჭერენ მათ შემთხვევით, წვრილმანებში...

ასეთი რამ ემართებათ არა მხოლოდ „ბოროტმოქმედთ", არა მხოლოდ ქურდებსა და მკვლელებს. ზემოთ მოყვანილი ანალიზი მოიცავს განურჩევლად ყველა ნიშანს, რომლითაც აიხსნება იმ ადამიანთა სრული უსუსურობა, რომელნიც თავიანთ კეთილდღეობას მდაბალ და უზნეო მოქმედებებზე აგებენ. ასეთებია: მოტყუება, ანგარება, პირფერობა, უზრდელობა და ა. შ. მათ იციან, რამდენად მერყევი და სამარცხვინოა მათი ძალისა და კეთილდღეობის საფუძველი და ამიტომ ეჩვენებათ, რომ სხვებმაც იციან ეს. ამ შინაგანი რწმენიდან გამომდინარეობს მათი ორგანული სისუსტე. მრავალსაუკუნოვანი საბრძოლო ცხოვრებით შობილი ქართული ხალხური ანდაზა გვამცნობს, რომ „ციხე შიგნიდან ტყდებაო". დღევანდელმა მხედართმთავრებმაც კარგად იციან, რომ ციხის აღება შეუძლებელია, თუ არ შეირყა, არ განადგურდა მათი დამცველების მორალი, რომელთა წარმატება უზნეო მოქმედებას ემყარება და ეს მორალი კი არ არსებობს: ამიტომ მათ ადვილად ამარცხებენ ადამიანები, რომელთა მორალი განმტკიცებულია იმ შეგნებით, რომ საქმე, რომელსაც ისინი იცავენ, მართალია...

ხშირად დარწმუნებით ლაპარაკობენ, რომ წინათ უფრო პატიოსნად ცხოვრობდნენ, ვინაიდან სწამდათ საიქიო ცხოვრება და ეშინოდათ საზღაურის. უდაოდ, ეს ნაწილობრივ სწორია: ივანოვის მაგალითზე, ტფილისიდან რიგამდე მისი უაზრო ხეტიალის მიხედვით ჩანს, რომ ეს შიში სრულიად არაა დამოკიდებული წარმოდგენებზე, საიქიო ცხოვრებაზე. „ჯოჯოხეთური განცდები" აქვთ მყარ ათეისტებსაც კი, რომელთაც არ სწამთ არც ეშმაკი, არც ჯოჯოხეთური ცეცხლი. ეს განცდები ბუნებრივი მორალის კანონთა პროდუქტია.

55. საუძმო საკითხავი

ამ დღეებში ქართულ გაზეთებში კვლავ დააყენეს გაცვეთილი, მაგრამ მაინც საინტერესო საკითხი ინტელიგენციის როლის მნიშვნელობაზე. გაზეთმა „ივერიამ“ ამასწინათ (№100) მოათავსა გრძნობიერი და დაჯერებული წერილი: „ფიქრი და შენიშვნა გარეთ-ყოფილისა“, რამაც იმავე გაზეთში იმავე საკითხზე გამოიწვია მთელი რიგი მოწინავე წერილებისა. მიამიტ და ნაცოდვილარ მაკარონიზმებს შორის, რითაც ეს ერთადერთი ქართული გაზეთი ჩვეულებრივ ჩანჩალებს, მოხსენებული წერილი, ცხადია, არ შეიძლებოდა გრძნობის სიახლითა და აზრის გამბედაობით გამორჩეულიყო. მისი მიზანია გაკვრით შეეხოს ქართული ინტელიგენტური საზოგადოების უკანასკნელი თაობების მოღვაწეობას განვლილი ოცდაათი წლის მანძილზე. გამომდინარე სერიოზული ამოცანებისა და მოთხოვნილებების თვალსაზრისიდან, რაც საფუძვლად უნდა ედოს ყოველ განვითარებულ ლიტერატურას, მკაცრი კრიტიკოსი არ კმაყოფილდება თანამედროვე ქართული ბეჭდვითი სიტყვის ზიზილ-პიპილოებითა და ჟღარუნებით, უმოწყალოდ ამათრახებს იგი მის ამოცანათა დაწვრილმანებას, მის ღონისძიებათა უშედეგობას, მისი როლის შემცირებას და, რომ უფრო მკაფიოდ გამოხატოს თავისი მუქი სურათი, კრიტიკოსი იგონებს ქართული ლიტერატურის თანმავალ, ძალითა და ბრწყინვალებით აღსავსე პერიოდს. საბოლოოდ კრიტიკოსი წინადადებას იძლევა დაუბრუნდნენ იმ წყაროს, რომელმაც ძველი ლიტერატურული პერიოდის მნიშვნელობა შექმნა: ამაღლებულ იდეალებს, რომელნიც იმ დროინდელი ქართული მწერლობის მიერ აღებული იყო რუსებისაგან.

ახლად მოვლენილი მწერლის მკაცრი კრიტიკის აღწერილობითი ნაწილი, საერთოდ, უეჭვოდ მართალია, ავტორის სპეციალური თვალსაზრისია, მის მიერ დასახული მიზნის ინტერესებისთვის მართალნი არიან, აგრეთვე, მის მიერ მოწოდებული საშუალებანიც. მაგრამ, არ შეიძლება აქ რამდენიმე შენიშვნა და დამატება არ შემოვიტანო, რაც უმთავრესად გამოწვეულია ჩვენი თვალსაზრისისა და მიზნების სხვაობით.

ჩემი აზრით, მეტად ვიწროა და ცალმხრივი პატივცემული კრიტიკოსის შეხედულება თვით ლიტერატურისა და ინტელიგენციის მნიშვნელობაზე საზოგადოებრივი განვითარების მიმდინარეობაში. მე, მწერალს, უცნაურად მეჩვენება ამის თქმა, მაგრამ არ შეიძლება გაჩუმება, ჩვენ ხომ ღმერთები არა ვართ, რომ ჩვენზე იყოს დამოკი-

დებული მიმართულების მიცემა და ხელმძღვანელობა საზოგადოებრივი აზრის ბედ-იღბლისა, ხალხის გონებრივი ცხოვრება შედგება და იზრდება კიდევ უფრო ძლიერი ფაქტორების გავლენისაგან, ვიდრე ამა თუ იმ მწერალთა ჯგუფის მოღვაწეობაა. უეჭვოა, რომ ლიტერატურა და ლიტერატორები აქ რაღაცას ნიშნავენ, მაგრამ „ივერიის“ კრიტიკოსი მეტისმეტად აფართოებს ამ მნიშვნელობის საზღვრებს. ისტორიაში ცოტა არ ყოფილა წლები, როცა ამა თუ იმ ხალხის ლიტერატურა მთლიანად ჩამკვდარა, მაგრამ ხალხი მაინც იზრდებოდა და მისი გონება მწიფდებოდა, სხვანაირად არც შეიძლება მოხდეს. მადლობა ღმერთს, არა მხოლოდ წიგნები და გაზეთები ჰკვებავენ და ამოძრავებენ საზოგადოების, ხალხის გრძნობასა და გონებას: ეს რომ არ ყოფილიყო, ნამდვილად თვითნებურად იქნებოდა შესაძლებლობა ისტორიული პროგრესის მიმდინარეობის შეცვლისა. თუ მხოლოდ ფამუსავისებურ რეცეპტს მივყვებოდით: „მოკრიბო ყველა წიგნი და დაწვა“, ან სკალოზუბისებურს: „წიგნებს კი ისევ შეინახავენ დიდმნიშვნელოვან შემთხვევებისათვის“. საზოგადოებისა და ხალხის შეგნებასა და გულზე მოქმედებს არა ლიტერატურა, არამედ ცხოვრების მოვლენათა ერთობლიობა. როცა ლიტერატურა საზოგადოების კილოს აიღებს, მისი სიტყვები და მისწრაფებები შეეთანხმება საზოგადოების საჭიროებას და ფიქრებს. ო, მაშინ, რასაკვირველია, ძლიერია მისი მნიშვნელობა და საოცარია მისი დიდება. ასეთ შემთხვევებში უნიჭო ლიტერატურაც კი პოულობს პირდაპირ გზას თავისი საზოგადოების გრძნობებისა და შეგნებისაკენ. მაგრამ, არსებობს სხვა პერიოდებიც ანუ მდგომარეობაც, როცა დიდად ნიჭიერთა და გონიერთა მოღვაწეობა, როგორც ტალღები კლდეზე, ისე იმსხვრევა საზოგადოების მთელემარე უმოქმედობაზე. ვიმეორებ, საზოგადოების განწყობილება, მისი დიდი თუ მცირე თავგზიანობა, თანამბრძოლობა მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული, რომელთა შორის ლიტერატურას ერთი უუკანასკნელესი ადგილთაგანი უპყრია. ამის გამო, ყოველი პერიოდის ლიტერატურას შეიძლება მხოლოდ ერთი ბრალი წაეყენოს: მისწვდა თუ არა იგი სწორად, შეუმცდარად თავისი საზოგადოების საჭიროებებსა და მისწრაფებებს და ემსახურებოდა თუ არა იგი ამას ერთგული შეფარდებითა და გამონაშუქით. ხოლო ყველა აზრი იმაზე, თითქოს, მწერლებს გინდაც ისინი ზეგენიალურნი იყვნენ, შეუძლიათ თავის საზოგადოებას თავზე მოახვიონ რაიმე იდეალები და მისწრაფებანი, მე კი ვთვლი, რომ,—ან საუბედუროდ,—დიდი ხანია საჭიროა კაცობრიო-

ბის ცხოვრების ბავშვობის დროის მოძველებული ცრურწმენები და ცდომილებანი არქივში გადაიყაროს. მეტად დიდია და საპატიო ბეჭდვითი სიტყვისა და ლიტერატურის ნამდვილი როლი: სწორ ფოკუსში და წესიერად გასხივებული ასახოს თავის დროისა და თავისი საზოგადოების ტიპიური, გავრცელებული საჭიროებანი და მისწრაფებანი, იყოს გულწრფელი გამომსახველი საზოგადოებრივი აზრის, ღმერთმა ქნას, რომ ბეჭდვითმა სიტყვამ მოახდინოს მოვლენების სინთეზი და აჩვენოს გზა და მიმართულება. სიტყვას ყოველთვის და მისი განვითარების ყველა პერიოდში ყოფნოდეს ტალანტები ამ მისთვის ბუნებრივი დანიშნულების სინდისიერად შესრულებისათვის, რაც მის ძალას შეადგენს. სხვაგვარი ამოცანების მისთვის თავზე მოხვევა ნიშნავს არა მხოლოდ მის დავიწყებისათვის განწირვას, ბუნების სანინააღმდეგო ჭინთვად ქმედებას.

თანამედროვე ქართული ლიტერატურა იმით კი არაა ავად და ძაბუნად, რომ რუსული ლიტერატურის მითითებებსა და გაკვეთილების გზას გადაუხვია, როგორც კრიტიკოსი ფიქრობს, ახლანდელ ვითარებაში იგი სხვა დროზე უფრო მეტად არის ერთგული რუსული ლიტერატურის მითითებებისა. სწორედ ამისათვის იზიარებს იგი იმ ხვედრს, რაც ამ უკანასკნელს ერგო წილად. ორივე ეს ლიტერატურა—ქართულიცა და რუსულიც ახლა ეწამებიან არა იდეალის უქონლობისა და დამცირების გამო, არამედ პირიქით. მისი ზედმეტად ამაღლებით, რაც მიუწვდომლობისა და აღმაფრენის ზღვარამდე ადის. მათი მოღვაწენი,—აქაც და იქაც,—ოცნებისა და ფანტაზიის სამყაროში ფრენენ, სადაც მათ ვერ მისწვდება თანამედროვე საზოგადოება, რომელსაც არ დაუკარგავს მისი დამთრგუნველი სინამდვილის შეგნების უნარი. უეჭველად კეთილშობილი და დიდსულოვანნი არიან ეს ოცნებანი, მაგრამ მკითხველი საზოგადოების შეგნებამდე, მის სისხლსა და ხორცამდე ვერ მისულან და არცთუ მალე მივლენ. ორივე ლიტერატურა ამიტომ გაიყარა თითოეული თავის თავზე ფიქრებითა და განწყობილებებით. ამაში და არა სხვა რამეშია საძიებელი ახსნა ამ ორივე მწერლობის ღონისძიებათა უბედურებისა, ერთი და იგივე ორგანული ავადმყოფობით რომ დასნეულებულან...

მეორე მხრით, ჩვენი კრიტიკოსი მხედველობიდან უშვებს ერთ მეტად არსებით გარემოებას—იგი ჩავარდა სრულიად გასაგებ და ბუნებრივ ცდუნებაში, რომელიც მუდმივად მბრძანებლობს ადამიანის გონებაზე—სული მოიოხოს თავისი ახალგაზრდობის დღეების გახსე-

ნებით, რომ მასში ნახოს განსვენება თანამედროვე სურათების უსიამოვნებათაგან. მაგრამ, ადამიანის ბუნების ეს თვისება წარმოშობს არა ფხიზელ ჭეშმარიტებას, არამედ მხოლოდ ილუზიებსა და მირაჟებს. პირადად ჩემთვის, როგორც კრიტიკოსის მიერ შექებული ქართული ლიტერატურის ერთ-ერთი მოღვაწისათვის, რასაკვირველია, მხოლოდ სასიამოვნო უნდა ყოფილიყო მის მიერ გამოტანილი მსჯავრი. მაგრამ მასში ბევრი არაა სიმართლე, რასაკვირველია, საქმე მოღვაწეების ნიჭში კი არ არის, არამედ მათი შრომის მიმართულებაში. ძველად მტკნარ უნიჭოებსაც დიდი გავლენა ჰქონდათ და ბევრი სარგებლობა მოჰქონდათ, ვიდრე თანამედროვეობის ნიჭიერ ადამიანებს, მხოლოდ იმისათვის, რომ ისინი ერთგულნი იყვნენ ლიტერატურის დანიშნულებისა: აესახათ, გაეშუქებინათ სინამდვილე. ნაწილობრივ მათი მოღვაწეობისა, მილიონჯერ უფრო მეტად ცხოვრების საერთო მსვლელობის წყალობით, ქართველი მკითხველი საზოგადოება—როგორც ჩვენი დროის რუსულიც, გაიზარდა შედარებით მასთან, რასაც წარმოადგენდა ჩვენი საზოგადოება მეოთხედი საუკუნის უკან. რომელ მაშინდელ მკითხველს არ ახსოვს, რომ თითოეულ ნაბეჭდ სტრიქონს სახარების სიტყვებით ყოველგვარი კრიტიკის გარეშე ნდობით იღებდა? ცხოვრების მოვლენებმა, საბედნიეროდ, წინანდელი მკითხველების ეს ნდობა ქარს გაატანა. ახლანდელი უფრო დამოუკიდებლად სჯის წაკითხულის შესახებ. ლიტერატურას ევალებოდა, თავისი საზოგადოების განვითარების პარალელურად, გაზრდილიყო, მაგრამ ამ უკანასკნელმა გაასწრო. ეს ყველასათვის, ვისთვისაც კი ძვირფასია საზოგადოებრივი განვითარების ინტერესები, უდიდესი და უალრესად დამამშვიდებელი შედეგია. ჩვენ—ლიტერატორები, ჟურნალისტები, მოხარულნი უნდა ვიყოთ ამ შედეგისა, განა რა პტენაა, რომ პირადად ჩვენ საზოგადოება აღარ გვიცქერის როგორც არამიწიერ ქმნილებებს, როგორც ისეთ არსებებს, რომელთა სიტყვა წმინდა ჭეშმარიტებაა? იმ დროში ერთი შემთხვევითი ავტორიტეტი, ისე როგორც ადრინდელები, მეორეს ცვლიდა ბრმად მინდობილი საზოგადოების თვალში და არა შეგნებაში. ახლა კი, უკვე ავტორიტეტებში კი არაა ძალა, არა მათ გავლენაში, არამედ ყოველდღიურად რიცხობრივად მზარდი საზოგადოების დამოუკიდებელ გონებრივ შრომაში, რომელშიც ჩავარდა და რომლიდანაც ამოიზარდა კრიტიკული აზრის თესლი. ისტორიული პროგრესის საერთო მიმართულებამ ჩვენს დროს

დღის წესრიგში დაუყენა მხოლოდ ერთი არსებითი იდეალი—თანამედროვე საზოგადოებაში აღზრდა გონებრივი დამოუკიდებლობით. და თუ ამ პროგრესის წარმატებითი განვითარების ყოველწამიერი გამომჟღავნებული მტკიცებების გამო, ქართული და რუსული ლიტერატურის თანამედროვე მოღვაწეთა როლი უბადრუკად, უღონოდ, მკრთალად გამოიყურება, ეს სხვა არა არის რა, თუ არა წარმავალი მოვლენა, რომელიც არ წარმოადგენს არავითარ სერიოზულ საშიშროებას. ცხოვრება იზრდებოდეს, საზოგადოება ვითარდებოდეს და, დამერწმუნეთ, ლიტერატურა ძალაუნებურად მოვალე იქნება ეწეოდეს თავის საზოგადოებას, ყოველ შემთხვევაში, დგებოდეს მისი გონებრივი ზრდის დონეზე. ეს მტკივნეული და უსიამოა მხოლოდ ლიტერატურის ჩამორჩენილ და გაყინულ მოღვაწეთათვის, რომელნიც განწირულნი არიან არქივში აუცილებლად გადაცემისათვის. მაგრამ ლიტერატურა, თავისთავად, აუცილებლად განახლდება, რაკი საზოგადოებაში ქორფა ჯეჯილი შეიმჩნევა.

ამიტომაა ცალმხრივი ჩვენი კრიტიკოსი, ჩვენი და დედაქალაქების ინტელიგენციის მისწრაფებათა ერთიანობას რომ აღიარებს. საერთოდ, ძირითადში, უეჭველია, რომ ქართული და რუსული ლიტერატურის იდეალები ძირითადში თანხვდენილია, მაგრამ, აქედან იმ საკითხთა სრულ თანხვედრამდე, რომელნიც ბეჭდვითი სიტყვის მსჯელობას ექვემდებარება და მისწრაფებამდე, რომელიც უნდა ხელმძღვანელობდეს ამა თუ იმ ქვეყნის ინტელიგენციას—დიდი განსხვავებაა. რუსულ ლიტერატურასა და ინტელიგენციას ეპატიებათ სდიონ უფრო დიდ საერთო და ძირითად ამოცანებს, ვიდრე შეუძლიათ და უნდა აკეთოს ეს ქართულმა. პრაქტიკულად ქართველი მოსახლეობის საჭიროებანი და მოთხოვნილებანი,—რომელთაგანაც ქართული ლიტერატურა დაუსჯელად ვერ დაიხევს, თუკი მას თავის საზოგადოებაზე გავლენა რაიმედ მიაჩნია,—სრულიადაც ისეთი არაა, რაც რუსული საზოგადოების საჭიროებანი და მისწრაფებანი, განსაკუთრებით სატახტო ქალაქებში. ის სიფაქიზე და განყენებულება, რაც გასაგებია და სასურველი რუსული მკითხველისათვის სატახტო ქალაქებში ჯერჯერობით ხელმიუწვდომელია პრინციპული რუსული მკითხველისათვის და, მაშასადამე, ქართველისთვისაც. „კმა არს დღისაი,—და ადგილსაიც.—მის სიბოროტეი თჳსი“.

აი, ყველაფერი არსებითად, რაც გვინდოდა გვეთქვა განხილული კრიტიკული წერილის გამო, რომლის გამოჩენა ქართულ ბეჭდვით სიტყვაში, მიუხედავად ზოგიერთი უთანხმოებისა, არ შეიძლება არ ვაღიაროთ სასიხარულო მოვლენად, რასაც უეჭველად მოჰყვება სარგებლობა ქართულ ინტერესთა განსავითარებლად.

56. საუძმო საკითხავი

არასასიხარულო, მაგრამ ჭკუის სასწავლებელ ფიქრებს იწვევს „კავკასიის იურიდიული საზოგადოების“ წევრთა ექსტრენული კრება, რომელიც მიმდინარე წლის 27 მაისს გაიმართა. შეიძლება თქვენ არც კი იცოდეთ, რომ ჩვენში, თბილისში არსებობს ამგვარი საზოგადოება: იგი იშვიათად გვახსენებს თავს და თავის მოღვაწეობით უმნიშვნელო კვალს ტოვებს „თანამედროვეთა და შთამომავალთა მადლიერ მეხსიერებაში“. თურმე საზოგადოება არსებობს, თუ სინამდვილეში არა, უკიდურეს შემთხვევაში ქაღალდზე მაინც...

იურისტები კი, როგორც თქვენთვის ცნობილია, ყოველთვის უფრო დიდ მნიშვნელობას აქცევენ საქმის ფორმალურ მხარეს, ვიდრე მის ცხოვრებისეულ არსს. ჩვენს ძმას კი, ჩვეულებრივ მოკვდავს, სოლიდური ნიშნები და დამაჯერებელი საფუძველი აქვს იფიქროს, რომ სინამდვილეში არავითარი „კავკასიის იურიდიული საზოგადოება“ არ არსებობს, არ არსებობდა და არც შეიძლება არსებობდეს. თუ რატომ, ამას ქვემოთ დაინახავთ. იურისტებისათვის ცხოვრებისეულ მოვლენას მნიშვნელობა საერთოდ არა აქვს. ეს არის მათი ძალაც და უძლურებაც. მათთვის საკმარისია, რომ არსებობს წესის მიხედვით შედგენილი წესდება, რომ ამ წესდებას ჯერჯერობით არ დაუკარგავს თავის ლეგალური ძალა, რომ საერთო კრების მოწვევისა და მმართველობის არჩევის პროცედურა დაცულია... ეს კი იმას ნიშნავს, რომ საქმე კარგად მიდის და „იურიდიული საზოგადოება“ არსებობს... ეს მსოფლაღქმა, რომელიც ფიქციებსა და პირობითობებს ეფუძნება, ბევრ სიკეთესა და თავის მანუგეშებელ მდგომარეობას უქმნის ისეთ ნატურებს, თავიანთ ნერვებს და სულიერ სიმშვიდეს რომ უფრთხილდებიან. თუ მას მიჰყვები, შეგიძლია შენი ცხოვრება სრულიად უმტკივნეულოდ და უდარდელად გაატარო, მშვიდობიანი ურთიერთობა გქონდეს ადა-

მიანებთანაც და საკუთარ სინდისთანაც, რათა ირგვლივ ფიქციების საწინააღმდეგო არაფერი ხდებოდეს. მაგრამ უბედურება ის არის, რომ ყველას არ შეუძლია იოლად ინუგეშოს თავი...

ჩემთვის, მაგალითად, „იურიდიული საზოგადოების" რეალური და მოჩვენებითი არსებობა სრულიად არ აუქმებს სიცხადეს. რეალური ცხოვრების ფაქტები ყოველდღიურად გვარწმუნებს, რომ ქალაქში, სადაც რამდენიმე ასეული ადამიანია, რომელთაც უმაღლესი იურიდიული განათლება აქვთ მიღებული და რომელთაც თავიანთი ცხოვრება სამართლის სხვადასხვა ასპარეზზე მოღვაწეობას მიუძღვნეს, აქამდე ვერ შეძლეს თავიანთი ცენტრის გამოცოცხლება, სადაც ეს პირები დასვენების დროს შეიკრიბებოდნენ და ერთმანეთს გაუზიარებდნენ თავიანთ შთაბეჭდილებებს და გაუგებრობებს. 27 მაისის საერთო ექსტრენულ კრებაზე, კავკასიის იურიდიული საზოგადოების თავმჯდომარემ ვ. ა. ანდრეევმა სინამდვილეში განაჩენი გამოუტანა თავის „საზოგადოებას", როცა განაცხადა, რომ მისი წევრები უკვე სამი წელიწადია არ შეკრებილან. გარდა ამისა, მიაქციეთ ყურადღება შემდეგ გარემოებას: საზოგადოების დამაარსებელი და თავმჯდომარე ახალ თანამდებობაზე განამწესეს და თბილისის დასატოვებლად ემზადება. გამოთხოვების წინ მან მოუხმო თავის თანაწევრებს და მის ძახილზე მხოლოდ 18 კაცი გამოცხადდა. თბილისში მცხოვრებ 24 ნაფიც ვექილთაგან კრებაზე გამოცხადდნენ ა.ს.ფრენკელი და პ.პ. ხლებნიკოვი: „მხოლოდ ორნი, მხოლოდ ორნი", როგორც მღერიან აიაქსები „მშვენიერ ელენეში". განა ეს არ ამტკიცებს, რომ „ჩვენი საზოგადოების განათლებულ ფენას" არავითარი მოთხოვნილება არა აქვს ჰქონდეს გონებრივი ცენტრი და რომ „კავკასიის იურიდიული საზოგადოება" სხვა არაფერია, თუ არა მკვდრადშობილი დაწესებულება, რომელიც არ პასუხობს თავის სპეციალური ფენის არავითარ რეალურ საჭიროებას და მოთხოვნილებას.

მე უკვე აქედან ვხედავ „იურიდიული საზოგადოების" საპატიო მდივნის ფ. ა. ბიკოვის აღშფოთებულ სახეს.

როგორ—შემაწყვეტინებს იგი—თქვენი აზრით, „იურიდიულ საზოგადოებას" არ ჰქონდა მიზანი? ე. ი. არ იყო რეალური საჭიროება, რის დაკმაყოფილებაც საფუძვლად დაედო „საზოგადოების" დაარსებას? გარდა ამისა, ყველა ის „ცხოვრებისეული საკითხები", ყოველ წუთს რომ აყენებს კავკასიის ორიგინალური ყოფის სამართლებრივი ურთიერთობანი, ჩვენი აზრით, ყველაფერი ეს საჭიროება არ არის?

იმის შედეგად, რომ „საზოგადოების“ მოღვაწეობას აქამდე არ მოუტანია ხელშესახები სარგებლიანობა და არ განვითარდა ისე, როგორც საჭირო იყო, არ უნდა დავასკვნათ, თითქოს ყოველთვის ასე იქნება. მოვლენ ახალი მოღვაწენი, უფრო ცნობისმოყვარენი, უფრო გულმოდგინენი, ვიდრე ყავლგასული მოღვაწენი არიან და მათ „იურიდიული საზოგადოების“ სახით ეყოლებათ მზა კადრი, სადაც მთელი ძალით გაიშლება კავკასიის იურისტების გონებრივი შესაძლებლობანი.

უდაოა, რომ ყველაფერი ეს წმინდა ჭეშმარიტებაა. დიახ, გასული ოცწლეულის მანძილზე კავკასიის ცხოვრება აყენებდა უამრავ რთულ და საინტერესო საკითხებს სამართლის მეცნიერების თვალსაზრისით და გადაწყვეტის ღირსნი იყვნენ. დიახ, თვით მეცნიერება შეიძლებოდა გამდიდრებულიყო, სათანადოდ რომ შეესწავლა და გაეშუქებინა ჩვენს მხარეში არსებული სამართლებრივი წესები და ურთიერთობანი. დიახ, ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში „იურიდიულ საზოგადოებას“ ჰქონდა შესაძლებლობა დაეტოვებინა ღრმა და წარუშლელი კვალი, „წმიდა მოძღვრების სიმართლით“ და მეცნიერების კაშკაშა სინათლით რომ გაეშუქებინა ადგილობრივი ცხოვრების გამოუკვლეველი და დახლართული საკითხები. ამით იგი დაუვიწყარ და ღირსეულ სამსახურს გაუწევდა, როგორც ჩვენს მხარეს, ასევე მთავრობასაც, რადგან ამ უკანასკნელის კანონმდებლურ სამუშაოებს მკაცრ მეცნიერულ მასალას მიაწვდიდა... არანაკლებ სწორია ისიც, რომ სასამართლოსა და ადმინისტრაციული დაწესებულებების ყველა სერიოზული მოღვაწისათვის, რომელთაც ცხოვრებაში უმაღლესი რიგის მიზნის მიღწევა აქვთ დასახული, ასეთი ცენტრი ყოველთვის იქნებოდა მორალური სიწმინდისა და სიმტკიცის წყარო: აქ ყველას შეეძლებოდა გამხნევებულიყო, გადახალისებულიყო, რამე ესწავლა იმ ამხანაგებთან ურთიერთობაში, რომლებიც ცალ-ცალკე მსახურობენ სხვადასხვა სფეროში, მაგრამ მაინც ერთ საქმეს და ერთ მიზანს ემსახურებიან—სამართლებრივ წესრიგს და კანონის ზეიმს. ყველაფერი ეს ასეა, მაგრამ არაფერი ამდაგვარი არ მოხდა, დამეთანხმეთ, ყველა ეს მშვენიერი ოცნება და იმედი აღუსრულებელი ილუზიების უძირო უფსკრულში დაინთქა. არც ერთი მისი წევრი არ უარყოფს, რომ წარსული დროის მანძილზე „იურიდიულმა საზოგადოებამ“ ნაყოფი ვერ გამოიღო, ამავე დროს არავინ არ ამტკიცებს, რომ მან გაამართლა თავის დანიშნულება მემილიონედად მაინც. მაგრამ პ.პ. სოკოლოვი და პ.ა. ხლებნიკოვი წარსულის დანაკლისს შემთხვევითი გარემოებებით ხსნი-

ან—„სისხლნაკლულობით“, წევრთა რიცხვის სიმცირით, ჩვენს მხარეში იმგვარი წმინდა მეცნიერების არ არსებობით, როგორებიც, ვთქვათ, არიან სამართლის პროფესორები. მე მგონი, ისინი ყველაფერ ამას მცდარად ხსნიან, უნაყოფობის ფესვი უფრო ღრმადაა გადგმული. ვფიქრობ, სერიოზულად იმის მტკიცება, რომ იურისტები, და განსაკუთრებით მოსამსახურეები, ისე არიან დატვირთული თავიანთი პირადი მოვალეობებით, რომ არ შეუძლიათ მთელი წლის მანძილზე „საზოგადოებას“ ორი-სამი საათი დაუთმონ, ძნელი დასაჯერებელია და ცხადია, ეჭვს იწვევს. გარდა ამისა, არიან მოსამსახურე იურისტები, თავის ნებით რომ გადიან პრაქტიკას და ისეთებიც, საქმე რომ არაფერი აქვთ ამ ქვეყანაზე. მათ ვიღა უშლის ხელს, შეიკრიბონ და ერთად იმუშაონ? არა, ახსნა ადამიანებში, მათ კეთილ ნებაში არ უნდა ვეძებოთ. საუნივერსიტეტო ცენტრებშიც და დედაქალაქებშიც არსებული „იურიდიული საზოგადოებები“, მიუხედავად „იურიდიული ძალების“ სიუხვისა, ძლივს მიათრევენ დღეებს და წლებს და იმაზე შესამჩნევსა და ნაყოფიერს არაფერს აკეთებენ, რასაც აკეთებს თბილისის აგონიაში მყოფი „საზოგადოება“. შეიძლება მხოლოდ მოსკოვის „იურიდიულმა საზოგადოებამ“ დასტოვოს ცხოვრებაში კეთილი სურვილებისა და განზრახვების კვალი... ამგვარად, არსებობს, უნდა არსებობდეს რაღაც ძირითადი, ორგანული მიზეზები, ყველა საზოგადოების „იურიდიულ ძალებს“ რომ ადამბლავებს, უნაყოფოს ხდის და ხდიდა მათ არა მარტო წარსულში, არამედ მომავალშიც. რა იწვევს ამ მიზეზებს?

მე ვფიქრობ, „ცხოვრების ერთიანობის“ იმ ძირითადი კანონების პირწმინდად დავიწყება, რაც უნაყოფობის ბეჭედს ასვამს ცალკეული და ცალმხრივი გაუმჯობესებების დანაწევრებულ ცდებს. თუმცა გ. ხოსროევი ამტკიცებდა სასამართლოში, რომ იგი, ემზადება რა გახდეს იურისტი, ბეჯითად სწავლობს ფილოსოფიას და უამრავ ფულს ხარჯავს კანტის თხზულებათა შესყიდვაზე (სხვა ფილოსოფოსები მას არ დაუსახელებია, ჩამოთვალა მხოლოდ კომპილატორთა გვარები), მაგრამ საჭიროა სიმართლე ითქვას, საერთოდ, ჩვენი იურისტები მოისუსტებენ ფილოსოფიის დარგში. ამიტომ ძალზე ძნელია მიხვიდე „მიზეზთა მიზეზის“ საერთო წარმოდგენამდე. ცხადია, მე ვლაპარაკობ არა მხოლოდ აქაურებზე, არამედ მთელი რუსეთის იურისტებზე. სამწუხაროდ, მთელი ჩვენი იურიდიული განათლება რომ არ იყოს დაყვანილი მხოლოდ და მხოლოდ სამოქალაქო და სისხლის სამართლის კო-

დექსებისა და სასამართლო წარმოების შესწავლამდე, ჩვენს უნივერსიტეტებში რომ „სამართლის ენციკლოპედიას“ საჭირო სისრულით ასწავლიდნენ, მაშინ ჩვენს იურისტებს შესანიშნავად ეცოდინებოდათ, რომ ისინი მხოლოდ ანომალია არიან დღევანდელ ცხოვრებაში. ეს სამყარო განცალკევდა 1864 წლის დიდი სასამართლო რეფორმის წყალობით და მისი მოღვაწეობა, როგორც თვით მისი არსებობა, განუყრელადაა დაკავშირებული იმ დაწესებულებების ბედთან, რომლებიც ცხოვრებაში ამ რეფორმამ გამოიწვია. სასამართლო რეფორმის ძირითადი პრინციპები, თავისთავად რომ უზადოდ იდეალურია, ჩვენს სინამდვილეში, მთელს ჩვენს ცხოვრებაში შეხების ძალზე ცოტა წერტილებს ნახულობენ... ახლა სასამართლოს ძალზე ცოტა მოსამსახურეზე შეიძლება ითქვას, რომ ეს პრინციპები სისხლსა და ხორცში აქვთ გამჯდარი. სასამართლო მოღვაწეთა უმრავლესობა, საერთოდ ყველგან და, მიუხედავად უნივერსიტეტის დიპლომისა, წარმოადგენენ იმ ძველ ტიკებს, რომლებშიც ახალი ღვინოა ჩასხმული. თუმცა მათი უბედურება არც ამაშია. კარგი და მაგარი ღვინო ბოლოს და ბოლოს თავის თავზე მოირგებს ყოველგვარ ტიკს. სამწუხაროდ, იურიდიული სამყაროს მიღმა ყველა და ყველაფერი მოქმედებს და აზროვნებს იმ პრინციპების საფუძველზე, არავითარ ჰარმონიაში რომ არაა იურისტების სამყაროსთან და სასამართლოს რეფორმის ძირითად პრინციპებთან. პირიქით, საზოგადოებრივი ჩვეულებანი, წესები, ცნებანი მკვეთრად საწინააღმდეგოა იმ იდეებისა, რომლებზედაც აღიზარდნენ და რომლებითაც უნდა იხელმძღვანელონ ჩვენმა იურისტებმა. ჩვენი ცხოვრების საერთო, ნაცრისფერ ფონზე, ყველა მის ჩვეულებრივ ამონაყარს შორის, უეცრად გაიფურჩქნა სასამართლო რეფორმის დიდებული და სურნელოვანი ყვავილი და იგი დაჩრდილავდა ძველი, უკულტურო თესლის ამონაყარს, თუ მას დარჩრდილავდნენ. ადამიანის ნებისყოფის გარდა, აქ დაპირისპირებული ორი სამყაროსა და ორი პრინციპის არსი, ერთმანეთს რომ გამორიცხავენ, უნდა წარმოშობილიყო იმისაგან განსხვავებული არსებობისათვის, რაზედაც პ.პ. სოკოლოვი ლაპარაკობდა. ტყუილად ფიქრობენ ჩვენი იურისტები, რომ ეს ბრძოლა მხოლოდ რამდენიმე წლის წინათ დაიწყო, რომ მ.ნ. კატკოვის ჭირვეულობის ბრალია: ბრძოლა რუსეთში დაიწყო რეფორმის ჩატარების მეორე დღიდანვე და ემსახურება მთელი ჩვენი ცხოვრების იმ დანარჩენი მხარეების ცნებების, დამოკიდებულებების, ჩვეულებების სიცოცხლისუნარიანობას, რომელთაც 1864 წლის დიდი რეფორმა არ შეხებია. ეს მხარეები სასამართლო რეფორმის, სასამარ-

თლოსა და სასამართლოს მოხელეთა წინააღმდეგ კი არ იბრძვიან, არამედ თავის არსებობისათვის, რადგან ბუნების საერთო კანონებისათვის წარმოუდგენელი და მიუღებელია, რომ ცხოვრების ერთი რომელიმე მხარე ეფუძნებოდეს და ვითარდებოდეს ერთი ძირითადი პრინციპის მიხედვით, დანარჩენები კი მისი საწინააღმდეგო პირინციპის მიხედვით. ესაა ცხოვრების მთლიანობისა და ერთიანობის ბუნებრივი და გარდუვალი კანონების შედეგი, ერთადერთი კანონებისა, რომლებიც მხედველობიდან გამორჩათ ჩვენს ნაფიც სამართალმცოდნეებს. ძნელია, რა თქმა უნდა, იმის გათვალისწინება, ბოლოს და ბოლოს რომელი მხარე გაიმარჯვებს. იმედი მაქვს, თქვენ ეჭვი არ გეპარებათ, რომ ჩემი პირადი სიმპათიები სასამართლო რეფორმის კულტურული პრინციპების მხარეზეა. მაგრამ საქმე ახლა ეს კი არ არის, არამედ ის, რომ თვით ამ პრინციპებისა და მათი დროებითი მატარებლების, ჩვენი იურისტების კეთილისმყოფელი როლისათვის აუცილებელია, ეს უკანასკნელნი არ შეიბოლნონ სუფთა სასამართლო მოვალეობების სპეციალურ სამყაროში. მათ უნდა ჰქონდეთ ურთიერთობა გარე სამყაროსთან, ხელი უნდა შეუწყონ მის პროგრესს, მის გაუმჯობესებას, წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს გარე სამყარო, რომელიც დაკავშირებული არ იქნება სასამართლო რეფორმის სიკეთესთან, ადრე თუ გვიან დაჩრდილავს მის კეთილ ამონაყარს და დაიმონებს, არარად გადააქცევს მის მოღვაწეებს. ჩვენს „იურიდიულ საზოგადოებებს თავიანთი მოღვაწეობისათვის საფუძვლად რომ დაედოთ სწორედ ამ პრინციპებისა და სამართლის მოძღვრების უწყვეტი ზემოქმედება ყველა სხვა სფეროსა და მოვლენებზე, მაშინ ამგვარი საზოგადოებების როლი კეთილმყოფელი იქნებოდა, მათ მიმართ სიმპათიურად განეწყობოდა ხალხი და სხვა წარმატებებიც ექნებოდა. მაშინ „იურიდიული საზოგადოებები“ იმასთან ერთად, რომ ხელს შეუწყობდნენ თავიანთი თანაწევრების მომზადების გაუმჯობესებას, ხალხში, აგრეთვე, გაავრცელებდნენ რეფორმის პრინციპების რეალურ ზეგავლენას და ამით ნელ-ნელა იხსნიდნენ მას ყოველგვარი გავლენისაგან, იმ ძალების შემოტევისაგან, მის მიმართ რომ მტრულად არიან განწყობილნი.

ახლა კი ვის აინტერესებს ჩაებას იურიდიულ შეხლა-შემოხლაში არაფრისათვის, რასაც ადგილი აქვს „იურიდიულ საზოგადოებებში“ იმ პირთა შორის, რომლებიც მხოლოდ თავის გადარჩენაზე ზრუნავენ? ეს იურისტების სპეციალური თვალსაზრისითაც კი არ არის კამათი. მათ არ ესმით, რა გამოიწვია მუჰამედ II-ის მიერ ალყაშემორ-

ტყმული ბიზანტიის დედაქალაქის მოედნებზე ბერების სიტყვიერმა შეხლა-შემოხლამ. ამ მდგომარეობაში სამოქალაქო პირთა შორის, სერიოზულ ადამიანებს შორის ვის მოუვა აზრად ცრუ სიბრძნეს მიუდგეს, ნვრილმანებსა და დეტალებს გამოეკიდოს, როცა სინამდვილემ დღის წესრიგში ცხოვრებისეული საკითხები დააყენა?...

57. საუძმო საკითხავი

უცნაური კარიერა
(ახალგაზრდობის მოგონებები)

1.

...ოცდათხუთმეტი ნლის წინ ჩვენს ქალაქში ელვის სისნრაფით ვრცელდებოდა ცნობა ნებისმიერი ადამიანის დაპატიმრების შესახებ: თითქოს მიწისძვრა მოხდაო. არა ისე, როგორც ახლა, იგივე პიროვნების მოულოდნელი სიკვდილი ალბათ ისე არ ააღელვებდათ, როგორითაც ჩურჩულებდნენ მისი დაპატიმრების შესახებ. იშვიათი მოვლენა გახლდათ ეს იმ შორეულ წარსულში...

იმ დროს მე ჯერ სრულიად ბავშვი ვიყავი. ძლივს ვარჩევდი სტუმრებისა და ახლობლების საუბარს. აბროს დაპატიმრების შესახებ და მხოლოდ მათი სახის გამომეტყველების გამო მეც საშინელი გრძნობით ვიმსჭვალებოდი. არ მესმოდა არსებითად რას ნიშნავდა ციხე, მაგრამ ვიცოდი, რომ ის გაცილებით უარესი იყო, ვიდრე სიკვდილი და დასაფლავება. და რომ ციხეში მოხვდა სწორედ ის ბედოვლათი, რომელიც თითქმის სამრეკლოს სიმაღლისა იყო და, რომელიც წინა კვირას ეკლესიის გალავანში ყოფნისას, სულ ჩემს ლამაზ წუღებსა და მამაჩემის ჩექმებს უყურებდა. მას ისეთი უცნაური, მოუსვენარი თვალები ჰქონდა, მისი მზერა საგანიდან საგანზე ისე ხტოდა, რომ მე შიშით ჩავეჭიდე დედის ქათიბს. გამოდის, ის დააპატიმრეს...

შემდეგ ამბობდნენ, რომ მან თავი დაიღუპა, ე.ი. დაიხრჩო, და მე მეჩვენებოდა, რომ აბრო მართლა გადავარდა რიონში. არ ვიცოდი, რომ ეს სიტყვები ხატოვნად ნიშნავდა თავის განადგურებას. შემდეგ გაირკვა, რომ ქალაქის პოლიციაში გადამწერად მუშაობის დროს, იმ პოლიციაში, რომლის აბრა არ განახლებულა დაარსების დროიდან და დრომ მხოლოდ ორი წინა ასო წაშალა,—აბრომ მიითვისა სახელმწიფო ფული და რაღაც ფურცლები ამოხია...

2.

ალბათ დიდხანს გრძელდებოდა ეს საქმე, რომლის შესახებ ჩვენში შეწყდა ლაპარაკი. მაგრამ, უკვე გიმნაზიაში სწავლის დროს, მე კვლავ ვნახე აბრო ჩვენს სახლში. იგი შემოვიდა ჩვენთან, ძველებურად ისევ იატაკს ჩაჰყურებდა და რაღაცისთვის მადლობას უხდიდა მამაჩემს და ხელზე ეამბორებოდა. მისი სიტყვებიდან და შემდეგდროინდელი საუბრიდან მივხვდი, რომ ნათესავებისა და მფარველების მეცადინეობის შედეგად—და მათ შორის მამაჩემისაც,—მან თავი დააღწია უბედურებას და რომ ამაში მას 1856 წლის მეფეთკურთხევის მანიფესტმაც უშველა. „ციმბირის“ ნაცვლად ის მხოლოდ დაითხოვეს სამსახურიდან საბედისწერო პირობით, რომ „მომავალში აეკრძალოს მსგავს ადგილას სამსახური“... იმ დროს ეს აბროსათვის ისეთ ბედნიერებას ნიშნავდა, თითქოს რაიმე წოდება მიეღო: მაშინ კი „წოდების მიღება“ იგივეს ნიშნავდა, რასაც დღეს „ლატარეაში ორასი ათასის მოგება“.

3.

შემდეგ, ჩემი გიმნაზიაში სწავლისა და სტუდენტობის წლებში, მე ზოგჯერ ვხვდებოდი „საწყალ აბროს“. ჩამოხეული, უსახსრო, უსაქმო, აბრო ჩვენი ქალაქის ერთადერთ საწუხარს წარმოადგენდა და არსებობდა ღვთის წყალობით, ე.ი. რასაც ნათესავები მისცემდნენ. უფრო დაბლა დაცემა, ვიდრე ის აღმოჩნდა, შეუძლებელი იყო...

4.

და უეცრად ისეთი შემობრუნება მოხდა, როგორსაც „როკამბოლის“ ვერავითარი შემთხზველი ვერ მოიფიქრებდა: აბრომ მოულოდნელად დაიწყო სამსახური გუბერნიის პროკურორის თანამდებობაზე. ჩვენი თანამედროვენი სიტყვა „პროკურორში“ დღევანდელ თანამდებობას გულისხმობენ. ძველად კი „გუბერნიის“ პროკურორი ბრალმდებელი კი არა, რომელიც თავისი უფლებების დამცველთანაა გათანაბრებული, არამედ „გუბერნიაში მეორე კაცი“ იყო. მასზე მაღლა მხოლოდ გუბერნატორი ითვლებოდა. როგორ შეიძლებოდა მომხდარიყო ეს სასწაულებრივი, გუბერნიის პროკურორის სიმაღლემდე განდიდება გასამართლებული და არა სავსებით გამართლებული პიროვნებისა (გადამწერისა), რომელსაც არავითარი განათლების ცენზი არ ჰქონდა?

5.

საქმე შემდეგში იყო. იმ დროს გუბერნატორად იყო ერთი ახალბედა, რომელიც პირდაპირ ბელორუსიიდან მოხვდა ჩვენში. იგი „დასაქცევ კავკასიაში“ მოდიოდა უდიდესი რეფორმატორული, მკვეთრი და გადამჭრელი ცვლილებების ჩატარების მზამზარეული სურვილებით. ელოდა „უარყოფას“, „წინააღმდეგობას“ და სხვა მსგავს საშინელებებს. მის წარმოდგენაში გზაშივე გამოიკვეთა ადგილობრივ გააფთრებულ „ფეოდალურ“ ნრესთან ბრძოლის სურათი. რასაკვირველია, ამისთვის არავითარ საშუალებას არ უნდა მოერიდო: მთავარია, თქვა და შენი აზრები გაატარო. იმ დროს ყველგან ასე იყო: თითქოს ასე ადვილი იყო, თავიდან ბოლომდე, სიგრძითა და სიგანით ჯადოსნური ჯოხით ცხოვრების შეცვლა...

6.

სინამდვილეში წინააღმდეგობა გამოიხატა ჩვეულებრივი ბულვარული ხუმრობების, დაცინვების, ჭორებისა და „უფროსებზე“ საჩივრების სახით. იმერული ჩვეულების მიხედვით, პირველივე არჩევნებში არ გაიყვანეს ისინი, აუღიარებელი რეფორმატორის სახელით რომ იყო ცნობილი. აირჩიეს, თანაც ზარ-ზეიმით, ის პირი, რომელიც „არ შეხვდა მას“, ამ „მანიფესტაციამ“ უფრო გაანაწყენა გუბერნატორი. „გაშავებულები“ კი დაიძრნენ მისკენ და თან უყვებოდნენ საერთო „გააფთრებაზე“ და სასიცოცხლო საფრთხეზე... ჩიჩიკოვებს ხომ ასეთი სიტყვები პირფერულ ტუჩებზე აკერიათ...

7.

სწორედ ასეთ დროს მოახერხა ჩვენმა აბრომ, რომელიც მთელი რვა წელი უსახლკაროდ და ულუკმაპუროდ დახეტიალობდა, ასეთი სასნაულებრივი და აუხსნელი ზეასვლა. მას თორმეტი ძმისწული ჰყავდა და ყველანი, თითქოს შერჩევით, გოლიათური აღნაგობის იყვნენ. ისინი ორ თანაბარ ნაწილად გაყო. ერთს დაავალა თავს დასხმოდნენ რეფორმატორს, საღამო ჟამს, ქალაქგარეთ სეირნობის დროს; მეორე ნაწილი კი თან წაიყვანა ვითომ ტყეში მაყვლის საკრეფად. როდესაც პირველი ჯგუფის ძმისწულები თავს დაესხნენ დაბნეულ მოხუცს და ყოველმხრივ აჯანჯღარებდნენ, მაგრამ უფრო ტანსაცმელს უზიანებდნენ, ვიდრე გვერდებს, მაშინ ყვირილზე ტყიდან გამოვარდა აბრო. მწვავე შეტაკების შემდეგ, რომელშიც მან უდიდესი გმირობა და საზრიანობა გამოიჩინა, თავდამსხმელებმა სამარცხვინო გაქცევით უშველეს თავს...

8.

აბრომ გაუწმინდა და მოუწესრიგა რეფორმატორს ტანსაცმელი, თან თავის რაზმს განუწყვეტლივ აძლევდა განკარგულებებს:

—აიღეთ ეს ჯოხი! ჩოხის ქილები, ყაბალახიც: ყველაფერი ნივთიერი მამხილებელი საბუთებია ბოროტმოქმედთა გამოსავლენად.

ის იძლეოდა ბრძანებებს და თან სუფთა ცხვირსახოცით ოფლს წმენდდა გადარჩენილი მოხუცის გაფითრებულ სახეზე.

—რა საჭიროა, ღვთის გულისათვის, თავი დაანებეთ. უმჯობესია სახლამდე მიმიყვანეთ—ემუდარებოდა მოხუცი, რომელსაც დავიწყებოდა, რომ თვითონ ჰქონდა ბრძანების უფლება.

9.

შემდეგ რაც მოხდა, ნათელია. აბრო, „გადამრჩენი აბრო", გადარჩენილის სახლში პირველი კაცი გახდა. მან მაშინვე დაუმტკიცა რეფორმატორს, როგორ უსინდისოდ ატყუებენ მის გარშემო მყოფნი: მზარეულიც, ლაქიაც, პოლიციელიც და განსაკუთრებულ დავალებათა ჩინოვნიკიც. მაგალითად, ერთ საუენ შეშაში ყველა ეს „დაახლოებულები" იხდიდნენ რვა მანეთს, ახლა კი აბრო იხდიდა ოთხ ან ხუთ მანეთს. ასეთი უმსგავსო ქალაქია... ოჯახის ინტენდანტად იქცა აბრო. მის გარეშე გუბერნატორის სახლში არაფერს უკვეთავდნენ, არაფერს ყიდულობდნენ. აბროზე უკეთ ვერავინ გააფრთხილებდა რეფორმატორს გარემომცველთა, ქვეშევრდომთა ფარული მიზნებისა და ზრახვების შესახებ. ყველაფერში, ყოველთვის და ყველგან ჩნდებოდა განსაკუთრებული „ფარული აზრი", რაღაც საკვიმატო და ყოველთვის მდაბალი. ერთი სიტყვით, აღარავისი ნდობა აღარ შეიძლებოდა. ერთგული, საზრიანი, უანგარო, ალბათ, მხოლოდ აბრო იყო...

10.

ამ დროს მიიცვალა გუბერნიის პროკურორი, რომელიც ამ თანამდებობაზე იყო, არც მეტი არც ნაკლები, მეოთხედი საუკუნე. და გუბერნატორს აზრად მოუვიდა ამ თანამდებობაზე ყოვლისმცოდნე აბრო დაენიშნა. კიდევ კარგი, ის ასეთი „ერთგულია", და გუბერნატორი ასე დავალებულია მისგან...

მე ვერ ვიმსახურებ, ჯერ ერთი, იმის გამო, რომ მზად არ ვარ და მეორეც იმიტომ, რომ შერცხვენილი ვარ მტრების წყალობით...

მიუხედავად ყველაფრისა, დანიშვნა მოხდა: „ხანდაზმულობის" გამო რეფორმატორმა გადაწყვიტა დაევიწყებინა და თავისი უფლებამოსილებით დაეფარა სასამართლოს გადაწყვეტილება.

11.

რასაკვირველია, ორი-სამი თვის შემდეგ, გამომჟღავნდა, რომ გუბერნიის პროკურორი არ შეეფერებოდა დაკავებულ თანამდებობას, თუმცა იგი ზედმიწევნით გულმოდგინედ, ტრადიციულად აწერდა ყოველ მორიგ საქმეს „წავიკითხე". ასე ბრწყინვალედ დაწყებული კარიერა ვერ წავიდოდა აღმავალი გზით. პირიქით, გუბერნიის პროკურორობიდან ჩვენი აბრო გუბერნიის მმართველის მრჩევლად იქცა, ე.ი. მღვდლობიდან დიაკვანი გახდა. შემდეგ დიაკვანი გადაიქცა მედავითნედ: იგი მაზრის უფროსად ჩამოქვეითდა, მაგრამ ამ შედარებით უბრალო ადგილზეც ვერ შეძლო აბრომ კანონთან და წესრიგთან შეთანხმება... სხვათა შორის, სწორედ ამ დროს წაიყვანეს მის მიერ გადარჩენილი გუბერნატორი, რომელმაც მართლა გააააფთრა არა მარტო თავისი გუბერნია, არამედ უშუალო უფროსობაც. მისი გამგზავრებიდან ერთი თვის შემდეგ, ჩვენი აბრო ღმერთს მადლობას სწირავდა, რომ კვარტალის ზედამხედველის თანამდებობა მიიღო იმავე ქალაქის პოლიციაში, სადაც ოდესღაც დაიწყო სამსახური...

12.

შემდეგში მან ერთხელ კიდევ გაიელვა „განახლებული სასამართლოს" მოღვაწის როლში. მან ზუსტად ერთი თვით მოახერხა მდივნის ადგილის მიღება ერთ-ერთ ახალ სასამართლო დაწესებულებაში, საიდანაც ის, რასაკვირველია, ისევ გამოისტუმრეს და ისევ და ისევ იმავე საქალაქო პოლიციაში, სადაც მას „ნაადრევმა სიკვდილმა" მოუსწრო, რომლის დაჯერება არავის უნდოდა. მთელმა ქალაქმა გააცილა მისი კუბო სასაფლაომდე, რათა ერწმუნა მისი სიკვდილი და დასაფლავება...

დიახ, უცნაური და საინტერესო ამბები ხდებოდა ძველად, „იმ ნეტარ დროს"...

58. საუძმო საკითხავი

ახლა, როცა გამომჟღავნდა, რომ ნავთსადენის გასაყვანად ბატონმა ილიმოვმა ევროპაში ერთი გროშიც ვერ იშოვა, რაც იმას ამტკიცებს, რომ დედაქალაქის პრესის გამყიდველი ნაწილი უსინდისოდ ტყუოდა, ხალხს რომ არწმუნებდა, თითქოს ნავთსადენის გასაყვანად საჭირო მილიონები გამზადებული უდევთ ბანკირებს ბატონი ილიმოვისათვისო, შეიძლება ვუამბოთ მკითხველებს ბევრი საინტერესო ამბავი ამ წამოწყებაზე და მის წამომწყებზეც.

მაგრამ, სანამ ამას გავაკეთებდეთ, რალაც-რალაცეები უნდა გავიხსენოთ. უპირველეს ყოვლისა, ბატონი ილიმოვის ოფიციალური განცხადებები სწავლული საზოგადოებებისა და მთავრობის წინაშე იმის შესახებ, თითქოსდა საქმისათვის საჭირო მილიონები მას უკვე აქვს. სად გაქრნენ ახლა მისი მოჩვენებითი კომპანიონები, ყველა ეს კოკირილები, ბელგიის მეფეები, ბლეიხრედერები, ეფრუსები, როტშილდები, რომლებმაც ვითომდა „მტკიცედ“ და „საბოლოოდ“ მოჰკიდეს ხელი ნავთსადენის გაყვანას? განა შეიძლებოდა მთავრობისა და საზოგადოებრივი აზრის წინაშე ასეთი ცრუ განცხადების გაკეთება? მათ წინასწარგანზრახულ და ან გამომჟღავნებულ სიცრუეს შეუძლია ალბათ სწორად შეაფასოს სავთსადენის მოღვაწეთა შემდგომი მტკიცებების გულწრფელობა და სისწორე. აქედან მორალი და გაკვეთილი: მნარმოებლების ყველა განცხადებას როდი უნდა დავუჯეროთ, განსაკუთრებით მაშინ, როცა ასე ადვილია დროზე შევამოწმოთ მათი სიტყვები...

ამის შემდეგ კი მკითხველს ბატონ ილიმოვის განცხადებას კი არ შევახსენებ, არამედ იმ „მეცნიერი ადამიანებისა“, რომლებიც თავგამოდებით იცავდნენ მის მიერ წამოწყებულ საქმეს და ამტკიცებდნენ ამ უკანასკნელის კოლოსალურ სარგებლიანობას. რას იტყვის ახლა პროფესორი მენდელეევი, რომელმაც ასე გაუფრთხილებლად, ასე ულამაზოდ შელახა ამ საქმის გამო თავისი დიდი მეცნიერული სახელი და მნიშვნელობა? რად ჭირდებოდა მას შეცდომაში შეეყვანა მთელი მსოფლიოს საზოგადოებრივი აზრი, რატომ უნდა მიეცა ევროპისათვის იმის ცხადი დადასტურება, რუსუთის მეცნიერების მნათობები თავიანთი დიდი ავტორიტეტით მხარს უჭერენ ბირჟელების მოუსაზრებელ და მეცნიერების საწინააღმდეგო ხრიკებსო? მეცნიერების აქამდე სუფთა ბეჭედი პროფესორმა მენდელეევმა დაასვა ბატონი ილიმოვის მოუსაზრებლობას და შეეცადა ის სულელური ვარაუდები და

ჰიპოთეზები, რომლებიც შემწყნარებლურ კრიტიკასაც კი ვერ უძლებენ, მეცნიერულ ჭეშმარიტებად, აქსიომად გაესაღებინა. მე ახლა არ ვისურვებდი მის ადგილას ყოფნას.

ბატონი მენდელეევის ამ მეცნიერულ ცოდვას ხალხის თვალში კიდევ უფრო ჩრდილავს „მდაბიო სწავლულთა" მთელი სინედრიონი, რომლის წევრებიც ველურად როკავენ ბატონი ილიმოვის ნავთსადენის ზვირთის წინ მისი საყვირის ქვეშ. ისინი მეტისმეტად უცნობი არიან საზოგადოებისა და პრესისათვის, ყველა ეს მექანიკის, ქიმიის, ფიზიკის და მეცნიერებათა სხვა დარგების „პროფესორები" ბატონი ილიმოვის კამერტონის ქვეშ იფიცებდნენ თავიანთ დიპლომებზე და წოდებებზე, რომ ნავთსადენი კაპიტალისტებს აურაცხელ სარგებლობას მოუტანს. რად ჭირდებოდათ ამის მტკიცება? დაიჯერა კი ვინმემ პროფესორ ტიმეს მტკიცება და რწმუნებანი, რომ ნავთსადენი მხოლოდ 16 მილიონი მანეთი დაჯდება? მოატყუა კი ვინმე პროფესორ კარლოვიჩის ხელმოწერამ, რომ ერთი ფუთი ნავთის გადაქაჩვა ბაქოდან ბათუმამდე 8 კაპიკზე მეტი არ დაჯდებაო? რა დაემართა ყველა იმ X და პროფესორის დაპირებას (ისინი იმდენად უცნობნი და უფერულები არიან, რომ მათი გვარებიც კი ვერ მომიგონებია), რომლებიც სხვადასხვა კომისიებში და სხვადასხვა კრებებზე ამტკიცებდნენ, რომ შეიძლება მილის 8 დიუმამდე გაფართოებაც და ვაზელინის, მილიონობით ფუთი ნავთობის არომატული პროდუქტებისა და სხვა ამდაგვარი ჯანდაბის გაყიდვა? ვინ დაარწმუნეს მათ, თავიანთი მოსაზრებებით, გარდა დეპარტამენტების ბიუროკრატებისა?

მე შემიძლია ახლა ამ სწავლულ ვაჟბატონებს იმითვე გადავუხადო ერთი ასად იმ სისხლის გაშრობისათვის, მათ რომ გამიშრეს მაშინ, როცა სულ მარტოდ, უიმედოდ ვიბრძოდი მათი ნებითი თუ უნებლიე შეცდომების წინააღმდეგ და მსურდა დამეცვა ისინი მეცნიერების სამარცხვინო პროფონაციისაგან. მაგრამ მე ჩემი წარმატების დროსაც მოკრძალებული დავრჩები იმის იმედით, რომ ისინი ანი ვერასოდეს გაბედავენ დღის სინათლეზე გამოსვლას საზოგადოებრივი აზრის გასაბრიყვებლად.

ახლა კი შევეხოთ თვით საქმის წამომწყებს ბატონ ილიმოვს. რუსეთში ეს გვარი ნავთსადენის საქმის წარმოშობამდე ცარიელი ბგერები იყო, საფრანგეთში კი ბატონმა ილიმოვმა მოიპოვა დიდი, მაგრამ არაშესაშური სახელი 1884 წელზე ბევრად ადრე. იყო დრო, როცა მან პარიზში მღელვარებაც კი გამოიწვია, თითქმის რევოლუცია,

როცა მრავალრიცხოვანი ბრბო ქვებს ესროდა მისი ბინის ფანჯრებს და მის ბანკებში თავშეფარებულ დაწესებულებებს ყვირილით იკლებდა „ძირს რუსები!—(a bas Les russes)“ საინტერესოა ეს ისტორია. 1880 წელს ბატონმა ილიმოვმა თავის მაშინდელ პარტნიორთან ბატონ ნოვოსელსკისთან ერთად—ჩამოცილდნენ რა ბატონებს პალაშკოვსკის და ბუნგეს, რომლებთან ერთადაც მანამდე ამიერკავკასიის რკინიგზის ბედს განაგებდნენ—ხელი მოჰკიდეს „რაღაც ნავთობის საქმის“ შეკონიწებას. ბატონი ნოვოსელსკი, როგორც ყოველთვის, არ დაინტერესებულა ამ „რაღაც საქმის“ წვრილმანებითა და არსით. მისი მოვალეობა იყო ამ საქმისათვის რაიმე შენობა გამოენახა საზღვარგარეთ. და აი, ბატონმა ილიმოვმა შექმნა საქმე. მან შეისყიდა ჩალის ფასად და იჯარითაც აიღო, რა თქმა უნდა, კასპიის ზღვის ნაპირზე, იმ ადგილას, სადაც ახლა სადგური ალიათია გაშენებული, მრავალი და მრავალი დეესეტინა ცარიელი მიწა, რომლის წიაღშიც იმდენივე ნავთი იყო, რამდენიც, აი, ამ სამელნეშია. შემდეგ მან ის „საბუთები“, მოჩვენებით ვითომ „ნავთობის ნაკვეთებიაო“,—პარიზში ჩაიტანა, ბატონმა ნოვოსელსკიმ კი დაიწყო მათი ბანკირებს შორის გასაღება. იმ დროს პარიზში საქმეებს აჭახრაკებდა დიდი მოგვი და მუცლითმეზღაპრე ბანკირი ბონტუ. მან დაარწმუნა საფრანგეთის ეპისკოპოსები, კლერიკალები და როიალისტები, რომ რესპუბლიკასთან საბრძოლველად საჭიროა ფული, ფული და ფული და რომ ფულის შოვნა შეიძლება მხოლოდ სპეკულაციით. ამიტომ თუ „ბირჟაზე“ დავატრიალებთ სოფლის მღვდლებისა და იმ ღვთისმოსავი დედაბრების დანაზოგ ფულს, სამღვდელოების გავლენის ქვეშ რომ არიან, შევძლებთ რესპუბლიკის კრედიტის ფასის დაწევას. ღვთისმოსავი რეაქციონერები გაებნენ ამ მახეში და ბანკირის სალაროში იმდენმა ანაბარმა დაიწყო დენა, რამდენსაც ზოგიერთი სახელმწიფო ბანკიც კი არ მოელის. მოგვისა და მუცლითმეზღაპრის ირგვლივ მაშინვე შეიქმნა სატელიტების მთელი ჯგუფი, რომელთაც საფრანგეთის თითქმის ყველა ქალაქში დაეარსეს მეორეხარისხოვანი ბანკები. ასეთ სატელიტებს შორის განსაკუთრებით გამოირჩეოდა ორლეანისტი სავარი, რომელიც ერთ დროს, მაკ-მაგოეის მმართველობის პერიოდში, იუსტიციის მინისტრის ამხანაგიც კი იყო. ამ სავარიმ დააარსა“ de Lyon et de la Loire" ბანკი, რომელიც ოპერაციებს ატარებდა ლიონის რაიონის დანაზოგით. სწორედ მას დაუკავშირდნენ ბატონები ილიმოვი და ნოვოსელსკი. სავარიმ შეუქმნა მათ განსაკუთრებული აქციონერული საზოგადოება „Francorusse“, რომლის კაპიტალი მრავალი მილიონი ფრანკი იყო. გასაგებია, რომ მილიონების დიდი ნაწილი (დაახლოებით შვიდი) უნდა

მიეღო ბატონ ილიმოვს ალაიათის მინის ნაკვეთისათვის. გამოცხადდა ამ საზოგადოების აქციებზე სახალხო ხელის მოწერა, მოგროვდა კაპიტალი. ერთი სიტყვით, საქმე საკმაოდ კარგად მიდიოდა. საჭირო იყო ალაიათის მინის ნაკვეთი ნასყიდობის წესით ახალჩამოყალიბებული საზოგადოების ხელში გადასულიყო და სავარის ბანკიდან ბატონ ილიმოვს მიეღო შვიდი მილიონი ფრანკი... ბატონი ნოვოსელსკი ზეიმობდა თავის სასახლეში ელისეის მინდვრებზე, ბატონი ილიმოვი კი სიამოვნებისაგან ხელებს ისრესდა იმ მილიონების მოლოდინში, მას რომ უნდა მიეღო.

და უეცრად, 1882 წელს პარიზს თავს დაატყდა ფინანსური კრახი, რის შედეგებსაც საფრანგეთმა დღემდე ვერ დააღწია თავი. ბირჟის ყველა „ფასეულობანი", რომელთა ფასი კლერიკალმა ბანკირმა სპეკულაციის გზით საარაკოდ ასწია, ერთბაშად დაეცა და მისმა და მისი სატელიტების მიერ შექმნილმა ყველა საზოგადოების აქციებმა და ობლიგაციებმა დაკარგეს ყოველგვარი ღირებულება და იყიდებოდა ქაღალდის ფასად, როგორც მაკულატურა, რომელშიც ყველა და ძეხვს ახვევდნენ. აყმუვლდნენ, აყვირდნენ უბედური აქციონერები, მათ შორის ალიათის ნავთობის საწარმოების „რუსულ-ფრანგული" საზოგადოების აქციონერებიც. სწორედ ისინი დაესხნენ თავს მაშინ ბატონებს ნოვოსელსკის და ილიმოვს, მათ კი აყვნენ დანარჩენი გაკოტრებულები და ხმაშეწყობილად გაიძახოდნენ": „a bas Les russes".

ბატონებმა ილიმოვმა და ნოვოსელსკიმ მაშინვე მიატოვეს „პარიზში ბრწყინვალე ფუსფუსი" და ვერ მოასწრეს სავარის ბანკიდან შვიდი მილიონი ფრანკის მიღება. გასკდა ეს ბანკიც, როგორც საპნის ბუშტი და კვალი მხოლოდ მოტყუებული აქციონერების მეხსიერებაში და საფრანგეთის პროკურატურის არქივში დატოვა. სავარის წინააღმდეგ აღძრული საქმე იმით დამთავრდა, რომ მას განაჩენით ოთხი წლით ციხე მიუსაჯეს, მაგრამ ამბობენ ამერიკაში გაქცევა მოასწროო, ხოლო ბონტუ დღემდე ზის პარიზის ციხეში.

პეტერბურგში დაბრუნების შემდეგ ბატონი ნოვოსელსკი დაშორდა ბატონ ილიმოვს. პირველი დაუბრუნდა ტყიბულის საქმეს, მეორემ კი ნავთსადენის გაყვანას მოკიდა ხელი: ამის გამო გუშინდელი მეგობრები სხვადასხვა, ორ, ერთმანეთის საწინააღმდეგო ბანაკში აღმოჩდნენ.

კიდევ უფრო საინტერესოა, როგორ წარმოიშვა ბატონ ილიმოვის თავში ნავთსადენის გაყვანის იდეა. სინამდვილეში მან ამ საქმეზე სრულიად შემთხვევით დაიწყო ლაპარაკი ისე, რომ მცირედი წარმოდგენაც არ ჰქონდა მასზე. ეს ასე მოხდა:

1880 წელს, როცა ამიერკავკასიის რკინიგზის ბაქოს მონაკვეთის გაყვანა გახურებული მიმდინარეობდა, დაიშალა მისი მფლობელების კვარტეტი. ბატონები პალაშკოვსკი და ბუნგე დაშორდნენ ბატონებს ილიმოვს და ნოვოსელსკის და სხვათა შორის მისცეს მათ ხელწერილი, რომ პირველი კავშირის განყვეტის დღიდან ხუთი წლის მანძილზე გადაუხდიან მათ ყველა იმ სამუშაოთა ფასის 3%-ს, რომელთათვისაც ხაზინა ამიერკავკასიის რკინიგზის საზოგადოებას ფულს გადაუხდის. ეს პირობა მათ მეტად თუ ნაკლებად რელიგიური გულმოდგინეობით დაიცვეს თითქმის 1885 წლამდე, მაგრამ 1884 წელს ბატონმა ილიმოვმა მოითხოვა დადგენილი ვადის გაგრძელება. ამ დროს იწყებოდა სურამის გვირაბის გაყვანა. ამიერკავკასიის რკინიგზამ ამ სამუშაოების წარმოების უფლება მხოლოდ 1886 წელს მიიღო, მაგრამ ბატონმა ილიმოვმა მოითხოვა, რომ ბატონებმა პალაშკოვსკიმ და ბუნგემ დაუდონ მას ხელშეკრულება მშენებლობის მომავალი მოგებიდან ტრადიციული სამი პროცენტის გადახდის შესახებ, რაც საკმაოდ დიდი თანხა 300 000 მანეთი იყო. ბატონებმა პალაშკოვსკიმ და ბუნგემ, რომელთაც ბოლოს და ბოლოს მობეზრდათ „მომავალი მოგებიდან“ პროცენტების გადახდა, რადგან მათი სამუშაოები წამგებიანი იყო და მათდა საუბედუროდ გაბედეს და გაჯიქდნენ: „მომეცი, ძმაო, ჩემი!“ „არ მოგცემ“! „გახსენი ქისა“! „არასოდეს“! „სიტყვას გაძლევ, რომ დაგლუპავ“! „არ მეშინია“! „მაგ გვირაბის გამო მოგაღორებ“! „მიმიფურთხებია“! „წინადადებას წამოვაყენებ ნავთსადენი გაიყვანონ“! „სისულელეა“! „სისულელე უძახე შენ, მაგრამ სისაძაგლეს მაინც ჩავიდენ“! „არაფერია“!, „ეი, სერგო, ნუ ახირებულხარ, ჩაგამწარებ“! „არ მეშინია, ვიპოვი მხარის დამჭერს, დავამტკიცებ“!

აი, მოთხრობა იმაზე, როგორ წაიჩხუბნენ ივანე ივანეს ძე და ივანე ნიკიფორეს ძე და იმაზეც, თუ საიდან გაჩნდა ნავთსადენი. ბატონ ილიმოვს ეგონა, რომ ბატონი პალაშკოვსკი ახირდა, არ ესმის, არ ითვალისწინებს და ა.შ. მაგრამ როგორც კი დაინახავს, რომ მე მის სურამის უღელტეხილს ვამუხრუჭებ, მოლბება და დამითმობს. მაგრამ ბატონი პალაშკოვსკი ტყუილად ხომ არ არის „ხოხოლი“. სურამის უღელტეხილის საქმეში მან იმდენივე სიჯიუტე გამოიჩინა, რამდენიც გამჭრიახობა, შეიძლება უფრო მეტიც კი. არა თუ 300 000 ათასი მანეთი, ორჯერ მეტი დახარჯა იმისათვის, რომ ბატონი ილიმოვისაგან არ მოღორებულიყო და არც მოღორდა...

ერთი სიტყვით, ბატონებს პალაშკოვსკის და ბუნგეს ბატონი ილიმოვისა და მისი ნავთსადენის წინააღმდეგ ბრძოლა არც უფიქრიათ და სინამდვილეში არც უბრძოლიათ. ისინი ყოველთვის მხოლოდ იმას ამტკიცებდნენ, გაიყვანენ თუ არ გაიყვანენ ნავთსადენს, სურამის უღელტეხილი მაინც უნდა გადაკეთდეს, რადგან მარტო ნავთობით ვერ იცხოვრებს რკინიგზა და ქვეყანა. ბატონების პალაშკოვსკისა და ბუნგეს თხოვნისა, დარწმუნებისა და მოთხოვნისაგან განსხვავებით, მხოლოდ მე გავდიოდი კედელზე და ღმერთმა იცის, რამდენი კალთა ჩამომახია ბატონმა პალაშკოვსკიმ იმის თხოვნით, რომ არ გამებრაზებინა, არ გამეღიზიანებინა და არ გამეხელებინა მოწინააღმდეგე და მისი მეგობრები იმით, წინააღმდეგობას რომ ვუწევ ნავთსადენის გაყვანას. ბატონ ილიმოვის ნავთსადენის საწინააღმდეგო მე არაფერი მქონდა: ვიცოდი, ეს რომ მკვდრადშობილი საქმე იყო. მაგრამ მაღშფოთებდა ასე თავხედურად საზოგადოების უმეცრების აბუჩად აგდება, სიცრუის სიმართლედ გასაღება, იმ მდაბიო მეცნიერების მასკარადი, რომლებიც ცდილობდნენ ვიღაც გაეცურებინათ, ვიღაცისათვის თვალი აეხვიათ და ამის გამო ცილს წამებდნენ ამიერკავკასიის რკინიგზას და მის დანიშნულებას, ბაქოს მრეწველობას, ვითომდა ბრმად—არარად სახავდნენ ჩემი ქვეყნის ძალებსა და მომავალს, თითქოსდა არაფერს რომ არ აწარმოებს და არც შეუძლია აწარმოოს. ბატონებმა პალაშკოვსკიმ და ბუნგემ ამიკრძალეს ოფიციალურ კრებებზე დასწრება—ნებართვის გარეშე იქ ხომ ვერ მოხვდები —მაგრამ არავის შეეძლო აეკრძალა ჩემთვის ტექნიკურ საზოგადოებაში სიტყვით გამოსვლა, სადაც მე ვვარჯიშობდი კიდეც წვერიანი კასანდრას მუდამ სულელური როლის შესრულებაში ბატონ ილიმოვის გულის გასახეთქად და ბატონ პალაშკოვისათვის სასოების კიდევ უფრო წარსაკვეთად. ის კი, სხვათა შორის, ტყუილად ელაქუცებოდა მოწინააღმდეგეებს, ათასგვარ დათმობას სთავაზობდა, პირდებოდა ამიერკავკასიის რკინიგზის ხაზი უფასოდ დაეთმო ნავთსადენისათვის, იფიცებოდა, ვალდებულებას ვღებულობ რკინიგზით ნავთობის გადაზიდვის ტარიფს არასოდეს არ დავწევ დაბლაო და საერთოდ ტყუილად სთავაზობდა მათ ყველაფერს, რისი შეთავაზებაც და დაპირებაც კი შეიძლებოდა. მან არც კი დაუშვა ოფიციალურად განეხილათ მეცნიერული და პრაქტიკული მონაცემების მთელი კრებული, რომელიც ისე ამტკიცებდა ნავთსადენის გაყვანის გაანგარიშებების მცდარობას, როგორც ორჯერ ორი ოთხია. ერთი რამ ვერ მისცა მან მათ და არც შეეძლო მიეცა—300 000 მანეთი.

ამასობაში ყველა ამ „განხილვების“ გამო საქმე გაჭიანურდა. ბატონი ილიმოვი ჯერ მე მეკამათებოდა, შეცდომით მაღიარა ამიერკავკასიის რკინიგზის მქადაგებლად და ამავე დროს ისე უგდებდა ყურს თავის დებულებებს, რომ თითქმის დაიჯერა კიდეც მათი სისწორე. მას ბანს აძლევდა ბევრი მეცნიერი, რომლებისთვისაც მას არ შეეძლო არ დაეჯერებინა, თუმცა მათი აზრის ჭეშმარიტი ფასი მან უკეთ იცოდა, ვიდრე ყველა სხვამ... არ ვიცი დაიჯერა თუ არა, ყოველ შემთხვევაში, იფიქრა, თუ პეტერბურგში სჯერათ, შეიძლება ევროპაშიც დაიჯერონო და რადგან ვერ შეძლო სურამის გვირაბისაგან კონტრიბუციის აღება, ამიტომ „დანახარჯები“ ნავთსადენის კონცესიის გაყიდვით სურდა აენაზღაურებინა.

აი, ჭეშმარიტი მოთხრობა „საიდან წამოვიდა“ ნავთსადენის საქმე, რომლის ლოდინმა ზუსტად ოთხი წლით შეაფერხა ბაქოს ნავთობმრეწველობისა და ამიერკავკასიის რკინიგზის განვითარება. თანამედროვე ისტორიაში მე არ ვიცი უფრო მიკიბულ-მოკიბული შანტაჟის მაგალითი, მსოფლიოს ყველა ხუთი ნაწილის ყურადღების მიპყრობა რომ შეძლო...

59. მართალია, კი?

„მოსკოვსკიე ვედომოსტიმ“ (№170) მაღალფარდოვანი სათაურით „სიმართლე კავკასიის ნავთსადენზე“ გამოაქვეყნა მოწინავე წერილი, სადაც ამტკიცებენ, თითქოს „სრულიად კომპეტენტური წყაროდან“ მიღებული აქვთ „სარწმუნო ცნობები“ იმ მდგომარეობაზე, რა მდგომარეობაშიც არის ახლა ამიერკავკასიის ნავთსადენის გაყვანის საქმე. ეს წერილი სხვა არაფერია, თუ არა ბატონი ილიმოვის საიმედოობის აშკარა რეკლამა. როგორც ყოველი რეკლამა, იგი იწყება საკუთარი თავის რეკლამით:

„ამ ცნობებს მით უფრო დიდი ღირებულება აქვთ, რომ ნავთსადენის შესახებ ახალი ამბების დიდ ნაწილს ჩვეულებრივად გადმოგცემთ იმ ადამიანების სიტყვებით, რომლებიც ამ საქმით ასე თუ ისე დაინტერესებულნი არიან, უმეტეს შემთხვევაში კი საწარმოს მრავალრიცხოვანი მტრების სიტყვებით“.

მე არ უარვყოფ, რომ ნავთსადენის მოწინააღმდეგეთა შორის ცოტა არაა ისეთი ადამიანი, რომელიც „ამ საქმით" ასე თუ ისე დაინტერესებულია, მაგრამ იმასაც ვამტკიცებ, რომ „კომპეტენტური წყარო", საიდანაც „მოსკოვსკიე ვედომოსტი" თავის ცნობებს ღებულობს — მე კი ვიცი, საიდან მოედინება ეს წყარო — იმისგან ვინც, ნავთსადენის საქმით ყველაზე მეტადაა დაინტერესებული. ამიტომ გაზეთი ამ ცნობების მოჩვენებით „სარწმუნოობას" უნდა მიუდგეს მკაცრი კრიტიკით...

მისცა რა თავის თავს ასეთი რეკლამური ატესტაცია, „მოსკოვსკიე ვედომოსტი" აგრძელებს:

„ნავთსადენის მოწინააღმდეგეებს არ შეუწყვეტიათ საზოგადოების აზრის დაშინება იმით, თითქოსდა მის გაყვანას დამღუპველი შედეგები მოჰყვება. თუ რამდენად შეიძლება ვენდოთ მათ, ამას ჩვენ ახლა დავინახავთ. ნავთსადენის ერთი თავგამოდებული მოწინააღმდეგე, „ნოვოე ობოზრენიეს" თანამშრომელი ბატონი ნიკოლაძე ამტკიცებს, რომ როტშილდებთან ახლო ურთიერთობა აქვს (ნიკოლაძის წერილიდან ჩვენ ვერ გავიგეთ, მსახურობდა იგი როტშილდთან თუ არა) და ამას წინათ აღიარა, მას არ ჯერა, რომ როტშილდებს და მის დამქაშებს, ეფრუსს და tutti guanti-ის სერიოზულად ეფიქრათ მონაწილეობა მიეღოთ ნავთსადენის გაყვანაში. ეს მან ნამდვილად იცის, რადგან როტშილდების განზრახვა კაი ხანია მისი, ბატონ ნიკოლაძის „ნაკარნახევია" (რა სასიამოვნო იქნება ეს როტშილდებისათვის).

„ამავე დროს, როცა ილიმოვს კონცესია დაუმტკიცეს, ნიკოლაძის მეგობრები (?) პეტერბურგის პრესაში, იცოდნენ რა რამდენად არაპოპულარულია როტშილდების მონოპოლია რუსეთში, უეცრად ალაპარაკდნენ, თითქოს ილიმოვი კონცესიას როტშილდებისათვის ღებულობს და ა.შ. და ა.შ. ნავთსადენი, ილიმოვი და როტშილდი სინონიმები გახდნენ, თუმცა ამგვარი ხმების ავტორებმა შესანიშნავად იცოდნენ, რომ როტშილდები ნავსადენის გაყვანაში არ მონაწილეობენ, პირიქით, ნავთსადენის მოწინააღმდეგენი, ბატონ ნიკოლაძის მეთაურობით, რასაც ახლა უკვე აღარ მალავენ, უფრო ახლოს არიან როტშილდებთან, ვიდრე ნავთსადენის მომხრენი, რომელთაც როტშილდებთან საერთო არაფერი აქვთ. ასე იყო უწინ".

მე არც მიფიქრია იმის მტკიცება, რომ ნავთსადენის მოწინააღმდეგეთა შორის არ იყვნენ ადამიანები, რომლებიც აკეთებდნენ და ბეჭდავდნენ აშკარად ცრუ განცხადებებს. ამიტომ მე რატომ მაწერენ მათთან სოლიდარობას, რატომ მაცხადებენ იმ ადამიანების მე-

თაურად, რომლებთანაც საერთო არაფერი მაქვს და არც მსურს მქონდეს, მათი ნავთსადენისადმი უმთავრეს დამოკიდებულებასთანაც კი? ეტყობა ძალზე უბადრუკია იმ სარწმუნო წყაროებისა და ცნობების მარაგი, რომლებითაც „მოსკოვსკოე ვედომოსტს“ ამარაგებენ, თუ ამ წყარომ არ იცის, რომ მე არასოდეს ვყოფილვარ და არც არავითარი საფუძველი არ მქონია ვყოფილიყავი ნავთსადენის არა თუ მტერი, არამედ მოწინააღმდეგეც კი. მე მხოლოდ იმ ხერხების მოწინააღმდეგე და მტერი ვარ, ამ საქმეს რომ რეკლამას უკეთებდა და წარმართავდა როგორც მოკეთეების, ასევე მტრების იმ ცრუ განცხადებებით, ხალხის უცოდინარობაზე რომ იყო გაანგარიშებული და ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ამ საქმეში მე არც ერთისა და არც მეორე მხარის ინტერესებით არ ვყოფილვარ არასოდეს დაინტერესებული, რადგან არაფრით არ ვხელმძღვანელობდი, გარდა იმისა, რომ ჩვენი ქვეყნისათვის სარგებლობა მომეტანა. მაგრამ ვინ არიან ნავთსადენის ნამდვილი მტრები, რომლებიც ყველა დაშვებული და დაუშვებელი საშუალებებით ცდილობენ ზიანი მიაყენონ ბატონი ილიმოვის საწარმოს? რა თქმა უნდა, არა ამიერკავკასიის რკინიგზის მმართველები, რომლებთანაც ჩემდა საუბედუროდ ერთ დროს ვმსახურობდი—ეს მათთვის დიდი პატივი იყო—სადაც დამოუკიდებელი საქმე მქონდა და ისიც იმდენად, რამდენადაც ჩემი სამსახური დაკავშირებული იყო ჩემი ქვეყნის სარგებლიანობასთან. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ნავთსადენის მოწინააღმდეგენი არათუ ხელს არ უშლიდნენ ნავთსადენის გაყვანას სერიოზულად, არამედ პირიქით, მნიშვნელოვნად ეხმარებოდნენ თავიანთი განცხადებებით იმის შესახებ, რომ ნავთსადენი ვერავითარ ზიანს ვერ მიაყენებს ამიერკავკასიის რკინიგზის ინტერესებს. თუკი შეიძლება მე ვინმესთან სოლიდარული გამხადონ საქმის ასეთ წამომწყებებთან. ხოლო ჩემი გამოცხადება ნავთსადენის ნამდვილი მტრების ბატონების ნობელის, რაგოზინის და სხვათა მეთაურად, ნება თქვენია, მაგრამ ეს იმას ნიშნავს, რომ წარმოდგენა არა აქვთ იმაზე, რაზედაც ლაპარაკობენ და ეს ძალიან ცოტას მეტყველებს „მოსკოვსკიე ვედომოსტის“ ცნობების სისრულესა და გულწრფელობაზე.

„მოსკოვსკიე ვედომოსტიდან“ ზემოთ მოყვანილი ამონაწერი მართლაც მოწმობს იმას, რომ ამ გაზეთის „კომპეტენტური წყარო“ კარგად იცნობდა „ნოვოე ობოზრენიეს“ წერილებს და ყურადღებით ადევნებდა თვალს ჩემს მოღვაწეობას. აი, რატომ მაქვს უფლება მივიჩნიო არაგულწრფელ ხერხად ჩემი სახელისა და ჩემი ცნობების ბოროტად გამოყენება. სუფთა საქმე არ საჭიროებს ხერხებს, მეტისმეტად რომაა „ილიმოვირებული“. „მოსკოვსკიე ვედომოსტი“ ყველაზე

უკეთ მაშინ გაიგებს, როცა ვიტყვი, ნავთობსადენის გამო ჩვენი მთავრობის დაშინების საძრახის ხერხს—უცხოური მონოპოლიის ხან ინგლისის, ხან როტშილდის, ხან ამერიკის გაბერილი აჩრდილით—არ ჰ ყავდა უფრო მტკიცე ანტაგონისტი, ვიდრე მე ვიყავი. და მართლაც, განა მე არ აღვუდექი წინ ტექნიკურ საზოგადოებაში ბატონი რაგოზინის ღრიალსა და ბატონი ნობელის ინსინუაციებს ნავთობსადენის მოჩვენებით საშიშროებაზე, რაც თითქოსდა უცხოური მონოპოლიის წყარო ან იარაღი იქნება. განა „ნოვოე ობოზრენიე" არ ამტკიცებდა გაზეთების მიერ გავრცელებული ხმების სიცრუეს როტშილდის ნავთსადენის საქმეში მონაწილეობის შესახებ და განა ჯერ კიდევ იმ დღეებში არ წერდა, რომ სისულელეა აშინებდე მთავრობას ამერიკის Standard-ის მიერ ნავთობსადენის კონცესიის შესყიდვის ჩრდილით.

„მოსკოვსკიე ვედომოსტის" მოწინავე წერილი ძირითადად ხომ მხოლოდ იმის მტკიცებაა, რასაც ჩვენ ვამტკიცებდით: არ უნდა გვეშინოდეს იმისა, რომ ბატონი ილიმოვი თავის კონცესიას ამერიკელებს მიყიდის. მაშინ რაღა საჭიროა ცილისწამება, ინსინუაციები, ამბებისა და ფაქტების დამახინჯება? ყველაფერ ამას მძაფრად უდის „ილიმოვშჩინის" სუნი და დროა, კარგა ხანია დროა მივუდგეთ მას ცოტაოდენი კრიტიკით.

ჩემს პიროვნებას სრულიად არა აქვს იმხელა მნიშვნელობა, რომ ასე დიდხანს შეაჩერო მასზე ყურადღება. საქმის ამ მხარეს მხოლოდ იმიტომ გავუსვით ხაზი, რომ ნათლად დამეხასიათებინა გაზეთის ის არაგულწრფელობა, როგორითაც იგი რეკლამას უკეთებს და მხარს უჭერს ნავთობსადენს. ახლა გადავიდეთ მისი არაგულწრფელობის სხვა, კიდევ უფრო ძლიერ მტკიცებებზე.

„მოსკოვსკიე ვედომოსტი" მართალია თავის წერილის შემდეგ პუნქტებში:

„გავრცელებული აზრის თანახმად ნავთობსადენის კონცესია შეუძლია განახორციელოს ან Standard-მა. ან როტშილდმა. ამ უკანასკნელმა განაცხადა, რომ არ მიიღებს მონაწილეობას ნავთობსადენის საქმეში, ამიტომ ახლა უნდა დავაწვეთ Standard-ს. ტაქტიკა ძალზე მარტივია. მაგრამ თუ კონცესიონერს (ბატონ ილიმოვს) სურს გადასცეს საქმე, მაშინ რაღას აყოვნებს გაყიდვას? კომპანიისათვის, რომელსაც რვაასი მილიონი დოლარი აქვს, რას წარმოადგენს ორი მილიონი დოლარი, რაც თითქმის იგივე ორი მილიონი მანეთია. ამ კომპანიისათვის 24 საათია საკმარისი იმისათვის, რომ ილიმოვის კონცესია იყიდოს. ხოლო ერთი თვის ვადა, საქმის განხორციელებამდე რომ დარ-

ჩა, სრულიად საკმარისია კონცესიის გასაყიდად, ცხადია, ეს რომ ილიმოვის გეგმებში შედიოდეს (უფრო სწორად, დავსძენთ— Standard-ის გეგმებში). ამაში მას ხელს ვერავინ შეუშლიდა. მაგრამ საქმის არსიც ის არის, რომ ამგვარი ხმების გავრცელების მიზანია სენსაცია გამოიწვიოს ადვილად დამჯერი ადამიანების გონებაში, მაგრამ სერიოზულ კრიტიკას ეს ხმები, რა თქმა უნდა, ვერ გაუძლებენ".

ყველაფერი ეს წმინდა ჭეშმარიტებაა და „ნოვოე ობოზრენიეს" არ მორიდებია განეცხადებინა (იხ. №1553), თუმცა სხვა საფუძველზე, რამხელა სისულელეა შეაშინო მთავრობა ჩვენში ამერიკელთა შემოჭრის აჩრდილით. ყოველგვარი ეჭვის გარეშე, ეს არის უხამსი და დაუშვებელი ხერხი, მაგრამ საკითხავია, კიცხავს რა ღირსეულად ამ უხამს ხერხს და სრულიად მართებულად ეძახის მას „საფრთხობელას", როცა ამბობს „ახლა ახალი საფრთხობელა გამოინახაო", გაზეთი „მოსკოვსკიე ვედომოსტი" ბატონ ილიმოვის კვალდაკვალ რატომ კადრულობს ზუსტად იმავე ხერხით ჩაეჭიდოს იმავე „საფრთხობელას? რატომ ამტკიცებს გაზეთი, რომ ნავთსადენის მოწინააღმდეგეებმა, იცავენ რა სინამდვილეში როტშილდის მონოპოლიას (რომელს?), „ახლა სხვა ვერსია შეთხზეს". აბა, როგორია? ძმები ნობელების, შაბაევის და კომპანიის (ბატონი რაგოზინი) ამხანაგობები იცავენ როტშილდის მონოპოლიას. კი მაგრამ, რაში სჭირდებათ? ნუთუ ორივე ამ ამხანაგობას ცოტა აქვს თავისი პირადი და სისხლხორცეული ინტერესები, რომლებიც თანაბრად ეწინააღმდეგება ილიმოვისა და როტშილდის ინტერესებს და რომ როტშილდის ინტერესებს კი არ დაიცავენ, არამედ თავიანთს? და თუ სავსებით სწორია „მოსკოვსკიე ვედომოსტის" შენიშვნა: „სიმართლე რომ ითქვას, რითაა როტშილდი ამერიკელებზე უკეთესი", ნუთუ ასე ძნელია მიხვდე, რომ ის გერმანელებიც და ინგლისელებიც, რომელთაც „მოსკოვსკიე ვედომოსტის" სიტყვებით რომ ვთქვათ, „ჯერ კიდევ იმედოვნებს ბატონი ილიმოვი კონცესია მიჰყიდოს, ჩვენთვის და რუსეთისათვის არაფრით არ არიან არც ამერიკელებზე და არც როტშილდზე უკეთესები: ყველა ეს უცხოელი ჩვენთვის თანაბრად უცხოა და ჩვენი მშვენიერი თვალებისათვის კეთილისმყოფელნი არასოდეს გაგვიხდებიან, არც როტშილდი და არც მილიონერობაში მისი ბრიტანელი ან გერმანელი თანამოძმენი.

ამრიგად, ვიმეორებ, რატომ ამტკიცებს „მოსკოვსკიე ვედომოსტი" ბატონ ილიმოვისათვის მისი კონცესიის ვადის გაგრძელების აუცილებლობას და აშინებს ხალხს როტშილდის მონოპოლიის აჩრდილით?

მონოპოლიები მონოპოლიებს უჭერენ მხარს, „საფრთხობელები კი საფრთხობელებს. მე კი მგონია, ნავთობსადენის მომხრეები და მოწინააღმდეგენი ერთ მანეთად ღირან. მათი ერთობლივი არგუმენტაცია სერიოზული გონების პატრონისათვის ღირსებას მოკლებულია. ორივე მხრიდან იგი თანაბრადაა გაანგარიშებული, რომ სენსაცია მოახდინოს მალე დამჯერი გონების ადამიანებზე და მოწმობს მოკამათეების ღრმა უპატივცემულობას საღი აზრისა და თავის ხალხის აზრისადმი.

ვთხოვ ჩემს მკითხველებს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ იმ მნიშვნელოვან ფაქტს, რომ ნავთობსადენის მოკეთეებისა და მტრების მოსაზრებები ამოკრებილია „ნოვოე ობოზრენიიდან“ და წარმოადგენს მხოლოდ ჩვენი მონაცემების დამახინჯებას. მე არც კი მჯერა, რომ მათთვის ახლობელ საქმეზე, იმაზე, მათთვის რომ სისხლხორციელია, მხოლოდ ის იციან, რაც დრო და დრო იბეჭდებოდა „ნოვოე ობოზრენიეში“. მაგრამ იმის გამო, თუ რა მწირი ცნობები აქვთ ჩვენი და ამერიკის ნავთობმრწველობის რეალურ მდგომარეობაზე, ეს სრულიად არაა გასაკვირი. მაგრამ როცა სერიოზული გაზეთი, ისეთი, როგორიცაა „მოსკოვსკიე ვედომოსტი“, ალბათ სერიოზულად ამტკიცებს, რომ ერთის მხრივ Standard-ს 24 საათში შეეძლო ეყიდა ილიმოვის კონცესია, ხოლო მეორეს მხრივ, ილიმოვს არ ეყოფა ერთი თვე და განვლილი დრო ცოტა იყო იმისათვის, რომ კონცესია მიეყიდა ინგლისის ფულის ბაზრისათვის, რომლის კაპიტალი, უკიდურეს შემთხვევაში, ათასჯერ მაინც აღემატება Standard-ის კაპიტალს, შეიძლება კი აქ სერიოზული კამათი? ისევ ვიმეორებ, ჩემთვის სულერთია, გაუგრძელებენ ილიმოვს კონცესიის ვადას თუ არა. მე მხოლოდ იმას ვამტკიცებ, რომ თანაბრად მიუღებელია მოითხოვო ან იდავო იმისათვის, რომ კონცესიას ვადა გაუგრძელდეს ცრუ განცხადებებით და გააჩრდილებული საფრთხობელებით.

„მოსკოვსკიე ვედომოსტის“ მხრიდან იმის მტკიცება, რომ ნავთობსადენის გაყვანას როტშილდი აფერხებს, ეს იმას ნიშნავს, რომ ამტკიცო ცხადი შეუსაბამობა. რით შეუძლია როტშილდს ხელი შეუშალოს ან ზიანი მიაყენოს ნავთობსადენს? „მოსკოვსკოე ვედომოსტმა“ ალბათ არ იცის, მაგრამ მე მათ გავუმხელ, რომ ბატონმა ილიმოვმა არაერთხელ შესთავაზა როტშილდს თავისი კონცესია და შესთავაზა სხვადასხვა სახით. როტშილდს ნავთობსადენის გაყვანა მართლა სერიოზულ წამოწყებად რომ მოჩვენებოდა, თუნდაც ისეთად, ერთი გროშით რომ გააიაფებდა ნავთობის გადაზიდვას შავი ზღვის ნა-

პირებამდე, მაშინ, ცხადია, იგი იყიდდა კონცესიას, რომელიც თვითონვე უვარდებოდა პირში. მაგრამ მან არ იყიდა კონცესია და ახლა ბატონ ილიმოვს შეუძლია „მოსკოვსკიე ვედომოსტის“ ფურცლებზე „კომპეტენტური წყაროს“ დროშით ალაგმოს თითქოსდა როტშილდის მონოპოლისტური მისწრაფებები. „მოსკოვსკიე ვედომოსტს“ ჩვენ კიდევ უფრო საინტერესო საიდუმლოს გავუმხელთ. ბატონმა ილიმოვმა, სწორედ იმან, ახლა რომ უცხოეთის მონოპოლიებისაგან რუსეთის ინტერესების დამცველად გამოდის ამ გაზეთის ფურცლებზე, როტშილდს შესთავაზა კომბინაცია, რაც რუსეთის ინტერესებისა და კანონების პირდაპირი და თავხედური გვერდის ავლა იქნებოდა. მან შესთავაზა და თანაც ვალდებულება იკისრა, გამოეთხოვა რუსეთის მთავრობისათვის შემდეგნაირი კომბინაციის დაუსჯელობა: იკისროს როტშილდმა ნავთობსადენით გადასაქაჩი ნავთობის საერთო რაოდენობის მესამედის ან ნახევრის გადაქაჩვა და მაშინ ნავთობსადენი, თავის მხრიდან აღებული ვალდებულების თანახმად, კისრულობს ერთხელ და სამუდამოდ როტშილდს ერთ ფუთ ნავთზე სამი კაპიკით ნაკლები გადაახდევინოს, ვიდრე გადაახდევინებს ნავთობის სხვა გადამქაჩველებს.

მერე იცით კი, რას ნიშნავს ამგვარი რევერსია, როგორი მონოპოლია იქნებოდა როტშილდისათვის და თანაც რა იაფი დაუჯდებოდა? თუ ეს მართალი არ არის, მაშინ გაბედოს ბატონმა ილიმოვმა და უარყოს ამ ჩვენი განცხადების ჭეშმარიტება. როტშილდი არ აყვა ცდუნებას და ბატონი ილიმოვის წინადადება აღშფოთებით უარყო. ახლა კი იმავე ბატონმა ილიმოვმა „მოსკოვსკიე ვედომოსტის“ და მის მკითხველებს თავის თავი მონოპოლიების მოწინააღმდეგედ წარუდგინა. ჩემი საქმე არაა მისი ბრალდებებისაგან როტშილდის დაცვა. როგორც როტშილდისაგან, ასევე ყველასაგან ამქვეყანაზე, მე წმინდად ვიცავ ჩემს დამოუკიდებლობას. მაგრამ ეს ფაქტი ჩემთვის ძვირფასია არა როტშილდის გასამართლებლად, ვისთვისაც პირში თითის ჩადება სახიფათოა, არამედ ჩვენი დროისა და ჩვენი საქმეების დასახასიათებლად. აი, როგორ ადამიანებს შეუძლიათ ჩვენში თავის თავი ხალხის წინაშე დაუსჯელად გამოაცხადონ რუსეთის ინტერესების დამცველად, უცხოური მონოპოლიების წინააღმდეგ მებრძოლად და ამავე დროს მიიღონ „მოსკოვსკიე ვედომოსტის“ ატესტაცია, რომ სრულიად საიმედონი არიან. დაე, „მოსკოვსკიე ვედომოსტმა“, რომელმაც პატივი

დამდო და ჩემს ნაწერებს დაეყრდნო, თუმცა ბოროტი განზრახვით, შეამოწმოს ჩემი მტკიცებანი: საშიშროებას ნავთობსადენი კი არ ქმნის, არამედ ის ხერხები, ის გვერდის ავლა, ის ბოროტად გამოყენება, რის ნებასაც აძლევენ თავის თავს და კვლავაც მისცემენ ბატონი ილიმოვის მსგავსი ადამიანები. ისინი არ არიან შექმნილნი დიდი და სერიოზული საქმეების აღსასრულებლად და ყოველი საქმე მათ ხელში მხოლოდ კანონებისა და სახელმწიფოს ინტერესების გვერდის ავლა იქნება იმ პატარა და მდაბალი მიზნებისათვის, რომლებიც ხელეწიფებათ.

კიდევ უკეთესი დადასტურება ნავთობსადენის მეგობრების უკეთური ხერხებისა არის „მოსკოვსკიე ვედომოსტის" წერილის ის ადგილი, სადაც ამტკიცებენ, თითქოს ჩვენი მხარის უმაღლესი ხელისუფლება მტრულადაა განწყობილი ნავთობსადენისადმი და მხოლოდ იმიტომ, რომ როტშილდს უწევს მფარველობას. ვიმედოვნებ, არავის ეპარება ეჭვი იმაში, რომ მე შემიძლია პანეგირიკები ვუმღერო ამ ხელისუფლებას: ჩემი აზრი მის მიმართ, უკიდურეს შემთხვევაში, აბსოლუტურად დამოუკიდებელია. მაგრამ თავადი ა.მ. დუნდუკოვ-კორსაკოვი არასოდეს არ იყო მტრულად განწყობილი ნავთობსადენის მიმართ. ასრულებს რა თავის მოვალეობას, დაიცვას ქვეყნის ეკონომიკური განვითარების საერთო ინტერესები, იგი ყოველთვის იმ აზრისა იყო, რომ სურამის უღელტეხილის გადაკეთება აუცილებელია ჩვენი მხარის ნავთობსადენის გასაყვანად. ეს არის და ეს. ეს აზრი მან გამოთქვა ჩვენს მხარეში როტშილდების მოსვლამდე დიდი ხნით ადრე. როცა სურამის უღელტეხილის აშენების ნებართვა იქნა მიღებული და მისი მშენებლობა დაიწყო 1866 წელს, თავადმა დონდუკოვ-კორსაკოვმა მაშინვე განაცხადა, რომ არაფერი აქვს ნავთსადენის გასაყვანად ნებართვის მიღების საწინააღმდეგო. თუ „მოსკოვსკიე ვედომოსტის" კომპეტენტური წყარო არ იცნობს ამ ფაქტს, ეს მხოლოდ იმას ამტკიცებს, ტყუილად მოაქვს თავი კომპეტენტურად, ხოლო თუ იცნობს და თავად მაინც როტშილდის დამცველად და ნავთობსადენის მტრად აცხადებს, მაშინ იგი გულწრფელობისა და სიმართლის თვალსაზრისით თავის თავს ცუდ რეკომენდაციას უწევს. მაგრამ როგორც ერთ, ისე მეორე შემთხვევაში მის მიერ მოწოდებული ცნობები, ეტყობა, არავითარ ნდობას არ იმსახურებს.

დამრჩა კიდევ რამდენიმე სიტყვის თქმა შემდეგ ხერხზე. „მოსკოვსიკე ვედომოსტს" ჰგონია, თითქოს რუსეთის მთავრობა, მისცემს რა კონცესიას ბატონ ილიმოვს, ამით ამ საქმის მორალური სარგებლია-

ნობა გარანტირებული იქნება. ამის თქმა იმას ნიშნავს, რომ არ იცნობ მთავრობის კონცესიების არსს. მინისტრთა კომიტეტი არასოდეს არ იხილავს და არც განიხილავს საწარმოს შემოსავლისა და სარგებლიანობის საკითხს. მისი საქმე არაა იზრუნოს საწარმოების ან კაპიტალისტების მოგებაზე. მინისტრთა კომიტეტი იხილავს მხოლოდ იმას, სახელმწიფოს ან მრეწველობის რა ინტერესებს დააზარალებს კონცესიის ესა თუ ის დამახასიათებელი პირობები და ჩვენი აზრით, გამოიმუშავებს თუ არა იმგვარ პირობებს, რომლებიც საკმარისია ჩვენი ინტერესების დასაცავად, რა თქმა უნდა, თუ ამ პირობებს წმინდად დავიცავთ და ნებადართული არ იქნება მათთვის პირდაპირ ან ფარულად გვერდის ავლა. კარგია ახლა ის, რომ ბატონი ილიმოვი „მოსკოვსკიე ვედომოსტის" მკითხველებს არწმუნებს მთავრობამ უკვე სანქცია მისცა ნავთობსადენის გაყვანასო? რისთვის არწმუნებს ამაში იმ ადამიანებს, რომელთაც ფულის მოცემა არ შეუძლიათ, ხოლო კაპიტალისტებმა არ დაიჯერეს სანქციაში რომ ამგვარი აზრი იდო.

იმითვე დავამთავრებ, რითაც დავიწყე: სუფთა საქმეები არ საჭიროებენ მიზნის მიღწევის ამგვარ ხერხებს. მხოლოდ ამგვარი ულამაზო ხერხების არსებობა მოწმობს იმას, რომ ბატონი ილიმოვის საქმე არ შეიძლება დაცული იქნას ისეთი საშუალებებით და არგუმენტებით, რუსეთის მკითხველ საზოგადოებას რომ არ ეკადრება. მეც სულითა და გულით მწყინს, ამ შემთხვევაში „მოსკოვსკიე ვედომოსტი" ერთ-ერთი იმ მისტიფიკაციის მსხვერპლი გახდა, რითაც ასე მდიდარია ბატონი ილიმოვის კარიერა.

60. საუძმო საკითხავი

ამ დღეებში თბილისი გავარვარებულ საკირედ იქცა საბოლოოდ და თუ მისი იქ მცხოვრებნი, რომელთაც ბედმა უარი უთხრა გაქცეოდნენ მას ერთი თვით მაინც ბუნების წიაღში, ან, ყოველ შემთხვევაში ამ წიაღის იმ პაროდიაში, რასაც ჩვენი „სააგარაკო ადგილები" წარმოადგენდნენ, ჯერ კიდევ არ დახრუკულან და დანახშირებულან, მაშინ, ყოველგვარ ეჭვს გარეშეა, ხდება სასწაული, რომელმაც ოდესღაც ამგვარივე განსაცდელისაგან იხსნა დანიელი და მისი სამი ყმა. ეს სასწაული სრულიად ზებუნებრივია, რამეთუ, ერთადერთი ძალა, რომელსაც შეუძლია გაანელოს ეს სულისშემხუთველი სიცხე,—ქუჩების მორ-

წყვა,—საღი აზრის საწინააღმდეგოდ რატომღაც სრულიად გაუქმებულია ჩვენი ქალაქის სასწაულმოქმედი გამგეობისაგან, რომელიც თავისი წყალსადენით ზამთარში და ავდრიან დღეებში ქალაქს წარღვნის ხოლმე და, ახლა კი, პლეშვინივით ავჭალის წყლის თითოეულ წვეთს დაჰკანკალებს, თითქოს მას, ამ წყალს მართლაც ვინმე ყიდულობდეს... ამასობაში კი, „ბედნიერებს", რომელთაც იქაურებისა და სინეკურების წყალობით აგარაკებზე არა მყრალ ალს, არამედ ატმოსფერულ ჰაერს ისუნთქავენ, მთელი გულით შეშურთ იმ თავისი თანამოქალაქეებისა, რომელნიც ბედმა თბილისში დასაწვავად გასწირა. ეს შური, თუმცა, გასაგებია. საქმე ეხება მოსკოვის მცირე თეატრის მსახიობთა ამხანაგობის წარმომადგენლებს და ბუნებრივია, რომ ბორჯომელები და აბასთუმნელები ჯავრისაგან თმებს იწიწკნიან, რადგან მათ არ ეღირსებათ იხილონ სატახტო ქალაქის კორიფეები...

ამ ჯავრის საცინლად აგდება ცოდვაც იქნებოდა და უაზრობაც, რადგან ჯანსაღი სასცენო შთაბეჭდილებები არანაკლებ სასარგებლო და აუტანელი არის ადამიანის ორგანიზმისათვის ვიდრე სუფთა ჰაერი—დაე, მაპატიოს ეს შეხედულება ექიმმა. თბილისის საადგილმამულო ბანკის დამფუძნებელ თავადაზნაურთა საერთო კრებაზე ახლახანს, დასაფლავებიდან სწორედ ერთი საუკუნის შემდეგ, აღადგინეს ჟანჟაკ რუსოს დიატრიბები სათეატრო სახისმეტყველთა წინააღმდეგ. ამ დიატრიბების შესახებ მე ჩემთვის, სხვათა შორის, გავიხსენე და არა ამისთვის, თითქოს მათ რაიმე სერიოზულ მნიშვნელობას ვაძლევდე. სცენიურ სანახაობებს ჰყავდათ მონინააღმდეგენი და მტერნი არა მხოლოდ თბილისელ ექიმებში, არამედ თვით ჟან ჟაკზედაც უფრო ბევრად ღონივრები და უფრო შემძლებელნი... ამას, თუმცა სრულიადაც არ შეუშლია ხელი თეატრისათვის ციებ-ცხელებათა და თანდათან კაცობრიობის გონებრივ ცხოვრებაში ისეთი მდგომარეობა დაეჭირა, რასაც ვერაფრით ვერც ამოშლი და ვერც გააუქმებ, მიუხედავად სცენიური ხელოვნების ყველა ნაკლისა და დამახინჯებისა, რაც ასე ხშირად მიიმართება ადამიანის ბუნების არა ჯანსაღი და, თუ გნებავთ, ზოგჯერ პირდაპირ მავნე ინსტინქტებისადმი. თეატრის ეს ურყეობა დამყარებულია ადამიანის ბუნების მოთხოვნილებებზე, მის ფიზიოლოგიურ კანონებზე, რომელნიც შეუმჩნეველნი არიან საქმის მხოლოდ ზერელედ შეხედვისას.

რუსული თეატრი, თვით თავის უმაღლეს გამოვლინებებშიც კი, ჯერ კიდევ ყრმის მდგომარეობაში იმყოფება, მიუხედავად იმისა, რომ მას გააჩნია „ვაი ჭკუისაგან", „რევიზორი", „ბორის გოდუნოვი" და „ჭექა-ქუხილი". მაგრამ თავისი განვითარების ამ დასაწყის სტადიაში იგი, ნაწილობრივ, ერთი ბეწვით, მაგრამ მაინც უპასუხებს საზოგადოების მოთხოვნილებას. ცხადია, მე არ ვლაპარაკობ იმ „მოთხოვნილებებზე", რაც მდგომარეობს დროის „მოკვლის" სურვილში თუ აუცილებლობაში, გართობასა და „ჩემი თავიც გამოვაჩინო და ხალხიცა ვნახო"-ში. ამ მოთხოვნილებას აკმაყოფილებენ და შეუძლიათ დააკმაყოფილონ სხვა ბევრმა დაწესებულებებმა და გამოგონებებმა—ბანქომ, კლუბებმა და სხვა კიდევ რაგინდა რამ... მაგრამ, მიუხედავად ადამიანის ბუნების ასეთი მიდრეკილებისა, მასში არსებობს ორგანული და მოუცილებელი მოთხოვნილება,—რაც რელიგიურობის ერთ-ერთ საფუძველს წარმოადგენს,—დროდადრო მასასთან უნისონში იგრძნობს ბუნების უმაღლეს ზნეობრივ ძალთა დაწოლას და, რა ფორმაშიაც არ უნდა გამოიხატებოდეს სრული თუ ნაწილობრივი დაკმაყოფილება ამ ორგანული მოთხოვნილებისა, სულ ერთია, მხოლოდ ამ დაკმაყოფილებაზეა დამყარებული თეატრის შეურყეველი მნიშვნელობა საზოგადოებათა არსებობაში, რომელნიც წმინდა პირუტყვული მდგომარეობიდან გააზრებული საზოგადოებრივი ცხოვრების ფაზაში შესულან.

უკიდურესად მრავალფეროვნად შეიძლება ამ მოთხოვნილების გამოხატულება და მისი ასე თუ ისე დაკმაყოფილების გამოვლინება, ამასთან, არსებობს აუარებელი ანალოგია ამ და იმ გრძნობათა შორის, რომლებზედაც თვით ქვეყნის შექმნიდანაა დამყარებული არა მხოლოდ ლიტერატურისა და საერთოდ ხელოვნების, არამედ თვით რელიგიის მნიშვნელობაც. საღი ან ნაწილობრივ გაწამებული აზრის მოძრაობაში შეიძლება, ერთგან, ვივარაუდოთ, რომ ადამიანის ბუნების მთელი ეს მოთხოვნილება—ამაღლება მუდმივი ზმანების სამყაროში, სხვა არ არის რა, თუ არა ცხოვრებითა და ბუნებით დამცირებულთა და შეურაცხყოფილთაგან საკუთარი თავის მოტყუება, ან ძიება ცოტად თუ ბევრად პლატონური დამშვიდებისა სინამდვილის სიძნელეებსა და წარუმართებლობაში. ამ მხრივ რუსი მოაზროვნის ი. გ. უუკოვსკის ღაღადისი, რომელმაც თეორიაშიაც და ცხოვრებაშიაც სააქაოს უფლებასა და სიკეთეს მისცა უპირატესობა და რომელმაც ყოველგვარი ზნეობრივი დამშვიდება გამოაცხადა ხალხის წი-

ნასწარ განზრახულ მოტყუებად მისი ექსპლოატატორების მიერ, შეიძლება ყურადღებასა და გამოხმაურებას იმსახურებდეს. მაგრამ, ასეა თუ არა ეს, ერთი კი სრულიად უეჭვოა, რომ კაცობრიობის უმეტესობა ახლა—როგორც ინტელიგენტური, ისე არა ინტელიგენტური,—ჩვენში, ისე როგორც სხვაგან, შედგება ხალხისაგან, რომელსაც ცხოვრებაში, ამგვარ დაკმაყოფილებათა გარდა, არა დარჩენია რა, გარდა ამის მსგავსთა, თუნდაც ისინი მოჩვენებითნი და მაცდუნებელნი იყვნენ... მაგრამ, არსებითად უფ. ჟუკოვსკი, რასაკვირველია, მართალი არ არის, რადგან ამ იდეალების რეალური ძალის, სიცოცხლისუნარიანობისა და უკვდავების საუკეთესო დამამტკიცებლად გამოდგება არა მხოლოდ მათი ათასწლოვანი და ყოველწლიურად სულ მტკიცებადი არსებობა, არამედ ის თანდათანობითი დაცემა მოწინააღმდეგე ძალთა და საწყისთა, რომელნიც ცოცხალ ძაფად არიან გაბმული კაცობრიობის მთელი ისტორიის მანძილზე...

აი, რატომაა, არსებითად, რომ თეატრი დამყარებულია ძირითადად სულ იმ „იმედზე"—„ცის მშვიდობიან მოციქულზე", რომელზედაც აგერ რამდენი საუკუნეა დამოკიდებულია კაცობრიობის მთელი ზნეობრივი ცხოვრება. ოღონდ თეატრში ამ „იმედის" გამოვლინება დიფერენცირებულია. იგი იქ გამოხატულია არა ვედრებისა და ჭვრეტის ფორმით, არამედ სარკაზმით, დაცინვით, წყევლითა და იშვიათად მიღწეული ბედნიერების მხიარული მირაჟებით, ან მოზეიმე სათნოების სახით...

რუსული სცენა ახლა მეტად მცირე რამ გასაგებს იძლევა თეატრის დანიშნულების ამ მხარის შესახებ, მაგრამ, იგი მაინც იძლევა მას, თუნდაც ნაწილობრივ. იმისათვის კი, რომ სრულიად შეიგრძნო ამ დანიშნულების მთელი ძალა, საჭიროა იმ ქვეყნების სათეატრო საზოგადოების შთაბეჭდილებების განცდა, სადაც დრამატიულმა ხელოვნებამ მოახერხა თავი გაეთავისუფლებია შემზღუდველი ქსელისაგან და ამაღლებულიყო ღირსეულ სიმაღლემდე. ეს შთაბეჭდილებები მხოლოდ იმისათვის გავიხსენე, რომ ბედნიერება მერგო ამ დღეებში რაღაც ამის მსგავსი გამომეტანა მოსკოვის დასის წარმოდგენებიდან. და რა კარგნი, რა მშვენიერნი, რა ჯანსაღნი არიან ეს შეერთებანი? მაყურებელთა დარბაზიდან გამოდიხარ რამდენიმე ათეული წლით გაახალგაზრდავებული და გამხიარულებული, სულიერი მამაცობის შეგრძნებით, რომელთაც გააჩნიათ შესაძლებელი და შეუძლებელი მსხვერპლისა და გაჭირვების ატანის უნარი, ნათელი მომავლის რწმენით, სიმართლისა და გონების ყოვლისმომრევი ძალის იმედით. რწმენის ასეთი გრძნობის გარეშე ხომ შეუძლებელი იქნებოდა ამ ქვეყანაზე

ცხოვრება, არა მხოლოდ იმ ადამიანთათვის, რომელთა გზა მოფენილია სიძნელეებითა და უბედურებით, არამედ მოკვდავთა შორის „უბედნიერესთათვისაც“,—რადგან, ვინ იცის, რომ მატერიალური ბედნიერება, თუკი იგი დაკავშირებული და შემტკიცებული არაა ამგვარ შეგრძნებებთან, გაცილებით უფრო ჩქარა ხდება მოსაყირჭებელი და მოსაწყენი, ვიდრე რომელიმე აუტანელი რამ წამებათაგან.

რასაკვირველია, არსებობს გრადაცია ასეთ შეგრძნებათა ძალაში და ხანგრძლივობაში, ისე როგორც არსებობს სხვადასხვაგვარი ხარისხი დრამატიული ხელოვნების იმ ხერხების მხატვრულობაში ანუ ხელოვნურობაში, რომელთა მეშვეობით ისინი ჩნდებიან საზოგადოებაში. ჭეშმარიტ მხატვრებს, დიდად ნიჭიერთ ეხერხებათ საზოგადოებაში აღძრან უძლიერესი შთაბეჭდილებანი უბრალო და უმცირესი ღონისძიებებით, თითქოს ყოველგვარი შრომისა და ძალდატანების გარეშე. უფრო სუსტებს სუსტი აქვთ შთაბეჭდილება და მძიმე—შრომა. ზოგჯერ მარცხიც გამოკრთის და ოფლის სუნიც უდის. მაგრამ, თითქმის ყოველთვის, მეტ-ნაკლებად, არა და არა, მაინც გაანათებს ნაპერწკალი სცენაზე—და სწრაფად, ელექტრონის დენივით გაივლის იგი ყველა მაყურებლის გულში, განურჩევლად კეთილისა და ბოროტისა, ჭკვიანისა და სულელისა, პატიოსანისა და უსინდისოსი და ყველანი, ერთი წუთით, ცოტათი თუ ბევრად ხანგრძლივი დროით უფრო განსხვავდებიან და განიწმინდებიან, ვიდრე მანამდე იყვნენ და იმ მზარდი ძალით, რაც ახასიათებს ადამიანთა თანაცხოვრებას, მისი გადამდებიანობის ყველა თვისებას, ეს ელექტრონის დენი, საზოგადოების რაოდენობასთან ერთად, გეომეტრიული პროგრესიით გაძლიერდება. აი, ამიტომაა, რომ კარგ დასთა და პიესათა კეთილნაყოფიერი გავლენის ძალა და სიღრმე დამოკიდებულია არა მათ შინაგან თვისებებზე, არამედ იმაზედაც, რომ ისინი დიდძალ საზოგადოებას იზიდავენ...

ყველა ზემონათქვამით, იმედი მაქვს, საკმაოდ აიხსნება ის საზეიმო და როგორღაც გაჯანსაღებული განწყობილება, რაც ძნელი არაა შეიმჩნეს ახლა თბილისის საზოგადოებაში, რომელიც თეატრში შეჰყავს და აჩერებს, რასაკვირველია, არა მხოლოდ უქმ პირღიობას ამ ჩვენთვის აუტანელ არაბულ და ეკვატორულ სიცხეში.

61. ბ-ნ ილიმოვის თავის მართლება

(ნავთობგაყვანილობის ეპოპეიდან)

მელასავით გაიძვერა ბ-ნი ილიმოვი „გრაუდანინ“-შიც შეიპარა და თან კუდით თავისი კვალი წაშალა. ამ გაზეთის №184-ში მან განაგრძო ის საქმე, რაც მისმა მომხრეებმა „მოსკოვსკიე ვედომოსტში“ დაიწყეს: ბაქოს ნავთობის საქმის მცდარად გაშუქება. მე არ მჭირდება იმის ჩვენება, რომ ანგარებიანი მტკიცებები სიცრუეს წარმოადგენს, რომლის მიზანია ვადის გაგრძელების მიღწევა და ნავთობგაყვანილობის კონცესიის პირობების შეცვლა როტშილდის მონოპოლიის აჩრდილით მთავრობის დაშინების გზით. იმის დახასიათებისათვის, თუ ბ-ნი ილიმოვი „როგორ წერს ისტორიას“, საკმარისია ვთქვათ, რომ ბ-ნ ილიმოვის სიტყვებით ბაქოს ბანკები ეფრუსისა და ებრაელების ხელშია. ეს ხომ სასაცილოა! იმ ადამიანთან კამათი, რომელიც თავს უფლებას აძლევს და ასეთ სიცრუეს სიმართლედ ასაღებს, წყლის ნაყვას ნიშნავს.

მაგრამ ამავე სტატიაში არის ადგილი, რომლის უპასუხოდ დატოვება მე არ შემიძლია, მიუხედავად სისულელისა. აი, ის:

„ამ აურზაურს (ნავთობის საქმეებში) თვალყურს ადევნებდა ქართველი ლევ ტოლსტოი: სოფელში, სამტრედიის რკინიგზის სადგურთან ახლოს დასახლებული, ხალხში გასული ნაროდნიკი; ყური მიუგდო და დიდი ნაროდნიკი გამოთვლის დროს დადუმდა და... როტშილდის სახით ნავთობის საქმეში გამოჩნდა „უკუნეთის მფლობელი“, როგორც ბათუმის საზოგადოების ბატონი; იმავდროულად მოხდა გროშის ფასად მთელი დამზადებული ნავთობის შესყიდვა და ბაზრებში მისი გაყიდვა იმ ფასად, რომლის დროს ნავთობის საქმე დიდხანს ვერ იარსებებს. სიტყვამ მოიტანა და გეტყვით კავკასიელ ტოლსტოიზე: ის იმდენად გაფილოსოფოსდა, რომ ამ ურია ბარონის ფულებით გაზეთის გამოცემაც კი დაიწყო, რომელშიც მისი აგენტების ინტერესებსა და მათ საქმიანობას იცავს“.

ამ ნაწყვეტის გასაოცარმა სისულელემ მომაგონა ანეგდოტი ქართველი სემინარისტებისდროინდელი ყოფიდან, რომელთაც რუსულს ასწავლიდნენ მშობლიური ენის დაუხმარებლად. ერთმა სემინარისტმა მეორეს უწოდა „ვირო!“ შეურაცხყოფილმა რუსულად არ იცოდა რაიმე სალანძღავი სიტყვა. დაზეპირებული ჰქონდა მხოლოდ კრილოვის არაკები. მან გაიხსენა კრილოვის არაკის სათაური „ვირი და ბულბული“, დაძაბა მთელი თავისი აღშფოთება და გამარჯვებულმა მიახალა:

„—შენ კი... ბულბულო!“

საწყალს ეგონა, რომ „ბულბულიც“ ლანძღვა იყო, ზუსტად ასე ბ-ნ ილიმოვს ჰგონია, რომ თუ „გრაჟდანინ“-ში ლევ ტოლსტოის მიწოდებს, თუნდაც ქართველს თუ კავკასიელს, ამით ზიანს მომაყენებს...

მაგრამ ამ ნაწყვეტის საოცარი სისულელე მხოლოდ ამით არ ამოიწურება. თუკი მე სოფელში დავსახლდი, მართლა როგორც „ნაროდნიკი“ და თან „ხალხში გასვლის მიზნით“, მაშინ საკითხავია რაში მჭირდება ნავთობის საქმის თვალყურის მიდევნება და ჩემი ხალხში გასვლა რა კავშირშია ნავთობის საქმესთან და როტშილდის მონოპოლიასთან? მონოპოლიების გაცემა სრულიად არ არის ხალხზე, განსაკუთრებით ჯიხაიშელ ხალხზე დამოკიდებული. მეორე მხრივ, რა კავშირი უნდა ჰქონდეს რუსულ ენაზე გაზეთის გამოცემას ხალხში საიდუმლო სიარულთან, იმ ხალხში, რომელთაც რუსული ერთი სიტყვაც არ იციან. სრულიად გაუგებარია. ყურადღება მიაქციეთ იმას, რომ მე ვლაპარაკობ ამ ცილისწამების სისულელეებზე და არა უმსგავსოებაზე: როგორც ჩანს, საკმაოდ შევაწუხე ნავთობგამყვანები, თუკი ისინი „ბრძოლის“ ასეთ უმსგავსო ფორმებსაც არ ერიდებიან. თუმცა მათ სხვა აღარაფერი დარჩენიათ, რათა როგორმე უარყონ ჩემი შენიშვნები...

ვისაც საღი და პრაქტიკული აზროვნების ნატამალი მაინც შერჩენია, ყველა მიხვდება, რომ ნავთობსადენის შემოსავალზე და რეალურ არსებობაზე იოტისოდენ გავლენას არ მოახდენს ის, თუ სად ვიცხოვრებ მე: სამტრედიის სადგურთან ახლოს, თუ უფრო ცივი კლიმატის პირობებში...

სისულელე სისულელედ რჩება, მაგრამ მაინც უნდა შევახსენოთ ყველა ამ სისულელეთა პასუხისმგებელ რედაქტორს, რომ უკადრისია გააფთრებულ ხალხს უფლება მისცეს მისი გაზეთის სვეტებზე დაუფარავად მლანძღონ და შეეხონ ჩემს პირად ცხოვრებას. გაცოფებულ ადამიანებს არ ვეხები, მაგრამ ვაფრთხილებ თავად მიშჩერსკის, კვლავაც თუ მისცემს უფლებას თავის თავს ან სხვებს, რომ ჩემს მიმართ მსგავსი ილეთი გამოიყენონ, მაშინ მათ ჩემებურად გავუსწორდები. გამგებმა გაიგოს...

მე ლაპარაკიც არ მინდა იმ უსუსურ განცხადებაზე, თითქოს „ნოვოე ობოზრენიე“ როტშილდის ფულებით გამოდის: ჩემმა მკითხველებმა კარგად იციან ჩვენი გაზეთი ვის ინტერესებს იცავს და რა თანხას ფლობს. ხოლო ამ საკითხზე რას ფიქრობენ „გრაჟდანინ“-ის მკითხველები, სრულიად არ მაინტერესებს.

62. საუძმო საკითხავი

დღეს „კასპიიმ“ ამომახსნევინა იმ ხანგრძლივი არეულ-დარეულობის ამოცანა, რატომ არ მისდით დროზე სხვა ქალაქების მკვიდრთ „ბაკინსკიი ლისტოკი“, თორემ აქამდე ვერაფრით ვერ მივხვდით, რატომ არ ვლებულობთ გაზეთს, რომელიც ბაქოში მეტად თუ ნაკლებად ნესიერად გამოდის და არაა იმ შეურაცხმყოფელი უთანასწორობის მიზეზი, ერთი და იმავე გამოცემის ბაქოელ და სხვა ქალაქების ხელისმომწერთა შორის რომ არსებობს. ახლა ყველაფერი გაირკვა და ამიერიდან არავითარი უთანასწორობა აღარ იქნება, რადგან ბატონი ნერუჩევის ბაქოელი ხელისმომწერნიც იზიარებენ სხვა ქალაქების ხელისმომწერთა სამწუხარო ხვედრს. „ბაქოს სავაჭრო-სამრეწველო ფურცელის“ გამომცემელმა ყველა ხელისმომწერს აცნობა, რომ თურმე მისი გაზეთის გამოსვლა ამა წლის 5 ივნისიდან „შეჩერდება“ იმის გამო, რომ შესაბამის უფროსობას ნებართვა უნდა გამოსთხოვოს გამოცემის პროგრამის ხელახლა შეცვლისათვის.

ღმერთმა ნუ ქნას, არა მარტო აზრი გამოვთქვა, არამედ ვიფიქრო იმაზე, რომ ამ გაზეთის დროებითი შეჩერება ხსვა არაფერი იქნება, თუ არა მისი სამუდამოდ გარდაცვალება. მე იმიტომ არ მინდა შევჩერდე ასეთ მრუდე აზრზე, ეს აზრი რომ დავუშვა, მაშინ მომიხდება ვრცელი ნეკროლოგი დავწერო გარდაცვლილ თანამოძმეზე, რისთვისაც ხელში საკმარისი მასალა არ მიჭირავს. ჯობია მწამდეს, რომ ეს არ მოხდება და მირჩევნია, ქვეყანას გულკეთილობის ვარდისფერი სათვალით ვუყურო. ამიტომ იმის იმედი მაქვს, რომ ამიერიდან, როცა პრესის მთავარი სამმართველო ბატონ ნერუჩევს ნებას დართავს გადაადგილ-გადმოაადგილოს თავის გაზეთის განყოფილებები და როცა იგი გაზეთს დაიწყებს განცხადებებით და არა ტელეგრამებით, როგორც აქამდე იყო და დაამთავრებს „მთავრობის განკარგულებებით“ და არა „მისამართებით“, აღდგენილი გამოცემა აღადგენს (ბოლოს და ბოლოს) სასურველ ურთიერთობას ხელისმომწერლებთან და უხვად დააჯილდოვებს მათ უკეთ გაფორმებული და მათი მოთხოვნილების უკეთ დამაკმაყოფილებელი „ორგანოთი“, როგორც ამას გვატყობინებს ახლა ბატონი ნერუჩევი. ამიტომ მე არ ვიმეორებ ამ საქმის გამო სკეპტიკურ ან ირონიულ ნამოძახილს „ღმერთმა ქნას“, რაც ზემოთმოყვანილ ცნობას „კასპიამ“ დაადევნა. მინდა არა მარტო დავიჯერო, არამედ გულწრფელადაც შევუწყო ხელი ამ რწმენის განხორ-

ციელებას, რადგან საქმე რწმენის გარეშე მკვდარი არს. მე აქ გამოვთქვამ ზოგიერთი შენიშვნის არსს, მომავალში რომ ბატონ ნერუჩევს ან მის შემცვლელს დაეხმარება „ხელისმომწერებთან სასურველი ურთიერთობის" დამყარებაში.

მხოლოდ ამ მიზნით და არა იმიტომ, რომ სიტყვა წარმოვთქვა დროებით გარდაცვლილი თანამოძმის მწუხარე სარეცელთან, მე დავახასიათებ იმ მიზეზებს, რამაც ჯერ შეჩერებული გაზეთის გაძვალტყავება გამოიწვია, შემდეგ კი ლეთარგიული ძილი. 1875 წლიდან, მისი დაარსების დღიდანვე, იგი ითვლებოდა რუსეთის ტექნიკური საზოგადოების ბაქოს განყოფილების ორგანოდ და სათაურად სწორედ ამ ტიტულს ატარებდა. შემდეგ მან მოინდომა გამხდარიყო „რუსეთის ნავთის მრეწველობის ორგანოდ". მაგრამ ტიტული ცარიელი ბგერაა. სინამდვილეში გაზეთი იკვებებოდა თბილისისა და დედაქალაქის გაზეთების ყოველგვარი მონაჩმახის უწესრიგო თარგებით და ცნობებისა და შეხედულებების იმ ნასუფრალით, რასაც ესა თუ ის მრეწველი პირადი ინტერესების გამო გაზეთის სტუმართმოყვარე გვერდებზე აბნევდა... მას არ შეეძლო მიეწოდებინა თავის მკითხველებისათვის არც ნავთობის საქმეების ეკონომიურ საკითხებზე სახელმძღვანელო შეხედულებანი და არც ამ დარგის მოვლენების დამაკავშირებელი ქრონიკა. მართლაც საკვირველი საქმეა: ცხოვრობს კაცი ბაქოში, რამდენიმე წლის მანძილზე მთელი დღე ნავთობის საქმის მცოდნე ათასგვარ სპეციალისტს შორის ტრიალებს, თვითონ განაგებს გამოცემას, ვალდებულია გამოეხმაუროს ნავთობმრეწველობის ხან ერთ, ხან მეორე, ხან მესამე საკითხს და ამავე დროს მთელი ათწლეულის მანძილზე არ შეუძლია შეიმუშაოს ნათელი წარმოდგენა ამ მისთვის ერთადერთ საინტერესო საქმის ხასიათზე და არსზე! ჩემთვის ცოტათი მაინცაა გასაგები ის, რომ რომელიმე ტექნოლოგმა, რომელმაც მთელი ცხოვრება ტექნიკის რომელიმე კერძო დარგის შესწავლასა და წარმართვას მოახმარა. მისი გონება, მიკროსკოპიულ ზომებამდეა შეზღუდული და თავის მფრქვევანასი ან თავის „ხერხის" იქეთ ვერაფერს ხედავს. მესმის ისიც, მაგრამ როგორც წმინდა პათოლოგიური მოვლენა, რომ სხვა ტექნოლოგებს, გატაცებულთ საქმის წვრილმანი მხარეების „სრული მონაცემების" მოპოვებით, მხედველობიდან რჩებათ მისი საფუძვლები და უმთავრესი მხარეები. ამ ქვეყანაზე ყველაფერი ხდება. მაგრამ შეიძლება იმის წარმოდგენა, რომ ქალაქში, სადაც ტექნიკურ დეტალებზე კი არ ბჭობენ და დაობენ, არამედ ნავთობის საქმის ეკონომიურ მხარეებზე, წვრილმანებზე ხურდავდებოდეს და იბნეოდეს ჟურნალისტი, რომელმაც უნდა

იცოდეს და რომელსაც უნდა ესმოდეს მის ირგვლივ არსებული სამყაროს ყოველდღიური ჭირვარამი? აი, ამიტომ ბატონი ნერუჩევი ვერ იტყვის თავის თავზე, რომ:

„იგი გულით გამოეხმაურა ყველაფერს,

რომ გულისთვისვე მოეთხოვა პასუხი“.

სიმართლე რომ ითქვას, იგი თავის გაზეთის ფურცლებზე გულით არაფერს გამოხმაურებია და ვერასოდეს ვერ შეძლო არა თუ აუცილებელი ყოფილიყო მისთვის, არამედ უბრალოდ სასარგებლო იმ გარემოსათვის, ვისთვისაც მისი გაზეთი „ორგანო“ უნდა ყოფილიყო. ხოლო ამ გარემოს ცხოვრება „ბაკინსკიე იზვესტიას“ გამოცემის მანძილზე უაღრესად საინტერესო და ბრძოლის, გაუგებრობების, ინტრიგების, შეტაკებების საკითხებით იყო სავსე. აღარაფერს ვამბობ ახალჩასახულ მრეწველობაზე, რომლის ყოველი ნაბიჯი სამშობლოს ეკონომიური განვითარების ისტორიის თვალსაზრისით უაღრესად საინტერესოა, რადგან ათასგვარი აფერისტები და მრეწველები ისე დაესხნენ ბაქოს თავს, როგორც ძერები და, ცდილობდნენ ამ ქალაქში აემღვრიათ წყალი, რომელშიც ადვილი იქნებოდა ოქროს თევზის დაჭერა. პირადი ინტერესების გამო ისინი ზემოქმედებას ახდენდნენ რუსეთის საზოგადოებრივ აზრზე, უგზავნიდნენ სატახტო ქალაქის გაზეთებს და მთავრობას მოხსენებით ბარათებს, სადაც ყოველთვის ისე იყო დახატული იქ შექმნილი მდგომარეობის ფანტასტიური სურათები და ბაქოს ნავთობმრეწველობის საჭიროებანი და ამავე დროს ფაქტები, ციფრები და საქმეები გადმოცემული იყო ისეთივე დამახინჯებული სახით, როგორც ახლა ბატონი ილიმოვის დამქაშები ხატავენ ბაქოს დიდ და პატარა საქმეებს. იმ დროს, როცა დედაქალაქის პრესას შეცდომაში შეჰყავდა საზოგადოებრივი აზრი, როცა იგი ნებით თუ უნებლიედ დაეწაფა სიცრუის სიბრძნის წყაროს, ბაქოს გაზეთი, რომელიც თავის თავს „ნავთობმრეწველობის ორგანოს“ უწოდებს, ჯიუტად დუმდა, დუმდა ისე, თითქოს პირში წყალი დაიგუბა იმის შიშით, რომ არ გაეღიზიანებინა ვირეშმაკა ბატები, რომლებიც თავიანთ მოურიდებელ სიცრუეს, ადგილობრივი პრესის დუმილის გამო, კიდევ უფრო ამძიმებდნენ. ამით იმის თქმა არ მინდა, რომ ბატონი ნერუჩევი და ბაქოს პრესა შეეთქვენ საზოგადოებრივი უმეცრების ექსპლოატატორებს, რომელთაც ნავთობის საქმის ბედი დაამახინჯეს. მე მხოლოდ იმას ვამბობ, რომ ბატონი ნერუჩევის გაზეთს ჰქონდა შესაძლებლობა და მოვალეც იყო ენერგიულად აღდგომოდა წინ ექპლოატატო-

რების ხრიკებსა და მზაკვრობას, მაგრამ მას ამგვარი რამ არასოდეს გაუკეთებია და ამით „მხედველობიდან გამორჩა თავისი დანიშნულება". მე არ ვიტყვი ამ ამბავზე იმას, რაც თქვა პოეტმა: „ასი აქტიური ბოროტმოქმედება უარესია, ას პასიურ ბოროტმოქმედებაზე".

არ ვიტყვი მხოლოდ იმიტომ, არ მიყვარს ხმამაღალი და მუავე სიტყვების წარმოთქმა, მაშინაც კი, როცა ისინი საფუძვლიანნი არიან. მაგრამ არ შეიძლება გავჩუმდე, როცა ბაქოს გაზეთების უძლურებისა და უმოქმედობის წამალი სწორედ იმის შეხსენებაა, რომ ადგილობრივი პრესის მოვალეობა პატიოსნად არ მოიხადეს. აქ პროგრამა და მისი ნაკლი არაფერ შუაშია: ბაქოს პრესის დაკნინების მიზეზი ის არის, რომ მან არ მოინდომა ჩაწვდომოდა თავისი რაიონის საერთო ინტერესებს და არ ეყო ვაუკაცობა მარტო მას მომსახურებოდა. მან არჩია „ამათაც" მომსახურებოდა და „იმათაც", რის გამოც პანია საქმეებს და პანია დამახინჯებებს შორის ფართხალებდა და ახლა ამის გამო საკუთარი შეცდომებითა და მოუმზადებლობით დამძიმებული მიწაში წვება.

და ახლა ამ მკაცრი, მაგრამ სამართლიანი განაჩენის პასუხად ნურავინ გვეტყვის, რომ ბაქოს პრესის წარმომადგენლებს არ ყოფნიდათ „ლიტერატურული ძალები და ტალანტები". პროვინციულ პრესაში მწერლის ტალანტი უკანასკნელი საქმეა. ვიცნობდით ჩვენ პროვინციულ პრესაში მოღვაწე უტალანტლივეს ჟურნალისტებს, რომელთაც ვერავითარი სითამამით ვერ აღმოფხვრეს ირგვლივ შემოჯარული ხალხის გულგრილობა, სამაგიეროდ ვიცნობდით უნიჭო ადამიანებსაც, სრულიად მოუმზადებლებსაც კი, რომლებიც აღფრთოვანებული იყვნენ სურვილით პატიოსნად მომსახურებოდნენ საერთო კეთილდღეობას და გამხდარიყვნენ საერთო საჭიროებებისა და მისწრაფებების გულწრფელი გამომხატველნი. ასეთი ადამიანები თავიანთ საზოგადოებაში, როგორი განუვითარებლებიც არ უნდა ყოფილიყვნენ, ყოველთვის იხვეჭდნენ მათი გარჯისადმი პატივისცემას და მათი მოღვაწეობისადმი მხარდაჭერას. პროვინციული პრესისათვის სრულიად არაა საჭირო და არც მნიშვნელოვანი გქონდეს ტალანტი: საჭიროა მხოლოდ მტკიცე სურვილი, მიუკერძოებლად ემსახურო საერთო საქმეს, რადგან მხოლოდ ამგვარი სამსახურია ძნელი, მხოლოდ ამის უნარი არ შესწევს ყველას. იგი იწვევს გაავებულ თავდასხმას ბნელეთისა და უკუნის მეგობრების მხრიდან, რომლებიც ამაოდ ცდილობენ ჩააქრონ პრესის მანათობელი შუქი, ჩააქრონ იმიტომ, რომ ეს შუქი ხელს უშლის მათ კერძო ინტერესების გამო თავს დაესხან ქვეყ-

ნის საერთო ინტერესებს, რომ არ შეგეშინდეს უმეცრების თანამედროვე ექსპლოატატორების უბადრუკი და სინამდვილეში უძლური თავდასხმებისა, განსაკუთრებული ვაუკაცობა არაა საჭირო. საჭიროა მხოლოდ მტკიცედ გახსოვდეს, რომ არ არსებობს ქვეყანაზე საზოგადოებრივი „სინდისის" დამამარცხებელი ძალა, რაც საიმედო ციხესიმაგრეა იმისათვის, ვინც გულწრფელად ემსახურება პრესას და იცოდეს, რომ ამ აუღებელი ციხესიმაგრის მინათხრილის საფარქვეშ:

„მხოლოდ სულით ძლიერს,
გარიყავენ ტალღები".

63. პოლიტიკური მიმოხილვა

ბულგარეთის საკითხი ისევ აქტუალურია, არა მარტო იმიტომ, რომ გამოვიცნოთ მისი გადაჭრის საშუალება, არამედ იმისათვის, რათა გავაცნოთ მკითხველს მისი ჭეშმარიტი არსი. ამიტომ ჭალდებული ვართ რამდენიმე სიტყვა ვთქვათ მასზე. თვლიან, ეს საკითხი პატივმოყვარეობის სფეროს უკავშირდება, სამწუხაროა, რომ ამას ჩვენთვის არსებითი მნიშვნელობა სულაც არა აქვს. ასეთი შეხედულება ორი წყაროდან მომდინარეობს. უმრავლესობისათვის იგი ბისმარკის ნათქვამს —ეს საქმე ერთი ნარინჯისფერი ჯარისკაცის ძვლებიც კი არ ღირსო იღებს სათავეს, ნამდვილად, ოღონდ აუცილებელია დამატება „გერმანიისათვის", მეორე, უკვე რუსული წყარო ბულგარეთის საკითხის უარყოფისა, ჩვენი პოლიტიკური შეხედულებების უახლეს ამოცანებში უნდა ვეძიოთ. ხალხი, რომელიც დარწმუნებულია, რომ სახლშიდაც უამრავი საქმე გვაქვს და მთავარია ისინი მოვასწროთ, ვიდრე საგარეო წარმატებებზე ვიფიქროთ, მათ შეუძლიათ ბულგარეთის საკითხი არ ჩათვალონ არსებითი მნიშვნელობის მქონედ, უფრო მეტიც, შეიძლება საერთოდ დაივიწყონ იგი, როგორც „შეცდომა ახალგაზრდა პოლიტიკისა", მაგრამ ასეთი ხალხი ჩვენში, როგორც სხვაგან, ძალიან ცოტაა.

დიდი უმრავლესობისა და პოლიტიკოსებისთვის, რომლებსაც ნათელი წარმოდგენა აქვთ ისტორიულ და პოლიტიკურ ტრადიციებზე, ბულგარეთის საკითხი არსებითი მნიშვნელობისაა და დიდ ყურად-

ღებას მოითხოვს. ამასთან რაც არ უნდა მოხდეს, იგი უნდა გადაიჭრას. და ეს სრულიადაც არ უკავშირდება წყენას ან პატივმოყვარეობას, არამედ შემდეგ არასაკამათო სოლიდურ საფუძვლებს.

ტრადიციულად ჩვენი აღმოსავლური პოლიტიკა პეტრე დიდის დროიდან, რომელსაც ერთი და შეუცვლელი მიმართულება ჰქონდა, ყოველთვის აწყდებოდა თურქეთის წინააღმდეგობას. ჩვენი თანმიმდევრული მოძრაობის დროს ეს სახელმწიფო საკუთრივ ბალკანეთის ნახევარკუნძულზე ყოველთვის გვიპირისპირებდა თავისი ძალების დიდ ნაწილს. ამ აუცილებლობის შედეგად მოხდა ასეთი ისტორიული გამოვლინება—ბალკანეთის ნახევარკუნძულზე ორი სამხედრო წარმატება გვქონდა, რომელმაც ჩვენი არმია არნახული დიდებით შემოსა. მაგრამ არსებითად ჩვენ ორი საუკუნის მანძილზე წინ ერთი ნაბიჯითაც არ წაგვიწევია, როგორც იყო პეტრეს დროს, ისეა ახლაც. წკნელი ჩვენთვის გადაულახავ წინააღმდეგობად იქცა, „მას ვერ გადააბიჯებ". ჩვენი საომარი წარმატებები ამ ომის არენაზე, უეჭველია, უკვალოდ არ გამქრალა. მათ შემდეგ ჩამოყალიბდა რამდენიმე დამოუკიდებელი სამთავრო და სამეფო—სერბიის, ბულგარეთის, რუმინეთისა, მაგრამ ჩვენთვის ამ სახელმწიფოების გათავისუფლებას არსებითად არაფერი მოუტანია.

ამასთან, იმავე დროს ჩვენი თანმიმდევრული მოძრაობა სხვა ბრძოლის თეატრში—მცირე აზია მაქვს მხედველობაში, ყოველთვის მიდიოდა არა მარტო ბრწყინვალედ, არამედ მყარი წარმატებით. საუკუნეც არ გასულა მას შემდეგ, რაც თავადმა პოტიომკინმა ალღო აუღო ამ საქმეს და ჩვენც ნაბიჯ-ნაბიჯ დავიკავეთ შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპირო და შევიჭერით მცირე აზიის სიღრმეში თვით ერზრუმის კარიბჭემდე და ამას ყოველთვის უმნიშვნელო ძალებით ვახერხებდით. ასევე ამ წარმატებებს უნდა ვუმადლოდეთ იმას, რომ თურქეთის ძალების ცხრა მეათედი დაკავებული იყო ბალკანეთის საბრძოლო ბატალიებით, ე.ი. იბრძოდა არა მხოლოდ ჩვენს წინააღმდეგ, არამედ თურქეთით უკმაყოფილო თავისი ხალხის—ბალკანელების წინააღმდეგაც.

ასეთი ვითარების გამო თურქეთის პოლიტიკის სერიოზული წარმომადგენლები, ჯერ კიდევ 1877 წლის ომამდე, ურჩევდნენ პორტას ფრონტის აუცილებელ ცვლილებებზე.

—ჩვენ თვითონ გავათავისუფლოთ—ამბობდნენ ისინი—მივცეთ ბულგარეთს უფლება ჩამოყალიბდეს დამოუკიდებლად, თავი დავანებოთ რუსეთის ჯარისგან პროვინციების დაცვას, ისინი მაინც უმადურები არიან, ვეზიზღებით და რუსეთს თანაუგრძნობენ. სამაგიეროდ მთელი ძალები გადავისროლოთ იქ, სადაც ჩვენთვის მომხრობის საფუძველია, სადაც ხალხი თანაგვიგრძნობს და ჩვენს მხარეზეა, სადაც ვითარების გასაღებია: დავიცვათ მხოლოდ სრუტეები და მცირე აზია. და თქვენ ნახავთ, რომ ჩვენ ამას წარმატებით გავართმევთ თავს, რუსი ჯარისკაცების თავდასხმისაგან კონსტანტინოპოლზე ჩვენი მტრები —რუმინელები, სერბები და ბულგარელები დაგვიცავენ,

ამ მიმართულების სათავეში, როგორც ცნობილია, იდგა „ახალი თურქეთის" პარტია მითხადიმ—არ ფაშასა და მუხტარის ხელმძღვანელობით, ამ პოლიტიკას პორტაში არ ჰქონდა სერიოზული წარმატება, მაგრამ, მისი სურვილის მიუხედავად, ვითარებიდან გამომდინარე მხოლოდ ეს გზა აღმოჩნდა ბუნებრივი და მისაღები.

პოლონეთის გადატრიალების შემდეგ, პორტამ მიუხედავად იმისა, რომ ამის დიდი სურვილი არ ჰქონდა, უარი თქვა ბულგარეთის საქმეებში ყოველგვარ ჩარევაზე. მან ფაქტიურად თავისი ძალაუფლებისაგან გაათავისუფლა აღმოსავლეთ რუმელიაც. და ახლა ვხედავთ, რომ ჩვენს მიერ გათავისუფლებული ბულგარეთი ჩამოყალიბდა, როგორც სამხედრო სამთავრო არმიით, რომელმაც უკვე სერიოზული მარცხი აგემა სერბებს, და ეს სამთავრო თავისი არმიით დღეს გამოხატავს მტკიცე გადაწყვეტილებას წინ აღუდგეს ჩვენს სვლას დუნაისაკენ. რუმინეთი და სერბიაც ამ მიმართულებას იზიარებენ. ყველა ეს ძალა თუ ადრე ჩვენთან ერთად იყო თურქეთის წინააღმდეგ, ახლა როგორც ჩანს, მიდრეკილი არიან იქით, რომ თურქეთს დაუჭირონ მხარი ჩვენს წინააღმდეგ.

ბუნებრივია, რომ რუსული პოლიტიკის ყველა მოწინააღმდეგენი ყოველი საშუალებით თანამშრომლობენ ჩვენთვის ამ მტრული ელემენტების გაძლიერებისა და დაცვისათვის. მაგრამ არანაკლებ ბუნებრივია, რომ ჩვენ პოლიტიკას არ შეუძლია არ შეშფოთდეს მისთვის საქმის ასეთი არსასასურველი შემობრუნებით, გავლენას, რომლისაკენაც ის ასე ისწრაფვის ბულგარეთის საკითხში, სხვა არავითარი მიზანი არ გააჩნია, გარდა იმისა, რომ მიაღწიოს ძალთა იმ მიმართულების შეცვლას, ჩვენ თვითონვე რომ გამოვიწვიეთ ბულგარეთის ცხოვრებაში.

საკითხები ბულგარეთის მთავრის არჩევისა და სამხედრო მინისტრის დანიშვნისა სწორედ ამ მიმართებით არის არსებითი: ვის ხელში იქნება კრიტიკულ მომენტში ბულგარეთის არმია, საით იქნება იგი მიმართული ჩვენს მოკავშირედ თუ მოწინააღმდეგედ...

სადავო არაა, რომ ბატენბერგის პრინცისა და ბულგარეთის პირველი მინისტრის მაგალითზე, რომლებიც როგორც ცნობილია, ჩვენმა ხელისუფლებამ დანიშნა, უმაღლეს პოსტებზე მყოფ ჩვენს მომხრე პოლიტიკოსებსაც კი არ შეუძლიათ წინააღმდეგობა გაუწიონ საზოგადოებრივი აზრის მდინარებას, პირიქით ზოგჯერ მისი გავლენის ქვეშაც ექცევიან ხოლმე.

ამ კუთხიდან შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ წარმოდგენა მთავრისა და მინისტრის დანიშვნის როლის მნიშვნელობა მეტად ცალმხრივია. მაგრამ მთავარი ეს არ არის. ჩვენ გვინდოდა გაგვეფანტა ზედაპირულობა და ბურუსი, ჩვენი მკითხველის შეხედულებისა ბულგარეთის საკითხში. თუნდაც ნაწილობრივ აგვეხსნა მათთვის ის ძალზე სერიოზული და არსებითი მხარეები, რომლებიც ბულგარეთის საკითხს მწველ და განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს. ამგვარად, ჩვენი მკითხველისათვის, მოვლენათა შემდგომ სვლაში, უკვე უფრო ნათელი გახდება, რამდენად შესაძლებელია დიპლომატებმა მტკიცე და გონიერი ამოხსნა მოუძებნონ საკითხს, რომლის გამოც ამდენ ხანს საგონებელში და მღელვარებაში იყვნენ ჩავარდნილი.

64. დაუმსახურებელი საყვედური

საბედნიეროდ „ნოვოე ობოზრენიე“ არ შემცდარა, როცა იწინასწარმეტყველა გაზეთ „კასპიის“ ახალი გამომცემლის ბატონ გორძიევსკის პირველი ნაბიჯებისა და განცხადებების საფუძველზე, რომ გაზეთი იმედს იძლევა გახდეს ბაქოს ცხოვრების ცოცხალ და სერიოზულ ამსახველ ორგანოდ. ყოველდღიური ცვლილებები თვალსაჩინოა. ეტყობა, ახალმა გამომცემელმა მოიმხრო საქმიანი ლიტერატურული ძალები, რომელთაც ჩვენც ვუსურვებთ ფართოდ გაშალონ მუშაობა. ამ ბოლო დროს „კასპიამ“ თავის მკითხველებს მიაწოდა მთელი რიგი მოწინავე წერილები და შენიშვნები, რომლებიც ეხებიან ადგილობრივ საჭირბოროტო საკითხებს და რომლებშიც მჟღავნდება, რომ ახალ რედაქციას სრულიად სწორი წარმოდგენა აქვს თავის მო-

ვალეობაზე და დანიშნულებაზე. ეჭვი არ მეპარება, რომ თუ საქმე მომავალშიც ამ მიმართულებით წარიმართა, ბაქოელები და ყველა, ვინც ბაქოს ცხოვრებითაა დაინტერესებული, „კასპიაში" აღმოაჩენენ სერიოზულ ლიტერატურულ ორგანოს, რომელიც თავის მოღვაწეობას ამ მნიშვნელოვან და ფართო რაიონის სამსახურს მიუძღვნის.

სხვათა შორის, განახლებულმა „კასპიამ" დაიწყო „ვოსკრესნიე ბესედის" გამოშვება. აქ უკვე ცარიელ ლაყბობასა და უაზრო სიცილის გამომწვევ მასალას კი არ შეხვდებით—რასაც ხშირად მიმართავენ პროვინციული გაზეთების ფელეტონისტები—არამედ იბეჭდება ნარკვევები, რომლებშიც გვხვდება საქმიანი აზრები და მხურვალე მისწრაფება „შეგნების ერთი სხივით მაინც გააშუქოს ის გზა, რა გზითაც მიდის ჩვენი საზოგადოებრივი აზრი"... ჩვენ ვიცით, რა ძნელი და ეკლიანია ამგვარი სახის ფელეტონის დაწერა და განსაკუთრებით ამიტომაც მთელი სულით და გულით ვუსურვებ გაზეთს, რომ დიდხანს, დიდხანს არ დაიშრიტოს ის ძალა, ასეთი სერიოზული ამოცანის აღსასრულებლად რომაა აუცილებელი...

სხვათა შორის, „კასპიის" „ვოსკრესნიე ბესედის" მეორე ფელეტონი (№156) შეეხო ჩემს ერთ ფელეტონს, რათა, ჩემი აზრით, მისაყვედუროს ისეთი რამ, რაც სრულიად არ დამიმსახურებია. არა იმის გამო, რომ ჩემი უცოდველობა დავამტკიცო—ჩვენ ყველა ადამიანები ვართ—არამედ საქმის ინტერესების გამო, არ შემიძლია აუხსნელი დავტოვო ის, რასაც მსაყვედურობენ, განსაკუთრებით იმიტომ, რომ „კასპიის" ფელეტონისტი საკმაოდ მგრძნობიარე სიმს შეეხო. საქმე, აი, რაშია:

„გაუსწორდა რა საფუძვლიანად და ბრწყინვალედ ბატონ ილიმოვს და დაპირდა რა „თავისებურად" გაუსწორდეს „გრაჟდანინის" რედაქტორს მეშერსკის, რომელმაც თვითონ უნდა ცემოს როზგით თავის ბრწყინვალება და ასევე ცემოს ყველა სხვა პიროვნება, ბატონმა ნიკოლაძემ დაიწყო ნერუჩევისათვის ანგარიშის გასწორება. უნდა ვიფიქროთ, არ შეიძლება ერთ მხარეს დავაყენოთ ილიმოვი და მეშერსკი, მეორეს კი ბატონი ნერუჩევი და მათ ერთ წრეში მოვუყაროთ თავი. ჩვენ სრულიად არ ვიცავთ ნერუჩევს, მხოლოდ იმაზე მივუთითებთ, რომ ბატონი ნიკოლაძე თანაბრად უსწორებს ანგარიშს თავისიანებსაც და არათავისიანებსაც და ამაშია მისი, როგორც ლიტერატორის, როგორც ცნობილი მოღვაწის შეცდომა, თანაც დიდი შეცდომა".

სწორია, რომ მე შემიძლია დიდი შეცდომაც ჩავიდინო და პატარაც. მაგრამ, ნუთუ „კასპია“ უმცირეს შეცდომასაც ვერ ხედავს იმაში, როცა მაწერს იმის სურვილს, თითქოს მე მინდა ბატონ ნერუჩევს გავუსწორდე? მე არასოდეს არ ჩამითვლია ბატონი ნერუჩევი საზოგადოების მოუსაზრებლობის ანგარებიან ექსპლოატატორთა ბანაკის წევრად და ყველა ჩვენს გამოძახილში იგრძნობოდა ყოველთვის პატივისცემა, როგორც მისი პიროვნებისა და მისი საქმიანობისადმი, ასევე გულდაწყვეტა მისი უშედეგო მოღვაწეობით. მე ჩემს ფელეტონში არც მიფიქრია „ანგარიში გამესწორებინა“ ბატონი ნერუჩევისა და მისი გაზეთისათვის, ჩემი თავი მოვალედ ჩავთვალე გამომეთქვა აზრი მისი გაზეთის დაკნინების მიზეზებზე და ესეც იმის გამო, რომ მომავალში საერთოდ ბაქოს პრესამ, კერძოდ კი „ბაკინსკი ლისტოკმა“ (მისი მომავალი აღდგენის შემდეგ) წარმატებას მიაღწიოს. მე რომ ბატონი ნერუჩევი „თავისიანად“ კი არა, „არათავისიანად“ მიმეჩნია, ჩემში რომ ერთი წუთით გაჩენილიყო ეჭვი, რომ ბატონი ნერუჩევი ბნელეთის ძალებს ემსახურება, დამიჯერეთ, სხვაგვარად ავლაპარაკდებოდი თვით მასზეც და მის გაზეთზეც.

ერთი სიტყვით, მოვიტან „კასპიის“ მთელ საბრალდებო ოქმს:

„ბატონ ნიკოლაძეს რომ დავუჯეროთ, მაშინ ნერუჩევი და მისი საკუთარი გაზეთი და არა მარტო „ლისტოკი“, არამედ „ბაკინსკიე იზვესტიაც“ ერთ მხრივ არ იმსახურებენ არავითარ ყურადღებას იმის გამო, რომ ათი წლის მანძილზე ვერაფერი ვერ გაიგეს, ვერც ერთხელ ვერ შეძლეს ყოფილიყვნენ არათუ საჭირო, უბრალოდ სასარგებლო იმ გარემოსათვის, რომელსაც სურდათ მომსახურებოდნენ, მეორეს მხრივ კი გაზეთს მავნებლობაც კი მოჰქონდა, დიდი მავნებლობა იმით, რომ გამორჩა რა მხედველობიდან თავისი დანიშნულება, ამან შეესაძლებლობა მისცა ვირეშმაკა ბატებს, დაემძიმებინათ თავიანთი მოურიდებელი სიცრუე ადგილობრივი გაზეთის დუმილის გამო, რადგან მან პირში წყალი დაიგუბა. ყურადღება მიაქციეთ იმას, რომ „ასეთი მკაცრი, მაგრამ სამართლიანი განაჩენი“ გამოაქვს მას მაშინ, როცა „ლისტოკის“ რედაქტორი მწოლიარე მდგომარეობაშია. თუ „ლისტოკი“ იმდენად მშიშარა იყო, რომ მავნებლობაც კი მოჰქონდა, მისთვის ადრე უნდა გაესწორებინათ ანგარიში, მაშინ, როცა ცხოვრობდა და მოქმედებდა. და თუ ეს მაშინ არ გაკეთდა, მაშინ ორში ერთი: კარგად თუ ცუდად „ლისტოკი“ მაინც ამართლებდა თავის არსებობას და ამიტომ თანაგრძნობის მეტი არაფერი არ უნდა გამოეწვია და მის-

თვის მხარი უნდა დაეჭირათ, ანდა ბატონ ნიკოლაძეს მხედველობიდან გამორჩა თავის დანიშნულება, რომ საზოგადოების ყურადღება არ გაამახვილა იმ გაზეთის მავნე მიმართულებაზე, რომელიც ცდილობდა ისეთი დიდი საქმის ორგანო გამხდარიყო, როგორიც ნავთობია. მაგრამ, რადგან ბატონი ნიკოლაძე ისეთ ხანგრძლივ დროზე ლაპარაკობს, როგორიცაა ბატონი ნერუჩევის ათი წლის მოღვაწეობა, უნდა დავასკვნათ, რომ „მკაცრი განაჩენი" სრულიად არაა სამართლიანი. როგორც არ უნდა ყოფილიყო, განაჩენი სრულიად უადგილო და უდროოა: უდროოა იმიტომ, რომ შეიძლება ნერუჩევი და ნიკოლაძე, იყვნენ რა სხვადასხვა შეხედულებებისა, ბოლოს და ბოლოს მაინც ერთი მიზნისაკენ მიდიოდნენ: უადგილოა იმიტომ, რომ ნერუჩევს არა აქვს საშუალება უპასუხოს ნიკოლაძეს. ამაზე მე იმიტომ ვჩერდები, რომ ეს შემთხვევა მიმაჩნია იმ შემთხვევად, თავისიანმა თავისიანი რომ ვერ იცნო. ეს კი ასუსტებს მებრძოლთა ძალებს და აძლიერებს მოწინააღმდეგისას... ამას კი ყველანაირად უნდა ავარიდოთ თავი. „როცა „ბაკინსკი ლისტოკი" ცოცხალი იყო, „ნოვოე ობოზრენიე" მას თანაგრძნობით თუ არა, ტოლერანტულად რომ ვთქვათ, იყო შემთხვევები, როცა მხარსაც კი უჭერდა და მის შეცდომებზე არაფერს ამბობდა. ახლა რამ გამოიწვია სამგლოვიარო სიტყვა, როცა მკვდრებზე ant nihil, and ასე არ ლაპარაკობენ".

დავიწყებ იმით, რომ მე არც ბატონ ნერუჩევს და არც „ბაკინსკი ლისტოკს" მკვდრად არ ვთვლი. ჩემი ცნობების მიხედვით, ეს გაზეთი კვლავ უნდა „აღსდგეს ფერფლისაგან", მაგრამ ისინი მკვდრებიც რომ იყვნენ, მე მკვდრების შესახებ ლათინურ ანდაზას კი არ ვიზიარებ, არამედ ფრანგულს: "on ne doit aux morts que la verite". რაც შეეხება „თავისიანებს" და „არათავისიანებს", მე ვემსახურები საქმეს და ამ თვალსაზრისით ჩემი მოვალეობა ეყრდნობა ქართულ ანდაზას: „მოკეთეს პირში უძრახე, მტერს პირს უკანაო". მე, მაგალითად, ვფიქრობ, რომ ჩვენ ამჟამინდელ „კასპიასთან" ერთად ვემსახურებით ერთსა და იმავე საქმეს და სრულიად არ მიმაჩნია უადგილოდ ის დარიგება და შენიშვნები, რასაც მომცემს მე ჩვენი ბაქოელი თანამოძმე, რა მკაცრიც არ უნდა იყვნენ ისინი. ამის გამო მე მადლიერი ვიქნები ჩემი მეგობრებისა და თანამოაზრეებისა და ასეთ შენიშვნებს არ ავურევ მტრებისათვის დაუნდობელ „ანგარიშის გასწორებაში". დიდად სამწუხაროა, რომ „კასპიამ" ჩემი ფელეტონი იმ აზრით არ გაიგო, რა აზრითაც იყო დაწერილი, მაგრამ ხალისით ვიჯერებ, რომ ამაში ან ჩემი აჩქარებაა დამნაშავე ან „კასპიის" მიერ მისი ნაჩქარევად წაკითხვა.

65. საუძმო საკითხავი

სანამ პირობის თანახმად, შავროვის მიერ შემოთავაზებული „მობილიზაციის უპირატესობათა“ ჩამოთვლას შევუდგებოდე, შევნიშნავ, რომ მისი ახალი სისტემის უმთავრესი მიღწევაა გამარტივება და შემსუბუქება ყველაფერი იმისა, რაც დღემდე რთულად და ძნელად გვეჩვენებოდა. ამ მიმართებით ჩვენი ნოვატორი ნამდვილად ყველაფერში მკაცრად თანმიმდევრული და ურყევია. მაგალითისათვის დავიწყოთ ტერმინოლოგიით. რუტინის წარმომადგენელ სამხედრო მწერლებს, როგორც ცნობილია, აქვთ უამრავი ტერმინი, რომელთაგან თითოეული განსაზღვრულ გაგებასა და მოქმედებას გამოხატავს. მაგალითად, არის ტერმინები „მოწოდება“, „ორგანიზაცია“, „შეიარაღება“, „სურსათ-სანოვაგე“, „მობილიზაცია“, „გადაადგილება“ და მრავალი სხვა, რუტინის მიმდევრებმა შესძლეს ამ ტერმინებისთვის საერთო, მთელი დედამიწისათვის საერთო შეუცვლელი მნიშვნელობა მიეცათ. ეს თავისებური საერთაშორისო ენაა. ამ ყველასგან აღიარებულ ენაზე სიტყვა „მობილიზაცია“ ნიშნავს სამშვიდობო მდგომარეობიდან წინასწარ მომზადებული სამხედრო ნაწილებისა და კადრების საომარ მზადყოფნაში გადასვლას, სარეზერვო ძალებით არმიის შევსებას და სხვა. რისთვისაა საჭირო ტერმინთა ასეთი სიუხვე? იგი მხოლოდ აფრთხობს სამხედრო მოსამსახურეებს და ადვილად შეიძლება გაუქმდეს. ამის საფუძველზე შავროვს შემოაქვს თავისი ახალი ტერმინოლოგია, რომელიც შეუდარებელი სისადავით გამოირჩევა: ყველანაირი გეგმა და მოქმედება, რომლებსაც დღემდე ათასობით სხვადასხვა სახელი ჰქონდა სამხედრო ხელოვნებაში, შავროვთან მხოლოდ ერთი სიტყვით აღინიშნება და ეს სიტყვაა „მობილიზაცია“. ამ სიტყვაში იგი გულისხმობს: ადგილობრივი მოსახლეობის გაწვევას და მათ დანაწილებას რაზმებში, ამ უკანასკნელთა ორგანიზებას და გაგზავნას ადგილებიდან კარიერებში, საომარ ადგილებში, ყველაფერს, რაც გნებავთ.

მისი „გამარტივება“ მხოლოდ ტერმინოლოგიას რომ ეხებოდეს, ეს დიდ დამსახურებად ალბათ არ ჩაითვლებოდა, გეთანხმებით, მაგრამ შავროვი თავისი თანამიმდევრულობით მხოლოდ სიტყვის რეფორმას კი არ ახდენს, არამედ საგნებისაც, რომლებიც ამ სიტყვებში იგულისხმება. რუტინის თვალსაზრისით, რა სახელიც არ უნდა დავარქვათ კავკასიელ ცხენოსანთა რაზმებს 200 000 მხედრის შემადგენლობით,

მაინც განსაზღვრული ღონისძიებების ერთობლიობა მოისაზრება. ასეთი აუცილებელი სოლიდური ამოცანის შესასრულებლად, რუტინიორებს ამასთან დაკავშირებით ძალზე რთული წესები აქვთ: საჭიროა სიები და სიობრივი შემადგენლობები, დამზადება, მარაგი, ინსტრუქციები, მარშრუტები და ღმერთმა უწყის, კიდევ რა. რუტინიორები გამოდიან იმ ცრურწმენიდან, რომ ხალხს ჭირდება პური, ცხენს—თივა, იმათ, თუ სხვებს—სისხლი, თავშესაფარი, თუნდაც ნვიმის, თოვლისა და ყინვის დროს. თვით „მობილიზაციის" ან „გაწვევის" პროცედურა მათთან დაკავშირებულია მთელ რიგ წინასწარმომზადებულ „პაკეტებთან", „მიწერილობებთან", „ინსტრუქციებთან", „განკარგულებებთან" და „ღონისძიებებთან", იმ სულიერი მიზეზის გამო, რომ კრიტიკულ მომენტში ყველამ, დიდიდან პატარამდე, განსაზღვრულად იცოდეს, სად უნდა იყოს და რა უნდა აკეთოს, რათა ტყუილუბრალოდ არ დაკარგოს ძვირადღირებული დრო და არ შეცდეს არც თვითონ და სხვა არ შეაცდინოს. შავროვი აუქმებს ყველა ამ პუნქტობრივ სიფრთხილეს, კავკასიელ ცხენოსან ჯართან დაკავშირებით გულუბრყვილობით მან გაწვევაც კი გააუბრალოვა. „მათ (კავკასიელ ადგილობრივ მცხოვრებთ), რა თქმა უნდა—წერს იგი—ვერ შეკრებ კანცელარიის წესით, მეთაურის, გუბერნატორის, ოლქის თუ პოლიციის პრისტავის მიწერილობის საფუძველზე. ისინი მხოლოდ მეფის მიწვევით გამოცხადდებიან, ამით თავიდან ავიცილებთ იმ ტანჯვა-წვალებას, რაც სხვადასხვა რანგის უფროსობას მათი გაწვევისა და საბრძოლო თვისებების გარკვევის შემთხვევაში მოელოდათ".

შავროვმა ჩინებულად იცის, რომ რეტინიორები შეეკამათებიან მას: „როგორ თუ შეკრება შეუძლებელია?" „კავკასიელნი" ხომ არაერთხელ შეკრებილან თავისი ადგილობრივი უფროსის და ძახილზე? ადგილობრივი მილიცია ცხენოსანი თუ ფეხოსანი არაერთხელ წარმატებით ვიდოდა მათი ხელმძღვანელობით? მაგალითად მოიყვანენ 1854 წლის 14 ნოემბერს ახალციხესთან ბრძოლას, 1853 წლის 11 მაისსა და 4 ივნისს გურიაში და სხვა ამგვარ „ისტორიულ მაგალითებს". არ დაავიწყდებათ ასევე ადგილობრივი კავკასიელ მსროლელთა რაზმების წარმატებული შექმნა. შავროვი არა მარტო წინასწარ გრძნობს ამ შეკამათებას, არამედ ძალზე იოლად უარყოფს კიდეც მათ იმის მოტივირებით, რომ კავკასიის ხელმძღვანელობა უნდა ჩამოშორდეს ადგილობრივი ცხენოსანი ჯარის შექმნის საკითხს.

იგი თავის არგუმენტაციას კავკასიური რაზმებიდან იწყებს, რომლებიც მას ორი რამის გამო არ მოსწონს. პირველი: „რაზმებში ღებულობენ ზოგიერთებს და არა ყველას, ამასთან არა ყველაზე კარგებს“, თუმცა ასეთია ხვედრი ყველა ნავარებისა, რადგან ისინი მხოლოდ მოსახლეობის პროცენტს წარმოადგენენ და ამასთან აირჩევენ მხოლოდ კენჭისყრით, მაგრამ ხომ საჭირო იყო ვინმეს წკიპურტი მიეღო—„წარმატებით ნუ გაყოყოჩდებით!“ მეორე მიზეზი, თუ რატომ არ მოსწონს შავროვს ადგილობრივი რაზმები, აქაური ინტელიგენციასთან მათ დამოკიდებულებაში მდგომარეობს.

„მათში (რაზმში) შეკრებილია, ამბობს შავროვი, რიცხობრივად მცირე და ხარისხობრივად ცუდი ქრისტიანი მოსახლეობა კავკასიისა. ისინი გამოყოფილია რუსული არმიისაგან თავისი უფლებებით და ჩაცმულობით, ადგილობრივი ინტელიგენციის თვალში კი წარმოადგენს მარცვალს მომავალი ეროვნული გვარდიისა და ისინი გულწრფელად სწუხან, მათი მცირერიცხოვნობის გამო“.

შეუძლებელია არ დაეთანხმო, მაგრამ ყოველივე ეს არაფერს ამბობს ადგილობრივი რაზმების სასარგებლოდ. კერძოდ ის, რომ ისინი „გამოიყურებიან რუსული არმიისაგან განსხვავებულად ჩაცმულობით და სპეციალური უფლებებით“ ეს შავროვმა, როგორც ჩანს, მხოლოდ სტილის სილამაზისათვის დაწერა, რადგან შეუძლებელია მან არ იცოდეს, რომ სპეციალური უფლებები და ჩაცმულობა კაზაკებისა და თუნდაც გვარდიელების ან „საინჟინრო სპეციალური“ მებრძოლებისა, სულაც არ ნიშნავს მათ „გამოყოფას“ რუსული არმიიდან, საქმისადმი ინტელიგენტების დამოკიდებულების ბრალდებად გამოცხადება შესაძლებელია გაიგო მხოლოდ მაშინ, როცა გაიხსენებ ვის გულისხმობს შავროვი „ინტელიგენტებში“: „ყველას, ვისაც განათლება ჩვენს უნივერსიტეტებში მიუღიათ“. „რიცხვი ამ პროტესტანტებისა სულაც არ არის დიდი“—ამბობს შავროვი. დამატებით, როგორც მისი სიტყვებიდან ირკვევა, ყველა ისინი გამოირჩევიან სულელური არათანმიმდევრობით, რადგან ერთსა და იმავე დროს „კიდეც აპროტესტებდნენ“ რაზმების შექმნას, მიისწრაფვიან ხელი შეუშალონ ამას და ამასთან გულწრფელად წუხან, რომ ასე ცოტა რაზმებია შექმნილი“. აქედან გამომდინარე ადგილობრივი შეირაღებული რაზმები არ შეიძლება უკმაყოფილო არ იყოს იმით, რომ ამ სულელ და ქარაფშუტა „ინტელიგენტებს“ ისინი ხან მოსწონთ და ხან არა...

რაც შეეხება ადრინდელ მილიციას, რუტინიორების მიერ მოყვანილ ამ მაგალითს შავროვი უარყოფს შემდეგ საფუძველზე; „ისტორიული გამოცდილება რეგულარული ცხენოსანი პოლკებისა, რაზმებისა და ასობით მილიციის შექმნისა ომის დროს" არ აკმაყოფილებს შავროვს, რომელიც ირწმუნება, რომ „თურქეთის უკანასკნელ ომში ცოტა თუ დარჩა ასეთი რაზმების მეთაურები, რომლებიც არ გალანძღულიყვნენ, რომლებზედაც სასამართლო ძიება არ ყოფილიყოს და რომლებსაც თითქმის ყველა უფლება არ დაეკარგოთ". ეს, შეიძლება ითქვას, ცოტათი გადაჭარბებულია. ბევრია ისეთი მეთაური ამ რაზმებისა, რომლებზეც არა თუ სასამართლო ძიება, თვით ოდნავი ეჭვიც კი არ ყოფილა, მეორე მხრივ რამდენადაც მახსოვს ამ კატეგორიის ადამიანთაგან უფლებები მხოლოდ ერთმა იოსელიანმა დაკარგა, მაგრამ ხომ ცნობილია, რომ ასეთივე ბედი ეწია მედვედოვსკისაც—რეგულარული ჯარის მეთაურს, მაგრამ ეს ყველაფერი წვრილმანია და მოაზროვნის სერიოზულ ყურადღებას არ იმსახურებს. საერთოდაც შავროვი სავსებით მართალია, მიეცით თუნდაც ანგელოზს ადამიანთა ურდოს სისპეტაკე და გაურყვნელობა, ამასთან გროვა ფულიც ინსტრუქციისა და წესების, მკაცრი აღრიცხვის, უწიგნოდ და პასუხისმგებლობის გარეშე, ნაწილის წესების გარეშე მართვის შესაძლებლობა, თვით ანგელოზიც კი ასეთ ვითარებაში ან გაფლანგავს, ან მიითვისებს, ან აურ-დაურევს სახელმწიფო თანხებს... ამას თვით შავროვიც აღიარებს ჩვენი მილიციისა და არარეგურალური ჯარის მიმართ. ამ მიმართებით იგი მხოლოდ თავის დიდ ავტორიტეტს უმატებს ჩემს შენიშვნებს, რომელიც შარშან ჩემს სტატიაში „პროლეტარი აზნაურები" გამოვაქვეყნე. ის წერს: „სამხედრო ნაწილები ისე გაიწ-გამოიწია, როგორც სინეკურები, პოპულარობის მოსაპოვებლად ახლობელი ადამიანებისათვის უფროსების ერთგულების გამოსამჟღავნებლად. გულუბრყვილობაა, რომ იყვნენ ისეთი უფროსები შეიარაღებული რაზმებისა, რომლებიც არაკანონიერად ცნობდნენ თავიანთი ადიუტანტების მოთხოვნას ჩაწერილიყვნენ რაზმისათვის მისაღებ სახელმწიფო ფულის წიგნში".

და რაკი წარსულში ადგილობრივი ხელმძღვანელობა სჩადიოდა ასეთ მცდარ დანიშვნებს, მომავალში, ამბობს შავროვი, აუცილებელია მიღებულ იქნას სერიოზული ღონისძიებები ასეთი უსამართლობების თავიდან ასაცილებლად. ამაში მას ყველა ეთანხმება თვით რუტინიორებიც, მაგრამ ყველას როდი ეყოფა ნებისყოფა, რომ ერთბაშად მივიდეს იმ მკაცრ და ძირეულ ღონისძიებებამდე, როგორიც შავროვმა მოიგონა. ღონისძიებებსაც უბრალოების ბეჭედი აზის, როგორც საერთო სამხედრო რეფორმატორის მთელ სისტემას.

ზემოთ მე მოვიტანე ამონაწერი, რომ ადგილობრივ მცხოვრებთა შეკრება უნდა მოხდეს „არა მოწერილობით“, არამედ „განვევით“. მართალია შავროვი თანმიმდევრულად არ განიხილავს, როგორ უნდა გაიგოს ამ განვევის შესახებ თუ ადგილობრივი ადმინისტრაცია არ იქნება, მაგრამ არც არის ამ ახსნის აუცილებლობა: თავისთავად გასაგებია, რომ განვევა გაზეთ „კავკაზ“-ში გამოქვეყნდა, რაც უეჭველად გულისხმობს ადგილობრივი მოსახლეობისათვის რუსული ენის ათვისებას. შემდგომ შავროვი იძლევა რეკომენდაციას გაიცეს „განკარგულება“, ალბათ ისევ ადგილობრივი ხელისუფლების ჩაურევლად.

„მსურველი ბევრი აღმოჩნდა, დაახლოებით 25 კაცი, მათ ნებაყოფლობით გადაწყვიტეს საბრძოლო არტილერიის შექმნა—სოლიდარული, როგორც ერთმანეთის, ასევე ხელმძღვანელობის მიმართ, ვლადიკავკაზში, თბილისში, ქუთაისში, ელიზავეტოპოლში და სხვა ცენტრებში, სადაც გადაწყდება სამხედრო რესურსების მობილიზება, აუცილებელია პეტერბურგიდან გაიგზავნოს სამხედრო კავალერიის გენერალი, რომელიც იცნობს კავკასიას, ვისაც დაევალება მიიღოს ნებაყოფლობითი პარტიები, განაწესოს ისინი ასეულებში და პოლკებში და დაუნიშნოს ხელმძღვანელი. კანდიდატების უკმარობა არ იქნება: ყველა თავადი, ბეგი, ხანი და სხვა წარმომადგენლობის გავლენიანი ადამიანები, რა თქმა უნდა, თავიანთ სამსახურს შემოგვთავაზებენ. და მათი უმრავლესობა, ალბათ იქნება მსურველი ნებაყოფლობითი პარტიის სათავეში ჩადგომისა“.

რა თქმა უნდა, რუტინიორთა და მეწვრილმანეთა შორის მოიძებნება უკმაყოფილონი „მობილიზაციის“ ასეთი ხერხის წინააღმდეგ, მაგრამ მათი არცერთი უკმაყოფილება ოდნავ ყურადღებასაც კი არ იმსახურებს, რადგან უკმაყოფილოებს მხედველობის არიდან რჩებათ ძირითადი წერტილი შავროვის ხედვისა. რატომ აღსდგა ჩვენი რეფორმატორი ადრინდელი მილიციის წინააღმდეგ? იმიტომ, რომ ჩვენი ადმინისტრაცია არასწორად ნიშნავდა მათ უფროსებად და მეორეც—ეს უკანასკნელნი სახელმწიფო ფულს იტაცებდნენ. შავროვის სისტემაში ასეთ ბოროტმოქმედებს ადგილი სრულიად არ ექნება. იმიტომ, რომ მისი ცხენოსანი რაზმების მეთაურები ინიშნებიან და თავისუფლდებიან არა სამხედრო ხელისუფლების მიერ, არამედ თვითონვე ირჩევენ მას, და მეორეც, ეს ცხენოსანი რაზმი ერთი გროშიც არ დაუჯდება სახელმწიფოს და აქედან გამომდინარე, სურვილის შემთხვევაშიც კი, არავითარ „სახელმწიფოს გაქურდვას“ ადგილი არ ექნება: „მოხალისენი უნდა გამოცხადდნენ თავიანთი ცხენებით, და თუკი მათ აჩუქებენ სა-

რემონტო ფულს, განკუთვნილს კავალერიის ცხენისათვის, მოხალისენი ამ ფულს თავიანთ ოჯახს მოახმარენ და ბედნიერი იქნებიან, ომიანობის დროს ცხენებით მათი მომარაგება საჭირო არ იქნება. ფეხით ისინი არ ივლიან და ცხენებიც ყოველთვის თან ეყოლებათ".

რუტინის წარმომადგენლები, რა თქმა უნდა, ამას ვერ გაიგებენ, ისინი ხომ გამსჭვალული არიან „სამხედრო დადგენილების კრებულისადმი" რწმენით, რომლებიც განსაზღვრავენ ხერხებსა და წესებს „რეკვიზიციისა" და „სამხედრო დროის კანონებს", რომელიც მძიმე ხვედრით ემუქრებოდა სხვისი საკუთრების მცირე რაოდენობით მიმთვისებელს, ეს უბრალო მცხოვრებისა იქნებოდა თუ „სამხედრო პირის". მაგრამ ამ ჩამორჩენილმა ადამიანებმა არ იციან არც მომავალი ომის თეატრი, არც ხასიათი კავკასიელი ადგილობრივი მცხოვრებისა. ომის პერიოდში, დასავლეთის მხარეში დაგროვდა აღურიცხავი რაოდენობა ცხენებისა, რომელიც 200 000 მხედრისთვის იქნება საკმარისი. და ცხენების ჯოგი, რომელიც არავის ეკუთვნის, არავინ მათ არ იცავს, ასე ვთქვათ, სრულიად ველურები არიან, ისეთები, როგორიც იყო ცხენი, რომელსაც მაზეპა დაარქვეს ახალგაზრდობაში. მეორეს მხრივ კავკასიის ადგილობრივი მცხოვრებნი, ცნობილია, რომ მიდრეკილი არიან ავაზაკობისაკენ დიდ გზებზე და ქურდობისათვის მეზობელ სოფლებში:", რატომ უნდათ ეს ბოროტება, როცა ყველაფერს თვითონვე მოაგვარებენ. ამასთან მათ ისე ცოტა რამ უნდათ—„ოჯახი კარგად რომ გამოკვებონ" და იყვნენ „სრულიად ბედნიერნი": ამისთვის 70 მანეთიც საკმარისია...

ბრძნულად გაითვალისწინა რა ყველა აღშფოთება თავისი სისტემის მიმართ შავროვი პასუხობს კითხვებს: რისი გულისთვისაც „მოხალისედ" წავლენ კავკასიელები საბრძოლველად თავისი ხარჯითა და რისკით?

ბრძოლის სურვილი, ჩხუბი, ბრძოლა იარაღით, ვისთანაც არ უნდა იყოს, სისხლში აქვს გამჯდარი კავკასიის ადგილობრივ მცხოვრებთ, ამიტომ ისინი თვითონ შემოგთავაზებენ სიხარულით თავის თავს სამსახურისათვის"...

და ეს გასაგებიცაა, აქაურს ეს ამბავი საპატიოდ და სასურველად მიაჩნია, ვიდრე თავისი სიცოცხლის კატორღაში დამთავრება, სადაც აუცილებლად მოხვდება ყველა კავკასიელი ადგილობრივი მცხოვრები, ვისაც თოფის დაჭერა შეუძლია. ამასთან ომი მისცემს მათ „გამორჩევის" საშუალებას, რაც „სულაც არ არის საწყენი რეგულარული ჯარის მეომრისათვის".

„ყველა კავკასიელს შეუძლია იყოს ოფიცერი, მაიორი, პოლკოვნიკი და გენერალი მილიციისა, რაც მათ ანიჭებს სრულ კმაყოფილებას და ძვირი არ უზის სახელმწიფოს, თავისთავად ცხადია, რაკი ყველა კავკასიელი, თუნდაც მილიციის გენერალი გახდება, მათ კი, ცნობილია, სხვა მისწრაფება არა აქვთ, მაშინ სხვა კავკასიელებისთვის იმედი ასეთი გამორჩეულობისა ძლიერ სტიმულს ემსახურება, რისი დამტკიცებაც საჭიროა...

მე დავამთავრე საკუთრივ სამხედრო „უპირატესობანი წარმოდგენილი" შავროვის „მობილიზაციაში". აუცილებელია, სანამ, უპირატესობებზე გადავალთ, რომელსაც არა მხოლოდ სუფთა სამხედრო, არამედ სახელმწიფო მნიშვნელობაც აქვთ, რეზიუმე გავუკეთოთ ყველა იმ საკითხს, რომლებიც ზემოთ იყო ჩამოთვლილი, რათა ისინი საიმედოდ ჩაიბეჭდოს ჩემი მკითხველის გონებაში:

1. გაწვევის სისტემის გამარტივება და სამხედრო ძალების ორგანიზაცია

2. ყოველგვარი ინსტრუქციის, წესებისა და კანონების გამარტივება.

3. უხარჯოდ 200 000-იანი არმიის შენახვა.

4. ცნობები სახელმწიფოს ყველა მსხვერპლზე ასეთი მნიშვნელოვანი რაოდენობის ჯარის ორგანიზაციისათვის და მათთვის სამარქავო ცხენებზე გათვლილი თანხის მიცემასა და პლატონურ ჯილდოებზე —მილიციის ჩინებზე და შედეგად.

5. მტრის ყველა გეგმისა და მოქმედების მოშლა, მტრისა, რომელმაც აქამდე არ იცოდა არა მარტო წარუმატებლობა, არამედ დანაკლისი.

საკმარისია ჩამოთვალო ყველა ეს უპირატესობა, რომ შეიარაღებული ძალების ორგანიზაციის ისტორიის ყველა მცდონემ ყველაზე მაღლა ჩვენი მოკრძალებული ნოვატორის სახელი დააყენოს. მაღლა ვიდრე შტეინისა და შარაგორსტის სახელებია, რომლებიც არმიის პრუსიული სისტემის შემქმნელები არიან. ამჟამად სამყაროს ქვეყნების უმრავლესობაში სწორედ მათი სისტემაა მიღებული. ჩვენი ნოვატორის სისტემა პრუსიისაზე იმიტომაც არის უფრო საპატიო, რომ უცხო ქვეყნების მოშურნეებსა და მიმბაძველებს არ შეუძლიათ მისი გადაღება ისე, როგორც მიითვისეს პრუსიისა, მათ ამისთვის არა აქვთ ქვეყნები, ძლიერება.

„ყოველი დროისთვის ჰყავდეს რუსეთს 200 000 იდეალური ცხენოსანი მებრძოლი, რომელიც ბრძოლისთვის ყოველგვარი წინასწარი

მომზადების გარეშე არის მზად, არაჩვეულებრივი მზადყოფნით მცირე ომებისათვის—პატარა რაზმებით ბრძოლისთვის და ამასთან ერთად ჩვენი დონის კაზაკებიც —ეს იდეალური ჯარია ფიცხელი სამსახურისა და მცირე ომებისათვის".

ამოვწურე რა ამით სპეციალური სამხედრო მხარე შავროვის სისტემისა, ახლა ადმინისტრაციული და სახელმწიფოებრივი ხედვით მის უპირატესობებზე გადავალ. აქ გზა გაცილებით ხსნილი მაქვს. მხედველობაში ვიღებ რა მკითხველის ამ საკითხისადმი ფამილარულ დამოკიდებულებას, იძულებული აღარ ვიქნები უცნაური კომენტარები ვაკეთო და შემოვიფარგლები უშუალოდ ავტორის—შავროვის ნაწარმოებიდან უბრალო ამონაწერებით.

პოლიტიკური თვალსაზრისით შავროვის პროექტს შეიძლება შეხვდეს შემდეგი საწინააღმდეგო მოსაზრებები, რომლებიც ჩვენს ნოვატორს, რა თქმა უნდა, ყველა გათვალისწინებული და უარყოფილი აქვს:

1. ნუთუ ჩვენ მართლა გვჭირდება ასეთი იდეალური ცხენოსანი რაზმი, მაშინ, როცა გვყავს არცთუ მცირე რაოდენობა კარგად ორგანიზებული და შეიარაღებული კაზაკი მეომრებისა. მაგრამ როგორც კი დასვამ ამ კითხვას მაშინვე მიხვდები, მის სრულ უადგილობას. ჯერ ერთი: სიმდიდრის სიუხვეს ჯერ არავისთვის ხელი არ შეუშლია და რაც უფრო მეტი გვეყოლება ჯარი მით უკეთესია, განსაკუთრებით ახალი კონტიგენტი თუ წინას სჯობია და ხაზინას არაფერი უჯდება: მეორე მხრივ და ეს მთავარია—„კაზაკები", საკამათო არაა, რომ კარგი ხალხია—წერს შავროვი, ამიტომაც საჭიროა მათი ზომიერად გამოყენება, ისინი არ უნდა მოხვდნენ მაძღარი და თვითდარწმუნებული გერმანელების პირველი დარტყმის ქვეშ.

რეზერვებად უნდა შევინახოთ ომის მეორე პერიოდისათვის, როცა მათი რაოდენობრივი წონა და პედანტურად შედგენილი გეგმები რამდენადმე აირ-დაირევა იმ წინააღმდეგობებით, რომელსაც მტერს ჩვენი ჯარები გაუწევენ".

2. იქნება კი კეთილსაიმედო ეს კავკასიელი ჯარი, შესაძლებელია თუ არა დავემყაროთ მათ უსიტყვო ერთგულებას, ჩემთვის—დიახ, და ჩემი მკითხველებისათვის ეს კითხვა გაცილებით მარტივია მის წინამორბედზე. ჩვენ თქვენთან ერთად ვიცით, რომ მეომარი ხალხი, რომლებსაც კავკასიელებიც მიეკუთვნებიან, ყველაფრისათვის მზად არი-

ან, მაგრამ არა ღალატისათვის და ვერაგობისათვის. ვიცით ასევე, რომ ამ ხალხს არსებობის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე არასოდეს ჰყოლიათ მოღალატე. მაგრამ შავროვის ყველა მკითხველმა როდი იცის ეს. ამიტომ ამ შეკითხვის აბსურდულობას იგი უფრო პრაქტიკული მოსაზრებით ამტკიცებს.

მართალია, ამბობს იგი—ადგილობრივი „ინტელიგენტები" არაკეთილსაიმედონი არიან, თანაბრად არაკეთილსაიმედოა ადგილობრივი ადმინისტრაციაც, იმიტომ, რომ ადგილობრივმა ჩინოვნიკებმა „არ იციან ხასიათი და წეს-ჩვეულებები ადგილობრივი მცხოვრებლებისა", რუსმა ჩინოვნიკებმა კი დაკარგეს მოსახლეობის ნდობა, რომელთაც ახსოვთ ძველი უსამართლობა, გაქურდვა მილიციებისა და სახელმწიფო ხაზინისა, რომელიც წინ უძღოდა კავკასიელთა შეკრებას ხელისუფლების სამსახურისათვის". მიაწოდა რა ეს ცნობები მოსკოვის ლიბერალ მკითხველებს, შავროვმა განაცხადა, მიუხედავად ინტელიგენციის და ადმინისტრაციის მცდელობისა, „მთელი ამიერკავკასიის მცხოვრებთა მასაში ჯერ კიდევ არსებობს გულწრფელი ერთგულება რუსული ხელისუფლებისადმი, რომელიც ჯერ კიდევ ვერ შეარყია ჩვენს უნივერსიტეტში განათლებამიღებულმა ადგილობრივმა ლიბერალებმა, ნაციონალისტებმა და სოციალისტებმა.

ხალხი უნდა ემსახუროს რუს ხელმწიფეს, შეისწავლოს რუსული ენა, ენათესავოს რუსებს, არ უნდა სურდეს ისმინოს ქადაგებები ნაციონალური ტომების გამოცალკევების შესახებ და მასში თავის თავისთვის მეცნიერული ზარალიც კი დაინახოს.

...ამგვარად, დღეისათვის რუსთა ხელმწიფეს კავკასიის უბრალო მაცხოვრებლებში, მათი ტომობრივი წარმოშობისა და რელიგიის სხვადასხვაობის მიუხედავად, ჰყავს ერთგული ქვეშევრდომნი, რომლებიც მზად არიან მის პირველივე სიტყვაზე ჩადგნენ რუსული სახელმწიფოს დამცველთა რიგებში და გამოაჩინონ მთელი თავიანთი საბრძოლო ხელოვნება, იარაღის ფლობა და მოხმარება. ეს ფაქტიურად დამტკიცდა რაზმების პირველი შეკრების დროს.

ერთი შეხედვით უმიზეზო, მაგრამ მაინც შესაქები სიფრთხილით შავროვი გვთავაზობს დაცვის ორიგინალურ საშუალებას:

„ომის შემთხვევაში კავკასიის მცხოვრებთა მოსახლეობის განსაკუთრებით მეომარი რაზმების მოშორება მხარეში სიმშვიდეს უზრუნველყოფს, აბათილებს მღელვარების ყოველგვარ შესაძლებლობას ად-

გილობრივ მოსახლეობაში და ააადვილებს მთავრობის ამოცანას კავკასიის დაცვის საქმეში.

ჩვენი ჯარის რაოდენობის გაზრდა აქ არ იქნება საჭირო, ეს შეამცირებს ხაზინის ხარჯებს და ზრუნვას სახელმწიფოს შიგა უსაფრთხოებისათვის".

ეს საშუალება უბრალოდ საოცარია თავისი მოქმედებითა და უბრალოებით. სინამდვილეში, რაკი მხარის ყველა ზრდასრული, კეთილსაიმედო მცხოვრები გაგზავნილი იქნება გერმანიისა და ავსტრია-უნგრეთის საზღვრებისაკენ, საკითხავია რა უნდა აკეთონ არასაიმედო ინტელიგენტებმა და ჩინოვნიკებმა, არაფერი.

„თუ სამხედრო ნაწილი გაიგზავნება—ხსნის შავროვი თავის გონებამახვილურ აზრს—მაშინ პროპაგანდა მოხუცებთან და ახალგაზრდობასთან საშიში აღარ იქნება".

ადმინისტრაციული და სახელმწიფო მმართველობის თვალთახედვით შავროვის უდიდესი აღმოჩენები, უეჭველად, მოახდენს მომავალში გარდატეხას ნევოლინების და ლორენცოვ-შტეინოვის თეორიებსა და დოქტრინებში.

ყოველ შემთხვევაში იმ დროიდან, რაც მეცნიერები მმართველობის მეცნიერებას იკვლევენ, არავის აზრად არ მოსვლია ასეთი თამამი და უბრალო გადაწყვეტა მოენახა მოცემული ქვეყნის უსაფრთხოების დასაცავად. ეს მხოლოდ შავროვმა შეძლო—საკმარისია მოიშორო ქვეყნიდან კეთილსაიმედო ელემენტები და დატოვო არაკეთილსაიმედო...

ერთი სიტყვით, ყველა შენიშვნაზე შეგროვილი უდავო არგუმენტების შემდეგ პასუხობს:

„მე, რა თქმა უნდა, არ ვეჭვობ კავკასიელთა რუსულ პატრიოტიზმზე, მაგრამ ვფიქრობ, თუ ისინი დატოვებენ თავიანთ ოჯახებს კავკასიაში და მოხალისედ წავლენ ომში დასავლეთის საზღვრებზე, მაშინ მათ დეზერტირობაზე ლაპარაკიც ზედმეტია და შეუძლებელია თუკი ისინი ნაწილ-ნაწილ უნდა იქნან გადასროლილი და შერეული ჩვენი ჯარისკაცების მასაში".

ამგვარად იფანტება უკანასკნელი მიუხვედრელობა და ეჭვები, რომლებიც შეიძლებოდა გაჩენილიყო შავროვის ახალ სისტემებთან დაკავშირებით. მისი საფუძვლების დაწვრილებითი ანალიზი ყველას და მათ შორის თვითდარწმუნებულ მკითხველსაც, ისევე როგორც მე, მი-

მიყვანს იმ დასკვნამდე, რომ ეს არის მთლიანად ორიგინალური, ჩამოყალიბებული და მტკიცე—დღეიდან უკვდავი სისტემა, რომელიც ახლად გარდაქმნის, როგორც სამხედრო ხელოვნებას, ასევე ბევრ სხვა შეხედულებებს თანამედროვე სამეცნიერო სამყაროში. მოკრძალებული მოაზროვნე, რომელმაც თავისი ქვეყანა და ხალხი ასეთ დიდ აღმოჩენას აზიარა, როგორც ყველა დიდი გამომგონებელი, ჯერ კიდევ ვერ ეღირსა, არა მხოლოდ აღიარებას მისი დიდი დამსახურებისა, არამედ უბრალო ყურადღებასაც, მიუხედავად იმისა, რომ მისი პროექტი უკვე თვენახევარია გამოქვეყნდა. აი, რატომ ჩავთვალე ჩემს მორალურ ვალდებულებად ჩვენი თანამედროვეთა ყურადღება მიმექცია იმ აღმოჩენებისა და აზრებისათვის, რომლებიც, უეჭველად, დიდხანს იცოცხლებს ჩვენი თაობის მეხსიერებაში. ვაკეთებ ამას განსაკუთრებით იმის შიშით, რომ ჩემზედაც არ გავრცელდეს ის საყვედური, რომლითაც შავროვი მელანქოლიურად ასრულებს თავის უკვდავ სტატიას:

„ჩვენი პოლიტიკა მუდმივად ასეთი იყო. გამორჩევა ხელისუფლებისათვის სასურველი ადამიანებისა, უარყოფა ადამიანებისა, რომლებიც გავლენით სარგებლობდნენ, აღვივებდნენ უკიდურეს უკმაყოფილებას მოსახლეობაში რუსი მთავრობის უსამართლობაზე...

ამ თავშეკავებული საყვედურის სევდიანმა კილომ სულის სიღრმემდე შემძრა და, შავროვთან ერთად, ყოველგვარი თავშეკავების გარეშე, შევძახე: დროა სამშობლომ დააფასოს და დააჯილდოვოს შეუფასებელი დამსახურება მისი ერთგული შვილებისა, დღე და ღამე, რომ იბრძვიან მისი შინა და გარე მტრების დასამარცხებლად. ისინი, როგორც ხედავთ, ურიცხვნი არიან, მაშინ, როცა სამშობლოს გულწრფელი და კეთილსაიმედო დამცველები მხოლოდღა ერთზე დაიყვანება და ეს შავროვია. მით უფრო ადვილია გამოარჩიო და დააჯილდოვო ერთადერთი მოღვაწე, ვისი უდიდესი აზრები და აღმოჩენაც არნახული დიდებით შემოსავს რუსეთის სახელს მთელს „თვალუწვდენელ აღმოსავლეთში“, რომელიც ჯერ კიდევ არ მოწამლულან რუტინის წარმომადგენელი სამხედრო მწერლების გახრწნილი ზემოქმედების გავლენით.

66. საუქმო საკითხავი

იმედს არ ვკარგავ, რომ შეიძლება ცოტათი მაინც გახსოვდეთ, ჩემი ფელეტონების „საუქმო საუბრები“ (1888 წლის 21 თებერვლის „ნოვოე ობოზრენიეს №1441) ერთ-ერთ ნარკვევში ვცდილობდი მიმეგნო დასმენის იმ წყაროსათვის და ჩავწვდომოდი მის მნიშვნელობას, რამაც კინაღამ იმსხვერპლა ქუთაისის საოლქო სასამართლოს ყოფილი პროკურორი, ამჟამად კი თბილისის საოლქო სასამართლოს წევრი ა. ა. ლ. როგორც მკითხველებს ახსოვთ, ეს პატივცემული მოღვაწე „წმინდა სისხლის ველიკოროსი“ წარმოშობითაც, მრწამსითაც და მოღვაწეობითაც, ბათუმის მომრიგებელმა მოსამართლემ, უცხოელმა, ამ ცოტა ხნის წინათ რომ მიიღო რუსეთის ქვეშევრდომობა, უფროსების წინაშე დაახასიათა როგორც რენეგატი „რუსეთის ინტერესების მტერი“ და „სომხური პარტიის“ მოსამსახურე, რაც ქუთაისის გუბერნიაში მხოლოდ იმიტომ არ შეიძლებოდა ყოფილიყო, რომ, როგორც ცნობილია, სომხები საერთოდ არ ცხოვრობენ. ამ შემთხვევის გამო მან კინაღამ ტაგანროგში არ ამოჰყო თავი. ცილისწამებისაგან მხოლოდ იმით იხსნა თავი, რომ პროკურორის თანამდებობა თბილისის საოლქო სასამართლოს წევრის თანამდებობაზე გაცვალა. მაგრამ ამჯერად საქმე მას კი არ ეხება, არამედ მის მდევნელს, „რომელმაც მოასწრო იგივე ხერხი დიდი წარმატებით სასამართლო უწყების სხვა მოხელეების წინააღმდეგაც გამოეყენებინა. მან ოცნებაში თავის თავი „ძალად“ წარმოიდგინა. ეს, რა თქმა უნდა, წვრილმანია: ყველას შეუძლია თავის თავზე ის იფიქროს, რაც თავში მოუვა. მტკივნეული მხოლოდ ისაა, რომ ბევრმა ადამიანმა, რომელიც თავისი ადგილისა და ოჯახის გამოკვებისათვის კანკალებს, მართლა დაიჯერა სხვისი სამშობლოს თავდადებული პატრიოტის მარჯვენის ყოვლისშემძლეობა და მისგან სახუმაროდ არ არიან ტერორიზირებული...

რომ დაგანახოთ, თუ რამდენად უსაფუძვლოა ეს „იუდეისტური შიში“, მინდა ჩემს მკითხველებს მოვუყვე, როგორი წარუმატებლობა აქვს დრო და დრო ბათუმელის დასმენებს.

ამ დღეებში „ნოვოე ობოზრენიეში“ (№1601) ვრცლად იყო მოთხრობილი ოქროსძეწკვიანთან დაკავშირებული ფოკუსის შესახებ. ეს ძეწკვი თავის თავს მიართვა ბათუმის მომრიგებელმა მოსამართლემ წარნერით „ქალაქ ბათუმის საზოგადოებისაგან“. ამ საქმემ, ცხადია, არ ჩაიარა დასმენების აკომპანიმენტის გარეშე, რასაც სამარცხვინო მარცხი მოჰყვა.

ბათუმის მოსამართლის მიერ დაქირავებულ კლევრეტებს შორის, გარდა იმ მთავარი „კერძო შუამავლისა“, რომელიც 1880 წელს გამოძალვისათვის სასამართლო უწყებიდან დაითხოვეს, რაც ოფიციალურ „სახელმწიფო განკარგულებებში“ ბეჭდის დასმით იყო დადასტურებული, არის კიდევ ვილაც ხე-ტყით მოვაჭრე, რომელმაც ბათუმში იტალიის „საკონსულოს აგენტის“ ძალზე იოლად მოსაპოვებელი წოდება მოიპოვა. ამ ვაუბატონთან ბათუმის მოსამართლე ჯერ კიდევ სიმფოროპოლში მეგობრობდა, სადაც ორივემ ერთ-ერთი ის მარცხი განიცადეს, რითაც სავსეა მათი მოხეტიალე ცხოვრება. ეს ხდებოდა კიდევ იმ დროს, როცა ჩვენი მოსამართლე, რომელსაც არავითარი იურიდიული განათლება არა აქვს მიღებული, სიმფოროპოლის გიმნაზიაში გეოგრაფიის მასწავლებელი იყო. უნდა ვივარაუდოთ, რომ მან ცუდად იცოდა ეს საგანი, რადგან ამ თანამდებობაზე მხოლოდ რამდენიმე თვე დარჩა და თავის საგნის თვალსაჩინოდ შესწავლისათვის, იძულებული შეიქნა ბევრი ემოგზაურა, ჯერ ეკატერინოსლავში ამოყო თავი, მერე ნოვოჩერკასკში, შემდეგ კი თანამიმდევრულად კიევში, უფაში, კოვნოში, გროდნოში, პოდოლსკის გუბერნიაში, ერევანში და ბოლოს ბათუმში, სწორედ იმიტომ, რომ მან მისდაუნებურად პრაქტიკულად შეისწავლა ჩვენი ქვეყნის გეოგრაფია. „განათლებულმა მოგზაურმა“ თავი დაანება თავის საგნის სწავლებას და ისევე სწრაფად იცვლიდა სამსახურს, როგორც იმ ქალაქებს, სადაც ჩადიოდა. ამ ხნის განმავლობაში იგი არა ერთხელ იყო „დათხოვნილი“ ხან თანამდებობიდან, ხანაც საერთოდ სამსახურიდან. ამასობაში მისმა ყოფილმა სევასტოპოლელმა მეგობარმაც მოიარა თავიდან ბოლომდე ჩვენი პალესტინეები მანამდე, სანამ ბოლოს და ბოლოს ხე-ტყით მოვაჭრე და ბათუმში იტალიის საკონსულოს აგენტი გახდებოდა. ძველი მეგობრები, როგორც ავგურება, სწორედ აქ შეიყარნენ, ერთმანეთს გადაეხვივნენ და ბათუმის მინარეთის სახურავზე ფიცი დასდეს, აღარასოდეს აღარ დაშორებოდნენ ერთმანეთს, ერთ ხორცად შერწყმულიყვნენ და შეირწყნენ კიდეც...

როცა ოქროს ძეწკვის საქმის „მოკვარახჭინება“ იყო საჭირო, ხეტყით მოვაჭრე, ცხადია, მეტოქეობას უწევდა გულმოდგინეობის გამოჩენაში მთავარ შუამავალ-გამომძალველს. მისი ეს „არაკანონიერი გულმოდგინეობა“ სახიფათო მოეჩვენა „თანამდებობით“ მის ერთ თანამოძმეს, საფრანგეთის ვიცე-კონსულს. მიაქციეთ ყურადღება, რომ საერთაშორისო სამართლის და ასევე პრაქტიკული თვალსაზრისით

უზარმაზარი განსხვავებაა კონსულს ან ვიცე-კონსულსა და საკონსულოს აგენტს შორის, განსაკუთრებით, როცა პირველის თანამდებობა ადგილობრივ კომერსანტს კი არა აქვს დაკავებული, არამედ საგარეო საქმეთა სამინისტროს სპეციალურ მოხელეს. საფრანგეთის ვიცე-კონსულს ბათუმში სწორედ ამგვარი თანამდებობა ეჭირა. ესმოდა რა შესანიშნავად საერთაშორისო სამართლის ძირითადი წესები, რომ უცხო სახელმწიფოს წარმომადგენლები არავითარი საბაბით არ უნდა ჩაერიონ იმ სახელმწიფოს ან ქალაქის საშინაო საქმეებში, სადაც სამსახური უხდებათ. საფრანგეთის ვიცე-კონსულს, ცხადია, არ შეეძლო არ აღშფოთებულიყო იტალიის საკონსულოს აგენტის საქმიანობით, როცა მან დაიწყო ფულის შეგროვება მოსამართლისათვის ოქროს ძეწკვის საყიდლად. მეორეს მხრივ, შეეშინდა რა იტალიის საკონსულოს აგენტმა შეცდომაში არ შეეყვანა მეორე თანამოძმე, ბათუმში სპარსეთის ახალბედა ვიცე-კონსული, ფრანგმა ამხანაგურად მიწერა მას წერილი, სადაც სპარსეთის წარმომადგენელს აფრთხილებდა, არ ჩარეულიყო ბათუმის საშინაო საქმეებში, რაც კანონით აკრძალული იყო. დამატებით მან არა დიპლომატიურად, არამედ მეგობრული გულახდილობით, ისიც მისწერა სპარსელს, რომ ეს საქმე სხვა არაფერია, თუ არა „ინტრიგა". როცა იტალიის საკონსულოს აგენტი სპარსეთის ვიცე-კონსულთან მივიდა და თხოვა ხელი მოეწერა „მოსამართლის საჩუქარზე", მან აგენტს განუცხადა, რომ ერთ გროშსაც არ გაიღებს, რადგან ეს კანონით აკრძალულია და ამის გაკეთებას მას არც ფრანგი თანამოძმე ურჩევს. და იმისათვის, რომ ეს დაესაბუთებინა, მან აღმოსავლური გულუბრყვილობით იტალიის საკონსულოს აგენტს ფრანგის წერილი აჩვენა. სწორედ აქედან დაიწყო „სკანდალი".

იტალიის აგენტმა თავი შეიკავა ეჩივლა თავის მთავრობასთან ფრანგისათვის, რომელმაც ამხელა შეურაცხყოფა მიაყენა: იცოდა, რა დღეს აც დააყრიდა ბატონი კრისპი დიპლომატიის ელემენტარული წესის დარღვევისათვის. მან ამჯობინა ეს ამბავი მოსამართლისათვის შეეჩივლა. ცნობილია, რომ როგორც აკაკი აკაკიევიჩის უფროსს არ ჰქონდა ცხოვრებაში სხვა წესი, გარდა „დატუქსვისა", ასეთი იყო ბათუმის მოსამართლეც, რაზეც არ უნდა ყოფილიყო ლაპარაკი, სხვა არაფერი არ მოსდიოდა თავში, გარდა „დასმენისა". როგორც ყოველთვის, მას დაეთანხმნენ ხე-ტყით მოვაჭრეც და შუამავალი—გამომძალველიც. ცხადია, უნდა დავასმინოთ, მაგრამ ვის წინაშე და ვისი სახელით? ამგვარი კითხვები ჩიხში მოამწყვდევდა არა მარტო ისეთი პრიმიტიუ-

ლი ტვინის პატრონებს, როგორიც ბათუმის სამეულია, იმ ყოჩაღ მხედრებს, ადამიანის წმინდა სულს რომ თელავენ. ცხადია, რამდენიც არ უნდა მიწერო იუსტიციის სამინისტროს კანცელარიას, რომ საფრანგეთის ვიცე-კონსული ღალატობს რუსეთის ინტერესებს და ემსახურება „სომხურ პარტიას", ანდა „ახალგაზრდა აჭარას", ამას არავითარი შედეგი არ მოყვება. ტყუილად ხომ არ უზით კანცელარიაში ხელქვეითად ქვისლი: „უცხო ქვეყნის კონსული ვალდებული არაა ემსახუროს რუსეთის ინტერესებს, მან მხოლოდ თავის სამშობლოს ინტერესები უნდა დაიცვას",—უპასუხებენ მათ კანცელარიიდან და დასმენა შედეგს ვერ გამოიღებს.

—რადგან ასეა, დავასმინოთ საფრანგეთის მთავრობასთან—გადაწყვიტა უბრძენესმა.

—დასმენით კი დავასმინოთ—თქვა იტალიის აგენტმა—მე თუ დავასმინე, რა თვალით შეხედავს ამას ბატონი კრისპი. კი მაგრამ—მეტყვის იგი—რა თქვენი საქმე იყო საფრანგეთის ინტერესებისათვის თავის გამოდებაო". მეტყვის და კარსაც მომიჯახუნებს, „დამითხოვს". მე თუმცა უხელფასო აგენტი ვარ, მაგრამ მაინც პატივია...

—ჰმ... დაფიქრდა მოსამართლე—არც მე შემიძლია დავასმინო, რადგან მეც მოსამსახურე ვარ და ამავე დროს კარგადაც „მიხდიან". შეიძლება საფრანგეთის ინტერესებისათვის თავის გამოდების გამო თავზე ხელი არ გადამისვან.

—თუ ასეა, მე დავასმენ... გამოიდო თავი გამომძალველმა. ჩემთვის ეს ახალი ამბავი არაა. თუკი საკუთარი სიძე დავასმინე და „გაფლანგვისათვის" ციმბირში ამოვაყოფინე თავი, რა დიდი რამეა უცხოელის დასმენა? გამიბრაზდებიან და თავს იმით ვიმართლებ, რომ ვიტყვი, ეს მე „მოწოდებით" ჩავიდინე-მეთქი.

გადაწყვეტილება მოინახა.

მოსამართლემ დასმენა გააშანშალა, აგენტმა ფრანგულ დიალექტზე თარგმნა, გამომძალველმა კი ხელი მოაწერა და გაგზავნეს.

დასმენა გაუგზავნეს საფრანგეთის კონსულს თბილისში. იგი ბათუმის კონსულის უახლოესი უფროსია. რამდენიმე დღის შემდეგ თბილისიდან მიიღეს პასუხი: „ჩვენი ვიცე-კონსულის საქციელს მთლიანად ვამართლებთ და თუ ვინმე მისგან შეურაცხყოფილია, ჩვენ ჩვენს ვიცე-კონსულს ვიცნობთ როგორც ღირსეულ კაცს, რომელიც ყოველთვის მზადაა ისე დააკმაყოფილოს შეურაცხმყოფელი, როგორც ეს მიღებულია წესიერ ადამიანებს შორის".

მაგრამ დუელში გასვლა ბათუმელმა სამეულმა ვერ გაბედა, მათ არ-ჩიეს ამჯერად თავიანთი სისაძაგლე საფრანგეთის ელჩამდე, ბატონ ლაბუელამდე მიეტანათ. გონებამახვილი პამფლეტისტის შვილმა არ უღალატა მამისეულ ტრადიციას, „ამერიკაში პარიზისა" და „ძაღლი-პრინცის" ავტორს. მან დამსმენლებს უფრო დამცინავი პასუხი გასცა, ვიდრე თბილისიდან მიიღეს და ვიცე-კონსულის საქციელი მანაც მო-ინონა.

შუამავალი—გამომძალველისათვის ორი მაგარი სილის განნა, თბილისიდან და პეტერბურგიდან საკმარისი არ აღმოჩნდა. საერთო ძალ-ღონით მათ შეთითხნეს ახალი დასმენა-სისაძაგლეები და გაგზავ-ნეს პარიზში, ახლა უკვე საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო-ში მინისტრის სახელზე.

ბატონ გობლეს რომ ხუმრობა არ უყვარს და სიტყვას ჯიბეში არ ეძებს, ეს ყველასათვის ცნობილია, ვისთვისაც კი კბილი გაუკრავს.

მაგრამ ეს საერთო აზრი მასზე ბათუმელმა სამეულმა არ იცოდა, და, აი, სამი კვირის შემდეგ სამინისტროდან მოვიდა პასუხი: „ჩვენს ვიცე-კონსულს კარგად ვიცნობთ, ხოლო იმისათვის რომ თქვენ უთხოვ-ნელად ჩაერიეთ არა ჩვენს საქმეში და მაქაურ წარმომადგენელს სი-საძაგლეები დასწამეთ, ჩვენ ვთხოვდით რუსეთის მთავრობას სამაგა-ლითოდ დაესაჯეთ, ასე დიდად რომ არ ვაფასებდეთ ჩვენს კეთილ ურ-თიერთობას. მაგრამ თუ არ გაჩერდებით, რა მძიმეც არ უნდა იყოს ეს ჩვენთვის, ამას გავაკეთებთ". რომ დაენახვებინა ბათუმელებისათვი-საც, კავკასიელებისათვისაც და სპარსეთისათვისაც, საფრანგეთის მთავრობა მთლიანად ამართლებს თავის ვიცე-კონსულის საქციელსო და ამავე დროს პატარა წკიპურტით წაეკრა იტალიის დიპლომატიი-სათვის, ბატონმა გობლემ ბათუმის ვიცე-კონსული საფრანგეთის თბილისის კონსულად დანიშნა.

ყველაზე სასაცილო ის არის, ბათუმში ზუსტად ექვსი კაცი ცხოვ-რობს, რომელთაც შუამავალ-გამომძალველის მსგავსი სახელი და გვა-რი აქვთ, ამის გამო საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრის წერი-ლი, რომელიც დამსმენელის სახელზე იყო გამოგზავნილი, ფოსტამ მის თანამოგვარეს მიუტანა, ამ უკანასკნელმა კი წასაკითხად და სა-თარგმნელად ადგილობრივ გამომძიებელს მიურბენინა. აი, როგორ გამომჟღავნდა ეს სასაცილო და სამარცხვინო ისტორია სამეულთა დასმენისა.* ბათუმელები, რომლებიც სირცხვილით იწვიან, ახლა სა-

* ახლა შევიტყვეთ, რომ დაასმინეს გამომძიებელი „გობლეს წერილის ნაკითხვისა და გავრცელებისათვის".

მეულზე ამბობენ... —კი ბატონო, დაესმინათ „ჩვენს სახლში“ ჩვენიანები... მაგრამ შერცხვე და ჩვენი კეთილი სახელი შეარცხვინო... შეიძლება ახლა ჩვენს ძმას, ბათუმელს მოეჩვენოს...

დიახ! ეს ასე ვთქვათ, „მორალია“ მთელი ევროპის თვალში...

67. საუძმო საკითხავი

ზუსტად 20 წლის წინათ, ყოველდღიურად, რუსული პრესა იუწყებოდა, რომ „ცნობილმა რუსმა რევოლუციონერმა ვ. კელესიევმა სახალხოდ მოინანია ყმაწვილური შეცდომები და დაბრუნდა სამშობლოში მძიმე ცოდვების გამოსასყიდლად. იმდროინდელი გაზეთები, რომლებმაც ეს ვითარება დაუპირისპირეს რევოლუციურ მოღვაწეთა დროებით შესვენებას და მათი გავლენის შესუსტებას, წინასწარმეტყველებდნენ, რომ ეს იყო რუსი ახალგაზრდობის კონვულსიური მოძრაობის „დასასრულის დასაწყისი“. თვითონ მეც მაშინ საშინლად მინდოდა ამის დაჯერება. ამ ვითარებისადმი მიძღვნილ სტატიებში ვცდილობდი მომეძებნა მიმზეზი მათ აზროვნებაში ამ აუცილებელი გარდატეხისა და თავდაპირველ მისწრაფებათა გაუაზრებლობისა. ცხოვრების შეცვლა ისე, როგორც მათ ფანტაზიით ჰქონდათ წარმოდგენილი, თვით ღმერთისთვისაც შეუძლებელი იყო.

კელესიევმა ვერ გაუძლო მის მონანიებას მოყოლილ ქარიშხალს და მალე გარდაიცვალა. ბრბოს, რომელსაც არაფერი ესაქმება ფსიქიკურ ანალიზთან, როგორც ყოველთვის ახლაც მოეჩვენა, რომ ადამიანის ქმედებასთან, რომელიც აფასებს ასეთ დიდ შეცდომას თავის საერთო საქმიანობასთან მიმართებაში, არც შეცდომის აღიარების შემდეგ, შეიძლება დარჩეს რაიმე გასათვალისწინებელი. იმაზე, როგორი მტანჯველი უნდა ყოფილიყო ადამიანისათვის იმის შეგრძნება, რომ მის მიერ განვლილი ცხოვრება შეცდომად ეღიარებინა, ცოტა ვინმე თუ ფიქრობდა. ბრბოს მხოლოდ ლეგენდად შეუძლია მიიჩნიოს ასეთი რამ. მან იცის სავლეს შესახებ, რომელიც „ჭეშმარიტების ნათელს“ მხოლოდ დამასკოსაკენ მიმავალ გზაზე ეზიარა და ეჭვი გაუჩნდა, რომ აქამდე გავლილი გზა ფუჭად ჩაეთვალა. იცის პავლე... და საერთოდ იმისთვის, რომ ბრბომ შენი ადრეული ცხოვრების შეცდომები გაპატიოს, საჭიროა „გარდატეხის შემდეგ“ შენი ცხოვრება გმირობითა და მიღწევებით იყოს სავსე... კელესიევს ამისათვის არც ძალა და არც

ასპარეზი არ ეყო, რამეთუ ჩვენს ცხოვრებაში უკვე აღარ არის ადგილი „ახლადმოქცეულისათვის“... „მოინანიე ჩუმად ცოდვები და მოკვდი“... ამიტომ უბედური კელესიევის მაგალითმა უკვალოდ ჩაიარა, არავის გულში არაფერი გამოუწვევია, საზოგადოებამ თავისი რიგით გააგრძელა ცხოვრება...

ზუსტად ოცი წელი გავიდა და რუსული გაზეთები უეცრად გაივსო სტატიებით, რომლებსაც ოდესღაც ვკითხულობდი და რომლებმაც ასე დიდი გავლენა მოახდინა ჩემს ახალგაზრდულ გონებაზე. „მოსკოვსკიე ვედომოსტ“-მა მოწინავე ოფიციალურ სტატიაში განსაზღვრა უდიდესი მნიშვნელობა პარიზში ახლახანს გამოცემულ ლევ ტიხომიროვის ბროშურისა. ავტორისა, რომელიც რუსი სოციალისტების ცნობილი ტერორისტული ფრაქციის ბელადად ითვლებოდა. ბროშურა გამოიცა დამაინტრიგებელი სათაურით: „რატომ აღარ ვარ რევოლუციონერი?“ ამის კვალდაკვალ ბროშურის შესახებ გამოხმაურებანი დაიბეჭდა „გდაუდანინ“-სა და „იუჟნი კრაი“-ში. თავისთავად ცხადია, რომ ეს გაზეთები მსჯელობდნენ ტიხომიროვის „მონანიებაზე“ და უფრო სისულელეებს გამოთქვამდნენ, ვიდრე საქმიან წინადადებებს, მაგრამ ჩვენთვის სასიამოვნო იყო „მოსკოვსკიე ვედომოსტ“-ში გვეხილა ამ საკითხთან დაკავშირებული სტატია, რომელშიც მას ეს ამბავი „ვიწრო კაბინეტური“ მიზნებით კი არა, ჩვენი საშინაო პოლიტიკის მომავლის დიდი მნიშვნელობის მქონე ფაქტად აქვს წარმოსახული.

ტიხომიროვს ადრე ეგონა, რომ საზოგადოებრივი მიზეზის გადასაწყვეტად ყველაზე მოკლე გზა ძალდატანებაში მდგომარეობს, ახლა ის დარწმუნდა, რომ მწარედ ცდებოდა და დასახული მიზნის მისაღწევად სხვა უფრო გონივრული გზაც არსებობს:

„თუკი—წერდა ტიხომიროვი—რუსეთის თანამედროვე მდგომარეობაში, მისი მოქალაქეების აზრით, ადგილი აქვს სერიოზულ რეფორმებს—უნდა ვეცადოთ მათ ისეთ გატარებას, როგორც ეს სხვა ქვეყნებში ხდება. ე.ი. მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად“.

მე ნამდვილად არ ვიცი რა არის აქ მთავარი, ტიხომიროვის გადაწყვეტილება ლეგალური გზით გააუმჯობესონ სამშობლოს ყოფა თუ „მოსკოვსკიე ვედომოსტის“ აღიარება ამგვარი საქმიანობის შესაძლებლობისა და კანონიერების შესახებ.

„გარდატეხა, რომელიც ლ. ტიხომიროვის შეხედულებებში მოხდა —წერს „მოსკოვსკიე ვედომოსტი“—არაა ზედაპირული, არამედ სერიოზული და ღრმაა.“ და გაზეთი სავსებით მართალია ამაში, რადგან ტიხომიროვი თავის ნაწერებში პოლიტიკური გონების სიღრმეს აჩ-

ვენებს მის გულწრფელობაში არც „გრაჟდანინს“ ეპარება ეჭვი, „მოსკოვსკიე ვედომოსტის“ საპირისპიროდ რომ ამტკიცებს, მისი პატიება მაინც არ შეიძლებაო.

„საეჭვოა, რომ ტიხომიროვს თვითონ სურდეს მის უბედურ მსხვერპლთა მიტოვება, მხოლოდ იმიტომ, რომ მან მოინანია და ეს მონანიება დაბეჭდა,—ყველაფერი დავიწყებას მიეცა.

გასაგებია, რომ საკითხი დგას არა პატიებისა, ამიტომ „მოსკოვსკიე ვედომოსტი“ ამჟღავნებს შეუდარებელ პოლიტიკურ სიმწიფეს, როცა წერს: „ასეთი დიდი რევოლუციონერისაგან, როგორიც ტიხომიროვია, უარყოფა ადრინდელი დანაშაულებრივი შეცდომებისა მოწმობს იმ რწმენის ძალას და სწორ გზას, რომელზეც წარსულის მწარე გამოცდილებამ მიიყვანა იგი.

გზა, რომელსაც ახლა დაადგა ტიხომიროვი, უეჭველია, ამაში არც არის და არც შეიძლება რაიმე საეჭვო, სახელმწიფოთა და ხალხთა ცხოვრება ყალიბდება და იცვლება არა ვინმეს სურვილით, არამედ მოითხოვს თაობათა შეუწყვეტელ და თანმიმდევრულ საქმიანობას, რომელშიაც თითოეული ახერხებს ორი-სამი ნაბიჯი გადადგას სამშობლოს ისტორიული პროგრესის გზაზე. მაგრამ „მოსკოვსკიე ვედომოსტის“ აღიარება ამ გზის მართებულობის შესახებ პროგრესულია, უფრო მეტსაც ვიტყვი: გულწრფელად მიხარია ეს. იყო დრო, როცა ეს გაზეთი უარყოფდა კერძო პირთა მონაწილეობის აუცილებლობას თანამიმდევრულ პროგრესში და მხოლოდ ბიუროკრატული მოქმედების კანონიერებას აღიარებდა. ეხლა ისინი დასაშვებად მიიჩნევენ „პოლიტიკურ საქმიანობას“, მომყავს სტატია ტიხომიროვის ნათქვამიდან“:

„კანონშემოქმედი და აღმასრულებელი ხელისუფლების წყარო, რუსული კანონების მიხედვით, არის ქვეყნის მეფე. რესპუბლიკური წყობის ქვეყნებში ამომრჩეველი. ორივე შემთხვევაში პოლიტიკური საქმიანობა, რომელი წყაროდანაც არ უნდა მომდინარეობდეს იგი, მჟღავნდება ამა თუ იმ დაწესებულებებიდან, ამ დაწესებულებებს რუსეთშიც ისეთივე საშუალებები აქვს მოღვაწეობისა, როგორიც გააჩნიათ საზღვარგარეთ. ჩვენ გვაქვს სახელმწიფო საბჭო, სენატი, სამინისტრო სხვადასხვა დამატებითი ორგანოთი, ვაჭრობის დეპარტამენტისა და მანუფაქტურების სახით, და მრავალგვარი მუდმივმოქმედი კომისიები. რომ აღარაფერი ვთქვათ საზოგადოების არაოფიციალური ხასიათის დაწესებულებებზე. კანონიერი პროგრესის პარტიას მოქმედების ფართო არეალი აქვს. დაე, მისმა წევრებმა იმსახუროს, იმუ-

შაოს. დაე, ყოველთვის ჰქონდეთ მათ მზა სისტემა ვითარების შესაბამისად და პრაქტიკული უნარი, რომლის დამტკიცებასაც შეძლებს ხელმძღვანელისათვის".

„მოსკოვსკიე ვედომოსტი" ყოველთვის როდი უშვებდა შესაძლებლობას „ჰქონოდათ ყოველთვის მზა სისტემა მოთხოვნების შესაბამისად" ყოველწლიურად შეცვლილი ვითარებისათვის. ისინი მხოლოდ საკუთარი სისტემის კანონიერებას აღიარებდნენ და მცირეოდენი კამათიც კი მის შესახებ ელდას სცემდათ.

შესაძლებელია ამ გამონაკლისში, საწინააღმდეგო აზრის მოუთმენლობაში, „მტრის" ბანაკში ყოველივე იმის გადასროლაში, რაც მათ შეხედულებებს არ ემთხვეოდა, უნდა ვეძებოთ ახსნა ჩვენი ცხოვრების ბევრი მტკივნეული საკითხისა. ვიმედოვნებ, რომ ცხოვრების მწარე გამოცდილებამ გონება გაუნათა არა მარტო ტიხომიროვს, რომ საწყისი სხვისი აზრისა და სისტემების მოთმენისა, ყოველდღიურად უფრო ღრმად იდგამს ფესვებს ჩვენი მამულის პოლიტიკურ ცხოვრებაში, რომ ბოლოს და ბოლოს ყველა მიხვდება როგორ ემსახუროს სამშობლოს და სხვადასხვა მოთხოვნებს სხვადასხვა გზებით, საშუალებებით და სისტემებით, მხოლოდ ველური და ნებითი გამოვლინებების გარეშე, კანონთან მიმართებაში. ერთი სიტყვით, ბოლოსდაბოლოს ჩვენი ქვეყანა მტკიცედ, სამუდამოდ დაადგება იდეისათვის იდეური ბრძოლის გზას, რომელსაც მიმართავენ ხალხები მათი შესაძლებლობების სრული გაფურჩქვნის დროს.

„მოსკოვსკიე ვედომოსტი" იმ ადგილის ციტირებას ახდენს, საიდანაც ჩანს რა შორს წავიდა ტერორისტების გუშინდელი ბელადი ტიხომიროვი თავისი შეხედულებებიდან „მეცნიერების არასაჭიროების" საკითხთან დაკავშირებით:

„მოსწავლე-ახალგაზრდობა—ეს არის ფენა, რომლიდანაც ამოიზრდება ქვეყნის სახელმწიფოებრივი ცხოვრება, ფენა, რომელიც სამშობლოს შეუფასებელ სიკეთეს მოუტანს. მხოლოდ მაშინ, თუ თავისი მოწოდების სიმაღლეზე დგას. მაგრამ მას ასევე შეუძლია დიდი ზიანი მოუტანოს ქვეყანას თუკი სიკეთის კეთება არ ეცოდინება, ყველაფერი ეს დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს მოსწავლე-ახალგაზრდობას —კეთილსინდისიერად მოემზადოს თავისი მომავალი როლისათვის. არ არის საკმარისი კეთილი განზრახვა გქონდეს, გქონდეს მხურვალე გრძნობა, საჭიროა განათლება, საჭიროა ცოდნა და განსაკუთრებით გონივრული დამოუკიდებლობის გამომუშავება."

ყურადღებას იმსახურებს ასევე ტიხომიროვის შემდეგი სტრიქონები:

„რევოლუციური მოძრაობა—ამბობს იგი— არის არა მიზეზი, არამედ მოჩვენება ბოროტისა, რომლისგანაც იტანჯება თანამედროვე რუსეთი. ეს ბოროტება, როგორც უკვე ვთქვი—ჩამოყალიბებული კლასის გონების სერიოზული ნაკლია, რის შედეგადაც ამ კლასის გონებრივი საქმიანობა გამოირჩევა ძალზე დაბალი ხარისხით. ნაკლოვანებების დამღა, რომელიც იქმნება ნახევრადგანათლებულობით, ხშირად ჩვენი გამორჩეული ტალანტების შრომებშიც ჩანს. ბოროტება ნახევრადგაუნათლებლობისა მდგომარეობს არა ცნობების სიმცირეში—გლეხებს ისინი გაცილებით ცოტა აქვთ—არამედ მანერაში—ადვილად აითვისო იგი სხვისი სიტყვებით, ნახევრადგანათლებით და ა.შ. საერთოდ გონების ცუდი დისციპლინით. აი, ბოროტება, რომელიც დაღუპავს რუსი ადამიანის საუკეთესო თვისებებს, რომელიც ჩვენს წინაპრებს ოდესღაც უდიდესი ქვეყნის შექმნაში დაეხმარა, ქვეყანას, რომელსაც ახლა ჩვენ ყოველი ღონით ვასუსტებთ. ბრძოლა ამ ბოროტებასთან არის ჩვენი დღევანდელობის მთავარი ამოცანა.

დაბალი დონე პოლიტიკური და სოციალური შეხედულებებისა, რომელიც ჩვენთანაა, დამოკიდებულია იმაზე, რომ უმნიშვნელო გონებრივი შესაძლებლობები არ იძლევა იმის საშუალებას, რათა ჩვენი ქვეყნის სოციალური მეცნიერება ადგილობრივად იქნას შესწავლილი თავის საზოგადოებრივ გამოვლინებებში“.

ყველაფერი ეს სრულიად სამართლიანია და ტიხომიროვის დიაგნოზშიც გამოსჭვივის აზრი გამოცდილი დაკვირვებული ექიმისა ჩვენი თანამედროვე დაავადებების შესახებ. ამ დიაგნოზშივე ისმის ეჭვიანი ნოტა მათი განკურნებისა. უსაზღვრო სიღრმით გამოირჩევა ასევე შემდეგი ადგილი ბროშურისა:

„რუსეთი უდიდესი ნარსულისა და კიდევ უფრო დიდი მომავლის ქვეყანაა. მაგრამ მას აქვს თავისი ნაკლოვანებები, რომელთაგან ერთი ყველაზე მთავარი უშუალოდ ეხება მოსწავლე-ახალგაზრდობას: ეს არის სერიოზული განათლებისადმი მათი დამოკიდებულება. კერძოდ, იმათი, ვისაც უნარი შესწევს გონებრივი საქმიანობისა. ეს მდგომარეობა საზოგადოებაზე ორმხრივად აისახება: პირველი დაბალი დონის მოარული შეხედულებებია, რომელიც ხალხში ვრცელდებოდა და ვრცელდება და მეორეც, თვითონ აზროვნების მანერა, გაგების ხერხები რჩება ძალზე არადამაკმაყოფილებელი. რუსული აზროვნებისათვის დამახასიათებელია ორი მხარე: უგემოვნობა და ფაქტების დაუფასებლობა და პირიქით, უსაზღვრო რწმენა თეორიებისადმი, რომლებშიაც ნაკლულად არის განხილული ჩვენი სურვილები“.

სნორედ ამიტომ, ძნელი წარმოსადგენია, სრულიად უიმედო გზაზე, საითკენაც ტიხომიროვი „მოსკოვსკიე ვედომოსტთან“ ერთად ეპატიჟება ახალგაზრდობას, გული გაუნიოს ვინმეს.

ჩვენი ღრმა რწმენით, ნაბიჯი, რომელიც ტიხომიროვმა გადადგა და რომელშიაც „მოსკოვსკიე ვედომოსტი“ „მოქალაქეობრივ სიმამაცეს“ ხედავს, მხოლოდ მაშინ მოახდენს გავლენას ჩვენი მომავალი თაობის გონივრულ ცხოვრებასა და პოლიტიკურ მოღვაწეობაზე, თუკი ხელისუფლების მხრიდან მიღებული იქნება შესაბამისი გადაწყვეტილებები ჩვენი საზოგადოების ახალი ძალების მოღვაწეობის სფეროს გასაფართოებლად. მე ვსაუბრობ იმ თანმიმდევრულ გაუმჯობესებაზე თვითმმართველობის სფეროში, რომელიც ჩვენს ახალგაზრდობას მოკრძალებული, მაგრამ საგრძნობი სასარგებლო შრომის სახით საშუალებას მისცემს იღვაწოს მოქალაქეთა საკეთილდღეოდ. ამდენი ახალგაზრდული ცხოვრებისა და შეხედულებების გადამყლაპავი ქიმერისაგან გასათავისუფლებლად არსებობს მხოლოდ ერთი საშუალება: რეალური შრომა საზოგადოების სასარგებლოდ, ორგანიზაცია უნდა გაუკეთდეს ასეთ საქმეს, უნდა უზრუნველვყოთ იგი ყველა სასურველი გარანტიით, სისწრაფით, ჩამოყალიბებით, მიკიბულ-მოუკიბავად. ეს რთული ამოცანა მხოლოდ მთავრობის კომპეტენციაში შედის. როგორც ჩანს, ტიხომიროვი არა მხოლოდ თვითონ დარწმუნდა, არამედ სხვებიც დაარწმუნა იმ „საფუძვლის“ სიმყარეში, რომლის წინააღმდეგ უკანასკნელი 22 წლის მანძილზე ის და მისი მეგობრები ასეთ დარტყმებს ახორციელებდნენ. ამიტომ დროა თვით ეს „მოქალაქე“ დარწმუნდეს, რომ ამ საფუძველზე ჩაჭიდება საჭირო არ არის ანტაგონისტებთან ბრძოლაში, რომლებსაც არასდროს უფიქრიათ მასზე თავდასხმა... ერთი სიტყვით, ეტყობა დადგა დრო, ჩვენმა ცნობილმა ბეჭდვითმა ორგანოებმა უარი თქვან იმ სისტემაზე, რომელიც პრაქტიკაში ქ. ერევნის ადგილობრივი ქალაქის თავის მიერ განხორციელდა. როგორც კი რომელიმე ხმოსანი შეეხებოდა მმართველობის ნევრთა ნლიური ხელფასის შემცირებას, თუნდაც 100 მანეთით, მოქალაქე კერამოვი მთელი ქვეყნის გასაგონად გაჰკიოდა „საფუძვლის შერყევაზე“ და მოითხოვდა „მოწინააღმდეგეთა“ გადასახლებას...

...ცხოვრება, რა თქმა უნდა, თავის გზით წავა. მხოლოდ ღმერთმა უწყის ჩვენი ახალგაზრდობა შეძლებს თუ არა მისთვის სასარგებლო დასკვნა გამოიტანოს ცხოვრების ტრაგიკული ისტორიიდან, ტიხომი-

როვის საქმიანობიდან და მიმართვიდან. ამიტომაც შევჩერდი ასე დიდხანს მის ბროშურაზე, რომელიც პირადად ჩემთვის ღრმა ინტერესის საგანია. მან მომანიჭა ჩემი ცხოვრების ერთ-ერთი უდიდესი სიტკბოება. ჯერ კიდევ უწვერული ყმანვილი, რომელიც მხოლოდ წიგნებს ვიცნობდი და არა ცხოვრებას, სიტყვით და საქმით ვქადაგებდი იმ გზის აუცილებლობას და გონივრულობას, რომელზედაც როგორც ერთადერთსა და მიზანშეწონილზე მიუთითებენ ახლა ტიხომიროვი და „მოსკოვსკიე ვოდომოსტი". მხოლოდ ჩემმა მტკივნეულმა გულმა იცის, რამდენი შეუბრალებელი დარტყმა და დაუმსახურებელი ეჭვი მაცვივი,და ყოველი მხრიდან. მე არ ვნებდებოდი და ჩემი გზით მივდიოდი, სულაც არ ვდარდობდი დაუმსახურებელ დარტყმებზე—ისინი სულს აწრთობენ. წარმოიდგინეთ მდგომარეობა ადამიანისა, რომელიც ხედავს როგორ იტანჯებიან მისი თანასოფლელები ყოველდღიურად აღელვებული მდინარის გადალახვის დროს. მდინარისა, რომელზედაც არც ხიდია და არც ბორანი, გადარჩენილია მხოლოდ წვიმისა და ქარისაგან შელახული ღარი, რომელიც ოდესღაც ბორანს ემსახურებოდა. ის ურჩევს აღმართონ მტკიცე ხიდი, ან სოლიდური ბორანი. ბევრი შესაძლებელია ამაზე დათანხმდეს, არც არავის ექნებოდა საფუძველი წინააღმდეგობა გაეწია ამისათვის. მაგრამ საქმე ძნელია და დიდ დროს მოითხოვს: ჯერ უნდა გაზომო, გამოიანგარიშო, ძალები გამოთვალო და მასალები მოამზადო. ჰოდა, აქ გამოჩნდებიან სოფლის „ძალოსნები" ყვირილით, რომ ეს ყველაფერი სისულელეა, რომ ყველაფერი „ოდესღაც იქნება", არ სჯობია ადგნენ და პირდაპირ არხით გადავიდნენ? და შეუდგნენ კიდეც, მცველები არ უშვებენ—ჩაინგრევაო,—ეუბნებიან. ისინი მათთან ჩხუბს იწყებენ, ჰტყდა ცემა-ტყეპა,—„ყოჩაღ", „ყარაული!" სხვები არხში მიღოღავენ. რამდენიმე ნაბიჯს გაივლიან, ვარდებიან, ებღაუჭებიან. საოცარი ხალხია მართლმადიდებლები სიმამაცითა და გამბედაობით, და ეს მართლმადიდებელი ხალხი ხანგრძლივი შრომის მაგიერ, ხელდაკრეფილი და პირდაღებული დგას და მიშტერებია, როგორ მოხერხებულად ასრულებს აკრობატის ილეთებს სერგო, როგორ დასისხლიანდა ალექსანდრე, განა მტკივნეული არ არის ყოველივე ამის ყურება, მაშინ, როცა იცი რამდენი სასარგებლო სამუშაო შეიძლებოდა შეესრულებინა ამ ხალხის ძალას, ახლა ასე უსარგებლოდ რომ იხარჯება და სხვებსაც უხერხულ მდგომარეობაში აყენებს მაშინ, როცა ჩვენი საქმიანობა ყოველნაირად მუხრუჭდება.

68. აუცილებელი განცხადება

ჩვენს გაზეთს არ შეეძლო არ მიექცია მკითხველების ყურადღება იმ წარმოუდგენელი წერილისადმი, რომელიც ბატონმა შავროვმა მოსკოვის გაზეთ „რუსსკოე დელოში“ დაბეჭდა, სადაც ლაპარაკია კავკასიის ცხენოსანი ჯარის შექმნაზე და გამოყენებაზე. ამ საკითხმა საზრუნავი გაუჩინა მთელ ადგილობრივ მოსახლეობას და მისდამი პრესის ასეთი თუ ისეთი დამოკიდებულება ძალზე მგრძნობიარე გამოძახილს პოულობს ჩვენი მხარის შეგნებაში. ამიტომ, ჩვენ იძულებული შევიქენით მიგვეძღვნა ორი ვრცელი ფელეტონი სათაურით „საუქმო საკითხავი“ („ნოვოე ობოზრენიე“ №1594 და №1606) ბატონ შავროვის ნააზრევისათვის ჩვენი მხარისათვის ამ მწვავე საკითხზე. მისი აზრები რომ ქარაფშუტული და სულელურია და, რომ მას არ ესმის ის საგანი, რაზედაც მსჯელობს, ეს, რა თქმა უნდა, სრულიად არ ინვევს ეჭვს იმ ადამიანებში, ვინც ან მის წერილს გაეცნო, ანდა თუნდაც წერილიდან მოტანილ იმ ამონაწერებს, ჩვენ რომ მოვიტანეთ. მაგრამ საქმე ამაში არაა. ყველას აქვს უფლება გამოთქვას სულელური აზრები სერიოზულ საკითხებზეც კი და თუმცა ჰაინემ ამ ცოტა ხნის წინათ თქვა „ყველას აქვს უფლება იყოს ბრიყვი“, ჩვენ მაინც მიგვაჩნია, რომ ამის უფლებას ბოროტად არ უნდა იყენებდე, ხოლო თუ გამოიყენებ, მას დიდი უბედურება მაინც არ მოაქვს. ამ ჩვენს წესში არის ერთი გამონაკლისი, მაგრამ ისეთი, რომელიც ზედგამოჭრილია ბატონ შავროვზე და მის წერილზე. ვიმეორებ, ყველას აქვს უფლება რამდენიც უნდა, იმდენი იფიქროს და შეცდეს, მაგრამ, საბედნიეროდ, იმ იშვიათ შემთხვევებში, როცა ვითარებათა შემთხვევითი დამთხვევა ხდება, ადამიანის სიტყვებსა და მოქმედებას საზოგადოება მარტო ერთ მნიშვნელობას კი არ ანიჭებს, არამედ თუმცა მცდარად, მაგრამ მათში მაინც ხედავს გაბატონებული ფენების შეხედულებათა გამოხატვას, რის გამოც მდგომარეობა ძირფესვიანად იცვლება. როგორც ცალკე პიროვნებას, როგორც „მწერალს“ ბატონ შავროვს ძალიან პატარა წონა და მნიშვნელობა აქვს იმისათვის, რომ ღირდეს მის ნააზრევზე შეჩერება. მაგრამ ის დიდი შთაბეჭდილება, რაც მოახდინა ჩვენს მხარეში მისმა უკანასკნელმა წერილმა მხედართა განვევის შესახებ—ამ წერილზე ხმები ყურიდან ყურში გადადის, მასზე მსჯელობენ ისეთი ადამიანებიც კი, რომელთაც თავის სიცოცხლეში დაბეჭდილი სიტყვა არც

ერთ ენაზე არ წაუკითხავთ—აიხსნება მხოლოდ და მხოლოდ იმ ვითარებით, რომ მის წერილში მოსახლეობა ხედავს არა მარტო მისი, არამედ კოლექტიური აზრისა და მმართველი ფენების ზრახვების გამოხატვას. ჩვენ შესანიშნავად ვიცით, რომ მოსახლეობას ამ საკითხზე წარმოდგენა შეეცვლება, რომ იცოდეს, ბატონ შავროვსა და მმართველ ფენებს ან რუსეთის საზოგადოებრივ აზრს შორის არ არსებობს არავითარი სოლიდარობა. ბატონი შავროვი თავის ფანტაზიას ავითარებს და თავს არ იწუხებს იმისათვის, რომ ჩაწვდეს მის უსაფუძვლობას. მაგრამ ყველა ჩვენი მოქალაქე როდი იზიარებს ჩემს აზრს.მათ მშვენივრად იციან, რომ შავროვი არის ჩვენი სახელმწიფო გაზეთის „პუბლიცისტი", რომ სწორედ იმ მომენტში, როცა „რუსსკოე დელო" ბეჭდავდა ბატონ შავროვის წერილს, მისი სახელი, როგორც დროებითი რედაქტორისა, ამშვენებდა გაზეთ „კავკაზს". ჩვენ ვიცით, რომ „კავკაზი" სხვა არაფერია, თუ არა სახელმწიფო გაზეთი, ე.ი. გაზეთი, რომლის ფლობის უფლება ხაზინას ეკუთვნის, რომ იგი იჯარით არის გაცემული კერძო პირზე და გარდა იმ მოვალეობისა, ბეჭდოს მთავრობის განცხადებები, არავითარი ოფიციალური და ოფიციოზური კავშირი არა აქვს მთავრობასთან. ისეთი ხელისმომწერნიც კი არა ჰყავს, მისი გამოწერა რომ სავალდებულო იყოს მათთვის. მაგრამ ხალხმა ყველაფერი ეს როდი იცის. ვარაუდობენ რა ადრეული მეხსიერების მიხედვით, რომ „კავკაზი" ოფიციალური გაზეთია, რომელიც გამოხატავს ჩვენი მხარის უმაღლესი ადმინისტრაციის შეხედულებებს, ეს ხალხი ამ გაზეთისა და მისი თანამშრომლების ნაწერებში ხედავს ადმინისტრაციის პირად აზრს.

და უეცრად ამ გაზეთის მთავარი თანამშრომელი, რომელიც ყველას დასანახად მის დროებით რედაქტორად აცხადებს თავს, ბეჭდავს წერილს, სადაც ცილს წამებს მთელ ადგილობრივ მოსახლეობას. ჩვენ პირადად ძალიან კარგად ვიცით, რომ ბატონ შავროვს არ ესმის იმის მნიშვნელობა და შედეგი, რაზედაც აზრს გამოთქვამს, მაგრამ მისი პირადი მდგომარეობის ორაზროვნების გამო, ჩვენ სულით და გულით ვისურვებთ,რომ იმათ, ვისაც მართლა აქვთ უფლება ილაპარაკონ რუსეთის საზოგადოებისა და მთავრობის სახელით, ხმამაღლა გამოთქვან მთელი თავიანთი არასოლიდარობა ბატონ შავროვის მიერ გამოთქმულ ველურ აზრებთან დაკავშირებით. ჩვენ ვიცით, რომ ამგვარი სოლიდარობა არათუ არ არსებობს, არამედ არც შეიძლება არსებობდეს. მაგრამ ამ თვალსაზრისით მხოლოდ ჩვენი პირადი განცხადება საკმარისი არაა. გაუგებრობის გასაფანტავად საჭიროა, რომ ამგვარი რამ გააკეთონ უფრო ავტორიტეტულმა პიროვნებებმა.

69. საუქმო საკითხავი

„ბატონი ნიკოლაძე ყოველთვის წერს საუქმედღეოდ, ზოგჯერ სამუშაო დღეებშიც კი და ჩვენ ისე შევეჩვიეთ მის მიერ სინამდვილის თავისებურ გადმოცემას, რომ ამ ორ ფელეტონზე ხელიც კი ჩავიქნიეთ".

ასე წერდა „კავკაზი" ორი დღის უკან, 1888 წლის 26 აგვისტოს №224-ში. ცხადია, ამ სტრიქონებმა დიდად დაგვწყვიტა გული, რადგან როგორია დაწერო ორი ფელეტონი და ამის შემდეგ მხოლოდ ის მიიღო, რომ მათზე „ხელი ჩაიქნიეს". დამეთანხმეთ, რომ საწყენია, განსაკუთრებით იმ კაცისათვის, რომელიც სტრიქონების რაოდენობისათვის კი არ წერს, არამედ იმიტომ, რომ გავლენა მოახდინოს თავის თანამოქალაქეთა გონებაზე და საქმეებზე. სხვათა შორის, ჩემი წყენა დიდხანს არ გაგრძელებულა. დღეს იმავე გაზეთ „კავკაზის" №226-მა მომიტანა ვრცელი „პასუხი ბატონ ნიკოლაძეს და „ნოვოე ობოზრენიეს", რომელსაც ხელს აწერს ბატონი შავროვი, ამ პასუხმა დარდი გამიქარვა, რადგან დავინახე, რომ ჩემს ფელეტონებზე მხოლოდ დროებით „ჩაიქნიეს ხელი" ისე, ლამაზი სიტყვისათვის ან იმიტომ, რომ აზრი მოეკრიბათ...

ახალი, რიცხვით მეორე პასუხი ჩემს შენიშვნაზე არაფრით არ განსხვავდება „კავკაზის" და ბატონი შავროვის უამრავი ადრინდელი პასუხებისაგან. მასში უწესრიგოდაა დახვავებული ჩვეულებრივი სოფისტური ხერხები: როგორიცაა როგორც თავის, ასევე მოწინააღმდეგის ძირითადი აზრებისა და დებულებებისათვის აბსოლუტური გვერდის ავლა, ლაპარაკი უმნიშვნელო წვრილმანებზე, ამაო ცდა, გამოიჭირო მოწინააღმდეგე წვრილმანებში, შემდეგ კი—თავის გამორჩეული სიწმინდის „პატრიოტული მისწრაფებების" ქებათა-ქება და სხვის გულწრფელობაში თავხედურად ეჭვის შეტანა. ყველაფერი ეს დიდი ხანია მომბეზრდა, გულის არევამდეც კი. ახალ „პასუხებში" გამოვყოფ მხოლოდ იმას, რაც მასში ორიგინალურია.

საერთოდ „კავკაზის", როგორც ამ სამი წლისწინანდელ პასუხში, ასევე დღევანდელ წერილშიც ბატონი შავროვი ქრისტე ღმერთს ფიცულობს, რომ მე ცილი დავწამე ჩემს მიერ გაკრიტიკებულ ავტორს. მაგრამ „კავკაზიც" და „ბატონი შავროვიც ჯვარზე მაკრავენ და არა მარტო ყველაფერ იმას იმეორებენ, რაც აღმაშფოთებელი იყო ბატონი შავროვის წერილში, არამედ იმასაც ამტკიცებენ, სხვაგვარად ფიქრიც კი არ შეიძლებაო. მე აქ, სხვათა შორის, ლოგიკური შეუსაბამობაც

მაინტერესებს. ჩემი აზრით, ბატონი შავროვის წერილში იყო რამდენიმე არასწორი ძირითადი დებულება. ამიტომაც მივუთითე მათ მცდარობაზე. ამ დებულებებიდან პირველი იყო ის, თითქოსდა კავკასიის ცხენოსანი ჯარი შეიძლება გამოიყენო თანამედროვე ომში ყოველგვარი მომზადების, ორგანიზაციის, შეიარაღების და „იარაღის სპეციალურ სახეობათა" დახმარების გარეშე. მე ვფიქრობ ეს ეწინააღმდეგება სამხედრო მეცნიერების ძირითად ცნებებს, რომ ასეთი სისულელეების შემოთავაზება იმას ნიშნავს, ადამიანები ბრძოლაში კი არ გაგზავნო, არამედ სასაკლაოზე. შემდეგ ბატონი შავროვი ამტკიცებს, ასეთი ცხენოსანი ჯარის მოსპობაც კი „ვერ დაასუსტებს ჩვენს ძირითად რესურსებს". და ამას ამტკიცებს, როცა გვარწმუნებდა, ამ ცხენოსანი ჯარის დახმარებით „ჩვენ მთლიანად ჩაგვივარდება ხელში მოწინააღმდეგის წარმატების უმნიშვნელოვანესი ფაქტორი". შემეძლო კი არ მიმეთითებინა იმ დებულების აბსურდულობაზე, რომ უმნიშვნელო იქნება ისეთი მნიშვნელოვანი ძალის მოსპობა, რომელსაც თითქოს უნარი შესწევს „არივ-დარიოს მოწინააღმდეგის ყველა გეგმა"? შემდეგ ბატონი შავროვი ამტკიცებს, ამ ცხენოსან ჯარს ვერ შეკრებ ადგილობრივი ხელისუფლების მეშვეობით, რომ ადგილობრივი მოსახლეობა არასაიმედოა და ა.შ. და ა.შ.

მე მგონი ყველა ეს „წარმოუდგენელი" და „ველური" დებულება მე საკმაო გულმოდგინებით უარვყავი, მაგრამ სანამ მათ უარვყოფდი, მთლიანად, ასო-ასო მომქონდა ციტატა, თვით ბატონი შავროვის სიტყვები, „ნოვოე ობოზრენიეს" ფურცლებზე ვბეჭდავდი ვრცელ ამონაწერებს მისი წერილიდან ყოველგვარი გადაადგილებისა და შეცვლის გარეშე. მე ჩემი სიტყვებით კი არა, მისივე სიტყვებით ვაცნობდი მკითხველებს ბატონი შავროვის აზრებს, მაგრამ ამან ხელი არ შეუშალა „კავკაზს" და ბატონ შავროვს ამტკიცონ, თითქოს მე დავამახინჯე მისი აზრები და ისინი მცდარად გავაშუქე. როგორ მოვიქცე? ნუთუ იმის გამო, რომ ისინი ასე ურცხვად არ ცნობენ ბატონი შავროვის წერილის აზრს, ისევ დავსაჯო ჩემი თავი და ჩვენი გაზეთი იმ ამონაწერების ხელახლა დაბეჭდვით, „ნოვოე ობოზრენიეს" №1594 და 1606-ში რომ იყო მოტანილი? კაცი დაიჭირეს ნივთიერი სამხილით ხელში, დაიჭირეს იმ ადგილას, სადაც დანაშაული ჩაიდინა, ყველა მამხილებელი მტკიცებანი სახეზეა, მაგრამ იგი მაინც არ ტყდება, უარყოფს, ცდილობს თავი დაიძვრინოს. რა უნდა ვქნა ასეთ შემთხვევაში? უბრალოდ ის, რომ ავდგე და დავივიწყო ყველაფერი, წერილიც „რუსკოე

დელოშიც“ და ჩემი ფელეტონებიც მასზე. დავუშვათ, რომ ყველაფერი ეს მხოლოდ გაუგებრობაა. შევჩერდეთ ორ უკანასკნელ პასუხზე, რომლებიც დაიბეჭდა არა იმ გაზეთში, ცენზურა რომ არ უწევს ზედამხედველობას, არა მოსკოვში, არა ის წერილი, პრესისათვის რომ არ იყო გამიზნული, არამედ ჩვენთან თბილისში, ცენზურის ზედამხედველობის ქვეშ მყოფ გაზეთში და ის წერილები, რომლებიც თავიდანვე პრესისათვის დაინერა. რა მოხდება, თუ უკანასკნელ „პასუხებში“ აღმოჩნდება ზუსტად იგივე აზრები, რომელთაც გაგვაოგნეს, როცა წერილი წავიკითხეთ „რუსსკოე დელოში“.

„კავკაზმა“ ამონერა და იცავს ბატონი შავროვის წერილიდან იმ ადგილს, სადაც ლაპარაკია იმაზე, თითქოსდა სახელმწიფოს მიმართ „ნაკლებ ერთგულებას იჩენენ ქალაქის ვაჭრები, ებრაელები და ადგილობრივი ინტელიგენცია“ და ბატონმა შავროვმა, ამოწერა რა ეს სტრიქონები „კავკაზი“ თავის მხრიდან დასძენს: „როგორც ეს მთელ რუსეთშია და ამ მხრივ არც ჩვენი განაპირა მხარე უნდა იყოს გამონაკლისი, რაც სრულიად ბუნებრივია“. გავაყალბე მე ეს სტრიქონები, დავამახინჯე მათი აზრი? შეამოწმეთ თუ შეიძლება: ეს სიტყვები დაბეჭდილია „კავკაზის“ 1888 წლის №224-ში მესამე გვერდის მეორე სვეტის 46-54 სტრიქონებში. ახლა კი, როცა შეამოწმეთ, თქვით, ამ სიტყვებით გაზეთი ცილს არ წამებს ჩვენი მხარის მოსახლეობის დიდ და მნიშვნელოვან ნაწილს? ახლა ვიკითხოთ, ამ ცილისწამების, ამ უსაფუძვლობის მნიშვნელობა მცირდება თუ მძიმდება, თითქოსდა ჩვენი აბსურდული შესწორებით, რომ „ასეა მთელ რუსეთში“? განვმარტავთ ჩვენს აზრს მაგალითით. ვთქვათ, თქვენ წამოროშეთ: „თბილისის ყველა ოსტატი მამალი ქურდია“. მე თქვენ არ გეთანხმებით, ვამტკიცებ, საქმე ასე არ არის, მათ შორისაც არიან პატიოსნები და უპატიოსნონი, რომ არ შეიძლება ასე „ერთიანად“ ამდენი ხალხის შეურაცხყოფა და ა.შ. მოისმინეთ რა ჩემი პასუხი, თქვენ მეუბნებით: „დიახ, მსოფლიოს ყველა ოსტატი გამოუსწორებელი ქურდია“... როგორ ფიქრობთ, უარყავით თქვენ ჩემი აზრი, გაიწმინდეთ ცოდვისაგან? ყველა გეტყვით, რომ თქვენ კიდევ უფრო ღრმად ჩაეფალით მასში.

მთელ ამ ამბავში მე შემდეგი ულოგიკობა მაკვირვებს. მესმის, რომ ინგლისელებს, ბულგარეთის მმართველებს, ვენის პრესას და საერთოდ ჩვენი სამშობლოს ყველა მოწინააღმდეგეს და მტერს ხელს აძლევს დაბეჭდოს და დაგვარწმუნოს, თითქოს ჩვენში, რუსეთის სხვადასხვა მხარეში არსებობს ღრმად ფესვგადგმული შუღლი და მოსალოდნელია ყოველგვარი არეულ-დარეულობა. მათ იციან, რატომ

ამბობენ ამას. მაგრამ ჩვენ რატომ უნდა მივცეთ მათ საბაბი, რატომ შევიშინოთ თავი და გავახაროთ მტერი იმის ცრუ მტკიცებით, რომ ჩვენში არსებობენ მოჩვენებითი მტრები და გამყიდველები. როცა თითოეული ჩვენგანისათვის, ვისაც კი თვალები აქვს, რომ დაინახოს და ყურები, რომ გაიგონოს, ფაქტიურად ცნობილია, რომ ეს მართალი არაა და ცილისწამებაა. რატომ უნდა გავბეროთ ჩვენ თვითონ ორგანულად, მნიშვნელოვნად, აღმოუფხვრელ განხეთქილებად წვრილმანი, სწრაფწარმავალი და უმნიშვნელო უთანხმოებანი და გაუგებრობანი, ყოველ ოჯახში რომ შეიძლება მოხდეს და როგორც კი სიტყვა ჩამოვარდება გარეშე მტრებზე, მაშინვე ქრება? განა ეს გონივრულია? დროულია ახლა ამის გაკეთება, მდგომარეობის ამჟამინდელ დაძაბულ ვითარებაში? ნუთუ ეს სამშობლოს ინტერესების სამსახურს ნიშნავს? ნუთუ განცხადება სახელმწიფო გაზეთში, რომ ჩვენი მხარის ან მთელი რუსეთის საშუალო და უმაღლესი წოდება ამგვარი ვერაგული აზრითაა გამსჭვალული და მხოლოდ კავკასიის „უბრალო მოსახლეობა" გამოირჩევა „ჯერჯერობით" ტახტისადმი ერთგულებით? განა ეს არ ნიშნავს საკუთარი თავის დაუძლურებას? რატომ უნდა აკეთებდე ამას, რატომ უნდა აძლევდე საბაბს იმათ, ვინც ყოველივე ამას მონდომებით აკეთებს? რომ მომკლათ, ამას ვერაფრით ვერ გავიგებ, როგორც საერთოდ არ შეიძლება იმ ვნების გაგება, რომ საკუთარ თავს ცილი დასწამო...

და ასე ყველაფერში, ყველა პუნქტში. მე დრო არა მაქვს ხელახლა გადავსინჯო ასე დაწვრილებით ბატონი შავროვის წერილის ყველა პუნქტი, რათა დავამტკიცო, რომ „კავკაზი" და თვით შავროვი ახლაც იმავე აზრს გამოთქვამენ, რაც „რუსსკოე დელოში" გამოთქვა მარტო ბატონმა შავროვმა. მაგრამ მე რომ უსაფუძვლო მტკიცებაში არ დამდონ ბრალი, მოვიტან ორ ახალ მაგალითს.

მე ადრეც ვამბობდი, რომ ორში ერთი: ან კავკასიის ცხენოსანი ჯარი მართლაც ძლიერია და ასეთ შემთხვევაში იგი გონივრულად უნდა გამოვიყენოთ საქმეში და არ შეიძლება მისი განადგურება უმნიშვნელო ამბად ჩავთვალოთ, ანდა იგი სრულიად არაფერს არ წარმოადგენს და ასეთ შემთხვევაში არცაა საჭირო მისი გამოყენება. ბატონი შავროვი პირზე დუუმორეული მედავება, მაგრამ როგორ? აი, როგორ:

„მსოფლიო ლიგის წინააღმდეგ ომში დასავლეთ საზღვარზე შეიძლება განლაგებული იქნას 2,5 მილიონამდე რუსეთის ჯარი და ვუდგები რა ამ ომში კავკასიის ცხენოსანი ჯარის მონაწილეობას არითმეტიკულად, ცხადი ხდება, რომ მაქსიმალური გაწვევის შემთხვევაში

კავკასიის ცხენოსანი ჯარი საერთო რიცხვის 10%-ც კი არ იქნება. ამიტომ სრულიად ბუნებრივია, რომ მისი მთლიანად გაწყვეტაც კი (რაც პრაქტიკულად არასოდეს არ ხდება) ვერ დაასუსტებს ჩვენს ძირითად რესურსებს".

თითქოსდა საკითხი ეხებოდეს არითმეტიკულ პროპორციებს, თითქოსდა მე ვამტკიცებდე, რომ ჩვენს ცხენოსან ჯართან ერთად მთელი არმია იქნება განადგურებული... ვთქვათ, ამ კითხვაზე მპასუხობს და ამას „უარყოფს" ბატონი შავროვი. მაგრამ გაზეთი „კავკაზი" მოწინავე წერილში (№224) უკვე თავის მხრიდან მეხს მაყრის იმავე ფელეტონისათვის და ჭკუას მარიგებს, რომ ტყუილად ვწუხვარ, რადგან ლაპარაკია არა დასავლეთ ამიერკავკასიის ტომებზე, რომლებიც განსაკუთრებით ძვირფასია ჩვენი გაზეთისათვის, არამედ ჩრდილოეთ კავკასიისა და აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ხალხებზე. ისე გამოდის, თითქოს ეს ხალხები ადამიანები არ იყვნენ და თითქოს იზრუნო იმისათვის, რომ ეს ხალხები გამოიყენო სამშობლოს დაცვის წმინდა საქმეში და მოახდინო მათი ძალების სერიოზული ორგანიზაცია, სრულიად არ იყოს საჭირო...

მეორე მაგალითი. ჩემი ფელეტონების მთავარი და სერიოზული მიზანი იყო, მიმეთითებინა იმის უდაო აუცილებლობაზე, რომ საჭიროა იმ საკმაოდ არსებითი ძალების კარგად, გონივრულად და გულმოდგინედ ორგანიზაცია, ჩვენს მეომარ ქვეყანას საჭიროების შემთხვევაში რომ შეუძლია მისცეს სამშობლოს. მე პრესაში არა ერთხელ მიმითითებია იმაზე, რომ ჩვენს ხალხს ბევრი შესანიშნავი საბრძოლო თვისებები გააჩნია, რომ მას შეუძლია სარგებლობა მოუტანოს რუსეთს და მიმითითებია იმაზეც, რომ საჭიროა მეომართა წინასწარ მომზადება, მათი გონივრულად გამოყენება. ესაა ჩემი ერთ-ერთი საანდერძო აზრები. ამიტომ არაფრით არ შეიძლებოდა არ აღვშფოთებულიყავი, რომ ეს ჯანსაღი და სასარგებლო აზრი ბატონმა შავროვმა გადმოსცა ისეთი ფორმით, ყველას და ყველაფერს რომ პირს აბრუნებინებს მისგან, დაწყებული სამხედრო ავტორიტეტებით და ადგილობრივი მოსახლეობით დამთავრებული...

დიდი დამაჯერებლობით, სპეციალური ხასიათის არგუმენტების მოშველიებით ვწერდი, როგორი უნდა იყოს ჩვენი დროის კავალერია, როგორ ამოცანებს უყენებს მას დღევანდელი ომის პირობები და არა ის დრომოჭმული შეხედულებები, ბატონ შავროვს რომ აქვს ამ საგანზე, რაც ეწინააღმდეგება სამხედრო ისტორიასაც და სამხედრო მეცნიერებასაც. როგორ გგონიათ, შეიგნეს ბატონმა შავროვმა და

გაზეთმა „კავკაზმა“? ისინი თავისას იმეორებენ: წინადადებას იძლევიან გამოვიყენოთ კავკასიის ცხენოსანი ჯარი ომში მოუმზადებლად, რისთვისაც მას კომპლიმენტებსაც კი ეუბნებიან! ამ სამი დღის წინ „კავკაზი“ წერდა, ჩვენი წინადადება უორგანიზაციოდ ომში მხოლოდ არაქრისტიანი მოსახლეობის გამოყენებას ითვალისწინებდაო. ბატონი შავროვი მედავება და ამბობს, ასეთი აზრის არის თეთრი გენერალი სკობელევიო. მე არ ვიცი, ვინ მისცა უფლება ბატონ შავროვს სკობოლევის სიკვდილის შემდეგ გამოიყენოს მისი აზრები და რისთვის დასჭირდა ამგვარი ქედის მოდრეკა გარდაცვლილი გმირის წინაშე, ვისი ბაგეებიც სამუდამოდ დამუწულია, ტყუილად ფიქრობს ბატონი შავროვი, რომ მკვდრები ყოველთვის მდუმარენი არიან. ყველამ, ვისაც კი ჭერია ხელში ა. ნ. მასლოვის მშვენიერი გამოცემა „გენერალ სკობელევის ბრძანებები“ (1882), იცის, რომ სკობელევი, რომელიც უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა კავალერიას, კიდევ უფრო დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა მის წინასწარ, ყოველმხრივ მომზადებას. ჩემთვის საკმაოდ კარგადაა ცნობილი სკობელევის აზრი კავკასიის ცხენოსანი ჯარის როლის შესახებ, ვიდრე ბატონი შავროვისათვის და მე სრულიად არ მეშინია უარყოფილი ვიყო სკობელევის აზრების მეგობართაგან თუ ვიტყვი, რომ გენერალი სრულიად არ ფიქრობდა კავკასიის ცხენოსანი ჯარი კაჟიანი თოფებით და შიშველი ხმლებით გაეყვანა ევროპის ომის თეატრზე. ჩემი ფელეტონის (№1584-ის) მითითება იმის შესახებ, რომ ამავე დროს აუცილებელი იქნება ხიდების, სადგურებისა და რკინიგზების დანგრევა, ხელსაწყოებისა და ცოდნის შეძენა, სკობელევის გეგმების სწორედ იმ ნაწილს განეკუთვნება, რაზედაც ბატონ შავროვს მხოლოდ შორიდან სმენია.

კმარა. ყველა, ვინც თავს შეიწუხებს და შეადარებს „რუსსკოე დელოში“ დაბეჭდილ ბატონი შავროვის წერილს და გაზეთ „კავკაზის“ ორივე პასუხს, მთლიანად დამეთანხმება, რომ ახლაც, როგორც ორი თვის უკან, ჩვენ საქმე გვაქვს ერთსა და იმავე მოუსაზრებლობასთან. „კავკაზი“ ვერ ბედავს ამ საქმეში ადგილობრივი ადმინისტრაციის მონაწილეობის შესახებ კრინტის დაძვრას, ბატონმა შავროვმა კი თავისი წერილის ნაწილი აღადგინა და დღეს განაცხადა, რომ მას „სრულიად არ მიაჩნია საჭიროდ თავის აზრების გადმოცემაზე უარის თქმა იმის გამო, რომ შეიძლება ისინი არასასიამოვნო იყოს ვილაც-ვილაცეებისათვის“. ყველა ჯიუტი ადამიანი დაჯილდოებულია ამგვარი „სათნოებით“ და, დაე, ბატონი შავროვი ელოლიავოს მას. მაგრამ საქმე ამაში რო-

დია. თუ ეს ასეა, მაშინ რისთვისღა მლანძღავენ? თუ თქვენ ასე მტკიცედ ხართ დარწმუნებული თქვენი აზრების სისწორეში, მაშინ კი არ უნდა მიჯავრდებოდეთ, არამედ მადლობა უნდა მითხრათ იმისათვის, რომ თქვენი გამოთქმით, „უცნობი სამყაროდან ამოვქაჩე თქვენი ღრმა აზრები" და თქვენი გეგმები დიდად ცნობილი გავხადე. მე ვარ თქვენი დიდების გამომმზეურებელი, თქვენ კი ამისთვის მიწყრებით...

საინტერესო და ორიგინალურია, აგრეთვე, შემდეგი რამ: ბატონი შავროვი გულმოდგინედ „ამტკიცებს", დღეს, ცხადია სიტყვებით და არა საქმით, რომ მე სუფთა პროფანი ვარ სამხედრო საქმეში. „სად და როდის ისწავლა ყოველივე ეს ბატონმა ნიკოლაძემ"? რა მისი საქმეა? მიკითხავს მისთვის ოდესმე, სად ისწავლა ფინანსთა წარმოება, პოლიტეკონომია ან საზღვაო საქმე მისი მოხსენებებისა და ან წერილის გამო? მე ვკმაყოფილდები იმითაც, რასაც იგი წერს, ვიხილავ მხოლოდ იმას, რასაც იგი გადმოგვცემს, ხოლო სად და როდის შეიძინა მან ეს დიდი სიბრძნე, მე ამასთან საქმე არა მაქვს. რაა გასაკვირი იმაში, რომ პუბლიცისტს, რომელსაც ნებით თუ უნებლიედ უხდება იმსჯელოს ქვეყნის საქმეებზე, საჭიროდ მიაჩნდეს გაიცნოს ის საგანი, ასეთ დიდ როლს რომ თამაშობს როგორც ჩვენი ქვეყნის, ასევე მთელი მსოფლიოს ცხოვრებაში? მე რა, პირველად ვწერ ომის სიუჟეტებზე. განა 1870 წლის საფრანგეთ-გერმანიის ომისა და 1877 წლის რუსეთ-თურქეთის ომის შესახებ ცოტა რამ მაქვს დაწერილი? რაში დაჭირდა ბატონ შავროვს თავი მოეჩვენებინა იმ კაცად, ნათესავები რომ არ ახსოვს. როგორი „კავკასიის მცოდნეა", როგორი „ცნობილი ლიტერატორია" იგი, თუ არ იცის, რომ ჩვენი მხარის და დედაქალაქის ლიტერატურაში ჩვენს მორიდებულ სამხედრო წერილებს საკმაოდ საფუძვლიანად იხილავდნენ? რისთვის აკეთებს იგი ამას? იმისათვის, რომ ინსინუაციები მომიგონოს და ერთგზის კი არა, არამედ სამგზის, თითქოს ჩემი წერილები თუ სხვისი დაწერილი არა, სხვების მიერ შთაგონებული მაინცაა. „სრულიად არაა მნიშვნელოვანი—წერს იგი, თვით ბატონმა ნიკოლაძემ შეისწავლა თუ არა სამხედრო მეცნიერება და გაიარა სამხედრო პრაქტიკა! თუ იმან, ვინც მიაწოდა ბატონ ნიკოლაძეს ისტორიული და თეორიული ცნობები..." მეორე ადგილას კი ამბობს: „მან, ბატონმა ნიკოლაძემ არასწორად გადმოგვცა აზრი, მას რომ მიაწოდეს", გვარწმუნებს იგი მესამე ადგილას... ყველაფერ ამას იგი იმ მიზნით აკეთებს, რომ შთააგონოს მკითხველს, თითქოს ის სამხედრო

სიბრძნე, ჩემს ორივე ფელეტონში რომაა ჩაქსოვილი, მე არაფრით არ შემეძლო ამომეკრიფა ჩემი მეხსიერებიდან და ცოდნიდან. ეს ცოდნა მხოლოდ და მხოლოდ ნამდვილ სპეციალისტებს შეეძლოთ მოეწოდებინათ ჩემთვის. ბატონო შავროვ, დაანებეთ თავი ძიებებს, რადგან ეს მხოლოდ თქვენს თვითცდუნებაზე მეტყველებს. არც ისე დიდი ცოდნაა საჭირო იმისათვის, რომ დაამტკიცო თქვენი უცოდინარობა რომელ ასპარეზზეც გნებავთ: ნავსადგურების, ეკონომიურ, პოლიტიკურ და ყველა სხვა დანარჩენზე.

70. საუძმო საკითხავი

„ნოვოე ვრემიამ“ (№4490) „რუსეთ-სპარსეთის რკინიგზის დიდმნიშვნელოვანი საკითხი“ „წინა პლანზე“ წამოსწია და მისი დაცვა იკისრა. რუსეთის მკითხველ საზოგადოებას, რომელიც გარყვნა ქარაფშუტა და გაუნათლებელმა პრესამ, საერთოდ არ ესმის რკინიგზის მნიშვნელობა. ამ დარგში—როგორც ყველა სხვაში—იგი თავს ირთობს იმ ლეგენდების განმეორებით, თითქოს რკინიგზების მშენებლობა მძიმე ტვირთად დააწვა ხაზინას და გააკოტრა გარანტიებისათვის დამატებითი ფულის გადახდით, და რომ მთვარეზე რკინიგზის გაყვანის პროექტსაც კი ადგენენ და ა.შ. იმასაც ამბობენ, რომ სინამდვილეში რკინიგზები ჩვენში ტყუილად, სერიოზული და გონივრული სისტემის გარეშე გაჰყავთ, არ უწევენ გულმოდგინე კონტროლს მათ გაყვანასა და ექსპლოატაციას, ვერ ახერხებენ შეამცირონ ხარჯები მხოლოდ აუცილებელით და ამის სანაცვლოდ არ დატოვონ აღუსრულებელი არაფერი აუცილებელი. ყველაფერი ეს მართალია. არც ისაა საეჭვო, რომ გამოუკლებლივ ყველა რკინიგზის გაყვანის დროს ხდება აღმაშფოთებელი ბოროტმოქმედება და სახსრების დატაცება. მაგრამ არსად და არავის არ გაუწევია შრომა იმისათვის, რომ გარკვეულიყო ამ საკითხში და გამოეყო აუცილებელი შეცდომებისა და ბოროტმოქმედებისაგან. გაცილებით უფრო ადვილი მოეჩვენათ გადაეწყვიტათ, რომ რკინიგზა და დატაცება სინონიმებია და ვინც სახალხო სახსრების გაფლანგვის წინააღმდეგია, იგი უნდა აღსდგეს რკინიგზის განვითარების წინააღმდეგ. აი, ამ „მარტივ“ და „მსუბუქ“ აზრზე შეჩერდნენ, და დამშვიდდნენ, გადაწყვიტეს, რადგან არ იციან საქმის წესიერად

წარმართვა და მისი დაცვა ბოროტმოქმედებისაგან, საერთოდ უნდა შეწყდეს ახალი რკინიგზების გაყვანაო. ქარაფშუტა პრესა ისეთი სიჯიუტით იმეორებს ამ ფორმულას, რომ საზოგადოებამ მართლა დაიჯერა, რკინიგზა საჭირო არააო. რკინიგზების გაყვანის პირველი ათწლეულის შემდეგ, როცა ჩვენში გამალებით აშენებდნენ მათ, როცა რუსეთმა შეძლო გაეყვანა რკინიგზების მთელი ქსელი 20 ვერსის სიგრძისა, დადგა პერიოდი, რომლის განმავლობაში იმავე წლების მანძილზე არ გაყვანილა 3-4 ათასი ვერსის სიგრძის რკინის ლიანდაგი...

ხედავენ რა ამაში „ხარჯების შემცირების" სასიხარულო შედეგს, რკინიგზების გაყვანის შენელება გულწრფელად ახარებთ თითქმის ყველა ჩვენს „პუბლიცისტს". ასეთი ბრძენი ადამიანების სტვირის ხმაზე საზოგადოებაში დიდად გამრავლდა მოხელეები, რომლებიც დაუფარავად ამაყობენ იმით, რომ ჩააგდეს ამა თუ იმ რკინიგზის გაყვანის პროექტი. „ამით ჩვენ ცოტა ფული როდი დავუზოგეთ სახელმწიფოს"... მაგრამ მიხვიდე ასეთივე მარტივ აზრამდე, რომ მათ ჩანასახშივე ჩაკლეს მთელი რაიონის მრეწველობის განვითარება, ადგილობრივი მოსახლეობა უმუშევარი დატოვეს და ხალხის საგადამხდელო უნარი შეასუსტეს—ამ აზრამდე ჩვენში არავინ მისულა.

ანდა რატომ უნდა მისულიყვნენ? ჩვენ ხომ ბავშვებივით იმ აღიარებული ლეგენდების რწმენით ვცხოვრობთ, რომლებიც ვიღაცამ ოდესღაც წამოროშა შეიძლება ალალბედზე, ანდა ისე, თავისთვის, მაგრამ შემდეგ თითქმის არავის შეუმოწმებია და ახლა დადის რუსეთში წმინდა და შეურყეველ დოგმატად. მოვიყვან ამგვარი ლეგენდების გავრცელების ერთ საოცარ მაგალითს.

ამ ოცდაათი წლის წინათ, იმ დროს, როცა პოლიტიკურ ეკონომიაზე ჩვენში არავის არ ჰქონია არავითარი წარმოდგენა, როცა საკმარისი იყო მ. ლ. ლამანსკის შეცდომებით ეთარგმნა კუსრელ-სევილიას ტრაქტატის სამოცდაათი გვერდი, რომ დიდი ფინანსისტის სახელი მოეხვეჭა და მეოთხედი საუკუნის მანძილზე ქვეყნის ეკონომიურ ცხოვრებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონოდა, როცა მ. ნ. კატკოვმა იმისათვის, რომ თავის „რუსსკიე ვესტნიკში" ეკონომიური განყოფილების შექმნა მოინდომა, ბელგიიდან გამოიწერა ეკონომისტი გუსტავ დე მოლინარი და რუსეთში მისი მეშვეობით ქადაგებდა ფრიტრედერის დოქტრინების ბატონობას, ერთმა „განათლებულმა მოხელემ" ბატონმა ტენბოგორსკიმ, შეაკონწიწა და ფრანგულ ენაზე დაბეჭდა მრა-

ვალტომიანი თხზულება „რუსეთის საწარმოო ძალები—Des Forces producti ves dela Russie". ეს თხზულება იმ დროისათვის გამოირჩეოდა ციფრებისა და მონაცემების სიუხვით, რაზედაც ხელი მიუწვდებოდა მხოლოდ თვით ავტორს, რომელიც სარგებლობდა ამ საკითხზე მის კანცელარიაში არსებული დიდძალი ცნობებით. მის წიგნს ჰქონდა კიდეც ისეთი წარმატება, მრავალტომიან ნაწარმოებებს რომ აქვთ. წიგნი არავის ჰქონდა წაკითხული, მაგრამ ყველა დარწმუნებული იყო, რომ ეს არის „სოლიდური" და „მეცნიერული" ტრაქტატი, რომლის პირველსავე გვერდს ამშვენებს ფრაზა, რომ „რუსეთი სოფლის მეურნეობის ქვეყანაა". ეს ფრაზა წაიკითხა ყველამ და ისე მიიღო, როგორც წმინდა ჭეშმარიტება. მას შემდეგ ეს აზრი დასეირნობს ამ ქვეყანაზე და ყველა, ვისაც არ უნდა ჰკითხო, მზადაა იდაოს ჩხუბამდე და დაიცვას დოგმატი, რომ რუსეთი სოფლის მეურნეობის ქვეყანაა. უკანასკნელი ოცდახუთი წლის მანძილზე ეკონომიურ საკითხებს და ჩვენი სამშობლოს საქმეებს სწორედ ეს დოგმატი განსაზღვრავს.

უდავოა, რომ 1857 წელს, ტენგობერსკისდროინდელი რუსეთი, რომელსაც არ ჰქონდა რკინიგზები, ნავსადგურები, ფაბრიკები, სკოლები, არ ჰყავდა ტექნიკოსები—მხოლოდ სოფლის მეურნეობის ქვეყანა უნდა ყოფილიყო, როგორც ყველა ქვეყანა, რომელიც პირველყოფილ და გაუცხოებულ მდგომარეობაშია. მაშინ რუსეთი მხოლოდ სოფლის მეურნეობის ნედლეულს აწარმოებდა, რადგან მრეწველობა არ გააჩნდა, ნედლეული გაჰქონდა, ჩამორჩენილი იყო და საერთაშორისო ეკონომიურ ცხოვრებაში თამაშობდა მარტო იმ უხეში შავი მუშის როლს, რომელიც აწარმოებს მხოლოდ უხეშ ნედლეულს. მაგრამ არსებული და დროებითი მდგომარეობის კონსტატაციასა და მის სამუდამოდ დაკანონებას შორის ხომ მთელი უფსკრულია, რომელიც ჩვენში ვერავინ შეამჩნია. და ის დოგმატი, რომ რუსეთი სოფლის მეურნეობის ქვეყანაა, ყველგან დამკვიდრდა—პრესაშიც, კანცელარიაშიც, ცხოვრებაშიც და კანონმდებლობაშიც და ღმერთმა იცის, კიდევ რამდენ ათწლეულს უნდა ვფართხალებდეთ ამ სისულელის უღელქვეშ, რადგან არავინ უწყის, რომ რუსეთის რკინიგზების მთელი ქსელი დაპროექტებული და გაყვანილია ამ დოგმატის მიხედვით და ამის გამო რუსეთს მისჯილი აქვს ითამაშოს არაკეთილშობილური როლი—თითქმის სამუდამოდ იყოს ევროპის შავი მუშა, რომელიც მას ამარაგებს იაფი ნედლეულით და სამაგიეროდ მისგან ღებულობს ძვირადღირებულ ფაბრიკატებს. ამ სისულელის აღმაშფოთებელი სისაძაგლე რომ აღ-

მოვფხვრათ, ჩვენში ერთი უწყება ყოველთვის მაღლა წევს საბაჟო ტარიფებს, რათა აღმოფხვრას რკინიგზის ქსელის მავნე შედეგები, რაც შეგნებულად გაიყვანა მეორე უწყებამ ჩვენში უცხოური ფაბრიკატების შემოტანის გასაადვილებლად.

ერთ რამეს ვერაფრით ვერ ჩავწვდი: როგორ მოხდა, რომ მთელი მეოთხედი საუკუნის მანძილზე, მას შემდეგ, რაც არსებობს თეორია, „რუსეთი სოფლის მეურნეობის ქვეყანაა", არავის მოუვიდა აზრად ეკითხა: რომელ საოცრებას შეუძლია სოფლის მეურნეობის ქვეყნად გადააქციოს სახელმწიფო, რომლის ტერიტორიის 7/3 ნაწილზე წელიწადში არაუმეტეს 100-120 სამუშაო დღე მოდის? განა წარმოსადგენი, დასაშვები და შესაძლებელია, რომ ასეთმა ქვეყანამ სოფლის მეურნეობის დარგში კონკურენცია გაუწიოს სახელმწიფოებს, სადაც ღია ცის ქვეშ შეიძლება იმუშაო წელიწადში 250, 300, 350 დღე და წარმატების იმედი გქონდეს? სოფლის მეურნეობას ხომ ვერც კაბინეტში აწარმოებ და ვერც აბანოში? მიუსაჯო რუსეთს მხოლოდ სოფლის მეურნეობის წარმოება, ეს იმას ნიშნავს, რომ ხალხთა შორის ეკონომიურ ბრძოლაში მას ყოველთვის დანაკლისი და წარუმატებლობა ჰქონდეს...

რუსეთში მრეწველობა წარმოიშვა და ვითარდება იმ უბრალო ჭეშმარიტების შეგნების საფუძველზე, რომ ხალხი—სამშობლოს კლიმატური პირობების გამო—იძულებულია თავისი დროის 2/3 ან 3/4 სახურავქვეშ და ოთხკედელს შორის გაატაროს. რუსი ხალხი თვით ბუნებისაგანაა მოწოდებული იმისათვის, რომ უპირატესად განავითაროს სხვის ნედლეულის ქარხნული და ფაბრიკული წესით გადამუშავება. არა, ამ აზრამდე ჩვენ ვერ მივედით. მხოლოდ თვით ცხოვრებამ შემთხვევით და უსისტემოდ, ნაწილობრივ მიბაძვის, ნაწილობრივ ფანტაზიის ხარჯზე შექმნა სხვადასხვა ქარხნები და ფაბრიკები უმეტეს შემთხვევაში იქ, სადაც საერთოდ არ უნდა შექმნილიყო. შემდეგ კი ეს ქარხნები გაკოტრდნენ, მათმა პატრონებმა ჯერ ტირილი დაიწყეს, შემდეგ კი ჩივილი და ამიტომ მათ „წახალისება" და „დაცვა" დაუწყეს. ცხადია, ნაკლები დაბეგვრით და მაღალი ტარიფებით. და ღმერთმა იცის, რამდენი ხანია გრძელდება ჩვენში უსისტემო არეულ-დარეულობა, ღმერთმა იცის, კიდევ რამდენი წელი გაგრძელდება. იმის გამო, რომ საქმის არსს ვერ ვწვდებით, ვერ ვხვდებით, რაა ძირითადი მიზეზი, არ ვეძებთ ბოროტების აღმოფხვრის რადიკალურ საშუალებას, ჩვენი ქარაფშუტა და გაუნათლებელი პრესა ისევ ლეგენდების ტყვეობაშია და გაყვირის იმის შესახებ, რომ უცხოელები გვჭამენ, რომ

არ ვიცით ჩვენებურებისათვის მხარის დაჭერა, რომ საჭიროა მაღალი და უმაღლესი ტარიფები... როცა საქმეს არც ტარიფები შველიან, თხოულობენ მათ სრულ გაუქმებას, ანუ ჩინური კედლის აღმართვას.

წელს ქვემო ქალაქების ვაჭრები იქამდე მივიდნენ, რომ ჩვენი პრესის აპლოდისმენტების ხმაზე, ადრე არსებული საბაჟო დაცვის სისტემისაგან დამოუკიდებლად, მოითხოვეს ხაზინიდან განსაკუთრებული „პრემიის" გაცემა იმათთვის, ვინც ჩვენს ფაბრიკატებს საზღვარგარეთ გაიტანს... როგორც სისტემა, ეს ცუდი არაა, იგი რომ არსებული საბაჟო დაცვის სისტემის გაუქმების ხარჯზე შემოეთავაზებინათ, მაშინ შეიძლება მას შევრიგებოდით კიდეც, მაგრამ მიუსაჯო ჩვენ ხალხს სამჯერ ძვირი გადაიხადოს ყველაფერ იმაში, რისი მოხმარებაც ჭირდება და დამოუკიდებლად ამისაგან წაართვა მისივე გადასახადიდან კიდევ ამდენივე თუ მეტი არა იმ მიზნით, რომ უცხოელებს მივუტანოთ იაფი საქონელი—დამეთანხმეთ, რომ ეს ეკონომიური სიბრძნის მარგალიტია...

და უეცრად, როცა ისე შევეგუეთ მსგავს სისულელეებს, რომ ისინი „არაუშავს რადაც" კი გვეჩვენება, „ნოვოე ვრემიამ" წარმოადგინა კასპიის ზღვიდან სპარსეთის ყურემდე რკინიგზის გაყვანის პროექტი. უბრალოდ, არც კი გჯერა, რომ შეიძლება არსებობდეს ამგვარი ადამიანური და გონივრული აზრი.

მართლაცდა, რა შეიძლება ამგვარ იდეაზე უბრალო იყოს: რუსეთის მწარმოებლური და გადამამუშავებელი მრეწველობა, რომელმაც მოსკოვის ოლქში გაიდგა ძირი, ვერ უძლებს გერმანული და პოლონური მრეწველობის კონკურენციას, რადგან ამ ქვეყნების მრეწველობა უფრო რაციონალურადაა მოწყობილი და წარმატების უკეთესი პირობები აქვს შექმნილი. მოსკოვის მრეწველობისათვის, რომელიც ვარშავის კონკურენციას საკუთარ რაიონშიც კი ვერ უძლებს, უცნაური და არაბუნებრივი იქნება იმ ამოცანის დასახვა, რომ თავის ნაწარმი დასავლეთში, პოლონეთში და მით უმეტეს გერმანიის ან ავსტრიის ფაბრიკებითა და ქარხნებით მოფენილ რაიონებში გაიტანოს. ამავე დროს არსებობს ვრცელი რაიონი, რომელთან შედარებით მოსკოვის მრეწველობა ბუნებრივად უკეთეს პირობებშია, ვიდრე სხვა რომელიმე. ეს რაიონია რუსეთის სამხრეთ-აღმოსავლეთი და მთელი აღმოსავლეთი. ბედნიერი შემთხვევის გამო მოსკოვის სამრეწველო ოლქი დაკავშირებულია ამ თავის ბუნებრივ რაიონთან შესაბამისი სამდინარო გზით —ვოლგით კასპიამდე. კასპიის ზღვის სამხრეთ სანაპირომდე მოსკო-

ვის ფაბრიკატებს საქონელი ძალზე იაფად შეუძლიათ გადაიტანონ, კასპიის ზღვის სანაპიროდან კი სპარსეთის ყურემდე ზუსტად იმდენი მანძილია, რამდენიც ბაქოდან ბათუმამდე. ამიტომ საკმარისია ეს ორი ზღვა ერთმანეთთან დავაკავშიროთ, მოსკოვის მრეწველობას ნედლეული (მაგალითად, ბამბეული) ბევრად უფრო იაფად შეუძლია იყიდოს, ვიდრე ყიდულობს გერმანიის მრეწველობა და თავის პროდუქტი გაასაღოს აღმოსავლეთის ბაზრებზე, სადაც კულტურა ჯერ კიდევ ნაკლებია, სადაც არავითარი მრეწველობა არ არსებობს და სადაც ექვსასი მილიონი მომხმარებელი ცხოვრობს. განა, ეს უფრო უბრალო არ არის? მარტო ის რომ მივიღოთ ანგარიშში, რასაც ყოველწლიურად იხდის მთელი რუსეთი მოსკოვის მრეწველობის დასახმარებლად, ცხადია, სპარსეთის რკინიგზის გაყვანას შეუძლია ფეხზე დააყენოს არა მარტო მოსკოვის მრეწველობა, არამედ, რაც არ უნდა დაჯდეს ამ რკინიგზის გაყვანა, სამ წელიწადში აინაზღაურებს დახარჯულ თანხას!

ახლა „ნოვოე ვრემია" იუწყება, რომ სპარსეთის რკინიგზის გასაყვანად იღვწიან მოსკოვის მსხვილი კაპიტალისტები.

„არა ცაში მფრინავები, არამედ სოლიდური და კაპიტალური ფირმები თხოვენ მხარდაჭერას დიპლომატებს. აი, ამ პირების მოკლე სია: ვიკულა მოროზოვი, ივერიის მანუფაქტურა, ბარანოვები, ზიმინები, ბოგოროდის ფაბრიკის ამხანაგობა, სოლოვსკის მანუფაქტურა, კონშინები, დიომინები, გლუხოვის მანუფაქტურა, შჩერბაკოვები, რაზენეკები, კორსტნიკოვები, პროხოროვი, ჩუჩკოვი, სოლოვიოვი, ნოსოვი და სხვები".

მადლობა ღმერთს და ღმერთმა ქნას, რომ წარმატება მოჰყვეს მოსკოველი კაპიტალისტების ამ პირველ რაციონალურ ნაბიჯს. თუ ისინი მართლაც მტკიცედ დაადგებიან ამ დიდი იდეის განხორციელების გზას, ერთ-ერთი ისეთი იდეისა, რომლებიც რუსეთს გაუხსნის მისი მდიდარი ბუნებრივი ძალებისა და მონაცემების სწორად განვითარების გზას და მასთან ერთად განამტკიცებს მის მდგომარეობას აღმოსავლეთში, ამით ისინი თავიანთ სამშობლოს აუნაზღაურებენ იმ დიდ მსხვერპლს, რაც აქამდე მათთვის მას უხვად მოჰქონდა. ჩვენი მხარე მხოლოდ სიხარულით შეხვდება ამ აზრის აღმოცენებას და სულითა და გულით მიესალმება მისი განხორციელების ყოველ ნაბიჯს, რადგან ყოველი ამგვარი ნაბიჯი ამავე დროს იქნება მისი გაფურჩქვნის ახალი ეტაპი და მნიშვნელობისა და ძალმოსილების ზრდა...

სამწუხაროდ, მისი განხორციელება არც ისე ადვილი და მარტივია, როგორც ეს „ნოვოე ვრემიას“ მწერლებს ჰგონიათ. აი, რატომაა, რომ მიუხედავად ამ იდეისადმი ჩემი დიდი თანაგრძნობისა, სწორედ იმიტომ, რომ მე დიდად ვარ დაინტერესებული მისი წარმატებით, ამ საკითხზე უნდა დაიწეროს ბევრი მნიშვნელოვანი დამატებითი შენიშვნები. მაგრამ ამის შესახებ შემდეგ, როდესმე მოგახსენებთ.

71. საუძმო საკითხავი

ვამბობ, არ შეიძლება არ გახარებდეს ის გარემოება, რომ ბოლოს და ბოლოს მოსკოველმა მდიდრებმა ხელი მოჰკიდეს აქტიურ „თვითდახმარებას“ იმისათვის, რომ თავიანთ სამრეწველო საქონელს ფართო და საიმედო გზა გაუკაფონ აღმოსავლეთის ბაზრებისაკენ. ცხადია, მთავრობა აღმოუჩენს მათ დიპლომატიურ მხარდაჭერას, რისთვისაც, „ნოვოე ვრემიას“ ინფორმაციით, ზრუნავს კიდეც. მაგრამ საქმე ის არის, რომ გაზეთის ცნობის მიხედვით, სრულიად არ ჩანს, გააზრებული აქვთ თუ არა მოსკოველებს მათი გაბედული და ნაყოფიერი ღონისძიების მთელი მნიშვნელობა და ითვალისწინებენ კი იმ უმნიშვნელოვანეს სიძნელეებს, წინ რომ ელით, ტყუილა, ბრძოლისა და გარჯის გარეშე, ამქვეყნად არაფერი გვეძლევა და, რაც უფრო დიდია მიზანი, მით უფრო ძნელია მისი განხორციელება. დიდებული ნაგებობის პროექტის შედგენა ძნელი არაა: დამსახურება ისაა, რომ სწორად გაიანგარიშო როგორც მოსალოდნელი სიძნელეები, ასევე საკუთარი საშუალებები მათ აღმოსაფხვრელად. როცა გეცოდინება, როგორ ჩაწვდე და აწონ-დაწონო ამ წინააღმდეგობების ნამდვილი ძალა, ამით უკვე ბევრი რამაა გაკეთებული, რადგან ცოტაა ამქვეყნად ისეთი დაბრკოლება, რომლის აღმოფხვრა აღემატებოდეს თანამედროვე ცივილიზებული საზოგადოების ძალას, თუკი მან გონივრულად გაიაზრა, რა უნდა და რა უშლის ხელს მის განხორციელებაში...

მე ეჭვი არ მეპარება, რომ მოსკოველებს—თუ მათ მართლა სურთ გაიყვანონ რკინიგზა კასპიის ზღვიდან სპარსეთის ყურემდე—ფული იმაზე მეტი აღმოაჩნდებათ, ვიდრე საჭიროა. როგორც ფინანსური, ასევე ტექნიკური თვალსაზრისით დიდ სიძნელეებს არ უნდა ველოდოთ, მით უმეტეს ძნელად გადასალახავ დაბრკოლებებს და გადაუ-

ლახავ ბარიერებს. რა თქმა უნდა, ყოველივე ეს საფუძვლიანი მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება, თუ მოსკოველ მდიდრებს თვითონ სურთ სპარსეთის რკინიგზის გაყვანა და თვითონ მოკიდებენ ხელს მის მშენებლობას და ამ საქმეში არ გახდებიან „ჰაერში მცურავთა“ შირმა, რაზედაც მიგვანიშნებს „ნოვოე ვრემია“. თუ ისინი საქმის განხორციელებას დაიწყებენ ისე, რომ გროშიც არ ედებათ ჯიბეში და იმედი ექნებათ, სულერთია როგორი წამოწყებაც არ უნდა იყოს, სულელური თუ სასარგებლო, სხვადასხვაგვარი ფოკუს-მოკუსებით განახორციელებენ მას, ეს უკვე ილუზიებია. ძნელია იმის დაშვება, რომ ისეთ პატივცემულ ფირმებს, როგორებიც „ნოვოე ვრემიას“ ცნობაშია ჩამოთვლილი, უნარი შესწევდეთ შეცდომაში შეიყვანონ რუსეთის მთავრობა და დათანხმდნენ იკისრონ ასეთი უღირსი როლის თამაში...

ამგვარად, ვფიქრობ რა, რომ მოსკოვის ფირმები მართლა და სერიოზულად კიდებენ ხელს სპარსეთის რკინიგზის გაყვანას, შეიძლება დამაჯერებლად ითქვას, რომ ფულს ამ პროექტის განსახორციელებლად ისინი იშოვიან, რადგან რკინიგზა სავარაუდოდ 30-40 მილიონი მანეთი დაჯდება. ყველაზე ძნელი იქნება სპარსეთის ხელისუფლებისაგან კონცესიის მიღება. მართალია, მან მისცა ასეთი კონცესია ჯერ გაინგლისელებულ გერმანელს რეიტერს—1848 წლის რევოლუციის ცნობილ სოციალ-ემიგრანტს, რომელმაც ინგლისში შეიძინა „რეიტერის სააგენტო, მილიონები და ბარონის წოდება“—შემდეგ კი ფრანგ ბუტალუსს. მაგრამ რუსმა კაცმა რომ ასეთი კონცესია მიიღოს სპარსეთში, ამას ხელს უშლის ინგლისის პოლიტიკა, რომელიც არაფერს არ ზოგავს იმისათვის, რომ სპარსეთში თავის პირველობა შეინარჩუნოს...

მას შემდეგ, რაც რუსეთი განგებისა და ისტორიული აუცილებლობის წყალობით ნელ-ნელა ისე შეიჭრა შუა აზიის სიღრმეში, რომ არც სურვილი ჰქონია ამისა და არც იცოდა, როგორ მოხდა ეს, ინგლისის საზოგადოებრივი აზრი და მთავრობა იმის შიშმა შეიპყრო, რომ არ შერყეულიყო მისი ბატონობა 240 მილიონიან ბრიტანეთის ინდოეთში. მან მოიგონა ინდოეთის ყბადაღებული „მეცნიერული საზღვრები“, მოიგონა, აგრეთვე, აზიაში ინგლისისა და რუსეთის სამფლობელოებს შორის ნეიტრალური ზონა დამოუკიდებელი ავღანისტანის სახით, მაგრამ, ეტყობა, ამ დამცველი ძალების სიმტკიცეში იგი დარწმუნებული არაა. ყოველ შემთხვევაში, ინგლისი არცერთ შესაძლებლობას არ უშვებს ხელიდან უზრუნველყოს თავისი ინტერესები ყველა საშუალებით და წინ აღუდგეს ინდოეთისაკენ რუსეთის

წარმატებით მსვლელობას. ერთ-ერთი ასეთი უმნიშვნელოვანესი საშუალება ისაა, რომ ინგლისს „ხელი მიუწვდება“ და შეუძლია გავლენა იქონიოს სპარსეთზე. ნაკლებად შესაძლებელია, რა თქმა უნდა, მაგრამ რუსეთის ძალების ინდოეთის საზღვრებისაკენ დაძვრის შემთხვევაში, ინგლისს, თუ მისთვის სპარსეთის ყურე ღია იქნება, არ გაუჭირდება შემოგვიტიოს სპარსეთის ყურიდან და შეაწუხოს და გადაჭრას რუსეთის საკომუნიკაციო ხაზები იმიერკასპიის რკინიგზის მერვას მახლობლად. აქედან თავისთავად ცხადია, რომ სპარსეთი თავისი გეოგრაფიულ მდებარეობით თითქმის ისეთსავე როლს შეასრულებს მომავლის საერთაშორისო საქმეებში, როგორსაც ახლა ასრულებს ამიერკავკასია: ფარის როლს, რომლის უკანაც ჩვენს ძალებს დაუბრკოლებლად შეუძლიათ იმოძრაონ რომელი მიმართულებითაც უნდათ.

ინგლისის პარლამენტში კამათი და ინგლისის პოლიტიკური საბუთები მოწმობენ, რომ აქაურ საზოგადოებრივ აზრს და ამ ქვეყნის სახელმწიფო მოღვაწეებს, შეგნებული აქვთ სპარსეთის მნიშვნელობა. მეორეს მხრივ, უდაოა, რომ იმავე საზოგადოებრივმა აზრმა ისიც შეიგნო, რაც ძალზე ცოტამ თუ შეიგნო ჩვენში: კასპიის ზღვიდან სპარსეთის ყურემდე რკინიგზის გაყვანას შეუძლია რუსეთს მისცეს შესაძლებლობა „მიწვდეს ღია ზღვას“, იქონიოს სწორედ ის გზა, რომელიც ასე აუცილებელია რუსეთის ეკონომიური დამოუკიდებლობის განვითარებისათვის და რაზედაც დაწყებული პეტრე პირველიდან ამდენი ხანია ოცნებობენ და ზრუნავენ ჩვენი ქვეყნის უდიდესი სახელმწიფო მოღვაწენი...

ამავე დროს, თუ საქმეს უფრო ღრმად ჩავხედავთ, თანამედროვე ისტორიის მთელი მნიშვნელობა ცხადად გვეუბნება, ისეთ წვრილმან პოლიტიკურ შეჯახებებზე და გაუგებრობებზე, როგორიცაა „ბულგარეთის“ და ა.შ. ასეთ პატარა საკითხებზე უფრო მაღლა დგას და ცხადად იკვეთება და იხატება ის უდიდესი ბრძოლა, რომელსაც უწერია მომავალ მეოცე საუკუნეში მთელი მსოფლიოს ყურადღება მიიპყროს: ეს იქნება ბრძოლა ორ უდიდეს სახელმწიფოებს შორის, როგორიც კი აქამდე უნახავს კაცობრიობას—რუსეთსა და ინგლისს შორის. მე არ ვლაპარაკობ არც სისხლიან ბრძოლაზე, არც ეკონომიურზე და არც იდეურზე, ეს იქნება ბრძოლა იმისათვის, ვინ უნდა მისცეს ცივილიზაცია აზიას, ვინ იმბრძანებლებს აზიაში. ორი უდიდესი სახელმწიფოს ეს მშვიდობიანი თუ არამშვიდობიანი ბრძოლა, რომელიც თავისი გრანდიოზულობით და შედეგით დაჩრდილავს კაცთა მოდგმის მთელი წარსული ისტორიის ყველა შემზარავ და დიდებულ ფურცლებს

და რომელთან შედარებითაც ბავშვების თამაშად მოგვეჩვენება ბრძოლა პრუსიასა და ავსტრიას, საფრანგეთსა და გერმანიას, რუსეთსა და თურქეთს შორის. ეს დრო შორს აღარ არის. ამიტომ გასაგებია, ორი უდიდესი იმპერიის სახელმწიფო მოღვაწეებს უნდათ თუ არა, მათდაუნებურად იძულებული არიან გაინაწილონ ერთმანეთს შორის „ხალხმრავალი აღმოსავლეთის" არაკულტურული ქვეყნები და ხალხები და ამიტომ უნდა განახორციელონ ყველა მათზე დამოკიდებული ღონისძიება, რათა მოუპოვონ თავიანთ სამშობლოს ყველა მნიშვნელოვანი პოზიცია და ხელსაყრელი მდგომარეობა, რაც უზრუნველყოფს გამარჯვებას „მომავალი საუკუნის ბრძოლის" იმ პერიპეტიებში, ახლა რომ ისახება.

ვიმეორებ, ამ ბრძოლის თვალსაზრისით, სპარსეთი არის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული ასპარეზი, ზუსტად ისეთი, როგორიც ჩვენი კავკასიაა. ამიტომ გასაგებია, ჩვენი სურვილი—დავამყაროთ უფრო მჭიდრო მეგობრობა სპარსეთთან და მოვიპოვოთ ამ ქვეყანაში სერიოზული გავლენა—წააწყდება ინგლისის დიპლომატიის ენერგიულ და მტკიცე წინააღმდეგობას, ინგლისისა, რომელსაც შესწევს იმის უნარი, იზრუნოს თავისი ქვეყნის არა მარტო ახლანდელი, არამედ მომავალი ინტერესებისათვისაც...

ყოველივე ამას, რა თქმა უნდა, იმიტომ კი არ ვამბობ, რომ მოსკოველებს გული ავუცრუო, არამედ იმიტომ, რომ კიდევ უფრო ძლიერ გავაღვივო მათში სურვილი, მიაღწიონ დასახულ მიზანს. მხოლოდ ესაა, მათ უნდა შეიგნონ ამ მიზნის სიდიადე, იცოდნენ რა დაბრკოლებები აშორებთ მისგან და მაშინ მოსკოველები დაიძრებიან თავიანთი გზით და იმ გადაწყვეტილებით, არ დაიშურონ ძალა და სახსრები იმისათვის, რომ მიაღწიონ სანუკვარ იდეას. აქ მარტო იმით, რომ მივმართოთ დახმარებისათვის მთავრობასა და დიპლომატიას, ვერაფერს გავხდებით. უნდა ვისწავლოთ პოლიტიკური ზეგავლენის მოხდენა მეზობელი და მეგობარი ხალხის გონებასა და ნებაზე, უნდა შევძლოთ სპარსეთის ცოცხალი ძალის სიმპათიის გამოწვევა ჩვენსა და ჩვენი საქმეების მიმართ.

სინამდვილეში ეს იქნება რუსი კაცის პირველი დებიუტი მეზობელი ხალხის გონებასა და ნებისყოფაზე ზეგავლენის მოხდენისა. საჭიროა პატიოსანი ადამიანები, რომელთაც შემთხვევა წილად არგუნებს პატივს შეიტანონ სპარსეთში რუსეთის საზოგადოებისა და ხალხის დროშა, ისეთი ადამიანები, რომლებიც სულის სიღრმემდე გამსჭვალული

იქნებიან თავიანთი მდგომარეობის სიწმინდის შეგნებით და იმ სერიოზული პასუხისმგებლობით, რაც დააწვება მათ მხრებს ჩვენი ხალხის მომავალი თაობის წინაშე. ისინი სპარსეთში პირადი გამორჩენის ვიწრო მიზნებით, მეზობელი ხალხის დაჩაგვრის სურვილით კი არ უნდა შევიდნენ, არამედ იმ მიზნით, რომ მოუპოვონ მისი მოსახლეობის ნდობა და სიყვარული რუსი ხალხის მოღვაწეობას და თვით რუს ხალხს. მოსკოველებმა უაზრო მოწყალებისა და ნასუფრალის დამრიგებლები, ანდა მჩაგვრელები და მხვეჭელები კი არ უნდა გაგზავნონ სპარსეთში, თავიანთ სპარსეთში, თავიანთ აგენტებად და წარმომადგენლებად, არამედ ადამიანები, რომელთაც შეუძლიათ შეიტანონ სპარსელთა მეგობრობაში ის აზრი, რომ რუსეთს მათთვის მხოლოდ პროგრესი და სამართლიანობა მოაქვს... უამისოდ კი უკეთესი იქნება სპარსეთში საერთოდ არ შეადგან ფეხი, რათა ჩვენი ძალებისა და სხვათა სიმპათიების ფლანგვით რუსეთის სახელს არ დაუკარგონ იმ ხალხის სიმპათია, რომელიც ჩვენს მიმართ აქამდე კეთილი გრძნობითაა განწყობილი და რის გაფრთხილებაც რუსეთის აღმოსავლური ინტერესების ყველა პატიოსანი მსახურის ვალია.

72. „მოწამეთა“

I

რუსეთის რკინიგზებს შორის—და განა მარტო რუსეთის რკინიგზებს შორის—ყველაზე ლამაზია ქუთაისიდან ექვსი ვერსის დაშორებით ტყიბულის ხეობაში გაყვანილი ტყიბულის ქვანახშირის რკინიგზის ტოტი, რომელიც თითქმის მონამეთის მონასტრის კარიბჭემდე მიდის. თუ ამ სიტყვას ქართულიდან რუსულად ვთარგმნით, ეს ნიშნავს „წამებულებს.“ ეს მონასტერი საქართველოს ერთ-ერთი უდიდესი ძეგლია*. ბუნება, გარს რომ არტყია, უაღრესად პოეტურია და საოცრად ჰარმონიულადაა შეხამებული იმ გმირულ სიქველესთან, რამაც უკვდავყო ამ მინიატურული მონასტრის დაარსება. ამავე დროს დიდი გარჯა და ბრძოლა იყო საჭირო იმისათვის, რომ ამ წმიდა მონასტრის გვერდით რკინიგზა გაეყვანათ. ახლაც კი, როცა რკინიგზა მონასტრის სა-

* ეს მონასტერი გ. ვეიდენბაუმის „მეგზურშიც“ კი არ არის მოხსენებული.

საფლაოზე გადის, აქ არ არის არც სადგური, არც ბაქანი, არც გასაჩერებელი პუნქტი და ეს მიუხედავად იმისა, რომ მონასტერს სოფელი ესაზღვრება. წელიწადში ერთხელ, 2 ოქტომბერს, აქ მხოლოდ ქუთაისიდან ამოდიან მლოცველები. მაგრამ რამდენი ადამიანი ამოვიდოდა აქ იმერეთიდან, გურიიდან, სამეგრელოდან იმ შემთხვევაში, უნარიანად რომ მოაწყონ „საზეიმო მატარებელი"—ამის დათვლა ჩვენ არ შეგვიძლია. მარტო „უშვილოების" ამოსვლა იქნებოდა საკმარისი იმისათვის, რომ ანაზღაურებელი იქნას ამ მატარებლის მოძრაობის ხარჯები: ცნობილია, რომ მთელი დასავლეთ ამიერკავკასიის რწმენით, მონასტერს უნარი შესწევს განკურნოს უნაყოფობა. ადგილობრივი მოსახლეობის ამ რწმენის საგნობრივი დადასტურებაა ფაქიზად ნამუშევარი მიკროსკოპიული ვერცხლის აკვნები, ფოთლებივით რომ არიან ჩამოკიდებული ხეებზე.

2

მონასტერი მდებარეობს მთის წვერზე, რომელიც უცნაურადაა შეჭრილი მდინარე წყალწითელას ხეობაში (პირდაპირ რომ ვთარგმნოთ წითელ წყალს ნიშნავს, მაგრამ რუსები რატომღაც „წითელ ღელეს" უწოდებენ). მონასტრის მთის ძირს თითქმის ყოველი მხრიდან უვლის მდინარე, რომლის კალაპოტი ამ ადგილას მოგვაგონებს ან ნალს, ან მარყუჟს. მხოლოდ ვინრო ყელი აერთებს ამ ორიგინალურ ნახევარკუნძულს დანარჩენ სამყაროსთან. ამ მთის ციცაბო კლდეები და წყალწითელას მოპირდაპირე გორები ტყითაა დაფარული. აქა-იქ, უზარმაზარი რცხილებისა და წაბლების ფოთლების ქვეშ შეყუჟულან მარადმწვანე ბზები და გვირილები, რომელთა შორის ბზინავენ ღია ლურჯი ფერის, საოცარი ზომისა და მოხაზულობის კლდეები, რომელთაც მოსდებია სურო და რომელთა ნაპრალებში ამოზრდილია ბროწეული. ყელის ჩრდილო ნაპირის გასწვრივ ერთი არშინის სიგანე ბილიკი მთლიანად კლდეშია გაჭრილი. იგი თავიდან ბოლომდე ისეთივე სწორი და მოლიპულია, როგორც გახეხილი მარმარილო. თავი გიბრუის, როცა ბუჩქებს ებღაუჭები და ზემოდან უძირო უფსკრულში იყურები, სადაც შიშველ კლდეებს შორის წყალწითელა მიიკლაკნება. მდინარე იქ, ქვევით მჩქეფარე და სწრაფია, მაგრამ თქვენამდე, ბილიკამდე მისი ღრიალი კი არ აღწევს, არამედ წყაროს წყლის ათასხმოვანი ჩუხჩუხი, მსგავსად უღრანი ტყის ყველა მაღალი ხის კენწეროთა ფოთლების

შრიალისა, რაც არღვევს მუხნარის დიდებულ დუმილს. აქ ყველაფერი უცოდველ ფიქრებს და ოცნებებს იწვევს, იმ სიმაღლისაკენ სწრაფვასთან ერთად, სადაც არაფერი არ შეიძლება იყოს, გარდა სამარადისო სიყვარულისა და ჰარმონიისა—ასე არ არის?

3

თოვლივით თეთრი ახალი მონასტერი ამას წინათ, მის მცირე ზომებთან შედარებით, მეტისმეტად მძიმე გუმბათით გადახურეს. მის გვერდით თეთრად ქათქათებს სამრეკლო, რომელიც აგებულია ზუსტად უფსკრულის პირას. მონასტრის გალავნის დასავლეთით და აღმოსავლეთით ამოზიდულია ორი ძველი, განაცრისფრებული, ქართული ტიპის, ოთხკუთხა, სათოფურებიანი და ასაწევხიდიანი კოშკი. ასაწევი ხიდები, რა თქმა უნდა, ამჟამად არ მოქმედებენ. მონასტერში სხვაგვარად ვერ მოხვდები, ამ კოშკების ქვეშ თუ არ გაიარე. ამას დაუმატეთ მთლიანად კლდეში გამოკვეთილი ჭა, ეკლესიისა და სამრეკლოს სახურავებიდან ჩამოღვრილი წყლის შესაგროვებელი სათავსები და მიიღებთ მონასტრის ქვის ნაგებობების სრულ სიას. თვით ძმები, დაწყებული არქიმანდრიტიდან, ცხოვრობენ ხის სენაკებში, ჩვეულებრივ იმერულ ფაცხებში, რომლებიც ყავრითაა გადახურული და რომლებშიც ყოველი მხრიდან იჭრება წვიმა, ქარი, სიცხე და სიცივე...

4

თეთრად მოქათქათე ეკლესიის გუმბათი და სახურავი შეღებილია ნათელ სპილენძისფერად. ამ ორი ფერის შერწყმა—უმანკოებისა და იმედისა—უდაოდ სიმბოლურია. მაგრამ გულახდილად რომ ვთქვა, მე უფრო მიყვარდა ძველი, პატარა ეკლესია მისი კედლებითა და სახურავით, მთლიანად სუროთი რომ იყო დაფარული. იგი საერთოდ არ ჩანდა სურათის მარად მწვანე საერთო ფონზე. ძველი ეკლესია მაშინ ხატოვნად მეტყველებდა იმაზე, რომ ჩვენს წინაპრებს თავი კი არ მოჰქონდათ თავიანთი ეკლესიით, არამედ პირიქით, მალავდნენ, უფრთხილდებოდნენ მას. ძველი ეკლესია შიგნით „დროის სითალხით" იყო შეღებილი. მისი გულუბრყვილო კანკელის და კედლების ფრესკების ნარჩენები, რა თქმა უნდა, „პირველყოფილი სიყვარულის ცეცხლით" სუნთქავდნენ. სიწმინდე ეკლესიის ყველა ბზარიდან და ხაზიდან მოჟონავდა... ამჟამად პატარა ეკლესია გააფართოვეს და მორთეს. იგი ბევრად უფრო ნათელი და ნატიფია. მის კედლებზე, ბურჯებზე და

თაღებზე გულკეთილმა მხატვარმა სოკრატემ, რომელიც სამოციანი წლების მთელ ქუთაისს ახსოვს, გულმოდგინედ და ნიჭიერად დახატა ადგილობრივ დიდებულთა პორტრეტები და არც საკუთარი პორტრეტის დახატვა დავიწყნია. ყველა ეს სახე საოცრად რეალური და ერთმანეთის მსგავსია. საქართველოს ყოფილი ეგზარხოსი, აწგარდაცვლილი ევსები და იმერეთის ახლანდელი ეპისკოპოსი, განათლებული გაბრიელი ცოცხალივით დგანან. მათ გვერდით დახატული ყველა სახე ნაცნობია: გრაფი ვ. ვ. ლევაშოვი, თავადი ნესტორ წერეთელი მეუღლითურთ. დროთა განმავლობაში, მომავალ საუკუნეებში ეს ფრესკები დიდ ისტორიულ მნიშვნელობას შეიძენენ.

5

ამ ეკლესიის მნიშვნელოვანი რელიქვიები, რა თქმა უნდა, ხატები და ფრესკები კი არ არის, არამედ წმიდა მოწამეთა დავითისა და კონსტანტინეს უხრწნელი ძვლები—ისინი ერთ-ერთი პირველნი შეეწირნენ ჩვენში ისლამის წინააღმდეგ ბრძოლას. ძვლები აწყვია უბრალო სკივრში, რომლის მთელ მორთულობას წარმოადგენენ ლომები, რომლებიც ჩემს თვალწინ გამოკვეთა კაკლის ხისგან ორმოცდაათიანი წლების დასაწყისში შინნასწავლმა მხატვარმა ხარიტონმა. ლომებს, რა თქმა უნდა, მიმზიდველობა აკლია და ისე შორს არიან მოქანდაკე ბარის (ვაჩუე) უკვდავი ლომების მშვიდი მზერისა და მეფური ტანადობისაგან, როგორც დედამიწა ცის ვარსკვლავებიდან, მაგრამ ბავშვობაში, როცა დედას მოწამეთაში ფეხით კი არა, ფეხშიშველაც კი მივყავდი, ეს ლომები ისეთ შემაძრწუნებელ შიშს მგვრიდნენ, რომ ახლაც კი, როცა მათ მძვინვარე თვალებს, დაღებულ ხახას და ხუჭუჭა ფაფარს ვუყურებ, ერთგვარი მოტკბო-შემზარავი გრძნობა მეუფლება.

„ქართული ეკლესიის წმინდანთა ცხოვრების“ მიხედვით დავითი და კონსტანტინე იყვნენ არგვეთის მთავრები,ე. ი. იმერეთის მთიანი ნაწილისა. ქართული მემატიანენი, მათ შემდეგ კი ვახუშტი, არგვეთის სამთავროს საზღვრებს დებენ სურამის ქედიდან თითქმის აფხაზეთამდე. ამჟამად არგვეთი უბადრუკი სოფელია სადგურ სვირის მახლობლად. „წმინდანთა ცხოვრებაში.“ წამებულთა გმირობა შემდეგნაირადაა აღწერილი.

ახალფეხადგმული ისლამის საქართველოში პირველივე შემოჭრისას, რაც მოხდა ხალიფ ჰეშემის დროს, „აგარიანთა“ ურდოებს სარდლობდა მურვან ყრუ. „ეს სახელი მას იმიტომ შეარქვეს, რომ არავის

რჩევას არ უგდებდა ყურს." ეს სწორედ ის მურვანია, რომელიც შემდეგ თვითონ გახდა ხალიფი, მურვანისა თუ მერვან II სახელით და რომელმაც არა მარტო გაბედა ალყა შემოერტყა ბიზანტიისათვის, არამედ ბოსფორის ქვით ამოვსებაც კი ჩაიფიქრა, რომ მასზე, თითქოსდა „როგორც ხმელეთზე" გაეყვანა ჯარი. დაიპყრო რა თბილისი და მთელი მთიანი ამიერკავკასია, მან მოწინავე ჯარები იმერეთისაკენ დაძრა. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანა რამდენიმე წლით ადრე აოხრებული იყო ჯერ ბიზანტიის იმპერატორის ლეონ III ისავარიელის (680-741), ხატმებრძოლისაგან, რომელმაც ისლამის გაფურჩქვნისა და გამარჯვების პერიოდში ქრისტიანების გაწყვეტაზე უკეთესი ვერაფერი მოიგონა*. ბიზანტიელების შემდეგ კი იმერეთს თავს დაესხნენ ხაზარები, მაგრამ მიუხედავად ამისა, იმერლებმა დავითისა და კონსტანტინეს სარდლობით რამდენჯერმე დაამარცხეს მურვან ყრუს რაზმები. რამდენიმე ასეთი რაზმი უკანასკნელ კაცამდეც კი ამოწყვიტეს დავითმა და კონსტანტინემ. ამან აიძულა მურვან ყრუ მთელი თავისი ჯარით იმერეთში გადასულიყო. დავითმა და კონსტანტინემ ამჯერადაც შეძლეს რამდენიმე გამარჯვების მოპოვება, მაგრამ ბოლოს და ბოლოს რიცხობრივმა უპირატესობამ მაინც თავისი გაიტანა. ქართველი მხედართმთავრები ტყვედ ჩაუვარდნენ გაცოფებულ დამპყრობლებს, მაგრამ მათმა ვაჟკაცობამ და მხედართმთავრულმა ნიჭმა ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა მურვან ყრუზე, რომ მან გადაწყვიტა აეყვანა ისინი მთელი საქართველოს ტახტზე იმ პირობით, თუ გამაჰმადიანდებოდნენ. ქართული „წმინდანთა ცხოვრება" მურვან ყრუს ასეთი არგუმენტის მოტანას მიაწერს: მე არ შემხვედრია საქართველოს და ისლამის ისტორიაში ასეთი გმირობა, როცა აღშფოთებული დავით და კონსტანტინე უარს ეუბნებიან მურვან ყრუს მაჰმადიანობის მიღებაზე და ზიზღით მოიხსენებენ ისლამს, მურვან ყრუ მათ ეუბნება: „ხოლო რომელ დიდისა მუჰმადისათვის იკადრებთ გმობასა, უგუნურებით იტყვით ამას, რამეთუ სპარსნი და არაბნი მან მოაქცია ცეცხლისა მსახურებისაგან და ღმერთსა შეაწყნარნა, რამეთუ ერთ არს ღმერთი." მაგრამ ქართველი მხედართმთავრები ამ არგუმენტმა ვერ აცდუნა, ისინი საწვრთნელად მისნებსა და ფილოსოფოსებს მისცენ, როცა ვერც მოფერებამ გასჭრა, ვერც დაპირებამ, ვერც ქადაგებამ და ვერც მუქარამ, ისინი ჩაყარეს ქუთაისის დილეგ-

* როგორც ცნობილია, თვით ბიზანტიაში მან დაწვა მთელი ბიბლიოთეკა 12 ბიბლიოთეკართან ერთად, სადაც დაცული იყო 120. 000 წიგნი.

ში. აქ მათ ათი დღე აშიმშილებდნენ, შემდეგ კი ფეხებით კიდებდნენ და მანამდე ცემდნენ მათრახებით, სანამ მთელი ტანი არ დაუსისხლიანდებოდათ. ბოლოს წამებულებს კისერზე წისქვილის ქვები გამოაბეს და მდინარე რიონში ჩაყარეს. ამის შემდეგ მურვანი დასავლეთისაკენ, შავი ზღვის ნაპირებისაკენ დაიძრა. იმერლებმა როგორც კი დაინახეს „წყლის საფლავებიდან" ამომართული ცეცხლის სვეტები, წამებულთა ნეშთი მახლობლად მდებარე გამოქვაბულში გადაიტანეს, სადაც შემდეგ მეფე ბაგრატ დიდმა ააშენა ახლანდელი მოწამეთას მონასტერი „უბინო და სამეფო მეომარ-წამებულთა" უხრწნელი გვამების შესანახად.

7

ვადარებთ რა ქართული მატიანეებისა და „წმინდანთა ცხოვრების" თქმულებებს, როგორც მათ შორის, ასევე დადგენილ ისტორიულ ფაქტებს შორის, უდაოდ შეინიშნება უზუსტობანი. ასე მაგალითად, „წმინდანთა ცხოვრებაში" (გვ. 78-80) ვკითხულობთ, რომ დავითი და კონსტანტინე აწამეს სამყაროს შექმნიდან 6249 წელს, ქრისტეს დაბადებიდან კი 730 წელს. მაგრამ ბერძნული წელთაღრიცხვის 6249 წელი, როგორც დ. ზ. ბაქრაძემ დაადგინა, უდრის ქრისტეს დაბადებიდან არა 730 წელს, არამედ 741 წელს. ვახუშტი თავის „საქართველოს ისტორიაში" (გვ. 114, 1887 წ.) დავითისა და კონსტანტინეს წამების წლად თვლის მეფე მირის, ცნობილი სტეფანოზის ძის გამეფებიდან მეოთხე წელს. მაგრამ მეფე მირი ტახტზე ავიდა 663 წელს, ხოლო 667 წელს ხალიფის ტახტზე იჯდა მოავია I და არა მურვან ყრუ და ცხადია არც ჰაშემი. მურვან II გარდაიცვალა 744 წელს და ამიტომ არაფრით არ შეიძლებოდა სიკვდილამდე რვა-ათი წლით ადრე საქართველო დაელაშქრა. ბოლოს „წმინდანთა ცხოვრებაში" ნათქვამია, რომ დავითი და კონსტანტინე აწამეს საბერძნეთში ლეონ ისავარიელის, ხატმებრძოლის მეფობის დროს, საქართველოში კი ამ დროს ვახტანგ გორგასალის შთამომავალნი მეფობენ. ლეონ III ისავარიელმა ბიზანტიის ტახტი მიიტაცა 717 წელს, ხოლო გარდაიცვალა 741 წელს. ძნელი დასადგენია ვახტანგ გორგასლის რომელ შთამომავალს გულისხმობს „წმინდანთა ცხოვრება," რადგან ამ ეპოქის ყველა ქართველი მეფე, ისევე როგორც ხოსროიდები, ვახტანგის შთამომავლები იყვნენ. მათ შორის მეფე მირიც (663-668), მისი ძმაც, არჩილ წამებულიც

(668-787). ყოველ შემთხვევაში, ეჭვსგარეშეა,დავითი და კონსტანტინე ქვეყანას იცავდნენ და რწმენისათვის ეწამნენ მერვე საუკუნის პირველ ნახევარში და მას შემდეგ ხალხის მადღიერმა მეხსიერებამ თერთმეტი საუკუნის მანძილზე მოწიწებით შეინახა მათი გმირობისა და სიძველის ხსოვნა...

8

მაგრამ ჩვენმა ხალხმა წამებულთა შესახებ წარმოდგენა მშრალ ფორმებში კი არ გაახვია, არამედ შექმნა მომხიბლავი პოეტური ლეგენდა, რომლის უფერული გადმოცემითაც დავამთავრებ ამ ნარკვევს.

როცა მურვან ყრუმ—წყეულიმც იყოს სახელი მისი—ბოლოს და ბოლოს დატოვა ქუთაისი*, იმერლები გამოვიდნენ ტყეებიდან, სადაც სამშობლოს განადგურების შემდეგ აფარებდნენ თავს, მოგროვდნენ იმ ადგილას, სადაც ამ ცოტა ხნის წინათ მათი მამაცი წარმომადგენლები აწამეს და დიდი სასწაულის მოწმენი გახდნენ. რიონის მჩქეფარე ტალღებზე უძრავად იწვნენ წმიდა წამებულთა ცხედრები და ირგვლივ დიდების შარავანდედი ადგათ. მათ სხეულებზე ციდან ცეცხლოვანი სვეტები ეშვებოდა, საიდანაც მოისმა ბრძანება—„აიქვენით გვამნი წმიდათა მაგათ მოწამეთანი და წარიყვანენით ტყით კერძო აღმოსავალით და სადა—იგი—გთნდესთ, მუნ დაკრძალენით ეგე გვამნი მოწამეთანი.“ ამ ბრძანების თანახმად, ეტლში შეაბეს ისეთი ხარები, მანამდე რომ უღელი არ დებიათ ქედზე. ნაბრძანები იყო ეტლზე დაეწყოთ მეფე წამებულთა ნეშთი და იმ გამოქვაბულში დაესვენებინათ ისინი, სადაც ხარები დაეცემოდნენ. როგორც კი გვამები ეტლზე დააბეს, ამოვარდა ქარიშხალი, რომელსაც სისხლიანი წვიმაც მოჰყვა თან. დამფრთხალი ხარები ტყისკენ გაიქცნენ. მთელი ღამე სცემდა მათ ელვა ცეცხლის მათრახებს, ქუხილი რისხვით აიძულებდა ერბინათ სულ წინ და წინ. ეტლი მიჰქროდა კლდეებსა და ხეობებს შორის, აპობდა უღრან ტყეებს, იკაფავდა გზას უცნობი უდაბნოსაკენ, რომელიც ცამ შეურჩია წამებულებს სამუდამო განსასვენებლად. ქარიშხალი დილამდე არ ჩამდგარა, არ შეწყვეტილა სისხლიანი წვიმა, რომელმაც არა მარტო მიწა გაუღინთა სისხლით, არამედ ქვებიც. განთიადისას ხარები დაეცნენ იმ უფსკრულის პირას, სადაც ახლა მონასტერის საკურთხეველ-

* „წმინდანთა ცხოვრების“ სიტყვებით, მურვან ყრუს ურდოები ჩაეფლნენ სამეგრელოს ჭაობებში აბაშასა და ცხენისწყალის შორის, შემდეგ კი ისინი მწარედ დაამარცხა მეფე ჯუანშერმა და ტრაპეზუნდისაკენ გაყარა.

ლია... აი, რატომაა, რომ ამჟამადაც კი, როცა დიდი წვიმები მოდის, წყალწითელა წითლად იღებება და მონასტრის იგვლივ მდებარე კლდეებზე და მისკენ მიმავალ გზაზე, ზაფხულშიც და ზამთარშიც, ავდარშიც და დარშიც დიდი რაოდენობით ჩანს დროისაგან გავარდისფერებული, სისხლიანი ლაქები და წვეთები. ისინი ქართველების შორეულ შთამომავლებს თვალნათლივ არწმუნებენ, რომ ცა სამუდამოდ უკვდავყოფს რწმენისა და სამშობლოს თავდადებულ და მტკიცე დამცველთა წმინდა ხსოვნას.

73. ამიერკავკასიის რკინიგზის ბედი

პეტერბურგიდან მოსული უკანასკნელი ცნობების მიხედვით ხაზინის მიერ ამიერკავკასიის რკინიგზის „გამოსყიდვა" ნავარაუდევია გადაიდოს გაურკვეველი დროით.

როგორც „ნოვოე ობოზრენიეს" მკითხველებმა იცით, პირადად მე ყოველთვის სკეპტიკურად ვიყავი განწყობილი ამ გამოსყიდვის მიმართ. ცხადია, არა იმიტომ, ამგვარი გამოსყიდვა არახელსაყრელი ან შეუძლებელია, არამედ სრულიად სხვა მიზეზების გამო. ჩვენ ვიცით, რომ ხაზინის გარდა არავინ არაა დაინტერესებული ამ გამოსყიდვის დაჩქარებით და ამიტომ ცოტათი დარწმუნებულიც კი ვიყავით ამ საქმის განხორციელებაში. როგორც არ უნდა იყოს, ეტყობა, ამიერკავკასიის რკინიგზის გამოსყიდვა უკიდურეს შემთხვევაში სამი წლით მაინც გადაიდო, ე. ი. იმ ვადის დადგომამდე, როცა მთავრობა, რკინიგზის წესდების თანახმად, მიიღებს მისი გამოსყიდვის უფლებას, რაც 1891 წლიდან არ შეიძლება განხორციელდეს ისე, თუ არ იქნება მიღებული აქციონერთა თანხმობა. ეს განსაკუთრებული, გამოუსწორებელი უბედურება არ იარსებებდა, ამ უარყოფითი გადაწყვეტილების წყალობით, რკინიგზა რომ არამერყეე მდგომარეობაში აღმოჩნდეს. ამავე დროს, ახლა, როცა მიღებულია გადაწყვეტილება გამოსყიდვის გადავადების შესახებ, რკინიგზის ის გარდამავალი მდგომარეობა ერთი ბეწოთითაც კი არ შეცვლილა, რა მდგომარეობაშიც აგერ უკვე სამი წელიწადია არსებობს.

ეს მდგომარეობა არა მარტო ჩვენი მხარის სავაჭრო-სამრეწველო ცხოვრებისთვისაა საშინელი და დამღუპველი, არამედ თვით რკინიგზის ბედისთვისაც.

ტვირთის მოძრაობა იზრდება გიგანტური რაოდენობით. ამისდა შესაბამისად ყოველ რკინიგზაზე, რომელსაც სწორედ განვითარების პირობები აქვს, უნდა იზრდებოდეს და ვითარდებოდეს მისი ყველა დარგი. მაგრამ ახლა, როცა სრულიად გაურკვეველია რკინიგზის მომავალი ბედი, არავინ აღარაა დაინტერესებული არა მხოლოდ მის შემდგომ განვითარებაში, იმაშიც კი, რომ შეუქმნას მას ცოტათი ასატანი პირობები.

ტვირთის მოძრაობის ზრდასთან ერთად უნდა იზრდებოდეს რკინიგზის გამტარიანობის უნარიც, ტვირთის გადასაზიდი საშუალებები, მომსახურეთა შტატი და ამ უკანასკნელთა საცხოვრებელი ბინებიც, რკინიგზათა რაოდენობაც, საწყობებიც, ტვირთის მანიპულაციის საშუალებებიც და ა. შ.

სურამის გვირაბის დამთავრებასთან დაკავშირებით, ურომლისობაც აბრკოლებდა რკინიგზის სხვადასხვა მონაკვეთზე მოძრაობას, ამჟამად მოსალოდნელია დაბლობ მონაკვეთებზეც ტვირთის გადაზიდვის შეყოვნება და ნავთის მრეწველები სრულიად სამართლიანად მოითხოვენ რკინიგზის მთელ სიგრძეზე მეორე რკინიგზის გაყვანას. ამავე დროს, ყველა ეს საკითხი დიდი მნიშვნელობისაა და აგერ უკვე სამი წელიწადია, რაც სრულიად უყურადღებოდაა მიტოვებული. ტვირთი არ მოძრაობს და მისი უმოძრაობა დიდ ზარალს აყენებს არა მარტო რკინიგზას, არამედ კიდევ უფრო მეტად ქვეყნის სამრეწველო განვითარებას.

ამიერკავკასიის რკინიგზა მართლა საქმიანი ადამიანების ხელში რომ იყოს, რომელთაც ხვალინდელი დღის იმედი ექნებოდათ, მაშინ გადაწყვეტილება და განკარგულება, დასტოვონ ამიერკავკასიის რკინიგზა კერძო პირთა ხელში, არსებით უხერხულობას არ გამოიწვევდა. ამის თქმა მით უფრო მეტი რწმენით შეიძლება, რომ რკინიგზის უწინდელი მფლობელნი, ბატონები ბუნგე და პალაშკოვსკი იყვნენ რუსეთის რკინიგზელთა შორის ყველაზე საუკეთესო და ნიჭიერი რკინიგზელები. სამწუხაროდ, მათი შერყეული ფინანსიური მდგომარეობა, რის გამოც ისინი მიდიან ყოველგვარ კომპრომისზე და რაც ხშირად სრულიად გაუგებარია, ექსპედიენტებზე „დღიდან დღემდე," ართმევს მათ შესაძლებლობას იზრუნონ რკინიგზის ბედზე. რკინიგზის მეტად თუ ნაკლებად შორეულ მომავლისათვის რთული და გათვალისწინებული ზრუნვა ვერ იკიდებს ფეხს რკინიგზის მმართველების შეგნებაში, რადგან წყლიდან ამოყვანილი თევზივით ფართხალებენ ყინულზე მიმდინარე წუთის მატერიალური სიძნელეების გამო...

სწორედ ამაშია ბოროტების ძირი, რაც ამიერკავკასიის რკინიგზის ძალებს ნელ-ნელა უთხრის საძირკველს და მასთან ერთად ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ განვითარებასაც. ჩვენი აზრით, თვით საკითხი ხაზინის მიერ რკინიგზის გამოსყიდვისა დასმული იყო არასერიოზულად და არაგულწრფელად. ეს იყო მანევრი მეორეხარისხოვანი მიზნების მისაღწევად, რასაც არაფერი საერთო არა აქვს რკინიგზის ჭეშმარიტ საერთო სარგებლიანობასთან, მაგალითად, ისეთთან, როგორიცაა სასწრაფო გადასახადების განვადება... ამ მანევრმა ჩვენი მხარის სამრეწველო ცხოვრებაზე საკმაოდ არსებითი შთაბეჭდილება მოახდინა, რადგან ბევრი იმედი, ილუზია და საწარმო წარმოშვა, რომელთაც ახლა სამწუხარო ბედი ელით. მიუხედავად ამისა, ამ მანევრით იმისათვის მაინც რომ მიეღწიათ, რომ უკიდურეს შემთხვევაში მოეხდინათ რკინიგზის მფლობელთა ფინანსური მდგომარეობის სერიოზული კონსოლიდაცია, მაშინ შეიძლებოდა შევრიგებოდით ამგვარ დაუშვებელ ხერხებს. მაგრამ უბედურება ის არის, რომ უბინოებაც დავკარგეთ და კაპიტალიც ვერ შევიძინეთ. რკინიგზა და ქვეყანა კი კვლავინდებურად იძულებულია დამოკიდებული იყოს ჩვენი მხარის უმნიშვნელოვანესი ეკონომიური არტერიის მმართველთა უძლურებაზე და უხელისუფლებობაზე. განა ეს სამწუხარო არ არის.?...

74. საუძმო საკითხავი

ჩემი მკითხველების აზრი, ალბათ, ისევ გასული თვის შთაბეჭდილების ირგვლივ ტრიალებს. ამიტომ მეც მიჭირს სხვა რამეზე წერა. მაგრამ ნუ შეგეშინდებათ, მე არ დავიწყებ საქმის ფაქტიური მხარეების მიმოხილვას: მათ ყველა საფუძვლიანად იცნობს. შემოვიფარგლები, ასე ვთქვათ, საქმის იმ სუბიექტური მხარეების, ფიქრებისა და შთაბეჭდილებების გაზიარებით, საერთო რომაა ბევრი ჩემი თანამოქალაქისათვის.

მისი უდიდებულესობის ჩვენს მხარეში მოგზაურობის დროს მე სხვადასხვა ადგილას და სხვადასხვა ფენებში მომიხდა ყოფნა. ვიყავი ქალაქებშიც, რკინიგზის ხაზზეც და სოფლებშიც, „რომლებიც რკინიგზიდან შორს მდებარეობენ. შემიძლია დაგარწმუნოთ, რომ ჩემთვის ყველაზე საინტერესო და ჭკუის სასწავლებელია ის, რაც ყრუ სოფელში შევნიშნე და იცით, რა მხრიდან? ღმერთო ჩემო, რამდენი ვიცინე იმ

სოფელში ჩვენს გაზეთებზე, „განსაკუთრებით“ კი „ნოვოე ობოზრენიეზე.“ ჩვენი საბრალო გაზეთები ტყავში ძვრებიან, აგზავნიან უბრალო და სპეციალურ კორესპონდენტებს და ბეჭდავენ ტელეგრაფით გადმოცემულ და ჩვეულებრივად აღწერილ მოგზაურობას. და ყველაფერი ეს წყალში იყრება. მხოლოდ ახლა, პირველად ჩემს ცხოვრებაში, ჯიხაიშში მივაგენი ბოლოს და ბოლოს ინგლისის და საერთოდ, ჩრდილოეთის პრესის წარმატებისა და მნიშვნელობის ჭეშმარიტ მიზეზებს და მის ასეთსავე უძლურებას სამხრეთის ქვეყნებში.

უფრო ადრე, ვიდრე ამას აკეთებს „ნოვოე ობოზრენიე,“ რომელიც საერთოდ ყველა სხვა გამოცემას ასწრებს ახალი ამბების გავრცელებას, მე სოფელში მისი უდიდებულესობის მოგზაურობის შესახებ მომდიოდა ცნობები გლეხებისა და აზნაურების ცოლებისაგან, მესმოდა, სად რა მიართვეს და დაწვრილებით მიყვებოდნენ ჩვენი მხარისათვის საინტერესო მოვლენების ყველა ვითარებაზე. სად როგორ საჩუქარს ამზადებენ, მაგალითად, ვინ რა თქვა, ვინ რა დალია საბადურაში და ა. შ. და ა.შ. ყველაფერი ეს ცნობილი იყო ჩვენი სოფლების უკანასკნელი მწყემსისათვისაც კი, ბატონი მეგაზეთეების, ტელეგრაფისა და პრესის გარეშე. „დარხეული ხმების“ როგორც მნიშვნელოვანი, ასევე უმნიშვნელო ახალი ამბები ისე აღწევდნენ ყრუ სოფლამდე, რომ ჩამოშორებული ჰქონდათ ყველაფერი ზედმეტი და შემლამაზებელი. სამაგიეროდ არაფერი დამახასიათებელი, არაფერი მნიშვნელოვანი არ რჩებოდა ხალხს მხედველობიდან და სრულიად არ ჭირდებოდა გაზეთების შუამდგომლობა მისთვის საინტერესო ცნობების გასავრცელებლად.

თქვენ რომ იცოდეთ, რა მშვიდად და საფუძვლიანად მსჯელობდნენ და ხსნიდნენ ყველა ცნობას და გავრცელებულ ხმებს სოფლის გზების ყველა გზაჯვარედინზე ცაცხვებისა და კაკლების ქვეშ! ცხადია, ჩვენმა საზოგადო და სხვა მოღვაწეებმა არ იციან და ფიქრადაც არ მოსდით, რა ძლიერი ბიძგი მისცა ჩვენი მხარის საზოგადოებრივ აზრს გასული თვის მოვლენებმა, როგორ გააკრიტიკა ჩვენმა ხალხმა ყველა თავის მოღვაწე, დღის ამა თუ იმ მოვლენის გამო. ღმერთო ჩემო, რა დიდად ჭკუის სასწავლი „ ცხოვრების წიგნი“ გამოვიდოდა, შესაძლებელი რომ ყოფილიყო სოფლის „ბნელი“ ადამიანების მსჯელობათა დიდი ნაწილის სტენოგრაფიულად ჩაწერა.

ერთ რამეში სუფთა სინდისით შემიძლია დავარწმუნო ყველა, არც წრეებში და კლუბებში, არც თბილისის ბულვარზე, სადაც ასე ძალიან

გვიყვარს „პოლიტიკაზე საუბარი," ხალხის მსჯელობისა და საუბრის საერთო დონე ვერაფრით ვერ შეედრება სიღრმით სოფლების „მითქმა-მოთქმას." ქალაქებში ხალხის ინტერესი ტრიალებს ვიწრო, სუფთა პირადი ინტერესების ირგვლივ: ვინ რა ჯილდო მიიღო, ვინ დაანინაურეს, ვინ წაიწია წინ, ვინ დაიხია უკან და ა. შ. ზოგიერთს ეს თავისთვის, პირადად აინტერესებს, ზოგს იმიტომ, რომ ასეთი რამ ახასიათებს, ზოგს მეგობრებისა და მტრების გამო, ყველა დანარჩენს კი ისე, მიბაძვისა და ინერციის კანონის ძალით. სოფლებში ამ საუბრებს „პირადი" ინტერესები თავისთავად ჩამოეცლება, უკანა პლანზე გადადის, რათა ადგილი დაუთმოს ისეთ საკითხებს, რომლებიც ასახავენ ხალხის მთელი მასების ინტერესებს, რადგან მხოლოდ ამ საკითხებს აქვთ მნიშვნელობა უცნობი მხვნელებისა და მწყემსებისათვის. ისინი არც თავისთვის და არც ნათესავებისა და ნაცნობებისათვის არ ეძებენ ჩინებსა და ჯილდოებს...

ახლა კი გეკითხებით, რად სჭირდება ასეთ ხალხს გაზეთები და ტელეგრაფები, ცენზურა და სიტყვის თავისუფლება? ყველაფერ იმას, რაც აინტერესებს, იგი გებულობს და იხილავს უჩვენოდ, არ არსებობს ისეთი ძალა, რომელსაც შეეძლოს ამ მხრივ ბურთი ჩასჩაროს მას პირში. ხოლო იმაზე, რაც მას არ აინტერესებს, თქვენ შეგიძლიათ წეროთ მოწინავე წერილებიც, ფელეტონებიც და უსასრულო დეპეშებიც, და რამდენი ჭკუა, ფული და ტალანტიც არ უნდა დახარჯოთ, ყოველივე ეს ვერასოდეს ვერ გაიკაფავს გზას ხალხის გონებისა და გრძნობისაკენ... მხოლოდ ერთეულები, „მოაზროვნე ადამიანები" წაიკითხავენ მას და ჩაფიქრდებიან, რაც ზღვაში ერთი წვეთია. ჩვენი ხალხის გონებრივი ცხოვრება კი თავისთავად ვითარდება და სრულიად თავისუფალია ჩვენთვის დამახასიათებელი შეცდომებისა და წარუმატებლობებისაგან. მასზე მწერლები და ცენზურა კი არ ახდენს გავლენას, არამედ ნამდვილი ცხოვრების ფაქტები...

სულ სხვაგვარადაა საქმე ჩრდილოეთში, სადაც ყველა განცალკავებით ცხოვრობს და ურთიერთობა არა აქვთ ერთმანეთთან. ისინი გამოკეტილი არიან თავიანთ სახლებში და ბინებში და არ გააჩნიათ თანდაყოლილი მისწრაფება იარონ ხალხში და გაუზიარონ მათ თავისი შთაბეჭდილებები და აზრები. ჩრდილოეთში გაზეთები მართლაც აუცილებელია, რადგან გაზეთები იქ ახალი ამბებისა და ცხოვრების მოვლენების შეტყობინების ერთადერთი წყაროა. მე მგონია, უგაზეთებოდ იქ თითოეული ისე მოკვდებოდა, რომ არ ეცოდინებოდა, რა ხდება

არა მარტო ამ ქვეყანაზე, არამედ მის ცხვირს წინაც კი. მაგალითად, პეტერბურგში ან ლონდონში ყოველ ნაბიჯზე ხდება, რომ მეზობელ ქუჩაზე დაიწვა სახლი და შენ კი ამას გაზეთების მეშვეობით გებულობ. უფრო მეტიც, კაცი გამოუსვლელად ზის შინ და როცა ადამიანებს შორის ხვდება, არავითარი სურვილი არა აქვს გაუზიაროს სხვებს, რაც გაიგო და გაიფიქრა.

ზემოთ მე ვთქვი, რომ ყველა ჩვენი საზოგადო მოღვაწე მწვავედ გააკრიტიკა ხალხმა, დაუზოგავად გაკილა ისინი. ზოგიერთი კი, ძალიან ცოჭანი, ამ გამოცდის შემდეგ მთელი მტკაველით გაიზარდა ხალხის თვალში. სამაგიეროდ ბევრი ჩამოვარდა იმ კვარცხლბეკიდან, მეტად თუ ნაკლებად ასე შემთხვევით და ასე გაჭირვებით რომ აცოცდა...

ბევრს სხვა რამეშიც არ „გაუმართლა." ახსოვდათ, ადრე ხელმწიფე წყალობებს არიგებდა, ამიტომ ახლაც მეფეს შეხვდნენ იმ იმედით, რომ უხვად მიილებდნენ ჩინებს, ჯვრებს, არენდას, დაწინაურებას სამსახურში. ამ „მოწყალების" მოლოდინში ისინი ხუთი გრადუსითაც კი ამაღლდნენ, თუმცა უჭირდათ ძველებური სიამაყით თავის დაჭერა. და უეცრად... ხელი მოეცარათ. თურმე, „ჩინი უნდა დაიმსახურო სამსახურით და არა შეხვედრებით"... ხალხმა თავის გულკეთილი ღიმილით აღნიშნა ბედნიერებისა და ჩინებისაკენ მტოლველთა ეს ბედნიერი ხელისმოცარვა...

მაგრამ ყველაზე მეტად, ყველაზე ხმამაღლა და სიხარულით ჩვენს სოფლებში ორ განსაკუთრებულ მოვლენაზე ლაპარაკობენ: ძალიან ეამაყებოდა ყველას გარემოცვის უბრალოება, ფუფუნებასა და გარეგნულ ბრწყინვალებაზე უარის თქმა, რაც ცხადი ნიშანი იყო იმისა, რომ სიხარულით ენდნენ ხალხის საღ აზრს...

შემდეგ კი ეს გაუთავებელი დაშოშმინება „ხალხის მამა-პაპისეული" გრძნობისა. ხალხი არ მალავდა თავის თანდაყოლილ სიყვარულს გმირული წარსულისა, ენისა, რწმენისა და წინაპართა მემკვიდრეობისადმი. ეს გრძნობა ჰარმონიულად იყო გადაწნული რუსეთისადმი გულწრფელი ერთგულების გრძნობას. მბრძანებლის მცირე ყურადღებაც კი ჩვენი წარსულის გადმონაშთებისადმი, სალოცავებისა და ზნე-ჩვეულებების მიმართ ელვის სისწრაფით ვრცელდებოდა მთელს ქვეყანაში და თქვენ რომ გენახათ ქალებისა და ბავშვების თვალებზე აღტაცებისაგან მომდგარი ცრემლი და ის, როგორ გადასცემდნენ ბერიკაცები ერთმანეთს ამგვარ ცნობებს, მაშინ მიხვდებოდით, რა აღმოუფხვრელი კვალი დასტოვა მთელი ჩვენი ხალხის შეგნებაში გასულმა თვემ.

მე მართლა მეცოდებიან აფერისტები და პუბლიცისტები, რომელთა ლირას მხოლოდ ერთადერთი სიმი ჰქონდა, სიმი თავიანთი მოჩვენებითი გმირობის ქებათქებისა. თქვენ გულისარევამდე იცნობთ ამ სიმს და მის ყალბ ჟღარუნს:—უჩვენოთ ეს მხარე დაიღუპებოდა რუსეთისათვის, მარტო ჩვენ ვიცავთ მას, ჩვენ ვიცავთ წმინდა რუსეთს ყოველგვარი სომხური, ქართული, აფხაზური, ყაბარდოული და სხვა სეპარატისტებისაგან. მომეცით ამისათვის სუფსიდიები, ჯვრები, დიდება.

ამ ვაუბატონების სიმღერა სამუდამოდ დასრულდა. მთელი ქვეყანა იყო იმის მოწმე, თუ რა მჭიდროდ და გულითადადაა ჩვენი მხარე დაკავშირებული რუსეთთან და არ აღმოჩნდა კავკასიაში არც ერთი ადამიანი, სხვაგვარად რომ ეფიქრა. ჭეშმარიტი ადგილობრივი „პატრიოტები," სომხებიც, ქართველებიც და სხვებიც, ეს ის ადამიანები არიან, რომელთა გულმოდგინება სწამს მთელ ჩვენს მხარეს და ისინი ეჯიბრებოდნენ რუსეთის უგამოცდილეს შვილებს რუსეთთან თავის კავშირის გაუწყვეტლობის გამოხატვაში... ამის საუკეთესო საბუთი ისაა, სხვა მილიონ მაგალითთან ერთად, ჩვენს გაზეთს ყოველთვის და სრულიად მართებულად „მოსკოვსკიე ვედომოსტი" რადიკალურს რომ უწოდებს. ჩვენი მისწრაფებების რადიკალიზმს არასოდეს არ შეუშლია ხელი ჩვენთვის, გამოგვეხატა ის სიმპათიები და გრძნობები, რომლებიც ჩვენთვისაც და დანარჩენი რუსი ხალხისთვისაც საერთოა. არავის არ დაუმალავს ჯიბეში არც თავის რწმენა და არც თავის იმედები. და ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენში ყველა დარწმუნებულია, რომ შეიძლება მათი შეთავსება რუსეთის სიკეთესთან და დიდებასთან. ახლა ამაში „მოსკოვსკიე ვედომოსტიც" კი დარწმუნდება.

75. საუქმო საკითხავი

იმპერატორის მატარებლის კატასტროფამ კურსკ-ხარკოვ-აზოვის რკინიგზაზე მთელი რუსეთის პრესაში იშვიათი, აქამდე არნახული ერთსულოვანი გამოძახილი გამოინვია. გამოუკლებლივ ყველა მიმართულების გაზეთი, ყველაზე კონსერვატულიც კი, რომლებიც მოვალენი არიან ამტკიცონ, რომ ჩვენში ყველაფერი შესანიშნავადაა მოწყობილი და არავითარ „რეფორმებსა" და სიახლეებს არ საჭიროებს, ახლა თანაბარი რწმენით ქადაგებენ რკინიგზის საქმეში ძირეული ცვლილებებისა და გარდაქმნების შეტანის აუცილებლობას. ამ საკითხში ყველა

ერთმანეთს უბამს მხარს. მაგრამ... რადგან არ იციან, არც არავინ ლაპარაკობს იმაზე, კერძოდ რაში უნდა გამოიხატოს ეს რეფორმა, სადაა დამარხული ბოროტება, რომელიც უნდა აღმოიფხვრას და ამოიძირკვოს და როგორი ექსტირპატორებია ამისათვის საჭირო.

მათ ჰგონიათ, რომ აუცილებელი და საკმარისია შეიცვალოს რკინიგზის საქმის გამგებელთა პირადი შემადგენლობა, სხვა ყველაფერი თავისთავად მოვა და მოგვარდება. სხვები ბოროტებას ხედავენ იმ დიდ ხელფასებში, რასაც რკინიგზელი ტუზები ღებულობენ. მესამენი—კერძო და სახელმწიფო ინჟინრების ანტაგონიზმში და ღმერთმა იცის, კიდევ რაში. ყველაზე გონიერი ჟურნალისტები უპირატესად იფარგლებიან დროის მოთხოვნილების საერთო ხასიათის საკითხების განხილვით, ხაზს არ უსვამენ იმას, რაში გამოიხატება ეს მოთხოვნილებები და არ განსაზღვრავენ ბოროტების წყაროს. საერთოდ, მკითხველ საზოგადოებას, გაზეთებში დაბეჭდილი წერილების წაკითხვის შემდეგ, გამოაქვს მხოლოდ ის შთაბეჭდილება, რომ აუცილებელია ჩატარდეს რეფორმა. მაგრამ როგორი რეფორმების ჩატარებაა საჭირო, ვინ როგორ ჩაატარებს მას—ეს კითხვა კითხვად რჩება.

მე იმ მიზნით არ ჩამოვაგდე მორიდებული სიტყვა რკინიგზის საქმისადმი ჩვენი პრესის პრაქტიკული დამოკიდებულების შესახებ, რომ თვით მე წარმომედგინა აუცილებელი რეფორმების პროგრამა. სად ჩვენ და სად ამგვარი ამოცანები... ჩვენ მხოლოდ ის გვინდა, რომ განსახილველი საკითხის შესახებ წარმოგიდგინოთ რამდენიმე საჭირო მითითება, ნაწილობრივ რომ გვიხატავს იმ სიძნელეებს, რომელთაც ანგარიში უნდა გაუწიოს ჩვენი რკინიგზის მომავალმა რეფორმამ.

საერთოდ რომ ვთქვათ, ჩვენში ძალზე არასახარბიელო ბედი აქვთ ყოველგვარ რეფორმას და განახლებას. არსებობს ორიგინალური ფილოსოფიური სკოლა, რომელიც თავისი დაარსების დღიდან ამტკიცებს, რომ რუსეთისათვის უკეთესია შეუჩერებლად იაროს პროგრესის გზით, რომ რუსეთში დასაკონსერვებელი არაფერია და არც არსებობენ სერიოზული კონსერვატორები, მაშინ, როცა დამპალ დასავლეთში უხვადაა დანაშრევები და გაქვავებული სოციალური ფორმები, რომლებიც ხელს უშლიან წინსვლას. მაგრამ ჩვენი „რეფორმატორული ეპოქის“ ყველა რეფორმის მწარე ხვედრმა მნიშვნელოვნად შეარყია ჩემში ამ შეხედულებების მიმართ ნდობა. რა გაჭირვებით ისახებოდნენ, შუშდებოდნენ და იბადებოდნენ ეს რეფორმები, რამდენ წინააღმდეგობას აწყდებოდნენ ჯერ კიდევ ჩასახვისას და როგორ „შეზღუდვებს,“ „ცვლილებებს,“ „შეფარდებებს“, „გაუქმებებს“ განიცდიდნენ ამ ქვეყანაზე გაჩენამდე! ამ ისტორიას ყველა საფუძვლიანად იცნობს.

განა ეს ისტორია არ გვარწმუნებს, რომ ჩვენში არ იგრძნობა არც დანაშრევების და არც ისეთი პიროვნებების ნაკლებობა, რომლებიც დაინტერესებულნი არიან დამკვიდრებული წესრიგის ხელუხლებლად დაცვაში? იმის თქმაც კი შეიძლება, რომ ეს დანაშრევები უფრო ძლიერია, ვიდრე გაუმჯობესებებითა და რეფორმებით დაინტერესებული ადამიანები, მაგრამ ეს არ იქნება სწორი. საქმის არსი ის არის, რომ ჩვენი რეფორმების მომხრენი დილეტანტურად არიან რეფორმებით დაინტერესებულნი, ისინი გულკეთილად ოცნებობენ დაამყარონ დედამიწაზე სიმართლისა და სიკეთის სამფლობელო. ამიტომ მათი ინტერესებიც საქმისადმი წმინდა პლატონური თვისებისაა. რეფორმა მათთვის არ არის სისხლხორცეული, ცხოვრებისეული საქმე, რომელმაც მთელი მათი ყურადღება და ძალები უნდა შთანთქას. ამ თვალსაზრისით, ასე ვთქვათ, ყველა ჩვენი რეფორმები რეალურად და მატერიალურად ეხებოდა მხოლოდ ჯერ კიდევ ბნელ ხალხს, რომელიც შორსაა იმის შეგნებამდე, რომ მისი წვრილმანი, ყოველდღიური პატარა ინტერესები განუყოფლადაა დაკავშირებული რომელიმე რეფორმის ამა თუ იმ გზით წარმართვაზე.

ავიღოთ თუნდაც რკინიგზის საქმე. ჩვენს შორის ვის ეხება რკინიგზის რეფორმა ისე, რომ ითრევდეს ჩვენს უმნიშვნელოვანეს ცხოვრებისეულ ინტერესებს? განა სულ ერთი არაა, კაპიკით მეტს გადავიხდით თუ ნაკლებს ჩვენი ბარგის გადაზიდვაში? ეს კაპიკი მხოლოდ მიწათმოქმედისთვისაა არსებითად მნიშვნელოვანი, რადგან ასატანი ტარიფის შემთხვევაში იგი გაყიდის მოწეულ ჭირნახულს, ხოლო გაბერილი ტარიფის დროს მას ყველაფერი დაულპება. მაგრამ განა მიწათმოქმედს ესმის, რა კავშირია ტარიფებსა და მის პირად კეთილდღეობას შორის?თუმცა კიდეც რომ ესმოდეს ეს, რით შეუძლია დაუჭიროს მხარი რეფორმის ჩატარებას, გარდა იმისა, რომ გულმხურვალედ ევედროს ღმერთს? მაშ ასე, ჩვენ „ინტელიგენტები" სისხლისმიერად არა ვართ დაინტერესებული ამ რეფორმით, ანდა დაინტერესებულნი ვართ იმდენად, რამდენადაც გვაინტერესებს საკითხი, კარგად შეასრულა თუ ცუდად ქალბატონმა დვორეცმა თავის არია „დონ-ჟუანში" (მე არც კი ვიცი, მღერის იგი ამ ოპერაში თუ არა), ხოლო იმათ, ვინც სისხლისმიერაა დაინტერესებული რკინიგზის რეფორმით, ძალა არ შესწევთ დაიცვან თავიანთი ინტერესები. ეს საკითხის მხოლოდ ერთი მხარეა. აი, მეორე მხარე: ბევრი არსებობს ისეთი პირი, რომელიც მთელი სულით და გულით, სისხლისმიერადაც და მა-

ტერიალურადაც დაინტერესებულია იმით, რომ რეფორმა საერთოდ არ ჩატარდეს, ხოლო თუ მისი ჩატარება აუცილებელია, ჩატარდეს ისე, რომ არ გააუქმოს ძველი ნესრიგის არსებითი მხარეები. ამ პირებს ჭიპი აქვთ მოჭრილი რკინიგზის მეურნეობის ყოველგვარი ხრიკების, ტვინის ჭყლეტისა და ფოკუსების ცოდნაში... როგორღა გვაქვს იმის იმედი, რომ „ძალების ასეთი განაწილების" დროს რკინიგზის რეფორმა არ წააწყდება არსებით და გადაულახავ წინააღმდეგობებს? ეს ხომ სასამართლო რეფორმა არ არის. რა წინააღმდეგობა შეეძლოთ გაეწიათ ამ უკანასკნელისათვის გუბერნიის დახავსებულ პროკურორებს და „სამოქალაქო და სისხლის სამართლის სასამართლო პალატის" წარმომადგენლებს, რით უნდა აღსდგომოდნენ წინ რეფორმას, რომელიც ამ დაწესებულებას აუქმებდა. მაგრამ სასამართლო დარგის გაუქმებული თანამდებობის ადრინდელმა მფლობელებმა იცოდნენ, რომ ისინი ან პენსიას მიიღებდენ, ანდა ახალ სასამართლოში ადგილს გამონახავდნენ. მიუხედავად ამისა, ალბათ გახსოვთ, რამდენი ბედუკულმართობა დაატყდა თავს ამ ყველასათვის უწყინარ რეფორმას. სულ სხვა საქმეა რკინიგზა. მისი რეფორმა დააზარალებს რკინიგზის მსხვილ, ყოვლისშემძლე ტუზებს. იგი გააუქმებს ხაზინისა და ხალხის დაუსჯელად ძარცვის წყაროს, შექმნის „პასუხისმგებლობას" იქ, სადაც იგი საერთოდ არ არსებობდა, გარდა დარაჯებისა და მეისრეებისათვის. და თქვენ ფიქრობთ ყველა ამ ინტერესს გულზე ხელდაკრეფილნი დათმობენ, დასაკლავ ბატკანივით უხმოდ დახრიან თავს: „მომჭერით, საერთო სარგებლიანობისათვის!"

გულუბრყვილო ბრძანებულხართ, ჩემო მკითხველო, თუ ამის იმედი გაქვთ. როგორ მოხდა, რომ ამგვარი უსაფუძვლო იმედი გაგიჩნდათ? ნუთუ ჩვენ წარსული არ გაგვაჩნია, რომლის შესწავლა ანათლებს და აბრძენებს ხალხს? ნუთუ დაივიწყეთ რკინიგზის რეფორმის სამწუხარო ისტორია, რაც ჩაფიქრებული იყო სამოცდაათიანი წლების დასაწყისში და რომლის გატარებაც დაევალა რკინიგზის იმ კომისიას, აწგარდაცვლილი გრაფი ე. ტ. ბარანოვი რომ თავმჯდომარეობდა.

ეს კომისია ათ წელზე მეტ ხანს მუშაობდა, ჯერ „სწავლობდა" ყველა ჩვენი რკინიგზის წესდებას, შემდეგ კი შეადგინა რკინიგზის ახალი კანონმდებლობის პროექტი. ამ კომისიის „შრომები" იმხელა მოცულობისაა, რომ მთელ ბიბლიოთეკას შეადგენს. ისინი გამოცემული არიან და თითქმის ასამდე ტომს ითვლიან. კომისიის მუშაობაში მონაწილეობდნენ საკმაოდ პატივცემული პირები: მათ შორის საკმარისია და-

ვასახელოთ გენერალი ანენკოვი, რომელმაც ჯერ ვიწროლიანდაგიანი რკინიგზები გაიყვანა, შემდეგ კი იმიერკასპიის რკინიგზა. რა მოგვცა ამ კომისიის ათი წლის მუშაობამ? არაფერი. მასში შემავალი დილეტანტები ერთ არსებით საკითხსაც კი არ შეხებიან და მათ რეფორმის არავითარი გეგმის შედგენა არ შეეძლოთ. მხოლოდ „ენერგია," მხოლოდ „კეთილი და პატიოსანი" „განზრახვა" საკმარისი არ აღმოჩნდა იმისათვის, რომ ბოროტების ფესვს ჩაწვდომოდნენ და გარდაექმნათ არსებული წესრიგი, ანდა უფრო სწორად, უწესრიგობა. აღმოჩნდა, რომ სულ რაღაც ათი წლის მანძილზე, რაც ჩვენში კერძო რკინიგზები არსებობდა, შეიქმნა მთელი განცალკავებული და ფრანკ—მასონურად ორგანიზებული სამყარო, რომელმაც შეძლო დაეცვა თავის ეგოისტური ინტერესები და აერ-დაერია მისი მოწინააღმდეგეების ყველა გეგმა. „ბარანოვის კომისიის" მიერ გამომუშავებული პროექტი, „რუსეთის რკინიგზების საერთო წესდება," მართლაც არადამაკმაყოფილებელი აღმოჩნდა. უმაღლესმა სახელმწიფო უწყებამ მისგან მხოლოდ ერთი ნაწილი აიღო, რაც კონკრეტულად ეხებოდა „რკინიგზით ბარგის გადაზიდვას და მგზავრების გადაყვანას." სწორედ ეს ნაწილი გამოიცა შემდეგ სახელწოდებით „რუსეთის რკინიგზების საერთო წესდება," რასაც დაემატა კიდევ ერთი თავი, რომელიც ეხება რკინიგზების საბჭოს. ამის მიზეზი იყო იმ ღონისძიებათა აშკარა მერყეობა და არასერიოზულობა, კომისიამ ათი წლის შრომის შედეგად რომ გამოიმუშავა.

როგორ მოხდა ყოველივე ეს? როგორ შეიძლებოდა, რომ სახალხო მეურნეობის ასეთი მნიშვნელოვანი დარგისათვის კანონმდებლური დებულებების გამომუშავება ასეთი მარცხით დამთავრებულიყო? ძალიან უბრალოდ. რეფორმატორები უპირატესად ის ადამიანები იყვნენ, რომლებიც ყოველ მხრივ შესანიშნავი არიან ხოლმე, კეთილგანწყობილნი, გულწრფელად რომ სურთ სიკეთის მოტანა, მაგრამ რომელთაც არაფერი არ ესმით იმ საქმისა, რომლის მოგვარებასაც ხელი მოჰკიდეს გრაფ ბარანოვის ხელმძღვანელობით. მათ არ იცოდნენ, რისთვის მოეკიდათ ხელი, რით დაეწყოთ და იძულებული იყვნენ მთელი თავიანთი დრო დაეთმოთ იმ საქმის წინასწარ „შესწავლისათვის," რომლის რეფორმატორებიც უნდა გამხდარიყვნენ. ამ საქმეს კი მათ „ასწავლიდნენ" ის რკინიგზელები, რომლებიც მათ უნდა მოეწესრიგებინათ, ანუ აელაგმათ და საქონელივით ნივრო‍ტზე გაეშვათ. ამიტომ გასაგებია, რომ თავის საქმის მცოდნე ადამიანებმა მათ „ასწავლეს" მხოლოდ ის, რისი ჩვენებაც მათთვის ხელსაყრელი იყო... ყველაფერი დანარჩენი კი ისევ გაურკვევლობის ბურუსში დარჩა.

საერთოდ, ჩვენს პუბლიცისტებს აქამდე არც ერთხელ არ მიუქცევიათ ყურადღება იმ მდგომარეობის არადამაკმაყოფილებლობისათვის, თუ რა არასახარბიელო მდგომარეობაში არიან მთავრობის ორგანოები მრეწველობისა და ვაჭრობის წარმომადგენლებთან ურთიერთობაში...

76. საუქმო საკითხავი

ამას წინათ, ერთი შემთხვევის გამო, ახალგაზრდა, ბრწყინვალედ განათლებულ ებრაელთან ერთად რკინიგზის ვაგონის ერთ კუპეში აღმოვჩნდი. მატარებელი, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც კუს ნაბიჯით მიცოცავდა შორაპნის ხეობის ვიწროებში მეტისმეტად დაკლაკნილ რკინიგზაზე. ის-ის იყო გავედით ბეჟათუბნიდან, სადაც ცოტათი წავიხემსეთ, უფრო ჩვეულებისა და უსაქმურობის გამო, ვიდრე შიმშილისა. ეტყობა კითხვა მეც მომწყინდა და ჩემს შემთხვევით თანამგზავრსაც. უსაქმურობისაგან ჯერ მთქნარება დავიწყეთ, შემდეგ ბუნების სილამაზით ვტკბებოდით, ბოლოს კი, როგორც ეს ყოველთვის ხდება, ფილოსოფოსობა წამოვიწყეთ. ეს იგივე თვლემაა აზრისა, განსაკურებით, როცა დროის მოსაკლავად ფილოსოფოსობ:

ჩემს თანამგზავრს სახეზე ეწერა გერბი, სიგელი, წარმოშობით ნამდვილი იერუსალიმელი აზნაური იყო. თანამემამულეთაგან განსხვავებით, კი არ აწუხებდა ეს ამბავი, თითქოს თავიც კი მოჰქონდა ამით. იცოდა რა, რომ ქარ[illegible]ველი ვიყავი, იგი, ჩემი სამშობლოს ბუნების სიმშვენიერის მიმართ ნათქვამი პირველი კომპლიმენტების შემდეგ, პირდაპირ გადავიდა საკითხზე, თუ რა დიდი უბედურება გადაიტანა წარსულ საუკუნეებში ჩვენმა ქვეყანამ და გაავლო ბუნებრივი პარალელები თავის ხალხსა და ჩემს ხალხს შორის. ყველაზე მეტად ის აინტერესებდა, საიდან მოდის ასეთი აღმაშფოთებელი სხვაობა სხვა ხალხებისა და ამ ორი ხალხის ბედს შორის, რომლებიც ძველი, ნიჭიერი და მრავალტანჯული ერებია და თანაბრად დარწმუნებულნი, რომ „ღვთის რჩეულნი“ არიან და ამავე დროს თანაბრად ერთგულნი წინაპართა ტრადიციებისა. თავიდან ლაპარაკი არ აეწყო, მაგრამ მალე გამოცოცხლდა და ისეთ სიღრმეებს მიაღწია, იშვიათად რომ აღწევს საუბარი რკინიგზის ვაგონში.

ამ საუბრისადმი ჩემი დამოკიდებულება რომ გაიგოთ, მინდა წინასწარ შევნიშნო, თუ როგორი დამოკიდებულება მაქვს მე ებრაელებისადმი. ამ გრძნობას მთლიანად გამოხატავს გაცვეთილი რომანის პირველი სტრიქონები:

„ნურაფერს მეტყვით მასზე;

რადგან მიყვარს და მძულს!"

მიყვარს, ანუ უფრო სწორად პატივს ვცემ ამ „ერის" უჩვეულო, და პირდაპირ ვთქვათ, დიდ ძალას, რითაც ყოველთვის იყო გამსჭვალული ყველა მისი შვილი. ისინი მაღალნიჭიერნი არიან, დასახული მიზნისაკენ ჯიუტად, თანამიმდევრულად და სისტემატურად მიისწრაფვიან, უნარი შესწევთ თავის ბოლომდე ალაგმვისა, რაც მათი ხასიათის სიძლიერესა და ნებისყოფის სიმტკიცეზე მეტყველებს, ერთი სიტყვით, ჭკუიდან შეიძლება გადახვიდე, მაგრამ ყოველთვის, როცა გავიხსენებ იმას, თუ რა წვრილმან, მიწიერ, უღირს მიზნებს ემსახურება გონებისა და სულის ეს დიდი ძალა, ან აღშფოთება მიპყრობს, ან ზიზღის გრძნობა. ჩემი თანდაყოლილი „ძლიერების კულტი", რასაც ვაფასებ და ვაღიარებ მხოლოდ იმისათვის, რომ თუ ეს ძალა ჭეშმარიტია, არ შეიძლება არ იყოს კეთილი და გონივრული... თმის ძირებამდე წითლდება პროფანაციისა და თავის კერპების პროსტიტუციის გამო.

... ეტყობა, საუკუნეების მანძილზე ეს მთები იყო თქვენი მხსნელი თქვენი რჯულისა და დამოუკიდებლობის მოძულე მტრების შემოსევისაგან,—ფილოსოფოსობდა ჩემი თანამგზავრი,—ჩვენ კი გარედან არაფერი გვიცავდა და სწორედ ეს გვღუპავდა...

—ვითომ ასე იყო? ცხადია მთები და ხეობები თავდაცვის დროს ხელსაყრელ პირობებს ქმნის, მაგრამ პირველ დამარცხებამდე, დამეთანხმეთ, რომ როცა მტერმა დაიკავა ისინი, ყველა ხელსაყრელი თვისება, რასაც ისინი ქმნიან, მტრის ხელში გადადის და თქვენ ისევე გიშლით ხელს გაყაროთ ისინი ქვეყნიდან, როგორც მას უჭირდა მისი დაპყრობა. რაკი ბუნებრივი სიმაგრეები მტრის ხელში გადავიდა, თქვენ ქვეყნის განსათავისუფლებლად და ასაღორძინებლად გაცილებით უფრო უძლური ხართ, ვიდრე ტრიალ მინდროში იქნებოდით... როცა არაბები, თურქები, სპარსელები და სხვა დანარჩენი მუსლიმანები ჩვენს ქვეყანას იპყრობდნენ, ისინი არ იფარგლებოდნენ მხოლოდ მისი ძარცვით, არამედ ყველა ციხე-სიმაგრეში ტოვებდნენ გარნიზონს, ყველა სტრატეგიულ პუნქტს მტკიცედ ფლობდნენ, აშენებდნენ და ამაგრებდნენ ახალ სიმაგრეებს და მათი იქედან განდევნა გაცილებით უფ-

რო ძნელი იყო, ვიდრე პირველი შემოტევისთანავე მათი ციხესიმაგრეში შემოშვება. მგონი ცნობილია, რომ ბუნებრივი სიმაგრეების დაცვა მათი იერიშით აღებაზე უფრო ადვილია.

საკითხის ამ მხარეს ჩემი თანამგზავრი არათუ არ იცნობდა, არამედ ვერც კი გაიაზრა. მიუხედავად ამისა, იგი ჯიუტად იცავდა თავის აზრს.

—კი მაგრამ, რით ხსნით თქვენ—განაგრძო მან—იმ ფაქტს, რომ თქვენმა ხალხმა, ჩვენს ხალხზე ბევრად უფრო მცირერიცხოვანმა და ჩვენი ხალხის მსგავსად, ყოველი მხრიდან მისი რწმენისა და თვითმყოფადობის მოძულე ურჯულოებით გარშემორტყმულმა, ბოლო დრომდე შეინარჩუნა არა მარტო მორალური და სულიერი არსებობა, არამედ პოლიტიკურიც? დამეთანხმეთ, რომ არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს შედეგი მიზეზის გარეშე! როგორ ფიქრობთ, განა ჩვენ ებრაელები თქვენზე ნაკლებად ნიჭიერნი, ენერგიულნი და თავდადებულნი ვართ? ეტყობა, ან თქვენი ქვეყნის ტოპოგრაფია გშველოდათ, ანდა ძალები, რომლებიც ჩვენ გვიტევდნენ, მნიშვნელოვნად უფრო დიდი იყო იმ ძალებთან შედარებით, რომელთა წინააღმდეგაც თქვენ იბრძოდით... თუმცა ეს გასაგებიცაა... თქვენ ებრძოდით მხოლოდ მუსლიმანურ სამყაროს, მაშინ როცა, ჩვენ ყოველთვის ხან ერთად, ხან ცალ-ცალკე თავს გვესხმოდნენ წარმართებიც, მუსულმანებიც და ქრისტიანებიც.

— ეს უკანასკნელი აზრი უდაოდ მართალია, მაგრამ როგორც ფაქტი. წარმართები და ქრისტიანები არც ჩვენ გვაკლებდნენ ხელს. მხოლოდ ღმერთმა იცის, ვინ უფრო ხშირად გვიპყრობდა და გვანადგურებდა, მუსლიმანები თუ რომაელები, ბიზანტიელები, ტრაპეზუნტელები და ბერძნები. თუმცა ამას მნიშვნელობა არა აქვს. ფილოსოფიური თვალსაზრისით საკითხი სხვაგვარად უნდა დაისვას. რატომ არ დაგხმარებიათ არსად არასდროს არც ერთი ხალხი? რატომ მოხდა, რომ მთელი თქვენი ისტორიის მანძილზე არ აღმოჩნდა არც ერთი ხალხი, რომელიც მოინადინებდა თქვენთან დამეგობრებას, თქვენთვის დახმარების აღმოჩენას, მხარდაჭერას, თავის ოჯახში მიღებას, ან თუნდაც თქვენთან დროებით კავშირის შეკვრას? მართალია, ჩვენც უამრავი მტერი გვყავდა, მაგრამ არც ერთი არ ყოფილა არასდროს ჩვენი მოძულე. იმიტომ კი არ გვესხმოდნენ თავს, რომ აღვეგავეთ პირისაგან მიწისა, არამედ იმიტომ, რომ ჩვენი ქვეყანა მოსწონდათ მეზობლებს, იგი მათ სჭირდებოდათ. ამიტომ ისიც ხდებოდა, რომ ჩვენი მეზობლები, ისინივე, თავს რომ გვესხმოდნენ და სხვებიც, მეგობრობდნენ კიდეც ჩვენთან, ეძებდნენ კავშირს. ჩვენ არაერთხელ გვქონდა

კავშირი და ურთიერთობა სპარსელებთან, ეგვიპტელებთან, სელჩუკებთან და ბიზანტიელებთან.

—თქვენ ფიქრობთ, რომ არ გაკლდათ „პოლიტიკური მოქნილობა", ჩვენ კი იგი საერთოდ არ გაგვაჩნდა. ასე, არა?..

—არა, პირიქით, მოქნილობა, სიმარჯვე, უბრალოდ რომ ვთქვათ, ეშმაკობა ისეთი რაღაცეებია, რაც ხალხებს სიცოცხლეს უწამლავს და მათი დაკნინების ჩანასახს ატარებს. ეშმაკობა—ეს არის „სულელების ჭკუა—ანუ სრული ნონსესი. ეშმაკობით არათუ სახალხო და სახელმწიფო ასპარეზზე, არამედ კერძო ცხოვრებაშიც კი ვერ წახვალ შორს. არა, ეს არ გაკლდათ თქვენ.

—საინტერესოა, აბა, რა გვაკლდა?

ამ უკანასკნელი კითხვის სარკასტულობამ მოთმინებიდან გამომიყვანა და მე ერთი ამოსუნთქვით, შეუჩერებლად, მოურიდებლად მივახალე:

— იცით რა, თქვენ სიმახინჯემდე ცალმხრივი ხალხი ხართ. არ ვიცი, რის ბრალია ეს, თქვენმა ბუნებამ თუ გარემოებამ მოგახვიათ ეს თავს, მაგრამ თქვენი ხასიათი მხოლოდ ცალმხრივადაა განვითარებული, კერძოდ კი განვითარებულია მისი გონებრივი მხარე. მე ამ მხარეს ძალიან, ძალიან ვაფასებ და ვაფასებ არა მარტო როგორც კერძო პირის თვისებას, არამედ მთელი ხალხისა. საცოდავია პიროვნება ან ხალხი, რომელსაც არ შეუძლია შეუფარდოს თავის ამოცანები თავის შესაძლებლობას, არ შეუძლია გამოთვალოს და სწორად გაიანგარიშოს. მაგრამ ადამიანის ხასიათს, ბუნებას, ცხოვრებას აქვს სხვა, უფრო მნიშვნელოვანი მხარეებიც, რაც თქვენ ან საერთოდ არ შეგიძენიათ, ანდა ჯერ კიდევ მოსეს მოსვლამდე დაკარგეთ. თქვენ არ შეგიძლიათ იყოთ უძვირფასესი შემადგენელი ელემენტი იმ სახელმწიფო ცხოვრებაში, სადაც უმნიშვნელო უმცირესობა იქნებოდით, ცხადია იმ შემთხვევაში, თქვენ რომ შეგეძლოთ უარი თქვათ ამ სახელმწიფოს საერთო ამოცანების წინააღმდეგ მოქმედებაზე, მაგრამ თქვენ ვერაფრით ვერ შესძელით გეცხოვრათ თავისთავად, თქვენს პოლიტიკურ ცხოვრებას არასოდეს უდგებოდით სერიოზულად და ვერც ვერასოდეს შესძლებთ ამას, რადგან გარდა ანგარიშიანობისა, არაფერი არ გაგაჩნიათ, მხოლოდ ანგარიშიანობაზე კი ვერ ააგებ სახელმწიფოს ცხოვრებას. იგი დაფუძნებულია, აგრეთვე, ვნებათაღელვაზე, გატაცებებზე, სიყვარულზე, თქვენ კი სწორედ ეს თვისებები არ გაგაჩნიათ, და არ გააჩნია არა ცალკეულ ინდივიდს, არამედ მთელ ხალხს. თქვენ, თავიდან ფეხებამდე ეგოისტები ხართ და გარდა თქვენი თავისა, არავის სიყვარული არ შეგიძლიათ. ამაშია მთელი თქვენი ძალა და

ამავე დროს, მთელი თქვენი ორგანული უძლურებაც. თქვენი თანდაყოლილი ეგოიზმით, იძულებული ხართ ეევედროთ, თავი დაიმციროთ, პროფანაცირება უყოთ ღმერთის მიერ თქვენთვის უხვად ბოძებულ გონებისა და ნებისყოფის ძალას, რადგან ეგოიზმი ასვამს ყოველ თქვენ ძალას, ნიჭს და საქმეს გაუცხოების, უფრო გულახდილად რომ ვთქვა, დამდაბლების ცეცხლოვან ბეჭედს: ეს არის მტრული დამოკიდებულება მთელი დანარჩენი კაცობრიობის მიმართ. თქვენ არასოდეს გქონიათ და არც შეიძლება გქონდეთ ის „სულიერი ამაღლება", გმირობის ის სიდიადე, ის ყოვლისმპყრობელი ძალა, რაც სიყვარულისათვისაა დამახასიათებელი. ხალხის ცხოვრებაში, სახელმწიფოს პოლიტიკურ ისტორიაში ჩვეულებრივი ფაქტები—როცა ირღვეოდა ბრძენი ადამიანების გაანგარიშებები და მათ ძლევდა „გარდუვალ სიკვდილზე" მიმავალი ხალხის გახელება—მაშინ ეს ფაქტები და ეს გახელება აღმოჩნდებოდა უდიდეს სიბრძნედ და უგონიერეს გაანგარიშებად, რადგან „ასეთი გახელების მსხვერპლი" სჭირდებოდა ისტორიის თვალით დაუნახავ ღმერთს, რომელიც ძალას, უკვდავებას, სამუდამო ხსოვნას მხოლოდ ისეთი ბუნების ადამიანებსა და ხალხებს ანიჭებს, რომელთაც გარდა ჩვეულებრივი ცხოვრებისა და მატერიალური სარგებლიანობისა, შეუძლია, აგრეთვე, დაისახოს უმაღლესი მნიშვნელობის ამოცანები. არა ერთხელ, არამედ ასჯერ და ათასჯერ მიუნდვია ჩვენს ხალხს ბედისათვის მთელი თავისი მომავალი არსებობა, რასაც თქვენ გაუანგარიშებელს უწოდებთ. ბევრჯერ შებმია იგი მტერს, როცა ერთ კაცზე ასი მოდიოდა და იცავდა არა იაფფასიან, არამედ საუკუნოვანი ღირსებების ინტერესებს. და არა მარტო მეგობრებმა, მტრებმა ისწავლეს მისი მოვალეობისადმი ერთგულების, ფიცის გაუტეხლობის, ღირსებისა და თავისუფლების პატივისცემა. აი, რა იყო მთელი ჩვენი ძალა. თქვენი აზრით, სამშობლოსადმი ამ გმირულ, უანგარო, თავქარიან სამსახურს ჩვენი ხალხი ხშირად მიუყვანია უფსკრულის პირას. ჩვენ ვეცემოდით, ვიფიტებოდით და „მხოლოდ ზარმაცი არ გვთელავდა ჩვენ". მაგრამ ბოლოს და ბოლოს ის ზარმაციც კი წითლდებოდა სირცხვილისაგან... მაგრამ ჩვენ უკვალოდაც რომ გავმქრალიყავით ამ ბრძოლებში, რომლებიც ყველა ხალხის გაგებით გათანაბრებულია რაინდულთან, მაშინაც კი ჩვენი ხსოვნა გადაასწრებდა ბევრი იმ „გონივრულად მოაზროვნე", „ანგარიშიანი" ხალხის ხსოვნას, რომელთა მთელ სიბრძნეს, ჩვეულებრივ, მივყავართ პირველივე შემხვედრი მეზობლის მიერ დაპყრობამდე, იმ მეზობლისა, რომელსაც უნარი შესწევს არა მარტო საკუთარ ფეხებს დახედოს, არამედ დაინახოს ცაც, მზეც და ირგვლივ გარშემორტყმული ბუნებაც.

ანალიზის მიხედვით, მამაცი ღმერთსაც უყვარს, განსაკუთრებით მაშინ, როცა მამაცი პატიოსანი, მართალია და საერთო სარგებლიანობისა და გმირული საქმეებისათვის იბრძვის. აი, რა გაკლდათ თქვენ ყოველთვის. მთელი თქვენი ყურადღება, ფიქრები, ძალ-ღონე შეაჩერეთ მდაბალ, ეგოისტურ ინტერესებზე, თქვენ, თქვენი თავის გარდა, არავინ არ გიყვართ, თქვენთვის ყველა უცხოა. აი, რატომ არ გექნებათ არასოდეს სხვა ძალა და ვერ წარმართავთ მას, გარდა თქვენი საკუთარი ძალისა. ეს ძალა კი ძალზე ცოტაა იმისათვის, რომ დაუპირისპიროთ თქვენი თანამოქალაქეების ძალა მსოფლიოს ყველა ხალხის ძალას... პირადად თქვენ შეიძლება მდიდარიც იყოთ, ოქროც ბევრი გქონდეთ, ბედნიერებაც და ბრწყინვალებაც, მაგრამ თვით თქვენი გაუცხოება თქვენი თანამოძმეებისგანაც კი გამოჭამს და გააცამტვერებს მაგ თქვენ სიმდიდრეს. თქვენს ბრძენთაგან უმნიშვნელოვანესმა, რადგან იგი დიდი პოეტიც იყო, დიდზე დიდი ხანია გინინასნარმეტყველათ ამგვარი სიმდიდრის „ამაოება ამაოთა", რითაც ამაოდ მიგითითათ, რომ მხოლოდ სიყვარულია ძლიერი და დაუმარცხებელი... ეტყობა ჩემი ებრაელი მიხვდა, რომ სრულიად უაზროა კამათი ადამიანთან, რომელსაც კამათში გრძნობისა და ვნებათაღელვის ელემენტები შემოაქვს.

77. საუქმო საკითხავი

გზათა მიმოსვლის მინისტრი, ადმირალი კ.ნ. პოსიეტი დაითხოვეს თანამდებობიდან რომელიც მას მთელი ცამეტი წლის მანძილზე ეჭირა. შემიძლია წარმოვიდგინო შთაბეჭდილება, რასაც ამგვარი ცნობა მოახდენდა ევროპის ქვეყნების სამინისტროებზე, უცხოურ გაზეთებს რომ ჩვევად ჰქონდეთ, მიაწოდონ თავიანთ მკითხველებს ცნობები რუსეთის სახელმწიფოებრივი ცხოვრების შესახებ*, არა, თქვენ მხოლოდ დაფიქრდით, შედით რომელიმე ფლოკეს ან გლადსტონის ტყავში და მდგომარეობაში და შეხედეთ მათი თვალებით პოსიეტის დათხოვნის ფაქტს.

—ბედნიერი კაცია—იფიქრებს ალბათ საფრანგეთის მინისტრი —მან შეძლო თავის თანამდებობაზე ცამეტი წელი ჯდომა მაშინ, როცა ჩვენ-

* საერთოდ, ევროპის ყოველდღიურ (პოლიტიკურ) პრესაში შეუდარებლად მეტი იბეჭდება კონგოზე, ტონკინზე, ვიდრე რუსეთზე, რომლის შესახებაც ცნობა და ისიც სულელური შეიძლება მხოლოდ თვეში ერთხელ ამოიკითხოთ.

ში, 1885 წლიდან სამი წლის მანძილზე, ზუსტად ექვსი მინისტრი გამოიცვალა, რომელთაგან ვერცერთმა ვერ შეძლო ხელისუფლების ერთ წელზე მეტ ხანს შენარჩუნება. რა „ხელისუფლება“ გყავთ ამისთანა? ჩვენში მთელი გონებრივი და სულიერი ძალები სჭირდება იმას, რომ უარყო ყველა იმათი თავდასხმა და კრიტიკა, ვინც ან იყო, ან უნდა რომ იყოს მინისტრი. იარე ყოველდღე პალატაში და იორატორე, თუ არა და ელოდე თავდასხმას და აქნიე კუდი რვაასამდე მბრძანებლის წინაშე, რომელთა შორის არ იცი, ვინაა შენი მტერი და ვინ მოკეთე და განა მარტო პალატა. ყოველ მჯღაბნელს აქვს უფლება გაამხილოს გაზეთებში მხოლოდ იმის საფუძველზე, რომ შენ, რომელსაც მინისტრს გაწოდებენ, არ ჩამოგაქვს მთვარე ციდან, ან იმისათვის, რომ შენი მინისტრობის დროს და ასევე შენამდელი მინისტრების დროსაც მდინარეები ჩვეულებრივ თავის კალაპოტით მიედინებოდნენ და წყლის მაგივრად რძე არ მოჰქონდათ. ეს ხელისუფლება კი არა, წმინდა წყლის კატორღაა. ვერ მოასწრებ გონს მოხვიდე, ეს-ეს არის შეუდექი მუშაობას და საქმის გაუმჯობესებას, წარადგენ პროექტს, ფიქრობ რაღაც კვალი მაინც დატოვო ცხოვრებაში და უეცრად გადაგაყენებენ. მითხარით ერთი, რის განხორციელება შეიძლება სამ-ოთხ თვეში? არათუ მსხვილ რეფორმას ვერ გაატარებ ამ ხნის განმავლობაში, არამედ პატარა ხიდსაც კი ვერ ააშენებ და მთელი შენი მინისტრობიდან გრჩება მხოლოდ „სასიამოვნო მოგონებები“, რომ ოდესღაც იყავი მინისტრი და როცა სამინისტროს მარმარილოს კიბეზე ადიოდი, შენს წინაშე კარებიც თავისით იღებოდა ყურთამდე და კურიერები და ზედამხედველებიც იატაკამდე გიხრიდნენ თავს. დამეთანხმეთ, ძალიან წვრილმანი ბუნების კაცი უნდა იყო, რომ თავი დაიმშვიდო და დაკმაყოფილდე ამგვარი „ტკბობით“. სულ სხვაგვარადაა საქმე იქ, შორს, ჩრდილოეთში, ჰიპერბოლურ ქვეყანაში, სადაც მინისტრებს მართლაც აქვთ ხელისუფლება და შესაძლებლობა იმისა, რომ მოიფიქრონ, აწარმოონ და განახორციელონ ყველაფერი, რაც მიზანდასახულად მიაჩნიათ, სადაც არც ადამიანები, არც დრო, არც წესწყობილება ხელს არ უშლიან მათ ჩაწერონ თავიანთი სახელი დიდი ხალხის ისტორიის ფურცლებზე. დიახ, მომეცით მე—დაასკვნიდა ბატონი ფლოკე—ასეთი პირობები—ცამეტი წლის მანძილზე მინისტრობის საშუალება, თუნდაც ამის ნახევარი დროით და მე ხალისით დავთანხმდებოდი ამის შემდეგ არა მარტო მინისტრობისათვის დამენებებინა თავი, არამედ ცოცხლად დავაგლეჯინებდი თავს პარლამენტართაგან ყველაზე „სისხლისმსმელ მტაცებელ მხეცებს.“

ცხადია, ყოველივე ამას „ხუმრობის“ გამო ვიგონებ, რადგან ერთი ბენოთითაც არაა საეჭვო, რომ ბატონ ფლოკეს არაფერი ამდაგვარი გაფიქრება არ შეეძლო ორი მოსაზრების გამო, რომელთაგან თითოეული საკმარისია იმისათვის, რომ დარწმუნდეთ მეორის მოტანის უსარგებლობაში: ჯერ ერთი, ბატონმა ფლოკემ, როგორც უცხოელმა, არაფერი იცის არა მარტო მინისტრის შეცვლაზე, არამედ ბატონი კ.ნ. პოსიეტის მინისტრობის ხანგრძლივობაზეც და შეიძლება ამ უკანასკნელის არსებობაზე. მეორეც, ახლა მას რუსეთის საქმეებისათვის არ ცალია. საბრალოს სამსახურიდან გადადგომა ბედნიერების ისეთ მიუწვდომელ არკადიად ეჩვენება, რომ ჯერაც ვერ მიმხვდარა, რატომ ისწრაფვოდა ოდესღაც მინისტრობისაკენ. ხოლო იმასაც თუ გაიგებს, რომ კ.ნ. პოსიეტი სამსახურიდან გადადგა, ალბათ შურით წამოიძახებს: „ბედნიერი კაცია, დაიძინებს, დაისვენებს შრომისაგან. უფლება ექნება იძინოს რვა საათამდე, ისაუზმოს რომელ რესტორანშიც უნდა, იაროს თეატრში...“

ერთი სიტყვით, ბატონი ფლოკე საქმეს შეხედავს და შეაფასებს იმ პარიზელის იდეალების თვალსაზრისით, რომელიც საფრანგეთის მინისტრი იყო.

მე დღევანდელი ფელეტონი იმ განზრახვით დავიწყე, რომ „შემეჯამებინა“ მინისტრის პოსტზე კ.ნ. პოსიეტის მოღვაწეობა. მაგრამ რაც უფრო მეტს ვფიქრობ ამაზე, მით უფრო მეტად ვრწმუნდები, რომ ჩვენს მდგომარეობაში აზრი არა აქვს ასეთი მიზნის დასახვას. აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ ყველაფერს ვერ იტყვი, ამიტომ ტვირთად მანვება და მაბეჩავებს ამ მხრივ ჩემი მთელი რიგი წარუმატებელი ცდა. ალბათ ამით აიხსნება, რომ ფელეტონის ნახევარი შევავსე არაფრისმთქმელი სისულელეებით, რომელთაც არაფერი აქვთ საერთო იმ სიუჟეტთან, თავში რომ მიტრიალებს. და მართლაც, საიდან მომივიდა უეცრად აზრად შემექმნა ლექსი ბატონ ფლოკეზე. აღმოსავლური გამოთქმა რომ ვიხმაროთ, იქნებ ეს „ბედმა მიმითითა“? როგორც ცრუმორწმუნე „აღმოსავლელი კაცი“, ვემორჩილები ამ მითითებას, კ.ნ. პოსიეტზე და საერთოდ ჩვენი გზათა მიმოსვლის სამინისტროზე სიტყვის თქმას თავს ვანებებთ და გავაგრძელებთ საფრანგეთის პრემიერზე ლაპარაკს, მაგრამ არა სერიოზული, არამედ ანეგდოტური ტონით.

საფრანგეთის პრემიერის მიერ წარმოთქმულმა უკანასკნელმა სიტყვამ ჩემს მეხსიერებაში აღადგინა ერთი დავიწყებული, სასაცილო ანეგდოტი, რაც მე ახალგაზრდობაში შემემთხვა სწორედ ბატონი ფლოკეს წყალობით.

ამბავი ხდება 1865 წელს ჟენევაში. ადგილობრივი რადიკალური პარტიის თავმჯდომარემ, ჯეიმს ფაზიმ, რომელიც ერთი წლის წინათ გაანთავისუფლეს მინისტრობიდან. თავისი გაზეთის „La Suisse radicale" მეშვეობით ცხარედ იბრძოდა იმ კონსერვატორების წინააღმდეგ, რომელთაც ხელიდან გამოაცალეს ხელისუფლება, ორ ათეულ წელიწადს რომ სრული ძალაუფლებით ფლობდა. სხვათა შორის, ბრძოლას იგი ნომინალურად აწარმოებდა. ბატონი ფაზი თავის გაზეთსაც კი არ განაგებდა და ალბათ მოუცლელობის გამო მის წერილებს არც კი კითხულობდა. გაზეთის რედაქციას განაგებდა ვიღაც დიუკასი, ფრანგი, ადგილობრივი უნივერსიტეტის ღვთისმეტყველების ფაკულტეტის სტუდენტი, რომელიც სამღვდლოდ ემზადებოდა და თითქმის არავითარი პოლიტიკური განათლება არ ჰქონდა მიღებული. ბატონი დიუკასიც გაზეთს ნომინალურად განაგებდა, რადგან მოწინავე წერილების უმეტესობას ვწერდი მე, ხოლო ყველა დანარჩენი განყოფილება წერილებს ფრანგული და შვეიცარული გაზეთებიდან ჭრიდნენ და ამავე დროს ამას გაზეთის მთავარი ამწყობი აკეთებდა. ჩემი წერილები გამოირჩეოდნენ დაუნდობელი რადიკალიზმით, დასკვნების ისეთი სწორხაზოვნებით და ლოგიკურობით, როგორიც ახასიათებს მუხლგაუმაგრებელ, გამოუცდელ ახალგაზრდობას. ამ დროს ბერნში გაიმართა ევროპელ რადიკალთა ყრილობა ჩვეულებრივ სიტყვების წარმოთქმით, ბრალდებებით, პროექტებით და ა.შ. ყრილობის წევრები, რომელთაც ბევრი იორატორეს, მისი დამთავრების შემდეგ, ჟენევაში ჩამოვიდნენ და ბევრმა მათგანმა საჭიროდ ჩათვალა წვეოდა „La Suisse radicale" რედაქციას, რათა გამოეხატა მისთვის თანაგრძნობა და პატივისცემა მისი მგზნებარე რადიკალიზმისათვის. დელეგაციის წევრთა შორის იყო ბატონი ფლოკეც, რომელმაც მაღალფარდოვანი სიტყვებით და მკერდზე ხელის ბაგუნით დაიქუხა, რომ ალბათ არც დიდი სენ-ჟიუსტი, არც კიდევ უფრო დიდი რობესპიერი უარს არ იტყოდნენ ჩვენი გაზეთის „დოქტრინის" მიღებაზე. მე და ბატონი დიუკასი ისე ვიყავით აღტაცებული ასეთი ქებით, რომ ბატონი ფლოკე უახლოეს კაფეში მივიწვიეთ, სადაც ანათემას გადავეცით ნაპოლეონ III და სადაც, ცხადია, რადიკალიზმის უახლოეს ხანებში გამარჯვების წინასწარმეტყველებას ბოლო არ უჩანდა. ფლოკემ გვთხოვა მიგვეყვანა იგი ადგილობრივ პარლამენტში. მეორე დღეს უნდა შემდგარიყო პარლამენტის „მნიშვნელოვანი" სხდომა. ფაზის თავის შემცვლელები უნდა გაენადგურებინა.

მეორე დღეს, გათენდა თუ არა, ბატონი ფლოკე მოვიდა ჩვენთან „პანსიონში", სადაც მე და ბატონ დიუკასს, ცხადია, მეშვიდე სართულზე, პატარა სათავსოები გვეკავა. ჩემი სათავსოს დახავსებულ სარკმლიდან, რომელიც მჭიდროდ არასოდეს არ იკეტებოდა, მოჩანდა ჟენევის ტბის ლამაზი ხედი და თეთრად მოქათქათე მონბლანი. ბატონი ფლოკე ამ ხედმა კი არ მოიყვანა აღტაცებაში, არამედ ჩემმა სათავსოსმაგვარმა ოთახმა, რომლის მსგავსშიც თურმე სენის სანაპიროზე ოდესღაც ცხოვრობდა სენ-ჟიუსტი. ამ შემთხვევასაც მიუძღვნა სიტყვა ლოდისმაგვარ მკერდზე ხელის ბაგუნით იმის შესახებ, რომ მომავალი ეკუთვნის მხოლოდ იმ ახალგაზრდებს, რომლებიც სახლებისა და იდეების ყველაზე მაღალ სართულებზე ადიან და ჰორიზონტისა და მოვლენების ყველაზე შორეულ ცისკიდურს ხედავენ. აქედან სამივე პარლამენტისაკენ გავემართეთ, სადაც „სამყაროს მომავალი გამგებლები," დიდი ნვალებისა და ახსნა-განმარტების გარეშე, არ შეგვიშვეს. ჩვენ მოგვათავსეს ქანდარაზე, დაუჯერებლად მახინჯ შინაბერა ქალებსა—ჟენევაში თითქმის ყველა ქალი შინაბერაა და მახინჯ, გადამდგარ პასტორებსა და ქსენძებს შორის. როცა სხდომა დაიწყო, ფაზი ავიდა ტრიბუნაზე და დაიწყო იმ მინისტრების მხილება, რომლებმაც ახლახან დაიწყეს თავიანთი მოვალეობის შესრულება და ეტყობა, ჯერ კიდევ ვერ ერკვეოდნენ თავიანთ საქმეში. აღარ მახსოვს, როგორ მოხდა, მაგრამ ყოველ ბრალდებაზე, რასაც მათ ჯეიმს ფაზი უყენებდა, მინისტრები თავიანთი ადგილებიდან დროგამოშვებით წამოიძახებდნენ, ჩვენ ასე იმიტომ ვიქცევით, თქვენს პირად მაგალითს ვბაძავთო, თქვენ ხომ ამა და ამ წლის ამა და ამ რიცხვში სწორედ ასე მოიქეცითო. დეპუტატები, ცხადია, ხმამაღლა ხარხარებდნენ ყველა ამგვარ შემთხვევაში და ორატორს სწორედ დროულად აწყვეტინებდნენ სიტყვას. გასაგებია, რომ ფაზი ცხარობდა, ბრაზობდა. ბოლოს თავი ვეღარ შეიკავა და იღრიალა.

—მომეცით სიტყვის თქმის შესაძლებლობა, ხოლო თუ ტრიბუნის თავისუფლად გამოყენება აღარ შეიძლება, მე ტრიბუნიდან ჩამოვალ!

—დიდი არაფერი დაშავდება—უპასუხა მას ათიოდე ხმამ.

ფაზიმ საზეიმოდ ჩაალაგა ქაღალდები თავის პორტფელში, აღშფოთებული სახით ჩამოვიდა ტრიბუნიდან და სხდომის დარბაზი დატოვა.

პარლამენტი თავშეუკავებლად ღელავდა, ხარხარებდა, ხვიხვინებდა. ამ დროს ქანდარიდან დარბაზში გაისმა ბატონ ფლოკეს მენტორული ხმა, იმ ქანდარიდან, სადაც არავის არა აქვს უფლება კრინტი დაძრას ან ტაში დაუკრას:

—ჩვენ პროტესტს ვაცხადებთ სიტყვის თავისუფლების ამგვარი დარღვევის გამო და მასიურად ვტოვებთ აქაურობას!

და ფლოკე თეატრალურად გავიდა. მე და დიუკასი იძულებული გავხდით უკან გავყოლოდით. სამწუხაროდ, არათუ არავითარმა მასებმა, შინაბერა ქალებმაც კი არ ჩათვალეს საჭიროდ უკან გამოგვყოლოდნენ...

მას შემდეგ არსად არ მინახავს ბატონი ფლოკე. მე უბრალოდ მრცხვენოდა დავნახებოდი მას და ამით უხერხულ მდგომარეობაში ჩამეყენებინა, გამეხსენებინა მისი სასაცილო გამოხდომა. მთელი დღე ჩემს პატარა სათავსოში ვიწექი, სირცხვილით ვიწვოდი და ვწუხდი, რომ არ მქონდა შესაძლებლობა და სახსრები იმ წამსვე გავქცეულიყავი ჟენევიდან. წარმოიდგინეთ ჩემი წამება, როცა მეორე დილას კონსერვატიულ ორგანოში „Journal de Geneve" წავიკითხე პარლამენტის სხდომის აღწერა, სადაც ფაზის სიტყვებისა და გამოხდომის შემდეგ, იწყებოდა სხდომის შიშველი აღწერა, რაც ახლაც კი მახსოვს სიტყვასიტყვით:

„ქანდარიდან გაისმა შარლ ფლოკეს სიტყვები: „ ჩვენ პროტესტს ვაცხადებთ სიტყვის თავისუფლების ამგვარი დარღვევის გამო და მასიურად ვტოვებთ აქაურობას! (ბატონი ფლოკე და მისი ვიღაც ორი მეგობარი მასიურად ტოვებენ დარბაზს)".

არ ვიცი რატომ, მაგრამ მგონია, რომ თავის სამინისტროდან, თავისი ისტორიული ცხოვრებიდან ბატონი ფლოკე უნდა გამოვიდეს ზუსტად ისეთივე ხმამაღალი ფრაზით და ორი უნებური „მეგობრისა" და არა მასების თანხლებით, როგორც ეს მოხდა ოცდასამი წლის წინათ.

დამრჩა დავსძინო, რომ ერთი თვის შემდეგ ჩემი მეტისმეტად მძაფრი წერილისათვის პასკალ დიუპრეს წინააღმდეგ, რომელიც ჯეიმს ფაზის მეგობარი და თანამოაზრე აღმოჩნდა, ფაზიმ მეც და დიუკასიც წიხლის კვრით გამოგვყარა თავის გაზეთიდან და თანაც გვითხრა, რომ იგი არ ცნობს არავითარ „პრინციპებს", როცა ისინი მიმართულია მისი პირადი მეგობრების წინააღმდეგ. მეორე დამატება: რადიკალური პარტიის ეს ოფიციალური ორგანო (უწინ მთავრობის ორგანო იყო) თანამშრომლებს მოწინავე წერილში უხდიდა 10 ფრანკს (ვ.მ.), ანუ შეუდარებლად ნაკლებს, ვიდრე გაზეთი „კავკაზი" უხდის.

78. საუქმო საკითხავი

შეიძლება ახლა ცოტათი დაგვიანებული იყოს უბედურ ემანუელ მანის სიკვდილიზე ლაპარაკი, განსაკურებით მას შემდეგ, რაც ამ ამბის შესახებ ნათქვამი იყო „ნოვოე ობოზრენიეში", მაგრამ მე არ შემიძლია უხმოდ ავუარო გვერდი ამ მოვლენას, რაც, უდაოდ, მრავალმნიშვნელოვანია ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის. ამისათვის პირადი და საერთო საფუძველი მაქვს. დავიწყოთ იმით, რომ „Ich auch bin in Arcadien geboren" მე პირადად ვიცნობდა მანის, როგორც მისი „ძლიერების და დიდების" დროს—ეს იყო ვენაში 1868 წელს—ასევე ოცი წლის შემდეგაც, როცა მას ბათუმში ძველი დიდების ნარჩენებით გაჰქონდა თავი. მისი ისტორია პრესაში არც ისე ზუსტად იყო გაშუქებული. სინამდვილეში ეს იყო გულიანი, პატიოსანი, თავაზიანი, იშვიათი თვისებების მქონე ადამიანი, მასთან ნაცნობობამ ჩემზე ღრმა და სასიხარულო შთაბეჭდილება დატოვა. ისეთი სიყვარულით მექცეოდა, როგორც ნამდვილ ღვიძლ ძმას და მეხმარეობდა თვალსაჩინოდ გავცნობოდი ავსტრო-უნგრეთის სხვადასხვა სპეციალური წარმოების ხასიათს. მიუხედავად იმისა, რომ უზომოდ დაკავებული იყო შეკვეთებითა და საქმეებით, ყოველ წუთს ითვლიდა და აფასებდა, იგი მთელი დღეები მგზავრობდა ჩემთან ერთად, მათვალიერებინებდა სხვადასხვა სახის ქარხნებს, ფაბრიკებს, ვენის შემოგარენს და არაადამიანურად ირჯებოდა იმისათვის, რომ მოეპოვებინა ჩემთვის ქარხნებისა და ფაბრიკების მეპატრონეების ძნელად მოსაპოვებელი ნებართვა, უფლება მოეცათ გავცნობოდი მათ საწარმოებს. იგი რომ ამ მისწრაფებით გამსჭვალულიყო—თითქოს ეს მისი პირადი საქმე იყო—საკმარისი აღმოჩნდა შეეტყო ჩემგან, რომ მე მსურდა ყველა ამ წარმოებიდან ჩვენში, კავკასიაში გადამენერგა თუნდაც რაიმე, რისი გამოყენებაც კი შესაძლებელი იქნებოდა. ეტყობა, ამგვარი ამოცანა ეწინააღმდეგებოდა მის პირად ინტერესებს, როგორც ამიერკავკასიის ვაჭრობის ვენელი კომისიონერისა და, ამიტომ ისიც გასაგებია, რომ იგი უშუალოდ იყო დაინტერესებული ხელი შეეშალა ჩვენში დამოუკიდებელი მრეწველობის განვითარებისათვის. მაგრამ მიუხედავად ამისა, მაინც გულმოდგინედ მეხმარებოდა ზუსტი ციფრობრივი მონაცემების, გეგმების, მასალების, ცნობებისა და საიდუმლოების მოპოვებაში, რასაც უმისოდ ვერაფრით ვერ მოვიპოვებდი. ცხადია, ყოველივე ეს ხდებოდა უფასოდ, მხოლოდ იმის სურვილით, რომ ხელი შეეწყო სასიკეთო და სასარგებლო საქმისათვის, მხოლოდ მეგობრული დახმარების გრძნობით, რადგან თავიდანვე მტკიცე უარი განაცხადა მისი შრომისა და სამსახურის ანაზღაურებაზე.

განა მართალი არაა, რომ ამგვარი საქციელი ყოველ მხრივ ახასიათებს პიროვნებას? მანი იყო გათვითცნობიერებული, განათლებული ადამიანი, მისი ცოდნა მნიშვნელოვნად აღემატებოდა კომერციული ფენის საშუალო განათლების დონეს, იყო თავმდაბალი, შრომისმოყვარე, ბეჯითი და წესიერი კაცი. იგი ყველას ნდობით სარგებლობდა და ახალგაზრდობიდანვე მიაღწია ისეთ მდგომარეობას, რაც ყველა კომისიონერს და კომერსანტებს შეშურდებოდა. თუ ასეთი იყო, რატომ დაიღუპა ან რამ გამოიწვია მისი მარცხი?

ღრმა და მნიშვნელოვანმა მიზეზებმა დაღუპა მოკვდავთა შორის ეს სიმპათიური პიროვნება. უპირველეს ყოვლისა, საქმეთა საერთო მიმდინარეობამ. მანი სიმპათიით იყო განწყობილი სომეხი კომერსანტების მიმართ და მათგანაც სამაგიეროს ღებულობდა. სანამ ჩვენი საბაჟო პოლიტიკის კანონების მიხედვით ამიერკავკასიელ ვაჭრებს შეეძლოთ უცხოური საქონლით ვაჭრობა, მანიმ შეძლო ხელში აეღო ვენის ამიერკავკასიასთან ვაჭრობის თითქმის მთელი საქმე. ამან მას განსაკუთრებული, შესაშური მდგომარეობა შეუქმნა. იგი ვენაში ხდება, ანუ სპეციალიზდება როგორც ამიერკავკასიის იმპორტის წარმომადგენელი. ყველაფერი საათივით ჰქონდა აწყობილი. და უეცრად აქაური საბაჟო ტარიფების გაზრდამ ჩვენი ვაჭრები იძულებული გახადა ვენაში კი არ შეეძინათ საქონელი, არამედ ვარშავაში. ასე უეცრად და მოულოდნელად მანი მეჩეჩზე აღმოჩნდა: მოქმედების ერთადერთი ასპარეზი ხელიდან გამოეცალა. იგი უსაქმოდ დარჩა, რადგან ამა თუ იმ ქვეყნის ბაზრების დაპყრობას ადამიანის მთელი სიცოცხლე სჭირდება...

ამ სავალალო მდგომარობაში ჩავარდნილი მანი ვენის გაზეთებისა და ამიერკავკასიის ვაჭრებისაგან გებულობს, რომ რუსეთის მიერ ახალშემომტკიცებულ ქალაქებში, კერძოდ ბათუმში ეწყობა პორტო-ფრანკო. მან გახსნა ბათუმში მშვენიერი მაღაზია, რომელიც გაჭედილი იყო ვენური საქონლით. მხოლოდ ეს მოხდა, რომ გარდა ბათუმელებისა, რომლებიც ძალზე ცოტანი იყვნენ, კომერციისათვის რომ მხარი დაეჭირათ, პორტო-ფრანკოში მას მყიდველი არ ჰყავდა. ბათუმი არ იყო საკმარისად დასახლებული, არავითარი რაიონი არ ჰქონდა და მანი გაკოტრდა მხოლოდ იმიტომ, რომ ვერ მიხვდა ამას და ვერ გაითვალისწინა, ბათუმში რომ პორტო-ფრანკო შემოღებული იყო მხოლოდ ნავთის პროდუქტებით ვაჭრობისათვის და არა ვენური ქოლგებისა და ფეხსაცმელების გასაღებისათვის...

ეს იყო მისი გაკოტრების საერთო მიზეზი, გარდა ამისა, იყო კიდევ პირადი მიზეზებიც. მე ვთქვი, რომ მანი გულიანი კაცი იყო. საქმიან ურთიერთობაში კი თუ კაცს გული და სინდისი აქვს, ეს იმას ნიშნავს, რომ წახვიდე გარდაუვალ სიკვდილზე. ვაჭრობაში რომ წარმატებას მიაღწიო, რომ არ გადაგყლაპონ, ან არ „გაგასულელონ"; ყოველგვარი სიფაქიზისა და თანაგრძნობისაგან ჯავშნით დაცული გული უნდა გქონდეს, უნდა იყო კაჟივით მაგარი, რომელმაც არ იცის, რა არის სისუსტე და სიბრალული, უნდა იყო უსრულყოფილესი ეგოისტი. რადგან ხელი მოჰკიდე საქმესა და ფულს, არა მარტო სხვებს არ უნდა დაუჯერო, არამედ საკუთარ თავსაც კი და ყოველთვის ისეთი ფრთხილი უნდა იყო ყოველწუთიერად, თითქოს მტრის ქვეყანაში გადაგისროლეს, სადაც შეიძლება ყოველი ბუჩქის უკნიდან მოულოდნელად და დაუნდობლად დაგეესხნენ თავს. მანის არ უფიქრია არავის მოტყუება, გაბრიყვება, გაძარცვა. აფასებდა რა ყველას ისე, როგორც თავის თავს, რადგან სხვაგვარად ფიქრიც კი არ შეეძლო, იგი ყოველ გამვლელს და გამომვლელს წესიერ ადამიანად თვლიდა, უზიარებდა მათ თავის იმედებს, ვარაუდს და მოსალოდნელ საშიშროებას. მას არათუ არ შეეძლო სულში ჩაძვრომოდა სხვას, ანდა ჩაეხედა მაინც, თავის კარტებიც კი არ შეეძლო დაეჭირა ისე, რომ მისი თამაში ყველას თვალნათლივ არ დაენახა. აბა, რა კომერსანტია ასეთი კაცი ჩვენს დროში. ეტყობა იგი თვით ბედის მიერ იყო განწირული დასაღუპავად, რადგან ასეთ ადამიანად იყო დაბადებული. გახსოვთ, ჯერ კიდევ ბელინსკიმ გამოთქვა უაღრესად ღრმა მოსაზრება, რომ არამზადების დიდი უპირატესობა წესიერ ადამიანებთან შედარებით ის არის, პირველნი ყველას თავის არშინით ზომავენ და ამიტომ დაცულნი არიან შეცდომებისა და გატაცებებისაგან, ხოლო წესიერები, თვლიან რა ყველას წესიერ ადამიანად, შეუიარაღებელნი და მიმდობნი თვითონ უძვრებიან პირში პირველივე შემხვედრ არამზადას.

იგი დაიღუპა და მე არ შემიძლია ამ სიკვდილს „კეთილშობილური" ვუწოდო. მაპატიონ ჩემმა თანამოკალმეებმა, რომ მე ასე შორს ვდგავარ მათი აზრისაგან ამ ამბის შესახებ. რა თქმა უნდა, მესმის ამ სიკვდილის მნიშვნელობა, განსაკუთრებით იმიტომ, რომ ვიცნობდი მანის როგორც უაღრესად კეთილშობილ ადამიანს, და თვითონაც „Ich auch bin in Arcadien geboren". რა თქმა უნდა, თითოეულ ჩვენგანს შეუძლია თავი მოიკლას. ამ ქვეყანაზე რა არ ხდება. რა თქმა უნდა, მე ბევრი მაგალითი ვიცი იმისა, უაღრესად კეთილშობილმა და სულით ძლიერ-

მა ადამიანებმა რომ მოიკლეს თავი, მაგრამ სიმართლე რომ ითქვას, ყოველი თვითმკვლელობა სხვა არაფერია, თუ არა სულმოკლეობის უმაღლესი გამოვლინება. რა თქმა უნდა, შეიძლება ჭკვიანი და ძლიერი ადამიანიც გაგიჟდეს, შეიძლება სულიერად დაჩაჩანაკდეს, შეიძლება ერთი წუთით დაეცეს და სიკვდილის მეტი ვერაფერი დაინახოს. ყველაფერი ეს გასაგებია. მაგრამ ერთი რამ მაინც უდაოა, თვითმკვლელობა ნიშნავს საკუთარი უძლურების სახალხოდ აღიარებას. ეს, რა თქმა უნდა, კოლოსალური უკან დახევაა ცხოვრებისეული სიძნელეების წინაშე. ამქვეყნიური ბრძოლის სიმძიმეს, ანდა დაუსრულებელ მოშხამვასა და დამცირებას რომელი ჩვენგანი არ მიუყვანია გულწრფელ შურამდე იმ ბედნიერთა მიმართ, რომლებიც საფლავებში წვანან და აღარ განიცდიან ამაო და უაზრო მღელვარებას, რითაც აღსავსეა სულისა და გონების მქონე თანამედროვე ადამიანის ცხოვრება? მაგრამ მხოლოდ სულმოკლეობას შეუძლია გაზარდოს მეტისმეტი წესიერება იმ ზომამდე, როცა შეიძლება შეგეშინდეს საცოდავი და არარა კრედიტორებისა, რომელთაც ხშირად თვითონაც არ იციან, რასა ქმნიან... არა, ჩვენს დროში, როცა ყველაზე სათუთ და მგრძნობიარე ადამიანთა შორის თვითმკვლელობა ასეთ ეპიდემიურ ხასიათს ღებულობს, ე.ი. საზოგადოების საუკეთესო პიროვნებათა შორის, მე არ შემიძლია ვძლიო ჩემს თავს. არ შემიძლია შევუერთდე იმ დითირამბებს, რომლებიც თვითმკვლელობას უმღერიან, როგორ სიმპათიურადაც არ უნდა გამოიყურებოდეს იგი და არ ვთქვა სიმართლე. მე მანი გულწრფელად მიყვარდა და არ ვიცი, რას არ გავაკეთებდი, რომ დახმარება აღმომეჩინა მისთვის, მაგრამ მისმა თვითმკვლელობამ იგი ჩემს თვალში ვერ გაზარდა.

ყველაზე მეტად ამ აღმაშფოთებელ ამბავში მაშფოთებს ის განსაკუთრებული მნიშვნელობა, რაც მან შეიძინა მთელი საზოგადოების თვალში. უდაოა, რომ ეს მოვლენა ყოველ მხრივ საზიზღარია. ცხადია, ასეა. მაგრამ, ღმერთო ჩემო, რატომ მოხდა ეს? ამ ამბავთან დაკავშირებით თავიდან არ ამომდის მწველი აზრი, რაც ოდესღაც, ამ ორმოცდაათი წლის წინათ გამოთქვა „ფიქრების" ავტორმა, რომ ადამიანებს შესაძრწუნებლად სჭირდებათ სისხლისა და ბორკილის დანახვა, სჭირდებათ „საშინელებების მატერიალიზაცია". მოიღეთ წყალობა და მითხარით, რა იყო მანის საქმეში ისეთი, რაც ყოველდღე არ ხდებოდეს ჩვენში თითქმის ყოველი აღმასრულებელი ფურცლის გამო, რომელსაც სასამართლო გასცემს? ვინ არ აკეთებს იმას, რომ ამოსვაროს ის ადამიანი ლაფში, რომელსაც არ შეუძლია ვალის გადახდა? ჩვენი კა-

ნონები ისეა შედგენილი, რომ ისინი არ ანსხვავებენ მოვალეს, რომელსაც არ შეუძლია ვალის გადახდა იმ მოვალისაგან, ვისაც აქვს და არ იხდის. ამიტომ ჩვენი კანონების მიხედვით, ყველა, ვინც ვალს არ იხდის, ურჩი გადამხდელების კატეგორიაში ხვდება. ეს არის და ეს. თქვენ გახსოვთ თბილისის საოლქო სასამართლოს ახალი თავმჯდომარის ფ.ა. ბიკოვის შესავალი სიტყვა, სადაც იგი შეახსენებდა ბოქაულებს, რომ ყველა ურჩი გადამხდელი მოვალე არ არის, რომ ზოგიერთ მათგანს ადამიანურად უნდა მოექცნენ. მაგრამ ეს სიტყვა უბრალოდ კეთილი სურვილია, რასაც კანონმდებლობაში რეალური საფუძველი არ გააჩნია. ჩვენი კანონი კი, და საერთოდ ყველა ევროპული ქვეყნის კანონი, ამჟამადაც და ათასი წლის წინათაც გამოუსწორებელ მოვალეს მის კრედიტორს აძლევდნენ მონად. შეიცვალა მხოლოდ იურიდიული დამოკიდებულების გარეგნული ფორმა. უწინ, ათასი წლის წინათ, გამოუსწორებელ მოვალეს უხვრეტდნენ ცხვირის ნესტოებს, რათა მათში გაეყარათ რგოლი, რომელსაც გამოაბამდნენ ბაწარს და კრედიტორს გადასცემდნენ. ამ უკანასკნელს მიჰყავდა გამოუსწორებელი მოვალე და უფლება ეძლეოდა აეძულებინა იგი ემუშავა მის სასარგებლოდ, ანდა ვინმესთვის მიეყიდა. ახლა ნესტოებში რგოლს არ უყრიან, არც თოკს აბამენ რგოლს და „მონობაც“ გაუქმებულია, მაგრამ კანონის არსი იგივე რჩება.

თვითმკვლელობის შემდეგ მანის დარჩა ცოლი და ხუთი შვილი, რომლებიც ერთმანეთზე ცოტათი არიან უფროს-უმცროსნი. მაგრამ ვინ დათვალა მათი ცოლები და შვილები, რომლებიც მსჯავრდებულნი არიან იცხოვრონ მარად სიღარიბეში იმის გამო, რომ ჩვენი კანონმდებლობა ნაკლულოვანია.

აქვე შევნიშნავ, ერთი რა არ მესმის, როგორ შეეძლო სასამართლოს ბოქაულს აღეწერა მანის „ნიმუშები“? საქმე აქ იმაში კი არ არის, ვის ეკუთვნოდა ფეხსაცმელები—მას თუ პოლონელს. დამტკიცებულიც რომ იყოს, ისინი ეკუთვნოდნენ თვით მანის, კანონმდებლობის ძალითაც და მისი შინაარსითაც, სასამართლოს ბოქაულს არ ჰქონდა უფლება შეხებოდა მათ, რადგან ისინი ქონების ნიმუშები კი არ იყვნენ, არამედ შრომის იარაღი. არ შემიძლია წარმოვიდგინო ის, რომ თუნდაც ერთმა სერიოზულმა იურისტმა უარყოს ეს თვალსაზრისი. ამიტომ დაველოდოთ, როგორ აგვიხსნის ამ ამბავს ფ.ა. ბიკოვი, რადგან ფიქრიც კი არ შეიძლება იმისა, რომ კანონის ეს აღმაშფოთებელი დარღვევა გაუცნობიერებელი დარჩეს საზოგადოებისათვის.

79. აუცილებელი შენიშვნა

(რედაქციაში გამოგზავნილი წერილის გამო)

არ შემიძლია, ძალა არ შემწევს, უპროტესტოდ დავტოვო ის შთაბეჭდილება, რაც თურმე მოახდინა ჩემმა წერილმა დაბეჭდილი სახით. ამ საკითხზე ჩემს მიერ მიღებული წერილები და დეპეშები მოვალეს მხდის, პასუხი გავცე. აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ არავითარი ხალისი არა მაქვს გავამრავლო გაუგებრობანი ჩემსა და მკითხველ საზოგადოებას შორის.

ჩემი წერილის „ხარვეზებს" მკითხველებში უნდა გამოეწვია ეჭვი ჯერ ერთი იმის გამო, თითქოს მე ვექომაგები იმათ, ვისაც მანის სიკვდილში ბრალი მიუძღვით, მეორეც იმიტომ, რომ თითქოს მე ვაკნინებდე მთელი თბილისის საზოგადოების მიერ გამოთქმული დიდი თანაგრძნობისა და აღშფოთების მნიშვნელობას. საჭიროა კი იმის თქმა, რომ მე შორს ვიყავი და არ შეიძლებოდა არ ვყოფილიყავი როგორც ერთი, ასევე მეორე აზრისაგან.

„დამნაშავეებზე" არაფერს ვიტყვი. მაგრამ საზოგადოებრივი მანიფესტაცია, რაშიც ასე დიდებულად გამოიხატა თბილისის მოსახლეობის ყველა ფენის გრძნობათა კეთილშობილება, ამის შესახებ ვიტყვი, რომ ჩვენი ცხოვრების ამ „იშვიათმა" მოვლენამ ჩემზე ღრმა და სასიხარულო შთაბეჭდილება მოახდინა და ეს მიუხედავად იმისა, რომ არასოდეს მეპარებოდა ეჭვი ამ ფენების სიწმინდესა და დიდსულოვნებაში. ამის საუკეთესო დადასტურებაა მთელი ჩვენი მოღვაწეობა, რადგან თუ არ გწამს საზოგადოების კეთილშობილურისა და ამაღლებულისაკენ სწრაფვა, თუ არ გჯერა, რომ იგი თანაუგრძნობს ყველაფერ პატიოსანს, მაშინ საერთოდ წარმოუდგენელი იქნებოდა ჩვენთვის, მწერლისათვის, გაგვეწია ის მძიმე და უმადური სამსახური საზოგადოებისათვის, რის ერთადერთი ჯილდოც საზოგადოებისა და პრესის გრძნობათა სრული ერთიანობის ამგვარი მომენტებია. ამიტომ როგორ შემეძლო მე და რა კეთილდღეობისათვის—დამემცირებინა ამგვარი ჯილდოს სიდიადე.

მანის სიკვდილთან დაკავშირებით თბილისელთა კეთილშობილური გრძნობა, მათი მძაფრი აღშფოთებით გამოწვეული საერთო-სახალხო, დიდებული და კეთილი სურვილებით გამსჭვალული საზოგადოებრივი შედეგები სრულიად არაა დამოუკიდებელი მეორეხარისხოვანი საკითხისაგან, რასაც მე შევეხე და სადაც ლაპარაკია იმაზე, მეტისმეტად დიდი პატივი ხომ არ დასდო განსვენებულმა თავის მტრებს, რო-

ცა მათი შემოტევის დროს გატყდა. გრძნობათა კეთილშობილება— სრულიად არ ამცირებს საკითხს—გმირს უთანაგრძნობ თუ უბედურს. მთავარია ვუთანაგრძნოთ მხოლოდ პატიოსნებას, ხოლო მე მგონია, მანის პატიოსნებაში არავის ეპარება ეჭვი და არც შეიძლება ეპარებოდეს. მე მხოლოდ ერთი აზრი მაწუხებდა და, ჩემი სამსახურებრივი მოვალეობის გამო, არ შეიძლებოდა იგი დამვიწყებოდა. საზოგადოებას ანცვიფრებს დიდად გამორჩეული მაგალითები იმისა, რომ ჩვენს დროში ისედაც დიდია მისწრაფება პირველივე გაჭირვების შემთხვევაში ხელები ჩამოუშვან და სულით დაეცნენ, თვითმკვლელობის თანამედროვე ეპიდემიის ხანაში, საჭირო იყო ცხოვრებაში ერთხელ და სწორედ ამგვარ საოცარ ფაქტთან დაკავშირებით, რომელმაც შეძრა მთელი ჩვენი მხარის ყურადღება, ერთი სიტყვა მაინც თქმულიყო იმ საკითხზე, იმ იდეალზე, რაც ჩვენში ცოტა ვინმეს ახსოვს, რასაც არავინ გვასწავლის და გვივითარებს—თქმულიყო სიტყვა ენერგიაზე. მე მგონი, დროა შევიგნოთ, რომ ჩვენ ვცხოვრობთ სენტიმენტების ცალმხრივი ზღვარმოშლილობის ნერვიულ ეპოქაში, როცა ბავშვებსაც კი ჰგონიათ, რომ დიდი გმირობაა გამოცდებზე არადამაკმაყოფილებელი ნიშნის მიღებისა, ან პირველი შემხვედრის „სიყვარულში" ხელის მოცარვისათვის თავი მოიკლა. ვიცი, რომ ყველა თვითმკვლელი ასეთი არაა, რომ ზოგიერთი საბედისწერო მომენტამდე მიჰყავს მართლაც ტრაგიკულ მდგომარეობას, სწორედ იმ ტრაგიკულ მდგომარეობას, რომელიც მხოლოდ მაშინაა რეალური, როცა არავითარი რეალური ძალებით არ შეიძლება მისი უკუგდება. ვიცი ისიც, რომ მანის ცხოვრებაში ბევრი იყო ამგვარი ტრაგიზმი და მე მაინც აუცილებლობად, ყველასათვის სასარგებლოდ ჩავთვალე შემეხსენებინა თქვენთვის ენერგიის უფლებები.

ასევე ვფიქრობ და ასევე ვაგრძელებ იმის მტკიცებას, რომ მე მართალი ვიყავი, რადგან ამქვეყნად ღირსებისა და წესიერების გამარჯვება, საითკენაც ყველა უნდა ვისწრაფვოდეთ, შესაძლებელია მხოლოდ ენერგიის მეშვეობით, ერთადერთი ძალისა, რომელსაც შეუძლია წინ აღუდგეს ყოველივე უწმინდურს, ხელოვნურს, მზაკვრულს, ეგოისტურს. განა ეს ცოტაა? ენერგია ყველა სიკეთისა და წესიერების ნამდვილი მოკავშირეა, რადგან იგი საკუთარი ზრახვებისა და მისწრაფებების სისუფთავისა, სიმართლისა და სიკეთის საბოლოო გამარჯვების მტკიცე და შეგნებული რწმენის პროდუქტია. ასეთი შეუმუსრავი რწმენის გარეშე, რა თქმა უნდა, შეიძლება კეთილი ადამიანი იყო, მაგრამ დამეთანხმეთ, რომ ძნელია ბოლომდე პატიოსანი დარჩე...

რა თქმა უნდა, ადამიანის გულის სიცოცხლე გაცილებით ნაკლებადაა შესწავლილი მეცნიერების მიერ, ვიდრე თუნდაც აფრიკის შიდაკონტინენტალური ტბები. მიუხედავად ამისა, ისიც უდავოა—არც ისე დიდი ხანია, რაც მე ვცდილობდი ამაზე მიმეთითებინა—რომ ამ განრიგის კანონების ყველა ჩვენი ცნების ძირითადი შეცდომა არის წმინდა წყლის გაუგებრობანი, რომ ამ სფეროს მოვლენებზე ჩვენი შეგრძნებების პრიზმის მიხედვით ვმსჯელობთ და არა განსახილველი სუბიექტის შეგრძნებების მიხედვით. ჩვენ ჯანმრთელებს, ბედნიერებს, უზრუნველებს, ცხოვრებაში შეყვარებულებს და მის დამცველებს სიკვდილი, რა თქმა უნდა, გვეჩვენება ბოროტების უდიდეს ფორმად. ვძრწით, ცივი ოფლი გვასხამს, როცა სიკვდილზე ვფიქრობთ და ამიტომ გასაგებია, ვერაფრით ვერ წარმოგვიდგენია, როგორ შეიძლება მას ნებაყოფლობით მიართვა საკუთარი სიცოცხლე. ამიტომ გვეჩვენება ყოველი თვითმკვლელობა მიუღწეველ გმირობად. მაგრამ ჰ კითხეთ ადამიანებს, რომლებიც თვითმკვლელობამდე მივიდნენ, არა იმათ, ვინც სხვებს მიბაძა, ანდა თვითმკვლელობამდე მწირმა წარმოდგენამ მიიყვანა, არამედ იმათ, ვინც ბედის უკუღმართობამ და უსამართლობამ მიიყვანა ამ მდგომარეობამდე. ისინი გეტყვიან, რომ სიკვდილი ესახებოდათ როგორც მშვიდი საყუდარი, რომელიც განუხრელად მოუხმობს თავისკენ მათ დაღლილ სხეულსა და ტკივილებისაგან გაწამებულ სულს. ისინი დაგარწმუნებენ თქვენ, ამ მდგომარეობაში მყოფ ადამიანს არ სჭირდება არავითარი სულიერი ძალა იმისათვის, რომ სიკვდილს ჩაბარდეს, ამიტომ ამ დროს არავითარი გმირობა არ უნდა იმას, რომ ჩახმახს თითი გამოკრა. ეს ხდება ფატალური გრძნობით, ისეთივე ნეტარებით, დიახ, ნეტარებით, როგორც ჯანმრთელი ადამიანები შეყვარებულს ეხვევიან. ამ შემთხვევაში გმირობა, ნებისყოფა მხოლოდ იმისათვისაა საჭირო, რომ აჰყვე ცდუნებას, არ დაუთმო იმის ფხიზელ შეგნებას, რომ მოვალეობა გაწევს ცხოვრების, ოჯახის, საზოგადოების წინაშე... თავად თვითმკვლელობაში კი არავითარი გმირობა არაა...

მე ძალიან ახლოს, ძალიან ყურადღებით ვაკვირდებოდი და ვსწავლობდი ამ საკითხს, წიგნების მიხედვით კი არა, არამედ ცხოვრებისეულად, იმ ცოცხალ ადამიანებზე, რომლებიც ამქვეყნიდან წავიდნენ. თქვენ შეგიძლიათ ირწმუნოთ ჩემი დაკვირვებების ცხოვრებისეულობა და დასკვნები, მით უმეტეს, რომ, რამდენადაც ვიცი, ლიტერატურაში თვითმკვლელობაზე ამგვარ თვალსაზრისს ვერ შეხვდებით. აი, რატომ ჩავთვალე ჩემს მოვალეობად—ახლანდელ ვითარებაში და მანის თვით-

მკვლელობასთან დაკავშირებით—ცოტათი მაინც შეგახსენოთ საქმის ეს მხარე იმის იმედით, რომ თანამედროვე ცხოვრების ერთ-ერთი უბნელესი მხარეები შეგნების მცირედი სხივით გავაშუქო...

ძნელია, რა თქმა უნდა, იქონიო იმის იმედი, რომ შენი რჩევა ადამიანებს უფრო ძლიერს გახდის: „იყავ ძლიერი“! ეს იგივეა, რომ გაიმეორო რჩევა, რაც ტელეგრაფით შემომითვალა ერთმა ჩემმა გულუბრყვილო მეგობარმა: „იყავი უფრო შორსმჭვრეტელი“! არ შეიძლება იყო იმაზე უფრო შორსმჭვრეტელი და ძლიერი, ვიდრე ღმერთმა შეგქმნა. ეს ასეა, მაგრამ ძლიერი, შორსმჭვრეტელი და საკუთარი მოვალეობის გრძნობით გამსჭვალული ადამიანებიც კი განსაცდელისა და ბედის უსამართლო დარტყმის წუთებში თავს ივიწყებენ, სულიერად ეცემიან და უყურადღებოდ რჩებათ სახელმძღვანელო რწმენა იმისა, რომ ბოლოს და ბოლოს სიმართლე და სიკეთე გაიმარჯვებს. აი, სად გვჭირდება ის ენერგია, რომელზედაც სიტყვა ჩამოვაგდე. რამდენადაც მე მანის ვიცნობდი, ეტყობა მის ცხოვრებაში იყო შეგნების წუთიერი დაბნელება, აღშფოთებისა და გულდაწყვეტილობისაგან გამოწვეული მწვავე, დამაბრმავებელი ტკივილი და სწორედ ამან აიძულა იგი თავი მოეკლა, რადგან დარტყმები უღირსმა ადამიანებმა მიაყენეს.

ვიმედოვნებ, რომ ახლა ჩემი აზრი გასაგები იქნება. მე არც მინდოდა და არც შემეძლო უყურადღებოდ დამეტოვებინა ჩვენი ცხოვრების ეს გამორჩეული მოვლენა, მიმენიჭებინა მისთვის მხოლოდ ცალკეული და მხოლოდ განსაკუთრებული მნიშვნელობა. მე უნდა გამომეტანა ამ ამბიდან ის დასკვნები, რომლებიც არ შეიძლება უყურადღებოდ არ დარჩენილიყო იმ მწვავე ტკივილისა და გულდაწყვეტილობის ზეგავლენით, რამაც მთელი ჩვენი საზოგადოება მოიცვა. ვარ რა მთლიანად ამ საზოგადოებასთან ერთად და ვიზიარებ რა მის თანაგრძნობას უბედური მსხვერპლისათვის და მის აღშფოთებას მისი სიკვდილის მიზეზებისადმი, მე ცოტათი უფრო შორს წავედი, რომ შემეხსენებინა თქვენთვის ამ საქმის ფილოსოფიური მხარე. მე ვერ შევძელი ამის მთლიანად გაკეთება, ნაწილობრივ იმიტომ, რომ ჭარბი გრძნობებისაგან ენა მებმოდა, ანდა ცუდად მემორჩილებოდა. აი, რატომ მომიხდა ამ „დამატებითი“ წერილის დაწერა. იმ წერილის შემდეგ, რომელიც გასულ კვირას ასე ძლიერ არ შეიწყალა ბედმა.

80. საუქმო საკითხავი

...რას იზამ, რადგან „ბედი“ არ იძლევა ამაღლებულ საგნებზე ლაპარაკის საშუალებას, დავწერთ ცხოვრების წვრილმანებზე, უფერულ, უმტკივნეულო, ათასჯერ დასაბუთებულ ამბებზე და ისეთზეც კი, ყველამ ზეპირად რომ იცის. მაგრამ მაინც რაზე?.. ჰო, მართლა, მოდით კიდევ ერთხელ გადავღეჭოთ საკითხი მანის სიკვდილის შესახებ. თანაც ამ კვირას ბატონმა ა.ნ. თაიროვმა ჩვენს გაზეთში დაბეჭდა ვრცელი „წერილი“ რედაქციას“ სწორედ ამ სიუჟეტზე.

როგორც ცნობილია, ამ საქმეს მე მივუდექი მშვიდად, ყოველგვარი გაცხარებისა, მიკერძოებისა და ვნებათაღელვის გარეშე. ამიტომ ბატონ თაიროვს შეუძლია ენდოს ჩემი მსჯელობის საფუძვლიანობას და სამართლიანობას არა მარტო მისი წერილის, არამედ იმ როლის შესახებაც, რაც მე ამ საქმეში ვითამაშე. იგი გულწრფელი მადლიერების გრძნობით უნდა განიმსჭვალოს ჩემი ამოცანის მიმართ, თუნდაც იმიტომ, რომ როცა ხელში კალამს ვიღებდი, ამით ვიცავდი მას ჩემი თანამოკალმეების, ბატონების ხონელისა და სოსლანის მკვახე საყვედურებისაგან, რადგან მათ ჩემზე ნაკლებად შეუძლიათ ლაგამი ამოსდონ იმ ცხოვრებისეულ შთაბეჭდილებებს, ამასწინანდელმა დრამამ რომ მოახდინა მათზე...

დავიწყებ იმის გულწრფელი ქებით, თუ რა უნარიანად და მოხერხებულადაა შედგენილი ბატონი თაიროვის წერილი. ამ ნაწარმოების ავტორმა თავი მხოლოდ იმით გასცა, რომ ამბავს გაჭიანურებულად ყვება. მაგრამ მან შეძლო შეენარჩუნებინა თავდაჭერა და შეეხო მკითხველი საზოგადოების ნაზ სიმს. ამ საქმეს იგი მიუდგა მგრძნობიარედ და, რა თქმა უნდა, ყველაფერი, რისი მოტანაც კი შეიძლებოდა ბატონი თაიროვის გასამართლებლად, მან უდაოდ სრულად გადმოგვცა.

მე არ დავიწყებ დავას იმის შესახებ, მართალია მისი მონათხრობი თუ არა. მე მზად ვარ დავიჯერო ყველაფერი, რაც მოგვითხრო წერილის ავტორმა. მიუხედავად ამისა, როგორც ცნობილია, მე სრულიად არა ვარ დაინტერესებული, დავიცვა ჩემი ან გაზეთის თავმოყვარეობა. მიმაქვს რა ხელი გულთან, არ შემიძლია არ ავუხსნა ბატონ თაიროვს, რომ იგი მწარედ სცდება, თუ ჰგონია, რომ ამ საქმეში მის როლს უმნიკვლოდ ჩათვლიან.

ბატონი თაიროვის წერილს აქვს თავისი ღირსებები, მაგრამ ნაკლოვანებანიც, ვექილის მიერ ადამიანის ღირსებების დაცვას რომ ახლავს თან. მთელი წერილი აგებულია სოფიზმებზე, რისი ნიმუშიც ალმასივით ბრწყინავს შემდეგ ფრაზაში:

„თუ „ნოვოე ობოზრენიეს" რედაქცია ცნობს ყოველივე ზემოთქმულს, მაშინ უდაოდ ცნობს იმასაც, რომ მე ამ საქმეში სრულიად უდანაშაულოდ დავზარალდი, რადგან საზოგადოებრივი აღშფოთება ჩემზე გადატყდა".

ამ დებულების ლოგიკა ისევე სოფისტურია, როგორც ცნობილი სილოგიზმისა: „კუთხეში მიყუდებულია ცოცხი, მაშასადამე, გარეთ წვიმს". „ნოვოე ობოზრენიეს" რედაქცია ხალისით ემზადებოდა ეცნო ყველაფერი, რაც ნათქვამია ბატონი თაიროვის წერილში. მიუხედავად ამისა, ბატონ თაიროვს არ შეუძლია უარყოს—ამას იგი თვითონ ამტკიცებს ვრცლად—რომ იგი დაზარალდა და რადგან არ არსებობს მოქმედება უმიზეზოდ, ამიტომ უნდა დავასკვნათ კიდეც, რომ იგი არც უდანაშაულოდ დაზარალდა და არც უმიზეზოდ. მე მინდა ავუხსნა მას, ცხადია, ყოველგვარი სურვილის გარეშე, გული ვატკინო და გავაღიზიანო მისი ჭრილობები, მისი „ტანჯვის" ჭეშმარიტი მიზეზები და, მე დარწმუნებული ვარ, მაშინ იგი პირველივე დამეთანხმება, რომ მისი დასკვნები სრულიად უსაფუძვლოა.

მარტო შეუცდომელ ღმერთს შეუძლია იმ ზრახვების თვისებებისა და ხასიათის განსჯა, რომლებითაც ხელმძღვანელობენ ადამიანები თავიანთი მოქმედების დროს, ამიტომ იმ ზრახვებსაც, რომლებითაც გამსჭვალული იყო ბატონი თაიროვი, როცა აწგანსვენებულ მანის ფული ასესხა, ადამიანთა სასამართლო ამა თუ იმ დასკვნამდე განზრახვების საფუძველზე კი არ მიდის, არამედ რეალური ფაქტების და რაც მთავარია, საბოლოო შედეგების საფუძველზე. და თუ მთელი რიგი მშვენიერი განზრახვებისა, რითაც მოკირწყლულია ჯოჯოხეთი და მთელი რიგი უანგარო მოქმედებებისა, თუნდაც ისინი ნოტარიუსის ხელის მოწერითა და ბეჭდით იყვნენ დამოწმებულნი, მათ მაინც მარყუჟამდე მივყავართ, საიდანაც გამოსავალი მხოლოდ იმქვეყნად გადასახლებაა, მაშინ ადამიანთა სასამართლო, როგორი შემწყნარებელიც არ უნდა იყოს იგი, ვერ დაივიწყებს ასეთ განსხვავებულ წინააღმდეგობას განზრახვასა და საქმეს შორის, დასაწყისსა და დასასრულს შორის. ამგვარი სასამართლო მსჯელობს შედეგების მიხედვით, ხოლო როცა შედეგად ადამიანის ტყვიით განგმირული გული ჩანს, იგი შეუწყნარებელი და აღმაშფოთებელია...

მე ღრმად ვარ დარწმუნებული და ამას გულწრფელად ვამბობ, რომ ბატონ თაიროვს არ უნდოდა მანის სიკვდილი, ანდა ვის შეიძლებოდა ეს სდომოდა, ვის ადამიანთა შორის, რომელთაც ცალი ფეხი ყოველთვის სამარის პირას უდგათ, წინასწარი განზრახვით ჩაეწვინა ადამი-

ანი კუბოში? არა, მე დარწმუნებული ვარ, ბატონი თაიროვი რომ მიმხვდარიყო, საქმე ეხება ადამიანის ყოფნა-არყოფნას, იგი ალბათ შეაჩერებდა იმათ, ვისაც მანის სიკვდილში ბრალი მიუძღვით, შეაჩერებდა თუნდაც იმიტომ, რომ არ გაეზიარებინა მათთან ერთად ადამიანის სისხლის დაღვრა. მეტსაც ვიტყვი, ბატონები თაიროვი და პლუშევსკი მართლაც ასე მოიქცეოდნენ, რადგან მტკიცედ მწამს, რომ ბოროტმოქმედნი, რომლებიც შეგნებულად, გულცივად, ფხიზლად და დაუბრმავებლად ღვრიან ადამიანის სისხლს, ისევე ცოტაა ამქვეყნად, როგორც სამთავიანი მახინჯები. მაგრამ საქმე სრულიად არაა იმაში, რომ ბატონებმა თაიროვმა და პლუშევსკიმ პირადად, წინასწარი განზრახვით მოჰკლეს მანი, არამედ საქმე ისაა, რომ ისინი მას უსულგულოდ მოექცნენ, თვითმკვლელობამდე მიიყვანეს, არ დაუტოვეს შეუგინებლად და გაუთელავად სულის არც ერთი სიმი...

ვიმეორებ, მჯერა, რომ მანის სიკვდილმა ისინი გააოგნა, როგორც ცის ქუხილმა, რომ ბატონ თაიროვს არ მიულია არავითარი მონაწილეობა იმ არაადამიანურ შევიწროებაშიც კი, რის შედეგადაც ჩაქრა მანის ენერგია და სიცოცხლე: მაგრამ ვერასოდეს ვერ აღმოფხვრის ვერავინ საზოგადოების გრძნობებიდან და შეგნებიდან იმ ფაქტს, რომ მანის შემვიწროებლები მოქმედებდნენ ბატონი თაიროვის სახელით და ეყრდნობოდნენ მის საბუთებს, მის უფლებებს და მხოლოდ მისი რწუნებულნი იყვნენ. ვინაა დამნაშავე იმაში, რომ მან ამდენის უფლება მისცა თავის რწმუნებულებს? ვინაა დამნაშავე, რომ თავის უფლებების, ინტერესების და ნების წარმომადგენლებად მან გაიხადა ისეთი ადამიანები, რომელთა მოქმედება, როგორც ამას თვითონვე ამტკიცებს, მის ნებასა და ინტერესებს ეწინააღმდეგებოდა? „მითხარით, ვის ირჩევთ და გეტყვით, ვინა ხართ“—ეს სიბრძნე უბერებელია...

გავყვეთ საქმეს. ჩადენილია ცოდვა, მოხდა უბედურება. როგორი როლი ითამაშა ამის შემდეგ თაიროვმა? ასე იყო თუ ისე, იგი, როცა მას წინასწარ აუხილა თვალები ადგილობრივი მოსახლეობის გამოჩენილი წარმომადგენლების შუამდგომლობამ, იგი მიხვდა, რომ მანი მოკვდა მისი აგენტებისა და მისი საბუთების ძალმომრეობის შედეგად. ამის გამო მას გულიც კი შეუწუხდა, ავად გახდა, იტანჯებოდა.... ყველაფერი ეს მე ბოლომდე მჯერა, მაგრამ ეს მხოლოდ მისი სულის პირველყოფილ სინაზეზე მეტყველებს და მეტი არაფერზე. განა შეიძლება მხოლოდ მჟავე ხასიათზე ყოფილიყო „საქმის“ კაცი, თუნდაც გულაცრუებული საქმიან ცხოვრებაზე, თუნდაც თავისივე უძლუ-

რებით დარწმუნებული მოხვეჭისა და გამდიდრების ამაოებაში? ბატონი თაიროვი ხედავდა, მას არ შეიძლება არ ეგრძნო ეს, წინააღმდეგ შემთხვევაში გული არ შეუწუხდებოდა, რადგან იცოდა, რომ ნებით თუ უნებურად ხელებზე ადამიანის სისხლი სცხია. მას არ შეეძლო არ გაეხსენებინა—კარგად ახსოვს მანისთან ურთიერთობის უმცირესი წვრილმანიც კი—რომ მისი ნერვიული „ტანჯვა" არაფერია იმ ხუთი ადამიანის რეალურ, ფიზიკურ, უსასრულო ტანჯვასთან შედარებით, რომლებიც იქ, შორეულ ვენაში განწირულნი არიან უსახლკაროდ, მათხოვრულად, ულუკმაპუროდ არსებობისათვის, განწირული არიან შვილები იმ კაცისა, რომელმაც ოდესღაც ბატონი თაიროვის სიცოცხლე იხსნა, რაც უდიდესი სიკეთეა იმ ადამიანთათვისაც კი, რომელთა ცხოვრებაც სავსეა წარმატებებით და არსებობის სიტკბოებით.

მე რომ შოშიაზე მენადირა და შემთხვევით, ისე, რომ არაფერი მცოდნებოდა, ბუჩქებში დამალული კაცი მომეკლა, ამისათვის, რა თქმა უნდა, ჩემს მიერ ჩადენილი სრულიად უნებური მოქმედებისათვის, ღვთისა და ადამიანის სამსჯავრო მომისჯიდა მონასტერში ცოდვების მონანიებას და არა ერთი, არამედ რამდენიმე თვით. გაიგეთ ხალხო, მე ხომ არავის მოკვლა არ მინდოდა, მე ხომ „სრულიად უდანაშაულო ვარ". მართალია ეს ასეა, მაგრამ მიუხედავად ამისა, ჩემს ხელებს მაინც სისხლი სცხია, აღმოუფხვრელი ლაქა მომეცხო, მე მაწევს პასუხისმგებლობა უწყინარი გასროლის უდანაშაულო მსხვერპლის წინაშე. ბატონი თაიროვი გაცილებით უარეს მდგომარეობაშია. გეთანხმებით, მას არ დაუმიზნებია მანისათვის, მაგრამ მან პირადად მისცა იარაღი თავის გამხეცებულ აგენტებს და როცა ბატონ თაიროვს სთხოვეს წაერთმია მათთვის ეს საშიში იარაღი, იგი მხოლოდ ხელების დაბანით დაკმაყოფილდა.

ისევე, როგორც მისმა აგენტებმა, ბატონმა თაიროვმა ვერც დანაშაულის აღიარება და ცოდვების მონანიება შეძლო გულწრფელად და ვერც მის ხელებზე მოცხებული სისხლის ჩამობანა ღირსეულად. იგი დუმდა მაშინ, როცა ყველაფერი უნდა გაეკეთებინა, რის გაკეთებაც კი შეეძლო, რომ ხელებზე მოცხებული სისხლი არაადამიანობის მსხვერპლის უზრუნველყოფით ჩამოებანა, ახლა კი, როცა ჩაიარა უბედურების პირველმა შთაბეჭდილებებმა, იმის მაგივრად, რომ გამოასწოროს პირველი შეცდომა, იგი გაჭიანურებულად გვიყვება თავის უდანაშაულობის, არათანამზრახველობის შესახებ.

დაუჯეროს ბატონმა თაიროვმა ჩემს მსჯულობას და ჩემი სიტყვის პირდაპირობას. არავის არავითარი საქმე არა აქვს მის პირად ტანჯვასთან, მის დანაშაულთან მანამდე, სანამ ამ დრამის თითოეული მონა-

ნილის პასუხისმგებლობა განსაზღვრული არაა. თუ მას მართლაც გაჩნია ადამიანური გრძნობები, თუ იგი მართლაც გამსჭვალულია თავის ღირსების შეგნებით, მან თავის გამართლება და „ნოვოე ობოზრენიესთან" კამათი კი არ უნდა დაიწყოს, არამედ უნდა აღიაროს საზოგადოების წინაშე, რომ მან მანის სიკვდილამდე თავის უფლებები არ გამოიყენა, სიკვდილის შემდეგ კი დუმდა და ამით თვითონ გახადა თავის თავი იმ ადამიანების თანამზრახველად, რომელთაც სცადეს თავიანთი მხეცური გაბოროტება დაემალათ და ამით თავხედურად აეგდოთ აბუჩად თბილისის მთელი მოსახლეობის გრძნობები და მწუხარება.

არა, მკითხველო, როგორ მოგწონთ, რომ ბატონი თაიროვი ჩვენ ღირსების სასამართლოში გვიბარებს, აი, ამას ჰქვია დაბრმავება!... მას იქნებ ჰგონია, თბილისში, კავკასიაში სამი კაცი მაინც მოიძებნება ისეთი, ვინც არ უნდა იყვნენ ისინი, რომლებიც ამ საქმეში ბრალს დასდებენ პრესას! ჩვენ მზადა ვართ გამოვცხადდეთ რომელ სასამართლოშიც გნებავთ და ყოველგვარი პირობის გარეშე, რადგან დარწმუნებული ვართ ჩვენს სიმართლეში, ჩვენი როლის სიწმინდეში, ჩვენი განაჩენის სამართლიანობაში, ვინაიდან ვემსახურებოდით მხოლოდ საზოგადოებრივი სინდისის წარმომადგენლებს და ვიყავით მისი მოუსყიდავი განაჩენის გამომხატველი. გთხოვთ, ინებეთ, ვნახოთ, თქვენს გარდა, ვინ გაგამართლებთ თქვენ და გაგვამტყუნებს ჩვენ. ჩვენ არ გვეშინია არავითარი კაზუისტიკისა, მაგრამ დროა ბატონმა თაიროვმა შეიგნოს, რომ კაზუისტიკით შორს ვერ წავა.

ყოველივე ამას მე ვწერ ისე, რომ სრულებით არა ვარ დარწმუნებული ამ საქმესთან დაკავშირებით ბატონი თაიროვის გულწრფელობაში, მის წერილში არის წინადადება, რომელიც ანკესზე მიგვანიშნებს: თავის სასამართლოში მოწვევას იგი იმით აპირობებს, რომ „მოსამართლეები შეირჩეს იმ პირთაგან, რომელთა მიმართაც საზოგადოება სრულ ნდობას იჩენს". ბატონი თაიროვი არც ისე გულუბრყვილოა, არ იცოდეს, როგორ დგება „სამედიატორო სასამართლო", არ ესმოდეს, რომ მოსამართლეებს ირჩევენ არა „ჩვენი შეთანხმებით", არამედ თითოეული მხარე ცალ-ცალკე. მე მიმაჩნია, რომ ეს წინადადება სხვა არ არის რა, თუ არა კამათის ხერხი. მაგრამ მიუხედავად ამისა, თუ ბატონი თაიროვი მოგვცემს ხელწერილს, რომ ყველაფერში დაემორჩილება ღირსების სასამართლოს განაჩენს და არაფრით არ შეზღუდავს მის კომპეტენციას, ჩვენი რედაქცია ხალისით გამოცხადდება ასეთ სასამართლოზე.

81. საუქმო საკითხავი

...„კიდევ ერთი წელიწადი ჩაინთქა მარადისობაში, წელიწადი აღსავსე“... მკითხველო, ჩემი საახალწლო ფელეტონის ასეთ დასაწყისს, რასაკვირველია, ჩათვლი მეტისმეტად გაცვეთილად და მომაბეზრებლად. მე კი იგი სხვა მხრივ მაფიქრებს...

სჯობს ამინდზე ვილაპარაკოთ, —ეს ნამდვილად სრულიად უმანკო სიუჟეტია. ერთი სიტყვით, მართალი რომ ითქვას, მე ამ წუთში წერა სხვა არაფერზე შემიძლია. წარმოიდგინეთ, გაზეთებში ლაპარაკია მხოლოდ „საშინელ ყინვაზე“, რამაც საბოლოოდ რუსეთად აქცია ჩვენი ქვეყანა, 16,18 და 20 გრადუსზე ნულს ქვემოთ რეომიურით, მტკვრის გათოშვაზე, ყინვიანობაზე... რიონის ხეობაში კი, სადაც ამ სტრიქონებსა ვწერ, ამ ხნის განმავლობაში ნამდვილად გაზაფხული დგას. თოვლს მხოლოდ შორიდან ვუცქერით, დიდი და მცირე კავკასიონის მწვერვალებზე; ნაკადულები თავისუფლად ჩხრიალებენ, დღისით კი მზე გვათბობს ჩვენ და ჩვენს კარგამოღებულ ბინებს და სითბო 26 გრადუსამდე აჰყავს. ამ „განსაკუთრებული ყინვის“ მთელი დროის განმავლობაში, თერმომეტრი ჩვენში თვით განთიადისას ოდნავაც კი არ დაშვებულა ყინვის 2-3 გრადუსს ქვემოთ, აქედან შეიძლება დაასკვნათ —შესაძლებელია თუ არა შეთანხმება შთაბეჭდილებებში—თქვენ, რომელთაც გამოგაქვთ კამჩატკის ყინვით შეწუხებულებს და მე—ასეთი სითბოსი და შუქის სიუხვის გავლენით რომ გამომაქვს. თქვენ იბუძგებით, იყინებით, შფოთავთ და თქვენი შეხედულებები ქვეყანასა და ცხოვრებაზე, აუცილებლობის გამო, კუშტია, მიუხედავად თქვენს მიერ ახლა ნადღესასწაულევი დღეებისა. მე კი მწვანე მინდორში დავქრი, ლურჯი ცის ქვეშ.

უნდა ვივარაუდოთ, რომ მხოლოდ „მდგომარეობის“ ამ სხვაობით თუ აიხსნება ჩემი აზრები და შეგრძნებების საოცარი დაპირისპირება იმათთან, რასაც მე ახლა ლიტერატურაში ვკითხულობ, განსაკუთრებით კი სატახტო ქალაქების ლიტერატურაში. ჩვენში, რიონის ხეობაში, ახლა ყველგან გახურებული მუშაობაა და ყველა, დიდიდან პატარამდე, სავსეა ხალისითა და ენერგიით, მაშასადამე მხიარული იმედებითაც. „იმედები, იმედები, ჩვენი წყნარი ხვედრი“.

სატახტო ქალაქებში კი, ერთთავად ჟურნალებში და გაზეთებში, სრულ უიმედობაზე ლაპარაკობენ. იქ მეტად საყურადღებო პოლემიკაც კი გაიმართა „ნედელიასა“ და „რუსსკაია მისლს“ შორის, თემაზე: შესაძლებელია თუ არა ჩვენს დროში ადამიანს საგნებზე ჰქონდეს ნათელი შეხედულება და აუცილებელია თუ არა საბოლოოდ საყოველ-

თაო და შეუმსუბუქებელ უიმედობას მივეცეთ. მე რომ არც ოპტიმისტი ვარ, არც კანდიდი და არც მანილოვი[30]—ეს კარგადაა ცნობილი ჩემი მკითხველებისათვის. მე რომ არც თავს ვიტყუებ და არც ვატყუებ ჩვენი ცხოვრების მოვლენების ვარდისფრად დასახატავად, —ესეც, მგონია, საეჭვო არ არის.

მიუხედავად ამისა, თქვენი ნებაა, გინდა მომკალით, მე ვერასოდეს ვერ გავიგებ—რა აზრი აქვს იმას, რომ მკითხველებს თავზე მოახვიო გრძნობები, რომელნიც სრულიად ეწინააღმდეგება ადამიანის ბუნებას, ისინი, როგორც, მაგალითად, გრძნობა უიმედობისა? თქვენ, რასაკვირველია, გახსოვთ დოსტოევსკის „ჩანაწერები მკვდარი სახლიდან". მასში გამოყვანილია კატორღელი, რომელიც სამუდამოდაა მიჯაჭვული თავის ციხის კედელს და რომელსაც არა აქვს არავითარი საფუძველი იმედი ჰქონდეს თავისი ბედის შემსუბუქებისა. ის კი მაინც ჩქარა განთავისუფლების იმედით ცოცხლობს. ამ კატორღელის გრძნობისა და მდგომარეობის აღწერით დოსტოევსკის მოჰყავს მკვეთრი სასიცოცხლო მაგალითი ადამიანის გულიდან იმედის აღმოუფხვრელობისა. ჩვენი ფსიქოლოგია, ეს თქვენ იცით, სრულიად მართალია თავისი განმარტებებით. არავითარ შოპენაუერს, არავითარ ფილოსოფოსობას არ შესწევს უნარი დაარწმუნოს დოსტოევსკის კატორღელი იმაში, რაც თავისთავად, როგორცა ჩანს, ნათელია და არ მოითხოვს არავითარ მტკიცებას,—რომ მას არ გააჩნია საფუძველი იმედი ჰქონდეს აუხდენელი იმედებისა. ეს ჭეშმარიტება რომ ირწმუნოს, კატორღელი ავად უნდა გახდეს, უნდა დაეკარგოს სასიცოცხლო ძალა, შესცდეს ჭკუაზე, რადგან უიმედობა და განწირულობა შეუთანხმებელია სიცოცხლესთან, ჯანმრთელობასთან, არამედ შეადგენენ მხოლოდ სიცოცხლეშივე მძორული გახრწნილობის პროდუქტს...

ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ ჩვენი ცხოვრება აუარებელი დაბრკოლებებითა და სამწუხარო მოვლენებით არის აღსავსე.

მასში, როგორც ეტყობა, ყველაფერს უფრო განგმირვა ძალუძს, ვიდრე წარმტაცი იმედებისა და ნათელი ტკბობის ნაყოფიერება. ფაქტიურად ამის გამო „რუსკაია მისლი", რასაკვირველია, მართალია, როცა თითს ატაკებს თანამედროვეობის შემვიწროებელი პირობების დაუსრულებელ სიას. ფაქტიურად მეორე მხრივ „ნედელია", ცხადია, არაა მართალი, როცა თავის თავს ძალას ატანს და სურს ამ შავბნელ სიას დაუპირისპიროს „სასიამოვნო" მოვლენათა მცირე რიგი: ერთი, ორი, სამი, და... სულ ესაა. ამ ორ პატივცემულ გამოცემას შორის დავა ამ თემაზე არაა თანაბარი; არგუმენტები „რუსკაია მისლის" მხარეზეა... მაგრამ, ყველაფერი ეს მხოლოდ „მგონია", მხოლოდ საკითხის უხერხული დაყენების წყალობითაა, მხოლოდ იმიტომ, რომ ამ ნიადაგზე

დავა შესაძლებელია სრულიადაც არა რიცხვების და ფაქტების საფუძველზე. წარმოიდგინეთ, რომ დოსტოევსკის მიერ აღწერილ კატორღელთან მოვიდა ამ კატორღელის მდგომარეობის გადამჭრელი. ამის შედეგად თუნდაც ბეწვის ტოლად შეიცვლება პატენტის განწყობილებასთან მისი მსოფლჭვრეტა? კანონის მცოდნე ათასჯერ მართალი იქნება თავისი საბუთებითა და დასკვნებით. ფაქტებიც, საბუთებიც, ლოგიკაც, ისტორიაც, სამართალიც და ყველაფერი, რაც გნებავთ, ყველა მის მხარეზე იქნება, მაგრამ მაინც, მიუხედავად იმისა, რომ ვერ დაარწმუნებს კატორღელს, მისი გულიდან ვერ აღმოფხვრის „იმედს, ცათა მიერ მოვლენილ წყნარ მოციქულს"—არსებითად იგი მართალი არ იქნება. მე უკვე არას ვამბობ,—რადგან არ ვფიქრობ, —მისი როლის უსარგებლობაზე და უიმედობაზე. არა, იგი არ იქნება მართალი იმიტომ, რომ დებულებებზე, ციფრებისა და მტკიცებების, ფაქტების დაბეჯითებული აჩხორვით თავისი ლოგიკის შენობას ყოველთვის ქვიშაზე აგებს და თანაც მხედველობიდან უშვებს ყველაფრის საფუძველს—ცხოვრების, ბუნების ძალას.

მართლაც, დოსტოევსკის მაგალითის მიხედვით ვის შეუძლია უარყოს, რომ საპყრობილეში, რომელშიც კატორღელია მიჯაჭვული, ოდესმე არ შეიხედავს ვინმე ყოვლად ძლიერი და გულშემატკივარი მწყალობელი, ან ტანჯულს ვერასოდეს ვერ მოუხდება გადაქლიბოს ბოქლომები და გათავისუფლდეს თუნდაც რამდენიმე საათით.

მე განგებ მოვიტანე ეს მძაფრი და შეუძლებელი მაგალითი, თუმცა ვგრძნობ, რომ იგი არ უხდება განხილულ მდგომარეობას. იგი მჭირდება უფრო როგორც უხეში გამოხატულება ჩემი აზრისათვის, რომ არ გავბნეულიყავ გარდამავალ დეტალთა სიმრავლეში... მაგრამ, არსი, რასაკვირველია, ამ მაგალითში არაა. არსი იმაშია, რომ რამდენადაც გამჭვირვალე და მოჩვენებითი არ უნდა იყვნენ ჩვენი ცხოვრების „დამამშვიდებელი" მოვლენები, მოყვანილი „ნედელიას" მიერ მისი თანამედროვეობაზე ვარდისფერი შეხედულებების დასადასტურებლად, იგი არსებითად მართალია. შევაქოთ ჩვენი დრო მხოლოდ იმიტომ, რომ რომელიღაც პატიოსანი ბებია ქალის კუბოს ბევრი ხალხი აცილებდაო, სულ მცირე, უდავოდ მიამიტობაა ან სასაცილო. ეს არგუმენტი საუკეთესო შემთხვევაში სრულებით არაფერს ამტკიცებს, მაგრამ, „რუსკაია მისლის" პესიმისტები, რომელნიც სიყვარულის გამოხატულებით იცქირებიან უკან, სამოციანი წლების დასაწყისისაკენ, ჩვენი „აღორძინების—ამ ეპოქის ბრნყინვალების გამო უარისმთქმელნი, იწამონ რაიმე მართებული თანამედროვე მდგომარეობაში, საშინელ შეცდომაში ცვივიან, პირწმინდა ოპტიკურ ცდუნებას ეძლევიან...

მე თვით დავიწყე ცხოვრება და აზროვნება ამ მარად სახსოვარ ეპოქაში, რომელმაც ჩემში დატოვა მთელი წყება ნათელი მოგონებებისა. მე იგი მიყვარს, როგორც ჩემი ცხოვრების გაზაფხული და, ვის არ უყვარს თავისი სიჭაბუკე, აღსავსე ცეცხლოვანი და უსაზღვრო იმედებით? „რუსკაია მისლის" პუბლიცისტზე არანაკლებად ვადარებ იმ იმედებს და მახსოვს მათი გაცისკროვნებული შარავანდედი. ამიტომ, უნდა დამეჯეროს, როცა მე, რაიმე მიკერძოების გარეშე, ვამბობ, რომ არსებითად—ასეთი აბსურდული ვარაუდები რომ ხორციელდებოდეს,—მე არ გავცცალიდი ჩვენ თანამედროვე დღეებსა და ახლანდელ მდგომარეობას მეოთხედი საუკუნის წინანდელ საქმეებსა და წესრიგში. ეს მომდის სრულიადაც არა „ზეშთაგონებითა" და „შეგრძნებით," არამედ, უბრალოდ, ფხიზელი ანგარიშის, საგანთა არსობის ახლო ნაცნობობის გამო მაშინ და ახლანდელ დროში...

მართალია, იმედები და სასოება მაშინ მეტი იყო, შეუდარებლად მეტი, ვიდრე ჩვენ დღევანდელ დღეს, სამაგიეროდ, პროგრესის განხორციელების რწმენა ყველა ცოტად თუ ბევრად საღ გონებას მეტად მცირე ჰქონდა, ვიდრე ახლა. მე სრულიად ცოცხლად მახსოვს ის დრო, რა მცირე იყო მაშინ რაოდენობა არა მხოლოდ პროგრესის ადამიანებისა, არა მხოლოდ იმათი, რომელთაც ახსოვდათ სამშობლოს წარმატება და სიკეთე, არამედ, უბრალო, განათლებული ადამიანებისა, რომელთაც მიღებული ჰქონდათ რაიმე „ნიშან-წყალიც" კი ზერელე, მოჩვენებითი განათლებისა. მოწინავე ადამიანთა ვიწრო წრეში, სადაო იყო ერთი, ორი, სამი და გათავდა ამით, თავშეუკავებლად ცვიოდა მართლაც ცეცხლოვანი სიტყვები ყოველგვარ პროგრესზე. ასე! და, ის ხალხი, უეჭვოდ, დიდები იყვნენ; ერთნი—ჭკუით, მეორენი—მაღალი მისწრაფებებით. მაგრამ, მაშინვე ცხადი იყო, ჩემთვისაც კი, „ერთი-ორისთვის მცირე ძალთაგან", რომ ეს ხალხი ასე ცოტა იყო, ისე ცოტა, რომ მათგან არ შეიძლებოდა შექმნილიყო დეპარტამენტიც კი, არათუ მთლად სამინისტრო მითუმეტეს, მეორე მხრით, ამ მცოდნე შეხედულებების მატარებელთა ჯგუფი, წრე. ყველა დანარჩენი კი, ყველა ჩვენ, მხოლოდ მეცნიერების მწვერვალების მქონენი გახლდით. და თუ, ჩვენი განათლების ზედაპირულობით, ჩვენი ცოდნის უკმარისობით, გამურდალებითა და უპრაქტიკობით მაშინ გარკვეულ ზნეობრივ სიმაღლეზე ვიყავით,—ეს აიხსნება მხოლოდ ჩვენი ჭაბუკური ინსტიქტის მგრძნობიარობითა და უფრო მეტად ჩვენი თანამოქალაქეების დიდი უმრავლესობის საზოგადოებრივი განვითარების დაბალი ხარისხით.

შეიძლება ახლა არ გვყავს „გენიოსები“, ან ჯერჯერობით ყველა ვერ არჩევს მათ, მაგრამ საითაც არ უნდა გაიხედო, ყოველ კუთხეში, ყოველ დეპარტამენტში და ყოველ კანცელარიაში აუარებელ ხალხს ვხედავთ, რომელნიც სრულიად არაფრით არ ჩამოუვარდებიან სამოციანი წლების დასაწყისის „მოწინავე ადამიანთა“ საშუალო დონეს. ასეთი ადამიანები ჩვენში ახლა უთვალავზე უთვალავია. შეიძლება ისინი ისე მიამიტები არ არიან და არც აღსავსენი წარმტაცი იმედებით, მაგრამ ამ სიმრავლეში, ისე როგორც საერთოდ ყველგან მასაში. —მისწრაფება სიმართლისა და სიკეთის სამეფოსაკენ არანაკლებ სიცოცხლისუნარიანია, ვიდრე ჩვენში იყო ჩვენი ახალგაზრდობის დღეებში. მაგრამ, რომ არა ვთქვათ რა ამ უმაღლესი განათლებისა და პატიოსანი მისწრაფებების მქონე ხალხზე, განა შეიძლება დავიწყება მასისა, საშუალო წოდებისა, საშუალო განათლების მქონე პირთა, რომელნიც გაჩენილან უკანასკნელ დროში საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის, წინათ მათთვის რომ მიუწვდომელი იყო? განა ეს წიგნიერი ხალხის მილიონები, რომელთაც ყოველგვარი სახელწოდების სკოლები გაუვლიათ, შეიძლება გათანაბრებულ იქნან იმათთან, როგორაც იყო „ხალხი“ ოცდაათი წლის წინ? ყველა ეს პროგრესის ელემენტებია, მართალია, არა ბრწყინვალე, არა თავბრუდამხვევი, არა დამათრობელი, მაგრამ, სამაგიეროდ უფრო მეტად რეალურისა და დაუვიწყარისა, ვიდრე ის, რასაც ჩვენ სამოციანი წლების დასაწყისში შევტრფოდით უფრო ყურმოკრული ამბებითა და „კრედიტში“, ვიდრე ნამდვილად.

უკამათოდ, ჩვენი ბეჭდვითი სიტყვის მდგომარეობა, თვით სატახტო ქალაქებშიც კი ახლა არაა ბრწყინვალე. მაგრამ, ბრმა უნდა იყო, რომ ვერ ხედავდე, თუ რამდენად მიუწვდომლად მაღლაა 1860-1866 წლების ბეჭდვითი სიტყვის მდგომარეობასთან შედარებით. შეადარეთ ახლანდელი გაზეთები და ჟურნალები მაშინდელებს, შეადარეთ საგნები, რომელთა შესახებაც ახლა მსჯელობენ და მაშინაც მსჯელობდნენ და იძულებული გახდებით აღიარეთ, რომ მთელმა საუკუნეებმა განვლეს ამ ორ ქითარექს შორის. რასაკვირველია, მაშინ იყო რამდენიმე შეუდარებელი ნიჭის მქონე კრიტიკოსი და პუბლიცისტი, მაგრამ საგანთა წრე, რომელზედაც მათ შეეძლოთ მსჯელობა, იმდენად ვიწროა იმაზე, რაც ახლა საშუალო პროვინციული ჟურნალისტის საუწყებოში შედის, რომ თანამედროვე უნიჭოების ერთობლიობა თითქმის არ იჩენს მკითხველებში აზრის მეტ მოძრაობას, ვიდრე ის, რომელიც ადრე გამოწვეული იყო დიდად ნიჭიერთა ღონისძიებებით. როგორც უნდა იყოს, თუ ეს ჩემი უკანასკნელი დებულება საეჭვოდ იქნა ცნობილი, მაინც არ

შეიძლება არ ვაღიაროთ, რომ თუ ახლა ჩვენში მნიშვნელოვანი პუბლიცისტური ნიჭი გამოჩნდება, მისი გავლენისა და მოღვაწეობის არე შეუდარებლად ფართო იქნება ვიდრე იყო ადრე...

მე არ მინდა თანამედროვეობის ჰანემორიკის სახელი დავიგდო, რომელშიც არცთუ ცოტა სამწუხარო მხარეებსა ვხატავ—ამიტომ ამაზე ვწყვეტ შედარებებს, ყველაფერს, უმეტეს ნაწილად ახლანდელი დროის სადიდებლად. განა ეს არაა ელემენტები, რომ შენახული იქნეს ჩვენი სამშობლოს მომავალი ბედის შესახებ ნათელი შეხედულება? ეს არაა ფუჭი იმედები, არარაზე დაფუძნებული მისწრაფებანი, არამედ რეალური წარმატება, წინააღმდეგ ყველაფრისა, მხოლოდ ერთი სიცოცხლისა და დროის ძალით მიღწეული თანამედროვე საზოგადოების მიერ წლიდან წლამდე, დღიდან დღემდე, თანდათან, მაგრამ შეუწყვეტლად იზრდება ეს ყოვლად შემძლე ცხოვრების ძალა და მის ზრდასთან ერთად ჩვენს სამშობლოში მრავლდება განათლებულ შეხედულებათა მქონე ადამიანთა რიცხვი, რომელთაც ნათელი შეგნება აქვთ საზოგადოებრივი მოვალეობისა. არაა ეფექტური ეს ზრდა, მას არ სდევს თან ბენგალურ განათების არც ტკაცუნი, არც ბჭყვიალება, მაგრამ, მიუხედავად ამისა, იგი დასანახავია ბრმათათვისაც კი. ეს რატომაა გასაკვირველი, რომ ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების თვალხილული შემფასებლებიც კი, ადამიანები, მსგავსად „რუსკაია მისლის“ პატივცემული პუბლიცისტისა, ვერ ხედავენ ჩვენს ამ რეალურ წარმატებას, რომელსაც შესწევს უნარი ვისაც არ უნდა ჩაუნერგოს შეურყეველი რწმენა ჩვენი სამშობლოს მომავლისა, მიუხედავად თანამედროვეობის ყველა სამწუხარო მოვლენისა; რომელნიც აუცილებელნი არიან თითოეული ხალხის ისტორიულ ცხოვრებაში....

ჩვენს ცხოვრებაზე ასეთი განზრახ მოქუფრული შეხედულება შეიძლება ავხსნა, როგორც დავიწყე, სხვა არაფრით, თუ არა ყინვისა და ნისლის ძალით. რიონის ხეობაში, ნათელი მზის კაშკაშში, რომელიც გვათბობს და გვაცოცხლებს, შეხედულებათა სიცხადე თვით ბუნების მიერაა ნაბოძები.

აი რატომაა, რომ დიდებისა და სიკეთის იმედით წინ უშიშრად ვიმზირებით...

82. საუქმო საკითხავი

(გრაფ ლორის-მელიქოვზე მოგონებებიდან)

უფრო ადრე მიხდება გავუზიარო ჩემი მოგონებები მკითხველებს საინტერესო პიროვნებაზე—გრაფ მ.ტ. ლორის-მელიქოვზე, ვიდრე მინდოდა. მისმა ნაადრევმა სიკვდილმა და ამის შესახებ გაზეთების მითქმა-მოთქმამ ჩემს მეხსიერებაში გააცოცხლეს, აწგარდაცვლილი მოღვაწის საყვარელ სახესთან ერთად, ჩემი და მისი ურთიერთობის მთელი რიგი დამახასიათებელი ეპიზოდები:

მე მას საკმაოდ ახლოს ვიცნობდი, სხვადასხვა ვითარებაში ვხვდებოდი, რამაც, ცხადია, ბევრი რამ მასწავლა. გასაგებია, რომ ჩემი ანეგდოტური მოთხრობა დაფუძნებულია ჩემს სუბიექტურ შთაბეჭდილებებზე: მე აღვწერ მოვლენებს იმ კუთხიდან, საიდანაც დავინახე და აღვიქვი მაშინ, როგორც შემდგომში დაინახავთ, ეს სრულიად არ შელახავს ისტორიულ ობიექტურობას და სიმართლეს. პირველად მ.ტ. ლორის-მელიქოვი ვნახე ზამთარში, ყარსის მახლობლად გაშლილ ბანაკში, ხოლო 1877 წლის აპრილში მის და მისი „სარდლობის" წინაშე წარვსდექი, როგორც საფრანგეთის „გავასის სააგენტოს" სამხედრო კორესპონდენტი. მანამდე მე მისთვის შორიდანაც კი არსად მომიკრავს თვალი, მანამდე მის შესახებ დარხეული სხვადასხვა ხმები მესმოდა, მაგრამ მათგან არავითარი გარკვეული შთაბეჭდილების შექმნა არ შეიძლებოდა. ამიტომ მე მას წინასწარ აკვიატებული აზრის გარეშე მივუდექი: ჩემთვის იგი თეთრი ქაღალდი იყო, რომელზედაც არაფერი ენერა და არც არაფერი იყო დაჯღაბნილი. გასაგები ცნობისმოყვარეობით მსურდა შემეხედა მხედართმთავრისათვის, რომლის შინაგან არსზე დამოკიდებული იყო მომავალი ბრძოლების პერიპეტიები. მე ერთი ბეწოთითაც არ მეპარებოდა ეჭვი, რომ დამოუკიდებლად შემეძლო დამეწყო ჩემი ანალიზი, სანამ იგი ჩემს ქაღალდებს გადახედავდა და გახსნიდა იმ მნიშვნელოვან პაკეტს, რომელსაც ჩემი ხელით უგზავნიდა მას შტაბი, სადაც იდო ასობით ჯარისკაცის გიორგიევსკის ჯვარი (მომავალი ბრძოლების გმირებისათვის)*. მე იმედი მქონდა,რომ მომეცემა დრო აზრის მოკრებისა, სანამ ჩემს შესახებ მოახსენებდენენ, სანამ მოვიდოდა გენერლის წინაშე ჩემი წარდგომის რიგი. მაგრამ ყველა ჩემი ვარაუდი გაცამტვერდა. როგორც კი ცხენიდან ჩამოვხტი, მაშინვე მის უბრალო კარავში მიმიწვიეს. გენერალს არც

* ის პაკეტიც და ის ჯვრებიც მე იმიტომ გამატანეს, რომ უფლება ჰქონოდათ მოეცათ ჩემთვის კურიერის სამგზავრო მოწმობა, ურომლისოდაც მაშინ ჩვენს გზებზე ვერ გაიელდი. (ავტ.).

კი დაუხედავს ჩემი ქაღალდებისა და პაკეტისათვის, მაშინვე თბილი, მაგრამ დამცინავი, გამომცდელი მზერა მომაპყრო. გამომცდელიდან მე უმალ გამოსაცდელ პიროვნებად ვიქეცი. მაგრამ გენერლის მზერა ისე იყო სავსე სიცოცხლით და პოეზიით, ისე არა ჰგავდა იმას, რის ნახვაც მანამდე მიხდებოდა, რომ მის თვალებს მზერა ვერ მოვაშორე. სანამ იგი მზერით მცდიდა, ჩემს გონებაში ასეთი აზრი ტრიალებდა: ვოლტერის უდენის[31] მზერა და ღიმილი აშკარად გეუბნება: „მე შენ მოხარშულს გიცნობ და ამიტომ არაა საჭირო თავი შევიწუხო შენი ამოცნობით, ადამიანები ისეთი სულელები და ბრიყვები არიან...“

...აქაც, მის მზერაში, მის ღიმილში, მისი მხიარული, ვაჟკაცური, მომავალ გამარჯვებებში დარწმუნებული თვალები მხოლოდ ერთ რამეს ამბობდენენ: „შენ ჩემთან ეშმაკობა არ გარგებს, ძმაო, მე შენ მოხარშულსაც კი ამოგიცნობ, ჯობია დამნებდე!“ რადგან მე ეშმაკობა აზრად არ მომსვლია, ამიტომ ჩემი მზერაც გულკეთილი სიხარულის მეტს არაფერს გამოხატავდა. და, აი, ჯერ ერთმანეთისათვის სიტყვაც არ გვითქვამს და უეცრად, ღმერთმა იცის რატომ, ერთმანეთისადმი მეგობრულად განვეწყვეთ, თითქოს ათეული წლები ვიცნობდით ერთმანეთს, თითქოს ერთად გავიზარდეთ და ამიერიდან აღარ დავცილდებით ერთმანეთს. ვიგრძენი რა ეს, მე რატომღაც შემეშინდა და მექანიკურად დავიწყე ჩემი საზაფხულო პიჯაკის შეკვრა, როცა „გენერლის პირდაპირ-სავარძელში ვჯდებოდი“.

—მითხარით გულწრფელად, დაუფარავად, როგორ უყურებთ ჩვენს საქმეს და თქვენ ამოცანას. ვითამაშოთ გახსნილი კარტით —ასეთი იყო გენერლის პირველი სიტყვები იმ მუნჯი სცენის შემდეგ—ჩვენთან თანაგრძნობის გამოსახატავად ჩამოხვედით თუ გასაკრიტიკებლად, დასახმარებლად თუ ხელის შესაშლელად?

—იცით—ვუპასუხე მე—მე არ თანავუგრძნობდი ამ ომს[32], არ მინდოდა, რომ იგი დაწყებულიყო და ბევრს ვწერდი იმათ წინააღმდეგ, ვინც ჩვენ ამ ომში ჩაგვითრია...

—ვიცი... წამიკითხავს...

—მაგრამ რადგან იგი დაიწყო, მე მთელი სულითა და გულით გისურვებთ გამარჯვებას და ძალიან სწრაფ, გადამწყვეტ გამარჯვებას. სხვა რამეზე რომ არაფერი ვთქვა, მე როგორც ქართველს, არ შეიძლება არ მესმოდეს, რა მოყვება ჩვენს წარუმატებლობას ჩემი სამშობლოსათვის. ეს არის საქმისადმი ჩემი გულწრფელი დამოკიდებულება. რაც შეეხება ჩემს წერილებს, ისინი თქვენს ხელშია, სამხედრო ცენზურის ხელში. პირადად მე ვაპირებ გულწრფელად ავწერო მხოლოდ ის, რა-

საც საკუთარი თვალით დავინახავ: უაღრესად ბედნიერი ვიქნები, თუ მხოლოდ ნათელ სურათებს დავინახავ. მე მათ ასევე ნათლადვე აღვწერ. იქნება ბნელი მხარეები, მე მათ არ დავმალავ, ცხადია, იმდენად, რამდენადაც ამის შესაძლებლობას ცენზურა მომცემს. დანარჩენს კი შევინახავ ჩემს მეხსიერებაში და ჩემს უბის წიგნაკში მომავლისათვის. საერთოდ, მე არ მეხერხება არც სისტემატური ქება და არც სისტემატური ძაგება.

ჩემი წერილების ხასიათი მთლიანად თქვენი მოქმედების ხასიათიდან იქნება გამომდინარე.

—სხვა არც არაფერი მინდა, ამის დასადასტურებლად შეგიქმნით ყველა პირობას, რომ პატიოსნად შეასრულოთ თქვენი ამოცანა: არაფერს დაგიმალავთ. თქვენთვის ხელმისაწვდომი იქნება როგორც ხელსაყრელი, ასევე არახელსაყრელი ცნობები: ახლავე გავცემ ბრძანებას, გაგაცნონ ყველა მოხსენებები, დეპეშები, პატაკი და გეგმები, მხოლოდ ერთი პირობით, მომცემთ პატიოსან სიტყვას, რომ ცნობები ჯარების მომავალი მოძრაობის შესახებ, შტაბების უფროსის ან ჩემი ნებართვის გარეშე, არსად გამოქვეყნდება.

—ეს ხომ თავისთავად ცხადია, ეს ხომ ელემენტარული წესია...

—რაც შეეხება მსჯელობას მოვლენების შეფასებისა და კრიტიკის შესახებ, აქ თქვენ სრული თავისუფლება გენიჭებათ. პატიოსან სიტყვას გაძლევთ, ისე მოვაწერ წერილს ხელს, რომ არც კი წავიკითხავ. კრიტიკისა არ მეშინია. თუ მასში რამე საქმიანი იქნება, ვეცდები გამოვიყენო, თუ სისულელე, ეს თვით თქვენთვის იქნება ცუდი. ე.ი. სთხოვეთ თავად თარხანოვს შემოვიდეს ჩემთან!

შემოვიდა კაპიტანი თავადი გიორგი თარხანოვი, რომელიც, როგორც შემდეგ გამოირკვა, შტაბის ყველა „საიდუმლო“ მიმოწერას განაგებდა, იგი იყო სეიფის გასაღების მფლობელი და ა.შ.

—გიორგი, გაიცანი ბატონი ნიკოლაძე: მიეცი ყოველგვარი ცნობა, რაც უნდა...

კაპიტანმა ეჭვით და ყურადღებით შემათვალიერა და მოწიწებით წარმოსთქვა: „მესმის“!

შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, როგორ შთაბეჭდილებას მოახდენდა ყოველივე ეს ჩემზე. ო, მე ძალიან კარგად ვიცოდი, რომ ყველაფერს არ მაჩვენებდნენ, რომ ეს არის ჭკვიანური, პოლიტიკური, გამარჯვების მომტანი ხერხი, რომ მე „ბრძოლის“ დაწყებამდე ვარ განიარაღებული, მაგრამ დამეთანხმეთ, მაინც ბედნიერებაა საქმე გქონდეს ჭკვი-

ან ხალხთან, დიდ მოწინააღმდეგესთან. მე არ ველოდი ამგვარ ვითარებას თუ წავაწყდებოდი, არ ვიყავი მიჩვეული ასეთ მდგომარეობაში ყოფნას...

—როგორც ვხედავ—თქვა გენერალმა—თქვენ კჭვი გაქვთ, რომ აქ მახეს გიგებენ, მაგრამ არა უშავს, დრო თავისას იქმს და დარწმუნდებით ჩემს გულწრფელობაში, დარწმუნდებით იმაში, რომ ჩემს ინტერესებში არ შედის დაგიმალოთ რამე...

—დამიჯერეთ, თქვენო აღმატებულებავ, რომ მე გულწრფელად ბედნიერი ვარ... და მე ავდექი, რომ გამოვმშვიდობებოდი.

—დაიცადეთ, იჯექით, ხელს არ მიშლით. თქვენი საქმისათვის ჯერ არაფერი გაგიკეთებიათ. ვერ მოასწარით გეკითხათ, რა გელით დღეს წინ, რას ვაპირებთ. თუმცა, ოთხი საათის შემდეგ მე აქედან ავიყრები და არდაგანისაკენ დავიძრები. სადაა თქვენი ბარგი, კარავი თუ გაქვთ?

მე ვუპასუხე, რომ ბარგი ალექსანდროპოლში დავყარე, საიდანაც იქაურ კომენდანტს, გენერალ გ.ნ. კობიევს არაფრით არ უნდოდა გამოვეშვი შემდეგ ხელსაყრელ შემთხვევამდე, ანუ კვირის ბოლომდე. ამიტომ იძულებული შევიქენი მარტოდმარტო გამოვქცეულიყავი, თანაც მოტაცებული, ნაალაფარი ცხენით, რათა მომესწრო რაზმისათვის არდაგანისაკენ დაძვრამდე.

მიხეილ ტარიელის ძის ხარხარს ბოლო არ უჩანდა, განსაკუთრებით, როცა მოვუყევი, რომ გენერალ კობიევს, რომელმაც ისე მიმიღო, როგორც ღვიძლი შვილი, ჩემი დაპატიმრება და „ციხე-სიმაგრეში" ჩასმა უნდოდა, როცა განვუცხადე, რომ მაინც გავიპარები აქედან და თანაც მცველთა გარეშე-მეთქი: იგი ჩემი სიცოცხლისათვის კი არ თრთოდა, არამედ სახელმწიფო პაკეტისათვის. „მე შენთვის ქართული სადილი შევუკვეთე, შენ კი გინდა გაიქცე ლორისთან, რომელსაც ახლა სასმელი კი არა, საჭმელიც კი არაფერი აქვს"...

—ჩემი ბარგი მას დავუტოვე, მე კი გამოვიქეცი, სადილი ალბათ ახლაც მელოდება.

—არა, კობიევი ტყუის, რომ ჩვენ აქ საჭმელი არაფერი გვაქვს. აი, უბარგოდ კი გაგიჭირდებათ გზაში, მაგრამ რას იზამთ, შეეჩვიეთ, შეიძლება კარავიც კი მოსტაცოთ არდაგანში თურქებს...

შემდეგ საუბარი შეეხო თბილისის ახალ ამბებს, ჭორებს და მეტად თუ ნაკლებად გამოჩენილ მოღვაწეებზე მითქმა-მოთქმას...

თუ რა გაჭირვება გადავიტანეთ გზაში და ჩვენთან ერთად მ.ტ. ლორის-მელიქოვმაც, როცა არდაგანისაკენ მივდიოდით და იძულებული

ვიყავით გვეჭამა მოხარშული ქერის კვერები და გვძინებოდა თოვლში, ამის მოყოლა საჭიროდ არ მიმაჩნია. გზად მიმავალს ხშირად, როცა განთავისუფლდებოდა კოლონების მოძრაობისათვის გაცხარებული ზრუნვისაგან, თავისთან მიმიხმობდა და ამხედრებულებს ცოტა ვერსი როდი გვივლია შტაბიდან კარგა მანძილით დაწინაურებულებს ლიტერატურასა და საზოგადოებრივ სიუჟეტებზე საუბარში. ეტყობა იგი ერთსა და იმავე დროს მცდიდა კიდეც და რაღაც-რაღაცეებს სწავლობდა კიდეც ჩემგან და ასე კლავდა მოსაწყენ დროს. მე მისი ორი რამ მომწონდა თანაბრად: ამბებისა და ანეგდოტების მოყოლის მხატვრული მანერა და მისი უნარი, გამოსტყუოს მოსაუბრეს ყველაფერი, რისი ცოდნაც აინტერესებს. სამაგიეროდ თვითონაც მთლიანად ებმებოდა საუბარში და სრულიად არ ეთაკილებოდა გამოემჟღავნებინა თავის ნაკლი და „წვრილმანი" ზრახვები.

—მე ვიცი, ვოლტერიანელი[30] რომ ბრძანდებით და ასეთ ამბებს სხვაგვარად უყურებთ, მაგრამ მე ამასთან რა მესაქმება. მე ისეთი ვარ, როგორიც ღმერთმა შემმქნა, როგორიც ცხოვრებამ გამხადა: მე არ მრცხვენია ჩემი მანკიერებებისა, არ ვმალავ მათ. მინდა ვიყო გრაფი და მე იგი ვიქნები, აი, ნახავთ. ამას მე პატიოსანი გზით მივაღწევ, იმ დამსახურებით, ყველასათვის რომ სასარგებლოა, მე ამ შესაქცევარს ბრძოლით მოვიპოვებ. იმდენი დამცინეთ, რამდენიც გნებავთ. მე კი მინდა, ჩემმა შვილებმა, ჩემმა შთამომავლობამ მადლიერების გრძნობით მომიგონონ...

—მე ამის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, გრაფ—ვეუბნებოდი სიცილით...

—არა, მე ვიცი, გულში ამბობთ, აი, სულელი, აი, მეწვრილმანე, მას ნილად ისტორიული როლის შესრულება არგუნა ბედმა, მთელი მსოფლიო მას უყურებს, შეუძლია ასე თუ ისე მახვილით გაჩეხოს ჯვარსა და ისლამს შორის ჩამოვარდნილი საუკუნოვანი მტრობა და ამ დროს იგი რომელიღაც არპაჩაის გრაფობაზე ოცნებობს... რას იზამ, მართალია, რომ ვოცნებობ. არ მინდა ვიოცნებო, მაგრამ არ შემიძლია არ ვიოცნებო. თქვენ კი მკრეხელობთ, როცა მე ირონიულად გრაფად გახდომამდე გრაფს მიწოდებთ... დაიცადეთ, მოვა ის დრო, როცა მე სერიოზულად მომმართავთ, როგორც გრაფს, რა თქმა უნდა, თუ მანამდე თურქული ტყვია არ გაგგმირავთ.

—რას ამბობთ, არა მათი ტყვია მე არ მომწვდება, იმისათვის კი არა ვარ დაბადებული, შემთხვევით ნასროლმა ტყვიამ რომ მომკლას...

მომავალ გრაფს სახე ისე გაუბრწყინდა, თითქოს გამოეცვალაო.

—იცით, ვერ წარმოიდგენთ, როგორ გამახარა თქვენი სულის ყივილმა. მე ვარ ცრუმორწმუნე, უყოყმანოდ მწამს წინათგრძნობა. თქვენ არ გინდათ იმის დაშვება, რომ „უაზროდ“ წახვალთ ამქვეყნიდან. მე მწამს გონიერება, მისი წინასწარ განსაზღვრულობის უცვლელობა და ამ მხრივ, ისევე როგორც თქვენ, წმინდა წყლის „აღმოსავლელი კაცი ვარ“...

მე სკეპტიკურად გამეღიმა.

—არ გჯერათ, რასაც ვამბობ?

—არა, თქვენს მოუსვენარ, ან უფრო სწორად კითხვის გამომხატველ მზერაში შემაშფოთებელ ურწმუნოებას ვხედავ, ჩემთვის კი ეს ცუდი ნიშანია.

თქვენ რწმენით იმხნევებთ თავს, მაგრამ ვერ ვხედავ თქვენში ბუნებისა და ისტორიის კანონების ჭეშმარიტად მართლმორწმუნე მიმდევარს.

და რამდენადაც მე შემიძლია ვიმსჯელო, სწორედ ეს არის მთელი თქვენი სისუსტე, თქვენი აქილევსის ქუსლი.

არდაგანთან მე პირველად დავრწმუნდი მიხეილ ტარიელის ძის გულწრფელობაში. ვხედავდი, როგორ ემზადებოდა იგი ნაბიჯ-ნაბიჯ, დღიდან დღემდე იერიშისათვის და ამავე დროს უმნიშვნელო წვრილმანებიც კი იცოდა იმ დავისა და უთანხმოების შესახებ, რაც დაიწყო მეთაურებს შორის, როგორ და რა გზით აეღოთ არდაგანი.

ანგარდაცვლილი გენერალი დეველი (რომელიც არდაგანს ჩრდილოეთიდან, ახალციხიდან მოადგა) და გენერალი გეიმანი (რომელიც არდაგანს სამხრეთიდან, ყარსის მხრიდან მოადგა) სამხედრო თათბირზე წინადადებას იძლეოდნენ, დაუყოვნებლივ დასხმოდნენ თავს თურქებს და, უპირველეს ყოვლისა, იერიში მიეტანათ ერთ-ერთ იმ ფრონტზე, არდაგანს რომ ყოველი მხრიდან იცავდა. ახლა არ მახსოვს, რომელ ფრონტს ასახელებდა გეიმანი პოზიციის გასაღებად, მაგრამ დეველი ცხადად ამტკიცებდა, რომ პირველად უნდა შეუტიონ რამაზანს. ძალიან საინტერესოა მოგითხროთ თვით ლორის-მელიქოვის გეგმის გენეზისზე.

—მე არა ვარ მებრძოლი გენერალი—მითხრა მან, როგორც კი პირველი თათბირი დამთავრდა—არასოდეს ვყოფილვარ სერიოზული რაზმების წინამძღოლი. სწავლული და მებრძოლი ადამიანების წინაშე ძალაუნებურად მიხდება უკან დახევა. მე არ შემიძლია მოვწყდე უბრალო საღ აზრს და არ მწამს არავითარი მეცნიერებისა, არავითარი გამოც-

დილებისა, თუ ისინი ამ საღ აზრს ეწინააღმდეგებიან. აი, ახლაც, არაფერი არ მესმის ამ სიმაგრეების მოხაზულობისა, ამ მიწაყრილებისა, რაველებისა და რედუტებისა, მაგრამ თავში, აი, როგორი აზრი მიზის. მე ვიცი, რომ არდაგანში გაზაფხულის დასაწყისში ჩამოვიდნენ საუკეთესო ინგლისელი ინჟინრები ამ სიმაგრის დასათვალიერებლად და გასამაგრებლად. მათ, ათჯერ უკეთესად დაათვალიერეს სიმაგრე, ვიდრე ჩვენ აქედან ვხედავთ. არავითარი ზუსტი მონაცემები და გეგმები არა გვაქვს. არსებობს მხოლოდ ვეებერთელა სურათები, რომლებიც რამდენიმე წლის წინათ გადაიღეს. ამიტომ, ცხადზე ცხადია, რომ ინგლისელი ინჟინრები, რომელთაც გულდასმით დაათვალიერეს სიმაგრე, იცნობდნენ მის ძლიერსა და სუსტ ადგილებს. იქ, სადაც მათ არავითარი სიახლე არ შეიტანეს, სიმაგრე მართლაც მტკიცე და მიუდგომელია. პირიქით, იქ, სადაც ინგლისელების ჩამოსვლის შემდეგ ახალი სამუშაოები ჩაატარეს, სუსტი ადგილები იყო. შეტევაც სწორედ აქეთკენ უნდა წარვმართოთ.

რამაზანი იყურება ჩრდილოეთით, იმ მხარეს, საიდანაც თურქები ყოველთვის ელოდნენ შეტევას. შეუძლებელია, მათ ეს მხარე ისე არ გაემაგრებინათ, რომ მიუდგომელი გაეხადათ. ეს კი იმ̣ას ნიშნავს, აქედან შეტევის დაწყება უაზრობაა. მაგრამ თურქებს არასოდეს უფიქრიათ, რომ ჩვენ მათ სიმაგრეებზე იერიშს ყარსის მხრიდან მივიტანდით და ამიტომ ეს მხარე სერიოზულად არ გაუმაგრებიათ. ჩვენც სწორედ აქედან უნდა დავესხათ სიმაგრეს თავს, რაც თურქებისათვის მოულოდნელი იქნება. მით უმეტეს, როგორც ხედავთ, ინგლისელებმა სწორედ ამ მხრიდან გაამაგრეს სასწრაფოდ არდაგანი, საველე სიმაგრეები გულავერდის სიმაღლემდე აღმართეს: განა ცხადი არ არის, რომ ეს არის პოზიციის ყველაზე სუსტი ადგილი, მისი აქილევსის ქუსლი, რომ სწორედ მას უნდა დავესხათ თავს?

— ეტყობა ასეა—ვუპასუხე მე, რომ რაიმე მეთქვა.

იერიშის შედეგებმა დაადასტურეს ამ „მიხვედრის“ მთელი საფუძვლიანობა, რადგან გულავერდის აღებისა და არდაგანზე იერიშის მიტანის დროს, თურქებმა თვითონ მიატოვეს რამაზანი და ჩვენ უბრძოლველად დავიკავეთ იგი. ყველა სპეციალისტი, არ გამოვრიცხავ არც გენერალ დევალს, პირჯვარს იწერდა და ღმერთს ადიდებდა, რომ ჩვენ არ მოგვიხდა იმ მიუვალი სიმაგრის იერიშით აღება, რომელსაც შეეძლო თავის მიწათხრილებში დაემარხა ოთხჯერ იმაზე უფრო ძლიერი რაზმები, რომელთაც არდაგანი აიღეს...

83. საუქმო საკითხავი

(გაგრძელება)

არდაგანის აღების შემდეგ, მისი ამაღლების მდგომარეობა მართლაც ტრაგიკული გახდა. „ნარმატებამ ჩვენ პირველებს შეგვასხა ფრთები“ და უეცრად ყველას მოეჩვენა, ყარსიც ისეთივე ჯადოსნური სიჩქარით იქნებოდა აღებული, როგორც არდაგანი ავიღეთ.

თავდასხმის მოულოდნელობამ, დახოცილებისა და დაჭრილების შედარებით უმნიშვნელო რიცხვმა, მ.ტ. ლორის-მელიქოვის მოხერხებული კაცის რეპუტაციამ, როგორც ვთქვით, თითქმის მთელი მხარე დაარწმუნა, რომ ყარსიც ისევე სწრაფად და იოლად, თითქმის ისეთივე „ფოკუსით“ იქნებოდა აღებული, როგორც აიღეს არდაგანი. შეიქმნა საერთო აზრი, რომ „ლორისი მას ოქროს გასაღებით გააღებს“. არდაგანის იოლმა გამარჯვებამ ჯარშიც კი ერთგვარი ამგდები დამოკიდებულება გამოიწვია თურქების მიმართ...

ყველა ითვლიდა საათს, ყარსზე იერიშისაგან რომ გვაშორებდა.

სინამდვილეში მაშინ ამ სიმაგრის აღების კი არა, მისი სწორად და სერიოზულად ალყაში მოქცევის საშუალებაც კი არ გვქონდა. ლორისის განკარგულებაში იყო სულ რვა ფეხოსანი პოლკი. ამ ძალებით მას დაპყრობილი ქვეყანაც უნდა დაეცვა, ზურგი გაემაგრებინა და ყარსისათვისაც ალყა შემოერტყა. და ეს მაშინ, როცა ყარსის იზოლაციისათვის ორჯერ მეტი ძალა იყო საჭირო.

მ.ტ. ლორის-მელიქოვი გაბედული კაციც იყო და თავდაჯერებულიც, მაგრამ ამ შემთხვევაში ყარსის პირდაპირი იერიშით აღებას იგი მაინც ვერ ბედავდა.

მის მეხსიერებაში ჯერ კიდევ მეტისმეტად ცოცხლად იყო აღბეჭდილი 1855 წლის კომპანიაში მურავიოვის იერიშის წარუმატებლობის კვალი. ამავე დროს მისგან ყარსის იერიშით აღებას თხოულობდა—საზოგადოებაც, პრესაც, ხელისუფლებაც და ხელქვეითნიც.

ლორისმა ჯერ კიდევ 1877 წელს, არდაგანშივე შეიმუშავა შემდგომი მოქმედების გეგმა: მოშვებოდა ყარსს და მის სამეთვალყურეოდ დაეტოვებინა მცირე რაზმი, თვითონ კი თავს დასხმოდა საშიშროების ცენტრს, ერზრუმს, რომელიც ჯერ კიდევ მზად არ იყო წინააღმდეგობის გასაწევად, რადგან აქ მხოლოდ ამ დროს მოვიდა მუხტარ-ფაშა მცირე აზიის თავდაცვის განსახორციელებლად. „ყარსი იმის იმედით და დახმარებითაა ძლიერი, რასაც იგი ღებულობს და მიიღებს სოღანლუღიდან. როგორც კი ყარსის გარნიზონი და მოსახლეობა გაიგებს, რომ სოღანლუღი ჩვენს ხელშია, ერზრუმი აღებული ან მათგან მოჭ-

რილია, ყარსი თვითონვე გაგვიღებს კარებს და ამით საფუძველი გამოეცლება რეალურ წინააღმედგობას". უდავოა, რომ ეს თვალსაზრისი სწორი იყო, მაგრამ მისი სუსტი მხარე იმაში მდგომარეობდა, რომ სოღანლულზე და ერზრუმზე იერიშის მისატანად ჩვენ, ჯარის სიმცირის გამო, არავითარი სერიოზული შესაძლებლობა არ გვქონდა.

ლორისი თბილისს დამხმარე ძალას თხოვდა, საიდანაც სიხარულით გაუგზავნიდნენ ამ ძალას, მაგრამ ნათქვამია, რაც არ არის, არ არისო: მთავარსარდალი წერდა, რომ მას ყარაულებიც კი ვერ შეუნახია... თხოვნაზე, ორი ფეხოსანი დივიზია მაინც გამოეგზავნათ მისთვის, სამხედრო მინისტრი დ.ა. მილიუტინი განუხრელად პასუხობდა, რომ „კავკასიის არმია მდიდარია თავის დიდებით", რომ „დამხმარე ძალა რუსეთიდან არ გაიგზავნება". ლორისი ცხარობდა, აბრაზებდა ის ამბავი, რომ რჩეული ფეხოსანი ჯარის ოცდათექვსმეტი ბატალიონი უქმად იდგა რიონის ხეობაში, სადაც საქმე მართლაც არაფერი ჰქონდათ, მაგრამ ლორის-მელიქოვმა ვერავითარ შედეგს ვერ მიაღწია.

რიონის ჯარის შესუსტებას, ეტყობა, იმიტომ ვერ ბედავდნენ, რომ ეშინოდათ თურქები გურიასა და იმერეთში არ შემოიჭრასო. მაგრამ ლორისი ამას სხვაგვარად ხსნიდა. იგი ამაში მხოლოდ „შტაბის ინტრიგას" ხედავდა, მხოლოდ იმის სურვილს, რომ სხვა მხედართმთავრების წარმატებისათვის შეეწყოთ ხელი და ამით მისთვის, მისი ამოცანებისათვის ზიანი მიეყენებინათ. საკუთარი ამოცანები კი მას სამართლიანად მიაჩნდა პირველხარისხოვან და უმნიშვნელოვანეს ამოცანებად, რადგან მას წილად ხვდა მცირე აზიის ომის თეატრზე მოქმედება.

მ.ტ. ლორის-მელიქოვი იძულებული გახდა უკან დაბრუნებულიყო და დაეწყო ყარსის „შეუძლებელი" გარემოცვა, რითაც მან მუხტარ-ფაშას დაუთმო მთელი ასპარეზი იმისათვის, რომ შეეიარაღებინა, დისციპლინა დაემყარებინა და მცირე აზიის მთელი ძალებისათვის, თურქეთის იმპერიის ძლიერების ამ ბირთვისათვის, თავი მოეყარა. მ.ტ. ლორის-მელიქოვი თმებს იგლეჯდა, ბედს იწყევლიდა, ამ დროს კი, თუ მხედველობაში მივიღებთ ბედის უმოწყალო ირონიას, ყველანი დიდიდან პატარამდე, მოსვენებას არ აძლევდნენ მას და წამდაუწუმ ეკითხებოდნენ: „ხვალ შეხვალთ ყარსში თუ ზეგ"? ამგვარი შეკითხვა ნერვებს აწყვეტდა. იგი სულ უფრო და უფრო ღიზიანდებოდა, განსაკუთრებით იმის გამო, რომ თავის ზრახვებს ვერავის უზიარებდა, რაც იწვევდა ჯარის სულიერად და მორალურად დაქვეითებას.

მაისის ბოლოს არმიის შტაბი ყარსთან დაბანაკდა დროებით.

როგორც ასეთ შემთხვევაში ყველგან და ყოველთვის ხდება, ჩვენს ბანაკში მაშინვე წარმოიშვა ორი დაჯგუფება და გაჩნდა უთანხმოება ორ ურთიერთსაწინააღმეგო თვალსაზრისს შორის, რასაც თან ახლდა შეხლა-შემოხლა. დაიწყო გაუთავებელი „გენერლების ომი". მ.ტ. ლორის-მელიქოვის შესახებ საზოგადოებაში არსებული აზრი, რომ იგი „ეშმაკი", „მოხერხებული" და „პოლიტიკოსი" კაცია, ამ ვითარებაში მე უდაოდ მცდარი მომეჩვენა. ვიცნობდი რა ამ დავა-კამათისა და ინციდენტების ყოველ დეტალს, ყოველდღიურად, დღე-ღამეში რამდენჯერმე თავად გ.გ. თარხანოვთან და პოლკოვნიკ ი.ს. ჩერნიავსკისთან ერთად კალთებზე ვექაჩებოდით ლორისს. იგი ცხარობდა, წყრებოდა, უხეშობდა, ჭირვეულობდა იმ დროს, როცა საჭირო იყო სულისა და გონების სიმშვიდე, რათა მართალ საქმეს გაემარჯვებინა...

...

ასეთ ვითარებაში მეთაურთა თათბირები, შემდგომი მოქმედების შესახებ, სულ უფრო მეტად ძნელდებოდა. ბოლოს მაისის უკანასკნელ რიცხვებში, გაიმარჯვა აწგარდაცვლილი ვ.ა. გეიმანის თვალსაზრისმა, რამდენიმე საათის განმავლობაში ყარსისათვის ყუმბარების ძლიერი დაშენის შემდეგ, უმალ მიეტანათ იერიში ქალაქზე. არასოდეს დამავიწყდება ის უცნაური ფიზიკური მდგომარეობა, რაც მაშინ განვიცადე, როცა მ.ტ. ლორის-მელიქოვმა სამხედრო საბჭოს გადაწყვეტილება მაცნობა: მომეჩვენა თითქოს ჩემს ირგვლივ ყინული შემოეწყო...

თუმცა მოგვიანებით იმასაც ვხედავდი, როგორ უფითრდებოდა მკვდარივით სახე პოლკის ზოგიერთ მეთაურს, როცა მას ბრძოლის დისპოზიციას აცნობდნენ. რა თქმა უნდა, ისინი საკუთარ სიცოცხლეს კი არ უფრთხილდებოდნენ, პირადი გრძნობა კი არ აშლილა მაშინ მათში...

მიღებული გეგმა, რაც ახლა უკვე ცნობილია გამოქვეყნებული მონაცემების მიხედვით, ითვალისწინებდა დაღამების შემდეგ, ღამის საფარქვეშ, საალყო და საველე ქვემეხებით ჯარი რაც შეიძლება ახლოს მისულიყო ყარსის ჩრდილო და დასავლეთ ფრონტებთან, განთიადისას დაეწყო ყუმბარების დაშენა, შუადღეზე გადასულიყვნენ იერიშზე, ხოლო საღამოსათვის სიმაგრე აეღოთ. და ეს უნდა გაეკეთებინა ძლივ-ძლივობით თავმოყრილ ექვს ფეხოსან პოლკს, 31 მაისს (მოძრაობა უნდა დაწყებულიყო 1877 წლის 1 ივნისს) მ.ტ. ლორის-მელიქოვი დაჟინებით მარწმუნებდა, რომ ჯობდა ბანაკში დავრჩენილიყავი.

—სულერთია—მეუბნებოდა იგი—ჩვენ ყველანი იქ ჩავიხოცებით. ვიღაც ხომ უნდა დარჩეს ცოცხალი, რომ ხალხის წინაშე დამიმოწმოს, ამ მწარე მარცხში, რომ მე არავითარი ბრალი არ მიმიძღვის. კორეპონდენტები ახლა აქ უთქვენოდაც ბევრია. გარწმუნებთ, რომ ისინი არაფერს დაწერენ.

მე ვუპასუხე, რომ არაფრით არ დავრჩები ბანაკში: „თუ სიკვდილია, ბარემ ერთად დავიხოცოთ". მაშინ იგი დამპირდა, რომ როგორც კი ცხენზე შეჯდებოდა, ნიშანს მომცემდა... და თავის შტაბით გამეცალა, მე კი კარავში დამტოვა*. გიჟივით გავეკიდე შტაბს უკან „გოლოსის" კორესპონდენტ გ.კ. გრადოვსკისთან ერთად. მაგრამ „სდიე ქარს მინდორში. ბნელ ღამეში, უგზო-უკვლოდ, ყოველგვარი მითითების გარეშე დავეხეტებოდი ხელის ფათურით, ნანილიდან ნანილამდე. წვიმდა კოკისპირულად. მიუხედავად ხარებისა და ცხენების სიმრავლისა, ქვემეხები წინ კუს ნაბიჯით მიიწევდნენ და გაუვალ ტალახში ღერძამდე ეფლობოდნენ. მტრის სიმაგრის სიახლოვე ყველას ვალდებულს ხდიდა დაეცვა სიჩუმე, აკრძალული იყო თამბაქოს მოწევა, ასანთის გაკვრა, ერთმანეთისათვის ხმამაღლა დაძახება. ყველა წყვდიადში ფუსფუსებდა, არავის შეეძლო ეთქვა, სად იყო შტაბი, სად იყო კორპუსის უფროსი, რადგან ეს მართლაც არავინ იცოდა.

წვიმა აბრკოლებდა არტილერიის მოძრაობას, ამგვარი არეულ-დარეულობა გ.კ. გრადოვსკის წარუმატებლობის წინამორბედ ნიშნად მიაჩნდა, მე კი პირიქით—მამხნევებდა, ვფიქრობდი: „დიადია, ჭეშმარიტად დიადია რუსეთის მიწის ღმერთი".

—საალყო ქვემეხები ორ ვერსსაც კი ვერ გაივლიან (ისინი თავიდან რამდენიმე ვერსის დაშორებით იდგნენ ბანაკის ჩრდილოეთით, ანუ კიდევ უფრო ყარსის სიმაგრიდან).

„ამის გამო, უნდათ თუ არა, იერიშის დაწყების გადადება მოუწევთ, შემდეგ კი ღმერთმა იცის, ვითარება როგორ შეიცვლება", ასეც მოხდა. გენერალმა გეიმანმა, რომელსაც არავარტანიდან იერიში უნდა მიეტანა ყარსზე, გამოგზავნა დეპეშა. რადგან არაფრით არ ხერხდება არტილერიის ადგილიდან დაძვრა, იერიში უნდა გადაიდოსო. ჯარებს იმ წამსვე უბრძანეს ბანაკში დაბრუნებულიყვნენ, ჩვენ კი, მე და გ.კ. გრადოვსკი მალე გადავაწყდით კორპუსის უფროსს, რომელიც მხიარული ბრუნდებოდა მაცრაში...

---

*ყოველთვის, როცა რაიმე საქმე იწყებოდა, იგი ყოველთვის მიგზავნიდა კაცს, რომ ვხლებოდი. ეს ჩვეა მხოლოდ სამჯერ დაარღვია განზრახ და სამივეჯერ მაშინ, როცა საფრთხე დიდი იყო...

როგორც კი მიცნო, მან უპირველეს ყოვლისა, ქართულად შემაგინა „ბიჭობის გამოჩენისათვის“, იმ „სიმხდალისათვის“, რომ მხდალი არავის ვეგონო“, შემდეგ კი თავშეკავებით აღტაცებულმა მითხრა: „განა ეს ვარსკვლავის გამოჩენა არ არის, განა ეს არ არის განგების ნიშანი!“—იმეორებდა იგი ყოველ წუთს.

თავად მეც მეშვიდე ცაზე ვიყავი და იმ წუთებში ყოველგვარი ცრუმორწმუნეობის გაგებაც შემეძლო და მიტევებაც. ჩვენ დავბრუნდით თავიდან ფეხებამდე გალუმპულნი. კარვები უკვე აეკეცათ. არ ვიცი, რა ქნეს სხვებმა, მე კი ისე ვიყავი სულიერადაც და ფიზიკურადაც დაღლილი, რომ ძლივს მოვასწარი ჩემი ბუცეფალის თივის ზვინზე მიბმა და ღია ცის და კოკისპირული წვიმის ქვეშ იმავე ზვინზე მივეგდე დასაძინებლად...

...

შემდეგ მოვლენები ჩვენი ნების გარეშე დატრიალდა. 3 ივნისს თურქები თვითონ გამოვიდნენ ყარსიდან, რომ არავარტანში დაბანაკებული ჩვენი ჯარისათვის შეეტიათ. მე არ აგიწერთ ამ ამბავს, რადგან ამ ბრძოლას არ დავსწრებივარ. ბრძოლა მიმდინარეობდა ჩვენი ბანაკიდან ათი ვერსის დაშორებით. მე მას თვალყურს ვადევნებდი იმ კარეტასთან ახლოს მდგარი, რომელიც ჩვენი საველე-სალაშქრო ტელეგრაფი იყო:

არც მთავარსარდალი და კორპუსის სარდალი მოშორებია ამ ადგილს მას შემდეგ, რაც გენერალ გეიმანის პირველი და საკმაოდ შემაშფოთებელი დეპეშა მოვიდა, სადაც ანგარდაცვლილი რიდძიევსკის, რომელიც მაშინ ქართველ გრენადერთა პოლკს მეთაურობდა და ბრძოლაში რაზმის მეთაურის დაუკითხავად და ბრძანების გარეშე ჩაება, თითქმის დახვრეტას მოითხოვდა. საინტერესო იყო ამ დეპეშების მიხედვით თვალყური გედევნებინა ბრძოლის პერიპეტიებისათვის, კიდევ უფრო საინტერესო იყო მოგესმინა ადამიანების მსჯელობისა და მსჯავრის ცვალებადობა: ბოლო დეპეშაში რიდძიევსკი უკვე გმირად იყო წარმოდგენილი და მართლაც გმირობა ჩაიდინა ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით...

სამწუხაროდ, ჩვენი ჯარების წარმატებამ არავარტანში, რასაც უნდა ვუმადლოდეთ თავად ზ.გ. ჭავჭავაძის ცხენოსანი ჯარის ბრწყინვალე იერიშს, ვერ დაგვიბრუნა ჩვენი ინიციატივა და საომარ მოვლენათა მიმართულებანი. მალე მოვიდა ცნობა, რომ თურქებმა ბაიაზეთს ალყა შემოარტყეს და რომ ერევნის „მიკროსკოპიული“ რაზმი, რო-

მელიც გაგზავნეს ალაშკერის ველზე ა.ა. ტერგუკასოვის მეთაურობით, რათა ჩამოეშორებინათ მუხტარის ყურადღება ყარსისაგან, წააწყდა რიცხობრივად უპირატეს მტრის ძალებს, რომლებიც მას განუწყვეტელ ესხმიან თავს. სამხედრო თათბირმა სხვა მიმართულება მიიღო: ახლა უკვე იერიშზეც კი აღარ იყო საჭირო ფიქრი, არამედ ბაიაზეთის გარნიზონისა და ერევნის რაზმის გამოხსნის უკეთეს ხერხებზე. გადაწყდა სოღანლუღში გაგზავნილიყო განსაკუთრებული რაზმი, რომ ამით მუხტარის ყურადღება ჩამოეშორებინათ ტერ-გუკასოვისათვის. მ.ტ. ლორის-მელიქოვმა გადაწყვიტა გაჰყოლოდა ამ რაზმს, რომელსაც ვ.ა. გეიმანი მეთაურობდა.

საჭიროდ არ მიმაჩნია ზივინის ლაშქრობის აღწერა. ადრინდელ მოთხრობას მხოლოდ რამდენიმე შტრიხს დავუმატებ, რაც მიხეილ ტარიელის ძისათვის იყო დამახასიათებელი.

ბევრად ადრე, ვიდრე სალაშქროდ წავიდოდა, მან მაცნობა მე როგორც ამ ლაშქრობის მიზანი, ასევე წამოწყებული ლაშქრობის საშიშროებაც, მაგრამ ამჯერად მას არ დაუშლია ჩემთვის მონაწილეობა მიმეღო ამ ლაშქრობაში.

—მართალია ლაშქრობა სახიფათოა, მართალია ისიც, რომ თურქები მთლად იდიოტები თუ არ არიან, ჩვენი სამარე სოღანლუღთან გაითხრება, მაგრამ მე მინდა თან მახლდეთ, მით უმეტეს, რომ ყარსთან საქმე არაფერი გექნებათ.

მე აქ, ლაშქრობის დაწყების წინ, მართლაც საინტერესო სურათი ვნახე. რკინის ნებისყოფა უნდოდა კაცს, სახეში ეცქირა მეორე კაცისათვის, რომელმაც იცოდა როგორ იყო საქმე, მოგესმინა ირგვლივ მყოფთა სერიოზული კითხვები და გაუგებრობანი იმის შესახებ, ვისი ხვედრი უფრო შესაშურია, იმათი, ვინც ერზერუმის ასაღებად მიდის, თუ იმათი, ყარსის ასაღებად რომ რჩება. ადამიანები სერიოზულად კამათობდნენ და ანგარიშობდნენ, სად უფრო მეტ ჯილდოს დაარიგებდნენ. ლაშქრობაში მიმავალნი შურით უყურებდნენ დარჩენილებს იმის გამო, რომ ეს უკანასკნელნი „უჩვენოდ აიღებენ ყარსს“. არავის არ უნდოდა ეფიქრა იმაზე, როგორ შეიძლებოდა ყარსის ან ერზერუმის აღება, როცა ორად გაყოფილი რაზმები სულ ოთხ-ოთხი ფეხოსანი პოლკისაგან შედგებოდა?ლორისი ხანდახან ნაღვლიანად იღიმებოდა, როცა რჩევას ჰკითხავდნენ: „წამოსულიყვნენ თუ დარჩენილიყვნენ“. მაგრამ უმეტეს შემთხვევაში იგი მოთმინებით და გესლიანად პასუხობდა და ამ პასუხებში მწარე სარკაზმიც იყო ჩაქსოვილი და უბრალო ლანძღვაც.

11 ივნისს მეჯინგერთის ბანაკში, როცა ჩვენთვის ცნობილი გახდა თურქების ჯარის განლაგება, ჩვენსავით ორ ბანაკად რომ იყო გაყოფილი და ერთმანეთისაგან 40 ვერსზე მეტით დაშორებული და როცა ყველამ, ვინც გარს გვერტყა, მოითხოვა გადაუდებლად მიგვეტანა იერიში მტრის უფრო ახლოს მყოფ რაზმზე, მე პირველად დავინახე, რა ძლიერ უჭირდა მიხეილ ტარიელის ძეს გადაწყვეტილების მიღება.

მის ფიქრებზე რომ ზემოქმედება მოგვეხდინა, მე და პოლკოვნიკი ს.ი. ქიშმიშევი „გენერლის" კარვის მახლობლად წამოვწექით მიწაზე და ხმამაღლა დავიწყეთ მტრის მდგომარეობაზე მსჯელობა. მე ვამტკიცებდი, რომ ჩვენი განლაგება ჩვენთვის საკმაოდ მოხერხებულია, რომ იგი, როგორც 1855 წელს, კვლავ წინა პლანზე აყენებს კერნიკოის ხიდის მნიშვნელობას, რომ საჭიროა ამ ხიდის ხელში ჩაგდება და თურქების ორივე რაზმს გზა მოჭრილი ექნება ერზერუმისაკენ. შემდეგ კი ჩვენ არაფერი შეგვიშლის ხელს ცალ-ცალკე დავამარცხოთ ისინი.

ბატონმა ქიშმიშევმა გამოიყენა მთელი თავის ცოდნა და სამხედრო ისტორიული ერუდიცია, რომ იგივე აზრი დაემტკიცებინა.

მაგრამ მ.ტ. ლორის-მელიქოვი ჩვენთან კი არ გამოვიდა კარავიდან, არამედ გვიბრძანა, სადმე მისგან მოშორებით გვეფილოსოფოსა, გვითხრა, უთქვენოდაც თავი დამძიმებული მაქვსო. მეორე დღეს კი ისე, თითქოსდა სხვათა შორის მითხრა: გუშინ თქვენ აქ სისულელეებს როშავდით ხმამაღლა. რისთვის? განა მე ყველაფერი ეს არ ვიცი? ჩემთვის, როგორც 1855 წლის კომპანიის მონაწილესათვის და ყოველივე ამის საკუთარი თვალით მნახველისათვის, განა ეს აზრი უცნობია? იგი სწორია, მაგრამ საეჭვოა, რომ სხვები ამ აზრს დათანხმდნენ. მეტისმეტად ღრმად აქვთ მათ სისხლში გამჯდარი კავკასიის ასწლიანი ომის ჩვევები, ანუ მოულოდნელი თავდასხმები, იერიშები, გაბედული შეტევები და ა.შ. ამაშია მთელი მათი სტრატეგია და მხოლოდ ამგვარი სტრატეგია სწამთ. როგორ ფიქრობთ, შეიძლება ადამიანები, ვინც არ უნდა იყვნენ ისინი, გაგზავნო სიკვდილზე; როცა მათ არ სწამთ თავიანთი საქმისა? აი, ზივინის წინააღმდეგ ისინი სიხარულით წავიდნენ, რადგან იქ „იერიში" იყო მისატანი, ხოლო რთული ოპერაციებისა და თქვენი საყვარელი „მტრის კვალში ჩადგომისა" მათ არ სწამთ... მე შევეცდები დავარწმუნო ისინი, ამოვწურავ ყველა საშუალებას, ვთხოვ არაერთგზის, მაგრამ თუ არ დამითმობენ, მაშინ იყოს ნება მათი. ისინი ხომ სიკვდილზე მიდიან...

ბრძოლის დღეს ჩვენ, სამივე კორესპოდენტი* ისე ახლოს ვიდექით გენერლის ჯგუფისაგან, რომელიც სამხედრო თათბირს წარმოადგენდა, რომ მთელი მათი კამათი გვესმოდა. ლორისი გაცხარებით ამტკიცებდა, რომ საჭიროა მოცდა, მოწინააღმდეგის შესახებ ცნობების შეკრება, პოზიციების დათვალიერება და ა.შ. ყველა დანარჩენს კი ეშინოდა, რომ „თურქები წავლენ". ბოლოს თათბირის ბედი გადაწყვიტა დ.ვ. კომაროვმა, რომელმაც ლორისს უთხრა:

—არა, მიხეილ ტარიელის ძევ, გამოტყდით, ყველაზე მეტად თქვენ ის გაჩერებთ, რომ დღეს ორშაბათი და ცამეტი რიცხვია.

ამ მინიშნებამ ლორისის „ცრუმორწმუნეობაზე" და „სიფრთხილეზე", ეს უკანასკნელი მოთმინებიდან გამოიყვანა: „თუ ასეა, ჰქენით რაც გინდათ, მე ხელები დამიბანია"!

ამის თქმის შემდეგ, იგი ჩვენთან მოვიდა და ეს უკანასკნელი სიტყვები ფრანგულადაც გაიმეორა.

—მე მგონი—უთხრა მას კუტულიმ, რომელიც საერთოდ ერკვეოდა სამხედრო საქმეში—რომ თქვენ, როგორც კორპუსის უფროსს, უფლება გაქვთ თავს მოახვიოთ მათ თქვენი თვალსაზრისი.

ლორისი მკვეთრად შებრუნდა ჩვენგან და მჭმუნვარედ ჩამოჯდა ქვაზე, საიდანაც გაჰყურებდა თურქების უძრავ ბანაკს, რომელიც თეთრად მოჩანდა მის წინ გაშლილ ბორცვებზე...

84. საუძმო საკითხავი

(გაგრძელება)

ზივინის ბრძოლის დროს თავის ნებასურვილი და ძალაუფლება მ.ტ. ლორის-მელიქოვმა მხოლოდ შებინდებისას გამოიყენა. მანამდე მთელი დღე ისე ღელავდა, რომ ამის აღწერა შეუძლებელია. ჩვენ ბრძოლას სიმაღლიდან ვადევნებდით თვალყურს, თურქები მოწინააღმდეგე ფერდობებზე იყვნენ გამაგრებულნი და ამიტომ იერიშის მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი ჩანდა. მაგრამ რა ხდებოდა ქვევით, ხევში, სადაც მდინარე ზივინი მიედინებოდა და სადაც ჩვენი ჯარები ჩავიდნენ, რომ ხევიდან ფერდობებზე ასულიყვნენ და მტრის პოზიციებზე იერიში მიეტა-

---

*„გოლოსის" კორესპოდენტი გ.კ. გრადოვსკი, პარიზის გაზეთის „Le Temps" კორესპონდენტი შარლ-დე-კუტული (საფრანგეთის ახლანდელი კეთილი იმედის კონცხზე და მე.

ნათ, აი, ამის დანახვა „კორპუსის უფროსს“ არ შეეძლო. ერთმანეთის მიყოლებით აგზავნიდა იგი ხეობაში ადიუტანტებს, შიკრიკებს, ავალებდა გაეგოთ, რა ხდებოდა იქ, დაბლა და, აქამდე რატომ არ ადიოდა ჯარი მაღლა. გაგზავნილები ან საერთოდ არ ბრუნდებოდნენ, ანდა ბრუნდებოდნენ ძალიან დაგვიანებით. ლორისი თითქმის მარტო დარჩა: ჩემს გარდა, კორესპონდენტებიც კი წავიდნენ. მე კი იმ დღეს მიზნად დავისახე ლიტერატურის თვალსაზრისით ჩამეტარებინა საინტერესო ცდა—ამეწერა ბრძოლა არა მისი დამთავრების შემდეგ, არამედ, ასე ვთქვათ, საათიდან საათამდე, მისი მსვლელობის უშუალო შთაბეჭდილებების მიხედვით. ლორისი მწარედ დამცინოდა, ენამახვილობდა, რომ ვბაძავ იმპრესიონისტ მხატვრებს და აბსურდამდე დამყავს „ღია ცის ქვეშ ხატვის“ ხერხები და ამის გამო ხელს მიშლიდა მუშაობაში, მითითებდა ამა თუ იმ სურათზე.

საათობით ვუყურებდით ჩვენს ქართველ გრენადერთა პოლკის გმირულ ცდას აცოცებულიყვნენ ციცაბო კლდეებზე მტრის მიწათხრილებამდე, რომლებიც თოფების განუწყვეტელი სროლით გამოწვეულ კვამლში იყო გახვეული.

გრენადერები, რა თქმა უნდა, ეცემოდნენ და მოკლულები თავდაყირა ცვივოდნენ უფსკრულში, მაგრამ პოლკი უკან მაინც არ იხევდა: მისი უილაჯობა და უძლურება მხოლოდ იმაში მჟღავნდებოდა, რომ ფერხდებოდა მისი შეტევები და იგი პასიურად ეგებებოდა სიკვდილს, სეტყვასავით რომ მოდიოდა ზევიდან. მე მზერა დამებინდა. ლორისი ცდილობდა ცრემლი დაემალა. „სად არიან ჩემი ერევნელები, რატომ არ ეხმარებიან ქართველებს,“ კითხულობდა იგი დრო და დრო. „გაიხედეთ თქვენს ჭოგრიტში, ცხენოსანი ჯარი თუ ჩანს?“ მაგრამ ცხენოსანი ჯარი, ფლანგიდან შემოსავლელად რომ გაგზავნეს, არსად ჩანდა...

დღის ბოლოს ლორისმა მიიღო მტკიცე გადაწყვეტილება, შეეჩერებინა ეს სასაკლაო. რადგან ადიუტანტები და შიკრიკები აღარ ჰყავდა, მან მთხოვა, მისი ბრძანება სიტყვიერად გადამეცა გეიმანისათვის, რომელიც ქვევით, ხევში იმყოფებოდა. მე თვალები გადმომცვივდა. „მე რატომ დამიჯერებს, გარდა ამისა, სრულიად არ მინდა იმ კაცის გამომეტყველება მქონდეს, რომელსაც სურს თავი „გამოიჩინოს“ და ორდენი დაიმსახუროს, არაფრის გულისათვის არ წავალ!“ — ვუპასუხე მე. მ. ტ. ლორის-მელიქოვმა პირველივე მობრუნებული ოფიცერი გაგზავნა, შემდეგ გაგზავნა მეორე, მესამე და ა.შ. ვ.ა. გეიმანს არ უნდოდა ბრძოლა შეეწყვიტა და გადაწყვეტილი ჰქონდა იერიში მეორე დილით „დაემთავრებინა.“

ლორისმა თავისი გაიტანა და იმის გამო, რომ თურქების ბანაკიდან გამოვიდა ჯარი, ალბათ იმ მიზნით, რომ ჩვენთვის მარჯვენა ფლანგიდან შემოეევლო ან სულაც ზურგში მოგვქცეოდა, მ.ტ. ლორის-მელიქოვმა ჩემი და სამი კაზაკის თანხლებით მარჯვნივ 2-3 ვერსზე გააჭენა ცხენი, რომ დაენთო კოცონები, რაც შეიძლება თურქებს იმის ნიშნად მოჩვენებოდათ, თითქოს ამ ადგილას განსაკუთრებული დანიშნულების რუსული რაზმი დგას...

თურქების კოლონა უკან გაბრუნდა და ამის შემდეგ არავის შევუწუხებივართ.

ცნობილია, როგორი ხელოვნებით შეძლო ლორისმა სოლანლულის ვიწროებით ზივინიდან უკან დახევა, სადაც ასამდე ბაშიბუზუკს შეეძლო რაზმის შეჩერება... მგრძნობიარე ლორისი აზვიადებდა მარცხის მნიშვნელობას, იგი ჩქარობდა, უნდოდა ყარსში მთავარსარდლისათვის მიესწრო და გამოეთხოვა მისთვის დამხმარე ძალა. მან დიდი სულიერი ვაჟკაცობა გამოიჩინა, რაც ღირსეულად შეაფასა მაშინ მთელმა რუსეთის პრესამ, თავის თავზე აიღო მოეხსნა ყარსის ფიქტიური ალყა და მთელი რაზმით კიურუკ-დარისაკენ დაეხია, სადაც დაელოდებოდა მტკიცედ გამოთხოვილ ახალ დივიზიებს. ამ გადაწყვეტილებათა გამო მე რაზმი ამ ღონისძიებათა განხორციელებამდე მივატოვე, რომ თბილისში ჩამოვსულიყავი, დამესვენა და თუ მოვახერხებდი, მომენახულებინა ჩვენი სხვა რაზმებიც.

ივლისის ბოლოს მე-40 დივიზია კიურუკ-დარაში ჩავიდა რიონის ზოგიერთ ნაწილთან ერთად. უკანასკნელ ეშელონებს მეც ჩავყევი, „ნოვოე ვრემიას" ახალგამომცხვარ კორესპონდენტთან პ.ა. იზმაილოვთან ერთად, რომელმაც თბილისის თვითმმართველობაში მეტ წარმატებას მიაღწია, ვიდრე სამხედრო კორესპონდენტის პოსტზე. უნდა დავსძინო, რომ ჩემი თბილისში ჩასვლის მთავარი მიზანი ის იყო, როგორმე მიმეღწია ჩემი კორესპონდენციების ცალკე გამოცემისათვის, რადგან იმ მეთოდებმა, როგორითაც თავად კ.ა. ბებუთოვი უძღვებოდა „ტიფლისკი ვესტნიკის" გამოცემას, სადაც აქამდე იბეჭდებოდა ჩემი რუსულად დაწერილი „წერილები ლაშქრობიდან" და ჩვენმა პირადმა უთანხმოებამ გამოიწვია ის, რომ მე აღარ შემეძლო მეთანამშრომლა ამ გაზეთთან. მაგრამ დ.ა. კობიაკოვი თავაზიანად დამთანხმდა ყოფილიყო ჩემი გამომცემელი და მე გადავწყვიტე გამეგზავნა მისთვის უფრო საფუძვლიანი და არა მფრინავი აღწერები და შენიშვნები.

მ.ტ. ლორის-მელიქოვის სანახავად მხოლოდ მას შემდეგ გავემგზავრე, როცა ადგილზე მივიხედ-მოვიხედე. მინდოდა გამომეკითხა მისთვის საქმის ვითარება, უმთავრესად მინდოდა მცოდნოდა შემდგომი მოქმედების გეგმა. იგი დიდი სიხარულით შემხვდა.

—თქვენ ჩემგან შეუძლებელს მოითხოვთ—მითხრა მან ხუმრობით, იუმორით—გადახედეთ „ნოვოე ვრემიას", რომელიც ცხადად მიგვანიშნებს იმაზე, რომ „თქვენ იცით ღმერთების საიდუმლოება", რომ გენერლებთან დაძმაკაცებული ხართ, რომ საჭიროა თქვენი შეჩერება, რათა არ დავიმსახუროთ თქვენი თანამოკალმეების ზედმეტი საყვედურები.

—გთხოვთ—ვუთხარი მე, რადგან ვიცოდი, რომ ამ სანახევრო ხუმრობაში ჭეშმარიტების რაღაც ნაწილი იყო.

—არაფერია, დაე, დამესხენ თავს. მე მაინც გეტყვით, რომ 5 აგვისტოს ჩვენ ახალი ძალებით მუხტარს დავესხმებით თავს: ჩვენ მას მისივე მარჯვენა ფლანგიდან შევუტევთ, რათა ვაიძულოთ უკანვე წაეთრიოს...

—თქვენ რა, ხუმრობთ?

—აი, დახედეთ დისპოზიციას.

დავრწმუნდი რა, რომ ეს არც ხუმრობა იყო და არც ხრიკი, ვერ მოვითმინე, მგზნებარედ, თავდაჯერებულად დავიწყე ამგვარი გეგმის უვარგისობის, მავნებლობის მტკიცება. თურქეთის ჯარების განლაგება მოითხოვდა საწინააღმდეგო მხრიდან შეტევას: საჭირო იყო ყარსსა და მუხტარს შორის თურქების ჯარის მარცხენა ფლანგს უკან შესვლა, ავლიარის აღება, აქ გამაგრება და ამით მუხტარისათვის ყარსიდანაც და ერზერუმიდანაც, ე.ი. ბაზიდანაც გზის მოჭრა. მაშინ მუხტარს სხვა არაფერი დარჩებოდა იმის გარდა, რომ ტყვედ ჩაგვბარებოდა. ლორისი დიდი ყურადღებით მისმენდა, არც ერთხელ არ შეუწყვეტინებია უსასრულო სიტყვა, რომლებიც გამაგრებული იყო პასკევიჩის, ვ.ო. ბებუთოვის და ევროპელი სტრატეგების მიერ ჩატარებული ბრძოლებიდან მოტანილი მაგალითებით. რადგან ვცხარობდი, აღარ დავინდე, ნაბიჯ-ნაბიჯ ვამხილე 1877 წლის კომპანიის ყველა ხელის მოცარვა. რაც უფრო შორს მივდიოდი, რაც უფრო გამოკვეთილი და სარწმუნო ხდებოდა ჩემი მაგალითები და საბუთები, მით უფრო ყურადღებით მისმენდა. ბოლოს მისი გაღიმებული სახის გამომეტყველება, მისი მხიარული განწყობილება დაღვრემილობამ შესცვალა.

—თქვენ არაფერი, არაფერი არ გესმით, ჩემო მეგობარო, თქვენ ისეთივე შეცდომას უშვებთ, როგორც რიძიევსკი, რომელსაც გენერლობისაკენ ექაჩებით და რომლის სიტყვებსაც იმეორებთ...

—რას ბრძანებთ, მე იგი თვალითაც არ მინახავს, მე მას არც კი ვიცნობ... თქვენ ეს იცით...

—მთელი თვეა იგი ამას იმეორებს... მაგრამ გამიგეთ და მასაც გააგებინეთ, რომ ამგვარი რთული ოპერაციების განხორციელება ჩვენ არ შეგვიძლია. ამისათვის საჭიროა ყველა რაზმის უფროსისაგან ქრონომეტრიული პუნქტუალობა. ჩვენები კი ან ნახევარი დღით წინ გაიქცევიან, ანდა მთელი ერთი დღე-ღამით დაიგვიანებენ. თქვენ ჭკუა აგირიათ დასავლელი თეორეტიკოსების შესწავლამ და ჩვენს ყამირ მიწაზე მოლტკეს გაკვეთილების გადმონერგვას ცდილობთ... ამგვარი სკოლა ჩვენ ჯერ არ გაგვაჩნია...

— მერე ვინ გიშლით ხელს შექმნათ იგი? დააწინაურეთ ახალგაზრდა ოფიცრები, გამოაცხვეთ მათგან გენერლები, სხვები კი ჩააბარეთ არქივს და გექნებათ სკოლა...

ბოლოს და ბოლოს, ტყუილად რომ არ გაღიზიანებულიყო, ლორისმა დამითხოვა.

მთელი დღე ცეცხლმოკიდებულივით დავდიოდი. თუ გახსოვთ დანტეს ნათქვამი აქვს, რომ „არ არსებობს უფრო დიდი მწუხარება, როცა გაჭირვების ჟამს, გარდასულ ბედნიერებას მოიგონებ“. ღმერთო, რა სისულელეა! ყველაზე დიდი მწუხარება ამქვეყნად ის არის, როცა არ შეგწვეს ძალა, თავიდან აიცილო საფრთხე და გულზე ხელდაკრეფილმა უყურო მის წარმატებას.

საღამოს სანთელი ავანთე და პ.ა. იზმაილოვის თანაბარი, აუღელვებელი ხვრინვის აკომპანიმენტზე—იგი ჩემს კარავში ცხოვრობდა—მთელი ღამე გამალებული, ვნებააშლილი ვწერდი წერილს „ომის სისტემაზე მცირე აზიაში“. მე ჩემს თავს უდიდესი ძალა დავატანე, რომ ავმაღლებულიყავი მეცნიერული ობიექტურობისა და სიმშრალის ყველაზე მაღალ დონემდე და თავი შემეკავებინა ყოველგვარი სიმკვახისაგან, რასაც შეეძლო წერილი დაეღუპა: ისე მინდოდა, იგი რომ უმალ დაბეჭდილიყო, ცენზურის ბრჭყალები რომ გაევლო, მასში რომ მხოლოდ თეორიული მსჯელობა დაენახათ და არა ამჟამინდელი მდგომარეობის კრიტიკა. ფორმის მხრივ მე მთლიანად მივაღწიე მიზანს. ვფიქრობ, ძნელია იპოვო საქმის საფუძვლების უფრო დაუნდობელი კრიტიკა, რაც მეცნიერული გამოკვლევის უფრო უწყინარ და დელიკატურ ფორმაში იყოს გახვეული. მკითხველს, რომელსაც დაინტერესებდა აღწერილი მოვლენების არსი, მე ვთხოვდი მიაკითხოს საჯარო ბიბლიოთეკას, წაიკითხოს ეს წერილი, რომელიც დაბეჭდილია გაზეთ „ობზორის“ აპრილის ნომერში, რათა დარწმუნდეს, რომ მასში გა-

მოხატული თვალსაზრისი და მსჯავრი თავისი არსით ისეთივეა, როგორიც გაცილებით გვიან გამოთქვეს უკლებლივ ყველამ, ვინც სამხედრო საქმეში ავტორიტეტად ითვლება და წერდა წინა აზიის 1877 წლის ომზე ჩვენშიც და ევროპაშიც.

მე ამ წერილზე იმიტომ ჩამოვაგდე სიტყვა, რომ ყველასათვის დამენახვებინა მ.ტ. ლორის-მელიქოვის სულის სიდიადე. სინამდვილეში წერილი მთლიანად მის წინააღმდეგ იყო მიმართული. მან ეს ასეც გაიგო, რადგან წერილმა მის მეხსიერებაში ღრმა კვალი დასტოვა: ომის დამთავრების შემდეგ არ ყოფილა შემთხვევა, ჩვენ ერთმანეთს შევხვედროდეთ და ამ წერილზე არ დაგვეწყო ლაპარაკი. ექვსი წლის შემდეგ პეტერბურგში იგი მთელი საათი მეკამათებოდა და მიმტკიცებდა, რომ ჩემი მსჯელობა „აბსოლუტურია". მიუხედავად ამისა, თუ ამ წერილმა თავის საქმე გააკეთა, თუ მის დაბეჭდვას ვინმემ მხარი დაუჭირა და დაიცვა, თუ მან დღის სინათლე იხილა, ეს უნდა ვუმადლოდე მარტო მ.ტ. ლორი-მელიქოვს. მან მის დაბეჭდვას მაშინვე დაუჭირა მხარი, როგორც კი დაიწერა. ეს მოხდა 5 აგვისტოს ბრძოლის წინ. მაგრამ თბილისის სამხედრო (შტაბის) ცენზურამ აკრძალა მისი გამოქვეყნება. აგვისტოს შუა რიცხვებში, 13 აგვისტოს ამბების შემდეგ, როცა მუხტარმა აიღო კიზილ-ტაპი, დ.ა. კობიაკოვმა ბანაკში გამომიგზავნა საკორექტორო ფურცლები, რომ არმიის შტაბის უფროსთან გამესაჩივრებია ადგილობრივი ცენზორის ა.მ. შჩერბაკოვის გადაწყვეტილება. მ.ტ. ლორის-მელიქოვმა დიდსულოვნად იკისრა ჩემი ვექილობა. მან პირადად სთხოვა პ.პ. პავლოვს (არმიის შტაბის უფროსს), მთავარსარდალმა გადასცა წერილი უაპელაციო გადაწყვეტილებისათვის ნ.ნ. ობრუჩევს, რომელიც მაშინ სამხედრო სამინისტრომ გამოგზავნა პეტერბურგიდან, ამჟამად კი არმიის მთავარი შტაბის უფროსია. მ.ტ. ლორის-მელიქოვმა მის წინაშეც კი მიშუამდგომლა და ამავე დროს მირჩია ჩავსულიყავი თბილისში და თავად მიმეხედა საქმისათვის, თანაც იმის რწმუნებაც მომცა, მეთქვა ნ.ნ. ობრუჩევისათვის, რომ ლორისი სრულიად არაა ნაწყენი ჩემზე ჩემს წერილში გამოთქმული შენიშვნების გამო. გენერალმა ობრუჩევმა მაშინვე დამამშვიდა ისე, რომ ჩემთვის არც კი მოუსმენია. მითხრა, წერილი დაიბეჭდება არა უადრეს ერთი თვისა, როცა მასში განხილული მოქმედების გეგმა განხორციელდება მცირეოდენი შესწორებებითა და დამატებებით. მანამდე ამ წერილის გამოქვეყნება იქნება მოწინააღმდეგისათვის თვალების ახელა და იგი შეეცდება გაამაგროს თავისი სუსტი „პუნქტი-სივრცე", რომელიც მდებარეობს თურქეთის საველე ჯარებსა და ყარსის სიმაგრეს შორის. ეს კი ჩვენ საფრთხეს შეგვიქმნის.

თავისთავად ცხადია, რომ მე დაჟინებით აღარ მომითხოვია წერილის დაბეჭდვა: ამის შემდეგ მან ჩემთვის დაკარგა ყოველგვარი ინტერესი. მოგვიანებით მე იგი მხოლოდ იმიტომ დავბეჭდე, რომ ავადმყოფობის გამო სხვა არაფრით შემეძლო „ობზორისთვის“ ფელეტონები დამეწერა.

არც ჩემს წერილს, არც მის „კრიტიკას“, არც ჩემს სწორხაზოვან მსჯელობას ლორისის საქმეებსა და მოქმედებაზე, ერთი ბეწოთი არ შეულახავს ჩვენი მეგობრული, გულითადი ურთიერთობა. უწინდებურად იგი ნდობითა და სიყვარულით მექცეოდა და მიზიარებდა როგორც სიხარულს, ასევე მწუხარებას. დაიდეთ გულზე ხელი და თქვით, ასეთ ვითარებაში როგორ დამოკიდებულებას გამოიჩენდა ჩემი დამოუკიდებელი მსჯელობის მიმართ თანამედროვე ადამიანების დიდი უმრავლესობა?

ამ ფაქტმა კიდევ უფრო განამტკიცა ჩემში მიხეილ ტარიელისძისადმი პატივისცემა. მისი პიროვნებისადმი მე სიყვარულით განვიმსჭვალე, რის გამომჟღავნებასაც ხელს უშლიდა იმის შიში, რომ ყოვლისშემძლე კაცის კურტიზანის სახელი არ მომეპოვებინა.

მაგრამ მალე მდგომარეობა შეიცვალა. არდაგანის გმირს, „ყარსის ოლქის დამპყრობს“, 5 და 13 აგვისტოს წარუმატებლობის შემდეგ, ფეხქვეშ ნიადაგი ეცლებოდა. მისი მდგომარეობა შეირყა, განსაკუთრებით 14 აგვისტოს შემდეგ, როცა არმიის შტაბი ჩამოვიდა. ჰაერში „ლორისის შეცვლის“ სუნი ტრიალებდა. მას უკვე მხარს აღარავინ უჭერდა და ყველა აკრიტიკებდა. „ტიფლისკი ვესტნიკიც“ კი დაუსჯელად ესხმოდა თავს და დაუფარავად აყენებდა ა.ა. ტერ-გუკასოვის კანდიდატურას. უნდა გენახათ მისი პოპულარობის შელახვის მომენტში ლორისის სევდიანი, მჭმუნვარე ღიმილი. მისმა რამდენიმე მეგობარმა, რომლებიც პირადად მისი მეგობრები ვიყავით და არა მისი მდგომარეობისა, გულით გვიყვარდა იგი, როგორც კაცი, არ ვიცოდით რა გაგვეკეთებინა, რადგან მას უპირისპირდებოდა თითქმის სტიქიური ძალები, რომლებიც „ლორისის ვარსკვლავის“ ხელყოფას აპირებდნენ. მდგომარეობა კი დღის სინათლესავით ნათელი ხდებოდა. სულ უფრო ცხადად და ცხადად მჟღავნდებოდა, რამდენად მართალი იყო ლორისი, როცა ომის დაწყების დღიდანვე ამტკიცებდა, რომ კავკასიის არმიის თითქმის მთელი ძალებისათვის ყარსთან უნდა მოეყარათ თავი, რაც შესაძლებელს გახდიდა აეღოთ ერზერუმი ისე, რომ

მთავარი რაზმი კი არ დაესუსტებინათ ერევნისა და რიონის რაზმების ხარჯზე, არამედ პირიქით, ამ უკანასკნელთა ხარჯზე გაეძლიერებინათ. „გავანადგურებთ მუხტარს და გაიქცევიან ისმაილ-ფაშა იგდირიდან და დერვიშ-ფაშა ოზურგეთიდან“.

13 აგვიტსოს ბრძოლის წარუმატებლობა კიზილ-ტაპისათვის შხამით სავსე ჯამში ჩაწვეთებული უკანასკნელი წვეთი იყო.ლორისმა ვაჟკაცობა მოიკრიბა და გამოიმუშავა შემდგომი ბრძოლების სრული გეგმა და მტკიცედ გადაწყვიტა ან ეს გეგმა განეხორციელებინათ, ანდა გადადგებოდა.

მოქმედების ეს გეგმა ასეთი იყო: მტკიცედ მოეთხოვათ რუსეთიდან გამოეგზავნათ კიდევ ერთი ფეხოსანი დივიზია, არ დაეშვათ მისი რაზმის ძალების არავითარი მოცდენა საომარი მოქმედების არცერთ სხვა უბანზე, ახალი დივიზიის მოსვლის შემდეგ, თავს დასხმოდნენ მუხტარს და დაეკავებინათ სივრცე მასსა და ყარსს შორის და მიეღწიათ ახალი გენერლების დანიშვნისათვის.

მას არავითარი იმედი არ ჰქონდა, რომ ამ გეგმას მიიღებდნენ და თითქმის დარწმუნებული იყო, რომ გადადგომა მოუწევდა.

—წადი ამის შემდეგ და უმტკიცე თბილისელებს, რომ მე არ „გამომაგდეს“. მძიმეა „ხელისუფლების დაკარგვა“, ოჰ, ძალიან მძიმეა—და იმეორებდა დაღვრემილი—გინდათ დავნაძლევდეთ, აღმოჩნდებიან ადამიანები, რომლებიც დაიწყებენ მტკიცებას, რომ მე რაღაც მივითვისე და ამისათვის ამომკრეს პანღური...

—რა გაეწყობა, ილაპარაკონ რამდენიც უნდათ, განა თქვენთვის სულ ერთი არ არის, ხომ გაგიგონიათ, ენას ძვალი არა აქვსო. თქვენ თქვენი ვალი უნდა მოიხადოთ... უფრო უნდა დაამტკიცოთ თქვენი მოთხოვნების გონივრულობა—ვპასუხობდი მე ისევე, როგორც ურჩევდნენ მას თავადი გ.გ. თარხანოვი, ი.ს. ჩერნიავსკი და ლორისის გამოუკლებლივ ყველა მეგობარი, რომელთაც ეს საიდუმლოება იცოდნენ.

მოლოდინის საწინააღმდეგოდ, მიხეილ ტარიელის ძის ყველა მოთხოვნა დაკმაყოფილდა, განსაკუთრებით ნ.ნ. ობრუჩევის დაჟინების წყალობით. სხვათა შორის, დამავიწყდა მომეყოლა ერთი საინტერესო ეპიზოდი.

რამდენჯერმე მომიხდა თავად სვიატოპოლკ-მირსკის, მთავარსარდლის თანაშემწის აზრის მოსმენა. თავადი დიმიტრი ივანეს ძე დაწვრილებით მიხსნიდა, რომელ პუნქტებში არ ეთანხმებოდა ლორისს და რადგან ამ პუნქტებს შორის ერთ-ერთი უდაოდ საფუძვლიანი მომეჩვენა, მე მხარს ვუჭერდი ამ პუნქტს მიხეილ ტარიელის ძის წინაშეც. ეს პუნქტი ასეთი იყო:

—მიხეილ ტარიელის ძე—მეუბნებოდა თავადი სვიატოპოლკ-მირსკი—აზვიადებს მდგომარეობის საშიშროებას და ეს არასასიამოვნო საწყისია და მეტი არაფერი. ლორისი ამტკიცებს, თუ ახლავე არ გავანადგურებთ მუხტარს, იგი ამიერკავკასიისაკენ დაიძრება. ამ დროს კი თურქები მიჯაჭვულნი არიან თავიანთ ტერიტორიას იმის გამო, რომ არ გააჩნიათ აღალი და არც შეუძლიათ შეიძინონ გადასაზიდი საშუალებანი. მათი ჯარი უძრაობისთვისაა განწირული.

ჩვენ შეგვიძლია მშვიდად ვიდგეთ აქ ყოველგვარი რისკის გარეშე. მეორე მხრივ მ.ტ. მხედველობაში არ ღებულობს იმ უსიამოვნებას, რომ ისმაილ-ფაშას თურქული რაზმი დგას ჩვენს ტერიტორიაზე ინგირთან. ჩვენ უბრალოდ გვინდა ეს რაზმი გავაგდოთ point d'honneur-დან და ეს გასაგებიცაა. მიხეილ ტარიელის ძისათვის აქ ცუდი არავის უნდა, მისი წარმატება ჩვენი წარმატებაცაა, მას კი ეჭვი აქვს...

როცა ეს სიტყვები ლორისს გადავეცი, იგი მათ ჩაებღაუჭა.

—მე არაფერი არ მინდა, მათ მე ყველას მივატოვებ. მომიწყონ ოქროს ხიდი და მე წავალ, რომ ხალხმა არ იფიქროს, თითქოს უნიჭო და დამნაშავე ვარ... შემდეგ კი ვისაც სურს, იმან მოიხვეჭოს ჯილდოები.

—დაარწმუნეთ თქვენ იგი—მეუბნებოდა ცხარედ და სრულიად გულწრფელად თავადი მირსკი—რომ ჯილდოები ეყოფა ყველას, რომ იგი ღირსია თანამდებობისა და თავის ადგილზეცაა. ჩვენ მხოლოდ კერძო საკითხების შესახებ ვდაობთ: მაგალითად, მე ვამტკიცებ, რომ ლორისის გეგმა, ჩადგეს ყარსსა და მუხტარს შორის არ განხორციელდება, თუ არ განხორციელდა შემოვლითი მოძრაობაც. ამიტომ ამ გეგმასთან ერთად აუცილებელია განვახორციელოთ მცირე კოლონის შემოვლითი კომბინაცია მაინც, იგი კი ამაში ხრიკებს ხედავს...

ბოლოს მიიღეს საბოლოო გეგმა. ლორისის თავდაპირველ გეგმას ნ.ნ. ობრუჩევმა დაუმატა შემოვლითი მანევრი, უფრო სწორად შელკოვნიკოვის კოლონის დემონსტრაციული მოძრაობა ალეჯის მაღლობისაკენ, მეორე მხრივ კი თავის პროექტი მცირე იაგნის აუცილებელი აღების შესახებ. დაძაბული მოუთმენლობით ველოდი 20 სექტებრის დადგომას, იმ დღისა, რომელიც გეგმის განსახორციელებლად იყო დადგენილი.

20, 21 და 22 სექტემბრის ამბები დაწვრილებითაა აღწერილი და განხილული ჩემს მიერ „საერთაშორისო სააგენტოს"*. დეპეშებსა და

*დამავიწყდა მეთქვა, რომ გ.კ. გრადოვსკის დუნაის ომის თეატრზე გამგზავრების შემდეგ, „გოლოსმა" მე მიმიწვია გამეგზავნა კორესპონდენციები მისთვის.

„გოლოსისათვის“ გაგზავნილ კორეპონდენციებში. საქმე ის არის, რომ ამჯერად გეგმის მთლიანი განხორციელება არ მოხერხდა: გენერალმა გეიმანმა დააგვიანა შეესრულებინა მისთვის დისპოზიციით დავალებული, მაშინ სრულიად გაუმაგრებელი და დაუცველი ავლიარის დაკავება.

—აბა, რას გეუბნებოდით, გულუბრყვილო სტრატეგო—მიმეორებდა დაღვრემილი ლორისი.

მე მართლაც დავეცი სულით და ამიტომ აღარც ვედავებოდი.

—როგორი გეგმა დაიღუპა ამ უმნიშვნელო მიზეზის გამო...

პრესას ოხვრა აღმოხდა, როცა ჩემმა დეპეშებმა დაანახეს მას ჩვენი ამოცანის მთელი სიდიადე და მთელი მისი წარუმატებლობა. „მოსკოვსკიე ვედომოსტის“ მოწინავე წერილში მ.პ. კატკოვმა თავისი პატრიოტული შეშფოთება ჩემი დადანაშაულების ფორმაში გაახვია. მას დაჯერებაც არ უნდოდა იმისა, რომ ჩვენმა კორპუსმა თავის ძალებით ასეთი საშიში ნაბიჯის გადადგმა გაბედა.

ორი-სამი დღის შემდეგ, როცა ჩვენი ჯარები ადრინდელ პოზიციებზე დაბრუნდნენ, დაღონებულმა ბარგი შევკარი და გადავწყვიტე შინ, თბილისში დაბრუნება. რწმენა დავკარგე, უამისოდ კი არც წერა შემეძლო და არც აქ დარჩენა. მ.ტ. ლორის-მელიქოვმა არაადამიანური ენერგია გამოიჩინა, დავერწმუნებინე,—„დავრჩენილიყავი. იგი იქამდეც კი მივიდა, რომ მთხოვა დამეცადა თუნდაც ორი კვირა.“

—კი მაგრამ—ვეუბნებოდი მე—რად გჭირდებათ რწმენადაკარგული, გაბოროტებული, განერვიულებული კაცი. ახლა მე ცოცხალი ლეში ვარ, ჩემს კალამს აღარაფრის, პირწმინდად აღარაფრის დაწერა არ შეუძლია. სამხედრო საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, დაიწყოს საალყო სამუშაოები, ააგოს სწორი სანგრები კიზილ-ტაპას წინააღმდეგ. თქვენ კი გინდათ, რომ მე ყოველივე ამას „თვალყური ვადევნო“? თქვენ მე ცუდ მდგომარეობაში მაყენებთ: ერთ დღესაც იქნება, ვერ მოვითმენ და რომელიმე გენერალს გავლანძღავ და ან გადამასახელებენ, ანდა ტყუილუბრალოდ დამხვრეტენ. ტყუილად სიკვდილი კი არ მინდა.

—ყველაფერი ეს სისულელეა—ცხარობდა მ.ტ. ლორის-მელიქოვი—ამდაგვარი არაფერი მოხდება, არავითარ საალყო სამუშაოებს ჩვენ არ დავიწყებთ, გადაწყვეტილება ქაღალდზე დარჩება. მუხტარი დაუძლურებულია, იგი უნდა წავიდეს, თუნდაც სიცივეების გამო, ხოლო როგორც კი იგი ადგილიდან დაიძვრება, მე ნებას დამრთავენ განმეორებით ვცადო მისთვის გზის მოჭრა.

ლორისის ვერავითარმა სიტყვებმა ვერ დამარწმუნა. ამიტომ აღარ გავჩერებულვარ.

29 სექტემბერს, თბილისში ჩამოსვლის მეორე დღეს, ლორისისაგან მივიღე დეპეშა: ამ დეპეშაში იგი ნანობდა, მას რომ არ დავუჯერე და ამით ჩემს თავს წავართვი სიამოვნება დიდი მოვლენების მოწმე ვყოფილიყავი. მუხტარი აყრას აპირებს და ჩვენ მას ორივე მხრიდან ვუტევთ.

3 ოქტომბერს თბილისში მე პირველმა მივიღე მისგან დეპეშა: „ავლიარი აღებულია, მუხტარის ჯარი განადგურებულია, ნახევარი ტყვედ ჩაგვბარდა“...

შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, როგორ ვწყევლიდი მე ჩემს სულმოკლეობას და როგორ მიხაროდა ლორისისა და კავკასიის ჯარის გამარჯვება.

შემდეგ დაიწყო ტრიუმფები, გვირგვინებით შემკობა, დაჯილდოვება, რაც მე სრულიად არ მაინტერესებდა.

85. საუქმო საკითხავი

(გაგრძელება)

ა.ა. სკალკოვსკიმ, 1879-1881 წლებში, მ.ტ. ლორის-მელიქოვის უახლოესმა თანამშრომელმა, ამჟამად კი ფოსტისა და ტელეგრაფის მთავარმმართველის თანაშემწემ, „ნოვოე ვრემიაში“ (№4622) დაიწყო მ.ტ. ლორის-მელიქოვზე მოგონებების გამოქვეყნება. მისი პირველი და საკმაოდ საინტერესო წერილიდან მოგვაქვს ის ადგილები, სადაც ნათლადაა დახასიათებული გრაფ ლორის-მელიქოვის პიროვნება და მოღვაწეობა.

„მიუხედავად მისი სომხური წარმოშობისა (რის გამოც ხშირად ხუმრობდა ხოლმე და ამბობდა: „მე, ძმაო, სომეხი კაცი ვარ, ეშმაკი კაცი“), გრაფი გამოირჩეოდა უმაგალითო გულუხვობით. სახელმწიფო ფულის მიმართ, რაც მას—განსაკუთრებით მისი ყოვლისშემძლეობის დროს—განუსაზღვრელი რაოდენობით და სრულიად უკონტროლოდ ეძლეოდა, იგი არა მარტო უაღრესად პედანტური იყო, არამედ სასაცილომდე ძუნწიც კი, რაც მით უფრო გასაკვირია, რომ კერძო ცხოვრებაში საპირისპირო უკიდურესობამდე მიდიოდა—ფულის ფასი არ იცოდა, არავითარ მნიშვნელობას არ ანიჭებდა მას, არასოდეს ითვლიდა, ურიგებდა ყველას, ვინც თხოვდა და ყოველთვის უგროშოდ იჯდა“.

თხრობას გრაფის მოღვაწეობის შესახებ ვეტლიანში გავრცელებული შავი ჭირის აღმოფხვრის სიძნელეებზე, ბატონი სკალკოვსკი ამთავრებს შემდეგი დახასიათებით:

„თავის საერთო შთაბეჭდილებებს ვეტლიანში გავრცელებულ შავ ჭირზე გრაფი ასე ახასიათებდა: „ეს, ძმაო ეშმაკმა იცის, რა არის. ჩემი ჯარით ერზერუმთან ერთი თვის დგომის მანძილზე ტიფმა 12 გენერალი და 11 ათასი ჯარისკაცი მომიკლა და რუსეთს ერთი სიტყვაც კი არ დასცდენია. აქ კი ხუთ თვეში მოკვდა 475 კაცი, ღმერთმა იცის კიდევ რისგან და ევროპაში დიდი აურზაური ატეხეს...“

იგონებს რა ამის შემდეგ გრაფის დანიშვნას ხარკოვის გენერალ-გუბერნატორად, ბატონი სკალკოვსკი, წერს:

„1879 წლის 20 აპრილს ჩვენი უცვლელი ტრიო, ესე იგი, გრაფი, მე და მისი შიკრიკი პისარევი, ჩავედით ხარკოვში უცნობ ასპარეზზე სამოქმედოდ. უცნობს იმიტომ ვამბობ, გარდა მოკლე ბრძანებისა, გენერალ-გუბერნატორობის დროებითი თანამდებობის შემოღების შესახებ, ჩვენ არავითარი სხვა მითითება ან ინსტრუქცია არ მიგვიღია. არ ვიცოდით რისთვის მივემგზავრებოდით ან რა უნდა გვეკეთებინა, ჩვენთვის არ მოუციათ არც ერთი კაპიკი ფული და არ გამოუყოლებიათ არც ერთი თანამშრომელი. მთელი ეს მეტამორფოზა მოხდა ისე სწრაფად და მოულონელად, რომ ჩვენ ვერ მოვასწარით ჩვენი კოსტუმების წესრიგში მოყვანა. კოსტუმები კი ასტრახანის ველებში ხეტიალის შედეგად ძალიან გაიცვითა და ჯარეგნულად ძალზე უბადრუკ შთაბეჭდილებას ტოვებდნენ. თითქოს ახლა ვხედავდე, გრაფს ეცვა გაცვეთილი სამხედრო მაზარა და ყელზე ათკაპიკიანი გარუსის ყელსახვევი ეხვია. ჩვენ, მისი „ამალა“, კიდევ უფრო საცოდავად გამოვიყურებოდით. მე გრაფის ყურადღება ამ ამბავზე შევაჩერე: „არ შეიძლება იმის თქმა, რომ ხარკოვში მეფის სრულუფლებიანი წარმომადგენლის ჩამოსვლას საზეიმო ხასიათი ჰქონდეს“. „არაფერია, ძმაო, მნიშვნელოვანია არა ის, თუ როგორ ჩამოვედით, არამედ ის, თუ როგორ წავალთ“ — მიპასუხა გრაფმა.

და მართლაც, გრაფ ლორის-მელიქოვის ხარკოვში ჩასვლა უჩვეულო აღმოჩნდა.

„სადგურში გრაფს სამოქალაქო უწყებებისა და ქალაქის თვითმმართველობის ყველა წარმომადგენელი შეხვდა, სამაგიეროდ უმაღლეს სამხედრო ხელისუფალთაგან არავინ დახვედრია, რაც მისთვის, როგორც ძველი, დამსახურებული, მამაცი მეომრისათვის ყველაზე მე-

ტად საგრძნობი იყო, მით უმეტეს, რომ ასე არათავაზიანად განზრახ მოექცნენ. გარდა ამისა, ჯარების სარდალმა გენერალმა მანკვიცმა, იყო რა ყოველ მხრივ მასზე უმცროსი, არათუ საჭიროდ არ მიიჩნია, თვითონ ჩამოსულიყო, არამედ განკარგულება გასცა, არ გამოეჩინათ გრაფის მიმართ არავითარი ყურადღება, რის უფლებაც მას ჰქონდა და არც საპატიო ყარაული გამოიყვანა. გრაფს გარეგნულად არავითარი უკმაყოფილება არ გამოუხატავს: პირიქით, მივიდა რა სასტუმროში, მან მაშინვე ჩაიცვა სრული საზეიმო ფორმა, გაემგზავრა მანკვიცთან, მის წინ მთელი ფრონტით გაიჯგიმა და წარმოსთქვა: „მაქვს პატივი გამოვეცხადო თქვენს აღმატებულებას ხარკოვის დროებითი გენერალ-გუბერნატორი გენერალ-ადიუტანტი გრაფი ლორის-მელიქოვი“. ამ საქციელით მან მაშინვე დააყენა იგი თავის ადგილზე.

„საერთოდ ხარკოვი გრაფს დიდი თავაზიანობით არ შეხვედრია. რამდენიმე დღის შემდეგ, როცა გენერალი მანკვიცი გადააყენეს ჯარების მთავარსარდალის თანამდებობიდან და დანიშნეს სამხედრო საბჭოს წევრად, ხარკოვის საზოგადოებამ მის პატივსაცემად გამართა სადილი. ერთ-ერთმა ორატორმა, როცა მანკვიცის დამსახურების ჩამოთვლა დაიწყო, წამოიძახა: „და, აი, დამსახურებული მოღვაწის ნაცვლად, ჩვენთან გამოგზავნეს უცნობი გენერალი, კაცი, რომლის შესახებაც ჩვენ სულ არაფერი არ ვიცით“. გრაფმა მხოლოდ გაიღიმა, მაგრამ როცა მისი სადღეგრძელო დალიეს, სამადლობელ სიტყვაში, სხვათა შორის, თქვა, რომ მას აზრადაც არ მოსვლია საკუთარი დამსახურება გაეტოლებინა გენერალ მანკვიცის დამსახურებისათვის, მას ეჭვი არ ეპარება, რომ ხარკოვმა არ იცის მისი, გრაფის ვინაობა, რადგან მას ქალაქისათვის ჯერ არაფერი გაუკეთებია, მაგრამ მომავალში ყველა ღონეს იხმარს იმისათვის, რომ მის ვინაობას უცოდინარობის ფარდა ჩამოეხსნას. ასეთმა ირონიულმა სიტყვამ, რაც ამასთანავე გრაფისათვის დამახასიათებელი ირონიით იყო წარმოთქმული, მაშინვე მოუპოვა მას საერთო სიმპათიები“.

დახატა რა მუქი, მაგრამ სრულიად რეალური საღებავებით გენერალ-გუბერნატორის საქმეთა მდგომარეობის სურათი, ამის შემდეგ ბატონი სკალკოვსკი გვესაუბრება იმ მეთოდების არსის შესახებ, რომლებიც გრაფმა გამოიყენა ხარკოვის მხარის დასაშოშმინებლად, მოსაწესრიგებლად და ადგილობრივი ხელისუფლების გასაძლიერებლად.

„გრაფმა ლორის-მელიქოვმა, უპირველეს ყოვლისა, დაჟინებით მოითხოვა ხელისუფლების უმაღლესი წარმომადგენლების შეცვლა. მაშინვე გამოითხოვა და განახორციელა ქალაქისა და მაზრების პოლი-

ციის რიცხობრივად გაზრდა, თანაც ისიც მოახერხა, რომ ხელფასები მათ მნიშვნელოვნად გაუზარდა, უვარგისნი კი დაითხოვა. ამის შემდეგ, გააჩერა რა პოლიციისა და ხალხის შეტაკებების მის ყურამდე მოსული რამდენიმე შემთხვევა, დამნაშავენი მკაცრად დასაჯა, განურჩევლად იმისა, ბრალი კერძო პირს მიუძღოდა თუ პოლიციის მოხელეს, რის შედეგადაც ამგვარი შეტაკებები აღარ განმეორებულა. სამხედრო სასამართლოთი დაემუქრა იმათ და სისრულეშიც მოიყვანა, ვისაც ბრალი მიუძღოდა მემამულეების ქონების გადაწვაში, რის შემთხვევებიც რამდენჯერმე იყო და იმათაც, ვინც ხმებს აერცელებდა, თავად-აბნაურთა მიწები გადანაწილდებაო. შემდეგ ხელი მიჰყო სასწავლებლებში წესრიგის დამყარებას. იხმო თავის კაბინეტში მზრუნველები, რექტორი და პროფესორები, დაუწყო მათ საუბარი და თხოვა, ეცნობებინათ არეულობისათვის დათხოვნილ, გარიცხულ და გასახლებულ სტუდენტთა საერთო რიცხვი. როცა უპასუხეს, რიცხვი საკმაოდ მნიშვნელოვანი აღმოჩნდა. მაშინ მათ ჰკითხა: პროფესორი რამდენია დათხოვნილი? როცა მოახსენეს, არცერთიო, თქვა: „ძალიან სამწუხაროა, მაგრამ გაფრთხილებთ, რომ ამიერიდან ყველაფერი პირიქით იქნება, ყოველი არეულობისათვის პასუხს თქვენ გამცემთ, ბატონებო. თქვენ ყმაწვილებს მხოლოდ იმიტომ გაბარებენ, რომ მათ ასწავლოთ და შთააგონოთ სიკეთე, თქვენ კი მათ შორის ავტორიტეტი ვერ მოიპოვეთ და მის შეცვლას პოპულარობით ფიქრობთ. ამიერიდან ასე აღარ იქნება."

ცნობილია, რა ბრწყინვალე შედეგები გამოიღო ამ გონივრულმა ღონისძიებამ და მოკლე დროში როგორი პოპულარობა მოუტანა მთელ რუსეთში გრაფ ლორის-მელიქოვს.

„1879 წლის ნოემბერში, როცა აწგარდაცვლილი ხელმწიფე ყირიმიდან ბრუნდებოდა, ათვალიერებინებდა რა მის უდიდებულესობას თავის მხარეს, გრაფმა მოახსენა მის უდიდებულესობას საქმეთა ვითარება, გააცნო მის მიერ მიღებული ღონისძიებები, რამაც ის შედეგი გამოიღო, რომ მისთვის მინდობილ გუბერნიაში სიმშვიდე სუფევს, რასაც მიაღწია დაშინებით და საზოგადოების კეთილად მოაზროვნე ნაწილისადმი მიმართვით, დახმარებოდნენ მთავრობის მოწინააღმდეგე მეამბოხეებთან ბრძოლაში, ხელმწიფემ მოინონა ყველა მის მიერ გაცემული განკარგულება, გულმხურვალე მადლობა გადაუხადა და რამდენჯერმე გაიმეორა. „შენ კარგად გესმის ჩემი სურვილები". როცა გრაფმა მის უდიდებულესობას მოახსენა, რომ ყველაზე არსებითი დახმარება და მხარდაჭერა მას საერთოდ გაუწიეს სასამართლო

უწყების მოხელეებმა, კერძოდ კი პროკურატურამ, ხელმწიფემ შენიშნა: „ეს ძალიან სასიამოვნოა, მაგრამ გულახდილად უნდა ვაღიარო, მე ეს პირველად შენგან მესმის“.

ა.ა. სკალკოვსკის „მოგონებების“ პირველი წერილი თავდება იმის გახსენებით, რომ 1880 წელს გრაფი ლორის-მელიქოვი დანიშნეს უმაღლესი კომისიის თავმჯდომარედ. შემდეგი წერილები ალბათ კიდევ უფრო საინტერესო იქნება. ჩვენ ვეცდებით გავაცნოთ ისინი ჩვენს მკითხველებს იმისდა მიხედვით, თუ როდის და როგორ გამოქვეყნდება ამ მნიშვნელოვანი მოგონებების გაგრძელებანი, სადაც ცოცხლად იქნება აღწერილი ჩვენი ისტორიული ცხოვრების ერთ-ერთი საინტერესო პერიოდი.

ბოლოს, სხვათა შორის, უნდა აღვნიშნო, რომ ამ მოგონებების ავტორი არ უნდა აგერიოთ „ნოვოე ვრემიას“ ჩვეულებრივ მწერალში, კ.ა. სკალკოვსკიში, რომელიც ჩვენს მიერ ციტირებული ავტორის ძმაა... ა.ა. სკალკოვსკი დიდხანს მსახურობდა კავკასიაში, იყო ქუთაისის საოლქო სასამართლოს წევრი, ხოლო მ.ტ. ლორი-მელიქოვის უახლოესი თანამშრომელი იგი გახდა შემდეგ, როცა ქუთაისიდან ოდესაში გადავიდა.

86. საუძმო საკითხავი

(გაგრძელება)

მას შემდეგ არასოდეს მომცემია შემთხვევა ვყოფილიყავი გრაფ მ.ტ. ლორის-მელიქოვის მოღვაწეობის მოწმე. მის მოღვაწეობას მე შორიდან ვადევნებდი თვალს და როგორც ყველა თანამედროვე ადამიანს, ძალიან ცოტა მონაცემი მქონდა იმისათვის, რომ სწორად ვიმსჯელო მასზე. ამიტომ არ შემიძლია ვიცოდე, როგორ ლაგდებოდნენ მოვლენები, რომლებიც გავლენას ახდენდნენ მის გადაწყვეტილებებზე და ქცევაზე, როგორ ისახებოდა და მწიფდებოდა მისი აზრი ამა თუ იმ შემთხვევაში. მაგრამ შორიდანაც, ისევე როგორც ახლოდან, ყოველთვის ჩანდა, რომ მისთვის წარმატებით სიარული არც ისე ადვილი იყო. მას დიდი ხნის ბრძოლა, მრავალ გადაწყვეტილებათა შორის ერთის არჩევა, ერთი ადგილის ტკეპნა და მერყეობა უხდებოდა...

დრო კი დაძაბული, გაურკვეველი, შავბნელი იყო, სწორედ ისეთი, როცა ურთიერთსაწინააღმდეგო, ბუნდოვან მიმდინარეობებს შორის სული და გონება ცდილობდნენ დაენახათ ნათელი დროშა, გზის მაჩვენებელი ვარსკვლავი, ან მთლიანი ბუნების ადამიანი, რომელსაც სწამს თავის საქმეზე და მტკიცე პროგრამა გააჩნია, რომელიც გააერთიანებს და წარიტაცებს ადამიანთა დაფანტულ და დაბნეულ ბრბოს... 1880 წელს უეცრად ყველას მოეჩვენა, რომ ასეთი კაცი არის, ან იქნება გრაფი მიხეილ ტარიელის ძე...

ახლა, როცა გარკვეულ სფეროებში და გაზეთებში მიღებულია ცნობილი „გულის დიქტატურის" მასხრად აგდება, ის დრო არავის აღარ ახსოვს. ყველამ დაივიწყა, რომ თვით ეს ტერმინი „გულის დიქტატურა" მოიგონა და გაავრცელა და არა დასაწუნი, არამედ მოსაწონი აზრით, სხვა ვინმემ კი არა, არამედ მ.ნ. კატკოვმა. მისი „მოსკოვსკიე ვედომოსტი" მქუხარედ უკრავდა ტაშს ლორისის დანიშვნასაც, მის ხერხებსაც და მის მიზნებსაც...

შეიძლება იმის წარმოდგენა, რა აღტაცებით, რა ექსტაზით მივიღე მე მაშინ ცნობები, რომლებიც ჩვენამდე, თბილისამდე აღწევდა, იმ „დიდ როლზე", რაც წილად ხვდა მიხეილ ტარიელის ძეს. მაგრამ ჩვენი წარმტაცი გატაცების „თაფლობის თვე" ხანმოკლე აღმოჩნდა.

მრავალი თვალსაჩინო ნიშნის მიხედვით, უკვე 1880 წლის თებერვლის ბოლოს ცხადი გახდა, რომ საქმე არც ისე იოლი და მყარია, როგორც ეჩვენებოდა მთელ საზოგადოებას ჩვენშიც და რუსეთშიც.

მე რომ პირადი, სუბიექტური, ჩემი საკუთარი შთაბეჭდილებების მაგივრად—როგორც დაგპირდით ამ „მოგონებების" დასაწყისში და ვალდებული ვარ ვიტრიალო ჩემი პირადი შთაბეჭდილებებისა და ფიქრების ირგვლივ—ამეწერა მიხეილ ტარიელის ძის მოღვაწეობა, ჩემთვის ადვილი იქნებოდა უამრავი გვიანდელი მონაცემებისა და საბუთების საფუძველზე დამეხატა მისი ცხოვრების ამ მომენტების სიძნელე და კეთილშობილება, მაგრამ ეს ამოცანა სრულიად არ თავსდება ჩემი მოგონებების ჩარჩოებში, რომელიც უაღრესად სუბიექტურია და მხოლოდ იმაზე აცხადებს პრეტენზიას, რომ მიანოდოს მკითხველს გამოჩენილი მოღვაწის ცხოვრების ზოგიერთი მომენტის შესახებ მოწმის წარმოდგენები, შთაბეჭდილებები და შეგრძნებები იმ მიზნით, რომ ნათელი გახადოს საზოგადოებისათვის, როგორ ვითარებაში და რა გზით ხდება ისტორიული პიროვნებების აზრისა და პროგრამების გენეზისი.

სანამ მ. ტ. ლორის-მელიქოვი თავის სიდიადის მწვერვალზე იდგა, სანამ ისაკუთრებდა რუსეთში აქამდე არნახულ ხელისუფლებას, მე ჯერ თბილისში ვიჯექი, შემდეგ კი სევასტოპოლში. მე მას უკვე მისი დაცემის შემდეგ შევხვდი, როცა 1882 წელს რამდენიმე კვირით პეტერბურგში ჩავედი. ძალიან მინდოდა „მესაუბრა" მასთან გულახდილად, რომ ჩემთვის ნათელი ყოფილიყო ის ვითარება, რომელშიც მისმა სახელმწიფოებრივმა მოღვაწეობამ ჩაიარა. მან მე ამ მოღვაწეობის შესახებ ბევრი ძალზე საინტერესო ფაქტი მიამბო, რომელთა დიდი ნაწილი არავისთვის არაა ცნობილი, მაგრამ რომელთა გამოქვეყნება ჯერჯერობით მაინც „ნაადრევი" იქნება. მთავარი, რაც მისი ნაამბობიდან და წვრილმანებიდან გამომდინარეობდა—ეს იყო მიხეილ ტარიელის ძის დიდი რწმენა, რომ იგი უკვე მიზანთან იყო, ყველაფერი გადაწყვეტილი ჰქონდა, მაგრამ შემთხვევითობამ, რაც დღეს თუ ხვალ აუცილებლად იქნებოდა აღმოფხვრილი, დაანგრია ასე გულმოდგინედ აშენებული შენობა.

გრაფ მ. ტ. ლორის მელიქოვის ეს რწმენა მისი შეუმუსრავი სამყარო იყო, რაშიც არავითარი ეჭვი არ ეპარებოდა...

თავისთავად ცხადია, რომ ძალზე ძნელია შეედავო ამგვარ რწმენას. პირადად მე არ ვიზიარებდი გრაფ მ. ტ. ლორის-მელიქოვის თავდაჯერებულობას, მაგრამ, ცხადია, შედავება არ შემეძლო. ყველაფერზე ბანალური ხუმრობით ვპასუხობდი, ანეგდოტიც კი მოვიგონე ხონელ მღვდელზე, რომელსაც სურდა ცხენი ჭამას გადაეჩვია.

—აი, მღვდელიც ამტკიცებდა, რომ აუცილებლად მიაჩვევდა ცხენს მუდმივ მარხულობას, ეს უკანასკნელი რომ მარხვის მეთხუთმეტე დღეს არ მომკვდარიყო...

მიხეილ ტარიელის ძემ ნერვიულად ჩაიქნია ხელი.—თქვენთან კაცი საერთო ენას ვერ გამონახავს, მაგრამ მე მაინც გეტყვით: დამიჯერეთ, ამოცანა გადაწყვეტილი იყო, საქმე გაჩარხული, ყველა გზა გავლილი და მე მარცხი სწორედ მაშინ განვიცადე, როცა მიზანთან ვიყავი მისული. ახლა შეგიძლიათ დამცინოთ, ისიც შეგიძლიათ იფიქროთ, რომ თქვენ ყოველივე ამას „წინასწარ ხედავდით, თქვენ ხომ თქვენს „ობზორში" თავზე დამჩხავლეთ, სწორედ 13 თებერვალს, როცა ჩემი მოვალეობის მოხდას შევუდექი. მაგრამ ყველაფერი ეს მე ხელს არ მიშლის დარწმუნებით ვამტკიცო, რომ მე სწორ გზაზე ვიდექი, რომ ჩემს ადგილზე არავის არ შეეძლო გასაკეთებელი ჩემზე მეტად და უკეთესად გაეკეთებინა. ჩემი სინდისი სუფთაა და მშვიდი: მე პატიოსნად ვასრულებდი ჩემს მოვალეობას.

ამაში კი მე მართლაც არ მეპარებოდა ეჭვი. სიმართლე რომ ვთქვა, მე ყოველთვის, ადრეც, იმ საუბრის დროსაც და შემდეგაც ღრმად ვიყავი დარწმუნებული, რომ ლორისის ხელის მოცარვის მთავარი მიზეზი იყო ჩვენი საზოგადოების მოუმწიფებლობა, ის ორგანული არეულ-დარეულობა, რაც გაბატონებულია ჩვენი საზოგადოების დიდი უმრავლესობის შეხედულებებსა და მისწრაფებებში და იმაშიც, რომ ამ უკანასკნელს არ გაჩნია სერიოზული, ცხადად შეგნებული საზოგადოებრივი აზრი და დისციპლინა. მინდოდა დამეჯერებინა, მაგრამ ნაკლებად მჯეროდა, რომ ასეთი საზოგადოება რეალურად დაუჭერს მხარს სისტემას, როგორი სერიოზულიც არ უნდა იყოს იგი და სნორედ ეს მიშლიდა ხელს გამეზიარებინა მიხეილ ტარიელის ძის რწმენა.

—თქვენ არც ერთი არა ხართ მართალი: თქვენთვის ადვილია გაკრიტიკება, „განაჩენის ხელაღებით გამოტანა", მაგრამ განა ეს საქმეა?

—მე სერიოზულად მაბრაზებდა თქვენი გამოხდომები და მინიშნებები, რაც დრო და დრო ჩემამდე აღწევდა და ვფიქრობდი, გეყოფოდათ კი სულიერი ძალა გამოგეთქვათ ასეთი აზრები, საქმესთან რომ ახლოს მდგარიყავით, ჩემი გაჭირვებებისა და გარჯის მოწმე რომ ყოფილიყავით, დამიჯერეთ, ერთი წუთი მოცლა არ მქონდა, რომ აზრი და ყურადღება მომეკრიბა. თქვენ იცით, ფიქრი, აზროვნება და საკითხის გადაწყვეტა შემიძლია. თვითონ ყოფილხართ არაერთხელ ამის მოწმე ყარსთან. მაგრამ აქ, ახალ სფეროში, მოვლენებისა და შეხლა-შემოხლის სამყაროში, ყველაფერი ისე ხდებოდა, რომ ფიქრის დროც კი არ მრჩებოდა, გამიგეთ, დროის ცხრა მეათედი უნდებოდა მილებებს, მოხსენებებს, ვიზიტებს, კავშირების დამყარებას და შენარჩუნებას, აუცილებელ სადილებს, საუზმეებს, საღამოებს, რაზედაც უარის თქმის არავითარი საშუალება არ არსებობდა... თქვენ რომ ჩემს ადგილზე აღმოჩენილიყავით, მთლად დაიბნეოდით...

არაფრით არ შეიძლებოდა ბოლომდე არ დავთანხმებოდი გრაფს. იგი მართალს ამბობდა.

—მე რომ ამ სფეროში დავბადებულიყავი, ბავშვობიდან რომ მცნობოდა ეს სამყარო, ჩემი ამოცანა უფრო ადვილი იქნებოდა: მე უკვე მექნებოდა კავშირები, მხარდაჭერა, მეყოლებოდა მეგობრები, ერთი სიტყვით, მეყოლებოდა ჩემი ბანაკი...

—აქ კი ჩემს ირგვლივ სიცარიელეა: მე ყველასათვის უცხო ვარ, ყველა ცივად, ეჭვის თვალით მიყურებს. არისტოკრატიამ აიტაცა დაცინვა, რომელიც აქ ერთმა ლაზღანდარამ გაავრცელა ჩემი მამის

სახელის გამო“: „ტარიელოვიჩი“, „ტარელკა“ და ხითხითებენ თავისთვის. მათგან ეს სრულიად საკმარისია. „ტარელკა“—ხა, ხა, ხა! „ტარელკა“—ხა, ხა, ხა! მათ არავითარი პროგრამა არ სჭირდებათ. მათ მიერ ამ „ტარელკით“ ყველაფერია ნათქვამი და გადაჭრილი.

—აი, რომ დამეძლია ამგვარი დამოკიდებულება, რომ გამომესყიდა ჩემი დაბადებისა და წარმოშობის პირველყოფილი ცოდვა, მე მეტი ძალ-ღონე და ენერგია უნდა დამეხარჯა, ვიდრე სხვა სახელმწიფო მოღვაწენი ხარჯავდნენ ისტორიული ამოცანებისა და საკითხების გადაწყვეტის დროს...

მ. ტ. ლორის-მელიქოვი ამაშიც სრულიად მართალი იყო.—თქვენ არ იცით, რამდენ შრომად და ზრუნვად მიღირდა ყოველივე ეს, არ იცით ყველაზე მთავარი, რამდენად საჭირო და აუცილებელი იყო, სანამ რამე ხეირიანს გააკეთებ, თავი გაართვა ამ არაფრის შემცველ ამოცანას, და არ იცით იმიტომ, რომ თქვენ ცალმხრივად მსჯელობთ საქმეზე და დაფრინავთ მხოლოდ შიშველი, აბსტრაქტული აზრის სფეროში... ახლა თუ გაიგეთ მაინც, რას ნიშნავს ყველაფერი ეს პრაქტიკულ მოღვაწეობაში...

არ შემეძლო ამაზეც რომ არ დავთანხმებულიყავი. ლორისი ასე მიმასპინძლდებოდა ორი საათის განმავლობაში, ახვევებდა ერთმანეთზე უამრავ რეალურ მაგალითებს, რომლებიც ერთმანეთზე საინტერესო და სრულფასოვანი იყო. მე ყოველგვარი შეკამათების გარეშე, ვუსმენდი მას და ვტკბებოდი მისი სიტყვების ულერადობით, რადგან ყოველი მისი მაგალითი წარმოადგენდა ისტორიული ანეგდოტების მარგალიტს უაღრესად საინტერესო და ჭკუის სასწავლებელი ეპოქისა.

1883 და 1884 წლებში, პეტერბურგში პერიოდულად ჩასვლის დროს, მე ხანდახან ვესტუმრებოდი მას იმ მიზნით, რომ მისგან ჭკუა მესწავლა. მიუხედავად მისი „დაცემისა“, ყველაზე მეტად მაკვირვებდა ის როლი, რასაც იგი პეტერბურგის ცხოვრებაში თამაშობდა. ზედიზედ რამდენჯერმე ვიყავი მოწმე იმისა, რომ გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწენი, მე მგონი სრულიად საწინააღმდეგო ბანაკიდანაც კი, ნდობით უზიარებდნენ მას თავიანთ უაღრესად ინტიმურ აზრებსა და ვარაუდებს და სთხოვდნენ თავის აზრი გამოეთქვა და რჩევა მიეცა. მე ეს დიდად მახარებდა, როგორც ნათელი ნიშანი სხვადასხვა მიმართულების მოღვაწეთა შორის გონივრული ურთიერთობისა.

ცხოვრების ზოგიერთი, არცთუ ისე უმნიშვნელო რიგითი საკითხების მიხედვით, მე თვალნათლივ ვხედავდი, რომ საქმეს ჩამოცილებული გრაფის რჩევა და აზრი მმართველობის უმაღლეს სფეროებში ხორციელდებოდა და იმარჯვებდა.

არა ნაკლებ მაკვირვებდა მეორე გარემოება, რაც იმსახურებს განსაკუთრებულ ყურადღებას, რათა მკითხველს გავაცნო ჩემს პირად მაგალითზე, თუ როგორ ცდება ჩვეულებრივ ადამიანის გონება, როცა ამა თუ იმ პიროვნებაზე ადრეული შთაბეჭდილებების მიხედვით მსჯელობს. 1877 წელს, როცა ყარსის ირგვლივ ვტრიალებდი, მე გრაფზე გარკვეული შთაბეჭდილება შევიმუშავე, რაც შემდეგ წლებში ჩემზე ბატონობდა.

1882 და 1884 წლებში, როცა მასთან დავდიოდი, დიდხანს ვერ დავაღწიე თავი ჩემს ადრინდელ შთაბეჭდილებას. ამავე დროს, ყოველი მისი სიტყვა, ყოველი მისი ნაბიჯი „ახალი კაცის" თვისებად მეჩხირებოდა თვალში და მე დიდხანს ვერ გავერკვიე, რატომ ირეოდა ასე ჩემი შეხედულებები. მხოლოდ ბოლოს მივხვდი, რამდენად გაიზარდა ლორისი მას შემდეგ, რაც ერთმანეთი არ გვენახა. მას ვერ იცნობდით, მისი ადრინდელი მოუსვენრობისა, მერყეობისა და ჭოჭმანისაგან კვალიც კი არ დარჩა. ამ ხნის განმავლობაში მან ბევრი რამ ისწავლა, სახელმწიფო საკითხების სფეროში მის მიერ შეძენილი ცოდნის სიბრძნის წყარო საოცრად ღრმა და წყალუხვი იყო. თვალებს არ ვუჯერებდი, რომ ადამიანს, რომელიც სიბერეში შედის, შეუძლია ასეთ განსაცვიფრებელ წარმატებებს მიაღწიოს. ადამიანთა დიდი უმრავლესობა, თავის გონებისა და ნებისყოფის განვითარებისა და გაუმჯობესების საქმეში, ყველაზე ქმედითი ახალგაზრდობის პერიოდშიც კი ვერ აღწევს ამგვარ გასაოცარ წარმატებას... არ შეიძლება იმის წარმოდგენა, პირადად ჩემზე როგორი გამამხნევებელი და გამახალისებელი შთაბეჭდილება მოახდინა ამ საინტერესო და ჭკუის სასწავლებელმა დაკვირვებამ.

დაახლოებით იმავე წლებში მე თვითონ დამჭირდა მიმემართა გრაფ მ. ტ. ლორის-მელიქოვისათვის რჩევისა და მითითებისათვის იმ საკითხებზე, მაშინ რომ მაინტერესებდა. იმ დროს ძალიან ვიყავი გატა-

ცებული სპარსეთის რკინიგზის გაყვანით, ხოლო ამ გეგმის ჩაფუშვის შემდეგ, სპარსეთის ნავთსადენის გაყვანით. ამიტომ მივმართე მიხეილ ტარიელის ძეს, დამხმარებოდა თავის ცოდნით, გამოცდილებითა და კავშირებით, მაშინ იგი ისე მომექცა, როგორც ღვიძლი ნათესავი. სწვდებოდა რა საქმის არსს, მის ძლიერ და სუსტ მხარეებს, იგი მწვრთნიდა და მასწავლიდა, როგორ წარმემართა ამგვარი საქმეები. მე მივიყვანე მასთან ბატონი პალაშკოვსკი, რომელზედაც გრაფმა პირველი შეხვედრისთანავე სიმპათიური შთაბეჭდილება მოახდინა და ბატონი პალაშკოვსკიც დაუმეგობრდა მას. შემდეგ ჩვენ ხშირად დავდიოდით მასთან ხან ერთად, ხან ცალ-ცალკე და მიხეილ ტარიელის ძე ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ ჩვენი წამოწყება წარმატებით დამთავრებულიყო. მან გააკეთა ყველაფერი, რისი გაკეთებაც კი ადამიანს ძალუძს და გააკეთა ჩვეულებრივი კეთილმოსურნეობით და უანგაროდ. მიუხედავად იმ მხარდაჭერისა, რასაც ამ საქმეში იჩენდნენ სახელმწიფო მოღვაწეთა დიდი ნაწილი, საქმე მაინც არ განხორციელდა, როგორც ამას გვიწინასწარმეტყველებდა ლორისი, რადგან გლადსტონმა განაცხადა, რომ სპარსეთში ჩვენს ამგვარ წარმატებას ინგლისი ომით უპასუხებსო.

ბატონმა პალაშკოვსკიმ ყველა ამ თათბირიდან ერთი ორიგინალური შთაბეჭდილება გამოიტანა: მიხეილ ტარიელის ძის ფიგურამ, მის პირქუშ კაბინეტში ერთადერთი მწვანეაბაჟურიანი ლამპის მწვანე შუქით რომ იყო განათებული და მისმა უსიხარულო და ბნელმა წინასწარმეტყველებამ, ბატონი პალაშკოვსკის მეხსიერებაში აღადგინა ბავშვური წარმოდგენა ყველაფრისმცოდნე ჯადოქარზე, რომელიც ბნელ მინისქვეშეთში მკითხაობს... სურათის გარეგნული სახე მართლაც ტოვებდა ასეთ შთაბეჭდილებას, მაგრამ მხოლოდ ტოვებდა. სინამდვილეში კი „ბნელი წინასწარმეტყველება“ სრულიად არ იყო ღრმად გამჯდარი ლორისის გონებასა და გულში ...იგი ურყევად ინახავდა იმის რწმენას, რომ მალე დაბრუნდება მისი პოპულარობისა და ძლევამოსილების „ბედნიერი დღეები“, როდესაც მე დაღონებული ვათვალიერებდი მის საწერ მაგიდაზე იის ძირებისაგან გაკეთებულ პატარა საგნებს, რომელთაც ამშვენებს ნიცის სათამაშოების ჩვეულებრივი დეკორი—გაფრენილი მერცხალი და წარწერა “Je reviendra!“ —„მე დავბრუნდები“—იგი ჩვეულებრივ თვალში თვალს გამიყრიდა და ამ დროს მისი მზერა სავსე იყო სიცოცხლით და მხიარულად მეუბნებოდა:

—არ გჯერათ?.. ტყუილად... აი, ეს წყეული პლევრიტი თუ არ მომიღებს ბოლოს, მე დავბრუნდები...

ასე იყო თუ ისე, 1884 წელს უკანასკნელად მქონდა ბედნიერება შევხვედროდი მას, იგი მიემგზავრებოდა ნიცაში იმის იმედით, რომ გამოჯანსაღდებოდა, დაბრუნდებოდა რუსეთში და დაიწყებდა აქტიური როლის თამაშს. იგი ვერ ეგუებოდა აზრს, რომ მისი მოღვაწეობა დამთავრებულია. ლორისი ყურადღებით ადევნებდა თვალყურს ყველაფერს—მე რამდენჯერ მომცემია შემთხვევა, დავრწმუნებულიყავი იმაში—რაც ჩვენს სამშობლოში ხდებოდა. მას ბევრი წერდა, დროდადრო სახლშიც ეწვეოდნენ ხოლმე. თვითონ არ ერეოდა საქმეებში, არ გამოთქვამდა ხმამაღლა თავის აზრებს, იმედებს, სახალხოდ არ სცემდა პასუხს ჩვენი ცხოვრების კითხვებს. მაგრამ იმ მუდამ დაძაბული ყურადღების გამო, როგორითაც იგი ადევნებდა თვალყურს საქმეთა მიმდინარეობას, ცხადი ხდებოდა, იმედი აქვს, მოვა დრო და მიიწვევენ. იგი ალბათ ამ რწმენით მოკვდა, თუ მანამდე არ მოკლა იმან, რომ რწმენა საბოლოოდ დაკარგა...

სულ რამდენიმე თვის წინათ მან ორჯერ გამახარა თავის მოგონებით—დიშვილის ნ. ე. ზუბალოვის ხელით გამომიგზავნა თბილი და ჩემი მოღვაწეობისათვის მეტისმეტად სასიამოვნო ნიშნები. არ ვიცი რატომ, მაგრამ ჩემს გონებაში ღრმად იყო ჩაჭედილი აზრი, რომ იგი კიდევ დიდხანს იცოცხლებს. ამიტომ მისმა მოულოდნელმა გარდაცვალებამ კიდევ უფრო ძლიერ მაგრძნობინა, ვიდრე ოდესმე მიგრძვნია, თუ რა საყვარელი და ძვირფასი იყო ჩემთვის ამ არაჩვეულებრივი ადამიანის მაძიებელი გონება და უანგარო, ცხელი გული, ერთ-ერთი იმ საუკეთესო კაცთაგანისა, როგორიც კი ოდესმე ცხოვრებაში შემხვედრია. გონებიდან არ მშორდება ის აზრი, თუ რას მისცემდა იგი სამშობლოს, უფრო განვითარებულ საზოგადოებაში რომ დაბადებულიყო და მოღვაწეობის უფრო ხელსაყრელი პირობები ჰქონოდა!..

87. საუქმო საკითხავი

„ამ დროს კი ყრუ სოფელში
ვთამაშობთ პრეფერანსს გროშებზე,
უზრუნველად ჩამოვდივართ რეშეზში,
დედაქალაქიდან კი ყოველ საათს,
აღნევს ცნობები ჩვენამდე,
რომელიღაც უცხო კრიზისზე...“

ნ. ნეკრასოვი

სხვათაშორის, პრეფერანსი ჩვენ დავივიწყეთ, იგი შეცვალა „ვისტის“ თამაშმა, მაგრამ „სიმღერიდან სიტყვებს ვერ ამოაგდებ“.

დანარჩენი ყველაფერი კი, ეს-ესაა გამახსენდა, მეტისმეტად კარგად წარმოსახავს ჩვენს მდგომარეობას. დიახ, იმ დროს, როცა ჩვენ აქ „ვმსჯელობთ“ ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, დავტოვოთ თუ არა კიდევ ერთი წლით „სოლდატის“ ბაზარზე ქალაქის ჯიხურები და ბაქოს ქალაქის თავმა მოუხმოს თუ არა ნავთისმრეწველებს ვ. ი. რაგოზინის მოსასმენად, „დედაქალაქიდან ყოველ საათს აღნევს ცნობები ჩვენამდე, რომელიღაც უცნობ „კრიზისზე“. და მერე როგორი ცნობები. იქ ადამიანები, რომელთაც წარმოდგენა არა აქვთ ჩვენს ძალებზე, საქმეებზე და საჭიროებებზე, წელებზე ფეხს იდგამენ იმისათვის, რომ „რუსეთის მრეწველობისა და ვაჭრობის ხელშემწყობ საზოგადოებას“ და მის მსგავს დაწესებულებებს შეუქმნან ჩვენი ბედისა და ინტერესების სასარგებლოდ „საუკეთესო“ პირობები. ეტყობა ჩვენი ცხოვრება ისე მოეწყო, რომ ვინც არ უნდა აიღოს ჩვენში ჯოხი ხელში, მას უკვე ყველა კაპრალად აღიარებს, თუნდაც „სამხედრო წოდება“ მას სიმზმრადაც არ მოლანდებოდეს. სულელურია ამგვარი ბედი, მაგრამ მას ვერაფერს, სრულიად ვერაფერს ვერ მოუხერხებ...

დასწყევლოს ეშმაკმა, რა ბედი აქვთ ამ ჩვენ თვითმარქვია მეურვეებს და რაც უფრო დაბლა დგანან იმათზე, ვისაც მეურვეობას უწევენ, მით უფრო მეტად, მით უფრო თავბრუდამხვევად წყალობთ ბედი. მაგალითისათვის ავიღოთ თუნდაც ბატონი ილიმოვი.

დეკემბრის ერთ ავდრიან საღამოს მას მოეჩვენა, რომ შეუძლია თავი ჩვენი ნავთის მრეწველობის კაპრალად გამოაცხადოს. „რუსეთის ტექნიკური საზოგადოების“ მაღალი კათედრიდან მან დაიწყო გამოუკლებლივ ყველა ჩვენი ნავთის მრეწველის სიბრმავისა და უმეცრების გმობა. და არავის იმათ შორის, მასზე უფრო ჭკვიანები და ნასწავლები რომ არიან, არ მოსვლიათ აზრად ეკითხათ: შენ კი ვინ ბრძანდები ასეთი, საიდან მოეთრიე, რით დაამტკიცე შენი ცოდნა, შენი უფლება უხელმძღვანელო სხვებს? „რადგან გამოვცხადდი, ესე იგი, მაქვს

„უფლება“. არავინ არ ჩაწვდომია იმ სულელურ ბოდვას, რაც მან მაშინ წარმოთქვა, არავის არ შეუმოწმებია არც ერთი ფაქტი იმ სფეროდან, საიდანაც იგი მათ მსჯავრს დებდა. „რ›დგან გამოცხადდა, ესე იგი, მართალია“. მას შეეკამათა ნობელი, პრაქტიკული საქმის კაცი, რომელსაც უფლება ჰქონდა საბუთად მოეტანა ამ საქმის რეალური ფაქტები და შედეგები. „ამაოდ“. შეეკამათა მას, აგრეთვე, „ბაქოს ნავთის მრეწველი გ. ი. ლაზარევიც“, რომელსაც იმ დღეებში ჯერ კიდევ ახსოვდა ის შთაბეჭდილებები, რომლებიც ქ. ბაქოდან გამოიტანა. მიუთითა რა ნავთის მრეწველობის ტექნიკურ წარმატებებზე, იგი მაშინ ამტკიცებდა, რომ ბაქოს მრეწველებს სრულიად არ სჭირდებათ ბატონი ილიმოვის გაკვეთილები, პირიქით, თვით მან უნდა ისწავლოს ბაქოელებისაგან. ყველაფერ ამას ამტკიცებდა ციფრებით, ფაქტებით და ამანაც „ამაოდ ჩაიარა“. ახლა კი ყველაფერი შეიცვალა, ახლა იგივე ბატონი ლაზარევი დარწმუნდა, რომ ცეცხლთან თამაში უაზრობაა და ამიტომ ბატონი ილიმოვისათვის და მისი წამოწყებისათვის თავს იდებს...

დიახ, ცვლის დრო ადამიანს...

მაგრამ საქმე ამაში არ არის. შეიძლებოდა ბატონ ლაზარევსაც „ახელოდა თვალები“ და ბატონი ილიმოვიც „შეცვლილიყო“, თუმცა ეს წინააღმდეგობა და ცვლილება მხოლოდ წვრილმანია. მთავარი კი მაინც ძალაში რჩება: ვინ გვინევს მეურვეობას, ვინ გვასწავლის ჭკუას, ვის უნდა ჩვენში მბრძანებლობას მიაღწიოს? რა გააკეთეს ნავთობის მოპოვების საქმეში ბატონებმა ილიმოვმა და ლაზარევმა, რომ ახლა ბედავენ არა მარტო მსჯავრის გამოტანას და ამ საქმეში წესრიგის დამყარებას, არამედ ყველა იმ ნავთის მრეწველის ბავშვად გამოცხადებას, რომელთაც მეურვეობა და მზრუნველობა უნდა გაუწიონ ბატონებმა ილიმოვმა და ლაზარევმა?

მთელი ქვეყნისათვისაა ცნობილი, რომ ნავთობის საქმეში მათი მოღვაწეობა ამოიწურება იმით, რომ ბატონმა ილიმოვმა ფრანგებს მიჰყიდა ვითომდა ნავთობის შემცველი ალაიათის ნაკვეთები, თანაც წინასწარ იცოდა, რომ ეს ნაკვეთები ნავთობს არ შეიცავდა, ბატონმა ლაზარევმა კი, უფასოდ დაისაკუთრა ნავთობის შემცველი მიწები, მოგვიანებით აიძულა ბატონი პალაშკოვსკი სამჯერ უფრო ძვირად ეყიდა ეს მიწები მისგან. მათი ნავთობის საქმეში მონაწილეობა მხოლოდ ამ ორი ფაქტით შემოიფარგლება, ამით იცნობენ ისინი ამ საქმეს, ამ ორი „ოპერაციის“ შემდეგ, რომელთაგან ილიმოვის ოპერაცია ჩატარდა რვა წლის, ხოლო ლაზარევის ხუთი წლის წინათ, ამ ორ ვაუბატონს

ფეხი არ დაუდგამთ ბაქოში. ვინც არ იცის, ამ ხნის განმავლობაში როგორი გადაადგილებები და ცვლილებები ხდებოდა და მოხდა ბაქოს ნავთის მრეწველობის ბედსა და საქმეებში და, ახლა ეს ადამიანები დაუსწრებლად აცნობენ ამ მრეწველობის დღევანდელ მდგომარეობას მთელ რუსეთს. ღმერთო, რა აბსურდია! სადა ხარ, ექიმო კრუპოვო?[34]

ვიცი რომ მეტყვიან: „თქვენ ვინღა ხართ, რა გაგიკეთებიათ ნავთის მრეწველობაში? რატომ აძლევთ თქვენს თავს უფლებას წეროთ და იმსჯელოთ მის შესახებ“... მაგრამ განა ეს ერთი და იგივეა? ვთქვათ მე ნავთის მრეწველობისათვის სრულიად არაფერი გამიკეთებია, ვთქვათ, მე ამ საქმეში წმინდა წყლის პროფანი ვარ, მაგრამ როგორია თავიდან ბოლომდე ჩემი წერილების საერთო მოტივი და აზრი? და ბოლოს. 1882 წლიდან მე უცვლელად ერთსა და იმავეს ვამტკიცებ ყოველმხრივ და ყოველი საბაბის გამო. მე ვამბობ: ბატონებო, ნუ დაუჯერებთ ნავთის მრეწველობის თვითმარქვია მეურვეებს, თითქოს ეს მრეწველობა მხოლოდ უმეცარი ქერბალაევებისაგან შედგება, რომელთაც არაფერი ესმით და რომლებიც არც არაფერს აკეთებენ. მაგრამ ბაქოში ცხოვრობენ საქმიანი ადამიანები, ნავთის მრეწველობას რომ მთელი თავიანთი სული და გული, თავიანთი ბედი, მთელი თავიანთი სახსრები და ვალად აღებული ფული დაუკავშირეს. ამ ქვეყანაზე ყველაზე მეტად სწორედ ისინი არიან დაინტერესებულნი თავიანთი საქმის წარმატებით მსვლელობაში, თავიანთი ინტერესების დაცვაში.

მოუყარეთ მათ თავი, მოუსმინეთ, ამოაღერღინეთ სიტყვა, ათქმევინეთ რა უჭირთ, მოახდინეთ მათი საერთო პროგრამის სინთეზი და ამით ნავთის მრეწველობა სამუდამოდ განმტკიცდება. დამიჯერეთ. ეს ადამიანები უფრო ახლოს დგანან ნავთის მრეწველობასთან, უკეთ უფრო ღრმად, იცნობენ ვიდრე მე და თქვენ და მე და თქვენზე უფრო მეტად არიან დაინტერესებულნი დაიცვან იგი ყოველგვარი არეულ-დარეულობისაგან და მონოპოლიებისაგან. ისინი ბავშვები არ არიან და ყველაზე ნაკლებად საჭიროებენ ჩემსა და თქვენს მეურვეობას.

დამეთანხმეთ, ეს თავმდაბალი სიტყვა, მოწოდება, მომისმინოთ არა მე, არამედ მოუსმინეთ საქმიან ადამიანებს, მთელ საზოგადოებას, ისევე შორსაა მოზრდილი ბავშვის შარლატანურ მეურვედ გამოცხადებისაგან და თანაც იმ ადამიანების მეურვედ, რომლებიც ყველაზე მეტად არიან დაინტერესებულნი თავიანთი საქმის წარმატებით,—როგორც ცის ვარსკვლავი დედამიწისაგან. ამ თვალსაზრისის პროპაგანდისტს არ სჭირდება დაეყრდნოს ჩემს პირად ავტორიტეტს, იგი მხოლოდ თავის უცოდველობას უნდა დაეყრდნოს. ასეთივე თვალსაზრისის გამოთქმის უფლება აქვს ყველა გამვლელს და გამომვლელს.

მაგრამ იღვწოდე იმისათვის, რომ მოღვაწეთა მთელი მასა ცნო არასრულწლოვან ბავშვებად მხოლოდ იმის გამო, რომ მათზე მეურვეობის უფლება მოიპოვო, დამეთანხმეთ, ამისათვის, უპირველეს ყოვლისა, უნდა დაამტკიცო, რომ ისინი მართლაც ბავშვები არიან, თქვენ კი უცოდველი ბრძანდებით, რით დაამტკიცეს ასეთი უცოდველობა ბატონებმა ილიმოვმა და ლაზარევმა? ვიმეორებ, მხოლოდ იმით, რომ შესძლეს ძალიან ძვირად გაეყიდათ ყოვლად უვარგისი მინები. მართალია, ამავე დროს ორივემ საკმარისად გამოამჟღავნა როგორი წარმატებით შეიძლება გამოიყენო პრესა „სანუკვარი" მიზნის მისაღწევად. მაგრამ ნება თქვენია და ამგვარი „ავტორიტეტი" არ კმარა იმის უფლების მოსაპოვებლად, რომ ნავთის მრეწველებს უხელმძღვანელო.

ჩვენ მეტისმეტად მარტონი, უძლურნი და უხელისუფლებონი ვართ იმისათვის, რომ შევძლოთ „წინააღმდეგობა გავუწიოთ ბოროტებას", არც ჩვენი პროგრამაა მოდური და თანამედროვე. ჩვენ გვიხდება იმ წლების მონელება, როცა საზოგადოებრივი აზრისადმი ნდობით მიდგომა „ავანტაჟის ხასიათს არ იძენს" პრესაში.

დღეს ჩვენს პრესაში სულ სხვა ქარი ქრის. ახლა მოდაშია, მაგალითად, ასეთი სისულელეების ჯღაბნა: „გარდა იმისა, უცხოელებისა და უცხოური კაპიტალის მიერ ნავთობის პროდუქტების გაძლიერებულ ექსპორტს რუსეთის სახალხო მეურნეობისათვის გაკოტრების მეტი არაფერი მოაქვს, არ შეიძლება არ მივაქციოთ ყურადღება მეორე საშიშროებას, იმას, რომ მივიჩნიოთ ნავთობის პროდუქტების საზღვარგარეთ გატანა რუსეთის ნავთის მრეწველობის პროგრესის საფუძვლად. ეს საშიშროება ორმაგია"... ასე იწყება გაზეთ „კავკაზის" დღევანდელი მოწინავე სტატია, რომელიც მე, რა თქმა უნდა, ამის შემდეგ აღარ წამიკითხავს და არც წავიკითხავ, რა უნდა ქნა კაცმა ისეთ დროში, როცა ადამიანები, რომელთაც არც ჭკუა დაუკარგავთ და არც მეხსიერება, წერენ და ბეჭდავენ ამგვარ სისულელეს...

თქვენ იქნებ ფიქრობთ, მე ახლა ამას იმიტომ ვამბობ, რომ გამოვამზეურო საქმის ამგვარი წარმართვის მთელი ბოროტება, თვითმარქვია მეურვეების პრეტენზიების მთელი უაზრობა? არა. დღევანდელი ჩემი ამოცანა ამაზე ბევრად უფრო მნიშვნელოვანია. ვუბრუნდები ჩემი ფელეტონის დასაწყისს.

ამავე დროს, ამგვარი წერილმანებისა და აბსურდის მიმართ, აი, როგორი მითქმა-მოთქმითა და ჭორებითაა დაკავებული დღეს ჩვენი პრესა. „დედაქალაქიდან კი ყოველ საათს აღწევს ცნობები ჩვენამდე" სულ უფრო ახალი წამოწყებების შესახებ, ახლა უკვე არა თვითმარქვია მე-

ურვეთა მიერ, არამედ ჩვენი ეკონომიკური ყოფის ნამდვილ მეურვეთაგან. სწორედ იმის წინ, ფელეტონის დასაწერად რომ უნდა დავმჯდარიყავი, მივიღე ცნობა, რომ ამიერკავკასიის რკინიგზის თავკაცებმა უკვე ნამდვილი ხელშეკრულება დასდეს ბატონ ილიმოვთან და მის უცხოურ კაპიტალთან არა მხოლოდ ერთხელ და სამუდამოდ მათი რვა წლის დავის მოგვარების შესახებ, არამედ მთელი ჩვენი ნავთის მრეწველობის ბედის შესახებაც...

ამ შეთანხმების, თუ „შერიგების" არსი ის არის, რომ საყოველთაო ყურადღება მიიქციონ: რკინიგზისა და ნავთობის კონცესიონერები შეთანხმდნენ იმაში, რომ გაიყო ამიერკავკასიის ნავთსადენის კონცესია.

თქვენ იცით, ნავთსადენი აღარ არის ისეთი ქიმერა, როგორიც იყო ნავთობსადენი, რომელსაც ბევრი ნაკლი აღმოაჩნდა. ნავთსადენით ბაქოდან შავ ზღვამდე ერთი ფუთი გაწმენდილი ნავთის გადაქაჩვა, მისი მუშაობის პირველ წლებში, დაჯდება დაახლოებით რვა კაპიკი. დამეთანხმეთ, რომ საწარმო, რომელსაც უფლება ეძლევა ნავთის გამგზავნელებს ერთ ფუთ ნავთზე, რომლის გადაქაჩვა ასე იაფი ჯდება, გამოართვას 15-18 კაპიკი, ეს უკვე ქიმერა კი არა—კალიფორნიაა. ასეთი საწარმოს გადაცემა ვინმესათვის, ვინც არ უნდა იყოს იგი, გარდა ამიერკავკასიის რკინიგზისა, ანდა ერთიანად ბაქოს მრეწველობისა, ნიშნავს ნავთსადენის მფლობელთა სასარგებლოდ ნამდვილი მონოპოლიის შექმნას, ახლა, რა თქმა უნდა, ამიერკავკასიის რკინიგზა კრინტსაც ვერ დაძრავს ამ წამონყების წინააღმდეგ: რამეთუ საქმე აქვს მას ხაზინასთან, რომელიც რკინიგზის ექსპლოატაციას უზრუნველყოფს და რომელიც მომავალში შეიძლება მისი მფლობელი გახდეს?

მას საქმე აღარც იმ ნავთის მრეწველობასთან აქვს, რომელიც განწირულია იმისათვის, რომ კერძო ნავთსადენის მონა გახდეს, ბელგიელები ყოველწლიურად ჯიბეში ჩაიდებენ სულ ცოტა 5 მილიონ მანეთს თავიანთი ნავთსადენის პატიოსნად ექსპლოატაციის შემთხვევაშიც კი და ამდენივე მილიონით შეამცირებენ ამიერკავკასიის რკინიგზის, ანუ რუსეთის ნავთის მრეწველობის შემოსავალს. მაგრამ რა საქმე აქვს ყოველივე ამასთან ჩვენს პრესას, ჩვენს „კავკაზს", ჩვენს რკინიგზის ორგანოს: მათ მხოლოდ მორგანი გაკიცხონ იმისათვის, რომ იგი თავის კაპიტალის 90%-ს ჩვენში იგებს და ამასაც იმის წყალობით, რომ რუსმა კაპიტალისტებმა, გარდა აწგარდაცვლილი შიბაევისა, მტკიცე უარი განაცხადეს, ერთი გროში მაინც დაეხარჯათ ნავთის საწარმოებისათვის, მათ მხოლოდ ამგვარი ლამაზი ფრაზები დაწერეს: „უცხოელებისა და უცხო კაპიტალის მიერ ნავთობის პროდუქტების გაძლიერებულ ექსპლოატაციას რუსეთის სახალხო მეურნეობისათვის გაკოტრების მეტი არაფერი მოაქვს" და ა.შ.

ამგვარი შეუძლებელი ამბებისა და თანამედროვეთა უმეცრების ასეთი ულმერთო ექსპლოტაციის შემხედვარე, ალბათ, დიდი ხანია ჭკუიდან გადავიდოდი, იმის იმედი რომ არ მიმაგრებდეს ზურგს, რომ იქნებ ღმერთმა ქნას და კიდევ ხუთი-ექვსი წელიწადი ვიცოცხლო. ო, მაშინ კი სასაცილოდ ავიგდებ ჩვენი პრესის თანამედროვე მოღვაწეებს, რომელთაც არ იციან რას წერენ და აკრიტიკებენ. როცა ყველა ამჟამინდელი სურვილები და პროექტები საბოლოოდ მოწესრიგდება და თავის ნაყოფს გამოიღებს, როცა ცხოვრება თანამედროვე პროექტებსა და მისწრაფებებს თავის აღმოუფხვრელ, წარუშლელ ბეჭედს დაასვამს, მაშინ მე შევახსენებ ჩვენს „პუბლიცისტებს" სადამდე მიიყვანეს მათ ჩვენი საწყალი საზოგადოება. მე არაერთხელ მხდომია წილად ამგვარი ზეიმი, იქნებ ახალ ზეიმამდეც ვიცოცხლო. მაშინ, ვაი, იმ დაბრმავებულებს, რომელთაც ნებით თუ უნებლიედ, შეგნებულად თუ შეუგნებლად უბიძგეს საზოგადოებას გაკოტრებისა და თვითმკვლელობისაკენ.

გიცხადებთ, რომ მე ამასაც მოვესწრები. ხოლო თუ ვერ მოვესწრები, არაფერია, მოესწრებიან სხვები, ნამდვილად მოესწრებიან.

88. საუძმო საკითხავი

რა სასაცილო ხალხია ეს კუკუეველები! უბრალოდ ძალიან საინტერესოა თვალყური ადევნო მათ ამოუწურავ გამოგონებებს იმისათვის, თუ როგორ გააბრიყვონ უფროსობა. ეს კიდევ უფრო იმითაა სასაცილო, რომ ბევრი მათგანი მხოლოდ ვირეშმაკობითაა ძლიერი. ამიტომ ყველა მათი ეშმაკობა, აგებული თითქოსდა წმინდა წყლის მაკიაველური ხერხებით, მათივე ბრალეულ თავებს ატყდება რისხვად. მაგალითისათვის დღეს მოგიყვებით მათ მიერ უკანასკნელად ჩადენილ ოინზე.

ვფიქრობ, საჭირო არაა ვრცლად ვილაპარაკო იმ ფაქტების უსასრულო სერიაზე, ჩვენი პრესა და ადგილობრივი მწარმოებლები რომ გამოთქვამენ იმის დასამტკიცებლად, რომ ჩვენს კუკუეველებს სრულიად არ შესწევთ უნარი პატიოსნად და გონივრულად მართონ ამიერკავკასიის რკინიგზა. მათ უწყებაში არსებული არეულ-დარეულობის გამო, ჩვენში არა მარტო ადამიანები ბღავიან, არამედ ტვირთიც და ქვებიც კი. თითქოსდა, ასეთ ვითარებაში კუკუეველებს მხოლოდ ის-

ღა დარჩენიათ, მშვიდად გაატარონ ის რამდენიმე თვე, უხელმძღვანელოდ რომ არიან დარჩენილი და დაელოდონ იმ დროს, როცა უფლებამოსილი ხელი ბოლოს მოუღებს ჩვენი რკინიგზის ბედისა და საქმეების არეულ-დარეულობას. მაგრამ ნურას უკაცრავად. კუკუეველებმა ისე შეიყვარეს თავიანთი უპასუხისმგებლო ხელისუფლება, ისე მიეჩვიენ თავიანთ პრივილეგირებულ მდგომარეობას და ისე მოისურვეს სამუდამოდ დარჩნენ თავიანთ თბილ ადგილებზე, რომ იმისიც კი არ შერცხვათ, თავიანთი თავი სახელმწიფო მოღვაწეებად წარმოედგინათ, განა ეს ამბავი სასაცილო არ არის? ამ გზით უნდოდათ დედაქალაქის კანცელარიების მოხელეთა თვალში მოეპოვებინათ უფლება თავიანთი თანამდებობის შენარჩუნებისა.

ამ მიზნით ჩვენმა კუკუეველებმა ჩაიცვეს „კულტურტრეგერების" გაცვეთილი კოსტიუმი და ამავე დროს, რა თქმა უნდა, დაავიწყდათ, რომ ჩვენმა სატირიკოსმა ამ ლივრეას რუსული ენის ცეცხლოვანი ასოებით აღმოუფხვრელი დაღი დაამჩნია: „ტაშკენტელები". ამიტომ გადაწყვიტეს პეტერბურგში თავიანთი თავი წარედგინათ, როგორც „კავკასიაში რუსული მოქალაქეობრიობისა და კულტურის ჭეშმარიტ და, თავისთავად ცხადია, უანგარო მატარებლებად."

თქვენ ალბათ ფიქრობთ, რომ ეს წვრილმანია: რა მნიშვნელობა აქვს როგორ კოსტიუმში გამოეწყობიან მოხერხებული ადამიანები, როგორ ტიტულებსა და წოდებებს მიისაკუთრებენ. ნება მომეცით მოგახსენოთ, ეს საქმე სრულიად არაა ისეთი უმნიშვნელო, როგორც თქვენ გგონიათ. თუ მას რეალური ურთიერთობისა და ფაქტების ენაზე ვთარგმნით, იგი შემდეგი სახით წარმოგვიდგება.

მიმდინარე წლის 8 თებერვალს ამიერკავკასიის რკინიგზის მმართველმა რკინიგზის ყველა სამსახურს დაუგზავნა ცირკულიარი №1947, სადაც ნათქვამია, რომ ჩვენი რკინიგზის ყოფილმა ინსპექტორმა გასული წლის ზაფხულში (1888 წლის 14 ივლისს №659) რკინიგზის დეპარტამენტში შეიტანა მოხსენება, იმის შესახებ, თითქოსდა აუცილებელია ამიერკავკასიაში მოქალაქეობრიობისა და კულტურის შემოტანა. დეპარატმენტმა ამ მოხსენებას იმით უპასუხა, რომ ჩვენში მოქალაქეობრიობისა და კულტურის შემოტანა „უდაოდ სასარგებლოდ ცნო". ვიცი, თქვენ ეს ცოტათი გაგაკვირვებთ, ჯერ ერთი, გაგიკვირდებათ ის, რომ ერმოლოვის, პასკევიჩის, ვორონცოვისა და ბარიატინსკის შემდეგ, თურმე „რუსული მოქალაქეობრიობა და კულტურა" ჯერ კიდევ არ არის„ შემოტანილი" ამიერკავკასიაში და მათ შემომტანლებად გახდომას ბატონი კუკუეველები ცდილობენ, რის

გამოც ამ მოჩვენებითი აღმოჩენისა და გამოგონებისათვის განსაკუთრებულ პრივილეგიებს თხოულობენ, მეორეც თვით ეს კუკუეველები, რომლებიც თავს ვერ ართმევენ თავიანთ პირდაპირ მოვალეობას და მათზე დაკისრებულ ვალდებულებებს, ნებაყოფლობით კისრულობენ გადაჭრან ამოცანა, მათ რომ სრულიად არ ეხებათ. ჩვენი ქვეყნის კანონების მიხედვით, „მოქალაქეობრიობისა და კულტურის შემოტანა" განეკუთვნება შინაგან საქმეთა და სასკოლო განათლების უწყებათა წრეს და არა რკინიგზის დეპარტამენტს და ამ უკანასკნელის ინპექციებს. ამ სპეციალურ უწყებებს აქვთ სპეციალური მოვალეობანი, რაც გამოიხატება იმაში, რომ ჩვენი რკინიგზების გაყვანა და ექსპლოატაცია ხდებოდეს პატიოსნად და გონივრულად, ხელსაყრელი იყოს ქვეყნისა და ხაზინისათვის და არა თანამდებობის მქონე შემთხვევით პირთათვის, რომ მოძრაობა რკინიგზაზე სწრაფი და ეკონომიური გახდეს, რომ ამ რკინიგზის მოძრავი შემადგენლობა და შენობები კეთილმოაწყონ, ხაზებზე და მმართველობაში აღკვეთონ ქურდობა, ფავორიტიზმი და ხაზინის ძარცვა, კუკუეველებისათვის საკმარისია წესიერად და კეთილსინდისიერად შეასრულონ თავიანთი სპეციალური და პირდაპირი მოვალეობა და ამით დიდი ხნის წინათ შემოიტანდნენ და განამტკიცებდნენ რუსულ მოქალაქეობრიობას და კულტურას, რადგან ყოველგვარი კულტურის გამარჯვება ეფუძნება მხოლოდ მისი იდეის ღირსებასთან და სიმართლესთან უკანდაუხევლად შეთანხმებას.

კულტურის შემომტანნი ყველგან და ყოველთვის უნდა იყვნენ იმ წმინდა დროშის ღირსნი, ხელში რომ აიღეს. კუკუეველები კი იმ სასიგნალო დროშებსაც კი ვერ ართმევენ თავს, რომლებიც დარიგებული აქვთ იმისათვის, რომ თავიდან აიცილონ ავარიები და მარცხი. მათ არ შეეფერებათ კულტურის მესვეურთა დროშის ხელში აღება იმიტომ, რომ მის ხელში ამღებს კანონი უყენებს სულ სხვაგვარ და უფრო მკაცრ ზნეობრივ მოთხოვნილებებს.

ერთი სიტყვით, ვნახოთ „კულტურის შემოტანის" რა ხერხები მოიგონეს ბატონმა კუკუეველებმა.

მხოლოდ იმ მოსაზრების საფუძველზე, რომ ჩვენს რკინიგზაზე დარაჯებად და დღიურად დაქირავებულ მუშებად სპარსელები მუშაობენ, რომლებიც თურმე კონტრაბანდისტები და მძარცველები არიან, რისთვისაც მათ სასამართლოს წესით ვერ დასჯი და ამის გამო კუკუეველები იმ აზრამდე მივიდნენ, რომ „ამიერკავკასიაში რუსული მოქა-

ლაქეობრიობისა და კულტურის შემოტანის მიზნით, აუცილებელია ამიერკავკასიის რკინიგზის ყველა მოსამსახურე შეიცვალოს არა მარტო რუსეთის ქვეშევრდომი ადამიანებით, რაც სრულიად საფუძვლიანია, არამედ რუსული წარმოშობის ადამიანებითაც. ამ საეთრო ღონისძიებიდან გამონაკლისი უნდა დაუშვან რკინიგზის მხოლოდ ბაქოსა და გურიის მონაკვეთზე, სადაც „არახელსაყრელი კლიმატური პირობების გამო, რასაც რუსები გაჭირვებით ეგუებიან, სამსახურში შეიძლება მიღებულნი იყვნენ ის ადგილობრივი მკვიდრნი, რუსეთის ქვეშევრდომნი რომ არიან".

შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, რამდენად დაბნეულები არიან ბატონი კუკუეველები, თუ ამგვარ ფრაზებს იმის იმედით იგონებენ, რომ ისინი ცხოვრებისეულ ფაქტებად აქციონ. მოდით მხოლოდ გასაცინებლად ჩავუკვირდეთ ამ სტრიქონების არსს. დავიწყოთ იმით, რომ თურმე კუკუეველებს წარმოდგენა არ ჰქონიათ იმ რკინიგზის სიგრძეზე, რომელსაც მართავენ. იგი სულ 950 ვერსის სიგრძისაა, აქედან ბაქოსა და ბათუმის (გურია) მონაკვეთები შეადგენენ 620 ვერსს, ანუ მისი სიგრძის 2/3. ამავე დროს, საერთო ღონისძიება ეხება მხოლოდ ფოთი-თბილისის მონაკვეთს, რომლის სიგრძე 280 ვერსია, ხოლო რკინიგზის მთელი დანარჩენი ნაწილი მიეკუთვნება გამონაკლისს. მეორეც, ვის აქვს უფლება, სანამ კანონმდებლური გზით არ იქნება მიღებული იმგვარი შემზღუდველი ღონისძიება, როგორიც 1863 წელს მიიღეს რუსეთის დასავლეთი მხარისათვის, შეზღუდოს ამიერკავკასიის მცხოვრებლების სამოქალაქო უფლებები და მათ ყველას ერთად აუკრძალონ რკინიგზაზე სამსახური. როგორც ცნობილია, სახელმწიფო საბჭოს კანონმდებლობის დეპარატმენტის ნებართვის გარეშე რუსეთის სახელმწიფო სამართალს ამის უფლება არ მიუცია და არც არასოდეს მისცემს ვერც რკინიგზის სამმართველოს, არც მის ინსპექციებს და არც სხვა რომელიმე დეპარატმენტს ამქვეყნად.

ბატონ კუკუეველებს რომ უნარი შესწევდეთ, საღი გონებით ჩაუფიქრდნენ მათ მიერ დაპროექტებული ღონისძიებების არსს და წინასწარ დაინახონ ამით გამოწვეული შედეგები, ისინი განა ერთი წუთითაც დაუმალავდნენ საკუთარ თავს და თავიანთ უფროსობას იმ სულელური აზრის არა მარტო ამორალურობას, არამედ საშიშროებასაც, მათ რომ თავში მოუვიდათ? თქვენ მხოლოდ, აი, რა წარმოიდგინეთ: ჩვენი რკინიგზის საშუალო და დაბალ თანამდებობებზე მუშაობს რამდენიმე ათასი ადგილობრივი მკვიდრი, რომლებიც ბავშვობიდან მოამზადეს რკინიგზაზე სამსახურისათვის და უკვე ათეული წლობით ემსახურებიან მას.

რა უნდა მოუხერხონ ამდენ ხალხს—ტექნიკოსებს, ოსტატებს, მემანქანეებს, კანტორის მოსამსახურეებს, რომელთაც აღარ შეუძლიათ შეეგუონ სხვა სამუშაოს და რომლებიც მხოლოდ რკინიგზაზე სამუშაოდ მოამზადეს? სად უნდა წაიყვანონ? იქნებ ციმბირის რკინიგზაზე გააგზავნონ სამუშაოდ ლუკმაპურის საშოვნელად? მაგრამ ისინი ციმბირში ნებაყოფლობით არ წავლენ.

ამავე დროს, ერთბაშად დატოვო რამდენიმე ათასი ადამიანი ბედის ამარა და თანაც ისე, არავითარი საშუალება არ გქონდეს, ისინი რაიმე სამუშაოთი უზრუნველყო, ეს იმას ნიშნავს, რომ წინასწარი განზრახვით შექმნა ჩვენს მხარეში ფეხშიშველათა რაზმები, რომელთაც ქურდობისა და ძარცვის გარდა, სხვა გამოსავალი არ ექნებათ. ჩვენს მხარეში „რუსული მოქალაქეობრიობისა და კულტურის“ ჭეშმარიტ შემომტანებს თავიანთი წმინდა მისია ასე არ ესმოდათ, პირიქით, ისინი ცდილობდნენ გამოენახათ ადგილობრივი მოსახლეობისათვის სამუშაოც, ხელფასიც და დაერწმუნებინათ ისინი პატიოსანი შრომის უპირატესობაში... რატომ? იმიტომ, რომ ერმოლოვები, პასკევიჩები, ვორონცოვები და ბარიატინსკები მართლაც ემსახურებოდნენ რუსულ კულტურას, მართლაც სურდათ მისი წარმატება, ხოლო ჩვენი კუკუეველები „რუსული კულტურით“ იმისათვის სარგებლობენ, რომ ან თავიანთი შერყეული მდგომარეობა განიმტკიცონ, ანდა ცოდვები დამალონ. ხოლო ის, თუ რა დაემართება სინამდვილეში „რუსულ კულტურას“, მათ ისევე აინტერესებთ, როგორც შარშანდელი თოვლი.

თავისთავად ცხადია, რომ ერთი წუთითაც არ მეპარება ეჭვი, კუკუეველთა კულტურტრეგერული ვარაუდები მხოლოდ ქაღალდზე დარჩება. იმ მხარეში, სადაც სულ რაღაც ხუთი თვის წინათ გაისმა რუსეთის მეფის კეთილი ცნობის მომტანი მბრძანებლური სიტყვა, რომ იგი არ ცნობს არავითარ განსხვავებას მის ქვეშევრდომთა სხვადასხვა ეროვნებებს შორის, ჩვენ კუკუეველებს არავინ მისცემს უფლებას ტვინი უღრძონ ხალხს იმის ცდით, რომ ეროვნული შუღლი ჩამოაგდონ ერთი და იმავე სამშობლოს მქონე შვილებს შორის. ამგვარი „საერთო“ ღონისძიებების გატარება არ შეუძლია არც რკინიგზის სამმართველოს, არც რკინიგზის დეპარტამენტს და არც გზათა მიმოსვლის სამინისტროს ისე,თუ წმინდა კანონმდებლური წესით არ იქნება გაფორმებული და არ მოისმენენ კავკასიის მთავარმმართებლის და ყველა დანარჩენი მინისტრების დასკვნებს. ამიტომ, შეგვიძლია სრული-

ად დამშვიდებულნი ვიყოთ ამ საქმის საბოლოო შედეგის გამო, რასაც ახლა რკინიგზის სამმართველო ატარებს საკუთარ თანამშრომლებს შორის ირონიულ მიმოწერაში. მთელ ამ უაზრო გარჯას წყალი წაიღებს. მაგრამ განა სასაცილო არ არის, რომ იმ დროს, როცა რკინიგზის უფროსობა ვერაფრით ვერ ართმევს თავს თავის პირდაპირ მოვალეობას, წესრიგი დაამყაროს რკინიგზაზე, უეცრად ამგვარ აბსურდულ საქმეს იგონებს?

თითქოსდა საღი აზრის ერთი წვეთიც კი საკმარისია იმისათვის, რომ შეიგნო ამგვარი გამოგონების მთელი ამაოება და მავნებლობა. თუ ჩვენს კუკუეველებს თავიანთი ადგილებისა და მდგომარეობის შესანარჩუნებლად არ ეცოდებათ რამდენიმე ათასი ადამიანი, რომელთა ცხოვრება ათას ნაწილად უნდა დაიმსხვრეს და არც ის რკინიგზა, თვითონ რომ მართავენ და რომელმაც ერთბაშად უნდა დაკარგოს სანიმუშო, ფხიზელი და უნარიანი დაბალი რანგის მოსამსახურეები და ამასთანავე არც თავიანთი დრო და ენერგია ენანებათ, მაშინ რკინიგზის ის ბლანკები და კონვერტები დაინდონ, ამ მიმოწერაზე რომ იხარჯება. ყოველი ბლანკი ხომ ფული ღირს და საკმაოდ დიდი ფულიც, რასაც, რა თქმა უნდა, კუკუეველები კი არ უხდიან ხაზინას, არამედ ვუხდით ჩვენ, გადასახადის გადამხდელები, ყველა მოქალაქე, განურჩევლად ეროვნებისა...

89. საუქმო საკითხავი

დღეს მინდოდა მელაპარაკა და ძლიერაც მეთქვა „ბოროტგანზრახულებათა“ შესახებ... მაგრამ, თურმე, „უდროოა“. ძალიანაც კარგი. იმის ცდაში, თუ როდის დაჭკრავს საათი საშინელი სამსჯავროსი, —ამქვეყნად მას ვერავინ გაექცევა,—როცა „აღწერის“ მიხედვით, გამომჟღავნდება თითოეულის მიერ ჩადენილი ბოროტი და კეთილი და როცა ჩვენი უკვდავი და მოუსყიდველი მსაჯული გამოთქვამს თავის გარდაუვალ განაჩენს, არა „განზრახულ“, არამედ ადამიანურ „საქმეთა“ განჩინებით,—მაშინ ვილაპარაკებთ სხვა, უფრო უწყინარ, გინდაც სრულიად საწინააღმდეგო რამეებზე. უდროოა „ბოროტებაზე“ საუბარი? მაშ, ვისაუბროთ სიყვარულზე.

კასპიის ნაპირებზე, სადაც ამ ფელეტონს ვწერ, მონაცრისფრო-მომწვანო ზღვაზე ნავთის ქარხნების სქელი და მოქურუხებული კვამლის

გამო (ღმერთო, რამდენად ულამაზოა ეს პეიზაჟი ცისფერ შავ ზღვასთან შედარებით), თავიდან არ მცილდება ფიქრი სწორედ სიყვარულზე. მე მთლიანად ვიმყოფები ახლახანს ნაკითხულ მეტად ორიგინალური ფრანგი ბელეტრისტის პიერ ლოტის წიგნის „Madame Chrysantheme" მძლავრი შთაბეჭდილების ქვეშ. მიუხედავად იმისა, რომ მთელი რომანი თავიდან ბოლომდე მიძღვნილი აქვს ფრანგი მეზღვაურის შემთხვევით და მოკლე კავშირს იაპონელ ტურფა ქალთან და, რომ მასში ნართაულადაც კი ნათქვამი არ არის ჩვენებურ ზნესა და ჩვეულებებზე. მე ჩემს ცხოვრებაში ცოტა შემხვედრია ისეთი ლიტერატურული ნაწარმოები, რომელსაც ასე ღრმად და სინამდვილით მოეცეს კაცობრიობის თანამედროვე ცხოვრების ერთი მნიშვნელოვანი საკითხთაგანი. არა მგონია, ჩვენს დროში, ცივილიზებულ სამყაროში, ნამდვილად განათლებულ და მოაზროვნე ადამიანთა შორის, იპოვებოდეს თუნდაც ათი იმისთანა კაცი, რომელსაც პირად ცხოვრებაში არ ეგემოთ ნაღველი და წამება, რაც ასე ხუმრობით, იოლად და მეტისმეტად იოლადაც არის აღწერილი ფრანგი გულთმისნის მიერ.

აი, თქვენ თვითონ განსაჯეთ.

თუ პიერ ლოტის დავუჯერებთ, იაპონური წესები და კანონები უცხოებს და—შეიძლება ადგილობრივ მცხოვრებლებსაც,—ნებას აძლევს შეკრან საქორწინო კავშირი გარკვეული და გაურკვეველი ვადითაც, მაგალითად „ამომავალი მზის იმპერიის, ფარგლებში უცხოელის ყოფნის განმავლობაში". ასეთი ქორწინებანი ხდება ყოველ ნაბიჯზე, ხელისუფლების მპყრობელთა დასწრებით და მშობლებიც თავის ახალგაზრდა ქალებს ისევე სიამოვნებით ათხოვებენ „თვიურად", როგორც ჩვენში სამუდამოდ წერენ ჯვარს. ავტორი, პროფესიით მეზღვაური, ნაგასაკაში ყოფნისას, სადაც მისი ჯავშნოსანია დასადგურებული, სარგებლობს ასეთი შემთხვევით და ფიქრობს თავისუფალი დროის დატკბობას ახალგაზრდა იაპონელ ქალზე ქორწინებით.

„ეს ჩემი სიცოცხლის ერთი ზაფხულის დღიურიაო"—გვარწმუნებს ლოტი თავისი წიგნის ჰერცოგინია როშლიოსადმი მიძღვნაში. საკმაოდ საყურადღებოა, რასაკვირველია, იმისი ხილვა, რომ ჩვენის აზრით ასეთ უცნაურ კავშირზე გულახდილი თხრობა ეძღვნება სენ-ჟერმენის გარეუბნის "oh horreur" თანამედროვე მკვიდრს:"

მაგრამ ამ ზნეობის სწავლა, რაც გამომდინარეობს ავტორის ნაამბობიდან, სრულიად გამოისყიდის ამ მიძღვნის უჩვეულობას.

„ზნეობა“ კი ამ მხიარული მოთხრობის ყოველი სტრიქონიდან შადრევანივით ჩქეფს სულ მცირე ძალდატანებისა და ყოველგვარი ზედმეტობის გარეშე. ავტორს სურს, გაკვრით მაინც თქვას რამე ამ ზნეობაზე, გამოხატოს იგი სიტყვებით, მაგრამ, მიუხედავად ცოცხალი თხრობის ვითომც მსუბუქი მიმდინარეობისა, მკითხველი ძალაუნებურად განიმსჭვალება ენით გამოუთქმელი და დაუძლეველი სევდით, რომლითაც, როგორც ჩანს, მოწამლული ყოფილა გმირის ცხოვრება „მომჯადოებელ“ იაპონელ ქალთან „მომხიბვლელი“ კავშირის განმავლობაში.

არაა საჭირო ლაპარაკი იმაზე, თუ რა ცოცხლად და რელიეფურად არიან დახატულნი პიერ ლოტის რომანის მოქმედი პირები. ვინც იცნობს „წერის“ ტექნიკას, ბალზაკისა და ფლობერის ნიჭიერების გამგრძელებელთა შტრიხებსა და კოლორიტს,—გარდა მღებავი ზოლასი,—მას აღარ ესაჭიროება ამ უბადლო ხელოვნების გაცნობა; დანარჩენები კი, სულ ერთია, ვერას გაიგებენ და ვერც შეაფასებენ. და, აი, თქვენს წინაშე ლოტის გამოუყვანია „უცდომელი ფორმებით“, პირველი შემხვედრი ტურფა ქალი კი არა, არამედ მოხდენილი გოგონა, პიროვნება, რომელსაც გარდა ამისა, კიდევ ბუნებრივი გრაციაც და ცხოვრების შინაგანი ძალაც: გამომეტყველება, აზრი უეჭვოდ გააჩნია. ეს არაა უბრალო „შეუდარებელი თოჯინა“, აღსავსე ბუნებრივი სილამაზით, რომელსაც ისე შეფრფინვით უცქერით, როგორც ვენერას ქანდაკებას, რომლის თავშიც, ეტყობა თავისებურ და საყურადღებო ფიქრების და განცდების მთელი სამყარო ირევა, თავისი შეგრძნებებისა და არა მხოლოდ ზემოქმედებისათვის ხელმისაწვდომი ცოცხლად გამომხატველი ორგანიზმი, არამედ ხარბად და თრთოლვით მხმობელი ასეთი ზემოქმედებისა.

გვგონია, რომ ეს ბედნიერება უნდა იყოს: მოცლილობისას შეხვდე მცდელობას, რაც ზრდის სიყვარულს,—სიყვარულს, რომელიც საჭიროებს მოცლილობას, ისე როგორც თევზი წყალს,—პიროვნებას მიმზიდველსაც, განვითარების უნარის მქონეს, ყოველგვარი ფარისევლობისა და ფანდების გარეშე შენთვის ჩასაკონებლად გამზადებულს, განცხრომისა და სიყვარულის ყოველი განძის შენთვის შემწირველსა და მთლიანად შენთვის მოცემულს, ბოძებულს, ხვალინდელ დღეზე, გაყრაზე, სიყვარულის პასუხისმგებლობისა და სიძნელეების შესახებ ყოველგვარი აზრის უქონლად? მართალი არაა, რომ აქ თითქოს უხვად თავმოყრილია ყველაფერი, რაც უხსოვარი დროიდან სიყვარულის პო-

ეზიად ითვლება, ყველაფერი, რაც შეადგენს მის ვარდებს, სასწაულებრივად რომ არიდებს ყველაფერს იმას, რაც ოდნავ მაინც მათ ეკლებს მოაგონებს?

მაშ, საიდანღაა ეს უშველებელი სევდა, ეს მწუხარება, რომელიც ავტორის მომჯადოებელ სიცილში გართულ მკითხველი მოუცავს?

პიერ ლოტი მხოლოდ აქა-იქ, თავისი იაპონური სიყვარულის სიტკბოებასა და მშვენიერებაზე შესაფერი წარმოდგენის შექმნისას და ყოველმხრივად ყველაფრის გალამაზებისას, რაც შეეძლო ამ სიყვარულს მომხიბლავი მიეცა მისთვის, გაკვრით ამბობს, რომ მას მეტად სწყუროდა თავისი მომჯადოებლის შინაგან სამყაროში ჩაწვდომა. ქალის ნაღვლიანი გამოხედვა, განმსჭვალული გამოუთქმელი, გამოუქანდაკებელი აზრით, მას მოსვენებას არ აძლევდა. სურდა ამ აზრში ჩახედვა, გაგება, თუ რით ცხოვრობს და იკვებება იგი, და ეს მან ვერ შეძლო, ნაწილობრივ თავისი ცოლის ენის უცოდინარობით, უფრო მეტად კი მისი მსოფლჭვრეტისა და შემეცნების საკუთართან სრული დაპირისპირების გამო. იგი ცდილობდა აეხსნა, „განევითარებინა", „ზემოქმედება მოეხდინა", მაგრამ ინსტიქტური შეგნება ამგვარი ცდების განუხორციელებლობისა და ამაოებისა უცბად უბოჭავდა ხელებს. სულ ერთია, მე აქ ვერაფერს გავაწყობო. ეს სრულიად სხვა სამყაროა, ჩემთვის გაუგებარი და მიუწვდომელი. ვაჰ! ავიღოთ ცხოვრებისაგან ის, რისი მოცემაც მას შეუძლია, სხვა არაფრის იმედი, გარდა ალერსისა, სწრაფწარმავალი ტკბობისა, უფრო კი გართობისა, არ უნდა მქონდეს.....

ეს კი მისთვის, როგორცა ჩანს და გასაგებია, მეტად ცოტა იყო. ამგვარი გართობა, ცხადია, ვერ შეავსებს ადამიანის მთელ ცხოვრებას, რაც არ უნდა სწყუროდეს იგი. მისთვის ეს აუცილებელი და სასიამოვნოა, მაგრამ მხოლოდ მასზე თავისი ბედნიერების მტკიცე შენობის აგება, მარტო იმისათვისაც კი, რომ ფიზიკურად ის გააგრძელო მთელ ოცდაოთხ საათს, რაც ჩვენს დღეღამეს შეადგენს, შეუძლებელია. ლოტის მოთხრობის გმირმა სცადა თავდავიწყება სამსახურში ეპოვა: ჯავშნოსანზე მორიგეობაში, დათვალიერებებში, მეზღვაურის საქმიანობაში. იგი თავის ცოლ-ქმრულ ცხოვრებას ამრავალფეროვნებდა ჩვეულებრივი სტუმრობით, მასპინძლობით, ქეიფით, სეირნობით... უყვარდა თავისი გულის სიყვარულის მორთვა და გართობა, უყვარდა დროის გატარების მიზნით, თუ როგორ ყიდულობდა ის ქალი საჭირო და არა საჭირო ნივთებს, ბევრი ფულიც კი გადააყრევინა მას, ადამი-

ანის ჩვეული მოთხოვნილების, რომ საყვარელ არსებას ყოველგვარი ბედნიერება მისცეს,—დაკმაყოფილებისათვის, მაგრამ ყველაფერი ამაოდ. კაცის ნაღველსა და ქალის ჭმუნვას ვერაფერი აცხრობდა.

გასაოცარია ამ ფაბულის უმაღლესი მხატვრულობა. არა, თქვენ მხოლოდ აი, რა წარმოიდგინეთ: შესაძლებელი იყო თუ არა, რომ მკითხველს, რომელიც ოდნავ მაინც ჩაუფიქრდებოდა ნაკითხულს, აეტანა ისეთი დიდი სევდა და ჭმუნვა, თუ პიერ ლოტის მოთხრობის პირველი გვერდიდანვე მის თავში ისეთი შთაბეჭდილება არ დარჩებოდა, ერთი სიტყვით წამდაუწუმ გასახსენებელი, რომ ეს ცოლქ-მრული კატორღა არ იქნებოდა სამუდამო, რომ დღეს თუ არა ხვალ მაინც, ჯავშნოსნის მეთაურს პარიზიდან დეპეშით ბრძანებას გამოუგზავნიდნენ სასწრაფო დაბრუნებაზე და მაშინ დამთავრდებოდა ეს აუტანელი კოშმარი. იაპონელი ქალი დაბრუნდებოდა თავის მშობლებთან, იმ სამყაროში, სადაც იგი თავისუფლად იგრძნობდა თავს, სადაც დროებით ქვრივობა არ იქნებოდა მისთვის სასაყვედურო, გმირი კი, სამშობლოში დაბრუნებული, იპოვიდა მას, რაც მას ყველაზე უპირატესად ესაჭიროებოდა—არა მხოლოდ ფიზიკურ, არამედ გონებრივსა და ზნეობრივ შეკავშირებას თავის ცხოვრების მეგობართან! ეს რწმენა რომ არ იყოს, ლოტის წიგნიდან ისეთი პირუტყვული სიმყრალე დაჰბერავდა, ისეთი მუდმივი დამცირება ადამიანის პიროვნებისა, ისეთი განუყრელი დამოკიდებულება მის ხორციელ ნდომასთან, რომ ალბათ, ვერავინ, ვისაც კი გული არ ჩაჰქრობია, ამ მოთხრობის ნახევარსაც კი ვერ წაიკითხავდა.

ასე, მაგრამ ნამდვილად, ჩვენში, ე.ი. არა მხოლოდ კავკასიაში, არამედ რუსეთშიც და ევროპაშიც,—განა ყოველდღე არა ვხედავთ უფრო დიდი ზომით და უკვე თავის დახსნისა და გაქცევის ყოველგვარი იმედის დახშობით იმავე ფაბულის რეალურ, მუდმივ გამოვლინებას? განა ასი ცოლქმრული კავშირისათვის, რაც თანამედროვე საზოგადოების „მოაზროვნე ფენებს“ შორის იდება,—საქართველოში, ისე როგორც გერმანიაში, სამეგრელოში, როგორც საფრანგეთში,—თვით თანამედროვე ცხოვრების მიერ არაა გათხრილი უძირო უფსკრული ცოლსა და ქმარს შორის? განა თანამედროვე მეუღლენი დიამეტრალურად საწინააღმდეგო სამყაროდან არ არიან, რომელთაც გარდა წმინდა ფიზიკური მისწრაფებისა, საერთო ერთმანეთში აღარა გააჩნიათ რა და რომელთაგან ერთი მეცხრამეტე საუკუნეს ეკუთვნის, ხოლო მეორე მეათესა თუ მეთხუთმეტეს? პიერ ლოტიმ გაკვრით დასახა, მაგრამ ყოველი თანამედროვე ქმარი გეტყვით, რომ ლოტიმ შე-

ამცირა და შეანელა ის ნაღველი, ის დარდი, რომელსაც გრძნობს ადამიანი ამ თავისი დამოუკიდებლობის სიმძიმის ქვეშ ცალმხრივი, დამამცირებელი და დამაჩლუნგებელი კავშირით. სხვაგვარი მორალური სამყაროს არსებასთან

Как тяжко сердцу произнесть
Что с ними вечной цепью связан,
Что осужден их горе нести,
И радостями их наказан...

მე არასოდეს ვყოფილვარ მიმდევარი და მქადაგებელი ქალთა „ემანსიპაციის" ისეთი მახინჯი ფორმისა, როგორც მან ჩვენში მიიღო. არასოდეს, თვით ჩემი ჭაბუკობის ხანსაც კი, მე არ მივდევდი ქალის მამაკაცად გადაქცევის ქიმერას. როგორც ყოველთვის და უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე, მე განვაგრძობ ფიქრს, რომ ქალი ვერასოდეს ვერ იქნება გამძლე მეომარი, მიწის დამმუშავებელი ან მუშა, რომ იგი უნდა დარჩეს ქალად, მაგრამ, მე არასოდეს შემეძლო გაგება იმ ადამიანებისა, რომელნიც ამხედრდებოდნენ იმ მოთხოვნილების წინაალმდეგ, რომ ქალს უნდა მიეცეს ისეთივე სრული, ისეთივე „უმაღლესი" განათლება, როგორც ეძლევათ, ან შეიძლება მიეცეთ მამაკაცებს. ეს ქალთა „უმაღლესი განათლება" შეადგენს თანამედროვე თანაცხოვრების არსებით მოთხოვნილებას, რადგან უამისოდ ახლანდელი ოჯახის ცხოვრება საზოგადოების ცოტად თუ ბევრად განათლებულ ფენებში, დანგრეულია, რომ არა ვთქვათ რა ჩვენი შვილების დედაზე, მოზარდი თაობების უპირველეს და მთავარ აღმზრდელებზე და ხასიათის გამომწვრთნელზე, არამედ მელაპარაკოთ ქალზე, როგორც მხოლოდ ცოლზე, გულზე ხელი დაიდეთ და ისე თქვით,—რითი განსხვავდება ახლანდელი ევროპელი ქალი პიერ ლოტის იაპონელ ქალისაგან და რითაა არსებითად უკეთესი, წმინდა, კეთილგონიერი და მტკიცეც კი თანამედროვე ცივილიზებული სამყაროს მეუღლური კავშირი, ვიდრე „Madame Chrysantheme"-ში აღწერილი?

90. საუქმო საკითხავი

აგერ უკვე ათი დღეა, რაც ბაქოში ვიმყოფები და ჯერ კიდევ ვერ დავტკბი ამ ჭეშმარიტად თვითმყოფადი ქალაქის თავისებური სილამაზით.

ამავე დროს, გარე სამყარო სრულიად არ განმაწყობს სასიამოვნო შეგრძნებების აღსაქმელად. აქ ჯერ კიდევ ზამთრის ამინდია. ყველაფერი განსაცვიფრებელია, ცივა, ქარი უბერავს. ის ცოტაოდენი ხეც კი, რომ დაურგავთ, ზამთრის სამოსელშია გახვეული. რიონის ხეობაში კი ხეები ორი კვირის წინათ აყვავდნენ. ჩრდილოეთის ქარი დაუბრკოლებლად აწყდება ბაქოს და წმინდა რუსული სუსხი მოაქვს, რაც ტემპერატურის დიდ ცვლილებას იწვევს. განსაკუთრებით შესამჩნევი და მავნებელია ეს მაშინ, როცა ქარი მოულოდნელად იცვლება (როგორც ეს ამ დღეებში მოხდა) და მუღანის ველიდან ცხელი ქარი „სამუმი“ დაუბერავს. ერთი სიტყვით, ამინდი აქ საზიზღარია, მაგრამ მიუხედავად ამისა, ბაქო იმ ადამიანებსაც კი ხიბლავს, ვინც განებივრებულია დასავლეთ კავკასიის ამინდის „კეთილჰაეროვნებით“.

თუ აქ, ბაქოში, ბუნება მწირია, სამაგიეროდ ადამიანთა მოღვაწეობა ყოველი ხვრელიდან ცხოველმყოფელ წყაროსავით მოსჩქეფს.

ვისაც ბაქოსათვის სამ წელიწადია არ შეუვლია თვალი, იგი მას ახლა ალბათ ვერ იცნობს: ისე შეიცვალა აქ ყველაფერი უკეთესობისაკენ.

ქალაქი თითქმის შეუერთდა ოდესღაც მისგან დაშორებულ „შავ ქალაქს“, რომელმაც თავის მხრივ მიაღწია „კიშლინის ქარხნებამდე“, საფუძველი რომ ამ ხუთი-ექვსი წლის წინათ ჩაეყარა და ბაქოდან დიდი მანძილით იყო დაშორებული.

ქუჩები, რომლებზედაც ამ ცოტა ხნის წინათ ვერ გაივლიდი, ახლა მოკირწყლული და მოასფალტებულია. ამ ქუჩებზე ისე, როგორც სოკო ამოდის ნაწვიმარზე, დიდი რაოდენობით აშენდა გათლილი ქვის ლამაზი და მოხდენილი სახლები, რომელთა არქიტექტურა საკმაოდ ორიგინალურია. მათ შორის წმინდა მონუმენტური სტილის ბევრი საზოგადო ნაგებობაა. ისინი ან ქალაქის ხარჯზე აშენდა, ანდა საქველმოქმედო საზოგადოებებმა ააშენეს. საკმარისია დავასახელოთ ქალაქის მიერ აშენებული მარინის ქალთა გიმნაზია, წმინდა ნინოს სასწავლო დაწესებულება, რომელიც ახლა შენდება ქალაქის საუკეთესო, ყველაზე ლამაზ უბანში. ქუჩებში გაჰყავთ ისეთივე საცხენოსნო რკინიგზა, ჩვენთან თბილისში რომაა გაყვანილი, რის გამოც ჩვენი „ხელ-

მომჭირნე ფინანსისტები" ახლა ცრემლს ღვრიან, რადგან მხედველობიდან გამორჩათ ასეთი ხელსაყრელი საწარმო. ადგილობრივმა მრეწველებმა კი დააარსეს საკუთარი სააქციო კომპანია, ამიტომ ბაქოს ქუჩები არ ჰგავს თბილისის ან ქუთაისის ქუჩებს. თქვენ აქ ვერ დაინახავთ ვერც ერთ დაღვრემილ და მჭმუნვარე სახეს, რომელმაც არ იცის, რა აკეთოს ამქვეყნად, როგორ მოკლას დრო და დღესაც ისევე წუწუნებს, როგორც წუწუნებდა გუშინ და ისევე იწუწუნებს ხვალ, როგორც წუწუნებდა დღეს. გამვლელთა გამოხედვა სრულიად არაა ცივი და არ გვაგონებს ჩვენში შესამჩნევ ჩვეულებრივ მზერას „სად ვიშოვო ფული, აი, რა არის საკითხავი". მათ გამოხედვაში შეიმჩნევა აზრის ცოცხალი ფეთქვა, სავსე ენერგიითა და სიმამაცით. უბრალოდ სასიამოვნოა უყურო ნამდვილ საქმიან ადამიანებს და დაინახო განსხვავება ამ „საქმიანობასა" და იმას შორის, როგორსაც ხედავ შენს ქალაქში ან სხვა ადგილას.

ადამიანები იმ ქალაქებშიც შრომობენ, მუშაობენ, ლუკმაპურს შოულობენ, მაგრამ ეს ისე ხდება, თითქოს მუშაობა არ უნდათ და აძალებენო: ამიტომაც იგრძნობა მათ მზერაში დაღვრემილობა, ზიზღი. ისინი წმინდა ჩინოვნიკური მანერით წყევლიან საკუთარ ხვედრს, რის გამოც მისჯილი აქვთ უაზრო და არამიზიდველი წყლის ნაყვა მწარე საარსებო ლუკმაპურის მოსაპოვებლად. აქ, ბაქოში კი თითქმის ყველას ეტყობა, რომ თავისი სამუშაოთი დაინტერესებულია. იქნებ ეს გამოწვეულია საქმის სიახლით, უამრავი ახალშემოღებული წესებით და დაკვირვებებით, რაც გარდაუვალია ისეთ საქმეში, როგორიც ნავთობია, ადამიანის გონებას მისდაუნებურად რომ იტაცებს და ბადებს სურვილს, ჩაწვდეს ასეთ საინტერესო საქმეს. ამის მიზეზი ხელშესახები შედეგებიც შეიძლება იყოს. თვით სამუშაოს წარმატება აძლიერებს მისდამი სწრაფვას, მაგრამ ასეა თუ ისე, ერთი რამ ცხადია — თითქმის ყოველი ინტელიგენტი ადამიანი გატაცებულია თავის საქმით, თავის სამუშაოზე მთელი არსითაა დაინტერესებული. თითქოს იგი თავის ცხოვრების რებუსის წაკითხვას, რომელიღაც ამოცანის ამოხსნას ცდილობს, თითქოს მისი შრომა ლუკმაპურის მოსაპოვებლად მუშაობა კი არ არის, არამედ რაღაც გართობისმაგვარი.

შეიძლება მე გვერდიდან, სურათის მხოლოდ ზემო ნაწილს ვხედავ.

ჩემდა უნებურად მიხდება საქმე მქონდეს ნავთობის სამეფოს ისეთ ფენებთან, სადაც მუშაობის მექანიკური მხარე გადადის მეორე პლანზე და ადგილს უთმობს შემოქმედებით კომბინაციებს.

შეიძლება ამ სამყაროს შავ მუშებს თავიანთი მექანიკური სამუშაოს შესრულება იმაზე მეტად არ უჭირთ, ვიდრე რკინიგზის მუშებს, მაგრამ მე მხოლოდ იმ შთაბეჭდილებებს გადმოგცემთ, რაც ჩემზე მოახდინა ბაქოს ცხოვრებამ. ქარხნებში და სარენებზე აქამდე არ ვყოფილვარ...

თავისთავად ცხადია, აქ, ბაქოში, „მატერიალური ინტერესები" ყველა სხვა ინტერესებზე უფრო მაღლა დგას, თუმცა სად არ დგას ყველა სხვა ინტერესებზე უფრო მაღლა მატერიალური ინტერესები?

ისიც ცხადია, რომ ბაქოელები, თუ მათზე გარეგნობით, ყოველდღიური მუშაობით და გაზეთებში დაწერილით შეიძლება მსჯელობა, უაღრესად „დადებითნი" და მეტისმეტად „მერკანტილურნი" არიან და ძნელია ელოდო მათგან, მაგალითად, ქუთაისლებივით ხმლით ხელში „ბრძოლას" წმინდა პლატონური საკითხებისათვის, იმისათვის, ვინ აირჩიონ თავად-აზნაურთა წინამძღოლად. თუმცა ეს საკითხი არც ქუთაისშია ყოველთვის პლატონური. მეორე მხრივ კი ბაქოშიც ითელებოდა ნეკნები და იღვრებოდა სისხლი იმისთვის, ვინ აერჩიათ ადგილობრივი საქალაქო სათათბიროს დეპუტატად. საერთოდ კი, ვუყურებ რა თვალების ცოცხალ გამომეტყველებას და მათ სერიოზულად დაფიქრებულ სახეებს, მე მგონია, მიუხედავად იმისა, რომ ფულის ყადრი და ფასი იციან და თანაც კარგად, პლატონური და ქველმოქმედური მისწრაფებების თვალსაზრისით ისინი არც თავს მოიტყუებენ და არც არავის ჩამორჩებიან...

ერთი სიტყვით, ქალაქის შინაგანი ცხოვრებისაგან დამოუკიდებლად, ბაქო გვერდიდან, თავის გარეგნობითაც საინტერესოა. ეს არის მართლაც „კოსმოპოლიტური" ქალაქი ტანსაცმლის, სახეების, ეროვნებისა და კილოკავების სიჭრელით და ეს ადამიანები ერთმანეთის გვერდით თანხმობით ცხოვრობენ, თუ მხედველობაში არ მივიღებთ კანცელარიულ სამყაროს, მუდამ რომ დამჟავებულია. საბედნიეროდ, თუმცა ასეთი რამ ბაქოში თითქმის არ ჩანს. წმინდა ებრაულად, იგი უკანა პლანზეა გადასროლილი. მისი მდგომარეობა არავიში არ იწვევს ისეთ შურის გრძნობას, როგორც ეს ჩვენშია. პირიქით... აქ ყველა იმისკენ ისწრაფვის, ჰქონდეს თავისი, თუნდაც პატარა, დამოუკიდებელი საქმე ან მდგომარეობა... აი, სპარსელებისა და სომხების ამ შეთანხმებულ ნარევში, შეხვდებით რუსებს და გერმანელებს, შვედებს და ებრაელებს, ფრანგებს და ინგლისელებს. ცხოვრების ამგვარ სიჭრელეს ალბათ პარიზშიც ვერ ნახავთ, ხალხის ამ „ქარავან სარაიშიც" კი, როგორც პარიზს უწოდა ბარონმა ოსმანმა, ანუ გაუსმანმა.

ცოტა შემაზრზენი, მაგრამ მაინც ძალიან, ძალიან სასიამოვნოა ხედავდე წვერშეღებილ სპარსელს თავის წვერნამახული ცხვრის ქუდით, რომელსაც სერიოზულად უჭირავს ხელში ტელეფონის ყურმილი და ქვემოქალაქური აზერბაიჯანული კილოკავით ელაპარაკება შვედს ნობელის სარეწიდან. ო, ცივილიზაციავ, ეს შენი საჩუქრებია! მაგრამ ცივილიზაცია სრულებით არ უშლის ხელს ადგილობრივი ადათ-წესების ბუკოლიკურობას. ერთ ადგილას ხედავ, საღამო ჟამს რომელიმე „გრანდოტელის" სადარბაზოსთან თავი მოუყრია სამ-ოთხ მეეტლეს, რომელთაც ნახშირივით შავი წვერი ღია წითლად შეუღებიათ ისევე, როგორც თავიანთი ცხენების კუდები, ზუსტად მწყემსივით უკრავენ ადგილობრივ სალამურს და აქ რომ ქალიშვილები იყვნენ, ალბათ შესაძლებელი იქნებოდა პირდაპირ ქუჩაში გაემართათ ცეკვა-თამაში. მეორე ადგილას, იქვე გვერდით, ერთი მწკრივი ბურნუთისათვის ორი კაცი, ამ ცოტა ხნის წინათ რომ მეგობრები იყვნენ, ერთმანეთს დაუზოგავად ამტვრევენ ცხვირ-პირს. ამ ორიგინალურ სურათებს აცოცხლებს ხან ელექტროფანარი, ხანაც ადგილობრივი მაღალი ურმების ჭრიალი. ისინი დატვირთული არიან კასრებით, რომლებშიც საცხები ზეთები ასხია, შაქრით და ა.შ. მეურმეები ხან მოხდენილად, მედიდურად უკრავენ თავს ერთმანეთს, ხან მათრახებით დაერევიან, ხანაც ხმის ჩახლეჩამდე ბილწსიტყვაობენ... იქ, შორს კი, ჰორიზონტის დასასრულთან, რაც ამ ცოცხალი სურათის ფონს წარმოადგენს, ხედავ კასპიის ზღვის ზედაპირზე ანძებისა და გემთსართავების ტყეს ყველა ზომის დროშებით. თვალს არ უჯერებ, როცა ხედავ, რომ კიროსისა და დარიოს გისტასპის შთამომავალნი, რომლებიც ამ თხმუთმეტიოდე წლის წინათ მხოლოდ მცონარეობისათვის გეგონა გამოჩენილი, გულმოდგინედ და ყოჩაღად გმანავენ ნავებს, ღებავენ გემებს, აპრიალებენ მანქანებს და მაიმუნებზე უფრო მარჯვედ ადიან ანძებზე... „ტრადიციული" მცონარეებისათვისაც კი აღმოჩნდა საქმე ცხვირწინ. მხოლოდ ერთი რამაა ცუდი, ირგვლივ, საითაც არ გაიხედავ, ყველაფერი მოტიტვლებულია:ერთი ხეც კი არ დგას არსად, არავითარი ნიშანი ზრდისა და მოძრაობისა. ბუნება ირგვლივ თითქოს ჩამკვდარია, ყველაფერი თხემით ფეხებამდეა გაშიშვლებული. უსიცოცხლო კლდეები, რომლებიც ბალახის ნაცვლად ქვიშითაა დაფარული, ჩამქრალი ვულკანების კრატერებს ჰგავს...

91. ამიერკავკასიის რკინიგზის გამოსყიდვა

I

როგორც ცნობილია, ჩვენი სასიცოცხლო რკინიგზის ბედი, რაც მისი გაყვანის დღიდან უაღრესად ამორალურ პირობებში იყო მოქცეული, ამ დღეებში მკვეთრად შეიცვალა. სახელმწიფო საბჭოს უმაღლესი გადაწყვეტილებით მიღებულია დადგენილება, გამოსყიდული იქნას ამიერკავკასიის რკინიგზის საზოგადოების ის აქციები, რომლებიც ითვლება ბატონების ბუნგესა და პალაშკოვსკის საკუთრებად და მათთან ერთად რკინიგზა გადაეცემა ხაზინას, ხოლო თვით საზოგადოება ლიკვიდირებულ იქნება. ამავე დროს ხაზინა უდიდესი დიდსულოვნებით მოექცა მფლობელთა ინტერესებს. მან შესაძლებლობა მისცა ბატონებს პალაშკოვსკისა და ბუნგეს გამოეყენებინა რკინიგზის ყველა აქციის კონვერსიის სარგებელი, რაც იძლევა 50%-ზე მეტ გარანტირებულ შემოსავალს ხაზინის ლითონის ობლიგაციის 4,5%-ზე. გარდა თავიანთი აქციების ღირებულებისა, ბატონები ბუნგე და პალაშკოვსკი, ღებულობენ, აგრეთვე, 1,5 მილიონი მანეთის პრემიას, ე.ი. კონვერსიის მთელ სარგებელს და ეს მიუხედავად იმისა, რომ ისინი ფლობდნენ ნორმალურ, რკინიგზის ყველა აქციის მხოლოდ ერთ მეოთხედს. მართალია, იმ წვრილი აქციონერების ინტერესები, რომელთა ხელშიც ამჟამად ამიერკავკასიის რკინიგზის საზოგადოების 19.000 ცალი აქცია უყურადღებოდ დარჩა ისევე, როგორც 24.000 ცალი აქცია ფინანსთა სამინისტროს რომ ეკუთვნის, მაგრამ მომავალში ხაზინა ასკეცად აუნაზღაურებს მათ თავიანთ დროებით დანაკარგს, ხოლო წვრილ აქციონერებს არ უნდა გამოეჩინათ დაუდევრობა და უნდა დასწრებოდნენ თავიანთი საზოგადოების საერთო კრებებს. ეტყობა ისინი კმაყოფილი არიან თავიანთი ხვედრით, რაკი არ ილაშქრებენ იმ გადაწყვეტილების წინააღმდეგ, მათ რომ მოუმზადეს.

ჩვენ არ დავიწყებთ „ფარდის ახდას", იმ მოტივებისა და გაანგარიშებების გაშუქებას, რომელთაც ამგვარი გადაწყვეტილებების მიღება გამოიწვიეს. ჯერ კიდევ ძალზე ახლოა მოვლენები, ეს გადაწყვეტილებები რომ განაპირობეს და ახლა არაფრით არ შეიძლება მიუკერძოებელმა მსაჯულმა ჭეშმარიტად განსაზღვროს იგი.ამ ამბებზე მოთხრობილი მომავალში ბევრს საარაკოდ მოეჩვენება. ახლა ჩვენთვის საკმარისია იმის თქმა, რომ შეგვიძლია მთავრობას გულწრფელად და სერიოზულად მოვულოცოთ ამ გარდაუვალი ქირურგიული „ოპერაციის" წარმატებით დამთავრება: წყლული ალპობდა მთელ ორ-

განიზმს და ამ წყლულიდან რამდენი ჩირქიც არ უნდა გამოეშვათ, მისი გაკვეთა მაინც საჭირო იყო, რადაც არ უნდა დაჯდომოდა ეს მთავრობას, თუნდაც იმ რისკის ხარჯზეც კი, რომ ხელებს დაისვრიდა...

თუ რამდენად საჭირო იყო საკეისრო გაკვეთის ოპერაცია, ჩანს თუნდაც შემდეგი, სრულიად დაუჯერებელი, მაგრამ არანაკლებ მართალი მოთხრობიდან იმ საქმეზე, სულ რამდენიმე კვირის წინათ რომ მოხდა.

ბატონების ბუნგესა და პალაშკოვსკის აქციები დაგირავებული იყო დედაქალაქის ბანკებში იმ ფასად, რაც ბირჟაზე ღირან,—190 მანეთად ცალი. ცხადია, იმ პირობით, რომ თუ მათი ფასი ბირჟაზე დაეცემოდა, დაეფარათ სხვაობა, რადგან ეს აქციები ლითონის ვალუტით იყო გამოშვებული. ამიტომ ჩვენი კრედიტების კურსის გაუმჯობესება იწვევდა ბირჟაზე მათი ფასის დაცემას. უკანასკნელ თვეში, მანეთის კურსის გაზრდის შესაბამისად, ამიერკავკასიის რკინიგზის აქციების კურსი სულ დაბლა და დაბლა ეშვებოდა. ამიტომ, დამგირავებლებმა, ბატონებს ბუნგესა და პალაშკოვსკის მოთხოვეს გადაელახათ საგარანტიო სხვაობა. რადგან მათ საგარანტიო სხვაობის გადახდის შესაძლებლობა არ ჰქონდათ, ბატონებმა ბუნგემ და პალაშკოვსკიმ „დაითანხმეს" ამიერკავკასიის რკინიგზის მმართველობა, რომელსაც ერთპიროვნულად ირჩევდნენ, გადაეხადათ ბანკებისათვის სხვაობა რკინიგზის სახსრებიდან, ე.ი. გამხდარიყვნენ დამგირავებლები, ამის შედეგად კი რკინიგზის აქციების მესაკუთრენი, რაც, როგორც ცნობილია, აკრძალულია წესდებით და ყველა აქციონერული საზოგადოების ზოგადი წესებით. ამ კანონის საწინააღმდეგო ოპერაციის შედეგად რკინიგზა სულ ცოტა 300 000 მანეთს კარგავდა. ხოლო თუ მანეთის კურსი კიდევ გაიზრდებოდა, მაშინ დაკარგავდა (თითოეულ აქციაზე 65 მანეთს), სულ 745. 000 მანეთს.

ამგვარი უწესობა რომ შეეჩერებინა, ფინანსთა მინისტრმა ჯერ კიდევ მანამდე, სანამ შესთავაზებდა სახელმწიფო საბჭოს ეყიდა ბატონების პალაშკოვსკისა და ბუნგეს აქციები, სახელმწიფო ბანკს ნება დართო გაეცა ამ აქციების დაგირავების ხარჯზე სესხი მათი ბირჟაზე ღირებულების მიხედვით. იმ შემთხვევაშიც კი, თუ სახელმწიფო საბჭო უარს იტყოდა რკინიგზის გამოსყიდვაზე და ბატონების ბუნგესა და პალაშკოვსკისათვის პრემიის სახით 1,5 მილიონი მანეთის მიცემაზე, მიუხედავად უკანონო აქციის ლეგალიზაციისა, ეს მაინც გონივრული ღონისძიება იყო, რადგან მომავალში აქციები ბანკის ან ხაზინის საკუთრება გახდებოდა.

ერთი სიტყვით, ხაზინამ არ მოინდომა ესარგებლა თავის კანონიერი უფლებებით, არ ისურვა ესარგებლა ბატონების ბუნგესა და პალაშკოვსკის გამოუვალი მდგომარეობით და მათ ანგარიში გაუსწორა სრულიად კეთილშობილური და სულგრძელი ხერხით, მოიქცა ისე, როგორც ეკადრებოდა რომ მოქცეულიყო. ჩვენი რკინიგზის მესაკუთრე ხდება ხაზინა და თანაც ისე, რომ არავისთვის არ წაუჭერია ყელში ხელი, მკვდრისათვის არ გადაუბიჯებია, თითოეულმა მფლობელმა მიილო ყველაფერი, რისი მიღებაც სურდა. ამავე დროს, მათ ეტყობა აპატიეს ყველაფერი, რაც ძველი წესებისა და მოქმედების დროს იყო დაშვებული, როგორც ეს ჩვეულებრივად ხდება ამგვარ საქმეში. ღმერთმა ხელი მოუმართოთ. მათ ბევრი ეპატიებიათ, რადგან ბევრს სცოდავდნენ.

კრიზისი დამთავრდა. იწყება არა მარტო ჩვენს რკინიგზაზე, არამედ ჩვენს ქვეყანაშიც ახალი ერა. კითხვა, თუ როგორი ხასიათისა იქნება ეს ერა, ჯერჯერობით კითხვადვე რჩება, რომელიც უნდა გაირკვეს. აი, რატომაა საჭირო ასეთ გადამწყვეტ მომენტში ნათელი თვალით გადავხედოთ ჩვენი რკინიგზის წარსულს, გადავხედოთ იმ მიზნით, რომ გავერკვეთ მისი ახალი მმართველობის მომავალ ამოცანებში, რაც ადგილობრივ საზოგადოებას მისცემს შესაძლებლობას იმსჯელოს, როგორ გაუძღვებიან ისინი მათ წილხვედრ მისიას, რაც უძლიერეს ზეგავლენას მოახდენს ჩვენი ქვეყნის განვითარებასა და მომავალზე.

II

თუ ერთობლივად განვიხილავთ ჩვენი დროის ეკონომიურ საქმეებს, თითქმის შეუძლებელია მოინახოს რაიმე უფრო მჭევრმეტყველური და ჭკუისსასწავლებელი, ვიდრე ამიერკავკასიის რკინიგზის განვითარების ისტორიაა, მისი აღზევებისა და დაცემის ხანაა. რკინიგზა, რომელიც წინასწარი გაანგარიშებით ისე იყო გაყვანილი, რომ არავითარი შემოსავალი არ ჰქონოდა და მას ყოველთვის იმ ანგარიშით მართავდნენ, რაც საღ აზრს ეწინააღმდეგებოდა, სულ რაღაც ხუთი, ექვსი წლის მანძილზე რუსეთის რკინიგზებს შორის ყველაზე შემოსავლიანი რკინიგზა გახდა. მის განვითარებაზე, მისადაგებაზე ქვეყნის ეკონომიურ ცხოვრებასთან არავის არ უფიქრია არასოდეს, არავის არაფერი გაუკეთებია იმისათვის, რომ გამოეცოცხლებინა ქვეყნის მწარმოებლური ძალები და მიუხედავად იმისა, რკინიგზა, მისი მფლობელების ცინიკური სიტყვებით რომ ვთქვათ—წარმოადგენდა მხოლოდ სახელმწიფო ხაზინისაკენ „მიმავალ ლიანდაგს"—თვითონ, გარედან

ყოველგვარი დახმარების გარეშე, გამოცოცდა ხაზინის გარანტიი-დან. ახლა კი, ამ საქმის ყველაზე ფრთხილი მცოდნენი ამტკიცებენ, რომ ცხრა მთას იქით არაა ის დრო, როცა იგი თავის განვითარებით ნიკოლაევის რკინიგზასაც კი ჩამოიტოვებს უკან. ამჟამად სიტყვები: „ეს რკინიგზა კი არა, ოქროს საბადოა" აღარ ჩაითვლება ისე, როგორც ამ რამდენიმე წლის წინათ „დამჟავებულ კავკასიურ პატრიოტიზმად" ითვლებოდა. ადამიანებმა, რომელთაც ბრმა ბედისწერამ უაზროდ არგუნა „ოქროს საბადო", არა მარტო ვერ ისარგებლეს ასეთი უზარმაზარი ბედნიერებით, არა მარტო ვერ გამოიყენეს იგი, არამედ, თითქმის ისეთივე ჯიბეცარიელი ტოვებენ ახლა რკინიგზას, როგორიც იყვნენ მაშინ, როცა წილად ერგოთ. ამავე დროს, არც იმის თქმა შეიძლება, რომ ეს ადამიანები არ იყვნენ გამორჩეულნი, ენერგიულნი, ფხიანი და გამჭრიახნი. თავიანთი ნიჭით, ცოდნით, შრომისმოყვარეობით, ენერგიულობით და გამომგონებლობით, რაც მათ საქმეში გამოიჩინეს, ბატონები ბუნგე და პალაშკოვსკი უდაოდ იმსახურებენ იმას, რომ ჩვენი მოღვაწეების პირველ რიგებში იდგნენ. მიუხედავად ამისა, ისინი მაინც დაილუპნენ, უკიდურეს შემთხვევაში იმ თვალსაზრისით მაინც, რომ იმ მდგომარეობაზე გაცილებით დაბლა დგანან, წილად რომ ერგოთ. მათ შესახებ საქმიან წრეებში შემდეგი აზრია შექმნილი: იყვნენ რა მარჯვე კომბინატორები და იცოდნენ რა ინიციატივის გამოჩენა, მათ ვერ გამოავლინეს საკმარისი ადმინისტრაციული ნიჭი და შეეწირნენ იმას, რომ „არ იცოდნენ საქმის სწორად წარმართვა". ჩვენ სხვა აზრისა ვართ. არა, წვრილმანი შეცდომები და დანაკლისები აქ არაფერ შუაშია, ბატონები პალაშკოვსკი და ბუნგე ძირითადად იმიტომ დამარცხდნენ, რომ არ შეეძლოთ თავიანთი მდგომარეობის შეფასება და შეცდნენ თავიანთი მოქმედების ძირითადი გეგმის გამომუშავების დროს. მათი მარცხის მთავარი მიზეზი სწორედ იმ „კომბინატორული ნიჭის" ნაკლებობა იყო, რასაც საქმიანი ადამიანების უმეტესობა ასე ჭარბად მცდარად აწერს მათ. არ იცოდნენ და არც უნდოდათ ცოდნოდათ იმ ქვეყნის ცხოვრება, რომელიც მათი მოქმედების ასპარეზი გახდა, მათ ვერ შესძლეს დაეფუძნებინათ თავიანთი კეთილდღეობა ამ ქვეყნის ინტერესებთან სოლიდარობაზე. ისინი ჯერ კიდევ ახალგაზრდები იყვნენ, როცა 1867-1875 წლებში, როცა რუსეთი მოიცვა ეგრეთ წოდებულმა „რკინიგზების ციებ-ცხელებამ" და ჩვენმა ქვეყანამ რაღაც 9-10 წელიწადში გაიყვანა 20. 000 ვერსის რკინიგზა. ახალ ნიადაგზე ასეთი ფართო ქსელის ასე მოკლე დროში

გაყვანა შეიძლებოდა მხოლოდ „რადაც ან უნდა დაგვიჯდეს“ გზით, რის გამოც საკმარისად არ იყო შემოწმებული მშენებლობის საფუძვლიანობა და ღირებულება. ამიტომ, იმ ეპოქის რკინიგზელებმა—პოლიაკოვებმა, ფონ-მეკებმა, ფონ-დერვიზებმა, გუბონინებმა და ა.შ.—ექვს წელიწადში უზარმაზარი ქონება შეიძინეს მხოლოდ რკინიგზების „მშენებლობაზე მოგებით“. მაგრამ 1878 წელს რუსეთი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ „რკინიგზების ციებ-ცხელება“ შეეჩერებინა. მეორე მხრივ ის, რაც ყველას იდუმალებად ეჩვენებოდა, ბევრისათვის უკვე გასაგები და ბანალურიც კი გახდა. მიუხედავად ამისა, ბატონებმა ბუნგემ და პალაშკოვსკიმ 1875 წელს დაიწყეს რკინიგზების გაყვანა და ამ დარგში მოღვაწეობა, მაგრამ ისინი მოქმედებდნენ, ასე ვთქვათ, „უკანა რიცხვით“. იმის მაგივრად, რომ გაეგოთ ახალი ეპოქისა და ახალი მოთხოვნილებების ხასიათი, იმის მაგივრად, რომ, დროის ზრდასთან ერთად, თვითონაც გაზრდილიყვნენ და საზოგადო შეგნებისათვის გაესწროთ, ისინი მონურად მიყვებოდნენ რკინიგზის 1867-1875 წლების პერიოდის პროგრესს. „მშენებლობაზე მოგების“ იქით ისინი არ ფიქრობდნენ წასვლას. ბატონები ბუნგე და პალაშკოვსკი იმეორებდნენ ძველ ფოკუსს, მაგრამ ახლა ისეთი ხალხის წინაშე, ამ ფოკუსის არსი და მისი შესრულების მანერა რომ ამოიცნო.

1878 წელს მთავრობაცა და საზოგადოებაც „რკინიგზის ახალი ხაზების“ გაყვანას კი არ მოითხოვდნენ, არამედ უკვე გაყვანილი რკინიგზების მოწესრიგებას. ბევრი რკინიგზელი მაშინვე დაადგა ამ გზას და მათ თავიანთი მდგომარეობა შეინარჩუნეს. სხვები, ყველაზე საქმიანი ადამიანები კი, უფრო შორს წავიდნენ: ისინი მიხვდნენ, რომ რკინიგზის მშენებლობა დამოკიდებულია „ქვეყნის მწარმოებლობის განვითარებაზე“.

ლიბავო-რომენსკის რკინიგზის მოღვაწეებმა, ხოლო მათი მაგალითის მიხედვით სამხრეთ-დასავლეთის რკინიგზელებმაც, პირველებმა წამოაყენეს ასეთი „პლატფორმა“, თავიანთი საქმე კარგად წარმართეს და მდგომარეობაც შეინარჩუნეს. მთელი ამ ხნის განმავლობაში „საამშენებლო ციებ-ცხელებისა“ და „მშენებლობაზე მოგების“ პოლიტიკა ყველა რკინიგზელმა ისე მოისროლა, როგორც გამოწურული ლიმონი და იგი მხოლოდ ბატონებს ბუნგეს და პალაშკოვსკის დარჩათ გზის მანათობელ ვარსკვლავად. აი, ეს არის მათი ძირითადი შეცდომა.

ვიმეორებ, დიდი ფულის მოგება რკინიგზების გაყვანაზე შეიძლებოდა მანამ, სანამ სამინისტროს კანცელარიები და სახელმწიფო ინჟინრები, რომელთაც მხოლოდ ხიდებისა და გზატკეცილების მშე-

ნებლობა იცოდნენ და ვერ ერკვეოდნენ რკინიგზის მშენებლობის წვრილმანებში. ის დრო წავიდა.მიუხედავად მშენებელთა ყოველგვარი ხრიკებისა და მთელი მათი მცდუნებლობისა, კონტროლი სულ უფრო და უფრო მკაცრი და ქმედითი ხდება. და კიდევ, მიუხედავად ზედამხედველთა თანაგრძნობისა, სულ უფრო ჭირდა დიდი ფულის „დაზოგვა". აი, რატომ მოხდა, რომ ბატონებმა ბუნგემ და პალაშკოვსკიმ, რომელთაც ჩვენს რკინიგზაზე მოღვაწეობის განმავლობაში მიიღეს 70 მილიონ მანეთზე მეტი,, მიუხედავად ყველა მათი ცდისა, ვერ შესძლეს თავისთვის ამ თანხის 2-3 პროცენტის „გამომუშავებაც" კი. ისინი გახდნენ არასაკმარისად გააზრებული და ზერელე გაანგარიშების მსხვერპლი. „რას ბრძანებთ, ფიქრობდნენ ისინი, ექსპლოატაციის რომელი მოწესრიგება, აქციების ფასის რომელი ზრდა მოგვცემს ჩვენ იმდენ მოგებას, „მშენებლობაზე მოგებას" რომ შეესაბამებოდეს? სახელმწიფო სამუშაოებზე უკანასკნელ მოიჯარადრე გლეხს შეუძლია, უკიდურეს შემთხვევაში, იჯარის თანხის 10%-ის მოგება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ 60-70 მილიონი მანეთის სამუშაოებზე შეიძლება მოიგო 6-7 მილიონი მანეთი. აქციებით კი დიდი-დიდი მოიგო 2-3 მილიონი მანეთი.

თითქოს და გაანგარიშება სწორია, განა ასე არ არის? მაგრამ სწორედ ამგვარმა გაანგარიშებამ გაუთხარა სამარე ჩვენი რკინიგზის მფლობელებს. მათ ხელში იყო თითქმის ყველა აქცია, ნელ-ნელა მათ ისინი ხელიდან გაუშვეს, თვითონ კი დაიტოვეს მათი მხოლოდ ის რაოდენობა, რამდენიც საჭიროდ მიაჩნდათ სამუშაოების მისაღებად და სანარმოებლად, ანუ მმართველობის წევრების ასარჩევად. და რადგან ადამიანები დაადგნენ მრუდე გზას და კანონებისათვის გვერდის ავლა დაიწყეს, ბუნებრივია, რომ ისინი შემთხვევითობის სათამაშო გახდნენ.

საქმიანი ადამიანები ამბობენ, ბატონები ბუნგე და პალაშკოვსკი ცუდი ადმინისტრატორები იყვნენ. ერთი მითხარით ვინ, რომელი გენიოსი იქნებოდა მათ მდგომარეობაში ხეირიანი ადმინისტრატორი? კარგი, გონიერი, მტკიცე ადმინისტრაცია შეიძლება იყოს იქ, სადაც საქმე სწორადაა დაყენებული, სადაც საქმის მეთაურები დგანან პატიოსან გზაზე, როცა მათ არ სჭირდებათ არავითარი კომპრომისები და კანონებისათვის გვერდის ავლა, როცა ისინი საზოგადოებრივი აზრის მოკავშირეები და მისი მხარდაჭერით ზურგგამაგრებულნი არიან. მაგრამ იმგვარი ადმინისტრაციის მეთაურებს, ფოკუსებითა და კანონების გვერდის ავლით რომ უნდათ ლელოს გატანა, აღარც აქვთ მორალური უფლება იდგნენ თავის დონეზე და ამის შედეგად აღარც

მატერიალური ძალა გააჩნიათ. ისინი თავიანთი ხელქვეითების სათამაშო ხდებიან, ამდიდრებენ არა თავიანთ თავს, არამედ თავიანთ „კუდს", იმათ, რომელთაც სურთ თავკაცებისაგან ამღვრეულ წყალში თევზი დაიჭირონ. აი, როტომ მოხდა, რომ ბატონები ბუნგე და პალაშკოვსკი, რომელთაც ყველა საწინდარი ჰქონდათ ყოფილიყვნენ სწორად დაყენებული საქმის შესანიშნავი ადმინისტრატორები და ამიერკავკასიის რკინიგზის გაყვანის საქმეში უდაოდ პატიოსან ადამიანებად შევიდოდნენ, დროის საერთო სულისკვეთების მსხვერპლნი გახდნენ სწორედ მაშინ, როცა მათი გონება და ხასიათი ყალიბდებოდა. როგორც სამოციანი წლების ადამიანებმა, ოდესღაც რომ კეთილშობილური მისწრაფებებით იყვნენ გატაცებულნი, მათ შეინარჩუნეს პატიოსნებისა და სინდისის ისეთი დოზა, რაც მათ ხელს უშლიდა გაჭირვებული და გამოუვალი მდგომარეობის ჟამს დაშვებულიყვნენ ჩვენი „საქმოსნების" საერთო დონემდე და „თავი აეწყვიტათ". აი, რამ გამოიწვია ის, რომ ისინი ასე ანებებენ საქმეს თავს, თითქმის მათხოვრები არიან, ამავე დროს მათი თანამშრომლები საკმაოდ მოზრდილ თანხას წაიღებენ თან...

სამწუხაროდ, არავითარ გარჯასა და მცდელობას არ შეეძლო შეეცვალა იმ საქმის ხასიათი, თავიდანვე რომ ყალბად იყო დაყენებული. ზედმეტი აღმოჩნდა ყველა გაფრთხილება და ცხოვრების გაკვეთილები, ყველა რჩევა და თხოვნა. ძირითადი შეცდომა ამ საქმეს ბოლომდე გაჰყვა. ამით დამთავრდა მათი სიმღერა. „მშენებლობაზე მოგების" უკანასკნელ მოჰიკანებს ახლა ეძლევათ საშუალება, სამსახურიდან განთავისუფლების შემდეგ, თავისუფლად ღვარონ ცრემლი თავიანთი ძლიერების ნანგრევებზე იმ შეცდომების გამო, რომელთაც ხელი შეუშალეს ჩაწვდომოდნენ იმ „ოქროს საბადოს" ხასიათს და მნიშვნელობას, თოთხმეტი წლის მანძილზე რომ უთავბოლოდ ფლობდნენ და ახლა იძულებულნი არიან სამუდამოდ გაუშვან ხელიდან. მათ გაუღიმა იმ ბედმა, რომლის დასაჭერადაც ამაოდ დარბოდნენ მოკვდავთა შორის საუკეთესონი: მათ შეეძლოთ გამხდარიყვნენ იმ ქვეყნის განმანათლებლები, ბრწყინვალე მომავალი რომ აქვთ. მათ შეეძლოთ ამ ქვეყნის ისტორიაში ჩაეწერათ თავიანთი სახელები იმ ადამიანთა გვერდით, ვინც მას უდიდესი სიკეთე მოუტანა და ამ ქვეყანაში მოეპოვებინათ დიდი მორალური და ეკონომიკური მდგომარეობა. მათ ვერ შეძლეს ამ ბედნიერებით სარგებლობა. როგორ არ უნდა მოიგონო აქ იმ „ხოხოლის", ბატონი პალაშკოვსკის თანამემამულის ამბავი, რომელიც ოცნებობდა რა უმაღლეს ხელისუფლებაზე, ამბობდა: „მოვიპარავდი ას მანეთს და გავიქცეოდი"...

აქედან მორალი, მაგრამ ამის შესახებ შემდეგ მოგახსენებთ.

92. საუქმო საკითხავი

ბოლო დროს საზოგადოებასა და გაზეთებში კვლავ დაიწყეს ლაპარაკი პრესაზე, მის მნიშვნელობაზე, მის განვითარებაზე, იმ სარგებლიანობაზეც კი, მას რომ მოაქვს. მერედა განა შორსაა ის დრო, როცა ყველას გასაგონად აცხადებდნენ, როგორც უდაო დოგმატს, რომ ჩვენ არაფერში არ გვჭირდება პრესა, რომ ყველა მის მიერ „წამოჭრილი" საკითხი უსაქმური მჯღაბნელების გამოგონილია?

ჩვენი მამები, პაპები და პაპის პაპები ათასი წელი ცხოვრობდნენ ყოველგვარი პრესის, ყოველგვარი „კითხვების" გარეშე და ჩვენზე უარესად არ ცხოვრობდნენ, მათ არაფერი არ „აღელვებდათ". ამიტომ დავკმაყოფილდეთ ჩვენც მათ მსგავსად „რუსკი ინვალიდით" და „მოსკოვსკიე ვედომოსტით", რის შემდეგაც ჩვენში ძველებურად დამყარდება სიმშვიდე და კეთილდღეობა.

და დავიწყეთ პრესის ძაგება, ამოვგანგლეთ იგი ტალახში. საზოგადოებამ, რომელიც ერთ დროს მოწინებით უსმენდა პრესას, ზურგი აქცია მას. გაქრნენ ან ხმა ჩაიწყვიტეს მისმა საუკეთესო წარმომადგენლებმა, რომელთაც იგი აიყვანეს თანამედროვე პრესისათვის მიუწვდომელი ზნეობრივი ავტორიტეტის სიმაღლემდე. მათი ადგილი დაიკავა ვაჭრუკანა ბრბომ, რომელიც უსირცხვილოდ გაქანდა საზოგადოებრივი უმეცრების „საექსპლოტაციოდ" და ჟურნალისტობა გადაიქცა ხელობად, ფულის მოხვეჭისა და რწმენით ვაჭრობის ასპარეზად, მერყევი ხელის მომწერის გამომჭერად. მწერლის სულში დანთებული წმინდა ცეცხლი, ემსახუროს ქვეყნის უმაღლეს და საერთო ინტერესებს, ნიშნავდა „დროის სულისკვეთების წინააღმდეგ" წასვლას. ამიტომ ამგვარ მოთხოვნილებას არც აყენებდა არავინ: ჩვენ არავითარი ცეცხლი არ გვჭირდება, ამგვარი სამსახურისადმი რწმენა დავკარგეთ. ამიტომ წარმოიშვა პრესის მოღვაწეთა „ახალი", „თანამედროვე ტიპის" მთელი კლასი.

მათ სიყმაწვილეშიც კი არ ღრღნიდა, არ აწვალებდა დაუძლეველი მოთხოვნილება გაეზიარებინათ საზოგადოებისათვის თავიანთი ფიქრები, გრძნობები, აღტაცება და აღშფოთება თანამედროვე ცხოვრების მოვლენათა შესახებ. მათთვის სულ ერთი იყო, რა ხდებოდა ქვეყანაზე, არ აინტერესებდათ ცხოვრებაში სიკეთე იმარჯვებს თუ ბოროტება, მათ შეეძლოთ „ეწერათ" ყველა დროზე, რაზეც გინდათ და რაც გინდათ, რადგან წერა მათთვის მექანიკური პროცესი იყო, რაშიც არა-

მათ შეეძლოთ დუმილით აეარათ გვერდი იმისათვის, რაც მათ წინ ხდებოდა, რა საინტერესოც არ უნდა ყოფილიყო ეს მათთვისაც და საზოგადოებისათვისაც და ამავე დროს დაუსრულებლად ეწერათ წერილები ისეთ ამბებზე, თვით მათთვისაც რომ არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა. საყოველთაო ეპიდემიების, ცრემლის ღვრისა და კბილთა ღრჭენის დროს, როცა სამგლოვიარო მოტივებით იყო გაჟღენთილი მთელი ატმოსფერო, ისინი მზად იყვნენ ემღერათ კანკანის კუპლეტები და თავი მოეჩვენებინათ მხიარულ მოქეიფეებად, რომლებიც დაეჭვებულნიც კი არ არიან ირგვლივ მოჯარული ბოროტების არსებობაში.

ეს ახალი ტიპის „მწერლები" სრულიად დაუბრკოლებლად მოქმედებდნენ და მოქმედებენ ჩვენს პრესაში, ქედს უხრიან ყველა „აღზევებულს", თუნდაც იგი უმდაბლესი გეშეფმახერი იყოს, რომელიც დღეს თუ არა ხვალ ბრალდებულის სკამზე აღმოჩნდება. მათი დახმარებით დიდად გამრავლდა „ქველმოქმედი" ფინანსისტები, მშენებლები, გენიოსები, რომელთაც ამგვარი „მწერლები" ხოტბას ასხამენ: ალბათ გახსოვთ, აგარაკზეც კი არ შეეძლო გამგზავრება უკანასკნელ ინჟინერს ისე, რომ მოშინაურებული პრესის მეხმტყორცნელებს მონური ბიულეტენები არ შეეთხზათ: ვის არ ესმის, მაგალითად, ამგვარი რელაციის შინაარსი: „რკინიგზის ამა და ამ განყოფილების მმართველი ინჟინერი (სახელი, მამის სახელი, გვარი) დღეს ამა და ამ რიცხვში, ამა და ამ საათსა და ამა და ამ წუთს ჩავიდა ამა და ამ ქალაქში". ყველაზე საოცარი ამ ამბავში ის არის, რომ ამგვარი ბიულეტენის შემთხზველმა, რომელიც ხალხს უმალავს, რომ ლაპარაკია „კოლეგიის რეგისტრატორ ინჟინერზე", რომლის მსგავსნი უამრავია, მშვენივრად იცოდა, რომ მის მიერ ხოტბაშესხმულ მგზავრობას არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა და რკინიგზის უკვე გამოყენებული ბილეთების საწყობის გამგე უსაქმურობისა და იმის გამო გაემგზავრა ქალაქიდან, რომ დამტკბარიყო თავის გათევზებული დულცინეას ზღვაში ცურვით... ასე იმიტომ უმღერიან პრესაში სულ სხვა ბედის ღირს რიკოვებს, ბუშებს და სხვა შემთხვევით „ძლიერ ადამიანებს", რომ ისინი მათ ასმევ-აჭმევენ და იკედლებენ:

საკითხავია, საიდან მოვიდნენ პრესაში „ახალი ტიპის" ამგვარი მოღვაწენი? ჩვეულებრივ ამ კითხვაზე ასეთ პასუხს იძლევიან: „ქუჩიდან"! მაგრამ ეს არაა მართალი. როგორც მიღებულია, „ქუჩიდან" მოსულში

გულისხმობენ, აგრეთვე, საზოგადოების დაბალ ფენებს, მაგრამ რამდენადაც მახსოვს ამ ფენებიდან გამოდიოდნენ გამოჩენილი და უაღრესად კეთილსინდისიერი მოღვაწენი, რომლებიც არაფრით არ ჩამორჩებოდნენ ხალხის საერთო ინტერესებისათვის ზრუნვაში საზოგადოების მაღალი ფენების წარმომადგენლებს. კოლცოვიც ხომ ქუჩიდან შევიდა რუსულ ლიტერატურაში ისევე, როგორც პომიალოვსკი. მაგრამ ორივე მწერალმა ლიტერატურაში არანაკლები კვალი დატოვა, ვიდრე იმ არისტოკრატებმა, რომლებიც მას ღირსეულად ემსახურებოდნენ. ამ თვალსაზრისით თანამედროვე „ახალი ტიპის" მწერლები ქუჩიდან კი არ მოვიდნენ, ო, არა. მათი უმეტესობა არის „ხელმოცარული", ასაკში შესული ადამიანები, რომლებიც მათი უწინდელი საქმიანობის ამა თუ იმ დარგში ჩაიჭრნენ და თითქმის ცხოვრების მიწურულს, თითქმის სამარის პირას მისულებმა იგრძნეს მწერლური ქავილი, ანდა თვალთმაქცობენ, რომ ასეთი რამ იგრძნეს.

ამიტომ განა გასაკვირია, რომ ახალ სფეროში, რომელსაც ადრე არ იცნობდნენ, შემოაქვთ თავიანთი წინანდელი საქმიანობის ზნე-ჩვეულებები. ადრე ისინი მხოლოდ პირადი გამორჩენისათვის მსახურობდნენ, მოიჯარადრეობდნენ, მოხსენებებს წერდნენ, ორატორობდნენ. ახლა კი, როცა პრესასაც ისე უდგებიან, როგორც ხელობას, შეუძლიათ კი მათ ემსახურონ სხვა ღმერთებს, თუ არა ისევ იმათ, რომელთა წინაშეც მთელი სიცოცხლე იყრიდნენ მუხლს?

საბედნიეროდ, მიუხედავად გაზეთების უმრავლესობაში ამგვარი ახალი ტიპის მწერლების სიჭარბისა, მათ ვერაფრით ვერ შესძლეს გაერყვნათ პრესის საერთო სული და მიმართულება. ესაა მთავარი შთაბეჭდილება, რასაც გამოიტანს ყოველი მიუკერძოებელი დამკვიდრებელი ხალხისა და თანამედროვე პრესის ურთიერთობიდან. მე მგონია ეს ნიშანი, რაც ჯერ არავის არა აქვს შეგნებული, მწერლების უაღრესად დიდ ყურადღებას უნდა იქცევდეს. თითქოსდა, უწინდელი ტიპის მწერლების დამცირებულ მდგომარეობას იმასთან დაკავშირებით, რომ ახალი ტიპის „მწერლებს" ყველაზე ხელსაყრელი პირობები და უპირატესობა აქვთ და დაუბრკოლებლად მოქმედებენ, საბოლოოდ უნდა შეეცვალა ჩვენი პერიოდული პრესის ხასიათი. მაგრამ მიუხედავად ოფიციალური განცხადებებისა, ცირკის პატრონების ძღვენისა, იმ მყრალი ადგილებისა, მათ რომ ბანკები და რკინიგზები უთმობენ, ყოფილ „ეგზეკუტორებს და მოიჯარადრეებს", ანუ თანამედროვე ჟურნალისტებს მაინც არ შეეძლოთ და ვერც შეძლებენ მტკიცე სა-

ფუძველი შეუქმნან თავიანთ გაზეთებს არა მარტო ზნეობრივი, არამედ მატერიალური თვალსაზრისითაც. ხელის მომწერები ისე უსხლტებათ ხელიდან, როგორც მარტის თოვლი. მათი ნაწერები არავის არ აინტერესებს, ცნობებს არავინ იჯერებს და მათ გაზეთებს ვალდებული ხელის მომწერნიც კი ტოვებენ უმწიკვლოდ, ისევ ბანდეროლში გახვეულთ...

საერთოდ, სწორია ყველაფერი, რასაც სატახტო ქალაქის გაზეთები წერენ პროვინციული პრესის განუხრელ და სასწაულებრივ ზრდაზე, საზოგადოების ახალ ფენებზე მისი ზეგავლენისა და ზემოქმედების სფეროების სულ უფრო მეტად და მეტად გაფართოებაზე. პროვინციულ გაზეთებს ყოველდღიურად შეაქვს სინათლე იმ ჯურღმულებში, სადაც ადრე საერთოდ არ აღწევდა საზოგადოებრივი აზრი.

მაგრამ განა საინტერესო არ არის, გარდა ამ ცხადი და ყველასათვის თვალში საცემი ფაქტისა, ყურადღება მივაქციოთ საქმის შინაგან, ყველაზე მნიშვნელოვან მხარეს? ყურადღება მიაქციეთ პროვინციული გაზეთების არა მხოლოდ გამრავლებისა და მათი რიცხვის ზრდის ფაქტს, არამედ მათი შინაარსისა და მიმართულების თანდათანობით სახეცვლილებასა და გაუმჯობესებას. რას წარმოადგენდნენ პროვინციული გაზეთები ამ ოცდახუთი წლის წინათ? მათი „მიმართულებების" საერთო მოტივი შეიძლება ამოიწუროს ორი ფრაზით: „ადგილობრივი ქალაქის უფროსის განკარგულების წყალობით ხანძარი დროულად ჩააქრეს". ეს ერთი, მეორეც: „მისი აღმატებულების გულმოდგინე ქველმოქმედებამ ცრემლი მოხოცა ყველა ქვრივსა და ობოლს და მის მიერ მოწყობილმა მოყვარულთა სპექტაკლმა გამოავლინა გუბერნატორის ძმისშვილის ბრწყინვალე ტალანტი, რაც რაშელისა და რისტოლის მეტოქეობის ღირსია". ამგვარი ლიტერატურის მსურველები, ადამიანები, რომლებიც მზად არიან დაწერონ ყველაფერი, რაც გნებავთ მხოლოდ მისი აღმატებულების ერთი მოწყალე გამოხედვისათვის, ახლა უფრო მეტია, ვიდრე უწინ იყო. მაგრამ ახლა ამგვარ დითირამბებს აღარავინ აღარ კითხულობს. ახლა ის ადამიანებიც კი, რომელთაც პროვინციული გაზეთები მხოლოდ გამდიდრებისა და ექსპლოატაციისათვის დააარსეს, ყოველდღიურად სულ უფრო მეტად და მეტად რწმუნდებიან, რომ ისინი, მიუხედავად საკუთარი ჯიბის გასქელებაზე ზრუნვისა, სხვა გზას უნდა დაადგნენ. მეხოტბენი და მეხოტბეობა სულ უფრო და უფრო სწრაფად ქრებიან პროვინციულ ლიტერატურაში. ყოველ შემთხვევაში, მეხოტბეებს ახლა ვერ შეხვდებით „საკუთარ" ორგანოში. ის ვაჭარიც კი, რომელიც ხელისმომწერთა გაზ-

რდაზე, ანდა საცალო ვაჭრობის გაფართოებაზე ზრუნავს, საჭიროდ თვლის უჩუმრად აკმიოს საკმეველი. ხოტბის შესხმა და ისიც სამარცხვინოდ ახლა ისმის მხოლოდ არენდით აღებულ გაზეთებში და ისიც არენდის ბოლოს, როცა გაზეთის რეპუტაციაზე აღარ ზრუნავს...

რა თქმა უნდა, მე შორსა ვარ იმ აზრისაგან, რომ ვამტკიცო, თითქოს მთელ პროვინციულ პრესას შესანიშნავად უჭირავს თავი და წმინდა ლიტერატურული მიმართულება აქვს.

ჩვენ ჯერ ძალიან შორსა ვართ ამ იდეალისაგან, მაგრამ ცოდვას ჩავიდენ, რომ არ დავინახო ის მორალური წარმატებები, რასაც ამ თვალსაზრისით თითქმის ყველგან მიაღწია პროვინციულმა პრესამ. დანარჩენი „გაუმჯობესება" თავისთავად, დროთა განმავლობაში მოვა. ხოლო იმის ახსნა, როგორ მიაღწია პროვინციულმა ლიტერატურამ ასე მოკლე დროში ასეთ უდაო წარმატებას, არა იმდენად მის მსახურთა კეთილსინდისიერებაშია, რამდენადაც მკითხველი საზოგადოების მასთან სიახლოვეში.ეს სიახლოვე, მკითხველის ეს განუწყვეტელი ზედამხედველობა მწერალზე, ყველაზე კარგი საშუალებაა ჩვენი მწერლების მოსანესრიგებლად. პროვინციაში, ხალხის თვალწინ მაღალფარდოვანი ფრაზებით შორს ვერ წახვალ. აქ ყველა მკითხველს შეუძლია გაზეთის ყოველ სტრიქონს კონკრეტული მნიშვნელობა მიანიჭოს. გაზეთში პროვინციელი მკითხველი თვალსაჩინოდ ხედავს მწერლის არა მარტო მიზანს, არამედ იმ რეალურ სარგებლიანობასაც, რაც მას მოაქვს.

მკითხველი თვალნათლივ ხედავს და შესანიშნავად გრძნობს საით ისწრაფვის გაზეთი. და თუ გაზეთი ისწრაფვის ყველასათვის საწინააღმდეგო მიზნისაკენ, ანდა არსაით არ ისწრაფვის, გარდა იმისა, რომ უსაქმურთა ქეიფს მოემსახუროს, მაშინ მკითხველი მას ზურგს აქცევს, რითაც იძულებულს გახდის გაზეთს შეიგნოს, რომ მისი საკუთარი ინტერესები მოითხოვს, უპირატესობა მიანიჭოს მკაცრ სიმართლეს და არა „ტკბილ ბგერებსა და ლოცვებს", რითაც, საბედნიეროდ, ახლა არავინ არაა გატაცებული.

93. საუძმო საკითხავი

„...მე ვცხოვრობ მხოლოდ წარსულში და თანამედროვეობის უმნიშვნელო მოვლენებზე გულცივი, ნაღვლიანი ნუგეშით ვისაუბრებ დიდებულ აჩრდილებთან, მათი უკვდავი ქმნილებების კითხვისას, სადაც თითოეული ასო ჩემთვის დიდი ხანია ნაცნობია“... ასე წერდა ბელინსკი გოგოლს 1842 წელს (იხ. „რუსკაია სტარინა“, 1889 №1, გვ. 145).

ჩვენს დროებაში, რომელიც ძლიერ ბევრ რამეში ჰგავს იმ ეპოქას, როცა მგრძნობიარე კრიტიკოსის სულიდან გადმოიღვარა ამგვარი სტრიქონები, არა მხოლოდ მწერლები, არამედ მკითხველი საზოგადოების უდიდესი უმეტესობა გრძნობს გადაულახავ მოთხოვნილებას „ისაუბროს დიდებულ აჩრდილებთან“. ეს სხვა არა არის რა, თუ არა სამყაროს მიზიდულობის კანონის გამოვლინება ზნეობრივ ურთიერთობათა სამყაროში: როცა არ იცი რას მიეტანო თანამედროვეობაში, ძალაუნებურად წარსული სიდიადისაკენ მიისწრაფვი. ამის შედეგია მიმდინარე ლიტერატურაში არაჩვეულებრივი სიმრავლე ძველი კარგად დავიწყებული ავტორების (მარლინსკის, პოლეჟაევის, ზაგოსკინის, ბეგიჩევისა და მისთანათა) „თხზულებათა კრებულებისა“ და ყოველგვარი „მოგონებების“, „ჩანაწერებისა“ და „მიმოწერებისა“, რომელნიც დაუოკებელი სიხარბით ინთქმება ჩვენი დროის მკითხველების მიერ. „დიად აჩრდილებთან საუბრის“ ასეთმა წარმატებამ თანამედროვე გამოცემებს საარქივო ხასიათი მისცა უმთავრესად,—რაც მართალია, მათ წარსული სიდიადის სუნი უდის,—თანამედროვეობის წვრილმანი მოვლენებით „დაღლილი“ სულის განმამტკიცებელი და განმაახლებელი სიდიადისა, მაგრამ, ამასთან ერთად, ხშირად არქივის მტვერიც ადევს, ობის შემხუთველი და გახრწნის სუნი. ქვეყანაზე არ არსებობს სრულქმნილობა. ეს „ნუგეშია“, მაგრამ „ნაღვლიანი“ და მეტის მეტად ნაღვლიანიც.

მიმდინარე ლიტერატურაში „დიად აჩრდილებთან საუბრების“ ბატონობამ და ბატონობამ ის საუბრებისა, რომელნიც „ყოველთვის არ არიან უშუალონი, ამას წინათ საბოლოოდ აღაშფოთა სული ჩვენი სახელოვანი მწერლის ი.ა. გონჩაროვისა, რომელიც სიცოცხლეშივე სრულიად თამამად შეიძლება უკვე მივაკუთვნოთ რუსული ლიტერატურის „დიად აჩრდილთა“ დასს. მან პროტესტი გამოთქვა გარდაცვლილ მწერალთა სულში დაუდევრად პოტინის წინააღმდეგ, მათი არაფრის მთქმელი უსტრების უტერმინოდ ბეჭდვის წინააღმდეგ. ამ თავისი პროტესტით მან გაიმეორა პოეტ ნეკრასოვის ყბადაღებული აკრძალვითი განცხადება, ფორმალურად ყადაღისდამდები მისი ლექ-

სების შავების გადაბეჭდვისა. ეჭვი არაა, რომ ნეკრასოვის აკრძალვის მსგავსად, ი.ა გონჩაროვის სულის ღაღადისი დარჩება ხმად მღაღადებლისად უდაბნოსა შინა. იგი მომავალში არავის შეუშლის ხელს აავსონ მეოცე საუკუნის „პატივცემული" „ისტორიული ჟურნალების" კაბადონები იმის შესახებ ამბებით, თუ ოცდაათიან წლებში როგორ საუზმობდა გონჩაროვი ჩებოქსარის საფოსტო სადგურში, ამასთან აუცილებელი პოლემიკით შემდეგ თემაზე: რა დააყოლა არანაკლებ აუცილებელ „გუფთას"—მჟავე წვნიანი თუ ბურახი? ი.ა. გონჩაროვის წერილი ვაი, რომ არ მოახდენს, მას ძალა არ შესწევს მოახდინოს რეაქცია საარქივო ლიტერატურის ეპიდემიური გავრცელების წინააღმდეგ.

მე კარგად მესმის, რომ ეს „მიმართულება" აუცილებლად ინვევს ზედმეტობასა და ღვლარჭნილობას, რომელთაც სულ მცირეაზრიანი განმარტებაც არა აქვთ. წარსულის დიდ ან მხოლოდ უბრალოდ გამოჩენილ მოღვაწეთა ცხოვრება შთამომავლობის ყურადღებას იპყრობს მხოლოდ იმ ნიშნებით, რომელნიც მათ შრომასა და შემოქმედებას ახასიათებს. ამ მოღვაწეთა სიდიადე და ინტერესი მდგომარეობს მხოლოდ იმაში, რომ მათ თავისი თანამედროვეებისა და შთამომავლობის შეგნებაში თუ ცხოვრებაში შეიტანეს ახალი რამ. საყურადღებოა და ჭკუის სასწავლებელი სწორედ მხოლოდ ამ „ახლის" გენეზისი, შემდეგ განვითარებასთან და იმ ბრძოლასთან დაკავშირებით, რომელიც ჩატარებულია მისი გამომჟღავნებისა და განხორციელების გულისათვის.

აი, არსებითად, ყველაფერი ის, რაც საჭიროა და სასარგებლო, გამოიკვლიოს მკითხველმა საზოგადოებამ,—აი, ყველაფერი, რაც აინტერესებს თითოეულ მოაზროვნე ადამიანს წინამავალ თაობათა გამოჩენილ პიროვნებათა ცხოვრებაში. ამის საფუძველზე, მკითხველი საზოგადოების შეგნებაში ნამდვილ კვალს ტოვებენ მხოლოდ ისეთი მოგონებები და საარქივო დოკუმენტები, რომელნიც შუქს ფენენ საქმის ამ მხარეს, მაგრამ, რადგანაც გადაჭრით შეუძლებელია მოთხოვნა, რომ ყველას, გამონაკლისის გარეშე, ამა თუ იმ მოღვაწის ცხოვრებისა და მოღვაწეობის მოწმეებს ჰქონდათ ნათელი წარმოდგენა მის მნიშვნელობასა და ხასიათზე, იმაზეც კი—რა არის მნიშვნელოვანი და რა არა, მაშინ ბუნებრივია, ამ „მოწმეთა" უმრავლესობა განურჩევლად ბეჭდავს მარგალიტსაც და ნაგავსაც, არსებითსაც და წვრილმანსაც, იმის გამო, რომ არ შეუძლია დაახარისხოს თავისი საბუთები და მოგონებები, დიდი უბედურებაა? არა მგონია. სულ ერთია, ადრე თუ გვიან, დრო და ისტორია თავისას იზამენ მაინც. პერსპექტივის კანო-

ნები, ისე როგორც სხვა ყველა ბუნებრივი კანონი, არსებობს მხოლოდ ფიზიკური სამყაროსათვის. როცა ცნობილი ეპოქის ადამიანები და ამბები საკმარისი მანძილით გადაიწევენ, შთამომავლობის რედეფად მათი ბუნებრივი ზრდის პროპორციულად, მხოლოდ ნამდვილი ბუმბერაზნი დარჩებიან სახილველად. უმნიშვნელო წვრილმანები და ჭორები მხედველობისათვის შეუმჩნეველნი ხდებიან, როგორც მაგალითად: როცა უცქერი შორიდან იალბუზს, საიდანაც კი შესაძლებელია თვალმა მოიცვას იგი მთლიანად, მასზე ვერ შეამჩნევ ვერც ფოსოს, ვერც წვრილბუჩქოვან ტყეს, ვერც ნაპრალს, ხედავ მხოლოდ სიდიადეს, რომელიც გაკვირვებს სინათლისა და თოვლის სიუხვით, რომელთა ერთიანობა ჰკვებავს და ასიცოცხლებს თვალგადაუწვდენელ მინდვრებს...

ვიმეორებ, მაშ რაღა უბედურება იქნება, თუ საარქივო დოკუმენტებისა და მოგონებათა გამომცელებს ყოველთვის არა აქვთ უნარი ერთმანეთისაგან გაარჩიონ არსებითი და არა არსებითი, „ახალი“ და გაცვეთილი. თანამედროვეებს რომ შეეძლოთ უშეცდომოდ განსაზღვრონ, თუ რა შეჰქონდა ამ მოღვაწეს ცხოვრებაში ახალი, მაშინ, ვკითხულობ, რაღაში იქნებოდა ამ მოღვაწის სიდიადე? ისინი ამ მოღვაწის ტოლნი იქნებოდნენ და მის ცხოვრებას ჩვენთვის, შთამომავლობისათვის, არ ექნებოდა უკვე მნიშვნელოვანი, განსაკუთრებული ინტერესი. ჩვენ, შთამომავლებმა, კარგად ვიცით, რომ ყველა ისტორიული მოღვაწე, უწინარეს ყოვლისა, იყვნენ ადამიანები და ამის გამო ისინი, საერთოდ, ცხოვრობდნენ როგორც ადამიანები, ე.ი. ეძინათ, ჭამდნენ, სვამდნენ, პირს იბანდნენ, ატარებდნენ ზედა და ქვედა საცვლებს და ა.შ. ყველაფერი, რაც მათ ცხოვრებაში ნორმალური ადამიანის ნორმალურ ცხოვრებას ჰგავდა, ჩვენ ამიტომაც სრულიად არ გვაინტერესებს: ყველაფერი ერთხელ და სამუდამოდ, საერთოდ ყველასთვის—დიდებისათვის და ჩვეულებრივთათვისაც, ცნობილია, ერთნაირია ადამიანის ფიზიოლოგია და ფსიქოლოგია. ამის შედეგად, დიდი ადამიანების ცხოვრებაში ჩვენ შეიძლება დაგვაინტერესოს მხოლოდ და მხოლოდ ნორმიდან იმ გადახრებმა, რომელნიც ქმნიდნენ, განასხვავებდნენ, ახასიათებდნენ და აძლიერებდნენ თუ ამცირებდნენ მათ მნიშვნელობასა და როლს თანამედროვეთა შორის. სხვაგვარად რომ ვთქვათ, აქ საინტერესოა მხოლოდ საქმის პათოლოგიური მხარე და მხოლოდ ეს ერთადერთი მხარე გაუძლებს საარქივო საბუთებისა და მოგონებების იმ გროვას, რომელნიც წარსულ ეპოქათა მოღვაწეების შესახებ იბეჭდება. მართალია, ამ მოღვაწეთა შესახებ თანამედროვეთა

ჩანაწერებში, საკუთრად მათ მოგონებებში ჩვეულებრივ, ან უმეტეს შემთხვევაში, ჭარბობს—არა მხოლოდ ჩვენში, არამედ ყველა ლიტერატურაში,—ერთი საყურადღებო ნიშანი: თითოეული ცდილობს მოიყვანოს მილიონი ფაქტი იმის დასამტკიცებლად, რომ „დიდი ადამიანი“ ყველაფერში და ყოველთვის ისეთივე უბრალო, ჩვეულებრივი მომაკვდავი იყო, როგორც ყველა დანარჩენი. თანამედროვე მომგონებელნი უმეტესად პირდაპირ ან არაპირდაპირ საგონებელში არიან ჩავარდნილი თუ, როგორაა, რომ კაცი, რომელიც ჭამდა, სვამდა, ეძინა, ავადმყოფობდა, მათ მსგავსად, ახალ თაობათა მიერ მიჩნეული იყო „დიდად“. ეს იგივეა, რომ იალბუზის ფერდობზე იდგე და სრულებით ვერ ხედავდე, ან ვერ გრძნობდე მის ნამდვილ სიმაღლეს. სწორედ ამ საფუძველზე გამოთქვა ნაპოლეონ დიდმა თავისი ცნობილი აზრი, რომ შეუძლებელია დიდი ადამიანის სახელი დაიმსახურო ჩვენი მსახურის თვალში ("il n'y a pas de grand hoome pour son valet de chambre).

არასოდეს არ დავივიწყებ ჩემი ახალგაზრდობის ერთ-ერთ მკვეთრ განცდას, რაც იდეათა ამ კატეგორიას მიეკუთვნება.

სამოციანი წლების ერთ ჩვენ ცნობილ ბელეტრისტთან საუბარში მე მინდოდა მისგან მომესმინა რაიმე დამახასიათებელი განსვენებული დობროლუბოვის ცხოვრებიდან, მაგრამ, ერთადერთი, რაც გამოვწურე ჩემი თანამოსაუბრისაგან, იყო ცნობა, რომ სახელგანთქმული კრიტიკოსი შარმერთან იკერავდა ტანსაცმელს და ისე ეჭირა თავი, „თითქოს არშინი გადაუყლაპავსო“.

მაშ, დეე, ი.ა. გონჩაროვი ნუ მოიშხამავს სიცოცხლეს განდიდებული წარმოდგენით ყველა ჭორისა და წვრილმანის შესახებ, რომელნიც წალეკავენ ჩვენს ლიტერატურას მისი გარდაცვალების შემდეგ. ისინი ვერ დაჩრდილავენ „ობლომოვის“ შემოქმედის დიდებას, რადგან, რაც არ უნდა დაბეჭდონ მისმა თანამედროვეებმა მასზე, შთამომავლობა ყურადღებას მიაქცევს მარტო მას, რაც ნათელს მიაყენებს მხცოვანი ბელეტრისტის შემოქმედებისა და მოღვაწეობის პირობებს. მესმის, რომ მას გულს ურევს დიადი არჩდილის ყველა ამ მოჩვენებითი ცხოვრების მოწმე ქალებისა და კაცების შეხედვა,—მოწმეებისა, რომელნიც თამამად ეცნობიან საზოგადოებას, არავისათვის საჭირო თავის „განცდებსა“ და „მოგონებებს“. განსაკუთრებით უკანასკნელ თვეებში ასეთი ნაწარმოებით ავსილია თითქმის ყველა ჩვენი ისტორიული ჟურნალი, წარსულის მოღვაწეთა ძვლები ისე წმინდადაა გადარეცხილი, როგორც ვერ გარეცხავდა მათ ორმოცი ათასი ერთად აღებული ჭორიკანა. ნახეთ, რომ ამ მოგონებათა ავტორებმა თავის სიმპათიურ მოღ-

ვანეებზე, თვით ნათესავებსა და ქმრებზედაც კი, ვერ მოახერხეს მოეყვანათ სერიოზული რამ საბუთი ამ მოღვაწეების მონებრივი მუშაობისა და ზნეობრივი ყოფის გამაშუქებელი.

ამ უკანასკნელებზე რომ უთუო ცნობები არ გვქონდეს მათივე საკუთარი ნაწერებიდან ამოკრეფილი, დამოწმებანი ან მოგონებები მათი ტოლი ჭკვიანი ადამიანებისა და იძულებული ვყოფილიყავით გვესარგებლა მხოლოდ „მათი ცხოვრების მოწმეთა“ მოგონებებით, მაშინ ხომ სრულიად ვერაფერს გავიგებდით მათ შესახებ, არაფრის მაქნისის გარდა და ვერც კი მივხვდებოდით, თუ რატომ იწერება ამ ხალხზე ამდენი მოგონებები. თითქოს მოსამსახურის, ან მზარეული ქალის ჩანაწერებს კითხულობდე „ცხოვრების მეგობარზე“, რომელნიც ყოფა-ცხოვრების ყოველდღიურ მხარეებს იცნობენ მხოლოდ და ვერ ამჩნევენ მთავარს, მოღვაწეობის ძირითად ხასიათებს...

ბოლო დროს ამ მხრივ განსაკუთრებით ბევრი მოხვდა განსვენებულ ი. ს. ტურგენევს და მე დარწმუნებული ვარ, რომ ი.ა. გონჩაროვის წერილი, ძირითადში, გამოწვეულია იმ აურაცხელი კიცხვითა და ჭორით, რითაც ამოვსებულია „მონადირის ჩანაწერების“ ავტორის ახალგათხრილი საფლავი, მკითხველმა იცის, რომ მე ტურგენევის მიმართ არა მაქვს სიმპათიის გრძნობა, რომ სრულიადაც არ ვიზიარებ საერთოდ გავრცელებულ შეხედულებებს მისი მზატვრული ნიჭის ხასიათზე, რომ მის ლიტერატურულ მოღვაწეობას მე მივაწერ გარდამავალ მნიშვნელობას და სრულიადაც არა ისეთს, როგორიც შეითვისეს გოგოლმა ან გრ. ლ.ნ. ტოლსტოიმ, ან ი.ა. გონჩაროვმა; ერთი სიტყვით, მე სრულიადაც არა ვარ ტურგენევის ენთუზიასტი და, მაინც, და მიუხედავად იმისა, რომ ვიცი როგორ კვამლივით გაიმქვრევა ყველა ეს უხამსობა, მეც კი მეჩოთირებოდა ღვარძლიანი მოგონებები, მიძღვნილი „მამებისა და შვილების“ ავტორის ხსოვნისადმი.

ეჰ, ეს „ლიტერატურის ქალბატონები“? მათ არ შეუძლიათ თვით ლიტერატურაშიც კი არ შეიტანონ თავიანთი განსაკუთრებული სული! აჰ, რა საინტერესოა ყველაფერი ეს, რომ ტურგენევი ქალიშვილებთან ცუღლუტობისას მამალივით ყიოდა და ფანჯრის რაფაზე შეხტებოდა, ან შეყვარებულად აჩვენებდა თავს! რა დამაბრმავებელ შუქს ფენს ყველა ეს ფაქტი ტურგენევის ნაწერებს, მის გავლენას ლიტერატურაზე და მისი სამშობლოს ცივილიზაციაზე! ამ მოგონებათა პატივცემულ ავტორს მართლაც ჰქონია შესაძლებლობა ასეთი შუქი მიეყენებინა თუნდაც იმ განმარტების გამოქვეყნებით, რაც მოხდა „მამებისა და შვილების“ გამოცემასთან დაკავშირებით ტურგენევსა და მოგონებათა სხვა ორ გმირს შორის. ეს განმარტებანი აღსავსენი

არიან ლიტერატურული და პოლიტიკური ინტერესით, მაგრამ ჩანს, რომ ავტორი არ ყოფილა მოწმე ამ განმტკიცებისა, ან არ დაამახსოვრდა, რადგან მათ მნიშვნელობას არ აძლევდა...

თუკი ჟანრი „მოგონებები" ასეთ შთაბეჭდილებას ახდენს ჩემზე, მაშინ საკითხავია, განა გასაოცარია, რომ ი.ა. გონჩაროვზე, რომელიც ალბათ თითოეულ დაბეჭდილ პწკარს სერიოზულ და წარუშლელ მნიშვნელობას აძლევს, ასეთი „ლიტერატურული" ნაწარმოებები პირდაპირ მომაკვდინებელ მოქმედებას ახდენს. ვაი თუ,—ფიქრობს ალბათ იგი,—ჩემი სიკვდილის შემდეგაც ასევე განუკითხავად მიჰყონ ხელი ჩემს განქიქებასო. აქედან გამომდინარეობს პროტესტი, შეშფოთებული სულის გმინვა, მუდარა—არ დაბეჭდონ მისი უმნიშვნელო ბარათები. ტყუილად შეჭირვებულა! დეე, მეოცე საუკუნის „რუსსკი არხივებმა" ბეჭდონ მისი ბარათების მთელი დასტა, მიწერილნი საწვრილმანოს პატრონთან, ან მისი მზარეული ქალების მოგონებები, —შთამომავლობა ასეთი „საბუთების" საფუძველზე კი არ შეადგენს მასზე თავის წარმოდგენას და თავის მსჯავრს. შთამომავლობამ იცის, რომ ი.ა. გონჩაროვის მოღვაწეობა მიძღვნილი იყო მის თხზულებათადმი, რომ მათში ჩასდო მან მთელი თავისი სული და, მნიშვნელობასა და მუდმივობას მიანიჭებს მის შესახებ მხოლოდ იმ ნაწერებს, რომელნიც მისი როლისა და შემოქმედების ხასიათს გააშუქებენ. ყველა დანარჩენს კი, როგორც ჩვენში აღმოსავლეთში იტყვიან—„დროის ტრიალი" წაიღებს.

94. საუძმო საკითხავი

„მოსკოვსკიე ვედომოსტიმ", მას შემდეგ კი სხვა გაზეთებმაც კვლავ ასტეხეს აურზაური ნავთსადენის გაყვანის შესახებ. ეტყობა, ნავთსადენის ეპოპეამ, რასაც ჩვენი შთამომავალნი ყოველთვის გაკვირვებით აიგდებენ აბუჩად, ისევ აუმღერია გონება მის ავტორებს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ეს იდეა ჯერ კიდევ არ დასამარებულა და ამიტომ ბატონი ილიმოვი კვლავ ებღაუჭება იმედებს და არაფრად აგდებს არც უცხოელი კაპიტალისტების უარის თქმას ამ საქმის დაფინანსებაზე და არც მშობლიური კაპიტალისტების პროტესტებს. სინამდვილეში კი საკითხი საბოლოოდაა ამოწურული. მიუხედავად ცხარე კამათისა, ახალს და საინტერესოს აღარავინ აღარაფერს ამბობს, არც ერთი და

არც მეორე მხარე. თუმცა სათქმელიც არაფერი დარჩა. ახლა უკვე არგუმენტებში კი არ არის საქმე, არამედ მოდავეთა მეტ თუ ნაკლებ გამომგონებლობაში, როგორ მოიგონონ უკეთესი „მიდგომა", გადასხვაფერება, სიყალბე...

თუ მე დღეს კვლავ ვიღებ ხმას ჩემთვის ამ უაღრესად მობეზრებულ საკითხზე, არა იმიტომ, რომ უავრყო ნავთსადენის გამყვანთა უკანასკნელი მონაჩმახი, ანდა ბატონი ილიმოვის წინააღმდეგ ახალი საბუთები წარმოვადგინო. საკითხის ამ მხარეზე ლაპარაკს არავითარი აზრი არა აქვს, მით უმეტეს, რომ მისი საფუძვლიანად გაგებისათვის—მიუკერძოებელი და კომპეტენტური მსაჯულებიც რომ გვისმენდნენ—მხოლოდ ის მასალა, რის გადმობეჭდვაც და განმეორებაც დაგვჭირდება, ტომებს შეადგენს. ვის ეხალისება თავი შეიწუხოს ზღაპრისათვის თეთრ ხბოზე? მაგრამ ნავთსადენის საქმეში არის რამდენიმე საინტერესო მხარე, რომელთაც უდიდესი საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვთ და მათზე აქამდე არ მიუქცევია არავის ყურადღება: ამ წერილში მე სწორედ მათ მინდა შევეხო გაკვრით... ისინი ტექნიკურ და სოციალურ წვრილმანებს კი არ ეხებიან, არამედ მთლიანად ჩვენი თანამედროვე საზოგადოების ცხოვრების საერთო საკითხებს.

უპირველეს ყოვლისა, უნდა გვახსოვდეს, რომ რუსეთის საზოგადოება და რუსეთის ინტელიგენცია დიდად არის დავალებული ნავთსადენისაგან. რუსეთის ცხოვრებაში ეს თითქმის პირველი მაგალითია ხალხის თვალწინ რთულ პოლიტიკურ-ეკონომიურ საკითხზე ხანგრძლივი და ცხარე კამათისა. მართალია, მანამდეც იყო რამდენიმე მორიდებული ცდა ამგვარი კამათის წამოწყებისა, მაგალითად, რკინისმდნობელი ქარხნებისა და ქვანახშირის მრეწველობის დასახმარებლად „სახელმწიფო სუბსიდიებისა და შეღავათების" მაძიებელთა მიერ. მაგრამ ნავთსადენამდე რუსეთში არასოდეს წარმოებულა ასეთი შეუპოვარი, ღია და მრავალმხრივი ბრძოლა საკითხის გადასაწყვეტად: როგორ უნდა მოქცეულიყო ამ შემთხვევაში სახელმწიფო, როგორი გადაწყვეტილება უნდა მიეღო მთავრობას? პირველი ცდების დროს ლაპარაკი იყო ხაზინისათვის იმ წარმოების რეკომენდაციის შესახებ, რომლის გამო არც არავის ცხელოდა და არც არავის ციოდა.

წარმოსთქვამდნენ სიტყვებს, თხზავდნენ მოხსენებით ბარათებს, წერდნენ საგაზეთო წერილებს, ღებულობდნენ „შუამდგომლობას" სუბსიდიების გაცემის, საბაჟო გადასახადების გაზრდის და სხვა ღონისძიებათა შესახებ, რაც არ ეხებოდა არც ვინმეს მიერ ორგანიზებულ

და არც სასიცოცხლო ინტერესებს. ამიტომ საზოგადოებაც და მკითხველებიც გულგრილად უყურებდნენ ამგვარ ცალმხრივ „კამათს", ან უფრო სწორად, შეღავათების მაძიებელთა მონოლოგებს, რადგან მათ არავინ ესროდა რეპლიკებს და პასუხსაც კი არ სცემდნენ... რუსეთის საზოგადოებრივ ცხოვრებაში მხოლოდ ნავთსადენთან დაკავშირებით მოხდა „ინტერესთა შეჯახება" ღიად და ხმამაღლა, ყველას თვალწინ. სწორედ აქედან მომდინარეობს საზოგადოების საერთო ინტერესი პრესისადმიც და თითქოსდა ამ სპეციალური საკითხისადმიც. ვიმეორებ, ეს იყო პირველი შემთხვევა თავისუფალი და ყოველმხრივი კამათისა საერთო-სახალხო პოლიტიკურ საკითხზე.

პატივცემული ვ.ი. რაგოზინი ტყუილად არ წერდა ამ ცოტა ხნის წინათ, რაც გადმობეჭდა „ნოვოე ობოზრენიემ", რომ ნავთსადენის საკითხი საცდელი ქვაა რუსეთის საზოგადოების შესაძლებლობის გამოსარკვევად, როცა სერიოზული საკითხების გადაწყვეტაა საჭირო". რა თქმა უნდა, ეს მართალია, მაგრამ ნათქვამია მეტისმეტად მკაცრად. ცხადია, ეს იყო რუსეთის საზოგადოებრივი აზრის პირველი ნაბიჯი, ძალების პირველი მოსინჯვა და სასურველია, რომ ცდა ნარმატებით დაგვირგვინდეს, მაგრამ ასეც რომ არ მოხდეს, საკითხი მცდარადაც რომ გადაიჭრას, მე ამაში არ ვხედავ განსაკუთრებულ უბედურებას და ამის გამო სასოწარკვეთილებას არ ვეძლევი. ნელნელა, ამგვარი ცდებისა და მოსინჯვის შედეგად, რუსეთის საზოგადოება, ისევე როგორც ყველა საზოგადოება, ისნავლის იმ საკითხებისადმი სწორად მიდგომას, რომელთა უნარიან გადაწყვეტაზეც დამოკიდებულია მისი კეთილდღეობა.

ჩვენს თვალში ნავთსადენის საკითხს—ნავთობის ბედის საქმეში მისი არსებითი მნიშვნელობისაგან დამოუკიდებლად—აქვს უფრო დამახასიათებელი მნიშვნელობა, როგორც იმ ხარისხის მაჩვენებელს, რომელიც მიგვითითებს ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების თანამედროვე განვითარებაზე. ამ თვალსაზრისით, ზერელე დამკვირებლისათვის, იმ ფაქტში, რომ ნარსული ეპოქის საზოგადო საკითხებთან შედარებით ნავთობსადენის ირგვლივ ბრძოლის ხერხები თითქოსდა მეტ-ყველებს ჩვენს დროში საზოგადოებრივი აზრის დაცემაზე, ცოტა რამაა დამამშვიდებელი. მე არც თანამედროვეობის მეხოტბე ვარ და არც წარსულის მძაგებელი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ორი განსხვავებული ეპოქა ერთმანეთს ერთგვაროვან ნიადაგზე უნდა შევადაროთ. ასე მაგალითად, 1857-1860 წლებში, როცა ლაპარაკი იყო ბატონყმობის გადავარდნაზე, რაც სისხლისმიერად ეხებოდა ყველას და ყველაფრის

ინტერესებს, საკამათო საკითხის ყველა წვრილმანები მართლაც გაიცნეს ყველა რუს ადამიანს, პატარით დაწყებული და დიდით დამთავრებული. მრავალი წლით ადრე მის განხორციელებამდე, რუსული ლიტერატურა დაუღალავად მსჯელობდა ამ საკითხზე. გარდა ამისა, კამათის მონმენი და მსაჯულები საფუძვლიანად იცნობდნენ თავიანთ საგანს და მათ წინაშე ვერავინ გაბედავდა კარტის გამოცვლას, მაგრამ როცა იმავე მოწმეების და იმავე მსაჯულების წინაშე დაისვა, ასე ვთქვათ, სპეციალური ტექნიკური საკითხები, მსგავსად იმ საკითხებისა, როგორიც დაისვა ვოლგა-დონის რკინიგზის „სოფლის მეურნის" საზოგადოების და „რუსეთის გემთა მიმოსვლისა და ვაჭრობის საზოგადოების" (ბატონ პეროზიოსი ბატონ სმირნოვთან) კამათის დროს, ორატორების საბუთები და არგუმენტები არაფრით არ განსხვავდებოდა იმ უღირსი ხერხებისაგან, რაც ახასიათებს ამჟამად ნავთსადენის მომხრეთა პროპაგანდას. საქმე უბრალოდ აიხსნება: იმ ეპოქის ადამიანები და მსაჯულები არ იყვნენ იმდენად კომპეტენტურები, რომ ასეთი საკითხები გადაეჭრათ. თანამედროვეთა უმეცრების ექსპლოატატორებს ეს აძლევდა უფლებას უღვთოდ ეცრუათ იმ დროს, როცა ბატონყმობის საკითხზე კამათისას ტყუილის თქმა და კარტის შეცვლა უწესობა იქნებოდა. ამ თვალსაზრისით ორი ეპოქის შედარებას მივყავართ იმ დასკვნამდე, რომ ახლანდელ ეპოქას ერთგვარი უპირატესობანიც კი აქვს: ამჟამად ხომ ნავთსადენის მომხრეებს კალთებს ექაჩებიან და თითქმის აგლეჯენ კიდეც მათ: და ეს მიუხედავად იმისა, რომ სიცრუეს დღეს ყველგან უარყოფენ...

საკითხის მეორე მხარე ის არის, რომ ადრე ასეთ რამეებზე კამათობდნენ დილეტანტები და „თითო-თითო აქციონერები". ბრძოლა იფარგლებოდა რუსეთის ინტელიგენტური საზოგადოების მაღალი ფენებით. ახლა კი ჩვენ სულ სხვა რამეს ვხედავთ...

„ნავთსადენის ყოფნა-არყოფნა"—ეს საკითხი აღელვებს კასპიის ზღვისა და ვოლგის ნაპირებზე მცხოვრებლებს თითქმის მოსკოვამდე და არა მარტო სათათბიროებში და საბირჟო კომიტეტებში, არა მარტო „ხელშემწყობი" და „მოწინააღმდეგე" საზოგადოებების საერთო კრებებზე, არამედ ქარხნებშიც, გემებზეც და სამიკიტნოებშიც კი მასზე მსჯელობენ და ლაპარაკობენ. ადამიანები, რომლებიც აქამდე მორჩილად იტანდნენ ყოველგვარ ბედუკულმართობას, ახლა ერთად იყრიან თავს და იმაზე მსჯელობენ, რა გზით აიცილონ თავიდან მომავალი უბედურება, როგორ „დაიცვან თავიანთი ინტერესები. განა ეს პროგრესი არ არის? ახლა მინისტრებს თავისუფლად უგზავნიან დეპეშებს, ვიდრე ადრე პოლიციელს უბედავდნენ თხოვნის გადაცემას.

იმასაც კი ბედავენ, რომ პროტესტების გამოსახატავად „დეპუტაციებს აგზავნიან". მართლაც სასწაულები ხდება, ხომ ასეა? კარგი იქნება ახლა ბულგარინი საფლავიდან წამოაყენო, რომ ამ სიახლის დანახვით დატკბეს...

როგორი ცვალებადია დრო. ამჟამად ყვირილი „ნუ დამღუპავ" არსაიდან აღარ ისმის და ეს მიუხედავად იმისა, ბატონები ლაზარევი, ბაშკიროვი და მათთან ერთად „მოსკოვსკიე ვედომოსტი" დაუღალავად იმეორებენ პრესაში, რომ „საჩივრებს" გზავნიან ისეთი ადამიანები, სრულიად არარაობანი რომ არიან, ვიღაც მეწარმენი და ორთქლმავალი გემების მფლობელნი.

მაგრამ „მოსკოვსკიე ვედომოსტის" ამ ყვირილში—არ უნდა დავუჯეროთ ბაქოელებს და ვოლგისპირელებს, რადგან ისინი ამ საქმეში დაინტერესებული მხარეები არიან—იმალება საქმის მესამე, საზოგადოებრივი თვალსაზრისით საკმაოდ საინტერესო მხარე. განა დიდი ხანი გავიდა მას შემდეგ, რაც იგივე „მოსკოვსკიე ვედომოსტი" მეკამათებოდა და ამტკიცებდა, რომ იმისათვის, უფლება გქონდეს გამოთქვა აზრი ქვეყნის საზოგადოებრივი და სახელმწიფო ინტერესების შესახებ, უნდა იყო ამ საქმეებით დიდად დაინტერესებული: ალბათ გახსოვთ ამ ვაჟბატონების თეორია: „საქმის გადაწყვეტაში ხმის უფლება უნდა ჰქონდეთ მხოლოდ დაინტერესებულებს, არავითარი საერთო წარმომადგენლობა ჩვენ არ გვჭირდება, ჩვენთვის საკმარისია ინტერესთა წარმომადგენლობაც". აქედანვე გამომდინარეობს თეორია საქმეში ჩახედული იმ ადამიანების შესახებ, რომელთა კომპეტენცია დაფუძნებულია მათ დაინტერესებულობაზე. ჩვენ ვედავებოდით ამ ვიწრო და ეგოისტურ თეორიას, რომელიც ერთეული ბობოლების სარგებლიანობასა და ანგარებას მსხვერპლად სწირავს მასების ინტერესებს. ჩვენ, რა თქმა უნდა, კამათში გამარჯვებას ვერ მივაღწიეთ, მაგრამ ცხოვრებამ თავისი გაიტანა და ახლა ჩვენი თეორიის—აუცილებლად მოვუსმინოთ როგორც მდიდარ, ასევე ღარიბ ადამიანებსაც—გამომხატველნი არიან „ინტერესთა წარმომადგენლობის" მოძღვრების ამასწინანდელი მაუწყებლები. ახლა მათთვის ცხადია, რომ „ინტერესები" გააჩნია ყველა ცოცხალ არსებას, სულ ერთია, მდიდარია იგი თუ ღარიბი და მეტისმეტი ცალმხრივობაა ის, რომ მოვუსმინოთ მხოლოდ მსხვილ მესაკუთრეებს. მართალია, „მოსკოვსკიე ვედომოსტი" ამ აზრს მხოლოდ „ტაქტიკის" გამო ებღაუჭება: ახლა მათ ეს ხელს აძლევთ, მაგრამ უბედურება არც ესაა. საზოგადოების შეგნებიდან ისინი ვერ გამოდევნიან იმის შედეგებს, რასაც დღეს ასე

ცხადად ქადაგებენ. ჩვენ ამას „ასევე ჩავწერთ". სინამდვილეში მოსკოვის „რუსეთის საზღვაოსნო ვაჭრობის ხელშემწყობმა საზოგადოებამ", რომელმაც მიზნად დაისახა გახდეს ნავთსადენის მოწინააღმდეგე საზოგადოება, სწორედ იმიტომ ვერ დაიმსახურა „მოსკოვსკიე ვედომოსტის" ტაქტიკური მხარდაჭერა, რომ ამ საზოგადოებამ ითხოვა მოსკოვში მოეწყოს არა მარტო მსხვილი და კერძო ინტერესების წარმომადგენელთა ყრილობა, არამედ მასში მომხმარებლებმაც მიიღონ მონაწილეობა. დოქტრინალური თვალსაზრისით „მოსკოვსკიე ვედომოსტის" შეეძლო საქმის ამგვარი დაყენების წინააღმდეგ წამოეყენებინა მხოლოდ ერთი საყვედური, რომ ნავთსადენის გაყვანის მონინააღმდეგე საზოგადოებას დაავიწყდა ამ ყრილობაზე მოეწვია გადასახადის გადამხდელებიც, რომლებიც, აგრეთვე, დაინტერესებული არიან ამ საკითხის გადაწყვეტით, რადგან საქმე ეხება ხაზინის გარანტიასა და დამატებით გადასახადს.

თუ პატივცემული გაზეთი წამოაყენებს ამ არგუმენტს, ჩვენი მიუკერძოებლობა იძულებულს გაგვხდის ვაღიაროთ, რომ „მოსკოვსკიე ვედომოსტი" სრულიად მართალია და თქვენ დაინახავთ, თუ მოსკოვის ყრილობას გახსნა ეღირსება, მათ ანტინავთსადენის რეზოლუციებს გაასაჩივრებენ ბატონი ილიმოვი და „მოსკოვსკიე ვედომოსტი", როგორც 1884 წელს გაასაჩივრეს ნავთისმრეწველთა პირველი ყრილობის დადგენილება მხოლოდ იმის საფუძველზე, რომ ეს იყო „ინტერესთა წარმომადგენლობის" ხმა.

95. საუძმო საკითხავი

ნ.ვ. შელგუნოვთან მე დღეს მიხდება არა კამათი, არამედ განმარტება, რომლის უკანასკნელი „ნარკვევები როგორც ცხოვრებაში". „რუსსკაია მისლის" აპრილის წიგნში, მიეძღვნა ჩემს საახალწლო ფელეტონს („ნოვოე ობოზრენიე", №1736). დიდად პატივცემული პუბლიცისტის წერილის წაკითხვისას საფუძვლიანი პასუხი ჩამომიყალიბდა. მეტადა ვწუხვარ, რომ იმწამსვე არ დავწერე ეს პასუხი და გადავდე მკითხველთან ჩემს საუძმეო სასაუბროდ.

მაგრამ ახლა, როცა საჩქარო საქმეს ვუჯდები „სევერნოე აგენსტვოს" ახლახანს მიღებულმა დეპეშამ მ. ვ. სალტიკოვის გარდაცვალებაზე ჩემი აზრები უცბად სხვა მიმართულებით წარმართა.

მე უკვე აღარ ვიცი, გრძნობათა ასეთი სრული აღრევისას, როგორ გამოითქმება ჩემი აზრი იმ საკითხებზე, რომელნიც განხილულია ნ. ვ. შელგუნოვის მიერ. დეე მაპატიოს მან და მკითხველმაც ჩემი არგუმენტაციის უცილობელი უთავბოლობა და გაურკვეველობა. ბედნიერი ვიქნებოდი თუ როგორმე და ნაწყვეტ-ნაწყვეტ შევიძლებდი თავიდან ამეცილებინა სამწუხარო გაუგებრობა, რაც საფუძვლად უდევს ნ. ვ. შელგუნოვსა და ჩემს შორის აზრთა სხვადასხვაობას. მე სრულიადაც თავს დავანებებდი ან, ყოველ შემთხვევაში, სხვა დროისათვის გადავდებდი ჩემი განზრახვის სისრულეში მოყვანას, საჭირო განმარტების გაკეთებას, რომ კამათის საგანი არ მოითხოვდეს საჩქარო განხილვას.

ჩვენი გაზეთის მკითხველებს შეიძლება ახსოვდეს, რომ ნ. ვ. შელგუნოვსა და „ნედელიას" შორის „რუსეთის ცხოვრების პირქუში და ნათელი მოვლენების" საკითხის ირგვლივ პოლემიკაზე სიტყვის ჩამოგდებისას, მე მივუთითე იმ არსებულ წარმატებებზე, რაც ამ ცხოვრებაში უკანასკნელი ოცდაათი წლის განმავლობაში განხორციელდა და რაც, ჩემი შეგნებით, გვიწინასწარმეტყველებდა მის დოვლათიან გაფურჩქვნას ახლო მომავალში. სრულიად არ უარვყოფ რა ჩვენს თანამედროვეობაში პირქუშ მოვლენათა სიმრავლეს და არ ვაპირებთ, დავცინოთ კიდეც „ნედელიას" მწერლებს ჩვენი დროის წვრილმანი, „ნათელი" ფაქტების მიამიტურად განდიდების საქმეში, ვამტკიცებდი, რომ

„დიდებისა და სიკეთის რწმენით
ვუმზერ უშიშრად მომავლის დღეთა".

ბევრმა გაზეთმა, როგორც სატახტო ქალაქებისა, ისე პროვინციულმა, გაცბუნებული ყურადღება მიაქცია ამ ჩემს გამოძახილს, განსაკუთრებით კი მის „ოპტიმიზმს", მაგრამ ის, რომ ჩემი „ოპტიმიზმი" არის ნაყოფი არა მხოლოდ გულკეთილობისა, არამედ ფხიზელი ანგარიშისა, რომელსაც მხედველობაში აქვს მიღებული ჩვენი საზოგადოებრივი ორგანიზმის რეალური ზრდა, ჩვენმა პრესამ სამწუხაროდ მიჩქმალა. ნ. ვ. შელგუნოვი, ცხადია, ასეთ შეცდომაში არ ვარდება. ის წერს, რომ „ავტორის მიერ (ე.ი. ჩემს მიერ) მოყვანილი ფაქტები სრულიად სწორია". მაგრამ იგი იძლევა კითხვას: „რაღად დასჭირდა ეს ქადაგება გულკეთილობისა და თვითდაკმაყოფილებისა და რაშია ქადაგების ნამდვილი არსი"-ო. ასეთი საინტერესო საკითხის დასმისას ნ. ვ. შელგუნოვი არ ვარდება ცდუნებაში, რომ ჩამრიცხოს უმოძრაობის მიმდევართა წყებაში. „ნ. ი. ნიკოლაძე მართლაც არ იმე-

ორებს „პეტერბურგსკი ვედომოსტის", იგი არ ამბობს „კმარა", „საჭიროა დასვენება", პირიქით იგი თითქოს სხვას ლაპარაკობს: რომ ცხოვრების შეჩერება არ შეიძლება, რომ იგი მუდამ მოძრაობს, ყველგან, ყოველთვის, რომ მთელი ამ ოცდაათი წლის განმავლობაში იგი მოძრაობდა ჩვენშიც, რომ მან ამ ხნის განმავლობაში წარმოშვა აუარებელი განათლებული ადამიანი, რომ წინ წასწია ბეჭდვითი სიტყვა და ა. შ."

ნ. ვ. შელგუნოვი მაინც, მაშინაც, ამ სტრიქონების შემდეგ, კვლავ აყენებს საკითხს: „აქ ვილას იცავენ და ვისი თავდასხმის წინააღმდეგ, ვის ეუბნებიან ყველა ამას და, რაც მთავარია,—რა უნდათ თქვან ამით?" ხოლო შემდეგ ორი-სამი სტრიქონის ქვევით, იგი წერს:

„პეტერბურგსკიე ვედომოსტის" აზრი ისაა, რომ, თუ ცხოვრებას გააჩნია თავისი საყოველთაო მოვალეობა, მაშ, მეტი რაღა უნდა? ნ. ნიკოლაძე კი ამბობს, რომ თუ მეტი არა არის რა, მაშინ ჩვენ მაინც კარგად ვცხოვრობთ, ძლიერ კარგად და საქმის დღეებშიც გვაქვს ჩვენი უქმე".

ამაშია სწორედ მთელი გაუგებრობა, რადგან მე ეს არასოდეს არ მითქვამს და, ჩემი აზრის საერთო მიმდინარეობის მიხედვით, არც შემეძლო როდისმე ამისი თქმა. ჩემი აზრი მდგომარეობდა მხოლოდ იმაში, რომ რუსეთს ახლა შეუდარებლად ბევრი ჰყავს გონებრივი და ზნეობრივი ძალები, ვიდრე მას გააჩნდა ოცდაათი წლის წინ და ამიტომაც თავისი იდეალების განხორციელება ახლა მისთვის ადვილია, ვიდრე იყო მაშინ. მე, რადგან ცხოვრების მოვლენებზე ფხიზელი დაკვირვებისა და გაგების მიმდევარი ვარ, ერთგვარად შორს ვდგევარ, როგორც გულკეთილობის, ისე განწირულების ქადაგებისაგან, მე მხოლოდ ღონისა და შესაძლებლობის მიხედვით ვარ დაკავებული საზოგადოებრივ ძალთა და ამოცანათა ნამდვილი არსის გარკვევით. სწორედ ამიტომაც არასოდეს შემეძლო ქიმერული მიზნით „ნერტილი" დამესვა საზოგადოებრივ საქმიანობისათვის—ისევე უწყვეტისა და შეუჩერებელისათვის, როგორადაც უწყვეტი და შეუჩერებელია საზოგადოებრივი ცხოვრება,—ან გადამეხვია გვერდზე—„ჩემო საყვარელო, მეტი რაღა გინდა ისურვო?!" სიტყვების წარმოთქმით.

მე სრულიად ვაღიარებ იმ ლიტერატურულ ძალთა არსებობის კანონიერებასაც და სარგებლობასაც, რომელნიც გამსჭვალულნი არიან პატივისცემით, მშობლიური სიტყვების ტრადიციებისადმი და, მსგავსად ნ. ვ. შელგუნოვისა, გააჩნიათ უეჭველი უფლება შეიარაღებულნი იდგნენ მის სადარაჯოზე. ამიტომ შესაფერი მოწონებით ვეპყრობი პატივცემული პუბლიცისტის შემდეგ მკაცრ სტრიქონებსაც:

„ყველაზე დამახასიათებელია, რომ გამოცდილი პუბლიცისტი (ე.ი. მე) ამ აზრებს ჭკუის სწავლებისა და სახელმძღვანელოს სახით უძღვნის რუსულ პუბლიცისტიკას, რომელიც დღეს არ გაჩენილა და დღეს არ დაუწყია ფიქრი, რომ გაეწყვიტა თავისი ტრადიციული იდეური ძაფი და არ შეეგნო განსხვავება გონებრივ დღესასწაულსა და გონებრივ სადაგ დღეებს შორის".

ნ. ვ. შელგუნოვის წერილის ფორმის ნატიფი დელიკატურობა და მის მიერ ჩემთვის დაფრქვეული კომპლიმენტები ხელს არ მიშლის სულის სიღრმემდე ვიგრძნო ამ შთაგონების მთელი სიმწარე. მაგრამ, მე იგი სრულიადაც არ დამიმსახურებია, რადგან იგი მხოლოდ ჩემი ლიტერატურული მოღვაწეობის ხასიათისა და მიზნების არასრულ გაცნობას ემყარება.

ღმერთმა დამიფაროს ტრადიციული რუსული პუბლიცისტიკის იდეური ძაფის განყვეტისაგან. ამისათვის მე არც საკმაო ძალას ვხედავ ჩემში და არც, რაც მნიშვნელოვანია, მაინც და მაინც საჭიროებას, რადგან ეს ტრადიციული იდეური ძაფი სრულიად აუცილებელია. მე მხოლოდ მეჩვენება, რომ ნ. ვ. შელგუნოვს მცდარად ესმის ჩვენი მისწრაფებანი და ღვანლი, როცა ფიქრობს, ვითომც პუბლიცისტიკის ამოცანად ჩვენ ვაყენებთ მიზანს ჩაღრმავდეს იგი სადაგდღიურ სამრეწველო-ეკონომიურ საკითხებში, საქმის იდეური მხარის, ე.ი. რუსული განვითარების იდეური და გონებრივი საკითხების დავიწყებით.

შეიძლება, და თუ გნებავთ, ალბათ „ნოვოე ობოზრენიეს", როგორც პროვინციულ გაზეთს, ვერ უხერხდება სავსებით გამოხატოს თავისი მიმართულება, განსაკუთრებით ყოველ ცალკეულ საკითხზე, მაგრამ სამართლიან და ყურადღებიან მსაჯულს დიდი ხანია შეეძლო შეემჩნია, თუ საით ვიხრებით ჩვენ. ჩვენ იმითი განვსხვავდებით სხვა მრავალი გამოცემისაგან, რომელნიც ეძღვნება სამრეწველო-ეკონომიურ და, თუ გნებავთ, ჩვენი ცხოვრების ყოველდღიურ საკითხებს, რომ გულმოდგინედ ვუყენებთ მათ, ნაწილ-ნაწილ და თითოეულად გონებრივი წყაროს იმ იდეალებსა და პრინციპებს, რომელნიც გამომუშავებულია სწორედ რუსული პუბლიცისტიკის ღონისძიების მემკვიდრეობით შემკრები ძაფის მიერ და ამ მხრივაც მე ასე მგონია, ჩვენ დაჟინებით მივყვებით რუსული ლიტერატურის საუკეთესო პერიოდების ტრადიციებს.

თუ სამოციანი წლების დასაწყისში ჩვენი პუბლიცისტიკის ბრწყინვალე გაფურჩქვანამ ისეთი წარუშლელი კვალი დატოვა საზოგადოებრივ მეხსიერებაში, ეს მნიშვნელოვანად თუ არა, უპირატესად მაინც

აიხსნება იმით, რომ იმ დროის პუბლიცისტიკას, რომელიც ძირითადი დებულებებისა და იდეების გამომუშავებით და განვითარებით არ კმაყოფილდება, შეეძლო მათთვის ხორცი შეესხა კონკრეტულ ფორმებში იმ მისწრაფებისა და ინტერესების შეფარდებით, რაც მაშინდელი საზოგადოების გულთან ახლოს იყო. ეს შეფარდება მაშინ ეხებოდა არა მხოლოდ ზნეობრივ ცნებებს, არამედ მატერიალურ ურთიერთობათაც. „ბნელი სამეფოს“ შესახებ დაწერილი წერილების გვერდით, რომლებზეც ნ. ვ. შელგუნოვი მიმითითებს, შთაბეჭდილებას ახდენდნენ, აგრეთვე, წერილები იმავე პუბლიცისტების ბრწყინვალე პლეადისა საზოგადოებაზე „სელსკი ხოზიაინ“, ან გემების შეკვეთაზე და „ვოლგა-დონის რკინიგზის“ მშენებლობის საშუალებებზე. მატერიალურ საქმეებზე ეს წმინდა პუბლიცისტური წერილების განსხვავება, ამ მრავალი ვიწრო-ეკონომიური ნაწარმოებისაგან, იმაში მდგომარეობს, რომ იმ დროის პუბლიცისტებს, რომელთა შორის მისაჩენი ადგილი ეჭირა თ. ვ. შელგუნოვსაც, შეეძლოთ დაინტერესებულთათვის გაერკვიათ, თუ რა ორგანული კავშირი არსებობს „მატერიალურ ინტერესებსა“ და პუბლიცისტიკის მისწრაფებას შორის. თუ ყველა მათი ინტერესისათვის, თვით ვიწრო ეგოისტურთათვისაც კი, რამდენად მნიშვნელოვანია ბეჭდვითი სიტყვის მიერ ნაქადაგევი წესებისა და იდეალების ცხოვრებაში განხორციელება. ეს ინტელიგენციის ღონისაგან დაცლას კი არ ნიშნავს, ან მისი გონებრივი მუშაობის აცილებას „იდეური ინტერესისაგან“, არამედ მისკენ, ინტელიგენციისაკენ, იდეურ „სამუშაოსაკენ“ მასების სიმპათიისა და მხარდაჭერის მიზიდვას, რომელნიც მანამდე მატერიალური ინტერესებით იყვნენ მხოლოდ და მხოლოდ ცალმხრივად გატაცებულნი. განყენებული აზროვნებისა და პრინციპული მსჯელობის სიმაღლეებიდან იდეური ინტერესები, ამგვარად მიწაზე დაეშვნენ, გასაგები, ძვირფასიანი, აუცილებელნი გახდნენ თანამედროვეთა სულ უფრო და უფრო დიდი მასებისათვის. დღითი დღე უთითებდე მკითხველ საზოგადოებას, —არა მხოლოდ იდეური ინტერესების „შუქი გაიბრწყინებს“, არამედ იმისაც, რომელიც ჩაფლულია სადაგდღიურ მატერიალურ საქმეებში, რომ საზოგადოებრივ ურთიერთობებს, რომელთა გამარჯვებისკენაც მიისწრაფვის ლიტერატურა, გააჩნიათ თავისებური, რეალური გამოყენება მათ ყოველდღიურ მოღვაწეობაში, რომ აგრეთვე ლიტერატურაში მათ შეაქვთ წესრიგი, სიმართლე და სიმტკიცე, რომ ყველას, თვით ეგოისტსაც კი, ეკისრება დაეხმაროს მათ განხორციელებას,—ყველა ეს, ვფიქრობ; არ

ნიშნავს ქადაგებას, რომ „პურითა მხოლოდ ცოცხლობს ადამიანი". არა, ჩვენი ფაცა-ფუცი ნავთის, ნავთსაქაჩის, ამიერკავკასიის რკინიგზის, შავი ქვის წარმოების და ა. შ. საქმეებში, რაზედაც რამდენადმე დაცინვით მიუთითებს ნ. ვ. შელგუნოვი და გვაგრძნობინებს, რომ ეს ფაცა-ფუცი არაა რუსული პუბლიცისტიკის „იდეური ინტერესების" ფარდი, არ იმსახურებს ამ პუბლიცისტიკის თვალისაზრისით ერთ საფეხურზე იდგეს „ინჟინერისა" და „გორნი ჟურნალის" ნაწერები.

ცოდვაა, უსამართლობაა, არ დაინახო განსხვავება, რაც ჩვენშიც კი ყველას თვალში ეცემა...

ნ. ვ. შელგუნოვი, ჩემის აზრით, არ არის მართალი კიდევ მეორე მხრივაც. იგი არ მიუთითებს განსხვავებას,—შეიძლება იმიტომ, რომ ეს მას არ ესაჭიროება,—რუსული ლიტერატურის ორი პერიოდის—ორმოციანი და სამოციანი წლების უპირველეს ამოცანათა ჩვენებისას. მე კი ამ განსხვავების წარმოჩენა აუცილებლად მესაჭიროება.

„ადამიანობის", ჰუმანურობის, საზოგადოებრივ ურთიერთობაში სიმართლის ქადაგება, რუსული ლიტერატურის მემკვიდრეობით შედგენილ მისწრაფებათა ჯაჭვში შეეხება, უმთავრესად, ორმოციანი წლების მწერალთა თაობას. სამოციანელმა მწერლებმა ეს იდეები მიიღეს როგორც წინაპრების მზამზარეული მემკვიდრეობა. ის ახალი, რაც მათ შეიტანეს რუსული განვითარების საქმეში სულ სხვა რამ იყო. ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან თვითშემოქმედებისა და თვითმმართველობის, საზოგადოებრიობრივ ურთიერთობაზე დამყარებული ინტერესებისა და მისწრაფებების ერთიანობის ქადაგებით. ამ თვალსაზრისით, ამ მიმართულების ჭეშმარიტი განვითარება და მისთვის სასიცოცხლო გამარჯვების მიცემა, დამერწმუნეთ, აგრეთვე, სრულიად წარმოუდგენელია თუ ლიტერატურა მარტოოდენ იდეური ცხოვრების სფეროს მხარდამჭერი იქნება.

ამ იდეურობიდან გადაუხვევლად, თავის მიერ შექმნილ პრინციპთა დაუვიწყებლად, ლიტერატურამ უნდა თანდათან გამოიმუშაოს მათი მიყენების ხერხები ხალხისა და საზოგადოების არსებული ინტერესებისადმი.

მართლაც, მხოლოდ არსებულ ინტერესებთან ახლოს მისვლით შეიძლება ხალხს ასწავლო,—რომელიც მთლად ამით არის შეპყრობილი, ასეთები კი მრავალზე უმრავლესია,—ოსტატობა, რომ შეათანხმოს და განახორციელოს ისინი „უმეტესობისათვის უდიდესი სარგებლობით, რომ მეცნიერებისა და ლიტერატურის მეშვეობით მოპოვებული ძმური, ადამიანური ურთიერთობანი დაამყაროს დანაწილებულ ძალთა და ცალკეულ პიროვნებათა და ჯგუფთა ერთურთის სანი-

ნააღმდეგო ინტერესებს შორის. ეს მეტად თავშისაცემი, მეტად ძნელი საქმეა და, რაც მთავარია, არაა მიმზიდველი, არ ბრწყინავს ნაღდი იდეურობის შარავანდედით, თუმცა მთლად იდეურობითაა გაჟღენთილი. მაგრამ, ეს სამუშაო მაინც დაჟინებით აუცილებელია და ვიდრე იგი არ გაკეთდება, წვრილმანებიც და ცალ-ცალკე, იდეალები, რომელნიც ლიტერატურისაგანაა გამომუშავებული, ვერ მიაღწევენ საერთო გამარჯვებას და განხორციელებას საზოგადოებრივ და, მით უმეტეს, ხალხის ცხოვრებაში, ცხადია, სახარბიელოა თანამედროვე საზოგადოების გონებრივი ცხოვრების წინა მოძღვრების როლი, აზროვნების კანონმდებლის როლი, განსაკუთრებით ამ გონებრივი ცხოვრების უმაღლეს სიმაღლეებში. მაგრამ, მგონია შეუთავსებელია უსამართლო დამოკიდებულება მათგან მათ მიმართ, ვინც ამ კანონებს ასრულებს და იყენებს და, რომელთაც ისინი შეაქვთ მასების შეგნებაში, მის ცხოვრებასა და არსში, რომელთა თანაგრძნობისა და მხარდაჭერის გარეშე ყოველი, თვით მაღალფარდოვანი კანონები და იდეალებიც კი განწირულნი არიან დარჩენ მკვდარ ბგერად და ცხოვრებისაგან მოცილებულთა რამდენიმე სვებედნიერის საკუთრებად.

კვლავ ვიმეორებ, ჩვენი შენიშვნით არავითარი „წერტილის" დასმას არ ვფიქრობდით რუსეთის ცხოვრებისაგან გამოყენებულ წარმატებებზე. უფრო ნაკლებად შეგვეძლო თავში გაგვეცნო აზრი მასში ინტელიგენციის მნიშვნელობის შემცირებაზე, ჩვენი აზრი, მით უფრო იდეური სამუშაოსი, სხვაზე უფრო მეტად გვაქვს ჩვენ შეგნებული. მთელი მისი აუცილებლობა, აუცილებლობა რუსული ცხოვრების გართულებულ და განვითარებულ მოვლენებში. ჩვენ არც ვისიმე წახალისება განგვიზრახავს და არც გვიფიქრია შეგვეცდინა ვინმე თანამედროვეობისა და წინამდებარე ამოცანების სიძნელეთა და სიმძიმეთა მიჩქმალვით. ჩვენ მხოლოდ ერთი რამ გვქონდა მხედველობაში—აღგვენიშნა, რომ ცხოვრებას ისე უნდა უცქეროდე, როგორიც ის არის. მთელი წყება თაობების მცდელობის წყალობით ჩვენი ცხოვრება ოცდაათი წლის წინ ყველასათვის დასანახავად და ხელშესახებად გაიფურჩქნა. ამ გაფურჩქვნას ჩვენ სხვაზე ნაკლებად არ ვაფასებთ. თუ მას შემდეგ რუსეთის საზოგადოებრივ ცხოვრებაში არ დამდგარა ისეთი „კაშკაშა გაზაფხული", ეს სრულიადაც იმას არ ნიშნავს, რომ შემდეგ ჩვენ წინ არ წავსულვართ.

ყველაფრის, ყველა გულის გატეხის, შეცდომისა და მარცხის მიუხედავად, ამ უკანასკნელი ოცდაათი წლის განმავლობაში ჩვენ მაინც ვიზრდებოდით. სწორედ ისე, როგორც ყოველდღე კი არა, არამედ

წელიწადში ერთხელ მცენარეები შეიმოსებიან მით უფრო შესამჩნევი და ეფექტური ბრწყინვალე ყვავილებით, რადგან მანამდე მხოლოდ შიშველ რტოებს ვუცქერით, არაა საჭირო ფიქრი, თითქოს ჩვენი ცხოვრება დაჭკნა და ჩაკვდა თუ ყვავილები აღარა ჩანან. ისინი შეცვალა ხშირმა, მართალია მუქმა ფერმა, მაგრამ შეცვალა, აგრეთვე, შეუმჩნევლად დამწიფებულმა ნაყოფმაც. მაშინაც კი, როცა ზამთარი დადგება, ფოთლები ჩამოცვივა და რტოები კვლავ გაშიშვლდება, ეს იმას არ ნიშნავს, რომ დედამიწაზე სიცოცხლე მოისპო. როგორც მიწის მუშამ, ვიცი, რომ საჭიროა შრომის გაგრძელება, რომ იგი უსარგებლოდ არ დაიკარგება, რომ გაზაფხული მოვა, რომ სიცოცხლე უკვდავია. მაგრამ, განა ეს გულკეთილობისა და თვით განებივრების, მით უფრო შეჩერების ქადაგებას ნიშნავს? ეს ნიშნავს მხოლოდ იმას, რომ მიუთითო ბუნების კანონებზე, რომელთა ცოდნა ყველასათვის სასარგებლოა: იმათთვისაც, ვისაც შრომა უნდა და, იმათთვისაც, ვინც უარყოფს შრომის სიკეთესა და საჭიროებას. მე არც „ოპტიმისტი" ვარ და არც „პესიმისტი", არამედ მხოლოდ ყურადღებიანი დამკვირვებელი საზოგადოებრივი ბუნების ცხოვრებისა. და თუ მე კეთილსინდისიერად ვსწავლობ მის მოვალეობასა და ფაქტებს, აღარც კი მესაჭიროება ვიფიქრო—„ვის ელაპარაკებიან ყველა ამას და რატომ?".

ჩემთვის სრულიად საკმარისია ვიცოდე, რომ საზოგადოებრივი ცხოვრება, ასე თუ ისე, მიიღებს თავის წილ სარგებლობას მის მოვლენებზე ფხიზელი დაკვირვებიდან.

კიდევ ბევრი და ძლიერ ბევრი შეიძლებოდა თქმულიყო პატივცემული ნ. ვ. შელგუნოვის შენიშვნების გამო, მაგრამ მთავარი, ჩემის აზრით, აღნიშნულია და ესეც, დარწმუნებული ვარ, სრულიად საკმარისია, ჩვენი მხცოვანი პუბლიცისტი რომ დარწმუნდეს ჩვენი და მისი აზრების სხვადასხვაობა დამყარებული იყო მხოლოდ და მხოლოდ გაუგებრობაზე.

96. მიხეილ ევგრაფის ძე სალტიკოვ-შჩედრინი

ძნელია, თითქმის შეუძლებელია ახლა, იმ შთაბეჭდილებების ზეგავლენის შემდეგ, რაც გამოიწვია მ. ე. სალტიკოვის გარდაცვალების საბედისწერო ცნობამ, სათანადოდ შეაფასო ის დანაკლისი, რაც განიცადა რუსულმა ლიტერატურამ და რუსეთის კულტურულმა განვითარებამ. დანაკლისი აუნაზღაურებელია. ეს არ გახლავთ უამრავი ნეკროლოგების ცარიელი და ჩვეულებრივი სიტყვები. გუშინ საფლავში ჩაუშვეს მწერალი, რომელიც ოცდაცამეტი წელი გმირულად იდგა რუსული ლიტერატურის მოწინავე რიგებში, ხშირად კი მისი მოთავეც კი იყო. ცხოვრებიდან წავიდა დიდი, თითქმის გენიალური მწერალი, რომელსაც რუსი ხალხის მომავალი თაობა არასოდეს დაივიწყებს და მუდამ გაგებით და მადლიერების გრძნობით მოიგონებს მისი თვითშეგნებისა და პროგრესის დიად შემოქმედს.

ჩვენ აქ არ მოვიტანთ აწგარდაცვლილი მწერლის გარეგნული ცხოვრების ბიოგრაფიულ მონაცემებს. ისინი დიდი ხანია ყველასათვის ცნობილია. არც მისი ნაწარმოებების ჩამოთვლას შევუდგებით. ახლა კრიტიკულად მიდგომისა და იმ მწერლის მრავალმხრივი მოღვაწეობის დეტალურად შეფასების დრო არ არის, ვინც ყოველთვის მკითხველი საზოგადოების თვალწინ იდგა. ჩვენ აქ მხოლოდ მიცვალებულის საზოგადოებრივი მნიშვნელობის შეფასებით შემოვიფარგლებით, რადგან მასთან ერთად საფლავში ჩაწვა არა მხოლოდ ლიტერატურული, არამედ საზოგადოებრივი ძალაც.

დაე, სხვებმა—ასეთები ბევრი გამოინახება—შეაფასონ და დაახასიათონ მისი ლიტერატურული ნიჭის შეუდარებელი ძალა და მოგვაგონონ იმ უკვდავი გმირების დაუსრულებელი რიგი, მისმა ფუნჯმა რომ რუსული ცხოვრების მშობლიურ წიაღს გამოსტაცა, იმ ცხოვრებას, ასე ღრმად და ყოველმხრივ რომ ჰქონდა შესწავლილი და დახატული. დაე, სხვებმა მოხაზონ მისი ქმნილებების ცხოვრებისეულობაც, რელიეფურობაც და ჭკუის მასწავლებლობაც. ეს ამოცანა უფრო მეტ ადგილსა და დროს მოითხოვს, ვიდრე ჩვენ გვაქვს. გარდა ამისა, მისი ამგვარი შეფასება ჩვენს ძალ-ღონეს აღემატება. ჩვენ გვინდა ვილაპარაკოთ დაუღალავი შრომის შინაგან მიმართულებაზე, მხოლოდ იმ უცვლელ მიზანზე, რომელსაც ყოველთვის მიჰყვებოდა იგი რუსეთის განვითარების სასიკეთოდ და შეჰქონდა თანამედროვეთა და შთამომავალთა შეგნებაში იმგვარი ელემენტები, მისი დროის სხვა ბელეტრისტთა მოღვაწეობა რომ არ შეხებია.

თავისი ლიტერატურული მოღვაწეობის პირველი დღიდან უკანასკნელ დღემდე, დაწყებული „ნარკვევები გუბერნიიდან", რომელიც გამოვიდა 1856 წელს და „პოშეხოვის სიძველით" დამთავრებული, წელს რომ დაიბეჭდა, მ. ე. სალტიკოვი მთელ თავის ძალ-ღონეს რუსეთის საზოგადოებრივი ცხოვრების ინტერესების სამსახურს სწირავდა. გარდა გოგოლისა, ვერცერთ დიდ მწერალთან ვერ შეხვდებით ბელეტრისტის დანიშნულებისა და სამსახურის შესახებ ისეთ ამაღლებულ და სწორ წარმოდგენას, როგორითაც გამსჭვალული იყო მ. ე. სალტიკოვი. ევროპის უდიდეს მწერლებს შორისაც კი იშვიათად შეხვდებით ამგვარ რამეს. მან იცოდა, რომ მხატვრის ფუნჯი არის ხალხის განვითარების მძლავრი იარაღი და ამ ფუნჯს იგი უმიზნოდ კი არ იყენებდა, უმნიშვნელო ამოცანებს კი არ ემსახურებოდა, არამედ უნარიანად და გაანგარიშებულად ხმარობდა იმ საქმეში, რასაც თხოულობდა მისი სამშობლოს პოლიტიკურად ზრდის ინტერესები. მას ძვალ-რბილში ჰქონდა გამჯდარი შეგნება, რომ ცოდვაა ღმერთის მიერ მისთვის ბოძებული ნიჭი მიწაში დაემარხა, რომ ერთი წუთით სიბარიტობის უფლება არა აქვს იმას, ვისაც ღმერთმა ხელში ჩაუდო ასეთი ძლიერი იარაღი და ამიტომ მან საკუთარი გონებრივი განვითარება ღვთით ბოძებული ნიჭის დონეზე აიყვანა. რუს ბელეტრისტებს შორის იგი იყო იშვიათი და სრულიად განსხვავებული მოვლენა და არა მარტო თავის ბუნებრივი გენიალობით, არამედ იმ დიდი ცოდნით, თვითონ რომ შეიძინა, განსაკუთრებით საზოგადოებრივი და პოლიტიკური მეცნიერების დარგში. სწორედ ეს დაეხმარა მას შეენარჩუნებინა ის სიმაღლე, როგორიც აქამდე ვერ შეინარჩუნა ვერცერთმა რუსმა მწერალმა, გენიალურებმაც კი. იგი არ გაპყოლია ჩვენი ტალანტებისა და გენიოსების ჩვეულებრივ გზას, ბედისწერისაგან რომაა დაწყევლილი, პირველი გენიალური ნაწარმოების შემდეგ მისტიციზმის ლაფში და უძრაობაში რომ ეფლობოდნენ. პირველი დღიდან უკანასკნელამდე, მან მისცა რუსეთს ყველაფერი, რის მიცემაც კი შეეძლო ვითარების და მიხედვით დაუღლელ, ყოველთვის მშრომელ, ყოველთვის მზარდ და გაძლიერებისაკენ მიმართულ გონებას! ამ გონების რჩევა, მითითება, გაკვეთილები დაცული იყო უცოდინარობისაგან და არავის შენიშვნები და შესწორებები არ სჭირდებოდა. მან თავის აზრებს შეუქმნა ფორმა და რკინის შეუმუსვრელობა და ისინი ჩვენს ლიტერატურაში აღარასოდეს აღარ დაჭკნებიან და მოკვდებიან.

ყოველთვის, პირველიდან უკანასკნელ დღემდე, მისი აზრები იყვნენ გასულიერებული, თბილი და ცხოველმყოფელი სიყვარულით გამსჭვალული ყველაფრის მიმართ, რაც თანამედროვე ადამიანისათვის სიძველედ ითვლება და ძვირფასია. მისი სატირა, მისი სარკაზმი, მისი რისხვა—გაბოროტების პროდუქტი კი არ იყო, არამედ სიყვარულისა, ადამიანისადმი, ყველაფერი იმისადმი უსაზღვრო სიყვარულისა, რაც დაჩაგრული და დაბეჩავებულია, უპირველეს ყოვლისა კი, „რუსული მიწის გამომკვებავი და დამრწყულებელი ადამიანებისადმი", ყველაფრისადმი, რასაც შემოაქვს ჩვენს ცხოვრებაში სინათლისა და ადამიანობის თუნდაც ერთი ატომი. ყველაფერს კი არ დასცინოდა ეს ამოუწურავი გენიოსი, რაც სასაცილოა, ყველაფერ მახინჯს კი არ ამათრახებდა მისი სატირა, რაც მახინჯია, არამედ მხოლოდ იმას, რაც ხელს უშლიდა ჩვენს ცხოვრებაში სინათლისა და ბედნიერების შემოჭრას, რითაც იგი ამხნევებდა იმათ, ვისაც ამგვარი სიკეთე სწყურია და უნარიანად ხელმძღვანელობდა იმათ, ვისაც ყველაფერი ეს გააჩნდა.

მრავალი წლის მანძილზე, როცა ჩვენი ლიტერატურა დაქვეითებული იყო და როცა მისი საუკეთესო წარმომადგენლების იმედი, რწმენა და სიყვარული დაკნინდა, მ. ე. სალტიკოვი შეუმუსვრელი იდგა მარტოდმარტო მის სათავეებთან. ამ თვალსაზრისით მან ჩვენს განვითარებას დიდი და დაუვიწყარი სამსახური გაუწია, რითაც ღრმა კვალი დასტოვა რუსეთის საზოგადოების თანამედროვე გონებრივ ცხოვრებაში. ეს საზოგადოება მას აფასებს არა მარტო, როგორც ლიტერატურულ გენიოსს, არა მარტო როგორც დაუღლელ მუშაკს, არამედ აფასებს, აგრეთვე, მის შინაგან მთლიანობას, სიმტკიცეს, მისი რწმენის სიწმინდეს და იმ გარჯას, რაც ენერგიასა და ვაჟკაცობას მატებდა მის ურიცხვ თაყვანისმცემლებს, მისი სამშობლოს საუკეთესო შვილებს. ის ძლიერი ლაგამი, რაც მისმა გენიალურმა სატირამ ღონივრად ამოსდო თანამედროვე სიბნელის ექსპლოატატორების ეგოისტურ ზრახვებსა და მადას, ის აღმოუფხვრელი ბეჭედი, რითაც მხოლოდ მან დადაღა ჩვენი საზოგადოების ანგარებით გამსჭვალული ელემენტების სხეული და შუბლი, დიდხანს დარჩება ჩვენს მეხსიერებაში, რადგან ასე მალე ვერ ვიხილავთ ჩვენ მის შემცვლელს, კაცს, რომელიც შეძლებს შეავსოს ის ხარვეზი, რუსეთში რომ შეიქმნა სცენიდან იმ დიდი მწერლის ჩამოსვლის შემდეგ, რომელსაც ახლა რუსეთში დასტირის ყველა ის ადამიანი, ვინც ჩვენს სამშობლოში სიკეთისა და სიმართლის გამარჯვებისაკენ ისწრაფვის...

97. საუქმო საკითხავი

ამ კვირის გმირად იქცა ქართველი პოეტი თავ. აკ. წერეთელი. მიხეილის სახელობის სამიწათმოქმედო ბანკის (ქუთაისში) დამფუძნებელთა საერთო კრების მიერ ამ მწერლის ლიტერატურული დამსახურების ღირსეულმა შეფასებამ დიდი და სასიამოვნო შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენი საზოგადოების ყველა ფენაზე და არა მხოლოდ ქართველ საზოგადოებაზე. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის მდგომარეობა, რომ ამ ფაქტის შესახებ გაცხოველებულ და საერთო საუბარში არსად და არც ერთხელ არ ისმის არც ერთი საწინააღმდეგო ან სასაყვედურო სიტყვა.

ყველას, დიდიდან მოკიდებული პატარამდე, გულს მოეფინა პოეტისათვის ამ არსებითად მცირე პენსიის დანიშვნა 15000 მანეთის რაოდენობით. „ნოვოე ობოზრენიემ“ ამ ფაქტის გამოქვეყნებისას ისწრაფა მისთვის გამოეთქვა თავისი თანაგრძნობა. ამიტომ მე სრულიადაც არ მინდა იგივე გავიმეორო, ეს თავისთავად იგულისხმება და რადგან ამ სასიხარულო ფაქტმა აღძრა და გააძლიერა ინტერესი პოეტის მოღვაწეობისადმი ისეთ მკითხველებშიც კი, რომელნიც ქართულ ლიტერატურასა და მის მწერლებს ყურმოკვრით იცნობენ, ამისათვის აუცილებლად უნდა შევეხო საქმის სულ სხვა მხარეს: თუნდაც ერთი თვალის გადავლებით წარმოვადგინო თავ. აკ. წერეთლის ლიტერატურული შემოქმედება.

დაწყება იმით, რომ თავ. აკ. წერეთელი ჭეშმარიტი და ნამდვილი პოეტია ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. ეს ცოტაა. იგი ერთადერთი პოეტია უკანასკნელი ნახევარი საუკუნის ქართველ მელექსეთა შორის, ამას ვამბობ იმ აზრით, რომ მხოლოდ მას ერთს, მათ შორის, ბუნებით მინიჭებული აქვს ის ღვთიური ნიჭიერება, რომელნიც წარმოშობენ პოეტს.

იმის გარდა, ეს იშვიათი სიმდიდრე უკანასკნელი დროის ქართველ მელექსეთაგან (მათი სახელი ლეგიონია) მინიჭებული ჰქონდა და ისიც ძუნწად მხოლოდ ერთის—თავ. გ.მ. ქოჩაქიძეს (ჭალადიდელს), რომელიც ქართულ ლიტერატურაში გამობრწყინდა სამოციანი წლების ბოლოს და უფრო ადრე დაჭკნა, ვიდრე გაიფურჩქნებოდა. მხოლოდ ერთი თავ. წერეთელი დგას მეორე, აგრეთვე ჭეშმარიტ, ორმოციანი წლების ქართველი პოეტის თავ. ნიკ. ბარათაშვილის გვერდით და, ეს ორი მწერალი ამოწურავენ მიმდინარე საუკუნის მთელ ნამდვილ ქართულ პოეზიას. მათ მხოლოდ ამ პოეზიაში შეიტანეს ცოცხალი, უკ-

ვდავი სახეები, ფორმის სიმსუბუქესა და სისადავესთან ერთად და მხოლოდ მათი ქმნილებანი, რომელნიც ღრმად შევიდნენ ხალხის მეხსიერებასა და შეგნებაში, დატოვებენ თავის შემდეგ აღმოუფხვრელ კვალს, რაც მხოლოდ ბუნებრივი პოეტური ნიჭიერების ხვედრს წარმოადგენს.

თავ. აკ. წერეთლის ლიტერატურული ნიჭის ძალა პირდაპირ გასაოცარია. სრულიად გაუზვიადებლად შეიძლება ითქვას, რომ ბუნებრივი ნიჭით ის, გამონაკლისის გარეშე, მთელი თავით მაღლა დგას ყველა თანამედროვე კავკასიელ მწერალზე, პოეტზე და პროზაიკოსზე. ყველაზე მეტად მას გააჩნია დაუფასებელი ნიჭი, მწერლის უმაღლესი ძალა,—ელექტრონის დენივით ჩასწვდეს მკითხველებს, რაზედაც არ უნდა ლაპარკობდეს. ის აფორიაქებს, აღვიძებს, ფეხზე აყენებს დამბლა დაცემულებსაც კი და არა მხოლოდ თავისი აზრით, არამედ მისი გამოთქმის ფორმითაც და ფორმით უფრო მეტად, ვიდრე აზრით ტოვებს სამუდამოდ აღმოუფხვრელ შთაბეჭდილებას. ერთი სიტყვით, ყველაფერი, რაც ნამდვილად ქართულ უხვ ბუნებას შეეძლო მიენიჭებინა მწერლისათვის,—უზომოდ, შეუკავშირებლად, ნაბოძები აქვს მისგან თავად აკ. წერეთელს, იმ ზომით, რამდენზედაც არც ერთი თანამედროვე კავკასიელი მწერალი ვერც იოცნებებს.

ასეთი იშვიათი ნიჭით ასე უხვად დაჯილდოებული თავ. აკ. წერეთელი ლიტერატურულ ასპარეზზე გამოვიდა ჭაბუკობიდანვე, 1855 ნ., როცა ჯერ კიდევ გიმნაზიის მერხზე იჯდა. ქართულ ლიტერატურაში სრულიად ვერაფერს ვერ შეედრება პირველივე მისი ლექსით მოხდენილი შთაბეჭდილება. მხოლოდ რუსული ლიტერატურის ისტორიაში შეიძლება ამის მსგავსის მოძებნა, კერძოდ პუშკინის ახალგაზრდა მუზის პირველი ნაბიჯების მიერ მოხდენილი შთაბეჭდილება. ყველამ—ნასწავლმაც და უსწავლელმაც, ერთად გაიგო, რომ ლექსებში, რომელთაც მორიდებულად მიწერილი ჰქონდა ასო ნ., ელერდა „ლექსის ჰარმონია", სწორედ ის ჰარმონია, რომლის „ღვთაებრივი საიდუმლოებანიც", ა.ნ. მაიკოვის თქმით, ამაო საძებნელი იქნებოდა ბრძენთა წიგნებში.

ამ ლექსების ენა მაშინვე გამოირჩეოდა მანამდე უცნობი, წმინდა ხალხური მეტყველების მშვენიერებითა და სიმსუბუქით, რომელსაც არ ჰქონდათ შერეული წიგნური ხელოვნება და პირობითობა.

საერთოდ, თავ. აკ. წერეთელმა ლიტერატურული მოღვაწეობის პირველი დღიდან უკანასკნელამდე, ქართულ სიტყვიერებაში დაიკავა და

მთლიანად შეინარჩუნა ის მნიშვნელობა, რაც პუშკინს გააჩნია რუსული ლიტერატურის ისტორიაში თავისი ნაწარმოებების ენისა და ფორმის მიხედვით. მან პირველმა და შემდეგ მის თანამოძმეებთან შედარებით ყველაზე უფრო მეტად ღონივრად დაუახლოვა ლიტერატურის ენა ხალხისას, მისცა რა მას არნახული მოქნილობა და მიმოხვრა, გამომსახველობა და კოლოსალურობა. და, რადგან ახლა მე ვწერ არა დითირამბს, არამედ კეთილსინდისიერად ვაფასებ პოეტის მოღვაწეობას, ყოველგვარი გაუგებრობისა და ცალმხრივობის გონწასასწრებლად ჩემს მსჯელობას უნდა დავუმატო, რომ მსგავსება თავ. აკ. წერეთლის როლისა ქართულ ლიტერატურაში, პუშკინის მნიშვნელობასთან რუსულში შემოიფარგლება, სამწუხაროდ, ფორმითა და ენით.

ვაი, რომ ქართველ პოეტს ვერ მოუხდა გატოლებოდა რუსს და საფუძვლიანი გადატრიალება მოეხდინა არა მხოლოდ ფორმის, არამედ თავისი სამშობლოს ლიტერატურულ ნაწარმოებთა შინაარსის მიმართაც.

ეს უმაღლესი პატივი—მშობლიური ხალხის ლიტერატურული ძალებისათვის ახალი და ღირსეული ამოცანების დაყენება—ქართულ ლიტერატურაში წილად ჰხვდა არა თავ. აკ. წერეთელს, რომელსაც იგი უფრო მეტად შეეფერებოდა, არამედ მეორე მწერალს—თავ. ილ. ჭავჭავაძეს, რომელმაც ამის გამო დაიკავა კიდეც ღირსეული ადგილი თანამედროვე ქართული მესიტყვეების სათავეში. ამ ორი მწერლის ნიჭისა და როლის შედარებას შეეძლო ყველაზე რელიეფურად დაეხასიათებინა მნიშვნელობა თვით თავ. აკ. წერეთლისა, ამისათვის თავს ნებას ვაძლევ ამ უნებური გადახვევისათვის.

თავ. ი. გ. ჭავჭავაძე, როგორც პოეტი, სრულიადაც ვერ ფლობს თავ. აკ. წერეთლის მადლის ერთ ნამცეცსაც კი. მისი ლექსები ნაკეთებია, მძიმე, არამხატვრული და დიდი ოფლისა და რიტორიკის სუნი ასდით. ისინი არა თუ, ბუნებრივად იჭრებიან მკითხველის მეხსიერებაში, არა მხოლოდ არ ჟღერენ მის ყურებში დაუსრულებლად, გინდა თუ არ გინდა მათი დახსომება, არამედ ძნელად დასამახსოვრებელნი არიან მაშინაც კი, როცა მოსწავლეებისათვის განგებ იზეპირებ, საქმეში ჩახედულისათვის ამით უკვე ბევრი რამ არის თქმული. მიუხედავად ამისა, იმ უზარმაზარი განსხვავებისა, რაც თანამედროვე ქართული ლიტერატურის ამ ორი კორიფეს ბუნებრივ ნიჭს შორის მოიძებნება, თავ. ი. გ. ჭავჭავაძემ და არა თავ. აკ. წერეთელმა აიღო მასში მეთაურობა და მისცა მას მიმართულება, ამასთან სრულიად მართებული და უცვალებელი.

რაკი მინდა უფრო მეტი სიცხადისათვის თხრობა შედარების ენით განვაგრძო, ამიტომ მოვიყვან მეორე სახელგანთქმული რუსი პოეტის —ნ.ა. ნეკრასოვის მაგალითს, ვისთვის არაა ცნობილი, რომ თუ მხედველობაში მხოლოდ სპეციალურ პოეტურ მხარეს მივიღებთ, ნეკრასოვი შორს იქნება გრაციისაგან, სახეობრივისა და ნაძალადეობრივისაგან, თუნდაც ისეთ მეორეხარისხოვან პოეტთან შედარებით, როგორიც ა.ნ. მაიკოვი ან გრ. ა.კ. ტოლსტოია. ამასთან ერთად მიუხედავად მისი პოეტური ნიჭის ამ თანდაყოლილი სისუსტისა, ეჭვი არაა, რომ ნეკრასოვს რუსული ლიტერატურის ისტორიაში როგორც პოეტს ნაძალადევი, გამოჩორკნილი, მოუხეშავი, ტლანქი, რიტორიკული ლექსის გამო კი არა, არამედ მისი შინაარსით აფასებენ და უყვართ, რითაც მან რუსულ პოეზიაში პირველმა შეიტანა ელემენტი, მანამდე რომ იშვიათად და შეუმჩნევლად გამოჩნდებოდა ხოლმე პუშკინისა და ლერმონტოვის ზოგიერთ ნაწარმოებში, რადგან ეს ელემენტები აღებულია ნამდვილი ცხოვრებიდან და სრულიად შეეფერება მის ნამდვილ განვითარებას, მაშ, რა ბედენაა თუ ისინი პოეზიაში მოუხეშავი მანერით, სცენური ფორმით იქნებიან შეტანილი?

მთავარია მოახდინოს შთაბეჭდილება, იყოს ძალა შთაგონებისა, მაშინ შინაარსის დონე და სიცოცხლისუნარიანობა ნაკლოვანი ფორმითაც კი თავისას გაიტანს, გამოჩნდებიან ახალი, მხატვრული გრძნობის მქონე „ლექსის ჰარმონიის“ პოეტები და სწორედ ისინი განაგრძობენ საქმეს, მიმართულების საფუძველმდებელთა ნაკლოვანებების გვერდის ავლით.

რასაკვირველია, პოეტური შემოქმედების ბუნებრივი კანონები დაურღვეველნი არიან. ნეკრასოვს ეს შესანიშნავად ესმოდა, როცა წუხილს გამოთქვამდა, რომ „Песнь моя безследно прозвучала, и до народа не дошла она“.

მაგრამ არც ესაა უბედურება. იგი ადრე თუ გვიან მივა ხალხამდე, თუნდაც მომდევნო პოეტების „გადამღერებით“, პოეტური შთაგონებითა და სიტყვის მუსიკის უმწიკვლო ძალით დაჯილდოებულთა მიერ. სწორედ ასევე, თუ თავ. ილ. ჭავჭავაძის ლექსები არ მივიდა ხალხამდე—მანამდეც საბედნიეროდ პირდაპირი გზითა და დიდი რაოდენობითაც მივიდა თავ. აკ. წერეთლის ლექსები—ქართველი საზოგადოებისა და ხალხის გონებრივი ცხოვრების შემდეგ განვითარებაზე მათ ნაღდად მეტი გავლენა ჰქონდათ.

რატომ ხდება, საიდან ჩნდება ბუნების კანონების ეს მოჩვენებითი დარღვევა? საკითხი არა მარტო საყურადღებოა, არამედ ჭკუის სას-

წავლებელიცაა მეტად, როგორც ახლავე დაინახავთ, შეადარეთ ერთამანეთს ორივე მწერლის არა მარტო ნიჭი, არამედ მათი რაობაც. ერთი—შედარებით ბუნებისაგან ძუნწად დაჯილდოებული,—დაუღალავად ძაბავდა მთელს ძალას, მთელს დროს იმისათვის, რომ თავის უნართათვის მიეცა ის განვითარება, ის ძალა, რაზეც ხელი მიუწვდებოდა. გააჩნდა რა ნებისყოფა, სიმტკიცე, ჰქონდა რა მიზანი ცხოვრებაში, იგი არ შეუდრკა შრომას, მის სიძნელეებსა და უსანდომობას. სწავლობდა, კითხულობდა სხვადასხვა მწერლების თხზულებებს, ითვისებდა ცხოვრების კანონებს და თავისი გონება განავითარა, ასწია თავისი დროის განათლებულ ადამიანთა გონების დონემდე. შეიძლება აქ გადააჭარბა კიდეც იმით, რომ გული მოუვიდა სწორედ იმაზე, რაც ყველაზე ძნელად ეხერხებოდა ამ გონებრივი მუშაობისას, რადგან ეს ყველაზე ნაკლებ შეეფერებოდა მის ბუნებრივ თვისებას—გრძნობას, ფილოსოფიას, მაგრამ საქმე ამაში არაა, მთავარია ის, რომ შრომობდა, ცოდნით იარაღდებოდა, რადგან ნათლად ახსოვდა, რომ მხოლოდ ამ გზით შეიძლებოდა ბუნებრივი ნიჭი მისულიყო თანამედროვეებზე გაბატონებამდე, შთამომავლობაზე ზემოქმედებამდე. და მართლაც ყველაფერში წარმატება მოიპოვა, მოიპოვა წარმატება იმიტომ, რომ თავის თანამემამულეთა შორის თითქმის ერთადერთი მოღვაწე იყო, აღჭურვილი ნებისყოფით, ამტანობით, შრომისმოყვარეობით. მას შეიძლება ნაკლოვანებები ჰქონდეს—ბევრ რამეში მე არ ვიზიარებ მის შეხედულებებს, არ ვაქებ მის მოქმედებას,—მაგრამ, მიუხედავად ამისა, ის—ძალაა. მისი მაგალითი ადასტურებს, რომ თვით იმდენად სპეციალურ დარგშიც კი, როგორიცაა პოეზია, რომელიც თავის მსახურთაგან განსაკუთრებულ შთამბეჭდაობას, განსაკუთრებულ მგრძნობიარობას, განსაკუთრებულ ნერვებსა და ტვინს მოითხოვს, ადამიანმა, რომელსაც ასეთი ნიჭი სრულიად არა აქვს, შეიძლება წარმატებას მიაღწიოს და აღნიშნოს თავისი კვალი თანამედროვეებისა და შთამომავლობისათვის საგანგებო სარგებლიანობით. მეორემ—კი, დაბადებულმა ჭეშმარიტ და გამოჩენილ პოეტად, ვაგლახ, თავს არავითარი ძალა არ დაატანა, არ შეაიარაღა თავისი პოეტური ნიჭი მისი ზემოქმედებისათვის საჭირო ყველა აუცილებელი ელემენტით და დარჩა თავისი შიშველი ბუნების პირველშობილ სიფაქიზესა და უბრალოებაში.

იგი აჯადოებს, როცა მოისმის მისი სიმღერა, აჯადოებს, როგორც უბადლო ბულბული და ესაა და ეს. მისი სიმღერა არ ბოლოვდება და არც დავიწყებას მიეცემა, აი, ეს ისე მართალია, როგორც ღმერთია

წმინდა. მაგრამ მან ქართულ ლიტერატურაში ვერ დაიჭირა მეთაურის ის მდგომარეობა, რაც დაბადებით ეკუთვნოდა, ზარმაცმა მიწამ მიწაში ჩაფლა მძლავრი იარაღი ღმერთისაგან ნაბოძები და მისი ხალხის ლიტერატურაში ვერ დარჩა ყველაფერი ის, რაც შეეძლო მიეცა ამ უზარმაზარ ნიჭს, „თავის მომკვლელსა და თავის მტერს", ნიჭს, რომელსაც უნდოდა ხელის განძრევა მხოლოდ, შრომა, რომ გენიოსად ქცეულიყო. განა ეს მეტად სამწუხარო არ არის?

მე ვწერდი ამას წინათ, მ. ე. სალტიკოვის ნეკროლოგში, თუ რა სიმაღლეზე აზიდა მან მძიმე და შეუწყვეტელი შრომით ნიჭი. გარდაცვლილი სატირიკოსის უახლოესი თანამშრომელი ნ. კ. მიხაილოვსკიც შეეხო საქმის ამ მხარეს თავის წერილში განსვენებულზე. ჩვენი პუბლიცისტის ამ წერილიდან ამოვიღებ შემდეგ სტრიქონებს („რუსკაია ვედომოსტი" 1889 ნ, №119):

„მე ყოველთვის მაოცებდა შჩედრინის შრომისმოყვარეობა. ის თვითონაც ამაყობდა ამით. ამტკიცებდა კიდევაც, რომ მისი ლიტერატურული სახელი მიღწეულია არა ნიჭით, რომელიც სულაც არ იყო დიდი, არამედ დამჯდარი მუშაობით. ერთ-ერთ საუბარში, ბავშვების აღზრდის შესახებ, ის მარწმუნებდა, რომ ცოტად თუ ბევრად ნიჭიერ მწერლად შეიძლება გახდეს ყველა,—საჭიროა მხოლოდ პატარაობიდანვე მიაჩვიოს ნიჭი მართებულ და შეუპოვარ მუშაობას; „რასაკვირველია, თუ იგი იდიოტი ან მათემატიკოსი არაა"—დაუმატა მან და, მგონი იგულისხმა წინააღმდეგობა გარკვეულ სპეციალურ ნიჭიერებასა და ყოველგვარ უნიჭობას შორის. ერთსა და მეორე შემთხვევაშიც, ჩანს, ვერას გააწყობ, ამ ფარგლებში კი შრომისათვის ყველაფერი ხელმისაწვდომია".

დაე, ამ სიტყვებს ჩაუფიქრდნენ ყველა ჩვენი ლიტერატურული უნარის მქონენი, დაე, კარგად ჩაიბეჭდონ გონებაში დიდი მწერლის ეს ანდერძი. მხოლოდ უნარით, მხოლოდ ნიჭით შორს ვერ წახვალ. იმათ უნდა ეშინოდეთ ბრბოს ტაშისკვრისა, წარმატებისა და გუნდრუკის კმევისა, რადგან ყველაფერი ეს დამღუპველად მოქმედებს მწერლის გონიერებაზე. როგორც ქვეყნის უდიდეს სიკეთეს, იგი გულში უნდა ატარებდეს თავის და თავისი ნაწარმოებებისადმი მუდმივ უკმაყოფილებას, დაუღალავად მიისწრაფვოდეს თანამოქალაქეთა უმრავლესობის გონებაზე სულ უფრო დიდი და დიდი ზემოქმედებისაკენ. ასეთი უკმაყოფილების უქონლობა, რასაც თან სდევს გულგრილი დამოკიდებულება თავის საქმიანობისადმი, უსურველობა საკუთარ განვითარებაზე მუშაობისა, წარმოადგენს საფლავს, რომელშიც უდროოდ

ჩაისვენეს თავი თითქმის ყველა ჩვენმა ლიტერატურული უნარის მქონე მგოსნებმა; პირველნი წარმატებით გაბრწყინებულნი, ეჩვევიან ბრბოს იაფი ტაშით ტკბობას და, რადგან ამ ტაშის უფრო და უფრო ახმაურებას ესწრაფვიან, ავადმყოფური გაღიზიანებით იმსჭვალებიან. ისინი ვერ იტანენ კრიტიკას, რადგან მასში ხედავენ არა გულწრფელ მისწრაფებას შემდეგი წარმატებისაკენ და სრულყოფისაკენ, არამედ მდაბალ ხელის შემართვას დაფნებისა და გვირგვინებისაკენ. საცოდავებს არ ესმით, რომ ეს დაფნებიც, ეკლიანების გამოუკლებლად, კრიტიკისაგან ედგმებათ ან ეხდებათ...

ვატყობ, გადავუხვიე მთავარ საგანს—თავ. აკ. წერეთელზე საუბარს. ვუბრუნდები რა მას, მისი დახასიათებისათვის ადგილის უქონლობის გამო, სიმოკლისათვის ვკმაყოფილდები გრ. ა. კ. ტოლსტოის ერთი შესანიშნავი ლექსით. პოეტისა, რომელსაც იმდენივე აუარებელი ღირსებანი და ნაკლოვანებანი გააჩნია, რაც თავ. აკ. წერეთელს. ის, რაც რუსმა პოეტმა დაწერა საკუთარ თავზე, ჩემი რწმენით სრულიად შეეფერება ქართველ პოეტსაც, აი, ეს ლექსი:

"Господь, мсня готовя к бою,
Любовь и гнсв вложил мнс грудь,
И мнс десницсю святою
Он указал правдивый путь,
Одушсвил могучим словом,
Вдохнул мнс в сердцс много сил,
Но испрсклонным и суровым
Мсня господь нс сотворил.
И гнсв я свой истратил даром,
Любовь нс выдсржал свою,
Удар напрасно за ударом
Я, отбивая, устаю.
Навстрсчу их враждсбной вьюгс
Я вышсл в полс без кальчуги,
И гибну, ранснный в бою!"

აჰ, თავ. აკ. წერეთელს რომ იმდენივე ნებისყოფა გააჩნდეს, რამდენიც მას ნიჭის ძალა აქვს. მას რომ შეგნებული ჰქონდეს მოვალეობის სიმძიმე და სიდიდე, რაც მიცემული აქვს განგებას მისთვის, მაშინ, ჯერ კიდევ დრო არაა წასული, რომ ჩამოებერტყა თვლემა და თავისი მშვენიერი ახოვანება გამოეჩინა.

იგი ჯერ არაა მოხუცი და საკუთარი განვითარებისათვის შრომა არასოდეს არაა გვიან... მაგრამ, მე ისე მიამიტი არა ვარ, რომ ასეთი მოჩვენებითი იმედით დავიმშვიდო თავი...

როგორც არ უნდა იყოს, დარწმუნებული ვარ, რომ მისი როლი, მისი ნიჭი, მისი მნიშვნელობა ქართულ ლიტერატურაში სამუდამოდ დარჩება ჭკუის სასწავლებელ მაგალითად ჩვენი ლიტერატურის მომავალი მოღვაწეებისათვის, რომელნიც ჩვენი თაობის ადამიანებზე უკეთესად ისწავლიან ხალხისათვის თავდადებულ სამსახურს ღმერთის მიერ მათთვის მიცემული მთელი ძალით და მათ მიერ გულმოდგინედ განვითარებული ნიჭიერებით.

98. საუქმო საკითხავი

დიდი ხნის წინათ, უცნობ სამეფოში ცხოვრობდა ერთი ბედუკულმართი მწერალი, რომელიც დარწმუნებული იყო თავის სიქველეში, მისდა საუბედუროდ, მან გადაწყვიტა პერიოდულად გამოეცა საკუთარი და სხვათა ნაწარმოებები ისეთ ქვეყანაში, სადაც სწრაფად შესასრულებელ სამუშაოზე მეტად ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდათ.

იმ დროში მისი თანამოკალმეების დიდი ნაწილი იფარგლებოდა იმით, რომ წელიწადში წერდნენ ერთ-ორ ოდას, ან ელეგიას, დანარჩენ დროს კი ანდომებდნენ თავიანთი ნაწარმოებების გადაკითხვას. ამ პირობებში ბედუკულმართი მწერლის დაპირება—ყოველდღე გამოეშვა მთლიან პაპირუსზე ახალი ლიტერატურული ნაწარმოებები—გაბედული საწარმოს გახსნაზე უფრო დიდი მოვლენა იყო. თანამოკალმეები ეხმარებოდნენ, რითაც კი შეეძლოთ. გამოუგზავნიდნენ ან ერთ ოდას ან ერთ ელეგიას და ამის შემდეგ დუმდნენ. მაგრამ ერთად აღებული ყველა ოდა და ელეგია პაპირუსის მხოლოდ მეოთხედს ავსებდა, დანარჩენის შევსება უხდებოდა თვით მწერალს. იგი თავს იმხნევებდა და ამ მდგომარეობას ერთი-ორი, თუმცა სამი თვეც კი გაუძლო, მაგრამ მის სულიერ სიმხნევეს შედეგად მაინც უბედურება მოჰყვა და ჩვენი ბედუკულმართი მწერალი ლოგინად ჩავარდა იმ ავადმყოფობით მოცელილი, რასაც ჩვენს დროში ექიმებმა „გადაღლილობა“ მოუნახეს სახელად. მიუხედავად ამისა, ლოგინში ჩავარდნილი მწერალი დასუსტებული ხელით მაინც ახერხებდა პაპირუსზე რაღაცის დაჯღაბნას.

ამ დროს მას გამოეცხადა მაცდუნებელი ეშმაკი. ამ იშვიათი სტუმრის გამოცხადებამ საკმაოდ შეაფიქრიანა ავადმყოფი.

„უმიზნოდ“ და „მზაკვრული აზრის“ გარეშე ეშმაკს არასოდეს არც ერთი ნაბიჯი არ გადაუდგამს—ფიქრობდა თავისთვის მწერალი—„რისთვის გამომეცხადა იგი?!“

ეშმაკმა თითქოს ეს აზრი მწერლის დაბნეულ მზერაში წაიკითხა და ტკბილი ხმით დაიწყო:

—საყვარელო ძმაო, გავიგე, ავად გამხდარხარ და შენს სანახავად მოვედი: რამე ხომ არ გჭირდება, და რადგან ყველაფერი შემიძლია, მსურს დაგეხმარო. სამწუხაროდ ამჟამად ბევრი ფული არა მაქვს. მევალეებმა სულ აიღეს ხელი ვალის დაბრუნებაზე...

—მაინც დიდი მადლობელი ვარ...

—ვფიქრობ, შენი ავადმყოფობის მიზეზი გადაღლილობაა. დაანებე თავი მუშაობას, დაისვენე და თუ დამიჯერებ, თვალის დახამხამებაში მომჯობინდები...

—პაპირუსი? პაპირუსს ვინ დაწერს?...

—როგორ თუ ვინ? შენ ზიხარ შენს გალიაში და ადამიანებს არ ხვდები. ამიტომ არც იცი, რამდენი კაცია ქვეყნად ისეთი, ხალხისათვის რომ ბევრი რამ აქვს სათქმელი და მზადაა ისე წეროს, როგორც „სწამს“.

—მერე, ვინ უშლით ხელს?

—მათ მოძებნა, მოზიდვა, მოპოვება სჭირდება.

—ამავე დროს წახალისებაც და დაჯილდოებაც, არა?—დასძინა მწერალმა და ხელი ჩაიქნია.

—სიტყვა რომ არ გავაგრძელო, მოვდივარ გუშინ გზად, მოწყენილობისაგან მეგობრებს „სამ ფურცელს“ ვეთამაშებოდი, ჩვიდმეტი ტალანტი მოვიგე. სიტყვა შენს პაპირუსებზე ჩამოვარდა: ერთნი გაქებდნენ, მეორენი გაძაგებდნენ, მაგრამ ყველანი ერთხმად ამტკიცებდნენ, რომ შენ მძიმე საქმე წამოიწყე... იქვე, შემთხვევით აღმოჩნდა ერთი სწავლული მექანიკოსი, დიდი არქიმედეს უშუალო მოწაფე, გაიგო რა, რომ გიცნობ და მეგობრები ვართ, გამეცნო და მითხრა, რომ ხალისით დაიწყებს შენს პაპირუსებში თანამშრომლობას, თანაც უსასყიდლოდ და თუ შენს გაცნობას მოახერხებს, თავის წერილებში ბევრ საინტერესო აზრს გამოთქვამს. მე დავპირდი, ერთმანეთს შეგახვედროთ, ცხადია, თუ შენც თანახმა ხარ.

—ვინ არის?

ეშმაკმა მისი ვინაობა დაასახელა.

—გემთმშენებელია, არა? მგონი, გემთმშენებლობაში ყოველთვის ცუდად მიუდიოდა საქმე. მთელი სიცოცხლე აშენებს, არ ზოგავს

სახელმწიფო სახსრებს, მაგრამ მის გემებს მანამდე ხრავენ მატლები, სანამ წყალში ჩაუშვებდნენ და ამიტომ მაშინვე იძირებიან...

—მართალი გითხრა, არ ვიცი. იგი ამტკიცებს, ყველაფერი ეს მოშურნეთა ინტრიგების გამო ხდებაო. თუმცა შეიძლება იგი ცუდი მშენებელი იყოს, მაგრამ თქვენი სასარგებლო თანამშრომელი გახდეს. შენ ხომ გემებს არ აშენებ, ხოლო რაც შეეხება წერას, ამბობენ, წერა იცისო, თვითონაც იფიცება: დავწერ რასაც გინდა, რამდენსაც გინდა და როგორც გინდაო. ბოლოს და ბოლოს შენ ხომ არავითარ რისკზე არ მიდიხარ. არ გამოგადგება—დაითხოვ.

ავადმყოფ მწერალს სხვა გამოსავალი არ ჰქონდა. ამავე დროს არც დაეჭვებულა, რომ მახეს უგებენ და დათანხმდა ხელმოცარულ გემთმშენებელს შეხვედროდა.

ცქვიტმა ეშმაკმა იმ დღესვე მიიყვანა გემთმშენებელი ავადმყოფ მწერალთან. ისაუბრეს და გადაწყვიტეს „გამოეცადათ".

გემთმშენებელი ჟურნალისტად გადაიქცა...

—აი, მე წინასწარ მოგიტანეთ ექვსი წერილი პაპირუსის ყველა განყოფილებისათვის. გადახედეთ და მოექეცით მას, როგორც გნებავთ. ხვალ კიდევ შვიდ ახალ „ცალ" წერილს მოგიტანთ.

მწერალს ოდნავ ეხამუშა ამგვარი ენა, მაგრამ მაინც მიუტევა, რადგან იფიქრა, რომ ადამიანისათვის, რომელიც მთელი სიცოცხლე ლურსმნებსა და ფიცრებს ითვლიდა, „მისატევებელია" ლიტერატურული ნაწარმოებებიც, რომ „ცალობით" დათვალოს.

როცა გემთმშენებელი წავიდა, მწერალმა ხელში კალამი აიღო და დაიწყო დატოვებული წერილების კითხვა. ისინი უხიაგი და ერთმანეთთან დაუკავშირებელნი იყვნენ, მათი წაკითხვა თავისუფლად შეიძლებოდა ბოლოდანაც და შუიდანაც, ერთმანეთის მიყოლებითაც და მთელი გვერდების გამოტოვებითაც. ყველაფერი წესრიგში იყო—სიტყვებიც, სტრიქონებიც, ფრაზებიც, აკლდათ მხოლოდ მცირე რამ—აზრი: გაუგებარი იყო რისთვის დაიწერა ყოველივე და რისი თქმა ან დამტკიცება სურდა ავტორს...

და დაიწყო მწერლის კალამმა გემთმშენებლის ხელნაწერებზე სეირნობა, ერთ ადგილას შლიდა სტრიქონებს, მეორე ადგილას შეჰქონდა სხვა წინადადება, დასაწყისი გადაფრინდა ბოლოში, შუა ნაწილი დასაწყისში და ა.შ. ბოლოს და ბოლოს ექვსი დატოვებული წერილიდან გამოვიდა ერთი, რომელსაც აზრიც ჰქონდა, მარილიც და კავშირიც. აი, ამ სახით გადავიდა წერილი მწერლის პაპირუსზე.

დილით მწერალს გამოეცხადა ხელმოცარული გემთმშენებელი, ხელში პაპირუსის დილის გამოშვება ეჭირა, ხოლო იღლიაში წინა დღით დაპირებული შვიდი წერილი ჰქონდა ამოჩრილი.

—წმინდა მამაო, რა უქენით თქვენ ჩემს წერილებს—აღრიალდა იგი, როგორც კი კარებში ფეხი შედგა—მე ისინი საერთოდ ვერ ვიცანი. თქვენ მე სულ სხვა სიტყვები მომაწერეთ, რომლებიც თითქმის ეწინააღმდეგებიან ჩემს აზრს. კიდევ კარგი, რომ ჩემი ნაშრომი ხელმოწერილი არაა თორემ სამსახურიდან დამითხოვდნენ. ნუთუ ახალ წერილებსაც ასე მოექცევით?

—ვნახოთ...

თუმცა ჩემთვის სულ ერთია, ჰქენით, რაც გნებავთ, მაგრამ თუ თქვენ ასეთი მკაცრი ხართ, განა უკეთესი არ იქნება, წინასწარ თუ მეტყვით, რაზე ვწერო? მაშინ ნაკლებ შრომას დახარჯავთ ჩემი წერილების სწორებაში.

—მე თვითონ მინდოდა შემომეთავაზებინა თქვენთვის ამგვარი რამ, მაგალითად, მინდა დანეროთ კერძო გზების გამოსყიდვის აუცილებლობაზე. ისინი ხომ სახელმწიფოს ხარჯითაა გაყვანილი და სახელმწიფოვე ინახავს. ამიტომ რატომ უნდა ფლობდნენ მათ ისედაც უთაური კერძო პირები? შეიძლება ამ თემაზე ათობით მშვენიერი წერილი დაიწეროს, რაც დიდ სარგებლობას მოუტანს ხაზინას. დამეთანხმეთ, რომ აზრი ახალი და სწორია. მასალებით კი, აი, ამ საქაღალდედან ისარგებლეთ...

—კი ბატონო, თანახმა ვარ—უპასუხა გემთმშენებელმა. —მართალია, ეს არც ისე მოეწონებათ ჩემს მეგობრებსა და ნაცნობებს (თქვენ იცით, გზის მფლობელებს შორის მე ბევრი ამხანაგი მყავს), მაგრამ წერილები ხომ ხელმოწერილი არ იქნება?

—როგორც გნებავთ.

და, აი, პაპირუსში გამოჩნდა გემთმშენებლის მთელი რიგი ვრცელი წერილები „კერძო გზების გამოსყიდვის შესახებ". ცხადია, ისინი გასწორებული და შევსებული იყო პაპირუსის გამომცემლის მიერ.

გემთმშენებლის ამგვარი თანამშრომლობა პაპირუსებში საკმაოდ დიდხანს გაგრძელდა, მიუხედავად იმისა, რომ იგი ვერასოდეს ვერ ცნობდა თავის წერილებს, ნებით თუ უნებლიეთ მას მათში ისეთი ადგილების კითხვა უხდებოდა, რის გამოც თმა ყალყზე უდგებოდა, მაგრამ იგი მაინც ამაყობდა იმით, რომ ორმოცდარვა ათასი სიტყვა „დაახვავა" და თავი იმითაც მოჰქონდა, პაპირუსებში რომ თანამშრომლობდა. ცქვიტი ეშმაკი ყოველთვის, როცა პაპირუსების გამომცემელს ხვდებოდა, თვითკმაყოფილი ხრიდა თავს მის წინ და ეუბნებოდა:

—მე, ჩემო ძმაო, მცირე სამსახური როდი გაგიწიე იმით, რომ გემთმშენებელი მოგგვარე. დიდად გეხმარება. უიმისოდ კარგა ხანია საფ-

ლავში იქნებოდი: მთლად გაგიწყდებოდა ქანცი მუშაობით. ყველაფერი ეს შენდამი სიყვარულმა, შენდამი ერთგულებამ ჩამადენინა. ბევრი ვიზრუნე იმისათვის, რომ შენთვის ამგვარი დამხმარე ძალა გამომენახა.

გულკეთილ მწერალს ყველაფერი ჯეროდა და ყოველივე ამისათვის მადლობას უხდიდა.

გავიდა რამდენიმე წელი. „პაპირუსი" გაკოტრდა. მისი გამომცემელი არც ისე შორ ადგილებში გაასახლეს, სიტყვას რომ მოვაყოლოთ, მომხიბვლელ ადგილებშიც კი. სამწუხაროდ, მისი გადასახლების დღეებმა სწრაფად გაირბინა. მის ცხოვრებაში ეს პერიოდი დასვენების ერთადერთი მონაკვეთი იყო. როცა უკან დაბრუნდა, აღმოჩნდა, რომ მას არ შეუძლია დაუბრუნდეს ძველ სამუშაოს და ამიტომ ლუკმაპურის საშოვნელად დაიწყო ახალი, სხვებზე დამოკიდებული სამუშაოს ძებნა. ბოლოს მოეწყო კერძო გზების მშენებლობის ხელქვეითად.

როცა ხმებმა ამის შესახებ გემთმშენებლამდე მიაღწია, ამ უკანასკნელმა თხოვნით მიმართა თავის ყოფილ რედაქტორს, გაეხსენებინა მათი „ერთად მუშაობა" და მისთვისაც ეშოვა ადგილი გზის მშენებლობაზე.

მწერალმა, რა თქმა უნდა, იზრუნა იმისათვის, რომ ადგილი ეშოვა ხელმოცარულისათვის და მისი ცდა სრული გამარჯვებით დაგვირგვინდა: ხელმოცარული გემთმშენებელი ამ ხნის განმავლობაში არა მარტო ლიტერატურული სამუშაოს გარეშე იყო დარჩენილი, არამედ უკანასკნელი სახელმწიფო სამუშაოდანაც დაეთხოვათ და სოლიდურად უზრუნველყოფილი რომელიღაც კერძო გზის უსაქმურებთან უსაქმურ ადგილზე „განეწესებინათ".

დიდი ხვეწნის, რეკომენდაციებისა და გარჯის შემდეგ გემშენებელმა ეს მძიმე საქმეც მოაგვარა და კანტორაში შევიდა.

—უჰ, როგორც იქნა მოხერხდა კეთილი საქმის მოგვარება—უთხრა მწერალმა თანამშრომლებს.—როგორც იქნა მოეწყო სამსახურში, უბედურს ხელმოცარული სიბერის დღეები მაინც ექნება უზრუნველყოფილი...

—ეჰ, თქვენ ნამდვილი გულუბრყვილო ბავშვი ხართ—შეედავა მეორე თანამშრომელი, რომელიც თავს პატარა ტალეირანად თვლიდა.—იცით, როგორი ბატისათვის გამოიდეთ თავი?

—როგორისათვის?

—თქვენ გგონიათ იგი თქვენს პაპირუსებში უანგაროდ თანამშრომლობდა? აი, დატკბით: იგი ხელში ჩვენი კანტორის აგენტმა, ცქვიტმა ეშმაკმა შემოგაჩეჩათ და ჩვენი სალაროდან ყოველთვიურად 250 ტალანტს იღებდა არა იმიტომ, რომ თქვენთან მუშაობდა, არამედ იმისათვის, რომ ჩვენს შესახებ ცუდი არსად არაფერი დაეწერა და ეთქვა. ჩვენს უწყებაში მთელი მიმოწერაც კი წარმოიქმნა იმის შესახებ, რომ არ შეგვეწყვიტა მისთვის „ჯამაგირი" იმის გამო, რომ იღებდა რა ჩვენგან ფულს, ამავე დროს თქვენს „პაპირუსში" კერძო გზების „გამოსყიდვას" ქადაგებდა, თავი მან მხოლოდ იმით იმართლა, რომ დაგვარწმუნა, წერილები მისი დაწერილი არ იყო. ასე რომ, დიდებულად გაგაცურათ, თქვენ კი ისევ მისთვის ხლაფორთობთ და ზრუნავთ.

მწერალმა გაკვირვებისაგან ამოიოხრა, მაგრამ დაჯერებით მანამდე არ დაიჯერა, სანამ საბუთებით არ დაუმტკიცეს, რომ მისი ყოფილი თანამშრომელი კერძო გზის სალაროდან ყოველთვიურად 250 ტალანტს ღებულობდა.

დიახ, დიდი ხნის წინათ ქვეყნად ნაირნაირი „მწერლები" და „ტალეირანები" ცხოვრობდნენ. სამაგიეროდ ახლა, ჩვენს დროში, ასეთებს სანთლითაც ვერ იპოვი დედამიწის ზურგზე.

99. საუქმო საკითხავი

იმ გაცხოველებულ მითქმა-მოთქმაზე, რაც ჩვენს ინტელიგენციაში, უმთავრესად ქართულ ინტელიგენციაში აღმოცენდა ჩემი უკანასკნელის წინა ფელეტონის ირგვლივ, მიძღვნილს თავ. აკ. წერეთლისა და ილ. ჭავჭავაძის დახასიათებისადმი, მე იძულებული ვარ მკითხველს წარვუდგინო ზოგიერთი დამატებითი ახსნა-განმარტება. ცხადია, მე სრულიადაც არ ვიტყვი საკითხის იმ მხარეზე, რომელიც ხსენებულ მწერალთა ნიჭის შესახებ მსჯელობას შეეხება.

ამაზე მე გარკვეულად გამოვთქვი ჩემი ჩამოყალიბებული აზრი და რაიმე დასამატებელი არა მაქვს რა. ამის მტკიცება ახლა არ მესაჭიროება. ჯერ ერთი იმისათვის, რომ საჭირო იქნებოდა ორივე პოეტის ლექსების დაწვრილებით გარჩევა, ქართული ციტატების მოყვანა, რაც „ნოვოე ობოზრენიეს" მკითხველთათვის არავითარ ინტერესს არ წარ-

მოადგენს, მეორეც იმიტომ, რომ ამ ჩემს შეხედულებას სერიოზულად არავინ ეკამათება, გარდა თვით პოეტებისა. ისინი კი საკუთარ საქმეთა მსაჯულებად არ გამოდგებიან.

ვნუხვარ, რომ როგორც ამბობენ, ისინი მეტად არიან ნაწყენი ჩემი შეფასების მოურიდებლობით, მაგრამ რა ეშველება ამით ჭირს! დიდი ხანია ცნობილია, თუ რას ამბობს ერთი ქართული ანდაზა, რომ „მართლის მთქმელს ცხენი შეკაზმული უნდა ჰყავდესო". ცხადია, მე ადამის ცოდვაში ჩავვარდი, რომ ერთი მხოლოდ პუშკინს შევადარე, მეორე კი მხოლოდ ნეკრასოვს. მე უნდა დამეფიცნა, რომ ორივე უფრო დიდია, ვიდრე გოგოლი, სერვანტესი და შექსპირი ერთად აღებული. მაგრამ, სულერთია, მაშინაც ძლიერ ვაწყენინებდი, რადგან თითოეული მათგანი იტყოდა, რომ „მეორესთან" შედარება მისთვის შეურაცხმყოფელია. ხუმრობა იქით იყოს და, მე არავითარი სურვილი არა მაქვს ამ წერილებში დავიწყო ქექვა. დარწმუნებული ვარ—მომავალი სრულიად დაადასტურებს ჩემი კრიტიკული შეფასების სისწორესა და მიუკერძოებლობას, ამიტომაც ამაზე საუბარი აღარა მსურს. ვუბრუნდები ჩემი ფელეტონის სიუჟეტს და არა მის გამომწვევ საბაბს სრულიად სხვა მიზეზის გამო.

ერთი ჩვენი ნიჭიერი ჟურნალისტი, ჩემს მიერ დაყენებული საკითხის „ტიფლისკი ლისტოკში" გარჩევისას, დიდ ხათაბალაში გაეხვა. ფელეტონის თითქმის ცამდე აყვანისას, მასში მხოლოდ ერთი ნაკლი აღმოაჩინა: ნიკოლაძეს არ ესმის, რომ ნიჭი შრომასთან შეთავსებულიაო.

ამასთან, როგორც „ნოვოე ობოზრენიეს" მკითხველებს ახსოვთ, აზრი იმაზე, რომ ნიჭი შეთავსებულია შრომასთან, რომ თავისი განვითარებისათვის უშრომლად ნიჭი ფატალურად განწირულია ჩახშობისათვის და უნაყოფობისათვის, წარმოადგენდა ჩემი ფელეტონის საფუძველს, მის ალფასა და ომეგას. ეს ფელეტონი ძირითადში მართალი რომ არ ყოფილიყო, თუ მისი დედააზრი ყალბი იქნებოდა, მაშ, გინდა მომკალით, არ მესმის, როგორღა უნდა მოსწონებოდა იგი მის მაქებარს და რა უფლებით უნდა შეექო თავი. ჩემს კრიტიკულ მსჯელობას თავ. აკ. წერეთლისა და ილ. ჭავჭავაძის ნიჭსა და მოღვაწეობაზე იმდენად ვაფასებ, რამდენადაც შარშანდელ თოვლს. ამის შესახებ ის ვთქვი, რასაც ვფიქრობდი, ის, რასაც მიკარნახებდა ჩემი გემოვნება, ჩემი შეხედულება. რასაკვირველია, შეიძლება ვცდებოდე და თუ აღმოჩნდება კრიტიკოსი, რომელიც დაამტკიცებს ან დაადგენს სხვა, უფრო ნამდვილ შეხედულებას ამ საგანზე, დამერწმუნეთ, მე პირველი ვიქნები ამის მეტად მოხარული.

მაგრამ ასე გულგრილად სრულიადაც არ ვექცევი ჩემი ფელეტონის ძირითად აზრს. იგი ჩემთვის სისხლხორცეულად ძვირფასია, რადგან მასში ვხედავ ჩემი სამშობლოს განვითარებისა და კეთილდღეობის საწინდარს, მისი სულიერი ძალების სრული განვითარების წანამძღვრებს, მის მომავალ კეთილდღეობას, ჩვენი ქვეყნის ბედი ერთი წვეთითაც არ იცვლება იმის გამო, თუ ვინ როგორ შეხედავს თავ. აკ. წერეთლისა და ილია ჭავჭავაძის ნიჭს, ან ვინ რა აზრისა იქნება ნიკოლაძის კრიტიკულ გამჭრიახობაზე, მაგრამ, იმის გამო, ახალგაზრდა თაობას ენერგება თუ არა მართალი ან შემცდარი წარმოდგენა საკუთარი განვითარებისათვის შრომაზე, დამერწმუნეთ, პირდაპირ და არსებითად არის ამაზე დამოკიდებული ჩვენი საზოგადოებისა და ხალხის შემდეგი ბედი. აი, რატომაა, რომ მიუხედავად ჩემი სურვილისა, არ ჩავერიო დავაში და პოლემიკაში, იძულებული ვარ, შესაფერად გავუმკლავდე მკრეხელობას, რასაც შეუძლია შეარყიოს და ღონისაგან დაცალოს ჩვენი არა ერთი ნიჭიერი ადამიანი. პოეტ აკ. წერეთლის პიროვნებისადმი საერთოდ წარმოშობილი ინტერესით ვსარგებლობდი, რაც წარმოიშვა მიხეილის სახელობის სამიწათმოქმედო ბანკის დამფუძნებელთა საერთო კრების დადგენილებით—დაენიშნათ მისთვის სამუდამო პენსია და, ვისარგებლე რა როგორც არა ერეტიკოსმა, არამედ როგორც პუბლიცისტმა, კრიტიკა მოვიხმე იმდენად, რამდენადაც ეს საჭირო იყო პუბლიცისტისათვის.

თავ. აკ. წერეთლისა და ილ. ჭავჭავაძის პიროვნებებით მე ვსარგებლობდი, როგორც ცოცხალი მაგალითებით, როგორც ლურსმნით, რომ ჩვენი საზოგადოების თავში ერთხელ კიდევ ზედმეტად ჩამეჭედა ნდობა და პატივისცემა შრომისადმი, მეცნიერებისადმი, თვითგანვითარებისადმი. დამნაშავე ვიქნებოდი, რომ სამართლიანი საქმის, წმინდა იოტის ინტერესებისათვის ერთი ბეწვითაც თუ ვიცრუებდი განხილული მწერლების კრიტიკულ შეფასებასთან დაკავშირებით. ეს იქნებოდა ჭეშმარიტად „დანაშაულზე მეტი, ეს იქნებოდა შეცდომა. ასეთ შეცდომაში არ ვარდება „მტკიცე გონებაზე და საღ აზრზე" მყოფი ადამიანი, რომელსაც გაეგება ლიტერატურის ისტორიის უფლებანი და განაჩენი. ეს ხომ ინსინუაციები არაა მწერლის მოღვაწეობის პირადი სარჩულის გამო, ეს ხომ არაა ჩაძვრომა მის სულში,—რაშიც შეიძლება მეტი და უწმინდური ადამიანები დაუსჯელად ვარჯიშობდნენ,—არამედ მსჯელობა ლიტერატურულ ნაწარმოებთა ფორმასა და შინაარსზე, რაც ლიტერატურის ისტორიისა და კრიტი-

კის შემონმებას ექვემდებარება. მე აუცილებლობად ვთვლიდი, ეს ჩემი ძირითადი აზრი, რაც შეიძლება ნათლად განმევითარებინა სწორედ იმისათვის, რომ განა გუშინდელი დღიდან მიწუხს სული იმ დაუდევრობისათვის, რის გამოც ჩვენში იფლანგება და ვერანდება ჩვენი საზოგადოებრიობის ნიჭიერი ნაწილის საუკეთესო შესაძლებლობანი? ეს მოვლენა სრულიადაც არაა შემთხვევითი, არც სპორადიული, არამედ წმინდა სისტემატური და საყოველთაოა. მას ღრმა ფესვები თვით ჩვენს საერთო რუსულ კულტურასა და ლიტერატურაში გააჩნია. ეს ბოროტება ნაყოფია იმ გარდამავალი დროისა, რომელიც ჯერაც არ მოგვიცილებია თავიდან. თავის დროზე იგი აუცილებელი იყო და, რადგან საკმარისი წინააღმდეგობა ვერ ნახა, განაგრძო ზრდა, მიუხედავად იმისა, რომ შეცვლილ პირობებს ხელი უნდა შეეწყო მისი მოსპობისათვის. უფრო გასაგებად ვიტყვი:

როცა ორმოციანი წლების ბოლოს, ყირიმის ომის შემდეგ, რუსეთი გარეშე შთაბეჭდილების ქვეშ თვითგანვითარების მასიცოცხლებელმა ციებ-ცხელებამ მოიცვა, სრულიად ცხადია, რომ ძველი ფორმებისა და ცხოვრების წესების გაცხარებული ნგრევის სასიცოცხლო მუშაობისას, ქვეყნის გონებრივ ძალებს არ ეცალათ დამშვიდებული კაბინეტური მუშაობა ეწარმოებინათ საკუთარი განათლებისა და განვითარებისათვის. ასეთ დროს საზოგადოებას არ შეეძლო მოძრაობაში მოეყვანა ყველა ის არსებული ძალა, ცუდია ისინი თუ კარგია სრულიად თუ ნაკლებად არიან განვითარებულნი და სხვ. სახალხო ომების, უბედურებათა და ა.შ. დროს გასაგებია, ზემალალფარდოვანებისათვის არავის სცალია. აი, ასეთ დროს, თვით ყოვლად კეთილსინდისიერ და სერიოზულ მწერლობასაც კი გაეპარებოდა ხოლმე ისეთი აზრი, რომ ახლა დრო არაა სწავლისა, არამედ საჭიროა საქმის კეთება, საჭიროა სასიცოცხლო ბრძოლაში ჩაბმა თითოეული წუთის დაუკარგავად. ხვალ რომ სახალხო ომი შეგვექმნეს,—რისგანაც ღმერთმა დაგვიფაროს,—ან სხვა რამ ამის მსგავსი, მეც იმას ვიქადაგებდი, რომ სამშობლოს სამსახური ჩვენგან მოითხოვს გადავდოთ წიგნებიც, ხელოვნებაც, მხატვრობაც და ვემსახუროთ იმით, რაც ამ წუთში გაგვაჩნია, თუნდაც ცარიელი ხელებით. მაგრამ შემდეგ გარემოებანი შეიცვალა, სხვა მწერლები, რომელნიც პირველის ტოლნი არ იყვნენ, სხვათა აღთქმების მექანიკურად განმმეორებლები, არაბუნებრივად მიმდევარნი იმის ხელოვნურად გამოწვევისა ცხოვრებაში, რასაც ადამიანის ძალით ვერ გამოიწვევ, ამტკიცებდნენ, რომ სწავლა, საერთოდ

არაა საჭირო, რომ ახალგაზრდობამ ისედაც ძალიან ბევრი იცის. სწორედ იმიტომ, რომ მრავალი თაობა ასეთი შეხედულების გავლენაში მოექცა, ღონისაგან გამოიფიტა და „არამწარმოებლად“ იქცა არა მხოლოდ ჩვენში, კავკასიაში, არამედ, საერთოდ, რუსეთშიაც. ასეთი შეხედულების გავლენის ქვეშ უმთავრესად იმიტომ მოექცნენ, რომ იგი უპასუხებდა ადამიანის მოდგმის თანდაყოლილ მიდრეკილებას სიზარმაცისაკენ. მათ კანონად უდებდნენ თვითგანვითარებისათვის საჭირო შრომას, ღონისძიებას, მსხვერპლის გაუქმებას, მათ ენერგებოდათ საკუთარი უცოდინარობით თვითკმაყოფილება: შეიძლებოდა უსწავლელად დარჩენა და ყოყოჩობა საკუთარი „განვითარებით“, ამისათვის საკმარისი იყო დამოწმება ერთადერთი წაკითხული წიგნაკისა ან სწავლის უსარგებლობაზე დაწერილი წერილისა. ყოველგვარ ეჭვგარეშეა, ამ შეხედულებასა და იმას შორის, რომელიც წამოისროლა ჩემმა მაქებარმა „ტიფლისკი ლისტოკში“, თითქოს არავითარი ორგანული კავშირი არ არსებობს, მაგრამ აქედან სულაც არ გამომდინარეობს, რომ ეს ორივე „მოძღვრება“ არ იყოს უსაფუძვლო და დამღუპველი ჩვენი ახალგაზრდა თანამემამულეებისათვის.

მე არ ვიცი, ახალი თაობის თვალში რა სახელი აქვთ მოპოვებული „ტიფლისკი ლისტოკსა“ და ჩემი აღმაშფოთებელი წერილის ავტორს, მაგრამ უნდა დავუშვა, რომ ახალგაზრდებიდან ვინმე კითხულობს და სჯერა მისი. ამის შემდეგ დავუსვამ კითხვას: რა უნდა იფიქროს ჭაბუკმა, როცა წაიკითხავს სიტყვებს შრომისა და ნიჭის შეუთავსებლობის შესახებ? ცხადია, მასში გაჩნდება ცთუნება,—მისატევებელი ყოველი ადამიანური პიროვნებისათვის,—თავი ჩათვალოს არა იდიოტად, არამედ ნიჭიერად, სხვანაირად არც შეიძლება, რადგან ხალხი რომელსაც არავითარი ნიჭი არ გააჩნია, ქვეყანაზე ისევე ცოტაა, როგორც კრიტიკას გადაყოლილნი. ყოველი მომაკვდავი ღმერთის მიერ დაჯილდოებულია ამა თუ იმ ნიჭითა და ნიჭუკელათი. აქედან ერთი ნაბიჯია იმის რწმუნებამდე, რომ სრულიადაც არაა საჭირო არც სწავლა, არც შრომა, არც მეცნიერებაში ჩაკირკიტება, არც ნებისყოფისა და ხასიათის გამომუშავებისათვის ჯახირი, არც საკუთარი თავისათვის ლაგამის ამოდება და სხვისი უფლებებისა და ინტერესებისადმი სამართლიანი დამოკიდებულება: ყოველივე ეს უნიჭო ადამიანთა საქმეა. მხოლოდ მათთვისაა კანონები დაწერილი, ჩვენთვის კი, ნიჭიერთათვის, ღვთივკურთხეულთათვის, კანონები არ არსებობს. ცოდნა, ეთიკა, ნებისყოფა, ვაჟკაცობა თავისთავად ჩაგვიცვივიან პირში შემწვარი მწყე-

რებივით. მთავარია, ფეხაწეულები ვიწვეთ ტახტზე, ვუცქიროთ საკუთარი ცხვირის წვერს და დროდადრო ხელი გავისვათ გოლიათურ მკერდზე. შთაგონება თავად მოგვეფინება მაღლით და ჩვენ ხალხს ჩვენთვის უცნობი ჭეშმარიტების სიტყვებს ვუქადაგებთ. რა ბედენაა, თუ ამ ზეშთაგონების გავლენით, დღეს ერთს ვიტყვით, ხვალ—მეორეს, არაერთხელ ნათქვამ ნმინდა, მაგრამ საერთოდ ცნობილ ჭეშმარიტებასთან ერთად მტკნარ აბსურდებსაც დავახეთქებთ? საკუთარ თავზე მუშაობა, სხვათა აზრებთან დაპირისპირება, რაც ჩვენამდეც იყო და ჩვენს შემდეგაც იქნება, განა ეს ყველაფერი ჩვენი ნიჭიერების საქმეა? ეს არის უნიჭოთა საქმე, რომელნიც თვით ბუნების მიერ არიან მსჯავრდებულნი ხეპრული საქმეებისათვის, შრომისათვის. ჩვენ კი, აზრისა და ნიჭის არისტოკრატებს, ეს სრულიადაც არ გვაძლევს ხელს.

ასეთი მოძღვრების წარმატების შესაძლებლობა უზომოა სწორედ იმიტომ, რომ იგი ბავშვურ თავმოყვარეობას აამებს, აამებს ჭაბუკის წვრილმან თავმოყვარეობასაც, აამებს მის თანდაყოლილ მიდრეკილებას სიზარმაცისაკენ, ქართულ საზოგადოებაში კი, რომელსაც საერთოდ აღმოსავლური ქეიფის ზნე სჭირს, ამგვარი თესლი პოხიერ ნიადაგს ჰპოვებს.

არა, ეს აღმაშფოთებელი სიცრუეა, მხოლოდ საგნის უცოდინარობისათვის მისატევებელი, რომ ნიჭი შეუთავსებელია შრომასთან. შექსპირი, გოეთე, ბაირონი, სერვანტესი და სხვები იყვნენ არა მარტო ნიჭიერნი, არამედ პირდაპირ გენიოსები, ეს მათ სულაც არ უშლიდათ ხელს მთელი სიცოცხლის მანძილზე ემუშავათ და ეშრომათ საკუთარი განვითარებისათვის და დამდგარიყვნენ თავისი დროის განათლებულ ადამიანთა არა მარტო დონეზე, არამედ შედარებით მაღლა. ისინი, ეს გენიოსები, საკუთარი ცხვირიდან კი არ იჩიჩქნიდნენ აზრებს და თავის ქმნილებებს, არამედ კაცობრიობის ცოდნის საერთო საგანძურიდან იღებდნენ და კარგად შეგნებული ჰქონდათ, რომ წინსვლა შეიძლება მხოლოდ იმისა, რასაც საფუძვლიანად ფლობ, რაც ყოველმხრივ შესასწავლელია.

რაც უფრო ძლიერია ნიჭი, რაც უფრო ღრმაა გონება, მით უფრო სიცოცხლისუნარიანია მათი ცნობისმოყვარეობა, მჩხრეკელობა, ბუნების საიდუმლოებაში ჩაწვდომის წყურვილი. ყოველი ცოცხალი ადამიანის, ყოველი ორგანული გონების სწორედ ეს თანდაყოლილი თვისება მიეზიდება ნიჭს ჩვეულებრივ შრომისა და მუშაობისაკენ. არახელშემწყობ პირობათა ხელოვნურ შეხამებას, მხოლოდ არმომ-

კითხავი, ირგვლივ შემოკრებილი განვითარებული ბრბოს მიერ შექებას უმწიფარი ლიტერატორი ჭაბუკებისა, ქადაგებას იმისი მსგავსი აბდა-უბდისა, თითქოს ნიჭი შეუთავსებელია შრომასთან, შეუძლიათ ნიჭიერ ადამიანებში ჩაახშონ ეს თანდაყოლილი მიზიდულობა, მიზიდულობა თვითგანვითარებისაკენ, მუშაობისკენ. აი, ამიტომაც, ჩემი ნიჭიერი ოპონენტები, თვითონაც ნაწილობრივ მსხვერპლად გამხდარნი ამ „არახელმწყობი გარემოებისა", ცუდ სამსახურს უწევენ თავის სამშობლოს, როცა მხარს უჭერენ ასეთ გამხრწნელ დაბნეულობას.

100. საუქმო საკითხავი

იმ „სახელის მოხვეჭამ", ასე სწრაფად რომ მოიხვეჭა ბატონმა ჩიკვაიძემ, ალისუბნის იმ ვენახების მფლობელმა, რომლებშიც ბატონმა გაევსკიმ ფილოქსერა აღმოაჩინა, შეიძლება მას კიდევ ბევრი ჭკუის სასწავლებელი ფიქრები მოჰგვაროს. იგი თუ გამოჩენილი არა, ყოველ შემთხვევაში იმერეთის ერთ-ერთი „უგამოჩენილესი" ადამიანია იმ თვალსაზრისით მაინც, რომ ცხოვრებაში ერთხელ არ გაუშვია ხელიდან შემთხვევა წინ გამომხტარიყო, ეყვირა, გაცხარებულიყო... არ შემდგარა არც ერთი კრება, არც ერთი არჩევნები, არ დასმულა არც ერთი „საკითხი", ამ ცქვიტი და დაუდეგარი კაცის მყვირალა, მუდამ მჭახე ხმა არ დარხეულიყო. მას მთლიანად უდგება როშფორის კლასიკური გამოთქმა "petit mais rageur", „პატარაა, მაგრამ მძვინვარე"! როცა დაფიქრდები, რომ ადამიანი მთელი სიცოცხლე ამაოდ ეძებდა „სახელს" და უეცრად იქ მოიპოვა, სადაც ძებნა არსჭირდება, უნებურად გაგახსენდება ამაოება ამაოთა და ბედისწერის სიბრმავე. მაგრამ ახლა საქმე ამას არ ეხება. უფრო მეტად ჭკუის სასწავლებელია სხვაგვარი ფიქრები. ბატონი ჩიკვაიძე, როგორც აზრიანი და გულმოდგინე კაცი, არასოდეს ერიდებოდა ხარჯებს და არ ზოგავდა ძალღონეს, ოღონდ ღირსეულად აღეზარდა შვილები. იგი ცდილობდა მიეცა მათთვის უმაღლესი განათლება და ზოგიერთ მათგანს მიაღებინა კიდეც. მისი შვილები, მგონი, ყველანი იურისტები არიან და ყველა ვექილია. ვფიქრობ, იგი ახლა დიდად ნანობს, რომ ერთ შვილს მაინც არ მისცა სასოფლო-სამეურნეო განათლება. თითქოსდა იმ მასშტაბების მიხედვით, რაც მოიპოვა მის მიერ გაშენებულმა კულტურამ და მისმა მამულმა, ძნელი არ იყო გაეთვალისწინებინა, ადრე თუ გვიან მას და-

ჭირდებოდა კაცი, რომელსაც აგრონომიული განათლება ექნებოდა მიღებული და დროზე შეძლებდა ერთმანეთისაგან გაერჩია „ნაცარი", მილდუი და ფილოქსერა. იგი ახლა კოტრდება და ვენახებში ოცდაათი წლის დაუღალავი შრომა, რაც მას ყოველწლიურად რამდენიმე ათას სუფთა მოგებას აძლევდა, უნდა გაცამტვერდეს. რა თქმა უნდა, მის შვილებს, დაწყებული „სასამართლოს წესდების" ანისიმოვისეული გამოცემის და დამთავრებული დუნაშევსკის ან ბოროვიკოვსკის მიერ შედგენილი „კასაციური გადაწყვეტილების კრებულის" მიხედვით, შეუძლიათ სწრაფად და ხერხიანად მიუყენონ ფილოქსერას ან მის შემომტანს სამოქალაქო და სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლი. მაგრამ ბატონ ტაიგელს ან ან გარდაცვლილ ლონგელს რომ დაუმტკიცო კიდეც, როგორც ორჯერ ორი ოთხია, რომ მათ შემოიტანეს ბატონი ჩიკვაიძის ვენახებში და მთელ შორაპნის მაზრაში ფილოქსერა, ამით ახლა მათ ვერაფერს გამორჩებით და საერთოდ საეჭვოა, რომ იმერეთის აზნაურთა მოზარდი თაობის მთელი იურიდიული ცოდნა და უნივერსიტეტებიდან გამოტანილი სიბრძნე ახლა თავიდან ააცილებს მათ იმ უბედურებას, რაც მთელ ადგილობრივ მეღვინეობას და მინათმფლობელობას დაატყდა თავს...

საერთოდ, საკვირველი ამბავია, როგორ დაივიწყა თავისდაუნებურად ყველამ, მოსწავლეებმაც და მშობლებმაც, რომ აუცილებელია მოზარდი თაობის აღზრდა შეესაბამებოდეს ცხოვრების იმ წესს, მოთხოვნილებას და საჭიროებას, მათ რომ მომავალში ელით. სრულიად გასაგებია და ბუნებრივია, რომ ინგლისელ ლორდებს, რომელთა შემოსავალი წელიწადში ასი ათასობით მანეთია და მაიორატის კანონის მიხედვით მათი მიწები ჩამორთმევისაგან დაცულია, შეუძლიათ თავიანთ მემკვიდრეებს მისცენ წმინდა ლიტერატურული განათლება. მომავალი პირები და ლენდლორდები სამუდამოდ არიან შავი სამუშაოსაგან, იმის აუცილებლობისაგან განთავისუფებულნი, რომ ლუკმაპური შრომით მოიპოვონ. მათ ისიც კი არ სჭირდებათ, რომ საკუთარი მამული „მართონ" და ექსპლოატაცია გაუწიონ სხვებს, რადგან ამ მამულების დიდი ნაწილი 99 წლითაა გაცემული იჯარით და თანაც ისე კანონიერად გაფორმებული პირობებით, რომ მამულის მართვის მთელი ხელოვნება მდგომარეობს იმაში, რომ ერთმა იჯარის გადასახადი ბანკში შეიტანოს, მეორემ კი გამოიტანოს. ასეთ შემთხვევაში, ბუნებრივია, რომ ლენდლორდების მთელი სიბრძნე იმაში გამოიხატება, ეს შემოსავალი მეტად თუ ნაკლებად სასიამოვნოდ დახარჯონ თავის თავისა და

მახლობელი ადამიანებისათვის. სამწუხაროდ, ამავე განსაკუთრებული თვალსაზრისით, ლიტერატურული და ჰუმანიტარული განათლება წარმოადგენს ყველაზე შესაფერის საშუალებას იმისათვის, რომ ბედნიერებმა ამა ქვეყნისა გამოიმუშაონ უპოვართა მიმართ ადამიანური და ამაღლებული დამოკიდებულება. საერთოდ, პედაგოგიკის სპეციალისტები კი ძალზე უმნიშვნელო ყურადღებას უთმობენ ჩვენი პედაგოგიური მეცნიერების განვითარების ერთ მნიშვნელოვან მხარეს, რასაც პირდაპირი დამოკიდებულება აქვს ჩემი საუბრის საგანთან.

როგორც ცნობილია, თავდაპირველად აღზრდასა და განათლებას ღებულობდნენ მხოლოდ მეფის შვილები, უფლისწულები. ხოლო უბრალო ხალხის, მოქალაქეებისა და აზნაურთა შვილებსაც კი არაფერს არ ასწავლიდნენ. დიდებულთა შორისაც კი ცოტა იყო ისეთი, კითხვა და ბატისფეხურად წერა რომ შესძლებოდა. ასეთ ვითარებაში, ბუნებრივია, რომ პედაგოგიკა ემსახურებოდა მხოლოდ იმას, გაეწვრთნათ და გაენათლებინათ უფლისწულები, მომავალი მეფეები. ასეთი რამ არც ისე დიდი ხნის წინათ ხდებოდა, მაგალითად, ფენელონის დროს. ამიტომ გასაგებია, იმ დროს საუკეთესო და უკეთილშობილეს პედაგოგებს, ისეთებს, როგორიც ფენელონი იყო, მთელი თავიანთი ძალ-ღონე და გულმოდგინება უნდა დაეხარჯათ იმისათვის, რომ თავიანთი „ერთადერთი" მონაფისათვის შთაენერგათ გულმოწყალება და კაცთმოყვარეობა. ამ შემთხვევაში მათი ამოცანა მით უფრო ღირსეული იყო, რაც უფრო შეესაბამებოდა ეკლესიის მამების მოძღვრებას, რომლის დიდი ნაწილიც, როგორც ცნობილია, იმ მიზნით მიმართავენ ძლიერთა ამა ქვეყნისა, რომ მათი მოქმედება ჰუმანურ ხასიათს ატარებდეს. აი, ასეთი იყო დასაწყისი, ასეთია თანამედროვე პედაგოგიკის გენეზისი. აი, რატომაა, რომ მან ახლაც კი, დღემდეც კი ვერ შეძლო მთლიანად განთავისუფლებულიყო თავიდან გამომუშავებული წესებისაგან. რაც ფენელონთან რაციონალური გვეჩვენება, მაგრამ ნება თქვენია, და სრულიად გაუგებარია, როცა იმასვე ამბობს სოფლის დაწყებითი სკოლის თანამედროვე მასწავლებელი. ერთი საქმეა ასწავლო ან აღზარდო საფრანგეთის უფლისწული, მეორე—გლეხის ბიჭუნა. წმინდა ცნება—გაყიდე ქონება შენი და დაურიგე უპოვართ—წმინდაცაა და გონივრულიც, როცა იგი მიმართულია ქონების მქონე კაცის მიმართ, მაგრამ ამ წესის წყობისა და მისი შინაარსის მიხედვით, არ შეიძლება ასეთი ქადაგებით მიმართო უპოვარს, რადგან ამ უკანასკნელს გასაყიდი არაფერი აქვს. ამგვარად, როცა ფენელონი უფლისწულს შთაა-

გონებდა არ დაევიწყებინა იმქვეყნიური დიდება, იგი მილიონჯერ უფრო მართალი იყო, რადგან უფლისწულს შეუძლია და უნდა ახსოვდეს კიდეც ეს, მისთვის ამგვარი რამ ხელმისაწვდომია, მაშინ როცა კაცთა მოდგმის უმრავლესობისათვის ეს სიტყვები არა მარტო „ცარიელი ბგერებია", არამედ უდაოდ მიუწვდომელი და ამდენად მაცდუნებელი ოცნებაც. როცა ამას ვამბობ, უკიდურეს თვალსაზრისს ვადგევარ. უკიდურესობა იქნება, ფენელონის „მიტევებისათვის" ჩვეულებრივი ქადაგების შეფარდება, რასაც ქადაგებენ თანამედროვე მოძღვრების წარმომადგენლები ბოროტებისათვის წინააღმდეგობის გაუწევლობის შესახებ.

უფლისწულის უფლებები უსაზღვრო იყო, ამ უფლებების დროებით დავიწყებას მისთვის მხოლოდ დიდება და სარგებლობა მოჰქონდა. მაგრამ დამეთანხმეთ, რომ ზუსტად ასევე რომ დაარიგო თანამედროვე მშრომელი კაცი, დაივიწყოს თავის უფლებები და სარგებლიანობა—ამგვარ დარიგებას ცოტა არ იყოს, სიმკაცრისა და მოტყუების სუნი აუვა.

დავანებოთ თავი ფილოსოფიის მაღალ სფეროებში ამ თვითნებურ ფრენას, რადგან ამ შენიშვნის ანალიზი მოგვთხოვს არსებითი საწყისების, უფრო სწორად, იდეალიზმის იდეოლოგიის შეცდომების ამოხსნას. უმჯობესი იქნება შემოვიფარგლოთ ჩემი დღევანდელი საუბრის მორიდებული და ჩვენთვის ხელმისაწვდომი ამოცანით. ამგვარად, სრულიად გასაგებია, რომ ლენდლორდის მემკვიდრეს, თუ ღმერთმა არა, მაშინ ინგლისის თანამედროვე „საზოგადოებრივმა წყობამ" მიანიჭა იმის უფლება, რომ შეისწავლოს მეცნიერების მხოლოდ ჰუმანიტარული დარგები.

მაგრამ ნუთუ იმერეთის ხელმოკლე აზნაურის ან გლეხის შვილს, რომელსაც მხოლოდ ის აბადია, რასაც საკუთარი შრომით იშოვის, საკუთარი ხელებით მოიპოვებს მიწაზე, არ უნდა მივცეთ ისეთი აღზრდა და განათლება, როგორიც ყველაზე მეტად შეესაბამება მისი ცხოვრების რეალურ პირობებს. ვიცი, რომ ბევრია ისეთი ახალგაზრდა, რომელთაც დაამთავრეს „უმაღლესი სასწავლებლის" სრული კურსი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მიახლოებითი წარმოდგენაც კი არა აქვთ, როგორ დაიცვან თავი სულ უბრალო ავადმყოფობისაგან. სამწუხაროდ, ეს უბედურება მარტო იმერეთის, მარტო ადგილობრივი მოსახლეობის თვისება როდია, იგი დამახასიათებელია მთელი რუსეთის ახალგაზრდობისათვის, ყველა ჩვენი „სპეციალისტისათვის". მე არ მესმის, რატომ დაივიწყეს ჩვენმა მწერალმა პედაგოგებმა და მოღვაწეებმა

ბუნება, როგორ უთავსდება მათი „კონცენტრიული სისტემა“ მეცნიერების ზოგიერთ დარგს, მაგალითად გეოგრაფიას. ბავშვს ჯერ უნდა შეასწავლო მაგიდა, რომელზედაც მეცადინეობს, შემდეგ ოთახი, რომელშიც ზის, შემდეგ სოფელი, მაზრა, გუბერნია, მხარე, სახელმწიფო, კონტინენტი, დედამიწა და მისი ადგილი სამყაროში, ამბობენ პედაგოგები. მაშინ რატომ არ უნდა დააფუძნო მთელი პედაგოგიკა წესზე, აქედან რომ პირდაპირ გამომდინარეობს— უპირველეს ყოვლისა, საფუძვლიანად შეასწავლონ მოსწავლეებს ადგილობრივი ბუნებრივი პირობები, სწორედ ის პირობები, რომელზედაც დამოკიდებულია და რომელთა შორისაც მიმდინარეობს მოსწავლის მთელი ცხოვრება. ამ „პირობებს“ შორის უკანასკნელი ადგილი ხომ არ უჭირავს ბუნებისა და ადამიანის ურთიერთდამოკიდებულებას?

როგორც პატივცემული ვ. ნ. გაევსკი აცხადებს, ჩვენ თავს დაგვატყდა უდიდესი უბედურება. რუსეთის იმპერიის ყველაზე დაჯილდოებულ, მოქმედ, შრომისმოყვარე გუბერნიის წარმოების დარგს მიწის პირიდან აღგვის საშიშროება დაემუქრა. ნუთუ ვერ უნდა ვხედავდეთ „განგების ნებას“ იმაში, რომ ფილოქსერასაგან დაზიანებულ პირველსავე ვენახში დაუძლურებულნი და დამწუხრებულნი, გაკვირვებისაგან ხელებგაშლილნი, პირდაღებულნი დგანან მისი პატრონიც, ბატონი ჩიკვაიძეც და მისი „დიდად განათლებული“ შვილებიც, რომლებიც მეზობელ გლეხებზე უკეთ არ არიან მომზადებულნი მათი კეთილდღეობის საშინელი მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად? როგორი საყვედურით უნდა უმზერდეს ბატონი ჩიკვაიძის მთელი ოჯახი „სასამართლო წესდების“ ყდას, რომელზედაც აქამდე მთელ თავის იმედსა და სასოებას ამყარებდა. რა თქმა უნდა, ეს შესანიშნავი საშუალებაა ერთი კაცის სიმდიდრის მეორის ჯიბეში გადასატანად, მაგრამ ახლა, ფილოქსერას გამო, დროა დარწმუნდეს ოჯახიც და ყველა ისინიც, ვინც მათ იმედებს იზიარებდნენ, რომ ქვეყნის საერთო ინტერესების თვალსაზრისით სიმდიდრის ერთი ჯიბიდან მეორეში გადატანა წყლის ნაყვაა და მეტი არაფერი, რადგან ქვეყნის სიმდიდრე ამის შედეგად ერთი გროშითაც კი არ გაიზრდება.

სამწუხაროდ, იმავე მაგალითის საფუძველზე შეიძლება დავინახოთ, თუ როგორ ქარწყლდება თვალის დახამხამებაში მრავალსაუკუნოვანი რეალური სიმდიდრე, მთელი თაობების მიერ რომ იყო დაგროვილი და ახალი თაობა, რომელიც ამას ხედავს, თითსაც კი არ ანძრევს იმისათვის (თუმცა არც ის იცის, როგორ გაანძრიოს), რომ შეებრძო-

ლოს უბედურებას და აღმოფხვრას ბოროტება. ვერაფერს იტყვი, მდგომარეობა მართლაც ლამაზია, განსაკუთრებით ჩვენი „ინტელიგენციისათვის", რომელსაც ადვილად შეეძლო მოეპოვებინა დამწუხრებული ხალხის პატივისცემა და სიყვარული, თავის დროზე, სწავლის პერიოდში რომ ცოდნით შეიარაღებულიყო და შესაძლებლობა ჰქონოდა, გაჭირვებისა და გამოცდის ჟამს, ადგილობრივი მოსახლეობისათვის რეალური და ხელშესახები დახმარება გაეწია. ჩვენი იურისტები, ფილოლოგები და წიგნის ჭიები უსაქმურობისაგან უწინდებურად დაიწყებენ ჩვენი ბულვარების ტკეპნას იმ დროს, როცა მოსახლეობა ოხრავს, რადგან არ იცის, რა ქნას, როგორ მოიქცეს. მოსახლეობას წარმოდგენაც კი არ აქვს მათ უნაყოფო არსებობაზე და ამავე დროს მისი მზერა მიპყრობილია და იმედით შესცქერის ვ. ნ. გაევსკის და თბილისის მებაღეობის სკოლის აღზრდილებს. აი, ესენი არიან ის ადამიანები, თუ მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდებიან, თავიანთი დახმარებით მოსახლეობაში იმ პოპულარობასა და სიყვარულს რომ მოიხვეჭენ, რაც ჯერ კიდევ ასე აკლია ჩვენს დიდად განათლებულ ახალგაზრდობას და აკლია იმიტომ, რომ არ იცნობს ხალხის გულისაკენ მიმავალ გზას—საქმით და არა სიტყვით იყო დამწუხრებული, ხალხისათვის აუცილებლად საჭირო და სასარგებლო საქმით.

101. საუქმო საკითხავი

ბოლოს და ბოლოს ახდა წინასწარმეტყველება, რასაც ამ წლინახევრის წინათ ყოყოჩურად დასცინოდნენ ამიერკავკასიის რკინიგზის გადიდგულებული საქმოსნები, თითქოსდა მათ გარეშე რკინიგზა „პირველყოფილ მდგომარეობაში" აღმოჩნდებოდა. ამ „მეტამორფოზაში" ჩემი ერთი წვეთი თაფლიც ურევია, მაგრამ მე უსასრულოდ შორსა ვარ იმ აზრისაგან, რომ მტრის დაცემა ვიზეიმო. თუმცა ამგვარ თავმდაბლობას სულგრძელობა კი არ მკარნახობს, არამედ სულ სხვა რამ. „მტერი" დაეცა იმიტომ, რომ საკუთარ თავს თვითონ მიაყენა დარტყმები და მისი დაცემის მიზეზი მისივე შეცდომები, დაბრმავება და უკიდურესი ეგოიზმია. ამიტომ ჩემგან ნურავინ ელოდება დარტყმებს ბანალურ თემაზე:

„რომ იცოდეს ბილწმა მეამბოხემ,
როგორ ვამარცხებთ ჩვენ მტერს!"

მეტამორფოზას, რამაც გუშინდელ „მეხმტყორცნელებს" სწრაფად

ახადა გვირგვინი, უფრო ჭკუის სასწავლებელი მხარეები აქვს, რომელთაც საერთო, მამორალიზებელი მნიშვნელობა გააჩნიათ. დღეს სწორედ ამ მხარეებს უნდა გავუსვა ხაზი და გამოვიტანო დღის სინათლეზე.

არა მარტო ჩვენში, რუსეთში, არამედ მთელ დედამიწის ზურგზე, ყოველ ნაბიჯზე ხდება, რომ ადამიანს უეცრად, მოულოდნელად, შემთხვევით იმაზე უფრო ბრწყინვალე ბედი ერგება წილად, ვიდრე მისი ცხოვრების ჩვეულებრივი მიმდინარეობა უმზადებდა. ცხოვრებაში ყოველდღე გვხვდება შემთხვევა, როცა რომელიმე თავმდაბალი ნოქარი, კანცელარიის მოხელე ან ოფიცერი უცაბედ ან მოულოდნელ მემკვიდრეობას იღებს, ან ლატარეაში ორასი ათას მანეთს იგებს, ან მდიდარ ქალს ირთავს, ანდა სრულიად შემთხვევით ვიღაცის „ფავორიტი" ხდება. და, აი, კაცი, რომელიც გუშინ არაფერს წარმოადგენდა, რომლის ცხოვრება მთლიანად „მეპატრონეზე" ან „უფროსზე" იყო დამოკიდებული და რომლის მსოფლმხედველობა არ მიდიოდა იმის იქით, რომ „ქათამი საკვებს მარცვალ-მარცვალ კენკავს, მაგრამ მაინც ძღებაო", უეცრად გადაიქცევა „ძალად", უეცრად ისეთ ძალაუფლებას შეიძენს, რომ საკუთარი ნების მიხედვით თავის მსგავსთა შორის სიკეთესა და ბოროტებას სთესავს. ეს ძალიან მნიშვნელოვანი და წმინდა „ფსიქოლოგიური მომენტია" ადამიანის ცხოვრებაში. მაგრამ შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ ამ ფსიქოლოგიური მომენტის ესა თუ ის ზემოქმედება გარდაქმნილი ადამიანის პიროვნებას ახასიათებს ამ უკანასკნელის ინდივიდუალური თვისებების მიხედვით, ანდა მთლიანადაა დამოკიდებული ამ თვისებებზე. მართალია, მათ დიდი მნიშვნელობა აქვთ, მაგრამ მთავარი არსი მაინც ცხოვრების პირობებში, ამა თუ იმ ქვეყნის განვითარების დონეშია ჩაქსოვილი. პირადად მე ამგვარი ფსიქოლოგიური მომენტები და მათზე დაკვირვება მხოლოდ ამ თვალსაზრისით მაინტერესებს.

ჩემი აზრი უფრო ნათელი გახდება, როცა მე ერთმანეთს შევადრი ორი იმ ქვეყნის ამგვარ ფსიქოლოგიურ მომენტებს, სადაც მათ ვაკვირდებოდი—ჩვენი ქვეყნისას და საფრანგეთისას.

ჩემი ცხოვრების მანძილზე მე, მაგალითად, ამგვარი გარდაქმნები მინახავს.

ცხოვრობდა უსაქმოდ ერთი „კაცუნა ვექილი", რომელიც ლუკმაპურს ისეთი გაზეთის რეპორტიორობით შოულობდა, ხარჯებს რომ

ვერ ანაზღაურებს. კაცუნა ვექილმა კარგად იცოდა, რომ იმის მიხედვით, რაც ირგვლივ ხდებოდა, მთელი სიცოცხლე გაჭირვებაში უნდა ეცხოვრა, რადგან იმ დროს მისი შეხედულებებისა და რწმენის კაცს ცხოვრებაში სიმწარის მეტი არაფერი ერგებოდა. კაცუნა ვექილიც ყოველდღიურად მორჩილად ეწეოდა თავის ჭაპანს, წინასწარ იცოდა, რომ სული მანსარდში ამოხდებოდა. მაგრამ რამდენიმე წლის შემდეგ, იმ მოვლენების შედეგად, რომელთა წინასწარ განჭვრეტა არც მას შეეძლო და არც სხვა ვინმეს და არავინ არ დაიჯერებდა, რომ ამგვარი რამ შეიძლება ახდეს, კაცუნა ვექილი უეცრად გახდა საფრანგეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე და მისი ბედის ძლევამოსილი გამგებელი. თითქოსდა მეტამორფოზა უმნიშვნელო არაა? მესამედ მე იგი ვნახე იმ კაცის როლში, რომელიც კვარცხლბეკიდან ჩამოაგდეს და კვლავ უსახსროდ დარჩენილს დევნიდა მოძულე და ცილისმწამებელი ბრბო. მე ვფიქრობ, მეტამორფოზა ამ შემთხვევაშიც მნიშვნელოვანია. იმ ამოცანის ამოხსნის ძიებაში, რაზედაც აქაა ლაპარაკი, მკითხველის ყურადღება რომ ჩემს ძირითად აზრს არ ჩამოვაშორო, პირდაპირ ვიტყვი, რომ საქმე ეხება ჟიულ ფერის. მაგრამ ასეთი მაგალითები ასობით შემიძლია მოვიტანო და დავასახელებ თუნდაც რუვიეს, გამბეტას და ა.შ. საქმე მათ სახელებში, მათ პიროვნებებში კი არ არის, არამედ იმაში, რომ ეს ადამიანები თავიანთი არსებობის სამივე დიდად განსხვავებულ ფაზაში მორალურად ისეთივე რჩებოდნენ, როგორებიც იყვნენ: უბრალო, ყველასათვის მისაწვდომ, დიდად მოსიყვარულე ადამიანებად, რომელთაც სწამდათ თავიანთი ზნეობრივი საწყისისა...

ჩვენში კი ყოველ ფეხის ნაბიჯზე ვხედავდი შემდეგნაირ ფაქტებს, გვარებს არ დავასახელებ, რადგან პიროვნებას ამ შემთხვევაში არავითარი მნიშვნელობა არა აქვს და საქმე მასში არაა. მინახავს თავმდაბალი, მშრომელი კაცი, რომელიც ალბათ სხვებზე ბრიყვი არ იყო და საკმაოდ საღად უყურებდა საქმესაც და ადამიანებსაც. ეტყობა, აქედან მე მაშინ ასეთი დასკვნა გამომქონდა: მიეცი ასეთ კაცს ძალაუფლება, ცხოვრებაზე ზემოქმედების საშუალება და იგი თავის მოვალეობას ღირსეულად გაართმევს თავს. მე თვითონ მომიხდა ასეთი მასალისაგან გამომეცხო ადამიანები, რომელთაც შემდეგ დაევალათ დამოუკიდებელი და საპასუხისმგებლო საქმეები. მხოლოდ ესაა, რომ მუსიკა ამ შემთხვევაში „სულ სხვა ოპერიდან“ ჟღერდა.

ჩემი თავმდაბალი მუშაკი, შეიძინა რა ერთბაშად ხელისუფლება, ასევე მოულოდნელად დათვრა მისი გუნდრუკით, ხელისუფლება მის ხელ-

ში გადაიქცა არა თავის ვარაუდებისა და იდეალების გატარების იარაღად, არამედ მხოლოდ იმის საშუალებად, რომ ხალხს დაანახოს: „შემხედეთ ერთი, რა უმოწყალო მხეცი ვარ, ყველას მოგიგრეხთ კისერს“! მე ხეირიანად ვერც ის გამიგია, საიდან უჩნდებათ ადამიანებს სურვილი, კისერი მოუგრიხონ სხვებს და ვერც ის, რა სიამოვნება უნდა ჰპოვონ ამგვარ საქმიანობაში, ანუ კისრის მოგრეხის ულამაზო აქტში. მაგრამ ჩვენში, მოუგრიხო კისერი ყველა იმას, ვინც შენი ხელქვეითია, საერთო, უდაო და თვალსაჩინო ფაქტია. ერთი სიტყვით, ამგვარი ჩვენებურები ივიწყებენ და უგულვებელყოფენ ყველაფერს, რაც ფასეული და კეთილმოქმედია ძალაუფლებაში—სიკეთის ჩადენის შესაძლებლობას, ადამიანთა შორის ნდობისა და შთამომავალთა სიყვარულის მოპოვებას. ისინი ისწრაფვიან მხოლოდ ძალაუფლების სწრაფწარმავალი, მხოლოდ მოჩვენებითი მხარეებისაკენ და როგორც მე ამის შესახებ არაერთხელ ვწერდი, მისი „მცდუნებლობისა და ზიზილ-პიპილოებისაკენ“. მათ მხოლოდ მანამდე სურთ კისერი მოუგრიხონ ყველას, სანამ თვით ისინი, „მარადიული კანონის ძალით“, რომელთა აღიღონ მახვილი, მახვილითა წარწყმდენ, არ წააწყდებიან ვინმეს მსხვილ კისერს და სამუდამოდ არ მოიტეხენ კისერს... მაშინ მათ გონება სწრაფად „უნათდებათ“, იწყებენ იმის შეგნებას, რომ სხვებისათვის კისრის მოგრეხა და მათი გათელვა სისაძაგლე და სრულიად უღირსი საქმეა. ამის შემდეგ ისინი სულით ეცემიან, კარგავენ იმედს, უბრუნდებიან პირველყოფილ მდგომარეობას და იმის უნარსაც კი ვერ ინარჩუნებენ, რომ ხელახლა მოიპოვონ დამოუკიდებელი როლი, კვლავ დადგნენ საკუთარ ფეხებზე. ამიერიდან ისინი მჩვრები და სრულიად უსახური ადამიანები ხდებიან. მთელი მათი ჯადოსნური ეპოპეიდან, რამაც სრული არარაობა ამა ქვეყნის ძლიერად აქცია იმისათვის, რომ პირველყოფილ მდგომარეობაში დაებრუნებინა და კვლავ არარაობად ექცია, მათ მეხსიერებაში რჩება მხოლოდ წარმოდგენა კისრის ავბედით მოგრეხაზე, რის გამოც ისინი კვლავ მტვრად იქცნენ და წაერთვათ კისრის მოგრეხით დატკბობის საშუალება.

აი, ორი სურათი, რაც ჩვენში და საფრანგეთში ადამიანების აღზევებასა და დაცემას ახასიათებს. ყოველი მიუკერძოებელი დამკვირვებელი დამეთანხმება, რომ საერთო ნიშნებით ეს სურათები სრულიად მართალი და ცხოვრებისეულია: მათი მართებულობა შეიძლება დაინახო ცხოვრების ყველა სფეროში და არა მარტო მოხელეების ცხოვრებაში, არამედ ვაჭრების ყოფაშიც, სამრეწველო საქმეებშიც, ვექი-

ლის კანტორაშიც, ერთი სიტყვით, ყველგან. სადაა ამ აღმაშფოთებელი სხვაობის სათავე?

ჩემი აზრით, ეს არის ცხოვრების ერთიანობის დაუნდობელი და აღმოუფხვრელი კანონი. განსხვავება აიხსნება ორი ქვეყნის ცივილიზაციის, ორი ქვეყნის მოღვაწეთა ზნეობრივი განვითარების და კიდევ უფრო მეტად ორი ქვეყნის ხალხების განვითარების დონით. ყველასათვის კისრის მოგრეხა შეიძლება ხდებოდეს იქ, სადაც ამგვარი საქმიანობა არ აღაშფოთებს საზოგადოებრივ სინდისს, სადაც მის წინააღმდეგ მხოლოდ ის იმაღლებს ხმას, ვისაც უშუალოდ უგრეხენ კისერს. მეორე მხრივ, სიმდიდრით, ძალაუფლებით და ამის მაგვარი რამით დათრობა ხდება მხოლოდ იმ გარემოში, სადაც პირველ შემხვედრ ხლესტაკოვს შეუძლია მოიპოვოს კრედიტი და ნდობა მარტო იმით, რომ მდიდარი კაცის ნიღაბს მოირგებს.

განვითარებულ საზოგადოებაში რომ ძალა და მნიშვნელობა მოიპოვო, არა მარტო საკუთარი თავის მილიონერად გამოცხადება არა კმარა, არამედ ისიც კი არა, რომ მართლა ფლობდე მილიონებს.

მაგალითად, შეხედეთ ინგლისს, როგორც გაზეთმა „Truth" გულახდილად განაცხადა, იქ ბულანჟესთანა ნამდვილი „გენერლისათვისაც" კი დაკეტილია ყველა კარი, რადგან „ჩვენ არ ვიცით, საიდან იშოვა გენერალმა ის სიმდიდრე, ასე გულუხვად რომ აბნევს". იმისათვის, რომ საზოგადოების ნდობა მოიპოვო, იქ ჯერ კიდევ არ კმარა გამოაცხადო შენი თავი ბანკირად. ამასთან ერთად უნდა დაამტკიცო, რომ მთელი რიგი წლების მანძილზე ოპერაციებს სუფთად და პატიოსნად ატარებდი. ინგლისში არ კმარა თანამდებობის მიღება, საჭიროა, აგრეთვე, დაამტკიცო, რომ ღირსი ხარ უხელმძღვანელო ადამიანებს.

ცხადია, ყველგან, როგორც განვითარებულ ქვეყნებში, ასევე პირველყოფილ საზოგადოებაშიც აღმოჩნდნენ ფავორიტებიც და „შემთხვევითი" ადამიანებიც, მაგრამ პირველყოფილ საზოგადოებაში არ არსებობს, ცივილიზებულ ქვეყნებს კი აქვთ ამგვარი ადამიანების ვარგისობის ხარისხის შესამონმებელი საშუალება. ღირსნი არიან ისინი ისხდნენ თავიანთ თანამდებობებზე, თუ არ შეეფერებიან ამ ადგილებს—ამის განსაზღვრა ძალიან სწრაფად ხდება ყველას მიერ და შედეგად ის მოსდევს, რომ უღირსს მალე აბრუნებენ პირველყოფილ მდგომარეობაში.

სწორედ ამით აიხსნება ის კეთილშობილური პატივმოყვარეობა, ის დაუღალავი შრომისმოყვარეობა, რაც ახასიათებს ცივილიზებული

ქვეყნების ყველა მოღვაწეს, სულ ერთია, შემთხვევით დაწინაურდა იგი, თუ დამსახურებულად დაიკავა დიდი თანამდებობა. მათ წარსულის, წინა თაობებისა და მოღვაწეების გამოცდილების მიხედვით იციან, რომ მარტო დიდი თანამდებობის დაკავება ჯერ კიდევ არაფერს ნიშნავს, უნდა დაამტკიცო, რომ ამ თანამდებობის დაკავების უფლება გაქვს. და რადგან საერთო შეგნებისა და ცივილიზებული საზოგადოებების მიერ დიდი ხნის წინათ შემუშავებული საერთო აზრის მიხედვით ერთადერთი ან ყოველ შემთხვევაში ამგვარი „უფლების" უპირატესი საფუძველი სხვებთან შედარებთი გონებრივი და ზნეობრივი უპირატესობაა, ამიტომ სწორედ აქედან გამომდინარეობს იმის სურვილი, რომ შეიძინო ამგვარი უპირატესობა შენს თავზე, ცოდნაზე, ხასიათზე და ნებისყოფაზე განუწყვეტელი მუშაობით...

მართალია, ამ შემთხვევაში დიდი მნიშვნელობა აქვს საზოგადოებრივი ურთიერთდამოკიდებულების იმ წესს, რომლის ძალითაც ინგლისში, ბელგიაში, ჰოლანდიაში ყველას აქვს უფლება ისწრაფვოდეს აღზევებისაკენ და ამიტომ ემზადებიან კიდეც ამისათვის. ამ ქვეყნებში ყოველი ჯარისკაცი ფიქრობს, რომ ფელდმარშალის კვერთხი მას ზურგჩანთაში უდევს. ჩვენში კი ამგვარ გრძნობას კანონებმა, სულ ცოტა ხნის, რაღაც ოცი, ოცდახუთი წლის წინათ ჩაუყარა საფუძველი. ამიტომ საჭიროა მთელი თაობის სიცოცხლე, სანამ ამ მხრივ ჩვენი საზოგადოება გაუთანაბრდება უფრო მონინავე საზოგადოებებს. გასაკვირი არაა, რომ ადამიანები, რომელთა პატივმოყვარეობის იდეალი სიბერეში დეპარტამენტის ეგზეკუტორის თანამდებობის დაკავებაზე იქით არ მიდის, თავს კარგავენ, შემთხვევით თუ განყოფილების გამგის თანამდებობას მიაღწიეს. ამიტომ არც ისაა გასაკვირი, რომ ისინი მაშინვე იცვამენ უკულმა გადმობრუნებულ ქურქს, რათა თავი იმ „უმოწყალო მხეცად" მოგვაჩვენონ, რომელიც მთელ უბანში ბრდღვინავს და მით უფრო ძლიერ, რაც უფრო ბრიყვი და დამდაბლებული ხალხი ახვევია ირგვლივ...

ეს ასეც უნდა იყოს... მაგრამ ამის მთავარი მიზეზი მაინც ჩვენს საზოგადოებაში მორალური ცნებების სუსტი განვითარებაა. „მდიდრებსაც" და საზოგადოების დანარჩენ ნაწილსაც ძალიან ცუდად ესმით სახარების ცნება იმათ მოვალეობაზე, ვისაც შემთხვევით თუ დამსახურებულად ბევრი ეძლევა, მას ბევრიც მოეთხოვება. ჩვენში ჩვეულებრივია აზრი, რომ ვისაც „ბევრი ეძლევა", მისთვის კანონი არ არსებობს, რომ მათ შეუძლიათ ყველაფრის უფლება მისცენ თავიანთ თავს და ამისთვის პასუხს არავინ მოსთხოვს.

ეს კი დიდი შეცდომაა. თქვენ თვითონ დაინახეთ, ახლა ხომ თვალწინ გიდევთ კონკრეტული ფაქტი: ადამიანები, რომლებიც ჯერ კიდევ გუშინ, ამ სამიოდე დღის წინათ ყოველისშემძლენი იყვნენ, ხელთ ეპყრათ რუსეთის ერთ-ერთი საუკეთესო რკინიგზა, დღეს არავინ არ არიან. ისინი ზუსტად თექვსმეტი წლის მანძილზე უკონტროლოდ ფლობდნენ ხელისუფლებას, რკინიგზის მთელ სახსრებს. ეყრდნობოდნენ რა თავიანთი უფლებების დაწერილ „წესდებას" და ამავე დროს ჰქონდათ რა იმის სრული შესაძლებლობა, რომ ცხოვრებაში გაეტარებინათ ყველაფერი, რაც კი უნდოდათ, მათ მიზნად დაისახეს შეენარჩუნებინათ ხელისუფლება, რასაც ისინი დიდი ხნის მანძილზე უმოქმედოდ და ბოროტად იყენებდნენ. ამავე დროს, მათ არ ჰყავდათ ისეთი სერიოზული მოწინააღმდეგენი, მათი დამხობა რომ ეცადათ. მათ წინააღმდეგ მხოლოდ უიარაღო, უძლური და არაორგანიზებული „ცხოვრების სიმართლე" იყო. და ამ ფანტომმა სძლია რეალურ ძალას, მილიონობით მანეთს, „ინტერესთა ორგანიზებულ ერთსულოვნებას", იმთავითვე გულმოდგინედ მომზადებულ კავშირებს და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, იმ მომაკვდავთა ცხარე, საბედისწერო და ენერგიულ ბრძოლას, რაც ჩვეულებრივ მაშინ იმართება ხოლმე, როცა ადამიანები სამუდამოდ კარგავენ იმას, რაც მათთვის ცხოვრებაში ყველაფერზე ძვირფასი იყო. ბრძოლის ქარცეცხლში მათ ზოგჯერ ეჩვენებოდათ, რომ საქმე მოიგეს, ათჯერ მაინც იზეიმეს გამარჯვება იმის გამო, რომ მიაღწიეს ხაზინის მიერ რკინიგზის გამოსყიდვის გადავადებას. მაგრამ მათი საქმის ორგანული მანკიერებანი აგრძელებდნენ თვალით დაუნახავ, დამანგრეველ მუშაობას ზუსტად ისე, როგორც ჭლექის ბაცილები ღრღნიან იმ ავადმყოფის ფილტვებს, რომელსაც სურს მწვავე ანთებითი პროცესისაგან განთავისუფლება... მთელი მათი მილიონები, კავშირები, ძალ-ღონის ხარჯვა, დახლართული ხრიკები, ასე დიდხანს ზიზღით რომ უყურებდნენ „ბუნების ეკონომიურ ურთიერთობათა დაურღვეველ კანონებს" და მათ „ფანტომს", „მოჩვენებას", „ბოდვას" უწოდებდნენ, პირწმინდად გაცამტვერდნენ მათ მიერ მიუღებელი ცხოვრებისეული სიმართლის უჩინარი ძალის წინაშე. ახლა კი, როცა პირველყოფილ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ, მათ შეუძლიათ თავისუფალ დროს, რაც ხელმოცარულ მოღვაწეებს ამჟამად უხვად აქვთ, გაიაზრონ იმ ჭეშმარიტების მთელი საფუძვლიანობა, რასაც ასე ხშირად და ასე ტყუილუბრალოდ უგულვებელყოფდნენ, გაი-

აზრონ ისიც, რა შემთხვევითი მოვლენებისა და ადამიანების, რა ფანტასტური ამბების შედეგიც არ უნდა ყოფილიყო მათი წარმოშობა და აღზევება, ისინი მაინც ვერასოდეს ვერ დაუძვრებოდნენ ხელიდან ბუნების საერთო კანონების ზეგავლენას. ხოლო ერთ-ერთი ასეთი ელემენტალური კანონი ამბობს, რომ გამძლეობა, შეუმუსვრელობა, უკვდავება ეძლევათ მხოლოდ ისეთ ადამიანებს და საქმეებს, რომლებიც საერთოსარგებლიანობის ბეჭდით არიან გამორჩეული. აი, რატომ ხდება, რომ შემთხვევითი ადამიანები, რომლებიც ამ კანონებს მხედველობაში არ ღებულობენ და მათთვის თითსაც კი არ ანძრევენ, განწირულნი არიან ისე ჩამოვიდნენ სცენიდან, რომ საზოგადოების მეხსიერებაში მათი ეფემერული არსებობის კვალიც კი არ დარჩეს, გაივლის წელი, მეორე და ჩვენს მხარეს არაფერი არ გაახსენებს ამ ბედის ნებიერთა და ბედის ბრმა მსხვერპლთა „ყოფნა-არყოფნას". ფორტუნამ, რომლის მსხვერპლნიც ისინი გახდნენ, მათ ბევრი სახსრები და სიკეთის გაკეთების ცოტა სურვილი მისცა.

უკიდურეს შემთხვევაში, ის მაინცაა დამამშვიდებელი, რომ ყოველივე ამის შემდეგ აღმოიფხვრება ბოროტების კვალი, რაც დასტოვეს ბედის ამ ნებიერებმა მათი დაუდევრობისა და ბნელეთთან წილნაყარობის ჟამს. ხალხებსა და საზოგადოებებს არასოდეს ახსოვთ, რომ ბოროტებას—იგიც ხომ ბუნების ერთ-ერთი კანონია—კაცობრიობისათვის ბედნიერება და პროგრესი მოეტანოს.

ამასთან ერთად, გულღვარძლიანობა ახასიათებთ მხოლოდ არარაობებს და არა მთლიან საზოგადოებას. ამიტომ ამიერკავკასიის რკინიგზის გვირგვინმოხდილ საქმოსნებს შეუძლიათ თავი ნავროზზე მიუშვან და დაუბრუნდნენ პირველყოფილ მდგომარეობას, რადგან მათ აქ ცუდად არავინ მოიხსენიებს.

102. საუქმო საკითხავი

იმის გამო, რომ ბატონმა ბულანჟემ საკმაოდ შეირცხვინა თავი მიმდინარე წლის 16 ივლისს გამართულ საერობო არჩევნებში, რაც, იმედი მაქვს, მომავალ შემოდგომაზე მისი „პარტიის" საბოლოო დამარცხების საწინდარი იქნება, მინდა რამდენიმე სიტყვა ვთქვა საერთოდ „ბულანჟიზმზე[35]". მაგრამ არ იფიქროთ, რომ საფრანგეთის პოლიტიკის ირგვლივ ჭკუის ჭყლეტის უღრან ტყეში შეგიყვანთ. ჩემ-

თვის გაცილებით უფრო ძვირფასია საკუთარი საქმეები. სწორედ მათთან დაკავშირებით მინდა შევეხო ჩვენი საუკუნის ამ ავადმყოფობას, რამაც საფრანგეთში გრანდიოზული მასშტაბები მიიღო და რაც ჩვენს დროში ყველგან არსებობს „ლატენტურად", სადაც კი თვითმმართველობისა და საზოგადოებრივი ცხოვრებისმაგვარი რამ აქვთ. თქვენ ახლა ამ ორიგინალური მოვლენის ფილოსოფიური ანალიზის შედეგად დაინახავთ, რომ იგი დამახასიათებელია თვითმმართველობის ასაკისათვის ზუსტად ისე, როგორც ბავშვებს ეშლებათ კუჭი, როცა კბილები ამოსდით.

თუ გვერდზე გადავდებთ „პროგრამებს", ანუ „პლატფორმებს, როგორც ეს ამგვარი ანალიზის დროსაა მიღებული, ბულანჟეს პარტიის მსგავსი პარტიები—რადგან ყოველივე ეს ცარიელი ბგერებია—თავიანთ რეალურ მოღვაწეობაში ცდილობენ ხალხს თვალი აუხვიონ და მათ განმასხვავებელ, დამახასიათებელ ნიშანს წარმოადგენს ის, რომ ასე თუ ისე გააღვივონ და დააკმაყოფილონ ბრბოს დაბალი ინსტიქტები და მადა, თანაც ისე, არავითარ საშუალებებს არ მოერიდონ და თავი არ შეიბოჭონ არანაირი „პრინციპებისა" და იდეალებისადმი ერთგულებით, ეს ის ნიშანია, რითაც უნინ სახელმწიფო წესწყობილებისაგან ბონაპარტიზმი[42] განსხვავდებოდა, ბულანჟიზმის ძირითადი საფუძველია სწრაფი, უშუალო და იოლი გამარჯვება, რადგან ამგვარი პარტიის მეთაურებისათვის მთავარია არა მათი იდეებისა და მიმართულებების გამარჯვება—ჩვენ, ამბობენ ისინი, არაფერი საქმე არა გვაქვს იმასთან, როგორ იცხოვრებენ და იაზროვნებენ ადამიანები იმ დროს, როცა ჩვენგან დოყლაპია გაიზრდება—არამედ მათ სურთ ახლავე, შეუნყვეტლივ და პირადად ისარგებლონ საზოგადოების მეთაურის ყველა სიკეთით. სწორედ აქედან მომდინარეობს იმ იდეებისა და გადაწყვეტილებების ძიების უგულვებელყოფა, რომლებიც შეესაბამებიან ქვეყნის ჭეშმარიტ საჭიროებებს და კეთილდღეობას. ამგვარი ძიებები არის ხანგრძლივი, ჭკუის საჭყლეტი, სარისკო და არა ყველა გონებისათვის ხელმისაწვდომი სამუშაო. ამისთვის საჭიროა იპოვო ახალი გამოსავალი, ახალი საშუალებები, ახალი ფორმულები და გადაწყვეტილებანი, გარდა ამისა, დაარწმუნო თანამოქალაქეთა დიდი ნაწილი მათ სარგებლიანობასა, მიზანდასახულობასა და სამართლიანობაში. ხშირად ადამიანის მთელი სიცოცხლე, მთელი თაობის სიცოცხლეც კი არ კმარა ამგვარი ამოცანების განსახორციელებლად. ბევრად უფრო ადვილია ყური დაუგდო ხალხის მითქმა-მოთქმას,

იგრძნო მისი განწყობილება, მისი მადა, მით უმეტეს, რომ ეს უკანასკნელი ყველგან თანამხვედრია და იმ სიმს ჩამოკრა ხელი, რომელიც ნარმატებით იზიდავს ბრბოს სიმპათიებს და ნდობას...

აი, ჩვეულებრივ ამ გზით აღწევენ, თუ შეიძლება ასე ითქვას, თეორიულ ნარმატებას, აპლოდისმენტები, „რეპუტაცია", სიმპათიები. როგორც ცნობილია, ამგვარი სიკეთისაგან ვერც ქურქს შეიკერავ და ვერც ეტლსა და თავკაცობას მოიპოვებ. ქვეყანაში, სადაც თავკაცობა—როგორიც არ უნდა იყოს ის—მხოლოდ არჩევნების გზით შეიძლება მოიპოვო, გარდა ყოველივე ამისა, საჭიროა შენი ნარმატებით დააინტერესო ბევრი ადამიანი, რომლებიც ჩვენი მონდომებული ამომრჩევლები იქნებიან. უნდა შექმნა „შენი პარტია". ქვეყნებში, სადაც განმტკიცებულია საზოგადოებრივი ზნე-ჩვეულებები, ეს ყველაზე ძნელი საქმეა, რადგან ამგვარი მიზნის მისაღწევად უნდა გაგაჩნდეს დიდი გონებრივი და ზნეობრივი ძალა, უბრალოდ რომ ვთქვათ, თითქმის გენიოსი უნდა იყო.

მაგრამ ქვეყანაში, რომელიც ეს-ეს არის ინყებს ღია საზოგადოებრივ ცხოვრებას, საკუთარი პარტიის შექმნა ყველას შეუძლია, ოღონდაც კი ამის სურვილი ჰქონდეს: ამქვეყნად არაფერია ამგვარ ამოცანაზე უფრო ადვილი. რატომ უნდა მოიკლა თავი სისტემების, ფორმულების, პროგრამების გამომუშავებით, ყველაფერი ეს მხოლოდ სერიოზულ, განვითარებულ გონებაზე მოქმედებს, ასეთები კი ყოველ საზოგადოებაში ბევრად უფრო ნაკლებია, ვიდრე განუვითარებელი, განურჩეველი, მიმნდობი და უბრალო ადამიანი, რომელსაც იტაცებს ზიზილ-პიპილოები და ყოველგვარ ანკესს ეგება. ერთ „იდეალისტზე", რომელიც შეგნებული საზოგადოებრივი ცხოვრებისაკენ ისწრაფვის, ყოველ საზოგადოებაში მოდის ასობით და ათასობით ისეთი ადამიანი, რომლებიც სიამოვნებით გაცვლიან ყოველგვარ პრინციპებსა და იდეალებს ერთ ლუკმა პურზე. ამიტომ—ფიქრობს ბონაპარტიზმი ან ბულანჟიზმი—სისულელეა მოუხმო გონებას, სინდისს, იდეალებს და განვითარებული ადამიანების პრინციპებს. ისინი ცოტანი არიან და ამიტომ არც უნდა გაუწიო ანგარიში. ბევრად უფრო ხელსაყრელია გამოიყენო იმ ადამიანების მადა, მოგების სურვილი და ანგარება, რომ ამოძრავდე, რომელთაც დარწყულება სწყურიათ. ასეთი მონოდება არასოდეს რჩება ღაღადისად უდაბნოსა შინა.

და, აი, ყოველივე ამის საფუძველზე კაცი, რომელმაც მიზნად დაისახა შექმნას საკუთარი პარტია, ისეთ ადამიანებს იხდის ამხანაგებად,

რომელთაც სურთ ერთმანეთში გაიყონ საზოგადოებრივი ღვეზელი. ისეთ პატიოსან, მტკიცე, თავის თავში დარწმუნებულ ადამიანებს კი, რომლებიც მზად არიან გონივრული საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის და შეუძლია საზოგადოებას ღირსეული სამსახური გაუწიონ, ასეთ ლხინზე არათუ არ იწვევენ, არამედ განზრახ უვლიან გვერდს: ისინი „უხერხულნი", „მოუდრეკელნი", უბრალოდ „დამამძიმებელნი" არიან.

ბევრად უფრო ადვილია მიმართო იმათ, ვინც თანახმაა წავიდეს საერთო სამუშაოებზე არა ღირსებისა და საზოგადოებრივი სარგებლიანობის სახელით, არამედ პირადი გამორჩენისათვის, ფულის შეძენისა და ქონების მოხვეჭის გამო. პირველივე თანხა, ამ გზით რომ მოიპოვებენ, მათ სამუდამოდ აკავშირებს თქვენთან, სამუდამოდ ხდის თქვენს ყურმოჭრილ მონად... მანამდე, სანამ არ გამოჩნდება ვინმე ისეთი, ვინც შეძლებს კიდევ უფრო დიდი თანხა მისცეს. მაგრამ იმისათვის, რომ დაარიგო მარჯვნივ და მარცხნივ ამდენი თანხა, დააკმაყოფილო მათი ყოველდღიურად მზარდი მადა, სადღაც უნდა იშოვო იგი. მაგრამ სად იშოვი ამდენს, თუ საზოგადოებრივი სკივრიდან არ ამოიღე?

რადგან საქმე მივიდა მომხრეების მოქრთამვის გზით მოპოვებამდე და მათი მადის დაკმაყოფილებამდე, გასაგებია, რომ ვერავითარი საზოგადოებრივი სკივრი, ვერავითარი საზოგადოებრივი სალაროები ვერ დააკმაყოფილებს ამგვარ მოთხოვნილებებს, რა ფიქტიურიც არ უნდა იყოს საზოგადოებრივი კონტროლი საერთო სახსრების ხარჯვის მიმართ. ამიტომ ამგვარი თავკაცები ჩვეულებრივ თავიანთი მომხრეების მადას იმით აკმაყოფილებენ, როცა არჩეულნი იქნებიან სასურველ თანამდებობაზე, როცა ხელში ძალაუფლება ექნებათ, ისინი მათ დაურიგებენ ხელსაყრელ თანამდებობებს, სამუშაოს და იჯარას.

„თუ არჩეული ვიქნები, შენ ამას და ამას გიბოძებ", აი, ჩვეულებრივი ფორმულა, რასაც ხშირად ეუბნებიან პირისპირ დარჩენილ მომხრეებს, მაგრამ კიდევ უფრო ხშირად იგულისხმება, რომ ხელი ხელს ბანს. „მე მას მოვეხმარები, მისთვის საჭირო კაცი შევიქნები, ამიტომ ენდომება თუ არა, მაინც უნდა დამაფასოს, როგორც საჭირო კაცი, როგორც მისი წარმატების ერთ-ერთი იარაღი".

ამგვარად, ნელ-ნელა იქმნება თავკაცისა და მისი მომხრეების ინტერესების დამთხვევა, რომლის დროსაც ქვეყნის საერთო ინტერესებს არა მარტო ივიწყებენ, არამედ მსხვერპლადაც კი სწირავენ პირადს... და ბოლოს იქმნება კარგად შეხმატკბილებული, საკმაოდ დის-

ციპლინირებული პარტია, უფრო სწორად, „ხროვა“, რომელიც მედგრად იცავს თავის თითოეულ წევრს და დიდ პროპაგანდას უნევს თავკაცის სიქველესა და ღირსებებს, რადგან, მისი მხარდაჭერა, მისი ჩამოუგდებლად დგომა კვარცხლბეკზე ამგვარი პარტიის ყოველი წევრის ტყავისა და ჯიბის ინტერესებთანაა დაკავშირებული.

ვიმეორებ, ეს ნაჩქარევი ანალიზი თავისთავად ცხადყოფს, რომ ამგვარი „პარტიების“ აღმოცენება და მათი გამარჯვება დამახასიათებელია თვითმმართველობის პირველი ნაბიჯებისათვის, სანამ საზოგადოების დიდმა ნანილმა ჯერ კიდევ ვერ დააღნია თავი პირველყოფილ სიბრმავეს და დიდი გამოცდილებისა და მკაცრი გაკვეთილების გზით ვერ ისნავლა, შეიცნოს თავის ნარმომადგენლების გონებრივი და ზნეობრივი თვისებები.

არ არსებობს ისეთი ერი, რომელმაც მეტი თუ ნაკლები სიმწვავით არ გადაიტანა ეს „სისხლის გამწმენდი“ ავადმყოფობა ბავშვობაში. ეს ისეთივე წითელა და ისეთივე ქუნთრუშაა, ოღონდ საზოგადოებრივი ორგანიზმისათვის, როგორიც გადატანილი აქვს თითქმის ყველა ნორმალურ ბავშვს. ამ თვალსაზრისით არც საფრანგეთი შეიძლებოდა ყოფილიყო გამონაკლისი. ამგვარი ავადმყოფობა მან გადაიტანა კიდეც ნაპოლეონ III-ის დროს.

ახლა საკითხავი ისაა, მთლიანად გადაიტანა თუ არა მაშინ საფრანგეთმა ეს ავადმყოფობა, თუ ეს იყო მისი უკანასკნელი შემოტევა, ასე ვთქვათ, „რეშუტი“, ამჟამად რომ ბულანჟიზმის ფორმით გამოიხატა. ეტყობა, როგორც ისტორიის მიხედვით შეიძლება ვიმსჯელოთ, ასეთი სახის „რეშუტი“ ნარმოუდგენელია, რადგან ჩვეულებრივ ერთი და იგივე ორგანიზმი ორჯერ არ ავადდება ნითელათი ან ყვავილით. უმეტეს შემთხვევაში სისხლის დუღილის ამგვარი ფორმა ყველა ორგანიზმში ნორმალურად მხოლოდ ერთხელ მიმდინარეობს... მაგრამ საკითხი სრულიად არ ეხება იმას, როგორი ნარმატება შეიძლებოდა ჰქონოდა საფრანგეთში ბულანჟიზმს—ამ ავადმყოფობაზე ამისათვის არ დამიწყია ლაპარაკი. უბრალოდ მინდა ვკითხო მკითხველს. ამჩნევს თუ არა იგი ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში ამგვარი ბოროტების ბუნდოვან ან ფერმკრთალ აჩრდილს?

რა ძვირფასიც არ უნდა იყოს საერობო, საქალაქო და საზოგადოებრივი თვითმმართველობა და სწორედ იმიტომ, რომ მართლაც განსაკუთრებით ძვირფასია, რადგან მათშია ჩაქსოვილი ჩვენი ნარმატების ყველაზე სწორი და ერთადერთი საწინდარი, არ უნდა გვეშინოდეს დავინახოთ მათში პათოლოგიური მოვლენები, რათა რაკ

შეიძლება სწრაფად და უკეთესად განვიკურნოთ გარდუვალი ავადმყოფობისაგან. ჩვენს სახეობებში და ჩვენს სათათბიროებში ხშირად ვხედავთ, ცხადია, მცირე მასშტაბის თავკაცებს, რომლებიც წმინდა ბონაპარტისტული, ბულანჟისტური ხერხით ცდილობენ მომხრეების მოპოვებას.

მიუხედავად განახლებული სისტემისა, მიანიჭონ საზოგადოებრივი თანამდებობები არა იმათ, ვინც ყველაზე ღირსეულად გაართმევს საქმეს თავს, არამედ თავიანთ ახლობლებსა და კეთილისმყოფლებს, რაც განსაკუთრებით გავრცელდა ამ ბოლო წლებში რუსეთის თვითმმართველობებში და გამოინვია იმგვარი სისტემის შექმნა, როცა თავკაცები თვითონ ირჩევენ თავიანთ ამომრჩევლებსა და მომხრეებს ძირითადად იმ მოიჯარადრეთაგან, რომლებიც სხვადასხვა საზოგადო სამუშაოებს ასრულებენ, უპირატესად „სამეურნეო საშუალებით". ეს არის მეტისმეტად მოლიპული და საშიში გზა, რადგან დეპუტატები, რომელთაც მოიჯარადრეები ირჩევენ, მათდაუნებურად იძულებული არიან, გამოიგონონ მათთვის ამგვარი სამუშაოები და იჯარა, რაც საზოგადოების ინტერესებს არ ემსახურება, ხშირად კი ამ უკანასკნელისათვის უშუალო ზარალიც კი მოაქვს. მე, რა თქმა უნდა, არ ვფიქრობ, თითქოს რუსეთში ყოველთვის განგებ ხდება ის ამბავი, რომ ჩვენი თვითმმართველობის წარმომადგენლები წინასწარ მოფიქრებული განზრახვით სჩადიოდნენ ამას. ღმერთმა დამიფაროს უმრავლესობის მიერ ამგვარი რამეების ჩადენის მტკიცებისაგან, მაგრამ ცხოვრებისეულ ფაქტებს თავის ლოგიკა, თავის მიზეზობრივი კავშირი, თავის თანამიმდევრობა აქვს, სულერთია, შეგნებულად ხდება ეს თუ შეუგნებლად, რაკი საქმემ მიიღო ან ღებულობს ამგვარ მიმართულებას, ეს იმას ნიშნავს, რომ ავადმყოფობა ფეხს იკიდებს და ადრე თუ გვიან, როცა იგი ნორმალურ კრიზისამდე მიაღწევს, მას ვეღარავინ დააღწევს თავს. აი, რატომაა საჭირო, რომ ამგვარი ბოროტების გამოჩენისთანავე ყველამ, ვინც სერიოზულად აფასებს საზოგადოებრივ სიკეთეს, საზოგადოებრივი არჩევნების მიმართ ჩამოიბერტყოს მხრებიდან ინდიფერენტიზმი. უნდა შევქმნათ საკმარისი საპირწონე ვიწროდ და პირადად დაინტერესებული ამომრჩევლების წინააღმდეგ. წესიერ რჩეულებს უნდა დავუმტკიცოთ, რომ ისინი ტყუილად ეძებენ საყრდენს მხვეჭელთა პირად ეგოიზმში, რომ მათ შეუძლიათ საყრდენი იპოვონ პატიოსან ადამიანებში, უნდა ვაიძულოთ ის პირები, რომელთაც არჩევა სურთ, დააფასონ საზოგადოების უკეთესი და არა უარესი ნაწილი. წინააღმდეგ

შემთხვევაში საჭიროა ვებრძოლოთ, ვძლიოთ, დავაუძლუროთ ისინიც, ვინც ეძებს ამგვარ მხარდაჭერას და ისინიც, მათ რომ უწმინდურად უჭერენ მხარს.

მხოლოდ ამ გზით გამომუშავდება ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში ასატანი საზოგადოებრივი ჩვევები, რაც უმთავრესი სანინდარია თვითმმართველობის წარმატებით განვითარებისათვის. უამისოდ კი თვითმმართველობა მალე გადაიქცევა თვითნებურად მოქმედ მხვეჭელთა ხროვად, რომელიც ექსპლოატაციას გაუწევს საზოგადოების უძლურებასა და უმეცრებას.

103. საუძმო საკითხავი

მიმდინარე წელს „ისტორიჩესკი ვესტნიკი“ ბეჭდავს მეტად საყურადღებო ლიტერატურულ მასალას—„ა.ი. გოლოვაჩოვის (პანიევას) მოგონებებს“.

ეს ნაწარმოები ჩვეულებრივ მოგონებებს არ ჰგავს იმ მანდილოსნებისა, რომელნიც ლიტერატურულ წრეში ტრიალებენ და შეუძლიათ შენიშნონ „აღწერილი“ მოღვაწეების მხოლოდ ულვაშებისა და ჰალსტუხის ფერი.

ეს გასაგებიცაა. ქ-ნი გოლოვაჩოვი თავისთავად ლიტერატურის მოღვაწე იყო. იგი რუსულ ლიტერატურაში ცნობილია „ნ. სტანიცკის“ ფსევდონით და მისი ნიჭიერი რომანები და მოთხრობები 25-30 წლის წინათ საკმაოდ სერიოზული წარმატების მქონენი იყვნენ. გარდა ამისა, მას პატარა გავლენა არა ჰქონია იმ დროისათვის მეტად მნიშვნელოვანი ლიტერატურული ორგანოს—„სოვრემენიკის“ რედაქციის სხდომებზე, რომლის საუკეთესო თანამშრომლობაზე მას ყოველთვის განსაკუთრებული პატივისცემით ეპყრობოდნენ. ამის მჭევრმეტყველი დასაბუთება არის „ნ.ა. დობროლიუბოვის“ თხზულების“ პირველი გამოცემისადმი მიძღვნა, ამ გრძნობისმიერი წერილის ავტორმა—ადამიანმა, რომელმაც ყველა რუს მწერალზე უფრო მეტად იცოდა ფასი და მნიშვნელობა თავის მიერ დაწერილი თითოეული სტრიქონისა, არ იძუნნა ავდოესია იაკობის ასულის ჭკუისა და გულის აღტაცებით შექებაში... ამით ცხადია, რა სერიოზული ყურადღებით უნდა მოეპყრას მკითხველი საზოგადოება ამ მწერალი ქალის მიერ გამოთქმულ აზრებსა და მსჯელობებს იმ მოღვაწეებზე, რომელთა თანამედროვეც

იგი იყო, იმ მოვლენებს, რომლებზეც იგი ახლა გვემონმება, და მართლაც, დიდი ხანია უკვე აღარავის „მოგონებებს“ აღარ მიუპყრია მკითხველი საზოგადოების ისეთი ყურადღება, როგორიც ა.ი. გოლოვაჩოვის მოგონებებს. მისმა წარმატებამ მეტად გადააჭარბა მისი განსვენებული პირველი ქმრის ი. ი. პანაევის „ლიტერატურული მოგონებების“ წარმატებასაც. ამით კი ცოტა რამ არაა ნათქვამი...

ამ „მოგონებების“ მნიშვნელობისა და მისი წარმატების სერიოზულობის სხვა დადასტურებას შემდეგი გარემოებაც ემსახურება: „ა.ი. გოლოვაჩოვის მოგონებები“ ეხება ჩვენი ლიტერატურის ისტორიის ახლო წარსულის მეტად მგრძნობიარე სიმებს. სრული პირდაპირობით და უცერემონიოდ, „როგორც თავისუფალი თავისუფალს, ტოლი ტოლს“—წერს მათი ავტორი ორმოციანი წლების ლიტერატურის მოღვაწეების სახელოვანი პლეადის უმეტესად სახელოვან ადამიანებზე, რომლებითაც სამართლიანად ამაყობს და რომელთაც აფასებს მთელი რუსეთი, და სრულიად დაუნდობელი ობიექტურობით ანალიზს უკეთებს მათ საქციელსა და გულისწადილს.

ამისათვის ყველას, თვით გამოჩენილ ლიტერატურის ისტორიკოსსაც კი, არ ეყოფოდა გამბედაობა და სიმამაცე. ეს სრულიადაც არაა აკვიატებული თვალსაზრისი, სულაც არაა ის სურვილი, რომ, რაც არ უნდა იყოს აეხადოთ ბრბოს კუმისებს გვირგვინი ანდა დაისვან მტრები და ამაღლდნენ მოყვასნი. ზოგიერთნი ამ მოღვაწეთაგან, მაგალითად, გრ. ლ. ნ. ტოლსტოის მსგავსნი, რომელნიც პირველად განურჩეველი, ხოლო შემდეგ პირდაპირ მტრულ განწყობილებაშიც კი იყვნენ ა. ი. გოლოვაჩოვის წრესთან. მის აღწერილობაში საგანგებოდ სიმპათიურად მოჩანან, ახალი ბრწყინვალებითა და შარავანდედით მოსილნი. მაშინ, როცა მეორენი, როგორც მაგალითად, ნ. ა. ნეკრასოვი, რომელიც იმავე წრის სულს თუ არა, ყოველ შემთხვევაში ცენტრსა და ძალას წარმოადგენდა, ა.ი. გოლოვაჩოვის მიერ გამოყვანილი არიან ყოველგვარი შეფერვის გარეშე, მათი სუსტი მხარეებითა და ნაკლოვანებებითაც კი. ყველაფერი ეს მკითხველზე ახდენს ქ-ნ გოლოვაჩოვის თხრობის სიმართლისა და გულწრფელობის მოურეველ შთაბეჭდილებას. ამიტომაცაა, რომ საზოგადოება უნებლიედ ურიგდება მისი ნაშრომის იმ მხარეებს, რომლებშიც მის საყვარელ და პატივსაცემ ლიტერატურის მოღვაწეების ხსოვნაზე, როგორიც ი. ს. ტურგენევი, ფ. მ. დოსტოევსკი, ნ. პ. ოგარევი და მრავალი სხვა არის,

საშინელი იერიში მიაქვთ. დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ არავის სხვას და არაფრის გულისთვის არც კრიტიკა, არც საზოგადოება არ აპატიებდა ამის მსგავს თამამ შეფასებას, ასეთ „მხილებას", ასეთ პირდაპირობას. ა.ი. გოლოვაჩოვის ნაამბობის წინააღმდეგ კი არავინ კამათობს, საწინააღმდეგო აზრს არავინ გამოთქვამს... განა ეს „მოგონებების" სიმართლისა და წარმატების სანქცია არ გახლავთ?

რასაკვირველია, ზოგიერთ კერძო შემთხვევაში ა.ი. გოლოვაჩოვის ნაამბობი არათუ სრული არაა, არამედ რუსული ლიტერატურის ისტორიის ზუსტი მონაცემებისა და ფაქტების უკმარისობის განცდასაც კი სტოვებს. მე ვეცდები სულ მალე შევავსო და შევასწორო, ნაბეჭდი წყაროების საფუძველზე, ერთი მეტად საყურადღებო და საზოგადოებისათვის ჯერ უცნობი ეპიზოდი, ქ-ნ გოლოვაჩოვის მიერ გაკვრით აღნიშნული მკაცრი პოლემიკა „სოვრემენიკსა" და „კოლოკოლს[36]" შორის, რომელსაც „მოგონებების" ავტორი სულ მთლად ი. ს. ტურგენევის ინტრიგებსა და ბეზღობას მიაწერს. საერთოდ კი, „ა.ი. გოლოვაჩოვის მოგონებების" ძირითადი ქარგა და კოლორიტი ყველასათვის, ვინც ორმოცდაათიანი და სამოციანი წლების დიდ და პატარა ლიტერატურულ საქმეებს კარგად იცნობდა, უეჭველად სარწმუნოა, ადამიანებიც, საქმეებიც და მხარეთა ურთიერთობანიც უეჭველად სწორად და სიმართლით არის გამოხატული, რადგან ყველაფერი ეს, აღწერილ დროში, ავტორის გრძნობებზე და აზრზე ახდენდა გავლენას და თანაც ისე, როგორც ყველაფერი ეს ნამდვილად ხდებოდა ან არსებობდა. და, მაინც, ჭეშმარიტი აზრი აღწერილი მთელი დრამისა, ჩვენს წინ გადაშლილი ყველა წამებისა და შეჯამებებისა, როგორც ყოველთვის ხდება ხოლმე, ბრძოლის უახლოესი მონაწილეებისა და მოწმეების ყურადღებასა და შეგნებას გამოჰპარვია... საქმის ასეთ მხარეს მინდა ჩემი მკითხველის ყურადღება მივაქციო საზოგადოებრივი განვითარების საერთო და მუდმივი ინტერესის გულისათვის.

მე არ შემიძლია ქ-ნ გოლოვაჩოვის მოთხრობის არც კერძო მხარეებს და არც საერთო აზრს გამოვეკამათო,—არ შემიძლია თუგინდ იმიტომაც, რომ მზადა ვარ ამ მწერალი ქალის თითოეული სიტყვა ჭეშმარიტად ვინამო და, კიდევ იმიტომ, რომ, რაც მე პირადად ვიცი მის მიერ აღწერილი ეპოქის შესახებ, მის თხრობას სრულიად შეესაბამება.

ამიტომ, ვიღებ რა უკამათოდ და უეჭვოდ ყველაფერს, რასაც იგი ლაპარაკობს თავისი დროის ლიტერატურის მოღვაწეთა შესახებ, მკითხველს მხოლოდ ერთს შევეკითხები:

ყოველგვარი ეჭვის გარეშე უამრავი უკამათო ლიტერატურული ფაქტებითაც, ა.ი. გოლოვაჩოვის პირადი მოგონებითაც ცხადია, რომ ორმოცი, ორმოცდაათიანი და სამოციანი წლების რუსული ლიტერატურის მრავალი სახელოვანი მოღვაწე მართლაც და ცხოვრებაში ნამდვილად სულაც არ იყო ისეთი, როგორითაც მათ წარმოდგენას მიეჩვია საზოგადოება, ზოგიერთი მათგანი, მხოლოდ ი. ს. ტურგენევი, ფ. მ. დოსტოევსკი, ნ. პ. ოგარევი, ა.ი. გერცენი და სხვანი, ვიწრო, ავადმყოფური თავმოყვარეობის ადამიანები იყვნენ, რომელთაც ლიტერატურის საერთო საქმის არსებითი ინტერესები ყოველ ნაბიჯზე მსხვერპლად მიჰქონდათ თავისი პირადი, წვრილმანი გაღიზიანებებისა, ქარაფშუტობისა და თვით ბაქიობის წინაშე. როგორ უნდა მომხდარიყო, რომ ასეთმა ხალხმა, რომელნიც ახლანდელი მკაცრი საზომის მიხედვით შეიძლება ჩავთვალო იქნებ ზერელეებად, ქარაფშუტებად და სულელებადაც კი, არა მხოლოდ ამოკვეთეს თავისი სახელი რუსული ლიტერატურისა და რუსული საზოგადოებრიობის განვითარების ისტორიაში, არამედ, რაც უფრო მნიშვნელოვანია, ნამდვილი და დაუვიწყარი სამსახური გაუწიეს თავის სამშობლოს, მის შეგნებაში აურაცხელი შუქისა და ადამიანურობის შეტანით?

ეს სრულიად მარტივად მოხდა. რასაკვირველია, შემდეგ თაობათა საუკეთესო წარმომადგენლების თვალსაზრისით, დობროლიუბოვის თვალსაზრისით, ტურგენევი მაგალითად, ან გერცენი, როგორც ჩვეულებრივ იტყვიან ხოლმე—„სასტიკ კრიტიკას ვერ უძლებენ“. მაგრამ, რატომ? მე გარკვევით შემიძლია ავხსნა, რადგან მე თვით გადავიტანე და განვიცადე და ვფიქრობ, რომ ეს საგულისხმოა არა მხოლოდ ფსიქოლოგიური თვალსაზრისით. დობროლიუბოვი ლიტერატურულ ასპარეზზე დასრულებული და ჩამოყალიბებული მსოფლმხედველობით გამოვიდა, რაც წარმოადგენდა არა მხოლოდ რუსი ლიტერატურის მოღვაწეების, მისი უშუალო წინამორბედი თაობის გონების მოძრაობას, არამედ ევროპული აზროვნებისა და ცხოვრების უდიდესი ბუმბერაზების ნაყოფიერებას. მას გააჩნდა გარკვეული იდეალები, ჩამოყალიბებული ჩვენი საუკუნის უმამაცესი ნოვატორების სკოლაში.

რუსეთის ცხოვრების ყველა მოვლენას, თავის ირგვლივ შემოკრებულებას, თავის თავსაც, იგი ყოველთვის ამ იდეალების პრიზმაში ხედავდა. თავის და ირგვლივ შემოკრებილთაგან იგი მოითხოვდა აზრის იმავე ძალას, ისეთსავე გამბედაობას, მოქმედების იმავე ენერგიას, ცხოვრების იმავე სიმაღლესა და სიწმინდეს, როგორითაც იგი

აღტაცებული იყო ხოლმე ევროპის ისტორიის საუკეთესო წარმომადგენლებში და მოღვაწეებში. რაც უფრო მაღალი და მიუწვდომელი იყო მისი იდეალები, მით უფრო მკაცრი იყო, ცხადია, მისი დამოკიდებულება ირგვლივ შემორტყმული ჟიჟმატების მიმართ. რასაკვირველია, ეს საუკეთესო გზა არის საკუთარი მორალისა და მომზადების ასამაღლებლად, საკუთარი ზნეობრიობის გასაუმჯობესებლად, საკუთარ ძალთა გამოსასწორებლად, საკუთარი სამშობლოს ცხოვრებაში პროგრესის შესატანად. ადამიანებს, რომელთაც გააჩნიათ ბუნებრივი მიდრეკილება სიმდიდრისადმი, იწვრთნებიან მხოლოდ ასევე დიდ ადამიანთა სკოლაში, უამისოდ ისინი განწირულნი არიან ჩაკვდომისა და წვრილმანებისათვის...

მაგრამ, მეორე მხრივ, ცხოვრებისადმი ასეთ განსაკუთრებულ დამოკიდებულებას ადამიანი ყოველთვის მიჰყავს მისგან მოწყვეტისაკენ. რასაკვირველია, შედარებით ბუმბერაზებთან, რომელთა მსგავსების ხილვაც სურდა დობროლუბოვს თავის საშმობლოშიც,—იმიტომ უნდოდა მათი ხილვა, რომ იგი სამშობლოს თავგამეტებით აღმერთებდა,—ტურგენევიც, ოგარიოვებიც და თითქმის ყველა ჩვენი ლიტერატურის მოღვაწე მხოლოდ ქონდრის კაცებად ჩანდნენ. მაგრამ შედარებით ვეება რუს ხალხთან და განათლებულ საზოგადოებასთან ყველა ლიტერატურული მოღვაწე გამოუკლებლად ბუმბერაზს ეტოლებოდა, არა მხოლოდ გონებრივი, არამედ ზნეობრივი თვალსაზრისითაც. რაც არ უნდა სუსტი მხარითა და ნაკლოვანებით არ უნდა ყოფილიყვნენ ისინი აღსავსენი, მაინც რამდენიმე თავით მაღლა იდგნენ არა მხოლოდ მასაზე, არამედ ინტელიგენციაზედაც, რომელშიც შეიძლება, ორი-სამი ბუმბერაზი ყოფილიყო მათზე აღმატებული, აზრისა და ნიჭის ძალით, ცხოვრებისა და მისწრაფების სიწმინდით. ეს „შედარებითი" თვალსაზრისი, ახალგაზრდების მიერ ყოველ ნაბიჯზე უგულვებელყოფილი, რომელნიც ყველაფერს აბსოლუტის პრიზმით უცქერიან, ისტორიის და შთამომავლობის სამსჯავროში მეტად მნიშვნელოვან როლს თამაშობს. არც ერთი და არც მეორენი არასოდეს თვალსაფრებს არ იკეთებენ მხოლოდ ერთ ნერტილზე სნორხაზოვნად მისაჩერებლად და თავის წინ მხოლოდ ერთი ზოლის დასანახავად, ისტორია და შთამომავლობა ყველას და ყველაფერს უცქერის იმ თვალსაზრისით, თუ რა შეიტანა ამა თუ იმ ისტორიულმა მოღვაწემ თავისი სამშობლოს ცხოვრებაში ახალი, სასარგებლო, ნათელი და სულაც არ კითხულობს იმას, თუ სად მოკრიფა ან რა ხელებით მან ყველაფერი

ეს, რა ხერხით გაავრცელა იგი. პეტრე დიდს არაფერი „თავისი“ არ შეუტანია რუსეთის ცხოვრებაში, ყველა, რაც მან მისცა მას, იყო ნასესხები და გადმოღებული... და, მიუხედავად ამისა, მისი ნათელი ხსოვნა არ გაქრება ხალხთა შორის, ვიდრე ისტორია იარსებებს, ვიდრე თვით კაცობრიობა არ მოისპობა.

სწორედ ამაში იფარება ჩვენი სამშობლოს მომავლისეულ იმედთა საფუძველი, რომ ბუნებას და ისტორიას,—როგორც ეს, ერთი სიტყვით, შეამჩნია ჰეგელმა,—შეუძლიათ ისარგებლონ შეუფერებელი და სრულიად გამოსაყენებელი მასალითაც კი უკვდავი და უნგრევი ქმნილებების ასაგებად. „ერთი და იმავე გზით,—წერდა ჰეგელი.—ბუნება სარგებლობს თავისი შემოქმედების პროცესისათვისაც და ცხოველური ცხოვრების უჭუჭყიანესი გამოვლინებებისთვისაცო.“ ჩვენი საზოგადოებრივი პროგრესი სწორედ იმითია უკვდავი, იმითია შეუჩერებელი, რომ ყველა უნებლიე და შეუცნობელი მსახურია მისი: „ხალხიც, რომელიც მას შეგნებულად ემსახურება, კაცობრიობის უმაღლესი იდეალებით აღფრთოვანებული და, ფეტიშებიც, რომელნიც მხოლოდ საკუთარ დიდებაზე ზრუნავენ, მხოლოდ იმაზე, რომ მათი ლექსები რომელიმე თეოდორიას ან დულცინეას მოსწონდეს.

ლიტერატურის ისტორიისათვის, საზოგადოებრივი განვითარების ისტორიისათვის, სრულიად არა აქვს მნიშვნელობა იმის ცოდნას თუ ვინაა ეს დულცინეა, ღირდა თუ არა ის, რომ მისი გრძნობები დაფასებულიყო, ან მისი გრძნობებით ჩაგონებულნი ღირდნენ რამედ თუკი თვით ლექსი, ამა თუ იმ აზრით შეეხო თვითონ საზოგადოების გრძნობას, გააღვივა მასში სიყვარული, კითხვისადმი, ნდობა დაბეჭდილისადმი და მისცა ბიძგი აზრის მოძრაობას... ახლა, ჩვენ დროში ამ კანონის უფრო მეტად ხელშესახებ გამოვლინებას ვხედავთ. ახლა ლიტერატურის ასპარეზზე მოქმედებენ არა მხოლოდ სუსტი და ნაკლოვანი მხარეების მქონე მოღვაწენი, არამედ ე.წ. „წვრილი ბეჭდვითი სიტყვის“ გაყიდული ადამიანები, ნამდვილი შანტაჟისტები. რა უნდა იყოს ამ ტიპზე საზიზღარი? ქ-ნ გოლოვაჩოვის მიერ ჩირქმოცხებული მოღვაწენი ხომ პირდაპირ ანგელოსები და გენიოსები არიან ამისთანა მჯღაბნელებთან შედარებით.

თანაც, ამასთან ერთად, ვის შეუძლია უარჰყოს, საერთოდ, ამ უკანასკნელ გამოცემათა და მათ მჯღაბნელთა სარგებლიანობა, რომელნიც შეადგენენ თანამედროვე ჟურნალისტიკისა და ლიტერატურის მოსამზადებელ კლასს?

ვჩქარობ, დავამთავრო უადგილობის გამო, ამიტომ გაკვრით მინდა დავსახო მეორე შენიშვნა. „ა.ი. გოლოვაჩოვის მოგონებების“ მიმართ. რასაკვირველია, სამოციანი წლების ლიტერატურული უთანხმოებისა და შეჯახებათა უახლოეს მონმეს შეიძლებოდა მოსჩვენებოდა, რომ მათი ერთადერთი წყარო ზოგიერთი მაშინდელი მოღვაწის პირად ვნებიან სურვილში, მათი პირადი ხასიათის ნაკლოვანებებში მდგომარეობს, ამ მხარეებს, უდავოდ ბრძოლის გამწვავების საქმეში მცირე როლი არ შეუსრულებიათ. მაგრამ მხედველობაში მისაღებია საქმის ძირითადი მხარეც. ქ-ნ გოლოვაჩოვის მიერ აღწერილი შუღლი და განხეთქილებანი ძირითადში აღმოცენდა იმ ვითარებებზე, რომ აქ პირველად შეეჯახნენ ერთმანეთს ორი ერთურთის საწინააღმდეგო სამყარო, ორი მსოფლმხედველობაც კი, ერთი მეორის ურთიერთ გამომრიცხავი. მ.ნ. ჟატლოთი, რამდენადაც ცნობილია „სოვრემენიკის“ ჯგუფთან არავითარ ურთიერთობაში და შეჯახებაში არ ჩარეულა, ისევე, როგორც ა.ი. გერცენიც, რასაც არც ერთისათვის ხელი არ შეუშლია ამ ჯგუფს მთლიანად გაჰყროდნენ. მაშ, რატომ მხოლოდ აუცილებლად ტურგენევი გაშორდა მათ თავმოყვარეობის წვრილი საკითხების გამო? იდეურ აზრთა სხვადასხვაობა აქ უფრო მეტ როლს თამაშობდა, ვიდრე პირადული. მაგრამ საქმის ამ მხარის დაწვრილებითი გარჩევისათვის არც დროა და ზედმეტიცაა: ამას არა აქვს პირდაპირი კავშირი ჩემს ამოცანასთან, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ მკითხველ საზოგადოებას მოაგონოს—მას არა აქვს უფლება ორმოცდაათიანი წლების ლიტერატურის მოღვაწეობას დობროლუბოვის თვალით შეხედოს. ჯერ ეს საზოგადოება გაუსწორდეს დობროლუბოვს, შემდეგ კი დაიწყოს მისგან მაიმუნივით რამეების გადაღება.

104. საუძმო საკითხავი

აი, ახლა კი „გაულიმებთ ბედი“ ჩვენს თბილისელ პარიზელებს, განსაკუთრებით ხუთშაბათის შემდეგ, როცა კავკასიის გამოფენა გაიხსნება!

რა დიდებული პოზების მიღება შეეძლებათ, რა ენამოსწრებულ სიტყვებს დააბნევენ, უგულვებელყოფის როგორ სამოსელში გაეხვევიან. დიდად საინტერესო იქნება მათი ყურება. მარტო ის რად ეღირება, როცა იტყვიან: „ეს რა არის, mon her ჩვენთან პარიზში. chez nous a Paris

ამავე დროს მთელი მათი „ზიზღი", ყოველი მათი პოზა საფუძვლიანი იქნება: იმსჯელეთ თქვენ თვითონ: ეს რა გამოფენაა, როცა მასზე არც ეიფელის კოშკია წარმოდგენილი, არც „ასანსერები", არც შობათა გუნდი და არც სუდანის ღარიბ-ღატაკნი? ეს გამოფენა კი არა, ეშმაკმა უნყის რა არის. Fi donc გამოფენას აწყობენ და ამავე დროს სახურავი ვერ გაუკეთებიათ ისე, რომ წყალი არ ჩადიოდეს და ექსპონანტებს არ ასველებდეს.

—სად მივძვრებით ჩვენი გამოფენებით, თითქოს ჩვენც ადამიანები ვიყოთ. ხი-ხი-ხი.

—ხა-ხა-ხა! კარგი იქნება, ასე მხოლოდ ის უსაქმური და მოხეტიალე ტურისტები თუ იმსჯელებენ, რომელთაც მოასწრეს პარიზის გამოფენაზე არა მხოლოდ ადგილობრივი კეკლუცი ქალების „ტიურნურების" შესნავლა, არამედ ის ადამიანებიც კი აიბზეკენ ცხვირს, ავლაბარს რომ არ გასცდენიან, რადგან სიბრიყვე გადამდებია, განსაკუთრებით, როცა იგი პომადითა და ლაქითაა დაფარული...

რა თქმა უნდა, ჩვენსა და პარიზის გამოფენას შორის „უზარმაზარი დისტანციაა", მაგრამ იმის ცდაც კი, რომ ერთმანეთს შეადარონ ეს შეუდარებელი სიდიდეები, ცხადყოფს უბრალო საღი აზრის უქონლობას: ცხადია, ჩვენს გამოფენას ბევრი მნიშვნელოვანი ხარვეზი და ნაკლი აქვს: მარტო ის რად ღირს, რომ მას არ გააჩნია მეცხოველეობის განყოფილება, მისი ნაგებობანი შესახედავად ულაზათო, იაფფასიანია და უსისტემოდ არიან განლაგებული. ერთი სიტყვით, თქმით ყველაფრის თქმა შეიძლება, მაგრამ ამავე დროს ჩვენი ეკონომიური ცხოვრების გამოფენა იმხელა წინ გადადგმული ნაბიჯია, შემდგომი განვითარების იმხელა საწინდარია, რომ ასეთ სამსახურს ალბათ ვერავითარი გამოფენა ვერ გაუწევდა საფრანგეთს, რომელიც მისი ამჟამინდელი განვითარების გარეშეც დიდი ხანია ადგას სამრეწველო პროგრესის სწორ გზას. ერთი შეხედვით რა დაუჯერებელი, რა უაზრობაც არ უნდა იყოს ამის თქმა, ამ ჭეშმარიტების საუკეთესო დამადასტურებელი სნორედ კავკასიის გამოფენის ნაკლულოვანებებია.

მართლადაც, რით აიხსნება ყოველი სერიოზული გონების პატრონის, ყოველი ყურადღებიანი მსაჯულისათვის ჩვენი გამოფენის დიდი ნაწილის ნაკლი? ძალიან უბრალოდ—ამის მიზეზი ჩვენი სამრეწველო განვითარებისადმი უნდობლობაა. გაიხსენეთ მხოლოდ ის დავა, რაც წინ უსწრებდა თბილისის ქალაქის სათათბიროში სოფლის მეურნეობის კავკასიის საზოგადოების გამოფენის დაფინანსებას. აღარაფერს ვამბობ წამოძახილებზე: „რა გამოფენა უნდა მოვაწყოთ, ტიკებსა და

ურმებს ხომ არ გამოვფენთ, მეტი რა გაგვაჩნია?" საკმარისია გავიხსენოთ, რომ მაშინ თვით გამოფენის ინიციატორები მორიდებული სიტყვით გამოვიდნენ, რადგან ნაკლებად სწამდათ თავიანთი გამოფენის წარმატება. ისინი პირდაპირ ამბობდნენ: „ჩვენ ვიცით, რომ ექსპონანტები ცოტა იქნება, რა გამოვფინოთ, როცა გამოსაფენი არაფერი გვაქვს, მაგრამ გამოფენა მაინც უნდა მოვანყოთ, რომ მომავალში ბიძგი მივცეთ ამგვარ წამოწყებებს, შევწყვიტოთ საყოველთაო ძილი, ერთი სიტყვით, ეს გამოფენა მხოლოდ აღმზრდელობითი მიზნით ეწყობა". ამის შემდეგ, რა თქმა უნდა, ყველა ხელმომჭირნე გახდა. თქვენ თვითონ იცით, რომ სოფლის მეურნეობის საზოგადოებას თავის სახსრები ცოტა აქვს. დიდი ხნის ბჭობის შემდეგ, ჩვენმა სათათბირომ ქისა გახსნა და გამოფენის მოწყობის ინიციატორებს ერთი შაური გადმოუგდო და ისიც „სესხად". სათათბიროში ბატონობს ყველა ის ფინანსისტი, რომლებიც დარწმუნებული არიან, რომ ეკონომიური სიბრძნე ცარიელი სკივრის დაკეტვაა. გასაგებია, რომ მთავრობა უნდა აჰყოლოდა „საქმის კარგად მცოდნეთა" მაგალითს... ყველაფერი ეს იმას მოწმობს, რომ ჩვენში უნდობლად იყვნენ განწყობილნი ადგილობრივი მრეწველობისადმი, რაც დაფუძნებული იყო მისი ახლანდელი მდგომარეობისა და მისი ბუნებრივი ძალების არცოდნაზე.

ამიტომ გასაგებია, გამოფენის მოსაწყობად გამოყოფილი იყო უმნიშვნელო სახსრები და მისმა ორგანიზატორებმა გადაწყვიტეს მოეწყოთ პატარა, უბრალო გამოფენა. იგი რომ იმ მასშტაბის გახსნილიყო, როგორიც დააპროექტეს, მაშინ ვერავინ ვერ იპოვიდა ვერავითარ ნაკლს, გარდა ერთისა: რომ იგი გაცილებით პატარაა, ვიდრე პარიზის გამოფენა.

მაგრამ სინამდვილეში მოხდა რაღაც სრულიად მოულოდნელი. „კეთილგონიერი" ადამიანებისა და ჩვენი სკეპტიკოსების ვარაუდი, რომ ადგილობრივი ცხოვრება ჩამორჩენილია, რომ საზოგადოება არ იჩენს ელემენტარულ კერძო ინიციატივასაც კი და ა. შ. და ა. შ., მცდარი აღმოჩნდა.

მიუხედავად იმისა, რომ ექსპონანტების მოსაპოვებლად არ გააჩნდათ საკმარისი სახსრები, არ შეეძლოთ დაეგზავნათ ჩვენს მხარეში განსაკუთრებული და საქმიანი კომისრები და ეს საქმე მიანდეს ადგილობრივი პოლიციის დაბალი რანგის აგენტებს, რომლებიც, როგორც ცნობილია, თავიანთი პირადი მოვალეობებით დიდად არიან გადატვირთულნი და ამავე დროს სრულიად არ ერკვევიან სამრეწველო საქ-

მეებში, გამოფენაზე იმდენმა ნაწარმმა მოიყარა თავი, რომ გადააჭარბა ყოველგვარ მოლოდინს. გამოფენაზე თავიანთი ნაწარმი გამოგზავნეს ისეთმა ფენებმაც კი, საიდანაც არავინ არავითარ გამოხმაურებას და თანაგრძნობას არ ელოდა.

ყოველგვარი „მოზიდვისა" და გამოფენის ორგანიზატორთა ყოველგვარი გარჯის გარეშე, მხოლოდ „საკუთარი სურვილით" იმ ქვეყნის ნიაღიდან, რომელსაც თითქოს მარადიული ძილით ძინავს, დაიწყო ექსპონანტების ისეთი მოზღვავება—მართალია არეულ-დარეულად და უსისტემოდ—რომ გამოფენის ორგანიზატორები ჯერ დაიბნენ, შემდეგ კი დაიწყეს გამოფენის კარების დაკეტვა დამკაკუნებელთა ცხვირწინ. ამიტომაც გვხვდება თვალში გამოფენის ნაგებობათა „უსისტემობა". თავიდან ვარაუდობდნენ, რომ ცენტრალური შენობა დაიტევს ყველა გამოსაფენ ნაწარმოებს, შეიძლება საჭირო გახდეს ორი-სამი ცალკე პავილიონის აგება. სწორედ ამ ვარაუდით დააპროექტეს გამოფენის „ბაღის" მდებარეობა. სინამდვილეში კი ნელ-ნელა მთელი ბაღი ნაგებობებმა დაიკავა და თანაც ისე, რომ ისინი ერთმანეთს ფარავენ, რაც გამოფენის საერთო შთაბეჭდილებას ზიანს აყენებს. გამოფენის ორგანიზატორებს და არქიტექტორებს რომ სცოდნოდათ, ამდენი ექსპონანტი მოიყრიდა თავს, რომ ამდენი პავილიონი დასჭირდებოდათ, მაშინ ისინი თავიდან დაგეგმავდნენ მას ისე, რომ გამოფენას ექნებოდა საერთო, მთლიანი, ერთიანი სახე. მათ რომ წარმოედგინათ ექსპონანტების სიმრავლე, მთავარ შენობასა და მის სამრეწველო განყოფილებასაც უფრო დიდი ზომისას დაგეგმავდნენ და ახლა აღარ იქნებოდა საჭირო იმ მეპატრონეთა მომაბეზრებელი თხოვნა, რომელთაც არ იციან რა უყონ თავიანთ ექსპონანტებს და არც მათი განუქარვებელი მწუხარება და ტირილი იქნებოდა საჭირო იმის გამო, რომ მათი ნაწარმოებები ან ერთადაა თავმოყრილი და ამიტომ მიჩქმალულია, ანდა საერთოდ არ გამოფინეს... ყველაფერი ეს ახასიათებს არსებულ მდგომარეობას: ჩვენი გამოფენა აგებს იმით, რასაც ფრანგები ასეთი კლასიკური გამოთქმით საზღვრავენ: „embarras de richesses". იმის გამო, რომ ჩვენი მრეწველობის მიმართ უნდობლობა გამოვიჩინეთ, იმის შიშით, რომ გამოფენის მოწყობაზე ტყუილუბრალოდ დავიხარჯებით, ჩვენ თავიდანვე „მოვიკაკვეთ", ახლა კი სივიწროვე გვაწუხებს, არ ვიცით, სად წავიღოთ ჩვენი სიმდიდრე და ექსპონანტები ან ფუჭდება, ანდა ვერ ახდენს სათანადო შთაბეჭდილებას...

ეს, რა თქმა უნდა, თუ შეიძლება ასე ვთქვათ, „შედარებითი" თავის დამშვიდებაა. აბსოლუტური თვალსაზრისით კი სხვაგვარად უნდა

ვიმსჯელოთ. უდავოა, რომ სურათი, რასაც კავკასიის გამოფენა წარმოსახავს, ძალიან ღარიბულია, თუ გავიხსენებთ მსოფლიოს ერთ-ერთი მდიდარი ქვეყნის ბუნებრივ სიმდიდრეს და იმას, რომ მთელი საუკუნის მანძილზე ამ ქვეყანას შეეძლო და უნდა შესძლოს კიდეც მიაღწიოს შეუდარებლად უფრო მაღალ სამრეწველო კულტურას. ცხადია, ამ თვალსაზრისით ჩვენში ჯერ თითქმის არაფერი გაკეთებულა და წინ უამრავი სამუშაოა. ამ მხრივ ქვეყანა უნდა წითლდებოდეს იმის გაფიქრებაზე, რომ მას აქამდე არ შეუძლია გადაამუშავოს თავისი ბუნებრივი ნანარმი და უმეტეს შემთხვევაში კმაყოფილდება მისივე ბუნებრივი სიმდიდრის უცხოელთა მიერ გადამუშავებული პროდუქტებით. ადგილობრივი მოსახლეობის თავმოყვარეობას მგრძნობიარე დარტყმებს აყენებს ჩვენი გამოფენა და ეს ყველაზე მეტად უნდა გვიხაროდეს, რადგან იქნებ ამან ჩვენს მოსახლეობას თვალები აუხილოს. ახლა ისინი, ვისაც თვალები იმისთვის აქვთ, რომ დაინახონ და ყურები იმისთვის, რომ გაიგონონ, დარწმუნებულნი არიან, თუ კვლავაც გაჰყვებიან ძველ გზას, შეიძლება მხოლოდ შავ მუშებად გადაიქცნენ. მართლაცდა, შეხედეთ გამოფენას, იმ ადგილს, რომელიც უჭირავს ჩვენს მრეწველობაში ქვეყნის მნიშვნელოვან ეკონომიურ ძალას—მის მიწათმოქმედებას, ძირითადად ქართველების ხელში რომაა თავმოყრილი.

შეხედეთ ასევე იმ ადგილს, რომელიც იქვე უჭირავს მეორე, არანაკლებ მნიშვნელოვან ძალას—კაპიტალს, რაც ხმების მიხედვით, სომხების ხელშია თავმოყრილი და დატკბით ჩვენი ქვეყნის ამ ორი უდიდესი ძალის უბადრუკი ფიგურის ცქერით იმ მესამე ძალასთან შედარებით, აქამდე რომ ჩვენში არავინ უწევდა ანგარიშს—პირადი ინიციატივისა და ცოდნის ძალის ცქერით. როგორც ჩვენი მიწათმოქმედება, ასევე კაპიტალი ამ შემთხვევაში გაცვეთილ, უსახურ, უმნიშვნელო როლს თამაშობენ, ის ადამიანები კი, რომლებმაც თითქმის უკაპიკოდ, უსახსროდ ხელი მოჰკიდა მწარმოებლური, განსაკუთრებით კი გადამამუშავებელი საწარმოს შექმნას—სოლიდური ნარმატებით ბრწყინავენ პირველ რიგში. ჩემი აზრით, ეს არის განგების ნება, თავისებური „მინი-ფაკელ-ფარესი", დადგმული ჩვენი მხარის ადრინდელი ცხოვრების ძირმომპალ შენობაზე და სიკეთეს ეწევიან ისინი, ვისთვისაც მითითება ტყუილა არ ჩაივლის...

მაგრამ ამგვარი აზრები მხოლოდ მანამდე მოგდის თავში, სანამ აბსოლუტურ თვალსაზრისზე დგახარ, სანამ გახსოვს, რა შეიძლება ამ

მხრივ ჩვენში გაკეთდეს. მაგრამ როცა ამ სიმაღლიდან ეშვები შედარებით თვალსაზრისამდე, მაშინ იმას, რაც გაგაჩნია, ადარებ იმას, რაც იყო ამ ოცი ან ათი წლის წინათ, მაშინ მწუხარებასა და დარდს ცვლის აღტაცება, ანდა, უკიდურეს შემთხვევაში—იმედი. ამ დროს ხედავ, რომ ქვეყანამ, გარედან ყოველგვარი დახმარების გარეშე, „უცხოური კაპიტალის" ხელოვნურად „მოზიდვის" გარეშე, შეძლო ნელ-ნელა განვითარების გზაზე დამდგარიყო და ამ გზაზე ხელშესახები, ან უფრო სწორად, მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაედგა. თუ ყველაფერი ეს განხორციელებულია არა მარტო გარედან დახმარების გარეშე, არამედ ისე, რომ იმათ ამის შესახებ არაფერი იციან, ვინაც ყველაზე მეტად უნდა იცოდეს ეს ამბავი, თუნდაც „სოფლის მეურნეობის საზოგადოებამ", ანდა ჩვენმა თვითმმართველობამ, მაშინ წარმოადგინეთ, რა მდიდრულად გაფურჩქნული ბაღი იქნებოდა რუსეთისათვის ჩვენი მხარე, მისი მწარმოებლური ძალები სნორ ხელმძღვანელობასა და სერიოზულ მხარდაჭერას რომ ღირსებოდნენ, ცხადია არა „სუფსიდიების" თვალსაზრისით, არამედ კრედიტის, გადასახადთა ტარიფების, გზების, ტვირთის გადასაზიდი და შესანახი საშუალებების სნორი ორგანიზაციით.

ამ თვალსაზრისით ჩვენ მიგვაჩნია, რომ კავკასიის გამოფენას, ადგილობრივი მოსახლეობისათვის მის აღმზრდელობით მნიშვნელობას აქვს ან უფრო სწორად, შეუძლია ჰქონდეს ჩვენი მხარისათვის კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა: იგი ბოლოს და ბოლოს გააქარწყლებს იმ ცრუ რწმენას, რაც ასე დამღუპველად მოქმედებს ჩვენს ბედზე, თითქოს კავკასია არაფერს არ აწარმოებს და არც შეუძლია აწარმოოს...

გამოფენა ყველას დაანახვებს, რომ ჩვენი მხარე ღირს იმად, რომ ვიზრუნოთ მისთვის და ეს ხელსაყრელიც იქნება, რადგან მან, ეკონომიური ცხოვრების ყველაზე არახელსაყრელ პირობებში და გარედან ყოველგვარი დახმარების გარეშე, მიაღწია მრეწველობის ზრდის შესამჩნევ დონეს.

105. საუქმო საკითხავი

სატახტო ქალაქის პრესის გარკვეული ნაწილისათვის, რომელიც აგერ უკვე რამდენი წელია დაუღალავად ესხმის თავს „ახალ სასამართლოს" და „სასამართლო რეფორმას" ყველაფერი იმისათვის, რაც მასში ნათელი და სანდოა, ზედმეტი არ იქნება უფრო ახლოს დაინახოს ჩვენი, კავკასიის სასამართლო საქმეები. მაშინ მას ძალიან ჩქარა შერცხვება თავისი თავდასხმებისა, რაც ყოველთვის „არასწორი" მისამართითაა მიმართული. მართლაცდა, აგერ უკვე ოც წელზე მეტია გასული იმ დღიდან, რაც ჩვენში სასამართლო რეფორმა ჩატარდა და იმ დღიდანვე არსებობს სასამართლოწარმოების ის იდეალი, რისკენაც ასე გულმოდგინედ ისწრაფვის პრესის ეს ნაწილი. არა გვყავს ჩვენ არჩეული მომრიგებელი მოსამართლეები, არა გვაქვს არც მსაჯულთა სასამართლო, არც ნაფიც მსაჯულთა „კორპორაცია", არც „შეუცვლელობა" და არც „დამოუკიდებლობა", ერთი სიტყვით, არა გვაქვს არაფერი, რაშიც ზამოსკვორეჩიეს და იტალიის დიდი ბულვარის თავგამოდებული პუბლიცისტები ხედავენ არამაროლმსაჯულების ალფასა და ომეგას. ამგვარად, როგორც სინათლეა ნათელი, ისევე ნათელია ის, რომ ჩვენს სასამართლო სამყაროში სრული ელდორადო ბატონობს, რომ ჩვენ ყველანი თავს არკადიის მკვიდრად ვგრძნობთ, რადგან ჩვენი განმსჯელი მოსამართლეები უზადონი და პირუთვნელნი არიან, მათ ხელში მოქალაქეთა ქონება, თავისუფლება და ღირსება არ გადაიქცევა არც ვნებათღელვებისა და არც პატარა ვნებების სათამაშოდ...

გახსოვთ, რა აურზაური ატეხა სატახტო ქალაქის პრესამ ამ ოთხი წლის წინათ, როცა პეტერბურგში მსაჯულთა სასამართლომ გაასამართლა ცნობილი მევახშე მირონოვიჩი, რომელსაც ბრალად ედებოდა სარა ბეკერის მკვლელობა, გეგონებოდათ, დედამიწა ქვესკნელში დაინთქა და არცერთ რუს მოქალაქეს აღარ შეეძლო თავისუფლად სუნთქვა იმის გამო, რომ მსაჯულებმა თავის თავს უფლება მისცეს გამოეტანათ საბრალდებო განაჩენი კაცისათვის, რომელიც არავის თანაგრძნობის ღირსი არ იყო და რომელსაც წაუყენეს უამრავი პირდაპირი და არაპირდაპირი სამხილი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მან მაინც შეძლო დაემტკიცებინა, რომ სასამართლოს დადგენილებაში მაინც დარჩა ჩრდილი ეჭვისა. როგორც ცნობილია, საკასაციო სენატმა გააუქმა მსაჯულთა განაჩენი და ბოლოს და ბოლოს მირონოვიჩი გაამართლეს იმ პრინციპის თანახმად, რომ ჯობია გაამართლო ათი დამნაშავე, ვიდრე დასაჯო ერთი უდანაშაულო. ეს ფაქტი მხოლოდ იმ მიზ-

ნით შეგახსენეთ, რომ მინდა მათ ვკითხო: რა მოხდებოდა ჩვენში, „როგორ აურზაურს ატეხდით, მეგობრებო", სატახტო ქალაქის ხერხები და საზომები ჩვენს სასამართლო საქმეებს რომ მივუყენოთ, თუნდაც ყველაზე გახმაურებულ სისხლის სამართლის პროცესებს!

ამგვარი პროცესებიდან მაგალითისათვის მომაქვს უკანასკნელი, ი. ე. ზუბალოვის საქმე, რასაც კარგად იცნობენ „ნოვოე ობოზრენიეს" მკითხველები, არა მარტო სასამართლო პროცესის ანგარიშიდან, ჩვენი გაზეთის №1987-ში რომ დაიბეჭდა, არამედ უმთავრესად დამცველის ა.ვ. სტეპანოვის იმ ღრმად განცდილი სიტყვის შინაარსიდან, მან რომ ქუთაისის საოლქო სასამართლოს წინაშე წარმოსთქვა, მე დარწმუნებული ვარ, რომ არც „ნოვოე ვრემია", არც „მოსკოვსკიე ვედომისტი" არ მოუხმობენ ცის ქუხილს, არ აღიმაღლებენ ხმას იმ კაცის გასამართლების წინააღმდეგ, ვისთვისაც ძიებას ერთი საფუძვლიანი სამხილიც კი არ წაუყენებია... და ამას ისინი იმის გამო არ გააკეთებენ, რომ იქ, პეტერბურგში მათ მირონოვიჩის პიროვნება და თავისუფლება კი არ აინტერესებდათ, არამედ საჭიროდ მიიჩნიეს ესარგებლათ ამ საქმით, რათა გაეუქმებინათ მსაჯულთა ინსტიტუტი, აქ ჩვენში კი, სადაც მისი ადგილი სახელმწიფო სასამართლოს უჭირავს, გასაუქმებელი არაფერია.

მე არ ვერევი ბატონი ზუბალოვის დანაშაულისა და დასჯის საქმეში.

მიუხედავად იმისა, რომ პრესას აქვს უდაო უფლება, „განაჩენს განაჩენი" გამოუტანოს, მე ჩემს თავს უფლებამოსილად არ ვთვლი ჩავიხედო იმ მოსამართლეთა სინდისში, რომელთაც ბატონი ზუბალოვი გაასამართლეს. ეს მათი სინდისის საქმეა და არა ჩემი.

როგორც სხვა ბევრი, მე მხოლოდ იმას ვნანობ დიდად, რომ მათი სინდისი ჰარმონიულად არაა დაკავშირებული იმ „საზოგადოებრივ სინდისთან", რომელიც იმპერატორ ალექსანდრე II-ის სასამართლო წესდებისა და მეცნიერების მიერ აღიარებულია სისხლის სამართლის საფუძვლად. სასამართლომ არ უნდა დასტოვოს საზოგადოების შეგნებაში იმდენი ეჭვი და გაუგებრობა, რამდენიც ბატონი ზუბალოვის საქმეშია. მიიღეთ მხედველობაში ისიც, მე სრულიად არ ვამტკიცებ, რომ ბატონი ზუბალოვი უდანაშაულოა, რომ იგი უნდა გაემართლებინათ—მე პუბლიცისტი ვარ და არა ვექილი—ამიტომ მე ვამბობ მხოლოდ იმას, რომ სასამართლომ თავისივე ინტერესებისათვის, ხელისუფლების პრესტიჟის ინტერესებისათვის, თავის განაჩენი უნდა დაასაბუთოს უდაო სამხილით, მთელი რიგი მნიშვნელოვანი დამამტკიცებელი საბუთებით, რაც დაფუძნებული იქნება სერიოზულ ძიებაზე და მხილებაზე. ასეთი რამ ამ შემთხვევაში და ბევრ სხვა შემთხვევებშიც, ჩვენ, სამწუხაროდ, არ დაგვინახავს...

ეს რომ განსაკუთრებული შემთხვევა იყოს, მაშინ საჭირო არ იქნებოდა მასზე ამგვარი ტონით ლაპარაკი, მაგრამ საქმე ის არის, რომ ამ უკანასკნელ წლებში ჩვენს სასამართლო სამყაროში შეიმჩნევა სრულიად უცნაური მოვლენა. უწინ, ჩვენი რეფორმირებული სასამართლოს მოღვაწეობის პირველ პერიოდში, იგი ცდილობდა განემტკიცებინა თავის ზნეობრივი ავტორიტეტი, ეძებდა სიმართლეს. ეს კიდევ ცოტაა, ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ მისთვის მხოლოდ სიმართლეა ძვირფასი. მისი გამოძიებები იყო ბრწყინვალე, მისი განაჩენები ძლიერად მოტივირებული. მაშინ სასამართლო მოსახლეობის გონებაზე მისთვის მინიჭებული ძალმოსილებით კი არ ახდენდა შთაბეჭდილებას, არამედ იმით, თუ რა ფრთხილად და კეთილსინდისიერად იყენებდა იგი ამ ძალმოსილებას. ახლა კი სასამართლო ნელ-ნელა უგულვებელყოფს იმ სისტემას, რამაც ასეთი კეთილმოქმედი შედეგები გამოიღო.

ყოველწლიურად სულ უფრო და უფრო ხშირად ვლინდება სასამართლოში იმის მაცდუნებელი სურვილი, რომ გვერდი აუარონ მოტივირებას, საზოგადოებრივი სინდისის რწმენას, რომ მის მიერ გამოტანილი განაჩენები იყოს საფუძვლიანი... თუ გვინდა, რომ ჩვენი სასამართლო დარჩეს პირვანდელ სიმაღლეზე, დროულიცაა და საჭიროც ამ ნაკლს ყურადღება მივაქციოთ...

ჩვენ ვიცით—თუმცა ვის ეპარება ამაში ეჭვი—რომ სასამართლოს და მოსამართლეებს უფლება აქვთ გამოიტანონ როგორც გამამართლებელი, ასევე საბრალდებულო განაჩენი და ვერავინ ვერ უარყოფს ამ განაჩენის ძალასა და მნიშვნელობას. მაგრამ რაც უფრო ხშირად უხდება სასამართლოს დაუპირისპირდეს ქვეყნის საზოგადოებრივ სინდისს იმით, რომ გაამართლოს წინასწარ მხილებული დამნაშავენი და დაადანაშაულოს ისინი, თვალნათლივ რომ უდანაშაულონი არიან, მით უფრო აუცილებელია თავის განაჩენების საფუძვლიანი მოტივირებით აღმოფხვრას საზოგადოების შეგნებიდან გაუგებრობანი.

ძალიან ადვილი შესაძლებელია, ყველა ამგვარი განაჩენი აგებული იყოს ფორმალურ საფუძველზე, იმ მოსაზრებებზე, „პატივისცემას“ რომ იწვევს, იმ მოთხოვნებზე, რომელთაც ანგარიში უნდა გაუწიო. ჩვენ არ უარვყოფთ ყოველივე ამას. ჩვენ მხოლოდ იმას ვამბობთ, რომ აუცილებელია საზოგადოებრივი სინდისი გაანთავისუფლონ უცოდინარობისაგან, აუხილონ საზოგადოებას თვალი, რომ იგი არ გაებას საკუთარი მიხვედრების ქსელში, რაც უმეტეს შემთხვევაში უსაფუძვლო და სულელურია.

არადა, ღმერთმა იცის, რა ხდება ახლა. აღმოჩნდება სასამართლოს ხელში რომელიმე საქმოსანი, რომელსაც დანაშაულზე წაასწრეს და ვის შესახებაც ქვეყანაში ორი აზრი არ არსებობს. ყველა თვალნათლივ ხედავს, რომ მისი დაუსჯელად დატოვება არ შეიძლება. ამავე დროს სასამართლოდან იგი გამართლებული გამოდის. ყველა მონაცემი, სამხილი, მტკიცება მისთვის არაფერს ნიშნავს. რა თქმა უნდა, სასამართლო მას ამართლებს ფორმალური მოსაზრებებისა და მონაცემების საფუძველზე. მაგრამ საზოგადოებრივი სინდისი, რომელსაც წარმოდგენა არა აქვს მის მოსაზრებებსა და მონაცემებზე, უხერხულობას გრძნობს და ადგება ეჭვების მცდარ გზას. როგორც ყველა, ჯერ კიდევ ბოლომდე განუვითარებელ საზოგადოებაში, ყველაზე დაუჯერებელ ახსნასაც კი დიდი გასაქანი ეძლევა, რაც, ცხადია, წმინდა წყლის სისულელეა, მაგრამ ბოლოს და ბოლოს, ყველაფერი ეს ჩრდილს აყენებს იმ დაწესებულებებს, რომლებიც სულელურ ჭორებზე და ეჭვებზე კიდევ უფრო მაღლა უნდა დადგნენ.

ყველა მიხვდება, რითაა ნაკარნახევი ჩემი შენიშვნები: სასამართლოსა და მოსამართლეების ღირსებისადმი ღრმა პატივისცემით, გულწრფელი სურვილით, ყოველთვის ვხედავდე მათ თავიანთი მდგომარეობის სიმაღლეზე და მტკიცედ დარწმუნებული იმაში, რომ მუდმივ და ფხიზელ კონტროლს გაუწევენ თავიანთ თავსაც, თავიანთ გადაწყვეტილებებსაც და იმ შთაბეჭდილებებსაც, რასაც ეს უკანასკნელნი ახდენენ ქვეყნის საზოგადოებრივ სინდისზე. ჩემი სურვილია, რომ მათ განამტკიცონ მართლმსაჯულების ავტორიტეტი იმ ქვეყანაში, სადაც საუკუნეების მანძილზე მეტისმეტად მიეჩვიენ თვითგასამართლებას. რუსეთის ყველა კუთხესთან შედარებით, სასამართლო ჩვენში, კავკასიაში დიდი ცივილიზატორული ძალაა და გონებისა და ჭეშმარიტების ისეთი ნათელი ლამპარი, როგორიც იშვიათად თუ იქნება სასამართლო სადმე სხვაგან. აი, რატომაა თითოეული ჩვენგანი დაინტერესებული ფრთხილად მოაცილოს ამ ლამპარს მხოლოდ მტვერი და ლაქები, ჯერჯერობით ერთადერთი რამ, რაც მას აცხია და რაც მის სიწმინდესა და სინათლეს ჩრდილს აყენებს. ერთი წლის წინათ მე უკვე ვწერდი, ჩვენი ცხოვრების როგორმა ბუნებრივმა, თითქმის დაუძლეველმა პირობებმა დააყენა ჩვენში სასამართლო ადგილობრივ გარემოსთან შეგუების დამრეც გზაზე, რომელსაც უამრავი ნაკლი გააჩნია. ვფიქრობ, ჩვენი სასამართლო პრაქტიკის უკანასკნელი ფაქტები, რომელთაც ასე ძლიერ და უსიამოდ შესძრეს ადგილობრივი სა-

ზოგადოება, ამართლებს ჩემს შარშანდელ პესიმისტურ წინასწარმეტ-ყველებას. დღევანდელი წერილი კი კიდევ ერთი მართებული შენიშ-ვნაა იმისათვის, რომ ვიფიქროთ ამ უბედურების გამოსწორების ხერხებზე და საშუალებებზე...

106. საუქმო საკითხავი

ზუსტად ათი წელია, რაც რუსეთის პრესა დაუღალავად იბრძვის ამჟამად თითქმის საბოლოოდ გადაწყვეტილი საკითხის—„ადგი-ლობრივი თვითმმართველობის რეფორმების"—ჩასატარებლად. სხვა-თა შორის უნდა შევნიშნო, რომ რეფორმებს წმინდა რუსეთში ზუს-ტად ათი წელი სჭირდება განსჯისა და გამოშვებისათვის. გაიხსენეთ პატივცემული ა. ა. გოლოვაჩევის წიგნი „რეფორმების ათი წელი." აქ-ვე შევნიშნავ დროულად, თუ რა არათანმიმდევრულია ჩვენი პრესის გარკვეული ნაწილი. სიტყვებით იგი პირზე დუჟმორეული ამტკიცებს, რომ დაწესებულებებს და კანონებს ხალხის ცხოვრებაში არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, რომ საკითხის მთელი არსი „ადამიანის ზნეო-ბრივ გაუმჯობესებაშია," რომ ცუდი ადამიანები ყველა წეს-წყობი-ლების დროს ცუდად იცხოვრებენ, კარგები კი ჰოტენჰოტების გარე-მოშიც თავისთვის ბედნიერ არკადიას შეიქმნიან. მიუხედავად იმისა, რომ ყოველივე ამას სიტყვიერად ქადაგებენ, პრესის იგივე ნაწილი გამუდმებით ამტკიცებს, რომ წარმოუდგენელია ჩვენმა საზოგადოებამ იცხოვროს ისეთი წესების, დაწესებულებებისა და კანონების მიხედ-ვით, რომლებიც რატომღაც პირადად ამ პრესას არ მოსწონს. ეს ძირე-ული წინააღმდეგობა მხედველობიდან გამორჩათ იმ გაცხარებული კა-მათის დროს, ამ ზაფხულში რომ გაჩაღდა საკითხისათვის: „რა უფრო მნიშვნელოვანია, დაწესებულებები თუ ჩვევები." ეს საკითხი თითქოს-და მკითხველი საზოგადოების სერიოზულ ყურადღებას უნდა იმ-სახურებდეს. პრესის იმ ორგანოებს, რომლებიც დარწმუნებულნი არი-ან, რომ ქრისტეთაგან უსრულყოფილესი ადამიანიც კი უძლურია, აკე-თოს სიკეთე ქვეყანაში, სადაც ყველას დაუსჯელად შეუძლია ბოლო მოუღოს არა მარტო მის მოღვაწეობას, არამედ მის სიცოცხლესაც ხმლის ან ხანჯლის ერთი დაკვრით, ეპატიება გაატაროს დრო ისეთი წესებისა და დაწესებულებების გამოგონებით, რომელთა ბატონობის დროსაც ყველაზე მეტად იქნებოდა გარანტირებული სიკეთის გა-მარჯვება და ბოროტების ალაგმვა. ამ ორგანოებს ამგვარი საქმია-

ნობა მით უფრო ეპატიებათ, რომ იციან, ესა თუ ის დაწესებულებები და წესები რამდენად მოქმედებენ საზოგადოებრივი ან პირადი ზნეჩვეულებების ამაღლებასა და გარყვნაზე. მაგრამ საკითხავია, რა გამართლება უნდა გამოუნახონ თავიანთ მოღვაწეობას საწინააღმდეგო მიმართულების ორგანოებმა, რომლებიც ამტკიცებენ დაწესებულებათა უძლურობას და უმაქნისობას და ამავე დროს ტყავიდან ძვრებიან იმისათვის, რომ გააუქმონ ერთი დაწესებულებები და შემოიღონ მეორე? ორში ერთი: ან მათი ქადაგება საფუძვლიანია და მაშინ უნდა შეწყვიტონ ლაშქრობა თანამედროვე დაწესებულებების წინააღმდეგ, ანდა მცდარია და მაშინ სადაა იმის გარანტია, რომ ისინი კვლავ არ ჩაიდენენ შეცდომას, როცა განსაზღვრავენ მათ მიერვე შემოთავაზებული რეფორმების გამოსასწორებელ პუნქტებს?

ყოველივე ამას ვამბობ ისე, ჩემთვის, უბრალოდ, იმიტომ, რომ „სიტყვამ მოიტანა." ლაპარაკი კი სულ სხვა საკითხზე მექნება.

ამგვარად, ზუსტად ათი წელია, რაც რუსეთის პრესა იბრძვის ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმისათვის. ასეა თუ ისე, ეს საკითხი უკვე გადაჭრილია და ასეთი მძიმე შრომის შედეგად გამომუშავებული რეფორმა უკვე იწყებს მოქმედებას „ცდის" სახით რუსეთის შიდა გუბერნიებში. თვით რეფორმაზე მე არაფერს ვიტყვი და არც არის საჭირო ამაზე აქ სიტყვის გაგრძელება.

ამ რეფორმებზე „ნოვოე ობოზრენიემ" უკვე გამოთქვა თავისი აზრი*.

მინდა მკითხველს მივაწოდო რამდენიმე მოსაზრება საქმის ისეთ მხარეებზე, რომლებიც ეხება არა თვით რეფორმების არსს, არამედ ცხოვრებაში მათი გამოყენების ამა თუ იმ საშუალებას. ამის გაკეთება ამჟამად მით უფრო აუცილებელია, რომ ჟურნალებს შორის დავაში, რაც გამოიწვია ამ რეფორმებმა და მთლიანად მიძღვნილია ორგანიზებული და პრინციპული საკითხებისადმი, საქმის ჩემს მიერ წამოყენებული მხარეებისათვის აქამდე მცირედი ყურადღებაც კი არ მიუქცევიათ.

ახალი რეფორმის მთავარი მიზეზი, მისი ძირითადი მიზანი და ტენდენცია გამოიხატება იმ მისწრაფებაში, რაც ჯერ კიდევ 1858-1860 წლებში გამოითქვა (უპირატესად „რუსკი ვესტნიკში"), რომ ადგილობრივი მოსახლეობა დაუმორჩილონ ადგილობრივ თავადაზნაურობას.

---

*იხ. წერილი „ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმა" „ნოვოე ობოზრენიე" №1962 (1889 წ. 1 სექტემბერი).

მაშინ ამ მიმართულებას ჰქონდა თავის სახელი „სამემკვიდრეო მამულების პოლიცია“... ამჟამად რეფორმის მთავარი მოტივი და საბაბი გახდა ადგილობრივი თვითმმართველობის პრესტიჟის თვალსაჩინო და უშუალო შელახვა. ერთ ბენო ეჭვს არ იწვევს ის ამბავი, რომ დროთა განმავლობაში ადმინისტრაციული ხელისუფლების დაბალი წარმომადგენლები სულ უფრო მეტად და მეტად კარგავდნენ მნიშვნელობას მოსახლეობის თვალში, რომელზედაც მათ ჯერ კიდევ სურდათ მოეხდინათ ზეგავლენა. ცხადზე ცხადია, რომ ამ საერთო მოვლენას უნდა გამოეწვია საერთო ღონისძიებების გატარება, რათა აღმოფხვრილიყო ამგვარი აღმაშფოთებელი ბოროტება.

ამ თვალსაზრისით რეფორმის წარმატება და წარუმატებლობა დამოკიდებულია მხოლოდ და მხოლოდ „ადგილობრივ პირობებზე,“ ე. ი. იმაზე, როგორი თვისებებით, ცოდნით, ენერგიით და კეთილსინდისიერებით არის დაჯილდოებული ადგილობრივი თავად-აზნაურობა, რომელიც მოწოდებულია განახორციელოს საკმაოდ მნიშვნელოვანი ძალაუფლება, მას რომ ახლა კანონი უქვემდებარებს. როგორც ცნობილია, ინგლისში და ოსტზეისის მხარეში, სადაც ძველი დროიდან არსებობს ამგვარი დაწესებულებები და წესები, შედეგები ყოველ მხრივ სარწმუნო და ძალიან, ძალიან დამაკმაყოფილებელია. ვიქონიოთ იმედი, რომ იგივე მოხდება ჩვენშიც. მაგრამ იმისათვის, ეს რომ მართლაც ასე მოხდეს, საჭიროა უფრო ღრმად ჩავწვდეთ საქმეს...

არა მარტო ხელისუფლების უბრალო პრესტიჟის მთავარი ელემენტი, არამედ ყველგან და ყოველთვის ადმინისტრაციული მექანიზმის მშვიდი მუშაობის მთავარი მოთხოვნილება იყო, რომ ის პირები, რომლებიც აღჭურვილნი არიან ხელისუფლებით, რა მიკროსკოპიულიც არ უნდა იყოს ეს ხელისუფლება, როგორც გონებრივ, ასევე ზნეობრივი თვალსაზრისით იმაზე მაღლა უნდა იდგნენ, ვიდრე დგანან ისინი, ვინც მათ უნდა მართონ. ეს არის ანბანური ჭეშმარიტება, რის განმეორება სამარცხვინო კია, მაგრამ სწორედ იგია საძიებელი ამოცანის ამოხსნის საშუალება. გაზეთებს, რომლებიც თანამედროვე არეულ-დარეულობას „ზნეობრივი გახრწნით,“ „მოსახლეობის საყოველთაო ლოთობით,“ „გარედან წაქეზებით“ და სხვა მიზეზებით ხსნიან, მხედველობიდან რჩებათ ეპოქის ყველაზე მნიშვნელოვანი თავისებურება, რის აღმოჩენისაკენაც ისინი ისწრაფვიან. წინათ ჩვენში იმიტომ კი არ

სუფევდა სიმშვიდე და წესრიგი, რომ მაშინ არ არსებობდა ათასგვარი არეულ-დარეულობა და უკანონობა, არამედ იმიტომ, რომ მოსახლეობა და საზოგადოების დიდი ნაწილი განვითარების ისეთ დაბალ დონეზე იდგნენ, რომ მათთვის მიუწვდომელი იყო ეფიქრათ საზოგადოებრივ საქმეებზე ან ადმინისტრაციულ ღონისძიებებზე. მე თვითონ მახსოვს კარგად არც ისე შორეული დრო, როცა „ჩვენი საგუბერნიო ქალაქის უმაღლესი ფენიდანაც" კი არავის არ განუზრახავს და არც მოუსურვებია „გაებედა და ჰქონოდა თავისი აზრი" თუნდაც უბნის ზედამხედველის აღმაშფოთებელ მოქმედებაზე და ეს იმიტომ, რომ ამ ფენის წევრებს შორის არავინ არ იყო ამ ზედამხედველზე უფრო განათლებული. მან იცოდა წერა-კითხვა, იცოდა კანონები და წესები, ჩვენ კი ყველანი სიბნელეში დავბორიალებდით და ისეთი თხოვნის შედგენაც კი, როგორიც ჩემთვის დაბადების მოწმობის გაცემა იყო, ზედამხედველისა და მისი მსგავსი მწერლების მეტს არავის შეეძლო. ამიტომ გასაგებია, უბნის ამგვარ ზედამხედველებს და მწერლებს არა მარტო ოფიციალური ხელისუფლება ეპყრათ ხელთ, არამედ გონებრივ ზეგავლენასაც ახდენდნენ მთელი რაიონის მოსახლეობის დიდ ნაწილზე. მე უამრავი შემთხვევა მახსოვს, როცა საგუბერნიო ქალაქში უმდიდრესი და უგავლენიანესი მემამულეები ჩამოდიოდნენ თავად-აზნაურთა არჩევნებზე, ისინი თავიანთ კენჭებს ყუთში ამგვარი უბნის ზედამხედველის ნიშნის მიხედვით ყრიდნენ. ეს დრო სულ რაღაც 25-30 წლის მანძილზე უკვალოდ გაქრა.

ამ ხნის განმავლობაში საზოგადოებამ, „განათლების" თვალსაზრისით, გადადგა უზარმაზარი ნაბიჯი, ამჟამად საშუალო და უმაღლესი სასწავლებლის კურსდამთავრებულნი ჩვენში უამრავია და მათი სიტყვები, მოქმედება განსჯა უკვალოდ კი არ ჰქრება ხალხში, არამედ ღრმად იდგამს ფესვს მის გონებასა და ზნეობაში და საზოგადოებას სულიერად ამაღლებს. ამ თვალსაზრისით ბატონყმობის გაუქმებისა და სასამართლო რეფორმების მაგიური ზემოქმედება და უმაღლესი ხელისუფლების წარმომადგენელთა მკაცრი დამოკიდებულება მხვეჭლობისა და მექრთამეობის შემთხვევისადმი მართლაც იმსახურებს პრესის იმ ორგანოების მიერ სერიოზულ შესწავლას, რომლებიც უარყოფენ დაწესებულებების ზნე-ჩვეულებებზე გავლენას. მე ვყოფილვარ ისეთი სცენის მოწმე, როცა უბნის პოლიციის უფროსი სოფელში ჩამოდიოდა, ხალხს როზგით სცემდა და უკანასკნელ პერანგსაც კი ართმევდა იმას, ვისთვისაც წართმევა სურდა.

არა მარტო გლეხები და ვაჭრები, არამედ ხშირად აზნაურებიც კი ხდებოდნენ მისი ხმაჩაკმედილი მსხვერპლი და ამას არათუ არავინ ხედავდა, არამედ არც კი ეძებდა კანონსა და სამართლიანობას მის მოსარჯულებლად. ყველა იმას ცდილობდა, რაც შეიძლება იაფად გამოესყიდა თავი. ამჟამად კი, აბა, ერთი გაბედოს და პოლიციის რომელიმე პრისტავი ან თუნდაც მაზრის უფროსი უკანონოდ მოექცეს „ამ პატარა ადამიანებს:" დაჩაგრულის მხრიდან საჩივრებს, ეგრეთ წოდებულ „კლიაუზებს და დასმენებს" ბოლო არ ექნება...

ვიმეორებ, ამ ხნის მანძილზე მოსახლეობა გაიზარდა, შეიგნო თავის ინტერესები და უფლებები: 1861 წლის 19 თებერვლის დიდმა რეფორმამ და არანაკლებ მნიშვნელოვანმა 1864 წლის 20 ნოემბრის რეფორმამ ხმაჩაკმენდილი მონა გადააქცია თავისუფალ მოქალაქედ, უფლემოსილ ადამიანად. მან ისწავლა ნერა-კითხვა, ნახა ქვეყნები, მიხვდა, რომ უმაღლესი ხელისუფლება სამართლიანობისაკენ ისწრაფვის. ყოველივე ამან მის შეხედულებებში, მის გონებაში რევოლუცია მოახდინა, განსაკუთრებით იმ ახალი იდეებისა და შეხედულებების ფართო გავრცელების წყალობით, რომელთაც გამოიწვიეს ძველი ცხოვრების საფუძვლებისა და წესების ნგრევა...

ამავე დროს, ადმინისტრაციის დაბალი წარმომადგენლები დარჩნენ ისეთივენი, როგორებიც იყვნენ ამ ოცდაათი წლის წინათ. იგივე პრაპორშჩიკები და ტიტულირებული მრჩევლები, დღესაც გაჭირვებით სწერენ ოფიციალურ ქაღალდებსა და უკვირთ, რატომ დაკარგეს თავიანთი უწინდელი „გავლენა ხალხზე." დაკარგეს მათდაუნებურად, თუნდაც იმიტომ, რომ იმ ქაღალდებში, ამდენი ხნის მანძილზე რომ ერთი და იმავე ფორმით ჯღაბნიდნენ, ახლა უკანასკნელი მედუქნეც კი პოულობდა ისეთ შეცდომებს, ადრე მაზრის უფროსიც რომ ვერ პოულობდა და ასწორებდა...

ვიმეორებ, მოსახლეობა გაიზარდა, დავაჟკაცდა და ადმინისტრაციული მექანიზმის თანაბარი მოძრაობისათვის აუცილებელი შეიქნა, მოსახლეობის ზრდასთან ერთად, გაუმჯობესებულიყო ადმინისტრაციის მოხელეების გონებრივი და ზნეობრივი მონაცემები და თანაც ისე, რომ თავიანთი ცოდნით და ხასიათით ისინი ყოველთვის ერთი თავით მაღლა მდგარიყვნენ მათ საქვეუწყებო მოსახლეობაზე. სამწუხაროდ, ხელისუფლების პრესტიჟის დაცვის ეს აუცილებელი და ბუნებრივი პირობები პრესის იმ ნაწილსაც კი გამორჩა მხედველობიდან, რომელიც ასე მონდომებით ზრუნავს არსებული წესების გაუმჯობესებისათვის.

საქმის მეორე მხარეს წარმოადგენს მშრალი ფორმალიზმი, რითაც ამოიწურება ადმინისტრაციის აგენტების მოქმედება. აღარაფერს ვამბობ იმ მიზეზებზე, რომლებიც ამ ადმინისტრაციის მუშაობას მართლაც ცალმხრივ წარმართავენ (დროის ის დიდი ნანილი, რაც ჭირდება უწყებების დაგზავნას და ა. შ., ისეთი საქმიანობა, რაც ფოსტისა და სახელმწიფო პალატის კომპეტენციაში შედის) და ამიტომ არ შეიძლება არ მივაქციოთ ყურადღება ისეთ მიზეზებს, რაც ამ ფორმალიზმის გაძლიერებას იწვევს. სასამართლო რეფორმამ, რამაც მთავრობა და ხელისუფლება კატეგორიებად დაჰყო და კონტროლმა, ხელისუფლების მქონე პირის მოქმედებისა, შემოსავლისა და ხარჯის შესახებ ანგარიშის მოთხოვნამ ხშირ შემთხვევაში გამოიწვია ადმინისტრაციის აგენტების „პასიური წინააღმდეგობა.“ „აა, თქვენ მავიწროვებთ, არ მენდობით, თქვენ ყველაფრისათვის თავის გამამართლებელ საბუთს მთხოვთ? ნურას უკაცრავად. ამიერიდან მე არაფერში ჩავერევი და ყველაფრისათვის ნებართვას ვითხოვ.“ აი, ის შთაბეჭდილება, რაც მოახდინა ადმინისტრაციის აგენტებზე უმაღლესი ხელისუფლების ახალმა პირობებმა და მოთხოვნილებებმა. ვინც იცნობს ადმინისტრაციის პირად შემადგენლობას, დაბალი რანგის მოხელეების შერჩევის არადამაკმაყოფილებელ პროცედურას, მისთვის გასაგები იქნება ეს აბსურდული შთაბეჭდილება. მაგრამ სნორედ ამ აბსურდული შთაბეჭდილების შედეგად ადმინისტრაციის აგენტებმა ერთბაშად დაკარგეს მათი ადრინდელი როლის მთავარი სიმპათიური ნიშანი. მართალია, ადრე ისინი ონავრობდნენ და მხვეჭელობდნენ „ჩინის“ მიხედვით და ზოგჯერ არა „ჩინის“ მიხედვითაც, მაგრამ სამაგიეროდ ადრე მათ თავი თავიანთი უბნის „მამად და მწყალობლად“ მიაჩნდათ. ტრადიციისა თუ მოდის მიხედვით, თითოეული მათგანი ცდილობდა იმ ადგილას, სადაც მსახურობდა, „სახელი დაეტოვებინა.“ ერთნი ამგვარ „სახელს“ იმით ტოვებდნენ, რომ აშენებდნენ ხიდებს, მეორეებს გაჰ ყავდათ გზები, მესამენი ან ბულვარს გააშენებდნენ, ან ფერმას ააშენებდნენ, ანდა სკოლას დააარსებდნენ. ერთი სიტყვით, ასე იყო თუ ისე, თითოეულ მათგანს ერთი წვეთი თაფლი მაინც შეჰქონდა მისდამი დამორჩილებულ საზოგადოებაში. მაგრამ სასამართლოსა და კონტროლის რეფორმებთან ერთად, ადმინისტრაციის აგენტებს ეს შემოქმედებითი, სამეურნეო როლი თითქმის მთლიანად გამოეცალათ ხელიდან და არა იმიტომ, რომ მათ აღარ აქვთ უფლება და სახსრები, არამედ მხოლოდ იმის გამო, რომ ფორმალიზმში ჩაეფლნენ. აბა,

მითხარით ერთი, რა უფლებები და სახსრებია საჭირო იმისათვის, რომ ნააქეზო შენი ხელქვეითნი ეკლესიის ასაშენებლად, სკოლის დასააარსებლად ან ხიდის ასაგებად.

აი, ხომ შეძლო ხონის ბოქაულმა, რომელსაც ამას წინათ ჩვენი გაზეთის კორესპონდენტმა ხოტბა შეასხა. „ბულვარის" გაშენება და „მოსახლეობისა და პრესის მადლობის დამსახურება" ისე, რომ ერთი ბენოთითაც არ გაუფართოვებია პოლიციის ბოქაულის უფლებები და სახელმწიფო ხაზინიდან არავითარი დახმარება არ მიუღია. მთავარია კეთილი საქმის გაკეთების სურვილი გქონდეს, შემდეგ კი კეთილი ადამიანები მოგეხმარებიან...

ერთი სიტყვით, ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმის საკითხის მთავარი არსი ისაა, როგორი ადამიანები როგორ განახორციელებენ იმ ფართო ძალაუფლებას, რასაც მათ ახალი კანონი აძლევს. იდგებიან ისინი ადგილობრივ საზოგადოებაზე მთელი თავით უფრო მაღლა, იქნებიან გამსჭვალული სურვილით, სარგებლობა მოუტანონ მას, ეყვარებათ ეს საზოგადოება და ენდომებათ მისთვის სიკეთე? აი, ამაზეა დამოკიდებული რეფორმების შემდგომი წარმატება. რაც შეეხება თვით დანესებულებას, სიფართოვეს და „საზღვრებს," ეჭვი არ გვეპარება, რომ ამ მხრივ ყველაფერი გათვალისწინებულია ახალი დანესებულებების გავლენის შექმნისა და განმტკიცებისათვის მათდამი დამორჩილებულ მოსახლეობაში. ჩვენ მხოლოდ იმას ვისურვებდით, იმ ქვეყნების მაგალითის მიხედვით, რომლებიც ნიმუშად გამოგვადგა ახალი რეფორმის დაპროექტების დროს, თავად-აზნაურობამ ამ საპასუხისმგებლო და მნიშვნელოვან თანამდებობებს ხელი მოჰკიდოს არა საკუთარი თავის „გამოსაკვებად" და საკუთარი საქმის „გამოსასწორებლად, არამედ ღირსეულად, იმის სურვილით, რომ იმოღვაწეოს ხალხის სასარგებლოდ და დაიმსახუროს მისი ნდობა და სიყვარული.

107. საუძმო საკითხავი

ერთი მეგობარი პოეტი მყავდა და, როგორც საერთოდ ყველა ნამდვილ პოეტს სჭირს, სრულიად „უდარდელი“ თავისი მატერიალური საქმეებისა და ინტერესების მიმართ. რასაკვირველია, ამის შედეგად ის ყოველთვის გამოუსვლელ ხელშეკრულებასა და გადაუხდელ ვალებში იჯდა. ერთ-ერთი მისი ურიცხვ მოვალეთაგანი, როცა მოთმინება დაკარგა, მოდის ერთხელ ჩემთან,—ნახა რაღა იმანაც ვისთან უნდა მისულიყო,—საჩივლელად თუ იმის გასაგებად—ბოლოს და ბოლოს როდის მიიღებდა გასესხებულს.

—მიბრძანეთ ერთი,—მკითხა ამ კრედიტორმა,—მართალია, რომ მავანი თქვენგან თავისი ლექსის თითო სტრიქონში ხუთ შაურს იღებს? —მე მაშინ „ობზორის“ გამომცემელი ვიყავი.

—სრული სიმართლე გახლავთ. ხშირად კი უფრო მეტსაც,—ვუპასუხე.

—მაშ, როგორღა უჭირს ფული და არ შეუძლია ვალების გადახდა? მე, იმის ადგილზე, მთელ ოცდაოთხ საათს არაფერს გავაკეთებდი ლექსების წერის მეტს. ერთ-ორ წელიწადში ასე ქონებასაც კი შევიძენდი, არამცთუ ვალებს გადავიხდიდი... და ჩემი თანამშრომლის მიამიტმა კრედიტორმა დაიწყო ანგარიში, თუ რამდენ ხუთშაურიანს აიღებდა „ლექსის წერა რომ შეეძლოს“ თავისი ბეჯითობით, შრომისმოყვარეობითა და წესიერებით.

ცხადია, არც მიცდია ამ ფილისტერისათვის ამეხსნა, რომ „ლექსის წერა“ და ფეხსაცმლის კერვა ერთი და იგივე ხელობა არაა, რომ ხუთშაურიანებს არიგებენ არა ყოველგვარ გარითმულ და გამოზომილ სტრიქონში, არამედ მხოლოდ ისეთში, რომელშიც აზრია და გრძნობა დევს და, რომ ეს ნედლი მასალა—აზრი და გრძნობა პოეტებს, ვაი, რომ ძვირად უღირთ, რაც მათ თხზულებაში გადახდილი ხუთი შაურით სრულიადაც ვერ ანაზღაურდება.

ყოველგვარი ასეთი განმარტება აღემატებოდა ჩემი მოსაუბრის შეგნებას და იგი წამაქეზებელი სიტყვით „სცადეთ“-ი გავისტუმრე.

ეს სასაცილო საუბარი მას შემდეგ ყოველთვის გამახსენდება ხოლმე, როცა წავეყრები ისეთ ფაქტებს, რომლებიც მკითხველი საზოგადოებისაგან ჩვენი ძმის—მწერლის მოღვაწეობის პირობების უკულმართ გაგებას ამყღავნებს. გავრცელებული აზრი ჩვენზე ისეთია, თითქოს ყოველგვარ შრომაზე, რაც ადამიანის ხვედრად არის მოცემული, ჩვენი შრომა ყველაზე იოლია. საკმარისია მხოლოდ კალამს მოვკიდო ხელი და წერილიც გადმოიღვრება ქაღალდზე ყოველგვარი შრომისა,

ღონისძიებისა, წამებისა და დაღლის გარეშე. ამ გავრცელებული შეხედულების მიხედვით ეს შრომა კი არა, გართობაა, თუ ჩვენ ცოტასა და ცოტას ვწერთ, ან სრულიად ჩუმად ვართ,—მაშასადამე ჩვენი სიზარმაცისა, ჩვენი დაუდევრობისა და სხვა ამგვარის ბრალია. „ძნელი საქმე", „სერიოზული სამუშაო" მდგომარეობს, მაგალითად, ვექსილით ფულის გადახდის შესახებ აპელაციის შედგენაში, ან ქუჩების მოკირწყვლის შესახებ მოხსენების დაწერაში, ან კიდევ „მოსაზრებაში" იმაზე, თუ რა პირი უჩანს მოსავალს. ყველა ეს „საქმეა," ხოლო მწერლის „შეთხზული," მისი ხუმრობანი, სარკაზმი, დასკვნანი,—ყველა ჩმახია მხოლოდ. ამაში უმტკიცესად არის დარწმუნებული და გულწრფელად დაჯერებული ყოველი ბიუროკრატი, ყოველი ვექილი, ყოველი ინჟინერი, ვაჭარი, მემამულე...

მე არც ვფიქრობ ვამტკიცო, რომ მწერლის ნაწარმოები „მოჩმახვა" არაა, არამედ სერიოზული საქმეა. ამ საგანზე კამათი ჩემი დღევანდელი საუბრის სიუჟეტს არ შეეხება. მე ვადგავარ საქმის იმ მხარეს, რომელიც მხოლოდ მუშაობის პროცესს შეეხება. ამ თვალსაზრისით, რასაკვირველია, ყველას გავაოცებ, მაგრამ ერთ წმინდა ჭეშმარიტებას გამოვთქვამ თუ ვიტყვი, რომ ქვეყანაზე არაა და არც იქნება ჩვენს შრომაზე უფრო მტანჯველი და კატორღული რამ. თუ ჩვენი ნაწერი უხორკლოა, თუ ჩვენი მეტყველება მსუბუქად, რაკრაკით გადმოდის, დაძაბვისა და გაჭირვების გარეშე, აქედან არ გამომდინარეობს დასკვნა, რომ იგი მეტად იოლად მოგვდის. ყოველ მწერალს, რომელსაც კი ცხოვრებაში სერიოზული შრომა შეხვედრია, არა მხოლოდ სამწერლო ასპარეზზე, დაგარწმუნებთ, რომ ასეული მოხსენებისა და აპელაციის შედგენა ძნელ და რთულ საქმეებზეც კი არასოდეს არ გამოიწვევდა მასში ნერვების ისეთ დაღლასა და დაძაბულობას, რაც აუცილებლად თან სდევს უმცირესი ლიტერატურული წერილის შეთხზვას. იგი იმაშიც დაგარწმუნებთ, რომ მომქანცველია არა თვით წერისა და ქაღალდზე გრძნობებისა და აზრების გადატანის მექანიზმი, არამედ, რაც მთავარია, სწორედ იმ გრძნობათა კონკრეტული თუ აბსტრაქტული აზრის ფორმაში განხორციელება, რომელნიც მწერალს მოზღვავებია...

მტანჯველი და მომაკვდიანებელია სწორედ გრძნობათა განხორციელების პროცესი, და რამდენადაც, უფრო მგრძნობიარეა მწერალი, რამდენადაც უფრო სერიოზულია მოვლენა, რომელმაც ეს გრძნობა გამოიწვია, მით უფრო ძნელია პოვნა სიტყვისა და აზრისა, რომელიც რამ-

დენადმე დაახლოებით გამომსახველი იქნება მწერლის განწყობილებისათვის. ერთი სიტყვით, გრძნობის მთელი სისრულით გამოხატვა სიტყვებით სრულიად შეუძლებელია. რაც არ უნდა ეცადო, მაინც ბევრი რამ უთქმელი, გამოუხატველი, უბრალოდ უჩინარი და შეუმჩნეველიც კი დარჩება. ამასთან, თვით ეს გრძნობა თავის თავში ატარებს უნარს მიისწრაფოდეს გამოვლინებისაკენ და რაც გამოუმჟღავნებელი დარჩება, ის მწერლის არსებობას შხამავს. ეს ისე მართალია, რომ მწერლის ცხოვრების ყველაზე მტანჯველი პერიოდები, არსებითად, არის არა ის დრო, როცა იგი წერს და გამოთქვამს, არამედ, ძირითადში, ის, როცა იგი, რადაც არ უნდა იყოს, თუნდაც საკუთარი სურვილით, ჩამორჩება ლიტერატურულ მოღვაწეობას და ნებსით თუ უნებლიეთ, სულ ერთია, სიჩუმის ბეჭედს ასვამს საკუთარ თავს. და თუ თავისი გრძნობის მთლიანად გამოთქმის შესაძლებლობა, ცივილიზაციის თანამედროვე ვითარებაში, ადამიანის მეტყველების ნაკლოვანებისაგან დამოკიდებულებით, მწერალს აუტანელ სატანჯველს აყენებს, მაშინ შეიძლება ადამიანმა წარმოიდგინოს, რაოდენი წამებითაა აღსავსე და რა შედეგები შეიძლება ჰქონდეს ღვთის შექმნილ სინათლეზე გრძნობათა ყოველგვარი გამოვლინების აღკვეთას.

ამ მდგომარეობას მხოლოდ მშობიარეს მდგომარეობა თუ შეედრება, რომლის ანატომიური აგებულებაც გარდაუვალ წინააღმდეგობად გაუჩნდება მშობიარობის ბედნიერ დასასრულს. მაგრამ ამ უკანასკნელი შემთხვევისათვის გამოძებნილია საშველი, გამოგონილია გაღრღნა, კეისრული კვეთა, მწერლისათვის კი არავის არ უზრუნია ამგვარი გამოგონებისათვის...

რასაკვირველია, ამგვარი შემთხვევები იშვიათია,—თორემ ვინ აიტანდა მათ სიხშირეს,—სამაგიეროდ საშუალოა საერთოდ ყოველი სამწერლო შემოქმედების სიმძიმე, თუ სხვისი აზრებისა და შენიშვნების მანქანურ და უსულგულო გამეორებასთან არა გვაქვს საქმე.

ცხადია, ყოველგვარი სამუშაოს შესრულებისას, მხოლოდ ფიზიკური სამუშაოს შესრულების დროსაც კი, საჭიროა ნერვების გარკვეული დაძაბვა. მაგრამ არც ერთი, არც ფიზიკური და არც გონებრივი შრომისას არ ხდება ნერვების ისეთი გადამეტებული აღგზნება, გულის ისეთი აჩქარებული ცემა, სისხლის ისეთი ანომალური მიწოლა ტვინზე, როგორც სამწერლო მუშაობისას. სრულიადაც უაზრო ფრაზა არ გახლავთ და არც მეტაფორაა, რომ „მწერლები მელნით კი არა, საკუთარი სისხლით წერენო.“ აბა, ჰკითხეთ ვისაც გინდათ მწერალს,

შეუძლია თუ არა ჭამოს ან სვას შემოქმედების პროცესში, ან სამუშაოს შემდეგ და ის აგიხსნით თუ რად უღირს დაიწყნაროს, დაიმშვიდოს ნერვები და მთელი თავისი არსება, ვიდრე იგი შეძლებდეს ჩვეულებრივი ადამიანური ცხოვრების დაწყებას. განა ეს არ მიუთითებს მისი დაძაბულობის ინტერესებზე?

ჭკუის კოლოფებმა ბიუროკრატთაგან, ვექილთაგან, ვაჭართაგან და მისთანათ, რასაკვირველია, შეიძლება ყველა ეს არ იციან და არც ესმით იმიტომ, რომ ისინი ხომ გარყვნილნი არიან ან აღზრდით, ან ცხოვრების პირობებით. მაგრამ ყველა ნორმალური ადამიანი, რომელ წრესაც არ უნდა ეკუთვნოდეს იგი—ინტელიგენტურს თუ თუნდაც მდაბიოს, ინსტიქტურად და ბუნებით გრძნობს და შეგნებული აქვს მწერლის როლის მთელი სიმძიმე. ისინი ხედავენ და, თუ არა ხედავენ, გრძნობენ, რომ მწერალი შრომაში თავის სულს აწნავს, რომ აქ წვეთწვეთობით იღვრება ადამიანის სისხლი,—როგორც პუშკინი ამბობდა,—აქ მსხვერპლის სუნი დგას, რაც საშუალო ყალიბის ადამიანთა ძალღონეს აღემატება. აი, ჭეშმარიტი წყარო იმ უნებური და საყოველთაო პატივისცემის გრძნობისა,—ან, ყოველ შემთხვევაში, საერთო დონიდან გამოყოფისა,—რომლითაც მწერალი ძველიდგანვე მთელს ქვეყანაზე სარგებლობს და, ეს მით უფრო სრულიად გამოვლინდება, რამდენადაც განვითარებულია მის ირგვლივ შემოკრებილი საზოგადოება. ამ გრძნობას მჭიდრო კავშირი აქვს უნებური გაკვირვებისა და პატივისცემის საერთო კაცობრიულ გრძნობასთან, რითაც ყოველი განიმსჭვალება, როცა ხედავს მიტანილ მსხვერპლს, რომლის გაღებაც ჩემსა და თქვენს ძალღონეს აღემატება...

მკითხველი გაიგებს, რომ ეს წმინდა ფსიქოლოგიური ეტიუდი, მწერლის შემოქმედების პროცესის შესახებ დავწერე, ცხადია, არა იმისათვის, რომ მასში შებრალება გამოვიწვიო, ან მწერალი მის თვალში ავამაღლო. ეს იქნებოდა მტკნარი უმიზნობა, რაც ჩემი სანათის ნავთის ფასადაც არ ეღირებოდა. აზრიანი და შეგნებული თვალსაზრისით, ცხადია, რომ მშრომელისადმი ჩვენი პატივისცემისა და მადლობის წყარო უნდა იმყოფებოდეს არა ამ შრომის პროცესის სიძნელეში, სიმწარეში ან კიდევ მომაკვდინებლობაში, არამედ, ძირითადად, მისი შრომისა და ღონისძიების მიზანში, სარგებლობაში; საქმის ამ მხარეს ხომ ჩემი ეტიუდი სულაც არ შეეხებია.

მართლაც და, მე რომ სისხლის დაღვრა ან წელში გაწყდომა დავისახო ისეთი სისულელისათვის, რაც კვერცხის ნაჭუჭადაც არ ღირს, ხომ სა-

საცილო ვიქნები, თითოეული შორსმჭვრეტი ადამიანის თვალში. რაც უფრო წელში გავწყდები და დავიტანჯები. ამრიგად, ცხადია, რომ თუ მე მწერლის განწყობილებისა და წამების ამ ანალიზს მოვკიდე ხელი, გავაკეთე ეს არა მწერალთა წოდების სახოტბოდ, მე მინდოდა მეჩვენებინა თუ როგორია მწერლის მდგომარეობა, რა წამებაში იწყვეტს იგი ზოგჯერ წელს, როცა ვერ ნახულობს საშუალებას თავისში მომწიფებული გრძნობების საჩვენებლად. სულ უმცირესი შედეგი მწერლის ასეთი მდგომარეობისა გამაბეზრებელი უძილობა და გრძნობების, აზრების, მრისხანების, ფანტაზიისა და, რაც გნებავთ, ყველაფრის, თვით ფანტასტური ჰალუცინაციების მძვინვარე ხრიალი.

ამით ვამთავრებ ჩემს ფსიქოლოგიურ ანალიზს, რაც დამჭირდა შემდეგი ნარკვევის წინასიტყვაობად. მე მინდა ჩემს მკითხველს გავუზიარო მთელი წყება ფანტასტური წარმოსახვებისა, ბოდვისა და ვარაუდებისა, რითაც ამ ბოლო ხანებში თავი მაქვს გამოტენილი. მაგრამ ყველა ეს ჩემი „ვარაუდი" იმდენად ანომალურია და საერთოდ მიღებული იდეების საწინააღმდეგო, უბრალოდ რომ ითქვას, შეუძლებელი იქნება მათი ქაღალდზე გადატანა უშენიშვნოდ ან უბოდიშოდ—თუ რა პირობებში წარმოიშვნენ ისინი. ჩათვალეთ ისინი ბოდვად წარმოსახვისა და ნუ მისცემთ რაიმე სერიოზულ ან პრაქტიკულ მნიშვნელობას, რაც მათ, პატიოსნებას გეფიცებით, არ გააჩნიათ.

108. ბიზანტიური ცილობანი

ქართველ საზოგადოებაში მღელვარებაა: გამოჩნდა „ურჯულო," რომელმაც ეჭვი შეიტანა შოთა რუსთაველის—„ვეფხისტყაოსნის" შემოქმედის თვითმყოფადობასა და ორიგინალობაში. თავისი ეჭვები ამ ალაზანის გაღმელმა ჰეროსტრატემ[37] გამოთქვა, ოი, საშინელებავ, რუსულად და დაბეჭდა ლიბერალურ „სევერნი ვესტნიკში" სათაურით „წერილები საქართველოზე" როცა ერთი წლის წინ „სევერნი ვესტნიკში" წავაწყდით რუბრიკას „წერილები საქართველოზე" რაც მოასნავებდა ეტიუდების წყებას ჩვენს ქვეყანაზე, შეუდარებლად ნაკლებად ნაცნობზე რუსეთისათვის, ვიდრე კონგო და პატაგონიაა, აღტაცებაში მოვედით იმ იმედით, რომ, ბოლოს და ბოლოს რუსული პრესის სერიოზული ორგანოები ხელს მოკიდებენ ჩვენი ქვეყნის ყოფისა და საჭი-

როების გაცნობას თავისი მკითხველებისათვის. მაგრამ „ოცნებავ, სად არს შენი სიტკბილე!“ „წერილები საქართველოზე“ დაეტაკა არქეოლოგიას, რაც არავის არც აინტერესებს და არც ესმის.

ამ წერილების აშკარა მიზანი,— რამდენადაც მოვახერხეთ მისი დანახვა,—მდგომარეობდა ისეთი შეხედულების ჩამოყალიბებაში, რომ, თითქოს, იმ ხალხის წარსულში, რომელსაც ისტორიულად რამდენიმე ათასწლეული განუვლია, არაფერი ყოფილა ორიგინალური და თვითმყოფი. კი მაგრამ, თვით ეს ათასწლოვანი არსებობა, სხვა ყველაფერი რომ განზე გადავდოთ, განა ორიგინალური და თვითმყოფი არ არის და სერიოზული ისტორიკოსისა ან კრიტიკოსისაგან მეცნიერულ დასაბუთებას არ მოითხოვს? ძალაუნებურად დაებადებოდა ასეთი კითხვა ყოველ მიუკერძოებელ მკითხველს. თუ ჟამთაღმწერლებმა და ისტორიკოსებმა აქამდე ვერ შეძლეს ამ არსებაში, რასაც ორიგინალური ქართული გენიოსების ბეჭედი აზის, ეპოვათ რამე ორიგინალური და თვითმყოფადი, ეს სრულიადაც არ ნიშნავს, ვიფიქროთ, თითქოს სინამდვილეში ამ ნიშნის ჭდეები არ არსებობდეს. მათ გარეშე უაზრობა იქნებოდა საქართველოს ეროვნული არსებობა საუკუნეთა ასეთი გრძელი რიგის განმავლობაში: თვით ამ არსებობის ფაქტი ყველა მოაზროვნისა და ისტორიკოსის თვალში ნიშნავს, რომ ამ ხალხში ყოფილა რაღაც ჯერ კიდევ შეუცნობელი, მოუხელთებელი, დაუხასიათებელი, მაგრამ უეჭველად ღირსი ახსნისა და შესწავლისა. ჩვენ გვესმის, რომ მკაცრად მეცნიერული გონება ასეთ ვითარებაში გადაწყვეტს: „მე არ მესმის ამოცანის გამოცნობა,“ „მე არ ვიცი რაშია აქ საქმე,“ მეცნიერებას ჯერ კიდევ არ შესწევს ძალა აზრი გამოთქვას ამ საკითხზე. მაგრამ აქედან, როგორც ცის მნათობამდე, ისე შორსაა მანძილი წარსული ისტორიის შინაგანი აზრის ასეთ იაფფასიან უარყოფამდე: მასში არაფერი უაზრო არასოდეს არ არსებულა ხანგრძლივად...

საქართველოს ძველ ისტორიაზე ასეთი მსუბუქი „მზერის“ მიპყრობას, „სევერნი ვესტნიკის“ წერილების ავტორმა, მდგომარე წელს ხელი მოჰკიდა ძველი ქართული ლიტერატურის დახასიათებით. ამ ცდას ჩვენს თვალში არსებითად არ გააჩნია უფრო მეტი საფუძვლები, ვიდრე ავტორისავე ექსკურსიას წინაისტორიულ ეპოქაში. სრულიად შესაძლებელია, რომ რომელიმე არქეოლოგიური კრებულისათვის კიფა მოკიკვიჩის თემებზე ყველა ამგვარ მსჯელობას, მსჯელობას იმაზე, თუ რომელი რისგან წარმოსდგა: კვერცხი ქათმისაგან თუ ქათამი

კვერცხისაგან, ჰქონდეს მოქალაქეობრივი უფლება და როდესმე გამოადგეთ ჩვენს მომავალ პრესკოტებსა და ბოკლებს, თუნდაც იმის საჩვენებლად, რომ ამ მიმართულებით შრომა უსარგებლოა. მაგრამ, ნება თქვენია, გინდ თავიც მომჭრათ, ჩვენ მაინც ვერ მივხვდებით ამ გვარი გრძნობის ძირითად ულოგიკობას.

ჩვენ რომ გონებრივი ძალებითა და მცოდნე ადამიანებით იმდენად მდიდარნი ვიყოთ, რომ თანამედროვე საზოგადოების ყოველგვარი მოთხოვნილებანი, გამონაკლისის გარეშე, თავისი საქმეებისა და ყოფის მოსაწესრიგებელ აუცილებელ სამუშაოზე საჭირო მოღვაწეებს იძენდნენ, მაშინ ასეთ პირობებში გონივრულიცაა და საჭიროც იქნებოდა წინა ისტორიულ დროთა არქივების მტვერში ქექვა. გერმანელებში, ფრანგებში, ინგლისელებში, რომელთაც თანამედროვეების მორიგი, საარსებო საქმეებისათვის გააჩნიათ არა მხოლოდ მოღვაწეთა სრული კომპლექსი, არამედ კანდიდატების მთელი ლეგიონი, რომლისთვისაც ადგილიც ვერ უპოვნიათ, გასაგები და ბუნებრივია გულმოდგინე მუშაობა მათი ქვეყნის შორეული წარსულის შესასწავლად. ასეთი სამუშაო მათ სახლებს უჭეროდ არ ტოვებს, ხოლო მათ მუშა ძალას უსაჭმელოდ... მაგრამ ჩვენში, სადაც ჩვენი მიმდინარე, ელემენტარული, გადაუდებელი საქმეებიც კი, რაზედაც ჩვენი არსებობაა დამოკიდებული, არავისგან არ კეთდება ჯერაც, განა ფარაონების ეპოქებისაკენ და ლურსმული წარწერებისაკენ ქაჩვა მტკნარი მაიმუნობა არ არის? ყველაფერს, რაც ჩვენი სიღარიბისას შეიძლება თავს ნება მივცეთ ამ მიმართულებით, ესაა ჩვენთვის მახლობელ ეპოქათა, მდგომარე და წარსული საუკუნეების საქმეთა და წესთა შესწავლა, რაც ჩვენი ჩვეულებრივი უფლების, ზნისა და შეხედულებების იმ მხარეთა გასაგებადაა საჭირო, რომელნიც პირდაპირ მოქმედებენ ჩვენი საზოგადოებრივი ურთიერთობებისა და ხალხის ცხოვრების მიმდინარე წყობილებებზე. ყველა დანარჩენი უაზრო ფუფუნებაა, სრულიად დაუშვებელია ჩვენი მათხოვრული მდგომარეობა, თუ კი ნამდვილად გვინდა გამოვიდეთ ამ ზნეობრივი და ფიზიკური სიღარიბიდან...

მაგრამ ჩვენში ამაზე არავინ ფიქრობს. ერთი აზრიანად მიბრძანეთ, რა უნდა ითქვას „სევერნი ვესტნიკის რუბრიკა „წერილები საქართველოზე“ შესახებ? მხოლოდ ის, რომ მათი ავტორი უმიზნოდ ფლანგავს დროსა და შესაძლებლობას ისეთ რამეზე, რაც ჭიან თხილადაც არ ღირს. ნამდვილად, საქართველოს ძველ ისტორიულ წარსულზე სერიოზული შეხედულებების გამოსამუშავებლად მეცნიერებას

ჯერაც არ გააჩნია საკმაო რაოდენობის კრიტიკულად შემოწმებული, ან უბრალოდ ნედლად აღმოჩენილი მონაცემები. დილეტანტური „მოსაზრებისათვის“ კი არ ღირდა საფანტის ხარჯვა, რაც შეიძლება უფრო პრაქტიკული ხასიათის საქმისათვის გამოდგეს. ამასობაში კი ეს საკითხი სრულებითაც არ განიხილება ამ თვალსაზრისით ქართული ინტელიგენციისაგან, რომელსაც ახლა სხვა თემაზე, გარდა ამ წერილებისა თემა აღარ მოეპოვება თავისი სააზროვნო ნიჭის გასავარჯიშებლად.

ყველა ეს ცილობანი, ყველა ეს დიაფრიზები დადის,—როგორც ყოველთვის ხდება ხოლმე ბიზანტიურობის სახელით ცნობილ მდგომარეობისას,—საკითხამდე: როგორ გაბედა „სევერნი ვესტნიკის“ სტატიების ურჯულო ავტორმა იმის მტკიცება, რომ შოთა რუსთაველმა თავისი ნაწარმოები სპარსული პოეტებისაგან ისესხა?“ მკითხველს ვთხოვთ ჩაუღრმავდეს ამ უკანასკნელ კითხვას.

ჯერ ერთი არ გვესმის, საკუთრივ რა სურდა ამ შენიშვნით დაემტკიცებინა „წერილები საქართველოზე“-ს ავტორს? რუსთაველმა თავისი პოემის ქარგა სპარსელებისაგან „ისესხა“ თუ თავისი ჭკუით შეთხზა, ან თუ სიტყვა-სიტყვით გადმოთარგმნა თავიდან ბოლომდე, განა სულ ერთი არ არის ქართული ლიტერატურის ისტორიასა და ქართულ განვითარებაში „ვეფხისტყაოსნის“ მნიშვნელობისათვის? აქ ერთი საკითხია მხოლოდ სერიოზული: „ვეფხისტყაოსანი“ ექვსი საუკუნის მანძილზე საქართველოს სამეფოს ყველა კუთხის ქართველებისათვის იყო თუ არა ნიადაგსახმარ ნიგნად? რაკიღა მას იზეპირებდნენ. რაკი მისი გამოთქმები სიტყვის მასალად იქცა, რაკი მისი სენტენციები ქართული ზნეობის საფუძველი გახდა, მაშინ ეს წიგნი იქცევა საბუთად, რომელიც გამოდგება იმ ხალხზე აზრის შესადგენად, რომელმაც იგი შეითვისა და მით გაიჟღინთა, დანარჩენი მისი მხარეები კი უკან ექცევიან და ქრებიან ყოველი სერიოზულად მოაზროვნისა და კრიტიკოსისათვის. მეორე მხრივ, რას ნიშნავს თვით ეს „სესხება? გოეთემ, როგორც ცნობილია, თავისი თავიდან კი არ გამოიღო „ფაუსტი,“ არამედ მთლიანად ისესხა თავისი გმირის სახელიც, მასთან დაახლოებულ ადამიანთა სახელებიც. თავისი პოემის სიუჟეტიცა და დეტალებიც „დოქტორ ფაუსტის მძიმე ცოდვათა ნამდვილი ისტორიიდან,“[38] რომელიც შეთხზულია ვიდმანის მიერ სამ საუკუნეზე მეტი ხნით ადრე, ვიდრე უდიდესი ნაწარმოები გამოვიდოდა მზის შუქზე. ასეთივე პოემა—ტრაგედია, როგორც გოეთესეულია, დანერა იმავე ფაუსტზე და იმავე სათაურით მარლომ ელისაბედ ინგლისის დედოფ-

38. ნ. ნიკოლაძე

ლის დროს, გოეთემდე ორი საუკუნით ადრე. განა ამიტომ გოეთეს „ფაუსტი“ ორიგინალური არაა, თვითმყოფადი არაა, დიდი არაა, უკვდავი არაა? ან განა ჩვენს დროს ვისთვისმე დაფარულია, რომ შექსპირმა თითქმის ყველა თავისი თხზულება „ისესხა“ ინგლისური დრამატული პიესებიდან, რომელნიც მანამდე შეთითხნილი იყო იტალიურ და ფრანგულ ნოველათა საფუძველზე? ვინ არ იცის, რომ ცნობილი „რომეო და ჯულიეტა“ შექსპირის მიერ აღებულია ლუიჯი და პორტას და ბანდელოს ინგლისური გადაკეთებისაგან, რომ „ვენეციელი ვაჭარი“ მას ნასესხები აქვს პეკორონესა და ბოკაჩიოსაგან, რომ „ჰამლეტის“ სიუჟეტი შექსპირს მისცა დანიის XIII საუკუნის მატიანემ, რომ „მეფე ლირი“ მის მიერ გადაკეთებულია იმ დრამატიული პიესიდან, რომელიც ინგლისურ სცენაზე იდგმებოდა 1590 წელს, ე. ი. სულ რამდენიმე წლით ადრე შექსპირის მიერ ამ უკვდავი ტრაგედიის შექმნამდე? ჩვენ შეგვეძლო ეს სია გაგვეგრძელებინა, ოღონდ ამისათვის საჭირო იქნებოდა გადაგვეშალა ფრანსუა—ვიქტორ ჰიუგოს შრომები. მერე, ნუთუ შექსპირი აღარ იქნებოდა პირველხარისხოვანი სიდიდის მსოფლიო გენიოსი, თორემ ყოველ გიმნაზიელს შეუძლია დაამტკიცოს, რომ მან ყოველი მხრიდან „ისესხა“ სიუჟეტები, საკუთარი სახელები და დეტალები თავისი პიესებისა? ამაზე ფიქრი და ამის მტკიცება იქნებოდა უზარმაზარი შეცდომა, ნაწარმოების ფაბულა და გარეგანი მხარეები მიიღო იმით, რაც შეადგენს ამ ნაწარმოებთა არსს, სიდიადესა და ძალოვანებას.

ეს ყველა ასეა. მაგრამ ჩვენ „წერილები საქართველოზე“ ავტორის ამისთანა შეცდომები, გამოვტყდებით, გაგვაკვირვებდა კიდეც და ზომაზე მეტად არც გვადარდებდა: განა ცოტა შეცდომები მოსდით ჭაბუკ და გამოუცდელ მწერლებს: მათგან არავის არავითარი ვნება არ მიეცემა, გარდა ძალღონის უნაყოფო ფლანგვისა, რომელიც შეიძლებოდა უფრო კარგად ყოფილიყო გამოყენებული. რაც განსაკუთრებით გვაწუხებს ამ საქმეში, ესაა ქართული ინტელიგენციისა და საზოგადოების დამოკიდებულება ამგვარ შეცდომებსა და მოუსაზრებლობაზე.

როგორც გინდათ მკვეთრ და უხეშ ფორმაში უთხარით გერმანელს, რომ გოეთეს „ფაუსტი“ მოპარულია ინგლისელ მარლოსაგან, ან ინგლისელს შექსპირის „ციბელინი“ აღებულია ბოკაჩიოს მეთერთმეტე საღამოს მეცხრე ამბიდან და დარწმუნდებით, რომ, როგორც გერმანელი ისე ინგლისელი მხოლოდ მხრებს აიჩეჩავენ და შეგეკითხებიან: „მერე რა გაბ̣ოდის აქედან? არც გერმანელი და არც ინგლისელი ამისთვის თქვენ არ ჩაგთვლიან არც ბიწიერად, არც მკრეხელად, არც გამცემად, არც მათი სამშობლოს „ღირსების“ შემბღალავად. მათ იციან,

რომ, მიუხედავად ამისა, გოეთეც და შექსპირიც მეორედ მოსვლამდე დიდებად დარჩებიან და, რომ ეს მწერლები ამისთანა „მხილების“ შემდეგაც, ისე როგორც მანამდე, არ შეწყვეტენ დარჩნენ სიამაყედ როგორც თავისი ქვეყნისა ისე მთელი კაცობრიობისათვის. ქართველები კი ავტორს და მის სიტყვებს შოთა რუსთაველის მიერ „სესხებაზე“ ისე მრისხანედ და გაგულისებულად ექცევიან, თითქოს მას სვეტიცხოველი დაენგრიოს საფუძვლიანად... საწყენი არ არის ყველა ამის ყურება?.. განა ეს ბიზანტიურობის ნაღდი ნიშანი არ არის?

109. საუძმო საკითხავი

გაცხოველებული პოლემიკა—გამოწვეული ჩვენი წერილით—„ბიზანტიური ცილობანი“ („ნოვოე ობოზრენიე“, №2022) გამოდგება იმ ახალი და მკაფიო ჭეშმარიტების დადასტურებად, რომ ჩვენი მწერლები შეუდარებლად უფრო მგრძნობიარენი არიან თავისი სამშობლოს წარსულის, ვიდრე მისი მომავლის მიმართ. ასეთთათვის ეს გასაგებიცაა: რამდენად უფრო იოლია მუშტაიდის გატკეპნილ ხეივნებში სეირნობა, ვიდრე უღრან ტყეში... ეკლებში და ყოველნაირ ნვიპმლიანში ხეტიალი... წერილში განვდით საზოგადოებრივობისა და მომავლის გარკვევის სისხლხორცეული საკითხების დასმის თაობაზე, ნაასალ გამოხმაურებასა და ყურადღებას ნუ მოველოდებით იმასთან შედარებით, რაც წილადა გხვდებათ ძველი აღთქმის სიძველეზე თქვენს მიერ გამოთქმული მცირე შენიშვნისათვის. „მშობლიური მოტივები“ აქ არაფერ შუაშია: ისინი საერთოა ორივეგვარი მწერლობისათვის... და ყველაზე შესანიშნავი ისაა, თუ რამდენი ვნებათაღელვა, გაღიზიანება, რისხვა და ბოროტება შედის ბეჭდვით სიტყვაში, ამასთან მშრალი, საარქივო საკითხების გამო (ინგლისში და იტალიაშიც კი ხალხი უფრო მეტი სიდინჯით კამათობს, თუ მათგან ვის ერგება ქვეყნის მართვა, ვიდრე ჩვენში არქეოლოგიურ სიმახვილეზე...).

მოდი და გაიგე რამე!

ეს როგორილა პოლემიკაა! მასში მთელი ინტერესი გამახვილებულია ავტორის თავმოყვარეობაზე: ვინ უფრო ჭკვიანია და მცოდნე ჩვენშიო. არც საზოგადოებასა და არც მე პირადად ეს საკითხი სრულიადაც არ გვანუხებს. ამიტომ ამ პოლემიკისადმი მიძღვნილ მრავალ წერილთაგან (იხ. „ივერია“, №№236, 237 და 238 და „წერილები სა-

ქართველოზე“ ავტორის პასუხი „ნოვოე ობოზრენიეში“, №2028) მე შევეხები მარტოოდენ უკანასკნელი პასუხის რამდენიმე ნაწილს.

ამ ჩემი ხერხის გასამართლებლად ერთი სრულიად საერთო შენიშვნა უნდა გავაკეთო. ჩვენში, ჩვეულებრივ, პოლემიკის ადამისუამინდელი საშუალება იხმარება: წერილის ერთი ნაწილიდან ამოგლეჯენ ნაწყვეტს—ხუთ-ექვს სტრიქონს, აგრეთვე სხვა ნაწილიდან თვითნებურად ამოგლეჯილ ნაწყვეტთან დასაპირისპირებლად იმ მიზნით, რომ ამტკიცონ—გასახილველი ავტორი თავისთავს ეწინააღმდეგება, ე.ი. თავში არაფერი უყრიაო. ამასთან გასარჩევი წერილის ძირითადი აზრი, მისი მთავარი არგუმენტები და მიზანი სრულიად გამოტოვებულია მსჯელობიდან. ეს არის პოლემიკის მეტად მსუბუქი ხერხი, თუმცა მისგან არავითარი სარგებლობის მიღება არ შეიძლება, რადგან საკამათო წერილი, ვისაც კი იგი წაუკითხავს, მთლიანად ძალაში რჩება. ჩვენ პოლემიკა სხვაგვარად გვესმის. იგი ჩვენ გვეხმარება არა უკვე ერთხელ გამოთქმულის განსაცდელად, არა იმის დასამტკიცებლად, რომ „თქვენ ვერ გამიგეთ, მე ეგრე არ მითქვამსო“, არამედ, ძირითადად, საკამათო საკითხების შემდეგ განმარტებაში. ჩვენ ოპონენტის დასარწმუნებლად და მისი პირის საცნობად კი არ ვკამათობთ, არამედ იმისათვის, რომ მკითხველის შეგნებაში შუქისა და ჭეშმარიტების მცირე ნატამალი შევიტანოთ. იმაში კი, ვის რისი თქმა უნდოდა და ვინ ვის მოატყუა, ან ცუდად გაიგო—სჯობს, თვით მკითხველი გაერკვეს თავისი საკუთარი გონებით...

ამის საფუძველზე მე არც კი შევჩერდები.

ავტორის უფ.ნ.დ.-ს პასუხის იმ ადგილზე, სადაც იგი იაფფასიანი პოლემიკის ბანალური ხერხების გამოყენებამდე მდაბლდება, მაგალითად, თუნდაც იმაზე, სადაც იგი ჩემს სიტყვებს საქართველოს ისტორიის „შინაგანი აზრის“ შესახებ „პროვიდენციალურ“ აღმოჩენათა ძიებად ასაღებს. უფრო ნაკლებ ყურადღებას იმსახურებს მისი ისეთივე გაცვეთილი ხერხი—გაამასხარაოს მოწინააღმდეგის აზრი. დაუპირისპიროს ერთმანეთს ძველი აღქმის, ქართული თუ სპარსული ლიტერატურის „მეცნიერული“ ინტერესი ტყიბულის მაღაროებისა თუ ბაქოს ნავთის „დამუშავებას“, თითქოს ჩემს მიერ, პირველ რიგში, წამოყენებული „თანამედროვეობის“ მთელი ინტერესი მდგომარეობდეს ტექნიკურ-სამრეწველო საქმიანობაში... ყველაფერი ეს წვრილმანია, რაც ცუდად ახასიათებს ჩვენი კრიტიკოსის ხერხების „მეცნიერულობას“.

ის კამათი, რომელიც საზოგადოებრივ მიზნებს ემსახურება და არა

ავტორის თავმოყვარეობის ინტერესს, სრულიად სხვა ხერხებს მიმართავს, იგი ოპონენტების შეხედულებებსა და თეორიას ამოწმებს მათი შეპირისპირებით ცხოვრებისა თუ ისტორიის რეალურ ფაქტებთან. ესაა ერთადერთი სწორი „საცდელი ქვა" მწერლის შეხედულებათა ანალიზისათვის.

ამ დებულების საილუსტრაციოდ მე ჩემს თავს ნებას მივცემ ოპონენტის მიმართ სწორედ ასეთ მეთოდს მიმართოს, სრულიად დარწმუნებულმა, რომ ჩვენი ავტორი სხვა ვერაფერს მეცნიერულს ვერ მიჩვენებს.

თავის „წერილებში" ჩვენი ოპონენტი განსაკუთრებულ გულმოდგინეობით ცდილობს დაამტკიცოს, რომ საშუალო საუკუნეების საქართველო მთლიანად სპარსული კულტურის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა. ამასთან დაკავშირებით, იგი არაერთგზის შენიშნავს, რომ საბერძნეთისა და ქრისტიანობის გავლენა საქართველოზე იმ დროს იყო წმინდა გარეგნული, ფორმალური, ზედაპირული, უკანასკნელ დებულებას იგი მაინცდამაინც ვერაფრით ამტკიცებს, ხოლო, პირველს კი ცდილობს დაამყაროს „ვეფხისტყაოსანის" სიუჟეტსა და სპარსელი პოეტების ნაწარმოებთა დაპირსპირებაზე. ცხადია, ყველა ამაში, ძირითადი, მთავარი, არსებითი მხარე ჩვენი ავტორის აზრისა იფარება ძველი და მისი ლიტერატურის „თვითარსებისა და ორიგინალურობის" ხარისხის განსაზღვრაში, ე.ი. უფრო სწორად, ამ თვითმყოფობის, ამ ორიგინალურობის უარყოფაში და არა მისი არგუმენტაციის წვრილმანებში, არა ლიტერატურის ისტორიის დეტალებში. ასე არაა? ამიტომაც ერთადერთი სწორი გზა ჩვენი ავტორის შეხედულებების საფუძვლიანობისა მის დაპირისპირებაში უეჭვოდ გამორკვეულ ისტორიულ ან ცხოვრების ფაქტებთან, თუ მართალია, რომ საქართველოს ძველად თავისი არა გააჩნდა რა, რომ მისი კავშირი ქრისტიანობასთან მხოლოდ ფორმალური იყო, რომ იგი ცხოვრობდა და აზროვნებდა მხოლოდ სპარსული კულტურით, მაშ რაღა იყო, რომ მთელი რიგი ქართველთა თაობებისა განუწყვეტლად, ათასი წლის განმავლობაში აწარმოებდა შეურიგებელ და სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას იმ ხალხთან, რომელიც იმ კულტურის მატარებელი იყო, რომლითაც ვითომც საქართველო გახლდათ განმსჭვალული?

საკუთარი „მერბის" გარეშე შეუძლებელია ასე ხანგრძლივად და

შეუპოვრად თავის დაცვა. დამერწმუნეთ, სრულიად ზედმეტია სხვადასხვანაირ ლიტერატურის ისტორიკოსთა საეჭვო „ტექსტებში“ ხელის ფათური, ან შეუმოწმებელი ციტატების დაპირისპირებისათვის ცოდვილობა,—რადგან ყველა საკამათო იქნება, დაუდასტურებელი, როცა თვით ცხოვრება, თვით უეჭვო, უკამათო ისტორიული ფაქტები ღაღადებენ ავტორის აზრის საწინააღმდეგოდ. თუკი „ტექსტებისა“ და საარქივო მონაცემების საფუძველზე აგებული შეხედულებანი ამდენად ეწინააღმდეგება აშკარა სინამდვილეს, რასაკვირველია, ასოკირკიტიც შეუძლია დაიოჩნოს მის თვალის მომჭრელ „ტექსტზე“, მაგრამ ყველაფერი ცოცხალი და ფხიზელი გადაწყვეტს, რომ ცდება „ტექსტი“ და მისი განმმარტებელი და სრულიადაც არა ნამდვილი ცხოვრება.

მეორე მიყენება იმავე კრიტიკული მეთოდისა იმავ ჩვენი კრიტიკოსის მიმართ.

იგი ბევრს ლაპარაკობს იმ თემაზე, რომ „სიყვარულის კულტი“, მის მიერ „ვეფხისტყაოსანში“ შემჩნეული, რუსთაველს გადმოღებული აქვს სპარსელი პოეტის — ნიზამისაგან, მაგრამ, რადგან საქართველო იმ დროს უზნეობაში იყო ჩაფლული და ქალის პატივისცემა არა ჰქონდა, რუსთაველმა ნიზამის იდეები საცოდავ ფორმაში გამოხატა და თავისი პირის დონეს ვერ მიაღწია*.

თუმცა ჯერ კიდევ დასამტკიცებელია ნიზამის „ლეილა და მაჯნუნი“ ნამდვილად განმსჭვალულია ემანსიპაციური ტენდენციებით, რაშიც, საფუძველი მაქვს დავეჭვდე, მაგრამ მიბრძანეთ ღვთის გულისათვის, ნუთუ ის გარემო, სადაც იფურჩქნებოდნენ და იფურჩქნებიან ჰარამხანები, უფრო ხელს უწყობდა ქალის მიმართ ადამიანურ დამოკიდებულებას, ვიდრე ის, რომელშიც ქართველი პოეტი იყო მოქცეული? ნუთუ რუსთაველს, რომელიც ცხოვრობდა ქვეყანაში, რომელიც ეთაყვანებოდა წმ. ნინოს და განდიდებული იყო თამარით, თავის გარშემო კი არა, არამედ ჰარამხანულ სპარსეთში უნდა მოეძებნა ქალის კულტის იდეები? მთელი ეს თეორია იმაზე, რომ საშუალო საუკუნეების საუკეთესო ადამიანებიც კი, რუსთაველის მსგავსად საბერძნეთში სწავლამიღებული, არსაიდან, გარდა სპარსეთისა, ვერ მიიღებდნენ თავი-

* განა განმარტება ესაჭიროება იმას, რომ „ვეფხისტყაოსანსა“ და „ლეილსა და მაჯნუნს“ შორის, სინამდვილეში, იმდენივეა საერთო, რაც ამ ნანარმოებებსა და სკრობის რომელიმე პიესას, და დიუმა მამის რომელიმე რომანს შორის? მთელი ანალოგია იმაშია, რომ აქაც ნაზად შეყვარებული გულები სიძნელეებს ხვდებიან და ამათი დაძლევის შემდეგ ბოლოს და ბოლოს, სიყვარულის კავშირით ერთდებიან.

სი გონებისა და წარმოსახვისათვის საკვებს, თუნდაც ქალის საკითხშიაც კი, ცხოვრების სინამდვილეს, მგონია, ეწინააღმდეგება. მარტო ერთი ის გარემოება, რომ ნიზამის,—დავუშვათ, რომ იგი ქალთა ემანსიპაციის მომხრე იყო, არც თავის წინ და არც თავის შემდეგ არ ჰქონდა ქალისადმი ადამიანური დამოკიდებულების ნიშანწყალიც კი, ჩვენი ავტორის პეიტრებას ყოველგვარ საფუძვლიანობას აცლის შესადარებლად აღებული ორი ქვეყნისა და პოეტის „გარემოსი", „ზნეობრივობისა" და „კულტურის" შესახებ.

მთავარი, რაც მინდა ჩემი მკითხველების შეგნებაში შევიტანო, ესაა აუცილებელი კრიტიკული დამოკიდებულება იმ ღარიბი ისტორიული მასალის მიმართ, რაც ჩვენს დროში ხელთ აქვს მეცნიერებას და, რაზედაც, ჩემის აზრით, არ შეიძლება, ჯერ ადრეა მტკიცე შენობის აგება.

მე ვამტკიცებ, რომ ჩვენ ტექსტები ჯერ ისევ ცოტა გვაქვს, ისინი, ჯერჯერობით, ისე ცუდადაა შემუშავებული კრიტიკის მიერ, ისე აბნეული და გაურკვეველი არიან, რომ ყოველგვარი ცდა მათ საფუძველზე რაიმე სერიოზული „გეზის" დაყრდნობისა, ან და აგება აზრიანი სისტემისა, უნაყოფობისთვისაა განწირული. აი, ჩვენმა ავტორმა სცადა ამ გზაზე დადგომა: დამერწმუნეთ, მან მხოლოდ ისტორიულ შეუსაბამობამდე მიაღწია, იმიტომ, რომ იგი ივიწყებს „ისტორიული კრიტიკის" როლსა და დანიშნულებას, რაც ადრევე ყველას დაარწმუნებდა, რომ ჩვენსა და მომდევნო თაობებს საქართველოს ისტორიის შესწავლის საქმეში მხოლოდ ნედლი მასალის დაგროვების უფლება თუ აქვთ, და რომ მათი გაშუქებისა და სისტემატიზაციის ცდები ჯერჯერობით სარგებლობას ვერ მოიტანს.

ჩვენი კრიტიკოსი რომ ისტორიული კრიტიკის წესებს ურევს მეტად მარტივ ხერხებში,—ამას ახლავე გიჩვენებთ. იგი გვიპასუხებს, რომ „ვეფხისტყაოსნის" შემოქმედს უყენებდა დამოუკიდებელი, ორიგინალური და უფრო სრულყოფილი დამუშავების მოთხოვნილებას, როგორც ფილოსოფიური, ისევე მატერიალურის მხრით (ეს მოთხოვნილებანი, როგორც გახსოვთ, დავახასიათე სიტყვებით, რომ ჩვენი ავტორი „უარყოფს რუსთაველის ორიგინალობასა და თვითმყოფობას") აქაა სწორედ შეცდომა, რაც აიხსნება ისტორიული კრიტიკის ხერხების დავიწყებით.

რას იტყოდა ჩვენი ავტორი ისეთ „კრიტიკოსზე", რომელიც ჩვენს დროში გაარჩევდა შექსპირის ქმნილებებს და მას უსაყვედურებდა ჰამლეტის მამის აჩრდილის გამოყვანას, ბატონყმობის წინააღმდეგ მკაცრი გამოთქმებისა და ქალთა ემანსიპაციის სარგებლობის თემის უქონლობას, ან ფიზიოლოგიის კანონების უცოდინარობას?

ხომ საკამათო არაა, რომ, არა თუ შექსპირის დროს, არამედ გაცი-

ლებით მასზე ადრე, თვით იმავე ინგლისში, იყვნენ მწერლები და მოაზროვნეები, რომელთაც არც აჩრდილების გამოჩენისა სჯეროდათ და არც საიქიოს ხმებისა და გარკვეული წარმოდგენა ჰქონდათ ადამიანის ორგანიზმის ფიზიოლოგიურ ფუნქციებზე. მაშ, მივცხოთ შექსპირს გვერდებში,—გადმოვაგდოთ კვარცხლბეკიდან? მაგრამ, პისარევს, რომელიც „კრიტიკის" ამ ხერხს იყენებდა, მგონია არ დაუნგრევია ა.ნ. ოსტროვსკის ავტორიტეტი, თუმცა მეტად მკაცრად ამახვილებდა ყურადღებას მის „სიზმარს ვოლგაზე" და უსაყვედურებდა მოჩვენებებისა და სიზმრების რწმენას. ამასობაში ხერხები, რომლებითაც „წერილები საქართველო"-ს ავტორი უდგება „ვეფხისტყაოსნის" შემოქმედს, პირწმინდად იგივეა, რაც ჰქონდა პისარევს თუ შექსპირის „ჰამლეტის" ჩემს მიერ წარმოსახულ კრიტიკოსს. რუსთაველს სწორად ესმოდა ქალთა საკითხი, მოქალაქეობრივ სიმამაცეს არ ქადაგებდა, სახელმწიფოს სამსახურს არ ასწავლიდა და სხვ*.

ისიც კი რომ დამტკიცდეს, რომ ნიზამმა და ფირდოუსმმა შესანიშნავად იცოდნენ და აღწერდნენ ყველაფერს, რაც ვითომც რუსთაველისათვის უცნობი იყო, მაშინ სერიოზული კრიტიკის თვალსაზრისით, ეს იმდენსავე ნიშნავს, რამდენსაც იმ ჭეშმარიტების დადგენა, რომ შექსპირის წინამორბედებს მოჩვენებები არ სწამდათ.

დროა, ბოლოს და ბოლოს, ვისწავლოთ, ორმოცი წლის გასვლიდან მას შემდეგ, რაც მეცნიერებაში მტკიცედ დამყარდა რეალისტური ფილოსოფია და რეალისტური კრიტიკა,—ნამდვილი ცხოვრების პატივისცემა და მისი მოვლენების შეგნება. გინდათ, იმავე მთელი სამყარო გადავატრიალო? რომ მხოლოდ ქალები მშობიარობენ და ძუძუთი ჰკვებავენ ბავშვებს—სრული აბსურდი, შეცდომა, უცოდინარობა და რაც გნებავთ, ის არაა. მილიონჯერ უფრო სამართლიანი იქნებოდა, რომ თითოეული ჩვენთაგანი სრულად „დამოუკიდებელი" ყოფილიყო და თვითონ ერთპიროვნულად შეესრულებია „წარმოშობის" ორივე ფუნქცია? გგონიათ ვხუმრობ? მაშ, გნებავთ დაგიმტკიცოთ, რომ ერთი სრულიად პატივცემული და დარბაისელი ფილოსოფოსი, არცთუ დიდი ხნის წინ, ამას სერიოზულად ამტკიცებდა ერთ მოწინავე გამოცემაში. არა, ბატონებო, ეს მეტაფიზიკური აღზრდის უკანასკნელი ნაფლეთებია, ეს ძველი და უხეში გაზადაბნეულობის მემკვიდრეობაა, ცხოვრება, მისი ძალები, მისი მოვლენები უნდა შესწავლილ იქნეს იმისათვის, რომ მის კანონებს ჩავწვდეთ: მხოლოდ მათი გაცნობის შემ-

---

*თუმცა, სწორედ ეს არ ესაყვედურება „ვეფხისტყაოსანს".

დეგ გვექნება შესაძლებლობა მათზე მოქმედებისა და მისი ძალებით სარგებლობისა. რეალური ცხოვრების უარყოფა, მასზე თვალის დახუჭვა, მისი მიუღებლობა მხოლოდ იმიტომ, რომ იგი არ შეესაბამება ჩვენს გემოვნებასა და შეხედულებებს,—ნიშნავს იმას, რომ თავი უნაყოფობისათვის, არარაობისათვის გასწირო.

ლიტერატურულ მოვლენათა მიმართ ამ წესს ის გამოყენება აქვს, რომ, შეცდომას დავუშვებთ, თუ მას ყოველნაირი „მოთხოვნილებით" მივუდგებით. ისინი ორ წყებად იყოფა, რომელთაც ზემოქმედება ჰქონდათ თანამედროვეთა და შთამომავალთა გონებასა და მისწრაფებებზე და რომელთაც არავითარი ზემოქმედება არ ჰქონიათ მათზე.

სერიოზული კრიტიკა მდგომარეობს საკითხის გარკვევაში: რით, როგორ და რამდენადაა მიღწეული ეს ზეგავლენა, რამ შექმნა მოცემული ქმნილების ძალა და მნიშვნელობა, რამ მისცა მას საარსებო მნიშვნელობა და რაც უფრო ძლიერია მისი გავლენა, რაც უფრო ხანგრძლივია მისი მნიშვნელობა, მით უფრო სერიოზული და არსებითი გახდება ამ საკითხების გარკვევა. ასეთ ქმნილებებს მიუდგე სასკოლო მაჩვენებელი ჯოხით ხელში და გაბღენძით თქვა—ავტორს აქა და აქ დაავიწყდა მძიმის დასმა, ხოლო მეორეგან დაუშვა ორთოგრაფიული, ან გრამატიკული, ან სხვა რაიმე შეცდომა,—თქვენი ნებაა, ეს არაა სერიოზული, ეს სასაცილოც კია. ასე შეიძლება მოექცე მოსწავლის რვეულებს და არა ისტორიის საბუთებსა და მონუმენტებს. ამაოდ ეფარებით არქეოლოგიას, როცა ამას ჩადიხართ. სერიოზული არქეოლოგები დაგისაბუთებენ, რომ ისინი აგროვებენ, სწავლობენ და აფასებენ სიძველის ნაშთებს იმიტომ, რომ ჩასწვდნენ კაცობრიობის კულტურის, ხელოვნების, გემოვნების თანდათანობით განვითარების ისტორიას და არ შეჩერდნენ იმ აზრის წინაშე, რომ ყველა თანამედროვე ოქრომჭედელს შეუძლია გამოჭედოს ბეჭედი ან ყელსაბამი, შეუდარებლად იმაზე მშვენიერი, ვიდრე ძველ ყორღანებში პოულობენ.

ახლა შეგვიძლია გადავიდეთ ჩვენი ავტორის გამოხდომებზე „თანამედროვეობის" წინააღმდეგ. ამ გამოხდომების წყარო ისევ ჩვენსა და ოპონენტის მსოფლმხედველობას შორის განსხვავებაა. ჩვენი აზრით თანამედროვეობა—როგორიც არ უნდა იყოს იგი,—რეალური მოვლენაა, შექმნილი არა ჩვენი სურვილით, არა ჩვენი ქართულყლაპიას სურვილის გამგონე, იგი არსებული ფაქტია. მოგვწონს თუ არ მოგვწონს, სულ ერთია, მისი თავიდან მოცილება არ შეგვიძლია—ჩვენ მას ანგარიში უნდა გავუწიოთ. არ შეგვიძლია მასზე თვალი მოვხუჭოთ, შევწყვიტოთ მისი შეგრძნება, თუნდაც სირაქლემას მაგალითს რომ მივყვეთ და თავი საარქივო საბუთებში წავყოთ. ეს ცხოვრებაა, სამყა-

როა, ყველაფერია. ამ თანამედროვეობას თავისი არსების ყველა ძაფით ვყევართ თავის მარწუხებში მოქცეული, თუ გულში ჩაკრული. მერე, ნუთუ მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენ იგი არ მოგვწონს, ან ჩვენს შეგნებასა და იდეალებს არ შეეფერება, ჩვენ შეგვიძლია და უნდა გავშორდეთ მას? მე პირადად სხვა საშველი მისგან არ ვიცი, თუ არა საფლავში ჩასვლა, მაგრამ მე ეს მოქმედება გამოსავლად, ყოველ შემთხვევაში, ადამიანის შესაფერად არ მიმაჩნია.

რამდენადაც თანამედროვეობა ჩვენს გულს არ ეკარება, რამდენადაც ძლიერ გვსურს მისი გაუმჯობესება, მით უფრო კარგად უნდა გავიცნოთ იგი, მისი გამოვლინებანი, კანონები, რა ძალები ზემოქმედებენ ცოტად თუ ბევრად მის მიმდინარეობაზე... თუ კაცობრიობის რეალური ისტორია რაიმე სხვა საშუალებაზე მიგვითითებს თანამედროვეობაზე ზემოქმედებისათვის, სცადეთ ჩემი შეხედულების დარღვევა ცხოვრების ფაქტებზე დაყრდნობით. იდეალისტები კი, მეტაფიზიკოსები და მათი უნებლიე, უკეთ შეუგნებელი მიმდევრები, ბავშვების მსგავსად, აგულიანებენ თანამედროვეობას, როცა იგი არ მოსწონთ, რომ იგი არაა საყვარელი სულიკო და მათ ტკბილეულს არ აჭმევს. ეს თვითგანებივრების მეტად იოლი საშუალებაა, მაგრამ ამას არაფერი გააჩნია საერთო მოქალაქის მოვალეობასთან, რაც იმაში გამოიხატება, რომ თითოეულმა თავისი წვლილი უნდა შეიტანოს თავისი სამშობლოს, თავის თანამოძმეთა ბედის გაუმჯობესების საქმეში. თანამედროვეობა საცოდავია და ბინძური, აშმორებული და სასტიკი, მაგრამ არავის უფლება არა აქვს ამ ნიადაგზე თავი გაითავისუფლოს მისი გაწმენდის, მისი ასენიზაციის შრომისაგან. თორემ ფრაკებში და თეთრ ხელთათმანებში გამოწყობილს, გასაგებია, ყველასაც ესიამოვნებოდა ფეხების ფრატუნი ცხოვრების სრა-სასახლეში გაპრიალებულ პარკეტზე... თქვენ შეგიძლიათ მისაყვედუროთ „კესიევის ბედის შესახებ ლირიკული გულგახსნილობისათვის". მაგრამ, ეტყობა, ამ გულგახსნილობის აზრში უფრო ღრმად არ ჩაგიხედიათ, ვიდრე საქართველოს ძველი ისტორიის მსვლელობაში. ეს „ბედი" ჭკუის სასწავლებელია და ჩემი ოცი წლის წინანდელი „გულგახსნილობა" მდგომარეობდა იმაშივე, რასაც დღეს ვადგავარ. კესიევი-მეთქი, ვწერდი მაშინ, იყო მეოცნებე იდეალისტი, რომელსაც ეგონა, რომ ხელის ერთი დაქნევით კაცობრიობას გააბედნიერებდა. იგი ისე გამოვიდა ბრძოლად, რომ არც თავისი ძალები გაითვალისწინა და არც მოწინააღმდეგე და, რაკი დარწმუნდა, რომ ერთი ნახტომით მთვარე მიწაზე ვერ ჩამოიღო, მაშინვე ატირდა და გულში და ღაწვებზე ხელის ცემას მოჰყვა...

მე ვამტკიცებდი და მგონია, საფუძვლიანადაც, რომ მისი მაგალითი არაფერს ამტკიცებს, გარდა მისივე პირადი მოუმზადებლობისა, რომ მხოლოდ ის არ ამოწურავს თანამედროვეობის გაუმჯობესებისათვის შრომის არსს... მე ვწერდი, რომ სხვები, უფრო ღრმა, უფრო სერიოზული გონების მქონენი, იმავე სამუშაოსათვის იღვწიან, მაგრამ უკვე სხვა მეთოდებით, რომ თავისი ამოცანები მათ დასახული აქვთ ნაღდი ძალების შესაფერისად, რომ მათი მიზანია რამდენადაც შეიძლება გააუმჯობესონ თავის თანამოქალაქეთა ბედი და არა ზებუნებრივ ფაქტებს ეპოტინებოდნენ... ეს ხალხი-მეთქი, ვწერდი, მიდის არა ნახტომებისა და გატაცების გზით, არამედ ფხიზელი და მტკიცე ნაბიჯით და არც თავის გამარჯვების რწმენასა და არც ცხოვრებაზე ჭუჭყიან და გულმოდგინე შრომაში არ ღატაკდება.

ვფიქრობ, რომ ჩემი ეს „ლირიკული გულგახსნილობა“ სულაც არ ნიშნავდა იმას, თითქოს მე ვკმაყოფილდები თანამედროვეობით და მის მუშაკთაგან არაფერს მოვითხოვ. იმას კი ვფიქრობ, რომ ჩემი მოთხოვნილებანი ყოველთვის იყო და იქნება შეუდარებლად მკაცრი, ვიდრე ნებიერათა ვნებიანი სურვილი, რომელნიც პირველი მარცხისთანავე, რაც მათი მოუხერხებლობითაა გამოწვეული თუ გამწვავებული, თავისთვის განსვენებას ეძიებენ.

თქვენ შეგიძლიათ გაქირდოთ „ბაქოს ნავთიც“, „შავი ქვის კრიზისიც“, რასაკვირველია, ყველაფერი ის ისე მშრალია, პროზაული, მერკანტილური, მაგრამ, იცით რა? თქვენ ხომ აქაც ვერ ჩაუკვირდით „საგანთა სიღრმეს“, თორემ უამისოდ შეამჩნევდით, რომ ამ დარგშიც მოიძებნება წმინდა საზოგადოებრივი მხარეები...

ბაქოში, მაგალითად, დააარსეს არჩევითი „ვაგონების გამანაწილებელი კომიტეტი“. აბა, გამოჰკითხეთ ახლა ბაქოელებს, რა არა მხოლოდ პრაქტიკული, არამედ წმინდა საზოგადოებრივი შედეგები მოიტანა თავისთავად ამ დაწესებულებამ. ისეთივე რამ მოხდება თუ ის აზრი განხორციელდება, რომ რკინიგზის შავი ქვის შტო შავი ქვის მრეწველებმა უნდა გაიყვანონ. რასაკვირველია, ბაქოელთა და შორაპნელთა პირდაპირი და უშუალო ამოცანები წმინდა მერკანტილურია, ისინი ყველანი მხოლოდ ქონებას ეძებენ. ეს შესანიშნავად ვიცი, რაც მათთვის ყველაზე ძვირფასია, მერე კი სხვებიც გამოჩნდება, რომელთაც არა მარტო ქონების მოხვეჭა ექნებათ მიზნად.

110. საუქმო საკითხავი

გქონიათ როდისმე შემთხვევა უნებურად წაჰყროდეთ კათოლიკე მღვდელთან კამათს, აი, თუნდაც „სამყაროს ფიზიკური კანონების შესახებ". ვთქვათ, ხმა ამოიღეთ რომელიმე ქიმიური ცდისა და აღმოჩენის მნიშვნელობაზე.

—ეს მტკნარი სიცრუეა—არ დააყოვნებს გამოგეკამათოთ პატერი,—ამას ამტკიცებს მხოლოდ ბუნებისმეტყველთა უმეტესობა, მაგრამ მათი მოძღვრება უარყოფილია ორიგენის ქმნილების მეშვიდე ნაწილის შემდეგი ციტატით, რომელიც ამბობს... და წამოვა ციტატები ლათინურ, ბერძნულ და ძველ ებრაულ ენაზეც კი.

—უკაცრავად, უკაცრავად,—შეეპასუხებით მორიდებით.—თქვენი ციტატები სრულიადაც არ ეხება ამ საგანს. ჩვენ ვამბობთ იმაზე, რომ ბერტლომ დაამტკიცა ქიმიური სინთეზის შესაძლებლობა და, რომ ამ ფაქტს უდიდესი მნიშვნელობა აქვს ადამიანთა აზროვნებისათვისაც, კაცობრიობის მომავლისათვისაც.

—აა, მაშ თქვენ უარყოფთ ორიგენს, არაფრად აგდებთ მასზე შექმნილ ლიტერატურას, ყველა მის გამოცხადებასა და იდეალებს? ეს მტკნარი შეცდომაა, რადგან, თქვენ რომ იცნობდეთ ამ სინათლისა და ჭეშმარიტების საგანძურს, მაშინ გეხსომებოდათ ავგუსტინეს წარმონათქვამი... და ისევ ლათინური ციტატა.

ცხადია, თუ კამათის სიუჟეტის მიმართ გულგრილად და ინდიფერენტულად ხართ განწყობილი, ყველაზე უკეთესი რაც დაგრჩენიათ —მხრების აჩეჩვა და კამათის შეწყვეტაა. წინააღმდეგ შემთხვევაში ყოველი ცდა, დაუმტკიცოთ ოპონენტს, რომ მთელი ეს „ორიგენის თანამედროვე ლიტერატურა" დაწვრილებით არის გარჩეული მეცნიერთაგან, რომელთაც აღმოაჩინეს მის მრავალ თხზულებათა აპოკრიფულობა, გადასხვაფერებები და ა.შ., ეს ნათქვამიც შეურყევლად და მონოტონურად იქნება დამსხვრეული ძველ ციტატებზე დაყრდნობილი ახალი პასუხებით. საქმის მთელი არსი იმაში მდგომარეობს, რომ თქვენს ოპონენტს შეურყვნელად სწამს ციტატის თითოეული ასო, თქვენ კი ძალა არ შეგწევთ რაიმე მნიშვნელობა მისცეთ მას, რაც მეცნიერული ძიების შედეგებს აღემატება. აქ ადგილი აქვს ტრაგიკულ კოლიზიას ორ მსოფლმხედველობას შორის და, რაიმე ხელშესახები შედეგის მიუღწევლად, ამ ნიადაგზე კამათი მეორედ მოსვლამდე შეიძლება.

სწორედ ასეთი რამ ხდება ჩვენს კამათშიც. იგი განიმსჭვალა სპარსული ლიტერატურისა და მისი ტექსტების ურყევი რწმენით და ამის საფუძველზე ჩვენგან მოითხოვს, რომ კამათში გადავცდეთ ნათელ-

ხილვის საზღვრებს, რაც მას ამ ტექსტისადმი თაყვანისცემით აქვს შთაგონებული, ისე რომ, ეს გამოძიებით არ გასცილდეს მის მომჯადოებელ ციტატებს. მე ასეთ მდგომარეობაში არც მინდა და არც შემიძლია ვიყო, არ მსურს, ჩემი ოპონენტის შეცდომაში გავეხვიო. ის კი, კათოლიკეთა მღვდლის მსგავსად, ლაქლაქებს ჩემს უვიცობაზე, რომ მე არ ვიცნობ სპარსულ პოეზიასა და მისი ჩაჟანგებული არქეოლოგიური არსენალის ყველა დიდ სიბრძნეს. წადით და დაარწმუნეთ, რომ მხოლოდ ერთერთმა არ იცის რა სიბრძნეა ეს სიბრძნე, რომ მისი ლიტერატურის სახელმძღვანელოები ყველასათვის ხელმისაწვდომია, რომ ჩვენც ამ დღეებში გადაგვიკითხავს სპარსელი პოეტები და მათ შესახებ უსიმპათიოდაც კი გვიწევს ლაპარაკი, მაგრამ, საქმე ისაა, რომ საკამათონი ისინი კი არ არიან, არა მათი ოცნებებისა და ზმანებების დახასიათებაშია საქმე, არამედ ქართველი ხალხის კულტურული ვითარების განსაზღვრაში XII საუკუნეში, ავტორის აზრში, თითქოს საქართველო იმ დროს მთლიანად სპარსული კულტურის გავლენის ქვეშ ყოფილიყოს... ესუნთქოს. მე ვამტკიცებ ერთს და, დრო და სურვილი რომ მქონდეს ამისთანა ძველმანებს გამოვეკიდო, დავამტკიცებდი, როგორც ორჯერ ორი ოთხია, რომ „წერილები საქართველოზე“-ს ავტორის ხერხებისა და არგუმენტაციების გამოყენებით შეიძლება ყველაფრის დამტკიცება, რაც კი გნებავთ, თუნდაც, მაგალითად, იმისა, რომ საქართველო XII საუკუნეში არსებობდა მხოლოდ ჩინური, ან ინდური, ან გერმანული კულტურით. ჩამოთვლილ ქვეყანათა რომელიმე ქმნილებაში, მართლაც შეიძლება მოიძებნოს ტაბულა და ძველი სამყაროს ყოველი ლიტერატურა შეიძლება, როგორც გნებავთ, ისე გაიგოთ, თუ საკამათო ტექსტს შენ საკუთარ იდეებსა და ტენდენციებს მოახვევ თავს.

აიღეთ, თუნდაც „ვეფხისტყაოსანი“.

განა თავ. ილ. ჭავჭავაძემ არ სცადა რუსთაველის ციტატებისა და რუსეთის ცხოვრების სამოციანი წლების იდეალების გაიგივება ბატონყმობის გაუქმების მნიშვნელობის მიწერით „ვეფხისტყაოსნის“ სიტყვებისათვის—„მიეც გლახაკთა საჭურჭლე, ათავისუფლე მონები“-ო.

ნამდვილად კი, ვისთვის არაა ცხადი, რომ რუსთაველის ბაგეებში ეს სიტყვები ნიშნავდა მომაკვდავთა ჩვეულებრივ ანდერძს რამდენიმე მონის გათავისუფლებაზე და მოწყალების გაცემას ახლად განსვენებული მონისა ღვთის სულის საოხად და მეტს არაფერს? მეორე მხრივ, მეტად იაფფასიანი ერუდიციით შეიძლება ამავე „ტექსტის“ ჩაბღაუჭება და ჩვენება, რომ ასეთივე ჩვეულება, მონების გათავისუფ-

ლებისა მათი მეუფის გარდაცვალების დროს, რომშიც იყო რესპუბლიკის სიდიადის ხანს და საქართველოს ეს აღებული აქვს რომაული ან ბერძნული ჩვეულებიდან, მაშასადამე, რომაულ-ბერძნული კულტურის გავლენა საქართველოზე რუსთაველის ეპოქაში უეჭველი და უდიდესი ყოფილა. ვიმეორებ, ასეთი ხერხით ყველაფრის დამტკიცება შეიძლება, რასაც კი მოისურვებთ და, რამდენადაც უცოდინარია დამამტკიცებელი, ცალმხრივია და მერყევი მისი მსოფლმხედველობა, მით უფრო მისი თეორია და შეხედულებები „თამამი" და „ორიგინალური" იქნება.

აი, უფ. პროცენკოც, ასეთივე ხერხებით არც აიღო, არც დაიღო და ამტკიცებდა რაღაცას, თითქოს საქართველო ძველად სლავური კულტურით ცხოვრობდაო, ან შეიძლება, პირიქით, რომ სლავები ქართული კულტურით ცხოვრობდნენ (ჩვენ მისი აზრი ბოლომდე არ წაგვიკითხავს).

ყველა ამისთანა მოჭორილმა ამბავმა მეცნიერებაში დიდი ხანია თავისი დრო მოჭამა და შეეფერება მხოლოდ ისტორიულ თემებზე ფანტაზიორობის ბავშვურ პერიოდს და სხვა არაფერს. როგორც ასეთი ბავშვური ვარჯიშის იშვიათ და ინდიფერენტულ მაგალითზე, მივუთითებთ პროფესორ ი.ა. ანდრევსკის ცნობილ ნაშრომზე „ძველი ნოვგოროდის სავაჭრო ურთიერთობის შესახებ", რომელშიც პატივცემული პროფესორი ხუმრობის გარეშე ამტკიცებს, რომ მოსკოვისა და ნოვგოროდის სახალხო მმართველობა იცნობდა ექსტერიტორიულობის ფრატრიდერობის ყველა ნვრილმანს და მანჩესტერის პოლიტიკური ეკონომიის მოძღვრებას საერთოდ... ქართულ ლიტერატურაშიც იყო სიძველის ასეთივე მცდარი გაგების ცდა.

ჩვენ ძლიერ კარგად გვესმის, რომ ავტორი აღშფოთებულია მათი ცალმხრივობით და მოისურვა გზადაბნეულთა გამოფხიზლება.

მაგრამ თვითონვე ვერ იპოვა მტკიცე დასაყრდენი და მეორე უკიდურესობაში ჩავარდა. იმ მანიაკების წინააღმდეგ ბრძოლისას, რომელნიც ამბობენ, რომ წარსულში საქართველოში იყო ყველაფერი, რაც კი შეუქმნია თანამედროვე ცივილიზაციას, მათივე წყალობით ამტკიცონ, ვითომც ქართველებს რამდენიმე საუკუნით ადრე შნეიდერის ლა-მანშის უზარმაზარი ხიდის პროექტამდე ჰქონდათ ვაზის ხიდების უფსკრულებზე გადების ხელოვნება და, მაშასადამე, საამშენებლო ხელოვნება სრულყოფილად იცოდნენ. ჩვენი ავტორი კი შეუმჩნევლად საწინააღმდეგო მანიის მსხვერპლად იქცევა. იგი ამტკი-

ცებს, რომ ქართველებს არც ხიდები ჰქონიათ როდისმე, არც უფსკრულზე გადასვლა სცოდნიათ და ა.შ., და ამ დებულების დასამტკიცებლად მოათრევს ყოველნაირ ფაქტს, ამასთან ძლიერ ჰბერავს ერთის მნიშვნელობას და სიჩუმით უვლის გვერდს მეორეებს. როგორც ყოველთვის ხდება ხოლმე, როცა რამეს სწავლობ იმ მიზნით, რომ დაამტკიცო აკვიატებული დებულება და შესასწავლის აზრს კი არ ჩასწვდე; იგი მივიდა მტკნარ აბსურდებამდე, თუმცა იმათ საწინააღმდეგომდე, რომელთაც უპირებდა დანგრევას და რომელნიც არა ნაკლებ უშინაარსონი და სავალალონი არიან...

სრულიად ამაოდ მიწვევს იგი დავუპირისპირო „მის" თეორიას ჩემი საკუთარი. მე ხომ პოლემიკა იმით დავიწყე, რომ ვამტკიცებდი, თუ რა ნაადრევია რაიმე თეორიის აგება ასე მცირედ გაწმენდილ ნიადაგზე, ასეთი სუსტი მასალებით, მე ჩემს თეორიებს კი არ ვაყენებ, არამედ სხვებისაზე ვმსჯელობ და ვაცხადებ, რომ ისინი ჩემთვის მყარნი არ არიან, ცალმხრივნი არიან, ვერ უძლებენ ფხიზელი კრიტიკის თვით ულმობიერეს მიკარებასაც კი.

მე არ ვიცი, არც მინდა ვიცოდე, უკეთ, არ შემიძლია ვიცოდე, საიდან გაჩნდა, რით საზრდოობდა, რაზე იყო გაჩერებული ძველი საქართველოს კულტურა, მაგრამ მტკიცედ ვიცი, რომ ყველა ის, რასაც მის შესახებ წერენ მისი თვითაღმოცენებისა და თვითსაზრდოობის მიმდევრები, როგორც „წერილები საქართველოზე" ავტორის ქადაგება ამ კულტურის გარედან, სპარსეთიდან მონურად მიღებაზე, ვერ უძლებს პატარა კრიტიკასაც კი. ამას მე ვუმატებ, რომ ჯერ ადრეა, უმიზნობაა, უგუნურებაა, დროის ფუჭად ხარჯვაა თავი და ფარ-ხმალი ვიმტვრიოთ ასეთი არქაული საკითხებისათვის. კამათის ასეთ ვითარებაში მითრევენ ავაგო თეორიები, ან განვიხილო ტექსტები, რომელთა ჭეშმარიტ მნიშვნელობასა და განსაკუთრებულ გავლენას ჩვენი თაობა ვერც გაარკვევს და ვერც განსაზღვრავს. შეიძლება განა წარმოვიდგინოთ საკამათო საგნის შეუგნებლობის უკეთესი დამტკიცება?

გარემომდებარე ულრანში გზააბნეული ჩვენი ოპონენტი ბევრს ლაპარაკობს ჩემს იმ შენიშვნაზე, თუ როგორ შეეძლო ქართველ ხალხს ათასი წლის მანძილზე უკანასკნელ ამოსუნთქვამდე ებრძოლა იმ ხალხის წინააღმდეგ, რომელიც იმავე კულტურას ატარებდა, რომლითაც იგი ვითომც განსაკუთრებით ცხოვრობდა.

და იგი ეყრდნობა ომის გამაცივილიზებელ გავლენას.

ვითომც საქართველომ წინააღმდეგობა დაიწყო თემობრივი „მეობის“ გამო და ბრძოლაში შეუმჩნევლად გადაედო სპარსული კულტურა. მაგრამ იქიდან რომ დავიწყოთ—ჩვენი ავტორი თავის წერილებში ამტკიცებდა, რომ ეს ქვეყანა XI და XII საუკუნეებში უკვე სპარსული კულტურის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა? მაშ, მისი სიტყვებიდან გამოდის, რომ ეს კულტურა არის შედეგი საქართველოს სპარსეთთან ომებისა, ხომ?

ნამდვილად კი XI და XII საუკუნეებამდე, საქართველო, როგორც ცნობილია, იბრძოდა არაბთა შემოსევების, ხალიფების წინააღმდეგ და არა სპარსეთთან, რომელიც მაშინ იმავე დამპყრობლებით იტანჯებოდა ვისგანაც საქართველო.

მაშასადამე, საქართველო რუსთაველისა და „ვეფხისტყაოსნის“ ეპოქაში არაბთა კულტურის გავლენის ქვეშ უნდა ყოფილიყო და სრულიადაც არა სპარსულისა, მე არ ვკიდებ ხელს გავარკვიო თუ ვისი გავლენის ქვეშ იმყოფებოდა იგი, ან სხვადასხვაგვარ ცივილიზაციათა—თავისი თუ სხვების ან კიდევ როგორი რთული შენაერთის გავლენის ქვეშ მყოფობდა, მაგრამ ავტორის მთავარი დებულება ხომ არ შეეფარდება ისტორიის უეჭვო ფაქტებს, და საქმეც სწორედ ამაშია. წავიდეთ ქვევით. ომი სპარსეთთან და სპარსთა ბატონობა აღმოცენდა, უმთავრესად, რუსთაველის შემდეგ, თვით მონღოლთა გავლენის დამხობის შემდეგაც კი. მაშ, ავტორის აზრით, თუ ომებს შემოჰქონდათ ჩვენში სპარსული კულტურა, რომლებიც ყოველთვის შეუდარებლად უფრო მეტად მოქმედებდა საქართველოს სოციალურ ცხოვრებაზე, ვიდრე ქრისტიანობა ან ბიზანტიის კულტურა და ჩანასახები მისი ტომობრივი, ეროვნული, კულტურული თუ, როგორიც გნებავთ, „მეობისა“, მაშ, საერთო ჯამში საქართველოს სპარსეთთან სრული შერწყმა უნდა მომხდარიყო და არა ბოლომდე საქართველოს დამოუკიდებლობის შენახვა. ისევ ასე არაა?

იმის საჩვენებლად, თუ რა ზერელედ ესმის ჩვენს ავტორს ისტორიული მოვლენები, რომელთა შესახებაც განუსჯელად მსჯელობს, ავიღებთ მისსავე მითითებას მდგომარე საუკუნის დასაწყისის ომებზე საფრანგეთსა და გერმანიას შორის. მაშინ დაინახავს იგი, თუ რა შემთხვევაში მოაქვს ომებს კულტურა და რაში არა.

საფრანგეთის კონვენტის ფეხშიშველ და თითქმის შეუიარაღებელ რაზმებს ძველი, ფეოდალური ევროპის გაწვრთნილ ჯარებთან შეხვედრისას, შეჰქონდათ ახალი კულტურა იმ ქვეყნებში, რომლებშიც შედიოდნენ და სწორედ ამაში მდგომარეობდა მათი უძლეველობა. მა-

თი ენთუზიაზმის, მათი ახალი მოძღვრების წინაშე, როგორც, საყვირის ხმის წინაშე, ინგრეოდნენ როგორც ციხე-სიმაგრენი, ისე სისტემები და საუკუნოვანი სიმტკიცის მქონე დაწყობილებანი და ამ რაზმებმა მართლაც დაიპყრეს იმ ხალხების ნებაცა და გონებაც, რომელთაც შეეჯახნენ. ისიც, რაც მათ დაანგრიეს, უკვე აღარ ამდგარა მკვდრეთით. მაგრამ ამ ახალი რწმენის, ახალი სიმართლის, ახალი ურთიერთობის მატარებელი რაზმების კვალზე სიარული დაიწყეს სხვებმა.

თვით საფრანგეთში მოიშთო წყარო ახალი მსოფლმხედველობისა. ამ ქვეყანამ, ნაპოლეონ პირველის დროს დაიწყო არმიების გზავნა, რომელნიც ამარცხებდნენ და ახშობდნენ მოწინააღმდეგეთა ჯარებს და არა მათ სულს, არა მათ მსოფლმხედველობას. პირველი რაზმების მიერ დათესილი თესლი რამდენიმე ხანს უთანაგრძნობდა მწიფობას და ნაყოფიერებას. მაგრამ იმდენად, რამდენადაც ნაპოლეონის არმია მოქმედებდა ფეოდალური განწყობილებით, რამდენადაც ისინი ახალი სიმართლის ადგილზე აღადგენდნენ ძველს, ცვლიდნენ რა მხოლოდ პიროვნებებსა და არა მათ უფლება-ურთიერთობებს,—მხოლოდ ერთი ფიზიკური ძალის კადნიერმა და ნაძალადევმა დაწოლამ აღაშფოთა ევროპის ყველა მცხოვრების გული და მათ დაამხეს უღელი, საძულველად რომ იქცა. კულტურული თესლი დარჩა, შემდეგ ამოიყარა ნაზარდი გაერთიანებულ გერმანიაში, რომელიც ძლიერ ცოტათი ჰგავდა ფეოდალურს, რევოლუციამდელს—გერმანიაში, საერთო ხმის მიცემისა და წარმომადგენლობის უფლებით. მაგრამ, თუ ვივარაუდებთ, რომ საფრანგეთის ომები ურყევად იცავდნენ ახალი სამართლის საწყის მდგომარეობას,—ახალი ფრანგული კულტურა დაიქვემდებარებდა გერმანულს. ესაა მიუცილებელი თვისება და ხარისხი ყოველი უმაღლესი კულტურისა, საზოგადოებრივი ურთიერთობის ყოველი უფრო სამართლიანი დაწყობილებისა, გინდა თუ არ გინდა, მოიცილოს დაბალი კულტურა და საზოგადოებრივი დაწყობილების უსამართლო წესები.

დიახ, ომი, როგორც ყველაფერი ამ ქვეყანაზე, როგორც ჰაერი, როგორც სენი, როგორც ვაჭრობა და წყალი, კულტურის გამტარებელნი არიან. იმიტომ მხოლოდ, რომ თავისთავად კულტურა არის სიცოცხლისუნარიანი, მორალური და სარგებლობს ყოველნაირი გამტარებლებით, რაც კი ხელთ მოხვდება. მაგრამ, არა ყოველი ომი ატარებს კულტურას და ყოველი კულტურის გატარება შეიძლება ყველგან. შეიტანება მხოლოდ უმაღლესი კულტურა და შეიტანება იგი არა

პოეტების ლექსში, არამედ ხალხის ცხოვრებაში. მისი ოჯახის მოწყობილობაში, მის შეხედულებებში, ბუნებასა და მის ძალებზე, მის რწმენაში, ცალკეულ ფენა-ერთეულების ეკონომიურ ურთიერთობაში და ა.შ. აბა, ამ თვალსაზრისით ინებეთ, მიჩვენეთ, რითი, რა კანონებით, რა რწმენით, რა უფლებებით, რა იდეებით, რომელნიც ცხოვრებაზე მოქმედებენ (და არა ცალკეულ პიროვნებათა ოცნებითა და სიზმრებით), რით იყო სპარსული კულტურა ქართულზე მაღალი, საკუთრივ რა შეიტანა პირველმა მეორეში? სპარსთა ძალისა და სპარსული იდეების გავლენით შეიცვალა ქართული ოჯახის ის ორგანიზაცია, რაც აქ იყო სპარსულ გავლენამდე, სპარსეთთან შეტაკებამდე? შეიცვალა სპარსულ ყაიდაზე ქართული სამართლის საფუძვლები საკუთრების, ქონებრივი ურთიერთობების, პოლიტიკური ორგანიზაციისა და ა.შ. მიმართ? სპარსულის მსოფლმხედველობისა და რწმენათა გავლენით ოდნავ მაინც შეიცვალა ქართველების რელიგიური რწმენა და იდეები დოგმატიკურისა თუ წეს-ჩვეულებების მიმართებით? თუ სახალხო და სახელმწიფოებრივი ცხოვრების არც ერთი ეს მნიშვნელოვანი მხარე არ დამორჩილებია სპარსული ცივილიზაციის დაწოლას, იგი იქ რომ უმშვენიერესიც ყოფილიყო, ასობით და ათასობით ფირდოუსი, ნიზამი და ვინც გინდათ ჰყოლოდათ, რაც არ უნდა მაღალფარდოვანი ტენდენციები ყოფილიყო მასში ჩაქსოვილი, სულ ერთია, თქვენი „თეორია" ქართული წარსულის მონური დამოუკიდებლობისა სპარსულ კულტურაზე განადგურდება, რაც არ უნდა დახლანჯული ფრაზები არ გადმოწეროთ შეუგნებელ სოციოლოგთა ნაწერებიდან სახალხო „მეობის" ტომობრივ, ეროვნულ, ეკონომიკურ და.ა.შ. დანაწილებაზე.

ყოველი ასეთი ფრაზა ყოველთვის ჩემი ოპონენტის საკუთარ „თეორიას" დაარტყამს, რადგან იგი ყალბ ნიადაგზე, რაც არ უნდა ბევრმა ილაპარაკოს, ნიზამის მაღალფარდოვან იდეალებზე, სპარსული პოეტის მიერ ქალის გაღმერთებაზე, იგი მაინც ვერ გამოვა იმ მოჯადოებული წრიდან, რომელშიც თავი ჩაიმწყვდია. ერთი წუთით დავუშვათ, რომ ნიზამი ქალთა ემანსიპაციას ქადაგებდა (სწორედ ისე, როგორც რუსთაველი ქადაგებდა გლეხთა გათავისუფლებასა და ქონების განაწილებას თავ. ჭავჭავაძის მიხედვით). რა სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა ამ ქადაგებას სპარსული ქალის რეალურ ყოფაში? ის მდგომარეობა, რომელსაც ჩვენი ავტორი იშველიებს, რომ ნიზამიდან რვა საუკუნის შემდეგ რამდენიმე სპარსელი ქალი აღშფოთებულა სპარსეთში, თითქოს ქალთა უფლების დათრგუნვის წინააღმდეგ, რის-

თვისაც ისინი ირანის გულქვა მმართველს ცეცხლისათვის მიუცია. შეიძლება მხოლოდ საოპერაციო არგუმენტადაც იქნეს აღიარებული. აგერ, სევასტოპოლშიც, ორმოცი წლის წინ მოხდა „ქალთა", ან „დედაკაცთა ამბოხება", აღწერილი უფ. ხარტახაის მიერ „ვესტნიკ ევროპი"-ში, მგონი 1866 წელს. სევასტოპოლელი დედაკაცები საბედნიეროდ, კოცონზე არ დაუწვიათ. მათ მიუსაჯეს „პერანგის გახდა და როზგით მსუბუქად გაწკეპვლა", მაგრამ ეს ვითარება თვით ჯონ სტიუარტ მილსაც კი არ მოჰფიქრებია ქალთა ემანსიპაციის საქმისათვის მიეკერებინა.

ასე კამათი არ შეიძლება, თორემ, ეშმაკმა იცის, რა სისულელეებამდე შეიძლება მივიდეს კაცი. თუ ცალკეული პოეტის ოცნება, გაცხოველებული წარმოსახვა—ხალხის ცხოვრების ნამდვილ ფაქტებთან შეუთანხმებლად,—რამეს ამტკიცებს და, ამტკიცებს ისტორიულად შემოწმებულ მოვლენათა საწინააღმდეგოდ, მაშინ ჩვენი ავტორის არგუმენტაციის საფუძველზე ნიზამისა და მის ემანსიპაციურ მნიშვნელობაზე მე ხელს ვკიდებ დამტკიცებას, რომ რუსეთში, ალექსანდრე I-ისა და ნიკოლოზ I-ის დროს მიღებული იყო მოღალატე ქალების ტომარაში ამოკერვა და მათი მდინარეში გადაგდება. ეს ხომ, ისე, როგორც ორჯერ ორი ოთხია, მტკიცდება პუშკინის ცნობილი ლექსით, „შავი შალი":

„შორეულ დარბაზს რომ მივადექ ლიას...
შევხვდი, სომეხი პკოცნიდა დიაცს,
იჭექა მახვილმა, როგორც რომ მეხმა,
კოცნა ავაზაკის ტუჩებზე შეხმა.
თავმოკვეთილი დავთქირე სხეული,
ვუცქერდი ასულს სახეარეული,
ვედრება მახსოვს, სისხლი დალვრილი,
ასული მოკვდა, მოკვდა სიყვარული...
მას თავზე მოვხადე მე შავი შალი
და სისხლში შესვრილი გავწმინდე ხმალი,
მსახურმა იხელთა დრო იმავ ღამეს,
დუნაის მდინარეს ესროდა გვამებს..."

(თარგმ. პ. იაშვილისა)

და, თუ ჩვენი ავტორის ყოველი დოგმატური მსჯელობა ქართველი ქალის დამცირებაზე, მის მონობაზე მართალია, სპარსული კულტურის იდეებთან შედარებით, მაშ ამის შემდეგ რაღას ნიშნავს ჩვენი ოპონენტის უკანასკნელი წერილის დასასრული „სევერნი ვესტნიკში", სადაც იგი ამტკიცებს, რომ საქართველოში ყოველთვის იყო და ახლაც

შემორჩენილია მატრიარქატი, ე.ი. ქალთა მბრძანებლობა ოჯახში? ის ხომ თვითონ ამტკიცებს, რომ მამაკაცის როლი, როგორც ოჯახის უფროსისა, ქართულ ოჯახში ყოველთვის ფიქტიური და უმნიშვნელო იყო, რომ აქ მბრძანებლობდა დედა, ცოლი, ქალი. თუ ასეა, მაშინ რუსთაველს განა დაჭირდებოდა თავისი ქალისადმი პატივისცემის იდეალები (შენიშნეთ, არა მისი გაღრმავებისა) ესესხებინა ნიზამისაგან, როცა მას ხელთ ჰქონდა მისი ქებათა ქების შეფარდებული ცხოვრების ტყობა. და განა მხოლოდ ეს ერთი იდეალი აქვს რუსთაველს გატარებული თავის პოემაში? ახლა ამისი პარალელური იდეალები—ერთგულება მიცემული სიტყვისა, მეგობრობის სიმტკიცისა, თავისი თავის მსხვერპლად მიტანისა, პირადი კეთილდღეობისაგან ხელის აღებისა,—განა ყველაფერი ესეც ნიზამისაგან ჰქონდა ნაქირავები და არ შეიძლებოდა აეღო ცხოვრების რეალური ფაქტებიდან, რომელნიც ქართველ პოეტს ირგვლივ ერტყა?

ყოველივე ეს ნაკლებ სერიოზულია და მე, მართლაც, მრცხვენია ამ თემებზე საუბრის გაგრძელებისა. კმარა. ჩვენი დავის მეორე, უფრო მეტად სერიოზულ მხარეს მომდევნო წერილში შევეხები.

111. საუძმო საკითხავი

ჩემს გუშინდელ წერილში დამავიწყდა პასუხი გამეცა „Письме о грузии"-ს ავტორის კიდევ ერთი შეპასუხებისათვის. იგი ამბობდა, რომ „ვეფხისტყაოსნის" გავრცელება ბევრ არაფერს ამტკიცებს, „ბოვა კოროლევიჩიც"[39] ხომ აგერ რამდენიმე საუკუნეა ხალხშია გასულიო. ეს თურმე ქართველი ხალხის უძრაობის დამამტკიცებელია. მაგრამ ლაპარაკი იყო არა მხოლოდ „ვეფხისტყაოსნის" გავრცელებაზე, არამედ იმაზეც, რომ მისი სენტენციები, მისი გამოთქმები, სახეები, მისი ზნეობა ქართველი ხალხის ძვალსა და რბილშია გამჯდარი.

წარსული საუკუნეების ქართულ ლიტერატურაში არსებობს „ბოვა კოროლევიჩის" მსგავსი ნაწარმოები, ესაა „ყარამანიანი"[40], მაგრამ, არცერთ ქართველს ჭკუაში არ მოსვლია მის სერიოზულ ნაწარმოებად ჩათვლა, „ვეფხიტყაოსნისა" და „ბოვა კოროლევიჩის" გათანაბრება ნიშნავს ვერ არჩევდე ერთმანეთისაგან ლიტერატურული მოვლენის გარეგან ნიშნებსა და შინაგან რაობას, ან და, კამათის არსის ინტერე-

სი მსხვერპლად მიგქონდეს გამოთქმის ღვარძლიანობისათვის. ეს ხერხი, ყოველ შემთხვევაში, დიდი შებრალების გრძნობას თუ იწვევს...

„ვეფხისტყაოსნის" ხანგრძლივი, მრავალსაუკუნოვანი პოპულარობა სულაც არ ამტკიცებს ქართველი ხალხის უძრაობას, არამედ მხოლოდ მას, რომ იგი საზოგადოებრივი აზრის სხვადასხვა მხარეებს მოიცავს, რომელნიც მუდმივი და ნარუშლელნი არიან. ლიტერატურულ ნანარმოებებს, რომელთაც სიმართლით ჩაუხედიათ ადამიანის გულის სიღრმეში და მკვეთრად ჩამოუყალიბებიათ ზნეობრივი სამყაროს კანონები, ხანგრძლივობისა და საუკუნეთა მანძილზე ზემოქმედების უპირატესობით სარგებლობენ. დავეთანხმებით, რომ, მაგალითად, ინგლისური კულტურა უძრაობით, ჩამორჩენილობით არაა დასნეულებული. ამასთან ერთად, ცნობილია, რომ ინგლისელი ხალხის ყველა ფენა, აგერ რამდენი საუკუნეა და ახლაც მუდმივად კითხულობს და პატივსა სცემს „ბიბლიასა" და შექსპირს. საკმარისია გავიდეს ორმოცდაათი წელიწადი, რომ ბიოლოგიაში ახალი მიღწევები, მონაცემები და დაკვირვებები საკმაოდ დაგროვდეს კიუვიეს სწავლების, დარვინის თეორიის სრულიად შესაცვლელად. მაგრამ, ადამიანის გულის შესწავლის საქმეში, ზნეობის დარგში საერთოდ, ერთი სისტემის შეცვლა მეორეთი ათას წელიწადში შეიძლება ერთხელ მოხდეს. თანამედროვე მეცნიერების უკანასკნელი სიტყვა, ამ დარგში სახელგანთქმული „ალტრუიზმი", არსებითად არ განსხვავდება ქრისტიანული ზნეობის საფუძვლებისაგან. ვიდრე ადამიანები ამით ცოცხლობენ, პოეტური ქმნილებები, რომელნიც მის დებულებებს განასახიერებენ, ისეთი დაუვიწყარი და ამიტომ უკვდავი ფორმით, როგორიცაა; „რასაცა გასცემ შენია, რაც არა—დაკარგულია", არ დაჰკარგავენ თავის სიახლესა და ინტერესს. და ეს ხდება არა „უძრაობის" ძალით, არა „ნაციონალიზმის" ძალით, არამედ იმ ბუნებრივი კანონის საფუძველზე, რომლის მიხედვითაც ადამიანის საერთო გონების ყველა ქმნილება ცოცხლობს და მოქმედებს თვით იმ დრომდე, ვიდრე საზოგადოებრივი აზრის მხარეები, რომელთაც ისინი ეხმაურებიან, არ იპოვნიან უფრო ნათელ, სრულ და სწორ დაკმაყოფილებას რაიმე ახალ ქმნილებაში, ან კიდევ ვიდრე მათში განხილული და გადაწყვეტილი საკითხები და ინტერესები უფრო სრული სახით არ იქნებიან დამუშავებული ახალ ნაწარმოებებში. მაგრამ, მგონია, სიყვარულის, ზნეობის დარგში ჩვენი ოპონენტი ვერ გვიჩვენებს ქართველი ხალხის უფრო „მოწინავე" და რაციონალურ თეორიებს იმათთან შედარებით, რაც „ვეფხისტყაოსანს" უდევს საფუძვლად.

მართალია, „სევერნი ვესტნიკში“ იგი კიცხავდა რუსთაველს—რატომ არ ქადაგებდაო ძალის მქონეთა მიმართ დამოუკიდებლობას, მაგრამ, ჯერ ერთი, ეს ხომ წვრილმანია და არა ზნეობის საფუძველი, მეორეც, ეს სხვა არა არის რა შეცდომის გარდა. ავტორმა ვერ შეამჩნია „ვეფხისტყაოსნის“ ის ადგილი, სადაც ლაპარაკია „მეფეთა რისხვაზე“... მაშასადამე, ვეფხისტყაოსნის“ მკითხველთა განუვითარებლობის შესახებ იგი უსაბუთოდ სჯის.

ჩვენი კამათის არსისათვის „უძრაობის“ საკითხს უდიდესი მნიშვნელობა აქვს. მე იმედს არ ვკარგავ, რომ ჩვენი ავტორის დამოკიდებულება „არქეოლოგიისადმი“ და „თანამედროვეობისადმი“, თავის ხალხისადმი, საერთოდ სხვაგვარი იქნებოდა, რომ არ ცდებოდეს თავის შეხედულებებში ამ „უძრაობის“ შესახებ, ვიდრე ახლა. მას არ შეუძლია უარყოს, რომ მე, პირადად, მაგალითად, ჩვენს მოღვაწეობაში, განსაკუთრებით ქართულ ლიტერატურაში, ყოველთვის ვიბრძოდი ყოველგვარი უკან მიხედვის წინააღმდეგ და არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ჩემი მირიცხვა ძველი სარწმუნოების მოსავთა კატეგორიისადმი, რომელთაც ჩემგან ძლიერ ბევრიც უგემნიათ. მაშ იმედია, იგი დამიჯერებს, რომ საზოგადოებრივი პროგრესის თვალსაზრისით, ის გამონაკლისი მიმართულება, რომლის წინააღმდეგაც იგი ისე იბრძვის, როგორც ვიბრძოდი მეც, სხვა არაფერია, თუ არა ნაბიჯი წინ ქართველი ხალხის ცხოვრებაში. ეს გახლავთ პროგრესის სრულიად ნორმალური, სრულიად აუცილებელი სტადია, შეიძლება ცალმხრივობისა, მცდარისა, ნაკლოვანისა თუ სხვა რაც გინდათ იმისი, მაგრამ აუცილებლობისა, ბუნებრივისა. ყველა ხალხს, რომელიც კი შეჰხებია ახალ, უმაღლეს ცივილიზაციას, ცოტად თუ ბევრად ხანგრძლივად თავისი ევოლუციის ეს მეორე ან უკანასკნელის წინა სტადია გადაუტანია. სტადია სულ სამია: პირველი—მიმბაძველობითი, მეორე—ეროვნული, მესამე—რაციონალური. ნახეთ ახლა რუსეთის ისტორია. პეტრე დიდიდან დაწყებული თვით „ვაი ჭკუისაგან“-მდე, ე.ი. ერთ საუკუნეზე მეტი ხნის მანძილზე რუსული საზოგადოება ემაიმუნებოდა ევროპას, რასაკვირველია, უფრო გარეგნულად. ამასვე სჩადიოდა ქართველი საზოგადოება ამ საუკუნის პირველ ნახევარში.

შემდეგ, ოცდაათიანი წლებიდან რუსეთში, გრიბოედოვიდან და სლავიანოფალებიდან,[41] ხოლო 50-იანი წლებიდან საქართველოში ახალი სტადია დადგა: „ბოლოს და ბოლოს, ჩვენ ხალხი არა ვართ, რა საჭიროა სხვების მიბაძვა თუთიყუშივით, განა ჩვენი არა გვაბადია რა?“

და ყველა თავისას დააცხრა. ჩაიცვეს—მოსკოვში ზიპუნები, თბილისში შეუდგნენ დედაენის, ხალხური პოეზიის შესწავლას. ეს ასაკობრივი სენია, კბილის ამოჭრის, ან „კრიტიკული გარდატეხის“ მსგავსი რამ. ახლა უკვე რუსეთში და საქართველოშიც ვამჩნევთ მესამე სტადიის დადგომის მკვეთრ ნიშნებს, რაც სრულიად არის გამეფებული, მაგალითად, საფრანგეთში, გერმანიაში, ინგლისში, სადაც ხალხი ცალმხრივად კი არა, არამედ ფხიზლად და ანგარიშიანად ეპყრობა თავის თავსაც და სხვასაც, სადაც უყვართ და აფასებენ არა ყველაფერს „თავისას“, არამედ მხოლოდ კარგსა და კეთილს, სადაც არ ერიდებიან სხვებისაგან სასარგებლოსა და აზრიანის გადაღებას, სადაც, ერთი სიტყვით, ხელში საგნები, იდეები, დაწესებულებანი დაუქმებულია არა წარმოშობის, არამედ ხარისხის, კარგი სიამობის მიხედვით. ჩვენ, თქვენთან ერთად, შეგვიძლია შევეგუოთ ამ მესამე სტადიას და მივისწრაფვით, რომ ჩვენში მან სწრაფად შეცვალოს ნახევარი თანამავალი. მაგრამ ეს მეორე საკითხია, მთავარია ის, რომ არც რუსეთში და არც ჩვენში ამ „წინამავალი“ მეორე სტადიის არსებობა არ შეიძლება ჩაითვალოს შეჩერებად და უძრაობად. ყველა ჩვენს სურვილს მოთმინებაც თან უნდა ახლდეს.

სტადიების მონაცვლეობა რთულ მიზეზებზე, სხვათა შორის და ძირითადში, დროის გარემოებაზეა დამყარებული. ჩვენი ოპონენტის შეცდომა იმაში მდგომარეობს, რომ ფიქრობს—საკმარისია ერთი, ორი წერილი, რომელიც საზოგადოებას ურჩევს გადავიდეს განვითარების უმაღლეს სტადიაში, რომ იგი მაშინვე გადახტეს მასში. მაგრამ, საზოგადოებრივი აზრი ჯარისკაცთა რაზმი არ გახლავთ და მწერალი კიდევ რაზმის მეთაური, რომ ბრძანებით—„თვალები მარჯვნივ“, ან „მარცხნივ, ზურგისკენ“ შეიცვალოს მდგომარეობა. გამოვხატოთ გულისწყრომა, იმედი გვქონდეს მისი გამგონებისა... ჩვენი ავტორი კი, ხედავს, რომ ევოლუციის მესამე სტადია ქართველ საზოგადოებაში ჯერ კიდევ არაა სრულძალოვანი და აბსოლუტურად არა მბრძანებლობს, მიმართავს სრულიად არა პედაგოგიურ ხერხს—ჩააგონოს თავისი რაზმი, ვითომც გონებაჩლუნგი, გახევებელი და ძველი დროის ბომბორდოვების მსგავსად, არ ინდომებს აღმავალ მოდგმას თვით მეშვიდე თაობამდე. ეს ნერვების საქმეა და არა აზროვნებისა.

მე მგონია, რომ ესეც, ისე როგორც ბევრი სხვა რამ ჩვენი ავტორის აზროვნებაში, გამომდინარეობს რეალური საგნებისადმი მესამედ ზე-

რე-ქვერე დამოკიდებულებიდან, მესამედ ცალმხრივი შეხედულებებიდან „ნებივრების“ მსჯელობასა და შთაგონებებზე. მაგრამ, ნება მიბოძეთ, აქ ფრჩხილები გავხსნათ. ჩემი ოპონენტი სიტყვებს აქაც მათ კუთვნილ მნიშვნელობას არ ანიჭებს. „ნებივრები“ ყველა დროში მოიპოვებიან და არა მხოლოდ პროგრესისტულში. რკინიგზელთა შორის დიახაც უფრო მეტია, ვიდრე საზოგადო მოღვაწეობაში. მათი განმასხვავებელი ნიშანია—სომნაბულიზმი. დიდად შერეული მეოცნებეობა.

ისინი, ეს ნებივრები, ყველაფერს ჰკიდებენ ხელს, არასოდეს წონიან ძალასა და ამოცანას და მეტად ადვილად იმოსებიან პირველივე მარცხით გამოწვეული ჭმუნვით, რაც მათ საბოლოოდ ამშვიდებს და ამადლიანებს.

გადააბრალებენ რა თავის მარცხს ყველას და ყველაფერს, გარდა საკუთარი თავისა, ისინი აღშფოთებულნი არიან ქვეყნის მიმართ, რომელმაც ვერ შეაფასა მათ მისწრაფებათა სიდიადე და ამით დაამთავრებენ საქმეს. „ნებივრების“ საპირისპირო ტიპი—უბრალოდ ვაჟკაცი ადამიანია, რომელიც სიყვარულით, საქმის შეგნებით მოეკიდება ყველაფერს, რასაც ხელს მოჰკიდებს, რომელიც სულით არ დაეცემა მარცხის წინაშე, არ სწყევლის ამისთვის მთელს ქვეყანას, არამედ უცქერის მას, როგორც თავის შეცდომათა შეგნების საშუალებას, გარდამავალ უბედურებასაც კი უბრალოდ უცქერს, როგორც მე და თქვენ შევხედავდით, მაგალითად, უცბად ჭერის ნაწილი რომ თავზე ჩამოგვნგრეოდა. ასეთი ვაჟკაცური ადამიანები ცოტანი არ არიან და ყველაზე მეტად ისინი, ცხადია, მოიპოვებიან საზოგადოების მოწინავე მოღვაწეთა შორის, რადგან გამბედაობის, ამტანიანობის, ჯანსაღი აზრის გარეშე არ შეიძლება იყოს სერიოზული საზოგადო მოღვაწე. „ნებივრები კი, ერთი სიტყვით, აზიზმაზიზები, არისტოკრატები, ფანტაზიორები მიისწრაფვიან არა თავისი თუ საზოგადოების რეალური სიკეთისაკენ, არამედ ქივრებისაკენ. „ნებიერ“—ფეხსაცმელის მკერავს უცბად სურს ოქროში იცურაოს და ამას უცბად რომ ვერ მოახერხებს, სმას მიჰყოფს ხელს. „ნებიერი“—ლიტერატორი ერთი წერილით ქვეყნის გადატრიალებას ფიქრობს და როცა შეცდომას დაუშვებს, წერას წყვეტს... „ნებიერი“—საზოგადო მოღვაწე ერთი სიტყვის წარმოთქმით თავის თვითმმართველობაში ელდორადოს დამყარებას ლამობს, მაგრამ რაკი დონარტს მძინარე ხმოსნებს, ყვირილს მორთავს: „რას იზამ“

და ა.შ. საერთოდ კი ისინი „სასოწარკვეთილი“, „მტირალა“, უფრო სწორად —უჭკუო ხალხია. რასაკვირველია, ეს იმას არ ნიშნავს, თითქოს საზოგადო მოღვაწეთა შორის არ იყვნენ ღირსეული, აზრიანი, მტკიცე მრწამსის მქონენი, ავტორი ტყუილად მაწერს მე ამ აზრს, ტყუილად განადიდებს, იგი „ნებივრობს“ ყოველგვარი თვითანგარებისა და სიმდაბლის მათთვის დაპირისპირებით.

დაუმსახურებელი პატივია!

ამგვარად, აღვადგინოთ ჩვენი კამათის საერთო ხაზი: ქართველი საზოგადოება არ გახევებულა; ის, რითაც იგი გონებრივად ცხოვრობს, სრულად არ უშლის ხელს მის შემდგომ ზრდას, ალალია მის თანამედროვე განვითარებაზე შრომის დახარჯვა, მაგრამ არა „ნებივრულად“. ჩემი ოპონენტის ღონისძიების გამო, რომ შერყვნას ეს უკანასკნელი დებულება, იგი გაასაღოს ჩემ ცდად, ვითომც მე მკითხველებს სიხარბისა და იდეალთა დავიწყების გზით მივმართავ, მომავლის გაუმჯობესებისათვის ზრუნვისაგან ხელს ვაღებინებ მაშინ, როცა ჩემი მოღვაწეობის მთელი არსი, ყველა ჩემი ზრახვა მიმართულია სწორედ ამ „გაუმჯობესებისაკენ“, მე იძულებული ვარ საქმის ეს მხარე გავარკვიო. მაგრამ, როგორც არ უნდა ახლად, რაც არ უნდა ძლიერად გავარკვიო იგი, ჩემს ოპონენტს ყოველთვის შეუძლია საყოველთაო ხელმისაწვდომი ხერხით თავი დააღწიოს და თანამედროვეობაზე მუშაობის ჩემი ქადაგება ტყიბულის მაღაროების დამუშავებისაკენ მოწოდებად გაასაღოს. ამიტომ დავიმოწმებ იმ წერილის მსჯელობას, რომელსაც ჩემი ოპონენტი ვერ უარყოფს.

მოუსმინეთ რას წერდა დობროლუბოვი სწორედ ამ საგანზე, რაც ჩვენი პოლემიკის მთავარ საფუძველს შეადგენს (იხ. ნ. ა. დობროლუბოვის თხზულებები, ტ. 11, გვ. 456-460):

„რომ ვუფიქრებდით აწმყოს და ახლო წარსულს, არ შეიძლება არ შევნიშნოთ, რომ ჩვენი ახალი თაობის ხასიათმა მოვლენებს უნდა სხვაგვარი როლი მისცეს, ვიდრე წინამავალს ჰქონდა. იმ თაობის ადამიანები გამსჭვალულნი იყვნენ მაღალი, მაგრამ რამდენიმე განყენებული მისწრაფებებით. ისინი მიისწრაფოდნენ ჭეშმარიტებისაკენ, სურდათ სიკეთე, მათ იტაცებდა ყველაფერი მშვენიერი, მაგრამ ყველაზე უმაღლესი მათთვის იყო პრინციპი. პრინციპს კი უწოდებდნენ საერთო ფილოსოფიურ იდეას, რომელსაც მიიჩნევდნენ მთელი თავისი ლოგიკისა და ზნეობის საფუძვლად. ეჭვისა და უარყოფის საშინელი სატანჯველის ფასად შეიძინეს მათ თავისი პრინციპი.“

ჩემი ოპონენტის შესარცხვენად შევნიშნავ—როგორი მძიმეც არ უნდა იყოს ეს ჩემი პირადი თავმდაბლობისათვის,—რომ, იმ დროიდან, რაც მე უბედურება მჭირდა ჩავბმულიყავი ტყიბულის საქმეში, ე.ი. 1871 წლის ბოლოდან, არც ერთხელ არ მიმიცია ნება ჩემი თავისთვის მკითხველების საყურადღებოდ დამეწერა ერთი სტრიქონი მაინც ამ მაღაროების დამუშავებაზე. სხვებზე ვერასოდეს შეძლეს გათავისუფლებულიყვნენ მით მომაკვდინებელი გავლენისაგან, რაღაც პანთეისტური გააჩნდა მათ პრინციპს აღიარებაში: ცხოვრება მათთვის იყო პრინციპის სამსახური, ადამიანი—პრინციპის მონა, ყოველგვარი პრინციპს შეუფერებელი საქციელი ითვლებოდა ბოროტმოქმედებად. ამრიგად, ნამდვილი ცხოვრებიდან ჩამოცილებულთ და პრინციპის სამსახურად განწირულთ, მათ არ შეეძლოთ ზუსტად განესაზღვრათ თავისი ძალები და თავს იდვეს ბევრად იმაზე მეტი, რის გაკეთებაც შეეძლოთ.

მხოლოდ უმცირესობას შეეძლო, ბელინსკის მსგავსად, შეეწყო თავისი თავი თავის პრინციპებთან და ამგვარად მისთვის სიცოცხლე შთაებერა. ბელინსკისათვის გარეგანი, განყენებული პრინციპი გადაიქცა მის შინაგან, სასიცოცხლო მოთხოვნილებად: თავისი იდეის ქადაგება მისთვის იმდენად აუცილებელი იყო, როგორც ჭამა და სმა. მაგრამ ბევრს არ შეეძლო მიეღწია თავისი პიროვნების შერწყმისათვის ფილოსოფიურ პრინციპებში, დიდი ნაწილი პრინციპის გონიერების გაგების დონეზე დარჩა, ამიტომ მუდამ ძალას ატანდნენ ისეთ საგნებზე, რაც მათ არც ეჭაშნიკებოდათ და არც შეეფერებოდათ. ამის შედეგი იყო ყოველთვის ყალბი მდგომარეობა, მუდმივი დაუკმაყოფილებლობა, მუდმივი გამხნევება და გამოცოცხლება საკუთარი თავისა მყვირალა ფრაზებითა და მუდმივი მარცხი პრაქტიკულ მოღვაწეობაში. მათ, განყენებული ლოგიკის კარგად მცოდნეებმა, არ იცოდნენ ცხოვრების ლოგიკა და ამიტომ ყველაფერი, რაც სილოგიზმის მეშვეობით იოლად გამოდიოდა, მეტად ადვილად ეჩვენებოდათ. ამასთან ერთად, საშინლად ახშობდნენ მთელს ცხოვრებას, ცდილობდნენ მისი საკუთარ ლოგიკურ ფორმებში ჩაჭედვას. შეიძლება მათ ყველა ამისათვის თავი გაენებებინათ, რომ ცოტათი მაინც მოესწროთ ცხოვრების თანაბარ მიმდინარეობას დაჰკვირვებოდნენ. მაგრამ მათ ბედი უბირად მოექცა: საერთო თუ კერძო შემოწმებით, მან ბევრი მათგანი მკვეთრად შეატრიალა და ისინი რწმუნდებოდნენ, რომ ცხოვრება უკანონოა ბედით და მხოლოდ პრინციპია ჭეშმარიტი და კანონიერი.

ისინი გადაეშვნენ პრინციპისათვის ბრძოლაში, წააგეს ერთი ბრძოლა, მეორე, მესამე, მეოთხე და დაინახეს, რომ მისი განგრძობა შეუძლებელია. მძაფრი დაუკმაყოფილება დარჩათ მას შემდეგ სულში, მაგრამ ეს ძალაც არ იყო მთლიანი, მოქმედი, რადგან თვით ისინი არ იყვნენ მთლიანი ადამიანები...

სრულიადაც ასე არ მოქცევია ცხოვრების საკითხებს ახალი თაობა (მხედველობაში გვაქვს მისი კარგი წარმომადგენლები). დროული ადამიანებისაგან ეს თაობა ჩვეულებრივ საყვედურს იღებს გულცივობის, გულქვაობის, უგრძნობელობის გამო. ამბობენ, რომ ახლანდელი ადამიანები დაწვრილმანდნენ, რომ უნარიანი არიან მაღალი მისწრაფებისა და კეთილშობილ გატაცებათათვის ბრძოლაში. ყველაფერი ეს შეიძლება სწორიც იყოს ბევრის მიმართ, ახალგაზრდა ადამიანთა დიდი უმრავლესობის მიმართაც; ჩვენ სრულიად არ ვფიქრობთ მათ განდიდებას ან გამართლებას... მაგრამ მათ შემდეგ და ნაწილობრივ მათ წრეშიაც უკვე ჩანს სხვაგვარი საზოგადოებრივი ტიპი,—ტიპი ნამდვილ ადამიანთა, მაგრამ ნერვებიანთა, საღი წარმოსახვის მქონეთა. განვლილი თაობის შრომათა წყალობით ამ ხალხმა პრინციპები შეიძინა ისეთივე შრომის ფასად, როგორც მათმა წინამორბედებმა, ამიტომაც ისინი განსაკუთრებით არ არიან მასზე მიჯაჭვულნი, მათ აქვთ შესაძლებლობა და ღონე შეამონმონ იგი და შეუფარდონ ცხოვრებას, თავის ირგვლივ რომ მიმოიხედეს, მათ, ნაცვლად გარდასულ თაობათა ბუნდოვანი აბსტრაქციებისა და აჩრდილებისა, ქვეყანაზე დაინახეს მხოლოდ ადამიანი, ნამდვილი ადამიანი, შემდგარი სისხლისა და ხორცისაგან, მისი ნამდვილი და არა ფანტასტიკური დამოკიდებულებით მთელს გარეშე სამყაროსთან. ისინი მართლაც დაწვრილმანდნენ, თუ გნებავთ, დაკარგეს ის მძაფრი ვნებიანობა, რითაც გამოირჩეოდა წარსული თაობა, სამაგიეროდ ესენი უფრო მტკიცენი და სიცოცხლის უნარიანნი არიან. არას ვამბობთ ფანატიკოსებზე, როგორც გამონაკლისზე, რომელნიც ყოველთვის იყვნენ და იქნებიან. საერთო მასაში ახალი თაობა გამოირჩევა სიწყნარითა და ჩუმი სიმტკიცით. ეს მათში, უპირველეს ყოვლისა, ცხადია, ხდება იმიტომ, რომ მათი ნერვები ჯერ არ მოშლია, მაგრამ არის მეორე მიზეზიც: ისინი ჩამოეშვნენ აბსოლუტური აზრის უსაზღვრო სიმაღლიდან და ნამდვილ ცხოვრებასთან უახლოეს შეხებაში იმყოფებიან. განყენებული ცნებები მათ შეეცვალათ ცოცხალი წარმოდგენებით, კერძო ფაქტთა წვრილმანები მკვეთრად წარმოისახენ და გააფერმკრთალეს ზოგადი განსაზღვრებები.

ახალი დროის ადამიანებმა არა მხოლოდ გაიგეს, არამედ იგრძნეს კიდეც, რომ სამყაროში აბსოლუტური არა არის რა და, რომ ყველაფერს მიმართებითი მნიშვნელობა აქვს. ამიტომ მათთვის შეუძლებელია გატაცება ისეთი ტენდენციებით, როგორიცაა მაგ.: "pereat mundus et fiat justitia"—„სიკვდილი სჯობია სიცოცხლეში ერთხელ სიცრუის თქმას", „სჯობია მოიკლა გული, ვიდრე ერთხელ მაინც უღალატო ქორწინების, შვილის თუ მოქალაქის ვალდებულებას" და ა.შ. ყველაფერი ეს მათთვის მეტად აბსტრაქტულია და ასევე მცირე მნიშვნელობის მქონეცაა. მათ, პირველ რიგში, ყოველთვის უდგათ წინ ადამიანი და მისი პირდაპირი, არსებითი სიკეთე; ეს თვალსაზრისი გამოსჭვივის თითოეულ მათ საქციელში და აზრში. სისხლხორცეული, ნაღდი კავშირი კაცთმოყვარეობასთან, ყოველ ადამიანურ დამოკიდებულებათა ურთიერშორის სოლიდარობის შეგნება—აი, ის შინაგანი გამაღიზიანებელი, რომელნიც მათში პრინციპის ადგილს იჭერენ. მათი საბოლოო მიზანია არა სრული, ყურმოჭრილი ერთგულება მაღალი იდეების, არამედ კაცობრიობისათვის რაც შეიძლება მეტი სარგებლობის მოტანა; მათს მსჯელობაში ადამიანები ამაღლებულნი არიან არა იმით, თუ რამდენი იყო მათში დაფარული უმაღლესი ძალა და ნიჭი, არამედ იმით, თუ რამდენი სურდათ და გააკეთეს კაცობრიობის სასიკეთოდ. არა ის შემთხვევები იქცევს მათ ყურადღებას, რომელთაც გრანდიოზული ან პათეტიკური ხასიათი აქვთ, არამედ ისინი, რომელთაც რამდენადმე წინ წაუწევიათ ადამიანთა უმრავლესობის კეთილმდგომარეობა. ამგვარად, მისწრაფება ახალი ადამიანებისა, რომელნიც გაცილებით ახლოს დგანან ცხოვრებასა და ხალხთან, ბუნებრივად უფრო რბილ, ფრთხილ, შემწყნარებელ ხასიათს იღებს, ვიდრე მგვემელისა. ცხადია, მოუხერხებელი არაა რაშით გამალებული ქროლვა, მაგრამ თუ გეტყვიან, რომ გზაზე სხვადასხვა ადგილას წვანან და სძინავთ თქვენ მოძმეებს, რომელნიც შეიძლება გასრისოთ, მაშინ, რასაკვირველია, ცოტა ფრთხილად გაივლით.

პრინციპებით ხელმძღვანელობის და ერთგულების დროს, რომელიც მიზანთან სწრაფად მისვლას მოითხოვს, შესაძლებელი იყო, რასაკვირველია, თქმა; „მერე და ვინ უბრძანა მათ გზაზე ძილი? მათი ბრალი იქნება თუ გაისრისებიან!" მაგრამ ახალი მისწრაფების მქონე ადამიანები ასეთ შენიშვნაზე უპასუხებენ: „რასაკვირველია, სულელები არიან, რომ გზაზე სძინავთ და თავისუფალ მოძრაობას ხელს უშლიან, მაგრამ რას იზამ, თუკი ასეთი სულელები არიან? საჭიროა მათ თავს

ნაადგე, გამოაღვიძო და შეაგნებინო: და თუ არ გაგიგონებენ, მაშინ ძალით უნდა გადაათრიო გზიდან ნაპირისაკენ". ასე იქცევიან ჩვეულებრივ ეს ადამიანები. განა გასაკვირია, რომ მათში არ შეიმჩნევა ის სწრაფვა, რომლითაც გამოირჩეოდნენ ის ადამიანები, მხოლოდ პრინციპებით რომ ხელმძღვანელობდნენ?

ჩაუფიქრდით ამ ნამდვილ ბრძნულ სიტყვებს და მიხვდებით, რომ სპარსული კოცონის მელოდრამატული სურათი—ცეცხლმოკიდებული მზეთუნახავი, თავის მიმზიდველი მშვენიერების რამდენიმე ნაწილს დაკარგავს. მაგრამ, საქმე მხოლოდ ამაში არაა, რომ მორიდებული შრომა მოყვასთათვის, „რაც შეიძლება მეტი სარგებლობის მოტანა", რაც არ უნდა ჩამორჩენილები და სულელები იყვნენ ისინი და რაც არ უნდა ვინრო ინტერესები იტაცებდეს მათ, სრულიადაც არაა ნაკლებ ნაყოფიერი, ან ნაკლებ საპატიო, ვიდრე მისწრაფება დიად, კაცობრიობის უცბად გაბედნიერების მსგავსი მიზნისაკენ. ეს სიტყვები ცხადად აჩვენებს თანამედროვეობაზე პრაქტიკული აზრიანი მუშაობის გათანაბრების მცდარობას თითქოს მხოლოდ „ნებივრობის" მიერ შექმნილი დოვლათის „მოხმარების" ტენდენციასთან.

აი, მივედით კიდეც ბოლომდის. აი, ის ორი დაპირისპირებული მსოფლმხედველობა, რომელთა შესახებაც ვნერდი. დობროლუბოვის თხზულებიდან ამონანერმა, ვიმედოვნებ, მთლიანად დაახასიათა ჩემი და ოპონენტის შეხედულებათა განსხვავების არსი. განსხვავება კარგად ჩანს დობროლუბოვის მიმართულებასა და იმას შორის, რომლის დამახასიათებელი ნიშნები გამოჩნდა რუსულ პისარევობაში. მე ტყუილად არ ვილაპარაკე პისარევზე, ტყუილად არ გავიხსენე მის მიერ პუშკინის, ოსტროვსკის, ესთეტიკისა და ფილოსოფიის „დამსხვრევაზე", ტყუილად არ დავუპირისპირე ჩვენი ავტორის ხერხები პისარევისას. ჩემი მიზანი მდგომარეობდა იმ აზრის გარკვევაში, რომ ყველა, ვინც თავს მონინავედ თვლის, ნამდვილად სნორ ნიადაგზე არ დგას, რომ „მონინავეთა" შორისაც არსებობს საკმაოდ ბუნდოვანი, სრულიად მცდარი მდგომარეობანი და ა.შ. აი, მივიდა ჩვენი ავტორი პისარევისა და მისი მოჩვენებითი ფილოსოფიის გლორაფიკაციამდე. მაშ, ნება მომეცით გაგახსენოთ, თუ რაში მდგომარეობდა „საფუძველი" ამ უვიცი შინ ნაკეთობისა, რაც ნარმოშობილია თუთიყუშურად ათვისებული ცნებების ნაქლესებისაგან. ეს ნიჭიერი ქარაფშუტა, რომელიც განურჩევლად ქადაგებს მხოლოდ მას, „რასაც ბოლოს ნაკითხული წიგნი ეტყვის" და, გერცენის გამოთქმით—„ყველაფერზე რომ წერს,

ზოგჯერ იმაზედაც კი, რაც იცოდა", როგორც ყველა თუთიყუშს ემარ-თება, მთლად ჩაიფლო ფრაზაში, გესლში, ლანძღვაში, ეფექტში და არა აზრში, საბუთში, გზნებაში. რუს ახალგაზრდობას იდეალად უსა-ღებდა ხალხის ტიპს, რომელიც ამბობდა: „რა მესაქმება, როგორ იცხოვრებს რუსი გლეხი, როდესაც ჩემგან ოროვანდი ამოიზრდება" (ბაზაროვი), ან, „მომასვენეთ თუ შეიძლება, მე არ მეხება" (მოლოტო-ვი) და, ამასთან ერთად შეეძლო ქება-დიდება შეესხა ახმეტოვისათ-ვის, ერთი სიტყვით „ღმერთიც ილოცო და ეშმაკიც". გასაოცარი არაა, რომ ასეთმა დიდმა ნიჭმა ამოცანად დაისახა ბელინსკი „ჩამოეჭრა კვარცხლბეკიდან", ასევე პუშკინი, შჩედრინი, ოსტროვსკი. ხომ იცით, რა ხერხებით?

მან მოახერხა დროებით ზოგიერთი ბალღის მოხიბვლა,—თუმცა ჩვე-ნი ავტორი ჩემს მხარეზეც ისვრის კენჭს, თითქოს მეც მათში ვრეუ-ლიყავ,—მაგრამ მის მიერ დამხობილი ღმერთები კეთილსვიანად გა-ნაგრძობენ ცის ტატნობზე ბრწყინვას,—ისე, როგორც რუსთაველი დარჩება თავის ადგილზე. პისარევს კი პატივსა სცემენ მხოლოდ ისი-ნი, ვინც ფეტიშიზმის ჩინური კედლით გამოემიჯნა თანამედროვეობის რეალური ცხოვრების გაკვეთილებსა და ამოცანებს. აი, ესაა არქეო-ლოგია. ცოცხალი ადამიანები არქეოლოგიასაც იყენებენ, მაგრამ არა წარსულის კერპთაყვანისმცემლობისათვის, არამედ მომავალი განვი-თარების ინტერესებისათვის.

112. საუძმო საკითხავი

ამ კვირაში თბილისის საზოგადოება „არტისტულ საზოგადოებაში" ფერხულს ჩააბამს ღრმად მოხუცებული ქართველი ლიტერტურის ი.ი. კერესელიძის სასარგებლოდ. ბედნიერია ეს საზოგადოება: რაც არ უნ-და მოხდეს ქვეყანაზე, ავი თუ კარგი, საბოლოოდ მისთვის მაინც ფერხული და წარმოდგენები ეწყობა. გასრესს ვინმეს მატარებელი, თუ ვინმე შუბლში ტყვიას დაიხლის, მოხდება სადმე მიწისძვრა თუ ჩამოვა ან გაემგზავრება ვინმე მნიშვნელოვანი ბობოლა,—ის სულ ფერხულშია ჩაბმული და ცეკვავს, ამასთან სულ ერთსა და იგივეს... სიხარულიცა და მწუხარებაც სულ ერთიანად, ერთი და იგივე ხერხით გამოხატოს, მაგრამ, რამდენადაც მახსოვს, მას პირველად უხდება ფერხულში ჩაბმა „ლიტერატორის სასარგებლოდ".

არტისტულ საზოგადოებას, უეჭველად დიდ ღირსებას აძლევს ის მდგომარეობა, რომ მან ძმური დახმარების ხელი გაუწოდა ადგილობრივი ლიტერატურის ერთ-ერთ ინვალიდსა და ვეტერანს. დარწმუნებული ვარ, საზოგადოება, განურჩევლად ეროვნებისა, სრული თანაგრძნობით გამოეხმაურება მის მოწოდებას, რადგან, ყოველი, ვინც ოდნავ მაინც დახმარებია თავისიანების განათლებას, ვისაც მათში აღუძრავს მაღალი მისწრაფებანი და ინტერესები, მახლობელი და ძვირფასი იქნება ყველასათვის, ვისაც კი ცხოველური ინსტიქტებს მქონე საზოგადოებაში ცხოვრება შეუძლია.

—განა უფ. კერესელიძე ასეთ სასარგებლო მოღვაწეთა დასს ეკუთვნის? შემეკითხებით თქვენ.

ი.ი. კერესელიძის სახელი არაფერს ეუბნება თანამედროვე თაობას, თვით ქართველებსაც კი. მხოლოდ რამდენიმემ იცის ის, რომ იგი ოდესღაც ბეჭდავდა ქართულ ჟურნალს—„ცისკარს“.

აქვს თუ არა მას დამსახურება და, სახელდობრ, როგორი,—ამაზე ნურავის ნუ ჰკითხავთ: გასაგებ პასუხს ვერავინ მეტყვის. იგი „ჩამორჩა“,—მან „მოჭამა თავისი დრო“—გიპასუხებენ ღრმად დარწმუნებულნი, რომ ამით ყველაფერი გამოხატონ. ეს შედეგია იმისა, რომ ჩვენ საზოგადოებაში ჯერ კიდევ ცოტაა ის ხალხი, რომელთაც თავისი სამშობლოსათვის რაიმე სასარგებლო გაუკეთებიათ.

ვისაც უნარი აქვს და ბედნიერება ჰქონია, სასარგებლო ყოფილიყო, მას ყოველთვის კარგად შეუძლია შეაფასოს იმ პირთა დამსახურება, ვისაც თავისი სამშობლოს სარგებლობის სარბიელზე მასზე ადრე უღვანია, ნინამავალთა ჩამორჩენილობა მის თვალში მათდამი მადლიერების გრძნობას არ ამცირებს: იგი ღრმადაა დარწმუნებული, რომ მხოლოდ მათი შრომის წყალობითაა შესაძლებლად გამხდარი მისი საკუთარი მიღწევები, რომ მისი ნარმატება მათ მიერაა შემზადებული... ისტორიული უმადურობა კი მიუცილებელი ხვედრია ხელმოცარულებისა და ეგოისტებისა, რომელთაც სამშობლოს სიყვარულიც კი ვერ ჩაუნერგავს პატივისცემას მათდამი, ვინც ქვეყანას რწმენითა და სიმართლით ემსახურება, რამდენადაც ღონე და საშუალება ჰყოფნიდა... ამიტომაც, სრულიად არაა საოცარი, რომ ჩვენს გარემოში ი. ი. კერესელიძე ჯერ კიდევ დიდხანს ვერ მოიპოვებდა საზოგადოებრივ პატივისცემას....

მარტო ის გარემოება, რომ ადამიანმა მთელი სიცოცხლის განმავლობაში დაუცხრომლად იღვაწა სამწერლო ასპარეზზე, ჩადო მასში

სული და ოცდაათი წლის აუტანელი შრომის შედეგად იძულებულია საზოგადოების ქველმოქმედებას მიმართოს, დამეთანხმეთ, ბევრს არაფერს ეუბნება მის თანამედროვეებს. მარტო ეს ფაქტი მოწმობს, რომ კერესელიძის დროს მის თანამემამულეთა შორის კითხვისადმი სიყვარული იმდენად არ ყოფილა განვითარებული და ძლიერი, რომ გამოეკვება და უზრუნველეყო ამ მოთხოვნილების თითქმის ერთადერთი დამაკმაყოფილებელი მოღვაწე.

დიახ, სამწუხაროდ, ქართული ლიტერატურისაგან, ალბათ მხოლოდ ბოლო დროის გამოკლებით, შორს იყო ის იდეალი, როცა ამ ლიტერატურას შეეძლებოდა ძუნწად მაინც აენაზღაურებინა მის მოღვაწეთა შრომა. ლიტერატურა აქამდე ქველმოქმედებით არსებობდა: მის მსახურად არა მხოლოდ მუქთად უნდა ემუშავნათ, არამედ თავისი სახსრები დაუზოგავად უნდა დაედოთ მისთვის, რომ თავისი თუ სხვისი ნაწარმოებები ებეჭდათ და გაევრცელებინათ უფასოდ.

ერთი სიტყვით, ასე ყოფილა ყველგან ლიტერატურული განვითარების დასაწყის პერიოდებში, არაა საკვირველი, რომ საქართველოც ვერ გაექცევა ამ საერთო ხვედრს.

ი.ი. კერესელიძე ლიტერატურულ ასპარეზზე გამოვიდა 1857 წელს „ცისკრის" გამოცემის განახლებით, რაც 1852 წელს თავ. გ.დ. ერისთავმა (ქართული თეატრის დამაარსებელმა) დაიწყო და რომელიც მომავალ 1853 წელს შეწყდა, როცა კავკასიას ლიტერატურისათვის არ ეცალა. „ცისკარი" იყო ყოველთვიური, წმინდა ლიტერატურული ჟურნალი 5-7 თაბახის მოცულობისა, რომელშიც სამი მეოთხედი განეკუთვნებოდა თარგმნილ მოთხრობებსა და პიესებს. მხოლოდ იშვიათად გამოჩნდებოდა ხოლმე მის ფურცლებზე, არა მხოლოდ თავ. ერისთავის დროს, არამედ შემდეგაც, სამოციან წლებში, მარგალიტებივით ძველი და ახალი პოეტების—ალ. ჭავჭავაძის, გრ. ორბელიანის, ნ. ბარათაშვილის ლექსები. კერესელიძის დროს „ცისკარში მოვიდნენ თავ. აკ. წერეთელი და ილ. ჭავჭავაძე. თვით 1866 წლამდე, გ. წერეთელის მიერ „პოლიტიკურ" გაზეთ „დროების" დაარსებამდე კერესელიძის ჟურნალი იყო ერთადერთი სტამბური გამოცემა, ქართული სიტყვის მხარში ამომდგომელი...

ი.ი. კერესელიძის პირადი ლიტერატურული მოღვაწეობა თავის ჟურნალში საკუთარ თხზულებათა ხარისხითა და გავლენით, ცხადია, ბრწყინვალებით ვერ გაუსწორდებოდა თავის ნიჭიერ თანამშრომელთა ნაწერებს, რომელნიც იშვიათად, წელიწადში სამჯერ-ოთხჯერ აჩუ-

ქებდნენ ხოლმე „ცისკარში“ თავის ლექსსა თუ პატარა წერილს. მაგრამ ლიტერატურის, განსაკუთრებით ჟურნალისტიკის, წარმატებით განვითარებისათვის მნიშვნელობა აქვს არა მხოლოდ ნიჭსა და ბრწყინვალებას. სამწუხაროდ, საზოგადოება ამას ყურადღებას არ აქცევს, მან არ იცის, რომ პერიოდულ გამოცემათა გამოცემით დამაშვრალ, დაუღალავი შრომით ყოველდღიურად დაკალებულთ, ჟურნალისტიკისა და ლიტერატურის ბედსა და წარმატებაში არანაკლები მონაწილეობა მიუღიათ, ვიდრე უნიჭიერეს პოეტებს, კრიტიკოსებს თუ პუბლიცისტებს. ვიმეორებ, მან ეს არ იცის, თუმცა ეს ჭეშმარიტება უნდა შეეგნო, თუნდ იმ მნიშვნელობით, რაც ლიტერატურაში მოპოვებული აქვთ ბერტენებს, ბაბეტებს, კრაევსკებს და მისთანათ. პირდაპირ საოცარია ი.ი. კერესელიძის მიერ 1857-1887 წლებში ჟურნალისტიკასა და ლიტერატურაში ჩაყრილი შრომის მოცულობა. რამდენიმე ლექსი, პიესა, მოთხრობა, მოგზაურობის აღწერა, გაბედული ფელეტონი (მისი ფსევდონიმია „მოლაყბე“) დაწერა და თარგმნა... მარტო მისი ლექსები, ერთად შეკრებილი მოზრდილ ტომს შეადგენდა და მათ შორის ცოტა არაა ისეთი, რომელიც გინდა ქრესტომათიის დამამშვენებელი. რასაკვირველია, მისთვის ბედს, ყოველდღიური, გამალებული მუშაობა რომ არ ერგუნებინა, არამედ მხოლოდ ზოგჯერ, როცა მოისურვებდა, როცა ზეშთაგონება გადმოვიდოდა, შეეძლო თავის ნაწერებიდან გამოექვეყნებინა უფრო მეტად ახალი და ფხიანი, მაშინ ისინი არ იქნებოდნენ ჩამორჩენილნი იმ ბალასტში, რაც გაჭირვების გამო, მომდევნო ნიგნაკის შესავსებად, „ბეჭდვისათვის უხერხულ“ თხზულებათა შესაცვლელად ინერებოდა... მაგრამ, განა ჩვენს დროში იმდენად მდიდარნი ვართ ლიტერატურული ძალებით, მოვითხოვოთ, რომ ყველაფერს, რაც ჟურნალისტის კალმიდან გამოდის, უკვდავების ბეჭედი ესვას? მგონია, პირველხარისხოვანი ნიჭი ჰქონდა არმან კარელს, ზოგიერთები მას გენიოსადაც კი თვლიდნენ და, ისიც კი ამბობდა, რომ უდიდეს გენიოსს არ შესნევს ძალა ჟურნალისტიკას მუდამ გამოსაჩენი ნაწარმოებები აძლიოსო...

ქართველი მკითხველის თვალში ი.ი. კერესელიძის წარმოდგენების შერყევა მდგომარეობდა იმაში, რომ მეტად მკვეთრი აღმოჩნდა მისთვის საქართველოს ცხოვრებაში შეტანილი სამოციანი წლების რეფორმების ეპოქით გამონვეული გარდატეხა. იგი დაზარალდა თავ. გრ. დ. ორბელიანისადმი ერთგულებით, რომლის გავლენის ქვეშაც ყოველთვის იმყოფებოდა და მისი მიმდევარიც იყო. როცა 1861 ნელს

ქართველ ლიტერატორთა ახალგაზრდა ძალები გამოვიდნენ საზოგადოებასა და ბეჭდვით სიტყვაში ბატონყმობის საწინააღმდეგო ქადაგებითა და, როცა მათ, ახალი იდეების სახელით დავა დაიწყეს ადრინდელი ლიტერატურული მიმართულების არა მხოლოდ არსის, არამედ თვით ფორმის შესახებაც, მისი ორთოგრაფიის გამოუკლებლად, მაშინ ი.ი. კერესელიძე ძველი შეხედულების მქონეთა ბანაკში, ნოვატორების წინააღმდეგ მებრძოლებში მოექცა.

მაგრამ, უნდა შევნიშნოთ, რომ თავის „ცისკარში" იგი თავშესაფარს აძლევდა თავის თავზე და თავის მიმართულებაზე მკაცრ თავდასხმებს, ეს კი აუცილებლად ადასტურებს, რომ იგი თავმოყვარეობაზე მაღლა აყენებდა იმ საკითხების მართებულ გადაწყვეტას, რაც მაშინდელ საზოგადოებას აღელვებდა. ახალგაზრდობამ იგი მისსავე ჟურნალში დაამარცხა, შემდეგ შეუბრალებლად სდევნიდა მთელი 1863 წლის გამავლობაში ჟურნალ „საქართველოს მოამბეში", რომელსაც ეფემერული და ნაყოფიერი არსებობა ჰქონდა...

ბოლოს „დროების" პირველმა წლებმა საბოლოოდ დაასამარეს „ცისკარი"....

მიუხედავად ამისა, ვიდრე დაეცემოდა, ი.ი. კერესელიძემ გმირულად სცადა თავისი ჟურნალისათვის შთაებერა „მაცოცხლებელი ნაკადი". მან მისი ფურცლები უფ. ანტონ ფურცელაძეს გაუღო, რომელსაც ღონე არ დაუხარჯია ახლის, ქართული ლიტერატურის გამარჯვებული მიმართულების საწინააღმდეგოდ ბრძოლაში. მაგრამ ამ მწერლის სუსტმა ლიტერატურულმა მომზადებამ, რაიმე ლიტერატურული მიმართულება კი არ წარმოშვა, უფრო მეტი, ნიჭის უქონლობასთან ერთად, მხოლოდ დააჩქარა ჟურნალ „ცისკრის" დაცემა, თავ. ილია ჭავჭავაძემ ოსტატურად და ნიჭიერად გამოიყენა ყველაფერი, რაც კი ბუნების საწინააღმდეგო იყო და ძველ შეხედულებებისა და პისარევებთან კავშირის გამო, სასაცილოდ აიგდო და გაამასხარა „ცისკარი".

ი.ი. კერესელიძე ყოველგვარ გავლენას მოკლებული, უთანამშრომლოდ, უმკითხველოდ, მარტო დარჩენილი მაინც სულით არ დაცემულა. ვაუკაცურად, ყოველნაირი მიმართულებისათვის ღირსეულად განაგრძობდა თავისი ჟურნალის ბეჭდვას, წიგნაკს წიგნაკზე; წლიდან-წლამდე.

ჰყიდდა ყველაფერს, რაც კი ებადა და ყველაფერს ახარჯავდა „ცისკარს", რასაც კი შოულობდა, ამავე დროს იყო თითქმის ერთადერთი თანამშრომელი, ასოთამწყობი, კორექტორი, მბეჭდავი, დამტარებელი და მკითხველიც კი თავისი ჟურნალისა.

მარტო ეს გაუტეხავი ენერგია, მარტო ეს სიმტკიცეა ღირსი პატივისცემისა და მოწონებისა იმ წრეში; სადაც უმრავლესობა დასუნავს თუ არა საქმეს, გაურბის მას როგორც ჭირს, თუკი ეს საქმე მას უცბად ვარდებითა და დაფნით არ შემოსავს.

ოლიმპიელნი, რომელთა მოძველებული ცალმხრივი და თვით ეგოისტური იდეების გავლენის ქვეშაც იმყოფებოდა ი.ი. კერესელიძე, მას იმით ეხმარებოდნენ, რომ ისეთ ლექსებს აძლევდნენ, რომელნიც აღაშფოთებდნენ ყველას, რაც კი ცოცხალი, უანგარო, სამართლიანი, ამაღლებული იყო ქართულ საზოგადოებაში. მას კი სხვანაირი, უფრო არსებითი დახმარება ჭირდებოდა, რაც ვერავისაგან ვერ მიიღო. ოლიმპიელების დაცვისათვის ბრძოლაში მან აიღო თავის თავზე, თავის სახსენებელზე, თავის ჟურნალზე მთელი არაპოპულარობა, რაც ღირსეულ ტვირთად აწვა მათ მიმართულებას...

ბიბლიოგრაფიული შენიშვნები, კომენტარები, პირთა საძიებელი

ბიბლიოგრაფიული შენიშვნები

1. საუქმო საკითხავი,—На праздники,—დაიბეჭდა გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეში", 29 ივნისი, 1887 წელი (№1216)

2. საუქმო საკითხავი,—На праздники,—ხელმოუწერლად დაიბეჭდა გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეში",4 ივლისი, 1887 წელი (№1220)

3. საუქმო საკითხავი,—На праздники,—დაიბეჭდა გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეში", 11 ივლისი, 1887 წელი (№1226)

4. საუქმო საკითხავი,—На праздники,—დაიბეჭდა გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეში", 24 ივლისი, 1887 წელი (№1240)

5. ოცნების სამყაროში,—В мире грёз,—დაიბეჭდა გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეში", 30 ივლისი, 1887 წელი (№1328)

6. საუქმო საკითხავი,—На праздники.—დაიბეჭდა გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეში", 1 აგვისტო, 1887 წელი (№1251)

7. საუქმო საკითხავი,—На праздники,—დაიბეჭდა გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეში", 7 აგვისტო, 1887 წელი (№1254)

8. ჩვენი სათავადაზნაურო სკოლები,—Наши дворянские школы—ხელმოუწერლად დაიბეჭდა გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეში", 20 სექტემბერი, 1887 წელი (№1282)

9. ტყიბულის საქმე (ნაწყვეტი გამოუქვეყნებელი რომანიდან)—Ткибульское дело (отрывок неизданного романа)—დაიბეჭდა გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეში", 27 სექტემბერი 1887 წელი (№1288).

10. საუქმო საკითხავი,—На праздники,—დაიბეჭდა გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეში", 5 სექტემბერი, 1887 წელი (№1284)

11. საუქმო საკითხავი,—На праздники,—ხელმოუწერლად დაიბეჭდა გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეში", 13 სექტემბერი, 1887 წელი, (№1290

12. გაუგებრობა (თანადროული მოთხრობებიდან)—Недоразумение (из рассказов кстати)—დაიბეჭდა გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეში", 18 სექტემბერი, 1887 წელი, (№1298)

13. საუქმო საკითხავი,—На праздники,—დაიბეჭდა გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეში", 25 სექტემბერი, 1887 წელი (№1300)

14. საუქმო საკითხავი,—На праздники,—დაიბეჭდა გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეში", 3 ოქტომბერი, 1887 წელი (1307)

15. კრიტიკა ქართული ლიტერატურიდან,—Критика из Грузинской литературы,—დაიბეჭდა გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეში", 1887 წელი (№1312)

16. საკვირაო საუბრები,—Воскресные беседы,—დაიბეჭდა გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეში", 15 ოქტომბერი, 1887 წელი, (№1319)

17. საუქმო საკითხავი,—На праздники,—ხელმოუწერლად დაიბეჭდა გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეში", 17 ოქტომბერი, 1887 წელი (№1321)

18. ნავთობსადენის ეპოპეიდან—К нефтепроводной эпопее დაიბეჭდა გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეში", 1887 წელი (№1331)

19. საუქმო საკითხავი,—На праздники,—დაიბეჭდა გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეში", 31 ოქტომბერი, 1887 წელი, (№1335)

20. საუქმო საკითხავი,—На праздники,—ხელმოუწერლად დაიბეჭდა გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეში", 7 ნოემბერი, 1887 წელი (№1342)
21. თანამედროვენი (ჟიულ ფერი)—Современники (Жюль Ферри)—ხელმოუწერლად დაიბეჭდა გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეში", 11 დეკემბერი, 1887 წელი (№1376)
22. საუქმო საკითხავი,—На праздники,—დაიბეჭდა გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეში", 1887 წელი (№1377)
23. საუქმო საკითხავი,—На праздники,—დაიბეჭდა გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეში", 19 დეკემბერი, 1887 წელი (№1384)
24. საუქმო საკითხავი,—ქართული თქმულებიდან (მოთხრობა) На праздники. Из Грузинскои предании (святочныи рассказ)—დაიბეჭდა გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეში", 1887 წელი (№1389)
25. საუქმო საკითხავი,—ქართული თქმულებიდან (მოთხრობა) (გაგრძელება) „ნოვოე ობოზრენიე", 1887 წელი (№1390)
26. საერობო მეურნეობა—Земское хозяйство,—ხელმოუწერლად დაიბეჭდა გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეში", 31 დეკემბერი, 1887 წელი (№1393)
27. საუქმო საკითხავი,—На праздники,—დაიბეჭდა გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეში", 8 იანვარი, 1888 წელი (№1394)
28. მხოლოდ ნიჭისთვის?,—За таланты-лы?—დაიბეჭდა გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეში", 16 იანვარი, 1888 წელი (№1397)
29. მოვმნიფდით კი?—Созрели-ли?,—დაიბეჭდა გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეში", 18 იანვარი, 1888 წელი (№1398)
30. საუქმო საკითხავი,—На праздники,—დაიბეჭდა გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეში", 9 იანვარი, 1888 წელი (№1400)
31. საუქმო საკითხავი,—На праздники,—დაიბეჭდა გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეში", 17 იანვარი, 1888 წელი (№1407)
32. საუქმო საკითხავი,—На праздники,—ხელმოუწერლად დაიბეჭდა გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეში", 19 იანვარი, 1887 წელი, (№1410)
33. ლიტერატურული დაუდევრობა,—Литературная оплошность,—დაიბეჭდა გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეში", 24 იანვარი, 1888 წელი (№1414)
34. პოლიტიკური მიმოხილვა,—Обзор политики,—ხელმოუწერლად დაიბეჭდა გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეში", 26 იანვარი, 1888 წელი (№1416)
35. საუქმო საკითხავი,—На праздники,—დაიბეჭდა გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეში", 7 თებერვალი, 1888 წელი (№1427)
36. საუქმო საკითხავი,—На праздники,—დაიბეჭდა გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეში", 12. თებერვალი, 1888 წელი (№1434)
37. ცხოვრების პატივისცემის შესახებ,—Об уважении к жизни,—დაიბეჭდა გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეში", 17 თებერვალი, 1888 წელი (№1437)
38. პოლიტიკური მიმოხილვა—Обзор политики,—ხელმოუწერლად დაიბეჭდა გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეში", 18 თებერვალი, 1888 წელი (1439)
39. დაე, ქუხდეს გამარჯვების ძახილი!—Гром побѣды раздавался—დაიბეჭდა გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეში", 21 თებერვალი, 1888 წელი (1441)
40. საუქმო საკითხავი,—На праздники,—დაიბეჭდა გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეში", 21 თებერვალი, 1888 წელი (№1441)
41. საუქმო საკითხავი,—На праздники,—დაიბეჭდა გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეში", 3 მარტი, 1888 წელი (№1455)
42. საუქმო საკითხავი,—На праздники,—დაიბეჭდა გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეში", 12 მარტი, 1888 წელი (1460)
43. ადგილობრივი ლიტერატორები,—Местные литераторы,—ხელმოუწერლად დაიბეჭდა გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეში", 19 მარტი, 1888 წელი (№1460)
44. საუქმო საკითხავი,—На праздники,—დაიბეჭდა გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეში", 20 მარტი, 1888 წელი (№1467)

45. საუქმო საკითხავი,—На праздники,—დაიბეჭდა გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეში", 25 მარტი, 1888 წელი (№1472)

46. საუქმო საკითხავი,—На праздники,—დაიბეჭდა გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეში", 2 აპრილი, 1888 წელი (№1480)

47. საუქმო საკითხავი,—На праздники,—დაიბეჭდა გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეში", 17 აპრილი, 1888 წელი (№1494)

48. საუქმო საკითხავი,—На праздники,—დაიბეჭდა გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეში", 24 აპრილი, 1888 წელი (1500)

49. „დანილიადას" ახალი სტროფები,—Новые строфы "Данилиады",—დაიბეჭდა გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეში", 6 მაისი, 1888 წელი (1509)

50. საუქმო საკითხავი,—На праздники,—ხელმოუწერლად დაიბეჭდა გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეში", 8 მაისი, 1888 წელი (1511)

51. ფონის გარეშე,—Не спросясь броду,—დაიბეჭდა გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეში", 11 მაისი, 1888 წელი (1514)

52. საუქმო საკითხავი,—На праздники,—დაიბეჭდა გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეში", 15 მაისი, 1888 წელი (1518)

53. გაზეთი „კავკაზი" როგორ იცავს რუსეთს,—Как газета "Кавказ" стоит за Россию,—დაიბეჭდა გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეში", 17 მაისი, 1888 წელი (№1520)

54. საუქმო საკითხავი,—На праздники,—დაიბეჭდა გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეში", 26 მაისი, 1888 წელი (№1528)

55. საუქმო საკითხავი,—На праздники,—დაიბეჭდა გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეში", 28 მაისი, 1888 წელი (№1532)

56. საუქმო საკითხავი,—На праздники,—დაიბეჭდა გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეში", 9 ივნისი, 1888 წელი (№1542)

57. საუქმო საკითხავი,—უცნაური კარიერა (ახალგაზრდობის მოგონებები),—На праздники, причудливая карьера (из юношеских воспоминаний,—9 ივნისი, 1888 წელი (№1551)

58. საუქმო საკითხავი,—На праздники,—დაიბეჭდა გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეში", 28 ივნისი, 1888 წელი (№1558)

59. მართალია, კი?—Правда-ли?—დაიბეჭდა გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეში", 28 ივნისი, 1888 წელი (№1560)

60. საუქმო საკითხავი,—На праздники,—დაიბეჭდა გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეში", 10 ივლისი, 1888 წელი (№1571)

61. ილიმოვის თავის მართლება (ნავთობგაყვანილობის ეპოპეიდან)—Вилнания г. Илимова (из нефтепроводной эпопеи),— დაიბეჭდა გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეში", 12 ივლისი, 1888 წელი (№1573)

62. საუქმო საკითხავი,—На праздники,—დაიბეჭდა გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეში", 17 ივლისი, 1888 წელი (№1577)

63. პოლიტიკური მიმოხილვა,—Политические обзор,—დაიბეჭდა გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეში", 20 ივლისი, 1888 წელი (№1581)

64. დაუმსახურებელი საყვედური,—Незаслуженный упрек,—დაიბეჭდა გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეში", 8 აგვისტო, 1888 წელი (№1503)

65. საუქმო საკითხავი,—На праздники,—დაიბეჭდა გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეში", 5 აგვისტო, 1888 წელი (№1606)

66. საუქმო საკითხავი,—На праздники,—დაიბეჭდა გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეში", 14 აგვისტო, 1888 წელი (№1604)

67. საუქმო საკითხავი,—На праздники,—დაიბეჭდა გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეში", 20 აგვისტო, 1888 წელი (№1626)

68. აუცილებელი განცხადება,—Необходимое заявление,—ხელმოუწერლად დაიბეჭდა გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეში", 20 აგვისტო, 1888 წელი (№1610)

69. საუქმო საკითხავი,—На праздники,—დაიბეჭდა გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეში“, 27 აგვისტო, 1888 წელი (№1617)

70. საუქმო საკითხავი,—На праздники,—დაიბეჭდა გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეში“, 11 სექტემბერი, 1888 წელი (№1629)

71. საუქმო საკითხავი,—На праздники,—დაიბეჭდა გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეში“, 18 სექტემბერი, 1888 წელი (№1636)

72. მონამეთა,—Мощамста,—ხელმოუწერელად დაიბეჭდა გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეში“, 1888 წელი (№1655)

73. ამიერკავკასიის რკინიგზის ბედი,—Судьба закавказской железной дороги,—ხელმოუწერელად დაიბეჭდა გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეში“, 22 ოქტომბერი, 1888 წელი (№1669)

74. საუქმო საკითხავი,—На праздники,—დაიბეჭდა გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეში“, 23 ოქტომბერი, 1888 წელი (№1670)

75. საუქმო საკითხავი,—На праздники,—დაიბეჭდა გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეში“, 3 ნოემბერი, 1888 წელი (№1681)

76. საუქმო საკითხავი,—На праздники,—დაიბეჭდა გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეში“, 6 ნოემბერი, 1888 წელი (№1684)

77. საუქმო საკითხავი,—На праздники,—დაიბეჭდა გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეში“, 17 ნოემბერი, 1888 წელი (№1695)

78. საუქმო საკითხავი,—На праздники,—დაიბეჭდა გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეში“, 20 ნოემბერი, 1888 წელი (№1698)

79. აუცილებელი შენიშვნა (რედაქციაში გამოგზავნილი წერილის გამო),—Необходимая огоровка (из письма в редакцию),—დაიბეჭდა გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეში“, 25 ნოემბერი, 1888 წელი (№1703)

80. საუქმო საკითხავი,—На праздники,—დაიბეჭდა გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეში“, 18 დეკემბერი, 1888 წელი (№1250)

81. საუქმო საკითხავი,—На праздники,—დაიბეჭდა გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეში“, 30 დეკემბერი, 1888 წელი (№1736)

82. საუქმო საკითხავი, გრაფ ლორის-მელქოვზე მოგონებებიდან—На праздники (из воспоминаний о гр. М. Т. Лорис-Меликове)— დაიბეჭდა გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეში“, 1889 წელი (№1741)

83. საუქმო საკითხავი (გაგრძელება) „ნოვოე ობოზრენიე“, (№1745)

84. გაგრძელება, „ნოვოე ობოზრენიე“ (№1748)

85. გაგრძელება, „ნოვოე ობოზრენიე“ (№1750)

86. გაგრძელება, „ნოვოე ობოზრენიე“ (№1755)

87. საუქმო საკითხავი,—На праздники,—დაიბეჭდა გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეში“, 1888 წელი (№1775)

88. საუქმო საკითხავი,—На праздники,—დაიბეჭდა გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეში“, 24 თებერვალი, 1889 წელი (№1787)

89. საუქმო საკითხავი,—На праздники,—დაიბეჭდა გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეში“, 8 მარტი, 1889 წელი (№1799)

90. საუქმო საკითხავი,—На праздники. დაიბეჭდა გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეში“, 10 მარტი, 1889 წელი (№1801)

91. ამიერკავკასიის რკინიგზის გამოსყიდვა,—Выкуп закавказской железной дороги, 28 მარტი, 1889 წელი (№1817)

92. საუქმო საკითხავი,—На праздники,—დაიბეჭდა გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეში“, 31 მარტი, 1889 წელი (№1831)

94. საუქმო საკითხავი,—На праздники.—დაიბეჭდა გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეში", 21 აპრილი, 1889 წელი (№1831)
95. საუქმო საკითხავი,—На праздники.—დაიბეჭდა გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეში", 29 აპრილი, 1889 წელი (№1845)
96. მიხეილ ევგრაფის ძე სალტიკოვ-შჩედრინი,—Михаил Евграфович Салтыков-Щедрин—დაიბეჭდა გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეში ", 29 აპრილი, 1889 წელი (№1845)
97. საუქმო საკითხავი,—На праздники.—დაიბეჭდა გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეში", 20 მაისი, 1889 წელი (№1865)
98. საუქმო საკითხავი,—На праздники.—დაიბეჭდა გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეში", 2 ივნისი, 1889 წელი (№1878)
99. საუქმო საკითხავი,—На праздники.—დაიბეჭდა გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეში", 9 ივნისი (№1885)
100. საუქმო საკითხავი,—На праздники.—დაიბეჭდა გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეში", 16 ივნისი, 1889 წელი (№1892)
101. საუქმო საკითხავი,—На праздники.—დაიბეჭდა გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეში", 23 ივნისი, 1889 წელი (№1899)
102. საუქმო საკითხავი,—На праздники.—დაიბეჭდა გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეში", 28 ივნისი, 1889 წელი (№1932)
103. საუქმო საკითხავი,—На праздники.—დაიბეჭდა გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეში", 25 აგვისტო, 1889 წელი (№1969)
104. საუქმო საკითხავი,—На праздники.—დაიბეჭდა გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეში", 9 სექტემბერი, 1889 წელი (№1971)
105. საუქმო საკითხავი,—На праздники.—დაიბეჭდა გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეში", 30 სექტემბერი, 1889 წელი (№1992)
106 საუქმო საკითხავი,—На праздники.—დაიბეჭდა გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეში", 6 ოქტომბერი, 1889 წელი (№1998)
107. საუქმო საკითხავი,—На праздники.—დაიბეჭდა გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეში", 22 ოქტომბერი, 1889 წელი (№2005)
108. ბიზანტიური ცილობანი,—Византийские споры.—ხელმოუწერლად დაიბეჭდა გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეში", 1 ნოემბერი, 1889 წელი (№2022)
109. საუქმო საკითხავი,—На праздники.—დაიბეჭდა გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეში", 11 ნოემბერი, 1889 წელი (№2032)
110. საუქმო საკითხავი,—На праздники.—დაიბეჭდა გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეში", 25 ნოემბერი, 1889 წელი (№2047)
111. საუქმო საკითხავი,—На праздники.—დაიბეჭდა გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეში", 26 ნოემბერი-, 1889 წელი (№2048)
112. საუქმო საკითხავი,—На праздники.—დაიბეჭდა გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეში", 9 დეკემბერი, 1889 წელი (2059)

კომენტარები

1. რუსულად ნ. ნიკოლაძე ამ ფრაზას იყენებს, როგორც "На праздники", მაგრამ იმ შინაარსის გათვალისწინებით, რასაც იგი მასში აქსოვს, ყველაზე სასურველ ფორმად „საუქმო საკითხავი" მიიჩნიეთ.

2. ტრეტიაკოვსკის ლექსის ეს სტროფი რუსულად ასე იკითხება:

"Ходит птичка весело
По тропинке бедствий,
Не предвидя от сего
Никаких последствий."

3. ი.ს. აქსაკოვის ეს სტროფი რუსულად ასე იკითხება,

Приятно к пышному обеду
Прибавить мудрую беседу
В богато убранном палате
Потолковать о бедном брате
Подговориться о добре..."

4. საუბარია გაზეთ „ნოვოე იბოზრენიეში" ა.ვ. სტეპანოვის გარდაცვალებასთან დაკავშირებით დაბეჭდილ სტატიებზე. №1223-ში გამოქვეყნდა „ნეკროლოგი ა.ვ. სტეპანოვისა", ხოლო 1225-ე ნომერში ო.ა. ბიკოვის სტატია „ა.ვ. სტეპანოვი".

5. „ჩვენი მდიდრები ან პლიუშკინებივით ასხედან თავიანთ სიმდიდრეს..." საუბარია გოგოლის „მკვდარი სულების პერსონაჟზე—საოცრად ძუნწ მებატონეზე.

6. ნ.მ. კარამზინის ლექსის ეს ნაწყვეტი რუსულად ასე იკითხება:

"Ахъ, не все намъ слезы горькия
Лить о бедствиях существенныхъ,
На минуту позабудемся
Въ очарванный красныхъ вымыслов!

7. „ამერიკული იანკები"—იანკი ამერიკელთა მეტსახელია, შეარქვეს ევროპელებმა, კერძოდ ჰოლანდიელებმა, ნარმოდგება ჰოლანდიური სიტყვისაგან Yan —ასე ეძახდნენ ინგლისელ კოლონისტებს ნიუ-ორკში ჩასახლებული ჰოლანდიელები, იხმარება, როგორც დამამცირებელი სახელწოდება.

8. „გრაჟდანინ" ("гражданин")—ლიტერატურულ-პოლიტიკური გაზეთი—ჟურნალი, რუს მემამულეთა უკიდურესი რეაქციული ნრეების ორგანო. გამოდიოდა პეტერბურგში 1872-1878 ნლებში. 1873 ნელს მას რედაქტორობდა თ.მ. დოსტოევსკი.

9. „ლიბერტე"—ფრანგული გაზეთი.

10. La France—ფრანგული გაზეთი.

11. „აქ კი მას სრულიად არავინ იცნობდა, გარდა ბატონი ახელედიანისა". ახელედიანი მოგონილი გვარი უნდა იყოს, ერთგან მას „მეყველე ახელედიანადაც" მოიხსენებს ავტორი.

12. ადმირალი ხუხულია და პარომ სანდრიგალიაც გამოგონილი პერსონაჟებია.

13. „შმაკ"—(„მშრომელი")—სომხური ლიტერატურულ-პოლიტიკური გაზეთი, გამოდიოდა თბილისში 1872-1920 ნლებში. დამაარსებელი და პირველი რედაქტორი 1872-1892 ნ.ნ. იყო გრ. არნრუნი.

14. „ივერია"—ლიტერატურული და პოლიტიკური ორგანო, გამოდიოდა 1877-1906 ნლებში; 1899-1878 ნ.ნ.—კვირაში ერთხელ, როგორც გაზეთი, 1879 ნელს—როგორც ყოველთვიური ჟურნალი, 1880 ნელს—როგორც კვარტალური ჟურნალი, 1881-1885 ნნ.—ყოველთვიური ჟურნალი, 1886-1906 ნ.ნ.—როგორც ყოველდღიური გაზეთი.

„ივერიის" დამაარსებელი და რედაქტორი 1902 ნლამდე იყო ილია ჭავჭავაძე, რომელთან ერთად 1881 ნელს ჟურნალს რედაქტორობდა ს. მესხი, ხოლო 1882-1884 ნ.ნ.—ივ. მაჩაბელი. 1902 ნლიდან (№153)—1905 ნლამდე (№24) გაზეთს რედაქტო-

რობდა ალ. სარაჯიშვილი, 1905-1906 წლებში—ფ. გოგიჩაიშვილი. დროებითი რედაქტორები იყვნენ: გრ. ყიფშიძე (№168-208, 1891 წ. №144, 1903 წ.—№23, 1905 წ.) ვ. ა. სულხანიშვილი (№136-248, 1900 წ), ალ. სარაჯიშვილი (264, 1901წ.—152, 1902წ.).

15. „ნოვოე ვრემია" "Новое время"—ყოველდღიური რეაქციული გაზეთი, გამოდიოდა 1868-1917 წლებში; თავდაპირველად წარმოადგენდა ზომიერ ლიბერალურ გამოცემას, ხოლო 1876 წლიდან, როცა იგი ა. სუვოროვის ხელში გადავიდა, გახდა რეაქციული ორგანო, დიდმპყრობელური შოვინიზმისა და ანტისემიტიზმის მქადაგებელი. დაიხურა 1917 წლის 26 ოქტომბერს.

16. „პეტერბურგსკიი ლისტოკ"—პეტერბურგში გამომავალი გაზეთი.

17. „პეტერბურგსკაია გაზეტა" ("Петербургская газета")—ყოველდღიური გაზეთი, გამოსვლა დაიწყო 1867 წელს (დამაარსებელი ი.ა. არსენიევი); მეტი პოპულარობა შეიძინა 1871 წლიდან, როცა იგი შეისყიდა ს.ნ. სუდეკოვმა და ჩამოაყალიბა პოლიტიკური განყოფილება. 1879 წლიდან 1893 წლამდე გაზეთს რედაქტორობდა ი.ა. ბატალინი, პ. ა. მონტეევრდე, ა. კ. გერმონიუსი.

18. „ფორნო ჟურნალი", 80-იანი წლების რუსეთის პერიოდული ორგანო.

19. „ბაკინსკიე იზვესტია"— ბაქოში გამომავალი გაზეთი.

20. „ქუთაისის საგუბერნიო ცნობარი"—XIX საუკუნის 80-90-იან წლებში გამოდიოდა ქუთაისში. მასში წარმოდგენილი იყო გუბერნიის ცხოვრების ამსახველი მასალები.

21. „კასპია"—ბაქოში გამომავალი გაზეთი.

22. ლაპარაკია „კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის აქტების" ცხრატომეულზე

23. „ნოვოსტი" ("Новости")—ყოველდღიური გაზეთი, გამოდიოდა პეტერბურგში 1872 წლიდან, დამაარსებელი—ი. შრეიერომი. სხვადასხვა დროს რედაქტორობდნენ პ.ვ. ნოვიცკი, ა.ს. აფანასევ-ჩუჟბინსკი, ო.კ. ნოტოვიჩევი და სხვ. 1892 წლიდან გაზეთი გამოდიოდა ილუსტრირებული დამატებით „პეტერბურგული ცხოვრება". საშინაო საქმეებში გაზეთი ალექსანდრე II რეფორმის მომხრე იყო, ეკონომიკაში იცავდა მსხვილი მწარმოებლების ინტერესებს, ნაციონალურ საკითხებში მცირე ერთა მხარეზე იდგა.

24. კანტონისტი, წარმოდგება ფრანგული სიტყვისაგან Canton. ასე ჰქვია შვეიცარიის ფედერალურ ერთეულს, თითოეულ კანტონს აქვს საკუთარი კონსტიტუცია, საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლება. ნ. ნიკოლაძე ამ სიტყვას დანაწევრების, დაქუცმაცების, დაშორიშორების შინაარსით იყენებს.

25. ჰოტენტოტები—მათი ნამდვილი სახელწოდებაა კოიკოინ ანუ ნამდვილი ხალხი, ცხოვრობენ აფრიკის რამდენიმე სახელმწიფოში და ლაპარაკობენ ჰოტენტოტურ ენაზე. ნ. ნიკოლაძე ამ გამოთქმას იყენებს, როგორც ჩამორჩენილ, ყოველმხრივ განუვითარებელ ხალხზე, სადაც მარადიული რუტინაა დასადგურებული.

26. „ვოსტოჩნოგო ობოზრენია", პუბლიცისტ ნ.მ. იადრინცევის გამოცემა, რომელიც ძირითადად ციმბირის პრობლემებს აშუქებდა.

27. მინერვა,—ხელოსანთა, მუსიკოსთა, მკურნალთა, პოეტთა, საერთოდ ხელოვანთა მფარველი ქალღმერთი რომაულ მითოლოგიაში.

28. „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება". დაარსეს ქართველმა მოღვაწეებმა 1879 წელს. მოქმედებდა 1907 წლის მარტამდე. პირველი თავმჯდომარე იყო დავით ყიფიანი—1879-1881წ. 1882-1885წ., ი. მუხრანსკი, 1885 წლიდან საზოგადოებას ხელმძღვანელობდა ილია ჭავჭავაძე.

29. ლაპარაკია ბათუმის პორტო-ფრანკოზე, რომელიც 1885 წელს გააუქმეს.

30. საუბარია ვოლტერის პერსონაჟზე-კანდიდზე, რომლის მსოფლმხედველობის მიხედვითაც აკეთებს ნ. ნიკოლაძე დასკვნებს.

31. კვლავ ვოლტერის პერსონაჟზეა საუბარი.

32. „მე არ თანავუგრძნობდი ამ ომს"-საუბარია რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომზე.

33. ვოლტერიანელი-ვოლტერის იდეების მიმდევარი და ცხოვრებაში გამტარებელი.

34. „დანაიდების უსისტემო შრომასავით“— ბერძნული მითოლოგიის გმირმა დანაოსმა თავის ქალიშვილებს უბრძანა, რომ საქმროები (მისი უფროსი ძმის ეგვიპტოსის ვაჟები) დაეხოცათ. მხოლოდ ერთმა (დანაოსს 50 ქალიშვილი პყავდა) პიპერმნესტრამ შეიბრალა თავისი საქმრო ლინკევსი. ამისათვის დანაიდებს (ე.ი. დანაოსის ქალიშვილებს) საიქიოში უძირო კასრების ავსება მიესაჯათ. აქედან იღებს სათავეს ფიგურალური გამოთქმა—დანაიდების კასრში წყლის ჩასხმა, ე.ი. უნაყოფო, უშედეგო შრომა.

35. იგულისხმება ბულანჟეს აზრებისა და შეხედულებათა გამზიარებლები.

36. „სოვრემენნიკ“ „Современник“—ლიტერატურული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი, გამოდიოდა პეტერბურგში 1836-1866 წლებში. მისი დამაარსებელი და პირველი რედაქტორი იყო ა.ს. პუშკინი; 1838-1846 წლებში მას რედაქტორობდა ვ.ა. პლეტნევი, 1847 წლიდან გადავიდა ნ.ა. ნეკრასოვისა და ი.ი. პანაევის ხელში. 1854 წელს მასში თანამშრომლობა დაიწყო ნ.გ. ჩერნიშევსკიმ, ხოლო 1856 წელს—ნ.ა. დობროლიუბოვმა, რომელმაც აქცია იგი რევოლუციური დემოკრატიის მებრძოლ ორგანოდ. „სოვრემენნიკი“ იბრძოდა მატერიალისტური ფილოსოფიისა და იდეალისტური თეორიებისა და „წმინდა ხელოვნების“ მომხრეთა წინააღმდეგ.

„სოვრემენნიკის“ რედაქციასა და მის თანამშრომლებთან ახლო ურთიერთობა ჰქონდათ პეტერბურგის უნივერსიტეტის ქართველ სტუდენტებს, მათ შორის ნ. ნიკოლაძეს, რომელიც კიდევაც თანამშრომლობდა ჟურნალში.

„კოლოკოლ“ (Колокол)—რუსული გაზეთი, გამოდიოდა 1857-1865 წლებში ლონდონში, 1865-1867 წლებში—ჟენევაში. გამომცემლები იყვნენ ა.ი. გერცენი და ნ.პ. ოგარიოვი, თავდაპირველად გამოდიოდა როგორც „პოლიარნაია ზვეზდას“ დამატება. ეს იყო პირველი რუსული რევოლუციური გაზეთი. იგი მთლიანად რევოლუციურ-დემოკრატიულ პოზიციებზე იდგა. „კოლოკოლის“ ფურცლებზე იბეჭდებოდნენ პ.ვ. ანენკოვი, მ.ა. ბაკუნინი, ნ.ა. დობროლიუბოვი, ი.ს. ტურგენევი, მ. მიხაილოვი და სხვ. აგრეთვე ჯ. გარიბალდი, ვ. ჰიუგო, ჯ. მაძინი, პ. პრუდონი.

1864 წელს ა.ი. გერცენმა პარიზში საგანგებოდ ინახულა ნ. ნიკოლაძე და შესთავაზა „კოლოკოლში“ თანამშრომლობა. 1865 წლის 15 ივნისისა და 1 ივლისის ნომრებში გამოქვეყნდა ნ. ნიკოლაძის სტატია—„გლეხთა განთავისუფლება საქართველოში“. ამას მოჰყვა „ჩვენი მომავალი ვექილები“, „მოსკოვსკიე ვედომოსტის“, „სამსჯავროს წინაშე“, „ივლისის დღეები თბილისში“, „თბილისიდან“ და „საქართველოდან“. მალე ნ. ნიკოლაძეს და ა. გერცენს შორის თავი იჩინა სერიოზულმა აზრთა სხვადასხვაობამ, რომლის საბაბი გახდა ა. გერცენის სტატია—„წერილი იმპერატორ ალექსანდრე II-ს“ რომელიც გამოქვეყნდა „კოლოკოლში“ 1865 წლის 25 მაისს. 1865 წლის სექტემბრიდან ნ. ნიკოლაძემ შეწყვიტა „კოლოკოლში“ თანამშრომლობა.

37. ალაზნის გაღმელი პროსტრატეს ვინაობა გაურკვეველია.

38. საუბარია „ფაუსტის“ გოეთემდელ ვერსიებზე.

39. ხლესტაკოვი—გოგოლის რევიზორის მთავარი პერსონაჟი.

40. „ყარამანიანი“—ქართული სარაინდო რომანი.

41. სლავიანოფილები, მიმდინარეობა რუსეთში, რომლებიც რუსეთის განვითარების განსაკუთრებულ გზას აღიარებდნენ.

პირთა საძიებელი

ა

აბიხომი 58
აბრამოვი 44, 46, 47, 48
ადამოვები 294
ავგუსტინე 604
ალექსანდრე I 192, 611
ალექსანდრე II 576
ამატუნი 103, 104, 105, 106, 186
ანდრეევი 305
ანდრევსკი 606
ანენკოვი 406
ანთეოსი 257
აპერტი 65
არისტიდი 271
არისტოტელე 209
არნრუნი 84, 288
აქსაკოვი ი.ს. 12
ახვლედიანი 79
ახმედ-ბენ-ედ-დახაკელ ფელეკი 29
ახმეტოვი 622

ბ

ბაბეტი 625
ბაგრატიონი ვახუშტი 392, 394
ბაგრატიონი ანტონი (კათალიკოსი) 99
ბადუაგოვები 294
ბაზაროვი 622
ბაზენი 182
ბაირონი 544
ბანდელი 594
ბარათაშვილი ნიკოლოზ 242, 527
ბარანოვი 384, 405, 406
ბარი 392
ბარიატინსკი 98, 483
ბაქრაძე 269, 273, 275, 394
ბაშკიროვი 515
ბებუთოვი 454, 455
ბეგიჩევი 506
ბეზკროვნი 119, 120
ბეკერი სარა 575
ბეკონი 94
ბელინსკი 420, 506, 618, 622
ბენზე 264
ბერტენი 625
ბერტლო 604
ბიკოვი 18, 310, 422
ბისმარკი 25, 191, 198, 252, 292, 340
ბლეიხრედერები 315
ბოკაჩიო 594
ბოკლე 592
ბოკლი 231
ბონტუ 317, 318
ბოროვიკოვსკი 546
ბროსე 241
ბუდენშტედტი 241
ბულანჟე 554, 557
ბულგარინი 515
ბუნგე 272, 317, 319, 320, 397, 495, 497, 498, 499
ბურმეისტერი 129
ბუტალუ 386

გ

გაევსკი 545, 549, 550
გალიერი 65
გეიმანი 443, 447, 449, 450, 453, 461
გერცენი 566, 569, 621
გიზო 139, 140
გლადსტონი 107, 108, 109, 412, 472
გლუხოვი 384
გოგებაშვილი იაკობ 228, 229, 230, 231, 232
გოგოლი 80, 506, 510, 530, 540
გოეთე 211, 544, 593, 594
გოლოვაჩოვი პანაევი 563, 564, 565, 568, 579
გონჩაროვი 507, 509, 510, 511
გორძიევსკი 343
გრადოვსკი 448, 449, 452, 460
გრიბოედოვი 614
გუბონინები 498
გუკასოვი 450
გურამოვი 272

დ

დავით და კონსტანტინე მხეიძეები 392, 393, 395
დანილოვი 252, 268, 270, 271, 272, 273
დანტე 456
დარვინი 613
დეველი 443, 444
დენერი 58, 59
დეპრესი 32
დერვიშ-ფაშა 459
დერჟავინი 103
დვორე 404
დიომინები 384
დიუკა 415, 416
დიუკასი 417
დიუკრი 182
დიულიქსი მარსელო 62, 63, 64, 66
დიურანი 22
დობროლიუბოვი 509, 563, 566, 569, 567, 617, 621
დონდუკოვ-კორსაკოვი 328
დოსტოევსკი 110, 564, 566, 433, 434
დუნაშევსკი 546

ე

ეზოპე 98
ეიფელი 570
ეკატერინე II, 192
ენგელპარდტი 192
ერისთავი გიორგი 98, 624
ერიცო 104
ერმოლოვი 480, 483
ეფრუსი 282, 315, 322, 334

ვ

ვართაზაროვი 51
ვარი 120
ვახტანგ VI 99
ვახტანგ გორგასალი 394
ვეიდენბაუმი 389
ვიდმანი 593
ვიშნეგრადსკი 120
ვორონცოვი 80, 98, 207, 208, 278, 480 483

ზ

ზაგოსკინი 506
ზიმინები 384
ზინგერი 45
ზუბალოვი 473, 576

თ

თაიროვი 427, 428, 430, 431
თამამშევი 24, 26, 84, 86, 104, 110, 112, 113, 114, 115, 116, 117
თამარ მეფე 598
თარხანოვი 447, 459

ი

იადრინცევი 187, 188, 189, 191
ივანოვი თევდორე 295, 296, 298
იზმაილოვი 454, 456
ილიმოვი 41, 52, 119, 123, 124, 125, 219, 315, 317, 318, 319, 320, 321, 322, 324, 325, 326, 327, 328, 335, 338, 344, 474, 475, 477, 478, 511, 516
იოანესიანი აბგარ 242
იოსელიანი 350
ისმაილ-ფაშა 459, 460
იუხანცევი 187

კ

კაილი 93
კალანდარიშვილი გერასიმე 232
კალნოკი 151
კანტი 307
კარამზინი 29
კარელი არმან 625
კარლოვი 316
კატკოვი 308, 380, 461, 467
კეზელი 248, 249, 251, 268, 270, 274
კელესიევი 363
კერამოვი 368
კესიევი 602
კირხჰოფი 264
კისელიოვი 225
კიუვი 613
კლეზინგერი 60
კობიაკოვი 457
კოკირილე 315
კოლცოვი 503
კომაროვი 452
კორსტნიკოვი 384
კოცებუ 98
კრაევსკი 625
კრემერი 57
კრისპსი 103

კრუპზე 93
კუზმინი 103, 104, 106
კუკუეველები 479, 480, 481, 482, 483
კუსრელ-სევილია 380
კუტული 452

ლ

ლაზარევი 41, 475, 477, 515
ლამანსკი 380
ლანგლუა 241
ლაფრონი 58
ლევაშოვი 392
ლეონ III ისავარიელი 393, 394
ლერმონტოვი 75, 97
ლესეპსი 178, 182
ლიბავო-რომენსკი 498
ლომონოსოვი 99
ლორის-მელიქოვი 443, 445, 446, 447, 450, 451, 453, 455, 457, 461, 462, 463, 464, 465, 466, 468, 470, 471
ლუიჯი 594

მ

მაიკოვი ა. 286, 528, 530
მაკ-მაგოე 317
მალჩანოვი 212
მამაცეევი 103
მანი მანუელ 418, 419, 421, 422, 423, 424, 427, 428, 430, 431
მანკვიცი 464
მარგო 228
მარკოვი 217, 218, 219
მარლინსკი 506
მარლო 594
მარლო ელისაბედ 593
მარტელი 64
მასლოვი 378
მედვედოვსკი 350
მელიქოვი 141
მენდელეევი 126, 315, 316
მეშერსკი 344
მივრიე 241
მილიუტინი 446
მირზოევი 238, 275
მირი 394
მირონოვიჩი 575
მირსკი 460
მიშჩერსკი 269, 335
მიხაილოვი 532
მიხნევიჩი 175, 176, 178, 180, 181, 202, 203, 204, 222, 223
მოავია I 394
მოლოტოვი 622
მოლტკე 93, 456
მონე ანრი 64
მორგანი 478
მორნი 182
მორუევსკი 266
მურავიოვი 98, 445
მურვან ყრუ 393, 395
მუსანაგიევები 294
მუჰამედ II 310
მუჰმადი 393
მუხტარ-ფაშა 342, 445, 446, 450, 455, 457, 459, 461
მღვდლიევი 269, 273, 275

ნ

ნაპოლეონ I 139, 509, 609
ნაპოლეონ III 182, 415
ნეკრასოვი 193, 507, 530, 540, 564
ნერუჩევი 336, 337, 338, 344, 345, 346
ნიზამი 598, 600, 610, 611, 612
ნიკოლაევი 497
ნიკოლაძე 103, 104, 222, 223, 293, 322, 344, 345, 346, 372, 378, 517, 518, 540, 541
ნიკოლოზ I 611
ნიუტონი 94
ნობელი 41, 42, 43, 45, 48, 49, 285, 323, 324, 325, 475
ნოვოსელსკი 61, 317, 318, 319
ნოსოვი 384

ო

ობერტენი 138
ობრუჩევი 457, 459, 460
ოგარიოვი 564, 566, 567
ონშინები 384
ორბელიანი გრიგოლ 242, 624, 625
ორიგენი 604
ორლოვსკი 31, 32, 97
ოსტროვსკი 31, 38, 600, 621, 622
ოფენბახი 41, 57

პ

პავლოვი 457
პალაშკოვსკი 45, 48, 51, 285, 317, 319, 320, 397, 472, 475, 498, 499
პანაევი 564
პასკალ დიუპრე 417
პასკევიჩი 98, 480, 483
პეკორონი 594
პეროზიო 514
პერსინი 182
პეტრე I 192, 341, 387, 568, 614
პინდარე 103
პისარევი 463, 600, 621, 622
პლუშევსკი 429
პოლეჟაევი 506
პოლიაკოვი 179, 498
პომიალოვსკი 503
პოპოვი 51
პოსიეტი 412, 414
პოტალიცინი 119
პოტიომკინი 341
პრევო 267
პრესკოტები 592
პრესნიაკოვი 109
პროცენკო 606
პროხოროვი 384
პრუდონი 64, 182, 212
პუტილოვი 131
პუშკინი 76, 528, 529, 540, 611, 621, 622

ჟ

ჟარინცევი 129
ჟირარდენი 59, 61, 62, 64
ჟუკოვსკი 331, 332

რ

რაგოზინი 123, 124, 126, 323, 324, 325, 474, 513
რაზენეკები 384
რაშელი 504
რეიტერი 386
რიდძიევსკი 449
რიკოვი 185, 187, 199, 234, 502
როზენი 80
როსელი 62
როტშილდი 282, 283, 285, 292, 293, 294, 315, 322, 324, 325, 326, 328, 327, 334, 335
როშფორი 545
რუვიე 552
რუსთაველი 590, 593, 595, 598, 599, 600, 605, 606, 608, 610, 612, 622

ს

სადი კარნო 138
სავარი 317, 318
სალისბიუერი 151, 198, 292
სალტიკოვ-შჩედრინი 516, 525, 526, 532
სანდი ჟორჟ 60
სანტ-არნო 182
სენ-ჟიუსტი 415, 416
სერვანტესი 540
სვიატოპოლკ-მირსკი 459
სიკორსკი 266
სკალკოვსკი 462, 463, 464, 466
სკობელევი 378
სმირნოვი 514
სოკოლოვი 48, 307, 308
სოკრატე 264, 392
სოლოვიოვი 384
სოლოვსკი 384
სოლომონ პირველი 254
სოსლანი 427
სტანიცკი 563
სტეპანოვი 16, 17, 18, 19, 576

ტ

ტაბენკოვი 294
ტაგიევები 294
ტაიგელი 546
ტალბე 264
ტალეირანი 539
ტენბოგორსკი 380
ტერ-გუკასოვი 450, 458
ტვედლი 119
ტიერი 63, 65, 139
ტიმე 119, 120, 316
ტიხომი 368
ტიხომიროვი 364, 366, 368
ტოლსტოი 69, 510, 530, 533, 564
ტურგენევი 90, 510, 564, 566, 567, 569

უ

უშინსკი 228

ფ

ფაზი 65, 416, 417
ფალკენჰაგენი 129
ფეიგელი 282
ფენელონი 547
ფერდინანდი 19, 20, 21
ფერი ჟიულ 138, 139, 140, 141, 552
ფირდოუსი 600, 610
ფლოკე 412, 413, 414, 415, 416, 417
ფონ-ვეკლე 51
ფონ-ფერვიზები 179, 498
ფრენკელი 310
ფრიტრედერი 380
ფური 212
ფურცელაძე ანტონ 626

ქ

ქერბალაევები 476
ქოქოძე გაბრიელ (ეპისკოპოსი) 392
ქიშმიშევი 451
ქოჩაკიძე 527

შ

შაბაევი 325
შავროვი 129, 293, 294, 348, 349, 350, 351, 352, 354, 355, 356, 357, 370, 372, 373, 374, 375, 376, 377, 378
შამილი 98
შარაგორსტი 353
შარკო 250
შარმერი 509
შელგუნოვი 516, 517, 518, 519
შერემეტიევი 112
შექსპირი 94, 136, 540, 544, 594, 599, 613
შიბაევი 294, 478
შნეიდერი 606
შოპენჰაუერი 433
შტეინი 353
შტიგლიცი 179
შუვალოვი 231
შჩასტლივცევი 50, 52
შჩერბაკოვები 384, 457

ჩ

ჩემბერლენი 107, 108
ჩერნიავსკი 459
ჩიკვაიძე 545, 546, 550
ჩოლოყაევი 97
ჩუჩკოვი 384

წ

წერეთელი გ. 116, 242, 262, 269, 272, 273, 275
წერეთელი აკაკი 527, 528, 529, 539, 540, 541, 544, 624,

ჭ

ჭავჭავაძე ილია 112, 242, 287, 289, 291, 449, 529, 624, 626, 540, 541, 544, 605, 610

ხ

ხაიამი 29
ხანლაროვი 51
ხარიტონი 392
ხარტახაი 611
ხაფლაროვი 51
ხელაძე ე. 95
ხიდერბეგოვი 269, 273
ხლებნიკოვი 307, 310
ხონელი 106, 427
ხოსროევი 66, 67, 68, 71, 84, 307

ჯ

ჯუანშერი 395

ჰ

ჰაიდუკი 59
ჰაინე 35ბ 370
ჰაკსტჰაუზენი 241
ჰაშემი 394
ჰეგელი 568
ჰეროსტრატე 594
ჰუმბოლდტი 59

სარჩევი

ნინათქმა მეცხრე ტომისათვის .....
1. საუქმო საკითხავი 9
2. საუქმო საკითხავი 16
3. საუქმო საკითხავი 19
4. საუქმო საკითხავი 24
5. ოცნების სამყაროში 29
6. საუქმო საკითხავი 36
7. საუქმო საკითხავი 44
8. ჩვენი სათავადაზნაურო სკოლები 53
9. ტყიბულის საქმე 57
10. საუქმო საკითხავი 66
11. საუქმო საკითხავი 71
12. გაუგებრობა 77
13. საუქმო საკითხავი 84
14. საუქმო საკითხავი 90
15. კრიტიკა ქართული ლიტერატურიდან 95
16. საკვირაო საუბრები 100
17. საუქმო საკითხავი 110
18. ნავთობსადენის ეპოპეიდან 117
19. საუქმო საკითხავი 128
20. საუქმო საკითხავი 133
21. თანამედროვენი (ჟიულ ფერი) 138
22. საუქმო საკითხავი 141
23. საუქმო საკითხავი 147
24. საუქმო საკითხავი 152
25. საუქმო საკითხავი 160
26. საერობო მეურნეობა 167
27. საუქმო საკითხავი 169
28. მხოლოდ ნიჭისთვის? 175
29. მოვმწიფდით კი? 183
30. საუქმო საკითხავი 187
31. საუქმო საკითხავი 194
32. საუქმო საკითხავი 198
33. ლიტერატურული დაუდევრობა 202
34. პოლიტიკური მიმოხილვა 204
35. საუქმო საკითხავი 206
36. საუქმო საკითხავი 211
37. ცხოვრების პატივისცემის შესახებ 217

38. პოლიტიკური მიმოხილვა 220
39. დაე, ისმოდეს გამარჯვების ძახილი! 222
40. საუქმო საკითხავი 223
41. საუქმო საკითხავი 228
42. საუქმო საკითხავი 233
43. ადგილობრივი ლიტერატორები 240
44. საუქმო საკითხავი 243
45. საუქმო საკითხავი 248
46. საუქმო საკითხავი 253
47. საუქმო საკითხავი 257
48. საუქმო საკითხავი 263
49. „დანილიადას" ახალი სტროფები 268
50. საუქმო საკითხავი 276
51. ფონის გარეშე 281
52. საუქმო საკითხავი 286
53. გაზეთი „კავკაზი" როგორ იცავს რუსეთს 292
54. საუქმო საკითხავი 295
55. საუქმო საკითხავი 299
56. საუქმო საკითხავი 304
57. საუქმო საკითხავი 310
58. საუქმო საკითხავი 315
59. მართალია, კი? 321
60. საუქმო საკითხავი 329
61. ბ-ნ ილიმოვის თავის მართლება 334
62. საუქმო საკითხავი 336
63. პოლიტიკური მიმოხილვა 340
64. დაუმსახურებელი საყვედური 343
65. საუქმო საკითხავი 347
66. საუქმო საკითხავი 358
67. საუქმო საკითხავი 363
68. აუცილებელი განცხადება 370
69. საუქმო საკითხავი 372
70. საუქმო საკითხავი 379
71. საუქმო საკითხავი 385
72. „მონამეთა" 389
73. ამიერკავკასიის რკინიგზის ბედი 396
74. საუქმო საკითხავი 398
75. საუქმო საკითხავი 402
76. საუქმო საკითხავი 407
77. საუქმო საკითხავი 412
78. საუქმო საკითხავი 418
79. აუცილებელი შენიშვნა 423
80. საუქმო საკითხავი 427

81. საუქმო საკითხავი 432
82. საუქმო საკითხავი (გრაფ ლორის-მელიქოვზე მოგონებებიდან) 438
83. საუქმო საკითხავი 445
84. საუქმო საკითხავი 452
85. საუქმო საკითხავი 462
86. საუქმო საკითხავი 466
87. საუქმო საკითხავი 474
88. საუქმო საკითხავი 479
89. საუქმო საკითხავი 484
90. საუქმო საკითხავი 490
91. ამიერკავკასიის რკინიგზის გამოსყიდვა 494
92. საუქმო საკითხავი 501
93. საუქმო საკითხავი 506
94. საუქმო საკითხავი 511
95. საუქმო საკითხავი 516
96. მიხეილ ევგრაფის ძე სალტიკოვ-შჩედრინი 524
97. საუქმო საკითხავი 527
98. საუქმო საკითხავი 534
99. საუქმო საკითხავი 539
100. საუქმო საკითხავი 545
101. საუქმო საკითხავი 550
102. საუქმო საკითხავი 557
103. საუქმო საკითხავი 563
104. საუქმო საკითხავი 569
105. საუქმო საკითხავი 575
106. საუქმო საკითხავი 579
107. საუქმო საკითხავი 586
108. ბიზანტიური ცილობანი 590
109. საუქმო საკითხავი 595
110. საუქმო საკითხავი 604
111. საუქმო საკითხავი 612
112. საუქმო საკითხავი 622
ბიბლიოგრაფიული შენიშვნები, კომენტა;ბი
პირთა საძიებელი
ბიბლიოგრაფიული შენიშვნები 628
კომენტარები 633
პირთა საძიებელი 636

სპეცრედაქტორი ზურაბ გამეზარდაშვილი
დამკაბადონებელი თეა კაკაბაძე
დიზაინერი ლევან ჩიხლაძე
კორექტორი ლია შერგელაშვილი

შეკვეთა №599
ტირაჟი 500;

ფასი - სახელშეკრულებო

ქუთაისის სააქციო საზოგადოება „მანდარიას სტამბა“
ქ. ქუთაისი, ილია ჭავჭავაძის გამზ. 33